ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები

— ა ჯ ა ჩ ა —

ტომი III

ბათუმის ოლქი - 1877-1920

ტომის რედაქტორები: †აბელ სურგულაძე
მალხაზ სიორიძე

გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2008

Niko Berdzenishvili Institute

SOUTH-WESTERN GEORGIAN HISTORI ESSAYS

— Adjara —

Volume III

Batumi Region - 1877-1920

EDITORS: †Abel Surguladze
Malkhaz Sioridze

Publishing House „Shota Rustaveli State University"
BATUMI - 2008

Институт Нико Бердзенишвили

ОЧЕРКИ ИСТОРИИ ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

— *Аджария* —

Том III

Батумская область - 1877-1920

РЕДАКТОРЫ: †**Сургуладзе А.Т.**
Сиоридзе М.М.

Издателство «Государственный университет Шота Руставели»
БАТУМИ - 2008

UDC (უაკ) 94(479.22)+94(479.223)
ს-249

ტომის აკტორები – ისტ. მეცნ. დოქტორები: †აბელ სურგულაძე, ოთარ თურმანიძე, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, მალხაზ სიორიძე, მამია ჯიჯეიშვილი, თეიმურაზ კომახიძე, თამაზ ფუტკარაძე, ნუგზარ მგელაძე, ოთარ გოგოლიშვილი, ერმილე მესხია, აკადემიური დოქტორები: რევაზ უზუნაძე, უჩა ოქროპირიძე, ნუგზარ ზოსიძე, †დემურ გურეშიძე, გენადი მახარაძე, ფილოლ. მეცნ. დოქტორები: თინა შიოშვილი, იური ბიბილეიშვილი, მედიცინის მეცნ. დოქტორი რამაზ სურმანიძე, პედაგოგიურ მეცნ. დოქტორი ნანი გუგუნავა, †ვახტანგ წულუკიძე.

მთავარი რედაქტორი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი †დავით ხახუტაიშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან კახიძე

სარედაქციო კოლეგია - საქ. მეცნ. აკად. წ/კ. პროფ. ვახტანგ შამილაძე (თავმჯდომარე), ისტ. მეცნ. დოქტორი ნ.კახიძე (მდივანი), ფილოს. მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ მახარაძე, ისტ. მეცნ. დოქტორი †ა.სურგულაძე, ისტ. მეცნ. დოქტორი ო.თურმანიძე, ისტ. მეცნ. დოქტორი მ.სიორიძე, აკადემიური დოქტორი რ.მალაყმაძე.

სარედაქციო საბჭო - საქ. მეცნ. აკად. წ/კ. პროფ. ვახტანგ შამილაძე (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე), ისტ. მეცნ. დოქტორი ნოდარ კახიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ისტ. მეცნ. დოქტორი მალხაზ სიორიძე, აკადემიური დოქტორი ნინო ინანიშვილი, აკადემიური დოქტორი მაია ჭიჭილეიშვილი, აკადემიური დოქტორი ნანა ხახუტაიშვილი, აკადემიური დოქტორი ნაილა ჩელებაძე, ფსიქოლოგიის მეცნ. დოქტორი გურამ ჩაგანავა, აკადემიური დოქტორი ჟანი მიქაშავიძე, ფილოლ. მეცნ. დოქტორი მიხეილ ქამადაძე, ფილოლ. მეცნ. დოქტორი თინა შიოშვილი.

რეცენზენტები – ისტ. მეცნ. დოქტორი ალექსანდრე ბენდიანიშვილი
ისტ. მეცნ. დოქტორი ფარნაოზ ლომაშვილი

ISBN 978-9941-409-30-1 (საერთო ყველა ტომისათვის)
ISBN 978-9941-409-31-8 (მე-3 ტომის)
© გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2008

სარჩევი

შესავალი (ფაბ.სურგულაძე) 7

§1. წყაროები (აბ.სურგულაძე, ო.თურმანიძე, მ.სიორიძე) 10

§2. ისტორიოგრაფია (აბ.სურგულაძე, ო.თურმანიძე, მ.სიორიძე, თ.ფუტკარაძე) 22

თავი I. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაბრუნება. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგები

§1. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაბრუნება (ო. თურმანიძე) 43

§2. რუსული მმართველობის სისტემა და მხარის კოლონიზაცია (ო. თურმანიძე). 55

§3. მუჰაჯირობა (აბ. სურგულაძე) 68

§4. მოსახლეობის დინამიკა, ეთნოკონფესიური და სოციალური სტრუქტურა (ნ. მგელაძე, თ. ფუტკარაძე) 80

თავი II. ბათუმის ოლქის მრეწველობა

§1. კაპიტალისტური მრეწველობის აღმოცენება და განვითარება XIX საუკუნის 80-90-იან წლებში (ა. ბენდიანიშვილი) 101

§2. ახალი ტენდენციები მრეწველობის განვითარებაში 1900-1917 წლებში (ა. ბენდიანიშვილი) 108

§3. სამთო-მეტალურგიული მრეწველობა (მ. სიორიძე) 113

თავი III. სოფლის მეურნეობა (ო.თურმანიძე)

§1. ძირითადი დარგები 133

§2. კაპიტალისტური საწარმოები სოფლად 145

§3. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებები 154

თავი IV. საადგილმამულო ურთიერთობები და აგრარული მოძრაობა (ო.თურმანიძე)

§1. ცელილებები მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ხასიათში და ფორმათა ევოლუცია 169

§2. მიწის რენტის ფორმები და საგადასახადო სისტემა 184

§3. აგრარული მოძრაობა 192

თავი V. ტრანსპორტი, საქალაქო მეურნეობა, ვაჭრობა და საბანკო-საკრედიტო ურთიერთობანი 1878-1920 წლებში

§1. ტრანსპორტი 209

ა. საზღვაო ტრანსპორტი (რ.უზუნაძე) 209

ბ. სამდინარო ტრანსპორტი (რ.უზუნაძე) 218

გ. სარკინიგზო ტრანსპორტი (ა.ბენდიანიშვილი) 223

§2. ქალაქები, საეკლესიო-სამრეწველო დაბები. საქალაქო თვითმმართველობა და კომუნალური მეურნეობა (ა.ბენდიანიშვილი) 229

§3. ვაჭრობა და საბანკო-საკრედიტო ურთიერთობანი (ა.ბენდიანიშვილი) 257

§4. პორტო-ფრანკო ბათუმში (აბ. სურგულაძე) 265

თავი VI. სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა

§1. მუშათა კლასის ჩამოყალიბება და სოციალური მოძრაობის დასაწყისი (უ.ოქროპირიძე) 293

§2. პოლიტიკური ორგანიზაციების წარმოშობა და საქმიანობა (მ.ჯიჯეიშვილი) .. 306
§3. მუშათა და გლეხთა მოძრაობა 1900-1904 წლებში (მ.ჯიჯეიშვილი) 317
§4. ბათუმის ოლქი 1905-1907 წლების რევოლუციაში (ო.გოგოლიშვილი) 327
§5. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება 1908-1914 წლებში (ო.გოგოლიშვილი) 339

თავი VII. ბათუმის ოლქი პირველი მსოფლიო ომის დროს (1914-1918 წწ.)
§1. ბათუმის ოლქი ოსმალეთისა და მისი მოკავშირეების გეგმებში. ბრძოლა ბათუმისათვის 1914-1915 წწ. (მ.სიორიძე) 357
§2. ომის სიძნელეები და სამეურნეო ნგრევა (მ.სიორიძე) 367
§3. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება (აბ. სურგულაძე, მ. სიორიძე) 373
§4. ბათუმის ოლქი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ (მ.სიორიძე) 393
§5. კავკასიის ფრონტის მოშლა და სამხედრო მოქმედების განახლება (მ.სიორიძე) 406
§6. ტრაპიზონის საზავო კონფერენცია (მ.სიორიძე) 416
§7. ბათუმის საზავო კონფერენცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა (მ.სიორიძე) 423
§8. ბათუმის ოლქის ოკუპაცია ოსმალთა მიერ (1918 წ.) (ნ. ზოსიძე) 432

თავი VIII. ბათუმის ოლქი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1920 წწ.)
§1. ბათუმის ოლქი დიდი ბრიტანეთის ოკუპაციის პერიოდში (მ.სიორიძე) 457
§2. ბათუმი და რუსეთის სამოქალაქო ომი (მ.სიორიძე) 470
§3. „ბათუმის საკითხის" ინტერნაციონალიზაცია 1919-1920 წწ. (მ.სიორიძე) 478
§4. სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი (ე. მესხია) 489
§5. ბათუმის ოლქის დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში (ნ. ზოსიძე) 499
§6. სოციალურ-პოლიტიკური ვითარება 1920 წ. მეორე ნახევარში (მ. სიორიძე) 504

თავი IX. განათლება, კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა
§1. განათლება (ზ. წულუკიძე, ნ. გუგუნავა) 529
§2. კულტურული და საქველმოქმედო საქმიანობა (ზ. გურეშიძე) 538
§3. მწერლობა (ი. ბიბილეიშვილი) 543
§4. საისტორიო ზეპირსიტყვიერება (თ. შიოშვილი) 553
§5. პრესა და საგამომცემლო საქმე (გ. მახარაძე) 560
§6. თეატრალური წარმოდგენები (თ. კომახიძე, ზ.ბ. სურგულაძე) 568
§7. სამედიცინო სამსახური (რ. სურმანიძე) 578

ძირითადი შემოკლებანი 601

შესავალი

„აჭარის ისტორიის ნარკვევების“ წინამდებარე ტომი ქრონოლოგიურად მოიცავს 1877-1920 წლებს. ეს პერიოდი აღინიშნა საყურადღებო მოვლენებით. უპირველესი ისაა, რომ 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში, რუსეთის გამარჯვების შედეგად, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო სამუდამოდ დაუბრუნდა მშობლიურ კერას და ამიერიდან მისი ჭირისა და ლხინის განუყრელი მოზიარე გახდა. ისტორიული ტერიტორიების, განსაკუთრებით კი ბათუმის შესანიშნავი ნავსადგურის შემოერთებით, ეს მხარე არა მარტო ჩაერთო ერთიან მსოფლიო საქონელმიმოქცევაში, არამედ მკვეთრად დააჩქარა კაპიტალისტურ ურთიერთობათა ზრდის პროცესი საქართველოში. მართალია, ქვეყნის განვითარების ტემპი და დონე არ იყო მაღალი მისი ნახევრად კოლონიური მდგომარეობის გამო, მაგრამ რუსეთის ევროპული გუბერნიების დიდ ნაწილს გარკვეულად სჭარბობდა კიდეც.

ახალდაბრუნებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით დაიყო ბათუმის და ყარსის ოლქებად, ბათუმის ოლქში შევიდა თანამედროვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია (ე.წ. ბათუმის ოკრუგი), აგრეთვე, ართვინის ოკრუგი. 1883 წ. გაუქმდა რეგიონის საოლქო მოწყობა და მასში შემავალი ოკრუგები გაერთიანდა ქუთაისის გუბერნიაში. 1903 წელს ეს ოკრუგები ქუთაისის გუბერნიას გამოეყო და ისევ აღსდგა ბათუმის ოლქი. ამ სახით მოაღწია მან 1921 წლამდე და შედიოდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის შემადგენლობაში.

აღნიშნულ თავისებურებათა გამო წინამდებარე ტომში გადმოცემულია არა მარტო აჭარის, არამედ მთლიანად ბათუმის ოლქის, როგორც ერთიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული, ეკონომიკური და სტრატეგიული რეგიონის, ისტორიის საკვანძო საკითხები.

საერთო ეკონომიკურმა პროგრესმა შეარყია მხარის საუკუნეობრივი რუტინა და ჩამორჩენილობა, რაც უპირველესად გამოიხატა ნატურალური მეურნეობის რღვევაში. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ბათუმი თანდათან გადაიქცა მნიშვნელოვან საჭრელ-სამრეწველო ცენტრად (ამას ნავთობის ექსპორტთან ერთად, გარკვეულწილად, განსაზღვრავდა მძლავრად განვითარებული სპილენძის წარმოებაც), რაც, თავის მხრივ, სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ორბიტაში ითრევდა სოფელს და ამით აჩქარებდა კაპიტალიზმის შინაგანი ბაზრის გაფართოებას.

ასეთ ვითარებაში გამწვავდა სოციალური და ეროვნული ურთიერთობანიც. გააქტიურდა ხალხის ბრძოლა არსებული სისტემისა და მისი დამცველი ცარიზმის წინააღმდეგ. აჭარაში აზვირთებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ერწყმოდა საქართველოს სხვა რეგიონების მშრომელთა გამოსვლებს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ და მეტი გაქანება და სიმწვავე შეჰქონდა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ამ დროის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელია მოსახლეობის პოლიტიკური აქტივობის მნიშვნელოვანი ზრდა. საკითხის შეუსწავლელობის შედეგი იყო, რომ უკანასკნელ დრომდე პოლიტიკური მოძრაობა მთლიანად პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან იყო გაიგივებული. მართლაც, მკვლევარებს მთელი ყურადღება გადატანილი ჰქონდათ „კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის და გლეხობის გმირული ბრძოლის“ შესწავლაზე, რის გამოც ფართო საზოგადოებამ ნაკლებად, ანდა თითქმის არაფერი იცოდა აქ პოლიტიკური პარტიების არსებობისა თუ პრაქტიკული მოღვაწეობის შესახებ (ცხადია, გარდა სოციალ-დემოკრატებისა). არადა, XIX საუკუნის დამლევიდან აჭარაში საფუძველი ჩაეყარა პოლიტიკური გაზეთების გამოცემას და წიგნების ბეჭდვას, იმართებოდა თეატრალური წარმოდგენები, დაარსდა პირველი ქართული სკოლა და ასპარეზზე გამოვიდა ამ სკოლის აღზრდილი ახალი თაობა, გააქტიურეს მოღვაწეობა სოციალისტ-ფედერალისტებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, შეიქმნა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ და სხვ., რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ-პოლიტიკურ გათვითცნობიერებასა და დამპყრობელთა მიერ ხანგრძლივი დროით მიტაცებული მხარის მშობლიურ სხეულთან შერწყმა-შეკავშირებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ პატრიოტული საქმიანობა. უაღრესად რთულ ვითარებაში, როდესაც აჭარაში გაბატონებისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ დიდი სახელმწიფოები, კომიტეტმა მემედ აბაშიძის მეთაურობით, ათასგვარი დევნისა და რეპრესიების პირობებში, შეძლო ეპოვა ხსნის ერთადერთი გონივრული გზა და უზრუნველეყო აჭარის შენარჩუნება (თუნდაც ავტონომიის სახით) საქართველოს შემადგენლობაში. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული ფაქტი, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა ამ მხარის ეროვნული განვითარების გზა.

საერთოდ, XX საუკუნის პირველი ოცწლეული მძიმე გამოცდის პერიოდი იყო დედასაქართველოსთან დაბრუნებული აჭარისათვის. პირველი მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე რუსეთის იმპერიულმა მთავრობამ უსამართლოდ შეურაცხყო ადგილობრივი მოსახლეობა და იგი „საერთო სახელმწიფო ღალატში“ დაადანაშაულა. ცარიზმს ეს სჭირდებოდა აღნიშნული რეგიონის საბოლოოდ ათვისებისა და კოლონიზაციის დასრულებისათვის. ქართველ მამულიშვილთა თავდადებით და შეთანხმებული საქმიანობით მაშინ შესაძლებელი გახდა აღნიშნული ბრალდების გაბათილება. ეს იყო მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი ქართველ მაჰმადიანებში ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება-გაძლიერების საქ-

მეში, რაც, თავის მხრივ, ქმნიდა მტკიცე საფუძველს ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე უკიდურესად გამძაფრდა დიდ სახელმწიფოთა ბრძოლა ბათუმის მიტაცებისათვის. მხარის სამეურნეო-ეკონომიკური პოტენციალი, განსაკუთრებით კი მისი სტრატეგიული მდებარეობა იზიდავდა ოსმალეთსაც, ევროპის სახელმწიფოებსაც (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია), რუსეთსაც. ბრესტის ზავის შემდეგ, ერთი შეხედვით, ხელსაყრელი პოზიციები ოსმალეთს ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ცალმხრივად და უხეშად ჩატარებული რეფერენდუმის წყალობით თითქოს საიმედოდ გაინაღდა ბატონობა ბათუმის ოლქში. ამის მიუხედავად, თურანიზმის მომხრეთა გეგმები ადრინდელი იმპერიის აღსადგენად ვერ განხორციელდა. გერმანიის ბლოკის ქვეყნების მარცხმა გამორიცხა აქ ოსმალეთის გაბატონების შესაძლებლობა. ამით ისარგებლა ინგლისმა და დაიწყო აქტიური ბრძოლა ამ მხარეში დამკვიდრებისათვის. ამ მიზნით სცადა ბათუმის საკითხის ინტერნაციონალიზება, მაგრამ ქართველი ხალხის პროტესტისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური ღონისძიებებით განაზრახი მასაც ჩაეშალა. ამ მოვლენების ფონზე შესამჩნევად აქტიურობდა რუსეთი (თეთრგვარდიულიც, საბჭოთაც), რომელიც იბრძოდა „ერთიანი და განუყოფელი" იმპერიის შენარჩუნებისათვის. ყოველ შემთხვევაში, ბათუმის რუსული ეროვნული საბჭო, მისი მეთაურის კადეტ მასლოვისა და ცნობილი გენერალ დენიკინის საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობა მიზნად ისახავდა საქართველოსაგან ბათუმის ოლქის ჩამოშორებას. ამავე მიმართულებით არანაკლებ აქტიურობდა, აგრეთვე, ანგორის მთავრობაც. ასეთ რთულ ვითარებაში სწორი პოზიცია დაიკავა თვით აჭარამ, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის აქტიური მხარდაჭერით სწორად გადაწყვიტა თავისი მომავალი.

სამუსლიმანო საქართველოს პროგრესისტ მოღვაწეებს ჩინებულად ესმოდათ, რომ მხარის გამთლიანება ეროვნულ სხეულთან მნიშვნელოვანი იყო არა მარტო მომავალი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობის აღდგენის თვალსაზრისით, არამედ, პირველ ყოვლისა, სასიცოცხლო პოლიტიკურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული დანიშნულება ჰქონდა თვით ქართველი მუსლიმანების ეროვნული ღირსების შენარჩუნების, აგრეთვე, მომავალი განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის.

ასეთია აღნიშნული ეპოქის უმთავრესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები, მათი დამახასიათებელი ნიშნები თუ თავისებურებანი.

§1. წყაროები

საარქივო მასალა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს 1877-1920 წლების ისტორიის შესახებ დიდძალი მასალაა არქივებში. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში ბათუმისა და ყარსის ოლქების მასალები გაბნეულია სხვადასხვა ფონდში. მრავალფეროვნებით გამოირჩევა კავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილისა (ფონდი № 12) და კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიები (ფონდი № 13). აქ არის 1878-1883 და 1905-1917 წლების მასალები, ხოლო კავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილის კანცელარიის ფონდში - 1884-1904 წლებისა. ეს მასალები ძალზე მნიშვნელოვანია საკვლევი პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად.

ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა იგივე არქივის სხვა ფონდებიც. კერძოდ: „საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე კავკასიის მეფისნაცვალთან" (15), „ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმის ოლქში" (157), „კავკასიის საბაჟო ოკრუგის სამმართველო" (378) და სხვ.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში მნიშვნელოვანი მასალებია, აგრეთვე, 1918-1920 წწ. ბათუმის ოლქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების შესახებაც. ამ მხრივ გამოვყოფდით ფონდებს: „ამიერკავკასიის სეიმი" (1819), „საქართველოს დამფუძნებელი კრება" (1833), „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო" (1891), „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო რწმუნებული ბათუმსა და მის ოლქში" (1872), „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო" (1864); „საქართველოში რსფსრ წარმომადგენლობის სამხედრო ატაშე" (1874). უაღრესად მნიშვნელოვანია სამშობლოში უკანასკნელ ხანს დაბრუნებული და ამავე არქივში დაცული საქართველოს დემოკრატიული მთავრობის არქივის მასალები.

მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის, აგრარული მოძრაობის, კოლონისტების მიერ ადგილმამულების შეძენის, მათი სამეურნეო-სამეწარმეო საქმიანობის შესახებ საყურადღებო მასალებია ამ არქივის ისეთ ფონდებში, როგორიცაა „კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებული სამხედრო-სამოქალაქო მმართველობა" (545, 229), „წოდებრივ-საადგილმამულო კომისია" (231), „მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებული" (343), ამავე სამინისტროსთან არსებული „კავკასიის საგადასახლებო ნაწილის" (242), „მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა ქუთაისის სამმართველო" (246), „ქუთაისის სახაზინო პალატა" (256) და სხვ. აქ არის ბათუმისა და ყარსის ოლქების სასოფლო საკარგულების აღწერები, ჩამოთვლილია სოფლებს შორის სადავო მიწები, ზოგჯერ დასახელებულია ადგილმამულების მფლობელი პირები (545), დაცულია, აგრეთვე, მასალები კერძო მფლობელთა, საიჯარო და მუჰაჯირების ადგილმამულებზე, მიწების ყიდვა-გაყიდვის, კოლონისტების დასახლების, ბეგარა-გადასახადების შესახებ და სხვ.

ამავე ფონდებშია ბათუმის ოლქის ადგილობრივი მოსახლეობისა და მოახალშენეების თხოვნა-საჩივრები, ქუთაისის, ბათუმისა და ყარსის გუბერნატორების მიმოწერები, პეტერბურგის ცენტრალური ხელისუფლებიდან ინსტრუქციები, დადგენილებები და სხვა მასალები, რომლებიც უშუალოდ ეხება მიწათმოწყობას, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობას. მოიპოვება მასალები ბათუმის ოლქის, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების შესახებ და ა.შ.

ამიერკავკასიის სააქციზო სამმართველოს ფონდში (370) დეტალური ცნობებია ბათუმის ოლქის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგების შესახებ (მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა, მევენახეობა-მეღვინეობა). აქვეა დაცული დაწერილებითი ცნობები ჩაისა და თამბაქოს მრეწველობის, სახაზინო-სააქციზო გამოსაღების შესახებ და სხვ. გამოქვეყნებული მიმოხილვებისა და ანგარიშებისაგან განსხვავებით, სააქციზო უწყების ფონდში ჩამოთვლილია სოფლები, სადაც მისდევდნენ სასაქონლო მიწათმოქმედებას, დასახელებულია თითოეული კულტურის ფართობი, მოსავალი, მეწარმეები, დაქირავებული მუშახელი, პროდუქციის გასაღების, საერთო და წმინდა შემოსავლების მაჩვენებლები. ამ სახის ცნობები კი მეტად მნიშვნელოვანია საკითხების სრულყოფილად გაშუქებისათვის, ამა თუ იმ რეგიონის სპეციფიკის დასადგენად.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ მრავალმხრივ საყურადღებო მასალებია დაცული პეტერბურგის ცენტრალურ საისტორიო არქივში. მასალები გაბნეულია შინაგან საქმეთა, იუსტიციის, თავდაცვის, ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროების, საუფლისწულო უწყების მთავარი სამმართველოს ფონდებში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ფონდში (1284) არის ქუთაისის გუბერნიის, ბათუმისა და ყარსის ოლქების გუბერნატორების ყოველწლიური ანგარიშები, რაც სხვაგან იშვიათად გეხვდება. მათში აღწერილია წლის განმავლობაში საგამგებლო ოლქებში მიმდინარე პროცესები. მიწათმოქმედების, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის შესახებ მასალები მოიპოვება მიწათმოქმედების დეპარტამენტის ფონდში (398).

ფინანსთა სამინისტროს ფონდში (22) გვხვდება ბათუმის ოლქის მრეწველთა მოხსენებითი ბარათები და მეურნეობების აღწერის მასალები. მათ შორის აღსანიშნავია კ. პოპოეის მოხსენება (ანაწ.2,ს.1810), რომელშიც დაწერილებითი ცნობები მოიპოვება აჭარის ზღვისპირა ზოლში არსებული ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კაპიტალისტური მეურნეობების შესახებ. ბათუმის ოლქის სავაჭრო-სამრეწველო განვითარების შესახებ მასალები დაცულია ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ფონდში (396).

ჩაქვის საუფლისწულო მამულის შესახებ მასალები მოიპოვება საუფლისწულო უწყების მთავარი სამმართველოს ფონდში (515), რომლის 91-ე ანაწერში არის ჩაქვის მეურნეობის ყოველწლიური ანგარიშები, ხარჯთაღრიცხვები, მიმოწერები, მოხსენებითი ბარათები. ამავე ფონდის 45-ე ანაწერის ზოგიერთ საქმეში ასახულია ჩაქვის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ-პოლიტიკური და აგრარული მოძრაობის ამსახველი მასალები. მათ გააჩ-

ნიათ მეცნიერული ღირებულება ჩაქეის საუფლისწულო მეურნეობის ისტორიის შესასწავლად.

საყურადღებო მასალა იქნა მოძიებული მოსკოვში რუსეთის საგარეო პოლიტიკისა (АВПР) და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივებში (ГАРФ; ყოფ. ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის არქივი ЦГАОР СССР). რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში საინტერესოა ფონდები: „საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარია", „პოლიტარქივი", „საელჩო კონსტანტინეპოლში". პირველი ფონდის მასალები ააშკარავებს გერმანიის და ავსტრიის ცდებს – ჩაებათ ოსმალეთი რუსეთის წინააღმდეგ ომში და ამით შეემსუბუქებინათ თავიანთი მდგომარეობა ევროპის ფრონტებზე.

ფონდი „პოლიტარქივი" შეიცავს რუსეთის დიპლომატების შეტყობინებებს. მათშია ცნობები რუსეთთან ომისათვის ოსმალეთის მზადების შესახებ, კავკასიის საზღვრისპირა რაიონებში ჯარების კონცენტრაციის და გაძლიერებული შეიარაღების, ბათუმის სასაზღვრო ზოლით გერმანელების დაინტერესების და ბათუმის ოლქში გერმანია-ოსმალეთის ემისართა სადაზვერვო და სააჯანყებო საქმიანობის შესახებ.

ფონდში „საელჩო კონსტანტინეპოლში" მრავლადაა ტრაპიზონსა და ერზრუმში რუსეთის გენერალური კონსულების მოხსენებითი ბარათები, რომლებიც შეიცავს ცნობებს ომის წინ გერმანია-ოსმალეთის სადაზვერვო-ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ. აქ დაცულია მასალები ერზრუმში გერმანიის კონსულის ედგარ ანდერსის შესახებ, რომელსაც ევალებოდა აჭარასა და აფხაზეთში ანტირუსული აჯანყების მომზადება. ამავე ფონდშია ცნობები კავკასიის საზღერისპირა რაიონებით ავსტრია-უნგრეთის დაინტერესების შესახებაც.

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივში (ГАРФ) საყურადღებოა ფონდები: „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს პროპაგანდის განყოფილება" (440), „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს თავმჯდომარის პოლიტიკური კანცელარია" (446) და „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან არსებული ვაჭრობისა და მრეწველობის სამმართველო" (356). აქ დაცულია დენიკინის და ვრანგელის ოფიციალური და არაოფიციალური წარმომადგენლების ანგარიშები და მოხსენებითი ბარათები, რომლებიც საინტერესო ცნობებს შეიცავენ ბათუმის ოლქში და, საერთოდ, ამიერკავკასიაში დიდი ბრიტანეთის გეგმებისა და საქმიანობის შესახებ.

საყურადღებო მასალებია აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (აცსა). მართალია, მეცნიერული ღირებულებით თბილისისა და პეტერბურგის არქივის მასალებთან შედარებით ნაკლებად ფასეულია, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევია. აღსანიშნავია, რომ აქაურ ფონდებში ზოგიერთი ისეთი მასალაა, რაც სხვაგან არ გვხვდება. იგი ეხება განათლებას, კულტურას, საქველმოქმედო საზოგადოებათა საქმიანობას, საქალაქო და ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტების მეურნეობას და სხვ.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ფონდში (№1) მოიპოვება

მასალები აჭარაში რევოლუციური მოძრაობისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შესახებ. ამავე ფონდშია ცნობები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვეტერინარული სამსახურის შესახებ და ა.შ. საადგილმამულო ურთიერთობის შესახებ მწირი, მაგრამ საინტერესო ცნობებია მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა ქუთაისის სამმართველოს ბათუმის ოლქის სატყეოს ფონდში (24), აგრეთვე რაიონების (უბნები) სატყეო სამმართველოების ფონდებში (31, 39, 41, 42).

მიწების ყიდვა-გაყიდვის, იჯარის, ადგილმამულების საკუთრებაში დამტკიცებაზე თხოვნა-საჩივრები, ნოტარიუსის მიერ გაცემული საბუთები და სასამართლოს განაჩენები დაცულია სანოტარო კანტორისა და ბათუმის მომრიგებელი განყოფილების სასამართლოს ფონდებში (19, 25). საქალაქო მეურნეობის, წყალმომარაგების, განათლების, კულტურის, მრეწველობისა და ტრანსპორტის შესახებ საყურადღებო ცნობებია ბათუმის საქალაქო სათათბიროს (7), ქალაქის გამგეობისა (6) და წყალსადენის (32) ფონდებში.

მნიშვნელოვანი მეცნიერული ღირებულება გააჩნია ნავთობის სააქციზო სამმართველოს ბათუმის ოლქის საბჭოს ფონდში (12) დაცულ მასალებს. ნავთობის პროდუქტების ექსპორტთან ერთად, აქ არის ცნობები ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებისა და საზღვარგარეთ გატანის შესახებ. საინტერესოა ბათუმის საბაჟო ოკრუგის სამმართველოს და მის უწყებაში შემავალი ქ. ბათუმისა და ქობულეთის (ნიკოლაევის და ჩურუქ-სუს) საბაჟოების ფონდებში (13, 14, 15, 48) არსებული მასალაც.

ბათუმის ნავსადგურის მშენებლობის, პორტში გემების მიღებისა და გაშვების, ტვირთბრუნვის, პორტო-ფრანკოს შესახებ საყურადღებო მასალებია პორტის მშენებლობის სამმართველოს უფროსისა და ბათუმის სავაჭრო პორტის სამმართველოს ფონდებში (16, 34). იგი მოიცავს 1878-1920 წწ. ასევე საინტერესოა ცნობები წმ. ნიკოლოზის ფორტისა (შეკეთილი) და ჩურუქ-სუს (ქობულეთი) ნავმისადგომებისაკენ საკაბოტაჟო გემებით მოძრაობის, ტვირთების სახეობისა და მათი გატანა-შემოტანის, რეეოლუციური მოძრაობის, პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შესახებ (2, 3, 4, 13, 15).

განათლების შესახებ საერთოდ, კერძოდ კი ბათუმის სკოლებში სასწავლო პროცესის, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და პედაგოგების რაოდენობის, სასწავლო გეგმების და პროგრამების თაობაზე მასალები დაცულია ბათუმის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების, რუსული დაწყებითი სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლის ფონდებში (9, 10, 11, 27, 30).

აჭარის სახელმწიფო არქივის ფონდებში: „ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარია“ (1), „ამიერკავკასიის რკინიგზების თბილისის ჟანდარმერიის სამმართველოს ბათუმის განყოფილება (2), „ბათუმის დაცვის პუნქტი“ (4), „ბათუმის ქალაქის სათათბირო“ (7), „ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის სამმართველო“ (34), „ბათუმის საბაჟო“ (14), „ბათუმის პოლიცმაისტერის სამმართველო“ (52), „მიხეილის სიმაგრე“ (63) და სხვ. დაცული მასალები საშუალებას იძლევა ბათუმსა და მის ოლქში უცხოური კაპიტალის გაერცელების, ბათუმის ნავსადგურის სავაჭრო ოპერაციების, ბათუმის ოლქში

დასავლეთის სახელმწიფოების სადაზვერვო საქმიანობის, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ბათუმის მიმართულებით გერმანია-ოსმალეთის სამხედრო ოპერაციების და სხვ. შესწავლისათვის. „ბათუმის ოლქის მმართველი საბჭოს“ (67) ფონდის მასალები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ უცხოელი ოკუპანტების საქმიანობას ამავე ოლქში. აქვეა ცნობილი შავრაზმელის პ. ნ. მასლოვის მემუარული თხზულება „ბათუმი 1917-1920 წლებში“. ავტორის აშკარა ტენდენციურობის მიუხედავად, მისი ნაშრომი მნიშვნელოვანია ბათუმში უცხოელთა ბატონობის პერიოდის გაშუქებისათვის. აქვეა ცნობები ბათუმის საკითხში ჯერ გერმანია-ოსმალეთის, ხოლო შემდეგ ანტანტის ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა შესახებ.

ბათუმის ოლქის შესახებ მნიშვნელოვანი მასალებია ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში. 1884-1903 წწ. ბათუმისა და ართვინის ოკრუგები იდმინისტრაციულად შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში. გარდა ამისა, ამ გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს, საოკრუგო სასამართლოს, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა საგუბერნიო სამმართველოების უფლებამოსილება ვრცელდებოდა ბათუმის ოლქსეც, სადაც მათ სპეციალური წარმომადგენლები ჰყავდათ თანაშემწის რანგში. ისინი ამ უწყებებს აწვდიდნენ მოხსენებებს და რაპორტებს მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ.

საინტერესო მასალები ინახება თბილისის კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის, სიმონ ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის, განათლების სამინისტროსა და გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში. ბათუმის ოლქის შესახებ დიდძალი მასალებია აჭარის ხარიტონ ახელედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. აქ ინახება ბათუმის ოლქის შესახებ ყოფილი საბჭოთა კავშირის არქივებიდან ამოკრეფილი მასალები, მოგონებები, საველე მუშაობისას შეკრებილი ეთნოგრაფიული ცნობები. მათში მოთხრობილია 1878-1920 წლებში ბათუმის ოლქის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საბანკო-საკრედიტო ურთიერთობების, ვაჭრობის, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და აგრარული მოძრაობის, პოლიტიკური პარტიების, განათლებისა და კულტურის შესახებ.

გამოქვეყნებული დოკუმენტები. გამოქვეყნებული დოკუმენტური წყაროებიდან საყურადღებოა რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულები.[1] მათში შესულია 1881-1917 წლების ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ ეხება ბათუმის ოლქს და საინტერესოა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის დასახასიათებლად.

ამიერკავკასიის ფაბრიკებისა და ქარხნების ისტორიის ზოგად მიმოხილვაში, რომელიც ს.გულიშამბაროვმა შეადგინა,[2] არის ცნობები ბათუმში ნავთობის საწარმოების შესახებაც. რამდენიმე ცნობა ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში არსებული მიწის ფონდის შესახებ დაცულია სახელმწიფო საგლეხო ბანკის

[1] Полное собрание законов Российской империи, СПб., 1881-1917.
[2] Гулишамбаров С., Обзор фабрик и заводов Закавказского края. Тиф., 1894.

ამიერკავკასიაში მოქმედებასთან დაკავშირებით შეკრებილ მასალებში.[3]

სააქციზო გამოსაღებების შესასწავლად მნიშვნელოვანია ამიერკავკასიის სააქციზო უწყების ანგარიშები და მიმოხილვები. პირველი (ანგარიშები) გამოდიოდა 1887-1901 წლებში,[4] მეორე კი - 1902-1912 წლებში.[5] მათში არის, აგრეთვე, ცნობები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე, დასაქმებული მუშახელის რაოდენობაზე, შრომასა და საყოფაცხოვრებო პირობებზე. ბათუმის ოლქის შესახებ მასალები ძირითადად ეხება მეთამბაქოეობას, მეჩაიეობას, მეევნახეობას.

საერთოდ, სააქციზო უწყების მასალა კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს, რადგან მწარმოებლები, გადასახადებზე თავის არიდების მიზნით, მალავდნენ თავიანთ შემოსავლებს და იძლეოდნენ არასწორ ცნობებს.

ბათუმის ოლქის კოლონიზაციის, რუსული ახალშენების მოწყობის შესახებ საინტერესოა ამიერკავკასიაში საგადასახლებო სამმართველოს საქმეთა მიმოხილვები.[6] მართალია, მათში ძირითადად 1908-1912 წლების ცნობებია დაცული, მაგრამ შესავალში მოკლედ არის მიმოხილული კავკასიის კოლონიზაციის ისტორია XIX საუკუნეშიც და წარმოაჩენს ცარიზმის მისწრაფებას როგორც მთლიანად კავკასიის, ისე ბათუმისა და ყარსის ოლქების კოლონიური ათვისებისათვის. მიმოხილვებში კონკრეტული ცნობებია მოცემული 1879-1913 წლებში ბათუმისა და ყარსის ოლქებში საკოლონიზაციო მიწების გამოყოფისა და მატერიალური დახმარების შესახებ.

ბათუმისა და ყარსის ოლქებში რუსული მმართველობის სისტემისა და ფორმების შესასწავლად საყურადღებოა სპეციალური დებულება,[7] რომელიც შედგენილია რუსულ და თურქულ ენებზე. იგი ასახავს ცარიზმის მისწრაფებას – გადააქციოს სოფლის მმართველობა თავის საიმედო დასაყრდენად და სახელმწიფო გადასახადების ამოღების მთავარ საშუალებად.

საინტერესო მასალებია ქუთაისის გუბერნიისა და ბათუმის ოლქის მიმოხილვებში. ბათუმის ოლქის მიმოხილვა სულ ორჯერ გამოქვეყნდა.[8] ქუთაისის გუბერნიისა კი სისტემატურად გამოდიოდა. ამ მიმოხილვებში შესულია 1883-1903 წლების ცნობები ბათუმისა და ართვინის ოკრუგების შესახებაც. ეს მიმოხილვები გვეხმარება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, კულტურული, ადმინისტრაციული მმართველობის მართლმსაჯულებისა და რელიგიის მდგომარეობის შესასწავლად. მიმოხილვებს დამატების სახით დაერთვის ცხრილები, რაც აადვილებს არსებული ვითარების უფრო მკაფიოდ წარმოსახვას.

---

[3] Материалы по вопросу о распространений действии крестьянского подземельного банка на Закавказский край. Тиф., 1904.

[4] Отчёты заведующих акцизными сборами Закавказского края и Закаспийской области о положений акцизного дела 1887-1901 гг., СПб., 1888-1902.

[5] Обзор отраслей промышленности в Закавказском крае, служащих источников косвенных налогов и поступления акцизного по краю дохода за 1902-1912 гг., Тиф., 1903-1913.

[6] Обзор переселенческого дела на Кавказе за пять лет 1908-1912 гг... СПб., 1913.

[7] Положение о сельском управлении Карской области, Батумского и Артвинского округов Кутайской губернии. Тиф., 1901.

[8] Обзор Батумской области за 1903 год. Бат., 1904; Обзор Батумской области за 1910 год. Бат., 1912.

ქუთაისის გუბერნიისა და ბათუმის ოლქის მიმოხილვებში ასახულია არა მარტო ოლქსა და ოკრუგებში, არამედ, აგრეთვე, ცალკეულ საპოლიციო უბნებში არსებული მდგომარეობაც. ეს საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ რეალური ვითარება თითოეულ რაიონში და განვსაზღვროთ მათი ხვედრითი წილი მხარის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ბათუმის ოლქის მოსახლეობის სოციალურ-წოდებრივი, ეროვნული და დემოგრაფიული მდგომარეობის შესასწავლად მნიშვნელოვანია იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მასალები,[9] რომლითაც შესაძლებელია გლეხების, მუშების, ბურჟუების, მემამულეების რაოდენობის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობის, სქესობრივი და ასაკობრივი შემადგენლობის, მიგრაციული პროცესების, რელიგიური კუთვნილების, განათლების დონის და სხვ. დადგენა.

საყურადღებოა 1880-1917 წლებში გამოცემული სერია „კავკასიის კალენდარი", რომელშიც წარმოდგენილია მრავალფეროვანი სტატისტიკური ცნობები და ისტორიულ-გეოგრაფიული თუ სოციალ-ეკონომიკური მიმოხილვები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის, ბეგარა-გადასახადების, კულტურის, რელიგიის, ეროვნული და სოციალურ-კლასობრივი შემადგენლობის, ადმინისტრაციული მმართველობის და სხვათა შესახებ. ეს მასალა, რამდენადაც იგი კავკასიას ეხება, შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ სხვა რეგიონების ვითარებასაც, შევაჯეროთ ისინი ბათუმის ოლქის მდგომარეობას, რათა განვსაზღვროთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სპეციფიკა, მისი ლოკალური თავისებურებანი.

მნიშვნელოვანია ყარსის ოლქის სტატისტიკური კრებული,[10] რომელიც ასახავს ამ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას XIX საუკუნის 80-იან წლებში. ანალოგიურ ცნობებს აჭარის შესახებ ვხედებით სტატისტიკურ კრებულებში, რომლებიც XX საუკუნის 20-იან წლებში გამოქვეყნდა.[11] მართალია, ისინი ეხება 1909-1921 წლებს, მაგრამ საგრძნობლად ავსებენ ხარვეზებს, რაც ადრინდელ გამოცემებს გააჩნდა.

ბათუმის ოლქში სამთამადნო და სამთო-მეტალურგიული მრეწველობის გასაცნობად საყურადღებოა კავკასიის სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს ანგარიშები. მათში დეტალური ცნობებია ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში წიაღისეულის ძიების, მადნეულის ამოღების, მეტალურგიული ქარხნების მშენებლობისა და წარმოების შესახებ. აქვე დასახელებულია ის უცხოელები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდნენ ამ ოკრუგებში.[12]

მრავალმხრივი მასალაა ბათუმის ოლქის რუსეთის იმპერიასთან შეერთების 25 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ კრებულში.[13] მ. დერჟავინის, ტ.

---

[9] Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года. LXVI, Кутайская губерния. СПб., 1905.

[10] Карская область. Свод статистических данных, Тиф., 1889.

[11] Закавказье. Статистическо-экономический сборник, Тиф., 1925; ამიერკავკასიის სტატისტიკური კრებული 1909-1921. ტფ., 1925; აჭარის ასსრ, სტატისტიკური კრებული 1913-1923, ბათ., 1924.

[12] Отчёты Кавказского управления горнорудной промышленности за 1890-1913 гг., Тиф., 1914.

[13] Батумъ и его окрестности, Бат., 1906.

სტეპანოვის, ი. მესხის, ს.ტიმოფეევის, ნ .წერეთლის, მ. ჯანაშვილის სტატიებში განხილულია მხარის ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიული, ადმინისტრაციული მმართველობის, მართლმსაჯულების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, საბანკო-საკრედიტო ურთიერთობების, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის საკითხები. მართალია, კრებული შედგენილია ტენდენციურად, ცარიზმის კოლონიური ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ გვაწვდის დიდძალ ფაქტობრივ მასალას ამა თუ იმ საკითხის გასაშუქებლად.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესასწავლად მნიშვნელოვანია „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ 6 ტომი, რომლებიც 1878-1883 წლებში გამოიცა. 1885-1890 წლებში ასევე 6 ტომად დაიბეჭდა ამ საზოგადოების „შრომები“. 1893-1905 წლებში გამოდიოდა მისი ყოველკვირეული ჟურნალი „კავკასიის სოფლის მეურნეობა“ (12 ტომი). 1908 წლიდან 1918 წლამდე იბეჭდებოდა ჟურნალი „კავკასიის მეურნეობა“. ამ გამოცემებში ძვირფასი მასალებია ბათუმის ოლქში სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების, მათი საქონლიანობის დონის, მოახალშენეების სამეწარმეო საქმიანობის შესახებ და ა.შ.

კავკასიის ეკონომიკური ათვისებისას რუსეთის მთავრობა განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებდა სოფლის მეურნეობის სამხრეთული კულტურების მიმართ. ამიტომ XIX საუკუნის 90-იან წლებში რამდენიმე კრებული გამოვიდა. მათში დაბეჭდილია აგრონომ ს. ტიმოფეევის მიმოხილვები, რომლებიც მიეძღვნა ბათუმის ოლქში მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მევენახეობის, ზეთისხილის, ბრინჯის კულტურის განვითარებას.[14] ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ბუნებრივი და ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათებანი მოცემულია რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების პერიოდულ გამოცემებში.[15]

მნიშვნელოვანია გამოფენებთან დაკავშირებით შეკრებილი ცნობები. ამ მხრივ აღსანიშნავია 1913 წელს პეტერბურგში მოწყობილ გამოფენაზე „რუსკაია რივიერა“ სამ წიგნად[16] წარდგენილი მასალები. გამოფენის მოწყობისა და მასალების გამოცემის ძირითად მიზანს შეადგენდა კავკასიის შავიზღვისპირეთში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მიღწევების პოპულარიზაცია. მათში საინტერესო ცნობებია ბათუმის ოლქში ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების გაშენების, სასაქონლო-კაპიტალისტური მეურნეობების მოწყობის, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების დაარსებისა და მრეწველობის ზოგიერთი დარგის შესახებ.

ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ 1909-1911 წლებში სამ ტომად გამოსცა ჟურნალი „ბატუმსკი სელსკი ხოზიაინ“, 1912-1918 წლებში შვიდ

---

[14] Сборник сведении по культуре ценных растении на Кавказе. вып. I, II, III. Тиф., 1895-1897; Сборник сведении по виноградарству и виноделю на Кавказе, вып. IV, Тиф., 1896.

[15] Записки Кавказского отдела русского географического общества. - Известия Кавказского отдела русского географического общества.

[16] Обозрение выставки Черноморского побережья Кавказа «Русская ривьера». СПБ., 1913; Каталог сельскохозяйственной и культурно-промышленной выставки Черноморского побережья Кавказа «Русская ривьера». СПБ., 1913; Первая выставка Черноморского побережья Кавказа «Русская ривьера». СПБ., 1914.

ტომად ჟურნალი „რუსკიე სუბტროპიკი“. მათში გამოქვეყნებულ მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ბათუმის ოლქში მეციტრუსეობის, მეჩაიეობის, ზეთისხილისა და ამ დარგებთან დაკავშირებული მრეწველობის შესასწავლად. ანალოგიურია ამ საზოგადოების მიერ დაბეჭდილი ორი კრებულიც,[17] რომლებშიც შევიდა ს. ანისიმოვის, ი. დიადიუშის, ა. კრასნოვის, ლ. ვილკანსკის, დ. ფენსტერის, ი. სინიცინის და სხვათა სტატიები.

უცხოელი მოახალშენეების მიერ აჭარის ზღვისპირეთში მიწების შეძენასა და სასაქონლო-კაპიტალისტური ტიპის მეურნეობების მოწყობას მიეძღვნა ნ. ვერუს წიგნი.[18] მართალია, მასში მოკლედაა აღწერილი მოახალშენეთა მამულები და აგარაკები, მაგრამ მაინც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მათ სამეწარმეო საქმიანობაზე.

მნიშვნელოვანია ბათუმის ოლქში ჩამოსახლებულ კაპიტალისტ მეწარმეთა (კ. პოპოვის,[19] ა. სტოიანოვის[20] და სხვ.) ნაშრომები, განსაკუთრებით კი ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების, ბოტანიკური ბაღის და სმეკალოვკის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ანგარიშები, წესდებები, ინსტრუქციები და შრომები. ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ანგარიშები წიგნად ორჯერ გამოვიდა (1916-1917 წლებში). 1915 წლის ანგარიშში გადმოცემულია საზოგადოების დაარსება და საქმიანობა, 1916 წლის ანგარიშში კი ერთი წლის მოღვაწეობა და სხვ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ მასალების დიდი ნაწილი ჯერჯერობით არ გამოცემულა. დღემდე მათი მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული ჰ. გუგუშვილის, ირ. ანთელავას და შ. ჩხეტიას მიერ შედგენილ დოკუმენტების კრებულებში.[21]

ბათუმის ოლქში 1905-1907 და 1917-1921 წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და აგრარული მოძრაობის, უცხოელი ოკუპანტების საქმიანობის შესახებ ზოგიერთი საბუთი დაბეჭდილია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საარქივო სამმართველოს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტების კრებულებში. მათი ერთი ნაწილი გამოცემულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ,[22] მეორე დიდი ნაწილი – საბჭოთა ხელისუფლების დროს.[23] ეს გამოცემები შედგენილია ტენდენციურად, მათში შევიდა ის საბუ-

---

[17] Батумское побережье «Русские тропики». Сборник статьей. Бат., 1911; Цитрусовы. сборник трудов профессора А.Н.Краснова, т.I, Бат., 1915.

[18] Батумъ и его окрестности в описании Н.А.Веру. Бат., 1910.

[19] Попов К.С., Краткая история первого русского чая Константина Попова. М., 1904.

[20] Стоянов А., Батум. К истории дач поселении Батум. ცალკე ამონაბეჭდი ინახება აჭარის ხ. ახვლედიანის მუზეუმის ბიბლიოთეკაში.

[21] Сельское хозяйство и аграрные отношения. т. IV. сост. проф. П.Гугушвили. Тб., 1965; Антелава И.Г., Реформа поземельного устройства государственных крестьян Закавказья в конце XIX века (документы и материалы). Сухуми, 1952; Документы по истории Грузии (1862-1917 гг.), под редакцией Ш.Чхетиа, т. I, Тб., 1958.

[22] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тб., 1919.

[23] Революция 1917 г. в Закавказье. Тиф., 1919; 1917 წლის რევოლუცია ისტორიულ საბუთებში. თბ., 1930; გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს (შემდგენელი მ.გაბრიჩიძე), თბ., 1942; ს.მაღლაკელიძე, ინგლის-ამერიკელი ინტერვენტები საქართველოში (დოკუმენტები) „საისტორიო მოამბე“, №7, თბ., 1957; Революция 1905-1907 гг. в Грузии. Сборник документов, сост. С.Маглакелидзе и А.Иовидзе, под ред. Ш.Цагареишвили, Тб., 1956; Пипия Г.В., Политика Германии в Закавказье в 1918 году, Тб., 1971; Борьба за

თები, რომლებიც ხელისუფლების პოლიტიკას პასუხობდა.

1920 წლის მეორე ნახევარში აჭარაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებაა გადმოცემული პეტრე გელეიშვილის მოხსენებით ბარათში, რომელიც მან წარუდგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს.[24]

1917-1921 წლების ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანია კრებული, რომელიც აჭარის ცენტრალური სახელმწიფო საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა შეადგინეს.[25] მასში დოკუმენტები და მასალები დალაგებულია სამ განყოფილებად. პირველი ასახავს 1917 წლის მარტ-ნოემბრის ამბებს, მეორე - 1917 წლის ნოემბრიდან 1921 წლის მარტამდე მიმდინარე მოვლენებს, ხოლო მესამე - აჭარის გასაბჭოებას (1921 წლის მარტი). სულ დაბეჭდილია 269 დოკუმენტი, რომლებიც ამოკრებილია მოსკოვის, თბილისის, აჭარის სახელმწიფო არქივებიდან, იმდროინდელი პრესიდან, საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ სხვადასხვა დროს გამოცემული კრებულებიდან.

საქართველოში მეჩაიეობის განვითარების, ამ საქმეში ჩინელი სპეციალისტების, მათ შორის ლაო ჯონ-ჯაუს სამეწარმეო საქმიანობაზე მასალები მოიპოვება დოკუმენტების კრებულში, რომელიც შეკრიბეს და გამოსცეს აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის თანამშრომლებმა.[26] მასში დაბეჭდილია 31 დოკუმენტი. მათგან საყურადღებოა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების თავმჯდომარის 1884 წლის 12 დეკემბრის მოხსენებითი ბარათი დასავლეთ საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების პერსპექტივებისა და ჩინეთიდან ამ საქმის სპეციალისტების მოწვევის აუცილებლობის შესახებ. აქვეა 1891 წლის 11 აგვისტოს ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც დაიდო ჩინელ სპეციალისტებსა და საუფლისწულო უწყებას შორის.

არანაკლებ საინტერესოა კრებულში დაბეჭდილი დოკუმენტები ჩაქვის ხეობაში ახალი სამხრეთული კულტურების დანერგვის საცდელი სადგურების დაფუძნების, 1900 წელს ბათუმში მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ, ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველის ვ. სიმონსონის, ჩაის ფაბრიკის დირექტორის ლაო ჯონ-ჯაუს 1904 წლის მოხსენებითი ბარათები. ძვირფას მასალას შეიცავს ლაო ჯონ-ჯაუს მოგონება „ჩემი ცხოვრებისა და შრომის ნახევარი საუკუნე". ბიოგრაფიული ხასიათის ცნობებთან ერთად მოგონებაში არის მასალები, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ აჭარის სუბტროპიკულ მეურნეობათა და ჩაის მრეწველობის შესასწავლად.

პრობლემისათვის ძვირფასი წყაროა უცხოური დოკუმენტების კრებულებიც. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ინგლისის საგარეო პოლიტიკის დოკუ-

---

ბოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წ.)-ბ. გელეიშვილის მოხსენებითი ბარათის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთეს ა. სილაგაძემ და ვ. გურულმა, თბ., 1998.

[24] **ბოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წ.)-ბ. გელეიშვილის მოხსენებითი ბარათის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთეს ა. სილაგაძემ და ვ. გურულმა, თბ., 1998.**

[25] Борьба за победу Советской власти в Аджарии. Документы и материалы (1917-1921 гг.), сост. Л.Каландаришвили, Т.Нефедова, С.Табагуа, Ш.Тодадзе, Д.Челидзе. Бат., 1961.

[26] Друг издалека. Документы из истории грузинско-китайской дружбы, сост. Л.Каландаришвили и Б.Пурадов. Бат., 1958.

მენტების მრავალტომეული.[27] ამ გამოცემის II, VII, VIII, XII და XV ტომებში გამოქვეყნებული დოკუმენტები მოიცავს 1919-1921 წლების მიმოწერებს, ნოტებს, ხელშეკრულებათა პროექტებს, ანტანტის უმაღლესი საბჭოს სხდომების თუ ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა შეხვედრა-საუბრების ოქმებს. ამ მრავალტომეულში დაცული მასალები საყურადღებოა დასავლეთის სახელმწიფოების აღმოსავლური და ანტისაბჭოთა გეგმებისა და პოლიტიკის გამოკვლევისათვის, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ბათუმის საკითხსაც. ამ მხრივ საგულისხმოა XII ტომი, რომელშიც მთელი განყოფილება (თავი IV) ეძღვნება ამიერკავკასიას და მოიცავს პერიოდს 1920 წლის 3 თებერვლიდან - 1921 წლის 20 აპრილამდე. აქ გამოქვეყნებული 170-მდე დოკუმენტიდან 2/3-ზე მეტი უშუალოდ ბათუმის საკითხს ეხება.

ბათუმის შესახებ ზოგიერთ ცნობას ვხვდებით, აგრეთვე, გერმანიის იმპერიის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტების მრავალტომეულში.[28]

მემუარები. მნიშვნელოვანია მემუარული ლიტერატურა. მართალია, იგი მკვლევრისაგან მოითხოვს სიფრთხილეს, რამდენადაც პირადი წარმომაელობისაა და ზოგჯერ ამა თუ იმ ფაქტს სუბიექტურად აფასებს. ამის მიუხედავად, მათში საინტერესო ცნობებია მიმდინარე მოვლენებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. ჟორდანიას, გ. მაზნიაშვილის, გ. კვინიტაძის და სხვათა მოგონებები. ნ. ჟორდანიას[29] მემუარებში გაკვრითაა აღნიშნული ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრის, 1921 წლის მარტის ამბების შესახებ და სხვ. გ. მაზნიაშვილი მოგვითხრობს 1918 და 1921 წლებში ბათუმის ოლქში ოსმალთა წინააღმდეგ საომარ მოქმედებებზე, რომელიც მისი უშუალო მეთაურობით ჩატარდა,[30] გ. კვინიტაძე კი - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1917-1921 წლების საბრძოლო ოპერაციებზე.[31] ამავე პერიოდის ბათუმის ადგილსა და როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ზ. ავალიშვილი,[32] რ. გაბაშვილი და ვ. გოგუაძე.[33]

ბათუმის ოლქის შესახებ შედარებით დაწვრილებითი ცნობებია მოცემული დავით კლდიაშვილის მემუარულ ნაშრომში „ჩემი ცხოვრების გზაზე" (ბათ., 1984). ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს ბათუმის ოლქის ზღვისპირეთში კოლონისტების მიერ მიწების დატაცების, აგარაკებისა და მეურნეობების მშენებლობის შესახებ. ზოგადად აღწერილია სოლოვეცოვის, სტოიანოვის, სიბირიაკოვის, დალფონსის სამეწარმეო საქმიანობა. მოთხრობილია ბათუმის მოსახლეობის, მრეწველობის, უწინარესად, ნავთის ჭურჭლის წარმოებისა და მუშათა კლასის შესახებ. საინტერესოა დ. კლდიაშვილის ცნობები ეროვნულ-განმათავისუფლებელი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, ცარიზ-

---

27 Documents on British foreign policy 1919-1939, ser. I.v.v. I-XV. London, 1947-1967.

28 Die Grosse Politik der Europäschen Kabinette 1871-1914. Band 5, 38. Berlin 1926.

29 ნ.ჟორდანია, ჩემი წარსული. თბ., 1990.

30 გ.მაზნიაშვილი. მოგონებანი. ბათ., 1990.

31 Квинитадзе Г.И. Воспоминания. 1917-1921. Париж, 1985.

32 ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებანი. ნარკვევები. ტფ., 1929.

33 რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს; ვ. გოგუაძე. მოგონებები. - ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება", ტ. 3, თბ., 1992.

მის მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობის, აგრეთვე, იმ საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ, რასაც ეწეოდნენ ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება და მოწინავე ინტელიგენცია. დ.ელდიაშვილის ცნობები საყურადღებოა აჭარის წარსულის მრავალი მოვლენის შესასწავლად.

ასევე საყურადღებოა მოგონებათა კრებული „1905 წელი. ბარიკადები ბათუმში“.[34] მართალია, მასში გაზეიადებულია სოციალ-დემოკრატების ღვაწლი რევოლუციურ მოძრაობაში, მაგრამ აქაური მასალები საინტერესოა და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მუშათა, გლეხთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის გამოსვლებზე 1905 წელს. მოგონებებთან ერთად კრებულში დაბეჭდილია რსდმპ ბათუმის კომიტეტისა და ანტიქართული მუსლიმანური საზოგადოების პროკლამაციები და მოწოდებები. მნიშვნელოვანი ცნობებია აგრარული ურთიერთობისა და აგრარული მოძრაობის შესახებ. კრებულს თან ახლავს რსდმპ ბათუმის ორგანიზაციის აქტივისტების სია 1896-1917 წლებში (სულ დასახელებულია 180 კაცი). მას გარკეული მნიშვნელობა აქვს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციის ისტორიის შესასწავლად.

პრესა. ძვირფასი წყაროა პერიოდული პრესა. მართალია, 1880-1921 წლების პრესა თავისი პოლიტიკური მრწამსით არაერთგვაროვანია, რამდენადაც იგი სხვადასხვა პარტიისა და ჯგუფის ინტერესებს გამოხატავდა, მაგრამ განსახილველი ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესასწავლად უაღრესად მნიშვნელოვანია. კერძოდ, საადგილმამულო ურთიერთობისა და აგრარული მოძრაობის, სოფლის მეურნეობისა და მხარის კოლონიზაციის შესახებ მასალები გეხვდება როგორც რუსეთის ცენტრალურ, კავკასიის სამხარეო და საერთო ქართულ, ისე ადგილობრივ საოლქო პერიოდულ პრესაში. ამ მხრივ აღსანიშნავია გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „ობზორი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ცნობის ფურცელი“, „აზრი“, „სამშობლო“, „ქართული გაზეთი“ (ბერლინი), „თანამედროვე აზრი“, „თანამედროვე ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ახალი ივერია“, „ერთობა“, „ბრძოლა“, „საქართველო“ და სხვ., ჟურნალები: „კვალი“, „მოგზაური“, „ნიშადური“, „თეატრი და ცხოვრება“, „რევოლუციის მატიანე“ და ა.შ.

ცხადია, საინტერესო მასალებია ადგილობრივ პრესაშიც. 1878-1920 წლებში ბათუმის ოლქში გამოდიოდა გაზეთები: „ბათუმი“ (1886-1906, 1918-1920 წწ.), „ბატუმსკაია ჟიზნ“ (1890 წ.), „ბათუმის ფურცელი“ (1890წ.), „ბატუმ“ (1905-1906 და 1912-1916 წწ.), „ჩერნომორსკი ვესტნიკ“ (1897-1909 წწ.), „ბატუმსკაია გაზეტა კოპეიკა“ (1913 წ. №1-4), „ბატუმსკიე ვესტი“ (1911-1916 წწ.), „ბატუმსკიე ნოვოსტი“ (1909 წ.), „ჩერნომორსკი ობზორ“ (1909 წ.), „ბატუმსკი გოლოს“ (1909-1912 წწ.), „ბატუმსკაია პრავდა“ (1912 წ.), „ბატუმსკი ლისტოკ ტელეგრაფ“ (1905-1906 წწ.), „ბათუმის გაზეთი“ (1911-1914 წწ.), „ბურევესტნიკ“ (1917-1920 წწ.), „სამუსლიმანო საქართველო“ (1919-1920 წწ.), „ბატუმსკიე ვესტი“ (1919-1920 წწ.), „ეხო ბატუმა“ (1920 წ.), „გოლოს ტრუდა“ (1919-1920 წწ.), „ბათუმის ცხოვრება“ (1920 წ.), „ნაშ კრაი“ (1920 წ.) და სხვ.

---

[34] 1905 წელი. ბარიკადები ბათომში (მოგონებათა კრებული). ბათ., 1925.

აღნიშნული პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, გრიგოლ ორბელიანის, სერგეი მესხის და სხვათა პუბლიცისტური წერილები. ცხადია, მათში ამა თუ იმ საკითხის შესახებ ლაპარაკია როგორც ზოგადად, ისე კონკრეტული ფაქტებით. დაინტერესებული მკვლევარი ამ წერილებში შეხვდება საყურადღებო მოსაზრებებს ეაჭრობისა და მრეწველობის, საადგილმამულო ურთიერთობების, ბეგარა-გადასახადების, მუჰაჯირობის, აგრარული მოძრაობის, მხარის კოლონიზაციის, კულტურის, განათლების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და სხვა საკითხების შესახებ.

აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, განათლებაზე, კულტურაზე, რელიგიაზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე მოთხრობილია მემედ აბაშიძისა და ჰაიდარ აბაშიძის პუბლიცისტურ წერილებში.[35]

§ 2. ისტორიოგრაფია

1877-1920 წლების ისტორიის მეცნიერული შესწავლა ინტენსიურად დაიწყო XX საუკუნის 50-იანი წლებიდან. ამ მხარის წარსულის ცალკეული საკითხები სხვადასხვა კუთხით განიხილეს პ. გუგუშვილმა, ირ. ანთელავამ, ა. ბენდიანიშვილმა, ა. იოსელიანმა, ი. მირცხულავამ, ი. კაჭარავამ, ი. ხუციშვილმა, ფ. მახარაძემ, ნ. მახარაძემ, გ. ხაჭაპურიძემ, გ. უვანიამ, შ. მეგრელიძემ, ი. მელქაძემ, ნ. სტურუამ, აკ. სურგულაძემ, გ. ღამბაშიძემ, გ. ფიფიამ, ი. ტაბაღუამ, ო. გიგინეიშვილმა, ლ. ებანოიძემ, ნ. ჩახვაშვილმა, ხ. ახელედიანმა, გ. ჯანგველაძემ, მ. ცერცვაძემ, ს. ჩხარტიშვილმა, ე. ახობაძემ, ა. კიკვიძემ, ი. სიხარულიძემ, გ. ჯამბურიამ, მ. ჯიჯეიშვილმა, ა. ჩხეიძემ, მ. სვანიძემ, გ. მარგიანმა, ა. ავალიანმა, გ. შარაძემ, ვ. გურულმა, მ. ეაჩნაძემ, ლ. თოიძემ, შ. ვადაჭკორიამ, ნ. კირთაძემ, რ. ცუხიშვილმა, ო. ჯანელიძემ, დ. შველიძემ, ვ. ჭანტურიამ, გრ. ბაბილოძემ, გ. მოჩალოვმა, აბ. სურგულაძემ, ვ. სიჭინავამ, პ. ცქვიტარიამ, ა. ბაჯელიძემ, ჯ. ჩხეიძემ, ი. ჩულოკმა, მ. ჩაელეიშვილმა, ო. თურმანიძემ, რ. სურმანიძემ, ე. წულუკიძემ, თ. კომახიძემ, ნ. კახიძემ, მ. სიორიძემ, ო. გოგოლიშვილმა, ე. მესხიამ, დ. ჭუმბურიძემ, ფ. სიხარულიძემ, რ. უზუნაძემ, ნ. ზოსიძემ, უ. ოქროპირიძემ, ი. ბარამიძემ, დ. გურეშიძემ, მ. ჩოხარაძემ, ჯ. კარალიძემ, ნ. ვარშანიძემ, ზ. შაშიკაძემ, ჯ. ვარდმანიძემ, რ. მალაყმაძემ ა. ვარშალომიძემ, ი. მანველიძემ და სხვ.

განსახილველი ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხებზე მოკლედაა საუბარი ისეთ კოლექტიურ შრომებში, როგორიცაა

[35] მემედ აბაშიძე, თხზულებანი, გამოსცა გ. შარაძემ, თბ., 1998; ჰაიდარ აბაშიძე, წერილები, მეორე გამოცემა, ბათ., 1973.

„საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლებისათვის (ტ. II, თბ., 1962), „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ (ტ. V, თბ., 1970; ტ. VI, თბ., 1973), „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“ (ტ. I, თბ., 1957), „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიის ნარკვევები“ (თბ., 1971) და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში გამოცემული ნაშრომები მეტისმეტად იდეოლოგიზებულია. პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების მოღვაწეობა, გარდა ბოლშევიკებისა, შეფასებულია უარყოფითად.

ცხადია, ასევე ითქმის აჭარის შესახებ გამოქვეყნებულ ლიტერატურაზეც. ამის მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოცემულ ნაშრომებს მეცნიერული ღირებულება დღესაც გააჩნიათ. უწინარესად, მათი მეშვეობით სამეცნიერო სფეროში შემოვიდა მრავალი საარქივო მასალა და სხვა პირველწყარო, რითაც შემდგომ კელევა-ძიებას სათანადო ისტორიოგრაფიული ბაზა შეუმზადა, ამავე დროს გააძლიერა ინტერესი ჩვენი ისტორიის ამ ურთულესი მონაკვეთის მეცნიერული შესწავლისადმი.

შედარებით კარგადაა შესწავლილი ოსმალთა ბატონობისაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლების ისტორია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აჭარაში.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის ისტორია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება და ამ ეროვნულ საქმეში ქართველი ხალხის ერთსულოვანი მონაწილეობა განხილულია შ. მეგრელიძის ნაშრომებში.[36] მკვლევარმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა მანამდე უცნობი მრავალი საარქივო მასალა. საინტერესოდაა გადმოცემული საბრძოლო ოპერაციები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გაშლილი განმათავისუფლებელი მოძრაობა. ქართველების თავგანწირული ბრძოლები ოსმალთა ბატონობისაგან თანამოძმეების განთავისუფლებისათვის. შ. მეგრელიძემ ცალკე ნაშრომი გამოაქვეყნა 1878-1882 წლებში აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილის ოსმალეთში გადასახლების, ე.წ. მუჰაჯირობის შესახებ. ეს პრობლემა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განხილულია თ. ფუტკარაძის, ჯ. ვარდმანიძის, ნ. კახიძის, ჯ. კარალიძის, ი. ბარამიძის, ნ. ვარშანიძის შრომებშიც.[37]

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის დროს კავკასიის ფრონტზე საბრძოლო ოპერაციები, კავკასიის ხალხების, მათ შორის ქართველთა აქტიური მონაწილეობა ამ ომში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება

---

36 შ.მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან. ბათ., 1956; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1963; საქართველო აღმოსავლეთის ომებში. თბ., 1974; Грузия в Русско-турецкой войне (1877-1878 гг), Батуми, 1955; Закавказье в Русско-турецкой войне 1877-1878 гг., Тб., 1978.

37 შ.მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882 წლებში). თბ., 1964; თ. ფუტკარაძე, აჭარის მოსახლეობის მიგრაცია და ეთნოდემოგრაფიული პრობლემები პოლიეთნიკურ რეგიონებში, ბათ., 2005; ჯ. ვარდმანიძე, მუჰაჯირობა და ეროვნული ცნობიერების ზოგიერთი საკითხი სამცხე-ჯავახეთისა და აჭარაში - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, I, 2001; ჯ. კარალიძე, აჭარის მუჰაჯირთა ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის, - „საისტორიო მაცნე“, ტ. XV, ბათ.. 2005; ნ. კახიძე, მუჰაჯირობა - საქართველოს ეროვნული ტრაგედია, - „საისტორიო მაცნე“ ტ. XIII, ბათ., 2004; ი. ბარამიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საკითხი სან-სტეფანოს, ბერლინისა და კონსტანტინეპოლის ხელშეკრულებებში.-„საისტორიო მაცნე“, №9, 2000; ნ. ვარშანიძე, ბათუმის ოლქი რუსულ ადმინისტრაციულ სისტემაში (1879-1900), -„საისტორიო მაცნე“,)I, 2002.

ოსმალთა ბატონობისაგან გაშუქებულია ნ. ბელიაევისა და ავტორთა ჯგუფის მიერ სპეციალურად გამოცემულ წიგნებში, ვ. სიჯინავას და რ. უზუნაძის შრომებში.[38]

აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჰ. ცქვიტარიამ. მან ამ თემაზე არა ერთი ნაშრომი გამოაქვეყნა, სადაც განიხილა რევოლუციური მოძრაობისა და კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიის საკითხები, გააშუქა აჭარაში 1890-1914 წლების და 1914-1921 წლების რევოლუციური მოძრაობა.[39] მან ცალკე წიგნი უძღვნა აჭარის კომუნისტურ ორგანიზაციას,[40] სადაც გადმოსცა ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორია 1917-1922 წლებში. მისი შრომების ღირსებაა მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

გლეხთა აგრარული მოძრაობა აჭარაში 1878-1907 წლებში განხილულია ო. თურმანიძის მონოგრაფიაში.[41] ავტორმა აჭარის მაგალითზე პირველად განიხილა გლეხობის სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის მარტივი ფორმები. წიგნში ფართოდ აისახა ბათუმის ოლქის გლეხობის რევოლუციური გამოსვლები ცარიზმის, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ. ამით საფუძველი გამოეცალა ცარიზმის შესაბამისი სამსახურებისა და მასზე დაყრდნობით, ზოგიერთი მკვლევრის ვერსიას იმის შესახებ, თითქოს ბათუმის ოლქის ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად მონაწილეობდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში.

ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის 1890-1921 წლების ისტორიას სპეციალური ნარკვევი უძღვნა ი. ჩულოკმა.[42] მასში გაშუქებულია მარქსისტული იდეების გავრცელება ბათუმში, პირველი მარქსისტული ჯგუფების, შემდეგ — რსდმპ ბათუმის კომიტეტის ჩამოყალიბება და საქმიანობა. ნარკვევში განხილულია, აგრეთვე, რსდმპ ბათუმის კომიტეტის საგამომცემლო, ორგანიზატორული, სააგიტაციო-პროპაგანდისტული მოღვაწეობა, შინაპარტიული მდგომარეობა, ნაჩვენებია მისი როლი რევოლუციურ მოძრაობაში განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ი. ჩულოკის ნაშრომში რსდმპ ბათუმის კომიტეტის ისტორია გადმოცემულია დამახინჯებულად, გაზვიადებულია ბოლშევიკების როლი. ავტორს მცდარად აქვს განხილული რსდმპ ბათუმის კომიტეტის ორი ჯგუფის - ბოლშევიკებისა და მენშევიკების შინაპარტიული დავა, უარყოფითად აფასებს ე.წ. „საერთო ნიადაგის“ თეორიის მომხრეებს, ასევე ქართველი თვალსაჩინო სოციალ-დემოკრატების — ნ. ჟორდანიას, ი. რამიშვილის, ნ. რამიშვილის საქმიანობას. ბოლშევიკური კომიტეტის საბრძოლო

---

[38] Беляев Н. Русско-турецкая война 1877-1878 гг. М., 1958; Русско-турецкая война 1877-1878 гг. М., 1977; ვლ. სიჯინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958; რ. უზუნაძე, ბათუმის დაუფლებისათვის რუსეთის საზღვაო ბრძოლების ისტორიიდან, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“ №8, 1998.

[39] ჰ.ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები. წ. I, (1890-1914), ბათ., 1959; წ. II, (1914-1921). ბათ., 1962. ეს ორი წიგნი აგტორმა შემოკლებით ერთ მონოგრაფიად გააერთიანა და 1979 წელს რუსულ ენაზეც გამოსცა.

[40] ჰ.ცქვიტარია, აჭარაში კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიიდან (1917-1922). ბათ., 1973.

[41] ო.თურმანიძე, გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. ბათ., 1979.

[42] Чулок И. Очерки истории Батумской коммунистической организации (1890-1921 годы). Бат., 1970.

მოღვაწეობა განხილულია სპეციალურად ამ თემაზე დაწერილ მის წიგნში.[43] 1901-1902 წლების ბათუმის რევოლუციური მოვლენები გაშუქებულია ლ. მაირანოვსკის ნაშრომში,[44] სადაც ასევე გაზეიადებულია ე.წ. ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის საქმიანობა.

ბათუმში პირველი მარქსისტული წრეების აღმოცენება და მათი მოღვაწეობა, აგრეთვე, ცნობილი ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატის ა. წულუკიძის ცხოვრება და საქმიანობა ბათუმში განხილულია აბ.სურგულაძის ნაშრომებში.[45] მანვე ცალკე ნარკვევები მიუძღვნა გულო კაიკაციშვილისა და ჰაიდარ აბაშიძის ცხოვრება-მოღვაწეობას, შეაფასა მათი ღვაწლი განმათავისუფლებელ მოძრაობასა და საგანმანათლებლო საქმიანობაში.[46]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანებს მიეძღვნა, აგრეთვე, ს. გერსამიას, რ. სურმანიძის და თ. კომახიძის წიგნები.[47]

1878-1920 წლების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებოა ხ. ახელედიანის შრომები.[48] მათში ლაპარაკია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, მუშაჯირობის, რელიგიისა და კულტურის შესახებ. ამ შრომების მთავარი ღირსებაა ის, რომ ავტორმა წინა პლანზე წამოსწია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, სათანადოდ დაახასიათა ამ მოძრაობის ეტაპები, პირველმა მოგვცა განმათავი-სუფლებელი ბრძოლის თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწეების პორტრეტები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ახლებურადაა შეფასებული ო. გოგოლიშვილის ნაშრომებში.[49] მათში გაანალიზებულია სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში. ავტორი იკვლევს რეგიონში მოქმედი სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების და სხვა პარტიული ორგანიზაციების ისტორას, შეისწავლის მათ პლატფორმებს და საქმიანობას.

სიახლის თვალსაზრისით ასევე საყურადღებოა დ. ჭუმბურიძის წიგნი, რომელშიც გაშუქებულია ქართული სახოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება აჭარის საკითხისადმი საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში.[50]

აჭარის პროფესიული კავშირების ისტორია შესწავლილია მ. თავაძის წიგნ-

---

43 Чулок И., Военно-боевая деятельность большевиков в Батуме в годы первой русской революции. Бат., 1960.

44 Маирановский Л. Бутумская демонстрация 1902 г. М., 1959.

45 აბ.სურგულაძე, პირველი მარქსისტული წრე ბათუმში, ბათ., 1972; მისივე, ალ. წულუკიძე ბათუმში, ბათ., 1974.

46 აბ.სურგულაძე, გულო კაიკაციშვილი, თბ., 1973; მისივე, ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა, ბათ., 1994.

47 ს. გერსამია, მემედ აბაშიძე, ბათ., 1960; რ. სურმანიძე, ყადირ შერვაშიძე, თბ., 2001; მისივე, თემურ-ბეგ ხიმშიაშვილი, ბათ., 2006; მისივე, აბდულ მიქელაძე, ბათ., 2007; თ. კომახიძე, მემედ აბაშიძე, ბათ., 1993, მისივე, ლუკა ასათიანი, ბათ., 2003, მისივე, ივანე ანდრონიკაშვილი, ბათ., 2003; მისივე, გ. ვოლსკი, - აჭარის მოამაგე, ბათ., 2005 და სხვ.

48 ხ.ახველედიანი, ნარკვევი აჭარის წარსულიდან, ბათ., 1944; მისივე, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956; მისივე, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1977; მისივე, სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ბათ., 1972.

49 ო.გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1910-1918 წლებში, ბათ., 1999; მისივე, სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა გურიასა და ბათუმის ოლქში 1905-1907 წლების რევოლუციის დროს, ბათ., 2003; მისივე სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათ., 2005.

50 დ. ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999;

ში,[51] რომელიც ასახავს პროფესიული კავშირების მრავალმხრივ საქმიანობას. აქ მოცემული შეფასებები და დებულებები ბევრ შემთხვევაში დღეს მეცნიერულ გადასინჯვას მოითხოვს.

ახალი და უახლესი ხანის საქართველოს ისტორიაში ყველაზე რთული პერიოდია 1914-1920 წლები. ამ დროს ქვეყანამ მძიმედ გადაიტანა რუსეთის 1917 თებერვლის რევოლუციისა და ოქტომბრის გადატრიალების ქარცეცხლიანი დღეები, მაგრამ თავგანწირული ბრძოლებითა და ეროვნული ძალების გაბედული მოქმედებით აღიდგინა დამოუკიდებლობა. კიდევ უფრო მტკივნეული იყო ეს წლები ბათუმის ოლქისათვის, რომელმაც რამდენჯერმე განიცადა უცხო ქვეყნების ოკუპაცია.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდის საქართველოს ისტორია, სამწუხაროდ, სუსტადაა შესწავლილი. ეს მით უფრო ითქმის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, რომელზეც მხოლოდ რამდენიმე სპეციალური ნაშრომია გამოქვეყნებული.[52] მათგან ჰ. ცქვიტარიას მონოგრაფიას, უხვი დოკუმენტური მასალების გამოყენების მიუხედავად, გამოკვეთილად ატყვია საბჭოთა ეპოქის მძიმე საცენზურო პირობების შემბოჭავი გავლენა. იგივე ითქმის ჯ. ჩხეიძის ნაშრომზეც, რომელიც მიმოხილვითი ხასიათისაა. ა. ვაშაკიძის ნაშრომში წარმოჩენილია ბათუმის ოლქის მუშათა კლასის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის საკითხები.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორია მდიდარი მასალების საფუძველზე შეისწავლა მ. სიორიძემ.[53] წიგნში განხილულია რეგიონში პირველი მსოფლიო ომის წინ შექმნილი ვითარება, გაანალიზებულია სამხედრო ოპერაციები კავკასიის ფრონტზე, შესწავლილია საქალაქო ცხოვრება, გაშუქებულია 1917 წლის რევოლუციების შედეგად სამხრეთ საქართველოში შექმნილი სპეციფიკური ვითარება, სამხედრო ღონისძიებები, აგრეთვე, დიპლომატიური წიაღსვლები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად და ა.შ.

უაღრესად მნიშვნელოვანია „ეროვნული გამოღვიძების პატრიარქის" ჰაიდარ აბაშიძის პუბლიცისტური წერილები[54] და აპოლონ წულაძის „ძმური სიტყვა".[55] ავტორებმა თანამედროვეობის წინაშე მთელი სიმწვავით დასვეს ომით განადგურებული სამუსლიმანო საქართველოს საჭირბოროტო პრობლემები.

პირველი მსოფლიო ომის ეპოქის ბათუმ-აჭარას გაკერით ეხებიან ს.ჩხარტიშვილის, ე. ახობაძის, შ. ბასილაიას და ი. ცერცვაძის ნაშრომები,[56] რომლებ-

---

[51] Тавадзе М. Очерки истории профсоюзов Аджарии, Бат., 1985.

[52] ბ.ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ.II (1914-1921 წწ.), ბათ., 1962; ჯ.ჩხეიძე, ბათუმი პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში, - აჭარის სახ.მუზეუმის შრომები, ტ.III, ბათ., 1958; ა.ვაშაკიძე, მუშათა კლასი საქართველოში (ბათუმის ოლქი) პირველი იმპერიალისტური ომის წლებში, - „საისტორიო მოამბე", №37-38, თბ., 1978.

[53] მ. სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 1914-1918 წლებში, ბათ., 2002.

[54] ჰ.აბაშიძე, წერილები, თბ., 1963.

[55] აპ.წულაძე, ძმური სიტყვა, ბათ., 1991.

[56] ს.ჩხარტიშვილი, რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1914-1917 წწ მარტი), თბ., 1957; ე.ახობაძე, ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900-1917 წწ.), თბ., 1965; Басилая Ш.,

საც ასეევ ატყვიათ საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ცალმხრივობა და შეზღუდულობა. ამ თვალსაზრისით სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია გ. ფიფიას და ო. გიგინეიშვილის ნაშრომები გერმანიისა და ოსმალეთის გეგმებისა და პოლიტიკის შესახებ საქართველო-ამიერკავკასიაში.[57] მათში გაშუქებულია პირველი მსოფლიო ომის ბევრი მანამდე უცნობი საკითხი. იგივე ითქმის ალ. ბენდიანიშვილის წიგნ'ხე, რომელშიც, პირველად საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ობიექტურადაა გაანალიზებული ქართული ეროვნული მოძრაობა. მკვლევარს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი, რომელშიც გაშუქებულია ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება და პრაქტიკული საქმიანობა.[58]

უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომი გერმანიასა და ოსმალეთში 1914-1918 წლებში მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა" და მისი „სამხედრო ლეგიონის" შესახებ[59]. მათში წარმოჩენილია აღნიშნული ეპოქის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის რიგი საკითხებიც.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი აისახა, აგრეთვე, ა.ა. სურგულაძის ნაშრომში,[60] რუსი ისტორიკოსების — დ. ზავრიევის, ნ. კორსუნის, ე. მასლოვსკის, ა. ზაიონჩკოვსკის, ი. ნიკიტინსკის და ჰ. სოფინოვის მონოგრაფიებში,[61] „პირველი მსოფლიო ომის ისტორიის" ორტომეულში,[62] გერმანელი სამხედრო მოღვაწეების — ე. ლუდენდორფის, ე. ფალკენჰაინის, კ. მიულმანის, ფ. კრესენ-შტაინის მემუარებში,[63] ფრანგი ისტორიკოსების — მ. ლარშეს, მ. გოლის, მ. პერნოს და ჰ. რენუვენის,[64] ინგლისელი მკვლევრის დ. ლენგის[65] შრომებში.

Закавказье в годы первой мировой войны, Сухуми, 1968; Церцвадзе И. Революционное движение в Грузии в 1914-1917 годах, ч.I, Тб., 1957.

57 Пипия Г.В., Германский империализм в 1910-1918 гг., М., 1978; ო. გიგინეიშვილი, თურქეთი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963; მისივე, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982;

58 ა.ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წლებში, თბ., 1980; მისივე, საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში 1875-1917 წლებში, თბ., 1982.

59 ან.სურგულაძე, კ.სურგულაძე, ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათ., 1994; ან.სურგულაძე, ყადირ შერვაშიძე - თამარას ორდენის რაინდი, ქუთ., 1998; მ.სიორიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), ბათ., 1998.

60 ა.ა.სურგულაძე, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში,-„საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ.VI, თბ., 1972.

61 Завриев Д.С., К новейшей истории северо-восточных вилайетов Турции, Тб., 1947; Корсун Н.Г., Первая мировая война на Кавказском фронте (оперативно-стратегический очерк), М., 1946; Масловский Е.В. Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 гг. (стратегический очерк), Париж, 1933; Зайончковский А. М., Мировая война 1914-1918 гг. т.т. I, II, М., 1938; Никитинский И., Софинов П., Немецкое шпионство в России во время войны 1914-1918 гг., М., 1942.

62 История Первой Мировой войны, т.т.I-2, М., 1975.

63 Людендорф Э. Мои воспоминания о войне 1914-1918 гг., т.2, М., 1924; Фалкенгайн Э., Верховное командование 1914-1916 в его важнейших решениях, М., 1923; Мюльман К., Германо-турецкий военный союз в Мировой войне (машинописное издание)* ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში (გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა), ქუთაისი 2002.

64 M.Larcher, La guèrre turque dans la guèrre mondiale, Paris, 1926; M.B-G. Gaulis, La Question turque, Paris, 1931; M.Pernot, La question turque, Paris, 1923; P.Renouvin, La crise Européenne et la première guerre mondiale (1904-1918), Paris, 1969.

65 D.Lang, A modern histori of Georgia, London, 1962.

უცხოელ ავტორთაგან უაღრესად საყურადღებოა ავსტრიელი მკვლევარის ე. ბილის ორტომეული „ცენტრალური სახელმწიფოების კავკასიური პოლიტიკა (1914-1918 წწ.)".[66] იგი დაწერილია ავსტრიისა და გერმანიის არქივებში არსებული დოკუმენტური მასალების საფუძველზე. ნაშრომში გარკვეული ადგილი ეთმობა ბათუმის ადგილისა და მნიშვნელობის ჩვენებას გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და ოსმალეთის გეგმებში.

საბჭოთა ეპოქაში დიდი ყურადღება მიექცა 1917-1921 წლების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლას. გამოიცა ფ. მახარაძის, გ. ხაჭაპურიძის, ა. სურგულაძის, გ. ჟვანიას, კ. ჩარკვიანის, ვ. ადამიას, ლ. ებანოიძის, დ. ენუქიძის, ა. ებრალიძის და სხვათა წიგნები. საბჭოთა იდეოლოგიური აპარატის გავლენით მათში გაზვიადებულადაა წარმოჩენილი ბოლშევიკური პარტიის როლი, მისი ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელთა ბრძოლა „მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ", ამ უკანასკნელის ანტისაბჭოთა ბლოკი „ანტანტის იმპერიალისტებთან", იგნორირებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და საერთოდ ეროვნული საკითხი, მიფუჩეჩებულია დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის მნიშვნელობა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის ცალკეული საკითხები უფრო გაუკუღმართებულად აისახა ამავე პერიოდის სხვა ისტორიკოსების – დ. ზაერიეევის, ა. კადიშევის, ა. კუნინას, ვ. ტრუხანოვსკის, ბ. შტეინის, ნ. იაკოვლევის, ს. არკომედის და სხვათა შრომებში. ასეთმა მიდგომამ გამოიწვია აღნიშნული პერიოდის ისტორიოგრაფიის მეტისმეტად იდეოლოგიზება და გაყალბებაც. ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნულ ავტორთა მიერ მოყვანილი ფაქტობრივი მასალა. რიგ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, აგრეთვე, მათი კვლევის მიმართულება და დასკვნები.

ზემოაღნიშნული ხარვეზები და კონიუნქტურის გავლენა ზოგადად ახასიათებთ 1917-1921 წლების პერიოდის აჭარის ისტორიის შესახებ გამოქვეყნებულ წიგნებს[67] და დისერტაციებს. ამის მიუხედავად, ისინი ემყარებიან მდიდარ პირველწყაროებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამეცნიერო ბრუნვაში პირველად სწორედ ამ ავტორებმა შემოიტანეს.

1918-1920 წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები ახლებურადაა განხილული ნ. ზოსიძის და ე. მესხიას ნაშრომებში.[68] მათში სწორადაა გაანალიზებული რეგიონის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა

---

[66] W.Bihl, Die Kaukasus Politik der Mittelmächte, Teil I (1914-1917), Wien-Köln-Graz, 1975; Teil II(1917-1918), WIEN-KÖLN-WEIMAR, 1992.

[67] ბ.ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. II (1914-1921 წწ.), ბათ., 1962; მისივე. აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიიდან (1917-1922 წწ.), ბათ., 1973; მ.ჯიჯეიშვილი, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში (1917-1921 წწ.), ბათ., 1957; ხ.ახვლედიანი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში (1917-1921 წწ.), ბათ., 1971; Чавлеишвили М.И., Великий октябрь и победа Социалистической революции в Аджарии, Бат., 1977; Его-же, Октябрская революция и победа за установление Советской власти в Аджарии (1917-1921 гг.), Бат., 1987; Маргвелашвили В.И., Из истории английской оккупации Аджарии (1918-1920 гг.), Бат., 1973.

[68] ნ.ზოსიძე, პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათ., 1995; ე.მესხია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი), ბათ., 1997; მისივე. საქართველოს ერთიანობის მედროშე (გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო"), ბათ., 1999; მისივე. საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში, ბათ., 2004.

და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ობიექტურადაა შეფასებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის და „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" საქმიანობა უცხოელთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლებისა და საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისათვის. ასევე საყურადღებოა აბ. სურგულაძისა და მ. სიორიძის შრომები,[69] სადაც პორტო-ფრანკოს საკითხთან მიმართებაში გაანალიზებულია ბათუმის დაბრუნებისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური ღონისძიებები და ქვეყნის შიგნით გაშლილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა.

საერთაშორისო არენაზე ბათუმის ადგილისა და როლის განსაზღვრისათვის პირველხარისხოვანია ემიგრანტი ისტორიკოსის ვ. ნოსაძის და დიპლომატ ზ. ავალიშვილის წიგნები.[70] საყურადღებოა გ. ღამბაშიძის,[71] ა. ჩხეიძის,[72] ი. ტაბაღუას,[73] რ. ცუნიშვილის,[74] ა. ჩოხელის[75] და დ. ჯოჯუას[76] შრომები და მონოგრაფიები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უახლესი ისტორიის ცალკეულ საკითხებს ეხება ლ. თოიძის, ა. მენოშაშვილის, შ. ვადაჭკორიას, ა. სილაგაძის, ვ. გურულის, მ. ვაჩნაძის, მ. სვანიძის, მ. დღვილავას, ა. სონღულაშვილის, ნ. კირთაძის, ფ. სიხარულიძის შრომები.[77]

უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნდა აგრეთვე ნაშრომები, რომლებშიც გაანალიზებულია 1918-1921 წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოცია-

---

[69] აბ.სურგულაძე, მ.სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996; Сиоридзе М.И. Батумский вопрос в Английском кабинете в феврале 1920 года, საქართველოს მეცნ.აკად. „ეოამბე", 129, №2, 1988; მ. სიორიძე, გერმანია-ოსმალეთის წინააღმდეგობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში-1918 წ. - კრ. „საქართველო", №1-2, თბ., 1999; მისივე, О попитках устройства вольной гавани в Батуми в 1917-1918 годах, ჟურნ. „Вопросы истории", М., 2004, №1; მისივე, ბათუმის საკითხი ლონდონის კონფერენციაზე (1920წ.), ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრ., V, ბათ., 2007; მისივე, ბათუმი ანტანტის სახელმწიფოების გეგმებში პარიზის საზავო კონფერენციის პერიოდში, - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები", II, ბათ., 2007.

[70] ვ.ნოსაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989; ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებები, თბ., 1929.

[71] გ.ღამბაშიძე, იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ 1920 წ. თბ., 1970.

[72] ა.ჩხეიძე, ბათუმი ინგლისის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში (1875-1878), თბ., 1974; ბათუმის საკითხი ბერლინის კონგრესზე. -ა.პუშკინის სახ.თბილისის სახ.პედინსტიტუტის შრომები, ტ.19, 1966; ბათუმის საკითხი რეიხშტადტის შეთანხმებასა (1876) და ბუდაპეშტის კონვენციაში. - ა.პუშკინის სახ.თბილისის სახ.პედინსტიტუტის შრომები, ტ.25, 1973; ი.კუბლაშვილი, ბერლინის კონგრესი და ბათუმის საკითხი. - ბათუმის სახ.პედინსტიტუტის შრომები, ტ. 11, 1952.

[73] ი.ტაბაღუა, ბათუმის საკითხი სან-რემოს კონფერენციაზე (1920 წ.). - „მაცნე" (ისტორიის სერია), №3, 1982; მისივე, სიერანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტები საქართველოს შესახებ (1919-1921 წწ.). - ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, III, თბ., 1983.

[74] რ.ცუნიშვილი, ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ., თბ., 1995; მისივე, ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში (1918-1921 წწ.), თბ., 1996.

[75] Чохели А.И. Политика Франции в отношении Грузии 1917-1921 годах, Тб., 1980.

[76] დ.ჯოჯუა, საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში, თბ., 1997.

[77] ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია, თბ., 1999; ა. მენოშაშვილი, საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1917-1921 წლებში, თბ., 1991; შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001; ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია 1892-1918, თბ., 1999; ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, თბ., 2000; მ. სვანიძე, ტრაპიზონის კონფერენცია, „ქართული დიპლომატია", ტ. 5, თბ., 1998; მისივე, ბათუმის კონფერენცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება - „ქართული დიპლომატია", ტ. 6, თბ., 1999; მ. დღვილავა, გერმანიის როლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში, თბ., 1997; ა. სონღულაშვილი, გერმანელები საქართველოში, თბ., 1995; ნ. კირთაძე, საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები, თბ., 1997; ფრ. სიხარულიძე. სამხრეთ კავკასია გარდაქმნის გზაზე, ბათ., 2004.

ლურ-პოლიტიკური ისტორიისა და საგარეო ურთიერთობათა მრავალი საკითხი.[78] აღნიშნული პერიოდისათვის მნიშვნელოვანია გ. შარაძის სამტომეული ქართველ პოლიტიკურ და კულტურის მოღვაწეთა შესახებ.[79]

1918-1921 წლების ვითარების შესასწავლად საყურადღებოა აგრეთვე ლოიდ ჯორჯის, ფ. ნიტის და მ. ქემალის, პოლკოვნიკ ჰაუზის, გენერალ ლ. დენსტერვილის ნაწარმოებები[80] და სხვა.

შედარებით ღარიბია ისტორიოგრაფია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს 1878-1920 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ. მართალია, ზოგიერთმა ავტორმა (ჰ. ცქვეტარია, ი. ჩულოკი, ჯ. ჩხეიძე[81] და სხვ.) თავიანთ მონოგრაფიებში ზოგადად მიმოიხილეს აჭარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ შეემზადებინათ საერთო ფონი მათთვის საინტერესო თემის შესასწავლად.

1880-1920-იან წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და აგრარულ ურთიერთობათა შესახებ გამოქვეყნდა სპეციალური მონოგრაფიები. მათგან აღსანიშნავია ო. თურმანიძის შრომები.[82] მათში განხილულია სოფლის მეურნეობის და აგრარულ ურთიერთობათა საკვანძო საკითხები. ავტორმა შეისწავლა ისეთი დარგები, როგორიცაა მარცვლეული კულტურები, მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა, მეციტრუსეობა, მეყვავილეობა, ზეთისხილის მეურნეობა, მეცხოველეობა. ნაშრომში გაანალიზებულია ცარიზმის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკის ხასიათი აჭარაში, სოციალური ძალების განლაგება და აგრარული მოძრაობა. ო. თურმანიძემ საგანგებოდ შეისწავლა, აგრეთვე, ბათუმის ოლქის სოფელ ადგილებში არ-

---

[78] ე.მესხია, „სედაი მილეთი", ჟურნ. „საისტორიო მაცნე", №4, ბათ., 1996; მისივე. ბათუმის ოლქის დაბრუნება,- „საისტორიო მაცნე", XIII, ბათ., 2004; მ.სიორიძე, ბათუმი და სამხრეთ რუსეთის კონტრრევოლუცია (დენიკინი, ვრანგელი). - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1991; მისივე, „ყარსის რესპუბლიკა", ჟურნ.„საისტორიო მაცნე", №1, ბათ., 1995; მისივე, ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო (1918-1919), ჟურნ. „საისტორიო მაცნე", №5, ბათ., 1996; უ.ოქროპირიძე, აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან, ბათ., 2001; მისივე, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და აჭარის ავტონომიის პრობლემა, ბათ., 2004. მისივე. დენიკინი და აჭარის გაერშემო შექმნილი პრობლემები, ჟურნ. „ჭოროხი", №2,3, 1996; მ.ჩოხარაძე, გაზ. „სამუსლიმანო საქართველო" და რუსეთის ბოლშევიკები. - ლიტერატურული წერილები, ბათ., 1997, გვ. 87-93; ნ. ზოსიძე, საქართველო-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიიდან (სვიმონ მდივნის წერილები),-„საისტორიო მაცნე", ტ. XIV, ბათ., 2005, მისივე, ბათუმის ოლქის ისლამური საზოგადოება თურქული წყაროების მიხედვით.-ბსუ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებ. III, ბათ., 2002. ი. მანველიძე, ბათუმის ისლამური საზოგადოების ისტორიისათვის, - „საისტორიო მაცნე", ტ. XV, ბათ., 2005; ზ. შაშიკაძე, გაზეთ „სედაი მილეთის" და „სამუსლიმანო საქართველოს" უცნობი ნომრების შესახებ, - „საისტორიო მაცნე", ტ. XV, ბათ., 2005; ა. გარშალომიძე, ბათუმის ოლქის საკითხი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციაზე. ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", №1, 2001; მისივე, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენცია და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი-„საისტორიო მაცნე",XV, 2005.

[79] გ.შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წ. 1-3, თბ., 1993.

[80] Ллойд Джордж Д., Военные мемуары, т.VI, М., 1937; მისივე, Правда о мирных договорах, т.1,2, М., 1957; Нитти Ф. Европа над бездной, Пб., 1923; Мустафа Кемаль, Путь новой Турции, т.III М., 1934; Архив полковника Хауза, т.4, М., 1944; Денстервиль Л., Британский империализм в Баку и Персии 1917-1918 гг., Тифл., 1925.

[81] ჯ.ჩხეიძე, ბათუმის ისტორიისათვის, ბათ., 1962.

[82] ო.თურმანიძე, აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (1878-1920 წწ.), ბათ., 1973; მისივე, სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1878-1920 წწ. ბათ., 2004; მისივე, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებები აჭარაში. ჟურნ.„ჭოროხი", №4-5, 1995; მისივე, რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და რუსული ახალშენები საქართველოში, ჟურნ.„ჭოროხი", №1-2, 1994. მისივე, საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში (XVI ს. - 1877 წ.), ბათ., 2001,

სებული კაპიტალისტური მეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებები, რუსული მმართველობის სისტემა და რუსული ახალშენების შექმნა. მასვე ეკუთვნის ნაშრომი ოსმალთა მფლობელობის პერიოდის აგრარულ ურთიერთობებზეც.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საადგილმამულო ურთიერთობათა შესახებ ოსმალური მმართველობის უკანასკნელ და რუსული ხელისუფლე-ბის დამყარების პირველ წლებში საინტერესოა ა. ავალიანის და ი. ბარამიძის მონოგრაფიები.[83] ი. ბარამიძე განიხილავს, აგრეთვე, XIX ს. 70-80-იან წლებში აქ მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს, მუჰაჯირობას, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობისა და მმართველობის საკითხებს.

XIX ს. 80-90-იანი წლების საადგილმამულო ურთიერთობის ისტორია ზოგადად განიხილა ა. ინაიშვილმა.[84] იგი შეეხო ბათუმის ოლქის ადმინისტრაციულ მოწყობას, რუსული მმართველობის სისტემას, მოსახლეობის რაოდენობრივ შემადგენლობას, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობას, ყურადღებას ამახვილებს მუჰაჯირობასა და ჩაქვის ხეობის მიწებზე, აანალიზებს მიწის საერთო ფონდისა და მისი განაწილების საკითხებს, რუსეთის მიერ ამ კუთხის კოლონიზაციის პირველ შედეგებს.

ა. ბაჯელიძის შრომაში, რომელიც 1973 წელს დაიბეჭდა რუსულ ენაზე,[85] შესწავლილია აჭარის ეკონომიკის საკვანძო საკითხები 1878-1921 წლებში. კერძოდ, ნავთობპროდუქტების ექსპორტისათვის საჭირო სატარო წარმოება, ჩაის, თამბაქოსა და სამთამადნო მრეწველობა, აგრარული ურთიერთობანი. საჭიროა აღინიშნოს, რომ ა. ბაჯელიძეს აჭარის ეკონომიკის საკითხები შესწავლილი აქვს ზოგადად. სამთამადნო მრეწველობის შესახებ ცნობები 1902 წელს არ სცილდება მაშინ, როცა ამ დარგის აღმავლობა XX საუკუნის დამდეგიდან იწყება. არ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული წარმოების ისეთი ფორმები, როგორიცაა მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია, მანუფაქტურა და ფაბრიკულ-ქარხნული ინდუსტრია. აეტორი არ ეხება შინამრეწველობასა და ხელოსნობას.

ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1878-1907 წლებში წარმოდგენილია ვ. სიჭინავას ნაშრომში.[86] იგი ეყრდნობა მდიდარ პირველწყაროებს, უწინარესად, საარქივო მასალებს. ნაშრომში დაწვრილებითაა შესწავლილი ბათუმის მრეწველობა და ვაჭრობა. ძირითადად გაშუქებულია ნავთის ჭურჭლის წარმოება, ნავთობპროდუქტების ექსპორტი, საბანკო-საკრედიტო ურთიერთობანი და ბანკების საოპერაციო საქმიანობა. განხილულია მუშათა კლასის ჩამოყალიბება, რაოდენობრივი შემადგენლობა და რევოლუციური გამოსვლები. ნაშრომში საუბარი არ არის ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი დარგის (თამბაქოს მრეწველობა, ხელოსნობა და წვრილი

---

83 ა.ავალიანი, მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათ., 1960; ი.ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX ს. 70-80-ანი წლები), ბათ., 1999.

84 ა.ინაიშვილი, აჭარის სოფლის საადგილმამულო ურთიერთობის საკითხისათვის (XIX საუკუნის 80-იანი წლები). - აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები, თბ., 1971.

85 Баджелидзе А. Основные вопросы экономики Аджарии, Бат., 1973.

86 ვ.სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958.

კაპიტალისტური წარმოება) შესახებ.

ძველ ბათუმში საქალაქო ცხოვრების, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას ეხება მ. სიორიძის წიგნი[87], რომელშიც ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველადაა შესწავლილი ბათუმის საბაჟოს ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხები. აქვე ვხვდებით ცნობებს ტვირთების სახეობისა და რაოდენობის, ბათუმისა და კავკასიის სხვა საპორტო ქალაქების ტვირთბრუნვისა და საბაჟო შემოსაელების, აქ მოქმედი სავაჭრო-სამრეწველო ფირმებისა და უცხოეთის სახელმწიფოთა საკონსულოების შესახებ.

ბაქოდან ნავთობის ტრანსპორტირების, ბათუმში განვითარებული ნავთობპროდუქტების ჭურჭლის წარმოებისა და ექსპორტის საკითხები განიხილეს დ. ბეჟანოვმა და ი. ბულეიშვილმა, გ.მ არგიანმა, ა. კიკვიძემ, ქ. მუშკუდიანმა, ნ. ტყეშელაშვილმა, ო. ტატიშვილმა, მ. სიორიძემ და ჯ. კარალიძემ. მათ ნაშრომებში[88] დასაბუთებულია, რომ ნავთობის ყოველწლიურად მზარდმა ექსპორტმა განაპირობა არა მარტო ბათუმის გადაქცევა მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად, არამედ განსაზღვრა ამ მიმართულებით თვით ქ. ბაქოს დაწინაურება და მისი უმსხვილეს ნავთობმომპოვებელ რეგიონად ჩამოყალიბებაც.

საკელეევი პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტი. აღნიშნულ პრობლემას ეძღვნება რ. უზუნაძის შრომები[89]. მათში მონოგრაფიულადაა შესწავლილი ბათუმის ოლქში ნაოსნობის განვითარების საკითხი, წარმოჩენილია ნაოსნობაში მომხდარი ძვრები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქ. ბათუმის და, საერთოდ, რეგიონის ცხოვრებაში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კერძოდ, მდ. ჭოროხის აუზი იყო მეტალურგიული წარმოების უძველესი კერა, სადაც საქართველოსთან დაბრუნების (1878 წ.) შემდეგ დაიწყო ინტენსიური საძიებო-გეოლოგიური სამუშაოები. XIX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულიდან ეს რეგიონი იქცა სპილენძის მადნის მოპოვების და სამრეწველო გადამუშავების მსხვილ კერად. ისახებოდა სამთო-მეტალურგიული მრეწველობის სხვა დარგების განვითარების პერსპექტივებიც. ამდენად, ეს საკითხიც მკვლევართა ყურადღების სფეროში მოექცა.[90]

---

[87] მ. სიორიძე, ბათუმის საბაჟო, ბათ., 2003.

[88] Бежанов И.Г., Булейшвили Д.А. История развития нефтянной промышленности в Грузии, Тб., 1975; ან.კიკვიძე, საქართველოს ისტორია XIX-XX სს, წ. II, თბ., 1959; ქ.მუშკუდიანი, ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა და სამრეწველო ბროლეტარიატი რევოლუციამდელ დასავლეთ საქართველოში (1880-1914); თბ., 1982. ნ.ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1861-1920 წწ.), თბ., 1958; ო.ტატიშვილი, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება ბათუმში 1878-1920 წწ. (საკანდიდატო დისერტაცია), თსუ, 1940; მ.სიორიძე, ევროპელი მრეწველები და ნავთობსაძიებო სამუშაოები დასავლეთ საქართველოში 1878-1914 წლებში. - საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი", №51-52, თბ., 1987; მისივე, ბათუმის როლი ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში (1883-1918 წწ.). - ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის შრომები I (ჰუმანიტ. მეცნ. სერია), ბათ., 1995; ჯ. კარალიძე, ნავთობის ექსპორტი ბათუმიდან XIX-XX სს. მიჯნაზე - ჟურნ. „კლიო", №29, 2006.

[89] რ. უზუნაძე, ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათ., 2002; მისივე, სამდინარო ნაოსნობა და მისი როლი ბათუმის ოლქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები", თბ., 1991.

[90] გ.მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო ბროლეტარიატი (1864-1917), თბ., 1976; თ.ვახტანგიშვილი, კაპიტალისტური მრეწველობის ფაბრიკულ (მანქანურ) სტადიაზე გადასვლა საქართველოში, თბ., 1976; Наниташвили Н.Л. Германский капитал в Закавказье. Деятельность фирмы «Сименс и Гальске» 1860-1917 гг., Тб., 1982; ნ.კახიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში და მო-

აჭარაში განათლების მდგომარეობა (1878-1921 წწ.) გაშუქებულია ე. ჭანტურიას მონოგრაფიაში.[91] მასში ნაჩვენებია სასწავლებლების დაარსების დრო და მოსწავლეთა კონტინგენტი, დახასიათებულია რუსული სასკოლო განათლების სისტემა, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, შესწავლილია ყველა ტიპის სკოლების საერთო მდგომარეობა, დაწყებითი და უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლები, ბათუმის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, ბათუმის პირველი ქართული სკოლა, სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური მდგომარეობა, სასწავლო გეგმები და სასწავლო პროცესი.

აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერების, კულტურისა და განათლების განვითარებაში ძალზე დიდია ბათუმის პირველი ქართული სკოლის მნიშვნელობა. ამ სკოლის ისტორია არაერთმა მკვლევარმა გააშუქა. აღსანიშნავია გ. ნიორაძის ნაშრომი,[92] სადაც გადმოცემულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების", პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, სერგეი მესხის, ივანე მაჩაბლის, ნიკო ცხვედაძის მზრუნველობა ბათუმში ქართული სკოლის დაარსების და ამ სკოლაში ადგილობრივი ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

საკვლევი პერიოდის აჭარის განათლების საკითხები შესწავლილია, აგრეთვე, გრ. ბაბილოძის,[93] ე. ციკაძის,[94] ნ. გუგუნავას,[95] ე. წულუკიძის[96], ალ. გობრონიძის,[97] შ. თოდაძის,[98] აბ. სურგულაძის[99] და ნ. ვარშანიძის[100] ნაშრომებში. მათში განხილულია ბათუმის ოლქის ქართული სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ფინანსური მდგომარეობა, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, გარჩეულია სასწავლო გეგმები და სასწავლო პროცესი, გარკვეულია ოფიციალური ხელისუფლების დამოკიდებულება ქართული ეროვნული სასწავლებლების მიმართ. შთამბეჭდავია ცნობები მოსწავლეთა კონტინგენტის, სკოლის მზრუნველთა კომიტეტისა და მასწავლებელთა შესახებ. შეფასებულია მასწავლებლების — ა. ნანეიშვილის, ი. ნათაძის, გ. შარაშიძის, კ. ბერეკაშვილის, ი. რამიშვილის, ი. გოგოლაშვილის, ა. მგელაძის პედაგოგიური მოღვაწეობა ბათუმის პირველ ქართულ სკოლაში და რეგიონის სხვა სასწავლებლებში.

სახლეობის საწარმოო და საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XIV, თბ., 1987; მ.სიორიძე, სამოთ-მეტალურგიული მრეწველობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და უცხოური კაპიტალი (1978-1921 წწ.). - აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები VIII, ბათ., 1987; მისივე, სპილენძის წარმოება ართვინის მხარეში (1914-1920 წწ), ჟურნ. „საისტორიო მაცნე", №6, ბათ., 1997; ო.თურმანიძე, სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო მუშათა კლასი ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში XIX-XX სს მიჯნაზე, ჟურნ. „ჭოროხი", №6, 1991; რ. მალაყმაძე, ლიგანის ხეობა (ისტ.-ეთნ. გამოკვლევა), თბ. 2008 წ.

[91] Чантурия В. Просвещение в Аджарии, Бат., 1956.

[92] გ.ნიორაძე, პირველი ქართული სკოლა ბათუმში, თბ., 1958.

[93] გრ.ბაბილოძე, ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან აჭარაში, ბათ., 1975; მისივე, სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში (1921-1957), ბათუმი, 1958.

[94] ე.ციკაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ბათ., 1970.

[95] ნ.გუგუნავა, მემედ აბაშიძე განმანათლებელი, ბათ., 1998.

[96] ვ.წულუკიძე, პირველი ქართული სკოლა აჭარაში, ბათ., 1982; მისივე, განათლების ისტორიისათვის აჭარაში, ბათ., 2002.

[97] ალ.გობრონიძე, ი.გოგებაშვილი და აჭარა, ბათ., 2000; მისივე, „დედა ენა" აჭარაში, ბათ., 1976.

[98] შ.თოდაძე, ბათუმის ქალაქის №1 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი, ბათ., 1975.

[99] აბ.სურგულაძე, პირველი ქართული სკოლა ხუცუბანში, ჟურნ. „ჭოროხი", №4, 1987.

[100] ნ. ვარშანიძე, ბათუმის ოლქი XIX ს. ბოლო მეოთხედში (ეთნოკულტურული ვითარება), ბათ., 2006.

აჭარაში 1881-1920 წლებში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ქართული კულტურისა და განათლების თვალსაჩინო წარმომადგენლები. ზოგიერთი მათგანის ცხოვრება და მოღვაწეობა გაშუქებულია კრებულებსა და წიგნებში.[101] კერძოდ, განხილულია აჭარაში მომუშავე მასწავლებლებისა და კულტურის მოღვაწეთა — მ. ნათაძის, ა. ნანეიშვილის, ი. ფერაძის, ე. შარაშიძის, ნ. ჯაყელის, ა. მგელაძის, ა. ქინქლაძის, ლ. ჩიმაკაძის, ი. გულისაშვილის, ლ. ასათიანის, ი. მესხის, გ. ვოლსკის და სხვათა ცხოვრება და მოღვაწეობა. სათანადოდაა შეფასებული მათი დამსახურება ამ მხარეში ქართული კულტურის აღორძინება-განვითარებაში. გრ. ვოლსკის საქმიანობა ბათუმში შეისწავლა დ. ნაცვალაძემ.[102] ლ. ასათიანის, გ. ვოლსკის, დ. კლდიაშვილის და სხვათა საქველმოქმედო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა განხილულია თ. კომახიძის, რ. სურმანიძის, ი. ბიბილეიშვილის და ო. გვარიშვილის წიგნებში.[103] საყურადღებოა გ. ბუხნიკაშვილის წიგნი,[104] რომელშიც ასახულია თეატრალური ხელოვნების განვითარება აჭარაში 1878-1920 წლებში. აეტორი საინტერესოდ აშუქებს თბილისისა და ქუთაისის თეატრალური დასების გასტროლებს ბათუმში, ადგილობრივი სცენისმოყვარეთა წრეების მუშაობას, პროფესიული თეატრისა და თეატრალური საზოგადოების დაარსებას. ნაშრომში გაშუქებულია პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შალვა დადიანის და ლადო მესხიშვილის დამსახურება.

ამავე პერიოდის ბათუმის დრამატული თეატრის მოღვაწეობის შესახებ საყურადღებოა ს. გერსამიას ნაშრომი.[105]

ქართული საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ორგანიზაციების უაღრესად პოზიტიური საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვანია დ.გურეშიძის მონოგრაფია.[106]

სამედიცინო სამსახურის განვითარების ცალკეული ეტაპები განხილულია ა. პერტიას,[107] ვ. კვაჭაძის და რ. სურმანიძის გამოკვლევებში.[108] მათში დადგენილია ბათუმის ოლქში მოღვაწე მედპერსონალის რაოდენობა საკვლევი პერიოდის სხვადასხვა ეტაპზე. შესწავლილია ბათუმის, ხულოს, ქობულეთის საექიმო პუნქტების, საავადმყოფოებისა და აფთიაქების საქმიანობა. ნაჩვენებია მალარიასა და სხვადასხვა ეპიდემიურ დაავადებებთან ბრძოლის ვითარება.

---

101 სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები. კრებული, I, თბ., 1953; II, თბ., 1968.

102 დ. ნაცვალაძე, გ.ვოლსკი, ბათ., 1955.

103 თ.კომახიძე, ბათუმის ამაგდარნი, ბათუმი, 1993; მისივე, ისინი შვენოდნენ ქალაქს, ბათ., 1994; მისივე, აჭარის კულტურის ისტორია, ბათ., 1999; რ.სურმანიძე, დაუვიწყარი სახეები, ბათ., 1969; ი.ბიბილეიშვილი, ო.გვარიშვილი, მემედ აბაშიძე მწერალი და მოაზროვნე, ბათ., 1999.

104 გ.ბუხნიკაშვილი, ბათუმის თეატრი, ბათ., 1979.

105 ს.გერსამია, ბათუმის თეატრი 70 წლის მანძილზე, ბათ., 1949.

106 დ.გურეშიძე, ქველმოქმედება საქართველოში (ისტორიული ნარკვევი), ქუთ., 1993.

107 ა.პერტია, ნარკვევი აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის ისტორიიდან, ბათ., 1958.

108 ვ.კვაჭაძე, რ.სურმანიძე, ჯანმრთელობის სამჭედლო, ბათ., 1974; Сурманидзе Р., Развития Советского здравоохранения в Аджарии, Тб., 1982; მისივე, Общество врачей Аджарии и русско-грузинские медицинские связи, Бат., 1978; მისივე, რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში, ტ. I, ბათ., 2001, ტ. II, ბათ., 2003.

* * *

XIX საუკუნის დამლეგისა და XX საუკუნის დასაწყისის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულის შესასწავლად აუცილებელია ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებაც. საერთოდ, მხარის ეთნოგრაფიული შესწავლა მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზას ემყარება. წყაროთა ასეთი სიუხვე ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოს" მეცნიერული გაშუქების ინტერესებით იყო განპირობებული. ჯერ ერთი, ამ მხარის შესახებ მეცნიერებამ გაცილებით ნაკლები იცოდა, ვიდრე შიდა აფრიკის შესახებ; და, მეორეც, მზადდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი და ქართველი ინტელიგენცია სამხრეთ საქართველოს ისტორიული წარსულის წარმოჩენით ცდილობდა ცარიზმის დაინტერესებას ამ მხარის შემოერთებისადმი. სწორედ ამ მიზნით, ომის წინა წლებში, აქ იმოგზაურეს მეცნიერების გამოჩენილმა მოღვაწეებმა, რომლებმაც შემდეგ შექმნეს შესანიშნავი ნაშრომები. მათში, საინტერესო ისტორიულ ცნობებთან ერთად, მოცემულია საყურადღებო ცნობები აჭარელთა სამეურნეო ყოფის, მატერიალური კულტურისა თუ სოციალური ურთიერთობების შესახებ.

ამ მხრივ პირველი იყო დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც 1873 წლის ზაფხულში იმოგზაურა გურია-აჭარაში და დაგვიტოვა შესანიშნავი აღწერილობა (წიგნი), სადაც მდიდარ არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად, უხვადაა წარმოდგენილი ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებიც. განსაკუთრებით ფასეულია ავტორის მონაცემები აჭარელთა სამეურნეო ყოფის შესახებ. მკვლევარი მიუთითებდა, რომ ზემო აჭარაში მისდევენ მემინდვრეობას და „სადაც კი ხორბალს თესავენ, ქართული წესით ლეწავენ - კევრით, ანუ მძიმე, წინა მხრიდან წაწვეტებული და ჭვინტწამოწეული ძელებით, რომლებიც კაჟის ნატეხებითაა მოჭედილი. კევრს წრიულად აბრუნებენ უღელში შებმული ხარები".[109] ნიშანდობლივია, რომ მოგზაურმა ყურადღება გაამახვილა გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობაზე სამეურნეო ყოფის ძირითადი ელემენტების ჩამოყალიბებაში,[110] რაც ლიტერატურაში ვერტიკალური ზონალობის სახელწოდებითაა ცნობილი. ნაშრომში წარმოდგენილია საყურადღებო მონაცემები აჭარელთა საოჯახო ყოფის, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სტუმარმასპინძლობის, ხალხური კულინარიის, საქორწინო ურთიერთობების, ქალის უფლებრივი მდგომარეობის, შრომის ორგანიზაციის ფორმების, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, კონფესიური სტრუქტურისა და სხვა საკითხების შესახებ.[111] ავტორი იძლევა ზოგიერთი გვარის გენეალოგიას,[112] ახასიათებს კულტურას და ხაზგასმით აღნიშნავს: „თუ ახლანდელ აჭარლებს შევადარებთ სვანებს, ხევსურებს, ფშაველებს, თუშებსა და მთიულებს, შეუძლებელია კულტურის მხრივ უპირატესობა არ მივანიჭოთ პირველთ მეორეთა წინაშე".[113] დ. ბაქრაძე

---

109 Бакрадзе Дм. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ, 1878; დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 54.
110 იქვე, გვ. 47.
111 იქვე, გვ. 16, 18, 44, 47, 49, 50.
112 იქვე, გვ. 68.
113 იქვე, გვ. 74.

გეიხსნის კულტურის განვითარების უთანაბრობის მიზეზებსაც: „მთიელი ქართველები მუდამ ცივილიზაციის გავლენის ფარგლებს გარეთ იყვნენ და ამიტომ რჩებოდნენ წინათ და ახლაც რჩებიან განვითარების უმდაბლეს საფეხურზე. ამას ვერ ვიტყვით აჭარლებზე. ისინი ოდესღაც იმ ცივილიზაციის გაელენაში იყვნენ, რომელიც საბერძნეთიდან მოქმედებდა ძველ ზემო ქართლზე, ისე როგორც საერთოდ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე".[114]

დ. ბაქრაძის მონაცემებს, ფრაგმენტული ხასიათის მიუხედავად, დიდი მნიშვნელობა აქვს XIX ს. მეორე ნახევრის აჭარის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის.

1874 წელს აჭარაში იმოგზაურა გიორგი ყაზბეგმა და გამოაქვეყნა ნაშრომები: «Три месяца в Турецкой Грузии» და «Военно-статистический очерк Лазистанского санджака». მათში მოცემულია აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათება. მოგზაურმა დიდი შრომა გასწია მოსახლეობის რაოდენობის, ეთნიკური და კონფესიური სტრუქტურის დასაზუსტებლად. ეს ცნობები მკვლევარმა სპეციალური ცხრილის სახით წარმოადგინა. გ. ყაზბეგი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ აჭარა მთლიანად იყო დასახლებული ქართველებით (98%),[115] ხოლო 2% შეადგენდნენ იმიგრანტი ჩერქეზები, ბერძნები, სომხები და ქურთები.[116]

დასახლების თავისებურებით ყურადღებას იპყრობს მკვლევარის ცნობა, რომ „ზემო აჭარის ყველა მდინარე და ხეობა ერთი ხასიათისაა - აქვთ ფართოფსკერიანი ქვაბულის ფორმა. ესენი ნაყოფიერი მდელოებია, რომელზეც კარმიდამოებად, ცალ-ცალკე გაფანტულია დასახლებული ადგილები".[117] სხვაგან მკვლევარი დაწერილებით აღწერს სოფელ ღორჯომს, როგორც დასახლების გარკვეულ ერთეულს.[118] მოგზაურის ამ მონაცემის საფუძველზე გაირკვა, რომ ძველად ღორჯომი ერთობლივ თემს წარმოადგენდა.[119]

გ. ყაზბეგს განხილული აქვს მემინდვრეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეფუტკრეობის, მებოსტნეობის, მეთამბაქოეობის, ხელოსნობისა თუ ვაჭრობის ადგილი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში. აღნიშნავს, რომ ზემო აჭარაში უპირატესად მესაქონლეობა იყო განვითარებული, რაშიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ალპური საძოვრების არსებობას. იგი მართებულად გამოჰყოფდა მესაქონლეობის ინტენსიური განვითარების ზოლს და უპირატესობას ანიჭებდა ისეთ ხეობებს, სადაც პირუტყვი და მესაქონლეობის პროდუქტები ვაჭრობის სფეროში იყო მოქცეული.[120] მკვლევარმა აღწერა აჭარული კარ-მიდამო, სახლი, საცხოვრებლის მოწყურთმების ტრადიციები,[121] წარმოგვიდგინა სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ როგორც დიდი,

---

114 იქვე. გვ. 74.
115 გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1985, გვ. 60.
116 იქვე. გვ. 61.
117 იქვე. გვ. 55.
118 იქვე. გვ. 33-34.
119 ა.რობაქიძე, დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, ბსკი-ის შრომები, I, ბათ., 1960. გვ. 11.
120 გ.ყაზბეგი, დასახ.ნაშრ., გვ. 57-58.
121 იქვე. გვ. 40-44.

ისე პატარა ოჯახების არსებობის ფაქტს.[122]

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ცარიზმი გარკვეულწილად ინტერესდება აჭარის სამეურნეო თუ კულტურული ცხოვრებით. ეს უპირატესად სტრატეგიული მოსაზრებებით იყო განპირობებული, მაგრამ მოხელეთა ჩანაწერები სცილდება მშრალ სტატისტიკურ ანალიზს და მეცნიერულ ღირებულებას იძენს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სამხედრო კორესპონდენტ ა. ფრენკელის ნაშრომი «Очерки Чурук-Су и Батума». მასში მოტანილია მნიშვნელოვანი სტატისტიკური მასალა, რომელიც ეხება მოსახლეობის რაოდენობას მაზრებისა და სოფლების მიხედვით. აქვეა ცნობები ცალკეულ სოფლებში კომლთა რაოდენობასა და სულადობაზე. ეს კი გვაძლევს საფუძველს გავარკვიოთ ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა, რაც უმთავრესი პირობაა ოჯახის ფორმების დასადგენად. გარდა ამისა, ავტორი გვაწვდის ცნობებს სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის საკითხებზე.[123] ხოლო პარაგრაფში „ქორწინება, ცოლები" აღწერილია ქალის გარიგებით გათხოვება, ქორწინების ფინანსური მხარე, ორცოლიანობის შემთხვევები და მიზეზები. ნაშრომში დახასიათებულია ქალის მაღალი ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა, მისი დამსახურება ქართველობის შენარჩუნებაში: „ქალებს უდიდესი გაელენა აქვთ ოჯახში, - წერს ავტორი, - რა თქმა უნდა, მუჰამედის რწმენამ ჩაკეტა ისინი ოჯახში, მაგრამ საფიქრებელია, სწორედ ეს მდგომარეობა იყო ძირითადი მიზეზი, რომ არ დაივიწყეს თავისი ქართული წარმომავლობა და შეინარჩუნეს ენა და ყველა წეს-ჩვეულება ქართველებისა".[124] ა. ფრენკელი პირველი მკვლევარია, ვინც ქალის ქონებრივი მდგომარეობის გარდა ხაზი გაუსვა მის მაღალ უფლებებს საოჯახო ცხოვრებაში.[125] ეხებოდა რა ჩაცმულობის საკითხს, ა. ფრენკელი აღნიშნავდა, რომ აჭარლები ატარებენ ნაციონალურ ტანსაცმელს, ხოლო ქობულეთელი ქალების თავსაბურავში წითელი ფერიცაა გამოყენებული.[126] იგი ეხება, აგრეთვე, ხითხუროობას; აღწერს კონუსისებურ გოდრებს (გიდელს) და მიუთითებს აქაური კალათების მსგავსებაზე შვეიცარიულთან.[127]

აჭარის იმდროინდელი ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ე. ლაცარიუსი[128] და ე. მასალსკი.[129] განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვ. ლისოვსკის ნაშრომი «Чорохский край», სადაც მოცემულია მხარის ეთნოგრაფიული და ეკონომიკური ყოფის სწორი დახასიათება. აქ წარმოდგენილია სამეურნეო ყოფის ცალკეული საკითხები, ოჯახის ეკონომიკური საფუძვლები, ხალხური სამართალი, თურქული და რუსული საგადასახადო სისტემები. ვ. ლისოვსკი პირველი იყო, რომელმაც ხაზი გაუსვა რეგიონში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზურ (შერწყმულ)

---

122 Казбек Г. Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского санджака, Тиф., 1876, ст. 15.
123 Френкель А. Очерки Чурук-Су и Батума, Тиф., 1879, ст. 115-150.
124 იქვე, გვ. 21.
125 იქვე, გვ. 21.
126 იქვე, გვ. 19, 187.
127 იქვე, გვ. 42.
128 Лацариус В. Статистическое описание лесов Батумской области. - ТКОСХ, 1886, №7-8, с. 347.
129 Масальский В. Очерк Батумской области. - ИИРГО, т.XII, вып.IV, 1887, с.356-357.

ხასიათს და იგი ადგილობრივ სამეურნეო თუ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს დაუკავშირა.[130] ავტორმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ აჭარაში ძირითადი ადმინისტრაციული ერთეული იყო სასოფლო თემი, რომლის საოთავეში იდგა სოფლის მოსახლეობის მიერ არჩეული „ბაშ-მუხტარი“.[131] ნაშრომში დახასიათებულია მოსახლეობის ეთნიკური და კონფესიური შემადგენლობა. ქ. ბათუმის ეთნიკური სიჭრელე დაკავშირებულია რკინიგზის გაყვანასა და ქალაქის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებასთან.[132] სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ანთროპოლოგიური თავისებურებების, ჩაცმულობის სპეციფიკის, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ტიპოლოგიისა და სტრუქტურის, ხალხური ორნამენტისა და მოჩუქურთმების ტრადიციების შესახებ ნაშრომში წარმოდგენილ მონაცემებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარის ყოფითი კულტურის შესწავლისათვის.[133]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფისა და კულტურის ზოგადეთნიკური ელემენტების შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ოსმალთაგან აჭარის განთავისუფლების შემდეგ. ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი საზოგადო მოღვაწის ზაქარია ჭიჭინაძის საქმიანობა.[134] თავის შრომებში იგი აღწერს აჭარელთა სამეურნეო და სოციალური ურთიერთობის საკითხებს, ქალის მოტაცებას, მზითევს, გამოსასყიდს, ქალის საქმიანობას, აჭარულ კარმიდამოს, ხელოსნობისა და მჭედლობის თავისებურებებს. ადგილობრივ გადმოცემებზე დაყრდნობით ავტორი აღნიშნავს მაჭახლის ხეობაში რკინისა და სხვა მასალების მოპოვებას და ადგილზე დამუშავებას. მისივე ცნობით, თოფებსა და დამბაჩებს აკეთებდნენ ზემო აჭარაშიც.[135]

მოგზაურს არც ხალხური ფეიქრობა დარჩენია ყურადღების მიღმა. თუ გავიზიარებთ მის მონაცემებს, აჭარაში დამზადებულ ქსოვილებს საქართველოს სხვა კუთხეებშიც აგზავნიდნენ. იგი ჩამოთვლის კიდეც ფეიქრულ ნაწარმს (არშიები, ჩაფარიშები...), რომლისგანაც იკერებოდა ყაბალახი, ტანისამოსი, ჩადრი, იქსოვებოდა პირბადე, წინდები, ყაითნები და ა.შ.[136] ამასთან უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი წესისა თუ ტრადიციის არსებობას მკვლევარი უმართებულოდ მიაწერს ისლამის გავლენას, მაშინ როცა ისინი თავისი გენეზისით ზოგადქართული ხასიათისაა და არსებობდა საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების ყოფაშიც.

XIX საუკუნის დამლევს აჭარის ეთნოგრაფიული თავისებურებების შესახებ საყურადღებო ნაშრომი შექმნა თედო სახოკიამ. მან ერცლად გადმოგვცა მოსახლეობის შრომითი ჩვეულები, კულტურული ვითარება, საწარმოო გამოცდი-

---

130 Лисовский В. Чорохский край, - вып. I, II, Тифл., 1887, с. 83-87.
131 იქვე, გვ. 47.
132 იქვე, გვ. 52.
133 იქვე, გვ. 30-81.
134 ზ.ჭიჭინაძე, სამცხე-საათაბაგო ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობები ხალხზე, ვაჭრობაზე, კათოლიკობასა და მათ სამღვდელოებაზე, ტფ., 1906; მისივე, მუსლიმან ქართველთა სოფლები საქართველოში, ტფ., 1909; მისივე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913; მისივე, ქართველი მაჰმადიანები კინტრიშის ხეობაში, ტფ., 1891; მისივე, ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირობა-ემიგრაცია, ტფ., 1912 და სხვ.
135 ზ.ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, გვ. 167-168.
136 იქვე, გვ. 166.

ლება, დაახასიათა ხალხური კულინარიული ხელოვნება, სტუმართმოყვარეობა, ყიშლური მეურნეობა, ალპური მესაქონლეობა.[137] მკვლევარი აღწერს ხალხური სამართლის საკითხებს, სისხლის აღების ჩვეულებას და მის გამომწვევ ფაქტორებს, მოსახლეობის რაოდენობრივ, ეთნიკურ, სქესობრივ და სოციალურ შემადგენლობას, ქორწინების, განქორწინების, შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლებს, ბუნებრივი მოძრაობის თავისებურებებს, ცალკეულ სოფლებსა და იქ მცხოვრებთა გვარებს.[138] ცალკე პარაგრაფების სახითაა წარმოდგენილი მხარის ეკონომიკური მდგომარეობა, მევენახეობა, მეღვინეობა, მეფუტკრეობა, შინა ხელსაქმე, ჩაცმულობა, ხალხური მედიცინა და სხვა საკითხები.[139] აეტორს მოგზაურობისას დაუმოწმებია 17 ჯიშის ეაზი (ადესა, ბუდეშური, ბურძგალა, ბუტკარა, ბროლა, ვანური თეთრი ყურძენი, კლარჯული და სხვ.). ამავე დროს მიუთითებს მევენახეობის დაქვეითებაზე და ამას ხსნის ისლამის გავლენით.[140] აღნიშნული მოსაზრება მოითხოვს კრიტიკულ მიდგომას. მართალია, ისლამმა უარყოფითი გავლენა მოახდინა მევენახეობის განვითარებაზე, რადგან იკრძალებოდა ღვინის დაყენება, მაგრამ მუსლიმანობამ საფუძველი გამოაცალა არა მთლიანად მევენახეობას, არამედ მეღვინეობას. ეაზი „ყურანში" საოცნებო მცენარეთა რიგს განეკუთვნება, რასაც ადასტურებს ისლამურ ქვეყნებში ეენახის სხვადასხვა ჯიშის არსებობა.

პარაგრაფში „ოჯახი და ცოლ-ქმრობა" მკვლევარი გვაცნობს მისი დროის აჭარის ოჯახისა და ქორწინების საკითხებს, ქალის შრომას, მრავალცოლიანობას, ყურადღებას ამახვილებს ლევირატული ხასიათის მოვლენებზე, აკვანში ნიშნობის წესებზე, ქორწინებაში ნათესაობის გავლენაზე, განრიდების ჩვეულებასა და ნიშანლობის ინსტიტუტის არსებობაზე.[141] იგი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა იმ გარემოებით, რომ ისლამური ზეგავლენის მიუხედავად, აქ შენარჩუნებული იყო ძირძველი ტრადიციები.

XIX ს. 80-იან წლებში კავკასიაში იმოგზაურა არქიტექტორმა ა. პავლინოვმა, რომელმაც მეჩეთებზე (ჯამეებზე) ქართული ორნამენტის არსებობას საგანგებო ყურადღება მიაქცია და იგი ოსტატთა მიერ ადგილობრივი ძეგლების შემკულობათა მდიდარი ტრადიციების ათვისებითა და გამოყენებით ახსნა.[142]

ბათუმის ოლქის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, მეურნეობა და ეთნოგრაფიული ყოფა დაწერილებით წარმოგვიდგინა ფრანგმა ორიენტალისტმა ჟან მურიემ, რომელმაც კავკასიაში XIX ს.-ის 80-იან წლებში იმოგზაურა. იგი აღნიშნავდა, რომ ბათუმის ოლქის მკვიდრი მოსახლეობა „ეკუთვნის სუფთა ქართველებს".[143] ავტორი საგანგებოდ მიმოიხილავს ოლქის მოსახლეობის რაოდენობას, საზღვრებსა და გზებს, აჭარელი კაცის ტიპსა და ხასიათს, ჩაცმულობასა და ადათ-წესებს, ხალხურ ავეჯს. თუმცა, ზოგიერთი პრინციპული

---

137 თ.სახოკია, მოგზაურობანი, ბათ., 1985, გვ. 140-155.
138 იქვე, გვ. 205-213.
139 იქვე, გვ. 213-229, 244, 245, 246.
140 იქვე, გვ. 222-224.
141 თ.სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 239-244.
142 Павлинов А. Материалы по археологии Кавказа, вып. III, М., 1893, с.76.
143 ჟან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათ., 1962, გვ. 13.

საკითხის გარკვევისას ავტორს მოსდის შეცდომებიც. მაგ., იგი ქართველებად არ თვლის გურულებს, იმერლებს, ლაზებს.[144]

ფრაგმენტული ხასიათის მიუხედავად, საინტერესოა გრაფინია ა. უვაროვას ჩანაწერები. მან აჭარაში 1888 წელს იმოგზაურა. იგი დადებითად ახასიათებს დ. ბაქრაძისა და გ. ყაზბეგის მოგზაურობათა შედეგებს, თუმცა, ზოგიერთ შეფასებას გაზვიადებულად მიიჩნევს. აჭარელი კაცი, როგორც ტიპით, ისე ჩაცმულობით, მისი აზრით, ახლოს დგას კალაბრიელებთან (კალაბრია ქალაქია სიცილიაში).[145] მკვლევარი ეხება მხარის მეურნეობას, საახოე სისტემას, სასოფლო თემის, საქორწინო ურთიერთობების თავისებურებებსა და სხვა საკითხებს. ამავე დროს იგი შეშფოთებას გამოთქვამდა ტყეებისადმი მოსახლეობის ბარბაროსული დამოკიდებულების გამო.[146]

კავკასიასა და საკუთრივ აჭარაში მეფუტკრეობის განვითარების შესახებ ცნობებს ვხვდებით ნიკ. შავროვის ჩანაწერებში. მკვლევარი ახასიათებს ფლორას, ფუტკრის ჯიშებსა და თაფლის ხარისხს.[147] სპეციალური რუკის სახით წარმოგვიდგენს მეფუტკრეობის გაერცელების არეალს.

900-იან წლებში გამოსული ლიტერატურიდან საყურადღებოა ნ. დერჟავინის,[148] ნ. ანდრეევსკის,[149] ვ. ტურკინის,[150] ე. ერიკსონის[151] და სხვათა შრომები. ავტორები აღწერენ აქაურთა საქორწინო და საოჯახო ურთიერთობების თავისებურებებს, მესაქონლეობის განვითარებას, ვეტერინარული მომსახურების დაბალ დონეს. ე.ერიკსონმა ყურადღება გაამახვილა ხალხური მუსიკალური კულტურის საკითხებზე, პირველი დაინტერესდა ქალურად ჩაცმული მამაკაცის ცეკვით, თუმცა, ვერ ჩაწვდა მის შინაარსს და იგი მიიჩნია ცუდ ჩვეულებად, მაგრამ ამ ცეკვის სიმბოლური დანიშნულება შეუმჩნეველი არ დარჩენია.

საინტერესოა ი. ვორონოვის ნაშრომი, რომელშიც ავტორი აჭარის მცენარეულ საფარს ადარებს ტიპური ხმელთაშუაზღვისპირეთის ფლორას.[152] ავტორი ახასიათებს მხარის ტომობრივ, ეთნიკურ და კონფესიურ მდგომარეობას, მევენახეობის, მეთამბაქოეობის, მებაღეობის, მეხილეობის განვითარების დონეს, რძის პროდუქტებსა და მათი დამზადების ტექნოლოგიას. ზოგიერთი მოხელე მხარეში სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობის საეალალო მდგომარეობას მკვიდრი მოსახლეობის „უვიცობითა და უყურადღებობით" ხსნიდა,[153] მაგრამ მდიდარი ეთნოგრაფიული მონაცემები აქარწყლებენ მათ მცდელობას -

---

[144] იქვე, გვ. 25.

[145] Уварова П. Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия, Фосховский участок. - Путевые, заметки Графиня Уваровой, ч.II, 1891, с.203, 204.

[146] იქვე, გვ. 203.

[147] Шавров Н. Краткий очерк современного положения пчеловодства на Кавказе, Тифл., 1893, ст. 1-44.

[148] Державин Н. Свадьба у Гуриицев-мусулман в окрестностях Батума. - СМОМПК, 31, 1902.

[149] Андреевский Н. Военно-географическое описание Кавказского округа, административное устроиство и поселение Черноморского района, т.I, 1906.

[150] Туркин В. К истории Батумского отдела Тифлисского общества покр. Животным. - Вестник общественной ветеринарии, 1907, №23.

[151] Эриксон Э. Опыт санитарного обзора окрестностей Батума, Тифл., 1901.

[152] Воронов Ю.Н. Батумская область. - ИКОИРГО, т. XXI, 1911-1912, №2, с.80.

[153] Воронов Ю.Н. Батумская область. - ИКОИРГО, т. XX, вып.I, с.99.

მიჩქმალონ ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზები და იგი მშრომელი მოსახლეობის პასიურობას მიაწერონ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა წყლის ტრანსპორტს. ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა გრ. ვეშაპელის ჩანაწერები. ავტორი აღნიშნავს, რომ ლაზები ვაჭრობას მისდევდნენ საკუთარი გემებით და წარმატებით უწევდნენ კონკურენციას ოსმალეთისა და სპარსეთის სავაჭრო ფლოტს.[154]

იმდროინდელი აჭარის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის მნიშვნელოვანია სამუზეუმო კოლექციები. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში წარმოდგენილი აჭარული ჩაცმულობის ნიმუშები, სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ და განსაკუთრებით აჭარის მუზეუმებში დაცული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სამეურნეო დარგების, სამეურნეო იარაღ-ინვენტარის, ჩაცმულობის, სამკაულის, ავეჯის, დგამ-ჭურჭლის, საკულტო საგნების, ხალხური ხელოვნების ნიმუშების ამსახველი ექსპონატები. საყურადღებო ჩანაწერებია აჭარის ხარიტონ ახელედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში.[155]

მატერიალური კულტურის შესწავლისათვის საინტერესოა ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ, სადაც წარმოდგენილია აჭარული სახლი (სოფ. დიდაჭარიდან, VIII ზონა) ბოსლითა და ბეღლით (XIX ს. მეორე ნახევარი). ამავე ზონის VI კარმიდამოში დაცულია ხის ჯამე საინტერესო ორნამენტებით (სოფ. ჩიქუნეთიდან). იგი შედარებით ადრინდელია, მაგრამ წარმოდგენას იძლევა სამშენებლო ხელოვნებაზე.

საინტერესო დოკუმენტები დაცულია, აგრეთვე, არქივებში. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტში არსებული მონაცემები წარმოდგენას გვიქმნის მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის, გვართა მოძრაობისა და მის გამომწვევ მიზეზებზე.[156] მუჰაჯირობის, ამ ტრაგედიაში ცარიზმის წვლილის, დასახლების, მიწისმფლობელობის ფორმების, უცხო ეთნიკური ელემენტების დამკვიდრების, სამეურნეო ყოფის შესახებ უხვი მასალებია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, კერძოდ, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის,[157] „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მასალებსა[158] და სხვა ფონდებში. აჭარის ცენტრალურ არქივში თავმოყრილია კომლობრივი სიები, აგრეთვე სოფლისა და მაზრის მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები, სამეურნეო ყოფის, სამართლებრივი მდგომარეობის ობიექტური დახასიათება. აღნიშნული და სხვა სახის მასალები დაცულია „ბათუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის“, „ბათუმის ოლქის სატყეოს“, „ქ ბათუმის მომრიგებელი განყოფილების სანოტარო კანტორის“, „აჭარის სახკომსაბჭოს“ და სხვა ფონდებში.[159]

როგორც მოგზაურ-მკვლევართა, ისე პრესის მასალებიდან, საარქიო დოკუ-

---

154 Вешапели Г. Турецкая Грузия, М., 1916, с. 33.
155 ამხუ, ს.ს. 2-9.
156 АИЭ АНР, Материалы Грузинского отряда, ПК, Л., 101, 103, 104.
157 სცსსა. ფ. 416, ან. 3, ს. 163, 539; ან. 4, ს. 72, 19; ან. 7, ს. 352, 359, 363, 372, 479; ფ. 545, ს. 2073.
158 სცსსა. ფ. 481, ან. 1, ს. 58, 73, 74; ან. 3, ს. 170, 863, 1023, 1070.
159 აცსა, ფ. 2, ან. 1, ს. 1; ფ. 178, ან. 1, ს. 60; ფ. 1, ან. 7, ს. 3.

მენტებიდან ირკვევა, აჭარამ მყარად შეინარჩუნა ძველთაგან მომდინარე ტრადიციული ინსტიტუტები. ოსმალთა ბატონობამ ძირძველ ჯანსაღ ტრადიციებს ეთნიკური ფუნქცია დააკისრა. სწორედ ამის შედეგად შეინარჩუნა ამ მხარემ ქართული ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელი ზოგადეთნიკური ელემენტები, რითაც იგი დაუპირისპირდა ისლამის მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულ ოსმალური ცხოვრების წესს. მართლაც, ქართული ხალხური ტრადიციების დაცვა, „უცხოური წესის" მოძალების პირობებში, ემსახურებოდა ქართული ეროვნული თვითმყო-ფადობის განმტკიცების ინტერესებს.

ასეთია წყაროებისა და მეცნიერული ლიტერატურის კვლევის დღეანდელი ბაზა, რომელსაც ემყარება წინამდებარე ტომი.

თავი I

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაბრუნება. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგები

§ 1. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაბრუნება

XIX საუკუნეში თვისებრივად ახალ პირობებში მიმდინარეობდა ქართველი ხალხის ბრძოლა ისტორიული მიწა-წყლის დაბრუნებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. პატრიოტული ინტელიგენცია რუსეთის ძალას უკავშირებდა ისტორიული მიწა-წყლის გამოხსნას ოსმალთა ბატონობისაგან.

მართალია, ამ შემთხვევაში საქართველოს ეს ნაწილი ერთი დამპყრობლიდან მეორის ხელში გადადიოდა, მაგრამ ტერიტორიული გამთლიანება, თუნდაც კოლონიურ პირობებში, თავისთავად პროგრესული აქტი იყო. ერს ეძლეოდა ეროვნული თვითმყოფადობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მეტი შესაძლებლობანი. მაგალითად, ცარიზმის ბატონობის მიუხედავად, ქართველებმა გახსნეს ეროვნული სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, საქველმოქმედო საზოგადოებები, რაც ქმნიდა ერის სულიერი აღორძინების საშუალებას.

ოსმალეთის ბატონობის პირობებში კი დაპყრობილ ხალხებს ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ოსმალეთის იმპერიაში სულიერ, სოციალურ-პოლიტიკურ და სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებას საფუძვლად ედო ისლამური მოძღვრება, რომელიც აჩქარებდა ქართველების ეროვნულ გადაშენებას. ყოველივე ეს ქართველ ხალხს კარგად ჰქონდა შეგნებული. ამიტომ იგი აქტიურად მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812, 1828-1829 და 1853-1856 წლების ომებში და რუს მეომრებთან ერთად ქართველებმაც ბევრი სისხლი დაღვარეს ოსმალთაგან მშობლიური მიწა-წყლის გამოხსნისათვის.

70-იან წლებში ოსმალეთის კოლონიებში ახალი ძალით გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. სულთნის მთავრობა მთელი სისასტიკით ახშობდა ყოველგვარ გამოსვლას. ბალკანეთის სლავების მფარველად რუსეთი გამოვიდა. ამან კიდევ მეტად დაძაბა რუსეთისა და ოსმალეთის ურთიერთობა. მათ შორის ომი დღითიდღე ახლოვდებოდა. ახალი ომისათვის მზადებამ სულთნის მთავრობა აიძულა იმპერიის მეურნეობა სამხედრო რელსებზე გადაეყვანა. ამან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დაამძიმა.

მართალია, რუსეთს ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ხალხების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, მაგრამ ომისათვის მზადების პირობებში მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პოზიციის დაზუსტებას. ამას ჯეროვნად ითვალისწინებდა როგორც ქართველი მოწინავე საზოგადოება, ისე რუსეთის სამხედრო უწყება. გენე-

რალი კ. კომაროვი კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ ნ. სვიატოპოლკ-მირსკის მოახსენებდა: „სიადვილე და სიძნელე ჩვენი ოპერაციებისა დიდადაა დამოკიდებული იმ გარემოებაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებს ჩვენს მიმართ აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობა".[1]

ამ მიზნით XIX საუკუნის 60-70-იან წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოავლინეს ივ. კერესელიძე, ა. მეფისაშვილი, გ. წერეთელი, დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი და სხვ. მათ შეხვედრებსა და საუბრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, კერძოდ, გავლენიან პირებთან, არა მარტო წმინდა სამხედრო, არამედ, აგრეთვე, ეროვნულ-პატრიოტული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ქართველობას იმედს აძლევდა, ძალასა და ენერგიას ჰმატებდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის პოზიცია რუსეთ-ოსმალეთის მომავალი ომის მიმართ გარკვეეით გამოხატა მხარის გავლენიანმა პირმა შერიფ ხიმშიაშვილმა. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ივანე კერესელიძესთან საუბარში შერიფს განუცხადებია: „ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი. მე მზად ვარ მაშინათვე ჩემი ქვეყნის ქართველ შვილებს შევუერთდე და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს".[2]

სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის თავდადებული მებრძოლნი საკმაოდ იყვნენ რიგით ფენებშიც, რომელთა პოზიციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებაში. ასეთი პატრიოტები იყვნენ გულო კაიკაციშვილი, აბდულ მიქელაძე, ახმედ ხალვაში, დედე ნიჟარაძე, ახმედ ხალიფაშვილი (სურმანიძე) და სხვ.

საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული გამთლიანებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში აზვირთებულ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლისადმი დიდ ყურადღებას იჩენდა რუსეთის სამხედრო უწყება, განსაკუთრებით კი ქართველი მამულიშვილები (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, დიმიტრი ბაქრაძე, სერგეი მესხი და სხვ.).

რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების წინ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მღელვარებათა ალში გაეხვია. მათგან საყურადღებოა 1862, 1873 და 1875-1876 წლების გამოსვლები. 1862 წლის მღელვარება თებერვალში დაიწყო და მაისამდე გაგრძელდა. იგი განსაკუთრებული სიმძლავრით გაიშალა ბათუმის, ქობულეთისა და მაჭახლის სამუდიროებში (რაიონები). მოსახლეობა წინ აღუდგა სულთნის მთავრობის მცდელობას — გაედიდებინა გადასახადები, ნატურალური გამოსაღები შეეცვალა ფულადით, სახელმწიფო ხაზინის უშუალო დაქვემდებარებაში გადაეყვანა მთელი მოსახლეობა, განურჩეველად წოდებისა.[3]

1873 წლის მღელვარება დაკავშირებული იყო ლაზისტანის სანჯაყის მოსახლეობისა და ადგილ-მამულების აღწერასთან. ოსმალთა მოხელეები პირველად ქობულეთიდან გააძევეს, შემდეგ კი - აჭარიდან, ხოფიდან, არხავედან და სხვა რეგიონები-

[1] შ.მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1963, გვ. 116.
[2] ზ.ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი, ბათ., 1912, გვ. 230.
[3] შ.მეგრელიძე, ან.სურგულაძე, ახალი საბუთები 1862 წლის მღელვარების შესახებ, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1962, №4, გვ. 79; ან.სურგულაძე, განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში XIX საუკუნის 40-70-იან წლებში, ბათ., 1978, გვ. 3-15.

დან.[4]

ასევე მძლავრი იყო 1875-1876 წლების გამოსვლები.[5] იგი დაკავშირებული იყო გადასახადების გადიდებასა და ოსმალეთის ჯარში ახალგაზრდების გაწვევასთან. მღელვარება 1875 წ. აგვისტოდან 1876 წ. ბოლომდე გაგრძელდა. მთავრობამ ამბოხებულთა წინააღმდეგ რეგულარული არმიის ნაწილები გამოგზავნა. მათ შორის მოხდა სისხლიანი შეტაკებები, რის შედეგადაც რამდენიმე კაცი დაიღუპა. მართალია, მთავრობამ მღელვარება იარაღით ჩაახშო, მაგრამ გადასახადების გადიდება და მოსახლეობის ჯარში გაწვევა მაინც ვერ შეძლო.

მოსახლეობის მიმართ მკაცრი რეპრესიები გატარდა. მარტო ქობულეთისა და ბათუმის სამუდაროებში 1876 წლის სექტემბრისათვის დააპატიმრეს ათასზე მეტი კაცი.[6]

ასეთ პირობებში ქართველი ხალხი რუსეთ-ოსმალეთის მომავალ ომს იმედის თვალით შეჰყურებდა. „გამოხსნა-აღდგომის“ იდეამ მთელი საქართველო მოიცვა. ხალხი ერთიანად აღსდგა ოსმალთა ბატონობაში მყოფი თანამოძმეების გასათავისუფლებლად, რაც კარგად ჩანს რუსეთის მთავრობისადმი გაგზავნილ წერილებში. ქუთაისის მშრომელთა მიმართვაში ნათქვამია: „ამჟამად, როდესაც ჩვენი ძმები იტანჯებიან მძიმე უღლის ქვეშ, ნუთუ შეიძლება მათი დავიწყება?“[7] ანალოგიური დეპეშები გაიგზავნა თბილისიდან, ახალქალაქიდან, ახალციხიდან და სხვა რეგიონებიდან.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის წინ და ომის მსელელობაში ქართველი ხალხი ხალისით ქმნიდა სახალხო რაზმებს. 1887 წლამდე ქართველები რუსეთის რეგულარულ არმიაში არ გაჰყავდათ. მათგან მხოლოდ სახალხო ლაშქარს, ე.წ. „მილიციელთა რაზმებს“ აყალიბებდნენ. ომის დასაწყისში ასეთი ლაშქარი შეიქმნა ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში და სხვ.

ამ რაზმებში მასობრივად ეწერებოდნენ. შორაპნის მაზრაში, მაგალითად, ყოველი 100 გლეხიდან ორი კაცის ნაცვლად 20 მოლაშქრე გამოვიდა. გურიაში სახალხო რაზმების ფორმირება დაევალა ქობულეთის რაზმის შტაბის უფროსს, პოლკოვნიკ გ. ყაზბეგს. მოსახლეობამ უყოყმანოდ განაცხადა: „ჩვენ მზად ვართ ყოველის მიზეზის უთქმელად“.[8] გათვალისწინებული ათასი კაცის ნაცვლად, აქ ოთხი ათასი მოლაშქრე გამოვიდა. ეს მაშინ, როდესაც გურიის მთელი მოსახლეობა 25 ათას კაცს ითვლიდა. გურულების ასეთ ერთსულოვნებას აღტაცებაში მოჰყავდა რუსი სამხედროებიც. ქობულეთის რაზმის ოფიცერი ბ. კოლუბიაკინი აღნიშნავდა: გურიის მოსახლეობამ საყოველთაო სურვილი გამოთქვა ომში წასელაზე და ხალისით ჩამოაყალიბეს რაზმები.[9] ასეულის მეთაური ი. მაკაევი (მაყაშვილი) მოგვიანებით აღნიშნავდა: ომის დაწყებისთანავე მთელი გურია აღსდგა, ახალგაზრდებიდან დაწყებული მოხუცების ჩათვლით, ომში წასელას ითხოვდა. თურმე 13-14 წლის ყმაწვილები

---

[4] „დროება“, 3 მარტი, 1986.
[5] ალ.სურგულაძე, აჯანყება აჭარაში 1875-1876 წლებში. - აჭარის სოფელი, თბ., 1969, გვ. 90-100.
[6] „დროება“, 18 ოქტომბერი, 1876.
[7] სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ. 2668, ან. 21, ს. 228, ფურც. 15; იხ. შ.მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ., 1956, გვ. 50.
[8] „დროება“, 17 მარტი, 1877.
[9] Колюбякин Б. Кобулетский отряд в минувшую войну 1877-1878 гг. - Военный сборник, 1883, №11, с. 175.

ტირილით ეეედრებოდნენ, რათა ჯარში გაეწვიათ.[10] ასეთი განწყობა სუფევდა საქართველოს ყველა კუთხეში.

თავდაპირველად ოზურგეთში 1000-კაციანი დრუჟინა შეადგინეს. დანარჩენ მოხალისეებს კი უარი უთხრეს, თუმცა ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ გაწვევას. გ. ყაზბეგმა მათ აღუთქვა, რომ ერთი წლის შემდეგ ჩარიცხავდნენ სახალხო ლაშქარში. „რად გვინდა ერთი წლის შემდეგ მიღება, როცა ომი უკვე დამთავრებული იქნება; ჩვენ ახლა გვინდა დავდოთ თავი სამშობლოსათვისო", - აცხადებდნენ ისინი.[11] მოხალისეების დაჟინებითი მოთხოვნით, ომის დაწყების შემდეგ, მოკლე დროში, გურიაში დამატებით შეიქმნა სამი დრუჟინა (3000 კაცი), რომელთა რიგებში მრავლად იყვნენ 13-14 წლის ახალგაზრდები.

ომის დაწყებამდე შეკრებილი გურიის 1000 კაციანი სახალხო დრუჟინა ოთხ ასეულად დაიყო. თითოეულ მათგანში განაწესეს კადრის ოფიცრები და გამოცდილი მილიციელები (სახალხო მოლაშქრეები), რომლებიც კავკასიის არმიის სხვადასხვა დანაყოფებიდან გადმოიყვანეს. დრუჟინის მეთაურად დაინიშნა როტმისტრი თავადი იესე გურიელი, თანაშემწედ - ქუთაისის ცხენოსანთა პოლკის მაიორი დავით ჩხაიძე.

ასეულის მეთაურებად დანიშნეს: პირველი ასეულისა - ახალციხის ქვეითი პოლკის პორუჩიკი დარისპან მიქელაძე, ოფიცრებად - მილიციის ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი ღლონტი და მილიციის პორუჩიკი თავადი დაეით გურიელი, მეორე ასეულისა - პორუჩიკი თავადი ივანე აბაშიძე, ოფიცრებად - თავადი თომა ერისთავი და მილიციის პრაპორშჩიკი სიო ბერიძე; მესამე ასეულისა - პრაპორშჩიკი თავადი გიორგი გუგუნავა, ოფიცრებად - პრაპორშჩიკები ვაჟა მგელაძე და ანტონ ქარციეაძე. მეოთხე ასეულის უფროსად დაამტკიცეს ლენქორანის ქვეითი პოლკის პრაპორშჩიკი თავადი ივანე მაკაევი (მაყაშვილი), რომელიც შემდგომ რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი გახდა. ოფიცრად დანიშნეს მილიციის პრაპორშჩიკი ირაკლი კაპანაძე.[12]

ომის წინ, მოკლე დროში, ამიერკავკასიაში მობილიზებული იყო 42 ათასი კაცი, რაც კავკასიის არმიის ერთ მეოთხედს შეადგენდა. საქართველოში მოლაშქრეთა 37 საბრძოლო შენაერთი შეიქმნა (სულ 102 ასეული: 63 ქვეითი და 39 ცხენოსანი), რომელშიც 18395 კაცი ირიცხებოდა.[13] ეს პროცესი ომის დროსაც გაგრძელდა. მთლიანად 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში 30 ათასზე მეტი ქართველი მონაწილეობდა.[14] სახალხო რაზმელები ეროვნული ტანსაცმლით გამოდიოდნენ. საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებისათვის თითოეულ დრუჟინაში ეკლესიის მსახურნიც გაამწესეს. გურიის პირველი ქართული დრუჟინის მღვდელი იყო რომანოზ დარჩია.

სახალხო რაზმელების უზრუნველყოფაში წვლილი ყველა კუთხეს შეჰქონდა. ფრონტისათვის ფულის შეგროვებამ კი მასობრივი ხასიათი მიიღო. ქართლის პატარა სოფელ მანგლისში 600 რუბლი შეაგროვეს, ხოლო ოზურგეთში 800 რუბლი და მოლაშქრეებისათვის იყიდეს საჭირო ნივთები. ფრონტისათვის ფულის შესაგროვებლად სპეციალური კონცერტები იმართებოდა. 1877 წლის მაისში გამართული კონ-

---

10 Макаев И.Р. Историческая записка I-й Грузинской пешей дружины в войну 1877-1878 гг., Тиф., 1913, с. 150.
11 იქვე, გვ. 150-151.
12 იქვე. იხ. აგრეთვე, გ.შარაძე, 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი და აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1998, №19, გვ. 13-14.
13 Мегрелидзе Ш.В. Грузия в русско-турецкой войне 1877-1878 гг., Бат., 1955, с. 47.
14 შ.მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ., 1956, გვ. 51.

ცერტებიდან თბილისში 7 ათასი, ხოლო ქუთაისში 10 ათასი რუბლი შემოსულა.[15] არმიისათვის საჭირო საბრძოლო მასალები, სურსათი, ფურაჟი და სხვა ნივთები გლეხობას მამაპაპისეული ტრანსპორტით გადაჰქონდა.

სახალხო რაზმელების საბრძოლო მომზადება 1876 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში დაიწყო. რაზმელებმა ორი კვირის განმავლობაში შესანიშნავად აითვისეს ბრძოლის წესები და მეთოდები, იარაღის ხმარება და სხვ. რუსეთის არმიის კადრის მაღალი ჩინის ოფიცრები და გენერლები აღტაცებული იყვნენ ქართველი სახალხო რაზმელების საბრძოლო მომზადებით. კავკასიის მეფისნაცვალმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა, რომელმაც 1877 წ. აპრილს ოზურგეთის სამხედრო შენაერთები დაათვალიერა, გურიის რაზმელების საბრძოლო მომზადებას მაღალი შეფასება მისცა და კმაყოფილებით განაცხადა: „ასეთი მამაცი ახალგაზრდებით შეიძლება ომში წასვლაო“.

ომის დაწყების წინ, ოზურგეთის რაზმის მეთაურად დანიშნეს გენერალ-მაიორი დანიბეგოვი (დანიბეგაშვილი), რომელმაც გენერალი ციტოვიჩი შეცვალა. გურულების დრუჟინა გენერალ დანიბეგოვის რაზმის მარცხენა კოლონის შემადგენლობაში შეეიდა.

რუსეთ-ოსმალეთის ომი 1877 წ. 12 (24) აპრილს დაიწყო. საომარი მოქმედება ბალკანეთსა და კავკასიაში გაიშალა. რუსეთის არმია 437 ათას, ხოლო ოსმალთა - 450 ათას კაცს შეადგენდა. ამიერკავკასიაში რუსეთის არმია ითვლიდა 180 ათას კაცს, რომელიც სამ კორპუსად იყოფოდა. პირველი (სარდალი ტარიელ ლორის-მელიქოვი) უშუალოდ ფრონტის ხაზზე იყო განლაგებული. მეორე, ე.წ. „რიონის რაზმი“, რომელიც 30-ზე მეტი ბატალიონისაგან შედგებოდა, გენერალ ი. ოკლობჟიოს მეთაურობით დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ 1876 წ. განალაგეს. მას ევალებოდა გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის დაცვა; მესამე კორპუსი გენერალ ს. ანდრონიკაშვილის სარდლობით კახეთში, ალაზნის პირას, დაბანაკდა. ამიერკავკასიის ფრონტის მთავარსარდლად დაინიშნა კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი (მეფის ძმა).

ამიერკავკასიაში მოქმედი კორპუსი 60 ათას კაცს შეადგენდა. გეგმის თანახმად, შეტევა ოთხი მიმართულებით განვითარდა: ოზურგეთიდან — ბათუმისაკენ, ახალციხიდან — არტაანისაკენ, ალექსანდრეპოლიდან — ყარსისაკენ, ერევნიდან — ბაიაზეთისაკენ.[16]

ძირითადი საბრძოლო მოქმედების ასპარეზი ანატოლია იყო, რამდენადაც ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხესიმაგრეების აღებას, როგორიცაა ყარსი, არტაანი, ბაიაზეთი, ერზერუმი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ოსმალეთის დამარცხებაში არანაკლები როლი ენიჭებოდა კავკასიის შავიზღვისპირეთის დაცვას და საბრძოლო მოქმედების განვითარებას ბათუმის მიმართულებით.

„რიონის რაზმის“ მეთაური გენერალი ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიო (1830-1884 წწ.). წარმოშობით სერბი ყოფილა. სხვათა შორის, ასევე სერბი იყო ოსმალთა ჯარის ბათუმის კორპუსის მეთაური დეერიშ-ფაშა. ერთობ საინტერესოა მათი შეხვედრის ეპიზოდი ციხისძირში (1878 წ. 5 აპრილი). გ.წერეთელი, რომელიც ამ შეხვედრის თვითმხილველი იყო, ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „ბრძოლის ველის ორი მოწინააღმ-

[15] Мегрелидзе Ш.В. დასახ. ნაშრ., გვ. 41-43.

[16] Война 1877 и 1878 гг., война в Азиатской Турции. под ред. Зыкова. С.-Пб., 1882, с. 95; Беляев Н.И. Русско-турецкая война 1877-1878 гг., М., 1958, с. 456-457.

დეგე იჯდა ერთ საერთო მაგიდასთან. სჯა-ბაასს რეა კაცი ესწრებოდა. დეერიშ-ფაშა ოკლობჟიოს პირდაპირ იჯდა; დროგამოშვებით ისინი მეგობრულ საუბარში სერბიულ ენასაც იყენებდნენ, რომელსაც ორივე მშობლიურ ენათ თვლიდა და ხანგრძლივი პრაქტიკის უქონლობის გამო თითოეული მათგანი ამ ენაზე ცუდად ლაპარაკობდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ენაზე ლაპარაკის დროს ორივე რაღაც შინაგან ნათესაობას გრძნობდა და მათი დამოკიდებულება უფრო გულახდილი და გულწრფელი ჩანდა".[17]

ომის პირობებში აჭარლების განწყობას ასახავს გაზეთ „დროების" კორესპონდენტის პ. მჭედლიშვილის სტატია „ქართველები ოსმალეთში". ავტორის სიტყვით, აჭარლები იმედიანად უყურებენ ეროვნულ გამთლიანებას. ყოველ ნაბიჯზე გაიგონებთ: „ღვთით მალე შეეუერთდებით ჩვენს თანამემამულეებსო".[18]

ოსმალეთის მთავრობა მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველების დაპირისპირების, რუსეთის არმიისადმი სიძულვილისა და მტრობის გაღვივების მიზნით ყველა ხერხს მიმართავდა: შანტაჟს, მოსყიდვას, იდეოლოგიურ დამუშავებას, ძალადობას; საბოლოოდ, ოსმალებმა მაინც შეაკოწიწეს აჭარელთა რამდენიმე რაზმი, რომელთაც სათაევში გამუსლიმანებული ქართველი ფეოდალები ჩაუყენეს. მაგალითად, ქობულეთის რაზმში ხუთი ათასამდე კაცი შედიოდა. მას ოსმან და ალი ფაშა თავდგირიძეები მეთაურობდნენ; ჩაქეში ათასკაციან ადგილობრივ რაზმს სათაევში ედგა აქაური ბეგი ხუსეინ ბეეანიძე; ზემო და ქვემო აჭარაში რვაათასკაციანი მილიციელთა რაზმის მეთაურობა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს დააკისრეს.[19]

ოსმალეთი დიდ იმედებს ამყარებდა ამ რაზმებზე, მაგრამ ამაოდ. ბათუმის კორპუსის უფროსი დეერიშ-ფაშა ბეერს ეცადა შერიფ ხიმშიაშვილის რაზმი რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება, მაგრამ უშედეგოდ. პირიქით, შერიფ ხიმშიაშვილმა რუსეთთან გააბა საიდუმლო მოლაპარაკება. იგი რუსეთის სარდლობას აუწყებდა თავისი მოქმედების გეგმასა და ჩანაფიქრს. ოსმალებმა მისი პოზიცია ამოიცნეს, მოღალატედ ჩათვალეს და სცადეს დაპატიმრება. შერიფ ხიმშიაშვილი ახალციხეში გადაეიდა, ხოლო ცოლ-შვილი არტაანში გადამალა. მაშინ ფანატიკოსთა ბრბომ ხულოში მისი სახლ-კარი გადაწვა.

1878 წ. 19 ივნისს ახალციხეში გამართულ ერთ-ერთ სადილზე შერიფ ხიმშიაშვილმა ასე აღწერა ეს ამბავი: „დეერიშ-ფაშა მწერდა, რომ ახალციხეზე გაილაშქრეო, რას გაჩერებულხარ ერთ ადგილასო. ჯერ ვატყუებდი, რომ გზა მაქვს გამაგრებული, მერე დავიძრინე თავი აქედან, მაგრამ როცა რუსის ჯარი არტანუჯისაკენ გაეუშვი ხელუხლებლად, მაშინ კი სულ უფრო ეიღო ეჭვი დეერიშ-ფაშამ. ახლა სხვა ოსტატობა ვიხმარე: ჩხუბი ავტეხე ქვემო და ზემო აჭარას შუა, წაეკიდე ისინი და ოთხი ბატალიონი იმათ დასამშვიდებლად გავგზავნე. დამრჩა ხუთი ბატალიონი. კიდევ ორი სხვაგან გავგზავნე და დამრჩა სამი ბატალიონი. ახლა კი მივწერე დეერიშ-ფაშას, რომ ამ სამი ბატალიონით წინ ვერ გავიწევი, ისევ აქ გავმაგრდებითქვა და ვიყავი, მაგრამ ბოლოს მაინც ეჭვი ჰქონდათ, კაცები მიდიოდნენ, ჩამასმინეს: იმას რუსისაკენ უჭირავს თვალიო და მეტი არ შემეძლო. ცოლ-შვილი არტაანში გავაგზავნე, მე კი ახალციხეში გამოვიპარე".[20]

---

[17] გ.წერეთელის ბუბლიცისტიკა. თბ., 1973, გვ. 130-131.
[18] „დროება", 3 სექტემბერი, 1877.
[19] „დროება", 7 სექტემბერი, 1878.
[20] „დროება", 27 ივნისი, 1878; ს.მესხი, თხზ., ტ., 2, თბ., 1963, გვ. 400-409.

ოსმალთა ბატონობისაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აგრეთვე შავშეთის მმართველმა ნური ხიმშიაშვილმა.

სამწუხაროდ, აქაური პრივილეგირებული წოდების ზოგიერთი წარმომადგენელი ბოლომდე ერთგული დარჩა სულთნის მთავრობისა. მათ შორის იყვნენ ქობულეთელი ბეგები, ძმები ოსმან და ალი თაედგირიძეები.

აჭარის მოსახლეობა, მცირერიცხოვან ფანატიკოსთა გამოკლებით, რუსეთის არმიას სიმპათიით და პურმარილით ხვდებოდა. ამის თაობაზე გაზეთი „დროება“ გადმოგვცემს: „თითქმის დღე არ გაივლის, რომ ქობულეთითგან არ მოვიდნენ ჩვენს ბანაკში... უბრალო მცხოვრებლები და არ მოიტანონ კარაქი, ერბო, გამომცხვარი პური და სხვა ხორაგეული და ხილეულობა. რამდენიმე საათს რჩებიან ხოლმე ჩვენს ბანაკში, დიდის სიამოვნებით გვემასლაათებიან (გვესაუბრებიან) სხვადასხვა ამბებზე და შემდეგ მეგობრულად გეშორდებიან და მიდიან“.[21]

საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ აქაური მოსახლეობა მასობრივად გადადიოდა რუსეთის მხარეს. მაგალითად, მუხაესტატეს აღების შემდეგ (1877 წ. 13 (25) აპრილი) ქობულეთელმა ყურშუმ ჭყონიამ თავისი რაზმით მიატოვა ალი და ოსმან-ფაშა თავდგირიძეების ბანაკი, გრიგოლ გურიელთან გამოცხადდა და რუსეთის ქვეშევრდომობა ითხოვა. მეორე დღეს რუსეთის მხარეს გადავიდა ქობულეთელთა 150-კაციანი რაზმი, რომელსაც ჯ. ჭყონიას მეგობარი შერიფ-აღა მეთაურობდა.[22]

კიდევ მეტი, მებრძოლებთან ერთად რუსეთის მხარეს გადადიოდა მშვიდობიანი მოსახლეობაც, სხვათა შორის, ოჯახებთან ერთად. მაგალითად, ომის წინ ქობულეთიდან გურიის სოფელ ბაილეთში 200-მდე კომლი ჩასახლებულა. ისინი მათივე თხოვნით სახალხო რაზმში ჩარიცხეს და ოსმალეთის წინააღმდეგ გმირულად იბრძოდნენ.[23] მაშინ ოსმალებმა აჭარლები მოღალატეებად მონათლეს და შეეცადნენ მშობლიური მიწა-წყლიდან მათ აყრას...[24]

ომის პირველ პერიოდში (1877 წ. აპრილ-ივნისი) რუსთა არმიამ აქტიური შეტევითი ოპერაციები განახორციელა ფრონტის ყველა მიმართულებით. 1877 წ. აპრილში მან დაიკავა ბაიაზეთი, ყალზევანი, ხოლო ორი დღის გააფთრებული ბრძოლის შედეგად 6(18) მაისს აიღო არტაანი. ოსმალეთის არმიამ დიდი ზარალი განიცადა. მხოლოდ არტაანთან, რომელსაც 8-ათასიანი გარნიზონი იცავდა, ოსმალებმა 3 ათასი მებრძოლი დაკარგეს, ხოლო 300 კაცი ტყვედ ჩავარდა. არტაანის აღება იყო რუსეთის არმიის პირველი დიდი გამარჯვება 1877-1878 წლების ომში. ამ ოპერაციაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ა. მუსხელიშვილისა და მ. ამირეჯიბის საჯარისო შენაერთებმა.[25]

რუსთა შეტევის შეჩერების მიზნით ოსმალეთმა 1877 წ. აპრილის დამლევს აფხაზეთში გადმოსხა დესანტი (2000 კაცი) და ამ მხარის თითქმის ნახევარი დაიკავა, მაგრამ იმავე წლის ივლისში იგი სასტიკად დამარცხდა მდინარე მოქვთან. 20 აგვისტოს სოხუმიც გაათავისუფლეს და აფხაზეთის ტერიტორია ოსმალებისაგან გაწმინ-

---

[21] „დროება“, 23 ივლისი, 1878.

[22] Макаев И.Р. Историческая записка I-й Гурийской пешей дружины. с. 51.

[23] შ.მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. გვ. 127.

[24] იქვე; Макаев И.Р., დასახ. ნაშრ., გვ. 51.

[25] Война 1877 и 1878 гг., т. III, под ред. Зыкова, СПб., 1882, с. 54-57.

დეს.[26] 1877 წ. შემოდგომაზე კახეთში დაბანაკებულმა რუსეთის ჯარმა, გენერალ ს. ანდრონიკაშვილის მეთაურობით, სასტიკად დაამარცხა ჩეჩნეთისა და დაღესტნის მოლაშქრეები, რომლებიც ოსმალეთის დასახმარებლად ჩრდილოეთიდან დაიძრნენ.

ომის მეორე პერიოდში (1877 წ. ივნის-სექტემბერი) რუსთა არმია თავდაცვაზე გადავიდა. აქტიური საბრძოლო ოპერაციები შეჩერდა. ორივე მხრიდან მიმდინარეობდა ძალების მოკრება ახალი შეტევისათვის. საომარი მოქმედებანი განახლდა 1877 წ. ოქტომბერში. 6(18) ნოემბერს კი, ათი დღის გააფთრებული ბრძოლის შედეგად, რუსთა ჯარმა ლორის-მელიქოვის სარდლობით აიღო ყარსი. აქ თავგანწირულად იბრძოლეს ახალციხისა და თიანეთის სახალხო მოლაშქრეებმა. ოსმალებმა დაკარგეს 2500 ჯარისკაცი და ოფიცერი, ტყეთა სახით 17 ათასი კაცი, მათ შორის 5 ფაშა და 800 ოფიცერი. რუსეთის დანაკარგი მოკლულთა და დაჭრილთა სახით არ აღემატებოდა 2 ათას მებრძოლს.[27]

სულ სხვა სურათი შეიქმნა ბათუმის მიმართულებით. ფრონტის ამ უბანზე ოსმალთა არმია 40 ათას კაცს ითვლიდა. მას უპირისპირდებოდა რუს-ქართველთა 25 ათასიანი ჯარი.[28] აქ შედიოდნენ როგორც რეგულარული სამხედრო შენაერთები, ისე სახალხო მოლაშქრეები. სერგეი მესხი, რომელიც გიორგი წერეთელთან ერთად ახლდა რუს-ქართველთა არმიას, წერდა: „ხუთი ათას კაცამდინ არიან მარტო მილიციონერები ჩვენის მხრით გაყვანილნი ბრძოლის ველზე; ისინი, რა თქმა უნდა, იომებენ, დანარჩენი ხალხი კი, სამხედრო კანონების ძალით, ბრძოლაში ვერ გაერევა. დაუიარაღებელ ხალხს უფლება არ აქვს ხელი გაანძრიოს მტრის წინააღმდეგ".[29]

ომის წინ რუს-ქართველთა ჯარი განლაგებული იყო ოზურგეთში, წმინდა ნიკოლოზის საგუშაგოზე (შეკვეთილში, ნატანებთან ახლოს), ნაგომარსა და ორპირში. ჯარებისა და საბრძოლო მასალების კონცენტრაციის მთავარ ცენტრად იქცა ოზურგეთი. რიონისპირა მხარის ჯარების შტაბი მარტის ბოლოს ქუთაისიდან ოზურგეთში გადმოიტანეს. საბრძოლო მზადებისათვის დიდი მუშაობა ჩატარდა. გაამაგრეს ოზურგეთის გარშემო მდებარე მაღლობები, კერძო საცხოვრებელ სახლებში გახსნეს ჰოსპიტლები, მდინარე ბჟუჟზე ააგეს ბურჯებიანი ხიდი და სხვ. გურიაში დაბანაკებულ ჯარს ოზურგეთის რაზმი ეწოდებოდა. ამ რაზმში აქტიურად მუშაობდნენ გენერალ-მაიორები ლევან და დიმიტრი გურიელები.

1877 წ. 12(24) აპრილს, განთიადისას, რუს-ქართველთა ჯარმა გაარღვია ოსმალეთის დაცვა. შეტევაზე გადავიდა ოზურგეთის რაზმის სამი კოლონა: წმინდა ნიკოლოზის საგუშაგოდან (შეკვეთილ-ნატანებიდან) - მარჯვენა კოლონა, რომელსაც პოლკოვნიკი ი. აბაშიძე მეთაურობდა. შუათანა - გენერალ-მაიორ შელემეტიევის წინამძღოლობით ოჩხამურისაკენ დაიძრა, ხოლო მარცხენა კოლონამ გენერალ-მაიორ დანიბეგოვის (დანიბეგაშვილი) მეთაურობით კურსი აიღო მდინარე ჩოლოქის საგუშაგოსკენ.

ქართული ქვეითი რაზმის (დრუჟინის) შუა კოლონას ი. ჭავჭავაძე მეთაურობდა, ხოლო მარცხენა კოლონას - იესე გურიელი. გენერალი ი. ოკლობჟიო და პოლკოვნიკი გ. ყაზბეგი შუა კოლონაში იყვნენ და საომარ ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანე-

[26] Материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 гг. на Кавказско-Малоазиатском театре, т. VI, Тиф., 1910, с. 264.
[27] Война 1877-1878 гг., т. III, с. 410-416.
[28] Русско-турецкая война 1877-1878 гг., М., 1977, с. 119.
[29] ს.მესხი, თხზულებანი სამ ტომად, ტ. II, თბ., 1963, გვ. 310-311.

ლობდნენ. შუა კოლონაში იყვნენ, აგრეთვე, საკორდონო ხაზის უფროსი პოლკოვნიკი გრიგოლ გურიელი და რაზმის კომენდანტი პოლკოვნიკი ა. მეფისოვი (მეფისაშვილი). გენერალ-მაიორ ლეონ გურიელის (გრიგოლ გურიელის ძმა) რაზმს, რომელიც ოზურგეთში იყო დისლოცირებული, ევალებოდა გურიის დაცვა და ფრონტის ზურგის გამაგრება.

რუს-ქართველთა ჯარმა უეცარი დარტყმით დაიკავა ქობულეთი და ოჩხამური, 13(25) აპრილს ლეღვა, ხოლო 14 (26) აპრილს მუხაესტატეც გაათავისუფლა. მსხვერპლი ორივე მხარეს დიდი იყო. რუსეთის სარდლობა იძულებული გახდა შეტევა შეეჩერებინა, რათა განემტკიცებინა პოზიციები დაკავებულ ტერიტორიებზე. სათანადო მომზადების შემდეგ რუს-ქართველთა ჯარი მორიგ შეტევაზე გადავიდა. გენერალ დანიბეგაშვილის შენაერთმა, გენერალ შელემეტიევის რაზმთან ერთად, 29 აპრილს (11 მაისი) სოფელი ხუცუბანი აიღო. გურული დრუჟინის მეოთხე ასეულმა პორუჩიკ ივანე მაყაშვილის მეთაურობით, გ.ყაზბეგის რაზმთან ერთად, დაიკავა მდ. აჭყეასა და მდ. კინტრიშს შორის ტერიტორია.

ამ საბრძოლო ოპერაციების შემდეგ რუს-ქართველთა საჯარისო შენაერთებში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. 1877 წ. მაისში ოსურგეთის რაზმს დაერქვა ქობულეთის რაზმი, რომლის მეთაურად - დაინიშნა გენერალ-მაიორი დანიბეგაშვილი, ხოლო შტაბის უფროსად - პოლკოვნიკი გ. ყაზბეგი. რაზმი გაძლიერდა ახალი შენაერთებითა და საბრძოლო მასალებით. 16 (28) მაისს რუს-ქართველთა ჯარმა გაათავისუფლა სოფელი სამება და დაიკავა სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვანი მაღლობი სოფ. ზენითთან, მაგრამ მისი შენარჩუნება ეეღარ შეძლო.

რუს-ქართველთა ჯარმა გააძლიერა მზადება ციხისძირზე იერიშისათვის. პიატიგორსკიდან გადმოიყვანეს პოლკი, რომელსაც პოლკოვნიკი ნ. ბუჩიევი (ბუჭყიაშვილი) მეთაურობდა და იგი რეზერვში ჩააყენეს. შეტევითი ოპერაციისათვის გაამზადეს ორი რაზმი - მარცხენა და მარჯვენა კოლონები. მხედრული სიმამაცით გამოირჩეოდნენ გენერალ დანიბეგაშვილის და პოლკოვნიკ გ. ყაზბეგის სამხედრო შენაერთები. ქობულეთის რაზმის შესახებ გ. წერეთელი წერდა: „ამ რაზმში, თუმცა პირადი მამაცობა არ ფასდება, ვინაიდან სიმხდალე აქ წარმოუდგენელია, მაგრამ მათ შორისაც გამოირჩეოდნენ პირადი სიმამაცით ქობულეთის რაზმის უფროსი გენერალი დანიბეგაშვილი და მისი შტაბის უფროსი პოლკოვნიკი გ. ყაზბეგი“.[30]

ბრძოლებში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს სახალხო რაზმელებმა. ბ.კოლუბიაკინის ცნობით, ისინი ფრონტის წინა ხაზზე იყვნენ და ბრძოლის სიმძიმე თავიანთ მხრებზე გადაიტანეს. გაბედულებითა და თაეგანწირული ბრძოლით მათ რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები განცვიფრებაში მოჰყავდათ.[31] მეომრები აღტაცებული დარჩნენ, როდესაც გურიის დრუჟინის მეოთხე ასეულის წევრმა, ყირიმის ომის სამი ორდენის კავალერმა, გოგუაძემ ბრძოლის ველზე 14 წლის ეაჟიშვილი გამოიყვანა.[32]

შემტევი ნაწილები ციხისძირთან ოსმალეთის მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მართალია, ფრონტის ამ მონაკვეთზე ოსმალებს ძალთა უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ამავე დროს რუს-ქართველთა წინსვლა შეაფერხა იმანაც, რომ რუსეთის სამხედრო სარდლობას ციხისძირისა და მისი მიდამოების შესახებ ზუსტი

[30] გ.წერეთელი, პუბლიცისტიკა, გვ. 59-60.
[31] Колубякин Б. Кобулетский отряд, с. 179.
[32] Макаев И.Р., დასახ. ნაშრ., გვ. 67.

ტოპოგრაფიული მონაცემები არ გააჩნდა. 1877 წ. 11(23) ივნისს შეტევა ციხისძირთან წარუმატებლად და ამაოდ დროს დიდი მსხვერპლით დამთავრდა.

მეორე დღეს დიდი შეტაკება მოხდა სოფელ კეირიკეს მთაზე. მსხვერპლი ორივე მხრიდან კელაე დიდი იყო. საერთოდ, 11-12 ივნისის საბრძოლო ოპერაციების დროს რუსეთის მხრიდან ბრძოლის ველზე დაეცა 29 ოფიცერი და 885 ჯარისკაცი. ამის შემდეგ რუს-ქართველთა ჯარმა დატოვა ხუცუბანი, სამება, სხვა ადგილები და მუხაესტატეში დაბანაკდა. რიონისპირა მხარის არმიის შტაბი ოზურგეთიდან ადრინდელი დისლოკაციის ადგილას (ქუთაისი) გადავიდა.

მართალია, 1877 წ. საბრძოლო ოპერაციების დროს რუს-ქართველთა ჯარმა ბათუმი და აჭარა ვერ გაათავისუფლა, მაგრამ ბრძოლის ბედი იმავე წლის შემოდგომაზე გადაწყდა. რუსეთის არმიამ დიდი საბრძოლო წარმატებანი მოიპოვა ანატოლიაში. მან ოსმალეთი ბალკანეთშიც დაამარცხა. გაფთრებული ბრძოლის შედეგად 1877 წ. 28 ნოემბერს (10 დეკემბერი) რუსთა არმიამ აიღო ბალკანეთის უპირველესი ციხესიმაგრე პლევნა და საფრთხე შეუქმნა უშუალოდ კონსტანტინოპოლს.

მიუხედავად ამისა, კავკასიის არმიის სარდლობამ საჭიროდ ჩათვალა საბრძოლო ოპერაციების განახლება ბათუმის მიმართულებით. საამისო სამზადისსაც შეუდგნენ, თუმცა, ეს სულაც არ იყო საჭირო. 1877 წ. 15 ნოემბერს რუს-ქართველთა შენაერთებმა გენერალ-მაიორ დანიბეგაშვილის მეთაურობით სოფელი ხუცუბანი მეორედ დაიკავეს. ქობულეთის რაზმი შეივსო ცოცხალი ძალით, საბრძოლო იარაღითა და მასალებით.

კავკასიის არმიის სარდლობის საბრძოლო გეგმა ითვალისწინებდა მტრისთვის ზურგიდან დარტყმას. ეს ამოცანა დაეკისრა არტაანის რაზმს, რომელიც გენერალ კ. კომაროვის ხელმძღვანელობით ჭოროხის ხეობის გზით ბათუმისაკენ მოემართებოდა. ეს ორი რაზმი გაერთიანდა გენერალ კ. კომაროვის სარდლობით.

ციხისძირთან მეორე შეტევა 1878 წ. 18(30) იანვარს დაიწყო. რუს-ქართველთა მეწინავე ჯარი სამი კოლონისაგან შედგებოდა. მარცხენას გენერალი შელემეტიევი მეთაურობდა, შუას - გენერალი დანიბეგაშვილი, ხოლო მარჯვენას - გენერალი შალიკოვი (შალიკაშვილი). რუს-ქართველთა ჯარი თავგანწირულად იბრძოდა, მაგრამ ეს ოპერაციაც ასევე წარუმატებლად დამთავრდა. მსხვერპლი კიდევ მეტი იყო, ვიდრე 1877 წ. 11-12 ივნისის შეტევების დროს. აქ რუსეთმა დაკარგა ერთი გენერალი (შელემეტიევი), 44 ოფიცერი და 1260 ჯარისკაცი. 1877-1878 წლების ბრძოლების დროს ქობულეთის მხარე მთლიანად გადაიბუგა, მოსახლეობის ნაწილი დაიხოცა, უმრავლესობა უსახლკაროდ დარჩა და თავშესაფარი სხვაგან გამონახა.

გ.წერეთელი წერდა: „...იმ დროს კინტრიშის გამოღმა ქვეყანა, ოცდარვა ვერსი სიგანე და ოცდაათი ვერსი სიგრძე, ქობულეთის მხარე გავერანებული იყო. ხელისგულსავით მოწმენდილი, მდიდარი სოფლების მაგივრად აქა-იქ ტიტველი ბუხრის მილებს ამოეყოთ თავი, თითქოს საზოგადო აოხრების მდუმარე მოწმედ ყოფილიყვნენ დარჩენილნი... აქა-იქ შიმშილით მოწაწკანე ძაღლები ნაოხარ სოფლებში დაწოლილიყვნენ, თითქოს იქ სურდათ სამარის გათხრა, ძველი პატრონისათვის ერთგულების დასამტკიცებლად. ისინი აქ უყარაულებდნენ გადახვეწილს, ან ჩვენი ტყვეით სადმე გაციებულს მეპატრონის ნაოხარს“.[33]

ანატოლიასა და ბალკანეთში განცდილი დამარცხებების შემდეგ ოსმალეთს საომარი მოქმედების გაგრძელების უნარი აღარ შესწევდა. ასეთ ვითარებაში მან

[33] გ.წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 230.

რუსეთს ზავი შესთავაზა. 1878 წ. 19(31) იანვარს მათ შორის დროებითი შეთანხმება დაიდო. 9(21) თებერვალს ოსმალეთმა დათმო ერზერუმიც, რომელიც რუსეთის ჯარის მიერ ალყაშემორტყმული იყო. მოლაპარაკება სან-სტეფანოში გაგრძელდა და 1878 წ. 19 თებერვალს (3 მარტს) ორივე მხარემ ზავს ხელი მოაწერა. ამ ხელშეკრულებით აღიარეს სერბიის, ჩერნოგორიის, რუმინეთის დამოუკიდებლობა. ბულგარეთის ნაწილს ავტონომია ეძლეოდა ოსმალეთის მფლობელობაში, ხოლო მეორე ნაწილში დამოუკიდებელი სამთავრო იქმნებოდა.[34]

ოსმალეთს რუსეთის სასარგებლოდ დიდი კონტრიბუციაც დაეკისრა - 1410 მლნ. რუბლი. მას კი, ფინანსური სიძნელეების გამო, ამ თანხის გადახდა არ შეეძლო. ამიტომ იგი, ნაწილობრივ, ტერიტორიის დათმობით შეიცვალა. აზიაში რუსეთის მფლობელობაში გადმოდიოდა ყარსი, ბაიაზეთი, ერზერუმი, ალაშქერტი, კოლა-არტაანი, შავშეთ-იმერხევი, ლივანა, არტანუჯი, ოლთისი, ტაოსკარი, მაჭახელი, ლაზისტანის ნაწილი, აჭარა-ბათუმ-ქობულეთი. ეს ტერიტორია მდინარე ჩოლოქიდან იწყებოდა და მდინარე ხოფამდე და სოღანლუღის მთებამდე გადიოდა. ევროპაში რუსეთმა ბესარაბიის ნაწილი დაიბრუნა, რომელიც ყირიმის ომის შემდეგ დაკარგა. სან-სტეფანოს ხელშეკრულებით დადგინდა რუსეთის მფლობელობაში გადასული მოსახლეობის მუჰაჯირად წასვლის სამწლიანი ვადა. რუსეთს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში თავისუფლად მიმოსვლის საშუალება ეძლეოდა.[35]

რუსეთის ამ მიღწევებმა შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოები, ისინი საქმეში ჩაერიენენ და სცადეს მისი გამარჯვების გაქარწყლება. მათ რუსეთის წინააღმდეგ გააჩაღეს ცივი ომის ახალი კამპანია, რომელშიც ყველაზე მეტად ინგლისი აქტიურობდა. ამით წაქეზებული ოსმალეთი შეუდგა ახალი ომისათვის სამზადისს. ასეთ ვითარებაში რუსეთი იძულებით დათანხმდა ბერლინის კონგრესის მოწვევას და სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას.

ბერლინის კონგრესზე (1878 წ. 1(13) ივნისი - 1(13) ივლისი) რუსეთმა შეძლო სან-სტეფანოს ხელშეკრულების ძირითადი მუხლების შენარჩუნება. ტრაქტატით რუსეთი ოსმალეთს უბრუნებდა ბაიაზეთს, ერზერუმს, ალაშქერტს; ბათუმი პორტო-ფრანკოდ, ე.ი. თავისუფალ საავჭრო ქალაქად ცხადდებოდა. სამაგიეროდ, კონგრესმა დაადასტურა რუსეთის შემადგენლობაში ყარსის, კოლა-არტაანის, აჭარა-ტაო-კლარჯეთის, შავშეთ-იმერხევის, ლაზისტანის ნაწილის, აგრეთვე ბესარაბიის გადასვლა.[36]

ტრაქტატის მიუხედავად, ოსმალეთი აჭიანურებდა რუსეთისათვის აჭარისა და ბათუმის გადაცემას. ამ საკითხზე ქუთაისში 1878 წ. აგვისტოში რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენლობას შორის მოლაპარაკებაც გაიმართა. რუსეთის სარდლობის მტკიცე მოთხოვნის შედეგად ოსმალები იძულებულნი გახდნენ აჭარა დაეტოვებინათ.

ქობულეთში რუსეთის არმია 17(29) აგვისტოს შემოვიდა. წინ მოუძღოდა გურიის სახალხო ლაშქარი. ადგილობრივი მოსახლეობის სახელით მათ მგზნებარე სიტყვით მიმართა გულო კაიკაციშვილმა:

„ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ ჩვენი ძველი ძმები... აქ ქობულეთში დაგინახათ. ვმადლობ ღმერთს და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი

[34] Сборник договоров России с другими государствами 1856-1917 гг., М., 1952, с. 160-165.
[35] იქვე, გვ. 169-172.
[36] იქვე, გვ. 184-205; ბათუმის პორტო-ფრანკოს შესახებ იხ. ალ.სურგულაძე, მ.სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996.

ნატვრა შესრულდა, ღმერთმა შეგვაერთა.

ეხლა ღვთით მე იმედი მაქვს, რომ რაკი ჩვენს ქვეყანაში ჩვენი ნამდვილი ძმები, ბიძაშვილები და ნათესავთაგან შემდგარი ქართველი ჯარი შემოვიდა... გაეძლიერდებით ჩვენ, ავმაღლდებით სულით, გულით. თქვენც, ჩვენის დაახლოებით გაიხარებთ და მერე ჩვენის ასეთი შეერთებით და ამ ერთიანობის სიყვარულით აღსდგება და გაძლიერდება საქართველო... როგორიც იყო იგი თამარ მეფის დროს. მაშ, გაუმარჯოს ჩვენ შეერთებას და თამარ მეფის დროის საქართველოს აღდგენას და გაძლიერებას.

ძმებო, ძია კაცებო და ჩვენო საყვარელო ქართველებო, გისურვებთ მშვიდობით შესვლას ბათომის ქალაქში. ღმერთმა გააძლიეროს ქართველი მხედრობა".[37]

ბათუმში რუსეთის საჯარისო ნაწილები სამი მხრიდან შემოვიდნენ: 25 აგვისტოს (6 სექტემბერს) ქობულეთიდან - კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილის ნ. სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით, 30 აგვისტოს (11 სექტემბერს) - ართვინის გზით ჭოროხზე გამოვლით, გენერალ კ. კომაროვის, ხოლო 2(14) სექტემბერს ზემო აჭარიდან — გენერალ ტრეიტერის ხელმძღვანელობით.

მათ მოუძღოდა შემოერთებული მხარის მოსახლეობის დეპუტაცია ზემო აჭარიდან შერიფ ხიმშიაშვილის, ხოლო შავშეთ-იმერხევიდან — ნური ხიმშიაშვილის მეთაურობით. 1878 წ. 2(14) სექტემბერს რუსეთის ხელისუფლებამ მათთვის აზიზიეს (დღეს ზვიად გამსახურდიას) მოედანზე სადილი გამართა.[38] გაზეთ „დროების" კორესპონდენტის სიტყვით, ტოლუმბაშობა „იკისრა გენერალმა ხიმშიაშვილმა (შერიფ-ბეგმა), რომელმაც თავისი მახვილობით და აჭარული ბეგობით მთელი იქ მყოფნელების მადლობა დაიმსახურა... ბოლოს შეუდგა სხვა სადღეგრძელოებს და დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: ესეც იმათი სადღეგრძელო იყოს, ვინც ამ ომში მონაწილეობა მიიღო და ჩვენ ძველი და ახალი განაწილებული ქართველები შეგვაერთა! ვისურვოთ იმათი ბედნიერება და სიცოცხლე! არც ჩვენგან და ჩვენი შთამომაელობისაგან დავიწყებული არ იქნება მათი შრომა და კაცობრიობა".[39]

ოსმალთა ბატონობისაგან ქართული მიწა-წყლის განთავისუფლება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამით საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული გამთლიანების გზაზე არსებითი გარდატეხა მოხდა. აღფრთოვანებული ილია ჭავჭავაძე 1879 წ. წერდა: „...შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირსახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა", ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, - დღეს ჩვენ შემოგვიერთდა".[40]

ამასთან დაკავშირებით ამაღელვებელი შეკრება გაიმართა თბილისში მუხრანსკის სასახლეში 1878 წ. 20 ნოემბერს (2 დეკემბერს). მას 90 კაცი დაესწრო, მათგან 16 სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან: შერიფ და ნური ხიმშიაშვილები, ხუსეინ აბაშიძე, ხუსეინ და ხასან ბეჟანიძეები, სული-ბეგ მაჭახლელი (წულუკიძე), ახმედ-ეფენდი მარადიდელი, ოსმანაღა მაკრიალელი, ემინ-ეფენდი მუფტი ზადე არტანუჯელი, პეტროს პუჩინიანი (ართვინიდან) და სხვ. ბანკეტზე მგზნებარე, ღრმა პატრიოტიზმით გამსჭვალული სიტყვები წარმოთქვეს გრიგოლ ორბელიანმა, აკაკი წერეთელმა, სერგეი მესხმა, დიმიტრი ყიფიანმა, ხუსეინ ბეჟანიძემ და სხვებმა. მოწო-

[37] ალ.სურგულაძე. გულო კაიკაციშვილი, თბ., 1973, გვ. 3-4.
[38] Френкель А. Очерки Чурук-су и Батума. Тиф., 1879, с. 96.
[39] „დროება", 8 სექტემბერი, 1878.
[40] ი.ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, თბ., 1955, გვ. 18.

დებასავით გაისმა აკაკი წერეთლის სიტყვები: „...დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია!... ეს ანდერძი იყო: დედა ენა და ერთობა".[41]

შეხვედრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველების სულიერი და ფიზიკური ერთიანობის განმტკიცებაში, მათ ეროვნულ გათვითცნობიერებაში. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, შერიფ ხიმშიაშვილი თავის წერილში „გულწრფელი აღსარება" წერდა, რომ ქართველმა საზოგადოებამ, მისმა მოწინავე რაზმმა „ისეთი საგრძნობი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემს გულში, რომ ვერასოდეს ვერ დავივიწყებ ჩემს დღეობაში მე იმათ დიდ მოვალეობას, წრფელ კაცთმოყვარეობას და მიღებულებას".[42]

სასიხარულო იყო, რომ ოსმალთა ბატონობაში მყოფმა ქართველობამ შეინარჩუნა ეროვნული სახე. რუსეთის სამხედრო კორესპონდენტი ა. ფრენკელი წერდა: „ორას წელიწადზე მეტია, რაც ისინი მოგვშორდნენ. იმათ შეიცვალეს სარწმუნოება, დაემორჩილნენ სხვა უცხო სახელმწიფოს, განსხვავებულ კანონებსა და წესებს, მაგრამ ერთი შეხედვა საკმაოა, რომ ამათში ახლაც ძველი, ნამდვილი ქართველები გამოიცნოს კაცმა: იგივე სახე, იგივე მიხრა-მოხრა, ხასიათი, ზნე, ჩვეულება და სხვა ყველაფერი".[43]

დედასამშობლოსთან დაბრუნების შედეგად შემოერთებული მხარის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. ქართველი ხალხი ჩადგა მისი აღორძინების სამსახურში.

§ 2. რუსული მმართველობის სისტემა და მხარის კოლონიზაცია

რუსული მმართველობის სისტემა. ნებისმიერი იმპერიის ცენტრალური ხელისუფლება თავის პოლიტიკას დაპყრობილ ქვეყნებში საკუთარი მმართველობის სისტემით ახორციელებს. ასე იყო რუსეთშიც. იმპერიის მთავრობა კოლონიებს მართავდა საკმაოდ განშტოებული სამხედრო-პოლიციური აპარატით, რომლის შენახვისათვის არ იშურებდა სახსრებსა და საშუალებებს. ადგილობრივ კოლონიურ მმართველობაზე დიდად იყო დამოკიდებული დაპყრობილი მხარეების რუსულ ორგანიზმთან ეკონომიკურად, სოციალურ-პოლიტიკურად და სულიერად შერწყმა.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად შემოერთებულ ქართულ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა ორი ოლქი - ყარსისა და ბათუმის. ყარსის ოლქში გაერთიანდა კოლა-არტაანი, ოლთისი, აგრეთვე, ისტორიული სომხეთის მიწების ნაწილი. ბათუმის ოლქში - აჭარა, მაჭახელი, ბათუმ-ქობულეთი, ლივანა, შაეშეთ-იმერხეეი, არტანუჯი, ლაზისტანის ნაწილი (გონიო, სარფი, მაკრიალი, ლიმანი).

ბათუმისა და ყარსის ოლქებს რუსეთისათვის განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ 1878 წ. სექტემბერში შეიმუშავეს ამ ოლქების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის და სამმართველო აპარატის

[41] „დროება", 23 ნოემბერი, 1878; იხ. აგრეთვე, აკ.წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV. თბ., 1990, გვ. 170; პბ.სურგულაძე, რ.სურმანიძე, შუქი ნათლისა, ბათ., 1990.
[42] „დროება", 11 ივლისი, 1879.
[43] Френкель А., დასახ. ნაშრ., გვ. 131-132.

სტრუქტურა. 20 სექტემბერს კავკასიის არმიის მთავარსარდალმა მ. რომანოვმა დაამტკიცა დროებითი დებულება, რომლის თანახმად ბათუმის ოლქი დაიყო სამ ოკრუგად (ბათუმის, აჭარის, ართვინის) და ცხრა საპოლიციო უბნად.

თითოეულ ოკრუგში შედიოდა სამ-სამი უბანი: ბათუმის ოკრუგში - ბათუმის, კინტრიშის, გონიოს; აჭარისაში - ზემო აჭარის, ქვემო აჭარის, მაჭახლის; ართვინის ოკრუგში - არტანუჯის, შავშეთ-იმერხევისა და ართვინის საპოლიციო უბნები. ქალაქი ბათუმი, როგორც დიდმნიშვნელოვანი ნავსადგური, იყო ცალკე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული და უშუალოდ გუბერნატორს დაექვემდებარა.[44]

ყარსის ოლქი შედარებით დიდ ტერიტორიას მოიცავდა. ამიტომ იგი 4 ოკრუგად (ყარსის, ყაღზევანის, არტაანის, ოლთისის) და 14 საპოლიციო უბნად დაიყო. აქედან არტაანის ოკრუგში იყო ოთხი საპოლიციო უბანი (არტაანის, ფოცხოვის, ჩილდირის, კოლას), ხოლო ოლთისისაში - ორი (ოლთისი, ტაოსკარი).

ბათუმის ოლქში, ისე როგორც ყარსისაში, შემოიღეს სამხედრო-საპოლიციო მმართველობა. ოლქის გუბერნატორი, ოკრუგების უფროსები და მათი თანაშემწეები მხოლოდ კადრის სამხედროები უნდა ყოფილიყვნენ.

რუსული მმართველობის განმტკიცებისა და სრულყოფის მიზნით 1879 წ. 5 თებერვალს გამოეიდა ახალი დებულება. მის საფუძველზე გაფართოვდა ყარსისა და ბათუმის ოლქების სამხედრო გუბერნატორების უფლებამოსილებანი, სამხედრო-საპოლიციო მართვის სტრუქტურები, რამაც გააძლიერა და განამტკიცა მთელი აპარატი. მათ მოკლე დროში უნდა განეხორციელებიათ შემოერთებული მხარის კოლონიზაცია, რუსულ ორგანიზმთან მისი შერწყმით.

განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ოლქების მმართველობა უშუალოდ კავკასიის არმიის მთავარსარდალს დაექვემდებარა, მისგან იღებდა ინსტრუქციებს და მის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. 1879 წლის 5 თებერვლის დებულებით, სამხედრო გუბერნატორების მთავარი მოვალეობა გახდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების აღკვეთა და კოლონიური რეჟიმის დაცვა-განმტკიცება. ამ მიზნით, გუბერნატორებს უფლება მიეცათ შეექმნათ სამხედრო-საპოლიციო შენაერთები, კავკასიის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე დაეყენებიათ საგამგეო ოლქებიდან მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების მონაწილეთა გაძევების საკითხი და სხვ.

სამხედრო გუბერნატორებს მხოლოდ დაბალი თანამდებობების მოხელეთა დანიშვნის უფლება ჰქონდათ. მაღალი ჩინის მოხელეებს, კერძოდ, ოლქების სამხედრო კანცელარიის, სამხედრო-სამოქალაქო საქმეების გამგებლებს, ოკრუგების უფროსებს, გუბერნატორის წარდგინების საფუძველზე, ნიშნავდა კავკასიის მთავარმართებელი. ადგილობრივ მოსახლეობას იყენებდნენ მხოლოდ დაბალ სამოქალაქო სამსახურში და რიგით პოლიციელებად. დებულება აეალებდა ბათუმისა და ყარსის ოლქების სამხედრო გუბერნატორებს გამოეძებნათ საჭირო მიწები და ეზრუნათ რუსული ახალშენების მოწყობისათვის.[45]

1879 წ. სექტემბრიდან მოყოლებული, თანდათანობით ჩამოყალიბდა საოლქო მმართველობის სტრუქტურები: კანცელარია, სამხედრო და სამოქალაქო საქმეების გამგებლობა, სამშენებლო განყოფილება, პოლიცია, ჟანდარმერია, მომრიგებელი გან-

[44] ამხუ. ს. 64, ფურც. 5; „დროება", 1 ოქტომბერი, 1878.
[45] სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2909, ფურც. 142-145.

ყოფილება, ნოტარიატი, სამედიცინო და ვეტერინარული ნაწილი, აგრონომიული სამსახური, ოკრუგებისა და საპოლიციო უბნების სამმართველო აპარატი.[46] ყველა უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე რუსები დანიშნეს. ბათუმის ოლქის პირველი სამხედრო გუბერნატორი იყო გენერალ-მაიორი კ. კომაროვი, რომელიც 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს სამხედრო შენაერთს მეთაურობდა. კ. კომაროვმა ამ თანამდებობაზე მცირე ხანს დაჰყო. 1881 წ. აპრილში იგი გენერალმა სმეკალოვმა შეცვალა, რომელიც ბათუმის ოლქის გაუქმების შემდეგ (1883 წ.) ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად გადაიყვანეს.

შემოერთებულ რეგიონში მართლმსაჯულების ორგანოებიც მოეწყო იმპერიის კოლონიური ინტერესების შესაბამისად. ერთი მხრივ, შეინარჩუნეს მართლმსაჯულების არქაული ფორმები, რამდენადაც იგი ცარიზმის კოლონიურ ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა. მეორე მხრივ კი შემოიღეს რუსული კანონები და ახალი სასამართლო ორგანოები. იგი დაკანონდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის 1878 წ. 11 დეკემბრის დებულებითა და 1879 წ. 9 მაისის სპეციალური ინსტრუქციით. ამიერიდან ყარსისა და ბათუმის ოლქებზეც ვრცელდებოდა მთავრობის 1864 წ. 20 ნოემბრის სასამართლო დებულება და 1866 წ. 14 აპრილის კანონი ნოტარიუსის შესახებ. დაწესდა, რომ რუსული კანონებით გაარჩევდნენ, ძირითადად, სისხლის სამართლისა და იმ სასარჩელო საქმეებს, როდესაც ერთ-ერთი მოსარჩელე არამკვიდრი იყო.

ყარსისა და ბათუმის ოლქებში არ შექმნილა რუსეთის სასამართლოების ანალოგიური ორგანოები. მეფის მთავრობამ მოტივად გამოიყენა ის, რომ აქ ძველთაგანვე მოქმედებდა სიტყვიერი (ადათობრივი, სახალხო) სასამართლოები („სლოვესნი სუდ"). ამის მიუხედავად, მათ უფლებას არ აძლევდნენ განეხილათ სისხლის სამართლის, უძრავი ქონების შეძენა-გასხვისების საქმეები, რაც ქუთაისის გუბერნიის საოკრუგო სასამართლოს კომპეტენცია იყო.

მართალია, ბათუმის ოლქში 1879 წლიდან მომრიგებელი სასამართლო არსებობდა, მაგრამ ადმინისტრაციულად იგი ქუთაისის საოკრუგო სასამართლოს ექვემდებარებოდა. მისი უფლებამოსილება განისაზღვრებოდა წერილმანი საქმეების განხილვით. დამნაშავეს 2000 მანეთამდე დააჯარიმებდა, ანდა მიუსჯიდა 3 თვით პატიმრობას. ამიტომ ბათუმის ოლქის მცხოვრებთა საქმეების გარჩევა, ძირითადად, ქუთაისის სასამართლოში ხდებოდა, ყარსის ოლქის მოსახლეობისა კი - ერევანში. ამის გამო სასარჩელო საქმეებზე სიარული ერევანსა და ქუთაისში, ისიც მაშინდელ პირობებში, აუტანელი იყო. ამასთან, პროცესი მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, რომელიც ადგილობრივმა მოსახლეობამ არ იცოდა.[47]

სიტყვიერი სასამართლოები წარსულში ცნობილი იყო მეჯლისის სახელით და მოსახლეობაში დიდი აუტორიტეტით სარგებლობდა. მართალია, დარღვევები და უსამართლობა მართლმსაჯულების ამ არქაულ ფორმაშიც იყო, მაგრამ სასარჩელო საქმეებს თვითონ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები არჩევდნენ და ოსმალეთის მთავრობა მასში აშკარად ვერ ერეოდა. რუსეთის მთავრობამ კი ეს სასამართლოები თავის სამხედრო-საპოლიციო მმართველობას დაუმორჩილა და არარაობად აქცია.

ამის დასტურია მთავრობის საკანონმდებლო აქტებიც და მოხელეების პრაქტი-

[46] Батумъ и его окресности. Бат., 1906, с. 465; სცსსა, ფ. 1149, ან. 13, ს. 7, ფურც. 61-63.

[47] ო. თურმანიძე, რუსული მმართველობის სისტემა აჭარა — ტაო-კლარჯეთში. ჟურნ. „ჰოროხი", 1996, №8, გვ. 131-132.

კული მოქმედებაც. კავკასიის არმიის მთავარსარდლის 1879 წ. 9 მაისის სპეციალური ინსტრუქციით ბათუმის ოლქში რვა სიტყვიერი სასამართლო შეიქმნა, განისაზღვრა მათი შემადგენლობა, უფლება-მოვალეობანი და საქმიანობის წესები.[48]

ამ სასამართლოდან ერთი იყო საოლქო (ქ.ბათუმში), ერთიც — საოკრუგო (დაბა ართვინში), ხოლო ექვსი - საპოლიციო-საუბნო. საოკრუგო და საუბნო სასამართლოები პირველი ინსტანციის, ხოლო საოლქო სიტყვიერი სასამართლო — მეორე ინსტანციის ორგანოებად ითვლებოდა. სასარჩელო საქმეებზე საბოლოო სიტყვა კავკასიის არმიის მთავარსარდალს ეკუთვნოდა.

სიტყვიერი სასამართლოების თავმჯდომარესა და მოსამართლეს (ყადი) მთავრობა ნიშნავდა. მოსახლეობას უფლება ეძლეოდა მონაწილეობა მიეღო დეპუტატების არჩევაში, მაგრამ ფორმალურად არჩეული დეპუტატები მაშინ ითვლებოდნენ უფლებამოსილად, თუ მთავრობა დაამტკიცებდა. მაგალითად, საპოლიციო-საუბნო სიტყვიერი სასამართლოების დეპუტატებს ოკრუგის უფროსის წარდგინებით გუბერნატორი ამტკიცებდა. საუბნო სიტყვიერ სასამართლოში 3, ხოლო საოკრუგოში 4 დეპუტატს ირჩევდნენ სამი წლის ვადით.[49]

როგორც წესი, სიტყვიერი სასამართლოების თავმჯდომარეები იყვნენ: საოლქოსი - სამხედრო გუბერნატორი, საოკრუგოსი - ოკრუგის უფროსი, უბნებში - საპოლიციო უბნის უფროსები. ფაქტობრივად, სასარჩელო საქმეებს ცარიზმის მოხელეები წყვეტდნენ. ოკრუგის მეჯლისის განაჩენი მაშინ შედიოდა ძალაში, როდესაც მას ოლქის სამხედრო გუბერნატორი დაამტკიცებდა.

საოლქო მეჯლისის გადაწყვეტილების მოქმედებაში შესვლისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გუბერნატორის აზრს. იმ შემთხვევაში, თუ ის თანახმა არ იყო სასამართლოს განაჩენისა, გამოძიება თავიდან იწყებოდა და საქმეც ხელმეორედ იხილებოდა. სასამართლოს გადაწყვეტილებას კი კავკასიის არმიის მთავარსარდალი ამტკიცებდა. საკუთრივ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს უფლება ჰქონდა დამნაშავე თავისი შეხედულებით დაესაჯა: სამი თვის ვადით დაეპატიმრებინა, ანდა 300 მანეთამდე დაეჯარიმებინა.[50]

სასამართლო საქმეების გარჩევისას და განაჩენის გამოტანისას თვითნებობასა და განუკითხაობას ჰქონდა ადგილი. დავით კლდიაშვილი აღწერს კავკასიის მოხელეების, კერძოდ, მთავარმართებელ გოლიცინის უშუალო მონაწილეობას ფირალების — მევლუდ დიასამიძისა და ილიას ხელაძის ბედის გადაწყვეტაში. მევლუდ დიასამიძე ადრე პოლიციელად მუშაობდა, ბრალად დასდეს ვინმე მგზავრის გაძარცვა. იგი დააპატიმრეს, მაგრამ ციხიდან გაიქცა და ფირალად გავარდა. მთავრობამ დაიჭირა და ბათუმში გაასამართლა.

დ. კლდიაშვილი იყო ამ პროცესის ერთ-ერთი თარჯიმანი. სასამართლოს თავმჯდომარეს დაეალა მევლუდ დიასამიძისათვის სასიკვდილო განაჩენის (ჩამოხრჩობა) გამოტანა, მაგრამ სასამართლომ ბრალდებულს მუდმივი პატიმრობა მიუსაჯა. ამ ფაქტმა გოლიცინი გააცოფა, პეტერბურგში უმაღლეს სასამართლოს განაჩენი შეაცვლევინა და მევლუდ დიასამიძეს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს.[51]

მმართველობის ყველა რგოლში საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა,

---

[48] Обзор Батумской области за 1903 год. Бат., 1904, с. 2-3.
[49] იქვე.
[50] სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2909, ფურც. 142.
[51] დ.კლდიაშვილი. ჩემი ცხოვრების გზაზე. ბათ., 1984, გვ. 31-32.

რაც მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. როგორც გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი აღნიშნავდა, აჭარის მოსახლეობა იმედით შეჰყურებდა ამ მხარეში რუსების შემოსვლას, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა. „ჩვენ არ მიგვიღეს არაეთარ სამსახურში, არ გვთელიან რუსეთის სხვა ქვეშევრდომების თანაბარ მოქალაქეებად, არ ეიცით რუსული ენა, რუსული კანონები და ამით უფრო დაჩაგრულები ვართ“.[52]

ადგილობრივი მოსახლეობის შეეიწროებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბათუმის ოლქის პირველი სამხედრო გუბერნატორი გენერალი კ. კომაროვი. იგი ფარულად თუ აშკარად ხელს უწყობდა აქაური მოსახლეობის აყრა-გადასახლებას, ე.წ. მუჰაჯირობას. სწორედ მისი მმართველობის დროს ჩაეყარა საფუძველი აჭარის კოლონიზაციას, არაქართველების მიერ ადგილ-მამულების შეძენას.[53]

ალექსანდრე მეორის მკვლელობის შემდეგ იმპერიაში გაძლიერდა პოლიტიკური რეაქცია. კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა მთავარმართებლის პოსტით შეიცვალა. 1883 წ. გაუქმდა ბათუმის ოლქი და მის ნაცვლად შეიქმნა ორი ოკრუგი - ბათუმისა და ართვინის, რომლებიც ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს. ამ უკანასკნელს ამიერიდან სამხედრო გუბერნატორი მართავდა. ასე იყო 20 წლის განმავლობაში.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს 1903 წ. 17 მარტის დადგენილებით ამავე წლის პირველი იელისიდან აღადგინეს ბათუმის ოლქი. ამჯერად იგი დაიყო ორ ოკრუგად და შვიდ საპოლიციო უბნად. ოლქს წინანდებურად განაგებდა სამხედრო გუბერნატორი. მისი უფლებები არ შემცირებულა. პირიქით, რამდენადმე კიდევაც გაიზარდა. იგი თანამდებობით კავკასიის მთავარმართებლისა თუ მეფისნაცვლის მოადგილის დონეზე დარჩა.

ბათუმის ოლქის აღდგენის შემდეგაც, როგორც ადრე, სამხედრო გუბერნატორის, ოკრუგების უფროსების, მათი თანაშემწეების თანამდებობები კადრის გენერლებსა და ოფიცრებს ეკავათ. 1903-1905 წლებში ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორად ფონ-პარკაუ მუშაობდა. 1906 წ. ოლქის გუბერნატორი იყო გენერალ-ლეიტენანტი მიხეევი. 1907 წ. იგი შეცვალა ბ.რომანოვსკი-რომანკომ, რომელმაც ამ თანამდებობაზე 1917 წლამდე დაჰყო.

1903 წლამდე ბათუმის ოკრუგის მმართველობაში თითო-ოროლა ქართველიც მონაწილეობდა. პირველ უფროსად გრიგოლ გურიელი დანიშნეს, რომელიც 1880 წ. აპრილში სამსონ ლორთქიფანიძემ შეცვალა. იგი ამ თანამდებობაზე თხუთმეტ წელზე მეტ ხანს მსახურობდა. 1879-1900 წლებში ქვემო აჭარის საპოლიციო უბნის უფროსად იყო ამ მხარის მკვიდრი თუფან შერვაშიძე. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ზემო აჭარის საპოლიციო უბნის უფროსად მუშაობდნენ: გ. ბერიძე, ს. ჯაფარიძე და მეფისაშვილი. ართვინის საპოლიციო უბნის უფროსები იყვნენ ახმედ ხალვაში, იასონ აბაშიძე, გონიოს უბნისა - იანე მახვილაძე. 1903-1917 წლებში ქართველების გამოყენება უკეე იშვიათობაა. ერთადერთი პიროვნება, რომელიც 1910-1912 წლებში ზემო აჭარის საპოლიციო უბნის უფროსად მსახურობდა, იყო ჯემალ შერიფის ძე ხიმშიაშვილი.

რამდენადმე გამორჩეული იყო ქალაქ ბათუმის მართვა-გამგეობის სისტემა და ფორმა. ბათუმი 1878 წ. თავისუფალ საეაჭრო ქალაქად გამოცხადდა. ასე იყო 1886

[52] „დროება“, 16 იანვარი, 1882.
[53] „დროება“, 29 აპრილი, 1881.

წლამდე. მეფის რუსეთის ხელისუფლებამ ბათუმის მართვა-გამგებლობის განსაკუთრებული წესები და სტატუსი შემოიღო. ქალაქი ოკრუგის შემადგენლობაში არ შედიოდა და საკუთარი ბიუჯეტი ჰქონდა. ბათუმზე დიდხანს არ გავრცელებულა 1870 წ. საქალაქო თვითმმართველობის დებულება.

ბათუმს 1878-1888 წლებში მართავდა პოლიცმეისტერი. მას ეხმარებოდა 4 დეპუტატი, რომელთაც ქალაქის მოსახლეობის ზედაფენები ირჩევდნენ. მათ რაიმე რეალური უფლებები არ გააჩნდათ. ქალაქის ცხოვრების ყველა საკითხს პოლიცმაისტერი წყვეტდა. დეპუტატების მოვალეობას შეადგენდა პოლიცმაისტერისათვის დახმარების გაწევა გადასახადების გაწერა-აკრეფაში. ქალაქის პირველი პრისტავი და პოლიცმაისტერი იყო ქართველი დ. ჟურული, შემდეგ ამ თანამდებობაზე ეროვნებით რუსი, ვინმე ვოზნესენსკი დანიშნეს.

ბათუმელები 1885 წლიდან მოითხოვდნენ საქალაქო თვითმმართველობის შემოღებას. საამისოდ არაერთი თხოვნა მიართვეს როგორც ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, ისე კავკასიის მთავარმართებელსა და პეტერბურგის საიმპერატორო კარს. მხოლოდ 1888 წ. აპრილში დათანხმდნენ ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოღებას, მაგრამ იგი მეტად შეზღუდული იყო. კერძოდ, ქალაქის სამშენებლო ნაწილი ქუთაისის გუბერნატორს დაექვემდებარა, ხოლო ქალაქის თავს პირველი ოთხი წლის განმავლობაში მთავრობა ნიშნავდა.[54]

1888 წ. სექტემბერში მოეწყო ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის საკრებულოს არჩევნები. სათათბიროში აირჩიეს 36 ხმოსანი. გამგეობაში სამი კაცი შევიდა. ქალაქის თავად მთავრობის მოხელე კ. დ. გავრონსკი დაინიშნა. სათათბიროს არჩევნებისას დიდი ქონებრივი ცენზი იყო დაწესებული. ამით საეკლესიო-სამრეწველო ბურჟუაზია სარგებლობდა და სათათბიროში თავისი წარმომადგენლები გაჰყავდა.[55]

ბათუმის სათათბიროს ხმოსნებმა ქალაქის თავის არჩევის უფლება 1894 წელს მიიღეს. ამ წელსვე, არჩევნებამდე, ქალაქის თავად კ. გავრონსკის ნაცვლად ა. კოინდერი დაინიშნა. უფრო ადრე საქალაქო სათათბიროს არჩევნების დებულებაც შეიცვალა. 1894 წ. ოქტომბერში ბათუმის საქალაქო სათაბიროს მეორე არჩევნები გაიმართა (წესით უნდა გაემართათ 1892 წელს). უმრავლესობა ქართველებმა მიიღეს და ქალაქის თავად გაიყვანეს ლუკა ასათიანი, გამგეობის წევრებად - გრ. ვოლსკი, ი. ივანოვი, ხოლო მდივნად - ი. მესხი.

შემდეგში ბათუმის სათათბიროს არჩევნები ყოველ ოთხ წელიწადში ეწყობოდა. 1901 წ. ქალაქის თავის თანამდებობაზე ლუკა ასათიანი ივანე ანდრონიკაშვილმა შეცვალა, რომელიც ამ პოსტზე 1915 წლამდე დარჩა.[56] სათათბიროში ქართველები ყოველთვის უმრავლესობას შეადგენდნენ. ი. მესხი გამგეობის უცვლელი მდივანი იყო 1918 წლამდე.

მართალია, საქალაქო თვითმმართველობა, კერძოდ, სათათბირო რუსული მმართველობის სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ სათათბიროში ქართველების აქტიური მონაწილეობა, ქალაქის თავად ქართველების არჩევა ამ ორგანოს ახლებურ იერსახეს აძლევდა. ბათუმის სათათბირო, განსაკუთრებით კი მისი გამგეობა, დიდ მუშაობას ეწეოდა ქალაქის მეურნეობის, განათლების, კულტურის განვითარები-

[54] ა.ბენდიანიშვილი, საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში. თბ., 1982, გვ. 2, 258.
[55] იქვე. გვ. 230-231.
[56] Памятная книжка гласных Батумской городской думы на 1914 год. Бат., 1915, с. 56-57.

სათვის.

სოფლად რუსული მმართველობის სისტემა 1900 წელს შემოიღეს. მანამდე კი ყარსისა და ბათუმის ოლქებში სოფლის მმართველობის ოსმალური წესები არსებობდა. ოსმალთა ბატონობის დროს სოფელი იურიდიული ერთეული არ იყო და მმართველობის ორგანოები არ ჰქონდა. მუხტარი (მამასახლისი) სოფლად მხოლოდ გადასახადებს კრეფდა. იგი სახელმწიფო მოხელედ არ ითვლებოდა და არც ჯამაგირი ეძლეოდა.

1900 წ. 22 ივლისს გოლიცინმა დაამტკიცა ყარსისა და ბათუმის ოლქების სასოფლო მმართველობის დებულება. ამიერიდან აღნიშნულ ოლქებში შემოდიოდა სასოფლო მმართველობის რუსული წესები და სისტემა. სასოფლო მმართველობა ორსაფეხურიანი იყო. პირველს სოფლის საზოგადოება შეადგენდა, რომელშიც ერთი ან რამდენიმე პატარა დასახლებული პუნქტი შედიოდა. მეორე იყო სასოფლო ოკრუგი. მასში რამდენიმე, ან ერთი დიდი სოფელი ერთიანდებოდა.[57]

სოფლის საზოგადოების მმართველობის უმაღლესი ორგანო იყო კრება. მასში მონაწილეობდა სოფლის ყველა მუდმივი მცხოვრები, ირჩევდნენ მამასახლისს, მის თანაშემწესა და საგადასახადო საქმის მოხელეს, რომელთა კომპეტენციაში შედიოდა ადგილობრივი მნიშვნელობის მეორეხარისხოვანი საკითხების მოგვარება. მმართველობის ძირითადი რგოლი სასოფლო ოკრუგი იყო. მას სათავეში ედგა თავმჯდომარე (უფროსი), რომელსაც ერთი ან რამდენიმე მოადგილე ჰყავდა. სასოფლო ოკრუგის კრების წევრებად იყვნენ სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენლები. სასოფლო ოკრუგის მმართველობას თავისი ადმინისტრაციული აპარატი გააჩნდა (მდივან-მწერალი, სტრაჟნიკი და სხვ.), რაც სოფლის საზოგადოების მმართველობას არ ჰქონდა.[58]

სასოფლო მმართველობის მთელი ხარჯები მოსახლეობას დააკისრეს. იგი საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა. ახალი მმართველობის შემოღებით სოფლად დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერები და სიძნელეები შეიქმნა. აქაური პირობები: მთაგორიანი რელიეფი, უგზოობა, ერთმანეთისაგან დაშორებული მცირე დასახლებების სიმრავლე სიძნელეებს კიდევ უფრო ზრდიდა. 1906 წ. ყარსის ოლქში შედიოდა 812 სოფელი, სადაც ცხოვრობდა 296895 კაცი, ე.ი. მოსახლეობის საერთო რაოდენობის 93%. ოლქი 47 სასოფლო ოკრუგად და 200-ზე მეტ სოფლის საზოგადოებად დაიყო.[59]

ბათუმის ოლქი ტერიტორიულად და მოსახლეობის რაოდენობით ჩამოუვარდებოდა ყარსის ოლქს. აქ 1906 წ. სოფლად 121 832 მცხოვრები ითვლებოდა (ბათუმის ოკრუგში - 63 414, ხოლო ართვინისაში - 58 418), მაგრამ რელიეფი უფრო რთული ჰქონდა და ერთმანეთს დაშორებული მცირე დასახლებული პუნქტები სჭარბობდა. ბათუმის ოლქში 462 სოფელი შედიოდა (ბათუმის ოკრუგში - 300, ართვინისაში - 162) და ადმინისტრაციულად 22 სასოფლო ოკრუგად და 108 სოფლის საზოგადოებად იყოფოდა.[60] თითოეულ საპოლიციო უბანში, კინტრიშის უბნის გამოკლებით, სამ-სამი სასოფლო ოკრუგი ირიცხებოდა.

საერთო შეფასებით რუსული მმართველობის წესები და სისტემა უფრო ბიუროკრატიული იყო, ვიდრე ოსმალური. ადრე ადგილობრივ პრივილეგირებულ წოდებას

[57] Положение о сельском управлении Карской области, Батумского и Артвинского округов Кутайской губернии. Тиф., 1900, с. 1.
[58] იქვე, გვ. 2-3.
[59] Обзор Карской области за 1906 год, Карс, 1907, с. 3.
[60] КК на 1907 год. Тиф., 1906, с. 156-158.

ხელი მიუწვდებოდა მმართველობის სტრუქტურებში. ხიმშიაშვილებს, თაედგირიძეებს, აბაშიძეებს, ბეჟანიძეებს, ჯაყელებს საკმაოდ მაღალი პოსტები ეკავათ და სამხედრო-საპოლიციო ჩინებსაც ატარებდნენ.

ცარიზმის ბატონობის დროს ყარსისა და ბათუმის ოლქების გუბერნატორებად ქართველები საერთოდ არ ყოფილან. ოკრუგებისა და საპოლიციო უბნების უფროსებად კი - იშვიათად. ორმოცი წლის მანძილზე ოკრუგების უფროსად მხოლოდ ორი ქართველი მსახურობდა (გრიგოლ გურიელი და სამსონ ლორთქიფანიძე). საპოლიციო უბნების უფროსად შვიდი ქართველი (მეფისაშვილი, ბერიძე, ხალვაში, აბაშიძე, მახვილაძე, ხიმშიაშვილი, შერვაშიძე). მთავრობის აზრით, მკვიდრთა გამოყენება სახელმწიფო თანამდებობებზე საშიში და საზიანო იქნებოდა რეგიონის კოლონიზაციისათვის.

მხარის კოლონიზაცია. XIX საუკუნის ბოლოს რუსეთი მსოფლიოში ერთ-ერთ დიდ კოლონიურ სახელმწიფოდ ითვლებოდა. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად ცარიზმმა ამიერკავკასიაში დამატებით 23.108 კმ^2 ტერიტორია შეიძინა. აქედან 15.392 კმ^2 იყო საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი.[61]

ცარიზმი ყველა საშუალებით ცდილობდა არ დაეშვა ქართული მხარეების კონსოლიდაცია, მათი ერთიან ეროვნულ ორგანიზმად შეკვრა. ამიტომ სხვადასხვა კუთხის ქართველობას ერთმანეთს უპირისპირებდა. რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წ. აღწერის მასალებში შემოერთებული მხარის მოსახლეობა თურქებად იყო წარმოდგენილი.[62] ოფიციალურ დოკუმენტებშიც კი ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ადგილობრივ მოსახლეობას ველურებსა და ფანატიკოსებს უწოდებენ.[63] ამავე დროს ცარიზმი აქაური მოსახლეობის მიმართ, პოლიტიკური მოტივაციით, გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდა: ნაკლებად ერეოდა მათ ყოფა-ცხოვრებაში, რელიგიასა და ადათ-წესებში, რათა ადგილი არ ჰქონოდა მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველების დაახლოებას.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ეკონომიკური სარგებლობა რუსეთისათვის. მას, ამიერკავკასიის სხვა მხარეებთან ერთად, რუსეთისათვის უნდა გაეგზავნა სამხრეთული პროდუქცია (აბრეშუმი, ბამბა). რუსეთის მფლობელობაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გადასვლის შემდეგ კოლონიური პროდუქციის ასორტიმენტი გაიზარდა. ამიერიდან იგი რუსეთს ჩაის, ციტრუსებს, ზეთისხილს, თამბაქოს და სხვა პროდუქტებს მიაწვდიდა.

საქართველოს, კერძოდ, აჭარის მნიშვნელობა რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებში სატრანზიტო ეაჭრობითაც გამოირჩეოდა. იგი დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი იყო. ბათუმს, როგორც საზღვაო ჭიშკარს, იმპერიის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკაში მთავარი ადგილი ეკავა მხარის ათვისებას. ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას არაქართველი, კერძოდ, რუსი კოლონისტების ჩამოსახლება და მათთვის ახალშენების მოწყობა კოლონიური ბატონობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საფუძვლად მიაჩნდა. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი 1910 წ. კავკასიის მეფისნაცვალს სწერდა: „რუსეთის სახელმწიფო ინტე-

[61] Обзор Карской области за 1906 год. Карс, 1907, с. 2-3; КК на 1902 год. Тиф., 1901, с. 28-29.
[62] Первая всеобщая перепись населения российской империи 1897 г., Карская область. Тиф., 1904, с. 28-29; Кутайская губерния. Тиф., 1905, с. 88-89.
[63] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 1105, ფურც. 3; Обзор Батумской области за 1903 год. Бат., 1904, с. 1.

რესებიდან გამომდინარე, სასურველია, ადგილობრივი მოსახლეობის ემიგრაციაში წასვლა, უწინარესად იმ რაიონებიდან, სადაც კარგი ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობები, მდიდარი წიაღისეულია". ასეთ რაიონებად გუბერნატორი თელიდა კინტრიშის უბანს, გონიოს უბნის სარფის სასოფლო ოკრუგს, ართვინიდან — მურღულის ხეობას. რუსები აქ უნდა დავასახლოთ მტკიცედ მოფიქრებული გეგმით. ბათუმის ოლქის დანარჩენი ნაწილი კი მთაგორიანია, ძნელად მისასვლელია და ამდენად, ცხოვრებისათვის გამოუსადეგარია.[64]

მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ამ მხარის პოლიტიკური დაპყრობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რუსულ ორგანიზმთან მის მიერთებას. ეს ამოცანა მაშინ გადაწყდებოდა, როდესაც მას სოციალურ-ეკონომიკურად და დემოგრაფიულად აითვისებდა. ხელისუფლება ამას არც მალავდა. იმპერატორი ნიკოლოზ I ამბობდა, რომ კოლონისტებს კავკასიაში უნდა განმტკიცებინათ ცარიზმის ბატონობა და უზრუნველეყოთ ადგილობრივი მოსახლეობის სრული მორჩილება.[65] მეფისნაცვლის კანცელარიის 1845 წ. 29 ნოემბრის დოკუმენტში ნათქვამია: ამიერკავკასიაში რუსების ჩამოსახლება სასარგებლოა როგორც რუსეთის პოლიტიკური მფლობელობის განმტკიცების მიზნით, ისე სამრეწველო განვითარებისათვის.[66]

კოლონიური ბატონობის განმტკიცებაში, უწინარესად, იგულისხმებოდა რუსული ენის, ფსიქოლოგიის, წესების დამკვიდრება.[67] რუსული ახალშენების მოწყობით საქართველოში დემოგრაფიული სიტუაცია მკვეთრად შეიცვლებოდა. ასეთ პირობებში უკიდურესად შეეიწროვდებოდა ქართული ენის მოქმედების არეალი, მკვიდრი ეროვნების წინააღმდეგობაც ძალას დაკარგავდა და მათი დამორჩილება ადვილად მოხერხდებოდა.

ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში კოლონისტების ჩამოსახლება და რუსული ახალშენების მოწყობა XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან დაიწყო. 1817-1819 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში გერმანელთა 500,[68] ხოლო 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ოსმალეთიდან სომეხი და ბერძენი ეროვნების ექვსი ათასი კომლი ჩამოასახლეს. ყველა ისინი მიწით უზრუნველყვეს, თან კრედიტებიც მისცეს.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა საქართველოში რუსების ჩამოსახლება. აქ იქმნებოდა სამიწათმოქმედო და სამხედრო კოლონიები. 1854 წ. ბოლოს საქართველოში 21 რუსული ახალშენი იყო (13 თბილისის, ხოლო 8 ქუთაისის გუბერნიაში). 1859 წლიდან რუსული სამხედრო ახალშენები სამხედრო უწყებიდან სახელმწიფო ქონებათა უწყებას დაექვემდებარა. აქ მცხოვრები რუსები კი სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში გადაიყვანეს.[69]

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ გაიზარდა რუსეთის საკოლონიზაციო მიწები საქართველოში. ეს იყო ახალი რეგიონების შემოერთების საფუძველზე შექმნილი მიწების ფონდი. მასში მუჰაჯირების მიწებიც შეეიდა. მთავრობა მაშინვე შეუდგა ადგილ-მამულების სახაზინო საკუთრებაში გადარიცხვას და რუსუ-

[64] ამხე, ს.220, ფურც. 41-42.
[65] Акты, т. 8, с. 381.
[66] Акты, т. 10, с. 110.
[67] Колониальная политика царизма в Азербайджане. I, М.-Л., 1936, с. 280.
[68] Акты, т. 8, с. 230-231; გ.მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბ., 1974, გვ. 77.
[69] Акты, т. 12, с. 1349.

ლი ახალშენების მოწყობას.

კავკასიის არმიის მთავარსარდლის ნ. სვიატოპოლკ-მირსკის 1879 წლის 5 თებერვლის ინსტრუქცია ავალებდა ყარსისა და ბათუმის ოლქების სამხედრო გუბერნატორებს განსაკუთრებული მზრუნველობა გამოეჩინათ ამ მხარეებში საკოლონიზაციო მიწების შერჩევისა და რუსი ეროვნების მოსახლეობის ჩამოსახლებისათვის. ამასთან, მთავარსარდალი ითვალისწინებდა მკვიდრი მოსახლეობის მცირემიწიანობას და მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად გუბერნატორებს ურჩევდა საკოლონიზაციო მიწების შერჩევისას არ შეელახათ ადგილობრივ მცხოვრებთა უფლებები. [70]

მცირემიწიანობის მიუხედავად, ბათუმის ოლქში რუსული ახალშენების მოსაწყობად მიწები მაინც გამონახეს. აქ პირველი რუსული ახალშენი 1881 წ. მოეწყო ქობულეთის მახლობლად, ფიჭვნარში. მისთვის 2440 დესეტინა შეარჩიეს. მას სმეკალოვკა ეწოდა (ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ა. სმეკალოვის პატივსაცემად).

სმეკალოვკაში რუსი მოახალშენეების პირველი ჯგუფი, სულ 114 ოჯახი, 1881 წ. ჩამოასახლეს. თითოეულ კომლს ოფიციალურად 14 დესეტინა სავარგული გადასცეს, გამოუყვეს საერთო სარგებლობის საძოვრები და სათიბები. სახელმწიფო ფინანსურადაც დაეხმარა. 1884 წელს მოახალშენეებს 4991 რუბლი, ხოლო 1900 წ. - 2150 რუბლი საჩუქრად გადასცეს. ასეთი დახმარება მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა.

რუსი გლეხები პირველ წლებში ვერ შეეგუვნენ აქაურ კლიმატურ პირობებს (მაღალი ტენიანი ჰაერი, მალარიის საშიშროება) და მათი დიდი ნაწილი უკან გაბრუნდა. 1897 წ. სმეკალოვკაში 49 კომლიღა დარჩა.[71] მალე აქაურობას კოლონისტების ახალი ტალღა მოასკდა. უკვე 1917 წ. ბოლოს სმეკალოვკაში 234 კომლი (1031 სული) მოახალშენე სახლობდა.[72] ეს სოფელი აჭარაში ყველაზე მსხვილი კოლონისტური დასახლება იყო.

ფიჭვნარში რუსული ახალშენის შექმნას ქართული პერიოდიკაც გამოეხმაურა. გაზეთი „ივერია“ ერთ-ერთ თავის კორესპონდენციაში მიუთითებდა, უკვე ექვსი წელია ჩურუქ-სუში (ქობულეთი) ახალშენი აქვთ რუსებს, სადაც 100-მდე კომლი სახლობსო.[73]

აჭარაში მეორე რუსულ ახალშენს 1892 წელს ჩაეყარა საფუძველი ბათუმის შემოგარენში (ბარცხანა). მას „ხოლოდნაია სლობოდა“ შეარქვეს. აქ დასახლებულ რუს მოახალშენეებს მუჰაჯირებისა და სახაზინო მიწები გადასცეს.[74]

XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის მთავრობის მოხელეებმა დეტალურად შეისწავლეს ბათუმის ოლქში რუსული ახალშენების შექმნის შესაძლებლობანი. ზღვისპირა ზოლის გარდა, ისინი ეწვივნენ ზემო და ქვემო აჭარას, მაჭახელს, შავშეთიმერხეულ, ლიეანას, არტანუჯს, მაგრამ კოლონისტებისათვის თავისუფალი მიწები ვერ აღმოაჩინეს. მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებული კავკასიაში 1898 წლის 21 ოქტომბერს მთავარმართებელს მოახსენებდა, რომ აქ ახალშენების შექმნისათვის თავისუფალი მიწები არ მოიპოვებოდა.[75]

სამაგიეროდ, ნაყოფიერი მიწების სიუხვით გამოირჩეოდა ყარსის ოლქი. 1880-

[70] სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს.2909, ფურც. 145.
[71] ამხე, ს. 172, ფურც. 12-15, 186.
[72] იქვე, ს. 216, ფურც. 13.
[73] „ივერია“, 17 მაისი, 1887.
[74] ამხე, ს. 235, ფურც. 45-46.
[75] სცსსა, ფ. 12, ან. 11, ს. 2011, ფურც. 116-117.

1903 წლებში აქ ხუთი რუსული კოლონია შეიქმნა (გიულგერანი, ოდინცოვსკი, პლოდოროდნენსკი, გოლიციინსკი, პეტროპაველოვსკი), სადაც 1365 მოახალშენე ცხოვრობდა. მათ 8358 დესეტინა ნაყოფიერი მიწა გამოუყვეს, ერთ კომლზე საშუალოდ 61,3 დესეტინა. ყველაზე მსხვილი დასახლება იყო ოდინცოვსკი და პლოდოროდნენსკი. პირველს მთავრობამ გადასცა 2120 დესეტინა, რომელზეც 397 მოახალშენე მოეწყო. მეორეში 381 კოლონისტი ჩამოსახლდა. მათ 2429 დესეტინა მიწა გამოუყვეს.[76]

რუსული ახალშენების ნაირსახეობას წარმოადგენდა საუფლისწულო მამულები. რომანოვების საგვარეულომ საქართველოში დიდძალი მიწები იგდო ხელთ და მსხვილი მეურნეობები მოაწყო. ამ მამულების სამმართველო აპარატის მოსამსახურენი და მუდმივი მუშახელის ნაწილი ძირითადად რუსები იყვნენ. ჩაქვის საუფლისწულო მამულში 100-მდე რუსი ეროვნების ოჯახი ჩამოსახლეს.

საიმპერატორო კარი, მთავრობის უმაღლესი და ადგილობრივი მოხელეები მაინც უმაყოფილებას გამოთქვამდნენ საქართველოს კოლონიზაციის დაბალი ტემპების გამო. ისინი წუხდნენ მიწის ფონდის სიმცირის გამოც. ეს ყველაზე მეტად ბათუმის ოლქზე ითქმის. 1898 წ. 6 აგვისტოს გოლიციინი იმპერიის ფინანსთა მინისტრს მოახსენებდა: ამიერკავკასიაში რუსების ჩამოსახლების შესახებ ზემდგომი ორგანოების დავალების შესრულებას მზრუნველობას არ ეაკლებ, მაგრამ დიდ დაბრკოლებებს ეაწყდები თავისუფალი მიწის ფონდის სიმცირის გამო. ამიტომ რუსების დასასახლებლად კერძო მფლობელთა მიწები უნდა გამოვიყენოთ. აქაური თავადაზნაურების მიწები, - განაგრძობდა გოლიციინი, - სომეხი ეროვნების ვაჭარ-მრეწველების ხელში გადადის. აუცილებელია ამ მიწების დასაკუთრება. ამისათვის საჭიროა თბილისში გაიხსნას რუსეთის სახელმწიფო საგლეხო ბანკის განყოფილება, რომელიც მიწებს შეიძენდა და რუს გლეხებს დაასახლებდა.[77]

გოლიციინის მმართველობის დროს ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, რუსი კოლონისტების ჩამოსახლების საქმე უფრო ორგანიზებულად წარიმართა. 1899 წ. მთავარმართებლის ადმინისტრაციასთან შეიქმნა სპეციალური საგადასახლებო სამმართველო. მას კავკასიის ყველა რაიონში ჰყავდა თავისი წარმომადგენელი, ე.წ. აგენტი. რუსული ახალშენების მოწყობის სპეციალური დებულებაც კი შეიმუშავეს. მას საფუძვლად დაედო კავკასიის მეფისნაცვლის ი. ეორონცოვ-დაშკოვის 1907 წ. 13 თებერვლის ცირკულარი.

ამ დებულებით წინასწარ სწავლობდნენ ახალშენების შექმნისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებს, მათ ეარგისიანობას, მოახალშენეთა მეურნეობის მოწყობის, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ნაგებობის მშენებლობის, გზების გაყვანის, წყლითა და ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხებს.[78] 1906 წ. თბილისში საგლეხო ბანკის განყოფილებაც გაიხსნა, რომელიც მიწების შეძენისათვის სესხს იძლეოდა, მაგრამ რეეოლუციური მოძრაობის გ

და ბათუმის ოლქებში ასეთი ქვერაიონების შექმნა საჭიროდ არ ჩათვალეს. აქ რუსული ახალშენების მოწყობისათვის სპეციალურ მოხელეებს აგზავნიდნენ.[79]

საგადასახლებო სამმართველოს მოხელეებმა საგუბერნიო, საოლქო ადმინისტრაციასთან თანამოქმედებით გამონახეს მნიშვნელოვანი საკოლონიზაციო მიწები. კავკასიაში 1908-1912 წლებში რუსული ახალშენები მოეწყო 277 601 დესეტინაზე, სადაც 50 000 კოლონისტი დასახლდა. ეს საგრძნობლად აღემატებოდა იმ საკოლონიზაციო მიწების ოდენობას, რაც გამოიყო წინა 107 წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, კავკასიის მეფისნაცვალი მაინც უმაყოფილო იყო. იგი, ისევე როგორც თავისი წინამორბედნი, უჩიოდა თავისუფალი სავარგულების სიმცირეს.[80]

რუსული ახალშენების მოწყობისათვის მთავრობა დიდძალ თანხებსაც ხარჯავდა. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურად უჭირდა, 1908-1912 წლებში ხაზინამ ახალშენებში გზების მშენებლობაზე მილიონ რუბლზე მეტი გაიღო, ხოლო კოლონისტებს საჩუქრად გადასცა 436 ათასი რუბლი.[81]

საქართველოში ფართო მასშტაბის კოლონიზაცია გაიშალა ყარსის ოლქსა და სოხუმის ოკრუგში. ყარსის ოლქში 1908-1912 წლებში რუსული კოლონიების მოსაწყობად შეარჩიეს 42 509 დესეტინა, ხოლო სოხუმის ოკრუგში - 31 ათასი დესეტინა. საგულისხმოა, რომ მეფის მთავრობა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა აფხაზეთის კოლონიზაციისადმი. 1908-1912 წლებში აქ 38 რუსული დასახლება შეიქმნა. მხოლოდ 3 წლის (1910-1912) განმავლობაში აფხაზეთში 688 რუსი მოახალშენე ოჯახი (2036 სული) ჩაასახლეს.[82]

საკოლონიზაციო მიწები ბათუმის ოლქშიც გამოძებნეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ყველაზე უფრო მცირემიწიანი იყო. 1909 წ. აქ 2 485 დესეტინა საკოლონიზაციო ნაკვეთები შეარჩიეს.[83] მდინარე კინტრიშის დაბლობში, ყოროლისწყლის ხეობაში, ჭოროხის ორივე ნაპირზე ერგედან დაწყებული ზღვასთან შესართავამდე განლაგებულ სოფლებში (თხილნარი, ჭარნალი, ახალსოფელი, გონიო) კოლონისტების ჩასახლებისათვის საკმარისი ნაყოფიერი მიწები გამოყვეს. ახალსოფელსა და დონგუზადაში (მდინარე ჭოროხის შესართავის მარცხენა სანაპირო) რუსული ახალშენების მოწყობის მიზნით ჯერ კიდევ 1899 წ. 580 დესეტინა მიწა შეარჩიეს და 69 არაქართველი კოლონისტი ჩამოასახლეს. 1914 წ. აღნიშნულ ტერიტორიაზე ძირითადად სექტანტები და ბაპტისტები სახლობდნენ.

ყოროლისწყლის ხეობის (ბათუმის შემოგარენი) ხუთ სოფელში (ყოროლისთავი, ორთაბათუმი, აგარა, კაპრეშუმი, ყარადერე), ადგილობრივი მოსახლეობის შეეიწროების ხარჯზე, 567 კოლონისტს 1151 დესეტინა გადასცეს. მოტივად ის გამოიყენეს, რომ ბათუმის კლიმატური პირობები მათთვის აუტანელია და ჯანმრთელობის გაჯანსაღებისათვის სოფლის აგარაკები ესაჭიროებოდათ.[84] სინამდვილეში კი ეს იყო კოლონიური პოლიტიკით ნაკარნახევი ღონისძიება.

900-იან წლებში ბათუმის შემოგარენშივე, მდინარე ჭოროხის შესართავის მარჯვენა მხარეს, შეიქმნა ახალშენი ალექსეევკა, სადაც 1917 წ. 46 კომლი (117 სული) ცხოვრობდა. ამავე ხანაში ქობულეთის მახლობლად, ზღვისპირა ზოლში, მოეწყო

[79] იქვე, გვ. 10-12.
[80] იქვე, გვ. 4, 36.
[81] იქვე, გვ. 10-12.
[82] იქვე, გვ. 2, 6, 24-26.
[83] იქვე, გვ. 26.
[84] სცსსა, ფ. 12, ან. 3, ს. 28, ფურც. 9-11; ფ. 243, ან. 10, ს. 29, ფურც. 92; ამხუ., ს. 235, ფურც. 40-46, ს. 235.

ახალშენი კომაროვკა (ბათუმის ოლქის პირველი გუბერნატორის გენერალ კ. კომაროვის საპატივცემულოდ), რომელიც შედარებით მოზრდილი დასახლება იყო. აქ 1917 წ. 106 კომლი (362 სული) ცხოვრობდა.[85] 1912 წ. ქობულეთის მახლობლად კიდევ ერთი რუსული ახალშენი შეიქმნა, რომელსაც რომანოვკა ეწოდა (ეს სახელწოდებაც ბათუმის ოლქის გუბერნატორს რომანოვსკი-რომანკოს უკავშირდება).

აჭარაში, რუსული ახალშენების გარდა, არაქართველი ვაჭარ-მრეწველების, მეფის რუსეთის ჩინოვნიკების, კადრისა თუ თადარიგის სამხედრო პირების აგარაკ-დასახლებები მოეწყო ერცელი ბაღ-პარკებით (მახინჯაურში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში, ჩაქვში, კაპრეშუმში, სალიბაურში, ყარადერეში (განთიადი), ახალშენში, ანგისაში და სხვ.). 1905 წ. ციხისძირში არაქართველების 85, ხოლო მახინჯაურში - 70 ოჯახი ცხოვრობდა. 1914 წ. მწვანე კონცხზე 195, ჩაქვში კი 840 მოახალშენე აღირიცხა, რაც აღნიშნული სოფლების მკვიდრ მოსახლეობას საგრძნობლად აღემატებოდა.[86]

აჭარის ზღვისპირა ზოლში შეძენილ მამულებში მოახალშენეებმა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მეურნეობები მოაწყვეს. მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები ჰქონდათ საუფლისწულო უწყებას, კ. პოპოვს, ე. ბიხოცევეს, მ. პასეკს, ა. სობეცკის, ა. სტოიანოვს და სხვებს. ნიშანდობლიეია, რომ მთავრობა ადგილობრივ მოსახლეობას მამაპაპისეულ ადგილ-მამულებზე ედავებოდა, მათ საკუთრების უფლებას არ აღიარებდა. კოლონისტებს კი შეძენილი მიწები კერძო საკუთრებაში დაუმტკიცა, რასაც საფუძვლად ის დაუდო, რომ ეს მიწები კულტურულ ნაკეთებად აქციეს, გააშენეს ჩაი, ციტრუსები, სხვა სუბტროპიკული კულტურები. რა თქმა უნდა, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც საიმპერატორო კარი კოლონიური ინტერესებიდან გამოდიოდა.

საქართველოს კოლონიზაციის შედეგად დიდძალი ადგილ-მამულები მოექცა არაქართველების ხელში. მარტო აჭარის ზღვისპირა ზოლში კოლონისტებმა 70 000 დესეტინა დაისაკუთრეს.[87] ამან საგრძნობლად შეცვალა დემოგრაფიული სიტუაციაც. 1800 წ. საქართველოს საერთო მოსახლეობის 80% ქართველი იყო, 1865 წ. - 73,8%, 1897 წ. - 69,4, ხოლო 1926 წ. - 66,8%.[88] ამრიგად, საქართველოს კოლონიზაციის შედეგად არაქართველებმა ქვეყნის საერთო მოსახლეობის მესამედს გადააჭარბეს.

კოლონიზაციის შედეგად ქართველი მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა მესხეთ-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, აფხაზეთში, აჭარაში. 1914 წ. 1 იანვრის მონაცემებით აჭარის (ბათუმის ოკრუგის) მოსახლეობა 134 226 სულს ითვლიდა. აქედან 46 589, ე.ი. საერთო რაოდენობის 35%-მდე არაქართველი იყო: რუსები 22 383 (17%), სომხები - 18 853 (14%), და სხვები - 5 353 (4%).[89]

ამის შედეგად ბათუმი ტიპურ კოლონიურ ქალაქად გადაიქცა. 1878-1914 წლებში მისი მოსახლეობა თითქმის 11-ჯერ (3 ათასიდან 32038 სულამდე) გაიზარდა, მაგრამ ქართველები მხოლოდ 9919 სულს (საერთო რიცხვის მესამედზე ნაკლებს) შეადგენდნენ. მოსახლეობის ორი მესამედი (20048 სული) რუსები და სომხები იყვნენ.[90]

სხვა ეროვნების ხალხები შორეული წარსულიდან ბინადრობდნენ საქართველოში, მაგრამ ამის გამო აქ ეთნიკური პრობლემა არ წარმოქმნილა. ცარიზმი კი

---

[85] ამხე., ს. 216, ფურც. 12-15.
[86] სცსსა, ფ. 13, ან. 10, ს. 604, ფურც. 12-46; აცსა, ფ. 1, ს. 697, ფურც. 4-101.
[87] ამხე., ს. 235, ფურც. 47-48.
[88] ვ.ჯაფარიძე, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984, გვ. 217.
[89] КК на 1915 год. Тиф., 1915, с. 222-223, პროცენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.
[90] იქვე, გვ. 222-223; Батум и его окресности, Бат., 1906, с. 23.

ქართველების გადაშენებაზე ოცნებობდა. ამ მზაკვრული ჩანაფიქრის აღსრულებას ემსახურებოდა სწორედ მისი კოლონიური პოლიტიკაც.

§3. მუჰაჯირობა

რუსეთ-ოსმალეთს შორის ომი არც იყო დაწყებული, როცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თავი იჩინა საგადასახლებო მოძრაობამ. იგი „მუჰაჯირობის“ სახელითაა ცნობილი.[91] ეს იყო უაღრესად მძიმე მოვლენა ამ დიდი რეგიონის მოსახლეობის ცხოვრებაში. ხალხი, რომელიც ადრე თავად ებრძოდა დამპყრობელს და ესწრაფვოდა მშობლიურ კერაზე დაბრუნებას,[92] ახლა იყრებოდა სამკვიდრებლიდან, ჩალის ფასად ჰყიდდა სახლ-კარს, ბედის ანაბრად ტოვებდა სარჩო-საბადებელს, მდუღარე ცრემლით ემშვიდობებოდა მშობლიურ კუთხეს, მამა-პაპათა საფლავებს და „დამღუპველ ოსმალეთში“ (ილია) მიდიოდა. ეს იმდენად ტრაგიკული აღმოჩნდა, რომ გიორგი წერეთელი სამართლიანად შენიშნავდა: XIX საუკუნის 70-80 - იანი წლების მიჯნაზე ამიერკავკასიის საშინაო ცხოვრებიდან არ იყო სხვა ისეთი მოვლენა, რომელსაც მუჰაჯირობის მსგავსად ასე დაძაბულად, მღელვარედ და ხანგრძლივად მიეპყრო მსოფლიო საზოგადოების ყურადღებაო.[93]

ომის დამთავრებას თითქოს უნდა დაეშოშმინებინა აყრა-გასახლების მსურველნი და პროცესიც უნდა შეეჩერებინა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მუჰაჯირობამ ოფიციალური სახე მიიღო და თან ქრონოლოგიური ჩარჩოებიც (1879 წ. 3 თებერვალი - 1882 წ. 3 თებერვალი) დაუწესდა. ეს პროცესი შემდეგაც, დროგამოშვებით, 1921 წლამდე გაგრძელდა.

მუჰაჯირობის შესახებ არსებული ერცელი მასალის განხილვით ჩანს, რომ ამ ტრაგიკული მოვლენის ძირითადი მიზეზი იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიმართ ოსმალეთისა და რუსეთის ოფიციალური პოლიტიკა — ერთიც და მეორეც ცდილობდა ამ ერცელი რეგიონის მოსახლეობის აყრა-გასახლებას, თანაც რაც შეიძლება მეტი რაოდენობით. ოსმალეთი ამით გეგმავდა, ჯერ ერთი, ერცელი ადგილების შევსებას მცირე აზიის ჩრდილოეთით - შაეი და დასავლეთით - ეგეოსის ზღვების სანაპიროებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მეჩხრად იყო დასახლებული; მეორეც, ჩასახლებულთა სახით იგი მიიღებდა კულტურულ მეურნეთ, რომლებიც დააჩქარებდნენ მათთვის დასასახლებლად გამოყოფილი რეგიონის ეკონომიკურ გამოცოცხლება-აღმავლობას (განსაკუთრებით ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას) და ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებას (ამით აიხსნება ის, რომ მუჰაჯირ ქართველებს მომთაბარეთა მეზობლად ან ერთად ასახლებდნენ);[94] და მესამეც, რუსეთის წინააღმდეგ მომავალ ომში ოსმალეთს ეყოლებოდა ჯარის უაღრესად საიმედო კონტინგენტი, რომლის შურისძიების გრძნობა და ბრძოლისუნარიანობა მნიშვნელოვნად მაღალი იქნებოდა (1878 წელს ოსმალებმა კიდეც შექმნეს და

[91] მუჰაჯირი არაბული წარმოშობის სიტყვაა და ეწოდება სამშობლოდან სხვა მხარეში წასვლა-გადასახლების მსურველს, ლტოლვილს.
[92] იხ. აბ.სურგულაძე. განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში, ბათ., 1978.
[93] Газ. «Голос», №95, 1881.
[94] მ.სვანიძე. ქართველები თურქეთში, თბ., 1996, გვ. 8.

მოქმედებდნენ ე.წ. „შურისმაძიებელთა რაზმები“).[95]

ამით აიხსნებოდა ის, რომ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ოსმალებმა მძეულებად აიყვანეს აჭარელთა ოჯახები და ცოლ-შვილისათვის სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ მამაკაცებს აძალებდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას.[96] ომისა და ომის შემდგომ პერიოდში კი მათ, როგორც გაზეთი „დროება“ იუწყებოდა, არიან-შვიათად, „ძალით მიჰყავდათ მოსახლეობა“.[97] სხვათა შორის, თანამედროვეები საამი-სოდ მრავალ ფაქტს ასახელებენ. მაგალითად, ქობულეთში შემოსვლისას დ. სვიატო-პოლკ-მირსკისთან გამოცხადდნენ ქვემო აჭარის გაელენიანი ბეგები და აღნიშნეს, რომ ოსმალები დაშინებით და ძალდატანებით ცდილობენ მოსახლეობის აყრა-გასახლებას. არადა, მათ ეს არ სურთ და რუსეთის მფარველობას ითხოვენო.[98] გაზ. „ობზორიც“ იუწყებოდა: სოფლების სამების და კვირიკეს 200 ოჯახს, ოსმალებმა უკანდახევისას ძალით რომ გაირეკეს, იმედი ჰქონდათ, რუსთა ჯარი მიუსწრებდა და გასახალებისაგან დაიხსნიდა.[99] კიდევ მეტი, ვინმე ნური-ბეგმა გრიგოლ გურიელს თხოვა ემეელა ოსმალთა მიერ ძალით წაყვანილთათვის. გრ. გურიელს მაშინ რაზმი გაუგზავნია და განწირულნი უკან დაუბრუნებია.[100] მოძალადეებს ზოგჯერ თავად ხალხიც ეურჩებოდა იარაღით. ა. ფრენკელი გვიდასტურებს, რომ 1878 წ. 14-15 აგვის-ტოს ქობულეთლებსა და ოსმალებს შორის ნამდვილი შეტაკება მოხდაო.[101]

მოსახლეობის აყრა-გასახლება შედიოდა რუსეთის ინტერესებშიც. ოსმალეთ-თან ომი დაემთხვა ცარიზმის მიერ „ამიერკავკასიის ინტენსიური ათვისების“ პრო-ცესს, რასაც მოჰყვა კოლონიური რეჟიმის დამყარება საქართველოში. ამის დადასტუ-რება იყო თუნდაც ქვეყნის ისტორიული სახელწოდების ამოღება ხმარებიდან, აგ-რეთვე, რუსულ ენაზე სწავლა-განათლების დაკანონება, რასაც უნდა დაეჩქარებინა ქართველთა ასიმილაცია. ცხადია, ასეთ ვითარებაში შემოერთებული რეგიონის მკვიდრ მოსახლეობას შიეძლებოდა შექმნოდა გარკვეული პრობლემები. ამიტომ მისთ-ვის უმჯობესი ჩანდა მუჰაჯირობა და ხელისუფლება სხვადასხვა საშუალებით ხელ-საც კი უწყობდა ამ პროცესს. ამას ის არც მალავდა. 1878 წ. 15 ოქტომბერს დ. სვია-ტოპოლკ-მირსკი ბათუმის სამხედრო გუბერნატორს წერდა: „ბათუმის ოლქით რუსეთ-მა მიიღო ბუნებრივი სიმაგრე კავკასიის საზღვრების ყველაზე უფრო საშიშ კუთხეში, რომელსაც ჰყავს მებრძოლი და ნახევრად დაუმორჩილებელი მოსახლეობა. ხალხი, რომელიც თურქეთთანაა დაკავშირებული რელიგიით, საშიში ელემენტია და მისი იქ ყოფნა შეუძლებელია“. იგი მოითხოვდა შემოერთებული რეგიონის მოსახლეობის დაუყოვნებლივ ასიმილაციას, რადგან „ვიდრე ეს არ მოხდება, ბათუმის ოლქის შეძენა კავკასიაში ჩვენი (რუსეთის — ა.ს.) გაძლიერების მაგიერ დასუსტება იქნება“. ამიტომ, დ. სვიატოპოლკ-მირსკის აზრით, ხელი არ უნდა შეეშალათ მუჰაჯირობისთვის, პირი-ქით, უმჯობესია „ადგილობრივი მოსახლეობის მოცილებაო“.[102]

მაშასადამე, ცარიზმის კოლონიური ხელისუფლება ამჯერადაც აგრძელებდა იმ

---

95 გაზ. „დროების“ ცნობით, 1882 წელს ოსმალეთში თითქოს შექმნილი იყო ე.წ. „გურჯისტანის ჯარი“, რომლის მებრძოლები მთავრობას 6 წლით ჰყავდა დაქირავებული (№59, 1882).

96 შ.მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 115.

97 გაზ. „დროება“, №108, 1880.

98 სცსსა, ფ. 1027, ს. 1274, ფურც. 3.

99 Газ. «Обзор», №228, 1878.

100 გაზ. „დროება“, №90. 1878.

101 Френкель А., დასახ. ნაშრ. გვ. 107.

102 სცსსა, ფ. 545, ს. 1668, ფურც. 3-6, იხ. აგრეთვე Ш.Мегрелидзе, Закавказье в русско-турецкой войне 1877-1878 гг., Тб., 1972, с. 265.

კურსს, რამაც 30-იან წლებში ქართველი მაჰმადიანებისაგან დაცალა სამცხე-ჯავახეთი. ასე რომ, იგი ახლაც მტრულად ეკიდებოდა ადგილობრივ მოსახლეობას და მათ გასახლებას გეგმავდა, რომ გამოთავისუფლებულ მიწებზე შემდეგ ჩამოესახლებინა ერთგული სომხები და იმპერიის უკიდეგანო სიერცეებიდან გადმოყვანილი ქვეშევრდომები.

ქართულმა პრესამ ამხილა ორივე მხარის ვერაგული გეგმები. სერგეი მესხი სამართლიანად წერდა: „საუბედუროდ აქაურ ჩინოვნიკობაში არიან ისეთი პირები, რომელნიც პირდაპირ ეუბნებიან ხალხს: გადით აქედან, თქვენ არ გვინდიხართ... თქვენს მაგივრად აქ ჩვენებურს ხალხს დავასახლებთ. ერთის მხრივ, ამისთანა ჩვენებური მქადაგებლები უდგია გვერდით ხალხს და, მეორეს მხრივ, სტამბოლიდან მოსული მოლები და საზოგადოთ ოსმალოს მქადაგებლები“.[103]

რა თქმა უნდა, იყო სხვა ფაქტორებიც: შიში (უცნობი რუსეთის მიმართ), პროპაგანდა (ოსმალეთში „ოქროს მთების“ არსებობის შესახებ), იძულება (ოსმალოფილებისა და გაბატონებული წოდების მხრივ), ეკონომიკური (ომით გამოწვეული დიდი ზარალი, ნგრევა და გაპარტახება), რელიგიური (მოელენ და გაგვაქრისტიანებენ), კოლონიური ადმინისტრაცია (კერძოდ, მისი უკუღმართი საქმიანობა) და სხვ., მაგრამ მათ მაინც განაპირობებდა ძირითადი მიზეზის არსებობა.

საერთოდ, ომს დიდი ცვლილებები შეაქვს ამა თუ იმ მხარის ცხოვრებაში. საბრძოლო ოპერაციების შესაძლო განვითარება ყოველთვის იწვევდა (და იწვევს) მოსახლეობის შიშს. ამიტომ ეს უკანასკნელი მუდამ ცდილობს განერიდოს ხიფათს და უშიშარ ადგილს შეაფაროს თავი. არანაკლები მნიშვნელობისაა რეგიონის მომავალი სტატუსის საკითხიც — იგი ძველ მფლობელს („შეჩვეულ ჭირს“) დარჩება თუ ახალი მეპატრონის (ჯერ კიდევ შეუცნობელის და შიშის მომგვრელის) ქვეშევრდომობაში გადავა. ასეთ პირობებში ადგილი აქვს თვითნებობას და ძალადობას, რასაც არაიშვიათად თან ახლავს ადრე დაპირებულის შეუსრულებლობა და ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება.

საომარ მოქმედებათა დაწყებისას რუსთა არმიის სარდლობამ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, სათანადო ზომები მიიღო ხალხის დაშოშმინება-დამშვიდების, მისი უნდობლობისა თუ მტრული განწყობის განეიტრალებისა და შესაძლო მიმხრობის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით დ. სვიატოპოლკ-მირსკიმ შეტევის მოსალოდნელი მიმართულების რეგიონის მკვიდრთ სპეციალური მიმართვით აღუთქვა სრული თავისუფლება და უშიშროება, ოჯახის, ქონებისა და სარწმუნოების ხელშეუხებლობა, ადგილობრივი მმართველობისა და ძველი ვალდებულების შენარჩუნება.[104] ამასვე აღნიშნავდა ე.წ. „რიონის რაზმის“ სარდლობაც. გენ. ოკლობჟიომ თავის მხრივ, სპეციალურად გააფრთხილა თავისი ჯარისკაცები, არ დაერღვიათ მოსახლეობის ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი და პატივისცემით მოპყრობოდნენ ხალხს. „დაე გახსოვდეთ, - ნათქვამი იყო შემდეგ მოწოდებაში, რომ თქვენ წინ გადაშლილია მინდვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლის ათასობით მილიციელი და მოლაშქრე ამჟამად ჩვენს რიგებში დგას და საერთო მტერს ებრძვის“.[105]

ცხადია, ეს გაკეთდა გარკვეული მოსაზრებით — საბრძოლო ოპერაციების გა-

[103] გაზ. „დროება“, №37. 1878.
[104] სცსსა, ფ. 545, ს. 1337, ფურც. 27.
[105] ალ.ბენდიანიშვილი, რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წწ.) ომი და საქართველო. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1979, გვ. 442-443.

საადგილებლად, მაგრამ სინამდვილე გაცილებით მკაცრი აღმოჩნდა. ამ მიმართვამ თუ გაფრთხილებამ სათანადო ეფექტი ვერ მოიტანა. ვერც მოიტანდა, რადგან ოსმალეთმა ყველაფერი გააკეთა საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობის აყრისათვის, შემდეგ კი რუსეთმა თავისი მიზანდასახული პოლიტიკით ცეცხლზე ნავთი დაასხა და ისედაც აღელვებულ ხალხს პირი ოსმალეთისაკენ აქნევინა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ოსმალეთმა ომის წინ ძალზე დაამძიმა რეჟიმი ჩრდილო-აღმოსავლეთის ქართულ პროვინციებში. რუსეთის სულ უფრო აქტიური გამოსვლა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე აიძულებდა პორტას 40-იან წლებში დაწყებული რეფორმების (ე.წ. თანზიმათის) სწრაფად განხორციელებას, რომ დაესრულებინა საზღვრისპირა რეგიონის გაოსმალების პროცესი და რუსეთთან მოსალოდნელი ომის დროისათვის უზრუნველეყო მისი უშიშროება. ამიტომ გენ. ოკლობჟიოს ცნობით, „ოსმალეთის მთავრობამ ენერგიული ზომები მიიღო თავის მოსაზღვრე სოფლებში ჩვენდამი (რუსეთისადმი - ა.ს.) მტრობისა და უკმაყოფილების გასაღვივებლად".[106] მართლაც, როგორც გაზ. „დროების" ქობულეთელი კორესპონდენტი (გულო კაიკაციშვილი) აღნიშნავდა, „მოსახლეობას ართმევდნენ ანდა უნაგურებდნენ სიმინდს, ღომს, ხარს, ძროხას და სხვას, რასაც ნახავენ".[107] იმავე „დროებაში" უფრო შემაშფოთებელ ამბებს შავშეთიდან იწერებოდნენ: „ყველაფერს გვართმევენ... რაც გაგვაჩნია, ერთიღა სული დაგვრჩენია და იმასაც მალე ამოგვაძრობენ. თუ აქამდე ერთხელ ძლივსღა ვაძლევდით სახელმწიფო ხარჯს, ეხლა ორჯელ როგორღა შეესძლებთ. მათთვის სულერთია გვაქვს თუ არა, უნდა გადავიხადოთ. გადასახადის აკრეფის დროს არაფერს არ ზოგავენ. ამტვრევენ ხეხილს, გვიფუჭებენ ბაღებს, მიაქვთ სახლიდან ავეჯეულობა. ერთი სიტყვით, გვარბევენ".[108] ფართოდ იყენებდნენ რელიგიურ მომენტსაც. ხოჯა-მოლები ქადაგებდნენ: „ამოელენ რუსი ურჯულონი, სჯულს წაგვიპილწავენ", შემდეგ კი „ჩვენც გაგვაქრისტიანებენო".[109] ოსმალებმა იწყეს საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობის გასახლება შიგა პროვინციებში.[110] ამასთან, ხალხს რუსთა მიერ სალდათში მოსალოდნელი გაწვევითაც აშინებდნენ.[111]

ვითარება არც საომარ მოქმედებათა დასრულების შემდეგ შეცვლილა დიდად. პირიქით, ბერლინის კონგრესის მოლოდინში ოსმალთა სამხედრო, სამოქალაქო და სასულიერო ადმინისტრაცია აშკარა პროვოკაციაზე წავიდა. იმისათვის, რომ კონგრესზე დაესაბუთებინათ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უარი და წინააღმდეგობა რუსეთისათვის გადაცემის გამო, ოსმალები აიძულებდნენ მათ საპროტესტო ხელმოწერების შეგროვებას ინგლისელთა ქვეშევრდომობაში გადასვლის მოთხოვნით. მალე ოსმალთა ამ ცდებს თავად ინგლისელებიც შეუერთდნენ. სამხედრო კორესპონდენტები დონოვანი და ჰუვერი, აგრეთვე, ბათუმში სპეციალურად ჩამოსული ინგლისელი გენერალი და მისი თანმხლები 12 „ინჟინერი" აქტიურად მუშაობდნენ რუსეთის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის ასამხედრებლად. მართლაც, 1878 წ. 13 მაისს ზემო აჭარიდან დანდალოს ხიდთან შეკრებილთ ხელი მოაწერინეს ბათუმში შედგენილ „რაღაც ქაღალდზე", რომელშიც იყო თხოვნა დიდი სახელმწიფოებისადმი აჭარაზე ინგლისის მფარველობის დაწესების შესახებ. ალბათ ამან ათქმევინა

---

106 სცსსა, ფ. 485, ს. 49630, ფურც. 30.
107 გაზ. „დროება", №40, 1876.
108 გაზ. „დროება", №56, 1876.
109 ზ.ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გასახლება ოსმალეთში. ტფ., 1912, გვ. 34.
110 სცსსა, ფ. 485, ს. 49630, ფურც. 20.
111 ზ.ჭიჭინაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 34.

კ. კომაროვს: „როგორც ჩანს, საქმე მიდის ახალ ომამდე. ყოველ შემთხვევაში, ასე მიიჩნევენ ბათუმში, სადაც დერვიშ ფაშის სახელით ეიღაც ინგლისელი იძლევა ბრძანებებს".[112]

რა თქმა უნდა, ოსმალთა და ინგლისელთა ამ პროვოკაციული მოქმედების განეიტრალება შეიძლებოდა, თუკი რეგიონში დამკვიდრებული ახალი ხელისუფლება ფრთხილი, გულმოწყალე და გულისხმიერი პოლიტიკით შეეცდებოდა საბრძოლო ოპერაციებით დაღლილ-აფორიაქებული მოსახლეობის დაშოშმინებას, ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. გარდამავალი პერიოდის მოსამზადებელი გონიერული ღონისძიებების ნაცვლად, რუსეთი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემოსვლისთანავე შეუდგა რუსული ადმინისტრაციის მოწყობას, თავისი წესებისა და კანონმდებლობის დანერგვას, რუსული სასამართლოს შემოღებას. ცხადია, ეს მოქმედება, რაგინდ პროგრესული ხასიათიც არ უნდა ჰქონოდა, წინააღმდეგობაში იქნებოდა ადგილზე საუკუნეებით ჩამოყალიბებულ და განმტკიცებულ ადათ-წესებთან და ზნე-ჩვეულებებთან.[113] მით უმეტეს, რომ ინერგებოდა იძულებით და სასჯელის ფორმით.

მართლაც, ჯერ იყო და ცარიზმმა არ ცნო ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრების უფლება მიწაზე და აკრძალა მისი ყიდვა-გაყიდვა იმ მოტივით, რომ საადგილმამულო საკითხთა კომისიის (დიმ. ბაქრაძე) დასკვნით სრული შეუსაბამობა იყო ოსმალურ სამიწათმოქმედო კანონსა და ფაქტობრივ მფლობელობას შორის, რომ ომისა და შემდგომი არეულობის ვითარებაში მარტო აჭარაში მოხდა უამრავი (ზოგი ცნობით სამი ათასამდე)[114] საადგილმამულო აქტის („თაფუ") ფალსიფიცირება.[115] შემდეგ მთავრობამ ჩაატარა კამერალური აღწერა, რაც ხალხმა ახალი გადასახადების გაწერისა და საყოველთაო სამხედრო ბეგარის (ე.ი. სალდათში წაყვანის) დაწესების ნიშნად მიიჩნია. ამასთან, დარჩა ძველი მეჯლისი, მაგრამ საქმეების გარჩევა რუსული კანონებით დაიწყეს, რამაც დიდი გაუგებრობა გამოიწვია.

სხვათა შორის, მალე დადასტურდა კამერალური აღწერისას გადასახადებთან დაკავშირებული ხმებიც. მართალია, ახალი გადასახადები მაშინ არ გაუწერიათ, მაგრამ 1878-1879 წლებში მოსახლეობისაგან მაინც ამოიღეს კომლზე 6-10 მანეთი (ე.წ. „აშარი"). ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქობულეთში, მით უმეტეს, რომ ომიანობისას იგი ძალზე დაზარალდა და მოსახლეობას სახსარი არ ჰქონდა. ქართულმა პრესამ გულისწყრომით დაგმო ეს ფაქტი. ნიკო ნიკოლაძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „აუცილებელი იყო ხალხისათვის შეღავათის მიცემა რამდენიმე წლით" და სინანულით დასძენდა: „ყოველ შემთხვევაში, ბერლინის კონგრესის მიერ დადგენილი გასახლების ვადის სამი წლის განმავლობაში მათ არ უნდა შეხებოდნენ".[116] სერგეი მესხიც მიუთითებდა: „თუ გვინდა ჩვენ აჭარისა და ქობულეთის თანაგრძნობა დავიმსახუროთ და ესენი არ გასახლდნენ ოსმალეთში... ამთავითვე მაინც კაცურად უნდა მოეპყროთ და სამი-ოთხი წლით ეადროეთ აშარისა და სხვა ყოველგვარი ხარჯის გადახდა", მით უმეტეს, რომ „ეს ხარჯი ხაზინას ვერ გაამ-

[112] Материалы для описания Русско-Турецкой войны 1877-1878 гг. на Кавказе и в Малой Азии, т. 4. დანართი 26, გვ. 204-210.
[113] შ.მეგრელიძე. აჭარის წარსულიდან, გვ. 13.
[114] ა.აკვალიანი, მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათ., 1960, გვ. 11.
[115] შ.მეგრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 14.
[116] გაზ. „დროება", №14, 1879.

დიდრებს და გაღატაკებულ ხალხს კი გულს მოუბრუნებს".[117]

მოსახლეობაში დიდ გაუგებრობა-უკმაყოფილებას იწვევდა მიმოსვლის შეზღუდვა-გაძნელება და ამით გამოწვეული ეკონომიკური სირთულენი. მაროდიორობის და ძარცვა-ყაჩაღობის აღკვეთის, წესრიგის დამყარებისა და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების მიზნით ახალმა ხელისუფლებამ გზებზე მოაწყო საგუშაგოები და კარანტინები. სამწუხაროდ, იქ მოკალათებული მოხელე-ჩინოვნიკები არაიშვიათად ხალხს ფულს სძალავდნენ გადაადგილებისა თუ საქონლის გატარების ნებართვისათვის. ერთხელ, თურმე, კ. კომაროვი დაინტერესდა მურღულიდან მოსახლეობის მუჰაჯირობის მიზეზებით. 1880 წლის ზაფხულში ჩავიდა კიდეც ადგილზე და შეხვდა გასახლებაში მიმავალ ახალგაზრდებს. შეკითხვაზე - რატომ მიდიხართო, ამ უკანასკნელთ უპასუხიათ: ადრე სტამბოლს და სხვაგან მივდიოდით საშოვარზე, ფულს ვაკეთებდით, სახლ-კარს ვაწყობდით და ოჯახს ვეკიდებოდით. ახლა კი ამის საშუალება აღარ გვაქვსო. გენერალ-გუბერნატორმა იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ საატარიფო საგუშაგოებმა გააძნელეს მეზობელ რაიონებთან ერზერუმ-ართვინელთა საეაჭრო ოპერაციებიც. ხარჯების გამო იქაურებს უკვე უჭირდათ თავიანთი ჯიშიანი პირუტყვის გადარეკვა ხოფას ბაზრობაზე, რის გამოც დიდ ზარალს ნახულობდნენ.[118]

ცხადია, საგუშაგო-კარანტინების ორგანიზება ასე აუტანელი და მტკივნეული არ იქნებოდა მოსახლეობისათვის, რომ არა იქ მოკალათებული ბოროტი, ანგარებიანი მოხელე-ჩინოვნიკობა. მართლაც, შემოერთებული რეგიონში რუსული ადმინისტრაციული აპარატის უგერგილობასა და ბიუროკრატიზმზე, მოუქნელ საქმიანობაზე ქართულ პრესაში არაერთი მწვავე საყვედური და კრიტიკული შენიშვნაა გამოთქმული.

აი რას წერდა ილია ჭავჭავაძე: განთავისუფლებისთანავე აჭარას „კალიასავით მიესია, თურმე, ყველა კალიაზე უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი და გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა... როცა ამათ ამბავს ლაპარაკობენ, თავზედ თმა ყალყზედ დგება... საცა სამსახურიდან გამოგდებული კაცი იყო თურმე, გამოუსადეგარი, თავ'ზედ-ხელაღებული იყო, იმ ახალ ქვეყანაში მოხელეობა მიიღო... არავის ეჭვი არ აქვს, რომ თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გასახლდა, ბრალი იმათ უნდა დაედოს, ვინც მოხელეთაგანი აქამდინ მიიყვანს საქმეს".[119]

ასეთივე უნუგეშო სურათს გვიხატავს გრიგოლ ორბელიანი: აჭარაში მოხელეებად იგზავნებოდნენ „უცოდინარი და უპრაქტიკო მოხელეები, რომლებიც მხოლოდ გამდიდრებაზე ფიქრობდნენ" და „თანამდებობასაც ბოროტად იყენებდნენ". ისინი „ყველა საშუალებით წამლავდნენ მთავრობის კარგ ღონისძიებებს, რის გამოც ბუნებრივად იბადება უკმაყოფილების გრძნობა და უნდობლობა, რომელთა გამომყღავნება ხდება სახალხო მღელვარებაში".[120]

სერგეი მესხიც აღნიშნავდა, რომ მოხელე-ჩინოვნიკობას „ხალხის სიკეთე, საჭიროება, გაჭირვება... ფეხზე ჰკიდიათო".[121]

აღნიშნული შეფასებანი კარგად გვიხასიათებენ ახალი ადმინისტრაციის პირადი შემადგენლობის ღირსებასა და ნაკლს. ეს სიმახინჯენი ჭარბად ახასიათებდა საგუ-

---

117 გაზ. „დროება", №4, 1880.

118 შ.ეგგრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 83. საგუშაგო-კარანტინების უარყოფითი როლი აჭარელთა აყრა-გასახლებაში მკვეთრად წარმოჩნდა ბათუმში პორტო-ფრანკოს არსებობის (1878-1886) მთელ მანძილზე (დაწვრილებით იხ. აბ.სურგულაძე, მ.სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996).

119 ი.ჭავჭავაძე. თხზ., ტ.5, გვ. 32-33.

120 სცსსა, ფ. 410, ს. 114. ფურც. 37.

121 გაზ. „დროება", №14, 1879.

შაგო-კარანტინების მოხელეებს, რადგან მათი საქმიანობა არანაირი კონტროლით არ იყო შეზღუდული.

ამის დასტურად შეგვიძლია დავიმოწმოთ გაზ. „დროების“ კორესპონდენცია ქობულეთის მაზრის უფროსის ყორღანოვის შესახებ. უწმაწური სიტყვების გარდა, - ნათქვამია მასში, - სხვა არაფერი მოგვისმენია ამ ხელმძღვანელისაგან. „გულში ტყვია მოგვეხვდეს ის გვირჩევნია, თავი მოგვჭრან იმას ვარჩევთ, ოღონდ კი ჩვენს დედა-მამაზე და მკვდრებზე ხელი აიღოს“. კორესპონდენტის სიტყვით, ახლა ხალხი სიმართლეს ითხოვს, რადგან „იგი დაგვეამაყოფილებს სულ მთლად... მოგვიბრუნებს გულს, ხელს აგვაღებინებს გასახლებაზე, შეგვაყვარებს რუს მმართველობას და ტირილით გადახვეწილ მუჰაჯირებსაც დააბრუნებს უკან“.[122]

რა თქმა უნდა, ყორღანოვი გამონაკლისი როდი იყო. მეტ-ნაკლებად ასე მოქმედებდნენ უფრო მაღალი თანამდებობის პირებიც. ცხადია, თუ ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელნი ასე აბუჩად ექცეოდნენ ქვეშევრდომებს, ადვილი მისახვედრია, როგორი იქნებოდა გასამხედროებულ რიგით საგზაო მოხელეთა თვითნებობა-ძალადობა დაუცველი მიმომსვლელების მიმართ.

ასეთ ვითარებაში ფართოდ გავრცელდა მოარული ხმები ოსმალეთში მდიდრული ცხოვრების, სამართლიანობის და მოთხოვნების ყოველმხრივ დაკმაყოფილების შესახებ. ამას ხელს უწყობდნენ მუჰაჯირთათვის გამოყოფილი ადგილების მოსანახულებლად ოსმალეთში ნამყოფი სოფლის წარმომადგენლები. ამ ე.წ. „დელეგატებს“ იქ ხელგაშლით ხვდებოდნენ, ჰპირდებოდნენ „ოქროს მთებს“ და უხვად დასაჩუქრებულთ უკან ისტუმრებდნენ დაკვალებით, რაც შეიძლება მეტი ხალხი წაეყვანათ.[123] დაინტერესებულ პირთა ასეთი ცალმხრივი თუ ტენდენციური განმარტებები გონებას უმღვრევდა ისედაც აფორიაქებულ მოსახლეობას და მას აყრა-გასახლებისათვის განაწყობდა.

უნდა ითქვას, ამ პროცესში საბედისწერო როლი შეასრულა გაბატონებულმა წოდებამაც. ის აქეზებდა და ხელმძღვანელობდა მთელ ამ პროცესს. საქმე ისაა, რომ რუსთა შემოსვლის შემდეგ შესამჩნევად შეილახა მისი ინტერესები. ყოფილმა ბეგებმა დაკარგეს თანზიმათის განხორციელებისას სულთნისაგან ბოძებული პენსიები[124] და სხვა ეკონომიკური პრივილეგიები, რაც მთავარია, პოლიტიკური უფლებები. მთელ ძალაუფლებას ახლა ცარიზმის მოხელე-ჩინოვნიკობა დაეუფლა. მაშასადამე, გაბატონებული წოდება უფუნქციოდ დარჩა. ამ ფაქტზე ყურადღებას ამახვილებდა რუსთა ხელისუფლებაც. მუჰაჯირობის მიზეზების გასარკვევად ბათუმში 1881 წელს ჩამოსული მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი გენ. - ლეიტენანტი დ.სტაროსელსკი მიუთითებდა ამ წოდების „მდგომარეობის გაურკვეველობაზე“. ამის მიზეზად იგი აღნიშნავდა: „თურქეთის ბატონობის დროს ბეგები სამსახურში იყვნენ, ღებულობდნენ ხელფასს და ჰქონდათ საარსებო წყარო. დღეს ისინი იზოლირებულნი არიან ყველა საქმისაგან და ამასთან ერთად დაკარგეს ცხოვრების საშუალებაც. ამით, ბუნებრივია, შეილახა მათი თავმოყვარეობა და ისინი ახალი წყობის წინააღმდეგ

122 გაზ. „დროება“, №9, 1881.
123 გაზ. „დროება“, №7, 1879.
124 არასრული ცნობით ომამდე ასეთ პენსიებს იღებდა: შავშეთ-იმერხევში 6 ბეგი, ლივანაში - 23, ქვემო აჭარაში - 1, მაჭახელში - 1, ზემო აჭარაში - 1, ქობულეთში - 10, ბათუმში - 6 (ირ.ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ., 1999, გვ. 67).

აამხედრა".[125]

ცხადია, ასეთ ვითარებაში გაბატონებული წოდება ამჯობინებდა წასვლას ოსმალეთში, მაგრამ მარტო კი არა, არამედ თავისი სოფლისა და მასზე ეკონომიკურად დამოკიდებული მოსახლეობის თანხლებით. ეს იმიტომ, რომ ახალ ადგილზე დამკვიდრებულს, ქვეშევრდომთა გარეშე, მის სოციალურ მდგომარეობას საფუძველი არ ჰქონდა. ასე რომ, ბეგები ცდილობდნენ, რაც შეიძლება, მეტი „მოკიდებული" გაეყვანათ, რომ საარსებო წყაროც შეენარჩუნებინათ და თან ძალა და გავლენაც ჰქონოდათ.

ასეთივე იყო სასულიერო წოდების პოზიციაც. აქ საქმე მხოლოდ რელიგიის დაცვას როდი ეხებოდა, არამედ პირადი შემოსავლისა და გავლენა-ძალაუფლების მოსალოდნელ დაკარგვას. შიშს ის აძლიერებდა, რომ რუსული ადმინისტრაცია, ჯერჯერობით მაინც, ვერ (ან არ) იცავდა ხოჯა-მოლების ინტერესებს, ვერ (ან არ) ეხმარებოდა პრივილეგიების დაცვა-შენარჩუნებაში.[126]

რა თქმა უნდა, ყველა ასე როდი იქცეოდა. საღორეთელ ხასან სურმანიძეს წერილი მოუვიდა ოსმალეთიდან წინადადებით, დაეწყო თანასოფლელთა გასახლება. ამის სასარგებლოდ კი მან არავითარი მუშაობა არ გასწია, მიღებული ბარათიც არ გამოაჩინა.[127]

1880 წელს ოსმალეთს გაემგზავრა ცნობილი სასულიერო მოღვაწე მოლა ლომან ეფენდი (ქარციეაძე). სხვათა შორის, მან სტამბოლში მიიღო უმაღლესი სასულიერო განათლება და სულთანთან ავტორიტეტით სარგებლობდა (ერთხანს მისი „კარის მასწავლებელიც" ყოფილა).[128] მან იქ მოინახულა მუჰაჯირთათვის გამოყოფილი ადგილები და, როგორც პატიოსანმა და სამშობლოს გულშემატკივარმა, მოიწერა □ გასახლების მსურველნი არ დაძრულიყვნენ ადგილიდან, თუ არ სურდათ ტანჯვა-უბედურებაში ჩავარდნა.

დაბრუნების შემდეგ ლომან ეფენდი ეწვია გენერალ-გუბერნატორ კ. კომაროვს. გულახდილ საუბარში მან განაცხადა: „ადრე ეფიქრობდი ერთგული ვყოფილიყავი ჩემი ყოფილი ხელმწიფისა და მსურდა აჭარის მოსახლეობის თურქეთში წაყვანა, მაგრამ იმედი მთავრობისა დაპირებაზე არ გამართლდა. ჩვენ ერთგული ვიყავით თურქეთის მთავრობის, ვიბრძოდით მისთვის - ხოლო კარგად თუ ცუდად, ეს თქვენ უკეთ იცით... ჩვენ ასევე ერთგული ვიქნებით რუსეთის სახელმწიფოსი და ისეთივე მამაცობით დავიცავთ სამშობლოს მისი მტრებისაგან".[129]

ცხადია, გავლენიან და პოპულარულ მოღვაწეთა ობიექტური აზრი დიდ როლს ასრულებდა მოსახლეობის დაშოშმინება-დაწყნარებასა თუ ადგილზე დამაგრებაში, მაგრამ ცალკე ოსმალეთის და ცალკე რუსეთის მიერ მუჰაჯირობა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი და, ბუნებრივია, გონიერთა ხმას ნაკლები ეფექტი ჰქონდა.

---

125 სცსსა, ფ.5, ან. 1, ს. 7089, ფურც. 14-19; შ.მეგრელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

126 შ.მეგრელიძის სიტყვით „1880 წლის დასაწყისიდან" სასულიერო წოდებამ პოზიცია შეიცვალა და „გასახლების წინააღმდეგ ქადაგებდა". ამის მიზეზი კი ის იყო, რომ „ბევრი მათგანი პირადად დარწმუნდა მუჰაჯირთა უბედურებაში" (დასახ. ნაშრ., გვ. 39). ნაკლებ დამაჯერებელი ახსნაა. სინამდვილეში ცარიზმმა მოგვიანებით სასულიერო წოდება თავის დასაყრდენად მიიჩნია და მის მიმართ პოლიტიკა შეიცვალა. ამასთან, ეს უკანასკნელიც დარწმუნდა მისდამი მთავრობის ლოიალობა-კეთილგანწყობაში. ასე რომ, ორივე მხარე მორიგდა მოსახლეობის ხარჯზე.

127 გაზ. „დროება", №217, 1878.

128 შ.ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული, წ. 1, ბათ., 1993, გვ. 10.

129 Газ. «Кавказ», №169, 1880.

* * *

მუჰაჯირობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო სწორედ საბრძოლო ოპერაციების დასრულების შემდეგ.[130] ბერლინის კონგრესზე გაფორმებული დოკუმენტის საფუძველზე 1879 წ. 27 იანვარს რუსეთმა და ოსმალეთმა შეიმუშავეს ე.წ. „კონსტანტინეპოლის ტრაქტატი", რომლითაც ოფიციალურად დაკანონდა მოსახლეობის თავისუფალი გასახლება ამ შეთანხმების რატიფიკაციის დღიდან (3.02.1879) 1882 წლის 3 თებერვლამდე.

რუსეთის მფლობელობაში გადმოსული ტერიტორიებიდან მუჰაჯირობა ყველაზე ინტენსიური ყარსის ოლქიდან იყო. აქაური მაჰმადიანი მოსახლეობა პირწმინდად გადასახლდა[131] ოსმალეთში. 1879 წ. იქ ოფიციალურად ცხოვრობდა 125 775 სული. მათგან მუჰაჯირად წავიდა 111 202. ამის შედეგად ოლქი თითქმის დაიცალა მოსახლეობისაგან, მაგრამ მცირე ხანში მთავრობამ მათ ადგილზე ჩაასახლა სომხები, მალაკანები და იმპერიის შიგა რაიონებიდან გადმოყვანილი სხვა ხალხები. 1909 წ. ყარსის ოლქის მოსახლეობა შეადგენდა 315 534 სულს, მათგან სომეხი – 85199, ბერძენი – 45004, რუსი – 16801 სული და სხვ.[132]

საინტერესოა, რომ ყარსის ოლქიდან მუჰაჯირობის ორგანიზაციისათვის რუსეთის მთავრობამ გამოყო 500 ათასი მანეთი, მაგრამ ამ თანხას დაკარგულად არ თელიდა. არც მალავდა, რომ „რამდენიმე მილიონის წაგებაც კი მიზანშეწონილად და ხელსაყრელად" მიაჩნდა.[133] ცხადია, „ყარსის ოლქში რუსული ელემენტის დასახლებას" იმპერიისათვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.[134]

რაც შეეხება ბათუმის ოლქს (ძირითადად აჭარას), აქედან გასახლებულთა რაოდენობაზე სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ცნობას გვთავაზობს. ზაქარია ჭიჭინაძე ერთგან ასახელებს 30000 სულს,[135] მეორედ – 40000,[136] მესამედ – 100000.[137] სხვათა შორის, ამ უკანასკნელის გარდა, ძირითადად ეს რიცხვები ფიგურირებდა მეცნიერულ ლიტერატურაშიც: ვ. ლისოვსკისთან – 38 000,[138] ტ. სტეპანოვთან – 30137,[139] თ. სახოკიასთან – 12000 (ტრაპიზონსა და მის მიდამოებში – 7800, ორდუსა და უნიეს რაიონში – 4000),[140] ე. იაშვილთან – სტეპანოვისა და ლისოვსკის აღნიშნული ციფრები,[141] ხ. ახელედიანთან (როგორც თავად წერს) - ზ. ჭიჭინაძისა და მოსე ჯანაშვილის

---

130 ირ.ბარამიძე მუჰაჯირობაში გამოყოფს ორ ეტაპს: 1878 წლის აგვისტო-სექტემბრამდე და 1878 წლის აგვისტოდან, როდესაც მთელი სიმძლავრით ამოქმედდა „იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკა" (დასახ. ნაშრ., გვ. 76-77)

131 გასახლება გარკვეული წესით ხდებოდა: წასვლის მსურველი ვალდებული იყო რუსული ადმინისტრაციისათვის ჩაებარებინა მიწის ნასყიდობის საბუთი. ანდა ხელწერილი მიწაზე საკუთრების უფლების სამუდამოდ უარყოფის შესახებ. ამის საფუძველზე მას ნება ეძლეოდა წაეღო, გაეყიდა ან გაეჩუქებინა თავისი ქონება. შემდეგ კი ოკრუგის უფროსი კომლობრივ აღრიცხავდა წამსვლელს და აძლევდა სპეციალურ საშვს (ბილეთს).

132 შ.მეგრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 44. ყარსის ოლქით ცარიზმი დაინტერესებული იყო არა მარტო სტრატეგიული, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც. იქ დიდი რაოდენობით იყო სახნავ-სათესი ფართობები და გავრცელებული იყო რუსთათვის ცნობილი ხორბლეულის კულტურა.

133 სცსსა, ფ. 410, ან. 3, ს. 163. ფურც. 6-9.

134 იქვე. ფურც. 11.

135 ზ.ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა..., ტფ., 1914, გვ. 89.

136 იქვე. გვ. 117.

137 იქვე. გვ. 123.

138 Лисовский В. Чорохский край (Военно-статистический очерк), Тифл., 1887, стр. 37-38.

139 Степанов Т. Исторический очерк вступления русских войск в г. Батум 25 августа. - Батум и его окрестность, Тиф., 1906, стр. 95.

140 თ.სახოკია, მოგზაურობანი, ბათ., 1985, გვ. 190-191.

141 ვ.იაშვილი, აჭარა ოსმალთა ბატონობის ბერიოდში, ბათ., 1948, გვ. 154.

გადმოცემებზე დაყრდნობით - „ნახეევარ მილიონზე მეტი“,[142] ირ. ბარამიძესთან „რამდენიმე ათეული ათასის ფარგლებში“[143] და ა.შ.

მითითებული ციფრების კრიტიკული ურთიერთშეჯერებით პროფ. შ. მეგრელიძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბათუმის ოლქიდან (საკუთრივ აჭარიდან) გასახლებულთა საერთო რაოდენობა მართლაც არ აღემატებოდა გაზ. „დროებაში“ 1882 წ. (№32) დასახელებულ რიცხვს - 10 ათას სულს. მკვლევარი კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ ციფრს. მისი სიტყვით, ამაში სავარაუდებელია 2-3 ათასი აფხაზი და ათასზე მეტი ლაზი ლტოლვილი, აგრეთვე, უკან მობრუნებული „მრავალი მუჰაჯირი“. ამის საფუძველზე აჭარიდან გასახლებულ ქართველთა რაოდენობას განსაზღვრავს 5 ათასი სულით. ავტორი ვერ ასაბუთებს ამ რიცხვის სიზუსტეს, მაგრამ, როგორც თავად აღნიშნავს, ვიდრე „დამატების ცნობებს მივაკვლევდეთ“, იგი „დაახლოებით მაინც დამაჯერებელი“ ჩანს.[144] ეფიქრობთ, ეს ციფრი რეალურ სინამდვილეს უნდა ასახავდეს. ჩვენი აზრითაც, აჭარიდან წასულთა რიცხვი, მართლაც, არ აღემატებოდა 7-8 ათას კაცს.

მუჰაჯირები ოსმალეთში ორი გზით მიდიოდნენ: ყარსის ოლქიდან - ძირითადად ხმელეთით, ბათუმის ოლქიდან — საზღვაო გზით. საშინელი სანახაობა იყო გამგზავრება. აყრილი და ბათუმს ჩამოსული ასობით ადამიანი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ოსმალეთს მიმავალი გემის მოლოდინში ქუჩებში ათევდნენ ღამეს, ხშირად მშიერ-მწყურვალნი. ისინი ცხარე ცრემლებით ემშვიდობებოდნენ მშობლიურ მიწა-წყალს, მხურვალედ კოცნიდნენ „დედამიწას, ხეებს, სახლებს, ყველაფერს სულიერსა და უსულოს“.[145] ყარსის ოლქიდან გასახლებულნიც „ტირილითა და ვაი-ვაგლახით ეთხოვებოდნენ აქაურობას. დარჩენილები რამდენიმე ვერსზე აცილებდნენ და მერე ნამტირალევი და გულმოკლული უკან ბრუნდებოდნენ“.[146]

ოსმალეთში ჩასულნი კიდევ უფრო მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ. ისინი სხვადასხვა პროვინციაში ჩაასახლეს (შავი ზღვის სანაპიროზე: ტრაპიზონისა და სამსუნის ვილაეთებში, ეგეოსის ზღვის სანაპიროზე: ბურსას ვილაეთსა და იზმითის სანჯაყში). მართალია, ოსმალეთის ხელისუფლებამ მიიღო გარკვეული ზომები ლტოლვილთა დახვედრა-მიღებისათვის, მაგრამ ერთბაშად ზღვა ხალხის დაბინავება-მოწყობა მაინც მეტისმეტად ძნელი აღმოჩნდა.[147] შემდეგაც, საკითხის მოგვარებისას აშკარად იგრძნობოდა აჩქარება. ამასთან, ვერ ითვალისწინებდნენ ლტოლვილთა მოთხოვნებს. ამის გამო დასასახლებლად გამოყოფილი ადგილები, უმეტეს შემთხვევაში, ან უვარგისი იყო, ან გასაკაფი ახო, ანდა სადავო ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამიტომ მუჰაჯირებს ძალზე გაუჭირდათ ახალ გარემოსთან შეგუება. ლტოლვილებს შიმშილმა და ათასგვარმა სენმა დარია ხელი. ასეთ ვითარებაში მრავალმა ფულის საშოვნელად გამოსავალი შვილების დაგირავებაში ნახა, ზოგმა-გაყიდვაშიც. რუსეთის ტრაპიზონელი კონსული იტყობინებოდა ადგილობრივი ფაშის მიერ „რვა

---

142 ხ.ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956, გვ. 149.

143 ირ.ბარამიძე, მუშაჯირობისა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული საკითხები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში: მიზეზები და ისტორიული ასპექტები. - კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიური ძიებანი საქართველოში, 1, ბათ., 1996, გვ. 123.

144 შ.მეგრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

145 გაზ. „დროება“, №40, 1878.

146 გაზ. „დროება“, №151, 1879.

147 მართლაც, ტრაპიზონში ჩასულ მუჰაჯირთა 4-ათასკაციანი ჯგუფიდან მთავრობამ მხოლოდ 200 მისცა თავშესაფარი, დანარჩენი კი „სიცივემ და შიმშილმა... მათხოვრობამდე მიიყვანა“ (სცსსა, ფ.545, ს.9, ფურც.1-2).

ულამაზესი ქალიშვილის ყიდვას 60-80 რუბლად თითოეული".[148] მაშასადამე, მკაცრი რეალობა შორს იდგა ადრე შეპირებული „ოქროს მთებისაგან".[149] ამიტომ ბევრს გული აუცრუვდა და უკან დაბრუნება მოინდომა. მოახერხა კიდეც — უკანასკნელი სარჩო-საბადებელი გაყიდა, სახლიდან მიღებული გროშებიც მიუმატა და ჩამოვიდა. ა. ფრენკელი, რომელიც პირადად შეესწრო ქობულეთელთა ერთი ჯგუფის დაბრუნებას, წერდა: „უდიდესი სიხარული ბრწყინავდა მათ სახეზეო".[150]

უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად აკრძალული იყო მუჰაჯირთა დაბრუნება და მიღება. ამის გამო სერგეი მესხი მძაფრ პროტესტს გამოთქვამდა მთავრობის მისა-მართით და გაზ. „დროებაში" გამოქვეყნებული სტატიით მოითხოვდა ამ აბსურდული კანონის გაუქმებას არა მარტო კაცთმოყვარეობის ან ჰუმანურობის გამო, არამედ თუნდაც სარგებლიანობის თვალსაზრისით. „ერთი ამისთანა დაბრუნებული, - წერდა ს. მესხი, - რომელმაც ოსმალეთში ათასი ტანჯვა და წამება გამოიარა, რომელსაც იქ არც ადგილი მისცეს, არც თავშესაფარი სახლი, არც ლუკმა-პური... ჩაასახლეთ სოფელში და, რასაკვირველია, დარწმუნებული უნდა იყვნეთ, რომ მერე ამ სოფლიდან არცერთი აღარ გაიელებს ტვინში გასახლებას".[151]

სხვათა შორის, აღნიშნული აკრძალვის გაუქმებას ა. ფრენკელიც მოითხოვდა. თავის პოზიციას იგი ორი მოსაზრებით ასაბუთებდა: ჯერ ერთი, აქ ჩამოსახლებული სხვა ერის შვილი, რომელიც შეუგუებელია ადგილობრივ პირობებს, ვერ დაამუშავებს აჭარის ბუნებრივ სიმდიდრეებს ისე, როგორც თავის მიწა-წყალს საუკუნეობით შეზრდილი მოსახლეობა. და მეორეც, ომებში გამოწრთობილი ეს ხალხი თუ ადგილზე დარჩებოდა, რუსეთს აქ საზღვრის საიმედო დამცველი ეყოლებოდა. სულ მალე მცირე ანია შეიძლება „გახდეს თურქეთთან და ინგლისთან ბრძოლის ასპარეზი და მაშინ ჩვენ (რუსეთი - ავტ.) ვინანებთ იმ მოუსვენარ აჭარლებზე, რომელთა მოცილებას ახლა ვჩქარობთ"[152] - სინანულით დასძენდა ა. ფრენკელი.

ჩანს, საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით 1879 წ. შემოდგომაზე მთავრობამ გააუქმა აკრძალვა და ბათუმის ოლქიდან გასახლებულთ დაბრუნების უფლება მისცა. ამას „კარგი ზემოქმედება ექნება, - გახარებული წერდა გაზ. „დროება", - ხალხი დამშვიდდება, დაწყნარდება და ოსმალო ჩინოვნიკების ტყუვებას დაინახავს, მიწა-წყალს მოეკიდება და მშვიდობიანად ცხოვრებას და მამულის დამუშავებას შეუდგებაო".[153]

დაბრუნებაზე აკრძალვის გაუქმება ქართული საზოგადოებრივი აზრის გამარჯ-

---

148 სცსსა, ფ.410, ს.1102, ფურც. 2

149 ცხადია, ეს ადრე იყო, რაც ამდენი მუჰაჯირის მიღება-მოწყობის სირთულემ გამოიწვია, თორემ ლტოლვილებმა შემდეგ ბეჯითი შრომით თავიანთი დასახლების ადგილები წალკოტად აქციეს. თურქი ბუნებიციტტი მეამედ არიფი, რომელმაც XIX საუკუნის 90-იან წლებში მოინახულა სამსუნის მიმდებარე ქარ-თული სოფლები, აღტაცებული წერდა: ქართველებმა არაჩვეულებრივი გარჯის შედეგად „ყოველი მხარე კეთილმოაწყვეს და ისეთი ადგილებიც კი გამოაცოცხლეს და ნოყიერი გახადეს, რომლებიც მიწათმოქმე-დებისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო, მიწის დამუშავებასა და ხვნა-თესვაში დიდი გულმოდგინება გამოიჩინეს. ხუთი, ათი სულისაგან შემდგარმა ოჯახმა, რომელიც ოცდაათი ყურუშითა და გაჭირვებით მოვიდა, მოკლე დროის განმავლობაში სული მოითქვა, ცხოვრებისათვის აუცილებელი ნივთები შეიძინა, მინდორი, ხარ-უელი, საქონელი გაამრავლა, გაჭირვებისაგან თავი დაიხსნა და ისეთ კეთილდღეობას მიაღწია, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ... ქართველებისაგან დაიწყო სესხება". ეს იმიტომ, რომ აქაურები „ბუნებით ზარმაცები და უდარდელნი არიან" (მ.არიფი, ქართული სოფლები (თურქეთში). იხ. მ.სვანიძე, ქართველები თურქეთში, გვ. 11; აგრეთვე ა.კარბელაშვილი, ქართველები თურქეთის ცის ქვეშ, თბ., 1991).

150 Френкель А., Указ. соч., с. 108.

151 გაზ. „დროება", №183, 1879.

152 Френкель А., Указ. соч., с. 131.

153 გაზ. „დროება", №188, 1879.

ვება იყო.[154] ცხადია, ამ უფლებით ბევრმა თანამემამულემ ისარგებლა, რამაც პარტახად დაგდებული არა ერთი სახლ-კარი „გააცოცხლა". ეს იყო უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის ფაქტი. ამ თანადგომით აჭარამ აიცილა 30-იანი წლების მესხეთის საეალალო ხვედრი და მის მსგავსად არ დაიცალა მკვიდრი მოსახლეობისაგან.

* * *

მუჰაჯირობამ შეაწუხა და საგონებელში ჩააგდო ქართველი სასოგადოება. მას გულს უკლავდა იმის შეგნება, რომ მშობლიურ კერაზე დაბრუნების მიუხედავად, მაჰმადიანი ქართველი ბედის ანაბრად აგდებდა მამულს, სახლ-კარს და „ცხრა მთას იქით" უცხოეთში მიდიოდა. ილიამ განგაშის ზარები დაარისხა და ხალხს შეჭირვებული აჭარლების დახმარებისაკენ მოუწოდა. იგი წერდა: „ქართველობავ... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა... შეეწიენეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმელით, საცმელით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან სასოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობით მოვალეობაც ძმისა და დის წინაშე...

აბა ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შეერთებულ ძმებს. ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქეყანას მამა-პაპათ ანდერძს: „ძმა-ძმისთვისა და შავი დღისთვისაო".[155]

კიდევ უფრო მკვეთრი იყო სერგეი მესხის წერილები. იგი ქართველ სასოგადოებას უკიჟინებდა აჭარის მოსახლეობისადმი უმოქმედობას და უყურადღებობასაც კი. „პირველი აღტაცების შემდეგ, - სამართლიანად წერდა იგი, - ჩვენ დაგვავიწყდა ყოველი ღვთიური და კაცობრიული მოვალეობა ჩვენი მოძმეების წინაშე. დაგვავიწყდა, რომ ამ ნაპოვნ ძმას მოელა-პატრონობა, გზის ჩვენება, ჩვენი თავის გაცნობა და შეყვარება უნდა. დაგვავიწყდა, რომ ასე მიტოვება იმათი, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ყოველი მხრიდან მოდიან მათთან და ეჩურჩულებიან, უქადაგებენ გადმოდით ოსმალეთში, გადმოსახლდით, ჩვენი მხრიდან დიდი წინდაუხედველობა იყო, დიდი შეცდომა და დაბრკოლება..."

და შემდეგ: „თითქმის არცერთი ფაქტით, არცერთი სახსრით და ჩვენის მოქმედებით ჯერ არ დაგვიმტკიცებია ამ ხალხისათვის, რომ ჩვენ ამათთვის ბედნიერება და სიკეთე გესურს, რომ ჩვენ ნამდვილ ძმებად მიგვაჩნია იგინი და ვზრუნავთ მათთვის და ამის შემდეგ რად უნდა გვიკვირდეს, რომ ისინი მიდიან ოსმალეთში, სადაც საქმით თუ ვერ უსრულებენ, სიტყვით მაინც პირდებიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ხელის გამართვას და დახმარებას. ამაზე ყველა ქართველმა უნდა იფიქროს, რომ ნაპოვნი ძმა ხელახლა არ დაგეკარგოს".[156]

ყურადღებისა და დახმარების პირველ ნაბიჯად სერგეი მესხს მიაჩნდა პატიოსანი და მამულისმოყვარე ქართველი ახალგაზრდების მოზიდვა ბათუმ-აჭარაში სამუშაოდ, რადგან კეთილშობილური და უანგარო დამოკიდებულებით გამაამადიანებული ქართველები „ნდობის თვალით შეგვხედავენ... და აღარ იფიქრებენ ოსმალეთში გასახლებას".[157]

ქართველმა საზოგადოებამ დროულად გაისიგრძეგანა ერის მამების გულმხურვალე მოწოდება და ისევ დიდი ილიას თაოსნობით შეიმუშავა სამხრეთ-დასავლეთ

---

[154] შ.მეგრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 70.
[155] ი.ჭავჭავაძე, თხზ., ტ.5, გვ. 31.
[156] გაზ. „დროება", №4, 1880.
[157] გაზ. „დროება", №14, 1879.

საქართველოს აღორძინების ერცელი პროგრამა. იგი გულისხმობდა არა მარტო მატერიალურ დახმარებას, არამედ სახალხო მეურნეობის განვითარებას და, რაც მთავარია, განათლებისა და კულტურის დაწინაურებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ეროვნული ცნობიერების ამაღლება და ქეყნის პოლიტიკური გამთლიანება.

ქართველმა ხალხმა გულთან მიიტანა მოძმეთა სატკივარ-გასაჭირი და რითაც შეეძლო, დახმარების ხელი გაუწოდა. საკმარისია ითქვას, რომ 1879 წ. მარტო ფულად შეკრიბა და გამოუგზავნა 20 ათასი რუბლი[158] მათ, ვინც მუჰაჯირად არ წავიდა.

რა თქმა უნდა, აღნიშნული თანხა ყველას ვერ გამოიყვანდა გაჭირვებიდან, მაგრამ ამ დახმარებას მაინც დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს თანადგომა, როგორც გიორგი წერეთელი აღნიშნავდა, ადგილობრივ მოსახლეობას ჩააგონებდა: „სხვებთან ლხინს ისევ თქვენთან ჭირი გვირჩევნიაო“.[159]

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობისა იყო 1881 წ. მარტში ბათუმში პირველი ქართული სკოლის გახსნა, რომელმაც მხარის აღორძინების უდიდესი მისია იკისრა. სწორედ ამ სკოლიდან გამოვიდა განათლებულ მაჰმადიან ქართველთა ის პირველი თაობა, რომელთა აქტიური მოღვაწეობით მოხერხდა დედასაქართველოსთან აჭარის შემომტკიცება.

§4. მოსახლეობის დინამიკა, ეთნოკონფესიური და სოციალური სტრუქტურა

ბათუმის ოლქი, კერძოდ, აჭარა, საქართველოს ის ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონია, სადაც დასახლების ძირითად ერთეულს წარმოადგენდა სოფელი და სასოფლო თემი. ეს ფაქტორი განსაზღვრავდა ეთნიკური სუბსტრატის მდგრადობას. აჭარის ასეთი მონოეთნიკურობა სხვა ფაქტორებითაც იყო განპირობებული. მართალია, გვარ-სახელებში და ბუდე-შტოს სახელებში შეინიშნება არაქართული ელემენტი (ქურთიენთი, ჰემშიენთი...), მაგრამ ის გათქვეფილია მკვიდრ მოსახლეობასთან და გააჩნია ქართული ცნობიერება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან გარემოცვა, ძირითადი ეთნიკური მასა, ქართული იყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბათუმი თანდათანობით იქცა საქალაქო ტიპის დასახლებად. სტრატეგიულმა მდებარეობამ, სავაჭრო, ეკონომიკურმა თუ პოლიტიკურმა ფუნქციებმა გაზარდა მისი, როგორც საპორტო ქალაქის, მნიშვნელობა. ამან, თავის მხრივ, დააჩქარა მოსახლეობის ზრდა და სხვადასხვა ეთნიკური ელემენტის მოზიდვა.

სამხრეთ-დასაველეთ საქართველოში ეთნიკური პროცესები სპეციფიკური ნიშნით წარიმართა. ადრე სამცხე, ჯავახეთი, აჭარა და მესხეთის სხვა თემები მაწყვერელის, მტბევარის, ქუთათელის, იშხნელის, ანჩელის, ერუშნელის, ფანასკერტელის, ანელის, კარელის, ბანელის, დადაშნელის, წურწყაბელის, წყაროსთაველის სამწყსო ყოფილა.[160] საეკლესიო ცხოვრების ამგვარი სურათი იმ პერიოდის ანარეკლია, როცა ქრის-

[158] დაწვრილებით იხ. შ.მეგრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 74-75.
[159] გაზ. „დროება“, №32, 1879,
[160] Бакрадзе Д.З. Археологическое путешествие по Грузии и Адчаре. сс., 81-85.

ტიანული სამხრეთ საქართველო მესხეთის ანუ ზემოქართლის სახელწოდებას ატარებდა.[161] ამ დროისათვის ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულად სრულდებოდა და სხვა იდეოლოგიური სისტემები მასზე ზეგავლენას ვერ ახდენდა.

სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არც გვარობრივ-ეთნიკური შემადგენლობა იყო ისე ჭრელი, როგორც გეიანშუასაუკუნეებსა და საბჭოთა პერიოდში. ამაზე მეტყველებს წერილობით წყაროებში ასახული და ეროვნული ცნობიერების გამომხატველი ქართულ გვარეულობათა სახელწოდებანი: ბალასძე, ხინკილაძე, ვაშანისძე, ხუციასძე, დიასამიძე, შალიკაშვილი, უზნასძე, გათენასძე, ფანასკერტელი, კოპასძენი და სხვ.[162] რაფიელ ერისთავი შავშეთში ადასტურებდა გვარებს: ერისთავი, ხიმშიაშვილი, თეეთიძე, კოპაძე, ბასილიძე, წიქარიძე, ავალიშვილი, გუჯაბიძე, ლოთაძე, პანჩიძე, ყომაშიძე, სალარიძე, ბერიძე, შალიკაშვილი, თურმანიძე და ა.შ.[163] მას დაუმოწმებია არტანუჯში, აგრეთვე, კავკასისძე, ლივანში-ათაბაგი, ვაშალიძე, ზაქარიაძე, გვარელიძე, ირემაძე, პარხალში — ღებრაძე.[164] აქ წარმოდგენილ გვარეულობათა ერთი ნაწილი (ხიმშიაშვილი, ავალიშვილი/ავალიანი, ბერიძე, თურმანიძე, ათაბაგი, ირემაძე) აჭარაში დღესაც გეხვდება, რაც მესხეთის თემებს შორის მჭიდრო კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობას მოწმობს. ეს გვარეულობანი ქართული ფეოდალური საზოგადოების ფარგლებში იყო წარმოდგენილი და ტრადიციული სუფიქსებით გაფორმებული, რაც ასევე ეროვნული ცნობიერების სიმტკიცის მაჩვენებელია.

ქართული გვარეულობანი ძირითადად ყალიბდებოდა წინაპრის საკუთარი ან ზედმეტი სახელისაგან და ჩვეულებრივ, წინაპრის პროფესიას ასახავდა (ხარასი, უსტიაშვილი...), დამახასიათებელ თვისებებს (გრძელიძე, ცენტერაძე...) ან სადაურობას (მესხიძე, მეგრელიძე...) გამოხატავდა. უკანასკნელთ გეოგრაფიული სახელები ან ეთნონიმები უდევთ საფუძვლად და სუფიქსით სწორედ მათდამი კუთვნილებას ან მათგან წარმომავლობას ასახავენ (ფლატიენთი, მესხიძე, ნოღაიდელი, მეგრელიძე, ლაზიშვილი, ლეკიშვილი, რუსეიშვილი და ა.შ.).

გვარსახელთა წარმოებაში უდიდეს როლს ასრულებს ონომასტიკაც. იგი დროში ცვლადია, რაც კულტურულ-ისტორიული და პოლიტიკური რეალობებით იყო განპირობებული. მაგალითად, ოსმალთა ბატონობის ხანაში აჭარის მოსახლეობის ერთ ნაწილში გავრცელდა თურქული სამყაროსათვის დამახასიათებელი სახელები (ხასანა, აბდულა, მუხამედი, ფერათი, ახმედი, ალი...), მაგრამ პატრონიმიული სახელწოდებები ტრადიციულ კანონზომიერებათა საფუძველზე იწარმოებოდა, ე.ი. წინაპრის სახელებზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართული სუფიქსების (ძე, შვილი, ენ ან იენთ) დართვით. ამდენად, ადამიანთა უცხო სახელებისაგან წარმოდგარმა გვარსახელებმა თუ ბუდე-ნათესაობებმა მაინც შეინარჩუნეს გენეალოგიური წარმოების ძირძველი ქართული პრინციპები (მაგალითად: შაქირდედიენთი, ისკენდერდედიენთი, მურადაშვილი...) შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ნაწილობრივ შეცვლილი ონომასტიკის საფუძველზე გაჩენილ გვარსახელებს, რომლებსაც ხშირად თურქული „ოღლი“-ს ან

---

[161] გ.ტივაძე, ოსმალეთის დევრიშობა და გლეხთა აჯანყებანი XVI საუკუნეში, თბ., 1946, გვ. 172-174.

[162] იხ. ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ, თბ., 1977, გვ. 15-26.

[163] მესხური წარმომავლობის გვარეულობათა შესახებ აჭარაში, იხ. ნ.მგელაძე, აჭარაში მესხთა მიგრაციის საკითხისათვის. - ეთნოგრაფიული გამოკვლევები, თბ., 1989, გვ. 69-80; მისივე, სამცხური წარმომავლობის გენეალოგიური (ნათესაური) ჯგუფების ისტორიის ზოგიერთი საკითხი აჭარაში. - მესხეთი (ისტორია და თანამედროეობა), ახალციხე, 2000, გვ. 140-147.

[164] გაზ. „დროება“, №80, 1875.

სპარსული „ზადე“-ს სახით ქართული „შვილი“-ს შესატყვისი ფორმა ერთვოდა, მხოლოდ გარეგანი მნიშვნელობა ჰქონდა. ოსმალეთში გვარის ტრადიცია არ არსებობდა და გენეალოგიის საფუძველზე არც გვარსახელი წარმოიქმნებოდა. აჭარაში გვარეულობათა წარმოშობის ძირძველი ტრადიცია უცველად შემოინახა. წინაპრისაგან ერთხელ მიღებული სახელი თაობებს გადაეცემოდა, გენეალოგიას წარმოქმნიდა და გვარსახელის გამომხატველი ხდებოდა. ოსმალეთში კი წინაპრის სახელი შვილიშვილის თაობაში ქრებოდა.[165] ამგვარი ტრადიციების მდგრადობამ განაპირობა ეთნიკური ცნობიერებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ბათუმის ოლქი, რომელიც ძირითადად წარმოდგენილი იყო საკუთრივ ბათუმისა და ართვინის ოკრუგების სახით, გამოირჩეოდა ეთნიკური ერთფეროვნებით, თუმცა, მათში, ისტორიული ბედუკუღმართობის გაელენით, შეიმჩნეოდა უცხოეთნიკური ელემენტების (თურქები, სომხები...), ბათუმის მიდამოებში კი — აფხაზების დამკვიდრების შემთხვევები.[166]

XIX საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთიდან ოსმალეთში გადასახლდა 10 ათასი კაცი.[167] მათი ნაწილი დამკვიდრდა ბათუმის რეგიონში, რომელიც მაშინ ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული. აფხაზთა ძირითადი მასა კი აქ 60-იან წლებში ჩამოსახლდა. თვით მუჰაჯირების განცხადებით, აფხაზების ერთი ჯგუფი ბათუმში 1862 წლისათვის დასახლებულა.[168] მაშინ დაუკავებიათ „ნურიეს“ ტბის (დღ. ახალგაზრდობის პარკის) ტერიტორია.[169] რუსეთის გენერალური კონსულის ა. მაშნინის ცნობებზე დაყრდნობით, გ. ძიძარია ლტოლვილთა რაოდენობას დაახლოებით 6 ათასი კაცით განსაზღვრავს.[170] ცალკეული ავტორი კი 1872 წლისათვის ბათუმის ოლქში მიუთითებდა ემიგრანტთა 300 ოჯახს, რომლებიც 1864-1867 წლებში აფხაზეთიდან გადმოსახლდა.[171]

ბევრი მუჰაჯირი ცდილობდა აფხაზეთში დაბრუნებას, მაგრამ ჯერ ოსმალეთის, შემდეგ კი რუსეთის ხელისუფლება ამას კრძალავდა. ამის გამო მათი ნაწილი აჭარაში დამკვიდრდა. გადმოსახლებულთა შორის, როგორც ჩანს, იყვნენ კავკასიის სხვა რეგიონებიდან ლტოლვილებიც (ჩერქეზები, უბიხები...). ამის დამადასტურებელია როგორც ტოპონიმიკა („ჩერქეზიანთ უბანი“), ისე ადამიანთა საკუთარი სახელები („ჩერქეზა“).

1877-1878 წლების ომისა და ომის შემდგომ წლებში, რუსთა ჯარის შემოსვლის შემდეგ, ჩერქეზები და უბიხები თითქმის მთლიანად, ხოლო აფხაზების — ნაწილი, ისევ აიყარა ბათუმის მიდამოებიდან და ოსმალეთში გადავიდა. პარალელურად მიმდინარეობდა ემიგრანტთა ახალი ნაკადის შემოსვლა. ესენი იყვნენ ომის დროს ოსმალთა მიერ აფხაზეთიდან ძალით წაყვანილი ლტოლვილები,[172] რომლებიც აპირებდნენ ისევ უკან დაბრუნებას, თუმცა, ბათუმის ხელისუფლება, უზენაესი ბრძანების შესა-

165 მ.ბექაია, ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათ., 1974, გვ. 22.
166 Дзидзария Г.А., Махаджирства и проблемы Абхазии XIX столетия, Сух., 1982, с. 36.
167 ზ.ჭიჭინაძე, ქართველი მუსლიმანები და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 169.
168 თ.აჩუგბა, აჭარაში აფხაზთა დასახლების საკითხისათვის. - სდსყკ, თბ., 1988, გვ. 78.
169 იქვე, გვ. 79.
170 Дзидзария Г.А. Указ. соч., с. 228-229.
171 თ.აჩუგბა, დასახ. ნაშრ., გვ. 79.
172 ი.ანთელავა, ერთი ეპიზოდი XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიიდან. - ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვეთი I, თბ., 1958, გვ. 7, 8, 10.

ბამისად, ცდილობდა ეს არ დაეშვა.[173] აფხაზთა ცალკეული ჯგუფის შემოსელა ბათუმის ოლქში შემდგომ წლებშიც გაგრძელდა.

1881 წ. რუსეთის მთავრობამ გააუქმა სამშობლოში დაბრუნების აკრძალვა, რადგან მსურველთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა.[174] ეს ფაქტი დაუმალეს ოსმალეთში მცხოვრებ აფხაზებს. 1860-იან წლებში აფხაზები დასახლდნენ შემდეგ უბნებში: კალტიბაური, ყუშადიე ანუ ჩელტა, იმამიე ანუ სალიბაური, ბედენიე, ფეიზიე, სოუქსუ, იჯადიე, ფერიე, ადლიე, ნურიე, ერგე, ურეხი და ა.შ. იმავე პერიოდიდან აფხაზები ცხოვრობდნენ, აგრეთვე, გონიოში, ჭარნალში, მახინჯაურში, ჩაქეში, ციხისძირში, ბობოყეათში, ქობულეთში და სხვ. მოგვიანებით, ქალაქის გაფართოების მიზნით რუსეთის ხელისუფლებამ აჰყარა ცენტრალურ უბნებში (ნურიე და სხვ.) მცხოვრები აფხაზები. მაშინ მათი ნაწილი ოსმალეთს გაბრუნდა, ნაწილი კი ბათუმის ახლომდებარე სოფლებს შეეხიზნა. 1882 წ. 19 მარტის მოსახლეობის ერთდღიანი აღწერით ბათუმში ცხოვრობდა 337 აფხაზი.[175]

აფხაზთა შემოსახლება-დამკვიდრების პროცესი ეტაპობრივ ხასიათს ატარებდა. შესაბამისად, იცვლებოდა მიგრანტთა რაოდენობაც. ე. ლისოვსკი გონიოს უბანში ასახელებს ჩერქეზებსაც,[176] თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგი აეტორი აფხაზურადიღეურ ხალხს ერთმანეთისაგან არ ასხვაეებდა და ზოგადი ეთნონიმით - „ჩერქეზი“-თ აღნიშნავდა (ე. ლისოვსკი, გ. ყაზბეგი).

ბათუმის ოლქში უცხოეთნიკური ელემენტის მოძალება, ძირითადად, განაპირობა, ერთი მხრივ, ბათუმის საპორტო და სამრეწველო ქალაქად გადაქცევამ, მეორე მხრივ, ცარიზმის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ. რუსეთი ამ მხარის კოლონიზაციას პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა. 1879 წ. გენერალ-ადიუტანტი სვიატოპოლკ-მირსკი ყურადღებას ამახვილებდა თავისუფალი მიწების რაოდენობის შესაბამისად არაქართველთა ფართომასშტაბიანი შემოსახლების აუცილებლობაზე: „ჩვენ თურქეთში გადასახლებაში ხელი არ უნდა შეეუშალოთ მუსლიმანებს არც პირდაპირ, არც ირიბად, - ნათქვამია დოკუმენტში, - რუსეთის ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, რათა გადასახლებულ მუჰაჯირთა მიწები მოხედეს მთავრობის განკარგულებაში. ამიტომაც, უნდა წაეახალისოთ ადგილობრივთა წასელა მუჰაჯირად“.[177] ამის სანაცვლოდ ავტორი მოითხოვდა რუსების ჩამოსახლებას. აქვე აღნიშნულია, რომ მხარის სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს კოლონიზაციის გზით.

თავდაპირველად ცარიზმი ცდილობდა მკვიდრი მოსახლეობის გასახლებას ან ასიმილაციას და დარწმუნებულიც იყო, რომ შეძლებდა აქ რუსების დამკვიდრებას, მაგრამ მალარიის გამო გართულდა ადაპტაციის პროცესი.[178] ამის მიუხედავად, მაინც მიმდინარეობდა არაქართული ელემენტების ჩამოსახლება-დამკვიდრება. 1887 წლისათვის ბათუმის ოკრუგში მცხოვრები მოსახლეობის ეთნოკონფესიური შემადგენლობა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:[179]

---

[173] თ.აზუგბა, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

[174] შ.მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან, თბ., 1964, გვ. 71, 72.

[175] Известия Кавказского отдела Императорского Российского географического общества (ИКОИРГО), т. VIII, 1884, с. 94.

[176] Лисовский В.Я. Чорохский край, Военно-стратегический очерк, Тиф., 1887, таб. 2.

[177] სცსსა, ფ. 416, ან.3, ს. 163, ფ. 10-12.

[178] Френкель А. Очерки Чурук-су и Батума, Тиф., 1878, с. 5.

[179] ცხრილი შედგენილია ვ.ლისოვსკის მონაცემების საფუძველზე იხ. Лисовский В. დასახ. ნაშრ., с. 11-12.

დასახლებული პუნქტი	სასოფლო თემი	სოფელი	ქალაქი	სულაობა	ეროვნება	რელიგიური აღმსარებლობა
ქ. ბათუმი			I	18945	რუსი-5645 ბერძენი-3797 ქართველი-1996 თურქი-2869 სომეხი-1898 ებრაელი-476 სპარსი-1780 სხვა-844	მართლმადიდებელი-11438 მაჰმადიანი-4649 სომეხი გრიგორიანი-1265 სომეხი კათოლიკე-633 კათოლიკე-407 იუდეველი-476 სხვა-77
ზემო აჭარა	2	136		12862	ქართველები	მაჰმადიანი
ქვემო აჭარა	23	64		9886	ქართველები	მაჰმადიანი
გონიოს უბანი	14	61		8993	ქართველი-5843 ლაზი-1889 ქურთი-929 ჩერქეზი-172 თურქი-160	მაჰმადიანი
კინტრიშის უბანი	19	36		6030	ქართველი-5326 რუსი-704	მაჰმადიანი-5326 მართლმადიდებელი-704

უცხოეთნიკური ელემენტები ძირითადად ცხოვრობდნენ ბათუმში, გონიოსა და მის მიდამოებში. ეს მოსახლეობა ჭრელი იყო კონფესიურადაც. რაოდენობრივად ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი რუსები იყვნენ. ბათუმის ოლქში მათი ჩამოსახლების ფართომასშტაბიანი გეგმების ჩაშლის მიუხედავად, ეს პროცესი მაინც გრძელდებოდა. ქალაქის გარდა ისინი სახლდებოდნენ მიმდებარე სოფლებშიც – ორთაბათუმში, მახინჯაურში, მწვანე კონცხის მიდამოებში, მდ.აჭყვასა და ოჩხამურს, შავ ზღვასა და მდ. ჩურუქსუს შორის.[180] 1880 წ. ბათუმის 3500 მცხოვრებიდან 895 იყო არაქართველი, 1893 წ. ბათუმის ოლქში იყო რუსთა ორი კომპაქტური დასახლება - „სმეკალოვკა“ ქობულეთთან და „ხოლოდნაია სლობოდა“ ბათუმთან.[181] ართვინის ოკრუგში ამ პერიოდში რუსები არ ცხოვრობდნენ.

რუსები საცხოვრებლად ძირითადად ქალაქს ირჩევდნენ. 1882-1890 წლებში ბათუმის რუსული მოსახლეობა 4-ჯერ გაიზარდა და 4 ათას კაცს მიაღწია. ქართველობამ კი მოიმატა მხოლოდ 3-ჯერ (3574 სული). 1897 წ. რუსების რაოდენობამ 7 ათას გადააჭარბა (ქართველები - 6 ათასი).[182]

ქალაქის სამრეწველო განვითარებამ განაპირობა მოსახლეობის ზრდა. 1917 წლისათვის რუსების რაოდენობა გაიზარდა 10 ათას კაცამდე (ქალაქის მოსახლეობის 30%), რაც შენარჩუნდა 1926 წლამდე.[183] XX საუკუნის დასაწყისიდან რუსები ჩნდებიან ართვინის ოკრუგშიც. 1902 წ. ართვინში ცხოვრობდა 315, 1917 წ. - 320 რუსი: მათგან

180 ი.ბორიკი, აჭარაში რუსების დასახლების ისტორიისათვის. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1991, გვ. 71.
181 იქვე, გვ. 72.
182 აჭარის ასსრ, სტატისტიკური კრებული. 1913-1923, გვ. 3-21.
183 იქვე.

217 — ქალაქში, 103 კი - სოფელში.[184] ისინი იყვნენ დროებითი მაცხოვრებლები, უპირატესად — მომსახურე პერსონალი.

ეთნოგრაფიული მონაცემებით ჩანს რუსთა გაქართველების ცალკეული შემთხვევა. გაზეთ „ცნობის ფურცელში" (1898 წ., №578) დაბეჭდილია ვინმე „აჭარელ ხასანას" კორესპონდენცია. ავტორის აზრით, აჭარაში მცხოვრები რუსეიშვილების წინაპრები ყოფილან რუსები. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო ფაქტი აქვს დადასტურებული ეთნოგრაფ ელ. მგელაძეს. კერძოდ, სოფელ ქაქუთში ცხოვრობდა ვინმე ივანე მართალიშვილი, რომელიც წარმოშობით იყო რუსი. ადრე დაობლებული ივანე შეხიზვნია იუსუფ მართალიშვილს, რომელსაც მისთვის მიუცია სამოსახლო მიწა და დაუცოლშვილებია კიდეც. ივანე იუსუფის გვარზე დაწერილა და მართალიშვილად ქცეულა.[185]

შავი ზღვის სანაპირო სოფლებში (ადლია, სამება, კაპრეშუმი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ჩაქი და სხვ.) გვხვდება გვარსახელური ტოპონიმები: კაგანოვი, სინიცინი, ჩერკასი, გუბანოვი, გოლოვინი, ბიკოვი, სახაროვი და ა.შ. ესენი იყვნენ ამ ადგილების მფლობელები 1920-იან წლებამდე. კოლონისტები დიდი ხანია აქ აღარ სახლობენ, მაგრამ ტოპონიმიკამ შემოინახა მათი გვარსახელები, როგორც წარსული ცხოვრების უტყუარი საბუთი.

ბათუმის ოლქში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის რიცხოვნობით ყველაზე მეტი იყვნენ სომხები. ბათუმის ოკრუგში მათი დამკვიდრება უკავშირდება 1877-1878 წლების ომსა და ომისშემდგომ პერიოდს, ართვინის ოკრუგში კი ოსმალთა ბატონობის ხანას. სომეხთა მცირე ჯგუფი ბათუმში ადრეც ცხოვრობდა. ავტორთა ერთი ნაწილი 1872 წლისათვის აქ მიუთითებდა 120 სომეხს.[186] ისინი იყვნენ გრიგორიანები, ნაწილი კი კათოლიკები. ართვინის მოსახლეობის ძირითად ნაწილს სომხები შეადგენდნენ.[187]

სომეხთა რაოდენობა ბათუმის ოლქში მკვეთრად გაიზარდა 1895 წელს ოსმალეთში მათი ე.წ. პირველი გენოციდის შემდეგ. მათ შორის ბევრი იყო გამაჰმადიანებული სომეხი, რომლებსაც ჰემშილებს ეძახდნენ.[188] მ. ლიოზენის მიხედვით, ჰემშილები ცხოვრობდნენ როგორც ზღვის სანაპირო ზოლში, ისე მთიან ადგილებშიც: სოფ. კვარიათში - 6 ოჯახი (18 სული), კალნიდერეში - 5 ოჯახი (23 სული).[189]

გ. ყაზბეგის ცნობით, ჰემშილები მთის ლაზებს უფრო ჰგავთ, ვიდრე სომხებს, ლაპარაკობენ თურქულად და ლაზურად.[190] ჰემშილები აღწევდნენ ალპურ ზონაშიც. გოდერძის უღელტეხილის ალპურ საძოვრებზე დღესაც შეინიშნება მათი ცხოვრების კვალი.[191]

მ. ლიოზენის მიხედვით, ყარადერეში მოსახლე ჰემშილები XX საუკუნის დამდეგამდე ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას და ლაპარაკობდნენ სომხურ ენაზე. მათი მთავარი საქმიანობა იყო მესაქონლეობა (მეცხვარეობა), ზოგი ფლობდა მიწის ნაკვეთ-

---

184 Кавказский календар на 1917, отд. статистический, с. 182-183.
185 ვ.მგელაძე, მასალები და ჩანაწერები, პირადი არქივი.
186 ვ.სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958, გვ. 110.
187 Кавказский календар на 1892 год. отд. II, Тифлис, 1892, с. 9.
188 Марр Н.Я. Из поездки в Турецкого Лазистана, территория. - «Известия императорской Академии наук», №7, серия-И, Сб., 1910, с. 608.
189 Лиозен М. Берег русского Лазистана. - ИКОИРГО, т. XVIII, Тб., 1906, стр. 144.
190 Казбег Г. Военно-статистический очерки Лазистанского Санджака, Тифл., 1876, стр. 29.
191 ნ.მგელაძე, გოდერძის უღელტეხილის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, რვ. I, 1993. - ინ. პირადი არქივი.

საც. სოფელ სარფში შემორჩენილი ტოპონიმი „ჰემშილლუღი“ (ციტრუსების ბაღი) მათი აქ ცხოვრების მაჩვენებელია.[192]

1915 წ. ოსმალეთში კვლავ დაიწყო სომეხთა ულეტა, რამაც გაზარდა ლტოლვილთა რაოდენობა. 1916 წლისათვის ბათუმში იყო 4026 გრიგორიანი სომეხი, 1948 - სხვა რელიგიის მიმდევარი, მათგან 418 - დროებითი, დანარჩენი — მუდმივი მაცხოვრებელი, ბათუმის ოკრუგის სოფლებში 174 სომეხი ცხოვრობდა.[193] ართვინში ამავე პერიოდში სახლობდა 5451 სომეხი, რომელთაგან - 1551 გრიგორიანი იყო, 3900 კი - სხვა რელიგიის აღმსარებელი (სავარაუდოა — მაჰმადიანი და კათოლიკე), ართვინის ოკრუგის სოფლებში - 2826 გრიგორიანი, 100 მართლმადიდებელი და 1051 სხვა რელიგიის მიმდევარი.[194] 1922 წლისათვის ბათუმში სომეხთა რაოდენობა გაიზარდა 14969 კაცამდე.[195] მათ ჰქონდათ საკუთარი სალოცავი - გრიგორიანული ეკლესია (დღევანდელ კ. გამსახურდიას ქუჩაზე). მახლობლად იყო სომეხ კათოლიკეთა ეკლესიაც. აქაური სომხები XX საუკუნის დასაწყისიდან აქტიურად მონაწილეობდნენ ბოლშევიკურ რევოლუციურ მოძრაობაში, რაც, უპირატესად, გეოპოლიტიკური მისწრაფებებით იყო განპირობებული. მათ ინტერესებში შედიოდა შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება, რასაც იდეოლოგიურად „დიდი სომხეთის“ ცნობიერება ედო საფუძვლად, სხვაგვარად შეუძლებელია გავიგოთ ოსმალეთის მოსაზღვრე შავიზღვისპირა ქალაქში სომეხთა ასეთი აქტიურობა.[196]

ბათუმის ოლქის ეროვნულ უმცირესობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ ბერძნებს. მათი აქ დამკვიდრება დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის 50-60-იან წლებში. ბერძნებით დასახლებული ე.წ. „ურუმთა უბანი“ მდებარეობდა ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ბერძნებმა ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის ხანაში ააგეს მართლმადიდებლური ეკლესია. გამორიცხული არაა, რომ კონფესიური წარმომაელობის სახელწოდება „ურუმი“ აერთიანებდა არა მხოლოდ ბერძნებს, არამედ ლაზებსაც. გ. ჩიტაია ურუმებში ვარაუდობდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს: ქართველებს, ბერძნებს და სომხებს.[197]

ბერძენთა დიდი ნაკადი - 253 ოჯახი (2107 სული) - აჭარაში ჩამოსახლდა 1881 წ. 6 ნოემბერს.[198] ისინი იყვნენ სივასის ვილაიეთის სხვადასხვა სოფლიდან. მიდიოდნენ ყარსის ოლქში დასასახლებლად, მაგრამ დიდთოვლობის გამო მიმართულება შეიცვალეს და ბათუმში შემოვიდნენ. გამოზამთრების შემდეგ სცადეს ყარსისაკენ წასვლა, მაგრამ არ მოხერხდა. მთავრობა მოერიდა საამისო ხარჯებს.

ახალშენი (ხელვაჩაურის რ-ნ.) ერთ-ერთი პირველი სოფელია, რომელმაც მიიღო ჩამოსახლებული ბერძნები. პირველი მოსახლე ბერძენთა გვარები იყო: იშხანიდი, აეგოპულო, ასანიდი.[199] ბერძნები სახლდებოდნენ კომპაქტურ ჯგუფებად. მათ შორის იყვნენ შესანიშნავი კალატოზები. 1907 წლისათვის ბათუმის ოკრუგში ბერძნები ცხოვრობდნენ: სარფსა და გონიოში - 33 სული, ბათუმში - 3500, ახალშენში - 582,

192 ი.სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათ., 1959, გვ. 38.
193 Кавказский календарь на 1917 г., отд. статист., с. 182-185.
194 იქვე.
195 აჭარის ასსრ, სტატისტიკური კრებული 1913-1923 წწ., გვ. 20.
196 აცსა, ფ. 1, ან 293910, ს. 459, ფურც 2.
197 გ.ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში. - ენიმკის მოამბე. თბ., 1941.
198 ლ.ღვეშეროვა, ბერძენთა დასახლების ისტორიიდან აჭარაში. - სდსყკ. X, თბ., 1983, გვ. 97.
199 იქვე, გვ. 98.

ყოროლისთავში - 51, აჭყეაში - 500, დაგვაში - 602, კვირიკეში - 4002.[200] 1917 წლისათვის ბათუმში ბერძენთა რაოდენობა შეადგენდა 4008 სულს, მთლიანად ბათუმის ოკრუგში, ქალაქის გამოკლებით - 2391,[201] ართვინის მხარეში კი ბერძნები უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობდნენ. 1922 წ. ბათუმში ბერძენთა რაოდენობა გაიზარდა 7629 სულამდე.[202]

ქრისტიან ბერძნებს ბათუმში ჰქონდათ სალოცავი - წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. მისი აგება დაიწყეს 1865 წ. სამლოცველოები ჰქონდათ სოფლად მცხოვრებ ბერძნებსაც. ახალშენში პირველად ააგეს ხის საყდარი. შემოწირული თანხით იმავე ადგილას 1912 წ. აუშენებიათ ქვის ეკლესია. მღვდლად იყვნენ ბერძნები, რომლებიც განათლებას ღებულობდნენ ტრაპიზონის სასულიერო სემინარიაში.[203]

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის შემდეგ ბათუმის ოლქში გაჩნდა ებრაული მოსახლეობაც. ბათუმში მათ ჩამოაყალიბეს ორი სათვისტომო: აშქენაზური (ევროპელი) და ქართველი ებრაელების. უმრავლესობას წარმოადგენდნენ აშქენაზები. 1882 წ. ბათუმში ცხოვრობდა 179, 1890 წ. - 862, 1897 წ. - 1182, 1917 წ. - 1148, 1920 წ. კი 1761 ებრაელი. მხოლოდ მათი მცირე ნაწილი (15-მდე ოჯახი) სახლობდა სოფლად (კინტრიშის უბანი).[204] ართვინის ოკრუგში ებრაელები, ფაქტობრივად, არ იყვნენ. 1902 წლის მონაცემებით იქ მხოლოდ 2 ებრაელი ცხოვრობდა.[205]

ებრაელთა რელიგიური და სასულიერო ცენტრი სინაგოგა (შეკრების სახლი) ბათუმში პირველად არალეგალურად დააარსეს. შემდეგ 10 წლით იჯარით აიღეს ძველი, ერთსართულიანი ხის სახლი, რომელიც 1899 წ. შეისყიდეს და დაიწყეს ქვის სინაგოგის მშენებლობა. 1922 წ. აქვე დაუარსებიათ საკვირაო სკოლაც.[206]

ბათუმის ოლქში ცხოვრობდნენ ქურთებიც. ისინი აქ გადმოსახლდნენ მცირე აზიიდან XVI-XVII საუკუნეებში. მათი ახალი ნაკადი ირანიდან ჩამოსახლდა 1918-1919 წლებში, ძირითადად, რელიგიური დევნის საფუძველზე. აჭარაში ქურთებს ჭოროხის სანაპირო ადგილები ეკავათ. ისინი ბარში მხოლოდ წლის ერთ ნაწილს ატარებდნენ. აქ ედგათ მიწით შელესილი ფაცხები, უფანჯრო, ერთი კარით. ოთახის შუაგულში იყო კერა.[207] ზაფხულობით ქურთები მიემართებოდნენ ალპურ საძოერებზე, სადაც ედგათ საკუთარი ჯარგვლები.[208]

გ. ყაზბეგი ბათუმის მიდამოებში, კერძოდ, კახაბერში ასახელებს 100 ქურთულ ოჯახს (600 სული), გონიოში - 20 კომლს (130 სული).[209] აქედან ქურთები 1944 წელს გაასახლეს. მათი ცხოვრების კვალს ადასტურებს დღემდე შემორჩენილი ტოპონიმები: ნაქურთალი (კახაბერში), ქურთი მეზრები (ჩირუხში), ქურთლუღი და ა.შ.

ბათუმის ოლქში ცხოვრობდნენ ევროპელებიც. 1882 წ. 19 მარტის აღწერით ბათუმში იყვნენ: 145 გერმანელი, 24 ფრანგი, 19 იტალიელი, 10 ინგლისელი და ა.შ.

1922 წ. ჭ ბათუმში სულ ცხოვრობდა 60810 კაცი. მათგან, ქართველი - 18252,

---

200 ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 41.
201 აჭარის ასსრ, სტატისტიკური კრებული, 1913-1923 წწ., გვ. 3, 22, 23.
202 იქვე. გვ. 3.
203 ლ.დემუროვა, დასახ. ნაშრ., გვ. 99-101; ს.ლეკვეიშვილი, ასე იწყებოდა ქალაქი, ბათ., 2000, გვ. 28.
204 მ.ლორია, ო.ტეიფ, აშქენაზური სინაგოგა ბათუმში. - საისტორიო მაცნე, №6, ბათ., 1997, გვ. 50; აჭარის ასსრ, სტატისტიკური კრებული 1913-1923 წწ., გვ. 23.
205 Кавказский календарна 1903 г., отд. II, Тифл., 1902, с. 320.
206 მ.ლორია, დასახ. ნაშრ., გვ. 51-52.
207 Лнозен М. დასახ. ნაშრ., გვ. 145.
208 თ.სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 276-278.
209 ი.სიხარულიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 37-38.

სომეხი - 14469, რუსი - 10720, ბერძენი - 7829, ებრაელი - 8899, სპარსელი - 1756, პოლონელი - 549, გერმანელი - 424, აფხაზი - 225, სხვა ეროვნების წარმომადგენელი - 2587.[210]

ბათუმის ოლქის სოფლის მოსახლეობა, მართალია, ძირითადად ქართული იყო, მაგრამ 1900-იანი წლებიდან აქაც ჩნდება უცხოეთნიკური ელემენტების მცირე ჯგუფები. 1917 წ. მონაცემებით კინტრიშის, გონიოს, ქეედა და ზედა აჭარის უბნებში ცხოვრობდა 53848 ქართველი, 1469 რუსი, 246 სომეხი, 2391 ბერძენი, 15 ებრაელი, 3936 - სხვა ეროვნების წარმომადგენელი.[211]

მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე განაპირობებდა კონფესიურ მრავალფეროვნებასაც. 1887 წ. ბათუმში მცხოვრებთაგან იყო: 6693 მართლმადიდებელი და სექტანტი; 3886 – ლუთერანი და კათოლიკე; 2271-სუნიტი, 1020 - შიიტი, 933 - იუდეველი.[212] სოფლის მოსახლეობა კი ძირითადად მაჰმადიანური იყო. ასეთი ჭრელი კონფესიური სტრუქტურა შენარჩუნდა 20-იან წლებში და შემდგომ პერიოდშიც.

ოლქის ძირითად მოსახლეობას და ზოგიერთ ეთნიკურ უმცირესობას ჰქონდა საკუთარი სამლოცველო. ბათუმში არსებობდა ქართველ მართლმადიდებელთა (ახლანდელ ს. გორგილაძის ქუჩაზე) და კათოლიკეთა ეკლესიები, მაჰმადიანთათვის მეჩეთები (აზიზიეს მოედანზე, რომელიც აშენდა ხანუმ ვალიდეს მიერ სულთნის შვილის აბდულ აზიზის სახელზე),[213] სომხურ-გრიგორიანული და კათოლიკური ეკლესიები (ახლანდელ გამსახურდიას ქუჩაზე), ბერძენთა წმიდა ნიკოლოზის და წმიდა პანტელეიმონის (ახლა წმიდა ბარბარეს) ეკლესიები, ესტონელებისა და გერმანელების ლუთერანული ეკლესია, კათოლიკური ეკლესია და სხვ.

აღნიშნულ სამლოცველთაგან საყურადღებოა ბათუმის კათოლიკური ეკლესია. მისი მშენებლობა ქართველმა მოღვაწეებმა ძმებმა ზუბალაშვილებმა დაიწყეს 1898 წელს და განასრულეს 1902 წელს. მასში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე წარმოებდა, რაც ფრიად მნიშვნელოვანი იყო.

ამრიგად, XIX ს. უკანასკნელ მეოთხედში ბათუმი იქცა ამიერკავკასიის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად და საპორტო ქალაქად. ამასთან, ცარიზმი ცდილობდა დაპყრობილი ტერიტორიების კოლონიზაციას. ამან გავლენა მოახდინა მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე და განსაზღვრა მისი ეთნიკური მრავალფეროვნება. ამის მიუხედავად, ბათუმის ოლქის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მაინც ქართული დარჩა.

---

210 აჭარის ასსრ, სტატისტიკური კრებული, 1913-1923, გვ. 20.
211 იქვე, გვ. 23.
212 ამსტ., ს. 216.
213 Дакишевич Н., Батум, Тиф., 1890, с. 2-3.



ართვინის ოკრუგი
1. ართვინის
2. არტანუჯის
3. შავშეთ-იმერხევის

ბათუმის ოკრუგი
საპოლიციო უბნები
4. ზემო აჭარის
5. ქვემო აჭარის
6. გონიოს
7. კიტნტრიშის

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ, 1905 Წ.



რუსეთის სამხედრო შტაბი სოფ. ხუცუბანში, 1878 წ.



მოძრავი ლაზარეთი ციხისძირში, 1878 წ.

ხუცუბანი. ტელეგრაფის სადგური, 1878 წ.

რუსეთის ჯარის ბანაკი ხუცუბანში

ინფანტერიის გენერალი
გრიგოლ ორბელიანი

გენერალ-ადიუდანტი
სვიატოპოლკ-მირსკი

გენერალ-ლეიტენენტი კონსტანტინე
კომაროვი. „ქობულეთის რაზმის“ სარდალი
და ბათუმის ოლქის პირველი გუბერნატორი

გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ ერისთავი.
ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის
მოადგილე

გენერალი გიორგი ყაზბეგი

გენერალი გრიგოლ გურიელი.
ბათუმის ოკრუგის უფროსი

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომი.
ქართველ ოფიცერთა ჯგუფი. ციხისძირი, 1878 წ.



გურული მოხალისეები, 1878 წ.

პირველი ქართული დრუჟინის მებრძოლები, 1878 წ.

ქართული დრუჟინის მეთაური,
გენერალ-მაიორი ივანე ჭავჭავაძე

ქართველი მოწყალების დები
რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომში

გენერალ-მაიორი ილია ჩოლოყაშვილი,
დაიღუპა ქ. ყარსთან, 1877 წ.

პოდპოლკოვნიკი ივანე საგინაშვილი,
არტაანის გმირი, 1877 წ.

ინფანტერიის გენერალი
იაკობ ალხაზიშვილი

კავალერიის გენერალი
ივანე ამილახვარი

კავალერიის გენერალი
მიხეილ ამირეჯიბი

ინფანტერიის გენერალი
ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი

გენერალ-მაიორი
ალმასხან მიქელაძე

გენერალ-მაიორი
დიმიტრი მუსხელიშვილი

ინფანტერიის გენერალი
ალექსანდრე ქავთარაძე

კავალერიის გენერალი
ზაქარია ჭავჭავაძე

კავალერიის გენერალი
ნიკოლოზ ჭავჭავაძე

არტილერიის გენერალი
გიორგი ხიმშიაშვილი

გენერალ-მაიორი ალექსანდრე
(შერიფ) ხიმშიაშვილი

სან-სტეფანოს საზავო მოლაპარაკება



ბერლინის კონგრესი, 1878 წელი

ილია ჭავჭავაძე

დიმიტრი ყიფიანი

დიმიტრი ბაქრაძე

ნიკო ნიკოლაძე

სერგეი მესხი

ივანე კერესელიძე

გიორგი წერეთელი

ზაქარია ჭიჭინაძე

თედო სახოკია

შერიფ ხიმშიაშვილი

ნური ხიმშიაშვილი

გულო კაიკაციშვილი

ისკენდერ ცივაძე

ხუსეინ აბაშიძე

აბდულ მიქელაძე

ხუსეინ ბეჟანიძე

თოფან შერვაშიძე

დედეაღა ნიჟარაძე

მემედ ჭყონია

ბათუმის ოკრუგის მმართველობა XIX ს. 70-იანი წლების ბოლოს

მეჯლისი – მოწვეული 1880-იან წლებში, ქ. ბათუმი
(რუსეთის აჭარაში დამკვიდრების შემდეგ პირველი მოწვევა)

რომანოვების დინასტიის 300 წლის ზეიმზე თბილისში,
მეფისნაცვალთან ჩასული ბათუმის ოლქის დეპუტაცია, 1913 წ.



ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის მოხელეები

ბათუმის ოლქის სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორები – პეტრე ფონ პარკაუ და ბორის რომანოვსკი ადგილობრივ წარჩინებულ პირებთან ერთად, 1908 წ.

თავი II
ბათუმის ოლქის მრეწველობა

§ 1. კაპიტალისტური მრეწველობის აღმოცენება და განვითარება XIX საუკუნის 80-90-იან წლებში

1877-1878 წლების ომში რუსეთის ყველაზე დიდი შენაძენი იყო ბათუმი. ეს ქალაქ-ნავსადგური ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო ყურადღებას იქცევდა, როგორც მომავალი დიდი საეჯრო-სამრეწველო ცენტრი, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა რუსეთის იმპერიის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

შემთხვევითი არ იყო, რომ ბათუმს მოაშურეს ქართველმა, სომეხმა, რუსმა და ევროპელმა კომერსანტებმა. საქართველოსთან აჭარის დაბრუნებიდან ორიოდე თვის შემდეგ ს. მესხი წერდა: „დიდძალი ხალხი ჩამოვიდა... უმეტესობა ვაჭრები არიან. ყველა აქ მოელის გაკეთებას".[1] 1882 წ. ბათუმში აღირიცხა 8 ათასი, 1890 წელს კი 18 ათასი მცხოვრები.

ბათუმისაკენ უცხოელი ვაჭრების და სხვა საქმოსნების მოძალება იმანაც განაპირობა, რომ ქალაქი თავისუფალ ზონად — „პორტო-ფრანკოდ" გამოცხადდა. აქ შემოტანილ საზღვარგარეთულ საქონელს საბაჟო გამოსაღები არ ედებოდა. დაბრუნებიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში ბათუმში საზღვარგარეთიდან გაცილებით მეტი საქონელი შემოდიოდა, ვიდრე აქედან გადიოდა. ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის ამოქმედების შემდეგ კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა.

სამტრედია-ბათუმის რკინიგზის შტოს ექსპლუატაციაში შესვლამდე აფშერონის ნახევარკუნძულზე ნავთობის ამოღება ძალიან ნელა იზრდებოდა. 1876 წ. ბაქოს საბადოებიდან ამოქაჩეს სულ 11 მლნ ფუთი ნავთობი. მისი გადამუშავების შედეგად მიიღეს 3,2 მლნ ფუთი მზა სასაქონლო პროდუქცია, მაგრამ გასაღების სიძნელეების გამო მრეწველებმა დიდი ზარალი ნახეს და ნავთობის ამოღება საგრძნობლად შეამცირეს. ბევრი მათგანი თითქმის უსაქმოდ იჯდა და ხელსაყრელ კონიუნქტურას ელოდებოდა. ასეთი ნაადრევი კრიზისის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ბაქოს ნავთობის სარეწებს გზა ვერ გაეკელია საერთაშორისო ბაზრებისაკენ. რუსეთის შინაგანი ბაზარი კი, გეოგრაფიული სიფართოვის მიუხედავად, ჯერ კიდევ შეზღუდული, მეტისმეტად ეიწრო იყო. 1878 წ. მხოლოდ ნიჟნი-ნოვგოროდში დაგროვდა 1,5 მლნ ფუთი გაუსაღებელი ნავთი. საწყის ეტაპზე ბაქოს ნავთობი გადიოდა ირანშიც. 1878 წ. კასპიის ზღვის მიმდებარე ბაზრებზე გაიყიდა სულ 6 მლნ ფუთი ნავთი. იმ ხანებში ს. გულიშამბაროვმა მართებულად ივარაუდა, რომ ბაქოს ნავთის სარეწების აღმავლობის ძირითადი საფუძველი უნდა გამხდარიყო მისი პროდუქციის ფართომასშტაბიანი ექსპორტი მსოფლიო ბაზრებზე. ეს კი შესაძლებელი გახდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალისა და ბათუმის ნავსადგურის მეშვეობით.

ადგილობრივ და უცხოელ მეწარმეებს რკინიგზის მშენებლობის დამთავ-

[1] გაზ. „დროება", №176, 1878.

რებისათვის არ დაუცდიათ. ბუნგემ და პალაშკოვსკიმ უკვე 1882 წ. ბათუმში დაიწყეს ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის (ხის ყუთებისა და თუნუქის ბიდონების) დამამზადებელი ქარხნის მშენებლობა. აქციების გამოშვებით კაპიტალი მიიზიდეს და მომდევნო წელს საწარმო გამართეს კიდეც. საქმეში ჩაებნენ სხვადასხვა ქვეყნის მეწარმენიც. მათ ძირითადად მოაწყვეს წვრილი კაპიტალისტური კოოპერაციისა და მანუფაქტურის ტიპის საწარმოები. იმთავითვე მკაცრი საკონკურენციო ბრძოლა გაჩაღდა ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენებს, უცხოელ და ადგილობრივ ბიზნესმენებს შორის.

ეს ბრძოლა მიმდინარეობდა როგორც ბაქოში, ისე ბათუმში. აფშერონის ნახევარკუნძულზე მონოპოლისტური მისწრაფებები გაუჩნდათ ძმები ნობელების, მანთაშევისა და სხვა ფირმებს. ასეთივე ტენდენციები ცხადი გახდა ბათუმშიც. კაპიტალის კონცენტრაცია, წარმოების გამსხვილება თითქოს დროის მოთხოვნილებად იქცა, მაგრამ ამ პროცესში დიდ ზარალს განიცდიდნენ წვრილი მეწარმენი, რომელთა ინტერესების დამცველნი უკვე XIX ს. 80-90-იან წლებში მოითხოვდნენ ანტიმონოპოლისტური კანონების მიღებას. მათ შორის იყო ნიკო ნიკოლაძე. ჯერ კიდევ 1882 წელს მან გამოაქვეყნა სტატიები და ბრალი დასდო ნობელს, რომელიც, ცდილობდა რა რუსეთის ნავთობის საბადოთა ბატონ-პატრონი გამხდარიყო, ხელს უშლიდა სხვა ფირმებს ნავთის გადამამუშავებელი ქარხნებისა და საექსპორტო ჭურჭლის საწარმოების გახსნა-ამოქმედებაში. 1882 წ. 15 ოქტომბერს „რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების“ სხდომაზე, ნობელის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ნ. ნიკოლაძე. მან საჯაროდ განაცხადა, რომ ნობელი გასაქანს არ აძლევდა წვრილ მეწარმეებს, ნავთობის წარმოება-ექსპორტთან დაკავშირებულ მრავალრიცხოვან ფენას. ნიკო ნიკოლაძემ მთავრობას მოუწოდა, დაეცვა ისინი ზემძლავრი ფირმების გამანადგურებელი შემოტევებისაგან. მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესთა დამცველი პრესა სარკაზმითა და უკბილო იუმორით შეხვდა ნ. ნიკოლაძის გამოსვლას. ამ უკანასკნელმა უკან არ დაიხია. გაზეთ „ნოვოე ერემიაში“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი, რომელშიც ასაბუთებდა, რომ მონოპოლია (განსაკუთრებით ვაჭრობის სფეროში) საზარალოა. არანორმალურია, რომ რუსეთის მთელმა ნავთობმა ნობელის ხელში გაიაროს და მომხმარებელმა მხოლოდ მისგან მიიღოს ეს ენერგორესურსი. მისი აზრით, მონოპოლია ძირს დასცემდა პროდუქციის ხარისხს, გაზრდიდა ფასს, რითაც საზოგადოებას ბედნიერებას კი არ მოუტანდა (როგორც ამტკიცებდა ნობელი), არამედ დააზარალებდა ნავთის მრეწველობასთან დაკავშირებულ ხალხს.[2]

ნ. ნიკოლაძისა და სხვათა ანტიმონოპოლისტურმა გამოსვლებმა წარმოების კონცენტრაციის პროცესი ვერ შეაჩერა, მაგრამ წერილი ბერეუაზიის არსებობა რამდენადმე გაახანგრძლივა.

1885 წ. „ბურკგარდტისა და კომპ.“ ფირმამ პირველმა დაიწყო ბათუმში ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის წარმოებაში უცხოური მანქანა-დანადგარების დამონტაჟება. მას მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ. მრეწველობის მანუფაქტურული სტადიიდან საფაბრიკო-საქარხნო სტადიაზე გადასვლის მძლავრი პროცესი სათავეს იღებს 1889 წლიდან. იგი დაკავშირებულია როტშილდის სახელთან, რომელმაც შეიძინა ბუნგესა და პალაშკოვსკის ქარხანა. კაპიტალის მობილიზაცია-კონცენტრაციის გზით კიდევ უფრო გააფართოეა საქმიანობა „კასპია-შავი ზღვის საზოგადოებამ“, რომლის აქციების მფლობელთა რიცხვი თანდათან გაიზარდა. აქციების საკონტროლო პაკეტს, რა თქმა უნდა, როტშილდი ფლობდა და წარმოებასაც ის აძლევდა მიმართულებას. ნავთის ტარის ქარხანაში დაიდგა ორთქლის ქვაბები, აშშ-დან შემოტანილი მექანიკური

[2] «Новое время», 1882 г., №2392.

დაზგები, რის შედეგად მოკლე ხანში ორ-სამჯერ გაიზარდა პროდუქციის (ხის ყუთებისა და თუნუქის ბიდონების) დამზადება. „კასპია-შავი ზღვის საზოგადოებამ" 1889 წ. პირველმა დაიწყო, აგრეთვე, ნავთის ექსპორტი გემ-ცისტერნებით (ტანკერებით).

პირველი ტანკერის გამოჩენამ სენსაცია გამოიწვია ბათუმში და ძალიან შეაშფოთა ნავთის ტარის საწარმოთა მფლობელები, თუნუქის ბიდონებით ნავთის ექსპორტიორები. მათ საჩივარი აღძრეს და ქალაქის თავს „ გავრონსკის აუწყეს: ჩვენ საკმაოდ დიდი თანხები დავაბანდეთ ნავთის საექსპორტო ჭურჭლის წარმოებაში. ავაშენეთ ხის ყუთების, თუნუქის ბიდონების, ხის კასრების დამამზადებელი მანუფაქტურები და ქარხნები. ასეთი ტარით ვეწეოდით და ვეწევით ახლაც ნავთობის ექსპორტს. ბათუმში როტშილდის გემ-ცისტერნების (ტანკერები) შემოსვლამ კი გაკოტრების საფრთხის წინაშე დაგვაყენაო. მომჩიენები არწმუნებდნენ ქალაქის თავს, რომ ტანკერებით ნავთობის ექსპორტი გამოიწვევს ბათუმის ქარხნების დახურვას, რითაც მარტო ჩვენ კი არა, საერთოდ რუსეთის მრეწველობა დაზარალდება. ამიტომ გადაეწყვიტეთ პეტერბურგში გავაგზავნოთ დეპუტაცია, შექმნილი მდგომარეობა უმაღლეს მთავრობას ვაცნობოთ და მოვითხოვოთ ტანკერებით ნავთობის ექსპორტის აკრძალვა. თუ ასეთი წინადადება მიუღებელი აღმოჩნდება, მაშინ გემ-ცისტერნებით ნავთობის გატანას ისეთი მაღალი ბაჟი უნდა დაედოს, რომ მსხვილმა მრეწველებმა ვერ შესძლონ საკონკურენციო ბრძოლაში წერილ მეწარმეთა განადგურება. მექარხნეები შეახსენებდნენ საქალაქო თვითმმართველობის მესვეურებს, რომ ბათუმის არსებობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია ნავთობის ტარის წარმოებასთან და ამიტომ საქალაქო თვითმმართველობა (და თვით უმაღლესი მთავრობაც) გვერდში უნდა ამოუდგეს ნავთის საექსპორტო ჭურჭლის მეწარმეებს, არ უნდა დაუშვას მრეწველობის ამ დარგის განადგურება.[3]

წერილ მეწარმეებს მართლაც ამოუდგა გვერდში ბათუმის რამდენიმე ხმოსანი. მათი მოთხოვნით 1889 წ. 17 მარტს საქალაქო სათათბირომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელიც მთავრობას თხოვდა, აეკრძალა ბათუმიდან ტანკერებით ნავთობის ექსპორტი.[4]

უმაღლეს მთავრობას, მართალია, არ დაუკმაყოფილებია ბათუმელთა თხოვნა, კანონით არ შეუზღუდავს მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ფირმების საქმიანობა და არც ტანკერებით ნავთობის ექსპორტზე დაუწესებია მაღალი (ფაქტობრივად ამკრძალავი) ტარიფი, მაგრამ ნავთობის ტარის წარმოება თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში გრძელდებოდა. იმის გამო, რომ საზღვაო ნავსადგურებიდან აზია-აფრიკის ჩამორჩენილი ქვეყნების სიღრმეში ნავთობის შეტანა მხოლოდ საჩალვადრო პირუტყვის (აქლემი, ცხენი) მეშვეობით ხის ყუთებითა და თუნუქის ბიდონებით შეიძლებოდა, ნავთობის ტარის წარმოება მაინც ხელსაყრელ ბიზნესად რჩებოდა და მას დიდი მასშტაბით ეწეოდა რამდენიმე ფირმა, მათ შორის ტანკერების მფლობელი როტშილდისა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში თანდათან გაფართოედა „კასპია – შავი ზღვის საზოგადოების" (როტშილდი და კომპ.) ქარხანა. საწარმოო პროცესი ემყარებოდა ორთქლითა და ელექტროენერგიით მოქმედი მანქანების სისტემას. ქარხანაში არსებობდა მასალების დამამზადებელი, ხე-ტყის სახმობი, სახერხი და სამოდელე განყოფილებები, აგრეთვე, მექანიკური სახელოსნო, რომელსაც გააჩნდა ჩამოსასხმელი, საზეინკლო და სამჭედლო საამქროები. ხის ყუთებისა და თუნუქის ბიდონების დამზა-

[3] ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958, გვ. 132.
[4] იქვე, გვ. 133-134.

დება 280 დაზგაზე წარმოებდა. ქარხანასთან მოქმედებდა ნავთობის ჩამოსასხმელი სადგურები. ფირმის რეზერვუარები 3 მლნ ფუთ ნავთობს იტევდა. ქარხანა და ჩამოსასხმელი სადგურები ბათუმის პორტთან და რკინიგზის სადგურთან ლიანდაგით იყო დაკავშირებული. ქარხნის კორპუსები და დამხმარე ნაგებობანი წარმოადგენდა უზარმაზარ კომპლექსს, რომელიც განლაგებული იყო დიდ ტერიტორიაზე - ნავთობის ჯებირიდან მდინარე ბარცხანამდე.

„შავი ზღვა — კასპიის საზოგადოებას" (როტშილდი და კომპ.) თავის საწარმოებში სისტემატურად ჰყავდა დასაქმებული 1200-1500 მუშა და საკმაო რაოდენობით ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი, რომელთა შრომა-გარჯის შედეგად ყოველდღიურად მზადდებოდა 18 ათასი ხის ყუთი და 36 ათასი თუნუქის ბიდონი. ფირმას იჯარით ჰქონდა აღებული ნავმისადგომი, რომლის აკვატორიაში მუდამ მოძრაობდა საკუთარი 27 ბარჟა და ორი კატერი, ელევატორი და მტვირთავი მუშები. სრული დასაქმების სეზონში, ყოველდღიურად გემებში ტვირთავდნენ 60 ათას ხის ყუთს (ე.ი. 120 ათას თუნუქის ბიდონს).[5]

ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის წარმოების სარფიან საქმეს სხვა ფირმებმაც მოჰკიდეს ხელი. 1884 წ. ბათუმში ამოქმედდა რიხნერის და სიდერიდისის, 1887 წ. მანთაშევის და ხაჩატრიანცის, 1888 წ. - ძმები ცოვიანოვების ქარხნები. მომდევნო წლებში ტარის წარმოება დაიწყეს ციმერმანმა, მატუესმა, გრამატიკოპულომ, სამხრეთ რუსეთის ბანკმა, შიზაევმა, ხშიანცმა და სხვა, შედარებით წვრილმა ფირმებმა. მათი ქარხნები მასშტაბითა და მწარმოებლურობით როტშილდის კომპლექსს ვერ შეედრებოდნენ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ტექნიკური აღჭურვილობით მას არ ჩამოუვარდებოდა.

ბათუმში წარმოების მოცულობით მეორე ადგილზე იყო მანთაშევის საწარმოები, რომელთაც 3 ჰექტარი ფართობი ეკავა. მთავარი ქარხნის განყოფილებები და საამქროები 5 შენობაში იყო განლაგებული. მათში მოქმედებდა 4 ორთქლის ქვაბი, 6 ორთქლით მომუშაე მანქანა, 7 დინამომანქანა, 3 ტუმბო. ქარხანასთან არსებობდა ხეტყის საწყობი, მექანიზებული სახერხი, სადურგლო, სარჩილავი, სამჭედლო და საზეინკლო სახელოსნოები. იქვე იყო მოწყობილი ნავთობის გადასასხმელი სადგური, რომლის 13 რეზერვუარი 2 მლნ ფუთ ნავთობს იტევდა. წარმოებაში დასაქმებული მუშების უმრავლესობა (ათასამდე) მექარხნის კუთვნილ „ყაზარმაში" ცხოვრობდა.

ე.წ. „ნავთობის გოროდოკის" ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გაშენებული იყო რიხნერის ქარხნისა და დამხმარე საწარმოთა კორპუსები. ფირმას ნავთობის მარაგისათვის გაეჩინდა 8 რეზერვუარი 266 ათასი ფუთის ტევადობით. ციმერმანისა და შუტცის საწარმოებს ეკავათ ნავთობის ქალაქის ჩრდილო-დასავლეთის კუთხე. იქ არსებობდა ქარხნის მთავარი კორპუსი, ნავთობის გადამსხმელი სადგური, რეზერვუარები 180 ათასი ფუთის ტევადობით.[6]

1891 წ. ბათუმში მოქმედებდა ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის 18 საწარმო (ქარხანა და მანუფაქტურა), რომლებშიც დასაქმებული 3 ათასამდე მუშა და შესაბამისი რაოდენობის ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი წლიურად ამზადებდა 6,8 მლნ მანეთის პროდუქციას. მომდევნო 5-6 წელიწადში კონკურენციაში დამარცხებული რამდენიმე საწარმო გაჩერდა, ან სხვის საკუთრებაში გადაეიდა. 1897 წ. მოქმედებდა მხოლოდ 8 ქარხანა, რომლებშიც დასაქმებული იყო თითქმის 3 ათასი კაცი (მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი და სხვ.). ყველამ ერთად წლის განმავლობაში დაამზადა 7,6

[5] გრ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917 წწ., თბ., 1976, გვ. 206-207.
[6] ვლ. სიჭინავა, დასახ. ნაშრ., გვ. 123-126.

მლნ მანეთის პროდუქცია.[7]

კონკურენციაში გამარჯვებულთა შორის ერთ-ერთი სოლიდური საწარმოს მფლობელი იყო სიდერიდისის ფირმა. მის ქარხანაში მრავალი საამქრო და რამდენიმე განყოფილება მოქმედებდა. იყო დამხმარე სახელოსნოებიც. ქარხნის 52 დაზგაზე თუნუქის ბიდონები, ხოლო 12 დაზგაზე ხის ყუთები მზადდებოდა. წარმოების თითქმის მთელი პროცესი მექანიზებული იყო. ქარხნის ტერიტორიაზე დაგებული ჰქონდათ ლიანდაგი, რომელიც რკინიგზის სადგურამდე გრძელდებოდა. ფირმის რეზერვუარები 120 ათას ფუთ ნავთობს იტევდა.[8]

ტექნიკურად კარგად იყო აღჭურვილი, აგრეთვე, ძმები ცოეიანოვების ქარხანა. მის 59 დაზგაზე მზადდებოდა თუნუქის ბიდონები, 18 დაზგაზე კი - ხის ყუთები. სამანქანე განყოფილებას ემსახურებოდა 2 ორთქლის ქვაბი, იქვე მოქმედებდა ხე-ტყის სახერხი, საზეინკლო და სამჭედლო სახელოსნოები. ქარხნის ტერიტორიაზე იდგა რეზერვუარები 2,5 მლნ ფუთი ნავთობის ტევადობით. იქვე არსებობდა რამდენიმე დამხმარე ნაგებობა.[9]

მექანიზებულ საამქროთა, განყოფილებათა და დამხმარე სახელოსნოთა ანსამბლს წარმოადგენდა გრამატიკოპულოს ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის საწარმოც. სამანქანე განყოფილებაში იდგა 2 ორთქლის ქვაბი, რამდენიმე სამუშაო მანქანა. თუნუქის ბიდონები მზადდებოდა 24 დაზგაზე, ხის ყუთები კი 14-ზე. სარჩილავ სახელოსნოში 6 ღუმელი იდგა, ჩამოსასხმელ სადგურში - 2 ორთქლის და ერთი ხელის ტუმბო მოქმედებდა. ქარხანა ლიანდაგებით უკავშირდებოდა რკინიგზის სადგურს.[10]

დაახლოებით ასეთივე იყო ხაჩატრიანცის ქარხანა. მის სამანქანე განყოფილებაში მოქმედებდა ორთქლის ქვაბები და მისი ძალით მომუშავე მანქანები. ჩამოსასხმელ სადგურს ემსახურებოდა მექანიკური და ხის ტუმბოები. ხე-ტყის სახერხში იდგა ექვსი დაზგა, სარჩილავ სახელოსნოში კი - ორი ღუმელი. ქარხანასთან არსებობდა სადურგლო და სამჭედლო სახელოსნოები. მისი რეზერვუარები 185 ათას ფუთს იტევდა.

ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის წარმოებას სამხრეთ რუსეთის ბანკმაც მოჰკიდა ხელი. მისი ქარხანა ტექნიკურად კარგად იყო აღჭურვილი. თუნუქის ბიდონები 70 დაზგაზე, ხოლო ხის ყუთები 15 დაზგაზე მზადდებოდა. ნავთობის ჩამოსასხმელ განყოფილებაში დამონტაჟებული იყო ორთქლის ქვაბი და ორი მუშა მანქანა. საწარმოსთან არსებული რეზერვუარები და როფები 177 ათას ფუთს იტევდა. ქარხანა და მისი სათავსოები ერთმანეთს და ნავსადგურს ლიანდაგებით უკავშირდებოდა. 1902 წ. ბათუმში ნავთობის ჩამოსასხმელი 31 სადგური მოქმედებდა.[11]

ზემოთ დასახელებული რეა მექანიკური ქარხნის გეერდით XX საუკუნემდე ბათუმში პროდუქციას უშვებდა მანუფაქტურიდან მანქანურ წარმოებაზე გარდამავალი ნავთობის ტარის რამდენიმე საწარმო, რომელნიც თითქმის მთლიანად ხელით შრომას ემყარებოდა. ამ მანუფაქტურებს ტექნიკური აღჭურვილობით დიდად ვერ უსწრებდა მესროპოვის საწარმო, რომელშიც კასრები, ხის ყუთები და თუნუქის ბიდონები მზადდებოდა. მის საქვაბე და სამანქანო განყოფილებაში ერთი ორთქლის ქვაბი და მისი ძალით მომუშავე მანქანა მოქმედებდა, რომელიც, ძირითადად, ხე-ტყის სახერხს

---

[7] იქვე, გვ. 129.
[8] გრ. მარგიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 208.
[9] იქვე.
[10] სანკტ-პეტერბურგის ცსია, ფ. 1405, ან. 542, ს. 1540, ფურც. 74-75.
[11] იქვე. ფურც. 80-82.

ემსახურებოდა. აქ ხის ყუთებს, კასრებს და თუნუქის ბიდონებს ხელით ამზადებდნენ.[12]

XIX საუკუნის დამლეგს რუსეთში მუშაობდნენ სპეციალური კომისიები, რომლებიც ამზადებდნენ მასალებს საფაბრიკო ინსპექციის შემოღებისათვის. ერთ-ერთმა ასეთმა ქვეკომისიამ საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა ბათუმის ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის ქარხნებს. დაადასტურა, რომ თითქმის ყველა მექანიზებული იყო, ემყარებოდა ორთქლის ქვაბების ძალას და საკმაოდ მძლავრი სამუშაო მანქანების სისტემას. მან ეპოქის მოთხოვნილების შესაფერისად მიიჩნია, აგრეთვე, ნავთობის ჩამოსასხმელი სადგურების ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც გამართული ჰქონდათ „რუსეთ-კავკასიის ნავთობის საზოგადოებას“, „შუტცსა და ციმერმანს“, ეაგსტაფს, ბლეის, მატიევიჩს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და სხვ. მეტ-ნაკლებად თითქმის ყველას გააჩნდა რეზერვუარები, მილსადენების ქსელი, რითაც ეს რეზერვუარები ნავთობით ივსებოდა და გარკვეულ დროს გემ-ცისტერნებში გადაისხმებოდა.[13]

ნავთობის პროდუქტთა ექსპორტს, როგორც ითქვა, ემსახურებოდა ბათუმში არსებული ხის კასრების დამამზადებელი საწარმოებიც. ისინი მეტ-ნაკლები რაოდენობით უშვებდნენ მუხისა და წიფლის კასრებს, რითაც უცხოეთში იგზავნებოდა ბენზინი, მაზუთი, ნავთობის ნარჩენები, მცირე რაოდენობით ნავთიც. ქვეკომისიამ ეს საკასრეები დაათვალიერა, შეისწავლა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათი უმრავლესობა პრიმიტიულია, ყველა ოპერაცია ხელით სრულდებოდა. შრომის დეტალურ, სისტემურ დანაწილებაზე დამყარებული ეს საწარმოები, არსებითად, მანუფაქტურებს წარმოადგენდა. მსხვილ ექსპორტიორებს ხის კასრებიც სჭირდებოდათ და მათ ხსენებულ წვრილ მეწარმეთაგან იძენდნენ. ზოგიერთ მსხვილ მეწარმე-ექსპორტიორს კი თავისსავე ქარხანასთან ჰქონდა გამართული საკასრე განყოფილება, რომელთაც ფლობდნენ რიხნერი, შუტცი, ციმერმანი, ხშიანცი, ბალფრუა, ეაგსტაფი და ბლეი. ხის კასრებით ნავთობის პროდუქტების ექსპორტს ფართო ხასიათი არ მიუღია. 1893-1899 წწ. ბათუმიდან კასრებით გაიგზავნა უცხოეთში ექსპორტირებული ნავთობის 7,8%.[14]

ასე რომ, ნავთობის ექსპორტში გადამწყეტ როლს ასრულებდნენ ნავთობის ტარის მექანიზებული ქარხნები. ქვეკომისიის მიერ შეკრებილი მასალებიდან ჩანს, რომ ათიოდე ქარხანაში მოქმედებდა 13 დინამომანქანა 1736 ცხენისძალიანი ორთქლის ქვაბებით, 653 ცხენისძალიანი სამუშაო მანქანები. ხის ყუთების დამზადება ხდებოდა 301 მექანიზებულ დაზგაზე, თუნუქის ბიდონებისა - 546 დაზგაზე. ამ მანქანებთან არსებობდა 145 სარჩილავი ღუმელი.[15] დასახელებული საწარმოები დღის განმავლობაში საშუალოდ ამზადებდნენ 38 ათას ხის ყუთს, 76 ათას თუნუქის ბიდონს. როცა ნავთობის ტარაზე დიდი მოთხოვნილება იყო და ქარხნები დიდი დატვირთვით მუშაობდა, ყოველდღიურად მზადდებოდა 71 ათასი ხის ყუთი და 142 ათასი თუნუქის ბიდონი. 1899 წ. ქარხნებმა სულ გამოუშვეს 11,1 მლნ ხის ყუთი და 22,2 მლნ თუნუქის ბიდონი. ქარხნების მთელმა შემოსავალმა შეადგინა 7,6 მლნ მანეთი.

ამგვარად, XIX საუკუნის 90-იან წლებში ბათუმის მრეწველობამ დიდი ნახტომი გააკეთა. თითქმის სამჯერ გადიდდა ნავთობის ტარის ქარხნებისა და მანუფაქტურების მწარმოებლურობა. შესაბამისად, გაიზარდა კაპიტალისტური ფირმებისა და კომპანიე-

[12] გრ. მარგიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 210.
[13] სანკტ-პეტერბურგის ცსია, ფ. 1405, ან. 542, ს. 1540, ფურც. 51-52.
[14] იქვე, ფურც. 57-58.
[15] გრ. მარგიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 212-213.

ბის შემოსავალი. მათი საგრძნობი ნაწილი გაიცემოდა ხელფასის სახით, რაც საგრძნობლად ამცირებდა კაპიტალის მოგების ნორმას. მიუხედავად ამისა, საექსპორტო ჭურჭლის წარმოება სარფიან ბიზნესს წარმოადგენდა. იგი პასუხობდა არა მარტო ადგილობრივ და უცხო კაპიტალისტთა ინტერესებს, არამედ დიდ სარგებლობას აძლევდა ბათუმის მშრომელ მოსახლეობას და მთელ ქალაქს.

ნავთობის ტარის წარმოებამ ბათუმში მრავალი სამუშაო ადგილი შექმნა, დაასაქმა 3-4 ათასი კაცი. ათასამდე მუშა ეწეოდა ნავთობის გადატანას და გემებში ჩატვირთვას, გაიზარდა ნავთობის გადამუშავება-ექსპორტთან დაკავშირებულ ინჟინერ-ტექნიკოსთა, ბუღალტერ-მოანგარიშეთა და სხვა პროფესიის ადამიანთა რიცხვი. მრეწველობა-ვაჭრობის გაფართოების წყალობით ბათუმი სწრაფად ივსებოდა ახალმოსულებით, რომელთაც, რა თქმა უნდა, სჭირდებოდათ თავშესაფარი, ბინა. ბათუმმა საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიზიდა მშენებელი ინჟინრები, მუშები, ხეროები, კალატოზები და სხვ. მათ ააგეს ნავთობის ტარის საწარმოთა კორპუსები, სხვა დამხმარე განყოფილება-სახელოსნოთა შენობები, ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო ნაგებობანი, საცხოვრებელი სახლები. XIX საუკუნის მიწურულს აქ ცხოვრობდა და საქმიანობდა 30 ათასამდე ადამიანი, რომელთაც მრავალნაირი მოთხოვნილება გააჩნდათ. თანდათან გამრავლდა ფართო მოხმარების საგნების (საქონლის) დამამზადებელი საწარმოებიც, რომელთა ნაწილმა წვრილი კაპიტალისტური კოოპერაციისა და მანუფაქტურის სახე მიიღო. 1900 წ. მოქმედებდა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სამკერვალოები, სადურგლოები, სამშენებლო მასალების საწარმოები, პურის საცხობები, აფთიაქები, სასაკლაო, ძეხვეულის დამამზადებელი მანუფაქტურები და სხვ. სულ აღირიცხა ამგვარი სახის 366 წვრილი საწარმო, რომელთა მფლობელების საგრძნობი ნაწილი მეტ-ნაკლები ოდენობით იყენებდა დაქირავებულ შრომას.

ამგვარად, ოციოდე წლის განმავლობაში - XX საუკუნის დამდეგამდე ბათუმის ოლქის მრეწველობამ განვლო კაპიტალისტური განვითარების სამივე სტადია (მარტივი კოოპერაცია, მანუფაქტურა, ფაბრიკა-ქარხანა). პროდუქციის ღირებულებითა და დასაქმებული მუშების რაოდენობით ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობა პირველობდა. ბათუმის გარეთ, ოლქის სასოფლო რაიონებში არსებობას განაგრძობდა საოჯახო მრეწველობა და ხელოსნობა, მაგრამ ისიც განიცდიდა ბურჟუაზიულ ევოლუციას. ფულად-სასაქონლო და კაპიტალისტურ ურთიერთობაში მეტ-ნაკლებად შინამრეწველები და ხელოსნებიც იყვნენ ჩაბმულნი.

ბათუმის ოლქში მრეწველობის კაპიტალისტური განვითარების ერთ-ერთი შედეგი და გამოხატულება იყო მრავალეროვნული ბურჟუაზიისა და დაქირაველებულ მუშათა გაჩენა-გამრავლება. ადგილობრივი ბურჟუაზიის სისუსტის გამო ბათუმში და მთელ ოლქშიც გაბატონებული მდგომარეობა უცხოურმა კაპიტალმა დაიკავა. მუშათა კლასი, ძირითადად, საქართველოს სოფლის მოსახლეობის გაღატაკებული გლეხობის ხარჯზე ყალიბდებოდა. აქვე სამუშაოდ ჩამოდიოდნენ ნახევრად პროლეტარული ელემენტები რუსეთის იმპერიის სხვადასხვა რეგიონიდან, თურქეთიდან და ირანიდან.

§2. ახალი ტენდენციები მრეწველობის განვითარებაში 1900-1917 წლებში

XIX-XX ს.ს. მიჯნაზე მსოფლიოში გაძლიერდა კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციის პროცესი, მონოპოლიურ კაპიტალიზმზე გადასვლის ტენდენცია. თანდათან მრავლდება აქციონერული საზოგადოებები (კორპორაციები), სადაც საკუთრება ასოცირებულია და ღებულობს კოლექტიურ ფორმას. ასოცირებული საკუთრებისა და შესაბამისი წარმოების (ფაბრიკების, ქარხნების) თანამონაწილენი მეტ-ნაკლებად ხდებიან მოსახლეობის თითქმის ყველა კლასისა და ფენის წარმომადგენლები. აქციების (ფასიანი ქაღალდების) მფლობელი ღებულობს საწარმოო მოგების შესაბამის წილს. ასეთი ტენდენცია საგრძნობი გახდა ბათუმის ოლქშიც. აქაც მრეწველობის წამყვან დარგებში ტონის მიმცემნი ხდებიან სააქციო საზოგადოებები, მსხვილი კომპანიები. მალე ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში გააქტიურდა უცხოური კაპიტალი. მან ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებულ წარმოებასთან ერთად დიდი ყურადღება მიაქცია სამთამადნო-საქარხნო მრეწველობას (ფერადი მეტალურგია).

XX საუკუნის დამდეგს ბათუმში კიდევ უფრო გაძლიერდა წარმოების კონცენტრაციის პროცესი. ზოგიერთი, შედარებით წერილი ქარხნის მეპატრონემ ვერ გაუძლო კონკურენციას, შეწყვიტა წარმოება, თავისი უძრავ-მოძრავი ქონება გაყიდა. ზოგიც თავისი ქარხნით მსხვილი გაერთიანების, გამარჯვებულ სააქციო საზოგადოებათა შემადგენლობაში შევიდა.

1902 წ. ბათუმში მოქმედებდა საექსპორტო ჯურჯლის მხოლოდ 5 ქარხანა, მაგრამ მათი წარმადობა რამდენადმე აჭარბებდა 3 წლის წინ არსებულ ყველა ქარხნისას. ამ ხუთი ქარხნის ძრავათა სიმძლავრე 2450 ცხენის ძალას შეადგენდა. მათში დასაქმებულმა 3500 მუშამ და შესაბამისი რაოდენობის ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა 1902 წ. დაამზადა 8,8 მლნ რუბლის პროდუქცია.

საექსპორტო ჯურჯლის წარმოება კვლავ სარფიან ბიზნესად ითვლებოდა. ამიტომ 1903 წ. ზოგიერთმა ფირმამ („კასპიის ამხანაგობა", „ფრანგ მეწარმეთა აქციონერული გაერთიანება", „კავკასიის ვარსკვლავი", „ინგლისური კომპანია - „ოლეუმი") დაიწყო ხის ყუთებისა და თუნუქის ბიდონების ახალი ქარხნების აშენება-გამართვის პროექტების დამუშავება. მათ განხორციელებამდე ნავთობის მსოფლიო ბაზრებზე ძალთა მნიშვნელოვანი გადაადგილება მოხდა, რამაც არსებითად შეცვალა კონიუნქტურა ბათუმში. 1903-1904 წლებში ბაქოს ნავთობის მოპოვება-გადამუშავებასა და ექსპორტში გაბატონდა რამდენიმე მონოპოლისტური გაერთიანება. მათ შორისაც კი სიმძლავრით გამოირჩეოდნენ ნობელისა და როტშილდის ფირმები თავიანთი მრავალრიცხოვანი „ეასალებით". ისინი დაეუფლნენ რუსეთის იმპერიის ნავთობის სხვა საბადოებსაც. XX საუკუნის დამდეგს მსოფლიო ბაზარზე გატანილი ბაქოს ნავთობის 67% ნობელის, როტშილდისა და მანთაშევის წილად მოდიოდა. მათგან, პირველი ორი ევროპის ბაზრებს იპყრობდა, მესამე უპირატესად აზია-აფრიკის ქვეყნებში ეწეოდა კომერციულ საქმიანობას. ეს სამი უმსხვილესი ფირმა გაბატონდა ბათუმის მრეწველობაშიც. ხის ყუთებისა და თუნუქის ბიდონების წარმოება მათ ხელთ იყო კონცენტრირებული. ხაჩატრიანცისა და სიდერიდისის ქარხნები მთლიანად ნობელის დაკვეთით მუშაობდნენ. 1904 წ. საექსპორტო ჯურჯლის 4 ქარხანაში 4031 მუშა იყო დასაქმებული, აქედან მანთაშევის ქარხანაში — 1742 კაცი, როტშილდის -

1690, ხაჩატრიანცის - 661, სიდერიდისის ქარხანაში - 325 კაცი.[16]

კაპიტალისა და მუშახელის ასეთი კონცენტრაცია განაპირობა მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე სამრეწველო კრიზისმა, რომელიც ამიერკავკასიასაც მოედო და ამ რეგიონში საკონკურენციო ბრძოლა უკიდურესად გაამწვაა.

ეკონომიკურ კრიზისს და მის მომდევნო დეპრესიას დაემთხვა ბათუმის მუშათა ფართო საგაფიცვო მოძრაობა. ბათუმის მრავალათასიან მშრომელთა სოციალურ მოძრაობას ბიძგი მისცა როტშილდისა და მანთაშევის ქარხნების მუშათა 1902 წ. იანვარ-თებერვლის გაფიცვამ, რომელსაც მომდევნო პერიოდში სხვა ქარხნების მუშებიც შეუერთდნენ. გაფიცულები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, სამუშაო დღის შემცირებას და უმუშევარი ამხანაგების წარმოებაში დასაქმებას. სამრეწველო-სავაჭრო ფირმები იძულებული გახდნენ მუშათა მოთხოვნები მნიშვნელოვანწილად დაეკმაყოფილებინათ. ქარხნებში ხელფასი გაიზარდა 20-30%-ით, სამუშაო დღის ხანგრძლივობა შემცირდა 10-დან 8 საათამდე. ნავსადგურის მუშები თუ ადრე 1000 ყუთის გემებში ჩატვირთისათვის იღებდნენ 10 რუბლს, 1904 წ. ქირა 40 რუბლამდე გადიდდა. ყოველივე ამან, ბუნებრივია, გაზარდა პროდუქციის თვითღირებულება, შემცირდა კაპიტალისტთა მოგება. 1905 წ. მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. გაფიცვებში ჩაებნენ ხე-ტყის დამცურებლები და სახერხი ქარხნების მუშები, რომლებიც ბათუმის ქარხნებს ხე-მასალას აწვდიდნენ. საერთო ტალღას აჰყენენ მტვირთავებიც. ბათუმის ნავსადგურში მდგარი გემები ამაოდ ელოდებოდნენ ტვირთს. ქარხნებსა და რეზერვუარებში ნავთობის მარაგი აღარ ეტეოდა.

ბათუმელ მრეწველ-ექსპორტიორებთან ერთად დიდად დაზარალდნენ გემთმფლობელები, რომლებიც ადრე მაღალ ფრახტს ღებულობდნენ. შექმნილ სიტუაციაში ისინი იძულებულნი გახდნენ ბათუმის ნავსადგურიდან უტვირთოდ წასულიყვნენ. ნავთობის ექსპორტი მინიმუმამდე შემცირდა. ამან აღმოსავლეთის ქვეყნებში ნავთობი 20%-ით გააძვირა. ამ ერცელ ბაზრებზე ამერიკული პროდუქცია გაბატონდა.[17]

პირველი რევოლუციის მარცხის შემდეგ, 1907 წ. ბათუმში თითქოს კვლავ დაიწყო ნავთობის ტარის წარმოების აღორძინება. 1908 წ. ქალაქში მოქმედებდა 6 ქარხანა, რომელთა ძრავების სიმძლავრე 1000 ცხენის ძალას არ აღემატებოდა. ამ საწარმოებში დასაქმებულმა 825 მუშამ და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალმა წლის განმავლობაში დაამზადა 1,6 მლნ რუბლის პროდუქცია.

1910 წელს ქალაქში მუშაობდა ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის წარმოების 4 ქარხანა: ძმები არვანიტიდების საწარმოში დასაქმებული იყო 300 მუშა. ფირმამ თუნუქის ბიდონებით უცხოეთში გაიტანა 3,1 მლნ. ფუთი ნავთობი. ხაჩატრიანცისა და კომპ. ქარხანაში ხის ყუთებისა და თუნუქის ბიდონების დამზადებაზე მუშაობდა 250 კაცი. კომპანიამ საზღვარგარეთ გაიტანა 608 ათასი ფუთი ნავთობი, ხშიანცის საწარმოში მხოლოდ 50 მუშა იყო დასაქმებული. მან უცხოეთში გაგზავნა 222 ათასი ფუთი. ბათუმში მოქმედებდა, აგრეთვე, ნობელის ნავთობის გადასასხმელი სადგური, რომელმაც საზღვარგარეთ გაიტანა 1,2 მლნ ფუთი ნავთობი.[18]

მიუხედავად გამოცოცხლებისა, შეუძლებელი გახდა დარგის კვლავ აღმავლობა. მომდევნო წლებში ნავთობის ტარის დამზადება თითქმის მთლიანად შეწყდა. ბათუმიდან ნავთობის ექსპორტი შედარებით მცირე მოცულობით გაგრძელდა ტანკერებით.

უცხოელი კაპიტალისტები და ადგილობრივი მრეწველები ბათუმის ქარხნების

[16] გრ. მარგიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 217.
[17] იქვე, გვ. 218-219.
[18] Список фабрик и заводов Российской империи, СПб., 1912, с. 140, 308; Обзор Батумской области за 1910 г., с. 37-39.

დახურვაში ადანაშაულებდნენ სოციალ-დემოკრატებს, რომლებმაც ეკონომიკურ ნიადაგზე დაწყებულ გაფიცვებს პოლიტიკური მიმართულება მისცეს. ამ ბრალდებაში არის ჭეშმარიტების ელემენტები. მშვიდობიანი, ეკონომიკური ხასიათის გაფიცვა იმ დროს დასავლეთის სამყაროში კანონმდებლობით უკვე იყო დაშვებული. გაფიცვების თავისუფლებისათვის რუსეთის იმპერიის მუშათა კლასიც იბრძოდა. მხოლოდ პროფკავშირული მოძრაობით, ეკონომიკური ხასიათის გაფიცვებით შეიძლებოდა შრომისა და კაპიტალის ურთიერთობის რეგულირება, მუშათა კლასის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, კლასობრივი ანტაგონიზმის შესუსტება, მაგრამ ექსტრემისტულად განწყობილი ბოლშევიკები ამას არ სჯერდებოდნენ. მათი პროპაგანდის შედეგად გაფიცულები და დემონსტრანტები ხშირად გამოდიოდნენ ცარიზმისა და კაპიტალისტური წყობილების დამხობის ლოზუნგებით. სოციალიზმის აჩრდილი კი ძალიან აშინებდა ბურჟუაზიას და იგი თითქმის ყველგან ლოკაუტს მიმართავდა. ლოკაუტი გამოიყენეს ბათუმელმა მრეწველებმაც - მიიღეს გადაწყვეტილება ნავთობის ტარის ქარხნების დახურვის და უცხოეთში გადატანის თაობაზე.

ბოლშევიკებს ამოძრავებდათ ვიწრო პარტიული მიზანი, ხელისუფლების მოპოვების სურვილი. ისინი ივიწყებდნენ იმ ფაქტს, რომ ბურჟუაზია პროგრესულ მისიას ასრულებდა, ხელს უწყობდა საწარმოო ძალების განვითარებას, ჰქმნიდა ათასობით სამუშაო ადგილს. ამიტომ იყო, რომ ბევრი ქართველი პატრიოტი გმობდა ბოლშევიკთა ექსტრემისტულ საქმიანობას. ნიკო ნიკოლაძემ საჯაროდ განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აყოლილმა მუშებმა მოკლეს ის ქათამი, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის „ოქროს კვერცხს დებდა". კიდევ უფრო მკაცრად გააკრიტიკა სოციალ-დემოკრატია ბათუმის ქალაქის თავმა ივ. ანდრონიკაშვილმა. ეს პარტია და მის მოწოდებას აყოლილი მუშები მან დაადანაშაულა იმაში, რომ ქალაქში ჩაკედა სამრეწველო-სავაჭრო ცხოვრება და თვითმმართველობამ დაკარგა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო, ნაყოფიერი მოღვაწეობის საშუალება.

ცხადია, გაფიცვებითა და 1905 წ. რევოლუციით შეშინებული ბიზნესმენები, მათი აქციონერული საზოგადოებები და კომპანიები, რევოლუციის დამარცხების შემდეგ, უთუოდ განაახლებდნენ ფართომასშტაბიან წარმოებას, მაგრამ ამას ხელი შეუშალა ძალთა ახალმა გადანაწილებამ. კიდევ მეტი, გამოითქვა აზრი, რომ ბათუმისა და ბაქოს მუშათა გაფიცვები პროვოცირებული იყო დასავლეთის მსხვილი კორპორაციების მიერ. ბათუმის ოლქის უფროსი წერდა: ბათუმსა და ბაქოში მომხდარი გაფიცვების ფართო მასშტაბი, დიდი ფულადი თანხები, რითაც უზრუნველყოფილი იყვნენ ამ გაფიცვათა ხელმძღვანელები, აგრეთვე, მათ მიერ გემების შემოსვლა-გასვლის გრაფიკის ზუსტი ცოდნა, ცხადყოფს, რომ გაფიცვების ორგანიზაციაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს დიდი კაპიტალის მქონე პიროვნებებმა, რომელთა ინტერესებში შედიოდა ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის შეწყვეტა. არის საფუძველი ვიფარაუდოთ, რომ ასეთები იყვნენ „სტანდარტ-ოილ კომპანიის", ევროპის ნავთობის კავშირისა და ინგლისური კომპანიების წარმომადგენლები, კონკურენციას რომ უწევდნენ რუსეთის იმპერიიდან ექსპორტირებულ ნავთობს. ბათუმის ოლქის უფროსს მიაჩნდა, რომ ამ ფართომასშტაბიანი გაფიცვებით საერთაშორისო მონოპოლისტებმა შეაშინეს რუსეთში მოქმედი კომპანიები და თავისთვის ხელსაყრელ გარიგებაზე დაიყოლიეს ისინი.[19]

საერთაშორისო მონოპოლიები, მათი აგენტურა მუშათა მასასთან კავშირს ვერ დაამყარებდა. თუმცა, არაა გამორიცხული, რომ დროებითი შეთანხმება დაედოთ სოციალ-დემოკრატებთან და ამ გავლენიანი ძალის დახმარებით ბაქო-ბათუმის მუ-

[19] Обзор Батумской области за 1910 г., с. 37-38.

შათა მოძრაობისათვის მეტი გაქანება მიეცათ. საბჭოთა ისტორიკოსები, გასაგები მიზეზის გამო, მიუღებლად თვლიდნენ ბათუმის ოლქის უფროსის ვერსიას, მაგრამ ფაქტია, ნავთობის საერთაშორისო მაგნატთა შორის კონკურენციის გაძლიერება და ბათუმელ მუშათა გაფიცვები ერთმანეთს დაემთხვა. ბათუმის სამრეწველო-საეჭრო პოტენციალი ერთბაშად დაეცა, რამაც დიდად დააზარალა როგორც რუსეთის იმპერიის მრავალეროვნული ბურჟუაზია, ისე ბათუმის მრავალათასიანი პროლეტარიატი.

სათანადო მასალის შესწავლა-ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ მსხვილმა სამრეწველო და საეჭრო ფირმებმა ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის დაწყებამდე მიიღეს ბათუმის ნავსადგურიდან ნავთობის ექსპორტის საგრძნობლად შემცირებისა და ნავთობის ტარის დამამზადებელი ქარხნების დახურვის გადაწყვეტილება. 1904 წ. 18 დეკემბერს ქუთაისის გუბერნიის უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს აცნობებდა, რომ ხაჩატრიანცმა უკვე გამოაკრა განცხადება ქარხნის გაჩერების თაობაზე, ხოლო ნობელს გადაწყვეტილი აქვს ხელი აიღოს ბიდონებით ნავთობის ექსპორტზე. ამასვე აპირებენ როტშილდი და მანთაშევიცო. საფაბრიკო ინსპექტორის ეს ცნობა მალე გამართლდა.

1904 წლის დამლევს ნობელმა შეწყვიტა თუნუქის ბიდონებით ნავთობის ექსპორტი. შემცირებული რაოდენობით აგრძელებდა ამ ენერგორესურსის ტანკერებით გატანას. 1905 წ. როტშილდმა დახურა ბათუმში არსებული თავისი ქარხანა და მანქანა-მოწყობილობები უცხოეთში გაზიდა. მანთაშევმაც შეაჩერა პროდუქციის გამოშვება, მოახდინა ხის ყუთებისა და თუნუქის ბიდონების დამამზადებელი ქარხნის დემონტაჟი. ასევე მოიქცნენ სხვა ფირმებიც, რომლებმაც თავიანთი საწარმოების მოწყობილობა უცხოეთში გადაიტანეს და იქაურ აქციონერულ საზოგადოებებთან გაერთიანდნენ, ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის ქარხნები ეგვიპტესა და იტალიაში გამართეს.[20]

ასეთ გადაწყვეტილებამდე რუსეთის იმპერიაში მოქმედი ნავთობის მაგნატები მიიყვანა აშშ მონოპოლისტური გაერთიანებების მხრიდან კონკურენციამ, მსოფლიო ბაზრის ახლებურად გადანაწილებისაკენ მისწრაფებამ. ბათუმიდან გაზიდული ნავთობის 77% სწორედ დასახელებული მაგნატების წილად მოდიოდა. შექმნილ სიტუაციაში მათ მიზანშეწონილად მიიჩნიეს ბაქოს ნავთობისათვის მიმართულების შეცვლა.

ბაქოელი და ბათუმელი მრეწველ-ექსპორტიორები მჭიდრო კავშირში იყვნენ დასავლეთ ევროპის უმსხვილეს ფირმებთან. ნობელი და როტშილდი, კერძოდ, შევიდნენ დასავლეთ ევროპის „ნავთობის კავშირში". უმსხვილესი „გერმანიის ბანკის" მიერ დაარსებული ეს მონოპოლისტური გაერთიანება კონტროლს უწევდა ნავთობის გადამუშავება-გასაღებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საწარმოსა და საეჭრო ფირმას გერმანიაში, ინგლისში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, სკანდინავიის ქვეყნებში. მათ აუცილებლად მიიჩნიეს ბაქოს ნავთობი გაეზიდათ კასპიის ზღვითა და ვოლგის დიდი სამდინარო არტერიით, აგრეთვე, შიდა რუსეთის რკინიგზებით. ამასთან, პროდუქციის ნაწილი გაესაღებინათ რუსეთის ბაზრებზე, მეორე ნაწილი კი პოლონეთის გაელით - ცენტრალურ ევროპაში.

ცხადია, ნავთობის მოპოვება-გადამუშავება - ექსპორტთან დაკავშირებული საერთაშორისო მონოპოლიები, რომელნიც მეტ-ნაკლებად დაინტერესებულნი იყვნენ როგორც რუსული, ისე რუმინული და ამერიკული ნავთობის მოგებიანი რეალიზაციით, საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ისეთნაირად განლაგებას ცდილობდნენ, რომ უზრუნველეყოთ ამ სტრატეგიულ ენერგორესურსზე მონოპოლიურად მაღალი

[20] **გრ. მაგრიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 219-220.**

ფასების დაწესება. ამით იყო ძირითადად განპირობებული საერთაშორისო მონოპოლიური გაერთიანებების მიერ ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის მინიმუმამდე შემცირება, სამხრეთ ევროპის, აფრიკისა და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში რუმინეთიდან შედარებით მდარე ხარისხის ნავთობის გატანა. ამან გამოიწვია თვით ბაქოში ნავთობის ამოღების შემცირება (თუ 1904 წ. ბაქოს საბადოთა მწარმოებლურობა 617 მლნ ფუთს შეადგენდა, 1905 წ. იგი შემცირდა 411 მლნ. ფუთამდე) და გადამმუშავებელი ქარხნების 50%-ის შეჩერება. ამის შედეგად ნავთობზე მოთხოვნილებამ საგრძნობლად გადააჭარბა მის მიწოდებას, რამაც განაპირობა საგარეო ბაზრებზე ფასების ხელოვნური ამაღლება და საერთაშორისო მაგნატების მოგების ნორმის გადიდება.

მონოპოლიების ამგვარი პოლიტიკის შედეგი იყო ბათუმში არსებული ნავთობის გადამმუშავებელი და საექსპორტო ჯურჯლის საწარმოების დახურვა, რამაც ფრიად უარყოფითი გაელენა მოახდინა სხვა დარგებზე, კომერციულ საქმიანობაზე, საერთოდ საქალაქო ცხოვრებაზე. დიდი ზარალი განიცადა არა მარტო მოსახლეობამ, არამედ რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტმაც. ქუთაისის გუბერნიის საფაბრიკო ინსპექტორი ზემდგომ ინსტანციებს მოახსენებდა: შექმნილი ვითარება სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უაღრესად წაგებიანია, რადგან უცხოეთში ნავთობის ექსპორტის ესოდენ შეკეეცამ საშინაო ბაზრებზე გამოიწვია ნავთობის ფასის შემცირება, რასაც შედეგად მოჰყვა რუსეთის სავაჭრო ბალანსის გაუარესება.

მომდეენო წლებში საერთაშორისო მონოპოლიურ გაერთიანებებს შორის გამწვავდა წინააღმდეგობა. ამერიკულმა კომპანიებმა დასავლეთევროპული ფირმები დაამარცხეს და დაიმორჩილეს, მაგრამ ამას ბაქო-ბათუმში კონიუნქტურა არ შეუცვლია. უცხოური მონოპოლიები - „სტანდარტ ოილი", „ნობელი", „შელი" ბაქოშიც გაბატონდნენ. 1914 წ. მათ ხელთ აღმოჩნდა მთელი რუსეთის ნავთობის მრეწველობის სააქციო კაპიტალის 86%. ეს მონოპოლიები ნავთობის ექსპორტისათვის ბათუმსაც იყენებდნენ, მაგრამ ამას აკეთებდნენ ტანკერების მეშვეობით. თუნუქის ბიდონებით ნავთობის გატანა საზარალო გახდა და ამიტომ წარმოება თითქმის მთლიანად შეწყდა.

ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული ქარხნები, მართალია, დაიხურა, მაგრამ ბათუმში მრეწველობის სხვა დარგების აღმაელობა გრძელდებოდა. 1910 წ. აქ მოქმედ მექანიკურ ქარხანაში დასაქმებული იყო 30 მუშა. თუთიის დამამზადებელ საწარმოში შრომობდა 20 კაცი. შედარებით მეტი ხვედრითი წონა ჰქონდა ბათუმის მრეწველობაში თამბაქოს წარმოებას. XIX საუკუნის დამლეეს მხოლოდ ლ. ბინიატოღლის თამბაქოს ფაბრიკა არსებობდა. მასში დასაქმებული 55 მუშა წლიურად ამზადებდა 74 ათასი რუბლის პროდუქციას. 1910 წ. ბათუმში უკვე მოქმედებდა თამბაქოს ორი ფაბრიკა, რომლებშიც 214 მუშა ითელებოდა. იმავე წელს მინერალური საღებავების ორ ქარხანაში დასაქმებული იყო 49 მუშა.[21] ბათუმში კვლავ მოქმედებდა ასობით წვრილი სახელოსნო, რომელთა უმრავლესობაში მხოლოდ მეპატრონე-ოსტატი და, იშვიათად, მისი შეგირდი შრომობდა. შედარებით მსხვილ სახელოსნოებში გამოიყენებოდა 2-3 და იშვიათად კი 5-10 დაქირავებული მუშის შრომა.

[21] Обзор Батумской области за 1910 г., с. 38-39.

§3. სამთო-მეტალურგიული მრეწველობა

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კერძოდ, მდ.ჭოროხის აუზი, მეტალურგიული წარმოების უძველესი კერაა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მისი საქართველოსთან დაბრუნების (1878 წ.) მომდევნო პერიოდი, რომელიც დაემთხვა რეფორმის შემდგომი რუსეთის მზარდ სამრეწველო მოთხოვნილებას სპილენძის ნაწარმზე.

წარმოების პროცესს წინ უძღოდა ინტენსიური საძიებო და გეოლოგიური სამუშაოები, რაც გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევს დაიწყო. იგი თავდაპირველად გააჩაღა რუსეთის ბურჟუაზიამ. მანვე მოაწყო აქ პირველი მაღაროები და შეუდგა მადნის ამოღებას, თუმცა, საბრუნავი კაპიტალის ნაკლებობისა და საქმის სუსტი ორგანიზაციის გამო, ვერ შეძლო ადგილზე სპილენძის სადნობი საწარმოების გამართვა.

XX საუკუნის დამდეგს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სპილენძით დაინტერესდნენ ევროპელი სამრეწველო-საფინანსო წრეები და საქმეც მკვეთრად დაიძრა. ბათუმის ოლქში უკვე ცნობილი იყო სპილენძის 45 საბადო; მათგან 34 - ართვინის და 11 - ბათუმის ოკრუგში. ბათუმის ოლქში აღმოჩნდა, აგრეთვე, ტყვია-ვერცხლის 30-მდე საბადოც. გამოკვლევებით დადგინდა აქ სხვა სასარგებლო წიაღისეულის (გოგირდის, თუთიის, რკინის, გრაფიტის და მარგანეცის) არსებობაც.[22] ცხადია, სამრეწველო ეპოქის ხასიათიდან გამომდინარე, უპირატესობა მიენიჭა სპილენძის წარმოებას. ამიტომაც, მადნით უმდიდრესმა ართვინის მხარემ მიიღო ამ დარგში მკვეთრად სპეციალიზებული რეგიონის სახე.

რუსული და ევროპული კაპიტალის მეტოქეობაში გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა, რის შედეგადაც ართვინის მხარეში ერთიმეორეს მიყოლებით ამოქმედდა სამთო საწარმოები და სპილენძსადნობი ქარხნები: ერგეს (1890-1911 წწ.), ჭინკათხევ-ძანსულის (რუსულ წყაროებში - ალექსანდროსკის) უმსხვილესი კომპლექსი (1903-1918 წწ.), ხოდის (1908-1914 წწ.) და კეარცხანა-ბეშაულისა (1914-1921 წწ.).

უცხოური კაპიტალის აქტიურობის შედეგად XX ს-ის 10-იანი წლებიდან სამხრეთ-დასავლეთი საქართველო არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ მთელი რუსეთის იმპერიის სპილენძის მრეწველობის წამყვან ცენტრად გადაიქცა. 1913 წ. აქ გამოადნეს 206 ათას ფუთზე მეტი სუფთა (ანუ წითელი) სპილენძი. მაშინ, როცა იმავე წელს მთელს ამიერკავკასიაში გამოადნეს 628 ათასი ფუთი, ხოლო რუსეთის იმპერიის სამ უმთავრეს რეგიონში - ურალში, ამიერკავკასიასა და ყირგიზეთში ერთად - 1 933 ათასი ფუთი.

სპილენძის მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა ამ დარგში დასაქმებული მუშახელის რაოდენობაც. არასრული ცნობით, 1900 წ. რეგიონში იყო 600 სამთამადნო მუშა, 1913 წ. კი - 2700-მდე.[23] თურქ, სომეხ და სპარსელ მუშათა გარდა, უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები. მინდვრის სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს აქ სეზონურად მუშაობდა ლაზეთის, აჯარის და დასავლეთ საქართვე-

---

[22] «Батумъ и его окресности», Бат., 1906 г. с. 20. აღსანიშნაგია, რომ საძიებო-გეოლოგიური სამუშაოები ბათუმის ოლქში აქტიურად მიმდინარეობდა პირველ მსოფლიო ომამდე (სცსსა, ფ. 264, ან. 1, ს.ს. 5218-5239).

ხშირ შემთხვევაში წიაღისეულის აღმოჩენისთანავე იწყებოდა მისი მოპოვებაც. მაგ. სოფ. ჯაოის (ქედის რ.) მიდამოებში იღებდნენ ტყვია-ვერცხლის მადანს. 1894 წ. აქ მოიპოვეს 300 ფუთი, 1895 წ. - 250, 1896 წ. - 765 და 1897 წ. - 985 ფუთი ტყვია-ვერცხლი. ამ საბადოებში მუშაობდნენ ადგილობრივი მცირემიწიანი გლეხები, აგრეთვე ოსმალეთიდან ლტოლვილი სომხები (Баджелидзе А.К., Основные вопросы экономики Аджарии (1878-1921 гг.), Бат., 1973, с. 69).

[23] გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი (1864-1917 წწ.). თბ., 1976, გვ. 349.

ლოს სხვა რაიონების გლეხობა. მათი ოჯახებისათვის ეს იყო დამატებითი შემოსავლის წყარო. გამომუშავებული ფულით ისინი ადგილზე იძენდნენ სამრეწველო ნაწარმს და სურსათს. საქარხნო წარმოების ცენტრები გარდაიქმნენ მუშათა მრავალრიცხოვან დაბებად. სამთამადნო წარმოების გარდა დიდძალი მუშახელი იყო დასაქმებული ამ რეგიონში გზების მშენებლობაზე, ხე-ტყისა და ნახშირის დამზადებაზე.[24]

პირველი სპილენძსადნობი საწარმო რეგიონში აშენდა 1890 წ. ბათუმიდან 11 ვერსის დაშორებით, სოფ. ერგეში, მდ. ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე.

ეს იყო პატარა, მაგრამ კარგად აღჭურვილი მეტალურგიული ქარხანა, რომელიც შედგებოდა მადნისმდნობელი ორი და სუფთა სპილენძის გამოსადნობი ერთი ღუმელისაგან. ქარხანას თავდაპირველად აშენებდა თბილისელი ინჟინერი ზოლოტარიევი; მან საქმეს თავი ვერ გაართვა და იგი გადასცა შვეიცარიელ კომერსანტს ბათუმში რობერტ რიხნერს და მის კომპანიონს ანტონ სალერნის, რომლებიც უკვე ეწეოდნენ მაღაროების ექსპლუატაციას სოფ. ხოდში (ართვინის ოკრუგი), უჩამბაში და მდ. მერისის ხეობაში. თედო სახოკიას ცნობით, გასული საუკუნის დამლევს დაბა ქედაში იყო „საწყობი და სასწორი სოფ. მერისიდან სპილენძის მწარმოებელ რიხნერისათვის ჩამოტანილი ლითონისთვის“.[25]

მრეწველთა ვარაუდით, ერგეს ქარხანას წლიურად უნდა ეწარმოებინა დაახლოებით 20 ათასი ფუთი სუფთა სპილენძი, მაგრამ რთული ადგილობრივი პირობების გამო ქარხანა შეფერხებებით მუშაობდა და საწარმოო სიმძლავრეს ვერასოდეს მიაღწია. ხოდი ერგედან 130 ვერსით იყო დაშორებული. უგზოობის გამო იქაური მადანი მდ. ჭოროხამდე (22 ვერსი) გადაჰქონდათ საჭაპანო ტრანსპორტით, ხოლო შემდეგ ნავებზე ტვირთავდნენ და მდ. ჭოროხით ჩამოჰქონდათ ქარხანამდე, რაც ძვირი ჯდებოდა და სპილენძსადნობი ქარხნის მომარაგებასაც სერიოზულად აფერხებდა. ამის გამო მოიჯარეებმა 1892 წ. ხოდის საბადოებთან ააშენეს ქარხანა, რომელშიც ხდებოდა მადნის პირველადი გამოწვა. მიღებული კუფერშტეინი იმავე გზით ჩამოჰქონდათ ერგეში მეტალურგიული პროცესის დასასრულებლად. ხოდის მაღაროებთან შეუდგნენ მადნის მექანიკური გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობასაც, მაგრამ ერგეს ქარხნის შეუფერხებელი მომარაგება მაინც ვერ მოხერხდა. რიხნერს შეექმნა ფინანსური სიძნელეებიც. ამის გამო მან 1901 წელს სპილენძის მაღაროებისა და ქარხნის მფლობელობა დაუთმო რიგელ დოქტორ-ქიმიკოსს - ვ. ლიევნს. საქმეს ვერც ამან უშველა. ქარხანა კვლავ პერიოდულად მუშაობდა. 1908 წ. წარმოებას ისევ რიხნერი დაუბრუნდა. მაგრამ უგზოობა, საწვავის უკმარობა და სხვა სიძნელეები საქმეს კვლავ აფერხებდა. ამიტომაც ქარხნის მწარმოებლურობა მეტად უთანაბრო იყო. 1890 წ. ერგეს ქარხანაში გამოადნეს 291 ფუთი სუფთა სპილენძი, 1900 წ. — 7800, 1901 წ. - 9562, 1910 წ. - 1 672 ფუთი.[26] 1911 წლიდან კი ქარხანამ ფაქტობრივად მუშაობა შეწყვიტა.

ერგეს ქარხნის არსებობასთან დაკავშირებულია ხოდის სპილენძსადნობი ქარხნის წარმოშობაც. 1908 წლიდან ხოდის ქარხანას, სადაც თავდაპირველად ერგეს ქარხნისათვის ამზადებდნენ კუფერშტეინს, სათავეში ჩაუდგა ს. სიმეონიდი. წლის ბოლოს მან იქვე შლეიზოფენი ააშენა და დამოუკიდებლად დაიწყო წითელი სპილენძის გამოდნობა, მაგრამ საწარმო იმავე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, როგორც

[24] ნ. კახიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში და მოსახლეობის საწარმოო და საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი. - სდსყკ, XIV, თბ., 1987, გვ. 45-47.

[25] თ. სახოკია, მოგზაურობანი გურია, აჭარა, სამურზაყანოსა და აფხაზეთში, ბათ., 1985, გვ. 309.

[26] თ. ვახტანგიშვილი, კაპიტალისტური მრეწველობის ფაბრიკულ (მანქანურ) სტადიაზე გადასვლა საქართველოში, თბ., 1976, გვ. 112-115.

ერგეს ქარხანა. ამის გამო მისი მწარმოებლურობაც უთანაბრო იყო. ხოდის ქარხანაში 1908 წ. გამოადნეს 1560 ფუთი სუფთა სპილენძი, 1909 წ. - 1400, 1910 წ. - 685, 1911 წ. - 700, 1912 წ. - 634, ხოლო 1913 წ. - 457 ფუთი.

მწარმოებლურობის გაზრდის მიზნით 1914 წ. აშენდა 500 კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური, დაიწყო საკომპრესოროს (პნევმატური ბურღვისათვის) მშენებლობა, ხოდიდან ბათუმ-არტაანის გზატკეცილთან დამაკავშირებელი გზის გაყვანა, მაგრამ კავკასიის ფრონტის გახსნამ სამუშაოები შეაჩერა.

ჭინკათხევ-ძანსულის სპილენძის სამრეწველო კომპლექსი ერთ-ერთი უდიდესი იყო რუსეთის მასშტაბითაც კი. ის მდებარეობდა ბათუმიდან 62 ვერსის დაშორებით მდ. ჭოროხის მარცხენა შენაკადის მდ. მურღულისწყლის ხეობაში. ეს მდინარე ჭოროხს ბორჩხასთან შეერთვის. აქედან სამხრეთით 18 ვერსზე, სოფ. მურღულის მახლობლად — ჭინკათხევში განლაგებული იყო სპილენძის საადნობი ქარხანა, ხოლო სოფ. ძანსულის და ბეშაულის მიდამოებში მდებარეობდა სპილენძის მაღაროები და მადნის სამსხვრეი ფაბრიკები.

ძანსულში სპილენძის მადანს, თავდაპირველად, მოიპოვებდა ძმები ლაზარეების ფირმა, მაგრამ ზემოაღნიშნული სირთულეების გამო წარმოების შემდგომი გაშლა-გაფართოება მან ვეღარ შეძლო. XX საუკუნის დამდეგს ამ საბადოებით დაინტერესდნენ ინგლისელი და ამერიკელი მრეწველები, მათ შორის მილიარდერი ს. მორგანიც. ასე დაარსდა 1900 წ. ოქტომბერში ლონდონში „კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობით". მან 1901 წ. მურღულის ხეობაში ჩაატარა საფუძვლიანი გეოლოგიური გამოკვლევა, რის შედეგადაც აქ სპილენძის მადნის მარაგი დაახლოებით 400 მილიარდი ფუთით (6,6 მილიარდი ტონა) განსაზღვრა. მართალია, მადანი მცირე მეტალური შემცველობისა აღმოჩნდა, მაგრამ მარაგი ხანგრძლივ წარმოებას უზრუნველყოფდა.[27] ამიტომაც ფირმის ხელმძღვანელობამ სთხოვა რუსეთის მთავრობას მურღულის ხეობის საბადოების ექსპლოატაციის ნებართვა, რაზედაც მალე თანხმობაც მიიღო. ადგილზე საქმის უკეთ ორგანიზებისა და ახალი სამშენებლო ობიექტების შეუფერხებლად მომარაგების მიზნით, ფირმამ ბათუმში დანიშნა თავისი პასუხისმგებელი აგენტი ვ. სტიუარტი.

1901-1902 წლებში ჭინკათხევში აშენდა სპილენძსადნობი ქარხანა, რომლის მწარმოებლურობა, წინასწარი გათვლით, წლიურად უნდა ყოფილიყო 200 ათასი ფუთი სუფთა სპილენძი. მაგრამ საწარმოს ტექნიკური ხარვეზები აღმოაჩნდა. ამას დაერთო უგზოობის გამო საწვავისა და ყველა იმ მასალის მიტანის სირთულე, რაც აუცილებელი იყო ქარხნის მოქმედებისათვის. მიხეუდაეად ამ შეფერხებისა, საწარმომ 1903 წ. მაინც შეძლო დაემზადებინა 31 ათასი ფუთი სუფთა სპილენძი.

წარმოების შემდგომი ბედით განსაკუთრებით დაინტერესდა ფირმის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ამერიკელი მილიარდერი მორგანი. იგი სპეციალისტებთან ერთად ჩამოვიდა საბადოებისა და ქარხნის დეტალური გამოკვლევების ჩასატარებლად. ადგილზე საქმის შესწავლის შემდეგ მორგანი დარწმუნდა, რომ საჭირო იყო ქარხნის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია და სპილენძის გამოდნობასთან დაკავშირებული სხვა საწარმოებისა და ობიექტების დაჩქარებული მშენებლობა, რისთვისაც შესაბამისი მოწყობილობები ინგლისიდან და ამერიკიდან ჩამოიტანეს.[28]

„კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოებამ" მურღულის რაიონში მსოფლიო ომამდე დააბანდა იმ დროისათვის უზარმაზარი კაპიტალი - 20 მილიონი

[27] გ. მარგიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 356.
[28] იქვე, გვ. 357-375; თ. ვახტანგიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 118-129.

მანეთი. ამის შედეგად აიგო 900 კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური, მადნის გამამდიდრებელი 4 ფაბრიკა. მაღაროებიდან ამ ფაბრიკებამდე გაიყვანეს საჰაერო-საბაგირო გზები, რომლის საერთო სიგრძე 2620 მეტრი იყო, ხოლო გამტარუნარიანობა ერთ საათში 100 ტონას აღწევდა.

მადნის მოპოვებაში მნიშვნელოვან ტექნიკურ სიახლეს წარმოადგენდა მაღაროებში პნევმატური ბურღვა და ელექტრომექანიკური ნიჩბის გამოყენება ფუჭი ქანების გადასაადგილებლად. ეს ტექნიკა მუშაობდა სპეციალური საკომპრესოროებისაგან მიღებული შეკუმშული ჰაერით. მაღაროებიდან მადანი სამსხვრევ ფაბრიკებამდე გამოჰქონდათ სარკინიგზო ვაგონეტებით.

ადგილზევე აიგო თუჯსასხმელი საამქრო, სამჭედლო და მექანიკური სახელოსნოები. სპილენძსადნობი ქარხნის საწვავით შეუფერხებლად მომარაგებისათვის ბათუმიდან ჭოროხის და მურღულის ხეობებით გაიყვანეს 60 ვერსის სიგრძის ნაეთსადენი მილი. მურღული ბათუმს დაუკავშირდა სატელეფონო ხაზითაც. ქარხნიდან ბათუმ-ართვინის შარაგზამდე გაიყვანეს 16 ვერსის სიგრძის სამანქანე გზა, რის შემდეგაც მდ. ჭოროხით ტრანსპორტირება შეიზღუდა და ზოდებად ჩამოსხმული მზა სპილენძი ბათუმში გადაჰქონდათ ფურგონებით და ორთქლის მანქანებით (ე. წ. „მაგონებით“). თუმცა, გზების ბოლომდე კეთილმოუწყობლობის გამო ამ უკანასკნელთა როლი უმნიშვნელო იყო. ამავე პერიოდში დღის წესრიგში დადგა ბათუმ-ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, ძანსულის განშტოებით,[29] მაგრამ მსოფლიო ომის დაწყებამ იგი შეაჩერა.

კომპლექსში დასაქმებული იყო 2500-მდე მუშა, ხოლო ადმინისტრაცია - 100 კაცამდე აღწევდა.[30]

მუშათა საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფო, ადმინისტრაციული შენობები და სავაჭრო დუქნები განთავსებული იყო სოფ. ძანსულში, რომელშიც საუკუნის დასაწყისში 10-15 კომლი გამაჰმადიანებული ქართველი ცხოვრობდა, ხოლო „ომის წინ პატარა ქალაქი გეგონებოდათ და მცხოვრებთა რიცხვიც 3 ათასამდე აღწევდა“.[31]

ზემოაღნიშნული ღონისძიებების შედეგად რამდენჯერმე გაიზარდა სპილენძის მადნის მოპოვება. თუ 1909 წლამდე ის წლიურად საშუალოდ 1 მილიონამდე ფუთს შეადგენდა, 1910 წ. აქ ამოიღეს 6,2 მილიონი ფუთი სპილენძის მადანი, 1913 წ. კი - 13,7 მილიონ ფუთზე მეტი. შესაბამისად გაიზარდა სპილენძსადნობი ქარხნის მწარმოებლურობაც. თუ 1909 წ. აქ გამოადნეს მხოლოდ 47 ათასამდე ფუთი სუფთა სპილენძი, შემდეგ: 1910 წ. - 101 ათასი, 1911 წ. - 137 ათასამდე, 1912 წ. - 190 ათასი, 1913 წ. - 206 ათასამდე, 1914 წ. პირველ 10 თვეში კი - 179 ათას ფუთზე მეტი.[32]

წარმოების ასეთი ზრდა და იაფი მუშახელი დიდ მოგებას აძლევდა „კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოების“ მფლობელებს. მხოლოდ 1913 წ. ჭინკათხევის ქარხანაში გამოდნობილი სპილენძის ღირებულება 3 მილიონამდე რუბლს შეადგენდა.[33]

---

[29] Церетели А., Очерк торгово-промышленного развития города Батуми. - «Батумъ и его окрестности», Бат., 1906, с. 450.

[30] ჭინკათხევ-ძანსულის კომპლექსის ადმინისტრაციის ბირთვი ამერიკელებისა და ინგლისელებისაგან შედგებოდა. პირველი მსოფლიო ომის წინ კომპლექსის დირექტორი იყო უაიტი, მაღაროების მმართველი ნილანდი, ხოლო ამ უკანასკნელის მოადგილე დევიდი (სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3589, ფურც. 12; ან. 30, ს. 27, ფურც. 20). ადმინისტრაციაში მუშაობდნენ, აგრეთვე, რუსები და ქართველები.

[31] გაზ. „თანამედროვე აზრი“, №7, 1915 წ.

[32] სცსსა, ფ. 1438, ან. 1, ს. 839, ფურც. 18; «Кавказский календарь на 1916 г.», (отдел статист.), Тифл., 1915 г., с. 92.

[33] გ.მარგიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 375.

მაღალ მოგებას გამოკიდებული ინგლისელ-ამერიკელი მრეწველები ნაკლებად ხრუნავდნენ შრომის უსაფრთხოებაზე და მაღაროების სათანადოდ გამაგრებაზე. ამის შედეგად, 1913 წ. 31 ოქტომბერს ძანსულის ერთ-ერთ მაღაროში მოხდა კატასტროფა - ჩაიქცა მაღაროში შეეულად ნამავალი გვირაბი, რის შედეგადაც დაიღუპა ან მძიმედ დაშავდა 36 მუშა.[34]

აღნიშნული კატასტროფის შესახებ ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისათვისაც. 1913 წ. 13 ნოემბერს სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, ნ. ჩხეიძის ინიციატივით, სახელმწიფო საბჭოში შეიტანა შეკითხვა მომხდარი კატასტროფის შესახებ. 1914 წ. 4 თებერვალს სახელმწიფო საბჭომ სპეციალურად განიხილა ეს საკითხი და რუსეთის იმპერიის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს და კავკასიის მეფისნაცვალს დაავალა კატასტროფის მიზეზების გარკვევა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა.

კატასტროფის მიზეზი რომ „ქარხნის ადმინისტრაციის დაუდეერობა" იყო, ამას თვით კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვიც აღიარებდა, მაგრამ გამოძიება გაჭიანურდა. ამასობაში კავკასიაში საომარი მოქმედებაც დაიწყო.

ჭინკათხევის ქარხნისა და საერთოდ საქართველოში წარმოებული სპილენძის მნიშვნელოვან ნაწილს პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე იძენდა და ასაღებდა გერმანული სავაჭრო სახლი „ეოგაუ და კომპანია", რომლის მმართველობა მოსკოვში იჯდა, ხოლო განყოფილებები ჰქონდა ლონდონსა და პეტერბურგში.[35] მზა სპილენძი მოსკოვში ბათუმიდან გემებით იგზავნებოდა სევასტოპოლის, ნოვოროსიისკისა და ფეოდოსიის ნავსადგურების გაელით. პუტილოვის ქარხანა პეტერბურგში აქაური სპილენძით მარაგდებოდა.

კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედების გაჩაღებისთანავე (1914 წ. ოქტომბერი) ოსმალეთის გენერალურმა შტაბმა, რომლის შემადგენლობაშიც მრავალად იყენენ გერმანელი სამხედროები, თავის არმიას ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახა ქ. ბათუმისა და მისი ოლქის დაუფლება. სტრატეგიულს გარდა, ამ მიმართულებით სწრაფვის ერთ-ერთი მიზანი იყო სპილენძით მდიდარი რაიონები და სპილენძსადნობი ობიექტები. 1914 წ. 4 ნოემბერს ოსმალეთის ჯარი დაეუფლა ჭინკათხევის სპილენძსადნობ ქარხანას და მაღაროებს. რუსეთის მცირერიცხოვანმა ნაწილებმა მტერი ვერ შეაჩერეს და უკან დაიხიეს. საწარმოს ადმინისტრაცია და მუშათა პერსონალის დიდი ნაწილი ქ.ბათუმში იქნა ევაკუირებული. მურღულში ოსმალთა 3-ათასიანი გარნიზონი ჩადგა.[36] ოფიცრებს შორის რამდენიმე გერმანელიც იყო. მათი განკარგულებით ოსმალებმა სოფ. ბორჩხას საწყობებში არსებული 3 ათასამდე ფუთი სპილენძის ზოდები ხოფაში ჩაიტანეს და გემით სტამბოლში გაგზავნეს.[37] გერმანელებისაგე მითითებით ოსმალები უფრთხილდებოდნენ და იცავდნენ ქარხანას. არსებული ცნობებით, გერმანელები აპირებდნენ ქარხნის ექსპლოატაციის დაწყებასაც, მაგრამ საჭირო სპეციალისტების არყოლისა და საწვავის უქონლობის გამო, ამ გადაწყვეტილების განხორციელება გარკვეულ დრომდე გადადეს.

1915 წ. იანვარ-თებერვალში რუსეთის ჯარებმა კელავ დაიკავეს მურღულის ხეობა და მთელი ართვინის ოკრუგი. ოსმალო ჩეთნიკებმა[38] უკანდახევის დროს თან წაიღეს ყოველგვარი წერილმანი - წერაქვები, ნიჩბები, ჩაქუჩები. დაანგრიეს რიგი

[34] სცსსა, ფ. 13, ანაწ. 30, ს. 27, ფურც. 1-21.
[35] გ.მარგიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 375-377.
[36] გაზ."თანამედროვე აზრი", №7, 1915 წ.
[37] სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3586, ფურც. 14.
[38] ჩეთე-ბარტიზანული, მოხალისე-მოლაშქრეთა რაზმი.

საცხოვრებელი სახლები და საპოლიციო უბნის შენობა, ურმებით გაზიდეს ავეჯი და სხვა ინვენტარი. მნიშვნელოვნად დაზიანდა საფაბრიკო-საქარხნო მოწყობილობები და აგრეგატები, ელექტრო და სატელეფონო ქსელი, განადგურდა ქიმიური ლაბორატორიაც. მოწინააღმდეგემ ააფეთქა ზოგიერთი მაღაროც. ამის მიუხედავად, როგორც პრესა იუწყებოდა, „სამთო მრეწველები აგროვებენ მუშებს. სამუშაოები განახლდება სამ კვირაშიო".[39]

ომით დაზიანებული წარმოების აღდგენის მიზნით „კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოებამ" მიმართა რუსეთის ხელისუფლებას 1 მილიონი რუბლის სახელმწიფო სესხის გამოყოფის თხოვნით. შესაბამისი შუამდგომლობა აღძრა ბათუმის გამაგრებული რაიონის კომენდანტმა, გენერალ-მაიორმა ლიახოვმაც. კავკასიის სამთო მმართველობის მიერ მურღულში მიელენილმა სპეციალისტმაც დაასკვნა, რომ „საზოგადოებისათვის მიყენებული ზარალი, რომელიც გამოიწვია თურქთა მიერ ქარხნისა და მაღაროების დაკავებამ, აღემატება ერთ მილიონ რუბლს". რუსეთის იმპერიის თავდაცვის განსაკუთრებულმა საკრებულომ 1916 წ. 6 იელისს დაადგინა „ძანსულის ქარხნის აღსადგენად სამხედრო ფონდიდან 1 მილიონი რუბლის გამოყოფა, სამი წლის ვადით". ამ თანხით იმავე წლის ბოლოსათვის წარმოება აღადგინეს.[40] 1917 წ. 1 იანვრიდან - 16 სექტემბრამდე ძანსულის მაღაროებში მოიპოვეს 1,4 მილიონამდე ფუთი მადანი.[41] პარალელურად მიმდინარეობდა მისი გამოდნობა, რამაც არასრული ცნობებით შეადგინა 27 635 ფუთი.[42]

ბათუმის ოლქის სპილენძის მრეწველობაში თავისი სიდიდითა და მნიშვნელობით გამოირჩეოდა, აგრეთვე, მსხვილი გერმანული ფირმა „სიმენსი და ჰალსკე"-ს კავკასიური ფილიალის „იმები სიმენსები"-ს საწარმოები.[43] ფირმამ XX საუკუნის დასაწყისში ბათუმიდან 71 ვერსის დაშორებით, აროვინის ოკრუგის სოფ. კვარცხანისა და ბეშაულის მიდამოებში, იაფად შეიძინა სპილენძის მადნით მდიდარი მიწები და მოაწყო მაღაროები. მოპოვებულ მადანს სიმენსები თავდაპირველად მათსავე კუთვნილ ქედაბეკის (აზერბაიჯანში) სპილენძსადნობ ქარხანაში ეზიდებოდნენ, სადაც მადანი ამ დროისათვის უკვე გამოლეული იყო და, ამდენად, წარმოებაც შემცირებული. მადნის გარკვეული ნაწილით ერგეს ქარხანაც მარაგდებოდა, მაგრამ უგზოობის გამო მისი ტრანსპორტირება ძვირი ჯდებოდა. ამიტომ სიმენსებმა გადაწყვიტეს სპილენძსადნობი ქარხნის ადგილზევე აშენება. კვარცხანა-ბეშაულის საბადოებში მადანი იმდენად უხვად მოიპოვებოდა, რომ დაბალი მეტალური შემცველობის (4%) მიუხედავად, უზრუნველყოფდა სპილენძის ხანგრძლივ წარმოებას.

კვარცხანაში სპილენძსადნობი ქარხნისა და დამხმარე საწარმოების მშენებლობისათვის სიმენსების ფირმამ გამოჰყო ერთი მილიონი რუბლი. კომპლექსის მშენებლობის ხელმძღვანელად და მომავალში მის დირექტორად მიიწვია კავკასიის სამთო მმართველობის ინჟინერი, რუსეთის ქვეშევრდომი გერმანელი ადოლფ ერნი. მშენებლობა დაიწყო 1912 წ. და გაგრძელდა 1914 წ. შემოდგომამდე. ამ დროში კვარცხანაში აიგო უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი სპილენძსადნობი ქარხანა, ჰიდროელექტროსადგური და მექანიკური სახელოსნოები, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკები, მოეწყო ლაბორატორია. მაღაროები ქარხანას დაუკავშირეს საჰა-

[39] «Кавказское слово», №49, 1915 г.
[40] სცსსა, ფ. 264, ან. 1, ს. 5348, ფურც. 1,29-35.
[41] იქვე, ს. 5555, ფურც. 2.
[42] ა. ფარსადანიშვილი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1914-1917 წლებში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1974, გვ. 117-118.
[43] Наниташвили Н.Л., Германский капитал в Закавказье. Деятельность фирмы «Сименс и Гальске» 1860-1917. Тб., 1982, сс. 236-289.

ერო-საბაგირო გზებით. ქარხნიდან ბათუმ-ართვინის გზატკეცილამდე გაიყვანეს სამანქანე გზა, გერმანიიდან ჩამოიტანეს სატვირთო ავტომობილები.

კვარცხანის სპილენძსადნობი ქარხანა უნდა აემუშავებინათ 1914 წლის დამლევს და წლიურად უნდა მოეცა 100 ათასი ფუთი სუფთა სპილენძი, მაგრამ კავკასიის ფრონტის გახსნამ იგი შეაფერხა - სიმენსების სპილენძსადნობი კომპლექსიც ოსმალების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. თუმცა, ჩანს, როგორც გერმანული ფირმის უშუალო საკუთრება, იგი გადაურჩა სერიოზულ დაზიანებებს. ამიტომაც, 1915 წ. შემოდგომისათვის მისი სრულყოფა დასრულდა და შეუდგა მუშაობას. იმავე წელს აქ მოიპოვეს 642 ათასი ფუთი მადანი და გამოადნეს 19 ათასამდე ფუთი სუფთა სპილენძი.[44] 1916 წ. ამოიღეს 2 მილიონზე მეტი ფუთი მადანი და გამოადნეს 96321 ფუთი, ხოლო 1917 წ. - 2,25 მილიონამდე ფუთი, საიდანაც მიიღეს 98343 ფუთი სუფთა სპილენძი.[45]

აღსანიშნავია, რომ სიმენსებმა კვარცხანა-ბეშაულში საქმიანობის პერიოდში (1901-1917 წწ.) სულ მოიპოვეს 40 მილიონამდე ფუთი სპილენძის მადანი, ხოლო სპილენძსადნობი ქარხნის ამოქმედებიდან შემდგომ ორ წელიწადში, ანუ 1915 წ. შემოდგომიდან - 1918 წ. თებერვალამდე გამოადნეს 220 ათასი ფუთი სუფთა სპილენძი.[46]

ომით გამოწვეულმა კრიზისმა მწვავედ იჩინა თავი ართვინის სამრეწველო რეგიონშიც. მით უმეტეს, რომ აქ მუშახელი ძალზე იაფი იყო, ხოლო შრომისა და უსაფრთხოების პირობები — მეტად მძიმე. არასრული ცნობებით, 1917 წ. კვარცხანისა და ჭინკათხევის ქარხნებსა და მაღაროებში დასაქმებული იყო 1200-ზე მეტი მუშა. მდგომარეობა დაიძაბა 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ წარმოქმნილი ანარქიის პირობებში. რუსეთის დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანოები მართვის უნარმოკლებულნი აღმოჩნდნენ. ეკონომიკური მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, მუშათა უთანხმოება ადმინისტრაციასთან სერიოზულ ხასიათს იღებდა.

დროებითი მთავრობის ბათუმის საოლქო ხელისუფლება 1917 წ. 1 ივნისს აცნობებდა ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს („ოზაკომი"), რომ ოლქში არსებული 7 საუბნო და 2 საქალაქო პოლიციის კომისარიატის გარდა, აუცილებელი იყო კიდევ ორი „პოლიციის განსაკუთრებული კომისარიატის" შექმნა ძანსულსა და კვარცხანაში,[47] მაგრამ ყოველდღიურად მზარდი სიძვირის პირობებში, მხოლოდ ადმინისტრაციული ზომები საქმეს ვერ შველოდა. ქარხნების ადმინისტრაციამ თხოვა ხელისუფლებას გაეზარდა შესასყიდი ფასები სპილენძზე, რომ დროულად დაეკმაყოფილებინა მუშათა მოთხოვნები ხელფასზე.

1917 წ. ბოლშევიკური გადატრიალების შედეგად ანარქიამ რუსეთიც მოიცვა. სატრანსპორტო მაგისტრალები ჩაიკეტა და შეწყდა სპილენძის იქ გატანა. ამიტომ ამიერკავკასიის კომისარიატმა 1917 წ. დეკემბერში ართვინის მხარის ქარხნების ადმინისტრაციას ნება დართო დამზადებული სპილენძი გასასაღებლად სპარსეთში გაეტანათ,[48] მაგრამ ეს ვერ განხორციელდა რეგიონის რთული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო. კავკასიის არმიის დაშლისა და ფრონტის რღვევის პირობებში 1917 წ. შემოდგომიდან იგი ჯერ ჩეთნიკების სათარეშოდ იქცა, ხოლო 1918 წ. მარტ-აპრილში, ბრესტის ზავის თანახმად, ოსმალებმა ხელახლა მოახდინეს მთელი სამუსლიმანო საქართველოს, მათ შორის ართვინის ოკრუგის ოკუპაცია. ამიტომ

[44] ა.ფარსადანიშვილი, დასახ. სადისერტაციო ნაშრ., გვ. 116.
[45] Наниташвили Н., დასახ. ნაშრ., გვ. 272.
[46] სცსსა, ფ. 1891, ან. 1, ს. 643, ფურც. 29.
[47] იქვე, ფ. 2080, ან. 1, ს. 67, ფურც. 1.
[48] ა.ფარსადანიშვილი, დასახ. სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 119.

სპილენძის წარმოება გაურკვეველი დროით შეწყდა.

რეგიონის ოკუპაცია ოსმალეთმა განახორციელა გერმანიის თანხმობით. ართვინის მეტალურგიული წარმოება გერმანიის სამხედრო სამინისტროს ინტერესის სფეროში რჩებოდა. ამიტომ აქ მოავლინეს სამთო საქმის სპეციალისტი, პროფესორი ე. კვიტმაიერი. მან მოიარა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონები და 1918 წ. აგვისტოში ბერლინში გაგზავნა დაწვრილებითი ანგარიში. თუმცა, სპილენძის წარმოების ორგანიზება გერმანელებმა მაინც ვერ მოახერხეს. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა ოსმალეთის სამხედრო ხელისუფალთა მხრივ ხელოვნურად შექმნილმა დაბრკოლებებმა. გერმანელთა კონკურენციით შეშფოთებული თურქები ცდილობდნენ არ დაეშვათ მოკავშირეთა სავაჭრო-სამრეწველო წრეების წარმომადგენლების ბათუმში ჩამოსვლაც კი. უფრო მეტიც, თურქები მოლიანად დაეპატრონენ ბათუმის რეზერვუარებში არსებულ ნავთობის დიდ მარაგს და მოკავშირეებს თითქმის გადაულახავი წინააღმდეგობა შეუქმნეს თხევადი საწვავის მიღებისათვის.[49] ასეთ ვითარებაში კი, ბუნებრივია, შეუძლებელი იყო სპილენძსადნობი ქარხნების ამოქმედება და უწყვეტი წარმოების ორგანიზება.

1918 წ. დეკემბრის დამლეგს მსოფლიო ომში დამარცხებული ოსმალეთის მიერ ოკუპირებული რაიონები დიდი ბრიტანეთის ჯარებმა დაიკავეს. ისინი ძირითადად განთავსდნენ ბათუმში, ხოლო დანარჩენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უკონტროლობა და ანარქია გამეფდა. ასეთ პირობებში სამთო-მეტალურგიულმა მრეწველობამ საგრძნობი მატერიალური ზარალი და ნგრევა განიცადა.

1920 წ. 7 ივლისს ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა ბათუმი დატოვეს და სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიები კვლავ დაუბრუნდა საქართველოს. ამით იმედმოცემულმა სიმენსების კვარცხანის ქარხნის დირექტორმა ა. ერნიმ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიმართა განცხადებით, რომ „ადგილობრივი მოსახლეობის კეთილი დამოკიდებულებისა და ქარხნის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომების წყალობით საცხოვრებელი სახლები და საწარმოები გადაურჩნენ დაზიანებას... ქარხანა შეიძლება ამუშავდეს ნებისმიერ დროს“. ამიტომ იგი სთხოვდა მთავრობას მიეცათ სესხი სპილენძსამრეწველო კომპლექსზე აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად.[50]

ეროვნული ეკონომიკის აღორძინების ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ, ვითარების შესწავლის მიზნით, იქ მიავლინა სამთო სამმართველოს უფროსი ინჟინერი ყიფშიძე. მან დაადასტურა კომპლექსის ამუშავების შესაძლებლობა და მისი მნიშვნელობა. მთავრობამაც არ დააყოვნა და, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, 1920 წლის 26 ოქტომბერს კვარცხანის სპილენძსადნობ ქარხანას სესხად გამოუყო 10 მილიონი მანეთი.[51] დაიწყო კიდეც აღდგენითი სამუშაოები, მაგრამ წარმოების სრული დატვირთვით ამოქმედება ვეღარ მოხერხდა 1921 წლის თებერვალ-მარტში განვითარებული მოვლენების გამო. ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებული და იძულებით გასაბჭოებული საქართველოს ეს სამრეწველო რეგიონი (მთელი ართვინის ოკრუგი) კვლავ გახდა რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური გარიგების მსხვერპლი და ამ უკანასკნელის საზღვრებში მოექცა.

---

[49] Пипия Г.В. Политика Германии в Закавказье в 1918 году (сб. документов), Тб., 1971, №№11, 18, 54, 87.
[50] სცსსა, ფ. 1891, ან. I, ს. 643, ფურც. 29-30.
[51] იქვე, ფურც., 54-55.



ბათუმის ნავსადგური, 1878 წ.



ბათუმის ყურე, 1980-იანი წლები

სანაპიროს ქუჩა







ბაქოს ნავთობის სარეწები

ბათუმი, ნავთობის ქალაქი



ბათუმის რკინიგზის სადგური

გემმისადგომისაკენ მიმავალი რკინიგზა, 1903 წ.



ბათუმის პორტი, საბაჟო და პორტის რკინიგზის პლატფორმა



სარკინიგზო შემადგენლობა ბათუმის ნავთობის რეზერვუარებთან

ნობელის ფირმა ბათუმში



ნავთობპროდუქტების შენახვა და გადაზიდვა



ლუდვიგ ნობელი



ნობელის ამხანაგობის რეზერვუარები ბათუმში



როტშილდის ნავთის ქარხანა და საწყობები



კასპია-შავი ზღვის ნავთობგადამამუშავებელი და სავაჭრო საზოგადოების („როტშილდი და კომპ.") ბათუმის ქარხნის შიგა ხედი. 1903 წ.



ნავთობის რეზერვუარები



როტშილდის ქარხნის საამქრო

როტშილდის ქარხნის ბიდონების საამქრო

ბიდონის დამზადება



ნავთის ბიდონების საწყობი



საჭაპანო ტრანსპორტით ნავთობპოდუქტების გადატანა აზიის ქვეყნებში



ბათუმის ნავთობის სამრეწველო რაიონი

ბათუმელი მეხანძრეები. 1900 წ.



ხანძარი მანთაშევის ქარხანაში. ბათუმი, 1901 წ. იანვარი



ტყავის დამამუშავებელი საწარმო



ფეხსაცმლის კერვა



არყის საამქრო



„რუსეთის ნაოსნობის და ვაჭრობის“ სააგენტოს შენობა,
ნავმისადგომი და საწყობები ბათუმში



ბათუმის სამრეწველო რაიონი



ბათუმის გარეუბანი



ძანსულის (მურღულის) მაღაროები და
სპილენძსადნობი ქარხანა



სპილენძის ჭურჭლის
სახელოსნო



ბათუმის საერთო ხედი



ბათუმის პორტის მშენებლობა. 1880-იანი წლების მეორე ნახევარი

საწყობები ბათუმის ნავსადგურში

ბათუმი, ქალაქის აზიური ნაწილი



სანაპიროზე

ბათუმის საბაჟო

ბათუმი, ქალაქის ევროპული ნაწილი

თავი III

სოფლის მეურნეობა

§ 1. ძირითადი დარგები

ბათუმის ოლქის ტერიტორია 7118 კმ² ითვლიდა. აქედან ბათუმის ოკრუგზე მოდიოდა 3779 კმ², ართვინის ოკრუგზე - 3339 კმ².[1] თითოეული ამ კუთხის გეოგრაფიული მდებარეობა განსხვავებულია. ოლქის ტერიტორიის თითქმის 2/3 ტყეებზე, ბუჩქნარებზე და უვარგის მიწებზე (კლდეები, ხრიოკები) მოდიოდა, საკარგულებს კი საერთო ფართობის 1/7 ეკავა. ბათუმის ოკრუგში ჭარბობდა ტყეები და ბუჩქნარები, ხოლო ართვინისაში – კლდე-ხრიოკები. მართალია, ბათუმის ოლქში მერქნის საუკეთესო ჯიშები ხარობდა, მაგრამ აქაურ ტყეებს მეტწილად ბუნებრივი სტიქიისაგან დაცვითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. საკარგულები განფენილია მკვეთრად დაქანებულ ფერდობებზე (15-25 გრადუსი, ზოგჯერ კი 30 გრადუსი).[2] ბუნებრივია, თითოეული გოჯი მიწა მაქსიმალურად იყო გამოყენებული.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია წარიმართა: ზღვისპირა მხარეში – სუბტროპიკული კულტურების მიმართულებით, ართვინის სასოფლო-სამეურნეო ზონაში წამყვანი გახდა მეხილეობა (ზეთისხილი) და მეფუნახეობა; არტანუჯში, ქვემო აჭარასა და გონიოს უბნის ნაწილში - მეთამბაქოეობა; ზემო აჭარაში, შავშეთ-იმერხევსა და არტანუჯის მთიან ნაწილში კი - მეცხოველეობა.

მეურნეობის სპეციალიზაციის გაღრმავების შედეგად შესამჩნევი ცვლილებები მოხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიაში, აგროტექნიკასა და შრომის ხასიათში. მნიშვნელოვანი სამწათმოქმედო ტექნოლოგიური სიახლეა სოფლის მეურნეობის ზოგიერთი სახის ნედლეულის (ჩაის, თამბაქოს, ხეხილის) ფაბრიკული წესით გადამუშავება, შეფუთვა, დახარისხება, დაკონსერვება.

ამ სიახლის წამომწყებნი იყვნენ უცხოელი მოახალშენეები. მათი თაოსნობით აჭარის სოფელში პირველად ჩნდება მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები, მინერალური სასუქები, ევროპული და ამერიკული წარმოების ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. იქმნება სანერგე მეურნეობები და სხვ. ამ სიახლეთა პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები, თუმცა, შეზღუდული მასშტაბით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალურად მოწყობა და ახალი სამწათმოქმედო ტექნიკის გამოყენება დაკავშირებულია ფინანსებთან. იგი არ გააჩნდა აღგილობრივი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას. ამიტომ ბათუმის ოლქის

[1] КК на 1902 год. Тиф., 1901, отд. статист., с. 28-29.

[2] Нижарадзе Н., Джибути Н., Аджария, Бат., 1979, с. 37.

გლეხურ მეურნეობაში აგროტექნიკა შუა საუკუნეების დონეზე რჩებოდა.

ბათუმის ოლქის 1910 წ. მიმოხილვაში ნათქვამია: სოფლის მეურნეობის იარაღები, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა ამუშავებს ნიადაგს, პირველყოფილი წარმოებისაა.[3] ეს არ იყო ლოკალური მოვლენა. ევროპული და ამერიკული წარმოების სასოფლო ტექნიკის შემოსვლის მიუხედავად პ. გუგუშვილი აღნიშნავდა: მთლიანად ამიერკავკასიაში XIX საუკუნეში გაბატონებული იყო შუასაუკუნეობრივი წარმოების იარაღები.[4]

ბათუმის ოლქში გავრცელებული სამიწათმოქმედო სახვნელი იარაღებიდან აღსანიშნავია კოლხური კავი, ჯილღა, არვანა. რკინის გუთანი იშვიათობას წარმოადგენდა. კოლხურ კავს ძირითადად იყენებდნენ ქობულეთისა და ბათუმის რაიონების დაბლობ ადგილებში. იგი შემორჩა XX საუკუნის მეორე ნახევრამდე.[5] ჯილღა გავრცელებული იყო შიდამთიან აჭარასა და ართვინის ოკრუგში. კოლხური კავისა და ჯილღისათვის გამოიყენებოდა ერთი უღელი ხარ-კამეჩი. შიდამთიანი აჭარის ზეგან ადგილებში სარგებლობდნენ შედარებით რთული კონსტრუქციის სახვნელი იარაღით - „ჯილღა-გოგორათი". იგი მძიმეა, ამიტომ მას ორი თუ სამი უღელი გამწეები ძალა ესაჭიროებოდა და მართავდა ორი კაცი (გუთნისდედა და მეხრე).

ართვინის ოკრუგში, სადაც ქვიანი ადგილები მეტია, ზოგჯერ უღელში აბამდნენ ხუთ წყვილ ხარ-კამეჩსაც და სამი კაცი ემსახურებოდა. ამ სახის გუთნის დაქირავება დღიურად ღირდა 5-6 მანეთი. მოსახლეობის უმრავლესობას ამის საშუალება არ ჰქონდა. ამიტომ ართვინის ოკრუგში, ისე როგორც მთლიანად ბათუმის ოლქში, სახვნელის უღელში აბამდნენ თითო წყვილ ხარ-კამეჩს.[6]

სოფლის მეურნეობაში ფართოდ იყო გავრცელებული თოხი. იგი წარმოადგენდა არა მარტო სათოხნ, არამედ საფხეკ საშუალებასაც. თოხის მასობრივი გამოყენება, ძირითადად, რელიეფთანაა დაკავშირებული, ეინაიდან ძლიერ დაქანებული ფერდობის სხვაგვარად დამუშავება შეუძლებელი იყო. აჭარაში გავრცელებული ყოფილა თოხის რამდენიმე სახეობა. ზოგიერთი მათგანი აისახა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში („ჩაფა-თოხი", „ყაზმა-თოხი", „საფაჭვი-თოხი", „სამარგალი თოხი", „ბრინჯის თოხი", „ღომის თოხი").

ხორბლის მკისათვის იყენებდნენ ცელსა და ნამგალს. ხოლო თავთავის გასალეწად — კევრს. იგი ხის ფიცრებისაგან მზადდებოდა და ქვედა სიბრტყეში ჩამაგრებული ჰქონდა კაჟის ნატეხები („კოხები"). ხორბლის გასალეწად გამოყოფილი ადგილი ცნობილია კალოს სახელით. კევრში სამუშაოდ აბამდნენ ერთ წყვილ ხარ-კამეჩს და მას სამი ადამიანი ემსახურებოდა.

სოფლის მეურნეობაში ფართოდ იყენებდნენ ხალხურ სატრანსპორტო საშუალებებს. მათგან აღსანიშნავია ურემი, სელი, ძიგლიგა, მარხილი, ხიზეკი, ციგა, თუში. აჭარაში გავრცელებული იყო ორბორბლიანი ურემი, რომელსაც ძირითადად იყენებდნენ ზღვისპირეთში და მთიანეთის ვაკე ადგილებში. ციგა უფრო მეტად გამოიყენებოდა ზამთარში მაღალმთიან რეგიონებში.

---

[3] Обзор Батумской области за 1910 год. Бат., 1912, с. 16.

[4] პ.გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. III, თბ., 1959, გვ. 4.

[5] ნ.ჩიჯავაძე, დასავლურ-ქართული სახვნელი იარაღები. - სდსყკ, IX, თბ., 1976, გვ. 52-57.

[6] КК на 1884 год. Тиф., 1883, отд. статист., с. 331.

სამეურნეო-სამიწათმოქმედო იარაღებსა და სატრანსპორტო საშუალებებს მოსახლეობა ტრადიციულად ადგილზე ამზადებდა. ბათუმის ოლქის თითქმის ყველა მსხვილ სოფელში არსებობდა სპეციალური სამჭედლოები. საკმაოდ იყენენ ხის იარაღების, სატრანსპორტო საშუალებებისა და ჭურჭლის წარმოების საუკეთესო ოსტატებიც. ვახუშტი ბატონიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აჭარლები ცნობილი არიან როგორც „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“.[7]

ხის სამეურნეო იარაღების, ჭურჭლისა და ტრანსპორტის გასამართი მასალის შემოტანა საჭირო არ იყო. ადგილზეე არსებობდა ძვირფასი ხე-ტყე, მაგრამ ლითონის იარაღების დასამზადებლად საჭირო რკინასა და ფოლადს ადგილზე აღარ ამზადებდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული მათ ყიდულობდნენ ბაზარზე, ძირითადად კი ბათუმში, სადაც საამისო მაღაზიები არსებობდა.[8]

ბათუმის ოლქში ყურადღება ექცეოდა საირიგაციო მშენებლობას. XIX საუკუნის ბოლოს აჭარისწყლიდან გაიყვანეს 25 კმ სიგრძის არხი, რომელიც 6 წლის განმავლობაში შენდებოდა. არხი 4 სოფელს ემსახურებოდა (კორტოხი, პაქსაძეები, ბეღლეთი, გელაძეები) და ადგილ-ადგილ რუსხმულით გადიოდა, ხოლო რუსხმულ'ზე 12 ღარი იყო მიერთებული (თითოეული 10 მეტრი სიგრძის), რომელთა საყრდენებად გამოიყენებოდა ბურჯები. ტექნიკურად ასეთივე რთული არხი იყო გაყვანილი ს. ჭვანაში. მას ემსახურებოდა ორი ადამიანი, რომელთაც თითოეული კომლი წელიწადში 1 ოყა სიმინდს უხდიდა.[9]

მარცვლეულის წარმოება. ბათუმის ოლქის სოფლის მეურნეობაში დიდი ხვედრითი წილი მოდიოდა მარცვლეულ კულტურებზე. იგი მოსახლეობის ძირითადი საარსებო წყარო იყო. მოჰყავდათ: ხორბალი, სიმინდი, ქერი, ფეტვი, ბრინჯი, ღომი, ლობიო და სხვ. ბათუმის ოკრუგში მარცვლეულ კულტურებს შორის ძირითადი იყო სიმინდი, ხოლო ართვინისაში - ხორბლეული.

ბათუმის ოლქში ხორბლისა და სიმინდის მრავალი ჯიში ხარობდა. პურეულის ჯიშებიდან აღსანიშნავია „დოლისპური“, „ყირმიზი“, „დიკა“, „ტრედისფერა“, „ნიქსარულა“ და ა.შ. დიდი ტრადიციების გამო ამ კულტურათა სახეები ტოპონიმებშიც აისახა. ლიეანაში (ართვინის ოკრუგი) ერთ-ერთ სოფელს დოლისყანა ერქვა. რაც ქართული ხორბლის ჯიშის დოლისპურის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს. მოჰყავდათ როგორც საგაზაფხულო, ისე საშემოდგომო ხორბლეული. ბათუმის ოკრუგში ჭარბობდა საშემოდგომო ხორბლეულის ნათესები, ხოლო ართვინისაში - საგაზაფხულო.

სიმინდის კულტურა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემოუტანიათ XVII საუკუნეში.[10] სიმინდმა, როგორც უხვმოსავლიანმა კულტურამ, გამოდევნა ღომი და ფეტვი. გავრცელებული იყო სიმინდის ჯიშები: „ალთუნა“, „ბროლა“, „ალაზანა“, „ჯორიელა“, „იერლი“, „წვიტა“, „ლაზური“, „ქორიბუდე“, „შეიდკვირა“, „წონიარისულა“,

---

[7] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 877.

[8] ნ.კახიძე, მჭედლობა აჭარაში. -სდსყგ, IV, თბ., 1976, გვ. 73.

[9] ნ.ჩიჯავაძე, სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971, გვ. 116-122.

[10] საქართველოში სიმინდის კულტურის გავრცელებას ივ.ჯავახიშვილი ვარაუდობდა XVII ს. დამდეგს (იხ. საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფ., 1930, გვ. 363); ბ.გუგუშვილი XVII ს. მეორე ნახევარში (იხ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. III, თბ., 1959, გვ. 258). ს.ჯიქია კი მიუთითებდა XVI ს. მეორე ნახევარს (იხ. შენიშვნები „სიმინდ-სემიდალის“ შესახებ. - თსუ, შრ., XXX, I, 1940, გვ. 438).

„გოდორა“, „მისირულა“, „რომანულა“, „ჩხალურა“, „ბოლოყურა“ და სხვ. ბარის რაიონებში მოჰყავდათ „ალაზანა“ და „ბროლა“, რომლებიც უფრო მაღალ მოსავალს იძლეოდა.

ბრინჯის კულტურას მისდევდნენ ზღვისპირა ზოლში, მდ. ჩოლოქიდან ს. მაკრიალამდე. ადრე ამ კულტურისათვის გამოიყენებოდა ჩაქვის, ციხისძირის, ბათუმის შემოგარენის, გონიოს, სარფის, მაკრიალის ჭაობიანი ადგილები. შემდეგში რუსეთის მთავრობამ აკრძალა იქ ბრინჯის თესვა იმ მოტივით, რომ ჰქმნიდა მალარიის გავრცელების კერებს.

მოგვიანებით დაიწყეს ურწყავი ბრინჯის მოყვანა, რისთვისაც მშრალ ადგილებს არჩევდნენ, ძირითადად ფერდობებს. XIX ს. 90-იანი წლებიდან ბრინჯის ნათესებმა ზღვისპირა ზოლის სიღრმეში გადაინაცვლა (ხალა, სახალვაშო, კვირიკე, ბობოყვათი, ხუცუბანი, სამება და სხვ.).[11]

ნათესი ფართობი ორ ნაწილად იყოფოდა: ლელომი და ზეგანი. სიმინდის კულტურას ძირითადად ლელომზე თესდნენ. ზეგნის მიწები უფრო მეტად ფეტვისათვის გამოიყენებოდა.[12]

მარცვლეულ მეურნეობაზე წარმოდგენას გვიქმნის ცხრილი 1 (ფართობი – დესეტინობით, მოსავალი - ათასი ფუთობით):[13]

ცხრილი 1

წლები	ბათუმის ოკრუგი		ართვინის ოკრუგი		სულ ბათუმის ოლქში	
	ფართობი	მოსავალი	ფართობი	მოსავალი	ფართობი	მოსავალი
1	2	3	4	5	6	7
1889	19927	384,1	7221	329,9	27148	712,0
1903	12794	950,7	6113	453,0	18907	1403,7
1912	12610	527,4	6194	265,4	18804	5537,8
1915	9860	2491,0	2550	994,0	12410	3196

მაშასადამე, ბათუმის ოლქში შესამჩნევია ნათესი ფართობის სისტემატური შემცირება: 1915 წ. 1880 წელთან შედარებით იგი 2,4-ჯერ შემცირდა, რაც უწინარესად გამოიწვია მოსახლეობის განუწყვეტელმა მიგრაციამ. მიტოვებული მიწები ხშირად დაუმუშავებელი რჩებოდა. ამასთან, სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავეს სუბტროპიკულმა და ტექნიკურმა კულტურებმა (ჩაი, ციტრუსები, თამბაქო).

იყო სხვა მიზეზებიც: უამინდობა, გამწევი ძალისა და შრომის იარაღების უკმარისობა. ქუთაისის გუბერნატორი 1894 წ. აღნიშნავდა, რომ ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში მარცვლეული კულტურების ფართობის შემცირების მიზეზია გვალვები და სიმინდზე დაბალი საბაზრო ფასები.[14] 1915 წ. მაგალითად, ბათუმის ოლქში

[11] Сборник сведений по культуре ценных растений на Кавказе, вып. II, Тиф., 1895, с. 117.
[12] Журн. «Русские субтропики», 1914, №1, с. 32-33.
[13] ცხრილი შედგენილია: სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ. 1284, ან. 223, ს. 122, ფურც. 15-16; «Русские субтропики», 1914, №1-2, с. 60-64; აგრეთვე შესაბამისი წლების „კავკასიის კალენდარი“.
[14] სცსსა, ფ. 12, ან. 1, ს. 1461, ფურც. 28.

სახნავი მიწის ფართობი 20624 დესეტინას ითელიდა. მაგრამ მარცელეულისათვის გამოყენებული იყო მხოლოდ 60%.[15]

ცხრილის მიხედვით, ბათუმის ოლქში მარცელეული კულტურების არასტაბილური მოსავალია, მაგრამ საშუალო საჰექტარო მოსავალი საკმაოდ მაღალია. 1906-1910 წლებში აქ ერთ დესეტინაზე მიიღეს: სიმინდი - 69,3 ფუთი, ხორბალი - 48, ქერი - 62 ფუთი. ეს გაცილებით მაღალია, ვიდრე მოიწიეს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, მთლიანად ამიერკავკასიაში.[16]

მარცელეულის საერთო სტრუქტურაში მცირე იყო ბრინჯის, ღომისა და ფეტვის ხვედრითი წილი. ბრინჯის ნათესები 1880 წლის 3,6 ათასი დესეტინიდან 1903 წ. 1,1 ათას დესეტინამდე შემცირდა, ე.ი. სამჯერ და მეტად. მოსახლეობა ბრინჯს თესდა მცირე ნაკვეთებზე, ჩვეულებრივ 40-50 კვადრატულ საჟენზე. იშვიათი იყო 100-200 კვადრატული საჟენი სიდიდის ნაკვეთები.[17]

გამოიყენებოდა მიწათმონაცველობის წესი. ორი - სამი წლის შემდეგ ბრინჯის ნაკვეთებზე სიმინდს თესდნენ. ბრინჯს კი სხვა ადგილს მიუჩენდნენ.[18]

მარცელეული კულტურების მოსავალი აჭარაში ორჯერ, ზოგჯერ 3-4-ჯერ მეტი იყო, ვიდრე ართვინის ოკრუგში. ძირითადი მწარმოებელი იყო ზემო და ქვემო აჭარა, შავშეთ-იმერხევი და ლივანა. 1903 წ. ამ რეგიონზე მოდიოდა ოლქში წარმოებული მარცელეულის 71,7% (1007,4 ათასი ფუთი).[19]

ოლქში წარმოებული მარცელეული სანახევროდაც ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობას. თანაც, მუჰაჯირობის მიუხედავად, მოსახლეობის რიცხოვნობა განუწყვეტლივ იზრდებოდა, ბუნებრივი და მექანიკური მატების ხარჯზე. მარცელეულის წარმოება კი კლებულობდა. 1882 წ. ოლქის მოსახლეობა ითვლიდა 95455, 1886 წ.- 113801, 1891 წ. 123801, 1905 წ. - 154459, 1910 წ. - 160230 სულს. შესაბამისად, ართვინის ოკრუგის მოსახლეობა შეადგენდა: 45505, 52434, 62434, 60158, 63379 სულს.[20]

XIX ს. 80-90-იან წლებში ბათუმის ოლქში ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 9-დან 11 ფუთამდე მარცელეული, 1903 წ. - 9, ხოლო 1910 წ. - 4,8 ფუთი. მეტ-ნაკლებად ანალოგიური მდგომარეობა იყო მომდევნო წლებშიც. ცხადია, ასეთ პირობებში მარცელეული სხვა რეგიონებიდან შემოჰქონდათ.

მარცელეულის საერთო უკმარისობის მიუხედავად, ბაზარზე მაინც გადიოდა სიმინდისა და ბრინჯის საგრძნობი ნაწილი (1910 წ. სიმინდი გასაყიდად თურქეთშიც კი გაუტანიათ). ფუთი სიმინდის საბაზრო ფასი 50 კაპიკი იყო, ხოლო ბრინჯისა - 60 კაპ. დესეტინაზე საშუალოდ იღებდნენ 80-120 ფუთ ბრინჯს, საიდანაც ფულადი შემოსავალი 150, ხოლო წმინდა მოგება – 80 რუბლს შეადგენდა.[21]

მეთამბაქოეობა. სასაქონლო მეთამბაქოეობის განვითარება იწყება XIX ს. 80-იანი წლებიდან და მან ოლქის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მეთამბაქოეობის რაიონები იყო: ქვემო და ზემო აჭარა, გონიოს უბნის ნაწილი, არტანუჯი, ლივანა და შავშეთ-იმერხევი. მათ შორის გამორჩეული იყო არტანუჯის

[15] КК на 1917 год. Тиф., 1916, отд. статист., с. 340-341.
[16] ბ.გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 350-351.
[17] სცსსა, ფ. 243, ან. 7, ს. 125, ფურც. 7.
[18] Сборник сведении по культуре ценных растении на Кавказе, вып. II, Тиф., 1895, с. 120.
[19] პროცენტი გამოთვლილია: Обзор Батумской области за 1903 год. Бат., 1904, с. 28.
[20] ცნობები მოყვანილია შესაბამისი წლების „კავკასიის კალენდრიდან".
[21] ო. თურმანიძე, სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1920). ბათ., 2004, გვ. 56.

უბანი.

1879 წ. 3 სექტემბერს მთავრობამ თამბაქოს წარმოებაზე ბათუმისა და ყარსის ოლქებშიც შემოიღო სააქციზო გამოსაღები. XIX ს. 80-იან წლებში ამიერკავკასიაზე მოდიოდა რუსეთის იმპერიაში წარმოებული თამბაქოს ნედლეულის 80%. 90-იან წლებში ამიერკავკასიის მხარეში (დაღესტანთან ერთად), თამბაქოს საერთო მოსავალში საქართველოს წილი 82% აჭარბებდა.[22]

ბათუმის ოლქში 1879 წლიდან 1914 წლამდე სულ უფრო ფართოვდებოდა თამბაქოს კულტურის გეოგრაფია. თუ 1879 წ. თამბაქო 12 სოფელში მოჰყავდათ, 1889 წ. ამ კულტურას – 110, 1899 წ. - 177, 1909 წ. - 213, ხოლო 1913 წ. - 217 სოფელში მისდევდნენ.[23]

ბათუმის ოლქში მეთამბაქოეობის განვითარება 1879 წ. დაიწყო. 1884-1888 წლებში, წინა ხუთწლეულთან შედარებით, თამბაქოს ფართობი გაიზარდა 4,3-ჯერ, ხოლო მოსავალი 13-ჯერ. მართალია, მომდევნო წლებში ზრდის ტემპი შენელდა, მაგრამ მაინც 1879-1913 წლებში ოლქში თამბაქოს ფართობი გაიზარდა 19-ჯერ, ხოლო მოსავალი 41-ჯერ.[24]

სასაქონლო ხასიათის მეთამბაქოეობა ართვინის ოკრუგში 1884 წლიდან დაწინაურდა. 1884-1888 წლებში მასზე მოდიოდა ბათუმის ოლქის თამბაქოს საერთო ფართობის 70% და მოსავლის - 66%, 1889-1893 წლებში შესაბამისად - 74% და 73%, 1899-1903 წლებში - 63% და 73%, რაც აიხსნება ართვინის ოკრუგში, კერძოდ, არტანუჯის უბანში, მეთამბაქოების განვითარებისათვის შედარებით უკეთესი პირობებით. იქ გაცილებით მეტი იყო მუჰაჯირებისაგან მიტოვებული მიწები, რასაც იჯარით ამუშავებდნენ პლანტატორები.

XIX ს. 90-იანი წლებიდან ბათუმის ოლქი მეთამბაქოეობის ერთ-ერთ მსხვილ რეგიონად იქცა, სადაც მაღალი იყო საშუალო სპექტარო მოსავალიც. 1909-1913 წლებში აქ ერთ დესეტინაზე მიიღეს (საშუალოდ) 75,4 ფუთი ნედლეული, სოხუმის ოკრუგში - 59, ქუთაისის და თბილისის გუბერნიებში - 45,2 ფუთი თითოეულში.[25]

მეთამბაქოეობა მეტწილად მწარმოებლის პირად შრომას ემყარებოდა, მაგრამ საიჯარო მიწებზე არსებობდა კაპიტალისტური ტიპის მეურნეობებიც. 1900 წ. ერთიდან ორ დესეტინამდე ფართობი ეკავა 67 პლანტაციას, სამიდან ხუთ დესეტინამდე 19 პლანტაციას.[26]

დესეტინაზე დიდი პლანტაციის დამუშავება და თამბაქოს ფოთლის წარმოების ტექნიკური სამუშაოები (ანემსვა, საშრობის აგება, გახმობა, დახარისხება, დატუკვა) ნებისმიერი ოჯახის შესაძლებლობას აღემატებოდა და აქ დაქირავებუ-ლი შრომა გამოიყენებოდა. ცხადია, ასეთი პლანტაცია თავისი ხასიათით კაპიტალისტურია. 1899წ. ბათუმის ოლქის მეთამბაქოეობაში კაპიტალისტური ტიპის პლანტაციების ხვედრითი წილი 25%-ს აჭარბებდა.

თამბაქოს ნედლეულის შესყიდვის ძირითადი ცენტრი ბათუმი იყო. აქ საწყობები

---

[22] Вестник финансов, промышленности и торговли, 1886, с. 228-229; отчёт заведующего акцизными сборами в Закавказском крае в ходе акцизного дела в 1899 г., С-Пб., 1900, с. 94.

[23] სცსსა, ფ. 370, ან. 1, საქმეები 132, 401, 813, 989, 1076.

[24] Закавказье. Статистическо-экономический сборник, Тиф., 1925, с. 240.

[25] ქუთაისის ცსა, ფ. 130, ს. 166, ფურც. 7.

[26] ო.თურმანიძე, აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან, ბათ., 1973, გვ. 50.

ჰქონდათ: ბინიათ-ოღლის, კანდილის, დანილოვს, თბილისის კომერციულ ბანკს, პოდოლეცკის, მდოიანცს, გოკიელოვს. მეორე მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა ართვინის ოკრუგი. აქ დამამზადებელი პუნქტები ეკუთვნოდათ სომეხ ვაჭრებსა და მრეწველებს (ძმებს ანანიანებს, ბატავიანს, აფანიანს, მანდოიანს, კიურჩიანს და სხვ.).

ართვინის ოკრუგის გლეხობის მდგომარეობას აგვიწერს გაზეთ „ივერიის" კორესპონდენტი ივ. ჯაიანი: „თუთუნისა და ფუხარის ბედ-იღბალი იმათ ხელში ტრიალებს, რომელნიც არიან სხვა ქვეყნებიდან მოსულები... ამ ვაჭრებისათვის მუდამ რთველია: სოფლიდან სოფელში დანავარდობენ, ატყუებენ ხალხს და ჩალის ფასად აცლიან ხელიდან თუთუნს... და ათასობით ფულს იგებენ".[27] მოგება იმითაც იზრდებოდა, რომ გლეხებს ნედლეულის სანაცვლოდ აძლევდნენ ფართო მოხმარების საქონელს, უმეტესად იაფფასიან ქსოვილებს, რომელთა ფასებსაც თვითნებურად ადგენდნენ.

XIX ს. 90-იან წლებამდე ბათუმის ოლქის თამბაქოს ძირითადი მომხმარებლები იყვნენ ამერიკაკასიის ფაბრიკანტები: ბინიათ-ოღლი (ბათუმი), ბოზარჯიანცი, ენფინჯიანცი (თბილისი), მირზაბეკოვი (ბაქო) და სხვ. მომდევნო წლებში აქაური თამბაქო გაიტანეს რუსეთის შიდა გუბერნიებსა და საზღვარგარეთ. 1906 წ. ოლქიდან გავიდა 10736 ფუთი თამბაქოს ფოთოლი, 1910 წ. - 30698, ხოლო 1912 წ. - 42921 ფუთი.[28] აღსანიშნავია, რომ 1912 წ. გატანილი თამბაქოს 69% საზღვარგარეთის ქვეყნებსე (გერმანია, საფრანგეთი, ეგვიპტე, თურქეთი, ამერიკა და სხვ.) მოდიოდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საშინაო და საგარეო ბაზარი შეიზღუდა. 1915-1920 წლებში, მარცელეულზე მოთხოვნილების ზრდის გამო, მნიშვნელოვნად შეიკვეცა მეთამბაქოეობა.

მეთამბაქოეობის დაცემა შესამჩნევი გახდა 1915 წლიდან. წინა წელთან შედარებით თამბაქოს მოსავალი შემცირდა: 1915 წ.- 9-ჯერ, 1916 წ. დაახლოებით 6-ჯერ, 1920 წ. - 4,5-ჯერ. ეს დარგი ყველაზე მეტად დაქვეითდა ართვინის ოკრუგში. 1915 წ. ამ რეგიონში აღირიცხა 40 პლანტაცია, რომელთა საერთო ფართობი შეადგენდა 1,3 დესეტინას, ხოლო მოსავალი - 400 ფუთს.[29]

მეჩაიეობა. მეჩაიეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის არატრადიციული, ახალი დარგი იყო. აჭარაში მისი სამრეწველო განვითარება დაიწყო XIX საუკუნის 80-იან წლებში. ამ საქმის პიონერები იყვნენ უცხოელი მოახალშენეები: სოლოვცოვი, პოპოვი, ეუჩინო, ვერუ, სტოიანოვი, გაიდებუროვი, მანოვების საიმპერატორო სახლი.

პირველად ჩაის კულტურა გააშენეს ჩაქვის მიდამოებში, შემდეგ კი გავრცელდა ზღვისპირა ზოლის სხვა სოფლებში. თუ 1898 წ. აჭარაში მეჩაიეობას 7 მოახალშენე მისდევდა, ორი წლის შემდეგ მათი რიცხვი თითქმის გასამკეცდა (17), ფართობმა გადააჭარბა 215 დესეტინას, ხოლო მოსავალმა - 24644 გირვანქას.[30]

1901-1915 წლებში აჭარაში 74 ახალი პლანტაცია გააშენეს, რის შემდეგაც ჩაის ფართობი 3,3-ჯერ, ხოლო მოსავალი 11-ჯერ და მეტად გაიზარდა; ზოგიერთ წელში (1906-1908, 1917-1920) ჩაის მოსავლიანობის შემცირება გამოწვეული იყო რეკოლუ-

---

[27] „ივერია", 21 მაისი, 1894.

[28] ო. თურმანიძე, სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1921 წწ.). ბათ., 2004, გვ. 70.

[29] КК на 1917 год.1916, отд. статист., с.349.

[30] სცსსა, ფ. 13, აღ. 12, ს. 576, ფურც. 5; ფ. 370, ს. 926, ფურც. 105-106.

ციური მოძრაობით ან უცხოელთა ინტერვენცია-ოკუპაციით.

ადგილობრივი მოსახლეობიდან ჩაი პირველად 1906 წელს გააშენა მახინჯაურელმა ალი მახარაძემ. 10-იან წლებში მას მიბაძეს დაგვის, აჭყვის და სხვა სოფლების მცხოვრებლებმა, ძირითადად ბერძნებმა. 1920 წ. ადგილობრივი მოსახლეობის ჩაის პლანტაციების ფართობი 80 დესეტინას აღწევდა, რაც საერთო ფართობის 9,5%-ს შეადგენდა.[31]

ცხრილი 2

ჩაის პლანტაციების რიცხვი, ფართობი და მოსავალი
აჭარაში 1901-1920 წლებში[32]

წლები	პლანტაციების რიცხვი	ფართობი (დესეტ.)	მოსავალი (გირვანქ.)
1901	20	248,0	14055
1903	28	312,0	252013
1905	39	378,8	638605
1907	64	446,5	278909
1909	95	568,8	798130
1911	112	644,2	822855
1913	146	788,7	1332866
1915	194	823,7	1570808
1917	„——“	837,0	956082
1920	„——“	837,0	1141614

ნედლეულის პირველადი გადამუშავება ადგილზევე ხდებოდა. 1899 წ. აქ ჩაის 2 ფაბრიკა იყო, 1907 წ. - 4, ხოლო 1909 წ. - 6. საოჯახო წესით დამუშავებული პროდუქცია 1900-1915 წლებში 0,7%-დან 2%-მდე აღწევდა. 1900-1915 წლებში ჩაის წარმოება 5846-დან 389432 გირვანქამდე, ე.ი. 66,5-ჯერ გაიზარდა.

აჭარაში 6 ხარისხის ჩაის ამზადებდნენ. 1915 წლამდე მაღალი ხარისხის (უმაღლესი, პირველი, მეორე) ჩაი სჭარბობდა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. საზღვარგარეთიდან ჩაის პროდუქციის შემოტანა შემცირდა და ქართული ჩაის ნაწარმი დაიჯავშნა არმიისათვის. ამის შედეგი იყო, რომ მესამე, მეოთხე და ე.წ. „ნამცეცა“ ანუ „სოლდატსკი“ ჩაის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მეხილეობა და მევენახეობა. მეხილეობა და მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგებია, მაგრამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დაბლარი ვენახი და მეღვინეობა ოსმალობის დროს თითქმის მოისპო. მისი აღორძინება არ მოხერხდა რუსეთის მფლობელობის დროსაც.

ბათუმის ოლქში მიწის სიმცირის გამო მეხილეობის სპეციალური ბაღები არ ყოფილა (ციტრუსების გამოკლებით). ხეხილის გაშენებისათვის არჩევდნენ ისეთ

[31] Друг издалека. Документы из истории грузинско-китайской дружбы. Бат., 1958, с.73.

[32] ცხრილი შედგენილია: საქართველოს სცსსა, ფ. 13, ან. 12, ს. 576, ფურც. 5, ფ. 370, ან. 1, საქმეები 926, 934, 940, 958, 989; აჭარის ასსრ სტატისტიკური კრებული 1913-1923, ბათ., 1924, გვ. 94-95; КК на 1917 год. Тиф., 1916, с. 358; Журн. «Русские субтропики», 1913, №10; с. 34-35.

მიწებს, რომლებიც სათესი კულტურებისათვის გამოუსადეგარი, ან ნაკლებად გამოსადეგი იყო.

სასაქონლო მნიშვნელობა ჰქონდა ეაშლს, მსხალს, ზეთისხილს, ციტრუსებს, ხურმას, კომ'შს, ბერძნულ ნიგოზს, თუთას, კურკოვან ხილს, ლეღეს და სხვ. აჭარაში ცნობილია ეაშლის 14-მდე ჯიში. მათ შორის პოპულარული იყო „დემირალმა" (რკინავაშლი), „შაქარალმა" (შაქარვაშლი), „ეელურა", „ფაშაალმა" და სხვ.[33] მსხლის ჯიშები ამაზე მეტია. 1882 წელს აქ აღირიცხა: ეაშლი - 18566 ძირი, მსხალი — 17342, ბერძნული ნიგოზი - 6736, ლეღვი - 2675, თუთა - 440, ბალი - 660, ხურმა - 600, ქლიავი - 1265 ძირი.[34]

ხეხილის ნარგაეების რაოდენობით წამყვანი იყო ბათუმის ოკრუგი. აქ ეაშლის ნარგაეები 2,4-ჯერ, მსხლის - 3,3-ჯერ, ნიგვზის - 25%-ით მეტი იყო, ეიდრე ართვინის ოკრუგში.

ცხრილი 3

ხეხილის ნარგაეების რაოდენობა სახეობათა მიხედვით 1917 წელს[35]

ხეხილის სახეები	ბათუმის ოკრუგი	ართვინის ოკრუგი	სულ ბათუმის ოლქში
ხეხილი სულ მათ შორის:	508072	28753	536825
ციტრუსი	272875	-	272875
ეაშლი	23710	6911	30621
მსხალი	14946	4431	19377
ნიგოზი	7310	6649	14959
თხილი	180510	131	180641
ქლიაეი	2797	8048	10845
ხურმა	50	1643	1693
ატამი	3952	-	3952
ტყემალი	912	749	1681
შინდი	-	171	171

გასაყიდად გადიოდა 40-60 ათას ფუთამდე ეაშლი, 12-26 ათასი ფუთი მსხალი, 14 ათას ფუთამდე ნიგოზი. 1888 წ. ბათუმის ოლქიდან გაუტანიათ 44 ათასი ფუთი ეაშლი (40 ათასი აჭარიდან, 4 ათასი ართვინის ოკრუგიდან),[36] 1913 წ. კი - 60 ათასი.[37]

სასაქონლო დონით გამოირჩეოდა ციტრუსები და ზეთისხილი. ციტრუსები გაშენებული იყო აჭარის ზღვისპირა ზოლში, ხოლო ზეთისხილი - ართვინის მიდამოებში. ციტრუსოეანთაგან ადგილობრივი მოსახლეობა აშენებდა ფორთოხალს, ლიმონს, ციტრონს. 1894 წ. აღირიცხა 1300 სრულმოსაელიანი ფორთოხლის ხე, ხოლო 1912 წელს - 1500.[38] 1917 წ. აჭარაში ითვლებოდა ფორთოხლის 14354 და ლიმონის

[33] Журн. «Русские субтропики», 1914, №1, с. 33.
[34] КК на 1884 год. отд. статист., с. 326.
[35] ამხ, ს. 216, ფურც. 69-75.
[36] სცსსა, ფ. 12, ან. 1, ს. 733, ფურც. 7-8.
[37] «Русские субтропики», 1914, №1, с. 33.
[38] Тимофеев С.Н., Культура апельсинных и лимонных деревьев в Закавказском крае.- ссцрк, выпуск I. Тиф.,

10662 ნარგავი.[39]

მეციტრუსეობაში არსებითი გარდატეხა მოხდა 900-იან წლებში, როდესაც გააშენეს იაპონური მანდარინი („უნშიუ"). თუ 1901 წ. მანდარინის ფართობი 0,4 დესეტინა იყო, 1906 წ. - 11, 1909 წ. - 124, 1913 წ. - 262, 1917 წ. - 323 დესეტინას გადააჭარბა.[40]

ზეთისხილი ხარობდა ართვინის ოკრუგის რამდენიმე სოფელში (თოლგომი, ლომაშენი, ცრია, მამაწმინდა, სვეტიბარი, ორჯოხი, დოლისყანა, სინგოტი, კურძული, არდალი, დაბა, გეერდა, ართვინი და სხვ.). XX ს. დასაწყისში აღირიცხა 15-მდე ჯიშის ზეთისხილი. ნაყოფიერებით გამოირჩეოდა „ბუტკო", „ოთური", „გურულა", „თბილისი". ზეთისხილის ნაყოფისაგან ამზადებდნენ ზეითუნის ზეთს, აგრეთვე, მოიხმარდნენ ხილის სახით.

ზეთისხილის ფართობი 1902 წ. 1000 დესეტინას შეადგენდა. 1914 წ. 110 ათასი ზეთის ხე აღირიცხა. იგი საგრძნობლად დაზიანდა პირველი მსოფლიო ომის დროს, მაგრამ ბათუმის საოლქო აგრონომიულმა სამსახურმა გ. გამხარაშვილის თაოსნობით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ზეთისხილის ნარგავების გადასარჩენად. 1915 წ. ართვინის ოკრუგში ითელებოდა ზეთისხილის 94 190 ხე.

ზეთისხილის საშუალო წლიური მოსავალი 50-60 ათას ფუთს შეადგენდა. აქედან დაახლოებით ნახევარს ადგილზე მოიხმარდნენ, დანარჩენი ბაზარზე გაჰქონდათ (ბათუმი, თბილისი, შავიზღვისპირა ქალაქები, რუსეთი). ერთი ფუთი ზეთისხილის საბაზრო ფასი იყო 2,5-4,5 რუბლი, ხოლო საერთო ფულადი შემოსავალი 100 ათასიდან 200 ათას რუბლამდე აღწევდა.[41]

მევენახეობას ბათუმის ოლქის ყველა რაიონში მისდევდნენ. წარსულში ეს დარგი საკმაოდ განვითარებული ყოფილა, მაგრამ ოსმალთა მფლობელობის პერიოდში ძალზე შემცირდა. 1894 წ. აღწერით ქვემო და ზემო აჭარაში მაღლარი ვენახი მოშენებული ჰქონდა მოსახლეობის 75%-ს, ხოლო კინტრიშისა და გონიოს უბნებში - 50%-ს.[42] ართვინის ოკრუგში მევენახეობის გავრცელების რაიონებია ლიკანას ხეობა, არტანუჯის ნაწილი და შავშეთ-იმერხევის დაბლობი.

ბათუმის ოლქში მაღლარი ვაზის ათეულობით ჯიში ხარობდა. 1913 წ. არტანუჯის რაიონში აღირიცხა 35 ჯიში.[43] XX ს. 60-იან წლებში ხულოს რაიონის სოფელ ჩაოში შემორჩენილი იყო 40-მდე ჯიში. გემოთი და უხვმოსავლიანობით გამოირჩეოდა: „ჩხავერი", „კლარჯული", „ხოფათური", „მეკრენჩხი", „ჩოტი", „წვიტა", „საწური", „ჩიჩიბე", „ბურძგლა", „ორჯოხული", „საფერავი", „ბუტკუა" და სხვ.

დაბლარი ვენახის აღორძინება დაიწყო XIX ს. 80-იან წლებში. 1895 წ. იგი გააშენეს 182 დესეტინაზე (ბათუმის ოკრუგში - 8, ართვინის ოკრუგში - 174 დეს.). 1902 წ. დაბლარი ვენახის ფართობი 1478 დესეტინამდე (თითქმის 10-ჯერ) გაიზარდა. კინტრიშის უბანზე მოდიოდა 506 დესეტინა, გონიოს - 210, ართვინის - 590, არტანუჯის - 165, შავშეთ-იმერხევის უბანზე - 7 დესეტინა.

აჭარაში საშუალოდ წლიურად იკრიფებოდა 25-30 ათასი ფუთი ყურძენი, ხოლო

1895, с. 25.
[39] ამხე, ს. 216, ფურც. 69-70.
[40] ო. თურმანიძე, აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან, ბათ., 1973, გვ. 62.
[41] იქვე, გვ. 69.
[42] Тимофеев С.Н. Очерк виноградарства в Батумском и Артвинском округах. - Сборник сведений по виноградарству и виноделю на Кавказе, выпуск IV, Тиф., 1896, с. 168-171.
[43] «Русские субтропики», 1914, №1, с. 25-26.

ართვინის ოკრუგში - 50-60 ათასი ფუთი. 900-იანი წლებიდან მოსავალი საგრძნობლად გაიზარდა, უწინარესად — დაბლარი ვენახის ხარჯზე. 1902 წ. მხოლოდ დაბლარი ვენახიდან მოიწიეს 45 ათასი, 1910 წელს - 50 ათასი ფუთი ყურძენი.[44]

ყურძნისაგან ამზადებდნენ ხარდალს (ყურძნის დადუღებული წვენი), ჩურჩხელას, ძმარს, ბეთმეზს (მსხლის დადუღებული წვენი), ფილამუშს, აყენებდნენ ღვინოს. გასული საუკუნის 90-იან წლებში აწარმოეს 2500-3000 ფუთი ღვინო, 1908 წ. - 5800, 1913 წ. - 6000 ფუთი. ბაზარზე გადიოდა 35 ათასი ფუთი ყურძენი და ღვინის უმეტესი ნაწილი.[45]

მეცხოველეობა. ბათუმის ოლქში მეცხოველეობაში ძირითადი იყო მესაქონლეობა. ჭარბობდა ქართულ-კავკასიური ჯიშის საქონელი, რადგან კარგად იყო შეგუებული რეგიონის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს. აქაური საქონელი იყო მომცრო, მკერივი, მოქნილი აგებულების, ტემპერამენტიანი, გამოსაკვებად იოლი. ამიტომ მოსახლეობა ამ ჯიშის საქონელს აძლევდა უპირატესობას.[46]

ოლქში საძოვარ-სათიბების სიმცირის გამო მეცხოველეობა დიდი მასშტაბით ვერ განვითარდა და ძირითადად, გლეხურ მეურნეობად დარჩა. ვეტერინარული მომსახურებაც დაბალ დონეზე იდგა, ამიტომ ხშირი იყო ეპიდემიები. 1909 წ. გონიოს საპოლიციო უბნის 10 სოფელში შავი ჭირისაგან დაიხოცა 171 პირუტყვი, საერთო სულადობის თითქმის 10%.[47]

საქართველოს მეცხოველეობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს. ბათუმის ოლქში ამ სახეობაში ყველაზე მეტი იყო ფური. რაც შეეხება კამეჩს, მათი რიცხვი უმნიშვნელო იყო: 1896 წ. აღირიცხა 1319 სული, 1912 წ. - 2273 სული.

წერილფეხა საქონელში პირველობდა ცხვარი, რომელიც საგრძნობლად აღემატებოდა თხის სულადობას, თუმცა, აქაური ტერიტორია ყველაზე გამოსადეგია სწორედ მეთხეობისათვის. საგულისხმოა, რომ წვრილფეხა საქონლის მნიშვნელოვან ნაწილს ფლობდა არაქართველი მოსახლეობა - ჰემშილები, ქუროები, ბოშები.

მესაქონლეობის ძირითად რაიონებად ითელებოდა ზემო აჭარა, შავშეთ-იმერხეთი, არტანუჯის მთიანი ნაწილი. აქ, საშუალოდ, თითოეულ ოჯახს ჰყავდა 5-8 სული მეწველი ფური, 5-6 მოზარდი საქონელი, წყვილი მუშა ხარ-კამეჩი, 2-3 სული თხა-ცხვარი (შეძლებულ გლეხებს - 50 სული, ზოგიერთებს ამაზე მეტიც ჰყავდათ).[48]

მცირემიწიან გლეხობას გაცილებით ნაკლები პირუტყვი გააჩნდა. 1917 წ. ბათუმის ოკრუგში სოფლის 9784 კომლიდან საქონელი არ ჰყავდა 2271 (სოფლის საერთო მოსახლეობის 24%). ართვინის ოკრუგში საქონლის გარეშე იყო სოფლის მოსახლეობის 10%-ზე მეტი (4700 კომლიდან 489 კომლი).[49]

---

[44] იქვე, გვ. 58-59, 64.

[45] Тимофеев С.Н. დასახ. ნაშრ., გვ. 172-189; КК на 1910 год. отд. статист. с. 572, КК на 1915 год. отд. статист. с. 336; Обзор Батумской области за 1903 год. Бат., 1904, с. 64.

[46] ვ.შამილაძე, ალბური მესაქონლეობა საქართველოში. თბ., 1969, გვ. 44, 52.

[47] Журн. «Батумский сельский хозяйн». 1909, №4, с. 108-113.

[48] Гамхарашвили Г. Сельско-хозяйственный обзор Батумской области. - «Русские субтропики», 1914, №2, с. 24.

[49] ამხვ., ს. 216, ფურც. 61-65.

ცხრილი 4

ბათუმის ოლქში პირუტყვის საერთო სულადობა
ძირითად სახეობათა მიხედვით[50]

ოკრუგების დასახელება	პირუტყვი	1884 წ.	1896 წ.	1903 წ.	1910 წ.	1912 წ.	1915 წ.	1917 წ.
ბათუმის	პირუტყვი სულ მათ შორის:	160910	52425	96580	123719	119450	39086	51782
	მსხვილფეხა რქოსანი	6500	19919	27181	47725	44603	24727	34439
	ცხვარი...	148000	21997	56889	42950	41814	13040	6009
	თხა...	-	6510	6311	25162	25150	251	8878
ართვინის	პირუტყვი სულ მათ შორის:	76491	76284	106779	52237	58313	20844	50355
	მსხვილფეხა რქოსანი	48610	35490	61222	30245	35708	1228	29973
	ცხვარი...	10710	15557	22238	18180	17010	3122	10969
	თხა...	12256	20000	19414	1968	1921	4458	9251
სულ ბათუმის ოლქში	პირუტყვი სულ მათ შორის:	237401	128709	203359	175956	177763	60930	102137
	მსხვილფეხა რქოსანი	55110	55409	88403	77970	80311	37655	63812
	ცხვარი...	158710	37554	79127	61130	58824	16162	1678
	თხა...	12256	26510	25725	27130	27071	4709	18129

მეღორეობას ქრისტიანი მოსახლეობა მისდევდა და მას უმნიშვნელო ადგილი ეჭირა. 1882 წ. ითვლებოდა 378, 1903 წ. - 381, ხოლო 1912 წ. - 715 სული ღორი.

შედარებით განვითარებული იყო *მეცხენეობა*. 1896 წ. ბათუმის ოლქში აღირიცხა 6974 ცხენი, 213 სახედარი და ჯორი. 1903 წ. შესაბამისად, 7793 და 1599 ერთეული.[51]

მეფრინველეობა საკვები ბა'ხის სისუსტის გამო განუვითარებელ დარგად რჩებოდა. მეფუტკრეობას კი ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ყველა კუთხეში მისდევდნენ, მაგრამ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით მაინც სუსტად

[50] ცხრილი შედგენილია: КК на 1886 год. отд. статист. с. 224, обзор Кутайской губернии за 1896 год. Кут., 1897, с. 22; Обзор Батумской области за 1903 год. Бат., 1904, с. 59-60; КК на 1912 год. отд. статист., 278-279; КК на 1914 год. отд. статист. с. 142-143; КК на 1916 год. отд. статист., с. 226, «Русские субтропики», 1917, №7-8, с. 20.

[51] Обзор Кутайской губернии за 1896 год. Кут., 1897, с. 22; Обзор Батумской области за 1903 год., Бат., 1904, с. 69.

იყო განვითარებული.[52]

1882 წ. ბათუმის ოკრუგში აღირიცხა 3300-მდე ფუტკრის ოჯახი, საიდანაც მიიღეს 882 ფუთი თაფლი და 165 ფუთი ცვილი.[53] 1917 წ. მთლიანად ბათუმის ოლქში იყო 3605 ფუტკრის ოჯახი. აქედან საერთო რაოდენობის 2/3 მოდიოდა აჭარაზე. ფუტკრის ოჯახების შედარებით მეტი ოდენობა იყო ქეემო აჭარაში (791) და კინტრიშის უბანში (973).

ცხადია, ქალაქებისა და სავაჭრო-სამრეწველო დაბების მოსახლეობის ზრდამ მეცხოველეობის პროდუქტებზე მოთხოვნილებაც გაზარდა. სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის მოცულობა შესამჩნევად გაიზარდა. 1917 წ. ბათუმის ოლქიდან ბაზარზე გადიოდა: 44658 ფრთა ფრინველი, 2367 ფუთი კარაქი, 2267 ფუთი ყველი, 672 ფუთი თაფლი და სხვ.[54] ასე რომ, საკუთარი წარმოების მეცხოველეობის პროდუქტებით ვაჭრობა უმნიშვნელო იყო. ბათუმს და შავიზღვისპირა ქალაქებს ძირითადად ყარსის ოლქი ამარაგებდა.

§2. კაპიტალისტური საწარმოები სოფლად

ბათუმის ოლქის სოფლად კაპიტალიზმის განვითარება დაიწყო XIX ს. 80-იან წლებში და გაგრძელდა 1917 წლამდე. ამ ხნის მანძილზე აქ ორასზე მეტი კაპიტალისტური მეურნეობა მოეწყო.[55]

სასოფლო-სამეურნეო დარგებიდან კაპიტალისტურ საწყისებზე გაშენდა მეჩაიეობა, სუბტროპიკული კულტურები, ნაწილობრივ მეთამბაქოეობა. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მეურნეობები განლაგებული იყო ზღვისპირა ზოლში. მეთამბაქოეობის კაპიტალისტური მეურნეობები შეიქმნა ართვინის ოკრუგში საიჯარო მიწებზე.

ბათუმის ოლქის მეურნეობები პირობითად შეიძლება დაიყოს უმსხვილეს, მსხვილ, საშუალო და წერილ საწარმოებად. უმსხვილესი იყო ჩაქვის საუფლისწულო მამული, მსხვილი - პოპოვისა და სოლოვცოვის მეურნეობები, საშუალო სიდიდის - სინიცინის, დიადიუშის, ბიხოვცევის, სტოიანოვის, სობეცკის, სიბირიაკოვის, პასეკის და სხვ. მართალია, დაყოფა პირობითია, მაგრამ რეალობასთან ახლოს დგას. ამ შემთხვევაში საქმე ეხება შრომატევად და მაღალშემოსავლიან კულტურებს. დესეტინა სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაცია წლიურად იძლეოდა 700-1000 რუბლის საერთო შემოსავალს, 400-700 რუბლ წმინდა მოგებას, ხოლო თამბაქოს პლანტაცია - 2900-3000 რუბლს.[56]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფელში კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთი თავისებურება იყო წარმოებისა და მუშახელის კონცენტრაციის მაღალი

---

[52] Обзор Кутайской губернии за 1898 год. Тиф., 1899, с. 12.
[53] КК на 1884 год. Тиф., 1883, отд. статист., с. 326
[54] ამხე., ს. 216, ფურც. 77-78.
[55] აცსა, ფ. 84, ს. 52, ფურც. 83-85.
[56] ო. თურმანიძე, სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1920 წწ.), 2004, გვ. 109.

დონე. 1905 წ. ჩაის ფართობის 82% და მოსავლის 81,5%, ხოლო 1915 წ. შესაბამისად 76,2 და 91% ჩაქვის საუფლისწულო და პოპოვის მეურნეობებზე მოდიოდა. ასევე ორ მეურნეობაზე ნაწილდებოდა მუშა-მოსამსახურეთა კონტინგენტის 80-90%. ეს მაშინ, როდესაც ჩაის პლანტაცია 1915 წელს 194 მესაკუთრეს ჰქონდა.[57]

აჭარის სოფლად იყო 10-მდე საშუალო სიდიდის კაპიტალისტური საწარმო. საერთოდ სჭარბობდა წვრილი საწარმოები. 1905 წ. წვრილ მეწარმეებს დაქირაველული ჰყავდათ ერთი-ორი მუშა, რომელთაც ყოველთვიურად უხდიდნენ 15-18 რუბლს.[58]

მოახალშენეთა ნაწილი ადგილზე არც კი ცხოვრობდა. მათ მეურნეობებს დაქირაველული პირები თუ საამხანაგო კავშირები უძღვებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი კავშირი მოქმედებდა მახინჯაურში, რომელსაც 1914 წ. დაქირაველული ჰყავდა 100-მდე მუშა. მუშების დღიური ანაზღაურება 40-80 კაპიკი იყო, ხოლო თვიურად მომუშაველებისა - 20 რუბლი.[59]

ქართველებიდან სოფლად წვრილი კაპიტალისტური საწარმოები მოაწყვეს კოპლატაძემ, მელიამ, საბაევმა (საბაშვილი), გუგუშვილმა, მახარაძემ. კოპლატაძეს მეურნეობა ჰქონდა ჩაქვში, სადაც ჩაის პლანტაციას ეკავა 4 დესეტინა. მელიას მეურნეობა მოწყობილი იყო სოფ. ფერიაში (ბათუმის მახლობლად) 3 დესეტინაზე, დანარჩენი ფართობი ეკავა ხეხილს.[60] სეზონური მუშების გარდა, მის მეურნეობას ემსახურებოდა 2 მუდმივი მუშა.[61]

მეთამბაქოეობაში 1905 წ. ითვლებოდა 9 კაპიტალისტური მეურნეობა, 1912-წ. - 15-მდე. ისინი ეკუთვნოდა სომხებს (ძმებს ანანიანებს, კიურჩიანს, მანდოიანს და სხვ.), სოფლად არსებულ საწარმოთაგან ყველაზე მსხვილი ეკუთვნოდა საუფლისწულო უწყებას, აგრეთვე პოპოვს, სოლოვცოვს.

ჩაქვის საუფლისწულო მამული ერთ-ერთი უმსხვილესი მეურნეობა იყო საქართველოში. იგი ეკუთვნოდა რუსეთის საიმპერატორო სახლს. რომანოვების საგვარეულო რუსეთში ფლობდა დიდძალ ყმა-მამულს, რომელზეც საგლეხო რეფორმის შემდეგ კაპიტალისტური ტიპის მეურნეობები მოაწყვეს. მათი მართვისათვის შეიქმნა სპეციალური აპარატი - საუფლისწულო უწყება.

ბათუმის ოლქში მსხვილი სუბტროპიკული მეურნეობის შექმნა საუფლისწულო უწყებამ დაიწყო XIX ს. 90-იან წლებში. ამ მიზნით ჩაქვში დაისაკუთრა 14000 დესეტინამდე მიწა, რომელზედაც გააშენეს ჩაი, ციტრუსები, ბამბუკი და სხვა კულტურები.

ჩაის მოშენებას საფუძველი ჩაეყარა 1895 წ., ბამბუკსა და ციტრუსებს – მომდევნო წლებში. ამ საქმეს ხელმძღვანელობდნენ ჩინელი და იაპონელი სპეციალისტები, რომლებიც საუფლისწულო უწყების აღმოსავლეთის ექსპედიციამ ჩამოიყვანა. 1899 წ. საუფლისწულო მამულში ააგეს ჩაის ფაბრიკა, რომელშიც დაამონტაჟეს ინგლისიდან შემოტანილი მანქანა-მოწყობილობანი.

XIX ს. ბოლოს ძირითადად დამთავრდა მამულის მოწყობის პირველი სამუ-

[57] იქვე. გვ. 27.
[58] სცსსა, ფ. 370, ს. 926, ფურც. 112.
[59] „ბათუმის გაზეთი“, 13 აპრილი, 1914.
[60] «Батумский сельский хозяин», №7, 1909, с. 212.
[61] Каталог сельско-хозяйственной и культурно-промышленной выставки Черноморского побережья Кавказа. - «Русская ривьера», С.-Пб., 1913, с. 13.

შაოები. 1900 წ. დაამუშავეს 194 დესეტინა (საერთო ფართობის 1,6%). აქედან ჩაის პლანტაციას ეკავა 90, ციტრუსებს - 2,4, ბამბუკს - 7,1, ხეხილს - 19,5, ქაღალდის ხეს (რამის მცენარე) - 4 დესეტინა.[62] აქვე მოაწყვეს ბამბუკის სანერგე და სახე-ლოსნო.

ჩაქვის საუფლისწულო მამულის მოწყობაზე 1894-1899 წლებში დაიხარჯა 662.055 რუბლი. ამ თანხიდან მიწის შეძენაზე (ხეხილისა და შენობების ჩათვლით) - 213.142, ჩაის კულტურის გაშენებაზე - 120.000, მანქანა-დანადგარების შეძენასა და სამშენებლო სამუშაოებზე - 155.587 რუბლი. დანარჩენი სხვა გასაკალი იყო.[63] 1902 წ. ხარჯებმა ერთი მილიონი რუბლი შეადგინა.[64]

ჩაქვის საუფლისწულო მამულის მშენებლობა მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. 1916 წ. აღნიშნულ მეურნეობაში აითვისეს 837 დესეტინა, საერთო ფართობის 6,7%. აქედან ჩაის კულტურა, ციტრუსები და ბამბუკი გაშენებული იყო 570, ხეხილი - 46, ლაქის ხე - 15 დესეტინაზე. ბოსტანს ეკავა 3, ხოლო სანერგეს 10 დესეტინა.[65] გაწეულმა ხარჯებმა ამჯერად რამდენიმე მილიონი რუბლი შეადგინა.

საუფლისწულო მამულში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები 1915 წლამდე წარმატებით მიმდინარეობდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. თუ 1904 წ. ადმინისტრაციულ-საწარმოო პერსონალი 83 კაცს ითვლიდა, 1917 წ. მათი რაოდენობა 127-მდე გაიზარდა.[66] სეზონური მუშები კი რამდენიმე ასეული იყო. 10-იან წლებში აქ დაახლოებით 1500-2000-მდე კაცი მუშაობდა.

მეურნეობაში ყველაზე შემოსაელიანი დარგი იყო მეჩაიეობა. მართალია, ამ დარგში მეტი იყო საწარმოო დანახარჯებიც, მაგრამ შემოსავალს და, შესაბამისად, მოგებას იგი მოკლე დროში იძლეოდა, ვიდრე დანარჩენი სუბტროპიკული კულტურები. ამიტომ მეჩაიეობას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.[67]

წლები	ფართობი დესეტინობით	მოსავალი გირვანქით	წლები	ფართობი დესეტინობით	მოსავალი გირვანქით
1901	110	102000	1914	500	1052508
1905	200	389899	1915	500	1266519
1910	400	781381	1918	500	431021
1913	500	1038476	1920	500	844545

მართლაც, საუფლისწულო მამულში ჩაის კულტურის ფართობი გაიზარდა 5-ჯერ, ხოლო მოსავალი - 1,8-ჯერ. ყველაზე მაღალი მოსავალი 1913-1915 წლებში მოიწიეს. 1916-1920 წლებში ჩაის ფოთლის მოსავლის შემცირება გამოიწვია მუშახელის სიმცირემ. მამულში უხვად იყო მოსაკრეფი ჩაის ფოთოლი, მაგრამ ადმინისტრაციამ საჭირო რაოდენობის სეზონური მუშები ვერ მიიზიდა. მუშახელის უკმარისობის გამო 1918 წელს მოკრიფეს ჩაის ფოთლის 35%, ხოლო 1919-1920 წლებში - 60%.

საუფლისწულო უწყება ჩაის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი იყო საქართველ-

62 აცსა, ფ. 22, ს. 101, ფურც. 1-2.
63 სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ. 515, ან. 91, ს. 164, ფურც. 238, 241, 301-302.
64 ა.ბენდიანიშვილი, სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები საქართველოში, თბ., 1971, გვ. 88.
65 აცსა, ფ. 22, ს. 418, ფურც. 71-76; ს. 448, ფურც. 109.
66 იქვე, ს. 65, ფურც. 3; ს. 175, ფურც. 42-45.
67 ო. თურმანიძე, სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1920 წწ.). გვ. 118, 126.

ლოში. აჭარის ჩაის პლანტაციების საერთო ფართობიდან ამ ერთ მეურნეობაზე მოდიოდა: 1902 წ. - 50%, 1913 წ. - 63%, ხოლო 1916 წ. - 60%. ანალოგიური მახასიათებელი მოსავლის მიხედვით კიდევ უფრო მაღალი იყო. მაგალითად, 1905 წ. ჩაქვის საუფლისწულო მამულზე მოდიოდა აჭარის ჩაის საერთო მოსავლის 61%, 1915 წ. - 80%, ხოლო 1916 წ. - 77%.[68]

ჩაის ფაბრიკის საწარმო სიმძლავრე მთლიანად საკმარისი იყო ნედლეულის გადამუშაევებისათვის. 900-იან წლებში მოხდა ფაბრიკის გადაიარაღება. 1905 წლიდან იგი ემსახურებოდა გარეშე მეჩაიე პლანტატორებს. გირვანქა ჩაის გადამუშავება და შეფუთვა ღირდა 28 კაპ. საუფლისწულო უწყება გარეშე პირებისაგან ჩაის ფოთოლს 13 კაპიკად ყიდულობდა, რითაც მნიშვნელოვან მოგებას იღებდა.

ჩაის ფოთლის კრეფის ზრდასთან ერთად, ცხადია, გაიზარდა მზა პროდუქციის მოცულობაც, ფაბრიკამ აწარმოა: 1900 წ. - 5000 გირვანქა ჩაი, 1905 წ. - 100 ათასი, 1910 წ. - 205 ათასი, 1915 წ. - 321 ათასი. მაშასადამე, 1900-1915 წლებში ჩაის მზა ნაწარმის გამოშვება 64,2-ჯერ გადიდდა.

საუფლისწულო უწყებას ჩაის ნაწარმი გასაყიდად გაჰქონდა მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ხარკოვში, ვარშავაში, ოდესაში, ეკატერინოსლავში, ვილნიუსში და სხვა ქალაქებში. 1914 წ. ჩაის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი 240 ათას რუბლს შეადგენდა. ეს მაშინ, როდესაც 500 დესეტინა პლანტაციიდან სრულმოსავლიანი იყო 276 დესეტინა.[69]

საუფლისწულო მამულში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეორე უმნიშვნელოვანესი დარგი იყო მეციტრუსეობა. 1905 წ. ამ კულტურებს აქ 54 დესეტინა ეკავა. 1910-1911 წლების სუსხიან ზამთარში დიდძალი ნარგავი დაიღუპა. ამის შედეგი იყო, რომ 1914 წ. მანდარინის ბაღები შემცირდა 32 დესეტინამდე, ხოლო ლიმონი - 6 დესეტინამდე.

მნიშვნელოვან შემოსავალს იძლეოდა ბამბუკი. იგი იაპონიიდან XIX ს. დამლევს შემოიტანეს. 1900 წ. მისი ფართობი შეადგენდა 2, 1901 წ. - 6, ხოლო 1916 წ. — 32,5 დესეტინას.[70] ბამბუკის წარმოებიდან მიღებული შემოსავალი 1917 წ. 21010 რუბლი იყო.[71]

საერთოდ საუფლისწულო მამული რენტაბელური მეურნეობა იყო. მისი შემოსავალი და მოგება განუწყვეტლივ იზრდებოდა. მამულის საერთო შემოსავალი 1903 წ. 39720 რუბლიდან 1916 წ. 736600 რუბლამდე (თითქმის 11-ჯერ) გაიზარდა.[72] შესაბამისად,მაღალი იყო წმინდა მოგებაც.

ამრიგად, მეურნეობის ბალანსის საშემოსავლო ნაწილში პირველ ადგილზე იყო ჩაის კულტურა: საერთო მოგებიდან მასზე მოდიოდა: 1914 წ. - 89%, ხოლო 1915 წ. - 97,4%.[73]

ცხადია, მუშათა დიდი ნაწილი დასაქმებული იყო ჩაის მეურნეობაში: 1905 წ. - 600-800 კაცი, 1913 წ. - 850, ხოლო 1914 წ. - 900 მუშა. ჩაის ფაბრიკაში მუშების

---

68 ო. თურმანიძე, აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან, ბათ., 1973, გვ. 28-29.
69 КК на 1916 год. отд. статист., с. 92.
70 აეხუ., ს. 204, ფურც. 215; აცსა, ფ. 22, ს. 377, ფურც. 8, 13. ს. 418, ფურც. 76.
71 სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ. 515, ან. 91, ს. 93, ფურც. 10; აცსა, ფ. 22, ს. 445, ფურც. 5.
72 აცსა., ფ. 22, ს. 143, ფურც. 27, ს. 152, ფურც. 63; ს. 379, ფურც. 9; ს. 417, ფურც. 1.
73 აცსა, ფ. 22, ს. 377, ფურც. 15, ს. 379, ფურც. 9, პროცენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.

რაოდენობა შეადგენდა: 1905 წ. - 30-40, 1910-1915 წლებში - 50-80.[74]

დაქირაებული მუშების უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ (მუშაობდნენ აგრეთვე სომხები, ქურთები, რუსები, ბერძნები, თურქები და სხვ.). გამოყენებული იყო ბავშვებისა და ქალების იაფფასიანი შრომაც. 1914 წ. ჩაის პლანტაციებში მომუშაეთა 80% ბავშვები იყვნენ, ხოლო 15% - ქალები.[75]

შრომის პირობები უკიდურესად მძიმე იყო. სამუშაო იწყებოდა განთიადისას, მთავრდებოდა - შუღამებისას. ხანგრძლივი სამუშაო დღის მიუხედავად, მუშებს საზღაურად აძლევდნენ: მამაკაცებს - 60-70, ქალებს - 40-45, ხოლო ბავშვებს - 20-30 კაპ.[76]

ასევე მძიმე იყო საბინაო პირობებიც. საერთო საცხოვრებელში, რომელიც 6 ბარაკისაგან შედგებოდა, მუშათა მცირე ნაწილი თავსდებოდა. თითო ოთახში 20-30 კაცი ათევდა ღამეს. მაშინდელი გაზეთების დახასიათებით, მძიმე ანტისანიტარიული პირობებით იწამლებოდა ყაზარმების მობინადრეთა ორგანიზმი,[77] რის გამოც დაავადებებს მასობრივი ხასიათი ჰქონდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩაქვის საუფლისწულო მამულში კრიზისული სიტუაცია შეიქმნა. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ იგი სახელმწიფო საკუთრებაში გადაეიდა. 1918 წ. ოსმალეთის ინტერვენციის შედეგად მეურნეობის მატერიალურმა ზარალმა 705534 რუბლი შეადგინა.[78] წარმოების კრიზისი გაგრძელდა ინგლისელთა დროსაც. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ჩაქვის მეურნეობა 1920 წ. ივლისის მეორე ნახევარში ჩაიბარა, როდესაც სამუშაოების ძირითადი სეზონი დამთავრებული იყო. ასეთ არახელსაყრელ პირობებში მნიშვნელოვნად დაზიანდა ჩაის პლანტაციები, ციტრუსების ბაღები და ა.შ. ამიტომ ომამდელ დონესთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა წარმოებაც.

პოპოვის მეურნეობა. კონსტანტინე პოპოვმა მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა შექმნა XIX ს. 90-იან წლებში. იგი მდებარეობდა ჩაქვში, სალიბაურსა და კაპრეშუმში, სულ ეკავა 300 დესეტინა მიწა.

პოპოვი კომერსანტი იყო, რომელსაც მოსკოვში ჰქონდა ჩაით ვაჭრობის მსხვილი ფირმა. მისი ძირითადი კაპიტალი 1,5 მილიონ რუბლს შეადგენდა,[79] ხოლო წმინდა მოგება 1897-1898 წლებში - 493004 რუბლს, 1910-1911 წლებში - 601709 რუბლს.[80]

პოპოვს საკმაო გამოცდილება გააჩნდა ჩაის ნაწარმით ვაჭრობაში. კარგად ჰქონდა გათვლილი მოგების ზრდის ფაქტორები. 1889-1895 წლებში მან მოაწყო ოთხი ექსპედიცია აღმოსაელეთის სუბტროპიკულ ქვეყნებში (ჩინეთი, ჰიმალაი, ცეილონი, იაპონია და სხვ.). მათში მონაწილეობდნენ თვალსაჩინო მეცნიერები და ჩაის საქმის სპეციალისტები.[81]

1892 წ. პოპოვმა ბათუმის შემოგარენში შეიძინა ნაყოფიერი მიწები (სალიბაურში 140 დესეტინა, ჩაქვში - 100, კაპრეშუმში - 60 დესეტინა) და მომდევნო წელს დაიწყო

74 სცსსა, ფ. 370, ან. 1, ს. 926, ფურც. 112.
75 КК на 1916 год., отд., статист., с. 89.
76 სცსსა, ფ. 370, ან. 1, ს. 926, ფურც. 112; КК на 1916 год, с. 89.
77 „ლაპარი", 27 აპრილი, 1906; «Черноморский вестник», 11 мая, 1906, „ბათუმის გაზეთი", №69, 1911.
78 აცსა, ფ. 22, ს. 502, ფურც. 6-7.
79 Устав товарищества чайной торговли и складов братья К. и С. Поповы, М., 1891, с. 6.
80 სანკტ-პეტერბურგის სცსა, ფ. 23, ან. 24, ს. 892, ფურც. 27-64.
81 იქვე, ფ. 1090, ან. 1, ს. 124, ფურც. 2.

ჩაის ნარგავების გაშენება, რაც 1901 წ. ბოლოს დასრულდა. ჩაის პლანტაციას ეკავა 127 დესეტინა, ხოლო სანერგეს - 13 დესეტინა. დანარჩენ ფართობზე ხეხილი გააშენეს.[82]

პოპოვის მეურნეობის მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ჩინელი სპეციალისტები, რომელთა პირველი ჯგუფი (13 კაცი) 1893 წ. ჩამოიყვანა. მათ შორის იყო ლაო ჯონ-ჯაუ, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის აჭარაში ჩაის მეურნეობის განვითარებაში.[83] ჩინელი სპეციალისტების მეორე ჯგუფი (14 კაცი) 1897 წ. ჩამოვიდა და მეურნეობის მოწყობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, დარჩა მხოლოდ ლაო ჯონ-ჯაუ.[84]

პოპოვმა აჭარაში (სალიბაური) 1898 წ. პირველმა ააგო ჩაის ფაბრიკა. ამ საქმეს ინგლისელი სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ. მანქანა-დანადგარებიც ინგლისიდან შემოიტანა. მეურნეობაში აშენდა სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების არაერთი შენობა.[85]

სამეურნეო-ადმინისტრაციული აპარატი (მუშათა და სპეციალისტთა საშტატო კონტინგენტი) 69 კაცს ითვლიდა. პოპოვს სამივე მამულში ჰყავდა გამგეები (სალიბაურში იყო მეურნეობის მთავარი ადმინისტრაცია), მებაღე, ექთანი და სხვა სპეციალისტები. ჩაის ფაბრიკას სეზონზე ემსახურებოდა 30-მდე კაცი.[86] ძირითად სამუშაოებზე გამოიყენებოდა დროებით დაქირავებულები. 1894 წ. მაისში დაქირავებული იყო 600-მდე კაცი. მეტ-ნაკლებად ასეთი სურათი გვაქვს 1902 წლამდე. 1905 წ. ჩაის პლანტაციებში მუშაობდა 400-მდე მუშა. 1913 წ. - 130, ხოლო 1914 წ. - 200.[87]

მეურნეობის შექმნაზე პოპოვმა დახარჯა 1.855000 რუბლი. აქედან ოთხი ექსპედიციის მოწყობაზე - 120000, მიწის ყიდვასა და ნასყიდობის საბუთების გაფორმებაზე - 75000, ჩაის ფაბრიკისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობაზე - 445000, ნიადაგის დამუშავების, ჩაისა და ხეხილის გაშენების, სანერგესა და სათბურების მოწყობაზე - 785000, ჩაის მცენარის თესლისა და ცოცხალი ბუჩქების შეძენაზე - 145000 მანეთი და ა.შ.[88]

პოპოვის მეურნეობის ყოველწლიური ხარჯები იყო 40 ათასი რუბლი. პირველ წლებში გასავალი დიდად სჭარბობდა შემოსავალს, მაგრამ მათ შორის თანაფარდობა თანდათანობით იცვლებოდა. ჩაის პირველი მოსავალი (85 გირვანქა) მოკრიფეს 1895 წელს. ორი წლის შემდეგ მოიწიეს 13080, ხოლო 1899 წ. - 15342 გირვანქა ნედლეული.[89] აქედან მიღებული ნაწარმი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიგზავნა ხარისხის შესამოწმებლად. გამოკვლევის შედეგი კარგი აღმოჩნდა.

1901-1917 წლებში მეურნეობაში ჩაის ფოთლისა და მზა ნაწარმის ოდენობა თითქმის 2,4-ჯერ გაიზარდა. ჩაის ფოთლის ყველაზე მაღალი მოსავალი 1905 მოიწიეს (221413 გირვანქა), მაგრამ რევოლუციის გამო პოპოვი იძულებული გახდა წარმოება

---

82 Попов К.С. Краткая история первого русского чая Константина Попова. М., 1904, с. 1-2; სანკტ-პეტერბურგის სცსა, ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 7, 148-149.
83 იხ. კრებ. Друг издалека. Сост. Каландаришвили Л. Пирадов Б., Бат., 1958.
84 სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 9; აცსა, ფ. 4, ს. 303, ფურც. 52-53.
85 სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ.. 398, ან. 66, ს. 20689, ფურც. 6; ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 151.
86 იქვე. ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 9, 147; სცსსა, ფ. 370, ან. 1, ს. 926, ფურც. 112.
87 სცსსა, ფ. 370, ს. 926, ფურც. 112; «Кавказское сельское хозяйство», 1894, №21, с. 374. «Русские субтропики», 1915, №3-4, с. 81. 1916, №1, с. 43.
88 სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 151-152.
89 იქვე. ფ. 1571, ან. 1, ს. 89, ფურც. 4.

შეეწერებინა, ხოლო პერსონალი დაეთხოვა.

ჩაის ფოთლის კრეფა განახლეს 1908 წელს, ხოლო ფაბრიკა 1911 წელს აამოქმედეს. 1908-1910 წლებში მოკრეფილი ნედლეული ჩაქვის საუფლისწულო მამულის ფაბრიკაში გადაამუშავეს. 1911 წლიდან 1917 წლამდე მეურნეობა გამართულად მუშაობდა. 1916 წელს აქ მაღალი მოსავალიც მოიწიეს (258802 გირვანქა).

პოპოვის მეურნეობაში მაღალი ხარისხის ჩაის პროდუქციას აწარმოებდნენ (1905 წ. მაღალი ხარისხისა იყო 85%, 1911 წ. - 95,5%, 1915 წ. - 84%).[90] ერთი გირვანქა ჩაის საბაზრო ფასი იყო: დაბალი ხარისხის - 1 რუბლი, მაღალი ხარისხის - 3 რუბლი. რამდენადაც პოპოვი მაღალი ხარისხის პროდუქციას აწარმოებდა, ძირითადად 3 რუბლად იყიდებოდა. ამის მიხედვით მისი საშუალო წლიური შემოსავალი შეადგენდა: 1901-1905 წლებში - 80496, 1911-1915 წლებში - 101673, 1916-1917 წლებში - 159552 რუბლს. ამ თანხას თუ გამოვაკლებთ ხარჯებს, წმინდა მოგება დარჩება: 40496, 61673, 119552 რუბლი. ჩაის ფაბრიკაში მუშები დღე-ღამეში 18-19 საათს მუშაობდნენ, ხოლო პლანტაციებში 15-16 საათს.[91] დღიური და ყოველთვიური შრომის გასამრჯელო დაახლოებით იგივე იყო, როგორც ჩაქვის საუფლისწულო მამულში. კ. პოპოვი ცდილობდა მუშათა შრომის ისეთივე დაბალი საზღაური შემოეღო, როგორიც იყო ინდოეთსა და ცეილონ'ში.[92]

ა. სოლოვცოვის მეურნეობა. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სოლოვცოვი იყო რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, სპეციალობით - სამხედრო ინჟინერი. თადარიგში გასვლის შემდეგ თბილისში ცხოვრობდა. 1882-1883 წლებში მან აჭარა'ში შეიძინა 300 დესეტინა მიწა. თავდაპირველად განზრახული ჰქონდა გაეშენებინა ხეხილი, ვაზი, ყვავილები და სხვ. მაგრამ მალე განზრახვა შეცვალა და ენთუსიაზმით შეუდგა ჩაის მეურნეობის მოწყობას. მან ჩინეთიდან შემოიტანა ჩაის ნერგები და მოაწყო სანერგე. მეურნეობაში გაჩაღდა ფართო მასშტაბის სამუშაოები: გაიყვანეს გზები, ბილიკები, არხები, ააგეს სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული შენობები. 300 დესეტინიდან დამუშავებული ჰქონდა 141 დესეტინა. აქედან ჩაის კულტურას 1899 წ. ეკავა - 66 დესეტინამდე.[93] მეურნეობის მოწყობას ინგლისელი სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ.

სოლოვცოვის მეურნეობაში ჩაის პირველი პროდუქცია დაამზადეს 1890 წ. 1895 წ. მან ინგლისიდან ჩამოიტანა ჩაის ფოთლის საწნეხი მანქანები და სხვა მოწყობილობა, ჩამოიყვანა სპეციალისტებიც.[94] ამასთან იგი სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე (1889 წ. - თბილისში, 1891 წ. - პეტერბურგში, 1892 წ. მოსკოვში) პოპულარიზაციას უწევდა თავის საქმიანობას, რისგანაც მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდა. მაგალითად, საუფლისწულო უწყებამ მას გადაუხადა 40 ათასი რუბლი ჩაქვში 20

---

[90] გამოთვლილია: სცსსა, ფ. 370, ან. 1, ს. 926, ფურც. 113; ООППАДЗК за 1911 год, Тифлис, 1912, с. 218-219; КК на 1917 год, отд. статист., с. 91.

[91] აცსა, ფ. 1, ს. 198, ფურც. 2-4; „ბათუმის გაზეთი", 5 სექტემბერი, 1911.

[92] სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ. 1090, ან. 1, ს. 124, ფურც. 7; პოპოვის ცნობით ინდოეთსა და ცეილონში დაქირავებულ მუშებს დღიურად უხდიდნენ: მამაკაცებს 23 კაპიკს, ქალებს - 16, ხოლო მოზარდებს - 13 კაპიკს.

[93] Соловцев А., Опыты устройства чайной плантации в Чакве. - Сборник императорского кавказского общества сельскохозяйства, 1894, с. 665, журн. «Вестник императорского общества садоводства», №6, 1897, с. 306.

[94] Соловцев А. დასახ. ნაშრ., გვ. 665, სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 6.

დესეტინა ჩაის პლანტაციის გაშენებისათვის.[95]

ხარკოველი ჩაით მოვაჭრე ველიტჩენკო 1895 წელს სპეციალურად ჩამოვიდა აჭარაში, დაათვალიერა სოლოვცოვის მეურნეობა, გაუფორმა ხელშეკრულება და სესხად მისცა 63 ათასი რუბლი, რათა მას გაეზარდა ჩაის პლანტაციის ფართობი 90 დესეტინამდე და აღებული სესხი დაეფარა ჩაის მიყიდვით (გირვანქა 75 კაპიკად).[96]

ცხადია, მწარმოებელის და კომერსანტის ურთიერთკავშირმა პირობები შექმნა წარმოების გაფართოებისათვის: 1898 წ. მეურნეობაში აწარმოეს 10 ფუთი ჩაი, 1899 წ. - 250, 1900 წ. - 950, 1901 წ. - 1400, ხოლო 1902 წ. - 1700 ფუთი.[97] სოლოვცოვის მეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 1902 წ. 51 ათასი რუბლი შეადგინა.

ბოლოს სოლოვცოვის მეურნეობა გაკოტრდა და იგი საუფლისწულო მამულმა შეისყიდა.

სინიცინის მეურნეობა. მეუღლეები მარიამ და ივანე სინიცინები მემამულეები იყვნენ. მათ ბათუმის მახლობლად ს. ყარადერეში (ამჟამად განთიადი) იყიდეს 19 დესეტინა მიწა და 1898 წ. დაიწყეს ჩაისა და ხეხილის გაშენება.

მათ ჩაის პლანტაციას 1904 წ. ეკავა 4, ხოლო 1909 წ. - 9 დესეტინა. 1905 წ. სინიცინმა ააგო ჩაის ფოთლის გადასამუშავებელი საწარმო, რომლის მოწყობილობა ინგლისიდან შემოიტანა. 1909 წ. ფაბრიკას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, რის შედეგადაც მისი სიმძლავრე მნიშვნელოვნად გაიზარდა. შესაძლებელი გახდა 50 ათასამდე გირვანქა ჩაის ფოთლის გადამუშავება. სინიცინს ბათუმში ჰქონდა ჩაის გადამწონი საწარმო და სპეციალური მაღაზია.

სინიცინის მეურნეობაში ჩაის ფოთლის პირველი მოსავალი 1902 წ. მიიღეს. აქედან მოყოლებული, 1918 წლამდე წარმოება აღმავლობით ეითარდებოდა. 1905 წ. მოიწიეს 9800 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლი, 1906 წ. - 11837, 1909 წ. - 15303, 1913 წ. - 21650, 1914 წ. - 21793, 1916 წ. - 26000 გირვანქა.

10-იან წლებში სინიცინი აწარმოებდა 8-10 ათას გირვანქა მზა პროდუქციას, რომელსაც ყიდდა როგორც ადგილზე, ისე ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ ჩავთვლით, რომ გირვანქა ჩაის პროდუქცია საშუალოდ გაიყიდა 1,5 რუბლად, მაშინ სინიცინის საერთო შემოსავალი მხოლოდ მეჩაიეობიდან 1914 წ. 121500, ხოლო 1915 წ. - 129960 რუბლს შეადგენდა.

მ. სინიცინის მეურნეობა აჭარაში არსებულ კაპიტალისტურ მეურნეობებს შორის მეოთხე ადგილზეა. 1909 წ. ჩაის პლანტაციებში დაქირავებული ჰყავდა 20-30 მუშა, ძირითადად მოსარდები. 1912 წ. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 40 კაცს აღწევდა, ხოლო დღიური საზღაური 30-40 კაპიკს შეადგენდა.

დიადიუშის მეურნეობა. იური ივანეს ძე დიადიუში სპეციალობით აგრონომი იყო და მუშაობდა ჩაქვის საუფლისწულო მამულის სანერგე მეურნეობის გამგედ. XIX ს. ბოლოს ბათუმის შემოგარენში - სოფ. ფერიასა და სოუქსუზე შეიძინა მიწები და იქ მეურნეობა მოაწყო. ჩაის კულტურასთან ერთად გააშენა ციტრუსები, ბამბუკი, დაფნა, ბერძნული ნიგოზი, დეკორატიული მცენარეები (ყვავილები). 1909 წ. ააგო ჩაის ფოთლის პირველადი გადამუშავების საწარმო, გადამწონი საამქრო და სავაჭრო ფარდული.

---

[95] სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ. 515, ან. 45, ს. 658, ფურც. 49-50; ან. 91, ს. 59, ფურც. 6.
[96] სცსსა, ფ. 12, ან. 1, ს. 1636, ფურც. 48.
[97] სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ. 22, ან. 2, ს. 1810. ფურც. 11.

საერთო შემოსავალ'ში ძირითადი იყო ჩაი, რომლის ფართობი 1905 წ. იყო 5, ხოლო ოთხი წლის შემდეგ – 7 დესეტინა.[98] ჩაის ფოთლის პირველი მოსავალი მოიწია 1905 წ. (116 გირვანქა). 1906 წ. მოიკრიფა 814 გირვანქა ფოთოლი, 1909 წ. - 2836, 1910 წ. - 5998, 1916 წ. - 10000 გირვანქა.

ჩაის პროდუქციის გირვანქის ფასი იყო 1,2-2 მანეთი. ამის მიხედვით, ი. დიადიუშის შემოსავალი მეჩაიეობიდან 1911 წ. 4801 რუბლიდან 8102 რუბლამდე აღწევდა.

ი. დიადიუში ძირითადად იყენებდა დღიურ მუშახელს. 1909 წ. ცნობით, მის ფაბრიკაში 5 მუშა მუშაობდა.[99]

ვასილ სტეფანეს ძე ბიხოვცევის მეურნეობა ს. მახინჯაურში მდებარეობდა. მას 18,5 დესეტინა ეკავა. მოეწყო 1900-1906 წლებში. მთავარი დარგები იყო მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეფეტვეობა. 1906 წ. ჩაის პლანტაცია გაშენებული იყო 10 დესეტინაზე.[100]

მომდევნო წლებში ჩაის პლანტაციის ფართობი აღარ გაზრდილა, მაგრამ მოსავალი ყოველწლიურად მატულობდა. 1905-1913 წლებში ჩაის ფოთლის მოსავალი 2680 გირვანქიდან 13831 გირვანქამდე, ე.ი. 5-ჯერ და მეტად ამაღლდა. აქ სეზონზე 20-25 კაცი მუშაობდა.[101]

ბიხოვცევის მეურნეობისგან ჩაის ფოთოლს ყიდულობდა ჩაქვის საუფლისწულო მამული, გირვანქას 13 კაპიკად. ამის მიხედვით მისი შემოსავალი მეჩაიეობიდან 1913 წ. 1798 რუბლს შეადგენდა. 1918-1920 წლებში მეურნეობა სერიოზულ სიძნელეებს განიცდიდა, რის გამოც წარმოება მნიშვნელოვნად დაქვეითდა. გასაბჭოების შემდეგ მოხდა მეურნეობის ნაციონალიზაცია.

სტოიანოვისა და სობეცკის მეურნეობები. ალექსანდრე ილიას ძე სტოიანოვი XIX საუკუნის 80-იან წლებში ქუთაისის გიმნაზიის დირექტორად მუშაობდა. 1884 წ. ს. ჩაქვში იყიდა მიწები და საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში, სადაც ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა.

სტოიანოვმა პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ხელი მოკიდა სამეწარმეო საქმიანობას და ჩაქვში მოაწყო კაპიტალისტური მეურნეობა, რომლის ფართობი 20 დესეტინას შეადგენდა. გააშენა ჩაი, ხეხილი, მათ შორის ციტრუსები, ვაზი, ყვავილები, ააგო სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობები. პირველი ეტაპის სამუშაოებზე 1890 წლისათვის დახარჯა 23 ათასი რუბლი.[102]

ძირითად სამუშაოებს სეზონურად დაქირავებული მუშები ასრულებდნენ (როგორც ქართველები, ისე რუსები, სომხები, ბერძნები და თურქები), რომელთაც დღიურად უხდიდა 60-80 კაპ.

20 დესეტინა ფართობიდან ჩაის კულტურას ეკავა 3 დესეტინა, სადაც საშუალოდ კრეფდა 7-8 ათას გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლს. მეურნეობაში მოწყობილი ჰქონდა სანერგე, რომელიც მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა.

სობეცკის მეურნეობა ბათუმის შემოგარენის ორ სოფელში - ფერიასა და

---

[98] სცსსა, ფ. 370, ან. 1, ს. 926, ფურც. 106; ს. 989, ფურც. 123.
[99] იქვე, ფ. 370, ან. 1, ს. 989, ფურც. 123.
[100] იქვე, ფ. 370, ან. 1, ს. 926, ფურც. 106, ს. 940, ფურც. 98.
[101] იქვე, ფ. 370, ან. 1, ს. 926, ფურც. 106, სანკტ-პეტერბურგის ცსია, ფ. 515, ან. 91, ს. 24, ფურც. 7; ს. 57, ფურც. 63.
[102] ო. თურმანიძე, სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1920 წწ.). ბათ., 2004, გვ. 153-154.

სოუქსუზე მდებარეობდა. მეურნეობას სულ 10 დესეტინა ეკავა. თითოეული გოჯი მიწა მაქსიმალურად იყო გამოყენებული. 10 დესეტინიდან ჩაის კულტურას ეკავა 5 დესეტინა, დანარჩენზე მოწყობილი იყო სანერგე, გაშენებული იყო ხეხილი, ყვავილები, დეკორატიული მცენარეები და სხვა.

მეურნეობის ყველა დარგი მნიშვნელოვან შემოსავალს იძლეოდა. 1909 წ. სანერგეში აღირიცხა ციტრუსოვანთა 10000 ნერგი, აქედან მანდარინი - 4000, ლიმონი და ციტრონი - 6000. მანდარინის ნერგი იყიდებოდა 27 კაპიკად, ხოლო ლიმონისა და ციტრონის - 20 კაპიკად.[103] ამის მიხედვით სანერგედან მიღებული შემოსავალი 8280 რუბლს შეადგენდა.

ჩაის ფოთოლს სობეცკი დიადიუშის ფაბრიკაში ამუშავებდა და მზა ნაწარმს ასაღებდა როგორც ბათუმში, ისე თბილისში, პეტერბურგსა და პოლტავის გუბერნიაში, გირვანქას ერთ რუბლად და 40 კაპიკად. ასე რომ 5 დესეტინა ჩაის პლანტაციიდან მას შეეძლო მიეღო 2000 რუბლი წმინდა მოგება. გარდა ამისა, 1909 წ. მოკრიფა 2100-მდე ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი.[104] მიუხედავად იმისა, რომ სობეცკის მეურნეობას შედარებით მცირე ფართობი ეკავა, იგი საერთო შემოსავლის, მოგებისა და წმინდა მოგების მიხედვით კაპიტალისტური ტიპის საშუალო მეურნეობად ჩაითვლება.

აჭარის გასაბჭოების შემდეგ კაპიტალისტური მეურნეობები სახელმწი-ფო საკუთრებად გამოაცხადეს, ბევრი გააერთიანეს და მათ ბაზაზე საბჭოთა მეურნეობები ჩამოაყალიბეს.

§3. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებები

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებამ განაპირობა სოფლის მეურნეობის საზოგადოებათა და მასთან დაკავშირებული დაწესებულებების შექმნა. 1908 წ. დასაწყისში მათი რიცხვი რუსეთის იმპერიაში 1233 უდრიდა.[105] მომწიფდა პირობები სოფლის მეურნეობის საზოგადოების დაარსებისთვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც, მით უმეტეს, რომ აქ 100-ზე მეტ უცხოელ მეწარმეს ჰქონდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მეურნეობა. „საზოგადოებაში“ ხედავდნენ ისინი ახალი დარგების განვითარების მთავარ მექანიზმს; ამიტომ მოითხოვეს ბათუმის ოლქშიც სოფლის მეურნეობის საზოგადოების დაარსება. კავკასიის სამხარეო ადმინისტრაცია დადებითად გამოეხმაურა ამ წინადადებას. მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი დათანხმდა, ყოფილიყო მისი საპატიო თავმჯდომარე. 1908 წ. ივლისში შეიქმნა „ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“, რომლის 143 დამფუძნებელს შორის ადგილობრივთაგან მოიხსენიება მხოლოდ ჯემალ შერიფის ძე ხიმშიაშვილი.

საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ოლქის სამხედრო გუბერ-

[103] Журн. «Батумский сельский хозяйн», №7, 1909, с. 216.
[104] იქვე, №9, 1910, с. 213-214.
[105] «Батумский сельский хозяйн», 1909, №5, გვ. 156-157.

ნატორი ბ. რომანოვსკი. იგი მას 1917 წლამდე ხელმძღვანელობდა. საზოგადოება შედიოდა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სისტემაში. 1908 წ. საზოგადოებამ გამოსცა ყოველთვიური ორგანო „ბატუმსკი სელსკი ხოზიაინ". ოთხი წლის შემდეგ ჟურნალს სახელწოდება შეეცვალა (დაერქვა „რუსსკიე სუბტროპიკი") და 1917 წ. ბოლომდე გამოდიოდა.

საზოგადოების მიზანი იყო საქართველოში, კერძოდ, აჭარაში ჩაის, ციტრუსის, ბამბუკისა და სხვა კულტურათა სწრაფი განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა, წარმოების რაციონალურად მოწყობა. საზოგადოების, მისი ქვედანაყოფების საქმიანობა მკაცრად იყო რეგლამენტირებული. ყოველი მათგანი საკუთარი წესდების ფარგლებში მოქმედებდა.

საზოგადოებაში მოახალშენე მეწარმეებთან ერთად სოფლის მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტებიც გაერთიანდნენ. მის საქმიანობაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს აგრონომებმა ს. ანისიმოვმა, ა. ვასილევსკიმ, ფ. პენკოვმა, გ. გამხარაშვილმა, ნ. ნორკინმა, ი. ჩხაიძემ, ფ. უშაკოვმა, მეცნიერებმა ნ. კრასნოვმა, ვ. პაელოვმა, ა. ეოეიკოვმა, ი. პალიბინმა, მიწათმოქმედების დეპარტამენტისა და საუფლისწულო უწყების ინსპექტორებმა ნ.ტიმოფეევმა და ი. კლინგენმა. სპეციალისტების ეს ჯგუფი დიდი ინტელექტუალური ძალა იყო და საკმაო გამოცდილებაც ჰქონდა.

ბათუმის საზოგადოება მოკლე დროში ავტორიტეტული გაერთიანება გახდა (1915 წ. დასაწყისში იგი 216 კაცს აერთიანებდა). საზოგადოების საპატიო წევრი იყო სენატორი ე.ბატიცი, ქართველთაგან წევრად 13 კაცი ირიცხებოდა. აჭარიდან საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობდნენ რ. ნიუარაძე, ფ. აბაშიძე, დ. ქიქაია, შ. ჯიჯავაძე, ჯ. ხიმშიაშვილი.

საზოგადოების მთავარი საზრუნავი სუბტროპიკული კულტურები იყო, მაგრამ სხვა დარგების განვითარებაზეც ზრუნავდა. ამიტომ, 1909 წ. საზოგადოებასთან 14 სექცია შეიქმნა, ხოლო მათი რაციონალური გაძღოლის მიზნით ცალკე ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების, მცენარეთა მაენებლებთან ბრძოლისა და სასუქების, მეურნეობათა მიმოხილვის, საადგილმამულო ურთიერთობის, იურიდიული, ეკონომიკური, საკურორტო და საკომისიო სექციები.

თითოეულ სექციას მუშაობის საკუთარი პროგრამა ჰქონდა, რომელსაც საზოგადოების საერთო კრება ამტკიცებდა. მაგალითად, ძვირფასი სამრეწველო მცენარეების სექციის პროგრამა ითვალისწინებდა ამ კულტურების განვითარების მსოფლიო პრაქტიკის შესწავლას, მოწინაევ გამოცდილების გადმოღებას და ადგილობრივ პირობებში დანერგვას, ახალი ჯიშების გამოვლენას, გამოყვანას და მასობრივად გავრცელებას. სექცია, აგრეთვე, იზრუნებდა მოსაველის სამრეწველო გადამუშავების პროგრესული წესებისა და მეთოდების პრაქტიკაში დანერგვისათვის და სხვ.[106]

გამოცდილებამ ცხადყო, რომ ბათუმის ოლქში და მთლიანად საქართველოში სუბტროპიკული კულტურებიდან ყველაზე უფრო პერსპექტიული. იყო ჩაი და ციტრუსები, ამიტომ 1911 წ. ცალკე ჩამოაყალიბეს ჩაისა და ციტრუსების სექცია და დაამტკიცეს მისი საქმიანობის პროგრამა.[107]

ადგილობრივ განყოფილებებს დიდი უფლებები ენიჭებოდათ. მათ თავიანთი

[106] იქვე. 1909, №5, с. 133,
[107] იქვე. 1911, №8, ud&366.

მოქმედების რეგიონში უნდა უზრუნველეყოთ საზოგადოების მიერ დასახული პროგრამის განხორციელება. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებების გახსნა მხოლოდ ართვინსა და არტანუჯში მოხერხდა (1914 წ.).

კლიმატური პირობების შესწავლა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. მალე ჩაქვის ხეობაში სამი მეტეოროლოგიური სადგური მოეწყო (ჩაქვი, ხალა, სახალვაშო). მოგვიანებით ახალი მეტეოროლოგიური სადგურები გაიხსნა სარფში, მწვანე კონცხზე, ქობულეთსა და ქედაში. ამის შემდეგ ადგილობრივი კლიმატური პირობების შესწავლა უფრო ინტენსიური გახდა. საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა საკრედიტო ამხანაგობაც, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებდა, ბათუმის საზოგადოებას კრედიტებს აძლევდა თბილისის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკიც. საზოგადოების საქმიანობაში პრიორიტეტული იყო სუბტროპიკული კულტურების პროპაგანდა. საზოგადოების ჟურნალი მრავალმხრივ საინტერესო მასალებს ბეჭდავდა სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, საადგილმამულო ურთიერთობისა და სხვათა შესახებ.

მნიშვნელოვანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა გაიშალა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, რომელიც 1912 წ. დაარსდა. ამ დროისათვის მსოფლიოში ტენიანი სუბტროპიკული კულტურების 5 ბოტანიკური ბაღი არსებობდა (ცეილონზე, სინგაპურში, იავაზე, კალკუტაში, ჰიმალაიში). ბათუმის ბოტანიკური ბაღი განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო, რადგან მსოფლიოს ყველა კონტინენტის მცენარეულობას მოიცავდა. ბაღის დაარსების ინიციატორი იყო თვალსაჩინო მეცნიერი ანდრია ნიკოლოზის ძე კრასნოვი.[108]

1911 წ. ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ თავისი რწმუნებული ი. ვერუ მიავლინა პეტერბურგში ბოტანიკური ბაღისა და საცდელი სადგურის დაარსების თაობაზე. ი. ვერუ ხარკოვში ა. კრასნოვს შეხვდა, მისგან რჩევა-დარიგებანი მიიღო, შემდეგ კი პეტერბურგს ეწვია. მთავრობა გამოეხმაურა ბოტანიკური ბაღის შექმნის წინადადებას. შეიქმნა სპეციალური კომისია (პროფესორი ა. კრასნოვი, თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი ა. როლოვი, მიწათმოქმედების დეპარტამენტის წარმომადგენელი აგრონომი ს. ტიმოფეევი, ამავე უწყების საცდელი დაწესებულების უფროსი ბ. ვიტმური).

იმავე წლის ნოემბერში მიწათმოქმედების დეპარტამენტმა ბათუმში გამართა სპეციალური თათბირი, სადაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ბოტანიკური ბაღის, საცდელი სადგურისა და პონტოს ფლორის განყოფილების დაარსების აუცილებლობა. ბაღისათვის საჭირო ნაკვეთიც შეარჩიეს ჩაქვსა და მახინჯაურს შორის. ნიკოლოზ II 1912 წ. 24 ოქტომბრის ბრძანებით ჩაქვის საუფლისწულო მამულის 65 დესეტინა მიწა გადაეცა სახელმწიფო ხაზინას ბოტანიკური ბაღის მოსაწყობად. სამაგიეროდ საუფლისწულო უწყება მიიღებდა შესაბამის მიწის ნაკვეთს ბათუმის ოლქში ან რუსეთში, ანდა 100 ათას მანეთს.[109]

---

[108] ა.ნ.კრასნოვი (1862-1914) იყო დიდად განსწავლული მეცნიერი, მრავალ წამოწყებათა ინიციატორი და ორგანიზატორი. წლების განმავლობაში სწავლობდა სუბტროპიკული ქვეყნების მცენარეულობას. კვლევა-ძიების შედეგები განაზოგადა თავის ფუნდამენტურ ნაშრომებში: «Чайные округи субтропических областей Азии». С.-Пб, 1898; «Индия и Цейлон», С.-Пб, 1900; Южная колхида, С.-Пб, 1912; «Батумское побережье, как культурный центр влажных субтропических областей в России. С.-Пб, 1915.

[109] «Русские субтропики», 1912, №10, с. 603-604.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის პირველი დირექტორი იყო ა. კრასნოვი, რომელიც ამ თანამდებობაზე გარდაცვალებამდე (1914 წ. 19 თებერვალი) მუშაობდა. იგი, ამავე დროს, ასრულებდა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობასაც. 1915 წლიდან ბაღის დირექტორად დაინიშნა ასევე თვალსაჩინო მეცნიერი ა.პალიბინი, რომელიც 1917-1920 წლებში სოფლის მეურნეობის საზოგადოებასაც თავმჯდომარეობდა.

ბოტანიკური ბაღი სახელმწიფო დაწესებულება იყო და ხაზინა აფინან-სებდა. 1912 წ. სახელმწიფომ ბაღის მოწყობისათვის გამოყო 50 ათასი, 1913 წ. 25 ათასი, ხოლო 1914 წ. 40 ათას 246 რუბლი.[110] მსოფლიო ომთან დაკავშირებული სიძნელეების გამო 1916 წ. ბიუჯეტი 19 ათას 700 რუბლამდე შემცირდა, რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა ბაღის წინაშე დასახულ ამოცანებს.

მოკლე დროში ბოტანიკურმა ბაღმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. რუსეთსა და მსოფლიოში მას მრავალი დამფასებელი და ქველმოქმედიც გამოუჩნდა. მრავალნაირი სუბტროპიკული მცენარის თესლი და ნერგი გამოაგზავნეს ჰიმალაიდან, სამხრეთ ევროპიდან, ამერიკიდან, იაპონიიდან, სოხუმის საცდელი სადგურიდან, ბათუმის საქალაქო ბაღიდან და სხვ.

ომთან დაკავშირებული სიძნელეების მიუხედავად, ბოტანიკურ ბაღს მსოფლიოს შესაბამის დაწესებულებებთან კავშირურთიერთობა არ გაუწყვეტია. მან ცოცხალ მცენარეთა კოლექციები და თესლები მიიღო ლონდონის სამეფო ბაღიდან, ეაშინგტონის გამოყენებითი ბოტანიკის ბიუროდან, პეტერბურგისა და თბილისის ბოტანიკური ბაღებიდან, სოხუმის ბაღისა და სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურიდან, დასავლეთ აფრიკიდან, პარიზიდან, როსტოვიდან და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ტექნიკურ კომისიას, რადგან სუბტროპიკული კულტურების, კერძოდ, ციტრუსების დაავადებამ ბათუმის ოლქში მასობრივი ხასიათი მიიღო (მართალია, „სოფლის მეურნეობის საზოგადოებასთან“ არსებობდა მცენარეთა მაენებლების წინააღმდეგ ბრძოლის კომისია, მაგრამ მისი მუშაობა ეფექტიანი ვერ გამოდგა).

1915 წ. ჩამოყალიბდა ორი ათკაციანი ჯგუფი, რომლებმაც ციტრუსოვანთა მკურნალობაზე 289 დღე იმუშავეს (მკურნალობა სულ 19 ბაღში ჩაატარეს). 1916 წ. ასეთი სახის სამუშაოები ბოტანიკურ ბაღშიც მოეწყო, რისთვისაც „საზოგადოებამ“ 2675 რუბლი გაიღო.[111]

ბათუმის „სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ“ 1912 წ. სოფელ ახალშენში (ბათუმის შემოგარენი) საკუთარი სანერგე მოაწყო. თავდაპირველად მას ეკავა 4 დესეტინა, რომელიც მიწათმოქმედების დეპარტამენტმა ამ მიზნისათვის სპეციალურად გამოყო სახაზინო მიწის ფონდიდან. სანერგეში სამხრეთული მცენარეების, ძირითადად კი სუბტროპიკული კულტურების ნერგები გამოჰყავდათ, რომლითაც ბათუმის ოლქთან ერთად მთელ დასავლეთ საქართველოს ამარაგებდნენ. 1917 წ. სანერგეში გამოჰყავდათ ფორთოხლის 12, ლიმონის - 7 და მანდარინის 3 ჯიში. აგრეთვე დაფნის, ევკალიპტის, ყვავილების, ხეხილის ახალი ჯიშები. 1916 წ. საზოგადოების სანერგემ ბათუმის ოლქისა და ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობას მიაწოდა 73284 ძირი

[110] იქვე, 1912, №7, с. 339; 1913, №4, с. 47; 1914, №2, с. 53.

[111] Труды комиссии при Батумской обществе сельского хозяйства по борьбе с вредительями, выпуск I, Бат., 1917, с. 5-7, 14-15.

ნერგი.[112]

განზრახული იყო ხეხილის სანერგე ზემო აჭარაშიც შეექმნათ. საზო-გადოებამ ეს საკითხი 1912 წ. 29 იანვრის სხდომაზე გაიტანა, საამისოდ ხულოში 1,5 დესეტინა მიწის ნაკვეთიც შეარჩიეს, რომელიც ჯ. ხიმშიაშვილმა საზოგადოებას საჩუქრად გადასცა.[113] მაგრამ წამოწყება ვერ განხორციელდა.

1915 წ. ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას გადაეცა და უშუალოდ ბოტანიკურ ბაღს დაექვემდებარა ართვინის ზეთისხილის სანერგე (შეიქმნა 1899 წ.). მისი ინიციატორი და დამაარსებელია მიწათმოქმედების დეპარტამენტის განყოფილების უფროსი მასალსკი. სანერგეს უნდა უზრუნველეყო მოსახლეობა ზეთისხილის ნერგებით, რათა ფართო ასპარეზი მისცემოდა ამ ძვირფასი კულტურის განვითარებას.

ართვინის ოკრუგის ს. ლომაშენში მოეწყო ზეთის სახდელი ქარხანაც (მანქანა-დანადგარები და სხვა მოწყობილობანი საფრანგეთიდან შემოიტანეს). 1911 წ. ქარხანა წლიურად 150-200 ფუთამდე ზეითუნის ზეთს ხდიდა. საწარმოში დაიწყეს ხილის კონსერვების წარმოებაც. 1913 წ. ქარხნის ახალი შენობა ააგეს და მანქანა-დანადგარებიც განაახლეს. ზეთისხილის გაშენებისა და ნარგაევების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით სანერგესთან გაიხსნა სპეციალური სკოლა, სადაც ადგილობრივი ახალგაზრდობა სწავლობდა.[114]

მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა ლომაშენის ზეთისხილის სანერგე. ოსმალებმა სანერგე ორჯერ დაარბიეს, ხოლო მისი გამგე ა. ანდრონაკი წამებით მოკლეს (დაწვეს). 1917 წ. ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობამ დააყენა ლომაშენის ზეთისხილის სანერგის გაფართოების საკითხი.[115]

სოფლის მეურნეობის საზოგადოების ინიციატივით მრავალჯერ მოეწყო გამოფენა ჯერ ბათუმში, შემდეგ თბილისში.

სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პროპაგანდისათვის იყო გამიზნული საზოგადოების კლუბი და მუზეუმი (გაიხსნა 1912 წ.), სადაც სისტემატურად ეწყობოდა ლექცია-მოხსენებები, საუბრები, კონსულტაციები. „საზოგადოებამ" იზრუნა მებაღე მუშების პრაქტიკული სკოლის დაარსებისათვისაც (გაიხსნა 1914 წ.), სკოლის ხარჯები წლიურად შეადგენდა 7 ათას 800 რუბლს და წელიწადში 25 პრაქტიკოს მებაღეს ამზადებდა.[116]

„საზოგადოების" ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით 1912 წ. ბათუმში მოეწყო სოფლის მასწავლებელთა მოკლევადიანი კურსები (22 ივნისი - 12 ივლისი). კურსებზე ბათუმის, ართვინის ოკრუგებისა და ოზურგეთის მაზრიდან მოწვეული იყო 40 მასწავლებელი. მსმენელთა წინაშე ლექციებით გამოვიდნენ პროფესორი ა. კრასნოვი, მიწათმოქმედების დეპარტამენტის სპეციალისტები ლ. რედკო, ა. კალანტარი, ს. ტიმოფეევი, ბ. ჯაფარიძე, ი. ქუთათელაძე, ნ. სმირნოვი, ა. ვერმიშევი, ლ. ანდრონიკაშვილი, ართვინის ზეთისხილის სანერგეს გამგე ა. ანდრონაკი, აგრონომები ს.

---

[112] Отчет Батумского общества сельского хозяйства за 1916 год. Бат., 1917, с. 14-15.
[113] «Русские субтропики», 1912, №1, с. 97.
[114] იქვე, 1912, №5, с. 263-266;
[115] იქვე, 1917, №7-8, с. 63.
[116] იქვე, 1912, №1, с. 28-33; №4, 1913, с. 43; №9, с. 35, №2, 1914, с. 52.

ნორკინი, ი. დიადიუში, ნ. უპენეკი, ი. ლეონიძე და სხვ.[117]

1909 წ. ქობულეთში შეიქმნა სოფლის მეურნეობის ახალი საზოგადოება, რომელშიც ძირითადად გაერთიანდნენ ფიჭვნარის რუსი მოახალშენეები (იგი ცნობილია „სმეკალოვკის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ სახელით). საზოგადოება 120 წევრს აერთიანებდა.[118] თავმჯდომარე იყო ნ. უპენეკი, რომელიც ამავე დროს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ინსტრუქტორადაც მუშაობდა. საზოგადოების საქმიანობაში ქართველებიც მონაწილეობდნენ. ნიშანდობლივია, რომ 1913 წ. საზოგადოების საბჭოს 8 წევრიდან 5 ქართველი იყო.[119]

საზოგადოების მოქმედების არეალი შეზღუდული იყო (ერცელდებოდა ციხისძირ-ჩოლოქს შორის მდებარე ტერიტორიაზე).

მიწათმოქმედების დეპარტამენტის დაფინანსებით და ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების დახმარებით სოფელ ფიჭვნარში (სმეკალოვკა) 1910 წ. მოაწყვეს ხილსახმობი კუსტარული საწარმო, რომელშიც 6 მანქანა დაიდგა და 12 კაცი მუშაობდა. აქ ახმობდნენ იაპონურ ხურმას, ატამს, ვაშლს, ხილის ხმობის ტექნიკურ პროცესებს ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ინსტრუქტორი ნ. უპენეკი ხელმძღვანელობდა. შემდგომში საჭირო სპეციალისტები ადგილზეც მოამზადეს.

საზოგადოებასთან მოეწყო სანერგე მეურნეობა, საწყობი და საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთები. საზოგადოება მოსახლეობას უფასოდ და შეღავათიან ფასებში ემსახურებოდა. ასეთივე საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთები იყო აგრეთვე წყაროკაში, კეირიკეში, ალამბარში, დაგვასა და რომანოვკაში. „საზოგადოება“ მოსახლეობას ამარაგებდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, სასუქებით, მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის ქიმიური საშუალებებით და სხვ.

აჭარის ზღვისპირეთი, როგორც საუკეთესო საკურორტო მხარე, უცხოელებსაც იზიდავდა. მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი, ქობულეთი მათ საკურორტო დასახლებად გადაიქცა. ქობულეთში მოაგარაკეთა შორის 14 გენერალი იყო, ციხისძირში 85 უცხოელმა მოიწყო აგარაკი, მახინჯაურში - 70, ხოლო მწვანე კონცხზე – 23. მათი უმრავლესობა აქ მხოლოდ დასასვენებლად ჩამოდიოდა.

აგარაკების მოწყობისა და მეურნეობის რაციონალურად გაძღოლის მიზნით მოაგარაკეებმა ჩამოაყალიბეს ამხანაგობები და საზოგადოებები. ეს საზოგადოებანი თავიანთი წესდების ფარგლებში მოქმედებდნენ. მაგალითად, ციხისძირის მოაგარაკეთა საზოგადოების წესდება, რომელიც ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა 1907 წ. დაამტკიცა, ითვალისწინებდა საკურორტო ადგილებში გზების, ბილიკების, ხიდების, ნავმისადგომების მშენებლობას, აგარაკების მოვლა-პატრონობას, ზღვის სანაპიროს დაცვასა და გამაგრებას, სანიტარული და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას, ჭაობების ამოშრობას, ბაღების, სკვერების, ხეივნების, რკინიგზის ბაქნების, საცურაო აუზებისა და სხვათა მოწყობას.[120]

---

[117] Сельско-хозяйственные курсы для народных учителей летом 1912 года в Батуми, Бат., 1912, с. 6-18.

[118] Отчет о деятельности Смекаловского общества сельского хозяйства за 1910 год. «Русские субтропики», 1911, №6-7, с. 24.

[119] «Русские субтропики», 1914. №5, с. 71-72.

[120] ო. თურმანიძე, სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1920 წწ.), გვ. 174-175.

ბათუმის ოლქის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა და ამხანაგობების სამეწარმეო საქმიანობის საყოველთაო აღიარება მოხდა 1913 წ. პეტერბურგში, სადაც მოეწყო კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-სამრეწველო გამოფენა „რუსკაია რიეიერა". გამოფენაში მონაწილეობისათვის ოლქში მუშაობა 1912 წ. დამდეგიდან გაიშალა. შეიქმნა ერთი საოლქო და ორი საოკრუგო საგამოფენო კომიტეტი.

პეტერბურგის გამოფენაზე ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ წარადგინა თავისი ჟურნალების „ბატუმსკი სელსკი ხოზიაინ" და „რუსსკიე სუბტროპიკის" 1908-1913 წლების ნომრები, მცენარეთა ფოტოსურათები, ჩაისა და ციტრუსების განვითარების დიაგრამები, ცოცხალ მცენარეთა კოლექციები, აჭარელთა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ბამბუკის ავეჯი, თესლები, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების პროდუქცია.

სმეკალოვკის (ქობულეთის) სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ გამო-ფენაზე გაგზავნა ხმელი ხილი, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები, ართვინის ზეთისხილის სანერგემ - ზეთისხილის ცოცხალი მცენარე, კონსერვები, ზეთუნის ზეთი, ხილი. ბოტანიკურმა ბაღმა 50-მდე ჯიშის ევკალიპტის ნერგები, ციხისძირის მოგარაკეთა საზოგადოებამ - ციხისძირის რაიონის აღწერის მასალები.

„რუსკაია რიეიერას" საგამოფენო კომიტეტმა და ექსპერტთა საბჭომ მაღალი შეფასება მისცა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების, ბოტანიკური ბაღის, ართვინის ზეთისხილის სანერგის საქმიანობას. სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების დარგში გაწეული მუშაობისა და სამაგალითო მიღწევებისათვის საზოგადოება დააჯილდოეა დიდი ოქროს მედლით, ხოლო ბოტანიკური ბაღი და ართვინის ზეთისხილის სანერგე - პატარა ოქროს მედლით. დიდი ოქროს მედლით დაა-ჯილდოვეს, აგრეთვე, საზოგადოების წევრები, მოახალშენე მეწარმეები კ. რედკო და ი. დიადიუში, პატარა მედლით - ვ. ბარათოვი. აღსანიშნაეია, რომ სულ დაწესებული იყო 17 დიდი და 14 პატარა ოქროს მედალი.

მსოფლიო ომმა, ოსმალებისა და ინგლისელების მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციამ ამ წამოწყებებს დიდი ზიანი მიაყენა. მოახალშენეებმა მიატოვეს მამულები, ხოლო იმათ, ვინც ადგილზე დარჩა, უსახსრობის გამო მეურნეობის გაძღოლა ვერ შეძლეს.



ბათუმის ოლქის სოფლის მცხოვრებთა ტიპები, 1910 წ.

გლეხები ურმით



მიწის ხვნა მამაკაცისეული გუთნით

აჭარელი მამაკაცი

აჭარელი ბიჭუნა



ქართველი მაჰმადიანები სოფ. ქაქუთიდან



კოტე ფოცხვერაშვილი და აჭარელი მომღერლები: ხასან ირემაძე, ზაბით ქარცივაძე, ასლან ნიკოლაიშვილი, ისეთ მურვანიძე



ძველი ხიდი სოფ. მაკრიალში



ჩაქვის საუფლისწულო მამულის ადმინისტრაციის შენობა



ჩაის პლანტაცია



ჩაქვის ჩაის ფაბრიკა



ბათუმი, სოფ. კაპრეშუმი. ჩინელი ჩაის სპეციალისტი
ლაუ ჯენჯაუ ოჯახთან ერთად, 1896 წ.

ჩაის ფოთლის კრეფა



ჩაის გადამწონი ფაბრიკა. ბათუმი, 1909-1914 წწ.



პოპოვის ჩაის პლანტაციის მუშები (1893 წ.)



სოფ. კაპრეშუმი. სიმინდის ნალია და სხვა ნაგებობები



რკინის კონსტრუქციის ხიდი მდ. აჭარისწყალზე

ზღვის სანაპირო „თურქულ ბაზართან“

„თურქული ბაზარი“ (მდებარეობდა ახლანდელი
გოგებაშვილის და ჭაეჭავაძის ქუჩების მონაკვეთში) 1903 წ.



ბათუმი. „ნურიეს ბაზარი“ (თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის მიმდებარედ)

უცხოელ მოახალშენეთა აგარაკები აჭარის ზღვისპირეთში



ჩაქვი. სოლოვცოვის აგარაკი

ციხისძირი. სკარჟინსკის აგარაკი



ჩაქვი. სტოიანოვის აგარაკი



სიბირიაკოვის აგარაკი



ტატარინოვის აგარაკი

თავი IV

საადგილმამულო ურთიერთობები და აგრარული მოძრაობა

§1. ცვლილებები მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ხასიათში და ფორმათა ევოლუცია

ბათუმის ოლქში არსებული მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები და წესები მკვეთრად განსხვავდებოდა ქართულისაგან. საგლეხო რეფორმის შემდეგ საქართველოში მიწის საერთო ფონდის 30% თავადაზნაურობას დარჩა. მას ეკუთვნოდა კერძო საკუთრების მიწების 77%-ზე მეტი.[1] ოსმალეთის მთავრობის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განხორციელებული აგრარული რეფორმის შედეგად მოსახლეობას, კერძოდ, პრიეიოლეგირებულ წოდებას კერძო საკუთრებაში მიწები თითქმის აღარ დარჩა (მცირე ნაწილის გამოკლებით). რეგიონის მიწები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. მაგრამ ფაქტობრივად ადგილ-მამულები კვლავ მოსახლეობის მფლობელობა-სარგებლობაში რჩებოდა.

რუსეთის მთავრობამ უგულებელყო ახლად შემოერთებული ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობის კერძოსაკუთრული ფაქტობრივი მდგომარეობა ადგილ-მამულზე და თავგამოდებით იბრძოდა აქაურ მიწებზე ხაზინის უფლებების იურიდიული დაკანონებისათვის. ადგილობრივი მოსახლეობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ფაქტობრივი მდგომარეობის იგნორირების მიზნით მან ოსმალური აგრარული კანონმდებლობაც მოიშველია. ამ კანონმდებლობის მიხედვით მიწის ერთადერთი მესაკუთრე იყო სახელმწიფო ხაზინა. მოსახლეობას მიწები ჰქონდა მფლობელობა-სარგებლობის უფლებით. ამის გამო ისინი იხდიდნენ საადგილმამულო ღადას (მიწის შემოსაველის მეათედი), რასაც ოსმალეთში აშარი ეწოდებოდა.[2]

ასეთი მიდგომა ცარიზმს თავისი მიზნის მიღწევაში მოგებიანად ესახებოდა. მთავრობის ვარაუდით, ოსმალური აგრარული კანონმდებლობა იურიდიული საფუძველი იქნებოდა აქაურ ადგილ-მამულებზე რუსეთის სახაზინო საკუთრების დაკანონების, ადგილობრივი მოსახლეობის (განურჩევლად წოდებისა) სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში გადაყვანისათვის. ამ განსრახვის განხორციელებით სახაზინო შემოსავალიც გაიზრდებოდა და კოლონისტებსაც ჩამოასახლებდა, რითაც აქ ერთგულ სოციალურ დასაყრდენს გაიჩენდა. ამასთან, მთავრობა გარკვეულ სიფრთხილესაც იჩენდა, რადგან ადგილ-მამულზე მოსახლეობის ინტერესებისა და უფლებების შებღალვა მასობრივ სახალხო გამოსვლებთან იყო დაკავშირებული.

ბათუმის ოლქში საადგილმამულო საკითხის გასარკვევად კავკასიის მეფისნაცვ-

---

[1] ი. ანთელავა, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში რეფორმის მომდევნო ხანაში. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 525-526.

[2] ო. თურმანიძე, საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში. ბათ., 2001, გვ. 49-53.

ვალმა 1879 წ. მარტში შექმნა სპეციალური კომისია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე. მთავრობის სპეციალური ინსტრუქციით კომისიას ექეს თვეში უნდა შეესწავლა მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ყველა ფორმა, იურიდიულად და ფაქტობრივად არსებული მდგომარეობა, შეეკრიბა მიწათმფლობელობის დოკუმენტები და პირველ რიგში დაედგინა თავისუფალი სახაზინო მიწები.[3]

საადგილმამულო კომისიის მუშაობას რუსეთის მთავრობისათვის სასურველი შედეგი არ მოუტანია. კომისიის საქმიანობა 1880 წ. დეკემბერში შეწყდა. 1883 წელს ახალი საადგილმამულო კომისია შეიქმნა ბათუმის ოლქის გუბერნატორის თავმჯდომარეობით. კომისიამ ამჯერადაც გადასინჯა მიწათმფლობელობის დოკუმენტები და აქტების წიგნები (დეფთარი), მაგრამ საკითხი ბოლომდე ვერ გაარკვიეს.

რუსეთის მფლობელობის პირველ წლებში აქაური მიწები სამხედრო-სამოქალაქო მმართველობაში შედიოდა. აღნიშნული ოლქების ადმინისტრაცია მიწის საკითხს წყვეტდა კავკასიის მთავარმართებელთან შეთანხმებით. მხარის კოლონიური ათვისების დაჩქარების მიზნით იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მიწების გადასვლა უფრო მოგებიანი იყო. ამით იყო ნაკარნახევი 1888 წ. 14 ივნისის კანონი, რომლითაც ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების მიწები მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს გამგებლობაში შედიოდა. 1889 წ. 8 იანვრის ინსტრუქციით ამ სამინისტროს გამგებლობაში იქნებოდა: დაუსახლებელი მამულები, ტყეები, საძოვრები, სათიბები, მუჰაჯირების მიწები და სხვ., რაც ადგილობრივი მოსახლეობის ნადელებს გარეთ რჩებოდა.[4]

1893 წ. მთავრობის ახალი ბრძანება გამოვიდა, რომელიც გლეხთა ნადელებსაც შეეხო. ამიერიდან ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ყველა სახის მიწა, რომელთა შესახებ მოსახლეობას საბუთები არ გააჩნდა, დაუყონებლივ გადადიოდა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგებლობაში (ასეთი საბუთები კი მოსახლეობას არ ჰქონდა თითო-ოროლას გამოკლებით). ამ ნორმატიული აქტით ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ყველა სახის მიწის ერთადერთი მესაკუთრე სახელმწიფო ხაზინა გახდა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სახით.

1895-1896 წლებში აღწერეს ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების მიწები, შეადგინეს სათანადო აქტები და მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ერევნისა და ქუთაისის გუბერნიების შესაბამის სამმართველოებს გადასცეს.[5] მართალია, აღნიშნული მხარეების მიწების მესაკუთრე სახელმწიფო ხაზინა გახდა, მაგრამ ძირითადი სავარგულები, სოფლის საზოგადოებების ტყეები, საძოვარ-სათიბები კვლავინდებურად მოსახლეობის სარგებლობაში დარჩა. სახელმწიფო ხაზინას უფრო მეტად გამოუყენებელი მიწები და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეები რჩებოდა.

მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს გამგებლობაში ყარსისა და ბათუმის ოლქების მიწების გადაცემა საკითხის იურიდიული გადაწყვეტა მაინც არ იყო. ეს რუსეთის მთავრობამ კარგად იცოდა და შეუდგა კიდეც საადგილმამულო კანონმდებლობის შემუშავებას. პირველი კანონპროექტი 1888 წ. მზად იყო.

---

[3] სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 48, ფურც. 5.
[4] იქვე, ფ. 229, ან. 1, ს. 48, ფურც. 18; ბათ., 1973, ო.თურმანიძე, აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან, ბათ., 1973, გვ. 87.
[5] სცსსა, ფ. 243, ან. 4, ს. 88, ფურც. 42; ო.თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

იგი 1890 წ. პეტერბურგში გაგზავნეს განსახილველად.

1892 წელს თბილისში შეიქმნა ამიერკავკასიის 5 გუბერნიის სახელმწიფო გლეხთა საადგილმამულო რეფორმის მოსამზადებელი კომისია, რომელსაც ი. მედვედევი თავმჯდომარეობდა. კომისიას განსახილველად გადაეცა აღნიშნული კანონპროექტი. საკითხის შესწავლის შემდეგ ი. მედვედევმა შეადგინა ერცელი წერილი ამიერკავკასიის 5 გუბერნიის სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის შესახებ. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ყარსის ოლქში, ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში ადგილობრივი მოსახლეობის მიწათმოწყობა შესაძლებელია იმავე საწყისებზე, როგორც ამიერკავკასიის 5 გუბერნიის სახელმწიფო გლეხებისაო. იგი გამორიცხავდა საკითხის სხვანაირად გადაწყვეტას.[6]

ი. მედვედევის წერილი ჯერ სპეციალურმა კომისიამ განიხილა, შემდეგ მთავრობის შესაბამის ინსტანციებში იმსჯელეს. 1894 წლის ოქტომბერში პეტერბურგში საგანგებო თათბირი გაიმართა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების, შინაგან საქმეთა, სამხედრო, იუსტიციის სამინისტროებისა და კავკასიის მთავარმართებლის წარმომადგენლები.[7]

თათბირმა კონკრეტული რეკომენდაციები ვერ შეიმუშავა. 1898 წელს კავკასიის მთავარმართებელმა გოლიცინმა გადამუშავების მიზნით გამოითხოვა აღნიშნული კანონპროექტი. 1900 წ. პირველ მაისს იმპერატორმა ნიკოლოზ II დამტკიცა კანონპროექტი ამიერკავკასიის 5 გუბერნიის სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის შესახებ, მაგრამ იგი ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების საადგილმამულო საკითხს არ ეხებოდა.[8] პეტერბურგის საიმპერატორო კარზე, მთავრობის უმაღლეს ინსტანციებში ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ აქაური მიწების ხაზინის საკუთრებაში მოქცევა იოლი არ იყო.

1905-07 წლების რევოლუციამ მთავრობაზე საგრძნობი გავლენა მოახდინა. გამოსელებით დამფრთხალი კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი ლიბერალიზმის ნიღაბში გაეხვია. ეს კარგად ჩანს მისი 1907 წ. 10 თებერვლის „უქვეშევრდომილესი" ერცელი წერილიდანაც, რომელიც პეტერბურგში გაგზავნა. მან გააკრიტიკა კავკასიის წინანდელი სამხარეო ადმინისტრაცია ბათუმისა და ყარსის ოლქებში საადგილმამულო საკითხის გადაწყვეტისას მკვიდრი მოსახლეობის უფლებებისა და მოთხოვნების უგულებელყოფის გამო, აღიარებდა, რომ ამ პოლიტიკამ ადმინისტრაციის მიმართ უკმაყოფილება, ეჭვები და უნდობლობა გამოიწვია.

ვორონცოვ-დაშკოვი მთავრობისაგან მოითხოვდა: ეცნოთ ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობის მფლობელობაში მყოფი მიწები მათსავე საკუთრებად. მოსახლეობას უნდა დაბრუნებოდა სახელმწიფო სახაზინო უწყების მიერ წართმეული ადგილმამულიც, თუ იგი უცხოელ მოახალშენეებს არ ჰქონდათ დაკავებული. მიწების საკუთრებაში დამტკიცების საფუძველი იქნებოდა ხანდაზმულობითი საერო მფლობელობა.[9]

1907 წელს კავკასიის მეფისნაცველის კანცელარიაში ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობის მიწათმოწყობის შესახებ კიდევ ერთი (რიგით მეორე)

---

[6] Антелава И.Г., Реформа поземельного устройства Государственных крестьян Закавказья в конце XIX веке (документы и материалы). Сух., 1952, с. 70-71.

[7] ცსსა, ფ. 231, ან. 1, ს. 196, ფურც. 2-22; ო. თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

[8] Антелава И.Г., Государственные крестяне Грузии в XIX веке, т. II, Тб., 1962, с. 215.

[9] Сельское хозяйство и аграрные отношения. т. IV, составил проф. Гугушвили П.В., Тб., 1955, с. 86-87.

კანონპროექტი შეიმუშავეს, რომელზეც რევოლუციის გავლენა აშკარად იგრძნობოდა. კანონპროექტი ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობის, მოახალშენეებისა და იურიდიული პირებისათვის ადგილ-მამულების კერძო საკუთრებაში დამტკიცებას. მიწების გამოყოფა და გამიჯვნა სასამართლო მოხელეებს ევალებოდათ.[10]

რევოლუციის დამარცხების შემდეგ ეორონცოვ-დაშკოვმა ლიბერალიზმის ნიღაბი გადაიძრო და 1907 წლის კანონპროექტს მსელელობა აღარ მისცა. ახალ კანონ-პროექტში, რომელიც 1910 წელს შეადგინეს, იგი აღარ მოითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში ადგილ-მამულების უსასყიდლოდ დამტკიცებას.[11]

გადამუშავებული კანონპროექტი კავკასიის მეფისნაცვლის საბჭომ 1912 წ. 18 აპრილს განიხილა. იგი მოიწონეს და დასამტკიცებლად პეტერბურგში გადააგზავნეს. კანონპროექტი ითვალისწინებდა: 1912 წ. პირველი იანვრიდან ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობას საკუთრებაში უნდა დამტკიცებოდა მათ მფლობელობა-სარგებლობაში არსებული ადგილ-მამულები: კარ-მიდამო, სახნავ-სათესი მიწები, ხეხილის ბაღები, ვენახები, სათიბ-საძოვრები, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, რომლებსაც ისინი მანამდე იყენებდნენ. მომთაბარე მოსახლეობას (ქურთები, ბოშები და სხვ.) უფლება ეძლეოდა იჯარით აეღო საძოვრები, ადგილობრივი მოსახლეობის თანხმობით.

კანონპროექტი მოითხოვდა მიწების გამიჯვნას, მიწათდაქსაქსულობის მოსპობას და სხვ. ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობას მიწების საკუთრებაში დამტკი-ცებისათვის 28 წლის განმავლობაში უნდა ეხადა გამოსასყიდი თანხა (წლიურად 18 ათასი მანეთის ოდენობით).[12] ჩვენი გაანგარიშებით, 28 წლის მანძილზე გამოსასყიდ თანხას 517440 მანეთი უნდა შეედგინა. გარდა ამისა, მოსახლეობას დაეკისრა მიწათმოწყობაზე გაწეული ხარჯები (დესეტინაზე 50 კაპიკის ოდენობით).

ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობა საადგილმამულო საკითხის ამგვარ გადაწყვეტას არ დაეთანხმებოდა. მოსახლეობის განწყობა კარგად იცოდნენ ადგი-ლობრივ მმართველობაშიც და საიმპერატორო კარზეც. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავდა, რომ კანონპროექტში გათვალისწინებული არ იყო მიწათმფლობელობის ფაქტობრივი მდგომარეობა. იგი მოახალშენეებს იცავდა და მოითხოვდა მათ მფლობელობა-სარ-გებლობაში არსებული მიწების საკუთრებაში დამტკიცებას.[13] ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის აზრი პეტერბურგში უმაღლეს ხელისუფლებას აცნობეს, მაგრამ დოკუმენტების შესწავლა-განხილვა გაჭიანურდა.

ამასობაში მსოფლიო ომიც დაიწყო და აღნიშნული საკითხი გაურკვეელი დროით გადაიდო. მართალია, ხელისუფლების საადგილმამულო კანონპროექტები პროექტებად დარჩა და განხორციელება არ ეღირსა, მაგრამ ისინი თვალნათლივ გვისურათებს ცარიზმის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკის ხასიათს.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად იმპერიაში აგრარული ურთიერთობის გადაწყვეტის ახალი ეტაპი დაიწყო, მაგრამ ჩვენს რეგიონს ამ მხრივ ცვლილებები ნაკლებად შეეხო. იმპერიის მასშტაბით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ის იყო, რომ რომანოვების საგვარეულო ადგილ-მამულები სახელმწიფო

[10] სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2866. ფურც. 8.
[11] იქვე, ფ. 13, ან. 7, ს. 2866, ფურც. 77-78. ა. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წლებში, თბ., 1965, გვ. 176.
[12] სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2909, ფურც. 116-120.
[13] იქვე, ფურც. 137-138.

საკუთრებად გამოცხადდა. ასე მოხდა აჭარაშიც. ცარიზმის დამხობის შედეგად ჩაქვის საუფლისწულო მამული სახელმწიფო საკუთრება გახდა.

სიახლე გახლდათ ე.წ. „მომრიგებელი კამერების" დაარსება. ისინი მეწარმეებსა და მუშათა შორის სადავო საკითხებს იხილავდნენ. მართალია, მომრიგებელი კამერები ქალაქებში შეიქმნა, მაგრამ ისინი სოფლის მეურნეობის მუშებსაც აერთიანებდნენ. მაგალითად, ჩაქვის სახელმწიფო მამულის მუშებს ბათუმის მომრიგებელ კამერაში 6 კაცი ჰყავდათ.

დროებითი მთავრობა აგრარული საკითხის ძირეულ გადაწყვეტას დამფუძნებელი კრების პროგრამიად თვლიდა. თუმცა, 1917 წ. ოქტომბრის გადატრიალების შედეგად დროებითი მთავრობა დაემხო და დამფუძნებელი კრების იმედიც გაქარწყლდა. რუსეთს გამოეყო ამიერკავკასია, სადაც შეიქმნა დამოუკიდებელი მთავრობა □ კომისარიატი.

პირველი ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზე დაიწყო რეფორმები საქართველოში, იყო ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წ. 17 დეკემბრის დებულება „სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიული პირებისა და კერძომფლობელური მიწების საადგილმამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ". ამ დებულებით 1918 წ. პირველი იანვრიდან უქმდებოდა გლეხთა სანადელო მიწების გამოსყიდვა და ხიზანთა ვალდებულებები, რისთვისაც ხალხი საგლეხო რეფორმის დროიდან იბრძოდა.

დებულება ითვალისწინებდა საეკლესიო, სამონასტრო და იურიდიულ პირთა მიწების კონფისკაციას, აგრეთვე თავადაზნაურებისა და კერძომფლობელთა ნორმაზე მეტი მიწების უსასყიდლოდ ჩამორთმევას. ამ მიწებისაგან საადგილმამულო ფონდი იქმნებოდა, საიდანაც მიწებს მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხები მიიღებდნენ.[14]

ამიერკავკასიის სეიმის 1918 წ. 7 მარტის კანონით დაწესდა კერძომფლობელთა და მემამულეთა მიწების ნორმები. იგი 7-დან 40 დესეტინამდე აღწევდა. კერძოდ, ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების რეგიონებში ნორმა 7 დესეტინით განისაზღვრა, მარცვლეულის რაიონებში - 15, ხოლო მესაქონლეობის რაიონებში - 40. ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების გადაწყვეტილებით ამ ნორმების გაზრდაც შეიძლებოდა.[15] ამავე დროს უნდა განხორციელებულიყო მემამულეთა სამეურნეო ინვენტარის რეკვიზიცია, თუ იგი მათთვის საჭირო აღარ იქნებოდა.

ამიერკავკასიის სეიმის 1918 წ. 23 თებერვლის დადგენილებით აიკრძალა მიწის ყიდვა-გაყიდვა. პრაქტიკულად ეს აქტი მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებას მოასწავებდა. ეს რეფორმები აგრარული ურთიერთობის მოწესრიგების გზაზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ ღონისძიებათა შედეგად გლეხობის მიწათმფლობელობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. საბოლოოდ მოისპო ბატონყმობის ნაშთები, მაგრამ კვლავაც გადაუჭრელი დარჩა მრავალი მწვავე პრობლემა. მცირემიწიან ქვეყანაში გლეხობა მიწის სიმცირეს ისევ მწვავედ განიცდიდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მემკვიდრეობად მიიღო ამიერკავკასიის მთავრობისა და პარლამენტის საკანონმდებლო აქტები, რომლებშიც რიგი ცვლილებები შეიტანა. საქართველოს პარლამენტის 1919 წ. 28 ივნისის კანონით მიწაზე კერძო საკუთრება შემოიღეს.

საადგილმამულო ფონდიდან მიწები გლეხობას, გარკვეული საფასურით, კერძო

[14] გაზ. „ერთობა", 19 დეკემბერი, 1917.
[15] გაზ. „ერთობა", 10 მარტი, 1918.

საკუთრებაში ეძლეოდა. ამასთან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტმა 1920 წ. თებერვალში გააუქმა ამიერკავკასიის სეიმის 1918 წ. 23 თებერვლის კანონი „მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ". ეს ღონისძიებები პასუხობდა გლეხობის ინტერესებსაც და ამავე დროს ქმნიდა სოფლად კაპიტალიზმის განვითარების საფუძველს.

ამიერკავკასიის მთავრობისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აგრარული კანონმდებლობანი აჭარაში პრაქტიკულად არ გატარებულა. 1918 წლის აპრილიდან 1920 წლის 20 იელისამდე აჭარა ოკუპირებული იყო ჯერ ოსმალეთის, შემდეგ კი ინგლისის მიერ. ამ მხარეში მემამულეთა (აღა-ბეგები) და კაპიტალისტების მიწები თითქმის ხელუხლებელი დარჩა. ამავე დროს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აგრარული საკანონმდებლო აქტებით 1920 წ. მეორე ნახევარში მიწათმფლობელებს კერძო საკუთრებაში დაუმტკიცდათ მათ მფლობელობაში არსებული მამულები და გათავისუფლდნენ გამოსასყიდი თანხისაგან.

ამრიგად, ბათუმის ოლქის მოსახლეობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ხასიათი და ფორმები ძირითადად იგივე დარჩა, როგორც ცარიზმის ხელისუფლებამ დატოვა: სახელმწიფო, საუფლისწულო (რომანოვების საგვარეულო), რელიგიური დაწესებულებების (მეჩეთები), საზოგადოებრივი (სოფლის მოსახლეობის საერთო სარგებლობის) და კერძო მფლობელთა საკუთრების მიწები.

აჭარაში მიწის ფონდის ყველაზე მსხვილი მესაკუთრე რუსეთის სახელმწიფო იყო. მან თავის მიზანს მიაღწია - ბათუმის ოლქის მიწები ხაზინის საკუთრებაში შეინარჩუნა, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა სახელმწიფო გლეხთა დასახლების თანრიგში გადაიყვანა.

სოფლის მოსახლეობის მფლობელობა-სარგებლობაში სავარგულებთან ერთად შედიოდა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიც, რომელიც ოსმალთა ბატონობის ხანაში ცნობილი იყო „ბათალიკის" სახელწოდებით. ტყის მასივები, რომლებიც მთისა და მთისწინა ტერიტორიაზე მდებარეობდა, სახელმწიფო ხაზინის უშუალო საკუთრებაში რჩებოდა.

ბათუმის ოლქში სახელმწიფო მიწები ორ ნაწილად იყოფოდა: საკომლო-სანადელო და სათემო (სოფლის საერთო სარგებლობის). ყველა ამ მიწას სახელმწიფო ბეგრავდა საღალო გამოსაღებით. XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის ოლქის სოფლის მოსახლეობის მფლობელობა-სარგებლობაში არსებული ყველა სახის მიწა 138341 დესეტინას შეადგენდა (ართვინის ოკრუგში - 74066 და ბათუმის ოკრუგში - 64275 დესეტინა).[16]

სოფლის სათემო მიწებში შედიოდა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, საძოვრები, ძირითადად ე.წ. „იალაღები" (საზაფხულო) და „ყიშლაღები" (საშემოდგომო). ამ სახის საძოვრები, მეტწილად, ზემო და ქვემო აჭარაში, მაჭახელში, შავშეთ-იმერხევში, არტანუჯში, ლივანასა და ოლთისში იყო. საკუთრების ეს ფორმა ძველი დროიდან მომდინარეობდა.

მოსახლეობის საკომლო-სანადელო მიწებში შედიოდა როგორც სავარ-გულები (სახნავ-სათესი, სათიბ-საძოვრები, ბაღ-ვენახები, ტყე), ისე უვარგისი მიწებიც, მაგრამ ჭარბობდა სავარგულები. 1917 წ. აღწერით საკომლო ნადელებში უვარგის მიწებს 177 დესეტინა ეკავა (175 დესეტინა - ქვემო აჭარაში, ხოლო 2 დესეტინა - კინტრიშის

[16] КК на 1907 год, Тиф., 1906, с. 22-23.

საპოლიციო უბანში). ბათუმის ოლქში მოსახლეობის მიწათმფლობელობის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის I ცხრილში მოყვანილი მონაცემები.[17]

ცხრილი I

ბათუმის ოლქის მოსახლეობის საკომლო-სანადელო სავარგულები ოკრუგებისა და უბნების მიხედვით (დესეტინობით)

ადმინისტრაციული ერთეული	1890 წ.		1917 წ.	
	კომლები	სავარგულები	კომლები	სავარგულები
კინტრიშის საპოლიციო უბანი	1159	5862	2922	8818
გონიოს	1901	3341	907	2844
ქვემო აჭარის	2563	3530	2242	2185
ზემო აჭარის	2609	7491	3027	4471
საშუალოდ ბათუმის ოკრუგში	8232	20224	9098	18316
ართვინის საპოლიციო უბანი	1733	2011	617	262
არტანუჯის	2319	4294	843	483
შავშეთ-იმერხევის	2693	5791	3347	13459
საშუალოდ ართვინის ოკრუგში	6745	12096	4807	14204
სულ ბათუმის ოლქში	14977	32320	13905	32520

ამ მონაცემების მიხედვით, ბათუმის ოკრუგში თითო კომლზე 1887 წელს საშუალოდ მოდიოდა 2,5 დესეტინა, ხოლო 1917 წელს – 3,0 დესეტინა. ართვინის ოკრუგში 1,8 და 1,4 დესეტინა. ცელილებები საკომლო-სანადელო მიწათმფლობელობაში ძირითადად განპირობებულია მოსახლეობის მიგრაციით. XIX ს. 80-იან წლებში ბათუმის ოლქიდან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ე.წ. მუჰაჯირობაში წავიდა კინტრიშის საპოლიციო უბნიდან. პირველი მსოფლიო ომის წლებში მოსახლეობის მიგრაციას ადგილი ჰქონდა გონიოს საპოლიციო უბანში (ბათუმის ოკრუგი), ართვინისა და არტანუჯის საპოლიციო უბნებში (ართვინის ოკრუგი).

ბათუმის ოლქში გლეხური კომლისა და თითო სულის საკომლო-სანადელო მიწები 8-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე თბილისის გუბერნიაში. გამონაკლისი იყო კინტრიშის საპოლიციო უბანი, სადაც 1890 წ. თითო კომლზე საშუალოდ 5 დესეტინა სავარგული მოდიოდა.[18]

სანადელო მიწები უთანაბროდ იყო განაწილებული. საუკეთესო სავარგულებს ფლობდნენ სოფლის შეძლებული გლეხები (აღები). მაგალითად, 1896 წ. ცნობით, სოფელ ხუცუბანში (კინტრიშის უბანი) ყველა სახის სავარგული 550 დესეტინას ითვლიდა. აქედან 50 დესეტინა ტყეს ეკავა და სათემო საკუთრებას შეადგენდა. დანარჩენი კი, როგორც ნადელები, 48 კომლს შორის იყო განაწილებული. მათგან ორი ოჯახი – ოსმან და ხასან ნაკაიძეები - 265 დესეტინას, ე.ი. სოფლის მთლიანი

[17] ცხრილი შედგენილია: სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 284-289; ამხფ, ს. 216, ფურც. 53-59.
[18] გამოთვლილია: სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 283; КК на 1899 год, с. 30-31.

სანადელო მიწების 53% ფლობდა.[19]

XX საუკუნის დამდეგს კახაბრის ველის ხუთ სოფელში (მინდია, ადლია, თოფანოღლი, ანგისა, ხელვაჩაური) ყველა სახის მიწა 697 დესეტინას შეადგენდა. აქედან 582 დესეტინა, ე.ი. საერთო ფართობის 83,5% პრივილეგირებულ ოჯახზე (აღა-ბეგები) მოდიოდა. 198 გლეხის ოჯახზე კი 115 დესეტინა ნაწილდებოდა (თითო კომლზე საშუალოდ 0,58 დესეტინა).[20] მეტ-ნაკლებად ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა სოფლებშიც.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ხიზნები. ბათუმის ოლქში ხიზნების ორი კატეგორია არსებობდა: ადგილობრივი (ქართველები) და სხვა მხარეებიდან შემოხიზნულები. მათი ნაწილი მოჯამაგირე იყო, ხოლო დანარჩენები - მოიჯარე. ქართველი ხიზნების ზუსტი რიცხვის დადგენა არ ხერხდება, თუმცა, ერთი ცნობით, 900-იან წლებში აჭარაში (ბათუმის ოკრუგი) 750 კომლი (5200 სული) უმიწაწყლო იყო და მოჯამაგირეობით ირჩენდა თავს. 1803 კომლი (12621 სული) მიწის მოიჯარეა.[21] ფაქტობრივად, ისინი შეხი'ხნული იყვნენ კაპიტალისტების და აღა-ბეგების მამულებში, ან სახა'სინო მიწებზე სახლობდნენ. ხიზანთა კატეგორიაში ირიცხებიან ქურთები, ბერძნები და ბოშები. XIX ს. 80-იანი წლების ბოლოს მათი რიცხვი 521 ოჯახს ითვლიდა. მათ შორის იყო: ქურთების - 309 კომლი, ბერძნების - 158, ხოლო ბოშების - 54 კომლი. ბერძნები დასახლებული იყვნენ კინტრი'შის საპოლიციო სოფლებში (აჭყეა, დაგვა, კვირიკე, ბობოყვათი), აგრეთვე ორთაბათუმში, ყოროლისთავში, ახალ'შენში; ბოშები — ართვინის ოკრუგ'ში, ხოლო ქურთები — კახაბრის ველზე, ჩაქვში და ართვინის ოკრუგში. ისინი სოფლის საზოგადოების წევრებად არ ირიცხებოდნენ, საკომლო ნადელებიც არ ჰქონდათ და საადგილმამულო გადასახადს (აშარს) არ იხდიდნენ. ქურთები და ბოშები ძირითადად მომთაბარეობდნენ, მესაქონლეობას მისდევდნენ და იყენებდნენ როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო საძოვრებს.[22]

უმიწო და მცირემიწიანი გლეხებისათვის მიწის იჯარას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. რეგიონში გამოიყენებოდა როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი იჯარა. არენდატორები იყვნენ: ხაზინა, აღა-ბეგები, მეჩეთები, საუფლისწულო უწყება და სოფლის ბურჟუაზია (მოახალშენეები). ბათუმის ოლქში გავრცელებული იყო იჯარის ორივე ფორმა - ნატურალურიც და ფულადიც. ფორმის ამორჩევა დამოკიდებული იყო არენდატორზე. ხაზინა და კაპიტალისტები მიწებს ფულად იჯარაზე გასცემდნენ, ხოლო მემამულეები (აღა-ბეგები) - ძირითად ნატურალურ შემოსავალზე. ნატურალურ იჯარაზე გაიცემოდა სათიბები, საძოვრები და სახნავი მიწები. მაგალითად, ხიმშიაშვილები საძოვრებზე საიჯარო ქირას მეცხოველეობის პროდუქტებით ახდევინებდნენ.

მიწებზე იჯარის ოდენობა დამოკიდებული იყო მის ვარგისიანობაზე და მემამულეებიც მიწას სანახევრო, მესამედ და მეოთხედ საიჯარო ქირაზე აძლევდნენ.[23]

უფრო მეტად მონახევრეობა იყო გავრცელებული. 1899 წ. იგი ყველაზე მეტად მეთამბაქოეობა'ში გამოიყენებოდა.[24] სანახევროდ საიჯარო მიწებს იღებდნენ როგორც ქართველი გლეხები (ადგილობრივი და თურქეთიდან გადმოსული ლაზები), ისე

---

19 აცსა, ფ. 24, ს. 6, ფურც. 10.
20 1905 წელი. ბარიკადები ბათუმში (მოგონებათა კრებული), ბათ., 1925, გვ. 87.
21 ამხუ, ს. 208, ფურც. 17.
22 სცსსა, ფ. 229, ანაწ. 2, ს. 674, ფურც. 3-4.
23 Тимофеев С.Н. Сельско-хозяйственный очерк Батумской окрестности. - «Батумъ и его окрестности», Бат., 1906, с. 218.
24 ქუთაისის ცხია, ფ. 130, ს. 166ᵃ, ფურც. 7.

არაქართველებიც (სომხები და სხვ).[25]

ყველაზე დიდი არენდატორი სახელმწიფო ხაზინა იყო. მის საიჯარო ფონდში, ძირითადად, თავისუფალი (დაუსახლებელი) ადგილ-მამულები და მუჰაჯირების მიწები შედიოდა. ეს უკანასკნელი სახნავი და საბაღე მიწების, აგრეთვე, საცხოვრებელი და სამეურნეო ხასიათის შენობებისაგან შედგებოდა.

ბათუმის ოლქის მუჰაჯირთა მამულების ზუსტი აღრიცხვა სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ეს იმით აიხსნება, რომ ემიგრაციას განუწყვეტელი ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, არსებული არასრული მასალები მუჰაჯირთა მიწების ოდენობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის.

მაგალითად, XIX ს. 90-იან წლებში ჩაქვისწყლის ხეობის ხუთ სოფელში (დიდი ჯამე (ჩაისუბანი), გორგაძეები, სახალვაშო, ხალა, ჩაქვისთავი) ამ კატეგორიის ადგილ-მამულები 1300,[26] ორთაბათუმში - 62,[27] ართვინის საპოლიციო უბანში - 190 (მათ შორის მურღულის ხეობაში - 133) დესეტინას ითვლიდა.[28] ამგვარად, ამ სოფლებში მუჰაჯირთა მამულები ერთად აღებული 1552 დესეტინას შეადგენდა.

მუჰაჯირების მიწები, როგორც ცნობილია, ნატურალური იჯარით სოფლის საზოგადოებებს გადასცეს, შენობებსა და ბაღ-ბოსტნებს, წინანდებურადვე, ფულადი იჯარით აძლევდნენ.[29]

მიწები ნაკლებად ხედებოდა ღარიბი გლეხობის ხელში. ისინი უპირატესად შეძლებული ფენების, ეაჭარ-მრეწველების მფლობელობაში ექცეოდა. ეს უკანასკნელნი კი მეორადი იჯარით ღარიბ გლეხებზე გასცემდნენ. 1887 წ. კინტრიშის საპოლიციო უბანში ხაზინამ იჯარით გასცა მუჰაჯირთა 539 ნაკვეთი, სულ 1141 დესეტინა. მათგან 793 დესეტინა (70%) აიღეს მოახალშენეებმა (589 დეს.) და სოფლის შეძლებულმა ფენებმა (195 დეს.).[30] მათ კი ეს მიწები, მაღალ საიჯარო ფასებში, მცირემიწიან და უმიწაწყლო გლეხებზე გასცეს. ადგილ-მამულების მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს სისტემაში გადასვლის შემდეგ მიწის საიჯარო საქმე კიდევ უფრო დამძიმდა. მეორადი იჯარა გაიზარდა, თანაც, მიწის ფასიც გადიდდა, საიჯარო ურთიერთობაში ფართოდ გავრცელდა სპეკულაცია.

მოვლენების ასეთმა განვითარებამ ბათუმის საოლქო ადმინისტრაციაც დააფიქრა, რამდენადაც იგი გლეხთა მოძრაობას აძლიერებდა. რევოლუციით შეშინებული ბათუმის ოლქის გუბერნატორი 1906 წ. აღიარებდა, რომ ღარიბი გლეხობა მუჰაჯირების მიწებითა და სხვა უძრავი ქონებით ვერ სარგებლობდა. ამ მიწებს ისეთი პირები იღებენ, რომლებიც სოფლის საზოგადოების წევრებად არ ირიცხებიან და იჯარით აღებული მიწებით სპეკულაციას ეწევიანო.[31]

საიჯარო მიწები კელაეაც ხელიდან ხელში გადადიოდა. 1911 წ. „ბათუმის გაზეთი" წერდა: „მიწას სავსებით არსად არ ფლობს ის, ვინც მასზე შრომობს".[32]

ბათუმის ოლქში მემამულეთა (აღა-ბეგების) მიწათმფლობელობამ საგრძნობი ცვლილებები განიცადა, რაც აისახა, უწინარესად, მათი მამულების შემცირებაში,

---

[25] «Русские субтропики», №2, 1914, с. 21.
[26] სცსსა, ფ. 351, ს. 8, ფურც. 7.
[27] აცსა, ფ. 22, ს. 36, ფურც. 70-71.
[28] სცსსა, ფ. 12, ან. 11, ს. 2011, ფურც. 118, 122-123; ფ. 13, ან. 7, ს. 2805, ფურც. 7.
[29] სცსსა, ფ. 12, ანაწ. 10, ს. 162, ფურც. 16-17.
[30] აცსა, ფ. 22, ს. 36, ფურც. 70-74; დაჯამებულია და პროცენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.
[31] სცსსა, ფ. 231, ან. 1, ს. 387, ფურც. 10-11.
[32] „ბათუმის გაზეთი", 1911, №55.

ზოგიერთი მათგანის სახელმწიფო დასახლების თანრიგიდან მიწის კერძომფლობელთა კატეგორიაში გადასვლაში, მეურნეობის რაციონალურად მოწყობაში.

1897 წ. აღწერით ბათუმის ოლქში მემამულეები (ორივე სქესის) 984 სულს ითვლიდა, რაც მოსახლეობის 1,1% იყო.[33] ამავე აღწერით არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში (ყარსის ოლქი) მათი რიცხვი 277 სულს, ე.ი. მოსახლეობის 0,3% შეადგენდა.[34] თუ ჩავთვლით, რომ თითო ოჯახში საშუალოდ 5 სული იყო, მაშინ ბათუმის ოლქში მემამულეთა კომლი ორასამდე, ხოლო არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში – ორმოცდაათამდე აღწევდა.

მცირერიცხოვნების მიუხედავად, მემამულეთა მფლობელობაში რჩებოდა მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი. იგი სახელმწიფოს შემდეგ ყველაზე მსხვილი მიწისმფლობელი იყო, თუმცა, რუსეთის მთავრობა აქაურ აღა-ბეგებს მიწის კერძო მესაკუთრეებად არ ცნობდა. ისინი სოფლის საზოგადოებისაგან გამოცალკავებულიც არ ყოფილან და თავიანთი საკრებულოებიც არ გააჩნდათ, როგორც ეს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურობას ჰქონდა.

ცარიზმის ხელისუფლებასა და მემამულეებს შორის დაპირისპირება ადგილმამულების კერძო საკუთრებაში იურიდიულად დაკანონებისათვის წლების მანძილზე გრძელდებოდა. ამ ბრძოლის შედეგად აღა-ბეგების ერთმა ნაწილმა ადგილ-მამულები კერძო საკუთრებაში დაიმტკიცა. უმრავლესობამ ეს ვერ შეძლო, თუმცა, მოსარგებლის უფლებით მიწები მაინც შეინარჩუნა.

მიწის ფართობის მიხედვით მემამულეები ოთხ ჯგუფად იყოფოდა: უმსხვილესი (500 დესეტინას ზევით), მსხვილი (100-დან 500 დესეტინამდე), საშუალო (25-დან 100 დესეტინამდე), წვრილი (25 დესეტინამდე).[35]

რუსეთის მფლობელობის პერიოდში მსხვილ მიწათმფლობელებად ხიმშიაშვილების საგვარეულო დარჩა. მათი ადგილ-მამულები ბათუმის, ართვინისა და არტაანის ოკრუგებში მდებარეობდა. ამ საგვარეულოდან ყველაზე მეტი მამული შერიფ ხიმშიაშვილს ჰქონდა. ბათუმის ოლქის შემოერთებისთანავე რუსეთის მთავრობამ შერიფ ხიმშიაშვილს მიწები კერძო საკუთრებაში დაუმტკიცა. მდგომარეობა შეიცვალა 1881 წ. ალექსანდრე III-ის გამეფების შემდეგ. ახალმა ხელისუფლებამ ხიმშიაშვილებს ადგილ-მამულები ჩამოართვა და სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა. შერიფ-ბეგს კერძო საკუთრებაში 16 დესეტინა დაუტოვეს.[36] ჩამოართვეს, აგრეთვე, ხულოს მეჩეთზე მიწერილი სოფლების სავაყუფო შემოსავალი, რომელიც წლიურად 300 მანეთს შეადგენდა. ამიერიდან აღნიშნული თანხა ხაზინაში შედიოდა.[37]

შერიფ ხიმშიაშვილი და მისი შთამომავლობა ამის გამო დიდხანს დაობდა. მხოლოდ ნიკოლოზ II, 1912 25 აპრილის ბრძანებით, შერიფ ხიმშიაშვილის მემკვიდრეებს კერძო საკუთრებაში 8296 დესეტინა მიწა დაუმტკიცა. აქედან ზემო აჭარაში - 5834 დესეტინა, ხოლო არტაანის ოკრუგში (ფოცხოვის უბნის სოფლები ურო და ალაგეზ-ყარაბახი) - 2462 (მათგან: სახნავი და ბაღები 347, ტყეები - 1870, ხოლო საძოვრები და საბალახოები (სათიბი) - 6078 დესეტინა).[38] ხიმშიაშვილების მთავარი

---

[33] Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года. Кутайская губерния. С-Пб., 1905, с. 38-39.

[34] Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года. Карская область. С-ПБ., 1904, с. 2.

[35] ა.ანთელავა, დასახ. ნაშრ. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 526.

[36] სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2820, ფურც. 55, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. III, ბათ., 1963, გვ. 52.

[37] სცსსა, ფ. 12, ან. 10, ს. 2026, ფურც. 17, 35.

[38] იქვე, ფ. 13, ან. 7, ს. 2820, ფურც. 103.

რეზიდენცია ხულოსა და სხალთაში მდებარეობდა, ხოლო საზაფხულო აგარაკები - ბეშუმსა და ქონახში (სოფელი ბაკო). მართალია, შერიფ ხიმშიაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი მამული შვილებს შორის გაიყო, მაგრამ ისინი მაინც მსხვილ მემამულეებად რჩებოდნენ.

აბაშიძეების მიწები, საკარმიდამოს გამოკლებით, XIX ს. 80-იან წლებში გამიჯნული არ იყო; მაშინ ბათუმსა და მის შემოგარენში აბაშიძეების სამი ოჯახი სახლობდა (სალიხის, ხუსეინის, იბრაიმის). 90-იან წლებში მათი მემკვიდრეები, ბათუმისა და კინტრიშის საუბნო სასამართლოების სიტყვიერი განაჩენით, ადგილ-მამულების გამიჯვნას ახდენენ. ეს მიწები ქალაქ ბათუმში, ს. ურეხსა და ს. ანგისაში მდებარეობდა, სულ 1500 დესეტინა, აქედან ანგისაში - 700, ურეხში - 229, ხოლო ბათუმში - 500 დესეტინამდე.[39]

აბაშიძეებმა მიწების გაყიდვა დაიწყეს. ბათუმში მათ 470 დესეტინა პოლკოვნიკ იასონ იოსელიანს მიჰყიდეს. მათგან 60 დესეტინა ნაესადგურის ტერიტორიაზე მდებარეობდა, დანარჩენი კი ქალაქის გარეთ იყო.[40] სოფლების ურეხისა და ანგისის მიწების ნაწილი ა. მიქელაიშვილმა და ი. შარაშენიძემ შეიძინეს.[41]

რუსეთის მთავრობა აბაშიძეებს ამის გამო ედაეებოდა. 1895-1898 წლებში ქუთაისის საოკრუგო სასამართლოსა და თბილისის სასამართლო პალატაში აბაშიძეების ადგილ-მამულების საკითხი რამდენჯერმე განიხილეს.[42]

მიწების გაყიდვის შედეგად აბაშიძეების საგვარეულო მამულები მნიშვნელოვნად შემცირდა. საგვარეულოს გაყოფისა და მიწების გამიჯვნის გამო ისინი მსხვილი მიწათმფლობელების რანგიდან საშუალო მემამულეებად გადაიქცნენ. მაგალითად, 1905 წ. დურსუნ აბაშიძე 42,5 დესეტინას ფლობდა, მემედ აბაშიძე - 38,5, ფეიზ აბაშიძე - 33,3, რიზა და ზია აბაშიძეები - 200 დესეტინას.[43] რაც შეეხება ქობულეთელ სანჯაყ ბეგ თავდგირიძეებს, ისინი 1878 წ. მუდმივ საცხოვრებლად ოსმალეთში გადაიხვეწნენ და მათი ადგილ-მამულები რუსეთის სახაზინო საკუთრებაში გადაეიდა.

მსხვილ მიწათმფლობელებად ითვლებოდნენ ჩაქველი ბეჟანიძეები, მათი მამული ჩაქვის ხეობასა და ბათუმის შემოგარენში (ყოროლისწყლის შესართავი) მდებარეობდა. მშობლიურ კერაზე აჭარის დაბრუნებისას ბეჟანიძეების მიწები 500 დესეტინამდე აღწევდა და სამი ოჯახისაგან შედგებოდა (ხუსეინი, ფერათი, მემედი). მომდევნო ხანაში ბეჟანიძეების მამულები შემცირდა. იმის შიშით, რომ ადგილ-მამულებს დაკარგავდნენ, მათ გაყიდეს მიწების ნაწილი (მაგალითად, 1878-1881 წლებში 123 დესეტინა უცხოელ მოახალშენე დალფონსს მიყიდეს).[44]

1892-1894 წლებში ბეჟანიძეების მიწების გარკვეული ნაწილი პოპოვმა და საუფლისწულო უწყებამ შეისყიდეს. 1895 წ. ჩაქვის ხეობაში ბეჟანიძეების საკუთრებაში 279 დესეტინა რჩებოდა. მათგან საძოვარ-საბალახოები, სახნავი და ბაღები 157, ტყეები - 104, ხრიოკი მიწები - 18 დესეტინას შეადგენდა.[45]

საშუალო მემამულეთა ჯგუფში ირიცხებოდნენ აჭარელი ბიბინეიშვილები, შერვაშიძეები, შავშეთ-იმერხეველი ხიმშიაშვილები. მაგალითად, 900-იან წლებში

[39] იქვე, ფ. 229, ან. 2, ს. 1276, ფურც. 21; ამხვ. ს. 64, ფურც. 69.
[40] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 1276, ფურც. 21.
[41] ამხვ. ს. 64, ფურც. 69-75.
[42] იქვე.
[43] სცსსა, ფ. 13, ან. 10, ს. 604, ფურც. 27, 37-38.
[44] იქვე, ფ. 229, ან. 1, ს. 48, ფურც. 5.
[45] იქვე, ფ. 351, ს. 16, ფურც. 58.

ბიბინეიშვილების საგვარეულო ერგესა და ხელვაჩაურში 150 დესეტინაზე მეტ მიწას ფლობდა.[46]

თუფან-ბეგ შერვაშიძეს მიწები ჰქონდა აჭარის სოფლებში (ოქტომბერი, ორცვა, მახუნცეთი, ზენდიდი, ქედა), მათი მამულები რამდენიმე ასეულ დესეტინას აღწევდა. ხიმშიაშვილების საგვარეულოდან შავშეთ-იმერხევში ფიგურირებდნენ სელიმ-ბეგი და ნური-ბეგი. თითოეული ათეულობით დესეტინა მიწას ფლობდა.

შავშეთ-იმერხევში, ლიეანასა და არტანუჯში წერილ მემამულეებს მიეკუთვნებოდნენ ათაბაგ ჯაყელების შთამომავლები. ამ საგვარეულოდან შავშეთ-იმერხევში 900-იან წლებში ოთხი ოჯახი (ზექერიას, ფუათის, მურთაზის, შერიფის) სახლობდა.[47] მათ ძველი დიდება და მამულები აღარ გააჩნდათ, ქონებრივად აღებს უტოლდებოდნენ, თუმცა ბეგების წოდება ჰქონდათ.

ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო ცელილება, რაც ოლქის საადგილმამულო ურთიერთობაში მოხდა, იყო მიწის მესაკუთრეთა ახალი კლასის – სოფლის ბურჟუაზიის წარმოქმნა. პროცესი შედარებით ხანგრძლივად, თანაც წინააღმდეგობრივად, ადგილობრივ მიწისმფლობელებს, არაქართველ მოახალშენეებსა და რუსეთის მთავრობას შორის დაპირისპირებისა და ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა.

მიწისმფლობელთა ახალი ჯგუფი არაქართველი მოახალშენეებია, ძირითადად რუსები, აგრეთვე სომხები, ბერძნები, ფრანგები, იტალიელები, გერმანელები, თურქები. სოციალური მდგომარეობით მოახალშენეები ეკუთვნოდნენ სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიას, მემამულეებს და ნაწილი რუსეთის სახელმწიფოს მაღალი ჩინის მოხელეები იყვნენ.

პირველმა მოახალშენეებმა მიწები XIX ს. 70-80-იანი წლების მიჯნაზე შეისყიდეს. ისინი ზღვისპირეთით დაინტერესდნენ, რამდენადაც აქ სამეწარმეო საქმიანობისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობები არსებობდა. 1878-1890 წწ. ნაყოფიერი ადგილ-მამულები აქ 25 მოახალშენემ შეიძინა (დალფონსი, სოლოეცოვი, ეუჩინო, სტოიანოვი, ზეიდლიცი, ვაკიე, ლევაშევი, ზურაბოვი, ნესტოროეი, ოლინსკი და სხვ.). ზოგიერთმა შეძენილი მამულები შემდეგ გაყიდა.[48]

ბათუმის ოლქში ადგილ-მამულების არაქართველი მოახალშენეების ხელში გადასვლა იმპერიის მთავრობის კოლონიურ ინტერესებს პასუხობდა. მთავრობა მათ კიდევაც ახალისებდა. ამასთან, ხაზინის შემოსაველის გაზრდაც აინტერესებდა.

ბათუმის ოლქში ადგილ-მამულებით ვაჭრობამ მასობრივი ხასიათი შეიძინა. ყიდვა-გაყიდვის საბუთებს მყიდველ-გამყიდველები ადგენდნენ, ხოლო სასამართლო-ნოტარიუსი შეუფერხებლად ამტკიცებდა. მაგალითად, მარტო 1892-1896 წლებში სასამართლო-ნოტარიუსის ორგანოებმა ბათუმის ოკრუგში მიწების ყიდვა-გაყიდვის 112 საბუთი დაამტკიცეს.[49]

აჭარის ზღვისპირეთში ადგილ-მამულების შეძენით დაინტერესებული იყო ბევრი უცხოელი. მაგალითად, 1894 წ. 200-მდე მოახალშენე მოითხოვდა მიწის ნასყიდობის საბუთის დამტკიცებას,[50] მაგრამ მათი გაფორმება მხოლოდ ოცამდე პირმა შეძლო. უცხოელების მოზღვავების გამო, მიწის ფასმა თითქმის 8-10-ჯერ აიწია. თუ XIX ს. 80-იან წლებში დესეტინა მიწის ფასი 200 რუბლი იყო, 90-იანი წლების მეორე

[46] 1905 წელი, ბარიკადები ბათუმში (მოგონებათა კრებული), გვ. 87.
[47] აცსა, ფ. 1, ს. 993, ფურც. 1-26.
[48] სცსსა, ფ. 229, ს. 48, ფურც. 20-21; ფ. 243, ან. 5, ს. 263, ფურც. 17.
[49] იქვე, ფ. 13, ან. 7, ს. 2909, ფურც. 92.
[50] იქვე, ფ. 13, ან. 7, ს. 2866, ფურც. 8.

ნახევარში კი 900-1200 რუბლამდე გაიზარდა.[51]

მართალია, რუსეთის მთავრობა მოახალშენეებს ადგილ-მამულების შეძენაში ეხმარებოდა, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფო ხაზინის სალაროს შევსებასაც ზრუნავდა. ამიტომ მყიდველი იძულებული იყო ორი პატრონისათვის გადაეხადა საფასური. ამის შესახებ კ. პოპოვი წერდა: ბათუმის ოკრუგში მყიდველი ორჯერ იხდის ერთი და იმავე მიწის ღირებულებას. პირველად კერძო მიწისმფლობელს უხდის, მეორედ - სახელმწიფოს, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სახით. თანაც ფასები მათ ნება-სურვილსეა დამოკიდებული. მთავრობა მიწის ნასყიდობის საბუთს მანამდე არ გააფორმებს, სანამ მყიდველი გამყიდველს არ დააკმაყოფილებს. მიუხედავად ამისა, მიწის კერძო საკუთრებაზე საბუთს მთავრობა მაინც არ იძლეოდა.[52]

მართალია, ყარსისა და ბათუმის ოლქებში მიწის საკითხი კანონმდებლობით გადაწყვეტილი არ იყო, მაგრამ რუსეთის მთავრობამ, კოლონიური ინტერესებიდან გამომდინარე, დააჩქარა საკუთრებაში მოახალშენეების ადგილ-მამულების დამტკიცება. ჯერ კიდევ 1895 წ. მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრი კავკასიის მთავარმართებლისადმი წერილში წინადადებას აყენებდა, რომ ბათუმის ოკრუგში მოახალშენეებისათვის მემკვიდრეობით დაემტკიცებინათ შეძენილი ადგილ-მამულები, დესეტინაზე 25 კაპიკის დაბეგვრით. ეს უკანასკნელი ამ წინადადებას ხალისით დეთანხმა.[53]

ამის შემდეგ, 1898-1902 წლებში, მთავრობის სპეციალური დადგენილებები გამოვიდა, რომლითაც მიწები საკუთრებაში დაუმტკიცეს (წლიურად დესეტინაზე 25 კაპიკის დაბეგვრით) ოთხ პიროვნებას — სტოიანოვს, ვუჩინოს, ოპატოს, დალფონსს.[54] სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით მთავრობამ 1902 წ. 11 მარტს ახალი კანონი გამოსცა. ამიერიდან კოლონისტებს უფლება ჰქონდათ კავკასიასა და რუსეთის ზოგიერთ გუბერნიაში სახელმწიფო მიწები ჯერ იჯარით აეღოთ, შემდეგ კი საკუთრებაში დაემტკიცებინათ, რისთვისაც სავალდებულო იყო ამ მიწებზე მრავალწლიანი ნარგავების გაშენება და მათი კულტურულ ნაკვეთებად გადაქცევა. იჯარის ვადა 5 წლით განისაზღვრა, ხოლო დამუშავებისა - ორით. ამ წესების დამრღვევს მიწის ნაკვეთი ჩამოერთმეოდა.

ამ დროისათვის ბათუმის ოლქის სუბტროპიკულ ზონაში ორასამდე ჰ.წ. კულტურული ნაკვეთი აღირიცხა. მთავრობის 1902 წ. 7 ივნისის კანონით მოახალშენეებს მიწები შვიდ სოფელში დაუმტკიცდათ სამემკვიდრეოდ (მწვანე კონცხი, მახინჯაური, განთიადი, სახორი, ჩაქვი, აჭყვა, ბარცხანა), სახელმწიფოს სასარგებლოდ დესეტინაზე წლიურად 25 კაპიკის გადახდით.

1902 წ. 20 იელისს რუსეთის მთავრობის დამატებითი კანონი გამოვიდა, რომლითაც 7 ივნისის კანონი გაერცელდა ბათუმის ოლქის კიდევ 13 სოფელზე (ანგისა, ქობულეთი, სოუქსუ, სალიბაური, ურეხი, ხუცუბანი, ჯაიათი, ფერია, ხოლოდნაია სლობოდა, კაპრეშუმი, ორთაბათუმი, ახალშენი, იჯადიე).[55] 1902 წ. 11 მარტის კანონით მოახალშენეებს უფლება ჰქონდათ თავიანთი მამულები კერძო საკუთრებაში მიეღოთ,

---

[51] Газ. «Черноморский вестник», 18 января, 1897 г.
[52] იქვე, ფ. 243, ან. 7, ს. 918, ფურც. 29; სანკტ-პეტერბურგის ცსია, ფ. 560, ან. 26, ს. 1393, ფურც. 6.
[53] სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 1388, ფურც. 25.
[54] სანკტ-პეტერბურგის ცსია, ფ. 23, ან. 9, ს. 288, ფურც. 411; სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2866, ფურც. 47-48.
[55] სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2788, ფურც. 3-4; აცსა, ფ. 22, ს. 63, ფურც. 199.

თუ დესეტინაზე 6 რუბლსა და 25 კაპიკს (გამოსასყიდი თანხა) გადაიხდიდნენ.

მართალია, ბათუმის ოკრუგში ნასყიდი მიწები მემკვიდრეობაში ყველა მოახალშენეს დაუმტკიცეს, მაგრამ გაჭიანურდა მათი გამოსყიდვა - ადგილობრივი სამხარეო ხელისუფლება ამისათვის მეტ თანხას მოითხოვდა, ვიდრე კანონით იყო დაწესებული.

მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებული კავკასიაში 1905 წელს მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ წერილში მოითხოვდა ბათუმის ოლქში (ციხისძირი) დესეტინა მიწის გამოსასყიდი ფასი 6 რუბლისა და 25 კაპიკის ნაცვლად დაეწესებინა 250-დან 1000 რუბლამდე.[56]

ასეც მოხდა. ბათუმის ოკრუგის სოფელ ორთაბათუმში ვინმე ლემერმანმა და ზაბუქიძემ 1900 წ. სახელმწიფო სახაზინო უწყებისაგან იჯარით აიღეს ოთხი დესეტინა, დაამუშავეს, გააშენეს სუბტროპიკული ნარგავები, ე.ი. კულტივირებულ ნაკვეთად აქციეს და 1902 წ. 11 მარტის კანონის საფუძველზე მოინდომეს მისი შესყიდვა, მაგრამ სახაზინო უწყებამ 6-ის ნაცვლად 300 რუბლი მოითხოვა.[57]

მიუხედავად ამისა, კოლონისტები დიდი თანხის გაღებასაც არ ეპუებოდნენ. 900-იანი წლებიდან მოახალშენეთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. უკვე 1917 წ. აჭარაში 300-ზე მეტი მოახალშენე ითვლებოდა.[58] მათ მფლობელობა-საკუთრებაში 70000 დესეტინა იყო.[59]

ართვინის ოკრუგში მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი სომხური ბურჟუაზიის ხელში მოექცა. რაც შეეხება არტაანისა და ოლთისის ოკრუგებს, იქ ბურჟუაზიული მამულები არ წარმოქმნილა.[60]

მოახალშენეთა მამულები საკუთრების ფორმების მიხედვით იყოფოდა კერძო საკუთრებად და საიჯარო-სამემკვიდრეო მფლობელობა-სარგებლობის კატეგორიის მიწებად. 1905 წ. მაგალითად, ბათუმის ოლქში კერძომფლობელთა მიწები 15229 დესეტინას, ხოლო 1915 წ. 33384 დესეტინას შეადგენდა (ართვინის ოკრუგში შესაბამისად 23 და 12 დესეტინა). ბათუმის ოკრუგში სოფლის ბურჟუაზიის მამულები 1905 წ. 15 ათასს, ხოლო 1915 წ. 30 ათას დესეტინამდე აღწევდა.[61] დანარჩენი მიწები მოახალშენეებს სამემკვიდრეო მფლობელობა-სარგებლობის უფლებით ჰქონდათ.

აჭარაში უმსხვილესი მამული რომანოვების საგვარეულოს ეკუთვნოდა. რომანოვების საიმპერატორო სახლი ადრე სახელმწიფოს კმაყოფაზე იყო. 1897 წ. დიდძალი ყმა-მამული საკუთრებაში დაუმტკიცეს, რომლის მართვისათვის შეიქმნა სპეციალური აპარატი - საუფლისწულო უწყება. საგლეხო რეფორმის წინ რომანოვების საკუთრებაში 10 მილიონი დესეტინა ირიცხებოდა, სადაც 826000 ყმა-გლეხი სახლობდა და ყოველწლიურად ღალის სახით 3 მილიონამდე რუბლს იხდიდა.[62] რეფორმის შემდგომ ხანაში საუფლისწულო უწყებამ საკუთარი მეურნეობები მოაწყო. საქართველოში მას 5 მეურნეობა ჰქონდა. მათგან ერთი - ჩაქვში.

საუფლისწულო უწყების დაინტერესება ჩაქვის ხეობით შემთხვევითი არ ყოფილა. ამ ხეობის საერთო ფართობი 16586 დესეტინას შეადგენდა. XIX ს. 90-იანი წლების დასაწყისში ჩაქვის ხეობის ხუთ სოფელში (ჩაქვი, სახალვაშო, დიდი ჯამე,

---

[56] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 1388, ფურც. 27-28.
[57] «Батумский сельский хозяйн», 1909, №7, с. 202-203.
[58] აცსა, ფ. 84, ს. 52, ფურც. 81-87; 198.
[59] ამსფ, ს. 235, ფურც. 47-48.
[60] обзор карской области за 1895 год. Карс, 1896, с. 5.
[61] სცსსა, ფ. 13, ან. 10, ს. 40, ფურც. 136-140.
[62] Сто летье уделов. С-Пб., 1897, с. 8.

გორგაძეები, ხალა) 177 კომლი ცხოვრობდა. მათ მფლობელობაში 6177 დესეტინა ითვლებოდა.[63] დანარჩენ მიწებს ადგილობრივი მოსახლეობა საძოვრებად, სამშენებლო ხე-ტყისა და შეშის დასამზადებლად იყენებდა. საუფლისწულო უწყებამ აქ სახაზინო საკუთრების 10314 დესეტინა და მუჰაჯირების მიტოვებული 183 დესეტინა დაისაკუთრა. ხაზინას კი შესაბამისი ოდენობის მიწა ვიატკის გუბერნიაში დაუთმო. შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიწების შეძენაც დაიწყო. 1900 წ. მოსახლეობისაგან შეძენილი მიწები 2399 დესეტინას შეადგენდა. ჩაქველი ბეგების ბეჟანიძეების მიწებს გარდა, ნაკვეთები შეიძინეს ხალას, დიდი ჯამეს, სახალვაშოსა და გორგაძეების სოფლებში (სულ 69 ოჯახისაგან). ამრიგად, ჩაქვის ხეობის ტერიტორიის 98,8% რომანოვების საგვარეულოს ხელში მოექცა, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის მფლობელობაში 1700 დესეტინა დარჩა.[64]

ბათუმის ოლქში მსხვილ მიწათმფლობელად ითხი პიროვნება ითვლებოდა. თითოეული მათგანის მიწები ასიდან სამას დესეტინამდე აღწევდა. მაგალითად, კ. პოპოვის მამული — 300, ა. სოლოვცოვის - 299, ა. აბაშიძის (შორაპნელი თავადი) - 265, მ. პასეკის - 101,4 დესეტინას შეადგენდა. საშუალო სიდიდის კაპიტალისტური მამულები ასევე მცირერიცხოვანი იყო. ამ სიდიდის მამული რამდენიმე კაპიტალისტს ჰქონდა (გ. მეგოეორიანს - 75, 5, კ. სიბირიაკოვს - 56, ა. ბედიას - 35,6, ნ. უპენეკს - 26, ლაუ ჯონ-ჯაუს - 25,3, ა. გაიდამაკს - 25,2 დესეტინა).[65]

სოფლად წვრილ მესაკუთრეებს შორის მიწის ფართობის სიდიდისა და მისი რაციონალურად გამოყენების მიხედვით საგრძნობ სხვაობას ეხედებით. ზოგიერთის მიწები საშუალო ბურჟუაზიულ მამულებს უახლოვდება. სასაქონლო მიწათმოქმედების განვითარების შედეგად საერთო შემოსავლის, მოგებისა და წმინდა მოგების სიდიდით საშუალო კაპიტალისტური მეწარმეების რანგისა იყვნენ: მ. სინიცინი, ე. ბიხოვცევი, ი. დიადიუში, ა. სობეცკი, ნ. პასეკი, ა. სტოიანოვი, ო. ლოპატო და სხვ.

მიწისმფლობელთა ამ ახალ ჯგუფში ქართველთა რიცხვი მცირე იყო. მათგან აღსანიშნავია ალი-აღა ბაშა ზადე (მახარაძე), რომელსაც მახინჯაურში 13,7 დესეტინა კულტურული ნაკვეთი ჰქონდა და სასაქონლო პროდუქციას აწარმოებდა.

ცარიზმი მუსლიმანური რელიგიური დაწესებულებების მიწათმფლობელობას ნაკლებად ეხებოდა. მიუხედავად ამისა, მიწათმფლობელობის ამ ფორმამ საგრძნობი ცელილებები განიცადა. 900-იან წლებში ბათუმის ოლქში 257 მეჩეთი აღირიცხა, ზემო აჭარაში კი - 31. მათ საკუთრებაში 144 დესეტინა ითვლებოდა. აქედან 85 დესეტინა ბათუმის ოკრუგის, ხოლო 59 დესეტინა ართვინის ოკრუგის მეჩეთებზე ნაწილდებოდა. ბათუმის ოკრუგში შედარებით მსხვილი ადგილ-მამული რამდენიმე მეჩეთს ჰქონდა. მათგან კახაბრის მეჩეთს - 50, გონიოს - 23,5, სიმონეთის - 10, ზემოხევის - 15, ხალას - 8,3 დესეტინა. ართვინის ოკრუგში კი ყველაზე დიდი მიწის ფართობი (4,5 დესეტინა) სოფელ უნისხევის (შავშეთ-იმერხევი) მეჩეთს ჰქონდა.[66] ქრისტიანული ეკლესიებიდან მიწის ნაკვეთი მხოლოდ ართვინის ეკლესიას (0,74 დესეტინა)

---

[63] სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ. 515, ან. 91, ს. 9, ფურც. 20; ს. 164, ფურც. 292.

[64] Клинген И.Н. Краткое описание Чаквинского субтропического хозяйства в связи с результатами удельной экспедиции на дальнем востоке. С-Пб., 1900, с. 14-20; ამხფ. ს. 65, ფურც. 85-87.

[65] სცსსა, ფ. 13, ან. 10, ს. 604, ფურც. 15-42; Друг издалека, Документы из истории Грузинско-Китайской дружбы. с. 70; აცსა, ფ. 24, ს. 6, ფურც. 10, ფ. 84, ს. 52, ფურც. 79, „ბათუმის გაზეთი", 1911, №65.

[66] სცსსა, ფ. 12, ან. 10, ს. 2026, ფურც. 47-51.

გააჩნდა.[67]

ცვლილებები მუსლიმანურ სავაყუფო მიწათმფლობელობაში იმით გამოიხატა, რომ ზოგიერთ მათგანს სავაყუფო სოფლები ჩამოართვეს. ასე მოხდა, მაგალითად, ზემო აჭარაში: ხულოს მეჩეთს ხიმშიაშვილების მიერ შეწირული სოფლები ჩამოართვეს და მათი შემოსავალი რუსეთის ხაზინაში გადაეიდა.

ბათუმში სახელმწიფო საკუთრებასა თუ კერძო პირების ხელში მოექცა აზიზიეს, ახმედიეს, მუფთიეს მეჩეთების მიწები. მაგალითად, აზიზიეს მეჩეთს 9 დესეტინა და 2034 კვადრატული საჟენი ეკუთვნოდა, რაც 268 ნაკვეთად იყოფოდა. ეს მიწები კერძო პირებმა ჩაიგდეს ხელში. 1885 წლამდე მათგან გადასახადებს რუსეთის მთავრობის შესაბამისი უწყების მოხელეები კრეფდნენ და მეჩეთს აძლევდნენ. მომდევნო წლებში ეს მიწები გაეიდეს. ახალმა მფლობელებმა მეჩეთის სასარგებლოდ გადასახადზე უარი განაცხადეს. სახელმწიფო იძულებული გახდა თვითონ ეკისრა ამ თანხის გაღება. მთავრობის 1885 წ. 8 თებერვლის დადგენილებით ბათუმის აზიზიეს მეჩეთს ქალაქის შემოსავლიდან ყოველთვიურად 51 რუბლი გამოეყო, რაც წლიურად 612 რუბლს შეადგენდა.[68]

ამრიგად, ბათუმის ოლქის მიწათმფლობელობის ხასიათსა და ფორმებში საგრძნობი ცვლილებები მოხდა. სახელმწიფოს საკუთრება ადგილ-მამულებზე რეალურად დამყარდა, რაც ოსმალეთის ბატონობის ხანაში ნომინალურად არსებობდა. ადგილობრივი პრივილეგირებული წოდების (აღა-ბეგების) მამულები გასხვისებისა თუ საგვარეულოს გაყოფის შედეგად შემცირდა. ვაჭარ-მრეწველთა და ცარიზმის ჩინოვნიკების სახით სოფლად მიწისმფლობელთა ახალი ჯგუფი - აგრარული ბურჟუაზია ჩამოყალიბდა. პროცესები ევოლუციურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ წინააღმდეგობრივად, ინტერესების დაპირისპირების ვითარებაში მიმდინარეობდა.

§2. მიწის რენტის ფორმები და საგადასახადო სისტემა

ბათუმის ოლქში შესამჩნევი ცვლილებები განიცადა მიწის რენტის ფორმებმა და საგადასახადო სისტემამ. მართალია, არსებობდა მიწის რენტის სამივე ფორმა, მაგრამ სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარების, საქალაქო ცხოვრებისა და აღებ-მიცემობის აღმავლობის კვალობაზე გაბატონდა ფულადი რენტა. ახალ პირობებში რენტის ეს ფორმა პასუხობდა როგორც ხაზინის, ისე ბურჟუაზიის, საუფლისწულო უწყებისა და ადგილობრივი აღა-ბეგების ინტერესებს. ამასთან, საადგილმამულო საგადასახადო სისტემაში ცვლილებები ნელი ტემპით მიმდინარეობდა. რუსეთის მმართველობის ხანაში, ისევე, როგორც ოსმალთა ბატონობის პერიოდში, რენტა და ბეგარა-გადასახადები ერთმანეთს ემთხვეოდა. გლეხკაცის ცხოვრება მძიმე და აუტანელი რჩებოდა, მის ნაშრომ-ნაოფლარს მრავალი წამგლეჯი ჰყავდა. მათგან ყველაზე დიდი ექსპლუატატორი სახელმწიფო იყო. ცხადია, მიწის რენტის უდიდესი ნაწილი ხაზინაში შედიოდა, რამდენადაც სახელმწიფო ყველაზე მსხვილი მესაკუთრე იყო.

[67] იქვე, ფ. 13, ან. 22, ს. 174, ფურც. 1.
[68] იქვე, ფ. 13. ან. 7, ს. 2909, ფურც. 82; ფ. 12, ან. 10, ს. 2026, ფურც. 17; ფ. 229, ს. 409, ფურც. 1-11.

ოსმალური გადასახადების სახეები, ბეგარა-ვალდებულებანი და საგადასახადო სისტემა რუსეთის მთავრობამ შეინარჩუნა 900-იან წლებამდე. ასეთი მიდგომა მთავრობისათვის პოლიტიკურად და ეკონომიკურად სარფიანი ჩანდა. ამასთან, იგი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შენიღბვის თავისებურ მცდელობად წარმოგვიდგება.

მოსახლეობის შესაძლებლობასა და მდგომარეობას ანგარიში არ გაუწიეს. ცარიზმის საგადასახადო პოლიტიკით აღშფოთებული გაზ. „დროება" 1879 წელს წერდა: აჭარლების მდგომარეობა სამწუხაროა. უკანასკნელი ორი წლის ომის გამო ხალხს არ მოუხნავს, არ დაუთესია და, მაშასადამე, მოსავალიც არ მიუღია. ასეთ პირობებში გადასახადების დაკისრება ძალზე ძნელი იქნება. გაზეთი მთავრობისაგან მოითხოვდა გადასახადების სამი-ოთხი წლით მაინც გაუქმებას.[69]

ოსმალური გადასახადებისა და გამოსაღებებიდან ცარიზმმა შეინარჩუნა: აშარი, რუსუმათ-არაზი, აღნამ-რასმი და სალიანი. მართალია, აღწერასა და საგადასახადო უწყისებს კვლავ სოფლის მამასახლისი (მუხტარი) აკეთებდა, მაგრამ მთავრობის საოლქო ადმინისტრაცია მკაცრად აკონტროლებდა. საგადასახადო უწყისებს ოკრუგის უფროსი, ან მისი თანაშემწე ამტკიცებდა.

რუსეთის ბატონობის პირველ წლებში ოლქის მოსახლეობა აშარს (მოსავლის მეათედი)ძირითადად ნატურით იხდიდა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას გლეხები სავაჭრო პუნქტებამდე თვითონ ეზიდებოდნენ. შემდეგ კი გუბერნატორის განკარგულებით იყიდებოდა, ამონაგები თანხა კი სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა.[70]

საძოვარზე დადგენილი გამოსაღები (აღნამ-რასმი და რუსუმათ-არაზი), აგრეთვე, საკომლო გადასახადი (სალიანი) ფულადი იყო - თითოეულ კომლზე 50 კაპიკის ოდენობით. 1886 წ. ბათუმის ოკრუგში (ქალაქის გამოკლებით) 8315, ხოლო ართვინისაში - 7130 კომლი ცხოვრობდა. საკომლო გადასახადი ორივე ოკრუგში ერთად აღებული 7723 რუბლს შეადგენდა.[71] არტაანის ოკრუგში გაწერილი საკომლო გადასახადი 2929, ხოლო ოლთისისაში - 1686 რუბლი იყო.[72]

საძოვარზე დაწესებული გამოსაღების ოდენობა პირუტყვის სულადობით განისაზღვრებოდა. მოსახლეობა ჯოგის თითოეულ სულზე 15-დან 20 კაპიკამდე იხდიდა (წვრილფეხა პირუტყვზე - 15 კაპ. მსხვილფეხაზე - 20 კაპ.).[73] XIX საუკუნის 80-იან წლებში არტაანის ოკრუგის მოსახლეობას საძოვარ-საბალახოებით სარგებლობისათვის 26812 მან. უნდა გადაეხადა (თითოეულ კომლზე საშუალოდ 4 მან. და 40 კაპ.). ოლთისის ოკრუგში საქონლის სულადობა არტაანთან შედარებით ნაკლები იყო და 8426 რუბლს იხდიდა (კომლზე საშუალოდ 2 რუბლი და 50 კაპ.).[74] დაახლოებით ასეთივე სურათი გვაქვს ბათუმისა და ართვინის ოკრუგებშიც.

ყველაზე მძიმე და აუტანელი იყო მეათედი. მთავრობის მოხელეთა თვითნებობის, ბოროტმოქმედებისა და საერთო განუკითხაობის პირობებში აღნიშნული გამოსაღები კიდევ უფრო დამძიმდა. გაზ. „ივერია" მიანიშნებდა: აშარი ხალხისათვის მძიმე და აუტანელი ტვირთია, დიდ უკმაყოფილებასა და ბოროტმოქმედებას ჰბადებსო.[75]

1878-1882 წლებში რუსეთის ადგილობრივმა მოხელეებმა აშარის შემოსავალი

---

[69] გაზ. „დროება", 22 აპრილი, 1879.
[70] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 49.
[71] КК на 1899 год. 1898, с. 30-31.
[72] Карсская область. Свод статистических данных. Тиф., 1889, с. 276.
[73] КК на 1917 год. Тиф., 1916, с. 324.
[74] Карская область. Свод статистических данных. Тиф., 1889, с. 276, 279.
[75] გაზ. „ივერია", 15 დეკემბერი, 1890.

ზუსტად ვერ დაადგინეს. ამას მთავრობის ჩინოვნიკები იმით ხსნიდნენ, რომ ბათუმისა და ყარსის ოლქებში მიწის მოსავლის საშუალო მახასიათებლები ცნობილი არ იყო. ამასთან, მოსახლეობის ნაწილის ოსმალეთში გადახვეწის გამო საერთო მონაცემების დაზუსტება შეუძლებელი იყო. ამიტომ თითოეულ სოფელს განსხვავებული გამოსაღები ჰქონდა შეწერილი და შემოსავალიც უფრო შემცირდა, ვიდრე მთავრობა მოელოდა.[76]

მომდევნო წლებში მთავრობის მოხელეებმა საგრძნობი მუშაობა გასწიეს: დეტალურად აღწერეს სოფლები, კომლები, ორივე სქესის მოსახლეობა, ყველა სახის მიწები, მოსავალი, შეადგინეს შესაბამისი ცნობები, დააზუსტეს გადასახადები. ეს მონაცემები საშუალებას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ აშარის ოდენობის შესახებ (იხ. ცხრილი 2).

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ წლებში ართვინის ოკრუგიდან ხაზინაში შედარებით მეტი თანხა შედიოდა. ეს იმით აიხსნება, რომ ამ მხარეში დამუშავებული მიწები და მოსავალიც მეტი იყო. აღნიშნულ ოკრუგში შედარებით დიდი ოდენობით აშარს იხდიდნენ არტანუჯისა და შავშეთ-იმერხევის საპოლიციო უბნების სოფლის საზოგადოების წევრები (განურჩეველად წოდებისა).

ცხრილი 2

ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში მოსახლეობის
მიერ გაღებული აშარის ფულადი მაჩვენებლები (რუბლებით)[77]

საპოლიციო უბნებისა და ოკრუგების დასახელება	1882 წ.	1883 წ.	1884 წ.	1885 წ.	1886 წ.	1882-1886 წწ. თითო კომლზე მოდიოდა
კინტრიშის	4367	5295	5407	3750	3817	4 15
გონიოს	6894	8222	8819	9846	7379	4 66
ქვემო აჭარის	3684	3959	4025	5129	5283	1 72
ზემო აჭარის	7099	7690	7678	8120	9028	3 36
სულ ბათუმის ოკრუგში	22044	25166	25929	26845	25507	3 15
ართვინის	8778	8179	7392	7528	6693	4 35
არტანუჯის	18438	15691	13223	16183	17694	6 49
შავშეთ-იმერხევის	11198	13690	12204	11214	9850	4 32
სულ ართვინის ოკრუგში	38414	37560	32819	34925	34237	4 66

ბათუმის ოკრუგში 1882-1886 წლებში აშარის გამოსაღებით მეტად დატვირთული იყო ზემო აჭარისა და გონიოს საპოლიციო უბნების მოსახლეობა. საერთოდ აღნიშნულ წლებში თითო კომლზე ყველაზე მეტი გამოსაღები გაუღიათ არტანუჯის, ართვინის, შავშეთ-იმერხევის, გონიოსა და კინტრიშის ზონების მცხოვრებლებს.

აშარს ქალაქ ბათუმის მიწისმფლობელი მოსახლეობაც იხდიდა. მაგალითად, 80-იანი წლების მეორე ნახევარში აშარი 1058 მან. და 40 კაპ. ოდენობით ბათუმის 336

[76] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 2.
[77] იქვე, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 10-42.

კომლს გადაუხდია (თითო კომლზე საშუალოდ 3 რუბლ. და 15 კაპ.).[78] 90-იანი წლების საგადასახადო რეფორმამდე აშარისაგან თავისუფალი ყოფილან არაქართველი ხიზნები (ბერძნები, ქურთები, ბოშები) - სულ 521 კომლი, თუმცა, ისინი აქაური მიწებით სარგებლობდნენ.[79]

აშარის ნატურით ამოღება ძნელი და მოუხერხებელი იყო - მთავრობის მოხელეები მოსაელის ოდენობის დადგენას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. ბუნებრივია, მოსახლეობა შეეცდებოდა დაბალი მაჩვენებლები მიეცათ. ტრანსპორტირება და საეაჭრო პუნქტებში პროდუქციის რეალიზაცია მთელ რიგ სიძნელეებს უკავშირდებოდა. ადგილი ჰქონდა პროდუქციის დანაკარგებსაც.

რუსეთის მთავრობა მიწის ფულადი რენტის შემოღების აუცილებლობის წინაშე იდგა. მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, ფინანსთა სამინისტრომ 1887 წლის 26 ივნისს სპეციალური დებულება დაამტკიცა. ამიერიდან ნატურალური აშარი ფულადით იცვლებოდა. მიწის მეათედი გამოსაღები მოწეული მოსაელის ნაცვლად, დაწესდა უშუალოდ საეარგულ მიწაზე მისი სიდიდისა და ეარგისიანობის გათვალისწინებით.

ნატურალური რენტის ფულადით შეცვლასთან დაკავშირებით რუსეთის მოხელეებმა აღწერეს ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ადგილმამულები, განსაზღვრეს მიწების ეარგისიანობა, შეადგინეს საგადასახადო უწყისები, დაადგინეს გადასახადების ოდენობა. საგადასახადო რეფორმა გატარდა: ყარსის ოლქში 1887-1888, ხოლო ბათუმის ოლქში 1888-1891 წლებში.

ეარგისიანობის მიხედვით მიწები დაიყო: ყარსის ოლქში - 13, ბათუმის ოკრუგში - 6, ხოლო ართვინისაში - 5 კატეგორიად. ყველაზე ნაყოფიერი მიწები აღირიცხა არტაანის ოკრუგში, კინტრიშისა და შავშეთ-იმერხეეის უბნებში. საღალო გამოსაღების სიდიდე დამოკიდებული იყო მიწის ნაყოფიერებაზე.[80]

ნატურალური გადასახადის ფულადით შეცვლამ მნიშვნელოვნად დააჩქარა სასაქონლო წარმოების განვითარება. ამ აქტმა სოფლის მწარმოებელი მოსახლეობა მჭიდროდ დააკავშირა ქალაქებსა და საეაჭრო დაბებთან. ამდენად, ფულადი გადასახადების შემოღება პროგრესული ღონისძიება იყო, მაგრამ იგი სოფლის მშრომელ მოსახლეობას დამატებით სიძნელეებს უქმნიდა - ბაზარზე საქონლის ტრანსპორტირება, მისი რეალიზაცია, ღამეების თენება, ზოგჯერ ღია ცის ქვეშ, მოხერხებული როდი იყო. ამიტომ გლეხი ამჯობინებდა თავისი პროდუქცია ადგილზე ჩარჩ-ეაჭრებისათვის ჩალის ფასად მიეყიდა.

გადასახადების ოდენობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 1882-1886 წლებში ბათუმის ოკრუგის მოსახლეობა საშუალოდ წლიურად 25424 რუბლს იხდიდა, ფულადი გადასახადის შემოღების შემდეგ, აღნიშნული მახასიათებელი 28607 რუბლამდე, ე.ი. 3283 რუბლით და კიდეე მეტად გაიზარდა. ართვინის ოკრუგში ანალოგიური მაჩვენებლები შესაბამისად 35534 და 37206 რუბლს შეადგენდა. ზოგიერთ უბანში გადასახადები მესამედით და კიდეე მეტად გადიდდა (ასე იყო, მაგალითად, ქეემო აჭარაში).[81]

მოსახლეობისაგან გადასახადების ამოღება იოლი საქმე არ იყო. ხალხი ურჩობდა, გადასახადებზე უარს ამბობდა. მართალია, ურჩების წინააღმდეგ პოლი-

[78] იქვე. ფ. 229, აღ. 2, ს. 674, ფურც. 42-43.
[79] იქვე. ფურც. 3-4.
[80] იქვე. ფ. 229, აღ. 2, ს. 674, ფურც. 51-55, 278-289.
[81] იქვე. ფ. 229, აღ. 2, ს. 674, ფურც. 279-289.

ციასაც იყენებდნენ, მაგრამ მოვალე კომლები და სოფლები მაინც ბევრი იყო. საკმაოდ დიდი იყო გადასახადების ნარჩენებიც.

მოსახლეობის ურჩობა სიღარიბით იყო გამოწვეული. მთაგორიანი რელიეფი, ღვარცოფებისაგან ჩამორეცხილი მწირი მიწები და სისტემატური გვალვები ხალხს საშუალებას არ აძლევდა საჭირო ჭირნახული მიეღო. მრავალჯერ აღინიშნა მოუსავლიანობა. 1893-1894 წლებში სოფელ ბორჩხადან (ართვინის ოკრუგი) „ივერიის“ კორესპოდენტი ივანე ჯაიანი იტყობინებოდა, — გვალვებმა მოსავალს დიდი ზიანი მიაყენაო.[82] მეტწილად ასე იყო სხვა წლებშიც. ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორის 1896 წლის ანგარიშში ხაზგასმულია ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში მოუსავლიანობის შესახებ.[83]

გაზ. „ივერიის“ კორესპონდენტის აბდულ მიქელაძის ცნობით, 1897 წელს ქვემო აჭარაში გაუსაფხულსა და ზაფხულში ხანგრძლივი გვალვა, ხოლო შემოდგომაზე — კოკისპირული წვიმები ყოფილა. ამის შედეგად მოსავალი განადგურებულა.[84] უკვე 1900 წ. აბდულ მიქელაძე იტყობინებოდა: უამინდობის გამო ქვემო აჭარაში სიმინდის ყანები დაიწვა, ხეხილის მოსავალი განადგურდა, ნიგვზის ხეები ისე დაზიანდა, რომ 5 წლის განმავლობაში ნაყოფს ვეღარ მივიღებთო.[85] გაზეთის ცნობით, 1901 წ. აჭარისწყლისა და მაჭახლის ხეობებში წვიმების შედეგად გამოწვეულმა ღვარცოფებმა მიწები მთლიანად ჩამორეცხა და მოსახლეობას ყანების ნაცვლად გატიტვლებული ქედები შერჩათო.[86] უამინდობის შედეგად მოუსავლიანობა 1903 წელსაც აღინიშნა.[87]

რუსეთის მთავრობა სისტემატიურ მოუსავლიანობას ანგარიშს არ უწევდა და მოსახლეობისაგან გადასახადებს ჯიუტად მოითხოვდა. კიდევ მეტი, მას სისტემატიურად ზრდიდა. გაზ. „ივერია“ წერდა: მოუსავლიანობის მიუხედავად, ხალხი მეტი გადასახადებით დაბეგრეს, ჯამაგირიანი მამასახლისების და მწერალ-მდივნების თანამდებობები შემოიღეს, სასოფლო მმართველობის კანცელარიების შენობების აგება და მათი მოწყობაც დააკისრეს. „ამის გამო, - განაგრძობს კორესპონდენტი, - აქაური მცხოვრებლები დიდად შეწუხებული არიან“.[88]

ცენტრალური მთავრობა, კავკასიის სამხარეო ადმინისტრაცია კარგად ხედავდა, რომ აჭარასა და ტაო-კლარჯეთში ოსმალური გადასახადების შენარჩუნება სარფიანი აღარ იყო. საგულისხმოა, რომ კავკასიის რეგიონში ერთიანი საგადასახადო სისტემა საერთოდ არ არსებობდა, რაც მრავალ გაუგებრობასა და სიძნელეს ქმნიდა არა მარტო ამ მხარის, არამედ, აგრეთვე, მთლიანად იმპერიის მასშტაბითაც. ამიტომ აუცილებელი იყო ცვლილებები. მთავრობის დადგენილებით, 1901 წელს კავკასიაში საგადასახადო სისტემის რეფორმა გატარდა. ყველა წინანდელი გადასახადი გააუქმეს და ადგილ-მამულების დაბეგვრის ერთიანი წესები შემოიღეს. ეს რეფორმა ყარსის ოლქს, ბათუმისა და ართვინის ოკრუგებსაც შეეხო. აქ, როგორც მთლიანად კავკასიაში, ადგილ-მამულები დაიბეგრა: სახელმწიფო საღალო გამოსაღებით, საერობო მოსაკრებელით და სახელმწიფო მიწის გადასახადით. პირველი სახაზინო მიწებზე დაწესდა, მეორე - ყველა სახის მიწებზე, ხოლო მესამე - კერძო საკუთრებაში მყოფ მამულებზე. მთავრობის შესაბამისი ორგანოები აღნიშნული სახის გადასახადების

[82] გაზ. „ივერია“, 18 აგვისტო, 1893; 21 მაისი, 1894.
[83] სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ფონდები, ან. 1, ს. 49, ფურც. 97.
[84] გაზ. „ივერია“, 11 ივლისი, 28 სექტემბერი, 1897.
[85] იქვე, 1 აგვისტო, 1900.
[86] იქვე, 18 აგვისტო, 1901.
[87] იქვე, 28 ოქტომბერი, 1903.
[88] იქვე, 18 აგვისტო, 1901.

ნუსხას სამი წლით წინასწარ ადგენდნენ. ამიერიდან გადასახადები მიწის ფართობზე დაწესდა, მოსავალი სათვალავში აღარ მიიღებოდა.

გადასახადების ამოღება ადგილობრივი, საგუბერნიო, სამხარეო და თვით ცენტრალური ორგანოების მთავარ საქმედ რჩებოდა. რეფორმის შემდეგ ეს საქმე უშუალოდ გუბერნიების სახაზინო პალატებს დაეკალათ. საქართველოში ორი ასეთი უწყება არსებობდა: ერთი ქუთაისის, ხოლო მეორე თბილისის გუბერნიაში. ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიის სახაზინო პალატას ექვემდებარებოდა, ხოლო ყარსის ოლქი - ერევნის გუბერნიის ანალოგიურ უწყებას. სახაზინო პალატების დასაყრდენი ძალა იყო სასოფლო საზოგადოებების მამასახლისები და სასოფლო ოკრუგების უფროსები.

საადგილმამულო რენტის ძირითადი სიმძიმე სახელმწიფო სანადელო მიწებზე მოდიოდა (1905 წ. - 97 %, 1915 წ. - 84%), 1915 წელს საღალო და საერობო გამოსაღებით დაბეგრილი იყო 465 სოფელი (ბათუმის ოკრუგში - 301, ართვინისაში - 164 სოფელი).[89]

სანადელე მიწებზე გაწერილი საღალო გამოსაღები მნიშვნელოვნად შეიცვალა. საერთოდ საგადასახადო განაკვეთები მყარი არ იყო. 1902-1907 წლებში სოფლის მოსახლეობის საადგილმამულო საღალო გამოსაღების განაკვეთები ძირითადად ერთი და იგივე დარჩა. შემცირების ტენდენცია 1908 წლიდან შეიმჩნეოა. უკვე 1915 წელს 1905 წელთან შედარებით სანადელე მიწებზე გაწერილი საღალო გამოსაღები მესამედით და კიდევ მეტადაა შემცირებული. ამის მიზეზი იყო მოსახლეობის მიერ მიწის ზოგიერთი ნაკვეთის მიტოვება. ძირითადად ეს იყო საძოვრები და ტყე-ბუჩქნარები, ნაწილი კი მოახალშენეებმა შეიძინეს.

კერძო მიწებზე გაწერილი გადასახადები საგრძნობლადაა გაზრდილი. მაგალითად, 1905-1915 წლებში ამ კატეგორიის ადგილ-მამულების გადასახადის ოდენობა თითქმის სამჯერ გადიდდა, ძირითადად, კერძო საკუთრების მიწების გაზრდით. ადგილ-მამულების კერძო მესაკუთრენი მეტწილად მოახალშენეებია. 1915 წ. ბათუმის ოლქში კერძო მესაკუთრეა 463 კაცი, რომლებიც საადგილმამულო გადასახადებით იყო დაბეგრილი. ამათგან 439 მესაკუთრე ბათუმის ოკრუგში, ძირითადად, ზღვისპირეთში სახლობდა. წლიურად თითოეული მათგანი საშუალოდ 14 რუბლს იხდიდა.[90]

საადგილმამულო ფულადი რენტის სამი სახიდან (საღალო და საერობო გამოსაღებები, მიწის გადასახადი) წამყვანი იყო საღალო გამოსაღები. 1915 წ. იგი თითქმის ორჯერ აღემატებოდა სახელმწიფო სანადელო მიწებზე დაწესებულ საერობო გამოსაღებს, ცამეტჯერ - საადგილმამულო გადასახადს, რომლითაც კერძო მიწები იყო დაბეგრილი.

ფულადი რენტის ერთ-ერთი სახე იყო ტყის გადასახადი და ბაჟი. პირველი დაწესებული იყო სამშენებლო ხე-ტყეზე, ხოლო მეორე - შეშაზე. ტყის გადასახადი მთავრობამ 1895 წ. შემდეგ შემოიღო, როდესაც ადგილმამულები მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს სისტემაში გადავიდა. მაგალითად, ქვემო აჭარის (ბათუმის ოკრუგი) მოსახლეობა 100 ცალ ყავარზე 2-2,5 რუბლს იხდიდა. ამასთან, ყველა სოფლის მოსახლეზე ტყის სარგებლობისათვის წლიურად გაწერილი იყო 3 რუბლამდე საბაჟო გამოსაღები.

ყარსისა და ბათუმის ოლქების მოსახლეობას რეფორმის შემდეგ კიდევ ახალი სახის საკომლო გადასახადი შეაწერეს - საერობო ბეგარა, რომელიც ორი სახისა იყო:

[89] КК на 1917 год., Тиф., 1916, с. 340-341.
[90] იქვე.

მუდმივი და დროებითი. პირველის შემოსავალი ხმარდებოდა სასოფლო მმართველობის მოხელეების, სასულიერო წოდების, სკოლებისა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა დაბალი ჩინის მოსამსახურე პერსონალის შენახვას. დროებითი საერობო ბეგარის შემოსავლები საზოგადოებრივი შენობების (ეკლესია-მონასტრები, სოფლის მმართველობის კანცელარიები, სკოლები და სხვ.) მშენებლობისა და რემონტისათვის იყო განკუთვნილი.

ბათუმის ოკრუგში საერობო ბეგარის შემოსავალი 1903 წ. 60771, ხოლო 1910 წ. - 62528 რუბლს შეადგენდა (თითო კომლზე, შესაბამისად, 4 და 5 რუბლი).[91] დაახლოებით ასე იყო სხვა წლებშიც.

საერობო ბეგარის სიმძიმეს ქედის (ბათუმის ოკრუგი) სკოლის მასწავლებლის კონსტანტინე მკურნალის ჩანაწერიც მოწმობს. იგი 1905 წელს წერდა: აჭარლებისათვის განსაკუთრებით მძიმე ტვირთია სასოფლო მმართველობის კანცელარიების შენობების შესყიდვისა და მოხელეების შესანახი ხარჯების გაღებაო.[92]

არანაკლებ მძიმე იყო ე.წ. სამხედრო ბეგარა. ამ გადასახადს აჭარაში „სალდათის ფულს" ეძახდნენ. რუსეთის მთავრობამ აქაური მოსახლეობიდან არმიაში გაწვევა ვერ შეძლო და იძულებული გახდა ოსმალური ბეგარა ბოლომდე შეენარჩუნებინა. მხოლოდ XX საუკუნის 10-იან წლებში შეეცადა ხელისუფლება მის გაუქმებას და მამაკაცების გაწვევას მეფის არმიაში.

ამ საკითხზე 1910 წელს მიმოწერა ჰქონდათ რუსეთის სამხედრო მინისტრსა და კავკასიის მეფისნაცვალს. ისინი შეთანხმდნენ სამხედრო გადასახადის გაუქმებისა და არმიაში ახალგაზრდობის საყოველთაო გაწვევის შესახებ, მაგრამ ამას წინ აღუდგა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი. იგი 1910 წ. კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენებდა: აქაური მუსლიმანი მოსახლეობა არ შეიძლება იყოს ერთგული და საიმედო ჯარისკაცი. სამხედრო ვალდებულებების შემოღება კი არა, ამ საკითხზე ხმების გავრცელებაც კი პანიკას გამოიწვევს და მოსახლეობა მასობრივად აიყრებაო. იგი სამხედრო ბეგარის გაუქმებას მოითხოვდა, რადგან აქაური მოსახლეობის „სალდათად" გაწვევას ნაადრევად თვლიდა.[93] მართლაც, მთავრობამ ამ განზრახვაზე ხელი აიღო და სამხედრო გადასახადი წინანდებურადვე ძალაში დარჩა. 1910 წელს, მაგალითად, მოსახლეობაზე გაწერილი სამხედრო ბეგარა, ე.წ. „სალდათის ფული" 15013, ხოლო წინა წლების ნარჩენებთან ერთად 17904 რუბლს შეადგენდა.[94]

მძიმე იყო შრომითი ბეგარაც. მართალია, ოსმალთა ბატონობის ბოლო წლებში (თანზიმათის გატარების შემდეგ) გლეხობა აღა-ბეგების კაბალისაგან განთავისუფლდა, მაგრამ შრომამიგება, როგორც შრომითი ბეგარის სახეობა, შემორჩა. რუსეთის მფლობელობის დროს მისი მასშტაბი გაიზარდა და გამოიყენებოდა პრივილეგირებული წოდების მამულებში და სახელმწიფო სახაზინო სამუშაოებზე. აჭარაში შრომამიგებამ ე.წ. ნადის ფორმა შეიძინა.

შრომითი რენტა ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა სახელმწიფო სამუშაოებზე (გზები, ხიდები და სხვა.). მისი ნაირსახეობა იყო სატრანსპორტო ბეგარა. ანაზღაურების გარეშე, ანდა უმნიშვნელო საზღაურით მოსახლეობას დიდძალი ტვირთი გადაჰქონდათ საკუთარი ხარ-ურემით და ცხენით. 1897 წ. ბათუმის ოლქში

[91] Обзор Батумской области за 1903. Бат., 1904, с. 22; КК на 1906 год. Тиф., 1905, с. 158; Обзор Батумской области за 1910 год. Бат., 1912, с. 108.
[92] Газ. «Черноморский вестник», 15 марта, 1905 г.
[93] ამავე, ს. 63, ფურც. 22-26, 34-36, ს. 67, ფურც. 40.
[94] Обзор Батумской области за 1910 год. Бат., 1912, с. 134.

შრომით ბეგარაზე 13268 კაცი, 732 ხარ-ურემი და 952 ცხენი გამოუყვანიათ (8538 კაცი ბათუმის ოკრუგიდან იყო). შესრულებული მთლიანი სამუშაოს ღირებულება 12124 რუბლს შეადგენდა.[95]

მომდევნო წლებში მასშტაბები გაიზარდა. 1902 წ. შრომითი ბეგარა 13480 კაცმა შეასრულა (ბათუმის ოკრუგიდან 3370, ხოლო ართვინის ოკრუგიდან - 10120 კაცი). მათ გამოიყვანეს 375 ხარ-ურემი და 647 ცხენი და 17560 რუბლის სამუშაო შეასრულეს.[96]

1903 წ. შრომითი ბეგარით კიდევ მეტი სამუშაოები შესრულდა. კერძოდ, 15160 კაცმა 567 ხარ-ურემი და 1331 ცხენი გამოიყვანა, 60771 რუბ. სამუშაო შეასრულა.[97] პირველი მსოფლიო ომის წლებში შრომით ბეგარაზე მასობრივად გამოჰყავდათ ბათუმის ოლქის მოსახლეობა. 1915 წ. ბორჩხაში გზებისა და ხიდების მშენებლობაზე 800 კაცი მუშაობდა.[98]

არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში მოსახლეობას უფრო მეტად საურმე ბეგარა ეკისრებოდა. 1906 წელს 5000 კაცი საკუთარი ხარ-ურემითა და ცხენით მუშაობდა.[99]

უმძიმესი იყო სააქციზო გამოსაღები. მას ახდევინებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, კერძოდ, თამბაქოს, ჩაის, ღვინისა და არაყის წარმოებისათვის. თამბაქოზე აქციზი 1879 წ., ხოლო მეჩაიეობაზე - 1903 წელს შემოიღეს. 1914 წ. ბათუმის ოლქის მოსახლეობა თამბაქოს ნედლეულის წარმოებაზე ყოველწლიურად 100 ათას რუბლამდე სააქციზო გამოსაღებს იხდიდა.[100] მრავალრიცხოვანი იყო საბაჟო გამოსაღებიც (ქორწინების, განქორწინების, უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისას სასამართლო-ნოტარიუსის საბუთების შედგენისათვის და ა.შ.).

გააჩნდა კი მოსახლეობას ამ მრავალრიცხოვანი საადგილმამულო გამოსაღებისა და ბეგარის გადახდის საშუალება? ცხადია, უმეტესობას არა. გადასახადების ძირითადი გადამხდელი საშუალო გლეხობა იყო. ბათუმის ოლქში ისინი, მდიდარ გლეხებთან ერთად, მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდნენ. გამონაკლისი იყო კინტრიშის უბანი, სადაც საშუალო გლეხი მოსახლეობის უმრავლესობად ითვლებოდა. საშუალო გლეხობა ჭარბობდა არტაანის და ოლთისის მოსახლეობაშიც. ვ.ლისოვსკი, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებში ჭოროხის მხარეს გაეცნო, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ტერიტორიის მეტი ნაწილი მთაგორიანი, ქვიანი და ტყე-ბუჩქნარითაა დაფარული. მიწა არასაკმარისია და რაც არის, მისი დამუშავება დიდ შრომასა და გარჯას მოითხოვსო. იგი მიუთითებდა მოსახლეობის უკიდურეს სიღარიბესა და გაჭირვებაზე.[101] იმერხევში (ართვინის ოკრუგი) მოსახლეობის სიღარიბეზე გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი" მოგვითხრობდა.[102] ქვემო აჭარის შესახებ ანალოგიურ ცნობებს იძლეოდა მასწავლებელი კოსტ. მკურნალი. მისი გადმოცემით, გლეხები ძალზე ცუდად იკვებებოდნენ, ხორცეულს წლის განმავლობაში მუსლიმანური დღესასწაულის დროს თუ მიირთმევენო. იშვიათი იყო ისეთი გლეხური კომლი, ვისაც 3-4 ფრთაზე მეტი ფრინველი ჰყავდა. თითო კომლს მცირე რაოდენობის რქოსანი პირუტყვი და ერთი თხა თუ ეყოლებოდა. ასეთი მდგომარეობა იმათაა

[95] Обзор Кутайской губернии за 1897 год. Кутаис, 1898, с. 44.
[96] Обзор Кутайской губернии за 1902 год. Кутаис, 1903, с. 45.
[97] Обзор Батумской области за 1903 год. Батуми, 1904, с. 22.
[98] გაზ. „თანამედროვე აზრი", 6 დეკემბერი, 1915.
[99] Обзор Карсской области за 1906 год. Карс, 1907, с. 28-29.
[100] ო.თურმანიძე, გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, ბათ., 1979, გვ. 21.
[101] Лисовский В.Я., Чорохский край. Тиф., 1887, с. 20.
[102] Газ. «Черноморский вестник», 6 марта 1905 г.

გამოწვეული, რომ მოსახლეობას მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარებისათვის საჭირო საკვები არ მოეპოვებაო.[103]

გლეხთა მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა სტიქიური უბედურებანი და სხვა ტრაგიკული მოვლენები. 1904 წელს შავშეთ-იმერხევში ძლიერი ქარიშხლის დროს, რასაც ხანძარი მოჰყვა, 26 საცხოვრებელი სახლი და სომხურ-კათოლიკური ეკლესიაც დაიწვა. ზარალმა 279130 რუბლი შეადგინა.[104] 1911 წ. დიდთოვლიანი და მკაცრი ზამთრის შემდეგ კი გვალვიანი გაზაფხულ-ზაფხულის გამო მოსახლეობამ მოსავალი ვერ მიიღო. ამასთან დაკავშირებით „ბათუმის გაზეთი“ სინანულით დასძენდა, რომ „სიღარიბისაგან გაძვალტყავებულ ხალხს რაღა ეს მოუსავლიანობა უნდოდაო“.[105]

ამრიგად, ბათუმის ოლქში 1878-1920 წლებში მიწის რენტის ფორმები და საგადასახადო სისტემა ისევე მძიმე იყო, როგორც ოსმალთა ბატონობისას. საგადასახადო რეფორმას, რომელიც 900-იანი წლების დამდეგს გატარდა, მოსახლეობისათვის შეება არ მოუტანია. შეიძლება ითქვას, ცარიზმისა და უცხოელი ინტერვენტების ბატონობისას საადგილმამულო და სხვა სახის გადასახადები და მოსაკრებლები კიდევ მეტად გაიზარდა, ხოლო მოსახლეობის ცხოვრების პირობები გაუარესდა.

§3. აგრარული მოძრაობა

საზოგადოებრივ მოძრაობაში აგრარულ უბანს განსაკუთრებული ადგილი უკავია და მოსახლეობის ფართო ფენებს მოიცავს. შემოერთებულ მხარეში ამ მოძრაობის ერთ-ერთი თავისებურება იყო მასში გლეხობასთან ერთად ადგილობრივი პრივილეგირებული წოდების (აღა-ბეგები) და უცხოელი მოახალშენეების მონაწილეობა. ცხადია, ყველას საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა.

აგრარული მოძრაობის ძირითადი ძალა, უწინარესად, გლეხობა იყო. ეს გასაგებია, რადგან მიწა-წყლის სიმცირე და დიდი გადასახადები ყველაზე მეტად მას აწუხებდა. გლეხობა კი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდა. 1897 წ. აღწერით ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში 142032 კაცი ცხოვრობდა, რომელთაგან 114887, ე.ი. მოსახლეობის 80% გლეხობა იყო.[106]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რუსეთის მმართველობის დროს აგრარულმა მოძრაობამაც ახალი მასშტაბი შეიძინა. 1878-1920 წლებში ამ რეგიონის აგრარულ მოძრაობაში პირობითად ოთხი ეტაპი აღინიშნება: 1) 1878-1904 წლები; 2) რუსეთის პირველი რევოლუციის ხანა; 3) 1907-1917; 4) 1918-1920 წლები. თითოეული ეტაპისათვის დამახასიათებელია ბრძოლის სპეციფიკური ფორმები, მასშტაბები და გამოვლენები. 1878-1904 წლებში დომინირებდა ბრძოლის მარტივი ფორმები (თხოვნა-საჩივრები, ურჩობა, აყრა-გაქცევა). ამ ფორმას საზოგადოების ყველა ჯგუფი და წოდება მიმართავდა.

მოსახლეობა ყველაზე მეტად აღშფოთებული იყო ადგილ-მამულზე საკუთრების ფაქტობრივი მდგომარეობის უგულებელყოფით, რაც გამოიხატებოდა მიწების ყიდვა-

---

[103] იქვე, 7 апрелья 1905 г.
[104] სანკტ-პეტერბურგის ცსია, ბიბლიოთეკის სპეცფონდი, ან. 1, ს. 49, ფურც. 1.
[105] „ბათუმის გაზეთი“, 13 დეკემბერი, 1913.
[106] Первая всеобщая перепись населения Российской империи. LXVI, Кутаиская губерния. С-Пб., 1905, с. 1-3.

გაყიდვის აკრძალვით, გადასახადების სიმძიმით, მთელი მიწების ხაზინაში გადაცემით და მხარის კოლონიზაციით. უჩიოდნენ მთავრობის მოხელეებს, საუფლისწულო უწყებას, ბურჟუაზიას, აღა-ბეგებს.

მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა ბათუმის საადგილმამულო კომისიის მისამართითაც, რომლის ზოგიერთი წევრი გამოძალვას ეწეოდა და დაპირებულ საქმეს ვერ აგვარებდა. გაზეთი „დროება" 1884 წლის 8 აპრილს წერდა: საადგილმამულო კომისიის მოხელემ აჭარელს გამოართვა ქრთამი იმ პირობით, რომ დაეხმარებოდა ადგილ-მამულის საკითხის გარკვევაში, მაგრამ საქმე ვერ მოაგვარა, ამის გამო ამ მოხელის წინააღმდეგ საჩივარი აღიძრა და მიცემული ქრთამის დაბრუნებას თხოულობენ.[107]

გლეხობა აღშფოთებული იყო მიწის ნაკვეთების მიზომვის ახალი წესით, რომელიც ტრადიციულად დამკვიდრებულს ეწინააღმდეგებოდა. თუ მანამდე მოსახლეობა მიწებს ნაკვეთობით ფლობდა, მთავრობამ საჟენობით მიზომვა დაიწყო, საჟენობით მოზომილი მიწა მცირე გამოდიოდა და ზოგიერთ მოსახლეს კარ-მიდამო შუაზე გაუყვეს. გლეხობა თავგამოდებით იბრძოდა ასეთი წესის წინააღმდეგ და მოითხოვდა მიწების ნაკვეთობით გადაცემას.[108]

პრობლემად იქცა ე.წ. „მუჰაჯირების მიწები". ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებში დიდძალი თხოვნა-საჩივარი შედიოდა, რომ მცირემიწიან და უმიწაწყლო გლეხობას ესარგებლა მუჰაჯირების თავისუფალი მიწებით, მაგრამ მთავრობა ამის ნებას არ იძლეოდა. 1888 წ. გონიოს საპოლიციო უბნის 16 სოფლის გლეხებმა პროტესტი განაცხადეს მუჰაჯირების მიწებისა და სხვა უძრავი ქონების სახელმწიფო უწყებაში გადაცემის გამო. კავკასიის მთავარმართებლის დონდუკოვ-კორსაკოვისადმი გაგზავნილ კოლექტიურ განცხადებებში გლეხები დაბეჯითებით მოითხოვდნენ მუჰაჯირების მიწების სოფლის საზოგადოების გამგებლობაში დაბრუნებას.[109]

1893 წ. ასეთივე პროტესტი გამოთქვეს ართვინის ოკრუგის არტანუჯის უბნის გლეხებმა. ისინი თავიანთ საჩივარში აღნიშნავდნენ, რომ ჯერ კიდევ 1881 წ. შეიძინეს მუჰაჯირების მიწები, 12 წლის განმავლობაში სარგებლობდნენ, საიჯარო ქირასაც (აშარი) იხდიდნენ, მაგრამ მაინც წაართვეს. გულდაწყვეტილი გლეხები მოითხოვდნენ მუჰაჯირების მიწების მათ სარგებლობაში დატოვებას.[110]

1893 წ. კინტრიშის უბნის ჩაქვის ხეობის მოსახლეობამ თხოვნა-საჩივარი გადასცა ჩაქვის საუფლისწულო მამულის დასათვალიერებლად ჩამოსულ მაღალი რანგის მოხელეს, თავად ვიაზემსკის. ისინი ჩიოდნენ, — მამაპაპეულ ადგილმამულებს ძალით გვართმევენ, ხოლო მუდმივმა საჩივარმა თუ სასამართლოში სიარულმა თავი მოგვაბეზრა და ლამის მშობლიური მხარის დატოვება ვარჩიოთო.[111]

ხელისუფლებას განუწყვეტლივ ეგზავნებოდა როგორც კოლექტიური, ისე კერძო თხოვნა-საჩივრები. პრივილეგირებული წოდებიდან ყველაზე უფრო შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი და მისი მემკვიდრეები აქტიურობდნენ. 1879 წ. შერიფ ხიმშიაშვილმა მთავრობას პროტესტი განუცხადა ხულოს (ზემო აჭარა) სავაყუფო სოფლების შემოსაელის მისაკუთრების გამო და მოითხოვა კანონიერი მფლობელებისათვის მისი გადაცემა.[112]

---

107 გაზ. „დროება", 8 აპრილი 1884.
108 გაზ. „დროება", 25 თებერვალი 1889; „ივერია", 22 მარტი 1905.
109 სცსსა, ფ. 243, ან. 4, ს. 88, ფურც. 20-21.
110 იქვე, ფ. 243, ან. 6, ს. 94, ფურც. 14.
111 გაზ. „ივერია", 20 ოქტომბერი 1893.
112 სცსსა, ფ. 12, ან. 10, ს. 162, ფურც. 31.

1879-1912 წწ. ხიმშიაშვილების საგვარეულო განუწყვეტლივ ჩიოდა ადგილ-მამულის წართმევის გამო. მოითხოვდა მათ დაბრუნებას და საკუთრებაში დამტკიცებას. მთავრობის სპეციალური კომისია ამ საკითხს 33 წლის განმავლობაში სწავლობდა.

ხიმშიაშვილებთან ერთად მთავრობას პროტესტს უცხადებდნენ აბაშიძეები, ბეჟანიძეები, ჩაკლეიშვილები, ბიბინეიშვილები და ა.შ. განსაკუთრებით ინტერესს იწვევს 1884-1888 წწ. ალექსანდრე III გაგზავნილი კოლექტიური განცხადებები. ჩიოდნენ იმის გამო, რომ მამაპაპეული ადგილ-მამულები სახაზინო საკუთრებად გამოაცხადეს და მიწებით ვაჭრობის უფლებას არ აძლევდნენ. ისინი მოითხოვდნენ მათ სარგებლობაში არსებული მიწების საკუთრებაში დამტკიცებას. მთავრობამ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მომჩივანთ ურჩია, მოეთმინათ საადგილმამულო საკითხის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტამდე.[113] ლოდინი კი წლობით გაგრძელდა. საქმის გაჭიანურების გამო უკმაყოფილო ბათუმის ოლქის აღა-ბეგები 1888 წ. 24 ნოემბერს იმპერატორს განმეორებით წერდნენ: უკვე 10 წელია, რაც რუსეთის ქვეშევრდომობაში ვართ და მიწათმფლობელობის წესებში ჩვენთან ცვლილებები არ მომხდარა. ყველაზე მეტად მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა გვაწუხებს. მიწები მემკვიდრეობით ან ნასყიდობით გვაქვს მიღებული და გთხოეთ, ნუ შელახავთ ჩვენს უფლებებსო. ისინი ჩიოდნენ იმის გამოც, რომ ხაზინამ მათ ჩამოართვა მუჰაჯირებისაგან შეძენილი მიწები. ბათუმის ოლქის მიწათმფლობელები იმპერატორს დაბეჯითებით თხოვდნენ: მიწა დაეტოვებინათ იმათ საკუთრებაში, ვის ხელშიც ამჟამად იმყოფება, მიეცათ ყიდვა-გაყიდვის უფლება და მუჰაჯირების მიწებზეც ისეთივე შეღავათები გაეერცელებინათ, როგორიც ახალციხის მაზრაში იყო.[114]

მოსახლეობის, განსაკუთრებით, გლეხობის, ახალი მძლავრი მღელვარება გამოიწვია ბათუმისა და ყარსის ოლქების მიწების ადგილობრივი მმართველობიდან მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სისტემაში გადაცემამ. ამის შედეგად მიწათსარგებლობის პირობები კიდევ უფრო გაუარესდა.

გლეხობა ყველაზე მეტად შეწუხებული იყო საძოვარ-სათიბების და ტყეებით სარგებლობის შეზღუდვის გამო. ამას მთავრობის მოხელეებიც ვერ მალავდნენ. ეინმე ბოშჩინი, რომელმაც ჩაქვის საუფლისწულო მამულის ტოპოგრაფიული რუკა შეადგინა, დასძენდა, ადგილობრივი მოსახლეობა შეუპოვრად იბრძვის ტყეებით სარგებლობაზე ტრადიციული უფლებებისათვის და მთავრობის მოხელეებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევსო.[115]

გლეხთა გამოსვლები განსაკუთრებით ძლიერი იყო 1894-1895 წლებში. 1894 წ. ზემო აჭარის ტყეები სახელმწიფო ქონებათა უწყებას რომ გადაეცა და მეტყევეები დანიშნეს, გლეხობა აჯანყდა. ისინი გაიძახოდნენ: ამ სულთამხუთველებს თუ არ მოგვაშორებთ, თავი ცოცხალი აღარ გვინდაო. ნოემბერში აჯანყებული გლეხები ხულოში შეიკრიბნენ და დაგმეს მთავრობის ძალმომრეობა. მათ ოთხკაციანი დეპუტაცია აირჩიეს და თხოვნა-საჩივრით პეტერბურგში მიაელინეს. თედო სახოკიას ცნობით, ზემო აჭარის უბნის უფროსმა ბერიძემ და მეტყევე აბაზაძემ დიდი ჯაფა გასწიეს აჯანყებული ხალხის დასამშვიდებლად. ისინი მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ მთავრობას თქვენი შევიწროება კი არ სურს, არამედ ტყის უწესო გამოყენების წინააღმდეგ იბრძვისო. თქვენ კვლავინდებურად შეგიძლიათ უბაჟოდ გამოიტანოთ

[113] იქვე, ფ. 12, ან. 10, ს. 162, ფურც. 31.
[114] იქვე, ფ. 231, ან. 2, ს. 62, ფურც. 42-48.
[115] აცსა, ფ. 22, ს. 62, ფურც. 13.

შეშა და სამშენებლო ხე-ტყეო.[116]

ხალხის მღელვარების ხმა პეტერბურგსაც მისწედა. საქმეში მაღალი რანგის მოხელენიც ჩაერიენენ. 1895 წ. 12 აპრილს მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს სწერდა: მე მაცნობეს, რომ ზემო აჭარის მოსახლეობა აღშფოთებულია, არ სურთ მიწები გადაეცეს სახელმწიფო ქონების უწყებას. მეფის სახელით ეაცხადებთ, რომ მოსახლეობა შეეიწროებული არ იქნება. სავარგულებითა და ტყეებით წინანდებურადვე ისარგებლებენო.[117] ხალხმა მაინც არ დაიჯერა. მაშინ მთავრობამ გლეხთა გამოსელა ძალით ჩააქრო, დააპატიმრეს მოთავეები. მიუხედავად ამისა, გლეხობა ადგილ-მამულისათვის ბრძოლას მაინც განაგრძობდა.

1895 წ. ზემო აჭარისა და შავშეთ-იმერხეეის გლეხებმა დონდუკოე-კორსაკოეს გადასცეს თხოვნა-საჩივარი. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მამა-პაპეულ ადგილ-მამულზე თავიანთი უფლებების შელახვის გამო და მოითხოვდნენ ტყეების, საძოვრებისა და საბალახოების თავისუფლად, ძველებური წესით, სარგებლობა-გამოყენებას. საქმეში ჩაერია იმპერიის თავდაცვის მინისტრი, რომელმაც კავკასიის მთავარმართველს ურჩია დაეტოვებინა ადგილ-მამული მხარის მოსახლეობის მფლობელობაში. და, მაინც, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს მოხელეები თავისას ჯიუტად იჩემებდნენ.[118] მაშინ აღშფოთებულმა გლეხობამ ბრძოლის რადიკალურ ხერხს მიმართა და ორი წლის განმავლობაში ტყის დიდი ნაწილი გაახმო. თედო სახოკია გადმოგვცემდა: „გული გწყდება ადამიანს ამ გაეგრანებული ტყის ყურებაზე და თანაც ვერ გაგიმართლებია ეს საცოდავი ხალხი და ვერც თუ სულ გაგიმტყუნებია“.[119]

ხალხი უარყოფითად შეხედა მეტყევეთა და ტყისმცველთა ინსტიტუტის შემოღებას და მისი გაუქმება მოითხოვა. ამის თაობაზე ბათუმის ოლქის სოფლებში გლეხთა შეკრებები იმართებოდა, სადაც სპეციალურ დეპუტაციებს ადგენდნენ. მათ ხელისუფლების ორგანოებში საჩიერები შეჰქონდათ. გასული საუკუნის 90-იან წლებში სოფელ ბორჩხადან (ართვინის ოკრუგი) ქუთაისში გლეხთა სამი დეპუტაცია გაიგზავნა.

ამ დეპუტაციების სამგზავრო ფულს თვითონ გლეხობა აგროვებდა. 1895 წ. ბორჩხას გლეხებმა თითოეული დეპუტაციისათვის 300-400 მანეთი შეაგროვეს. ი. ჯაიანის ცნობით, „--გაუთავებელი და ბოლომოუღებელი საჩიერისათვის ფულის გაღებამ წელში მოღუნა საწყალი ხალხი“.[120] ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს ქუთაისის სამართველოს მოხელეები, ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაცია გლეხთა მოთხოვნებს აშკარად უგულებელყოფდნენ. იმედგაცრუებული გლეხობა თავისი წარმომადგენლების პეტერბურგში გაგზავნას აპირებდა, მაგრამ უსახსრობის გამო ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო.[121]

მოსახლეობამ ადგილ-მამულზე დიდძალი სასარჩელო საქმე აღძრა. ამ საქმეების მეტი ნაწილი მიწების ყიდვა-გაყიდვას ეხებოდა. ქუთაისის საოკრუგო სასამართლომ, მისმა ბათუმის განყოფილებამ ადგილ-მამულის ნასყიდობის არაერთი საბუთი

116 თ.სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 219.
117 ამავე, ს. 63, ფურც. 4-5.
118 ო.თურმანიძე, გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, ბათ., 1979, გვ. 41.
119 თ.სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 220.
120 გაზ. „ივერია“, 17 თებერვალი, 1895; ო. თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 39-40.
121 იქვე.

დაამტკიცა, თუმცა, მთავრობა მათ კანონიერად არ თელიდა. 1895-1899 წწ. სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების ადგილ-მამულის საქმეს ქუთაისის საოკრუგო სასამართლო იხილავდა, მაგრამ მთავრობამ სასამართლოს განაჩენი მართებულად არ სცნო. ბოლოს, აბაშიძეებსა და სახაზინო უწყების მოხელეებს შორის ხელჩართული ბრძოლაც გაიმართა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მემედ-ბეგ აბაშიძემ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს წარმომადგენელს სილა გააწნა.

1901 წ. იანვარში ბათუმის ოლქში ჩამოვიდა „სტატსკი სოვეტნიკი" გ. ეჯუბოვი, რომელსაც ევალებოდა შეემოწმებინა მიწების ყიდვა-გაყიდვის საბუთების კანონიერების შემოწმება და ადგილზე არსებული კონკრეტული ვითარების შესწავლა.[122] ეს „ვიზიტიც" უშედეგო გამოდგა, რადგან ისევ გრძელდებოდა ადგილ-მამულით ვაჭრობა და სასამართლო-ნოტარიუსის ორგანოებში განხილვა. 1904 წ. ასლან და ბახრი ფაშა თავდგირიძეებმა ადგილ-მამულზე სარჩელი ქუთაისის საოკრუგო სასამართლოში შეიტანეს. ამასთან დაკავშირებით მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს ქუთაისის სამმართველოს უფროსი თავგამოდებით იცავდა ხაზინის ინტერესებს. იგი 1904 წ. 24 ივნისს ამავე უწყების კავკასიის რწმუნებულის იურიდიულ კონსულტანტს სწერდა, რომ დავთრებში მათი (თავდგირიძეების) მიწები არ წერიაო. თავდგირიძეების ბრძოლა მიწისათვის უშედეგოდ დამთავრდა.

აჭარის მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამდა უცხოელი მოახალშენეების მიერ ადგილ-მამულის დატაცებისა და კოლონიების შექმნის გამო. XIX ს. 80-იანი წლების დასაწყისში კინტრიშის საპოლიციო უბნის გლეხებმა დიდი აქციები მოაწყვეს ფიჭვნარში რუსული ახალშენის დაარსების გამო. გაზეთ „დროების" ცნობით, „ამ გარემოებას გამოუწვევია უთანხმოება, ჩხუბი და აყალმაყალი ადგილობრივ მცხოვრებთა და ახალ დასახლებულთა შორის".[123] 1889-1902 წლებში ართვინის ოკრუგის სოფელ ირსას გლეხები ჩიოდნენ, რომ იტალიის მოქალაქემ ანტონ სალერნიმ მთავრობის დახმარებით 240 დესეტინა მიწა იგდო ხელთ და სამთამადნო წარმოებას შეუდგა. ამის შედეგად მცირემიწიან მხარეში გლეხთა მიწათსარგებლობა უკიდურესად შეიზღუდა. გლეხები მოითხოვდნენ ამ ადგილ-მამულის მათსავე საკუთრებაში დაბრუნებას. საბოლოოდ, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მოსახლეობის მოთხოვნა სამართლიანია და აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდესო.[124]

გლეხები შეუპოვრად იბრძოდნენ საუფლისწულო უწყების წინააღმდეგ, რომელიც მათ არ აძლევდა ჩაქვის მთიანი ზონის მდელოებისა და ტყეების გამოყენების საშუალებას. მთავრობის მცდელობამ - გადაეყვანა ჩაქვის ხეობის გლეხები საუფლისწულო უწყებაში, მძლავრი მღელვარება გამოიწვია. ხალასა და გორგაძეების გლეხებმა 1898 წ. აპრილში ა. ჯიჯაკაძე, კ. ყურშუბაძე და ა. იმნაძე თხოვნა-საჩივრით წარგზავნეს კავკასიის მთავარმართებელთან. კოლექტიურ განცხადებაში ნათქვამია: დაახლოებით ერთი თვის წინათ ჩატარდა ხალასა და დიდიჯამეს (თანამედროვე ჩაქვის ჩაისუბანი) სოფლების გლეხთა შეკრება. გამოგვიცხადეს, რომ ჩაქვის საუფლისწულო მამულის დაქვემდებარებაში ვართ გადაყვანილი. ეს ჩვენთვის მძიმე ასატანია. საუფლისწულო უწყებამ ჯერ მიწები წაგვართვა, ახლა კი ჩვენი დამონება სურსო. მოსახლეობა საუფლისწულო უწყების დაქვემდებარებაში გადასვლის გადაწყ-

122 ო.თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45.
123 გაზ. „დროება", 2 დეკემბერი, 1884.
124 ო.თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 37-38.

ვეტილების გაუქმებას მოითხოვდა.[125]

დიდხანს გაგრძელდა გლეხობის ბრძოლა საუფლისწულო უწყებასთან მდელოებისა და ტყეების სარგებლობის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა მათ დასაბამიდან იყენებდა, მაგრამ ჩაქვის საუფლისწულო მამულის შექმნის შემდეგ ეს უფლება დაკარგა. ყველაზე მეტად დაზარალდნენ ჩაქვისა და ყოროლისწყლის ხეობების, აგრეთვე ქვემო აჭარის სოფლები.

მოსახლეობა არ ეპუებოდა საუფლისწულო უწყების მოხელეებს, ტყეებსა და მდელოებს გაბედულად იყენებდა, რისთვისაც ზოგჯერ იარაღსაც მიმართავდა. სხვანაირად მათ არ შეეძლოთ ცხოვრება და არსებობა. ამის გამო საუფლისწულო უწყებამ აჭარელ გლეხთა საქმე არაერთხელ გადასცა სასამართლოს. მათ ბრალს დებდნენ ნებართვის გარეშე მდელოების გამოყენებაში, შეშისა და სამშენებლო ხეტყის მოჭრაში. 1899 წ. საუფლისწულო მამულის ადმინისტრაციამ პასუხისგებაში მისცა ჩაქველი გლეხი ქემალ ყურშუბაძე. 1902 წ. ქვემო აჭარის სოფლების — ზუნდაგას, საღორეთის, მახუნცეთის გლეხებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ჩაქვის საუფლისწულო მამულის მოხელეებს, რომლებიც მოსახლეობას ედაეებოდნენ მდელოებითა და ხე-ტყით სარგებლობის თაობაზე.

გლეხებმა ს. მახუნცეთთან განაიარაღეს და უკანვე გამოაძევეს ჩაქვის საუფლისწულო უწყების მოხელეები. მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ საქმეში ჩაერევნენ პეტერბურგის საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველოს უფროსი კოზუბეი და კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი. ვითარების შესასწავლად 1902 წ. ჩამოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი. იგი ართვინის ოკრუგსაც ეწვია, რადგან იქაც უკიდურესად გამწვავებული იყო გლეხთა მოძრაობა. ამ მოგზაურობის შედეგად მთავრობამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ჩაქვის საუფლისწულო მამულისა და აღნიშნული სოფლების მოსახლეობის სადავო საკითხები.[126] კომისიამ კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება ვერ შეძლო და, ცხადია, სიტუაცია კვლავინდებურად დაძაბული რჩებოდა.

აგრარული მოძრაობის ისეთ ფორმას, როგორიცაა ურჩობა, ბათუმის ოლქში საყოველთაო ხასიათი ჰქონდა. იგი ბევრ შემთხვევაში მასობრივ გამოსვლებში, აჯანყებაში გადაიზრდებოდა. 1879 წ. იანვარში ზემო აჭარის, ტბეთის, ჭვანის, მარეთის ხეობის სოფლების გლეხებმა უარი განაცხადეს გადასახადების გადახდაზე. დაარბიეს შირინ-აღა დავითაძის სახლ-კარი, რომელსაც მთავრობისაგან დავალებული ჰქონდა გადასახადების აკრეფა.[127] გააქტიურდნენ ბათუმისა და ართვინის ოკრუგების გლეხებიც. მოძრაობა საყოველთაო იყო.[128]

გადასახადების ამოღებისათვის მთავრობა ყველა შესაძლო ღონისძიებას მიმართავდა, მაგრამ ურჩობა მაინც ვერ აღკვეთა. 1879-1900 წლებში გადასახადების ნარჩენებმა ე.წ. „ნედოიმკებმა“ 48623 მან. შეადგინა. ხელისუფლება იძულებული გახდა აღნიშნული თანხა ჩამოწერა.[129]

მოსახლეობის აყრა-გაქცევა ძირითადად დაკავშირებული იყო აგრარულ საკითხთან; იგი ყველაზე უფრო 1878-1904 და 1914-1918 წლებში გამოვლინდა. მოსახლეობამ ვეღარ აიტანა ადგილ-მამულზე ტრადიციული მესაკუთრული უფლებების შელახვა,

---

125 სცსსა, ფ. 231, ან. 1, ს. 274, ფურც. 16.
126 ო.თურმანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 44.
127 გაზ. „დროება“, 31 იანვარი, 1879.
128 იქვე, 22 აპრილი, 1879.
129 Обзор Батумской области за 1903 год. Бат., 1904, с. 22.

გადასახადების სიმძიმე და თავშესაფარი უცხო ქვეყანაში მოძებნა. ეს იყო დიდი ეროვნული უბედურება, რომლის წინააღმდეგ გაბედულად აღიმაღლეს ხმა ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, ს. მესხმა, ნ. ნიკოლაძემ, დ. ბაქრაძემ და სხვებმა. ისინი მოითხოვდნენ ხალხის მძიმე ხვედრის შემსუბუქებას, უწინარესად, გადასახადებისა და ბეგარა-ვალდებულებებისაგან დროებით მაინც გათავისუფლებას, მამაპაპეული ადგილ-მამულის მათსავე საკუთრებაში დამტკიცებას. სხვათა შორის, როგორც რუსეთის სამხედრო კორესპონდენტი ა.ფრენკელიც აღნიშნავდა, ოსმალეთში გადასახლება რომ შეწყდეს, მთავრობამ ოფიციალურად უნდა აღიაროს მოსახლეობის უპირობო უფლება უძრავ ქონებაზე (მიწაზე), რამდენიმე წლით გააუქმოს გადასახადები და ბეგარა-ვალდებულებანი.[130]

ხელისუფლებას კი ამის გაგონება არ სურდა. პირიქით, მიწების ხელში ჩაგდების მიზნით იგი ფარულად კიდეც უწყობდა ხელს მოსახლეობის აყრა-გაქცევას. სწორედ მთავრობის შეგნებული უმოქმედობით, პრაქტიკულად კი წაქეზებით, 1878-1880 წლებში ბათუმის ოლქიდან ოსმალეთში 21370 კაცი გადაიხვეწა, მათგან ნახევარზე მეტი (12350) ბათუმის ოკრუგიდან იყო.[131]

მართალია, 1882 წ. დამთავრდა ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან მუჰაჯირად წასვლის სამწლიანი ვადა, მაგრამ მოსახლეობის აყრა-გაქცევა მაინც გრძელდებოდა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, 1901 წ. მხოლოდ შავშეთიდან 800 კაცამდე გადასახლდა.[132]

უცხოეთში გადახვეწილები იქ ფუძეს ვერ ნახულობდნენ, ბევრი გზაზე იხოცებოდა, ნაწილი კი დაბრუნებას ამჯობინებდა, მაგრამ მეფის რუსეთის ხელისუფლება ისევ უკან ერეკებოდა. მრავალთაგან ამის მაგალითია ჩაქველი გლეხის სულეიმან ფითოზ-ოღლის ბედი. იგი 1879 წ. მუჰაჯირად წავიდა, მაგრამ ახალ პირობებს ვერ შეეგუა და 1881 წ. თავის მიწას დაუბრუნდა. აქაც მძიმე პირობები დაუხვდა და იძულებული გახდა ისევ მუჰაჯირად წასულიყო (1883 წ.). 13 წლის ხეტიალის შემდეგ, 1896 წ. იგი კვლავ მშობლიურ მხარეში დაბრუნდა, მაგრამ მისი, როგორც მუჰაჯირის ადგილ-მამული უკვე საუფლისწულო უწყების საკუთრებაში იყო. ადგილ-მამულის გამოხსნისათვის სულეიმან ფითოზ-ოღლიმ დიდი ჯაფა გასწია. არაერთხელ მიმართა მთავრობის ორგანოებს თხოვნა-საჩივრით. 1905 წ. 31 იანვარს კავკასიის მეფისნაცვალს წერდა, რომ მისი ოჯახისათვის მიწის წართმევა სასიკეთილო განაჩენია და დაბეჯითებით ითხოვდა დახმარებას, მაგრამ ამაოდ. განაწამები მუჰაჯირის თხოვნა-საჩივარი დიდხანს გაგრძელდა. 1908 წლის 15 მარტს კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით მას უარი ეთქვა ადგილ-მამულსა და რუსეთის ქვეშევრდომობაზე.[133]

1905-1907 წლებში აგრარული საკითხი რევოლუციის შინაარსს განსაზღვრავდა. იგი საერთო დემოკრატიულ მოძრაობას გადაენასკვა. როგორც მთლიანად საქართველოში, ისე ბათუმის ოლქში მოსახლეობა აგრარულთან ერთად სოციალურ-პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებდა. მისი ერთ-ერთი თავისებურება იყო ორგანიზებული ხასიათი, რაც განპირობებულია პოლიტიკური პარტიების წარმოშობითა და მათი საქმიანობის გააქტიურებით.

უმიწობითა და მცირემიწიანობით განაწამებმა გლეხობამ ხელი იარაღს მოჰკიდა. 1905 წლის დასაწყისში კახაბრის ველზე (ბათუმის მახლობლად) სოფელ მინდიას

130 Френкель А. Очерки Чурук-су и Батума. Тиф., 1879, с. 137.
131 სცსსა, ფ. 229, ს. 12, ფურც. 20.
132 ზ.ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, ტფ., 1912, გვ. 77.
133 სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 1105, ფურც. 1-139.

გლეხებმა დაიტაცეს აქაური მემამულის ომერ-აღა მემედ ზადეს მიწები და ერთმანეთში გაინაწილეს. ომერ-აღამ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან იჩივლა. გუბერნატორი შეიარაღებული რაზმით პირადად მივიდა კახაბრის ველზე (სოფელ მინდიაში), გლეხებს მიწები ჩამოართვა და მემამულეს დაუბრუნა.[134]

1905 წ. გლეხთა გამოსვლები მოეწყო ქვემო აჭარასა და კინტრიშის უბანში. ქვემო აჭარაში გლეხების მღელვარება 1905 წ. 7 თებერვალს დაიწყო და 22 თებერვლამდე გაგრძელდა. მასში ორი ათასამდე კაცი მონაწილეობდა, იგი ყველაზე მასობრივი და კარგად ორგანიზებული იყო. აღსანიშნავია, რომ ქვემო აჭარის საპოლიციო უბანში მაშინ (1905 წ. პირველი იანვრის ცნობით) 2557 კომლი ცხოვრობდა. გამოსვლებში მონაწილეობდა ცხმორისისა და ქედის სასოფლო თემების თითქმის ყველა ოჯახი და ხერთვისის სასოფლო თემის მოსახლეობის უმეტესობა.[135] მოძრაობის მიზეზები იგივე იყო: გადასახადების სიმძიმე, მიწის, ტყის, საძოვარ-სათიბებით სარგებლობის საქმეში მოსახლეობის შევიწროება და სხვ.

გლეხები შეიარაღებული იყვნენ ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით: თოფებით, რევოლვერებით, ცულებით, წალდებით, დანებით. აჯანყებულები ჯერ ქედის ხიდთან შეიკრიბნენ და ერთგულების ფიცი დადეს, შემდეგ საპოლიციო უბნის შენობასთან მივიდნენ და თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით პოლიციმეისტერ სერგეევს სპეციალური მოთხოვნები გადასცეს. გლეხები მოითხოვდნენ: გადასახადების, განსაკუთრებით ტყის ბაჟისა და ტყისმცველთა ინსტიტუტის გაუქმებას, სასოფლო ოკრუგის შესანახი ხარჯებისაგან გათავისუფლებას, ძველი მუხტარის თანამდებობის აღდგენას და ხალხისათვის მისი არჩევის უფლების მიცემას, სახელმწიფო მნიშვნელობის გზებზე სამუშაო ქირის გადიდებას, ბათუმიდან ნავთის ამოტანაზე ბაჟის მოხსნას და სხვ. პოლიციმეისტერმა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. ამით აღშფოთებულმა გლეხობამ მეორე დღეს, 8 თებერვალს, ცხმორისის სასოფლო ოკრუგის კანცელარია დაარბია, ხოლო 9 თებერვალს ქედის სასოფლო და საპოლიციო უბნის კანცელარიები, საიდანაც მოხელეები გარეთ გამოყარეს, შენობებს აბრები ჩამოხსნეს, კანცელარიის საბუთები დაწვეს, საჯაროდ დახიეს ნიკოლოზ II სურათი და მოშალეს სატელეფონო კავშირი ბათუმთან. ამის შემდეგ სპეციალური მცველები გამოყვეს, რომ გამოძეებული მოხელეებიდან ადმინისტრაციულ შენობაში არავინ დაბრუნებულიყო. ფაქტობრივად, ქვემო აჭარაში მთავრობის ორგანოები აღარ მოქმედებდნენ.

მთავრობამ აჯანყების ჩასაქრობად საგანგებო ზომები მიიღო და 1905 წ. 10 თებერვალს ქედაში ბათუმის ოკრუგის უფროსი ვიცე-პოლკოვნიკი ჩერნოვი მიავლინა. 11 თებერვალს გლეხებმა მას პეტიცია მიართვეს, რომელშიც იგივე მოთხოვნები იყო ჩამოყალიბებული. გლეხები გულისწყრომით ჩიოდნენ: „გავლატაკდით და ხსნა არსაიდან ჩანს. ერთი აგვიხსენით და გვითხარით (მიმართავდნენ ისინი მეფის მთავრობის მოხელეებს), საიდან შეუძლია სოფელს ამოდენა გადასახადის ატანა, სად არის შესაფერისი მოგებაო".[136]

რუსეთის ხელისუფლებამ, რაკი მღელვარება მშვიდობიანი გზით ვერ ააქრო, იარაღს მიმართა. 19 თებერვალს ქვემო აჭარაში კახაკების ასეული გააგზავნა ორი ოფიცრისა და ბათუმის ოკრუგის უფროსის მეთაურობით. ალეხებს განზრახული ჰქონდათ შებრძოლებოდნენ მათ, საამისოდ მოემზადებულიც იყვნენ, მაგრამ რსდმპ

134 1905 წელი. ბარიკადები ბათუმში (მოგონებანი კრებული). ბათ., 1925, გვ. 87.
135 ო.თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 77-78.
136 გაზ. „ივერია", 26 თებერვალი, 1905.

ბათუმის კომიტეტის, სხვა პოლიტიკური თუ დემოკრატიული ძალების რჩევა-დარიგებით წინააღმდეგობაზე უარი თქვეს. 22 თებერვალს იქ აღადგინეს ოფიციალური ხელისუფლება.

აჯანყების ხელმძღვანელები დააპატიმრეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. მთავრობა ზოგიერთ დათმობაზე წავიდა: რამდენადმე შეამცირა გადასახადები და გაიზარდა სასოფლო მამასახლისების არჩევნებში მოსახლეობის უფლებები.[137]

1905 წ. მარტში შესამჩნევი იყო აგრარული გამოსვლები ართვინის ოკრუგშიც. გლეხები უარს ამბობდნენ გადასახადების გაღებაზე. შავშეთ-იმერხევის 66 სოფლის გლეხებმა 441 კაცის ხელმოწერით 1905 წლის მარტის დამლევს საპროტესტო განცხადება გადასცეს პოლიციმეისტერს, რომელშიც გმობდნენ სასოფლო მმართველობის შემოღებას და უარს აცხადებდნენ მასთან დაკავშირებული ხარჯების გაღებაზე. ანალოგიური მდგომარეობა იყო ართვინის ოკრუგის დანარჩენ უბნებშიც. ართვინის ოკრუგის შეშინებული უფროსი 1905 წ. 12 მარტს ბათუმის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა, რომ არტანუჯისა და ართვინის უბნებში გლეხობის მღელვარება კიდევ უფრო ძლიერი იყო.[138]

აგრარულ მოძრაობაში აქტიურობდა სასოფლო პროლეტარიატიც. ეს იყო საშოვარზე გასული გლეხები, უმეტესად, დასავლეთ საქართველოდან (გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი და სხვ.), რომლებიც მოითხოვდნენ შრომის პირობების გაუმჯობესებას, ხელფასის მომატებას. შემდგომში მათი მოძრაობა საერთოდემოკრატიულ, პოლიტიკურ გამოსვლებში გადაიზარდა.

1905 წ. გაზაფხულზე გაიფიცნენ პოპოვის მეურნეობის მუშები. პირველად, 1905 წ. მარტში, გაფიცვა სალიბაურის ჩაის პლანტაციებსა და ფაბრიკაში დაიწყო. მომდევნო თვეებში სხვა მამულებშიც (კაპრეშუმი, ჩაქვი) გაერცელდა, მაისში კი საყოველთაო გაფიცვაში გადაიზარდა. გაფიცული მუშები გადაჭრით მოითხოვდნენ შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, დღიური თუ თვიური გასამრჯელოს გადიდებას.

პოპოვისა და მისი მეურნეობის მოხელეთა ცდები — მუშათა გაფიცვა მშვიდობიანად ჩაექროთ — უშედეგო აღმოჩნდა. ამის შემდეგ მუშები სამუშაოდან დაითხოვეს და ჯარისკაცების მეშვეობით მათ გასახლებას შეუდგნენ, მაგრამ ეს არც ისე მარტივი აღმოჩნდა. კინტრიშის საპოლიციო უბნის უფროსი ამის თაობაზე ბათუმის ოკრუგის უფროსს მოახსენებდა: მუშებს თუ იძულებით გავასახლებთ თაეიანთ სოფლებში, მაშინ პოპოვის მეურნეობის ადმინისტრაციული პერსონალის დაცვა შეუძლებელი იქნებაო, გაბოროტებული მუშები კიდევ უფრო დიდ უწესრიგობას შექმნიან, დახოცავენ მმართველ პერსონალსო. გაფიცვა რამდენიმე დღეს გაგრძლდა. პოპოვი იძულებული გახდა წასულიყო ნაწილობრივ დათმობაზე. დღიურ მუშებს გასამრჯელო ათი კაპიკით, ხოლო თვიურად მომუშავეებს ორი მანეთით გაუზარდეს.[139]

კიდევ უფრო მძლავრი გამოსვლები მოაწყეეს ჩაქვის საუფლისწულო მამულის მუშებმა. აქ 1905 წლიდან მუშათა გაფიცვებმა სისტემატური და საყოველთაო ხასიათი მიიღო. გაფიცული მუშები იმავე მოთხოვნებს აყენებდნენ, რასაც სხვა კაპიტალისტურ მეურნეობებში. ეს გასაგებია. შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები ყველგან ერთნაირი იყო. ამ გამოსვლებით შეშფოთებული ჩაქვის საუფლისწულო მამულის

[137] ო.თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 83-84.
[138] აცსა, ფ. 1, ს. 159, ფურც. 1.
[139] ო.თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 93-97.

მმართველი 1905 წ. 9 აპრილს პეტერბურგს მოახსენებდა: ჩაქვში მუშათა მძლავრი მოძრაობაა, რომელზედაც ზეგავლენას ახდენს ქალაქი ბათუმი და ოზურგეთის მაზრა. გამოსვლებში ყველა კატეგორიის მუშა მონაწილეობს. ადგილი აქვს გაფიცვებს, შეიარაღებულ შეტაკებებს, მკვლელობას. რსდმპ ბათუმის კომიტეტს განსრახული აქვს მუშები ჩაის საკრეფად არ დაუშვასო.[140] შეშინებული მმართველი 1905 წ. 3 მაისს ისევ უპატაკებდა: მუშების მღელვარებამ ფართო ხასიათი მიიღო. მუშები მოითხოვდნენ გასამრჯელოს მომატებას, გახშირდა ძარცვა და მკვლელობა, პლანტაციებში შეიარაღებული პირები, აგიტატორები დადიან და „ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას ეწევიანო".[141] მართლაც, პოლიტიკური პარტიების ბათუმის ორგანიზაციები სოფლად, განსაკუთრებით კი კაპიტალისტურ მეურნეობებში, დიდ მუშაობას ეწეოდნენ. სწორედ ამ მუშაობის შედეგი იყო ის, რომ მუშათა ორგანიზებული გამოსვლები, აგრარული მოძრაობა საერთო-დემოკრატიულ, პოლიტიკურ მოძრაობაში გადაიზარდა.

1905 წ. ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩაქვის მუშებმა გამოსვლები მოაწყვეს. კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორის ცნობით, ჩაქვში 1905 წელს მძლავრ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში. ეს სამი თვე, ინსპექტორის დახასიათებით, საუფლისწულო მამულისათვის ყველაზე მძიმე იყო.[142]

მუშები აღარ სჯერდებოდნენ მხოლოდ ხელფასის მომატებას, გაფიცული დღეების ანაზღაურებას, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ხალხმრავალ მიტინგებზე, რომლებიც მამულის ადმინისტრაციის შენობის წინ იმართებოდა, ისინი მოითხოვდნენ, აგრეთვე, ცარიზმის დამხობას, ქმობას, ერთობას, თავისუფლებას და თანასწორობას. გაისმოდა რევოლუციური სიმღერები - „მარსელიოზა", „სიმღერა პუგაჩოვზე" და სხვ.[143]

რევოლუციის დღეებში გლეხობის ურჩობამ საყოველთაო სახე მიიღო. ბათუმის ოლქის გლეხები უარს აცხადებდნენ გადასახადების გადახდაზე. მოძრაობა კინტრიშის საპოლიციო უბანში დაიწყო, რასაც ოლქის მთელმა გლეხობამ აუბა მხარი. ს. ხუცუბანში კინტრიშის უბნის გლეხთა შეკრებაზე, ერთსულოვნად დაადგინეს: მთავრობისათვის არცერთი სახის გადასახადი არ მიეცათ. ოლქის გუბერნატორმა ფონ-პარკაუმ გადასახადების ამოღების მიზნით ბათუმში სპეციალური თათბირი დანიშნა. მასზე მოწვეული იყვნენ მოსახლეობის წარმომადგენლები. განსრახული ჰქონდათ ისინი მანამდე დაეკავებინათ, სანამ გლეხები გადასახადებს არ გადაიხდიდნენ, მაგრამ მოსახლეობის წარმომადგენლები თათბირზე განსრახ არ ჩავიდნენ.[144]

მაშინ ფონ-ფარკაუმ გადასახადების ამოღების მიზნით საპოლიციო უბნებსა და სოფლებში თავისი წარმომადგენლები მიავლინა. კინტრიშის უბანში ბათუმის ოკრუგის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ნ. ეოიჩეკი გაიგზავნა. მან ყველა ხერხს მიმართა, მაგრამ გადასახადების ამოღება მაინც ვერ შეძლო. ნ. ეოიჩეკის სიტყვით, ქობულეთლებმა განაცხადეს, გადასახადებს მაშინ გადაიხდიან, როდესაც მეზობელი გურია გადაიხდისო. ბათუმის ოლქის დანარჩენი საპოლიციო უბნების მოსახლეობა აცხადებდა: გადასახადებს იმ შემთხვევაში გავიღებთ, თუ ქობულეთში გადაიხდიანო.[145]

---

140 სანკტ-პეტერბურგის ცსია, ფ. 515, ან. 91, ს. 48, ფურც. 1.
141 იქვე, ფ. 91, ან. 45, ს. 694, ფურც. 104.
142 იქვე, ფ. 515, ანაწ. 45, ს. 899, ფურც. 88.
143 იქვე, ფ. 515, ანაწ. 45, ს. 899, ფურც. 87-90.
144 ო.თურმანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 126-127.
145 იქვე, გვ. 127.

ბათუმის საოლქო ადმინისტრაცია პოზიციას არ თმობდა. 1905 წ. 18 ნოემბერს ქობულეთში გლეხთა შეკრება დანიშნეს, რათა გადასახადები როგორმე ამოეღოთ, ამის ნაცვლად გლეხებმა მიტინგი გამართეს და ერთსულოვნად დაადგინეს: უნდობლობა გამოეცხადებინათ არსებული ხელისუფლებისათვის, ხოლო გადასახადები არ გაეღოთ. ასეთივე შეკრება მოეწყო ჩაქესა და ორთაბათუმში.

ამ მდგომარეობით აღშფოთებული ფონ-პარკაუ 1905 წლის 5 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვალს ეორონცოვ-დაშკოვს მოახსენებდა: „18 ნოემბერს ქობულეთში, ხოლო 19 ნოემბერს ჩაქეში მოსახლეობა აშკარად გადავიდა მეამბოხეთა მხარეზე და ერთიანად აჯანყდა, შექმნა შეიარაღებული რაზმები და შეეცადა ტყვედ აეყვანა ქვეითთა ნახევარი ასეული და 15 კაზაკი".[146]

1905 წ. ნოემბრის დამლევს გლეხთა მოძრაობა კინტრიშის საპოლიციო უბანშიც შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. იგი 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე გრძელდებოდა. აჯანყებულებმა მთავრობის სადამსჯელო რაზმები განაიარაღეს და ხელისუფლებას დაეუფლნენ. თან ბათუმის პროლეტარიატსაც შეიარაღებული რაზმი მიაშველეს, მაგრამ იქ აჯანყება უკვე დამარცხებული იყო და მას ბრძოლებში მონაწილეობა აღარ მიუღია. ბათუმის შემდეგ აჯანყება ქობულეთშიც ჩაახშეს და ხელისუფლების ორგანოები აღადგინეს. აჯანყების მონაწილეებს კი მკაცრად გაუსწორდნენ.

მაშინ ფონ-პარკაუმ თავისთან მიიწვია კინტრიშის უბნის გავლენიანი სასულიერო პირები და მათი მეშვეობით შეეცადა გადასახადების ამოღებას, მაგრამ ამაოდ. ამით შეწუხებული გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს სწერდა: „ჩემი მოთხოვნა გადასახადების ამოღებისა და იარაღის ჩაბარების შესახებ, სამწუხაროდ, დღემდე არ სრულდება, ხოლო მღელვარება გრძელდებაო".[147]

გადასახადების გადახდაზე აჭარელთა ურჩობა საყოველთაოდ ცნობილი გახდა. 1905 წ. 28 ნოემბერს ართვინის ოკრუგის უფროსი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს ატყობინებდა: ართვინში გავრცელდა ხმები, რომ აჭარლებს არ სურთ გადაიხადონ გადასახადები. ართვინის მოსახლეობა რელიგიითა და ნათესაობით დაკავშირებულია აჭარლებთან და ამ ხმებს დიდი გავლენა აქვსო. ართვინის ოკრუგის უფროსი სამხედრო გუბერნატორისაგან თხოულობდა ინფორმაციას ბათუმის ოკრუგში გადასახადების ამოღების შესახებ.[148] ამის პასუხად 10 დეკემბერს ბათუმის ოკრუგის უფროსი წერდა: კინტრიშის უბანში მოსახლეობას გადასახადები არ გადაუხდია. გონიოს საპოლიციო უბნის გლეხები ასევე უარს აცხადებენ, სანამ კინტრიშის უბნის მოსახლეობა არ გადაიხდის. ქვემო და ზემო აჭარის გლეხობას გადასახადების ჩაბარება არ სურთ.[149]

ხელისუფლება ერთხელ კიდევ შეეცადა ერთგული აღა-ბეგების და სასულიერო წოდების დახმარებით გადასახადები ამოეღო. ისინი გლეხებს აშინებდნენ, თუ გადასახადებს არ გადაიხდით, მთავრობა კიდევ უფრო მკაცრ რეპრესიებს გაატარებს და მას მძიმე შედეგები მოჰყვებაო. 1905 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში მოსყიდული პირები გლეხებს ჩასჩიჩინებდნენ, გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში თქვენ სამშობლოს მოღალატეებად ჩაგთვლიანო. ასეთი პროპაგანდის საწინააღმდეგოდ რსდმპ ბათუმის კომიტეტმა 1905 წ. 21 დეკემბერს სპეციალური პროკლამაცია გამოუშვა. მასში გლეხობის მისამართით ნათქვამია: ამხანაგო ჩაქველებო! სანამ

[146] Революция 1905-1907 гг. в Грузии. Сборник документов. Тб., 1956, с. 480.
[147] იქვე, გვ. 481.
[148] აცსა, ფ. 1, ს. 207, ფურც. 5-7.
[149] იქვე, ფ. 1, ს. 207, ფურც. 5-7.

გადასახადებს გადაიხდიდეთ, მანამ დააკვირდით, თუ რა ხდება ქვეყანაში. გლეხები ყველგან უარს ამბობენ გადასახადების გადახდაზე და სამხედრო ვალდებულების შესრულებაზე. შეხედეთ, თუ როგორ მოქმედებენ ჩვენი გურულები. თქვენ ხალხის მოღალატენი მაშინ იქნებით, თუ გადასახადებს გადაიხდით და ამით მთავრობას გააძლიერებთ. პროკლამაცია ჩაქველებს მოუწოდებდა გაეძევებინათ ის ბოროტმოქმედნი, ვინც მოსახლეობას აგიტაციას უწევდა მთავრობის სასარგებლოდ გადასახადების გადახდის შესახებ. ბათუმის კომიტეტი მოუწოდებდა გლეხობას — დამორჩილებოდნენ ხალხის დადგენილებას და მთავრობისათვის არცერთი კაპიკი არ მიეცათ. პროკლამაცია მთავრდებოდა მოწოდებით: „ძირს გადასახადები, ძირს ხალხის მტრები, გაუმარჯოს ღარიბ ხალხს“.[150]

გლეხთა ურჩობა გადასახადებზე შეიმჩნეოდა რევოლუციის უკანდახევისა და დამარცხების პირობებშიც. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ მასწავლებლები, სასოფლო ოკრუგების მდივან-მწერლები და მოწინავე გლეხები. გადასახადების გადახდის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის 1906 წ. თებერვალში სამი თვით დააპატიმრეს აჭარის ს. კიბეს მცხოვრებლები — ყედემ და თემელ ემინ-აღა-ოღლები. მაჭახლის ხეობასა და გონიოს უბნის სოფლებში ასეთი პროპაგანდისათვის სამუშაოდან მოხსნეს მასწავლებელი ლასარე დარსაველიძე და სარფის სასოფლო ოკრუგის მდივან-მწერალი მიხეილ ჯინჭარაძე.[151]

1906 წ. დასაწყისში ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა იმოგზაურა ბათუმისა და ართვინის ოკრუგების სოფლებში. მასთან შეხვედრისას გლეხებმა დიდი უკმაყოფილება გამოთქვეს და კატეგორიულად მოითხოვეს მუჰაჯირების მიწების, ბალბოსტნების, შენობა-ნაგებობების სოფლის საზოგადოებისათვის გადაცემა.

გუბერნატორი 1906 წ. 17 თებერვალს წოდებრივ-საადგილმამულო საკითხის მომწესრიგებელი კომისიის თავმჯდომარეს სწერდა: მუჰაჯირების მიწებით და სხვა უძრავი ქონებით ღარიბი მოსახლეობა ვერ სარგებლობს, ეს ქონება სოფლის გავლენიანი პირების, არამკვიდრი მოსახლეობის ხელში ექცევა და სპეკულაციის მიზნით იყენებსო. გუბერნატორი მოითხოვდა მუჰაჯირების მიწების და სხვა უძრავი ქონების გადაცემას მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს სისტემიდან ისევ სოფლის საზოგადოებების გამგებლობაში. ეს მოთხოვნა მთავრობამ არ დააკმაყოფილა.[152]

რევოლუციის გავლენით აღა-ბეგებიც გააქტიურდნენ. ხანგრძლივი უშედეგო დავით უკმაყოფილო მათი დეპუტაცია 1906 წლის მარტში ვორონცოვ-დაშკოვს ეწვია და სამახსოვრო ბარათი გადასცა. მას ხელს აწერდა 35 კაცი, მათ შორის: ჯემალ და ზექერია ხიმშიაშვილები, მემედ და ზია აბაშიძეები, თუფან შერეაშიძე, ოსმან ჩაველეიშვილი, დევრიშ ბეფანიძე და სხვ. ისინი მოითხოვდნენ ბათუმის ოლქის მკვიდრი მოსახლეობის მიწათმოწყობის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტის დაჩქარებას, სოფლის საზოგადოების მიწების გამოჯვენას, თითოეული კომლისათვის იმ მიწების დამტკიცებას, რომლებიც ოსმალთა ბატონობისას ეკუთვნოდათ და ახლაც ფლობენ, საკუთრების უფლების წიაღისეულზეც გავრცელებას, მთავრობის მიერ წართმეულ მიწებზე საკუთრების საბუთების დაბრუნებას; თუ ვინმეს მიწის საბუთები არ აღმოაჩნდებოდა, მაშინ ასეთი უნდა შეექმნათ 12 მოწმის ჩვენების საფუძველზე, როგორც ეს სოხუმის ოკრუგში იყო; მოსახლეობას საკუთარი მიწების გასხვისების,

[150] ო.თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 140-141.
[151] აცსა, ფ. 1, ს. 222, ფურც. 2; ო.თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 146-147.
[152] სცსსა, ფ. 231, ან. 1, ს. 387, ფურც. 9-21.

მათ შორის ყიდვა-გაყიდვის, დაგირავების, გაჩუქებისა და სახაზინო ტყეების უფასოდ სარგებლობის უფლება უნდა მისცემოდა. მუჰაჯირთა მიწები სოფლის საზოგადოებებს გადასცემოდა, ხოლო ვაყუფები წინანდებურადვე მეჩეთების მფლობელობაში დარჩენილიყო. სამახსოვრო ბარათში ისეთი მოთხოვნებიც იყო, როგორიცაა სკოლების, საავადმყოფოების გახსნა, მოსწავლეთათვის სტიპენდიების დანიშვნა, სათათბიროს შემოღება და სხვ.[153] მთავრობამ აღნიშნული მოთხოვნები, რა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილა.

1906 წ. 25 იანვარს გონიოს, თხილნარის, ახალსოფლის, მაკრიალისა და სხვა სოფლების გლეხებმა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს თავისი თხოვნა-საჩივარი მიართვეს. ისინი აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ აუკრძალეს ჭაობიან ადგილებში ბრინჯის თესვა, თითქოს იგი მალარიას იწვევდა. გლეხები მოითხოვდნენ ამ აკრძალვის გაუქმებას, ან ხაზინის სახსრებით ჭაობიანი ადგილების ამოშრობას.[154]

1906 წ. გაზაფხულზე კინტრიშის უბნის გლეხებმა თავიანთ განცხადებაში პროტესტი გამოთქვეს ადგილ-მამულების გაყიდვის აკრძალვის გამო და ამ დადგენილების გაუქმებას მოითხოვდნენ.[155] ამ თხოვნასაც არ მოჰყოლია შედეგი, რადგან მთავრობა ფისკალურ ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებდა.

1905-1907 წლებში აჭარის გლეხობამ არა ერთი საჩივარი აღძრა საუფლისწულო უწყების მისამართით. 1906 წლის 6 დეკემბერს კინტრიშის უბნის სოფელ დიდიჯამეს (ამჟამად ჩაქვის ჩაისუბანი) გლეხებმა თხოვნა-საჩივარი გადასცეს ეორონცოვ-დაშკოვს. ისინი უჩიოდნენ ჩაქვის საუფლისწულო მამულის ადმინისტრაციას, რომელმაც ამ სოფლის მოსახლეობას ტყეები და მდელოები ძალით წაართვა და დაისაკუთრა. გლეხები მოითხოვდნენ საკითხის შესწავლას და სამართლიანობის აღდგენას. საუფლისწულო უწყება კი თავის 1907 წ. 6 მაისის განმარტებაში იშველიებდა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს 1898 წ. 5 მაისის აქტს, რითაც ჩაქვის ხეობის მიწები მას დაუკანონდა და გლეხობის კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარს აცხადებდა.[156]

ასეთივე შინაარსის საჩივარი აღძრეს ყოროლისწყლის ხეობის ს. აგარის მცხოვრებლებმა. 1906 წ. 7 დეკემბერს ეორონცოვ-დაშკოვისადმი გაგზავნილ განცხადებაში ისინი ჩივიან იმის გამო, რომ საუფლისწულო უწყებამ წაართვა მიწები, რომელსაც მოსახლეობა საძოვრებად, საბალახოებად, შეშისა და სამშენებლო ხეტყის მოსაჭრელად იყენებდა. კოლექტიურ განცხადებაში გლეხები აღნიშნავდნენ, რომ მათ ზემოთ დასახელებულ ტერიტორიაზე გზებიც კი გაიყვანეს, რისთვისაც 10 ათასი რუბლი დახარჯეს. ამ საკითხებზე დავა-საჩივარი წლობით გაგრძელდა, მაგრამ ამაო იყო მიმოწერა საუფლისწულო უწყების მოხელეებსა და ბათუმის ოლქის გუბერნატორს შორის.[157]

1907 წლის 19 მაისს ართვინის ოკრუგის ს. ძანსულის გლეხებმა თხოვნა-საჩივარი გადასცეს კავკასიის მეფისნაცვალს. განცხადებას 43 კაცი აწერდა ხელს. ისინი ჩიოდნენ კავკასიის სამთამადნო ამხანაგობის მიერ მიწების მიტაცების გამო. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ წიაღისეულის დამუშავების შეწყვეტას და

[153] იქვე. ფ. 229, ან. 1, ს. 1163, ფურც. 7-8.
[154] იქვე. ფ. 231, ან. 1, ს. 350, ფურც. 53-54.
[155] იქვე. ფურც. 46.
[156] ამხვ. ს. 172, ფურც. 60-62.
[157] სცსსა, ფ. 231, ს. 402, ფურც. 4-9; ამხვ. ს. 172, ფურც. 169-173.

მიწების მათსავე მფლობელობაში დაბრუნებას.[158]

1905-1907 წლებში საადგილმამულო საკითხებზე დიდძალი საჩივრები შედიოდა სასამართლო ორგანოებში, მაგრამ გლეხობა იქ სამართალს ვერ პოულობდა. ერთი ასეთი ფაქტის შესახებ ლაპარაკია ართვინის ოკრუგის ს. ბიჯის გლეხთა 1907 წ. 15 მაისის განცხადებაში, რომელიც კავკასიის მეფისნაცვალს გადასცეს. ამ განცხადებაში უჩივიან ქუთაისის საოკრუგო სასამართლოს ბათუმის განყოფილებას. გლეხებს ართვინის მემამულისაგან მიწის ნაკვეთი იჯარით აუღიათ, რისთვისაც მნიშვნელოვანი თანხა გადაუხდიათ. მემამულემ თვითნებურად დაარღვია საიჯარო პირობა — გლეხებს მიწაც წაართვა და ფულის დაბრუნებაზეც უარი უთხრა. ართვინის საუბნო სასამართლომ საქმე გლეხთა სასარგებლოდ გადაწყვიტა, მაგრამ ბათუმის საოკრუგო სასამართლომ განაჩენი გააუქმა. გლეხები სამართლიანობის აღდგენას მოითხოვდნენ.[159]

დაბეჩავებულ გლეხობას ეგონა, რომ თხოვნა-საჩივრებით რაიმეს მაინც მიაღწევდა, მაგრამ უშედეგოდ და მაშინ ძალას მიმართავდა. ამას ხელისუფლებაც ხედავდა. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი 1907 წ. 31 იანვარს კავკასიის მეფისნაცვალს სწერდა: „იმ დროს, როცა გლეხები არ კმაყოფილდებიან „ნადელებით", ისინი თავს ესხმიან სახელმწიფო და მემამულეთა მიწებს და ძალით იგდებენ ხელთ".[160]

საადგილმამულო საკითხთა მოუგვარებლობის გამო 1905-1907 წლებში მასიური ხასიათი შეიძინა გლეხთა მიერ საკუთარი მიწებიდან აყრამ და ოსმალეთში გადასახლებამ. ამას ოფიციალური ხელისუფლებაც აღიარებდა. 1906 წ. 26 დეკემბერს ართვინის ოკრუგის უფროსი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა, რომ მოსახლეობის აყრა-გაქცევა საადგილმამულო საკითხის მოუწესრიგებლობით და მძიმე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო პირობებით არის გამოწვეული. სწორედ ამ მიზეზით 1906 წლის მეორე ნახევარში ართვინის ოკრუგიდან აიყარა და ოსმალეთში გადაიხვეწა 420 სული. გადასახლების სამზადისში ყოფილა კიდევ 1200 კაცი.[161]

აგრარული მოძრაობის მესამე ეტაპზე მასობრივი გამოსვლები, კერძოდ, აჯანყებები აღარ გვხვდება. ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია ბრძოლის პასიური ფორმები, რაც უწინარესად თხოვნა-საჩივრებში, ურჩობასა და აყრა-გაქცევაში გამოვლინდა. საადგილმამულო საკითხის გამო მოსახლეობა ძირითადად სასამართლო ორგანოებს მიმართავდა. ქუთაისის საოკრუგო, ბათუმის მომრიგებელი და საუბნო ზეპირსიტყვიერ სასამართლოებში ისევ დიდძალი საჩივარი შედიოდა. განაჩენით უკმაყოფილო მოსახლეობა ხშირად თბილისის სასამართლო პალატასაც მიმართავდა. ყოველივე ეს ნერვიულობას, უკიდურეს ფიზიკურ და ფსიქიკურ დატვირთვას უკავშირდებოდა.

იშვიათი არ იყო ისეთი ფაქტი, როდესაც მუჰაჯირების ადგილ-მამულს მოახალშენეები თვითნებურად იკავებდნენ. ზოგჯერ კი მიწის ნასყიდობის თანხას მის პატრონს არ აძლევდნენ. ამიტომ მიწის გამყიდველებს სასამართლოში საჩივრის წარდგენა უხდებოდათ. მაგალითად, 1902 წელს ვინმე ს. ანტონოვა ბათუმის შემოგარენში თვითნებურად დაეპატრონა მ. შაშიკოღლის მიწის ნაკვეთს, მაგრამ ამ უკანასკნელმა იგი გამოაძევა და მიწის ნაკვეთიც შეინარჩუნა. ს. ანტონოვა შეეცადა

[158] სცსსა, ფ. 231, ს. 428, ფურც. 3.
[159] იქვე, ფ. 229, ან. 1, ს. 1235, ფურც. 7-8.
[160] იქვე, ფ. 231, ან. 1, ს. 425, ფურც. 14.
[161] ო.თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 160.

მიწა სასამართლოს მეშვეობით დაებრუნებინა. ბათუმის მომრიგებელმა სასამართლომ საკითხი მის სასარგებლოდ გადაწყვიტა. 1912 წ. მ. შაშიკოღლიმ თხოვნა-საჩივარი ქუთაისის საოკრუგო სასამართლოში გადაიტანა. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა ძველი განაჩენი გაეუქმებინა და მ.შაშიკოღლის უფლებები მიწაზე აღედგინა.[162] მსგავსი შემთხვევები არაერთია.

მთავრობის მიმართ უკმაყოფილებას მოახალშენეებიც გამოთქვამდნენ. კერძოდ, ჭიანურდებოდა საადგილმამულო საკითხების საკანონმდებლო წესით გადაწყვეტა. ამის შესახებ კარგად მეტყველებს პოპოვის მაგალითი 1917 წ. 31 იანვარს კაუკასიის მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ წერილში პოპოვი აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას და სინანულით დასძენდა, რომ მთავრობამ ბათუმის ოლქში საადგილმამულო საკითხი საკანონმდებლო წესით 38 წლის განმავლობაში ვერ გადაწყვიტა. ამ ქაოსის ვითარებაში მყოფელი ერთი და იმავე მიწის ნაკვეთში ორმაგ ფასს იხდიდა: ჯერ მიწისმფლობელი უნდა დაეკმაყოფილებინა, შემდეგ კი - ხაზინა. მიუხედავად ამისა, მიწის კერძო საკუთრებაზე საბუთს მთავრობა მაინც არ იძლეოდა.[163]

1908-1917 წლებში ბათუმის ოლქის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ოსმალეთში გადაიხვეწა. ამის ძირითადი მიზეზი, როგორც ითქვა, იყო ცარიზმის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკა. 1909 წლის ცნობით, მუჰაჯირად წავიდა ქვემო აჭარის 11 სოფლის (დოლოგანი, ზუნდაგა, მახუნცეთი, საღორეთი, აგარა, ზენდიდი, გულები, ზესოფელი, ზვარე, ვარჯანისი, წონიარისი) 257 ოჯახი, ე.ი. მოსახლეობის 52,5%.[164] ეს ის სოფლებია, რომლებიც ჩაქვის საუფლისწულო მამულის მთიან ზოლს ესაზღვრებოდა. ამ სოფლების მოსახლეობა ტყით, საძოვარ-სათიბებით სარგებლობის მხრივ საუფლისწულო უწყების მიერ უკიდურესად შევიწროებული იყო.

მოსახლეობის აყრა-გაქცევის თაობაზე ართვინის ოკრუგის უფროსი 1913 წ. 13 დეკემბერს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა: ართვინის ოკრუგიდან მოსახლეობა თურქეთში მთელი ოჯახებით მიდის. პასპორტს იღებენ იმ მოტივით, თითქოს იქ ნათესავები უნდა მოინახულონ. დიდი უმრაველესობა უკან აღარ ბრუნდება. პასპორტის აღებით თავიანთ მუჰაჯირობას ფარავენ. ამავე დროს აქ მიტოვებული მიწების პატრონებად რჩებიან. სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი არ უნდა დავაკავოთ. მთავარია მათი მიწების ხელში ჩაგდება და სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა.[165]

მასობრივი აყრა-გაქცევის შედეგად 1912-1917 წ. ართვინის ოკრუგის მოსახლეობა ძალზე შემცირდა. თუ 1911 წ. აქ 63379 სული ცხოვრობდა, 1917 წლის ბოლოს 30179 სულამდე, ე.ი. სანახევროდ და კიდევ მეტად იყო შემცირებული.[166]

1908-1917 წლების აგრარულ მოძრაობაში აღსანიშნავია ჩაქვის საუფლისწულო მამულის, აგრეთვე, პოპოვის, სინიცინის და სხვათა მეურნეობის მუშათა გამოსვლები. მაგალითად, 1913 წ. გაიფიცნენ სინიცინის მეურნეობის მუშები, რომლებიც შრომის ანაზღაურების გაზრდას ითხოვდნენ. არაორგანიზებულობის გამო გაფიცვა დამარცხდა.

1914 წ. გაიფიცა ს. მახინჯაურისა და მწვანე კონცხის მოახალშენეთა მამულების 100-მდე მუშა და მოახალშენეთა გაერთიანების გამგეობის ხელმძღვანელი ვინმე

---

[162] სცსსა, ფ. 231, ან. 1, ს. 1584, ფურც. 10-16.
[163] იქვე, ფ. 13, ან. 7, ს. 2914, ფურც. 87-88.
[164] იქვე, ფ. 243, ან. 7, ს. 557, ფურც. 28.
[165] ამხდ, ს. 594, ფურც. 87.
[166] КК на 1912 год. Тиф., 1911, с. 233; ამხდ, ს. 216, ფურც. 29-31.

იაკუბოვსკი აიძულეს შეესრულებინა გაფიცულთა მოთხოვნები.[167] 1916 წ. პოპოეის მეურნეობის მუშებმა მოითხოვეს შრომის ანაზღაურების გადიდება. კ.პოპოეი ხელფასის მომატებასაც შეჰპირდა და ამავე დროს თითოეულ მუშას 10-დან 20 რუბლამდე ერთდროული დახმარება მისცა.[168]

1908-1917 წლებში მუშათა გამოსელები ისევ შეიმჩნეოდა ჩაქვის საუფლისწულო მამულში. 1914 წ. ზაფხულში გაიფიცნენ ჩაის პლანტაციის მუშები და მოითხოვეს შრომის ანაზღაურების გაზრდა. მამულის ადმინისტრაციამ მუშათა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ამიტომ მუშებმა სამუშაო მასობრივად მიატოვეს და თავიანთ სოფლებში დაბრუნდნენ. მეურნეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და საუფლისწულო უწყებაც იძულებული გახდა დღიური ანაზღაურება 10 კაპიკით გაეზარდა.[169]

1915 წ. ივლისში აღნიშნულ მამულში გაიფიცა დღიურად დაქირავებული 500-მდე ქალი. არაორგანიზებულობის გამო ადმინისტრაციამ ამ გამოსელის ჩახშობა შეძლო. კიდევ მეტი, ყველაზე აქტიური 6 ქალი დააპატიმრა და ბათუმის საპყრობილეში ჩასვა. ისინი 16 დღის პატიმრობის შემდეგ გამოუშვეს.[170]

გლეხობისა და სოფლის მუშათა გამოსელები 1917 წელსაც აღინიშნა, რამდენადაც თებერვლის რევოლუციას საადგილმამულო ურთიერთობაში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია. მართალია, ჩაქვის საუფლისწულო მამული სახელმწიფოს საკუთრება გახდა, ე.წ. „მომრიგებელი კამერებიც“ დაარსდა, მაგრამ ამ ღონისძიებას მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება არ მოჰყოლია.

1917 წ. აპრილსა და მაისში ჩაქვის სახელმწიფო მამულში მუშებმა ისევ მოაწყვეს მძლავრი გაფიცვა 8-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნით. ადმინისტრაციამ იგი უარყო იმ მოტივით, თითქოს სოფლის მეურნეობაში მისი განხორციელება შეუძლებელი იყო. მუშათა თხოვნა-საჩივარი ბათუმის მომრიგებელმა კამერამაც განიხილა. მის დადგენილებაში აღინიშნა, რომ მუშებს 8 საათზე ზევით შრომის საზღაურად დღიური ხელფასის ნახევარი მისცემოდათ.[171] აღნიშნული დადგენილება მამულის ადმინისტრაციამ არ შეასრულა.

ივნისში ჩაქვის სახელმწიფო მამულის მუშებმა ფართო მასშტაბის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნები წამოაყენეს: ჯამაგირის 35%-დან 100%-მდე გაზრდა, სამედიცინო დახმარებისა და საბინაო პირობების გაუმჯობესება, ავადმყოფობის შემთხვევაში დღიური მუშებისათვის ნახევარი დღის საზღაურის, ხოლო შტატიანი მუშებისათვის - სრული ხელფასის გაცემა, ავდრიან დღეებში მუშებისათვის მყუდრო ადგილებში სამუშაოს მიჩენა. მოითხოვდნენ ჩაის პლანტაციებში ფარდულების აგებას, სადაც წვიმიან ამინდში მუშები თავს შეაფარებდნენ, ყასარმებსა და მუშათა სხვა სადგომის უსრულყოფა წყლის ასადულებელი ქვაბებით, სკამებითა და მაგიდებით, შეშის ნორმების გადიდებას, ნაეთის გაცემას იმ მუშებისათვის, ვისაც ელექტროგანათება არ ჰქონდათ, რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღებას (შაბათობით - შვიდსაათიანის) და სხვ.[172]

აღნიშნული მოთხოვნები არ დაკმაყოფილეს, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთის შესრულების რეალური საშუალებები იმ დროს არც არსებობდა. მართალია, ადმინისტრაციამ მუშების მოთხოვნები სამართლიანად სცნო, მაგრამ მათი

---

167 „ბათუმის გაზეთი“, 13 აპრილი, 1914.
168 გაზ. „თანამედროვე აზრი“, 7 აპრილი, 1916.
169 სცსსა, ფ. 351, ან. 1, ს. 183, ფურც. 150-152.
170 გაზ. „თანამედროვე ცხოვრება“, 27 აგვისტო, 1915; იქვე, 30 იანვარი, 1916.
171 აცსა, ფ. 22, ან. 1, ს. 437, ფურც. 40.
172 იქვე, ფურც. 11; „ერთობა“, 1917, №172.

პრაქტიკული განხორციელება მომაელისათვის გადადო.[173] 1917 წ. ნოემბერში მუშებმა მამულის ადმინისტრაციისაგან მოითხოვეს ჯამაგირის ორჯერ და კიდეე მეტად გაზრდა. ამიერკავკასიის მთავრობამ მუშათა მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა,[174] მაგრამ მაშინდელი სიძვირის პირობებში მას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია.

თებერვლის რევოლუციის გავლენით აგრარული მოძრაობაც გამოცოცხლდა. 1917 წ. გაზაფხულზე ქობულეთის რაიონის 12 სოფლის გლეხებმა მოითხოვეს მემამულეებისა და სახაზინო მიწების დანაწილება და მათთვის გადაცემა.[175]

აჭარა 1918-1920 წლებში ოკუპირებული იყო უცხო ქვეყნების მიერ. ამიტომ აგრარული მოძრაობა გადაიზარდა საერთო სამამულო ბრძოლაში, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნულ-ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

[173] აცსა, ფ. 22, ს. 437, ფურც. 21.
[174] იქვე, ს. 446, ფურც. 2-3; ს. 459, ფურც. 39-42.
[175] ბ.ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1914-1921 წწ.) ნაწ. II, ბათ., 1962, გვ. 38.

თავი V

ტრანსპორტი, საქალაქო მეურნეობა, ვაჭრობა და საბანკო-საკრედიტო ურთიერთობანი 1878-1920 წლებში

§1. ტრანსპორტი

ა) საზღვაო ტრანსპორტი

ბათუმის ოლქში სახღვაო ტრანსპორტი მნიშვნელოვნად დაწინაურდა XIX ს. 80-იანი წლებიდან, რაც განაპირობა ბუნებრივმა მდებარეობამ და, რაც მთავარია, ბათუმის ნავსადგურის კეთილმოწყობამ. ნიკო ნიკოლაძე წერდა: „ამ თვალუწვდენელ შავ ზღვას მარჯვნივ და მარცხნივ, გაშლილი ადგილის, მიუდგომელი კლდეებისა და გასილული ჭაობების მეტი არა არტყია რა. არსადაა ერთი ისეთი ნავსაყუდელი ადგილი, სადაც თავის შეფარება და ტაროსის მოცდა შეეძლოს ხომალდს ან სანდალს, სადაც შესაძლო იყოს ხეირიანი პორტის ან ბოღაზის გამართვა. სტამბოლისა და სევასტოპოლის გარდა შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არ ჰქონია და არა აქვს".[1] ამასვე ადასტურებდა გრაფი პასკევიჩიც: „ბათუმი წლის ყველა დროის ერთადერთი უსაფრთხო ნავსადგურია მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში".[2]

საერთოდ, ბათუმის სანავსადგურო ბოღაზი საკმაოდ მოზრდილი ყურეა. იგი დასავლეთიდან და სამხრეთიდან შემოსაზღვრულია ხმელეთით, დასავლეთიდან მას ეკვრის ბათუმის კონცხი, სამხრეთით გასდევს ზღვის სანაპირო ზოლი. მართალია, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ღიაა, მაგრამ კონცხი საიმედოდ იფარავს ყველაზე ძლიერი ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთი ქარებისაგან. ამასთან, ნავსადგურის საკმაოდ დიდი აკვატორია ნებისმიერ ამინდში უშიშრად იტევდა 10-მდე დიდ საეჭვო გემს, რეიდის სიგრძე უდრიდა 400 საჟენს,[3] იგი აღმოსავლეთით გრძელდებოდა 3 კმ-ზე. დამაკმაყოფილებელია ნავსადგურში წყლის სიღრმე, რაც რეიდზე შეადგენს 40 ფუტს,[4] ხოლო ყურეში, ნაპირთან ახლოს - 20-25 ფუტს. ასე რომ, ნებისმიერ ამინდში გემებს თავისუფლად შეეძლოთ ნაპირზე მიდგომა და სატვირთო ოპერაციების წარმოება. ნავსადგურს ჰქონდა ძალზე კარგი გრუნტიც, რომელიც საიმედოდ იჭერდა ღუზას.[5]

ადრე ბათუმის ნავსადგური არ იყო კეთილმოწყობილი და ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს: დაბალი იყო გამტარუნარიანობა, არ გააჩნდა გადასატვირთი მოწყობილობები, ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, საწყობები და ა.შ. ამიტომ შემოერთებისთანავე

---

[1] ნ.ნიკოლაძე. თხზ., ტ. 3, თბ., 1963, გვ. 70.

[2] Акты, т. 7, Тиф., 1878, с. 736.

[3] ერთი საჟენი საკენი ტოლია 1,83 მეტრის.

[4] ფუტი რუსეთში იყო სიგრძის საზომი ერთეული, უდრიდა 30,47 სმ.

[5] Ушаков А.К., История военных действий в азятской Турции в 1828-1829 годах, ч. I, СПб., 1836, с. 133; ИКОИРГО, т. III, №3, Тифл., 1873, с. 101, Акты, т. 10, Тиф., 1885, с. 556-557; Литвинов М., Черное море (военно-статистический обзор), СПб., 1881, с. 94.

დღის წესრიგში დადგა აქ დიდი სამშენებლო-კეთილმოწყობითი სამუშაოების დაწყება.

1879 წ. დიდი მთავრის — მიხეილ ნიკოლოზის ძის განკარგულებით შეიქმნა განსაკუთრებული კომისია სამხედრო ინჟინერ გენერალ-მაიორ ფროლოვის თავმჯდომარეობით. მას დაეკალა ბათუმის სანავსადგურო პირობების გაუმჯობესების სამუშაოთა პროექტის შემუშავება.[6]

კომისია 3 წელზე მეტხანს მუშაობდა. შედგა ორი პროექტი: ერთის ავტორი იყო პორტის უფროსი, კონტრადმირალი ა. გრეეგ, მეორის – პორტის მშენებლობის სამმართველოს ინჟინერთა ჯგუფი. პირველი გამოირჩეოდა ჩანაფიქრის გრანდიოზულობით, მასშტაბურობით[7] და ყველაზე მეტად შეესაბამებოდა ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობებს. ა. გრეეგს მთავარი ამოცანა იყო პორტის რაც შეიძლება გაფართოება. იგი დაცული იქნებოდა ქარებისა და ღელვისაგან; ყურეში ჩამდინარე წყლები უნდა გადაეგდოთ აღმოსავლეთით, რადგან ისინი ნავსადგურს ავსებდნენ ნატანით; ბრეკვატერი და მოლო უნდა აეგოთ წყალმარჩხ ადგილზე; პორტის ტერიტორიაზე უნდა გაეყვანათ ჭაობის ამოსაშრობი არხი, ყურის აღმოსავლეთ ნაწილში აეშენებინათ ნავთობის პორტი; სანაპიროს გაყოლებით აეგოთ ქვის ნავმისადგომი, ხოლო სამხრეთ ნაწილში - მცირე წყალწყვის საკაბოტაჟო მცურავ საშუალებათა ნავმისადგომი.[8] ნავსადგურის აკვატორიის მთელი ფართი იქნებოდა 280 ათასი კვ. საჟენი, სატვირთო ოპერაციების შესასრულებლად სანაპირო ხაზს ექნებოდა 2 ათასი საჟენი სიგრძე.[9] დასასრულ, ა. გრეეგ ურჩეედა მთავრობას, უეჭველად ესარგებლა ბათუმის ხელსაყრელი მდგომარეობით და არ დაეზოგა სახსრები პორტის მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის.[10]

მეორე პროექტი სუსტი გამოდგა. იგი არ იძლეოდა ყურის სრულყოფილად ათვისების შესაძლებლობას: ხელოვნური ნავსადგური მოეწყობოდა ყურის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილში, ორი ურთიერთშემხვედრი ბოლოს შეერთების გზით წარმოქმნილ აუზში. მისი სიერცე მცირე იყო (60 ათასი კვ. საჟენი). პროექტის განხორციელების შემთხვევაში ყურე დაკარგავდა ბუნებრივ ღირსებას, ვერც სრულყოფილად ათვისებდნენ.[11]

აღნიშნული პროექტები კავკასიის მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა 1882 წ. გადასცა მიმოსვლის გზათა სამინისტროს. 2 წელი გაგრძელდა მათი განხილვა. საბოლოოდ სამინისტრომ ორივე პროექტი უარყო: პირველი - დიდი ხარჯების გამო (დაახლოებით 8 მილიონი რუბლი). თუმცა მალე ცხადი გახდა, რომ იგი ყველაზე მეტად პასუხობდა დროის მოთხოვნებს - მართლაც, რამდენიმე წლის შემდეგ ისევ დაიწყეს ფიქრი პორტის გაფართოებაზე. მეორე პროექტი კი დაიწუნეს უვარგისობის გამო.

მაშინ გზათა სამინისტრომ თავად შეადგინა ახალი პროექტი, რომელსაც, გარკვეულწილად, საფუძვლად დაედო ა. გრეეგს პროექტი. იგი ითვალისწინებდა ყურის აღმოსავლეთ ნაწილში მოხერხებული ნავსადგურის აგებას (დასაქმებული იქნებოდა ნავთობის ექსპორტით), ქალაქის სანაპიროს გასწვრივ გემმისადგომი

---

[6] Батумъ и его окрестности. Бат., 1906, с. 364; Лисовский В., Чорохский край (военно-статистический очерк), Тиф., 1887, с. 137-140.

[7] Газ. «Московские ведомости», 1883, №271.

[8] Греве П., Проект порта в Батуме. - Морской сборник. 1884, №2, с. 80-83.

[9] იქვე. გვ. 84.

[10] იქვე. გვ. 81-82.

[11] რ. უზუნაძე. ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათ., 2002, გვ. 107.

კედლის მოწყობას (მოემსახურებოდა სატვირთო გემებს, აგრეთვე მგზავრებს), ბურუნ-თაბიეს კონცხზე ბრეკვატერის აგებას, ნავმისადგომი აუზის სიღრმის გაზრდას, ნავმისადგომების მოწყობას და სასაწყობო მეურნეობის გამართვას.[12] აღნიშნული პროექტი საბოლოოდ დამტკიცდა 1885 წლის 10 მაისს.[13]

სამუშაოები დაიწყო 1885 წ. შემოდგომაზე. თავდაპირველად გამოყვეს სამი მილიონი რუბლი. სამუშაოები უნდა წარემართათ ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე დაიგეგმა: ნავთობის ნავსადგურის აგება, სანაპიროს გასწვრივ 380 საჟენი სიგრძის შარაგზის გაყვანა, 100 საჟენი სიგრძის სანაპირო კედლის ამოყვანა, წყლის სიღრმის გაზრდა 24 ფუტამდე. მშენებლობის უფროსად დაინიშნა ინჟ. ნ. ზუბოვი, სამუშაოთა მწარმოებლად - ინჟინრები ა. ბუნგე და ს. პალაშკოვსკი.[14]

პირველი რიგის სამუშაოები დამთავრდა 1889 წ. დამლევს. მოეწყო: ნავთობის ნავსადგური (ნავთობის მოლოს სიგრძე უდრიდა 378 საჟენს),[15] გაიხსნა ნავთობ-სასხმელი სამი ხაზი, ნავთობის ნავსადგურში ააგეს 65 საჟენი სიგრძის სანაპირო კედელი, დაიდგა შუქურა.[16]

დარჩენილი სამუშაოების დასასრულებლად ხელისუფლებამ დამატებით გამოჰყო ორი მილიონი რუბლი.[17] პორტის დამთავრება ნავარაუდევი იყო 1893 წ. 1 იანვრისათვის. ამ ეტაპზე უნდა გაემაგრებინათ ნავსადგურის სანაპირო, ყურის დასაველეთ ნაწილში მოეწყოთ 160 საჟენი სიგრძის გემმისადგომი, ნავთობისა და ნავ-თობპროდუქტების დასატვირთი ნავმისადგომი, ბურუნ-თაბიეს კონცხზე უნდა აეგოთ 100 საჟენი სიგრძის ზვირთსაქცევი, ნავსადგურის აუზი გაეღრმავებინათ 26 ფუტამდე.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები ძირითადად დამთავრდა 1893 წ. საერთო ხარჯმა შეადგინა 5 მილიონი რუბლი. სამშენებლო კეთილმოწყობითმა სამუშაოებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ყურის სანაესადგურო პირობები, ახლა იგი პირობითად იყოფოდა ნავთობისა და ქალაქის სანაპირო ნავსადგურებად. პირველი, ძირითადად, განკუთვნილი იყო გემებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ჩასატ-ვირთად. მისი აუზის ფართობი უდრიდა 40 ათას კვ. საჟენს.[18] სანაპირო ნავსადგურის სიგრძე შეადგენდა 683 საჟენს და ემსახურებოდა ყველა სახეობის ოპერაციასა და მგზავრთა მიმოსვლას. მწყობრში ჩადგა 16 ნავმისადგომი.[19] მოგვიანებით მათ დაემატა 2 ნავთობსასხმელი ხაზი და 10 ნავმისადგომი.[20] აუგებელი დარჩა ბურუნ-თაბიეს ზვირთსაქცევი. ამიტომ სამუშაოები შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. მართლაც, 1895-1897 წლებში აშენდა საკაბოტაჟო ნავსადგური, 1899 წ. დამთავრდა ბურუნ-თაბიეს კონცხზე 100 საჟენი სიგრძის ზვირთსაქცევი.[21]

ამასობაში ბათუმის ნავსადგურის სავაჭრო ოპერაციები მკვეთრად გაიზარდა, მისი გამტარუნარიანობა კი ვერ პასუხობდა მოთხოვნებს. ამიტომ XIX ს. ბოლოს ისევ დაისვა ნავსადგურში სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების საკითხი. ამ მიზნით, სხვადასხვა დროს, შეიმუშავეს ექვსი პროექტი, რომელთა ავტორები იყვნენ:

[12] აცსა, ფ. 16, ან. 1, ს. 42, ფურც. 18-19.
[13] იქვე, ს. 32, ფურც. 4.
[14] აცსა, ფ. 16, ან. 1, ს. 12, ფურც. 79-80.
[15] იქვე, ს. 23, ფურც. 54-55.
[16] იქვე, ფურც. 54-55; ს. 41, ფურც. 84.
[17] იქვე, ს. 26, ფურც. 25.
[18] აცსა, ფ. 16, ან. 1, ს. 36, ფურც. 18.
[19] იქვე, ს. 9, ფურც. 18; ს. 23, ფურც. 40-42.
[20] იქვე, ს. 31, ფურც. 84, ს. 42, ფურც. 83-85.
[21] იქვე, ს. 38, ფურც. 31.

მიმოსვლის გზათა სამინისტრო (1898 წ),[22] გენერალ-მაიორი ჟარინცევი (1898 წ),[23] პორტის მშენებლობის უფროსი, ინჟინერი ნ. ზუბოვი (1898 წ.),[24] ინჟინერი ნ. ვოზნესენსკი (1901 წ.),[25] პორტის უფროსი ფიტინგოფი (1903 წ.),[26] ინჟინერი ა. პომორცევი (1908 წ.).[27] თითოეული პროექტი გამოირჩეოდა ორიგინალობით და მასშტაბურობით, მაგრამ სამუშაოთა სიძვირის გამო ყველა უარყვეს.

ნავსადგურის მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობდა ტერიტორიის კეთილმოწყობა, პორტის ტექნიკური აღჭურვა, სასაწყობო მეურნეობის შექმნა.

ნავსადგურის სანაპირო ტერიტორია მოიცავდა 40 ათას კვ. საჟენს. აქ განლაგდა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა. ადმინისტრაციული შენობები, სანაოსნო უწყებათა საცხოვრებელი სახლები, გემთმშენებელი სახელოსნო, სამი შუქურა და სხვ. 1905 წ. გაიხსნა სამედიცინო პუნქტი, მოეწყო განათება - დაიდგა 155 ნავთის ფარანი, რომლებიც 1908 წ. შეიცვალა ელექტროგანათებით.[28]

საზღვაო ვაჭრობის განვითარებამ მოითხოვა პორტში სასაწყობო მეურნეობის შექმნა. საზღვაო უწყებამ, ქალაქის თვითმმართველობამ და კერძო ფირმებმა ააგეს საწყობები, პაკჰაუზები (სპეციალური დანიშნულების საწყობი), ფარდულები, მოაწყვეს სასაწყობო მოედნები. 90-იანი წლების ბოლოს პორტის ტერიტორიაზე იყო 30-მდე საწყობი, პაკჰაუზი თუ ფარდული, 15 მოედანი.[29] ამის მიუხედავად, მათი შესაძლებლობანი არ აღმოჩნდა საკმარისი - ტვირთის ნაწილი ისევ ღია ცის ქვეშ ეწყო. ამიტომ 1898 წელს გადაწყდა 8 ახალი პაკჰაუზის აგება. მათი ტევადობა იქნებოდა საშუალოდ 5 ათასი ფუთი, მაგრამ მშენებლობა დიდი შეფერხებით მიმდინარეობდა - მხოლოდ 4 პაკჰაუზი ააშენეს.[30]

ნავსადგურმა მოითხოვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა. მით უმეტეს, რომ პორტის პარკი 1896 წ. შედგებოდა ორი ფელუკისა და მცურავი ამწისაგან. ამიტომ 1897-1899 წლებში შეიძინეს ორთქლის საბუქსირე გემი, ასეთივე კატერი, ორი მიწახაპია, ორმოცტონიანი მცურავი ამწე, სამი შალანდა, რამდენიმე კანჯო და ფელუკა.[31] შემდგომ წლებში პარკს შეემატა, აგრეთვე, ოდესის ორთქლის თვითმავალი შალანდა, პატარა ორთქლის გემი, ასეთივე კატერი, ხუთტონიანი ამწე.[32] უმჯობესდებოდა სატვირთო ოპერაციების მექანიზაცია, მოეწყო ნავთობსასხმელი 5 სადგური, რაც მეტად მოხერხებული გამოდგა ნავთობის სატვირთო ოპერაციებისათვის; მათი მეშვეობით ყოველგვარ ამინდში შეიძლებოდა ტანკერის დატვირთვა. ერთი ნავთობსასხმელი სადგურის მეშვეობით საათში ხდებოდა საშუალოდ 8000 ფუთი ნავთობის ჩატვირთვა.[33] გემებზე ჭურჭლით (ტარა) ნავთობის დასატვირთად მოეწყო ელევატორები, რომელთა მეშვეობით მარგანეცსაც ტვირთავდნენ.[34]

არსებული ტექნიკური აღჭურვილობა მაინც არ იყო საკმარისი გამართული

22 იქვე, ს. 42, ფურც. 5; Отчет председателя суб-комисии Н.И.Забугина, по устроиству нефтянного городка в Батуме, СПб., 1899, с. 182-183.
23 აცსა, ფ. 16, ან. 1, ს. 42, ფურც. 5-7; Отчет председателя суб-комисии... с. 184.
24 იქვე. ფურც. 8-10; Отчет председателя суб-комисии... с. 188-189.
25 აცსა, ფ. 16, ან. 1, ს. 42, ფურც. 24-28.
26 იქვე, ფ. 34, ან. 1, ს. 7, ფურც. 1.
27 იქვ. ფ. 16, ან. 1, ს. 72, ფურც. 12-15.
28 რ. უზუნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 149-152.
29 იქვე, ფ. 34, ან. 1, ს. 31, ფურც. 237.
30 იქვე, ფ. 16, ან. 1, ს. 28, ფურც. 17-18; ს. 33, ფურც. 2.
31 იქვე, ს. 38, ფურც. 4.
32 იქვე, ს. 66, ფურც. 115.
33 იქვე, ს. 42, ფურც. 53.
34 იქვე, ფ. 34, ან. 1, ს. 31, ფურც. 26.

მუშაობისათვის - დიდი იყო გემების მოცდენა. ამიტომ პორტის განსაკუთრებულ საქმეთა კომისიამ არსებული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებლად ცნო და 1902 წ. 27 მარტს დაადგინა გემებზე ჭურჭლით ნავთობპროდუქტების ჩასატვირთ მექანიკურ საშუალებათა მოწყობის აუცილებლობა,[35] თუმცა ამას არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.

ვითარდება სანაოსნო საშუალებები, ნაოსნობის სახეები. იგი მოიცავდა მცირე და დიდ საკაბოტაჟო ნაოსნობას, საერთაშორისო ნაოსნობას.

მცირე საკაბოტაჟო ნაოსნობას ბათუმის ოლქში დიდი ტრადიციები ჰქონდა, რადგან რეგიონის მოსახლეობა ოდითგანვე მისდევდა ზღვაოსნობას. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ლაზები. ისინი თავიანთი ნავებით დაცურავდნენ შავი ზღვის თითქმის ყველა მიმართულებით და გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საკაბოტაჟო ნაოსნობაში.[36]

ლაზებში ზღვაოსნობის დაწინაურება მნიშვნელოვნად განაპირობა მძიმე ცხოვრებამ. მათი საცხოვრისი იყო ტყით დაფარული, ციცაბო, მთაგორიანი და კლდოვანი, რის გამოც განიცდიდნენ სახნავ-სათესი მიწების დიდ სიმცირეს. ამიტომ ლაზებმა „ფინიკიელების მსგავსად, თავიანთი მცირემიწიანობიდან გამოძებნეს გამოსავალი: ისინი ზღვას დაუმეგობრდნენ და თავიანთი ბედიც მას მიანდვეს".[37] ამიტომ ლაზები ითვლებოდნენ ჩინებულ მეზღვაურებად. „მათ ოსტატობას, სიმარდეს, გულადობასა და მოხერხებულობას აღიარებდნენ ინგლისელებიც კი, რომელთაც ტოლი არ ჰყავთ ნაოსნობასა და მეხომალდეობაში",[38] - წერდა ი. გოგებაშვილი.

რუსეთთან შეერთების პერიოდისათვის ბათუმის ოლქში ცხოვრობდა 5000-დე მამაცი, გამოცდილი მეზღაური,[39] რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საკაბოტაჟო ნაოსნობაში. მათ ბათუმსა და ახლომახლო პუნქტებს შორის გადაჰქონდათ ტვირთი, გადაჰყავდათ მგზავრები.[40] 1880-1881 წლებში ბათუმში შემოსულა და ბათუმიდან გასულა 1800-ზე მეტი ფელუკა,[41] 1903 წ. კი - 5200 მეტი.[42]

ამდენად, რუსეთის ხელისუფლებას ბათუმის ოლქში დახვდა ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის დიდი ტრადიციები, რაც ქმნიდა შესანიშნავ პერსპექტივას აღნიშნული საქმის შემდგომი განვითარებისათვის. მართლაც, XIX ს. 80-იანი წლებიდან მცირე საკაბოტაჟო ნაოსნობას ახალი იმპულსი მიეცა, მან მიიღო ფართო, მასშტაბური ხასიათი, რამდენადაც შავ ზღვასთან ერთად მოიცვა აზოვის ზღვის აუზიც, ბათუმის სანაოსნო გზით მყარდება მჭიდრო კავშირი კავკასიის, ყირიმისა და აზოვის ზღვისპირა რაიონებთან, ბათუმს ურთიერთობა ჰქონდა კავკასიის 16, ყირიმის 10 და აზოვის 6 სანავსადგურო პუნქტთან.

დანიშნულების მიხედვით სრულდებოდა სატვირთო, სატვირთო-სამგზაერო, სამგზაერო, საფოსტო-სამგზავრო რეისები. ხასიათისა და სიჩქარის მიხედვით იყო პირდაპირი, წრიული და ჩქარი, უმეტესად რეგულარული რეისები.

განსაკუთრებით ვითარდებოდა საკაბოტაჟო-სატვირთო რეისები. რუსეთის სამხრეთი რაიონებიდან და კავკასიის ზღვისპირა პუნქტებიდან ბათუმში შემოჰქონ-

---

[35] იქვე, ფ. 16, ან. 1, ს. 48, ფურც. 53.
[36] თ.ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981, გვ. 93; რ. უზუნაძე, ნაოსნობის ტრადიციები ბათუმის ოლქში, - „საისტორიო მაცნე", №8, ბათ., 2000, გვ. 66-69.
[37] გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1995, გვ. 126.
[38] ი.გოგებაშვილი, ეთნოგრაფიული ჩანაწერები. საგანძური. თბ., 1993, გვ. 292.
[39] სცსსა, ფ. 416, ან. 3, ს. 820, ფურც. 42.
[40] აცსა, ფ. 14, ან. 1, ს. 2, ფურც. 26-27.
[41] ИКОИРГО. т. VIII, №1, Тиф., 1883, с. 95.
[42] Обзор Батумской области за 1903 год, Бат., 1904, с. 48.

დათ: ხორბალი, პურის ფქვილი, ჭვავი, ბარდა, ბურღული, ჭვავის ფქვილი, სიმინდი, მარილი, პალმის ხე, ცემენტი, ხე-ტყე, ქვანახშირი, რკინა, რკინის ნაწარმი, ქვა, აგური, ქვის ნაკეთობები და სხვ.[43] ამ ტვირთებში ჭარბობდა ხორბალი, ხე-ტყე, ქვანახშირი, ცემენტი, რკინა.

საკაბოტაჟო ტვირთბრუნვაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა შემოტანას. 1883-1913 წლებში მან შეადგინა სულ 179 199 988 ფუთი, ანუ მცირე საკაბოტაჟო ტვირთბრუნვის 46, 7%.[44]

საკაბოტაჟო ტვირთბრუნვაში დიდი იყო გატანის ხვედრითი წილი. ძირითადად ამიერკავკასიის რეგიონებიდან, მათ შორის, ბათუმის ოლქიდან გაჰქონდათ 50-მდე დასახელების საქონელი (პური, მარილი, სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტი, თევზი,[45] მინერალური წყლები, სპირტიანი სასმელები, ღვინო, ხილი,[46] ძვირფასი ხის მასალა, გადაუმუშავებელი ბამბა, ტყავი, ცარცი, კირი, აგური, კრამიტი, ქვანახშირი, ყოველგვარი მადანი, სპილენძი,[47] ნავთობპროდუქტები.[48] ძირითადად ისინი შეჰქონდათ კავკასიის, ყირიმისა და აზოვის სანაპიროდგურო პუნქტებში (ფოთი, ოდესა, სევასტოპოლი, ქერჩი, ბერდიანსკი, მარიუპოლი).[49] სულ 1883-1902 წლებში გაიტანეს 135 343 500 ფუთი, 1911-1912 წლებში — 12161052 ფუთი.[50]

აღნიშნული ტვირთებიდან დიდი წილი (დაახლოებით 74%) მოდიოდა ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე. 1883-1902 წლებში მცირე კაბოტაჟით გაიტანეს 100 205 800 ფუთი ნავთობპროდუქტი, 1911-1912 წლებში რუსეთის სამხრეთ რაიონებში ბათუმიდან გაიტანეს 9120870 ფუთი ნავთობპროდუქტი.[51]

მცირე კაბოტაჟით ბათუმიდან საქონლის ექსპორტი რუსეთში უმნიშვნელო იყო საზღვარგარეთ ექსპორტთან შედარებით და შეადგენდა 5-11%-ს.[52] ეს იმის შედეგი იყო, რომ, ჯერ ერთი, რუსეთში ნავთობპროდუქტები ძირითადად შედიოდა კასპიის ზღვით და ვლადიკავკაზის რკინიგზით,[53] და მეორეც, ბათუმის პორტი ძირითადად ემსახურებოდა ნავთობპროდუქტების საზღვარგარეთ ექსპორტს, ამიტომ გადაზიდვა რუსეთში მეორეხარისხოვნად ითელებოდა.

საკაბოტაჟო ტვირთები გადაჰქონდათ „ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოების", „ტვირთების ტრანსპორტირებისა და დაზღვეების რუსეთის საზოგადოების", ძმები როზენშტეინების, მანთაშევის, კოშკინას გემებით.[54]

ვითარდება სამგზავრო რეისებიც. ყირიმ-აზოვ-კავკასიის სანაოსნო ხაზებზე მგზავრები გადაჰყავდათ სატვირთო-სამგზავრო, სამგზავრო და საფოსტო-სამგზავრო გემებით. რეგულარული იყო ჩქარი, პირდაპირი და წრიული რეისები. 1903 წ. ცნობით ბათუმში მგზავრთა მოძრაობამ შეადგინა 136369 კაცი.[55] სამგზავრო რეისებსაც

---

43 აცსა, ფ. 14, ან. 1, ს. 2, ფურც. 38-39; Батумъ и его окрестности. с. 380.
44 რ. უზუნაძე, ნაოსნობა ბათუმის ოლქში, გვ. 188.
45 გაჰქონდათ ქერჩში სვია და ზუთხი, 1900 წლის ცნობით წლიურად 155 ათას ფუთამდე (Батумъ и его окрестности. с. 443).
46 გაჰქონდათ ვაშლი, მსხალი, ზეთის ხილი, ნიგოზი (იქვე, გვ. 442).
47 1903 წელს გაიტანეს 22730 ფუთი სუფთა სპილენძი (იქვე, გვ. 458).
48 აცსა, ფ. 14, ან. 1, ს. 2, ფურც. 93.
49 იქვე, ფურც. 69-73.
50 იქვე, ფ. 16, ან. 1, ს. 101, ფურც. 46; ს. 272, ფურც. 12-13.
51 იქვე, ფ. 34, ან. 1, ს. 8, ფურც. 447.
52 Батумъ и его окрестности, с. 375.
53 აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. 43, ფურც. 20; Энглер. Бакинская нефть (путевые записки). СПб., 1886, с. 48-49.
54 Дакишевич Н., Батуми. Тиф., 1890, с. 15-16; Батумъ и его окрестности. с. 297.
55 Обзор Батумской области за 1903 год. с. 44.

აღნიშნული საზოგადოების გემები ასრულებდნენ.[56]

საერთოდ, ბათუმის ოლქში მცირე საკაბოტაჟო ნაოსნობას ემსახურებოდა საკმაოდ დიდი ფლოტი. იგი შეადგენდა პორტის გემთბრუნვის დაახლოებით 42%. 1900-1902 წლებში საკაბოტაჟო გემთბრუნვა შეადგენდა 17747 ერთეულს. აქედან 4304 იყო ორთქლის გემი (მათ'ს მოდიოდა საკაბოტაჟო გემთა საერთო ტვირთამწეობის 98%), ხოლო დანარჩენი - მცირე წყალწყვეის იალქნიანი გემები (ლაზური ფელუკები).[57] აღსანიშნავია, რომ ამ დროიდან საკაბოტაჟო ნაოსნობაში შემოდის ნავთობმზიდი ტანკერები. ამიერიდან ძირითადად მათ გაჰქონდათ ნავთობპროდუქტები ყირიმისა და ა'ზოვის სანავსადგურო პუნქტებში.

დიდი კაბოტაჟი ბათუმის ოლქისათვის იყო ნაოსნობის ახალი სახეობა, რომელიც 80-90-იანი წლებიდან დამკვიდრდა. მას გარკვეულად ბიძგი მისცა ბათუმის საზღვაო გზით იმპერიის ჩრდილოეთ და შორეული აღმოსავლეთის პუნქტებში ნავთობპროდუქტების გადატანამ. ბათუმს დიდი საკაბოტაჟო სანაოსნო ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგთან და ვლადივოსტოკთან. დიდი კაბოტაჟით პირველი რეისი გაეგზავნა 1883 წ., როდესაც პეტერბურგიდან ბათუმში მოიტანეს 80 ათასი ფუთი სხვადასხვა ტვირთი.[58] 2 წლის შემდეგ იმავე რეისით ბათუმში შემოტანილმა ტვირთმა შეადგინა 154 ათასი ფუთი.[59] აქედან პეტერბურგში გაჰქონდათ ნავთობპროდუქტები, კვერცხი, ჩაი.[60]

შორეული აღმოსავლეთის მიმართულებით დიდი საკაბოტაჟო ცურვის პირველი რეისი შესრულდა 1893 წელს, ბათუმიდან ვლადივოსტოკში გაიტანეს 23559 ფუთი ნავთი. შემდგომ წლებში ეს მაჩვენებელი იზრდება და 1892-1902 წლებში დიდი კაბოტაჟით ტვირთბრუნვის საერთო მოცულობამ შეადგინა 2959400 ფუთი, აქედან ნავთობპროდუქტები იყო 2097400 ფუთი.[61] ამდენად, დიდი კაბოტაჟით ტვირთბრუნვა, ძირითადად, მოდიოდა ნავთობპროდუქტებზე, რომლებიც გადაიზიდებოდა ჭურჭლით (ბიდონები, კასრები). დიდ კაბოტაჟს ემსახურებოდნენ სანკტ-პეტერბურგის სანაოსნო კომპანია „ნადეჟდას" და „ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოების" გემები.

საერთაშორისო ნაოსნობა ბათუმის ოლქში მეტ-ნაკლები წარმატებით ეთარდება XIX ს. 60-იანი წლებიდან,[62] მაგრამ ინტენსიურია მხოლოდ 80-იანი წლებიდან, რასაც ბიძგი მისცა ბათუმიდან საერთაშორისო ტვირთბრუნვის არნახულმა ზრდამ. ბათუმს ურთიერთობა ჰქონდა თითქმის ყველა კონტინენტის 42 ქვეყანასთან. საერთაშორისო საზღვაო ხაზებით იგი უკავშირდებოდა 100-ზე მეტ საპორტო ქალაქს (ჰამბურგი, ლონდონი, ანტვერპენი, ჰაერი, ბორდო, მანჩესტერი, ლივერპული, ლისაბონი, მარსელი, ტრიესტი, პორტ-საიდი, სტამბოლი, კალკუტა, შანხაი, სიდნეი, იოკოჰამა, ნიუ-იორკი, ფილადელფია, ბალტიმორი, ალექსანდრია და ა.შ.). შემდგომ განვითარდა სატვირთო-სამგზავრო და საფოსტო-სამგზავრო მიმოსვლა. სატვირთო რეისები ემსახურებოდა ბათუმის საზღვაო გზით საერთაშორისო ვაჭრობის ტვირთების ტრანსპორტირებას. აღნიშნული რეისებით ბათუმიდან მსოფლიო ბაზრებზე გადიოდა ამერიკაკავკასიის, კასპიისპირეთისა და სპარსეთის 45-ზე მეტი დასახელების საქონელი

---

56 Дакишевич Н., Указ. соч., с. 15-16.

57 Батумъ и его окрестности, с. 304.

58 აცსა, ფ. 48, ან. 1, ს. 10, ფურც. 135.

59 КК, Тиф., 1886, с. 169.

60 Энглер, Указ. соч., с. 49.

61 Батумъ и его окрестности, с. 374.

62 რ.უზუნაძე, საზღვაო ნაოსნობის ისტორიიდან ბათუმის ოლქში (XIXს-ის 60-70-იანი წლები). - სდსყკ, XV, თბ., 1988, გვ. 87-90.

(ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ხორბალი, სიმინდი, თამბაქო, სპირტიანი სასმელები, ხე-ტყე, ბამბა, აბრეშუმი, მატყლი, მარგანეცი, ხალიჩები და სხვ.).[63] 1883-1912 წლებში საზღვარგარეთ გაიტანეს 1.486.724.100 ფუთი ტვირთი.[64] ექსპორტში ყველაზე დიდი წილი მოდიოდა ბაქოს ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე. მისი პირველი პარტია - 926405 ფუთი ამ გზით გაიტანეს 1881 წელს.[65]

ბაქო-თბილისი-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნის (21.V.1883) შემდეგ არნახულად გაძლიერდა ბაქოს ნავთობპროდუქტების გადმოზიდვა ბათუმში, ხოლო აქედან — მსოფლიო ბაზრებზე გატანა.[66] 1883 წ. ნავთობპროდუქტების ექსპორტმა შეადგინა 3348900 ფუთი, 1883-1912 წლებში კი საზღვაო გზით აქედან გაიტანეს 1.340.466.500 ფუთი ნავთობი და ნავთობპროდუქტი.[67] 1905-1907 წლებში ამერიკულ ნავთობთან კონკურენციაში ბაქოს ნავთობის ექსპორტი გარკვეულად შემცირდა.

ნავთობპროდუქტები გაჰქონდათ ევროპის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიის და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში და შეადგინა ბათუმის სანაოსნო გზით გატანილი ტვირთების 90%, ხოლო საერთო ტვირთბრუნვის — 74%. ბათუმზე მოდიოდა რუსეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მთელი ექსპორტის 82%.[68]

ბათუმში საერთაშორისო სანაოსნო ხაზებით შემოჰქონდათ 25-ზე მეტი სახის საქონელი (პურის ფქვილი, რკინეულობა, ჩაი, თუნუქი, მადანი, ლითონი, ხე-ტყე, საღებავი, მანუფაქტურა, მანქანა-დანადგარი).[69] 1883-1912 წლების მონაცემებით, საქონლის შემოტანამ შეადგინა 118.493.843 ფუთი. იგი გატანასთან შედარებით უმნიშვნელო იყო და ფაქტობრივად შეადგენდა დაახლოებით 8%.

ტვირთბრუნვის გარკვეული ნაწილი, სპარსულ ტრანზიტთან ერთად, მოდიოდა შუა აზიის საქონელზე. კრასნოვოდსკ-ბაქო-ბათუმი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სატრანზიტო გზას, რომლითაც შუა აზია უკავშირდებოდა დასავლეთის ქვეყნებს.[70] ბათუმის მეშვეობით შუა აზიიდან საზღვარგარეთ გაჰქონდათ მატყლი, ხალიჩები, ტყავი, ბამბა, ხმელი ხილი, შემოჰქონდათ ჩაი (ძირითადად). 1892-1902 წლებში შუა აზიის ტვირთბრუნვამ ბათუმის გზით შეადგინა 2589000 ფუთი.[71]

გაფართოედა საერთაშორისო სამგზავრო რეისებიც. ბათუმიდან საზღვარგარეთ მგზავრების გადაყვანა წარმოებდა სატვირთო-სამგზავრო რეისებით. ემსახურებოდნენ: ფრანგული სანაოსნო კომპანიების „მესსაჟერ მარიტიმის“ და „პაკეს“, ავსტრიის სანაოსნო საზოგადოება „ლლოიდის“, სანაოსნო საზოგადოება „კავკასია და მერკურის“, „ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოების“ გემები. სრულდებოდა რეგულარული საფოსტო-სამგზავრო რეისები: ბათუმი-სტამბოლი-სმირნა-პირეი-კატანია-ნეაპოლი-გენუა-მარსელი-ბარსელონა; სწრაფი საფოსტო-სამგზავრო რეისები

---

[63] Отчет председателя суб-комисии. с. 178-179; Батум и его окресности. с. 375; Журн. «Сельское хозяйство и лесоводство», №1, 1882, с. 36-38; Фон-Гребнерь А., Торговые дороги Закавказья. СПб., 1896, с. 40-41.

[64] აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. 247, ფურც. 23-24; ფ. 16, ან. 1, ს. 72, ფურც. 12; ს. 104, ფურც. 68; ფ. 34, ან. 1, ფურც. 444; დ.ღამბაშიძე. ჩვენი ქვეყნის უცხოეთთან ვაჭრობის მიმოხილვა. ლონდონი, 1914, გვ. 4-32.

[65] ვ.სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან. ბათ., 1958, გვ. 135.

[66] История Азербайджана в трёх томах, т. 2, Баку, 1960, с. 212.

[67] აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. 247, ფურც. 23; ფ. 34, ან. 1, ს. 8, ფურც. 444. ფ. 46, ან. 1, ს. 43, ფურც. 55-56, დ.ღამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

[68] რ. უზუნაძე, ნაოსნობა ბათუმის ოლქში, გვ. 203.

[69] აცსა, ფ. 16, ან. 1, ს. 272, ფურც. 12; დ.ღამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 35-46.

[70] Каррьев А., Росляков А.,. Краткий очерк истории Туркменистана (1863-1917 гг.). Ашхабад, 1956, с. 60; Материалы для описания Персии, Азиатской Турции и Закаспийского края. - ИКОИРГО, т. 9, №1, Тифл., 1887, с. 90.

[71] Отчёт председателя суб-комисии. с. 178-179; Батум и его окрескости. с. 387.

არსებობდა ბათუმ-სტამბოლის ხაზზე.[72] მგზავრთა მოძრაობა საკმაოდ მაღალი იყო, 1903 წ. მან შეადგინა 47774 მგზავრი,[73] 1909 წ. - 42788,[74] ხოლო 1912 წ. - 35563 მგზავრი.[75] აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირა პუნქტებიდან მხოლოდ ბათუმის ნავსადგურით ხდებოდა საერთაშორისო რეისებით მგზავრთა გადაყვანგადმოყვანა.[76]

ბათუმის გზით საერთაშორისო ნაოსნობას ემსახურებოდა 16 ქვეყნის 30-ზე მეტი კომპანია და საზოგადოება. 1879-1882 წლებში ბათუმის პორტში შემოვიდა საზღვარგარეთული ნაოსნობის 288 გემი.[77] შემდგომ წლებში მოძრაობის სიხშირე იზრდება. 1884 წ. მან შეადგინა 780 გემი.[78] 90-იანი წლებიდან, ნავთობპროდუქტების ექსპორტის ზრდასთან დაკავშირებით, შესამჩნევად იმატა ბათუმის პორტით საერთაშორისო ნაოსნობის გემთბრუნვის სიხშირემ: 1894 წ. – 1561 გემი, 1898 წ. – 1734,[79] 1902 წ. – 4751 გემი.[80]

ბათუმის ოლქის საერთაშორისო ნაოსნობაზე დაკავებულ გემთა 90% მოდიოდა საზღვარგარეთის ქვეყნების სანაოსნო კომპანიებზე. რუსეთის ხვედრითი წილი მასში მეტად მოკრძალებული იყო და შეადგენდა მხოლოდ 10%.[81] საზღვარგარეთული გემების მოზიდვა გარკვეულად დააჩქარა 1898 წლის კანონმაც, რომლითაც უცხოეთის სანაოსნო კომპანიები, რუსეთის საქონლის ექსპორტ-იმპორტს რომ ემსახურებოდნენ, თავისუფლდებოდნენ გადასახადებისაგან.[82]

რაოდენობასთან ერთად იცვლება გემების ხარისხობრივი მაჩვენებელი. მცირე წყალწყვის იალქნიანი გემების ადგილს იკავებენ დიდი ტვირთამწეობის ორთქლის საზღვაო ხომალდები. 1902 წ. მათზე მოდიოდა საზღვარგარეთული ნაოსნობის გემთა საერთო ტვირთამწეობის 95,6% (იალქნიანი გემები უმეტესად ჰყავდათ ოსმალეთს და რუსეთს). ოლქის საერთაშორისო ნაოსნობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ თხევადი ტვირთის მზიდი გემები (ტანკერები). ბათუმის პორტით ნავთობპროდუქტების ექსპორტს ემსახურებოდა 46 ტანკერი.[83] პირველი ასეთი გემი ბათუმში შემოვიდა 1886 წ. დამდეგს. ეს იყო ინგლისური გემი „ფერგიუსონი", რომლითაც იმავე წლის 20 იანვარს ბათუმის პორტიდან გაიტანეს საექსპორტო ტვირთი.[84] ტანკერებმა ბათუმის პორტით 1903 წ. შეასრულეს 241 საერთაშორისო რეისი (საშუალო ტვირთამწეობა 3900 ტონა) და გაიტანეს 57636400 ფუთი (929619 ტონა) ტვირთი.[85]

XX საუკუნის დამდეგისათვის ბათუმი წარმოადგენდა იმპერიის ერთ-ერთ უმსხვილეს საპორტო ქალაქს. ტვირთბრუნვისა და გემთბრუნვის მხრივ იგი ჩამორჩებოდა მხოლოდ პეტერბურგს და ოდესას.

---

72 Гурская, Путеводитель и справочная книжка по г.Батума и окресностям. Тиф., 1901, с.42.
73 Обзор Батумской области за 1903 г. с. 44.
74 აცსა, ფ. 16, ან. 1, ს. 92, ფურც. 127.
75 იქვე, ს. 98, ფურც. 2.
76 დ.ღამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 74.
77 ИКОИРГО.т. VIII, №1, Тиф., 1883, с. 95; Марков А,. დასახ. ნაშრ., გვ. 30.
78 ა.ბ.სურგულაძე, მ.სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996, გვ. 28.
79 Отчет председателя суб-комисии, с. 175.
80 Батум и его окрестности, с. 373.
81 Отчет председателя суб-комисии, с. 176.
82 აცსა, ფ. 34, ან. 1, ს. 24, ფურც. 9.
83 Отчет председателья суб-комисии, с. 177; КК, Тиф., 1898, с. 79.
84 Веру К., Батуми и его окрестности, Бат., 1910, с. 54.
85 რ. უზუნაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 217-219.

ბ) სამდინარო ტრანსპორტი

წყლის ტრანსპორტის განვითარებას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დიდი და საინტერესო ისტორია აქვს. მისი ერთ-ერთი სახეობაა სამდინარო ნაოსნობა, რომლის მეშვეობითაც წარმოებდა ტვირთის გადატანა და მგზავრების გადაყვანა.[86] XIX ს. მეორე ნახევარში ბათუმის ოლქში მნიშვნელოვნად ვითარდება სამდინარო ნაოსნობა, რომელიც ზღვაოსნობასთან ერთად ქმნიდა ოლქის ერთიან სანაოსნო პოტენციალს. იგი აქტიურ როლს ასრულებდა აღნიშნული მხარის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.[87]

ოლქის ძირითად სამდინარო-სანაოსნო არტერიას წარმოადგენდა მდ. ჭოროხი. მისი მეშვეობით შაეშეთის, ართვინისა და არტანუჯის მხარე უკავშირდებოდა ბათუმს და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ზღვისპირა პუნქტებს. ჟან მურიე მიუთითებდა: „საგარეო ურთიერთობისათვის, სავაჭრო გზების უქონლობის გამო, წარსული საუკუნეებიდან ბათუმის ოლქის მთავარი არტერია ჭოროხია. ადგილობრივ მოსახლეობას ამ მდინარის მეშვეობით შეეძლო ვაჭრობა".[88]

ჭოროხის საერთო სიგრძეა 438 კმ, ბათუმის ოლქის საზღვრებში კი - 80 კმ.[89] იგი საკმაოდ წყალუხვი მდინარეა, რომელსაც ერთვის რამდენიმე დიდი და მცირე შენაკადი.

ჭოროხზე ინტენსიური ნაოსნობა დიდად იყო დამოკიდებული მდინარის სიღრმესა და კალაპოტის სიგანეზე. ამ მხრივ იგი გამოირჩეოდა ოლქის სხვა მდინარეებისაგან. გასული საუკუნის 70-80-იანი წლების მონაცემებით ჭოროხის საშუალო სიღრმე უდრიდა დაახლოებით 2,1 მეტრს. შესართავთან მისი სიღრმე აღწევდა 3,2 მეტრს.[90] ინგლისის ტრაპიზონელი კონსულის პალგრევის ცნობით, მაისივნისში ჭოროხის დონე საგრძნობლად იზრდებოდა და ზოგიერთ ადგილას მისი სიღრმე აღწევდა 4,5-6 მეტრს.[91] სიგანე საშუალოდ 21-დან 42 მეტრია. სოფ. ერგესთან მდინარის კალაპოტი ფართოვდება და სიგანე აღწევს 64 მეტრს, შესართავთან კი 276 მეტრს.[92]

ჭოროხს ახასიათებს საკმაოდ ჩქარი დინება. იგი ართვინიდან ერგემდე მიედინებოდა წამში 2,1-2,4 მეტრის სიჩქარით.[93] შემდეგ მდინარის სიჩქარე კლებულობს და დინება შედარებით მდორე ხდება.

აღნიშნული ჰიდროგრაფიული პირობები სავსებით აკმაყოფილებდა ე.წ. „ჭოროხული ნავების" მოთხოვნებს ინტენსიური ნაოსნობისათვის.

---

86 თ.ჩიქოვანი, ჭ.სიკოლაშვილი, ჭოროხზე ნაოსნობის ისტორიიდან. - აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები, III, ბათ., 1958; თ.ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981; ალ.დავითაძე, ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან, ბათ., 1983; ზ.კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, თბ., 1987; რ.უზუნაძე, სამდინარო ნაოსნობა და მისი როლი ბათუმის ოლქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1991.

87 რ.უზუნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

88 ჟან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათ., 1962, გვ. 14.

89 Лисовский В.Я. Чорохский край, Военно-статистический очерк. Тиф., 1887, с. 12.

90 Левашов С.Н. Записка о пограничной линии и зон на расстоянии от Черного моря до г. Артвина. - ИКОИРГО, т. 6, №2, Тиф., 1880, с. 2.; Маевский В.П., Кутайсская губерния (военно-статистическое описание), Тиф., 1896, с. 212.

91 Палгрев В.Д. Следы Ледникового периода в Северно-восточной Анатолии. - ИКОИРГО, т. 6, №1, Тиф., 1879, с. 175.

92 Лисовский В.Я. Указ. соч., с. 13; Шавров Н., Чорохский водный пут и размыв Батумского берега. - Русское Судоходство. №12, М., 1911, с. 62; Левашов С.Н. Указ. соч., с. 231.

93 Лисовский В.Я. დასახ. ნაშრ., გვ. 13.

რუსეთის მმართველობის პერიოდში, ძირითადად, სანაოსნოდ გამოიყენებოდა აღნიშნული მდინარის მონაკვეთი შესართავიდან ართვინამდე. სანაოსნო ხაზის სიგრძე იყო 64 კმ, ბათუმამდე – 75 კმ.[94] წყალუხვობის დროს, განსაკუთრებით გაზაფხულზე, ნაოსნობა შეიძლებოდა სოფ. ორჯოხამდეც.

ნაოსნობა იყო, აგრეთვე, ჭოროხის ზოგიერთ შენაკადსაც (არტანუჯის, ქართის, მურღულისა და ოლთისის წყალს).[95]

ხანგრძლივმა ნაოსნობამ, რთულმა რელიეფურმა და კლიმატურმა პირობებმა განსაზღვრა მდინარეების ჰიდროგრაფიულ პირობებს მტკიცედ შეხამებული, სპეციფიკური კონსტრუქციის ნავის შექმნა, რომელიც ცნობილია „ჭოროხული ნავის" სახელწოდებით.[96] ეს იყო საკმაოდ გრძელი და ვიწრო ნავი: სიგრძით დაახლოებით 12,8-14,9 მ, სიგანით - 1,4-1,8 მ.[97] მდინარის სპეციფიკურობის გამო ჭოროხული ნავი ბრტყელძირიანი იყო. ამიტომ მას ხშირად „ბრტყელძირა ნაესაც" ეძახდნენ.

საკმაოდ დიდი იყო ჭოროხული ნავის ტვირთამწეობა (150-200 ფუთი).[98] წყალუხვობის პერიოდში მას მდინარის მიმართულებით შეეძლო გადაეტანა 300 ფუთამდე ტვირთი,[99] დინების საპირისპიროდ კი - 100-150 ფუთი, ხოლო მცირეწყლიანობის პერიოდში - 50-100 ფუთი.[100]

ნავით ხდებოდა მგზავრების გადაყვანაც, ძირითადად, დინების მიმართულებით.

ნავებს აგებდნენ სოფ. ქვემო მარადიდსა და ბორჩხაში. მარადიდში 20-მდე ნავსაშენი იყო.[101] XIX ს. 70-იან წლებში ჭოროხული ნავი ღირდა 75-80 რუბლი.[102] რუსეთთან შეერთების შემდეგ, ჭოროხზე ნაოსნობის ინტენსიურ ზრდასთან დაკავშირებით, იზრდება ფასიც. 80-იანი წლებისათვის იგი უკვე 120-150 რუბლი ღირდა.[103]

ჭოროხული ნავის ეკიპაჟი შედგებოდა ოთხი კაცისაგან: ნავის წინამძღოლი (რეისი), უფროსი მენიჩბე (უფროსი ტაიფა) და ორი რიგითი მენიჩბე (ტაიფები). ჭოროხის სწრაფი დინებისა და რთული, მიხვეულ-მოხვეული, კლდიანი კალაპოტის გამო მასზე ნაოსნობა არცთუ ისე იოლი იყო. იგი ნავის ეკიპაჟის თითოეული წევრისაგან მოითხოვდა დიდ გამოცდილებასა და სიმარჯვეს. ამ მხრივ ჭოროხელი მენაველები გამორჩეული იყვნენ. ნაოსნობდნენ ძირითადად ართვინიდან ჭოროხის შესართავამდე. ნავები ღუსას უშვებდნენ სოფ. კაპანდიბთან (სახეშეცვლილი ფორმაა კაპანდიდი), სადაც მოწყობილი იყო ნავმისადგომი. აქ ხდებოდა მგზავრების ჩასხდომა-გადმოსხდომა,[104] საიდანაც კახაბრის სახმელეთო გზით მიემართებოდნენ ბათუმისაკენ, კარგ ამინდში კი ცურავდნენ ბათუმამდეც.

ჭოროხული ნავები საკმაოდ ჩქარა დაცურავდნენ. ჩვეულებრივ, სანაოსნო პირობებში ართვინიდან შესართავამდე მანძილს სჭირდებოდა 8-10 საათი, ხოლო წყალუხვობის პერიოდში - 4-6 საათი.[105] ნავს აღმა ჭაპანით მიათრევდნენ და ართ-

---

94 Левашов С.Н. დასახ. ნაშრ., გვ. 231* Вейденбаум Е.Г. От Батума до Артвина (путевые заметки). - ИКОИРГО, т. 6, №2, Тиф., 1880, с. 187.
95 რ.უზუნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 80.
96 ალ.დავითაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 63.
97 დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიაასა და აჭარაში. ბათ., 1987, გვ. 36; Церетели Н.В. Очерк торгово-промышленной развитии г.Батуми и его окрестности. «Батум и его окрестности», Бат., 1906, с. 362.
98 ნ. კახიძე, ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ., 2004, გვ. 65.
99 Маевский В.П., დასახ. ნაშრ., გვ. 213; Церетели Н.В., დასახ. ნაშრ., გვ. 362; Кавказ, 1902, №46.
100 რ.უზუნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 81.
101 ალ.დავითაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 66.
102 დ.ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 56.
103 Левашов С.Н., დასახ. ნაშრ., გვ. 253; ს.ბურიე, დასახ. ნაშრ., გვ. 16.
104 Шавров Н. დასახ. ნაშრ., გვ. 62.
105 დ.ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 36; Джудич П. Заметки о Батуме. - ИКОИРГО, т. 3, №3, 1873, с. 106.

ვინამდე გზის გაელას სჭირდებოდა დაახლოებით 4-5 დღე.[106]

ჭოროხზე ნაოსნობის განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან. ზღვაოსნობის განვითარებამ და ბათუმის გადაქცევამ მსხვილ სანავსადგურო-სამრეწველო ცენტრად ბიძგი მისცა ჭოროხზე ნაოსნობის გამოცოცხლებას.

ქალაქის დაწინაურების კვალდაკვალ იზრდება სწრაფვა ინტენსიური ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობისაკენ ოლქის შიგა რაიონებსა და ბათუმს შორის. ცხადია, აღნიშნულ პროცესს დიდად აფერხებდა უგზოობა. შორ მანძილზე ტვირთი გადაჰქონდათ ძირითადად საპალნით, რომელიც მზარდ წარმოებასთან შედარებით ხასიათდებოდა მეტად დაბალი ტვირთზიდვით. ამასთან, ბათუმის ოლქის შიგა რაიონებისაკენ მიმავალი გზები იყო ძალზე ცუდი, ვიწრო და მოუწყობელი. მოგზაურთა დახასიათებით, მათ ბილიკები უფრო ეთქმოდათ. გაზ. „დროება" წერდა: „ამ რთულ, ვიწრო, ციცაბო გზების გამო კაცი ურმის მონატრული გახდებაო".[107]

რუსეთის ხელისუფლებამ იმთავითვე დაიწყო ოლქის ცენტრალური გზების მშენებლობა, მაგრამ ტემპი ძალზე დაბალი იყო. მხოლოდ 1896 წელს მოხერხდა ბათუმ-ართვინ-არტაან-ყარსის მიმართულებით გზის კეთილმოწყობა. ასეთ პირობებში ჭოროხის სამდინარო გზა ფაქტობრივად წარმოადგენდა ერთადერთ მოხერხებულ სატრანსპორტო არტერიას, რომლის მეშვეობითაც შაეშეთისა და ართვინ-არტანუჯის მხარე უკავშირდებოდა ბათუმს. ამ გზამ ხელი შეუწყო ჭოროხის მხარის სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებასა და შემდგომ განვითარებას, მის ჩართვას კაპიტალისტურ სამეურნეო ცხოვრებაში.[108] XIX ს. 70-იანი წლების დამდეგისათვის ჭოროხზე დაცურავდა 200-მდე ნავი,[109] 80-იან წლებში კი ჭოროხის სანაოსნო არტერიას ემსახურებოდა 300-მდე ნავი.[110]

ჭოროხზე ძირითადად განვითარებული იყო 4 სახის ნაოსნობა: სატვირთო-სამგზავრო, სატვირთო, სამგზავრო და შიგასამეურნეო, თუმცა, ჭარბობდა პირველი ორი. მნიშვნელოვანი იყო შიგასამეურნეო ნაოსნობაც.

თავდაპირველად ნავით მგზავრობის ღირებულება არ იყო განსაზღვრული. მას აწესებდნენ მენავეები მგზავრებთან ურთიერთმორიგების საფუძველზე, ფასი დამოკიდებული იყო ე.წ. სანაოსნო პერიოდებზეც. მგზავრები წინასწარ იხდიდნენ ბეს (სამგზავრო ღირებულების ნაწილს).[111] 70-იანი წლებისათვის ართვინიდან შესართავამდე ნავით მგზავრობა ღირდა 4-5 რუბლი.[112] შედარებით ძვირი იყო აღმა მგზავრობა, რადგან, როგორც მენავეები ამბობდნენ, „ბევრი წვალება უნდა აქედან (ე. ი. აღმა - რედ.) წასელასო".[113] კაპანდიბიდან ართვინამდე მგზავრობა ღირდა 10-15 რუბლი.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ართვინ-ბათუმის მიმართულებით მიმოსელისა და ტვირთის გადატანის ინტენსიურ ზრდასთან ერთად გაიზარდა ნავით მგზავრობის ღირებულებაც. 80-90-იან წლებში ართვინიდან ბათუმამდე მგზავრობა ღირდა 10-15 რუბლი, ხოლო ზევით - 20-25 რუბლი,[114] ზოგიერთი ცნობით - 25-30 რუბლიც.[115]

---

[106] Вейденбаум Е.Г. Закавказские этюды (исследования и заметки). Тиф., 1901, с. 140.
[107] გაზ. „დროება", 1879, №28.
[108] რ.უზუნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 84.
[109] დ.ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 36.
[110] Левашов С.Н. დასახ. ნაშრ., გვ. 233; ე.მურეე, დასახ. ნაშრ., გვ. 16.
[111] რ.უზუნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 84.
[112] ს.ბავრელი, ნავით მგზავრობა ჭოროხზე. - „ივერია", 1879, №29, გვ. 63.
[113] ა.ანთაძე, მგზავრის შენიშვნები. - „დროება", 1879, №151.
[114] Левашов С.Н., დასახ. ნაშრ., გვ. 233-234; Вейденбаум Е.Г., დასახ. ნაშრ., გვ. 139.
[115] ე.მურეე, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

შემოესრთების შემდეგ ბათუმის ოლქის ადმინისტრაცია აწესრიგებს ფასებს. ართვინიდან ბათუმამდე მგზავრობის ღირებულება განისაზღვრა 12 რუბლით, ხოლო ართვინამდე 25 რუბლით. შემდგომში იგი შემცირდა. XX ს. დამდეგისათვის ართვინიდან ბათუმამდე ნაეთ მგზავრობა ღირდა 1 რუბლი,[116] ბათუმიდან ართვინამდე - 5 რუბლი.[117] შეძლებული პირები, მოგზაურები ზოგჯერ მოლიანად ქირაობდნენ ნავს. ასეთ შემთხვევაში ერთი სპეცრეისი „ართვინიდან კაპანდიდამდე" ღირდა 13 რუბლი, ხოლო ორჯოხიდან ართვინამდე - 5-დან 6 რუბლამდე.[118]

საქართველოსთან ბათუმის ოლქის დაბრუნების შემდეგ გააქტიურდა აღებ-მიცემობა ჭოროხის გზით. ართვინ-არტანუჯისა და შავშეთ-იმერხევის რაიონებიდან ბათუმში ჩამოჰქონდათ დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი: პური, თაფლი, თამბაქო, ხილი, ბოსტნეული და სხვ.[119] აქაური ყურძენი, ზეთისხილი,[120] მსხალი, ატამი, ვაშლი დიდი მოწონებით სარგებლობდა ბაზარზე.

ნ. შავროვის ცნობით, სეზონზე ჭოროხის გზით ბათუმში ჩამოქონდათ 200 ათას ფუთამდე ვაშლი, 100 ათას ფუთამდე ზეთისხილი, 400 ათას ფუთზე მეტი სხვა პროდუქტი,[121] რაც სულ შეადგენდა დაახლოებით 3500 ნავრეისს. ვაშლი და ზეთისხილი საექსპორტოდაც გაჰქონდათ. ბათუმის საბაჟოს ცნობით, 1878 წ. ნოემბრიდან 1880 წ. 1 აპრილამდე რუსეთის ზღვისპირა პუნქტებში გაიტანეს 44054 ფუთი ვაშლი და 849 ფუთი ზეთისხილი.[122] 1882 წ. კი - 100 ათასი ფუთი ვაშლი.[123]

ჭოროხის სანაოსნო გზით ბორჩხადან და მურღულის ხევიდან ბათუმში ჩამოჰქონდათ აგრეთვე დიდი რაოდენობით ხე-ტყე, თიხის ჭურჭელი, აგური, კრამიტი, კირი.[124]

ბათუმიდან ჭოროხის გზით, ართვინის მიმართულებით გაჰქონდათ ძირითადად მანუფაქტურული ნაწარმი, სიმინდი (ქვემო აჭარის სოფლებიდან), ნაეთი და პირველი მოხმარების საგნები.

აღსანიშნავია, რომ ართვინელ ვაჭრებს საზღვარგარეთიდანაც შემოჰქონდათ სხვადასხვა საქონელი, რომელიც ბათუმიდან ნავებით აჰქონდათ ართვინში, იქიდან კი საპალნით - არტაანში, ყარსში.

ჭოროხის სანაოსნო გზით დიდი რაოდენობით ჩამოჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები აგრეთვე არტაან-ყარსის რაიონებიდან. ყარსის რკინიგზის ხაზის გაყვანამდე, როგორც ირკვევა, ჭოროხის სანაოსნო გზა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აღნიშნული რაიონების საეკონომიკურ ცხოვრებაში. არტაანიდან, ყარსიდან განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ეზიდებოდნენ ხორბალს.[125]

სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია სრულყოფილი მონაცემები ჭოროხის სატრანსპორ-

---

116 ნ.შავროვის ცნობით, მგზავრობის ღირებულება დამოკიდებული იყო მგზავრის სოციალურ მდგომარეობაზე. კერძოდ, უბრალო ადამიანისათვის მგზავრობა, ართვინიდან კაპანდიბამდე, ღირდა 50 კაპიკამდე, ჩინოვნიკისა და ინტელიგენტისათვის 1-დან 4 რუბლამდე (იხ. Шавров Н., დასახ. ნაშრ., გვ. 73).

117 Церетели Н.В., დასახ. ნაშრ., გვ. 363.

118 Шавров Н., დასახ. ნაშრ., გვ. 73.

119 ჭოროხის სატრანსპორტო გზით სარგებლობდა ოსმალეთის საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობაც. მათ ნავებით ბათუმში გასაყიდად ჩამოჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, განსაკუთრებით ზეთისხილი (იხ.Шавров Н., დასახ. ნაშრ., გვ. 73).

120 ე.ვეიდენბაუმის ცნობით, ართვინის მხარეში წელიწადში აწარმოებდნენ 30 ათას ფუთ ზეთისხილს (იხ. Вейденбаум Е., დასახ. ნაშრ., გვ. 137).

121 Шавров Н.ბ დასახ. ნაშრ., გვ. 73.

122 აცსა. ფ. 14, ან. I, ს. 8, ფურც. 37.

123 «Кавказ», 1882, №252.

124 დ.ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 36; Джудич Г., დასახ. ნაშრ., გვ. 106-107.

125 Вейденбаум Е.Г., დასახ. ნაშრ., გვ. 135; Казбег Г., დასახ. ნაშრ., გვ. 91.

ტო გზით ტვირთბრუნვის მოცულობის შესახებ, მაგრამ თუ ეიმსჯელებთ ზემოთ მოყვანილი მონაცემებით და ართვინ-ბათუმს შორის აღებმიცემობის ზრდით, რაც ინტენსიურია 80-90-იან წლებში, მაშინ ტვირთბრუნვა საკმაოდ მაღალი ყოფილა. ინჟინერი ნ. შავროვიც მიუთითებდა ჭოროხის სანაოსნო გზის სამრეწველო-ეკონომიკური მნიშვნელობის სიდიდეზე აღნიშნული მხარის ცხოვრებაში.[126]

აღებმიცემობასთან ერთად, ჭოროხზე ნაოსნობამ ბიძგი მისცა ოლქში სამთო-მომპოვებელი და სამთო-გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაინტერესდნენ ოლქის წიაღისეული სიმდიდრით. გეოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა სპილენძის, ტყვია-თუთიის, რკინისა და სხვა მადნის საკმაო ბუდობები ართვინის მხარეში (ძანსული, მურღული, კეარცხანა). დაიწყო სპილენძის, თუთიის, მარგანეცის მოპოვება. სოფ. ხოდში (ართვინის ოკრუგი) და სოფ.ერგეში (ბათუმის ოკრუგი) ამუშავდა სპილენძის სადნობი ქარხნები. ბათუმ-ართვინის შარაგზის გახსნამდე (1903 წ.) ძანსულ-მურღულიდან ერგეს სპილენძის ქარხნისათვის მადნის გადმოტანა ძირითადად წარმოებდა ჭოროხის სანაოსნო გზით. ამავე გზით გადმოჰქონდათ ბათუმში ართვინიდან ლითონი, ტყვია-თუთია, მარგანეცი.[127]

ინტენსიურმა სამდინარო ნაოსნობამ გამოაცოცხლა მდინარისპირა პუნქტები. ამ მხრივ აღსანიშნაია ართვინი, სინგოთი, ნაღვარევი, ბორჩხა, ხება, ზემო და ქვემო მარადიდი, კაპანდიბი. აქ აღმოცენდა ყავახანები, სასტუმროები, დუქნები, პარასკეობით იმართებოდა ბაზრობები, სადაც თავს იყრიდა ხეობისა და სხვა ახლომახლო სოფლების მოსახლეობა. საბაზროდ გამოჰქონდათ შინამრეწველური და ხელოსნური ნაწარმი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ნაოსნობისა და აღებმიცემობის გააქტიურებამ დააწინაურა ართვინი. იგი გახდა ჭოროხის ხეობის ცენტრალური დასახლება. 1905 წლის მონაცემებით, აქ ცხოვრობდა 7028 კაცი.[128]

ინტენსიურმა ნაოსნობამ დიდად შეუწყო ხელი ჭოროხის ხეობის მოსახლეობის დასაქმებას. სანაოსნო საქმე მათი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.[129] გასული საუკუნის ბოლოსათვის ნაოსნობას მისდევდა ხეობის თითქმის მთელი მოსახლეობა - დაახლოებით 23 სოფელი.[130] ამან, თავის მხრივ, წარმოშვა საბაჟო სისტემა, რაც არეგულირებდა მდინარეზე ნაოსნობას და საგადასახადო საქმიანობას.[131]

ბათუმის ოლქის საქართველოსთან დაბრუნებამდე ჭოროხზე არსებობდა საბაჟო გადასახადი ყოველი ნავრეისისათვის. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის მიერ 1879 წ. გამოცემული კანონით შეიცვალა ბაჟის აკრეფის ადრინდელი წესი - მის ნაცვლად შემოიღეს წლიური საბაჟო გადასახადი. იგი განისაზღვრა 12 რუბლით წელიწადში, რომელიც 1884 წ. 8 რუბლამდე შემცირდა. „ნავის ბაჟით" ხაზინა საკმაო შემოსავალს იღებდა[132] (წელიწადში დაახლოებით 2000-2500 რუბლს).

---

126 Шавров Н., დასახ. ნაშრ., გვ. 74.

127 ბათუმ-ართვინს შორის შარაგზის გაყვანის შემდეგ მადნის გადმოზიდვა დაიწყეს საზიდრებით, აგრეთვე, ორთქლის მანქანებით, თუმცა, ამ უკანასკნელის როლი უმნიშვნელო იყო.

128 КК на 1906 г., с. 158.

129 კიაუკის (ნაავის) გარეშე ჭოროხის ხეობის მოსახლეობას არაფრის გაკეთება არ შეუძლია, მიუთითებდა ნ.შავროვი (იხ. Шавров Н., დასახ. ნაშრ., გვ. 74).

130 «Кавказ», 1902, №48.

131 ვრცლად აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. რ.უზუნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 89-90.

132 Месхи Н.С. Очерки развития Батумского городского хозяйства. - Батуми и его окрестность, с. 470.

მძიმე და მომქანცველი იყო მენავეთა შრომა ჭოროხის ჩქარი დინების გამო, ნიჩბებით მოძრაობა შეიძლებოდა მხოლოდ დინების მიმართულებით. აღმა ნაეს ჭაპანით მიათრევდნენ („შეებნენ ნავში ხარებივით მენაეეები და მიათრეედნენ წყლის ნაპირ-ნაპირ").[133] ნავის გაწევა დიდ ფიზიკურ ენერგიას და შრომას მოითხოვდა, დარსა თუ ავდარში, სიცხესა თუ სიცივეში დიდი წვალებით მიათრევდნენ მძიმედ დატვირთულ ნავებს. „მათზე (ჭოროხელ მენაეეებზე - რედ.) უსაცოდაეესი არ არის რა, მეტადრე ზამთარში, როდესაც წყალში ჩამდგარი თოკებით მიათრეეენ პირამდე საესე ნავს რომელიმე ეაჭრისას ართვინსა და ლიეანში",[134] წერდა ჟურნ. „ივერია".

ყველა რეიზს ჰყავდა საკუთარი ნავი. მენაეეებად ძირითადად მუშაობდნენ დაქირაეებული პირები. მენაეეები რეიზებთან მუშაობდნენ არტელის (ამხანაგობის) წესითაც.[135]

მძიმე ფიზიკური შრომის მიუხედავად, მენავეთა გასამრჯელო არცთუ ისე დიდი იყო. XX ს. დამდეგისათვის მათი შემოსავალი თეეში, დაახლოებით, 35-40 რუბლი იყო. 1914 წლიდან მენავეთა გასამრჯელო ყოველი ნავრეისისათვის განისაზღერა 1 რუბლით. ისინი გაერთიანებული იყენენ „ნაოსანთა ამხანაგობაში", რომელიც აწესრიგებდა ნაოსნობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

1903 წლიდან, ბათუმ-ართვინის შარაგზის გაყეანის შემდეგ, ნაოსნობა ჭოროხზე თანდათანობით შესუსტდა, მაგრამ კელავ ინარჩუნებდა მნიშენელობას. აღწერდა რა 1909-1910 წლებში ჭოროხზე ნაოსნობის მდგომარეობას, ნ. შავროვი მიუთითებდა: მიუხედავად ბორბლიანი ტრანსპორტის განეითარებისა, ნაოსნობა ჭოროხზე არ დაცემულა და აგრძელებს არსებობას, თუმცა ნაეების რიცხვი არც თუ ისე დიდიაო.[136] მეტ-ნაკლები ინტენსიეობით ნაოსნობა ჭოროხზე გრძელდებოდა 1914 წ. შემოდგომამდე. საომარი ეითარებისა და ქვეყნის შიგნით შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, 1914 წ. ნაოსნობა კიდეე უფრო შემცირდა. იგი, ძირითადად, იყო სტიქიური, არარეგულარული და გამოიყენებოდა შიგასამეურნეო დანიშნულებისათვის.

გ) სარკინიგზო ტრანსპორტი

ამიერკაეკასიაში რკინიგზის გაყვანის აზრი გამოითქვა ჯერ კიდეე 1857 წელს. სამხედრო ინჟინერი სტატკოვსკი ბაქო-თბილისის სალიანდაგო გზით დაკავშირების მიზანშეწონილობას სამხედრო-სტრატეგიული საჭიროებით ასაბუთებდა. მომდეენო წელს წამოაყენეს თბილისი-ფოთის რკინიგზის გამართვის იდეაც, რასაც აეტორები ქვეყნის შიდასამეურნეო განვითარების ინტერესებით ხსნიდნენ. მოსკოველმა კაპიტალისტმა კოკორევმა ეს ორივე მოსაზრება გააერთიანა და ამიერკავკასიის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის აქციონერული საზოგადოების ჩამოყალიბების საკითხიც დასვა.

აღნიშნული იდეა მმართველ წრეებშიც გაერცელდა. მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ იმპერატორის წინაშე ამიერკაეკასიის რკინიგზის მშენებლობის შუამდგომლობა აღძრა. იგი ალექსანდრე II-ს წერდა: „რკინიგზა ამიერკაეკასიისათვის იქნება იგივე, რაც არის წყალი ნაყოფიერი, მაგრამ მზით გადამწვარი ველისათვის. სალიან-

133 „დროება", 1879, №151.
134 „ივერია", 1878, №47, გვ. 9.
135 Шавров Н., დასახ. ნაშრ., გვ. 72.
136 იქვე.

დაგო გზა გააღვიძებს ამ მხარის მწარმოებლურ ძალებს, მიმოქცევაში შეიყვანს უდიდეს სიმდიდრეს, რაც ჯერ კიდევ გამოუყენებელია“.[137] ამიერიდან ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის საკითხმა თბილისიდან პეტერბურგში გადაინაცვლა, მაგრამ რამდენიმე წლის განმავლობაში პრაქტიკულად თითქმის არაფერი გაკეთებულა.

1864 წელს მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა იმპერატორის წინაშე კვლავ დასვა თბილისი-ფოთის რკინიგზის მშენებლობის საკითხი. მ. რომანოვი, მართალია, ხაზს უსვამდა რკინიგზის სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას, მაგრამ იმასაც წერდა, რომ რკინიგზა მოიზიდავდა დასავლეთევროპელ კომერსანტებს და მოხდებოდა საერთაშორისო სატრანზიტო სავაჭრო გზის გადმონაცვლება ოსმალეთიდან ამიერკავკასიაში.

რუსეთის უმაღლესმა მთავრობამ ამჯერად დააკმაყოფილა კავკასიის ხელისუფლის ეს შუამდგომლობა. 1865 წ. სახელმწიფო ხაზინამ 3,2 მლნ რუბლი გამოყო წინასწარი სამუშაოების ჩასატარებლად და იმ მიწების შესასყიდად, სადაც რკინიგზას უნდა გაეკლო. პროექტის თანახმად, ტრასაზე ნიადაგის გასწორება, ხიდების აგება და სხვ. ხაზინის ხარჯით ჩატარდებოდა და დამთავრდებოდა 1869 წელს, რის შემდეგ საქმეს დასავლეთ ევროპიდან მოწვეული კონცესიონერები გააგრძელებდნენ. წინასწარ გამოცხადდა კონკურსი. გაიმარჯვეს ინგლისელმა ბიზნესმენებმა. 1867 წ. 2 ივნისს რუსეთის მთავრობამ დაამტკიცა პარკინსისა და პაუკერის მიერ წარმოდგენილი თბილისი-ფოთის რკინიგზის კონცესიის პროექტი, რომლის რეალიზაცია უნდა დაწყოთ პირველი ეტაპის სამუშაოთა დამთავრების შემდეგ, 1870 წელს.

ამიერკავკასიის ადმინისტრაციის მოხელეები სამუშაოებზე ფართოდ იყენებდნენ ადგილობრივი გლეხებისა და ჯარისკაცების თითქმის აუნაზღაურებელ შრომას, მაგრამ 1869 წლამდე მშენებლობაზე მაინც დაიხარჯა 2 მლნ რუბლი და მეფისნაცვალმა მოითხოვა დამატებით თანხა 3 მლნ რუბლის ოდენობით. უმაღლეს მთავრობას ეჯვი შეეპარა კავკასიელ მოხელეთა სამშენებლო უნარსა და პატიოსნებაში, ამიტომაც დამატებითი თანხის გამოყოფაზე უარი თქვა. მეფის ბრძანებით რკინიგზის მშენებლობის კონცესია გადაეცა ინგლისელ ბიზნესმენთა აქციონერულ კომპანიას.

ინგლისელმა კონცესიონერებმა რკინიგზის მშენებლობის სათავეში თავიანთი სპეციალისტები ჩააყენეს, თავისუფალ გარიგებათა საფუძველზე დიდი რაოდენობის ხალხი დაასაქმეს. 1871 წ. ტრასაზე შრომობდა რამდენიმე ათეული ათასი კაცი. თბილისი-ფოთის რკინიგზის ხაზი, რომლის გაყვანა 23 მლნ რუბლი დაჯდა, ამუშავდა 1872 წ. მეორე ნახევარში.

რკინიგზის თავგამოდებული პროპაგანდისტები, სტიმული რომ მიეცათ კონცესიონერებისათვის, თავდაპირველად წერდნენ, რომ რკინიგზაზე მოხვედრილი 7 მლნ ფუთი ღვინო და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი იქნებოდა კონკურსში გამარჯვებული კომპანიის გამდიდრების წყარო. ნავთისა და ნავთობის პროდუქტებს თითქმის არავინ ახსენებდა. ზოგიერთი ვარაუდობდა, რომ რკინიგზით გადაიზიდებოდა 300 ათას ფუთამდე ნავთობი. XIX ს. 70-80-იანი წლების მიჯნაზე კომერციულ ვარაუდებსა და გათვლებში რეალურმა ვითარებამ არსებითი ცვლილებები შეიტანა - ღვინოზე დამყარებული დიდი იმედი არ გამართლდა. ბაქოს ნავთის ამოღებამ კი მალე საარაკო ციფრებს მიაღწია. შავი ზღვის პირას გადაზიდული ნავთობის სრული ექსპორტი

[137] Аргутинский-Долгоруков А. История сооружения и эксплоатации Закавказской железной дороги, Тиф., 1896, с. 11.

შეუძლებელი გახდა მოუწყობელი და ქარებისაგან დაუცველი ფოთის ნავსადგურის მეშვეობით.

ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის უბნის მშენებლობის საკითხი წამოიწია 1877-1878 წწ. ომის დამთავრებისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედა-სამშობლოსთან დაბრუნებისთანავე. ერთხანს აქაც წინა პლანზე იდგა პოლიტიკური და სტრატეგიული მიზანი: ცენტრალური მთავრობისა და ამიერკავკასიის ადმინისტრაციის აზრით, აუცილებელი იყო ამ ახლად შემოერთებული მხარის რკინიგზით დაკავშირება შიგა ტერიტორიებთან. უამისოდ იგი სამხედრო-სტრატეგიულ დანიშნულებას ვერ შეასრულებდა. მალე გამოიკვეთა ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის ხაზის მშენებლობის უფრო მნიშვნელოვანი მოტივი, კერძოდ, აუცილებელი გახდა ფოთის ნავსადგურის განტვირთვა და ნავთობპროდუქტების საექსპორტო ოპერაციების გადმოტანა ბათუმის ნავსადგურში. ამასთან დაკავშირებით ა. არღუთინსკი-დოლგორუკი წერდა: „ფოთის პორტის მიუდგომლობა, მასზე რიონის დინების უარყოფითი ზემოქმედება, განუწყვეტელი ღელვა, ხელოვნურ ნაგებობათა სიძვიროვე და სხვა, ამიერკავკასიის რკინიგზასთან ბათუმის მიერთების მიზეზი გახდა. ბათუმს, ზღვაოსნობისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების მხრივ, ფოთთან შედარებით, ძალიან დიდი უპირატესობა აქვს“. იგი იმასაც უსვამდა ხაზს, რომ ფოთის ნავსადგურში მხოლოდ მცირე გემები და ნავები ახერხებდნენ შესვლას. დიდი გემები ღია ზღვაში ჩერდებოდნენ და მათი ტვირთი ნავების საშუალებით გადმოაქონდათ ნაპირზე, რკინიგზის სადგურში. ბათუმის ნავსადგურში დიდი საოკეანო გემებით მიტანილი საქონელი მცირე გემებით გადაჰქონდათ ფოთში და იქიდან რკინიგზით იგზავნებოდა ამიერკავკასიის სხვადასხვა პუნქტში. „ყველა ეს დატვირთვა-გადატვირთვა, - განაგრძობს აეტორი, - რაც თითქმის პირველყოფილი საშუალებებით ხდებოდა, ძალიან ძვირი ჯდებოდა და უარყოფითად მოქმედებდა ვაჭრობის მასშტაბებზე და ტვირთბრუნვის მოცულობაზე, ფოთის ნავსადგურის უხვირობით გამოწვეული დამატებითი ხარჯები ფუთზე 10-25 კაპიკს აღწევდა, რაც არაფრით ჩამორჩებოდა მარსელიდან ფოთამდე დაწესებულ საზღვაო ფრახტს“.[138]

ბათუმში რუსეთის ჯარი 1878 წ. 25 აგვისტოს შემოვიდა. ორიოდე თვის შემდეგ კი დამტკიცდა სამტრედიიდან ოზურგეთის გაელით რკინიგზის გასაყვანად ადგილმდებარეობის გამოკვლევის დებულება. დამუშავდა მეორე ვარიანტიც - ლანჩხუთისა და ნატანების გავლით ბათუმამდე. ამ სამუშაოების ხელმძღვანელობა დაეკალა ამიერკავკასიის რკინიგზის ინსპექტორს — ინჟინერ სტატკოვსკის. ორიოდე თვეში დასახელებულ ორ მიმართულებასთან ერთად გამოიკვლიეს მესამეც - ფოთიდან ზღვისპირით ბათუმამდე. პირველი ორი მიმართულება გაცილებით რთული იყო, ძვირიც ჯდებოდა, სამაგიეროდ, სტატკოვსკის აზრით, უპირატესობაც ჰქონდა - გადიოდა მჭიდროდ დასახლებულ და ბუნებრივად მდიდარ ტერიტორიებზე, რაც რკინიგზას საკმაო შემოსავალს მისცემდა. რკინიგზა კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა გურიისა და აჭარის შემდგომ ეკონომიკურ აღმავლობას.

თავიდანვე განისაზღვრა რკინიგზის მშენებლობის მიახლოებითი ხარჯი - 6,5 მლნ რუბლი. ეს თანხა უნდა მოხმარებოდა მომავალი მაგისტრალის ტერიტორიაზე საჭირო მიწების შესყიდვას, ლიანდაგების საყრდენი ზოლის მომზადებას, ხელოვნურ ნაგებობათა მოწყობას, ლიანდაგების დაგებას, რკინიგზის სადგურების აგებას, სატელეფონო ხაზის გაყვანას და სხვ. 1880 წ. 6 იელისს დამტკიცდა სამტრედია-

[138] Аргутинский-Долгоруков А., დასახ. ნაშრ., გვ. 57-58.

ბათუმის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. ამ 105 ვერსი სიგრძის შტოს მშენებლობა მიენდო თბილისი-ფოთის ხაზის მფლობელს - ინგლისელ კაპიტალისტთა აქციონერულ საზოგადოებას, რომლის წესდებას დაემატა ახალი მუხლები.

1883 წლის დამდეგს სამტრედია-ბათუმის რკინიგზის ხაზის მშენებლობა ძირითადად დამთავრდა. 12 აპრილს სპეციალურად გამოყოფილმა კომისიამ (ინჟინრები და სხვა სპეციალისტები - კლეეეცკი, კეტრიცი, დეგინი, სტატკოვსკი, პრესნიაკოვი) შეისწავლა ობიექტი, შეაფასა ლიანდაგების, სხვადასხვა ნაგებობის ხარისხი და მიღების აქტში დაამტკიცა რკინიგზის რვა სადგური - სამტრედია, საჯავახო, ნიგოითი, ლანჩხუთი, სუფსა, ნატანები, ქობულეთი, ბათუმი. 1883 წ. 21 მაისს სამტრედია-ბათუმის ხაზი ოფიციალურად გაიხსნა.[139] იმავე წელს მოძრაობა გაიხსნა თბილისი-ბაქოს ხაზზეც. XIX ს. 80-90-იან წლებში ხაზი ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის და საერთაშორისო სატრანზიტო-საავჭრო გზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბნად გადაიქცა.

ინგლისური რკინიგზის კომპანიის მომსახურე პერსონალმა, ბუნებრივია, თავისი მოქმედება სამტრედია-ბათუმის გზაზეც გაავრცელა. კომერციული სამსახურის ფუნქციებში შედიოდა: მოქმედი საბაჟო ტარიფების განხილვა-შეფასება, მოსაზრების წარდგენა მათში კორექტივების შესატანად, სახელმწიფო დაწესებულებებთან, კერძო პირებთან, საქონელგამგზავნებთან და საქონელმიმღებებთან ურთიერთობა საბაჟო გადასახადების საკითხებზე, რკინიგზის სადგურებსა და კონტროლის ორგანოებს შორის აღმოცენებული დავა-საჩივრების გარჩევა, კომერციული ხასიათის პროექტებისა და სხვა დოკუმენტების შედგენა, მიმოწერა საქონლის მეპატრონეთა პრეტენზიების გამო.

რკინიგზაზე მოძრავ სახალხო მატარებლებში იყო პირველი, მეორე, მესამე და ზოგჯერ მეოთხე კლასის სამგზავრო ვაგონები. I კლასის ვაგონის ბილეთი ბათუმიდან თბილისამდე ღირდა 16, II კლასის – 8, III კლასის – 5 რუბლი. 4 წლის შემდეგ ბილეთების ფასი 20%-ით შემცირდა. ფასდაკლების ტენდენცია შემდეგაც გაგრძელდა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ქვედა ფენები, სიძვირის გამო, მატარებლით ნაკლებად სარგებლობდა. ეს იყო იმის მიზეზი, რომ მგზავრთა გადაყვანა რკინიგზას შედარებით მცირე შემოსავალს აძლევდა.

ამიერკავკასიის რკინიგზის აქციონერული საზოგადოების მთელი შემოსაელისა და მოგების ძირითადი წყარო იყო ტვირთზიდვა. კომერციული სამსახურის მოხელეები ტვირთებს ღებულობდნენ დილის 6-7 საათიდან საღამოს 5-6 საათამდე. რკინიგზით გადასაზიდი საქონელი ღირებულებისა და წონის მიხედვით იყოფოდა სამ კატეგორიად: I კატეგორიის საქონელი ფუთ - ვერსზე იბეგრებოდა მაქსიმუმ ნახევარი კაპიკით, II და III კატეგორიის საქონელზე დაწესებული ბაჟი 5-10-ჯერ ნაკლები იყო.

ამიერკავკასიის რკინიგზის მთელი შემოსავალი რუბლებში წლების მიხედვით შეადგენდა:[140]

1872 წ. -	92 304	1884 წ. -	4 506 262
1874 წ. -	1 397 638	1886 წ. -	8 523 810
1876 წ. -	1 534 355	1888 წ. -	10 871 169

[139] იქვე, გვ. 58-63.
[140] იქვე, გვ. 173-174.

1878 წ. -	2 549 364	1890 წ. -	14 885 642
1880 წ. -	2 549 364	1894 წ. -	17 120 050
1882 წ. -	2 225 775	1896 წ. -	18 319 823

ამავე პერიოდში რკინიგზის სუფთა შემოსავალი (მოგება) გაიზარდა 74 ათასიდან 12 მლნ რუბლამდე.

ამიერკავკასიის რკინიგზის ტვირთბრუნვისა და შემოსავლის ასეთი მკვეთრი ზრდა 1883 წ. შემდეგ, მიმომხილველთა აზრით, განაპირობა მხარის საერთო ეკონომიკურმა განვითარებამ, მაგრამ მთავარი ფაქტორი მაინც იყო ბაქოს ნავთობის მ'ხარდი რაოდენობით ამოღება, ბათუმში გადმოზიდვა და მისი მაღალგამტარიანი ნავსადგურის მეშვეობით მსოფლიო ბაზრებზე ექპორტი.

ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურებს შორის ტვირთბრუნვის მოცულობით გამოირჩეოდა ბაქო და ბათუმი. ყველაზე მეტ ტვირთს გ'ზავნიდა ბაქო და ყველაზე მეტს იღებდა ბათუმი. როგორც ბაქოდან გამოგზავნილი, ისე ბათუმში მიღებულ ტვირთებში ძირითადი იყო ნავთობი და ნავთობპროდუქტები. ბათუმის რკინიგზის სადგურის მთელი ტვირთბრუნვა შეადგენდა: 1883 წ. - 3 761 000, 1884 წ. - 8 250 000, 1886 წ. - 26 797 000, 1888 წ. - 48 400 000, 1890 წ. - 60 000 000, 1892 წ. - 69 000 000 ფუთს. ბათუმში რკინიგზით შემოტანილი ტვირთის 80-85% იყო ნავთობი, რომელიც თითქმის მთლიანად უცხოეთში იგზავნებოდა. საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან შემოტანილი საქონლის მცირე ნაწილი რჩებოდა ქალაქში, 80-85% რკინიგზით იგზავნებოდა ქვეყნის სიღრმეში. მართალია, გაგზავნილი საქონლის რაოდენობით ბათუმის რკინიგზის სადგური ორჯერ ჩამორჩებოდა ფოთს, მაგრამ მიღებული საქონლის მოცულობით კი 10-ჯერ აღემატებოდა მას.[141]

XIX-XXსს. მიჯნაზე კიდევ უფრო გაიზარდა რკინიგზის ტრანსპორტის მნიშვნელობა. ამიერკავკასიის რკინიგზით ყოველწლიურად მგზავრობდა 5-6 მლნ კაცი. დიდი სიჩქარის ტვირთების წონა, რომელიც მგზავრ-მფლობელთან ერთად მიდიოდა დანიშნულების ადგილზე, 2-3 მლნ ფუთს არ აღემატებოდა. მცირე სიჩქარის ტვირთების მიმოქცევა კი დიდ ციფრებში გამოიხატებოდა. ამიერკავკასიის რკინიგზით გადაიზიდა: 1896 წელს - 117, 1897 წ. - 134, 1898 წ. - 151, 1899 წ. - 154, 1900 წ. - 178, 1901 წ. - 187, 1902 წ. - 193, 1903 წ. - 205 მლნ ფუთი ტვირთი. ნავთი და ნავთობპროდუქტები შეადგენდა გადაზიდული ტვირთის 45-48%, მარგანეცი - 11-15%, პურეული - 6-7%, შეშა და ხე-ტყის მასალა - 3,5%, შაქარი - 2,2%, რკინა და ფოლადი - 1-2%, ქვანახშირი - 1%, ღვინო - 10%, ყველა სხვა საქონელი (ტვირთი) ერთად - 20%-ს.[142]

ბაქოდან რკინიგზით გამოგზავნილ ნავთობპროდუქტებს თითქმის მთლიანად ბათუმი იღებდა და აქედან გადიოდა ექსპორტში. 1902 წელს, მაგალითად, ბათუმიდან უცხოეთის ბაზრებზე გაიგზავნა 90 მლნ ფუთი ნავთი და ნავთობპროდუქტები.

უცხოეთიდან და რუსეთიდან შავი ზღვით შემოტანილი საქონლის 95-98%-ს ფოთისა და ბათუმის ნავსადგურები ღებულობდნენ და აქედან რკინიგზით იგზავნებოდა რუსეთის იმპერიის სამხრეთ რეგიონებსა და ირანში. 1902 წელს ბათუმის რკინიგზის სადგურმა მიიღო და გაგზავნა სულ უცხოურ-რუსული საქონელი 4,7 მლნ ფუთის ოდენობით. აქედან, 424 ათასი ფუთი - პურის ფქვილი, 262 ათასი ფ. - ჩაი, 278 ათასი ფუთი — რკინა და რკინის ნაწარმი, 78 ათასი ფუთი - მანქანა-იარაღები, 458

[141] იქვე, გვ. 602-673.

[142] Краткий обзор коммерческой деятельности закавказской железной дороги за 1903 г., с. 17-40.

ათასი ფუთი — შაქარი და სხვ.

იმავე 1902 წ. ამიერკავკასიის რკინიგზით ბათუმში ჩამოიზიდა (ნავთობის გამოკლებით) რუსეთის იმპერიასა და ირანში დამზადებული საქონელი: ბამბა - 257, აბრეშუმის ძაფი და პარკი - 194, ძირტკბილა - 816, სიმინდი - 579, ქერი - 170, ღვინო - 85, თეეზი - 200, თიეა-ჩალა - 382, შეშა - 732, ლითონები - 280, მანუფაქტურული ნაწარმი - 58, კირი - 85, აგური - 105, მწვანილი - 127 ათასი ფუთი და სხვ.[143]

ამ პერიოდშიც ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურებს შორის ტვირთბრუნვის მოცულობით პირველ ადგილზე იყო ბაქო (109 მლნ ფუთი) მეორეზე - ბათუმი (96 მლნ ფუთი), მესამეზე - ფოთი (50 მლნ ფუთი), მეოთხეზე ჭიათურა-შორაპანი (30 მლნ ფუთი).[144]

1904 წ. ამიერკავკასიის რკინიგზის ბრუნვა შეადგენდა 213 მლნ ფუთს. ბათუმის რკინიგზის სადგურმა მიიღო 92 მლნ ფუთი ტვირთი. იმავე წელს ქობულეთის სადგურიდან გაიგზავნა 818 ათასი ფუთი ტვირთი, ჩაქვიდან - 110 ათასი ფუთი.

1905 წ. ბათუმის კომერციულ საქმიანობაში დაქვეითების ტენდენცია დაიწყო. ამის მიზეზი, როგორც უკვე ითქვა, ბაქოს ნავთობის მიმართულების შეცვლა იყო; ეს ენერგორესურსი თანდათან მზარდი რაოდენობით იგზავნებოდა კასპია-ეოლგის გზით და ჩრდილო კავკასიის რკინიგზით. ბათუმში ნავთობი ჩამოზიდეს: 1905 წ. - მხოლოდ 20,6, 1906 წ. - 26,3, 1907 წ. - 29,7, 1908 წ. - 30,2, 1909 წ. - 23,4 მლნ ფუთი. სხვა სახის საქონლის მიმოქცევა კვლავ იზრდებოდა, მაგრამ ნავთობის ტვირთების დანაკლისს მთლიანად ვერ ფარავდა. ბათუმის რკინიგზის სადგურში გადმოიტვირთა: სიმინდი: 1906 წ. - 564, 1907 წ. - 291, 1908 წ. - 340, 1909 წ. - 1124 ათასი ფუთი; პურის ფქვილი: 1905 წ. - 580, 1907 წ. - 792 ათასი ფუთი; ქერი: 1906 წ. - 107, 1907 წ. - 227 ათასი ფუთი. ღვინის წლიური შემოზიდვა მერყეობდა 100-130 ათას ფუთს, შეშისა - 500 ათასიდან 800 ათას ფუთს შორის. ბათუმი რკინიგზით დიდი რაოდენობით ღებულობდა ამიერკავკასიაში, შუა აზიასა და ირანში დამზადებულ ბამბას, აბრეშუმის პარკსა და ძაფს, ძირტკბილას და სხვ. პროდუქტებს.

1911 წ. ამიერკავკასიის რკინიგზით გადაიზიდა 54 მლნ ფუთი ნავთობი, 40 მლნ ფუთი მანგანუმი, 23 მლნ ფუთი პურეული, 11 მლნ ფუთი შაქარი, 4 მლნ ფუთი ღვინო, 2,4 მლნ ფუთი ბამბა და სხვ. მთელი ტვირთბრუნვა შეადგენდა 209 მლნ ფუთს. ამ დროს ბათუმის რკინიგზის სადგურის ბრუნვა იყო 65 მლნ ფუთი. ამიერკავკასიის რკინიგზის ტვირთბრუნვაში ბათუმის სადგურის წილად მოდიოდა 28,6%, ფოთის - 18%, ბაქოს - 11,3%, სხვა დანარჩენი სადგურებისა - 29,4%.[145]

1912 წ. ბათუმის საბაჟოს გავლით უცხოეთში გაიგზავნა 39,8 მლნ რუბლის საქონელი, 1913 წ. - 45,5 მლნ რუბლისა. ექსპორტის მთავარი საგანი ისევ ნავთობი იყო. უცხოეთში გაიგზავნა 12-19 მლნ რუბლის ნავთობი, 2,3-3,9 მლნ რუბლის მანგანუმი, 1-2 მლნ. რუბლის მატყლი, 1 მლნ რუბლის ძირტკბილა და სხვ. ბათუმის საბაჟოს გამოელით უცხოეთიდან შემოვიდა და რკინიგზით კონტინენტის სიღრმეში გაიგზავნა 4-5 მლნ რუბლის საქონელი, მათ შორის მთავარი იყო ლითონის ნაკეთობანი და მანქანა-იარაღები.[146]

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ჩაიკეტა ბოსფორ-დარდანელის სრუტეები და რუსეთის საგარეო ვაჭრობა თითქმის მთლიანად ჩაკვდა. შავი ზღვის

[143] იქვე.
[144] იქვე.
[145] Коммерческая деятельность закавказской железной дороги за 1907-1911 гг., с. 199-203.
[146] КК на 1916, отд. статист., с. 111-113.

ნავსადგურების კომერციული საქმიანობა მინიმუმამდე შემცირდა. თუ 1914 წ. 1 აგვისტომდე ბათუმის საბაჟოს გაელით უცხოეთში გაიგზავნა 28 მლნ რუბლის ტვირთი, შემდეგ მცირე ოდენობის საქონელი გადიოდა მხოლოდ რუმინეთის მეშვეობით. ბათუმიდან უცხოეთში საქონლის გატანა თითქმის მთლიანად შეწყდა. 1915 წ. უცხოეთიდან ბათუმში შემოვიდა მხოლოდ 300 ათასი რუბლის საქონელი. ბათუმმა გარკვეული დროით დაკარგა საერთაშორისო სატრანზიტო-სავაჭრო ცენტრის ფუნქცია, რაც თანდათანობით აღდგა მხოლოდ მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ.

§2. ქალაქები, სავაჭრო-სამრეწველო დაბები, საქალაქო თვითმმართველობა და კომუნალური მეურნეობა

რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ ერთეულად გადაქცევის შემდეგ, არსებითი ცვლილებები მოხდა როგორც მთლიანად ბათუმის ოლქის, ისე ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებათა ეკონომიკაში, მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში. დაბა-ქალაქების ძირითადი მახასიათებელი გახდა სასაქონლო ურთიერთობისა და კაპიტალიზმის დაჩქარებული განვითარება, მრეწველობის აღმავლობა, ვაჭრობის გაფართოება, საკახშო კაპიტალის საბანკო კაპიტალად გადაქცევის ტენდენციის გაძლიერება.

საქონელწარმოებისა და საქონელმიმოქცევის ზრდის, კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთი შედეგი იყო სოფლის მოსახლეობის ხარჯზე ქალაქის მოსახლეობის ზრდა, ქალაქებისა და სხვა სამრეწველო ცენტრების ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობის ამაღლება. არა მარტო ოლქში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრებისა და მეურნეობის განვითარების ტონის მიმცემი გახდა ბათუმი.

საქართველოსთან დაბრუნებამდე ბათუმი ოსმალეთის იმპერიის განაპირა, მცირე ქალაქი იყო. 1872 წ. ბათუმში ითვლებოდა 5 ათასამდე მცხოვრები. აქედან 4500 იყო მუსლიმანი (ქართველი და თურქი), 350 - ბერძენი და 120 - სომეხი. იქვე ცხოვრობდა რამდენიმე ათეული ჩერქეზი და აფხაზი. მას შემდეგ, რაც ქალაქის თავზე ნახევარმთვარის ნაცვლად ჯვრის სიმბოლო აღიმართა, მუსლიმანური მოსახლეობის საგრძნობმა ნაწილმა ქალაქი დატოვა და თურქეთის შიდა პროვინციებში გადასახლდა. 1878 წ. ბათუმში აღირიცხა 3 ათასამდე მცხოვრები.

ბათუმი მალე გადაიქცა საერთაშორისო-სატრანზიტო ვაჭრობის მნიშვნელოვან პუნქტად და დიდი მიზიდულობის ძალა შეიძინა. ქალაქის მოსახლეობა სწრაფად გაიზარდა. 1882 წ. ბათუმში აღირიცხა 8671 მცხოვრები. აქედან ქართველი იყო 1156, თურქი - 603, რუსი - 908, ირანელი - 112, ებრაელი - 179, ბერძენი - 1106, გერმანელი - 145, ფრანგი, იტალიელი და ინგლისელი - 53. ამის შემდეგ მოკლე ხანში ბათუმის მოსახლეობა გაორმაგდა. 1890 წლის აღწერამ ქალაქში დაადასტურა 14674 მუდმივი და 3449 დროებითი მცხოვრები - ორიეე ერთად 18123 სული. მათ შორის მამაკაცი იყო 14180, ქალი - 3943. ეს ციფრები დიდ კომენტარს არ საჭიროებს — ახლად აღორძინებული ქალაქი, ძირითადად, თვითმოქმედი მოსახლეობის სარბიელი იყო. აღნიშნულ წელს მუდმივ სამუშაოზე იყო 4,2 ათასი კაცი. დაახლოებით ამდენივე იყო დღიურად

და სეზონურად დაქირავებული.[147]

რუსეთის იმპერიის 1897 წლის საყოველთაო აღწერამ ბათუმში დაადასტურა 28508 სული მუდმივი და 2 ათასამდე დროებითი მცხოვრები. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის გრაფაში ჩაიწერა, რომ თავადაზნაური იყო 2319, სასულიერო წოდების - 185, ვაჭარი - 248, მეშჩანი - 5280, გლეხი - 11249, დანარჩენი - 709 და უცხოელი (წოდების განურჩევლად) - 8518 კაცი. სტატისტიკოსები ჩამორჩნენ ეპოქის მაჯისცემას, ვერ ასახავდნენ მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურას, ახალ კლასებსა და სოციალურ ფენებს.

იმავე აღწერამ ცხადყო, რომ ოციოდე წელში ბათუმი მრავალეროვნულ ქალაქად გადაიქცა. ეროვნებისა და ენის მიხედვით მოსახლეობის შედგენილობა ასეთი იყო: რუსი, უკრაინელი და ბელორუსი - 7154, ქართველი - 6687, სომეხი - 6839, ბერძენი - 2762, თურქი - 1654, ებრაელი - 1064, პოლონელი - 722, გერმანელი - 299, სხვა დანარჩენი 1934 კაცი. ბათუმელთა უმრავლესობა (15495 სული) იყო მართლმადიდებელი, 6150 - გრიგორიანელი, 2007 - კათოლიკე, 334 - სხვადასხვა ყაიდის პროტესტანტი, 3156 - მაჰმადიანი, 1179 — იუდეველი.[148]

ოციოდე წელიწადში ბათუმი პატარა აზიურ-ფეოდალური ქალაქიდან გადაიქცა საშუალო სიდიდის ევროპულ-კაპიტალისტურ ქალაქად, რომელიც ბაქოსა და თბილისთან ერთად ტონს აძლევდა ამიერკავკასიის კაპიტალისტურ განვითარებას. ესოდენ სწრაფად მზარდი ქალაქი, ბუნებრივია, ვერ ჩაეტეოდა ძველ საზღვრებში. გაჩნდა ახალი უბნები. ქოხმახების ნაცვლად და მათ გვერდით წამოიმართა ახალი, ევროპული ტიპის შენობები, ადმინისტრაციული, საფაბრიკო-საქარხნო, კულტურულ-საგანმანათლებლო და საცხოვრებელი სახლები.

1888 წ. ქ. ბათუმის განაშენიანებისა და განვითარების გეგმის შედგენა დაევალა სპეციალურ კომისიას, რომელსაც თავმჯდომარეობდა სამოქალაქო მრჩეველი რჩეულიშვილი. კომისიამ აღწერა ბათუმი, მისი მიმდებარე ტერიტორია. ცალ-ცალკე შეადგინა ქალაქისა და გარეუბნების გეგმა. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია გარეუბნების ხარჯზე ქალაქის ტერიტორიის გაფართოება. მისი აზრით, ეს მხოლოდ ახალი უბნების გაშენებისათვის როდი იყო საჭირო. ბათუმის მოსახლეობის (რომლის საგრძნობი ნაწილი კვლავ ეწეოდა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას) ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება, სხვასთან ერთად, მოითხოვდა მის სარგებლობაში საძოვრების გადაცემასაც.

რჩეულიშვილის კომისიის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით, ბათუმის სიგრძე შეადგენდა 5,5 ვერსს, სიგანე - 1,5 ვერსს. ქალაქის დასახლებული ტერიტორია შეადგენდა 676 დესეტინას, სამმართველოდ მასზე მიწერილი გარეუბნების ჩათვლით — 13500 დესეტინას.[149] ეს გეგმა მიუღებელი აღმოჩნდა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციისათვის და სათანადო მუშაობა კიდევ ორ ათეულ წელს გაგრძელდა. ქ. ბათუმი ოფიციალურად დამტკიცებული გეგმის გარეშე არსებობდა, იზრდებოდა და ვითარდებოდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, შეიძლება ითქვას, სხვა დიდი ქალაქი არ ყოფილა. შედარებით მეტ როლს ასრულებდა სამრეწველო-სავაჭრო ცხოვრებაში ქ. ართვინი, არტაანი და არტანუჯი. იყო რამდენიმე გამორჩეული სავაჭრო-სახელოსნო დაბა და სოფელი. ბათუმში შემოსული უცხოური და რუსული საქონლის ნაწილი ამ

[147] Батум и его окресности, с. 51-53.

[148] Первая перепись населения Российской империи, Кутаисская губерния, с. 1-2.

[149] ვლ.სიჭინავა, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

პუნქტებშიც ხედებოდა, სადაც რეალიზაციას ადგილობრივი ვაჭრები ახდენდნენ. ამ პუნქტებში იგრძნობოდა აზიური დუქნების ხარჯზე ახალი ევროპული მაღაზიების ზრდის ტენდენცია. მრავლდებოდა სახელოსნოების რიცხვიც.

XX ს. დამდეგს სასაქონლო მიწათმოქმედების განვითარებისა და საქონელ-მიმოქცევის გაფართოების შედეგად დაწინაურდა რამდენიმე ძველი სოფელი და გაჩნდა ახალი დასახლებები. საგარეუბნო მეურნეობები აღმოცენდა და სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებები მომრავლდა ჩაქვში, სალიბაურში, ფერიასა და სოუქსუში. კურორტები და სუბტროპიკული მეურნეობები გაჩნდა ქობულეთში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში, მახინჯაურში. ფერადი მეტალურგიის განვითარების შედეგად სამრეწველო დაბა-სოფლებად გადაიქცა ჭინკათხევი, ერგე, ხოდი, ქვარცხანა.

რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს, 1897 წელს, ქ. ართვინში აღირიცხა 7091 მცხოვრები. მოსახლეობის შეძლებული ნაწილი იყენებდა დაქირავებულ შრომას. 50-მდე საოჯახო მეურნეობასა და ორ ათეულ სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებაში დასაქმებული იყო თითო მუშა, 15 დაწესებულებაში – 2-3 და 5-10 მუშა.

1910-1914 წლებში ართვინის მოსახლეობა 8-10 ათას სულს შეადგენდა. ქალაქს, მართალია, პოლიცია განაგებდა, მაგრამ გადასახადების გაწერა-აკრეფაში მონაწილეობდნენ ცენზიან მოქალაქეთა მიერ არჩეული დეპუტატები. დგებოდა ქ. ართვინის შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტი. 1910 წელს ართვინის შემოსავალმა შეადგინა 9571 რუბლი. აქედან თვით ქალაქის საკუთრებაში მყოფ ობიექტთა შემოსავალი უდრიდა 2250 რუბლს, მოქალაქეთა უძრავ ქონებაზე შეწერილმა გადასახადებმა ქალაქის სალაროს შემატა 6918 რუბლი, ვაჭრობის სანებართვო მოწმობების გაცემამ - 300 რუბლი სარეზერვო კაპიტალი შეადგენდა 4587 რუბლს.

ართვინის საქალაქო ბიუჯეტიდან დაიხარჯა: სწავლა-განათლებაზე – 1200 რუბ., სამედიცინო მომსახურებაზე - 240 რუბ., ქუჩებზე - 927 რუბ., ქალაქის განათებაზე - 615 რუბლი. ბიუჯეტის თითქმის ნახევარი (4070 რუბ.) მოხმარდა ქალაქის პოლიციის საჭიროებას.[150]

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაბა არტაანის შემოსავალ-გასავალი მერყეობდა 5-6 ათასი რუბლის ფარგლებში, რომლის დიდი ნაწილი პოლიციის საჭიროებაზე იხარჯებოდა და დაბის კეთილმოწყობისათვის ბევრი არაფერი რჩებოდა.

ბიუჯეტი გააჩნდა დაბა არტანუჯსაც. 1910 წელს მის სალაროში შევიდა 1141 რუბლი, საიდანაც ქუჩების კეთილმოწყობისთვის დაიხარჯა 60 რუბლი, განათებაზე - 294 რუბლი, სხვა საჭიროებებზე - 833 რუბლი. შედარებით მეტი იყო დაბა ოლთისის შემოსავალი და შესაბამისად, გასავალიც. 1893 წ. დაბის სალაროში შევიდა 6169 რუბლი, საიდანაც ჯარისა და პოლიციის საჭიროებას მოხმარდა 2300 რუბლი, სწავლა-განათლებას - 728 რუბლი, დაბის განათებას - 322 რუბლი და სხვ.[151] XX ს. დამდეგისათვის ოლთისის შემოსავალი, მართალია, გაიზარდა, მაგრამ გასავალში ისევ მთავარი იყო ჯარისა და პოლიციის ხარჯები.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა. ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ, 10 წლის განმავლობაში, ქ. ბათუმს პოლიცია განაგებდა. 1878 წ. ბათუმის პოლიცმაისტერად დაინიშნა დურმიშხან ჟურული. ქალაქის მოსახლეობის

150 Обзор Батумской области за 1910 г., с. 130-131.

151 Батум и его окрестности., Бат., 1906, с. 482.

ზედაფენას (სახლთმფლობელები, ხელოსნები, ვაჭრები) უფლება მიეცა თავისი წრიდან აერჩია ოთხი დეპუტატი, რომლებიც პოლიცმაისტერს დაეხმარებოდნენ გადასახადების გაწერა-აკრეფაში.

საპოლიციო მმართველობის დროსაც ქ. ბათუმს საოლქო მმართველობისაგან გამოყოფილი თავისი ცალკე ფინანსები ჰქონდა. ქალაქის საშემოსავლო ბიუჯეტის მთავარი წყაროები იყო მოქალაქეთა უძრავი ქონების შეფასებითი გამოსაღები, იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების ქირა, სასაკლაოთი, ბაზრებით, ნავმისადგომებითა და ნავებით სარგებლობის საზღაური, ვაჭრობა-მრეწველობის სანებართვო მოწმობების გაცემით შემოსული თანხა და სხვ.

1879 წ. ბათუმის ბიუჯეტში შემოვიდა 21010 რუბლი, 1882 წ. - 68094, 1885 წ. - 85994, 1887 წ. - 116394 რუბლი. შემოსავლის დიდი ნაწილი ბათუმის პოლიციის ჯამაგირზე და სხვა საჭიროებაზე იხარჯებოდა, დანარჩენი კი ხმარდებოდა ქალაქის განათებას, წყლით მომარაგებას, დასუფთავებას და სხვა საჭიროებას. პოლიცმაისტერი ქალაქის ფინანსებს თითქმის უკონტროლოდ ხარჯავდა. ყოველ შემთხვევაში, დეპუტატებსა და მოქალაქეებს ანგარიშს არ აბარებდა.

ბათუმის მოქალაქეებს, ბუნებრივია, გაუჩნდათ თვითმმართველობის მოპოვების სურვილი. 1885 წ. მათმა რწმუნებულმა თხოვნით მიმართა კავკასიის მთავარმართებელს ბათუმისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუტის მიცემის თაობაზე. გაზეთ „ნოეოე ობოზრენიეს“ რედაქცია მოწონებით შეხვდა ბათუმელთა ამ ნაბიჯს, იმედი გამოთქვა, რომ მათ თხოვნას მთავრობა დააკმაყოფილებდა, ბრწყინვალე მომაელის ქალაქს თვითმმათველობის გარეშე არ დატოვებდა.[152]

მაგრამ ასე როდი ფიქრობდნენ მთავრობის მოხელეები. ბათუმის პოლიცმაისტერმა ეოზნესენსკიმ, მართალია, აღიარა თვითმმართველობის სარგებლიანობა, მაგრამ ისიც განაცხადა, რომ ბათუმისათვის ეს ნაადრევიაო. ცხადია, მას არ სურდა ხელიდან გაეშვა ქალაქის სალარო, რომელსაც, უდავოა, იყენებდა პირადი საჭიროებისთვისაც.

მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაცია გრძნობდა, რომ სწრაფად მზარდი ქალაქის დატოვება პოლიციის გამგებლობაში დიდხანს არ შეიძლებოდა. 1887 წ. ქუთაისის გუბერნატორმა თვით გამოიჩინა ინიციატივა და ბათუმში საქალაქო რეფორმის წინაპირობების მოსამზადებლად სპეციალური კომისია ჩამოაყალიბა. კომისიამ რამდენიმე თვე იმუშავა, საკმაოდ ბევრი მასალაც შეკრიბა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა.

1888 წ. 28 აპრილს კავკასიის ადმინისტრაციამ მიიღო იმპერატორის ბრძანება ბათუმისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების თაობაზე, მაგრამ იმ პირობით, რომ პირველ 4 წელს ქალაქისთავის მოვალეობას შეასრულებდა არა სათათბიროს მიერ არჩეული, არამედ მთავრობისაგან დანიშნული პირი. ამ ბრძანების შესრულება დაეევალა ახალ კომისიას, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე კ. დ. გაერონსკი.

ბათუმის თვითმმართველობის შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი ემყარებოდა 1870 წ. საერთო რუსულ საქალაქო დებულებას. ამ კანონის შესაბამისად, მოქალაქეს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო თვითმმართველობის არჩევნებში, თუ იგი აკმაყოფილებდა შემდეგ პირობებს: 1. იყო რუსეთის ქვეშევრდომი; 2. იყო 25 წლის და მეტი ასაკისა; 3. ქალაქში ფლობდა უძრავ-მოძრავ ქონებას და

[152] «Новое обозрение», 1885, №530.

იხდიდა შესაბამის გადასახადს, ან ჰქონდა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება და გააჩნდა ფასიანი სანებართვო მოწმობა; 4. მასზე არ ირიცხებოდა გადასახადთა ნარჩენები. მოსახლეობის ეკონომიკური კატეგორიების შესაბამისად, ყალიბდებოდა სხვადასხვა თანრიგის სამი საარჩევნო კრება. პირველ თანრიგში შედიოდნენ მსხვილი მესაკუთრენი (სახლთმფლობელები, ვაჭარ-მრეწველები), მეორეში - საშუალო შეძლების მოქალაქენი, მესამეში კი - ის წვრილი მესაკუთრენი, რომელნიც იხდიდნენ გარკვეულ საქალაქო გადასახადებს. ყოველი თანრიგი ირჩევდა სათათბიროს ხმოსანთა მესამედს.

საქალაქო თვითმმართველობის განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა სათათბირო, რომლის ხმოსანთა რაოდენობა, ქალაქის სიდიდის შესაბმისად, 36-დან 150 კაცამდე მერყეობდა. სათათბიროს უფლება-მოვალეობაში შედიოდა ქალაქის თანამდებობის პირთა არჩევა და მათი ხელფასების განსაზღვრა, ქალაქის შემოსავალ-გასაელის ბიუჯეტის დამტკიცება, თვითმმართველობის სახელით კრედიტების აღება, საქალაქო საქმეთა განხილვა, სხვადასხვა საკითხზე მთავრობის წინაშე შუამდგომლობების აღძვრა და სხვ.

საქალაქო სათათბირო ირჩევდა მის წინაშე ანგარიშვალდებულ გამგეობას, რომელსაც აღმასრულებელი ფუნქციები ეკისრებოდა. გამგეობაში რამდენიმე კაცი შედიოდა და იგი ქალაქისთავის თავმჯდომარეობით მუშაობდა. სათათბირო ქმნიდა მუდმივ და დროებით მოქმედ კომისიებს, რომელთაც ევალებოდათ საქალაქო მეურნეობის ცალკეულ სფეროთა ხელმძღვანელობა ან განსაკუთრებით რთული საკითხების დამუშავება და მნიშვნელოვანი პროექტების შედგენა. სათათბიროს ხმოსნები, ქალაქისთავი, გამგეობის წევრები და სხვა თანამდებობის პირები აირჩეოდნენ 4 წლის ვადით.

საქალაქო თვითმმართველობის ძირითად ფუნქციას შეადგენდა კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობა. მას ხელი უნდა შეეწყო, აგრეთვე, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის, გაეხსნა სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, საავადმყოფოები, საქველმოქმედო დაწესებულებანი.

საქალაქო თვითმმართველობა დებულებით განსაზღვრულ ჩარჩოებში დამოუკიდებლად მოქმედებდა. ქალაქს, მის მოსახლეობას თვითმმართველობის უფლება ეძლეოდა (მუხლი 5), მაგრამ იმავე დებულების სხვა მუხლები მნიშვნელოვნად ზღუდავდა თვითმმართველობას და მის საქმიანობაზე მთავრობის კონტროლს აწესებდა. მას ახორციელებდა სპეციალურად შექმნილი საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულო (მუხლი 11). საქალაქო თვითმმართველობას უმაღლეს მთავრობასთან ურთიერთობა უნდა დაემყარებინა გუბერნატორის მეშვეობით (მუხლი 13). საქალაქო სათათბიროს ყველა დადგენილება-განკარგულების ასლები დაუყოვნებლივ უნდა გადასცემოდა გუბერნატორს (მუხლი 64).[153]

თვითმყრობელობის პირობებში ადგილობრივი თვითმმართველობების ფართო ქსელის შექმნას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. არჩევით პრინციპზე დამყარებული კონსტიტუციური ხასიათის თვითმმართველობის ეს ორგანოები მკვეთრად დაუპირისპირდა აბსოლუტური მონარქიის სახელმწიფო ორგანოებს, ადმინისტრაციულ ბიუროკრატიას. რამდენადმე აილაგმა მთავრობის მოხელეთა თვითნებობა და შეიქმნა პროგრესული საზოგადოებრივი ძალების მოქმედების ასპარეზი.

ადგილობრივი თვითმმართველობა ორგზის აუცილებელი და სასარგებლო იყო

[153] Городовое положение, С-Пб., 1873, с. 7-138.

იმპერიის კოლონიური ქვეყნების დაჩაგრული ხალხებისათვის, მაგრამ ცარიზმმა საქართველოს სოფელი ერობისათვის მოუმზადებლად მიიჩნია, ქალაქის მოსახლეობას კი შეზღუდული თვითმმართველობა უბოძა.

საქართველოში საქალაქო რეფორმა შედარებით გვიან, მაგრამ თითქმის ისეთივე ფორმით და შინაარსით ჩატარდა, როგორც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში. თვითმმართველ ქალაქებად გადაიქცნენ თბილისი, ქუთაისი, ფოთი, გორი, ახალციხე და რამდენადმე მოგვიანებით ბათუმი.

გავრონსკის კომისიამ შეისწავლა ბათუმის მცხოვრებთა ეკონომიკური მდგომარეობა, დაადგინა მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გადახდისუნარიანობა და ამომრჩეველთა სიაში შეიტანა 525 მოქალაქე. 1888 წ. აგვისტო-სექტემბერში საკმაოდ მწავე ვითარებაში ჩატარდა სამივე თანრიგის ამომრჩეველთა კრებები, რომელთა დამთავრების შემდეგ ბათუმის საქალაქო სათათბიროს დარბაზის კარი შეაღო 36 ხმოსანმა. ხმოსნებმა, თავის მხრივ, აირჩიეს გამგეობა 3 კაცის შემადგენლობით. მთავრობის განკარგულებით, ქალაქისთავის მოვალეობის შესრულება დაეკისრა კ. დ. გავრონსკის. 1 ოქტომბერს, ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის საზეიმოდ გაიხსნის დღეს, გავრონსკიმ მიულოცა ეს დიდი გამარჯვება შეკრებილ საზოგადოებას, თანაც იმედი გამოთქვა, რომ საქალაქო სათათბირო და გამგეობა გაამართლებდნენ ამომრჩეველთა ნდობას.[154]

უკვე საქალაქო არჩევნების დროს გამოიკვეთა წინააღმდეგობა ადგილობრივ ბურჟუაზიასა და უცხოელ კაპიტალისტებს შორის, რაც მომდევნო პერიოდში კიდევ უფრო გამწვავდა. სათათბიროში არჩეული ბათუმის მკვიდრი მოქალაქენი სათათბიროსა და გამგეობის პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევდნენ პოლიციის მიერ დაშვებული უკანონობის გამოსწორებას, ქალაქის ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის წონასწორობაში მოყვანას, კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებას. განსხვავებული მიზნები ამოძრავებდათ როტშილდის ფირმის წარმომადგენლებს, რომელნიც ასევე გავიდნენ სათათბიროში. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ფირმის პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებას და ამდენად, ადგილობრივი ბურჟუაზიის ინტერესების შელახვას.

ასეთი იყო განწყობა, როცა ბათუმის სათათბიროში წაიკითხეს როტშილდის თხოვნა ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაში ნავთსადენი მილის გაყვანის ნებართვის თაობაზე. ნავთობის ამ უმსხვილესი მაგნატის ყოვლისშემძლეობით გაღიზიანებულმა ხმოსნებმა ხელიდან არ გაუშვეს ეს ხელსაყრელი მომენტი და შეუტიეს როტშილდისეულ წამოწყებას, რაც განადგურებით ემუქრებოდა ქალაქში არსებულ ნავთის ტარის ქარხნებსა და იქ დასაქმებულ მუშებს. ამის გამო სათათბირომაც უარი თქვა როტშილდის თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

გაზეთმა „ჩრდილოეთის სააგენტომ“ ბათუმის სათათბიროს ეს ნეგატიური გადაწყვეტილება ქალაქის მოსახლეობის თვითმმართველობისათვის მოუმზადებლობის მაუწყებლად მიიჩნია. „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია არ დაეთანხმა ამ თვალსაზრისს. აღნიშნა, რომ ნავთის ექსპორტის ფორმის საკითხი როდია გადამწყვეტი. ბათუმის სათათბიროს დადგენილება ვერ შეაფერხებს ტანკერების მომავალ ტრიუმფს და არც როტშილდს გააღარიბებს ნავთსადენი მილის რამდენიმე ხნის დაგვიანებით გაყვანა. პირიქით, ბათუმის სათათბიროს დადგენილება ცხადყოფს, რომ ჩვენი მხარის მოსახლეობა მომწიფებულია თვითმმართველობისათვის, შეუძლია

[154] Памятная книжка гласных Батумской городской думы на 1914 г., с. 139-141.

მინიჭებული უფლებები თავის ინტერესების დაცვისათვის გამოიყენოსო.[155]

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობას თავიდანვე დაჰყვა ყველა ის ნაკლი, რაც საეროდ ახასიათებდა რუსეთის იმპერიის თვითმმართველობის ორგანოებს. მეფის მოხელეთა მიერ შედგენილი საქალაქო დებულება თვითმმართველობას აძლევდა არა ქალაქის მთელ მოსახლეობას, არამედ მხოლოდ უძრავი საკუთრებისა და საეკჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მფლობელებს. ამასთან ერთად, კანონი უზრუნველყოფდა სათათბიროსა და გამგეობაში ერთი მუჯა მდიდარი მოქალაქეების ბატონობას. პირველი და მეორე თანრიგის ამომრჩეველებს სათათბიროში გაჰყავდათ ხმოსანთა ორი მესამედი, რომელნიც ახერხებდნენ გამგეობაშიც თავიანთი ინტერესების გამომხატველ-დამცველი პირების არჩევას. კონტრასტი სხვადასხვა თანრიგის ამომრჩეველებს 'მორის განსაკუთრებით დიდი აღმოჩნდა ბათუმში.

ბათუმის საქალაქო ხმოსანთა არჩევნები მეორე ოთხწლეულისათვის უნდა ჩაეტარებინათ 1892 წელს. კიდეც დაიწყო საარჩევნო სიების შედგენა თანრიგის მიხედვით. კომისია წააწყდა ხელშემშლელ გარემოებას, რომელსაც, იმესხის გადმოცემით, ადგილი არ ჰქონდა რუსეთის იმპერიის არც ერთი ქალაქისა და თვით სენატის პრაქტიკაში. გამოირკვა, რომ ქ. ბათუმის ცენზიან მოქალაქეთა უძრავ-მოძრავი ქონების ერთი მესამედი ეკუთვნოდა „კასპია - შავი ზღვის საზოგადოებას"; რომლის აქციების საკონტროლო პაკეტს როტშილდი ფლობდა და ამდენად, მხოლოდ ამ საზოგადოების სამსახურში მყოფი ინჟინერ-ტექნიკოსები და სხვა პერსონალი უნდა შესულიყო ამომრჩეველთა პირველ თანრიგში. მათ უნდა აერჩიათ ხმოსანთა მესამედი. ასეთი უპრეცენდენტო შემთხვევის გამო, საქალაქო საქმეთა ქუთაისის საგუბერნიო საკრებულომ შესაძლებლად ჩათვალა ბათუმელ ამომრჩეველთა ორ თანრიგად დაყოფა, მაგრამ ამანაც ვერ უშველა საქმეს. ახალი დაყოფის პირველ თანრიგში მოხვდა მხოლოდ 6 მსხვილი მესაკუთრე. ისინი ფლობდნენ ბათუმელთა უძრავ-მოძრავი ქონების ნახევარს და უნდა აერჩიათ სათათბიროს ხმოსანთა ნახევარი (18 კაცი), სხვა დანარჩენ ცენზიან მოქალაქეებს (500-ზე მეტ კაცს) კი - ხმოსანთა მეორე ნახევარი. ასეთ პირობებში ბათუმის საქალაქო გამგეობამ მოითხოვა არჩევნების გაერთიანებულად ჩატარების ნებართვა. მთავრობამ დაუშვებლად მიიჩნია კანონის დარღვევა. სამაგიეროდ, უფლებამოსილების ეადა გაუგრძელა არსებულ სათათბიროს იმ დრომდე, ვიდრე არ გატარდებოდა ახალი დებულება (კანონი), რომელიც აუქმებდა თანრიგებს და სანქციას იძლეოდა ყველა ცენზიანისათვის საერთო საარჩევნო კრების ჩამოყალიბების თაობაზე.[156]

ახალი საქალაქო დებულება იმპერატორმა დაამტკიცა 1891 წ. 11 ივნისს. ეს კანონი, მართალია, აუქმებდა საარჩევნო თანრიგებს, მაგრამ, სამაგიეროდ, რამდენჯერმე ზრდიდა საარჩევნო ცენზს. საარჩევნო სიებში შეჰყავდათ მხოლოდ მსხვილი და საშუალო შემოსავლების მესაკუთრენი, პირველი და მეორე გილდიის ვაჭრები. თუ 1888 წ. - ბათუმის 14 ათასი მცხოვრებიდან ხმის უფლება ჰქონდა 525 კაცს, 1894 წ. ბათუმის 25 ათასი მოქალაქიდან საარჩევნო უფლებით სარგებლობდა მხოლოდ 318 კაცი.

ჯერ კიდევ 1892 წ. 30 დეკემბერს საქალაქო საქმეთა ქუთაისის საგუბერნიო საკრებულომ მიზანშეწონილად სცნო ბათუმში გატარებულიყო ახალი დებულება მისი სრული სახით, მაგრამ მთავრობისაგან დანიშნული ქალაქისთავი გავრონსკი არ ჩქარობდა. 1894 წ. 27 იანვარს ბათუმში კვლავ მოვიდა კატეგორიული ბრძანება ახალი საქალაქო დებულების გატარების თაობაზე, რომლის შესრულება, იმ დროისათვის

[155] «Новое обозрение», 1882 г., №1727.

[156] Батум и его окрестности, с. 492-493.

უკვე გადამგარი გაერონსკის ნაცვლად, მოუხდა ქალაქისთავის მოვალეობის დროებით შემსრულებელ ა. კოინდერს. შედგა ამომრჩეველთა ახალი სიები. საათათბიროს ხმოსანთა არჩევნები დაინიშნა 1894 წ. 12 ოქტომბრისათვის. გაჩაღდა წინასაარჩევნო მუშაობა.

1894 წ. მარტში „ივერიის“ ბათუმელი კორესპონდენტი იუწყებოდა: „ჯერჯერობით ბათუმელ კენჭოსნებისას კაცი ვერას გაიგებს. ისეა არეული მათი აზრები და სურვილი, რომ გარკვევით ვერ ითქმის, ვინ რა მიმართულებას მიემხრობა“. კორესპონდენტის აზრით, ბათუმელთა აქტიურობა ახალ არჩევნებში იმით იყო გამოწვეული, რომ მათ „შეიგნეს და იგემეს თვითმმართველობის ღირსება“, მაგრამ ბევრი მოქალაქის უკმაყოფილებას საადგილმამულო საკითხის მოუგვარებლობა იწვევსო. „ერთი სიტყვით, - წერს ბოლოს ავტორი, - სამდურავი დღეანდელისა და სურვილი უკეთესისა ისეა არეული ერთმანეთში, რომ შეუძლებელია ყველაფრის აღნუსხვა, ვნახოთ, რა გამოირკვევა“.[157]

მალე მოვლენათა განვითარებამ სიცხადე შეიტანა ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართულებასა და მიზანში. იგივე კორესპონდენტი ბათუმიდან იწერებოდა, რომ თანდათან ყალიბდება დასები და მომავალ არჩევნებში მოსალოდნელია დიდი ბრძოლა. „როგორც ყოველ ახალდაბადებულს, კენჭოსანთა დასებსაც სხვადასხვა სახელებს უწოდებენ: „დასი სამთა კავშირისა“, ე.ი. ქართველები, რუსები, ბერძნები. „დასი განდეგილნი“ - მაჰმადიანები და დასი „მდევნელი დევნილთა“ - სომხები. სამთა კავშირის საფუძველი, კორესპონდენტის აზრით, მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო. სომეხთა დასი იმას ცდილობდა, ისე არ განდევნილიყო ბათუმის საქალაქო თვითმმართველობიდან, როგორც თბილისის თვითმმართველობიდან - ქართველები. „განდეგილნი (მაჰმადიანები) კი ნეიტრალიტეტს აცხადებდნენ და თავს ყველასაგან დაჩაგრულად თვლიდნენ“. განდეგილთა (მაჰმადიან ქართველთა) მიმხრობის ისტორიული საფუძველი, წერილის ავტორის აზრით, ყველაზე მეტად ქრისტიან ქართველებს ჰქონდათ. შემოერთებისას ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ამ ჩვენს ძმებზე, მაგრამ შემდეგ სიტყვებს საქმე შედარებით მცირე მოჰყვა და ამიტომ მუსლიმანების თავისკენ გადაბირების იმედს სხვა დასებიც არ ჰკარგავენო.[158]

ბათუმელ ცენზიანთა აქტიურობა მეორე არჩევნების დროს, უდავოა, იმითაც იყო განპირობებული, რომ სათათბირომ მიიღო ქალაქისთავის არჩევის უფლება. ბუნებრივია, ყველა დასი და დაჯგუფება ცდილობდა ამ თანამდებობაზე თავისი კაცის გაყვანას.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის არჩევნები, სათათბიროსა და გამგეობაში ეროვნული მოღვაწეების გაყვანა მხოლოდ ბათუმელ ცენზიან მოქალაქეთა კერძო საკითხი როდი იყო. მას ჰქონდა საერთო-ქართული მნიშვნელობა და უკავშირდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალურ-პოლიტიკური ბაზის გაფართოება-განმტკიცების დიდ საქმეს. ამიტომ თვით ილია ჭავჭავაძე ადევნებდა თვალყურს ბათუმის მოვლენებს. როცა წინასაარჩევნო ბრძოლა კულმინაციას მიუახლოვდა, ილია ბათუმში ჩამოვიდა. ამხნევებდა, ძალას მატებდა ბათუმელ ქართველ მოღვაწეთა დასს, სასარგებლო გაელენას ახდენდა ამომრჩეველებზე და გამარჯვებაც რეალური აღმოჩნდა.

ილია ჭავჭავაძეს ძალიან კარგად ესმოდა ქალაქისთავის მნიშვნელობა თვითმმართველობის მუშაობასა და წარმატებაში. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო

[157] „ივერია“, 1894, №54.
[158] „ივერია“, 1894, №63.

ბათუმის ქალაქისთავის კანდიდატურის შერჩევაში. ილიას დავალებით დავით კლდიაშვილმა ქუთაისიდან ბათუმში ჩამოიყვანა გამოცდილი ორგანიზატორი და ეროვნული მოღვაწე ლუკა ასათიანი, რომელმაც აშკარად დაჯაბნა კონკურენტები.[159]

1894 წ. 12 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სათათბიროს ხმოსნებად აირჩიეს 19 ქართველი, 8 რუსი, 5 ბერძენი, 3 სომეხი. როგორც ეხედავთ, არჩევნებში სრული გამარჯვება სამთა კავშირმა იზეიმა. განსაკუთრებით დიდი გამარჯვება მოიპოვა ქართველთა დასმა. მან სათათბიროში გაიყვანა ხმოსანთა 55%. მეორე მოწვევის სათათბიროში ქართველთაგან შედიოდნენ: დ. ბარათაშვილი, მ. ბარკალაია, ე. ბერძენიშვილი, მ. ბეთანიშვილი, ა. გუგუშვილი, გ. ელიავა, ო. ლომინაძე, კ. მგელაძე, ი. მესხი, ს. მხეიძე, ნ. საბაშვილი, ს. საბაშვილი, ი. საბახტარაშვილი, ა. შარვაშიძე.[160]

საქალაქო სათათბიროს უმრავლესობას, ბუნებრივია, სურვილი ჰქონდა თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოშიც თავისი კანდიდატები გაეყვანა. ქართველმა ამომრჩეველებმა, როგორც ითქვა, შესძლეს ერთ მუშტად შეკერა და ბათუმის ქალაქისთავის თანამდებობაზე ლუკა ასათიანის არჩევა. მისი მოწინააღმდეგენი (ბიკოვი და სვევრინი) გაშავდნენ. გამგეობის სამი წევრის ადგილზე 9 კანდიდატმა იყარა კენჭი. აქაც გამარჯვება ქართველმა ხმოსნებმა იზეიმეს. ქალაქის მდივნად აირჩიეს ი. მესხი, გამგეობის წევრად - გ. ეოლსკი. გამგეობის მეორე წევრად კი — ი. ივანოვი.[161]

ბათუმის მეორე მოწვევის სათათბირო და მისი აღმასრულებელი ორგანო — გამგეობა შედარებით აქტიურად საქმიანობდა. რამდენადმე გაუმჯობესდა კომუნალური მეურნეობა, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმე. მაგრამ ყველა მოქალაქე კმაყოფილი როდი იყო. გამგეობის პარტიის მოწინააღმდეგე დაჯგუფებანი კვლავ აგრძელებდნენ კრიტიკულ გამოსვლებს და რევანშის აღებას მომდევნო არჩევნებში ეარაუდობდნენ.

ბათუმის საქალაქო სათათბიროს მესამე შემადგენლობის არჩევნები 1898 წლის ოქტომბრისათვის დაინიშნა. ორი თვით ადრე დაიწყო წინასაარჩევნო ბრძოლა. ყველაზე მწვავედ ქართველთა და სომეხთა პარტიები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. საარჩევნო სიების მიხედვით, არც ერთს არ გააჩნდა დიდი უპირატესობა. ამიტომ არჩევნების შედეგებზე დიდ გავლენას მოახდენდნენ რუსები, ბერძნები და სხვ. ასპარეზზე გამოვიდა გამგეობის პარტია, რომელშიც ქართველებს გარდა, რუსები და სომხებიც შედიოდნენ, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა ქართველებს ეკუთვნოდათ. ამის გამო ბევრი ბათუმელი მოქალაქე ამ დაჯგუფებას ქართველთა პარტიას უწოდებდა. ჩამოყალიბდა აგრეთვე გამგეობის საწინააღმდეგო დაჯგუფება, რომელშიც შედიოდა ყველა ცენზიანი სომეხი, რუსთა საგრძნობი ნაწილი და 20-მდე ქართველი. ამ დაჯგუფებას სომხური უმრავლესობა აძლევდა ტონს, რის გამოც იგი სომხურ პარტიად მონათლეს.[162]

გამგეობის (ქართველების) პარტია, როგორც ჩანს, საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში კი, ძირითადად, მსხვილი ბურჟუები იყვნენ გაერთიანებული. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ გამგეობისათვის, უყენებდნენ მას ათასგვარ ბრალდებას. კრიტიკოსთა განცხადებით, გამგეობაში, მართალია, პატიოსანი ხალხი იყო არჩეული, მაგრამ

[159] დ.კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1984, გვ. 56-57.
[160] «Памятная книжка»..., с. 56-55.
[161] „ივერია“ 1895, №26.
[162] «Новое обозрение», 1898, №5076.

აკლდა პრაქტიკული საქმიანობის უნარი, მომჭირნეობით ეერ ხარჯავდა ქალაქის ფინანსებს, არამწარმოებლურ სფეროში აბანდებდა ფულს, რითაც კომუნალურ მეურნეობას ზარალს აყენებსო. მათი სიტყვით, სათათბირომ და გამგეობამ თავიანთი რწმუნების ოთხწლიან პერიოდში დახარჯა 1 მილიონი რუბლი სპეციალური კაპიტალიდან და ამის გარდა მოითხოვა ნებართვა 600 ათასი რუბლის საობლიგაციო სესხის გამოშვებაზე. მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის გამოყენებას გამგეობა ეარაუდობდა გიმნაზიის შენობის, ქალაქის სახლის, დუქნების, სასაკლაოს, წყალსადენისა და სხვა ობიექტების აგებისათვის, რაც ქალაქის აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენსო.

„ნოვოე ობოზრენიეს" რედაქცია გადაჭარბებულად თელიდა ასეთ კრიტიკას. მისი აზრით, გამგეობას დაუდეერობაში არ უნდა ჩათვლოდა გიმნაზიის შენობის აგება, ზრუნვა სკოლების კეთილმოწყობისა და, მით უმეტეს, კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. გაზეთი მიუთითებდა ბათუმის თვითმმართველობის საქმიანობის სუსტ მხარეზე, მის მიერ დაშვებულ ზოგიერთ შეცდომაზე, მაგრამ, საერთოდ, დადებითად აფასებდა მეორე მოწვევის სათათბიროს და გამგეობის მოღვაწეობას. თვითმმართველობის ეს ორგანოები, მისი აზრით, მუშაობდნენ დიდი ენთუზიაზმით და რეალურ გაელენას ახდენდნენ ქალაქის მეურნეობის ყველა სფეროზე.[163]

ბათუმის სათათბიროს მესამე შემადგენლობის არჩევნებში მონაწილეობდა 332 ცენზიანი მოქალაქე. აქედან 147 იყო ქართველი და 110 სომეხი. ხმოსნობაზე კენჭი იყარა 39 ქართველმა, 35 სომეხმა, 25 რუსმა და 7 ბერძენმა. პირველ დღეს ხმოსნებად არჩეული იქნა 7 ქართველი, 6 ბერძენი, 8 რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი. ეს შედეგი ბეერისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ინტელიგენციისაგან შედგენილ ბათუმის სათათბიროსა და გამგეობას, რომელიც ქალაქის ინტერესებს ერთგულად ემსახურებოდა, პრესის აზრით, იმედი უნდა ჰქონოდა უანგარო ამომრჩეველთა მხარდაჭერისა, მაგრამ იმის გამო, რომ ეს არამყარი უმრაველესობა ორ ნაწილად გაითიშა, მან სათაბიროში გაიყვანა მხოლოდ 7 ხმოსანი.

გამგეობის (ქართველთა) პარტიამ მდგომარეობა დამატებით არჩევნებში გამოასწორა. ბათუმის საქალაქო სათაბიროში მან კვლავ მოიპოვა ადგილების შეფარდებითი უმრაველესობა და გამგეობაში გაიყვანა ლ. ასათიანი (ქალაქისთავი), გ. ეოლსკი, ი. მესხი, აგრეთვე ივანოვი. ამ უკანასკნელმა, როგორც ჩანს, წარმატებას მიაღწია მთავრობის წრეების დახმარებით.[164]

1901 წ. 25 იანვარს ბათუმის სათათბიროში ჩატარდა ქალაქისთავის მოადგილის არჩევნები. კენჭი უყარეს გრ. ეოლსკის და ი. ივანოვს. ეოლსკიმ მიიღო 17 თეთრი და 3 შავი, ივანოვმა - 3 თეთრი და 17 შავი.[165] ბათუმის სათათბიროს ინტელიგენტ ხმოსნებს, როგორც ვხედავთ, არ სურდათ თვითმმართველობის აპარატში ჰყოლოდათ ჩაქეის საუფლისწულო მამულის გამგე, მთავრობის წრეებში მიღებული ივანოვი. ისინი ქალაქის მეთაურის მოადგილის თანამდებობაზე უპირატესობას ანიჭებდნენ ეროვნულ მოღვაწეებს.

1902 წლის ოქტომბერში უფლებამოსილების ვადა გაუდიოდა მესამე მოწვევის სათაბიროს. ნოემბერში უნდა ჩატარებულიყო ახალი შემადგენლობის ხმოსანთა არჩევნები. უკვე აგვისტოში დაიწყო წინასაარჩევნო ბრძოლა. ამ მოვლენას ერცელი წერილი მიუძღვნა გაზეთ „კვალის" რედაქციამ: „მოახლოდა ქალაქის არჩევნები.

---

[163] «Новое обозрение», 1898, №5077.
[164] «Новое обозрение», 1898, №5082.
[165] „კვალი", 1901, №23, გვ. 582-583.

გამოქვეყნდა ამომრჩეველთა სია და შეიშმუშნა აქამდე მიძინებული ბათუმის საზოგადოება. ...სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყნის ქალაქებში (ქუთაისსა და ფოთს გარდა) ყველგან თავი იჩინა ეროვნულმა შუღლმა და განაკერძოებამ ქალაქის თვითმმართველობაში, ...ყოველი განათლებული და შეგნებული ადამიანი მომხრე უნდა იყოს სხვადასხვა ეროვნებათა შორის სოლიდარული განწყობილებისა და თანხმობისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი თანამედროვე ცხოვრება ისეთ ნიადაგზეა აღმოცენებული და დამყარებული, რომ ეს შეუძლებელი ხდება".[166]

1902 წელს ბათუმის ამომრჩეველთა სიაში აღმოჩნდა 326 ქართველი, 181 სომეხი, 139 რუსი, 68 ბერძენი. რუს ცენზიანთა ჯგუფს ქმნიდნენ დაწესებულებათა წარმომადგენლები და მოხელეები. ისინი „ჩერნომორსკი ვესტნიკის" რედაქტორის პალმის მეთაურობით მოქმედებდნენ. სომეხი ამომრჩეველები შედგებოდნენ მსხვილ და საშუალო ვაჭარ-მრეწველთაგან, რომელთა ლიდერი იყო თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილების გამგე ხუდადოეი. ქართველ ამომრჩეველთა კონტინგენტს, ძირითადად, ქმნიდნენ წვრილი მესაკუთრენი, ვაჭარ-მრეწველები და ხელოსნები, რომელთა დამრაზმველის როლს ასრულებდა ქართველ ინტელიგენტთა წრე.

გაზეთ „კვალის" რედაქციას მიაჩნდა, რომ ბათუმის თვითმმართველობაში ქართველები იყვნენ გაბატონებული და მათ „ქალაქის საქმეთა გამგებლობაში სირცხვილი არ უჭამიათ". მიუხედავად ამისა, ხუდადოეისა და პალმის დაჯგუფებანი გარკვეულ ბრალდებებს უყენებდნენ სათათბირო-გამგეობის არსებულ შემადგენლობას, ცდილობდნენ მისთვის სახელის გატეხას და თვითმმართველობაში თავიანთ მომხრეთა გაყვანას. პალმმა წინასაარჩევნო ბრძოლა იმით დაიწყო, რომ თაეის გაზეთში ქართველ ამომრჩეველთა რიცხვი სანახევროდ შემცირებულად აჩვენა. ამასთან დაკავშირებით „კვალის" კორესპონდენტი ირონიულად შენიშნავდა, რომ ბ-ნი პალმი ქართველ კათოლიკეებს, მაჰმადიანებს, იმერლებს, მეგრელებს, გურულებს და სხვ. ქართველებად არ თვლის და ასეთი „უნებლიე" შეცდომა იმიტომ დაუშვაო. პალმმა საგიტაციო მასალად გაიხადა თურმე ტრიანტაფილიდესის - ქალაქის საავადმყოფოს მთავარი ექიმის - თანამდებობიდან დათხოვნა და ამით აპირებდა ქართველ-ბერძენთა შორის შუღლის გამძაფრებას, ამ ხერხით კი ბერძნების თავის ბანაკში გადაბირებას. „ასეა თუ ისე, - დაასკვნის „კვალის" კორესპონდენტი, - აგიტაცია ქართველების წინააღმდეგ დაწყებულად უნდა ვცნოთ. რაგვარი კომბინაციები მოხდება არჩევნების დროს, ეს ძნელი გამოსაცნობია ჯერჯერობით. ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ქართველების მოწინააღმდეგე ელემენტები სხვადასხვა ეროვნებიდან, პალმისა და მის მომძეთა მეთაურობით, იჩენენ თავს და შეერთდებიან ქართველების დასამარცხებლად".[167]

ქართველთა პარტიის მიერ ბათუმის თვითმმართველობაში წამყვანი მდგომარეობის შენარჩუნების წინაპირობად „კვალის" რედაქციას მიაჩნდა: 1. ამომრჩეველთა სიების შესწორება-შევსება, 2. გადასახადთა ნარჩენების დაფარეა და ამით ქართველ ამომრჩეველთა რიცხვის გადიდება, 3. არასაზოგადოებრივი ხასიათის შინაურ, კერძო კინკლაობაზე ხელის აღება, ქართველთა გაერთიანება განურჩეველად რელიგიური რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებებისა. ქართველთა შეერთებულ ძალას გამარჯვების გზა უნდა გაეწალდა ზნეობრივი ძალით, ხმოსნების კანდიდატებად უნდა წამოეყენებინა საზოგადოებრივი ინტერესებით გამსჭვალული პირები და კანდიდატთა

[166] „კვალი", 1902, №39, გვ. 631-632.
[167] „კვალი", 1902, №39, გვ. 631-632.

სიაში ქართველებთან ერთად სხვა ერთა ღირსეული წარმომადგენლებიც შეეყვანა.[168]

ბათუმის საქალაქო სათათბიროს მეოთხე შემადგენლობის არჩევნები 1902 წ. 10-11 ნოემბერს ჩატარდა. ხმოსნის სტატუსი მიეცა 17 ქართველს, 8 სომეხს, 10 რუსს, 2 ბერძენს, არჩევნებს ეროვნულ და კლასობრივ ძალთა განლაგებაში არსებითი ცვლილება არ მოუხდენია.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობას ქართველი ხმოსნები - ვაჭარ-მრეწველები და ინტელიგენტები აძლევდნენ ტონს. მათ სათათბიროსა და გამგეობაში თითქმის ყოველთვის აბსოლუტური ან შეფარდებითი უმრავლესობა ჰქონდათ. ბათუმის თვითმმართველობის არსებობის მთელ მანძილზე აირჩიეს და ხმოსნად მუშაობდა 113 ქართველი, 45 რუსი, 38 სომეხი, 26 ბერძენი, 13 პოლონელი, 4 გერმანელი და 2 ებრაელი. ამავე სათაბიროს სოციალურ-პროფესიული შემადგენლობა ასეთი იყო: 15 ინჟინერი, 16 ექიმი, 10 იურისტი, 28 სამხედრო პირი, 7 აფთიაქარი, 54 სახლთმფლობელი, 76 ვაჭარ-მრეწველი, 11 ბანკირი, 3 პედაგოგი, 20 თავისუფალი პროფესიის პირი.[169]

1895 წლიდან 1901 წლამდე ქალაქისთავი იყო ლუკა ასათიანი, მის შემდეგ ეს თანამდებობა ეკავა ივანე ანდრონიკაშვილს. გამგეობის წევრებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: დ. ბიკოვი, ა. კოინდერი, გრ. ვოლსკი, ნ. ჟურული, რევჯებ-ბეგ ნიკარაძე, ი. შადინოვი, ი. ივანოვი და სხვ. სათათბიროსა და გამგეობის მდივნად შეუცვლელად მუშაობდა ი.მესსხი.[170]

ბათუმის 1902-1903 წწ. გაფიცვა-დემონსტრაციებისა და პირველი რევოლუციის სულისკვეთება ბათუმის სათათბიროშიც შეიჭრა. ხმოსნები და თვით ქალაქისთავი რადიკალურად ალაპარაკდნენ, მოითხოვეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებანი და მშრომელთა ზოგი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

1905 წ. 24 იანვარს გაიმართა ბათუმის სათათბიროს სხდომა, რომელსაც ხმოსნების გარდა გარეშე საზოგადოებაც ესწრებოდა. დიდი ინტერესით ელოდნენ გამგეობის ერთი წევრის გადარჩევის შედეგს. კენჭი უყარეს ი. ივანოვისა და გრ. ვოლსკის კანდიდატურებს. ეს უკანასკნელი 1901 წელს სათაბირომ დიდი უმრავლესობით აირჩია გამგეობის წევრად, მაგრამ მთავრობის ადმინისტრაციამ თანამდებობაზე არ დაამტკიცა. ახლა, რევოლუციის დაწყების მომენტში, გრ. ვოლსკი კვლავ დაასახელეს გამგეობის წევრობის კანდიდატად და დიდი უმრავლესობითაც აირჩიეს. მისი კონკურენტი, მთავრობის სანდო კაცი ი. ივანოვი კი გააშავეს. „ამ არჩევანს, - წერს „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი, - დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. მან უნდა დაგვანახოს, მართლა შეიცვალა რამ ჩვენს ქვეყანაში, თუ არა, ე.ი. მართლა მოდის მთავრობის ნებართვით „გაზაფხული“, თუ ისევ სუსხიანი ზამთარი მეფობს“.[171]

შექმნილ სიტუაციაში ქუთაისის გუბერნატორმა ვერ გაბედა ბათუმის სათათბიროს ნება-სურვილის უგულებელყოფა. ამჯერად გრ.ვოლსკი გამგეობის წევრად დაამტკიცა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავდა „გაზაფხულის“ დადგომას. უმნიშვნელო დათმობებით და რეფორმების დაპირებით მეფის მთავრობის ადმინისტრაციას ბურჟუაზიული ოპოზიციის შესუსტება, დემოკრატიული რევოლუციის ჩასახშობად ამ კლასის გადაბირება და მისი გამოყენება სურდა.

---

168 იქვე.
169 Памятная книжка... с. 56-57.
170 იქვე.
171 „ცნობის ფურცელი“, 1905, №2737.

„ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი წერდა: მეფის მთავრობის მოხელეები საერთოდ თვითმმართველობის დაუძინებელი მტრები არიან, მაგრამ ბათუმის თვითმმართველობას თავისი განსაკუთრებული მტრებიც ჰყავს. მათ შორის პირველია „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი პალმი. იგი ყოველთვის მარჯვენიდან აკრიტიკებს ბათუმის თვითმმართველობის საქმიანობას, ცდილობს სახელი გაუტეხოს მას. პალმის გაზეთის ტენდენციურ და ცილისმწამებლურ სტატიებს თვითმმართველობის სხვა მტრებიც იყენებენ, ბათუმის საქალაქო სათაბიროს სხდომებზე დაძაბულ ატმოსფეროს ჰქმნიან. გამგეობის წევრები ირონიული ღიმილით უარყოფენ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ სტატიებზე დაფუძნებულ ბრალდებებს, მაგრამ მემარჯვენე ოპოზიციას ეს არ აკმაყოფილებს. ერთ-ერთმა მათგანმა, ინჟინერმა გაიდებუროვმა კატეგორიულად მოითხოვა, თუ გაზეთში მოყვანილი ცნობები ტყუილია, საქალაქო გამგეობამ რედაქციას პროტესტი უნდა განუცხადოსო.[172]

გაიდებუროვის გამოსელის საპასუხოდ ქალაქისთავმა ანდრონიკაშვილმა განაცხადა, რომ პალმის გაზეთში თითქმის ყოველდღე იბეჭდება დაუსაბუთებელი შენიშვნები და ცილისმწამებლური წერილები, გაზეთი განგებ ამახინჯებს ყველაფერს, რაც ბათუმის თვითმმართველობას ეხება. გარწმუნებთ, რომ მასში ცნობათა 99% სიმართლეს მოკლებულია. არაერთხელ გვიმსჯელია გამგეობაში იმ საკითხზე, გავცეთ თუ არა პასუხი „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ წერილებს და ყოველთვის იმ აზრამდე მივსულვართ, რომ უსაფუძვლო ცილისწამებაზე პასუხი არ შეშვენის საქალაქო თვითმმართველობისა და მის წარმომადგენელთა ღირსებას.[173]

სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) და სოციალისტ-ფედერალისტები, მართალია, მარცხნიდან აკრიტიკებდნენ ბათუმის მუნიციპალიტეტის საქმიანობას, მაგრამ ისინი სულაც არ თაკილობდნენ ბურჟუაზიულ სათათბიროში საქმიანობას.

პირველი რევოლუციის მარცხის შემდეგ, როცა დაიწყო რეპრესიები მემარცხენეთა წინააღმდეგ, იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა ცნობები საქალაქო თვითმმართველობათა შემადგენლობისა და საქმიანობის ხასიათის შესახებ. სათანადო მასალა ბათუმის ოლქის უფროსმაც წარადგინა. იგი წერდა: ბათუმის საქალაქო სათათბიროში გაბატონებული არიან ქართველი ნაციონალისტები და ფედერალისტები, სოციალ-დემოკრატებს შედარებით მცირე ადგილი უკავიათ, შეიმჩნევა პოლიტიკური მსოფლმხედველობის საფუძველზე ამ პარტიების შეთანხმება-შემჭიდროება.[174]

სხვა მასალებიდანაც ჩანს, რომ XX ს. დამდეგს დასებად დაჯგუფების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა პოლიტიკური მიმართულება, რამდენადმე შესუსტდა ქართულ და სომხურ ბურჟუაზიას შორის წინააღმდეგობა, გამოიკვეთა მათი დაახლოების ტენდენციაც. სამაგიეროდ, XIX ს. 90-იან წლებში მართლმადიდებლური ქრისტიანობის საფუძველზე შეკოწიწებული სამთა კავშირი (ქართველები, რუსები, ბერძნები) დაიშალა. ცენზიანი რუსების დიდი უმრავლესობა ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაციის პოზიციაზე დადგა და დაუპირისპირდა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს.

ქართველი ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის წარმატებით უკმაყოფილო ბათუმის ოლქის უფროსი ცილისწამებასაც არ ერიდებოდა. ქართველების წყალობითაა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალაქს ერთი მილიონი ვალი აქვსო. რევოლუციით

172 იქვე.
173 იქვე.
174 სცსსა, ფ. 13, ან. 2, ს. 1556, ფურც. 91-92.

შეშინებული ეს მოხელე ეჭვით უყურებდა თითქმის ყველა მუნიციპალურ მოღვაწეს. ბათუმის ქალაქისთავ ი.ანდრონიკაშვილს იგი მემარცხენე მიმართულების ქართველ ნაციონალისტს უწოდებდა, ხოლო ი. მესხის შესახებ წერდა, რომ იგი არის ფედერალისტი სოციალისტ-რევოლუციონერის მნიშვნელოვანი ელფერით და ასრულებს უკიდურესი მემარცხენეების პროგრამასო.[175]

თვითმმართველობის პრაქტიკული საქმიანობა. თვითმმართველობის საქმიანობა კომუნალური მეურნეობის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სფეროებში, ძირითადად, ქალაქის ბიუჯეტის მოცულობაზე იყო დამოკიდებული. დებულების თანახმად თვითმმართველობას უფლება ჰქონდა დაებეგრა მოქალაქეთა უძრავ-მოძრავი ქონება, ტრანსპორტის სხვადასხვა სახეები. ქალაქი შემოსავალს იღებდა, აგრეთვე, მის საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემიდან, სახლების გაქირავებიდან და სხვ.

1903 წ. აღწერის დროს ბათუმის მცხოვრებთა უძრავი ქონება შეფასდა 19,2 მლნ რუბლად. აქედან, საცხოვრებელი სახლების ღირებულებამ შეადგინა 8,2 მლნ, ქარხნებისა - 4,8 მლნ., მიწის ნაკვეთებისა - 6,2 მლნ რუბლი. უძრავი ქონების გადიდებისა და ღირებულების ზრდის შესაბამისად მატულობდა შეფასებითი გამოსაღები, რომელიც მთლიანად ქალაქის ბიუჯეტში შედიოდა. ბიუჯეტს ავსებდა აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობაზე ლიცენზიის გაცემით მიღებული შემოსავალი.

მართალია, ბათუმის ბიუჯეტი თანდათან იზრდებოდა, მაგრამ კანონით გათვალისწინებული ჩვეულებრივი შემოსავალი სწრაფად მზარდი ქალაქის საჭიროებას ვერ აკმაყოფილებდა. ბათუმის თვითმმართველობამ თავიდანვე მოითხოვა ფინანსურ-საბიუჯეტო უფლებების გაფართოება.

1889 წ. 9 მაისს, იმპერატორის ბრძანებით, დაწესდა ბათუმის ნავსადგურზე გავლილი საქონლიდან ბაჟის ე.წ. „საფუთო გამოსაღების" აკრეფა, რომლის 80% უნდა შესულიყო სახელმწიფო ხაზინაში, 20% კი ბათუმის თვითმმართველობის ბიუჯეტში. იგი გამოყენებული იქნებოდა ნავსადგურის კეთილმოწყობისა და მისკენ მიმავალი ქუჩების მოკირწყვლა-მოასფალტებისათვის. ამის შემდეგ, მთელი 15 წლის განმავლობაში, საფუთო გამოსაღები ავსებდა ქალაქის ბიუჯეტის 30-40%-ს. გამგეობა ახერხებდა უმაღლესი ბრძანებისათვის გვერდის აევლას და ამ თანხის გამოყენებას არა მარტო ნავსადგურის კეთილმოწყობის, არამედ ქალაქის სხვა საჭიროებისათვის.[176]

მიუხედავად ამისა, ბათუმის თვითმმართველობა ხშირად განიცდიდა ფინანსების ნაკლებობას და ახალი ობიექტების მშენებლობა-მოწყობისათვის სახსრები არ ჰყოფნიდა. ამიტომ ბანკიდან მოკლევადიან კრედიტებს იღებდა, რომლის პროცენტი საკმაოდ მძიმედ აწვებოდა ბიუჯეტის გასავლის ნაწილს. მუნიციპალური მოღვაწეები ლოგიკურად მივიდნენ გრძელვადიანი სესხის აღების აუცილებლობის შეგნებამდე.

1897 წ. ბათუმის საქალაქო თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა უმაღლესი მთავრობის წინაშე და მოითხოვა 600 ათას რუბლის საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვა. ბათუმი, როგორც მნიშვნელოვანი სამრეწველო-სავაჭრო ცენტრი, მთავრობამ საიმედო გადამხდელად სცნო და სესხის გამოშვებაზე დათანხმდა. 1899 წ. საბიუჯეტო გეგმით ბათუმის თვითმმართველობის შემოსავალი განისაზღვრა 825 ათასი რუბლის ოდენობით. ფაქტობრივად შემოვიდა 532 ათასი რუბლი. 1900 წ. ბიუჯეტი დამტკიცდა 639 ათასი რუბლის ოდენობით, შემოვიდა 681 ათასი რუბლი. ჩვეულებრივი საქალაქო სახსრებიდან ბიუჯეტში ჩაირიცხა 233 ათასი რუბლი,

---

[175] იქვე, ფურც. 92-93.

[176] Памятная книжка... с. 103-107; აცსა, ფ. 6, ს. 214. ფურც. 103-112.

საობლიგაციო სესხის რეალიზაციის შედეგად - 144 ათასი, საფუთო გამოსაღებით - 146 ათასი რუბლი. 1902 წ. ბათუმის თვითმმართველობის მთელი შემოსავალი უდრიდა 575 ათას რუბლს, საიდანაც ქალაქის ჩეკელებრივი სახსრების წილად მოდიოდა 263 ათასი, საობლიგაციო სესხზე - 67 ათასი, საფუთო გამოსაღებზე - 244 ათასი რუბლი.

ბათუმის თვითმმართველობა ცდილობდა ქალაქის ქონება-საკუთრების რაციონალური ექსპლოატაციის გზით გაეზარდა შემოსავალი. საკმაო თანხა დაიხარჯა ქალაქის ფარგლებში არსებული ჭაობების ამოშრობაზე, მაგრამ დანახარჯი მალე იქნა ამოგებული ამ ნაკვეთების საიჯარო შემოსავლებიდან. ქალაქის შემოსავლის გაზრდას ემსახურებოდა აგრეთვე ზოგი ახალი ობიექტის აშენება-მოწყობაც. მართალია, ნურიის მოედან-ბაზარში საეაჭრო რიგების მოწყობა 80 ათასზე მეტი რუბლი დაჯდა, მაგრამ დუქან-მაღაზიების სუფთა შემოსავალმა მალე დაფარა ხარჯი და ქალაქი მათი გაქირავებით ყოველწლიურად დიდ მოგებას იღებდა. საობლიგაციო სესხის ნაწილი გამოყენებულ იქნა ლომბარდის ძირითად კაპიტალად. ეს დაწესებულება მოკლევადიან სესხებს გასცემდა, ძირითადად, წერილ ბურჟუაზიასა და საშუალო ფენებზე. მოგება კაპიტალის პროცენტის სახით ბიუჯეტში შედიოდა.[177] მოგეიანებით შემოსაელიან წარმოება-დაწესებულებათა რიგს შეემატა სასაკლაო, წყალსადენი, ელექტროსადგური და სხვა ობიექტები.

ბათუმის თვითმმართველობის 1899 წ. ბიუჯეტიდან მთავრობის დაწესებულებათა საჭიროებაზე დაიხარჯა 23 ათასი რუბლი, ჯარზე - 4 ათასი, პოლიციაზე - 32 ათასი რუბლი და სხვ. ბათუმის ნავსადგურისა და მისკენ მიმავალი ქუჩების კეთილმოწყობას ხმარდებოდა ბიუჯეტის გასავლის მეოთხედი.

1902 წ. ბათუმის თვითმმართველობის საგასაველო ბიუჯეტი დამტკიცდა 575 ათასი რუბლის მოცულობით. აქედან უნდა დაეხარჯათ: მთავრობის დაწესებულებებზე - 1580, ქალაქის თვითმმართველობის შტატზე - 42456, ჯარისათვის ბინების დასაქირავებლად - 4595, პოლიციაზე - 36116, სახანძრო რაზმზე - 6583, ქალაქისა და ნავსადგურის კეთილმოწყობაზე - 257386, თვითმმართველობის უწყებაში მყოფ წარმოება-დაწესებულებებზე - 8430, სახალხო განათლებაზე - 37502, სამედიცინო, სანიტარულ-ვეტერინარულ მომსახურებაზე - 45740, ქალაქის უძრავი ქონების მოელაზე - 77100, აღებული კრედიტების დაფარვაზე - 40700 რუბლი და სხვ.[178]

მთავრობის მიერ დაწესებული ბაჟი (საფუთო გამოსაღები), რომლის 20% ქალაქის თვითმმართველობას გადაეცემოდა, ბიუჯეტის არსებით ნაწილს შეადგენდა, მაგრამ გამგეობა ვერ ახერხებდა ამ თანხის დროულად ათვისებას. 1889 წლიდან 1901 წლის ჩათვლით საფუთო გამოსაღების თანხამ შეადგინა სულ 2 მლნ. რუბლი, საიდანაც დაიხარჯა 1 მილიონ 294 ათასი, აუთვისებელი რჩებოდა 716 ათასი რუბლი. საქალაქო თვითმმართველობა ამ ნარჩენი თანხის გამოყენებას ვარაუდობდა ახალი ობიექტების მშენებლობისათვის, მაგრამ დაიგვიანა. 1901 წ. 8 ივნისის კანონით საფუთო გამოსაღების თანხა უნდა ჩარიცხულიყო ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ ფონდში, სანავსადგურო საქმეთა კომიტეტის განკარგულებაში, რომელიც, თავის მხრივ, იმავე კანონით, ადგილებიდან შემოსულ შუამდგომლობათა კვალობაზე, გადაეცემოდა საქალაქო თვითმმართველობებს მხოლოდ ნავსადგურების მოელა-გაუმჯობესებისათვის.

ამ კანონმა ფრიად დააზარალა ზოგიერთი სანავსადგურო ქალაქი, ყველაზე

[177] Памятная книжка... с. 116-121.

[178] Схема доходов и расходов по гор. Батуму, на 1902 г.

მეტად კი ბათუმი. თუ აქამდე ბათუმის თვითმმართველობა საფუთო გამოსაღებიდან ყოველწლიურად 200 ათას რუბლს იღებდა, ამის შემდეგ შეეძლო მიეღო მხოლოდ 30-40 ათასი რუბლი. ბუნებრივია, საზოგადოების გათვითცნობიერებული ნაწილი საყვედურს გამოთქვამდა ბათუმის თვითმმართველობის მესვეურთა მისამართით, რომელთაც ვერ მოახერხეს დროულად აეთვისებინათ საფუთო გამოსაღებით დაგროვილი თანხა. ეს არ უნდა გაძნელებოდა ქალაქისთავ ლუკა ასათიანს, რომელიც ძალიან კარგ განწყობილებაში იყო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ შალიკაშვილთან და საბაჟო გამოსაღების ხარჯვაში თითქმის უკონტროლოდ მოქმედებდა.[179]

1901 წ. შემდეგ არსებითად შეიცვალა შემოსავლის სხვადასხვა წყაროს როლი და მნიშვნელობა ბათუმის თვითმმართველობის ბიუჯეტში. თუ 1890-1900 წლებში საფუთო გამოსაღები და საობლიგაციო სესხით მიღებული თანხა შეადგენდა 2,6 მლნ რუბლს, ხოლო შემოსავლის სხვა წყაროებისა – 1 მლნ რუბლსაც არ აღწევდა, 1901-1910 წლებში პირველმა შეადგინა 1,2 მლნ, მეორემ კი თითქმის 3 მლნ, ე.ი. როცა მთავრობამ გააუქმა შედავათები და პრივილეგიები, გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა ქალაქის ჩვეულებრივმა შემოსავალმა (შეფასებითი გამოსაღები, მიწის საიჯარო ფასი, შენობების ქირა, ქალაქის საწარმოო-დაწესებულებათა შემოსავალი, გამოსაღები ვაჭრობა-მრეწველობიდან და სხვ.), მაგრამ ეს ჩვეულებრივი შემოსავალი არ იყო საკმარისი ბათუმის სწრაფად მზარდ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და სპეციალური თანხების დაკარგვის შემდეგ ქალაქის თვითმმართველობას ფინანსური კრიზისის ხანა დაუდგა.

კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესება. ბათუმისათვის თვითმმართველობის მინიჭების შემდეგაც კარგა ხანს ქალაქის სამშენებლო ნაწილი ისევ ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის გამგებლობაში რჩებოდა. ბათუმის მცხოვრებნი ვალდებული იყვნენ ახალი სახლების აგებისა და ძველის გადაკეთების პროექტები ქუთაისში გაეგზავნათ. ამ სირთულის გამო, ბევრი მოქალაქე ყოველგვარი პროექტის გარეშე, უნებართოდ იწყებდა მშენებლობას, რასაც არასასურველი დისონანსი შეჰქონდა ქალაქის დაგეგმარება-გაშენებაში.

1891 წ. ბათუმის თვითმმართველობამ აღძრა შუამდგომლობა სამშენებლო ნაწილის მის გამგებლობაში გადაცემის თაობაზე, მაგრამ ამაოდ. 1895 წ. კვლავ გაიგზავნა ანალოგიური შუამდგომლობა ზემდგომ ინსტანციებში, რაზეც ისევ უარით უპასუხეს. ამის შემდეგ ქალაქისთავმა საჩივრით სენატს მიმართა. იგი უმაღლესი ინსტანციის ამ საკანონმდებლო ორგანოს შეახსენებდა, რომ იმპერატორის ბრძანებით ბათუმში 1892 წ. დებულება სრული სახით უნდა გაეტარებინათ და ამდენად, ქუთაისის საგუბერნიო მმართველობა უმაღლეს ნებას არღვევს, როცა ბათუმის სამშენებლო ნაწილს თავის გამგებლობაში იტოვებსო. სენატი ლუკა ასათიანის განცხადების სამართლიანობაში დარწმუნდა და მყისვე გამოუგზავნა კაეკასიის მთავარმართებელს მითითება დაშვებული შეცდომის გამოსწორების თაობაზე. 1898 წ. სათანადო მიმოწერის შემდეგ, სამშენებლო ნაწილი გადავიდა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის კომპეტენციაში.[180]

ბათუმის თვითმმართველობის პრაქტიკაში თავიდანვე დაინერგა ფუნქციების განაწილების წესი: ქალაქისთავის უშუალო გამგებლობაში იყო ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები, უძრავ-მოძრავი ქონების მოვლა-პატრონობა. გამგეობის ერთ წევრს დაეალებული ჰქონდა ზრუნვა წყლით მომარაგებაზე, განათებასა და გადა-

[179] Памятная книжка... с. 103-107

[180] Батум и его окрестности, с. 516-517.

სახადთა აკრეფაზე. მეორე წევრის მეთვალყურეობის ქვეშ იყო სახალხო განათლება, სამედიცინო-სანიტარული და ვეტერინარული ნაწილი. ქალაქის მდივნის მოვალეობას შეადგენდა მეთვალყურეობა არჩევნების მიმდინარეობაზე, თხოვნა-შუამდგომლობების ტექსტის გაფორმება, თვიური და წლიური ანგარიშების შედგენა და სხვ. თვითმმართველობის კანცელარიაში იდგა რამდენიმე საქმიანი მაგიდა: საადგილმამულო, სასამართლო, ადმინისტრაციული, სამშენებლო, საავადმყოფოს, წყალსადენის, ქალაქის განათების და სხვ. ყოველ მაგიდასთან მიმაგრებული იყო საქმისმწარმოებელი.[181]

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ახლად ჩამოყალიბებული სამშენებლო ნაწილის შტატში ჩაირიცხნენ არქიტექტორი, მხაზველი, მწერალი, ორი ათისთავი. ბუნებრივია, ბათუმში არსებული ეს დაწესებულება უფრო ოპერატიულად ხელმძღვანელობდა საქმეს. დაჩქარდა მშენებლობათა პროექტების დამტკიცება, გასწორდა ქალაქის დაგეგმარება-გაშენებაში დაშვებული ზოგი შეცდომა.

ოსმალთა ბატონობის დროს ბათუმში იყო 4 უბანი - აშიზიე, ნურიე, ახმედიე და მუფთიე. რუსული მმართველობის დამყარების პირველ წლებშივე ბათუმს კიდევ ერთი ახალი კვარტალი მიემატა, რომელსაც „სარი სუ" (რუსულად - „გოროდოკი") უწოდეს. 1893 წ. დაისვა ქ. ბათუმისათვის ე.წ. „ციეი გარეუბნის" (დღეანდელი ბარცხანა-ბონის დასახლების ნაწილი) შემოერთების საკითხი. ამ მომენტში ქალაქისთვად მთავრობის მოხელე გავრონსკი მუშაობდა. იგი ხედმეტად თელიდა ქალაქის გაფართოებას და უარი თქვა ახალი რაიონის შემოერთებაზე. ალბათ, მისი გავლენით, გამგეობის წევრები და სათათბიროს ხმოსნებიც ქალაქის საზღვრების გაფართოების წინააღმდეგ გამოვიდნენ იმ მოტივით, რომ მოუწყობელი გარეუბანი დიდ ტვირთად დააწვებოდა ქალაქის ბიუჯეტს. რამდენიმე ხნის შემდეგ მუნიციპალურ მოღვაწეთა შეხედულება შეიცვალა. 1895 წ., როცა ბათუმს უკვე სათათბიროსაგან არჩეული ქალაქისთაეი ლუკა ასათიანი ხელმძღვანელობდა, საქალაქო სათათბირომ დაადგინა „ციეი გარეუბანი" მოექცია ქალაქის ფარგლებში და აღძრა სათანადო შუამდგომლობა საოლქო ადმინისტრაციის წინაშე.[182]

ბათუმის გეგმის შედგენის და ქალაქის გაფართოების პრობლემა გადაუწყვეტელი რჩებოდა ათ წელზე მეტი ხნის მანძილზე. 1910 წ. აღძრულ შუამდგომლობაში ქალაქისთაეი ი. ანდრონიკაშვილი სინანულით აღნიშნავდა, რომ ბათუმის საზღვრების გაფართოების საკითხი ჯერაც გადაუჭრელიაო. დიდხანს რჩებოდა ძალაში 1885 წ. შედგენილი ე.წ. „გენერალური გეგმა", რომლის მიხედვით ქალაქის ფარგლებში მოქცეული იყო მხოლოდ 3,5 კვ. ვერსი ტერიტორია. მოსახლეობა მალე გასცდა მის ფარგლებს. ქუჩები და სახლები შენდებოდა გეგმა-პროექტების გარეშე, რადგან საზოგადოებრივ მმართველობას ხელი არ მიუწვდებოდა ოფიციალურად დადგენილ ფარგლებს გარეთ.[183]

1899 წ. ბათუმის ქუჩების საერთო სიგრძე 33 ვერსს, ფართობი კი 148870 კვ. საჟენს შეადგენდა, მათგან მოკირწყლული იყო 8242, რიყის ქვით მოგებული - 72347, მოასფალტებული - 8673 კვ. საჟენი. მომდევნო პერიოდში ქუჩების კეთილმოწყობა უფრო სწრაფი ტემპით გაგრძელდა. 1903 წ. ბათუმში მოკირწყლულ-მოასფალტებული იყო 25 ვერსი სიგრძისა და 93028 კვ. საჟენი ფართობის ქუჩები. მოუკირწყლაეი რჩებოდა 12 ვერსი სიგრძისა და 52102 კვ. საჟენი ფართობი.

ქ.ბათუმის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა ნავსადგური. ჯერ მეფის მთავრობის

[181] Памятная книжка ... с. 47-52.
[182] სცსსა, ფ. 12, ან. 6, ს. 1089, ფურც. 6-8.
[183] აცსა, ფ. 6, ს. 288, ფურც. 63-66.

ადგილობრივი ადმინისტრაცია, შემდეგ კი თვითმმართველობა საკმაო თანხებს ხარჯავდნენ ნავსადგურის კეთილმოწყობა-გაფართოებაზე. ბაქო-ბათუმის რკინიგზის მაგისტრალის გამართვის შემდეგ, როცა ცხადი გახდა ნავთობის ექსპორტის არნახული მასშტაბით ზრდის პერსპექტივა, დღის წესრიგში დადგა ბათუმში ე.წ. „ნავთობის ნავსადგურის“ აშენება-მოწყობის საკითხი. 1885-1895 წლებში თანდათან შეეიდა ექსპლუატაციაში ნავთის საექსპორტო გემების რამდენიმე მისადგომი. ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვამ მიაღწია 80 მლნ ფუთს, საიდანაც 58 მლნ ფუთი ნავთობის ნავსადგურზე მოდიოდა, მაგრამ მალე შესამჩნევი გახდა მისი სუსტი გამტარუნარიანობა. ნავსადგურის გაფართოებისათვის კელავ გამოიყო თანხები. მთლიანად 1884 წლიდან 1907 წლამდე მთავრობამ ბათუმის ნავსადგურის კეთილმოწყობაზე დახარჯა 6,5 მლნ, საქალაქო თვითმმართველობამ კი -1,2 მლნ რუბლი.[184]

ბათუმის ტერიტორია დიდი არ იყო, მაგრამ მაინც იგრძნობოდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის საჭიროება. ქალაქში კონკის ხაზების გაყვანის საკითხი პირველად დაისვა 1895 წ. როცა თვითმმართველობას სათანადო კონცესია გამოსთხოვა რუსეთის ცხენის რკინიგზების აქციონერულმა საზოგადოებამ. ორი წლის შემდეგ კი ბათუმის თვითმმართველობას ელექტროტრამვაის გამართვის პროექტი წარუდგინა ფრანგმა ინჟინერმა დიუნანგმა. მალე ქალაქის გამგეობაში შემოვიდა ბათუმელ მოქალაქეთა თხოვნა ელექტროტრამვაის კონცესიის მათთვის მიცემის თაობაზე. ბათუმის სათათბირომ უპირატესობა მისცა ბათუმელებს, დაადგინა საკონცესიო ხელშეკრულება დაედო თანამოქალაქეებთან, თუ ისინი შეძლებდნენ აქციონერული საზოგადოების ჩამოყალიბებას და საჭირო კაპიტალის მობილიზაციას. სამწუხაროდ, ბათუმელმა მოქალაქეებმა ამ რთულ საქმეს თავი ვერ გაართვეს.

1902-1904 წლებში ბათუმის სათათბირომ კვლავ იმსჯელა ტრამვაის გამართვის პრობლემაზე. ხმოსანთა ერთი ნაწილი მოითხოვდა ტრამვაის მოწყობას სამეურნეო წესით (საკუთარი თანხითა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მეშვეობით), სხვები მიზანშეწონილად თვლიდნენ კონცესიონერთა მოწვევას, მაგრამ არც ერთი მოხერხდა და არც მეორე. ტრამვაის მოწყობა-ესპლუატაციის გეგმები განუხორციელებელი დარჩა.

ბათუმის თვითმმართველობა საკმაო ყურადღებას აქცევდა ქალაქის განათებას, ცდილობდა მის სრულყოფას. 1899 წ. ქუჩებში იდგა „მოლნიას“ სისტემის ნავთის 785 ფანარი. აღნიშნულ წელს განათებაზე ბიუჯეტიდან დაიხარჯა 11106 რუბლი.[185] ნავთის ფანრების ექსპლოატაციის იჯარული სისტემა ჩამორჩა დროის მოთხოვნებს. ჯერ კიდევ 1892 წ. დაისვა ქ. ბათუმის ელექტროგანათებაზე გადაყვანის საკითხი. გამოითხოვეს ამ საქმეში საბაჟო გამოსაღებით მიღებული თანხის გამოყენების ნებართვა, მაგრამ ქუთაისის გუბერნატორმა ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა.

1897 წ. ქალაქისთავი სათათბიროს ხმოსნებს მოახსენებდა, — ფინანსები არ გვყოფნის და ამიტომ გამოყოფილი თანხა მხოლოდ ნავსადგურის ელექტროგანათებისათვის უნდა გამოვიყენოთო. სათათბირომ მიიღო დადგენილება სათანადო სპეციალისტების გამოწვევის თაობაზე. 1898 წ. აპრილში უკვე მზად იყო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც უნდა გაეფორმებინათ ქალაქისთავ ლ. ასათიანსა და პოდობედოვის ფირმას. ეს უკანასკნელი ვალდებულებას კისრულობდა აეგო თბოელექტროსადგური, ნავსადგურში დაედგა 55 ელექტროლამპიონი და ყველა სამუშაო დაემთავრებინა 12 თვეში, რაშიც იგი თვითმმართველობისაგან მიიღებდა 130 ათას რუბლს. ეს პროექტი არ დამტკიცებულა.

---

[184] სცსსა, ფ. 13, ან. 2, ს. 1541, ფურც. 110-111.
[185] Батум и его окрестности, с. 634-636.

შემდეგში ქალაქის სათათბირომ ასრი შეიცვალა და 1899 წ. 30 იელისს დაადგინა ელექტროსადგურისა და ელგაყვანილობის გასამართავად 100 ათასი რუბლი გადაეცა რომელიმე ფირმისათვის, რომელიც იკისრებდა ვალდებულებას — ქალაქის ქუჩებში დაედგა 166, ხოლო ნავსადგურში — 55 ელექტროლამპიონი.

შესაფერისი პროექტი ზემოხსენებულმა პოდობედოვის ფირმამ შეასრულა. 1898 წ. დამდეგს საქალაქო გამგეობამ გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება და იწვევდა მშენებელ ფირმებს, რომელნიც იკისრებდნენ დამტკიცებული პროექტის ხორცშესხმას, ელექტროსადგურის აგებას, ელგაყვანილობის გამართვას. განცხადებას რამდენიმე ფირმა გამოეხმაურა. გამგეობამ უპირატესობა მისცა ფირმას „ოლშეკიჩი და კერნი" (კიევი).

ხელშეკრულების თანახმად, მშენებლობა დაიწყო 1899 წლის დამდეგს და 1901 წელს დამთავრდა. „ოლშეკიჩი-კერნის" ფირმამ ყველა ვალდებულება შეასრულა. თვითმმართველობის კომისიამ თბოელსადგურიცა და ელგაყვანილობაც მაღალხარისხოვნად მიიჩნია და წინადადება მისცა გამგეობას — ანგარიში გაესწორებინა მშენებელი ფირმისათვის. ამგვარად, 1901 წ. ბათუმის ქუჩების უმრავლესობა და ნავსადგური ელექტროგანათებაზე გადავიდა. მალე ელსადგურს კერძო აბონენტებიც გაუჩნდა.[186]

ბათუმის მუნიციპალიტეტი დიდ დროსა და სახსრებს უთმობდა ქალაქის წყლით უზრუნველყოფის პრობლემის მოგვარებას.

1878 წ. ბათუმში მოქმედებდა თიხისმილებიანი წყალსადენი, რომელიც საკმაოდ აკმაყოფილებდა მის 3-ათასიანი მცხოვრების მოთხოვნილებას. შემდეგ, მოსახლეობის სწრაფი ზრდის გამო, ამ წყალსადენის დებეტი არასაკმარისი აღმოჩნდა.

თვითმმართველობის წინაშე თავიდანვე დაისვა ახალი წყალსადენის მოწყობის საკითხი. გაითვალისწინეს ბათუმის ზრდა-განვითარების პერსპექტივა და მიზნად დაისახეს მძლავრი წყალსადენის (სადღეღამისო 600 ათასი ვედრო დებეტით) გამართვა. 90-იანი წლების დამდეგს უკვე ენერგიულად მუშაობდნენ ლეჩას და თამარის წყაროების შედგენილობის ქიმიურ გამოკვლევაზე. ადგენდნენ წყალსადენის ახალ-ახალ პროექტებს. მას შემდეგ, რაც ცნობილმა ავსტრიელმა სპეციალისტმა ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, წყალსადენის პროექტის შედგენას ხელი მოჰკიდა ინჟინერმა მიხაილოვმა. მან უპირატესობა მიანიჭა ლეჩას წყაროებს და გაიანგარიშა, რომ იქ წყალსადენის სათავის მოწყობაზე დაიხარჯებოდა 60 ათასი რუბლი. ამის საფუძველზე ბათუმის სათათბირომ დაადგინა ახალი წყალსადენი გამოყვანა ლეჩადან.[187]

1899 წ. 13 იელისს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა გასცა სათანადო ნებართვა და ბათუმის საქალაქო გამგეობამ ხელშეკრულება გააფორმა ინჟ. მიხაილოვთან. ამ უკანასკნელმა შეადგინა პროექტი, რომლის მიხედვით 600 ათასი ვედრო გამტარობის ახალი წყალსადენის გამართვა ეღირებოდა 450 ათასი რუბლი. მშენებლობა დაიწყო 1901 წ. და დამთავრდა 1908 წ. წყალსადენის სიგრძე ქალაქსა და გარეუბნებში შეადგენდა 38 ვერსს. ბათუმის ახალი წყალსადენი როგორც წყლის ხარისხით და სიმძლავრით, ისე თავისი კონსტრუქციით აღიარეს ერთ-ერთ სოლიდურ ნაგებობად, რომელიც პასუხობდა იმ ეპოქის მაღალ მოთხოვნებს.[188]

ბათუმის თვითმმართველობა ბიუჯეტის გარკვეულ ნაწილს ხარჯავდა სასაკ-

[186] Памятная книжка ... с. 187-190.
[187] აცსა, ფ. 6, საქ. 48, ფურც. 184-196.
[188] Памятная книжка... с. 184-187.

ლაოს კეთილმოწყობისათვის. პირველ ხანებში გამოყოფილი თანხა ხმარდებოდა ძველი სასაკლაოს შეკეთებას. XX ს. დამდეგს კი თვითმმართველობამ ქალაქგარეთ ააგო ახალი სასაკლაო.

დიდი სამუშაოები ჩატარდა თვითმმართველობის მიერ ქალაქის ბაღის გაშენებისათვის. ალექსანდრეს სახელობის ბაღს შავი ზღვის სანაპიროზე საფუძველი ჩაეყარა 1881 წ. 3 წლის შემდეგ დაიწყო ბულვარის მოწყობაც. ბაღისა და ბულვარისათვის შერჩეული ადგილი წარმოადგენდა ზღვისპირა რიყეს, სადაც ნიადაგი ხელოვნურად შეიქმნა მრავალი წლის დაძაბული შრომისა და საკმაო ხარჯის გაღების შედეგად. ბაღი და ბულვარი თანდათან იესებოდა სუბტროპიკული მცენარეებით. ბაღთან შექმნილი სანერგე, რომელსაც თვალისჩინივით უყლიდა აგრონომი ლიონიძე, სხვადასახვა მცენარის ნერგებს აწოდებდა არა მარტო ბაღსა და ბულვარს, არამედ ქუჩების გამწვანებისათვისაც. 1912 წ. ბაღისა და სანერგის შემოსავალმა გადააჭარბა 7 ათას რუბლს და ფარავდა გაწეული ხარჯების ნახევარს.[189]

ამგვარად, თვითმმართველობის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად XIX-XX სს-ის მიჯნაზე ბათუმი უკვე იყო ევროპულად გამართული, საკმაოდ სუფთა, სწორი, მოკირწყლულ-მოასფალტებული ქუჩებით დასერილი ქალაქი, რომელიც მნახველზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

სახალხო განათლება და ჯანმრთელობის დაცვა. დედასამშობლოსთან დაბრუნებამდე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არც ერთი სამოქალაქო სასწავლებელი არ იყო. მუსლიმანური სკოლები არსებობდა მეჩეთებთან და იქ ისწავლებოდა მხოლოდ ყურანი. ქ. ბათუმში 1861 წლიდან მოქმედებდა ბერძნული საეკლესიო სკოლაც.[190]

ცარიზმი არ ზრუნავდა ხალხის განათლებისათვის. თვითმმართველობის შემოღების შემდეგ ძველი მუსლიმანური და ბერძნული საეკლესიო სასწავლებლების გვერდით დაარსდა ერთი ქართული დაწყებითი სკოლა („წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა"). ქალთა დაწყებითი სასწავლებელი და ერთიც სამკლასიანი საქალაქო სკოლა, რომელიც ცოტა მოგვიანებით ექვსკლასიანად გადაკეთდა. 1888 წ. დაისვა ტექნიკუმის დაარსების საკითხი, მაგრამ გაიხსნა სახელოსნო სასწავლებელი.

1889 წ. ქალთა სკოლა, რომელსაც აქამდე განაგებდა ბათუმის საქველმოქმედო კომიტეტი, გადაეიდა თვითმმართველობის უწყებაში და მისი გამგებლობა დაეკისრა განსაკუთრებულ სასკოლო კომისიას. ქალთა სკოლისათვის აშენდა ახალი სახლი, მისი საჭიროებისათვის ყოველწლიურად გამოიყოფოდა 3-5-ათასი რუბლი.[191]

1895 წ. დაისვა ბათუმში ვაჟთა გიმნაზიის გახსნის საკითხი. მაგრამ მთავრობამ უარი თქვა მის დაფინანსებაზე. მას შემდეგ, რაც საქალაქო თვითმმართველობამ იკისრა გიმნაზიის შენობის აგების მთელი ხარჯი და მისთვის ყოველწლიურად 15 ათასი რუბლის სუბსიდიის დანიშვნა, განათლების სამინისტრომ გასცა ბათუმში გიმნაზიის დაარსების ნება (1897 წ. 22 მარტი). ვაჟთა გიმნაზიის შენობის აგებაზე საქალაქო თვითმმართველობამ 215 ათასი რუბლი დახარჯა. თვითმმართველობა ფარავდა აგრეთვე ყოველწლიური ხარჯების უდიდეს ნაწილსაც. 1901 წ. ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეთა კონტინგენტი 200-მდე აღწევდა.[192]

1897 წ. სათათბიროს ერთ-ერთ სხდომაზე ხმოსანმა ნ. დუმბაძემ მოითხოვა

---

189 იქვე, გვ. 191-193.
190 Батум и его окрестности, с. 588.
191 იქვე, გვ. 594.
192 იქვე, გვ. 600-603.

ბათუმში ქალთა საშუალო სკოლის დაარსება, მაგრამ ამაზე მთავრობამ უარი თქვა. მომდევნო წელს გრ. ვოლსკიმ სათათბიროში წარადგინა მოხსენება ბათუმში არსებული მარინეს სახელობის სკოლის გიმნაზიად გადაკეთების თაობაზე. სათათბიროს კიდეც აღძრა სათანადო შუამდგომლობა, მაგრამ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ გაიღაშქრა სკოლის გიმნაზიად გადაკეთების წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ ამ ტიპის დაწყებით სკოლებს მთავრობა ქმნიდა დაბალი ფენების ბავშვებისათვის და ამით იცავდა არსებულ გიმნაზიებს დემოკრატიული ელემენტების შემოსევისაგან.

მიუხედავად ამისა, ბათუმის თვითმმართველობას ქალთა საშუალო სკოლის დაარსებისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია. დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ, მთავრობა დათმობაზე წავიდა. 1901 წ. ბათუმში გაიხსნა ქალთა გიმნაზია. ცოტა მოგვიანებით საქალაქო თვითმმართველობამ ქალთა გიმნაზიისათვის ააგო ცალკე შენობა, რომელიც 80 ათასი რუბლი დაჯდა.

მართალია, ზემოთ ჩამოთვლილ სკოლებს ძირითადად ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა აფინანსებდა, მაგრამ თითქმის ყველა ეს სასწავლებელი იმყოფებოდა მთავრობის (სასწავლო ოლქის) გამგებლობაში და სასწავლო პროცესიც ოფიციალური პროგრამით მიმდინარეობდა. თაყისებური გარდატეხა იწყება 1898 წლიდან, როცა თვითმმართველობამ გახსნა ქალთა ქართული სკოლა. მალე ამის შემდეგ თანდათან დაარსდა ეაჟთა და ქალთა ქართული, რუსული, თურქული, სომხური და ბერძნული დაწყებითი სკოლები, აგრეთვე, პედაგოგიური კურსები, რომლებიც მოექცა თვითმმართველობასთან არსებული სასწავლო კომისიის გამგებლობაში. XX ს. დამდეგს ბათუმის თვითმმართველობა ამ სკოლებზე ხარჯავდა წლიურად 15 ათას რუბლს. ამის გარდა, ფინანსურ დახმარებას უწევდა სახაზინო სკოლებს (ეაჟთა და ქალთა გიმნაზიები, ექსკლასიანი საქალაქო სკოლა). ამისათვის ყოველწლიურად გამოყოფდა 26 ათასს, ხოლო კერძო და საზოგადოებრივი სკოლებისათვის - 3 ათას რუბლს.[193]

1908 წ. ქალაქის სკოლების საჭიროებისათვის გაიხსნა სამასწავლებლო მუზეუმი, რომელიც 1912 წ. გადაკეთდა ბათუმის საქალაქო მუზეუმად. იქ წარმოდგენილი იყო ფლორა-ფაუნის, მინერალოგია-გეოლოგიის, ნიადაგმცოდნეობის, ფიზიკა-გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, მხატვრული და მუნიციპალური განყოფილებები.

სასწავლო-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების პარალელურად იზრდებოდა ქალაქის თვითმმართველობის მიერ ამ სფეროში გაწეული ხარჯები. ერთდროული თანხების გარდა, რაც ხმარდებოდა სასკოლო შენობების აგებას, თვითმმართველობის საგანაელო ბიუჯეტში ყოველწლიურად იყო გათვალისწინებული ე.წ. „მიმდინარე ხარჯები". 1888 წ. ეს ხარჯები შეადგენდა მხოლოდ 2300 რუბლს, 1890 წ. - 5300, 1892 წ. - 8610, 1898 წ. - 23583, 1901 წ. - 38882, 1904 წ. - 44963, 1907 წ. - 97302, 1911 წ. - 84394, 1914 წ. - 70930 რუბლს.[194] სახალხო განათლებასა და კულტურაზე თვითმმართველობა ხარჯავდა თავის ბიუჯეტის 10-15%-ს.

1914 წ. ქალაქის 8 დაწყებით სკოლაში ითვლებოდა 902 მოსწავლე - 506 ეაჟი და 396 ქალი. აქედან ქართველი იყო 315, რუსი - 219, სომეხი - 176, ბერძენი - 148, ებრაელი - 6, სხვა ეროვნებისა - 39.

სოციალური წარმოშობის მიხედვით დაწყებითი სკოლების 30 მოსწავლე იყო

[193] იქვე, გვ. 608-616.
[194] Памятная книжка ... с. 175-181.

თავად-აზნაური, 83 — საპატიო მოქალაქე და ვაჭარი, 129 — მეშჩანი, 515 — გლეხი, 145 — სხვა წოდებისა.

დაბალ ფენებში დაწყებითი, ელემენტარული ცოდნის შეტანა მთავრობის, თვითმმართველობისა და ზედაფენის ინტერესებსაც პასუხობდა, რადგან ტექნიკური პროგრესის პირობებში, უმეცარი მუშა დამქირავებელს არ გამოადგებოდა. მაღალი სასწავლო გადასახადის გამო დაბალი ფენებიდან გამოსული ბავშვებისათვის საშუალო სკოლის კარი, ფაქტობრივად, დაკეტილი იყო. ბათუმის გიმნაზიებში ძირითადად თავად-აზნაურთა და ბურჟუათა შვილები სწავლობდნენ, მათზე იხარჯებოდა საქალაქო თვითმმართველობისაგან გამოყოფილი თანხის უმეტესი ნაწილი.

* * *

საქართველოსთან დაბრუნების მომენტში ბათუმის სანიტარიული მდგომარეობა მეტად დაბალ დონეზე იყო. ქალაქის გარეუბნებსა და თვით ცენტრშიც კი საკმაოდ დიდი ადგილი ჭაობებს ეკავა. მის ამოშრობას ადგილობრივმა ადმინისტრაციამ თავიდანვე მოჰკიდა ხელი და 5 წელიწადში ამისათვის დაიხარჯა 80 ათასი რუბლი. 1884 წ. მელიორაციული სამუშაოები შეჩერდა და განახლდა მხოლოდ 10 წლის შემდეგ, როცა ქალაქის თვითმმართველობამ მიიღო ნებართვა საბაჟო გამოსაღებით დაგროვილი თანხის ერთი ნაწილი ჭაობების ამოშრობაზე გამოეყენებინა. მარტო 1900 წ. ბათუმში ჭაობების ამოშრობაზე დაიხარჯა 153 ათასი, 1905-1909 წლებში კი - 218 ათასი რუბლი.[195]

ბათუმის თვითმმართველობამ საქმიანობის პირველსავე წელს შექმნა ქალაქის სანიტარული კომისია, რომელიც 4 საპოლიციო უბნის შესაბამისად, 4 რაზმად დაყო. ყოველ რაზმში შედიოდა 2 ექიმი, 2 მოქალაქე, თითო ხმოსანი და პოლიციელი.[196]

1892 წ. გავრცელებულმა ქოლერის ეპიდემიამ და მის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილებამ თვითმმართველობა დაარწმუნა სანიტარულ დაწესებულებათა დიდ მნიშვნელობაში. 1893 წ. დაწესდა სანიტარული ექიმისა და ფერშლის თანამდებობები, 1895 წ. შეიქმნა სათათბიროს სანიტარული კომისია. 1903 წ. ბათუმში დაარსდა სანიტარული სტატისტიკური ბიურო. 1904 წ. ქალაქის სანიტარულ დაწესებულებათა სისტემაში შედიოდა საავადმყოფო თავისი ყველა განყოფილებით, სტატისტიკურ-სანიტარული ბიურო, სანიტარული საექიმო საბჭო, სანიტარულ-ვეტერინარული სადგური და სადეზინფექციო კამერა.[197]

1892 წლამდე ბათუმში არსებობდა მხოლოდ ერთი 25-საწოლიანი საავადმყოფო. ამ წელს კი საქალაქო თვითმმართველობამ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე აღძრა შუამდგომლობა ბათუმში 60-საწოლიანი საავადმყოფოს აგება-მოწყობის თაობაზე, მაგრამ კარგა ხანს საკითხი ადგილიდან არ დაძრულა. 1896 წ. ძველი საავადმყოფოს ერთი მთავარი განყოფილება ხანძარმა იმსხვერპლა. ქალაქისთავმა ლუკა ასათიანმა მოიწვია სპეციალისტები (ინჟინერი და ექიმები), დაავალა ყოველმხრივ შეესწავლათ ბათუმში ახალი დიდი საავადმყოფოს აშენების საკითხი. სპეციალისტთა რჩევით, სათათბირომ აღძრა შუამდგომლობა 120-ადგილიანი საავადმყოფოს აშენება-მოწყობის თაობაზე. 1893 წ., სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ, დამტკიცდა მშენებლობის ტექნიკური და ფინანსური პროექტები. ახალი საავადმყოფო, რომლის აგება და ყველა საჭირო აპარატურით გამართვა 194 ათასი რუბლი დაჯდა,

[195] Памятная книжка ... с. 169-172.
[196] აცსა, ფ. 6, ს. 53, ფურც. 4-5, 15.
[197] Батум и его окрестности, с. 564-567.

ექსპლოატაციაში შეეიდა 1902 წ. მას ჰქონდა ექვსი შენობა-განყოფილება (ადმინისტრაციული, თერაპიული, გინეკოლოგიური, გადამდებ სნეულებათა, ქირურგიული და ვენერიული). საავადმყოფოს შტატში ჩაირიცხა 4 ექიმი, 10 ფერშალი, 40 სხვა დამხმარე პერსონალი.[198] საავადმყოფოებში მკურნალობისათვის პაციენტები, მართალია, იხდიდნენ გარკვეულ თანხას, მაგრამ იგი ვერ ფარავდა ხარჯებს. თვითმმართველობის ბიუჯეტიდან საავადმყოფოებს გამოეყო: 1890 წ. - 6638 რუბლი, 1898 წ. - 13667, 1904 წ. - 47181, 1913 წ. - 60538 რუბლი.[199]

საერთოდ სამედიცინო-სანიტარიულ მომსახურებაზე ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა XX ს. პირველ ათწლეულში ხარჯავდა თავისი ბიუჯეტის 11-14%. მომდევნო წლებში, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირების გამო, სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებათა სათანადო დონეზე დაფინანსება გაძნელდა.

* * *

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ფინანსური მდგომარეობა და, შესაბამისად, მისი პრაქტიკული საქმიანობის მასშტაბურობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრებოდა მრეწველობის განვითარების დონით, საშინაო და საგარეო ვაჭრობის ბრუნვით. 1888 წლიდან 1904 წლამდე ბათუმის ეკონომიკა აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. შესაბამისად იზრდებოდა თვითმმართველობის შემოსავალიც. მომდევნო პერიოდში ნავსადგურის ტვირთბრუნვა, ნავთობის ექსპორტის შემცირების გამო, თითქმის განახევრდა. დაიხურა ნავთობის ტარის ქარხნები, შემცირდა შინავაჭრობა, დაქვეითდა მოქალაქეთა გადახდისუნარიანობა, რამაც საგრძნობლად დაარღვია საქალაქო თვითმმართველობის ბიუჯეტის წონასწორობა, იგი დეფიციტური გახდა.

1913 წ. 6 ოქტომბერს გაიმართა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის 25 წლის იუბილეო მღვდელმა ნ. კალისტოემა, პარაკლისის გადახდის შემდეგ, განაცხადა: შესრულდა მეოთხედი საუკუნე თვითმმართველობის გახსნის დღიდან. ვდღესასწაულობთ რა ამ თარიღს, არ შეგვიძლია მადლობა არ შეევსწიროთ ღმერთს და კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ მუნიციპალური მოღვაწენი, რომელნიც რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდნენ ქალაქს. მადლობა მათ, ვინც ქალაქს მისცა კეთილმოწყობილი სახე, გაამდიდრა მრავალგვარი საჭირო დაწესებულებებით, უზრუნველყო მისი შესვლა ევროპის ქალაქთა პლეადაში. სახელი და დიდება ბათუმის მოქალაქეებსაც, თვითმმართველობის ორგანოებში ყოველთ-ვის ნიჭიერ და უნარიან ადამიანებს რომ ირჩევდნენ.[200]

პარაკლისის შემდეგ, ქალაქისთავმა ივ. ანდრონიკაშვილმა გახსნა საზეიმო საიუბილეო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ბათუმის ოლქის უფროსი და სხვა მოხელეები, მსხვილი ვაჭარ-მრეწველები, საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლები, საზღვარგარეთელი კონსულები. ქალაქისთავი მიეხალმა დამსწრე საზოგადოებას და თავის სიტყვაში მოკლედ შეეხო თვითმმართველობის საქმიანობას. მან, მართალია, ხაზი გაუსვა სათაობიროსა და გამგეობის წარმატებებს ქალაქის კეთილმოწყობის, განათლების, სამედიცინო მომსახურების და სხვა სფეროში, მაგრამ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე მთელ რიგ სიძნელეებზე, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საგრძნობლად რომ აფერხებდა თვითმმართველობის საქმიანობას.

ქალაქისთავმა მორიდებულად აღნიშნა, რომ მთავრობის ზოგიერთმა ღონის-

[198] იქვე, გვ. 569-577.
[199] Памятная книжка ... с. 128-129.
[200] იქვე, გვ. 142-145.

ძიებამ (პორტო-ფრანკოს გაუქმება, საბაჟო გამოსაღების წილის დაკარგვა, საექსპორტო ნავთობის ტარიფის გადიდება და სხვ.) არსებითად დაარღვია ქალაქის ეკონომიკური განვითარების პირობები. ამან კი სერიოზული ზარალი მიაყენა თვითმმართველობის სალაროს, 40%-ით შეამცირა მისი ბიუჯეტის შემოსავალი, რამაც ძალიან გააძნელა თვითმმართველობის დაწესებულებათა და კომუნალური მეურნეობის დაფინანსება.[201]

1903 წ. შემდგომ ბათუმის თვითმმართველობის შემოსავალს ყოველთვის სჭარბობდა გასავალი. ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა: 1904 წ. - 227270, 1905 წ. - 214313, 1906 წ. - 57228, 1907 წ. - 213656, 1908 წ. - 60452 რუბლს. დეფიციტი იფარებოდა სპეციალური სახსრებიდან (რაც აღმაველობის პერიოდში იყო შექმნილი) და კრედიტებით. 1910 წ. 1 იელისისათვის თვითმმართველობას ჰქონდა ერთ მილიონ რუბლზე მეტი ვალი.[202]

მთავრობის მოხელეები, ბათუმის დეფიციტური ბიუჯეტის გამოსწორების მიზნით, წინადადებას იძლეოდნენ კიდევ უფრო შეემცირებინათ „არააუცილებელი" ხარჯები. 1912 წ. ბიუჯეტის განხილვის დროს ქუთაისის გუბერნიის სახაზინო პალატის მმართველი მოახსენებდა ბათუმის ოლქის უფროსს, რომ მიზანშეწონილია თვითმმართველობის აპარატისათვის გათვალისწინებული 30 ათასი რუბლი შემცირდეს 26 ათასამდე, მუნიციპალიტეტის სახლის ხარჯები შეიკეეცოს 5 ათასი რუბლით, ქალაქის კეთილმოწყობის ახალი სამუშაობისათვის ნავარაუდეევ 6 ათასი რუბლი კი მთლიანად ამოიღონ ბიუჯეტიდან. სახაზინო პალატის მმართველი მოითხოვდა ბათუმის ბიუჯეტიდან პენსიების, ჭაობების ამოშრობისა და კანალიზაციისათვის ნავარაუდევი ხარჯების ამოღებასაც. ხაზინა თვლიდა, რომ ეს ქალაქის თვითმმართველობას გაუადვილებდა ბიუჯეტის სავალდებულო მუხლების (რაც ითვალისწინებდა გარნიზონის, პოლიციისა და მთავრობის ზოგი დაწესებულების საჭიროებისათვის გარკვეული თანხების გამოყოფას) შესრულებას.[203]

ბათუმის მუნიციპალური მოღვაწენი კი ამის საწინააღმდეგო თვალსაზრისზე იდგნენ. ისინი ჯარის, პოლიციისა და მთავრობის დაწესებულებათა დაფინანსებისაგან გათავისუფლებას მოითხოვდნენ, რაც საშუალებას მისცემდა მათ ქალაქის კომუნალური მეურნეობისთვის მიეხედათ. ფინანსური კრიზისის მიუხედავად, თვითმმართველობის მესვეურები მდგომარეობის გამოსწორების იმედს როდი კარგავდნენ. ოპტიმისტები ბათუმის მომავალს უკავშირებდნენ ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისებას, ქალაქისა და მისი ნავსადგურის ხელსაყრელ მდგომარეობას, საგარეუბნო მეურნეობისა და კლიმატურ-ბალნეოლოგიური სადგურის მოწყობას და სხვ. ისინი ახერხებდნენ კრიზისის პერიოდშიც შეენარჩუნებინათ მემკვიდრეობით მიღებული და ახლად შექმნილი მუნიციპალური დაწესებულებები.

ცდილობდა რა თვითმმართველობის ფისკალური უფლების გაფართოებას, 1907 წ. ბათუმის სათათბირომ მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა ქალაქისა და მისი ნავსადგურის შემდგომი კეთილმოწყობისათვის განსაკუთრებული საბაჟო (საფუთო) გამოსაღების დაწესების თაობაზე. ამ შუამდგომლობას მხარი დაუჭირა მეფისნაცვალმაც, მაგრამ საკითხის განხილვა ძალიან გაჭიანურდა. 1904 წ. ბათუმის თვითმმართველობამ რამდენადმე შეცვალა თავდაპირველი შუამდგომლობა. ახალი ვარიანტის მიხედვით, საფუთო გამოსაღებით მიღებული თანხა დაიხარჯებოდა არა მარტო სა-

[201] იქვე. გვ. 150-153.
[202] სცსსა, ფ. 13, ან. 2, ს. 1541, ფურც. 123-124.
[203] იქვე. ს. 1561, ფურც. 1-2.

კუთრივ ქალაქის, არამედ მისი იმ გარეუბნის მოწყობისათვისაც, სადაც განლაგებული იყო ნავთობის გადამუშავება-ექსპორტთან დაკავშირებული დაწესებულებები.

შინაგან საქმეთა სამინისტროშიც აღიარეს, რომ ბათუმის ფინანსური მდგომარეობა ნამდვილად გაუარესდა. საბაჟო გამოსაღებით დაგროვილი თანხის ხარჯვის ახალმა წესმა ბათუმის თვითმმართველობის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შეამცირა. ამიტომ მუნიციპალიტეტი ამცირებდა გასაჯალსაც, მაგრამ მისი შემდგომი შეკვეცა უკვე შეუძლებელი იყო. არ შეძლებოდა ელექტროსადგურის გაჩერება, საავადმყოფოებისა და სკოლების დახურვა. სამინისტრომ ბათუმის მიმე მდგომარეობიდან გამოყვანის წინაპირობად მიიჩნია მისთვის ისეთივე უფლების მინიჭება, როგორიც 1904 წ. მიეცა ფოთს (მარგანეცის ექსპორტზე დადებული ბაჟი — საფუთო გამოსაღები). ეს გამართლებული იყო „ნავთობის ქალაქის" განსაკუთრებული მდგომარეობით, სადაც ყველაფერი ემსახურებოდა ნავთის ექსპორტის ინტერესებს. ექსპორტიორებს, ბუნებრივია, უნდა გაეღოთ თავისი უბნის კეთილმოწყობისათვის საჭირო თანხა.

1911 წ. 28 მარტს ვაჭრობა-მრეწველობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა დაადგინეს: 1. ნება დაერთოს ბათუმის საქალაქო თვითმმართველობას ნავსადგურში შემოსული საქონლიდან აიღოს დამატებითი შესაკრებელი არა უმეტეს 0.5 კაპიკისა ფუთზე; 2. მიღებული თანხის ხარჯვაზე თვითმმართველობამ უნდა აწარმოოს განსაკუთრებული ანგარიში, თანხის 80% დახარჯოს ნავსადგურის კეთილმოწყობაზე, დანარჩენი კი მოახმაროს ქალაქის კეთილმოწყობას.[204]

ორი სამინისტროს ეს დადგენილება გადაეცა სახელმწიფო სათათბიროს. 1911 წ. 21 ოქტომბერს სათათბიროს ფინანსური კომისიის თავმჯდომარე ატყობინებდა ბათუმის ქალაქისთავ იე. ანდრონიკაშვილს, რომ ბათუმის თვითმმართველობის სასარგებლოდ ნახევარკაპიკიანი გამოსაღების დაწესების კანონპროექტი განხილული იქნება ქალაქებისა და ერობების ბიუჯეტთა საერთო კანონპროექტის განხილვის შემდეგ. სინამდვილეში ეს კანონპროექტი არ იყო შეტანილი სახელმწიფო სათათბიროში. ბათუმის მუნიციპალურ მოღვაწეებს, ბუნებრივია, არ მოეწონათ საკითხის ასე გაჭიანურება და დახმარებისათვის მეფისნაცვალს მიმართეს. როგორც ჩანს, ეორონ-ცოე-დაშკოვმა იშუამდგომლა ბათუმელთა კანონპროექტის განხილვის დაჩქარების თაობაზე. 1912 წ. 2 ივნისს საფინანსო კომისიის წარდგინებით რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ დაამტკიცა კანონპროექტი, მაგრამ უკანასკნელმა ინსტანციამ — სახელმწიფო საბჭომ უარყო იგი და დასამუშავებლად დაუბრუნა ფინანსთა სამინისტროს.[205]

ბათუმის თვითმმართველობისაგან მოითხოვეს დამატებითი ცნობები ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომლის მიღების შემდეგ სამინისტრომ გარკვეული ცვლილებები შეიტანა კანონპროექტში. 1913 წ. 27 იანვარს სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა კანონპროექტი ბათუმის თვითმმართველობის სასარგებლოდ მეოთხედკაპიკიანი საფუთო გამოსაღების დაწესების შესახებ, რომელსაც იმპერატორმა ხელი მოაწერა 1913 წლის 20 დეკემბერს.[206]

1909 წ. ბათუმის საშემოსავლო ბიუჯეტი დამტკიცდა 639 149 რუბლის ოდენობით, ხოლო გასავალში გათვალისწინებული იყო: საზოგადოებრივი მმართველობის შენახვაზე - 51931, ჯარზე - 13380, პოლიციაზე - 24445, სახანძრო რაზმზე - 13729, ქალაქის კეთილმოწყობაზე-104257, სახალხო განათლებაზე - 76855, სამედიცინო მომსახურებაზე - 58322, უძრავი ქონების მოვლა-პატრონობაზე - 20805, ვალების

[204] სცსსა, ფ. 13, აღ. 2, ს. 1541, ფურც. 110-123.
[205] იქვე. ფურც. 126-127.
[206] Схема доходов и расходов по гор. Батуми на 1913 г., с. 5-7.

დაფარვაზე - 207410 რუბლი და სხვ.[207] როგორც ეხედავთ, ქალაქის ფაქტობრივი შემოსავლის მესამედი აუცილებლად უნდა მოხმარებოდა ვალების დაფარვას, მიმდინარე ხარჯებისათვის კი მცირე თანხა რჩებოდა.

1912 წ. ბათუმის შემოსავალი დამტკიცდა 639180 რუბლის, გასავალი კი - 678837 რუბლის ოდენობით, მაგრამ ბიუჯეტის შემოსავალი თავის ზოგიერთ ნაწილში ფიქტიური იყო. გამგეობამ კარგად იცოდა, რომ იგი 70%-ით თუ შესრულდებოდა. 1913 წ. შეეცადნენ დაახლოებოდნენ რეალობას. დაგეგმეს შემოსავალი 548504 რუბლის ოდენობით, თუმცა, გამგეობამ იცოდა, რომ ფაქტობრივი შემოსავალი არ გადააჭარბებდა 438 ათას რუბლს, რაც ვერ დაფარავდა გასავალს. დეფიციტში ელოდნენ 105 ათას რუბლს.[208]

ფინანსური კრიზისის პერიოდში ბათუმის მუნიციპალური მოღვაწეები შედარებით მეტ იმედს ამყარებდნენ თვითმმართველობის საკუთრება-გამგებლობაში მყოფ საწარმო-დაწესებულებებზე. ცდილობდნენ რაციონალური ექსპლოატაციის გზით თანდათან გაეზარდათ შემოსავალი. მაგ., 1913 წ. მუნიციპალურ წარმოება-დაწესებულებათა მთელმა შემოსავალმა შეადგინა 112 ათასი რუბლი, საიდანაც მათზევე დაიხარჯა 71 ათასი რუბლი, სუფთა მოგების სახით დარჩა 41 ათასი რუბლი, ეს თანხა მოხმარდა ქალაქის სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ქალაქის ბიუჯეტის შეკსებაში მნიშვნელოვანი იყო თვითმმართველობის კუთვნილი მიწის ნაკვეთებისა და შენობების შემოსავალი. 1913 წ. მიწის ნაკვეთების იჯარამ და შენობების ქირამ შეადგინა 54 ათასი რუბლი, რომლის მხოლოდ ნახევარი დაიხარჯა ამ ობიექტებზე.[209]

ბიუჯეტის სხვა საშემოსავლო მუხლები ან ძალიან ნელა იზრდებოდა (უძრავი ქონების შეფასებითი გამოსაღები), ან შემცირების ტენდენციასაც კი ავლენდა. თვითმმართველობის ბიუჯეტის დეფიციტურობის მთავარი მიზეზი, როგორც უკვე აღინიშნა, იყო საბაჟო გამოსაღების წილის დაკარგვა (1902 წ.).

ბათუმის მუნიციპალიტეტი, ბუნებრივია, ყოველ საშუალებას იყენებდა ბიუჯეტის წონასწორობაში მოსაყვანად. ზოგჯერ სხვა გამოსავალი არ იყო და ამცირებდა მიმდინარე ხარჯებს.

საქალაქო თვითმმართველობამ 1909 წ. მოითხოვა მეორე საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვა. ამ სესხის რეალიზაციით მიღებული 3,4 მლნ რუბლი უნდა მოხმარდებოდა ქალაქის კანალიზაციას, ჰიდრავლიკურ სადგურს, თეატრს, ბათუმყარსის გზატკეცილს, ჭაობების ამოშრობას, ვალის დაფარვას და ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრას. მთავრობამ უკვე აღარ სცნო ბათუმის თვითმმართველობა საიმედო გადამხდელად და არ მისცა საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვა.[210]

ძალიან დაგეიანებით, როგორც ითქვა, ბათუმის თვითმმართველობამ მიიღო სახელმწიფო ბაჟის დამატების სახით საფუთო გამოსაღების დაწესების უფლება. დადგინდა, რომ ნავსადგურიდან გატანილ ერთ ფუთ ნავთობზე უნდა აეღო 1/8 კაპ., მარგანეცზე - 1/10 კაპ., სხვა საქონელზე 1/4 კაპიკი. ამ გამოსაღებმა 1914 წ. 24 თებერვლიდან 1 მაისამდე თვითმმართველობის სალაროს შემატა 31458 რუბლი. ეარადობდნენ, მთელი წლის განმავლობაში ბიუჯეტს შეემატებოდა 180-200 ათასი რუბლი, ეს კარგ საფუძველს შექმნიდა ფინანსური კრიზისის დასაძლეევად, მაგრამ შემოსავლის ახალი წყარო მალე დაშრა - დაიწყო მსოფლიო ომი, შავი და

[207] Памятная книжка ... с. 155.
[208] იქვე. გვ. 9-10.
[209] სცსსა, ფ. 13, აწ. 2, ს. 1561, ფურც. 9, 25-29.
[210] Памятная книжка ... с. 155.

ხმელთაშუა ზღვების შემაერთებელი სრუტეები ჩაიკეტა. თითქმის მთლიანად შეწყდა ნავსადგურით ექსპორტ-იმპორტიც. 1916 წ. საფუთო გამოსაღებიდან ნავარაუდევი იყო მხოლოდ 10 ათასი რუბლის შემოსვლა. ომით გამოწვეული სიძნელეების გამო შემცირდა ბუჯეტის სხვა მუხლებით გათვალისწინებული შემოსავალიც.

1915 წ. უნდა აერჩიათ საქალაქო სათათბიროს ახალი შემადგენლობა. შექმნილი რთული ვითარების გამო, ქალაქისთავმა მოითხოვა არჩევნების გადადება, ნორმალური მდგომარეობის აღდგენამდე ძველი სათათბიროსა და გამგეობის უფლებამოსილების გაგრძელება. ეს წინადადება მთავრობის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ უარყო, თუმცა მაინც დაიწყო ქალაქში შექმნილი მდგომარეობის შესწავლა. დადგინდა, რომ ომის დაწყებისა და ბათუმის ფრონტისპირა ზონად გადაქცევის გამო ქალაქი დატოვა მოსახლეობის უმრავლესობამ და იქ რჩებოდა მხოლოდ 7385 მცხოვრები, ომამდელი მოსახლეობის 20%. პანიკას მოჰყვა ბევრი სამრეწველო-სავაჭრო დაწესებულების დახურვა, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითება, გადახდისუნარიანობის დაცემა და თვითმმართველობის შემოსავლის კიდევ უფრო შემცირება. ამის მიუხედავად, მთავრობის ბრძანებით, არჩევნები მაინც ჩატარდა. საქალაქო სათათბიროს ხმოსნის სტატუსი მიიღო 41 კაცმა. ქალაქისთავად კვლავ იე. ანდრონიკაშვილი აირჩიეს, მის მოადგილედ - ე. კრინიკკი.[211]

ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვის მოცულობას მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა განსაზღვრავდა, ხოლო ეაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობაზე დამოკიდებული იყო ბათუმის საშემოსავლო ბიუჯეტის შევსება. ამ პირობების შეცვლამ გამოიწვია თვითმმართველობის ფინანსური სიძნელეები, მაგრამ მუნიციპალიტეტთა საერთო, რუსეთის მასშტაბის კრიზისი განაპირობა მეფის მთავრობის კონსერვატიულმა კანონმდებლობამ, მისი ადმინისტრაციის ანტიდემოკრატიულმა საქმიანობამ.

1892 წ. საქალაქო დებულება საგრძნობლად ზღუდავდა თვითმმართველობათა ინიციატივას, მათ ფინანსურ-საბიუჯეტო უფლებებს. თითქმის ყველა მუნიციპალური მოღვაწისათვის ცხადი ხდებოდა, რომ არსებული კანონმდებლობის პირობებში არ შეიძლებოდა თვითმმართველობათა დემოკრატიზაცია, მათი კრიზისიდან გამოყვანა. ამ ნიადაგზე რუსეთის იმპერიაში თავს იჩენდა და თანდათან ძლიერდებოდა ბურჟუაზიული, მუნიციპალური ოპოზიცია, რომელსაც გამბედაობასა და ძალას მატებდა პროგრესული ინტელიგენციის მხარდაჭერა.

ბათუმის თვითმმართველობის მოღვაწეები საერთო დემოკრატიულ პოზიციაზე იდგნენ. მათი წარმომადგენლები თითქმის ყოველთვის მონაწილეობდნენ კავკასიის და რუსეთის ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობებში, სხვებთან ერთად მოითხოვდნენ ახალი საქალაქო დებულების შემუშავებას, თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის გაფართოებას.

1913 წ. ნოემბერში თბილისში ჩატარდა კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა II ყრილობა. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა თავმჯდომარემ ა. არღუთინსკიმ (არღუთაშვილმა). მან საქალაქო თვითმმართველობათა პოლიტიკური და ეკონომიკური (ფინანსურ-საბიუჯეტო) კრიზისის მიზეზად ცარიზმის კანონმდებლობა გამოაცხადა. მუნიციპალიტეტის ფინანსური უფლება, მისი განცხადებით, ძალზე შეზღუდული და მკაცრად ნორმირებული იყო. საქალაქო დაბეგვრას ის ექვემდებარებოდა, რაც სახელმწიფო დაბეგვრის შემდეგ რჩებოდა. იყო გადასახადები, რომელთაც თვითმმართველობის სალარო უნდა შეევსო, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტში რიცხავდნენ. საკალა-

[211] აცსა, ფ. 7, ს. 580, ფურც. 134; ს. 602, ფურც. 11.

ლო ისიც იყო, რომ საქალაქო თვითმმართველობას მძიმე ტვირთად აწვა საერთო-სახელმწიფო ვალდებულებანი (ჯარისა და პოლიციის შენახვა), ყრილობამ გადაუდებელ საქმედ მიიჩნია საქალაქო თვითმმართველობის საბიუჯეტო-ფინანსური უფლების გაფართოება, დაბეგვრის ობიექტების გამრავლება, ქალაქებისათვის ზოგი სახელმწიფო გადასახადის გადაცემა, თვითმმართველობის გათავისუფლება საერთო სახელმწიფო ვალდებულებებისაგან. ერთი სიტყვით, ქალაქთა წარმომადგენლებმა მოითხოვეს მუნიციპალიტეტისათვის ნამდვილი ფინანსური უფლებების მიცემა. თუ სახელმწიფო და საქალაქო შეუზღუდავი ფინანასური გამიჯვნა შეუძლებელია, მაშინ მთავრობამ უარი უნდა თქვას ნახევარზომებზე და გადავიდეს ე.წ. დოტაციების სისტემაზე, როგორც ეს მიღებულია დასავლეთ ევროპაშიო.[212]

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ჩამოყალიბდა რუსეთის ქალაქთა კავშირი და მისი კავკასიის ფილიალი. ქალაქთა კავშირის ფუნქციები თანდათან გაფართოედა. 1915 წ. მაისში ჩატარდა კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების IV ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბათუმიდან წარგზავნილებიც. ყრილობამ, სხვასთან ერთად, განიხილა სიძვირესა და ეპიდემიებთან ბრძოლის საკითხები და დაადგინა: 1. აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე პირველი მოთხოვნილების საგნებით მოსახლეობის მომარაგებაში ქალაქთა კავშირის კომპეტენციის გაფართოებისა და მისთვის გრძელვადიანი კრედიტის გახსნის თაობაზე; 2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქალაქთა კავშირისა და კოოპერაციული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობა სასურსათო პრობლემაზე მომუშავე მთავრობის კომისიებში; 3. გადაუდებელ საქმედ ჩაითვალოს ქალაქის თავების ხელმძღვანელობით საგუბერნიო და სამაზრო სასურსათო კომისიების შექმნა; 4. მუნიციპალური სავაჭრო ქსელი მოეწყოს კომერციულ საწყისებზე, რადგან საქონლის თვითღირებულების მიხედვით გაყიდვა საფრთხეს შეუქმნის კერძო ვაჭრობას და მიგვიყვანს მუნიციპალიტეტების მიერ სასურსათო საქმის მონოპოლიამდე.[213]

კავკასიის ქალაქთა კავშირი დიდ როლს ასრულებდა დაჭრილი ჯარისკაცებისა და ლტოლვილთა დახმარების საქმეში. 1914 წლის 9 ნოემბერს კავკასიის ქალაქთა კავშირის ბიურომ დაადგინა ფრონტის საჭიროებისათვის ამიერკავკასიაში მოეწყო ლაზარეთები 25 ათასი საწოლით და გაემართა 30 სანიტარული მატარებული ზურგში დაჭრილების გადმოსაყვანად. დადგენილება შესრულდა. ომის 3 წლის განმავლობაში გაიხსნა ლაზარეთები 28 ათასი საწოლით. ამის გარდა შეიქმნა 6 სანიტარიულ-სატრანსპორტო რაზმი, 19 საექიმო პუნქტი, 6 სადეზინფექციო კამერა.

კავკასიის ქალაქთა კავშირმა ლტოლვილთა მომსახურებისათვის გახსნა 74 საექიმო-საფერშლო პუნქტი, 8 საჩაიე, 36 აბანო და სხვ. ქალაქთა კავშირის მიერ არმიისა და ლტოლვილთა მომსახურებისათვის დაარსებულ დაწესებულებებში მუშაობდა 17 ათასი ადამიანი, რომელთა გარკვეული ნაწილი ბათუმში საქმიანობდა.[214]

სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირმა და მისმა კავკასიურმა ფილიალმა ომის წლებში უაღრესად დიდი როლი შეასრულა, მაგრამ მეფის მთავრობას არც უფიქრია მუნიციპალიტეტების უფლება-კომპეტენციის გაფართოებაზე. მხოლოდ 1917 წ. თებერვლის რევოლუციის, ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული მთავრობის ფორმირების შემდეგ შეიქმნა საქალაქო თვითმმართველობის ახალ საფუძველზე რეორგანიზაციის

212 Известия Тифлисского общественного управления, 1914, №1.

213 Известия..., 1915, №6-7, с. 60-65.

214 Краткий отчет о деятельности Кавказского отдела Всероссийского союза с начала объявления войны с Турцией по июль 1917 года, с. 20-31.

პირობები.

1918 წ., საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქალაქო რეფორმები გატარდა თბილისში, ქუთაისში, ფოთში და ზოგ სხვა ქალაქში. ბათუმის ოლქი ამ დროს ჯერ თურქთა, ხოლო შემდეგ – ინგლისის ოკუპაციის ქვეშ იყო. ინგლისის სამხედრო ხელისუფალთა დახმარებით ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში რუსები (დენიკინელები) გაბატონდნენ. საქალაქო მეურნეობის დაცემის ადრე დაწყებული პროცესი გაგრძელდა. მხოლოდ 1920 წ. ივლისიდან, როცა ბათუმის ოლქში აღდგა საქართველოს იურისდიქცია, შეიქმნა ნორმალური პირობები საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიზაციის, მისი უფლება-კომპეტენციის გაფართოებისათვის, მაგრამ მცირე ხნით. 1921 წ. მარტში ბათუმის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მუნიციპალიტეტი გაუქმდა. აჭარამ და მისმა ადმინისტრაციულმა ცენტრმა შეიცვალა განვითარების გზა.

§ 3. ვაჭრობა და საბანკო-საკრედიტო ურთიერთობანი

XIX საუკუნის 70-90-იან წლებში საგრძნობლად გაფართოდა საქართველოს შინაგაჭრობა და რუსეთის საგარეო ვაჭრობაში მისი მონაწილეობა. რკინიგზების გაყვანის, სასაქონლო მიწათმოქმედებისა და მრეწველობის განვითარების, საბანკო-საკრედიტო დაწესებულებათა დაარსების შედეგად განმტკიცდა საქართველოს ცალკეულ რეგიონთა ეკონომიკური კავშირი, გაფართოდა საქონელმიმოქცევა. საქართველოში წარმოებულმა სასაქონლო პროდუქციის საკმაო ნაწილმა გზა გაიკაფა, აგრეთვე, რუსეთისა და საზღვარგარეთის ბაზრებისაკენ. ჩვენი ქვეყანა, მისი თითქმის ყველა რეგიონი, მეტ-ნაკლებად ჩართული აღმოჩნდა მსოფლიო საქონელმიმოქცევაში, საერთაშორისო ვაჭრობაში. თუ XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოს გარე სამყაროსთან ვაჭრობის ბალანსი პასიური იყო, რის გამოც ვალუტა აქედან რუსეთსა და საზღვარგარეთ მიედინებოდა, 70-იანი წლების შემდეგ სწრაფად გაიზარდა საქართველოდან გატანილი საქონლის ღირებულება და მან დიდად გადააჭარბა შემოტანილს. საგარეო ვაჭრობის ბალანსი აქტიური გახდა.

სასაქონლო მეურნეობაზე დამყარებული დარგობრივი სპეციალიზაცია, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავება და მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია იწვევდა საშინაო ბაზრის მნიშვნელოვან გაფართოებას. ი'სრდებოდა გლეხობის, საერთოდ, სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე, არასამიწათმოქმედო მოსახლეობისა - სურსათ-სანოვაგეზე, ორივეესი ერთად - ფართო მოთხოვნილების სხვა საგნებზე. აგრეთვე წარმოების საშუალებებზე. ეს გარემოება ყოველთვის როდი იყო მოსახლეობის ეკონომიკური შეძლების ამაღლების მაჩვენებელი. ძირითადად იგი სასაქონლო და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებით, ნატურალურის ხარჯზე საქონლური მომხმარებლობის გაზრდით იყო გამოწვეული.

ბათუმის ოლქში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქცია ძირითადად ადგილზე და საქართველოს სხვა კუთხეებში იყიდებოდა. ვაჭრობის საგანი იყო სიმინდი, ლობიო, ხორცი, რძის პროდუქტები, რკინა-კაევული, ხელოსნური ნაწარმი. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ადგილობრივ და რუსეთის ბაზრებზე გამოჩნდა აქაური ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ართვინული ზეთისხილი, ვაშლი და მსხალი.

საქართველოს ერთ-ერთ დიდ სავაჭრო ცენტრად გადაიქცა ბათუმი. შინავაჭრობაში მეტნაკლებ როლს ასრულებდნენ, აგრეთვე, ქობულეთი, ჩაქვი, ართვინი, არტანუჯი, ციხისძირი. თავს იჩენდა ზოგი სხვა სოფლის სახელოსნო-სავაჭრო პუნქტებად გადაქცევის ტენდენცია. ამ ადგილებში იყენენ მოკალათებული ვაჭარ-შემსყიდველები, რომელნიც საშუამავლო როლს ასრულებდნენ მწარმოებელ და მომხმარებელ მოსახლეობას შორის.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მარტო ბათუმში მოქმედებდა 1000-ზე მეტი სავაჭრო დაწესებულება. მათ შორის იყო: მანუფაქტურის მაღაზია - 29 (წლიური ბრუნვა 80 ათას რუბლამდე, მოგების ნორმა - 7-10%), საგალანტერიო მაღაზია - 39 (ბრუნვა - 2-35 ათასი, მოგების ნორმა - 8-11%), საოჯახო ავეჯისა და ჭურჭლეულის მაღაზია - 12 (ბრუნვა - 3-40 ათასი, მოგების ნორმა - 7-10%), საიუველირო და საათების სავაჭროები - 6 (ბრუნვა - 3-20 ათასი, მოგების ნორმა - 12%), შალისა და ტყავის ნაწარმის სავაჭროები - 13 (ბრუნვა - 10-30 ათასი, მოგების ნორმა - 8-12%), რკინის ნაკეთობათა დუქან-მაღაზიები - 9 (ბრუნვა - 6-35 ათასი, მოგების ნორმა - 8-10%), საკერავი მანქანებისა და ველოსიპედების სარეალიზაციო მაღაზიები - 5 (ბრუნვა - 5-20 ათასი, მოგების ნორმა - 15%), ქვანახშირისა და ხე-ტყის საწყობები - 11 (ბრუნვა - 10-30 ათასი, მოგების ნორმა - 12%), ხე-ტყის მასალის სარეალიზაციო საწყობები - 17 (ბრუნვა - 8-47 ათასი, მოგების ნორმა - 8-10%), კაკლის ხით და აბრეშუმის პარკით ვაჭრობის პუნქტები - 2 (ბრუნვა - 62-240 ათასი, მოგების ნორმა - 10%), სამშენებლო მასალათა საწყობები - 6 (ბრუნვა - 10-400 ათასი, მოგების ნორმა - 3-5%), სიმინდით, პურის ფქვილითა და გამომცხვარი პურით ვაჭრობის დაწესებულებები - 11 (ბრუნვა - 5-300 ათასი, მოგების ნორმა - 5-10%), ხორცის დუქან-მაღაზიები - 26 (ბრუნვა - 3-50 ათასი, მოგების ნორმა - 6-7%), საბაყლო და საწვრილმანო დუქნები - 242 (ბრუნვა - 1-20 ათასი, მოგების ნორმა - 10%), ღვინო-სპირტის საბითუმო ვაჭრობის საწყობები და საცალო ვაჭრობის დუქან-მაღაზიები - 64 (ბრუნვა - 2-20 ათასი, მოგების ნორმა - 15%), საფურაჟე მაღაზიები - 23 (ბრუნვა - 2-20 ათასი, მოგების ნორმა 6%), ტრაქტირები - 34 (ბრუნვა - 2-8 ათასი, მოგების ნორმა 20%), რესტორნები - 8 (ბრუნვა - 2-5 ათასი, მოგების ნორმა 25%), საყავეები - 6 (ბრუნვა - 3-6 ათასი, მოგების ნორმა 25%). ამის გარდა, ბათუმში იყო სხვა წვრილი დუქნები, რომელთა ბრუნვა არ აღემატებოდა 1-4 ათას რუბლს.[215]

სტატისტიკა საშუალებას არ იძლევა დავადგინოთ წვრილი, საშუალო და მსხვილი სავაჭრო დაწესებულებების თანაფარდობა, მათი კაპიტალის ოდენობა და ხვედრითი წონა ქალაქის შინავაჭრობაში. მაგრამ წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, რომ ბათუმში იყვნენ ვაჭრები, რომლებიც 100-400 ათას რუბლს ატრიალებდნენ და ტონს აძლევდნენ ქალაქის კომერციულ ცხოვრებას. მსხვილ საწყობებსა და სავაჭრო დაწესებულებებში, უდავოა, ბლომად იყენენ დასაქმებული ნოქრები და სხვა დამხმარე მუშახელი. ბათუმის სავაჭრო ბურჟუაზია, საერთოდ, საკმაოდ მძლავრი სოციალური ფენა იყო, რომლის ოპერაციები ფართო ხასიათს ატარებდა. ამდენად, ბათუმი იყო არა მარტო სამრეწველო, არამედ შინავაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრიც.

კიდევ უფრო დიდ როლს ასრულებდა ბათუმი და მისი ნაესადგური რუსეთის (მეტროპოლია) და საქართველოს (კოლონია) საქონელმიმოქცევაში. 1879 წ. რუსეთიდან საზღვაო-სანაოსნო გზით საქართველოში შემოიდა 16 მლნ რუბლის საქონელი,

[215] Батум и его окрестности, 1906, с. 408-417.

1889 წ. - 22 მლნ რუბლისა.[216] საკაბოტაჟო ნაოსნობით შემოტანილი საქონლის საგრძნობი ნაწილი ბათუმის ოლქში ვრცელდებოდა. აქაური მოსახლეობა საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიხმარდა რუსეთიდან შემოზიდულ ფქვილს, შაქარს, სპირტს, მედიკამენტებს, რკინა-კაეველს, ქსოვილებს. რუსეთის გემებს ბათუმიდანაც მიჰქონდათ ქართულ-კავკასიური პროდუქცია, მაგრამ გაცილებით მცირე რაოდენობით. ბათუმის ოლქიდან რუსეთში თანდათან მზარდი რაოდენობით გადიოდა თამბაქო, აბრეშუმის პარკი, ხილი, XX ს. დამდეგიდან — ჩაი და ციტრუსები.

ბათუმი გადაიქცა საერთაშორისო-სატრანზიტო ეკონომიკის მნიშვნელოვან ცენტრად. ბაქოს ნავთობი უცხოეთის ბაზრებზე თითქმის მთლიანად ბათუმის ნავსადგურის მეშვეობით გადიოდა.

ბაქოს ნავთობის ექსპორტს უცხოეთში დასაბამი მიეცა 1883 წ., როცა ბათუმიდან დასავლეთ ევროპის ბაზრებზე გაიგზავნა 3,3 მლნ ფუთი. 1888 წ. ნავთობის ექსპორტმა ევროპა-აზიის ქვეყნებში მიაღწია - 28,5 მლნ ფუთს. ბაქოდან ბათუმში გადაზიდვა საგრძნობლად ფერხდებოდა სურამის ქედზე, სადაც ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალი ორ ნაწილად იყო გაწყვეტილი. აქ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და პირუკუ ტვირთი გადაჰქონდათ ურმებით, რაც საქონლის მიმოქცევას ანელებდა და თვითღირებულებას ადიდებდა. აუცილებელი გახდა სურამის ქედში გვირაბის გაყვანა. მუშაობა 4 წელს გაგრძელდა. სურამის გვირაბი, რომლის გაყვანა 2 მლნ რუბლი დაჯდა, 1890 წ. 16 სექტემბერს გაიხსნა. ამიერკავკასიის რკინიგზის გამტარუნარიანობა საგრძნობლად გაიზარდა.

სურამის გვირაბის ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ ბაქოს ნავთობის გადაზიდვა რკინიგზით და, შესაბამისად, მისი ბათუმის ნავსადგურის მეშვეობით ექსპორტი სწრაფად გაფართოვდა. 1890 წ. უცხოეთის ბაზრებზე გაიგზავნა 47 მლნ ფუთი ნავთობი, 1893 წ. - 62,5, 1899 წ. - 68,4, 1902 წ. - 84 მლნ ფუთი ნავთობი.[217]

ნავთობის საერთაშორისო-სატრანზიტო ეკონომიკაში ჩაბმული იყო უცხოელ და ადგილობრივ კაპიტალისტთა 18 ფირმა. მათგან გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა როტშილდის, ნობელისა და მანთაშევის ფირმებმა. 1897 წ. ამ სამმა ფირმამ გაიტანა 50,5 მლნ ფუთი ნავთობი, სხვა დანარჩენმა კი - 15,1. 1899 წ. სამეულმა გაიტანა 54,3, სხვებმა - 16,8, 1902 წ. სამეულმა - 57,5, სხვა ფირმებმა - 26,6 მლნ ფუთი ნავთობი.

დასახელებული სამი მსხვილი ფირმა სრული მონოპოლიისაკენ მიისწრაფოდა, მაგრამ საშუალო შეძლებისა და წვრილი მრეწველ-ექსპორტიორები გარკვეულ დრომდე საკმაო გამძლეობას იჩენდნენ. ბაქოს ნავთობის მოპოვების, გადამუშავებისა და ექსპორტის შედარებით სიიაფე, მისი თვითღირებულების შედარებითი სიმცირე რუს მენავთობეებს მსოფლიო ბაზარზე უპირატესობას, კონკურენციაში ამერიკელი და რუმინელი მენავთობეების დამარცხების საშუალებას აძლევდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ რუსეთის (ბაქოს) მაღალხარისხოვან ნავთობზე კარგა ხანს დიდი მოთხოვნილება არსებობდა, რის გამოც ბაქოელ-ბათუმელი საშუალო და წვრილი მრეწველ-ექსპორტიორები ჯერ კიდევ ახერხებდნენ შეესრულებინათ მსხვილ მრეწველთა და ექსპორტიორთა თანამგზავრის როლი.

ნავთობის ექსპორტში დიდი როლი შეასრულა ბაქო-ბათუმის ნავთსადენმა მილმა, რომლის გაყვანა 1900 წ. დამთავრდა. ამან კიდევ უფრო შეამცირა ბაქოს ნავთობის თვითღირებულება, გაზარდა ბაქო-ბათუმის მრეწველ-ექსპორტიორთა კონკურენტუნარიანობა.

---

[216] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, გვ. 413-414.
[217] Батум и его окрестности, 1906, с. 310-311.

როგორც აღინიშნა, ბათუმიდან ნავთობი ექსპორტში მიდიოდა როგორც თუნუქის ბიდონებით, ისე ტანკერებით. XIX ს. 80-იან წლებში ჭარბობდა თუნუქის ბიდონებით გატანა, 90-იან წლებში კი უპირატესობა მოიპოვა ტანკერებით ექსპორტმა. 1897 წ. მსოფლიო ბაზრებზე თუნუქის ბიდონებით გაიგზავნა 20,8 მლნ ფუთი, ტანკერებით - 34,5; 1899 წ. - ბიდონებით 23,3, ტანკერებით - 36,8; 1901 წ. - ბიდონებით 26,7, ტანკერებით - 40,8; 1902 წ. - ბიდონებით 19,6, ტანკერებით - 53,2 მლნ. ფუთი ნავთობი. უპირატესად ტანკერებით იგზავნებოდა, აგრეთვე, ნავთობის სხვა პროდუქტები (ზეთები, ბენზინი, მაზუთი, ნარჩენები და სხვ.), რაც სხვადასხვა წლებში შეადგენდა 8-9 მლნ ფუთს, ბიდონებითა და კასრებით კი მხოლოდ - 1,5 მლნ ფუთს.[218]

ბაქოდან რუსეთის შიდაბაზრებზე ნავთობი იგზავნებოდა როგორც კასპიის ზღვითა და მდ. ვოლგის გზით, ისე ბათუმის ნავსადგურიდან. 1888-1902 წლებში ბათუმიდან გატანა მერყეობდა 3-7 მლნ. ფუთს შორის. ჩამორჩენილ რუსეთში ამ ენერგორესურსზე დიდი მოთხოვნილება არ არსებობდა. მისი ქარხნები და მოსახლეობა ყოველწლიურად საშუალოდ მოიხმარდა 10 მლნ ფუთ ნავთობპროდუქტს.

ბაქოში მოპოვებულ-გადამუშავებული და ბათუმიდან ექსპორტირებული ნავთობის 90% საღდებოდა დასავლეთ ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. ნავთის გატანაზე დასაქმებული იყო მრავალი სახომალდო კომპანია და ცალკეული გემთმფლობელი. ბაქოს ნავთობის ექსპორტში რუსეთის მხოლოდ 8 გემი მონაწილეობდა (მათი საერთო ტევადობა 14 ათას ტონას არ აღემატებოდა). ბაქოს ნავთობის ექსპორტით მდიდრდებოდნენ ინგლისელი გემთმფლობელები, რომელთა ტანკერებისა და სხვაგვარი სატვირთო გემების (51 ერთეული) საერთო ტევადობა 150 ათას ტონას აღწევდა. ექსპორტში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ბელგიის, ჰოლანდიის, ესპანეთის, ავსტრიისა და ირანის გემები, მათ მეპატრონეთა ხელში გადადიოდა ბაქო-ბათუმელი მენავთობეების (მრეწველებისა და მუშების) მიერ შექმნილი ღირებულებისა და მოგების გარკვეული ნაწილი.[219]

ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ და საკონკურენციო ბრძოლაში მონაწილეობდნენ რუსეთში, აშშ-ში, ინგლისში, რუმინეთში მოქმედი სააქციო საზოგადოებები, კომპანიები და ინდივიდუალურად მოვაჭრენი. რუსეთის იმპერიაში, როგორც უკვე აღინიშნა, წამყვანი პოზიციები ეკავათ ნობელის, როტშილდისა და მანთაშევის ფირმებს. XX ს. დამდეგს მათ გაუჭირდათ ამერიკულ და ინგლისურ კომპანიებთან საკონკურენციო ბრძოლა და მოსინჯეს ნიადაგი მათთან შეთანხმებისათვის, სცადეს საკონკურენციო ბრძოლის რეგულირება, გარკვეულ საფუძველზე ამერიკულ-ინგლისურ კომპანიებთან გაერთიანებაც კი, მაგრამ მსოფლიო კარტელის შექმნის იდეა არ განხორციელდა. კონკურენცია კიდევ უფრო გამწვავდა.

XX ს. დამდეგს აშშ-მა დიდად გაუსწრო რუსეთს ნავთობის მოპოვება-გადამუშავების მასშტაბებით. იქ ჩამოყალიბდა მონოპოლიისაკენ მიმსწრაფი რამდენიმე გაერთიანება. პირველ ხანებში ამერიკელმა მენავთობეებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს თანამშრომლობა სხვებთან, დადეს შეთანხმება ბაზრების გაყოფის, ნავთის გაყიდვის პირობებისა და გადახდის ვადების თაობაზე. ამერიკულმა კომპანიებმა სხვა ქვეყნების ფირმებთან ურთიერთობაში ერთიანობა შეინარჩუნეს. რუსეთში მოქმედმა სააქციო საზოგადოებებმა და კომპანიებმა კი ეს ვერ მოახერხეს, კონკურენტებს ერთიანი ნებისყოფა ვერ დაუპირისპირეს და გასაღების ბაზრებისათვის ბრძოლაში მარცხი განიცადეს. ამერიკულმა ნავთობმა, მისმა მრეწველ-ექსპორტიორებმა დაიპყ-

[218] ვლ.სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, გვ. 140.
[219] იქვე, გვ. 154-155.

რეს აზია-აფრიკისა და მნიშვნელოვანწილად დასავლეთ ევროპის ბაზრებიც. ამ რეგიონებში ბაქოს ნავთობის გასაღება შეფერხდა, ბათუმელ მრეწველ-ექსპორტიორთა პოზიციები თანდათან შესუსტდა. ამაზე მეტყველებს სტატისტიკაც.

ბათუმიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაიტანეს ნავთობი: 1901 წ. - 33. მლნ ფუთი, 1902 წ. - 44, 1903 წ. - 44, 1904 წ. - 42 მლნ ფუთი. ამის შემდეგ დაიწყო ნავთობის ექსპორტის მკვეთრი შემცირება. ბათუმიდან დასავლეთ ევროპაში გაიგზავნა: 1905 წ. - 22, 1906 წ. - 15, 1907 წ. - 17 მლნ ფუთი, შემდეგ წლებში კი კიდევ უფრო ნაკლები.

ბათუმიდან აზია-აფრიკის ქვეყნებში გაიგზავნა: 1901 წ. - 31 მლნ ფუთი, 1902 წ. - 24, 1903 - 23, 1904 წ. - 22, 1905 წ. - 7, 1906 წ. - 5, 1907 წ. - 8 მლნ ფუთი ნავთობი.[220]

ბაქოს ნავთობმა დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ შეინარჩუნა ბაზრების გარკვეული ნაწილი, აზია-აფრიკის ზოგიერთი ქვეყნიდან კი ბაქოს ნავთი თითქმის მთლიანად გამოიდევნა. ჩინეთის, ინდოეთისა და იაპონიის ბაზრები ამერიკელმა მენავთობეებმა დაიპყრეს. საკონკურენციო ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ამერიკულმა კომპანიამ („სტანდარტ-ოილ"), ის დაეუფლა მსოფლიო ბაზრების დიდ ნაწილს.

ნავთობის გასაღების ბაზრების ნაწილის შენარჩუნების მიზნით, ბაქო-ბათუმის მრეწველ-ექსპორტიორები გაერთიანდნენ რუმინეთის ნავთობის კომპანიებთან, შეიქმნა ე.წ. „ევროპის კავშირი", რომელიც კაპიტალით გააძლიერა გერმანიის ნაციონალურმა ბანკმა. „ევროპის კავშირის" წარმატება დროებითი იყო, რადგან იგი მოუმზადებელი აღმოჩნდა დიდი საკონკურენციო ბრძოლისათვის. საბოლოოდ „ევროპის კავშირმა" კაპიტულაცია მოახდინა „სტანდარტ-ოილის" წინაშე. ბაქო-ბათუმის სამრეწველო-სავაჭრო ფირმებმა, მართალია, მთლიანად შეინარჩუნეს რუსეთის ბაზარი, მაგრამ დასავლეთ ევროპაში დასჯერდნენ უპრეტენზიო ადგილს.[221]

ნავთობის ექსპორტის მინიმუმამდე შემცირების მიუხედავად, ბათუმი მაინც დიდ როლს ინარჩუნებდა სატრანზიტო-საერთაშორისო და რუსეთის შიგა ვაჭრობაში. ნავთობპროდუქტების გარდა, ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სურსათ-სანოვაგეს, სპირტსა და ღვინოს, ფქვილსა და მარცვლეულს, ხე-ტყეს, აგურ-კრამიტს, მარგანეცს, რკინას, თუნუქს, კალას, ტყვიას, სააფთიაქო საქონელს, ქსოვილებს, ხალიჩებს, აბრეშუმის პარკსა და სხვ.

1893 წ. რუსეთიდან ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა 6,9 მლნ ფუთი ტვირთი, საზღვარგარეთიდან კი - 5,8 მლნ ფუთი; ბათუმიდან რუსეთში გაიტანეს (ნავთობის გარდა) 2,5 მლნ ფუთი, საზღვარგარეთ კი - 2,4 მლნ ფუთი. წლიურმა ტვირთბრუნვამ შეადგინა 17,8 მლნ ფუთი. დაახლოებით ასეთივე რჩებოდა ბათუმის ნავსადგურის კომერციული აქტიურობა 1894 და 1895 წლებში.[222]

რუსეთიდან ყველაზე დიდი რაოდენობით შემოდიოდა ფქვილი და მარცვალი (წლიურად საშუალოდ 1,3 მლნ ფუთი), ხე-ტყე და ხის ნაკეთობანი (1,5 მლნ. ფუთი), რკინა, სხვა ლითონები და მათი ნაკეთობა (700 ათასი ფუთი), საზღვარგარეთიდან შემოტანილ ტვირთებში მთავარი იყო ხე-ტყე (2-3 მლნ ფუთი), თუნუქი (1,5-2 მლნ. ფუთი). საქართველოდან რუსეთსა და საზღვარგარეთ გატანილი ტვირთებში ყველაზე დიდი ადგილი ეკავა ძირტკბილას (700 ათასი - 1 მლნ ფუთი), მარგანეცს, სიმინდს, აბრეშუმის პარკს, ბამბას, მატყლს და სხვ. ირანიდან ტრანზიტი ბათუმის მეშვეობით

---

220 იქვე. გვ. 154-155.
221 Журн. «Нефтяное дело», 1909, №3, с. 38-39.
222 ვ.სიჭინავა, დასახ. ნაშრ., გვ. 162-163.

შეადგენდა 2-3 მლნ ფუთს.[223]

საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან ტვირთის შემოტანაში და ბათუმიდან გატანაში ათასობით გემი მონაწილეობდა. 1902 წ. ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა უცხოეთის 2 ათასზე მეტი გემი (546 ორთქლის, 1580 იალქნიანი), 1903 წ. კი - 607 ორთქლის და 1743 იალქნიანი გემი. დიდი რაოდენობით შემოდიოდა ბათუმის ნავსადგურში საკაბოტაჟო ნაოსნობის (რუსეთის) გემები. 1900 წ. რუსეთიდან ბათუმში შემოვიდა 778 ორთქლის და 2055 იალქნიანი გემი, 1902 წ. კი - 710 ორთქლის და 2419 იალქნიანი გემი.[224]

1902 წ. გემებმა, არასრული მონაცემებით, ბათუმის ნავსადგურში შემოიტანეს: რკინის ნაწარმი - 131 ათასი ფუთი, თუნუქი - 512 ათასი, მადანი და სხვადასხვა ლითონი - 410 ათასი, გოგირდი - 145 ათასი, შაბიამანი - 80 ათასი, ნედლეული და ნახევრად გადამუშავებული მასალა - 549 ათასი, ჩაი - 201 ათასი ფუთი და სხვ. იმავე წელს ბათუმიდან გაიტანეს (ნავთობის გარდა): სურსათი - 556 ათასი ფუთი, მარცვალი - 278 ათასი, ძირტკბილა - 695 ათასი, გამომშრალი აბრეშუმის პარკი - 75 ათასი, მატყლი - 195 ათასი, მატყლის ხალიჩები და სხვა სახის ქსოვილები - 57 ათასი, ბზა და კაკლის ხემასალა - 129 ათასი, მარგანეცი - 5 მლნ ფუთი.

ეკონომიკური კრიზისისა და პირველი რევოლუციის წლებში ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა მეტ-ნაკლებობით ხასიათდებოდა, საქონლის ზოგიერთი სახის შემოტანა-გატანა მცირდებოდა, ზოგის — იზრდებოდა. 1907 წ. ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა: რკინის ნაწარმი - 220 ათასი ფუთი, თუნუქი - 436 ათასი, მადანი და სხვა ლითონი - 289 ათასი, გოგირდი - 15 ათასი, შაბიამანი - 45 ათასი, ნედლეული და ნახევარფაბრიკატები - 583 ათასი, ჩაი - 262 ათასი ფუთი. ბათუმიდან გაიტანეს: სურსათ-სანოვაგე - 561 ათასი ფუთი, მარცვლეული - 988 ათასი, ძირტკბილა - 443 ათასი, აბრეშუმის პარკი - 93 ათასი, მატყლი - 170 ათასი, ხალიჩები - 39 ათასი, ბზისა და კაკლის ხემასალა - 699 ათასი და სხვ.[225] არც ეს მასალაა სრული - შემოტანილი ტვირთის სიაში არ ჩანს ხორბალი, პურის ფქვილი და სხვ.

მოტანილი სტატისტიკური ცნობები ნათელყოფს, რომ ნავთის ტარის ქარხნების დახურვის გამო მარტო ნავთობის ექსპორტი კი არ შემცირდა მინიმუმამდე, არამედ საგრძნობლად შეიკვეცა ყუთებისა და ბიდონებისათვის საჭირო მასალების (ხე-ტყე, თუნუქი, ტყვია) იმპორტი. თუ 1893 წ. ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა 2,3 მლნ ფუთი ხე-ტყე და 2 მლნ ფუთი თუნუქი, 1907 წ. შემოვიდა მხოლოდ 436 ათასი ფუთი თუნუქი, ხე-ტყე კი შემოტანილ ტვირთებში საერთოდ არ იხსენიება.

ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისისა და დეპრესიის შემდეგ, 1910 წ. კვლავ დაიწყო ეკონომიკის აღმავლობა, გაიზარდა სოფლის მეურნეთა მიერ დამზადებული სასაქონლო პროდუქცია, გამოცოცხლდა მრეწველობის ზოგიერთი დარგი, საკმაოდ გაფართოვდა შინა და საგარეო ვაჭრობის ბრუნვა. ამან, ბუნებრივია, კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ქ. ბათუმზე, მისი ნავსადგურის კომერციულ საქმიანობაზე. 1903 წ. ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა შეადგენდა 57 მლნ, 1910 წ. - 63 მლნ, 1911 წ. - 68 მლნ, 1912 წ. - 74 მლნ ფუთს.[226]

კვლავ გამოცოცხლდა ქ. ბათუმის ბირჟა. აქ მრავალად საქმიანობდნენ რუსეთის და უცხოეთის ვაჭრები, სხვა საქმოსნები. ბათუმელ მენავთობეთა ბედი უკუღმა დატ-

---

223 იქვე.
224 Батум и его окрестности, с. 378.
225 ვლ.სიჭინავა, დასახ. ნაშრ., გვ. 162-163.
226 საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ.ნიკოლაძის არქივი, ს. №13/14, გვ. 8-10.

რიალდა, მაგრამ სხვა დარგის მწარმოებელ-ექსპორტიორთა კომერციული საქმიანობა გაფართოვდა. აქ იყო თავმოყრილი თამბაქოს, მატყლის, აბრეშუმის პარკის და სხვა საექსპორტო საქონლის საწყობები. ბათუმში იყრიდა თავს არა მარტო კავკასიასა და შუა აზიაში დამზადებული, არამედ ირანში გამოყვანილი აბრეშუმის პარკიც.

1912 წ. აბრეშუმის პარკის უცხოეთის ბაზრებზე გატანა შეფერხდა, რის გამოც დაგროვდა გაუსაღებელი ნედლეული. გამომშრალი აბრეშუმის პარკის მფლობელები დადგნენ არჩევანის წინაშე - ან დამატებითი საწყობები და სათავსები დაექირავებინათ, ან საქონელი თითქმის ბედის ანაბარა დაეტოვებინათ ღია ცის ქვეშ. გასაღების კრიზისმა მინიმუმადე დასცა აბრეშუმის ფასი, დიდად დაზარალდნენ მწარმოებლებიც და ექსპორტიორებიც. ბათუმში გაიმართა სპეციალური თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ აბრეშუმის მწარმოებლთა, ექსპორტიორების, საკრედიტო დაწესებულებების, კოოპერატივების, საბირჟო კომიტეტის, ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები. განიხილეს გამომშრალი აბრეშუმის ნორმალური გასაღების ორგანიზების საკითხი. გადაწყდა გაეტარებინათ ღონისძიებანი გამომშრალი აბრეშუმის შესანახი საწყობების შექმნისა და ბათუმში დასავლეთევროპული ყაიდის გამსაღებელი ბაზრის მოწყობისათვის. სათანადო პრაქტიკული მუშაობის ჩატარების შედეგად, 1912 წ. ოქტომბრისათვის აბრეშუმის პარკის ნორმალური ფასები, ასე თუ ისე, დადგინდა. ბათუმში ჩამოვიდნენ აბრეშუმის მრეწველები აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან და იტალიიდან. დაიწყეს აბრეშუმის პარკის დიდი პარტიებით შესყიდვა და ფუთში იხდიდნენ 42-43 რუბლს. ყველაზე კარგი ხარისხის აბრეშუმის პარკი იყიდებოდა 44-45 რუბლად. კავკასიელმა მრეწველებმა ბათუმის ბირჟაზე შეისყიდეს 12 ათასი ფუთი აბრეშუმი, იტალიელებმა - 18 ათასი ფუთი, აქედან ქუთაისის გუბერნიაში იყო დამზადებული 16 ათასი ფუთი. დანარჩენი პროდუქცია გასაყიდად გაიგზავნა დასავლეთ ევროპის ბაზრებზე. ბათუმიდან ექსპორტში მხოლოდ ამიერკავკასიური და თურქესტანული პროდუქცია როდი გაეიდა, 1913 წ. იანვრამდე ბათუმის პორტიდან ევროპის ბაზრებზე გაიგზავნა 54 ათასი ფუთი ირანული აბრეშუმის პარკი.[227]

ბათუმის კომერციული ცხოვრების აღმავლობის, საგარეო ვაჭრობის გაფართოების ტენდენცია გაგრძელდა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე. შემდეგ კი ბოსფორ-დარდანელის სრუტეების ჩაკეტვის გამო ბათუმიდან საქონლის ექსპორტი თითქმის მთლიანად შეწყდა. საგრძნობლად შეიკეეცა ქალაქის შინაეაჭრობაც.

* * *

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის, კაპიტალისტური წარმოების განვითარებისა და ვაჭრობის გაფართოების პირობებში თანდათან იზრდებოდა საბანკო კაპიტალის, კრედიტის მნიშვნელობა. მრეწველები და ვაჭრები საწარმოო ბრუნვის და საქონლის რეალიზაციის დაჩქარების მიზნით ხშირად მიმართავდნენ უნაღდო ანგარიშსწორებას. თავისებური ხელშეკრულება-ვექსილები ბრუნვაში შედიოდა ფულის მსგავსად, მაგრამ კომერციული კრედიტი საკმარისი არ იყო გაფართოებული კაპიტალისტური წარმოებისა და დიდმასშტაბიანი საეაჭრო ოპერაციებისათვის. თანდათან მწვავედ იგრძნობოდა საბანკო კრედიტის საჭიროება.

1866 წ. თბილისში გაიხსნა რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილება. მან საბანკო-საკრედიტო ოპერაციები ბათუმში დაიწყო ოცი წლის შემდეგ. იგი აწარმოებდა ვექსილების აღრიცხვას, კუპონებისა და ფასიანი ქაღალდების გა-

[227] Обзор Кутайсской губернии за 1912 г. с. 21-22.

ნაღდებას, დაწესებულებებისა და კერძო პირებისაგან სხვადასხვა გადასახდელების მიღებას. განყოფილება იღებდა ანაბრებს, სცემდა კრედიტებს. 1894 წლიდან სახელმწიფო ბანკი აქტიურად ჩაება ნავთობის საექსპორტო ოპერაციებში. გარკვეული პროცენტით კრედიტს უხსნიდა ადგილობრივ და უცხოელ ვაჭარ-მრეწველებს. განყოფილების ოპერაციები სწრაფად გაფართოდა. 1902 წ. მისი ბრუნვა (აქტივი და პასივი) უდრიდა 84 მლნ, 1904 წ. კი — 141 მლნ რუბლს.[228]

1890 წ. ბათუმში ამოქმედდა თბილისის კომერციული ბანკის განყოფილება, რომელიც ფართოდ ჩაება ქალაქის და მისი ნავსადგურის კომერციულ ცხოვრებაში. განყოფილებამ თავიდანვე დაიწყო სასაქონლო-სასესხო ოპერაციები, გირაოდ ღებულობდა უძრავ-მოძრავ ქონებას, გამძლე პროდუქციას და კრედიტებს უხსნიდა ნავთის მრეწველ-ექსპორტიორებს. მისი კლიენტები ნავთობის პროდუქტებს გზავნიდნენ დასავლეთ ევროპის დიდ ქალაქებსა და სხვა მნიშვნელოვან სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში. თბილისის კომერციული ბანკის განყოფილების მეანაბრე მრავალი ბათუმელი გახდა. მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ განყოფილების მეშვეობით შეეძინათ (გადაეცვალათ) უცხოური მონეტები, ფასიანი ქაღალდები. 1902 წ. თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილების საერთო ბრუნვამ შეადგინა 172 მლნ რუბლი.[229]

1896 წ. ბათუმში გაიხსნა სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის განყოფილება, რომელსაც კლიენტებად ჰყავდა აგრეთვე ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, სამტრედიის ვაჭარ-მრეწველები და სხვა საქმიანი ადამიანები. მის კომერციულ ოპერაციებში მთავარი ადგილი ეკავა თამასუქების აღრიცხვა-განაღდებას, საქონლისა და ფასიანი ქაღალდების გირაოთი მოკლევადიანი სესხების გაცემას. განყოფილების კრედიტებით ფართოდ სარგებლობდნენ ქუთაისის გუბერნიაში დამზადებული აბრეშუმის პარკის შემსყიდველი ვაჭრები, რითაც ისინი ახერხებდნენ ამ ნედლეულზე შედარებით მაღალი ფასების შენარჩუნებას და დასავლეთ ევროპაში (მარსელი, მილანი) სარფიანად გასაღებას. განყოფილებას გახსნილი ჰქონდა სპეციალური ანგარიშები, აწარმოებდა უცხოეთში ფულის გადარიცხვას, ყიდულობდა და ყიდდა ფასიან ქაღალდებს. სამხრეთ რუსეთის ბანკის ბათუმის განყოფილება არ დასჯერდა საბანკო-საკრედიტო ოპერაციებს და ჩაება ქალაქის სამრეწველო ცხოვრებაში. შეიძინა მიწის ნაკვეთი, გამართა ნავთობის ტარის დამამზადებელი ქარხანა. 1898 წ. ბანკის განყოფილებამ ხელი მოჰკიდა მარგანეცის ექსპორტსაც. საამისოდ ბათუმში გამართა საწყობები, იჯარით აიღო რკინიგზის პლატფორმა და ნავმისადგომი. მას ყოველწლიურად დასავლეთ ევროპასა და აზია-აფრიკაში გაჰქონდა რამდენიმე მილიონი ფუთი მარგანეცი. ამ გზით იგი საბანკო მოგებასთან (პროცენტი) ერთად სავაჭრო მოგებასაც იღებდა.

ბათუმის ოლქში საკრედიტო ოპერაციებს აწარმოებდნენ აგრეთვე თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკებიც. მათში მიწას აგირავებდნენ და სესხებს იღებდნენ ადგილობრივი მემამულეები. იმავე ბანკებში ბათუმელი მოქალაქეები აგირავებდნენ სახლებს, სხვა უძრავ ქონებას. 1914 წლისათვის თბილისის საადგილმამულო ბანკს ბათუმის ოლქის მოსახლეობაზე სესხად ჰქონდა გაცემული 2,2 მლნ. რუბლი.

ბათუმის წვრილმა ვაჭარ-მეწარმეებმა და სხვა მესაკუთრეებმა, თავიანთი კომერციული ინტერესების დაცვის მიზნით, 1895 წ. დააარსეს „ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოება“. თავდაპირველად იყო 145 დამფუძნებელი წევრი, 21750 რუბლის

228 Батум и его окрестности, с. 429-430.
229 იქვე, გვ. 421-423.

სააქციო კაპიტალით. 1896 წ. წევრთა რიცხვი გაიზარდა 484-მდე, კაპიტალი - 110195 რუბლამდე. „ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოების" დამფუძნებელ წევრთა 55% იყო ვაჭარი, 22% - სახლთმფლობელი, 18%-მოხელე, 4%-ხელოსანი. მოკლევადიან სესხად გაიცემოდა ერთ კაცზე მაქსიმუმ 2500 რუბლი, რაც სრულებით არასაკმარისი იყო მსხვილი ვაჭარ-მრეწველებისათვის. ეს იყო ძირითადი მიზეზი, რომ მოსახლეობის ეს ფენა დასახელებულ საზოგადოებაში არ გაწევრიანებულა. ბათუმის „ურთიერდამკრედიტებელი საზოგადოება" თავის წევრებს აძლევდა მოკლევადიან სესხებს დაგირავებული ქონების ღირებულების 40-60%-ის ოდენობით. საზოგადოებას საკმაოდ ბევრი მეანაბრე გაუჩნდა, რამაც განაპირობა ძირითადი კაპიტალის მობილიზაცია და საკრედიტო ოპერაციების გაფართოება. საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ოპერაცია იყო ვექსილების აღრიცხვა-განაღდება. 1895 წ. აღირიცხა 158 ათასი რუბლის ვექსილი, 1897 წ. - 613 ათასი რუბლის, 1900 წ. - 1,2 მლნ, 1902 წ. - 1,5 მლნ რუბლის ვექსილი. საზოგადოებამ სესხად გასცა - 1900 წ., - 39512 რუბლი, 1903 წ. - 100 ათასი რუბლი. 1901 საკრედიტო საზოგადოების მოგება შეადგენდა 15279 რუბლს.

ეკონომიკური კრიზისისა და პირველი რევოლუციის წლებში, როცა ნავთის ტარის ქარხნები დაიხურა და ნავთობის ექსპორტი მინიმუმამდე შეიკვეცა, ბანკების და მათი განყოფილებების ოპერაციები საგრძნობლად შემცირდა. 1910 წლიდან კი, როცა შესამჩნევი გახდა სამთო-მეტალურგიული მრეწველობის აღმავლობა, თამბაქოს, აბრეშუმის, მატყლის და სხვა ნედლეულის საექსპორტო ოპერაციების გაფართოება, სებანკო-საკრედიტო ოპერაციები კვლავ გააქტიურდა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბათუმის ოლქშიც გამომჟღავნდა სამრეწველო, სავაჭრო და სებანკო კაპიტალის დაახლოების, მათი შერწყმის ტენდენცია.

§4. პორტო-ფრანკო ბათუმში

ბათუმით რუსეთის დაინტერესება. XIX ს. დამდეგიდან ბათუმით განსაკუთრებით დაინტერესდა რუსეთი. მის სტრატეგიულ ინტერესებში ბათუმის მოქცევას მრავალი მიზეზი განაპირობებდა. უპირველესი ის იყო, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე რამდენადმე მოხერხებული ნავსადგური რუსეთს არ ჰქონდა. მართალია, XIX საუკუნის დამდეგს იგი დაეუფლა ფოთს, სოხუმს და რედუტ-კალეს (ანაკლიას), სადაც ნავმისადგომების მოსაწყობად საკმაო ფულიც დახარჯა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ეს ნავსადგურები დიდი ხ̆ღვაოსნობისათვის მაინც გამოუსადეგი იყო. ქარის დროს გემები იქ ვერ შედიოდნენ და რეიდზე მდგომნი, არაიშვიათად, იღუპებოდნენ. კერძოდ, ასე იყო 1804 წლის დეკემბერში, როდესაც რედუტ-კალეს ნავსადგურის გახსნისას, ქარიშხლის გამო დაიღუპა რეიდზე მდგომი ორი გემი და 161 კაცი ზღვამ შთანთქა.[230] ასეთ ვითარებაში მთებით დაცულ და ქარებისათვის მიუწვდომელ ბათუმის ნავსადგურს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ამ ფაქტს ოფიციალური პირებიც აღიარებდნენ. იმერეთის მმართველი, გენ. სიმონოვიჩი 1811 წ. წერდა: „ბათუმს აქვს ძალზე კარგი ნავსადგური".[231] 1828 წ. მთავარმართებელი პასკევიჩი აღნიშნავდა: „ბათუმით ჩვენ შეეიძენთ წლის ყველა

[230] Акты, т. 2, с. 492.
[231] იქვე, ტ. 4, გვ. 773.

დროს გემებისათვის უშიშარ ნავსადგურს".[232] 1853 წელს მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი მიუთითებდა: „ბათუმის მცირე ნავსადგური სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ... ყოველგვარი ქარის დროს მასში თავის შეფარება შეუძლია... დიდ სავაჭრო ხომალდებს, და თუმცა ნავსადგური სრულიად ღიაა ჩრდილოეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, მაინც არასდროს ქარი იქამდე ძლიერად არ აღწევს".[233]

საგულისხმოა, რომ ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) ამბებთან დაკავშირებით, მსოფლიო პრესა სპეციალურად განიხილავდა ბათუმის ადგილსა და როლს მებრძოლ მხარეთა გეგმებში და ყურადღებას ამახვილებდა რუსეთის დაინტერესებაზე სწორედ ნავსადგურისადმი. ამ ინტერესს, მიმომხილველთა სიტყვით, ისიც აძლიერებდა, რომ ბათუმის ნავსადგური იყო გემებისათვის ერთადერთი საიმედო თავშესაფარი შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.

ეკონომიკური თვალსაზრისითაც ბათუმი საყურადღებო პუნქტი ჩანდა. აქ გადიოდა ის საეჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც ინგლისიდან ირანს მიემართებოდა. ამ გზით ინგლისი მცირე აზიაში გაბატონებას ესწრაფვოდა. ეს კი ცარიზმის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ იგი ბათუმის დაუფლებას ცდილობდა, რომ ამით შეეწყვიტა ირანთან ინგლისის ვაჭრობა და შეექმნა საბრძოლო პლაცდარმი მცირე აზიის წინააღმდეგ. ამასთან, ცარიზმი მტკიცედ დამკვიდრდებოდა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაშიც. საერთოდ, ბათუმის ნავსადგურს, როგორც ევროპაში საქონლის გატანის პუნქტს, რუსთა გეგმებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. 1828 წ. 5 აგვისტოს მოხსენებით ბარათში ხელისუფლების წარმომადგენლები მიუთითებდნენ: დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი, განსაკუთრებით ხე-ტყე, დარჩება „მკვდარ კაპიტალად", თუ ბათუმის ნავსადგური რუსეთის მფლობელობაში არ იქნებაო.[234]

უნდა ითქვას, ბათუმის ნავსადგურით საქართველო-ამიერკავკასიაში დიდძალი კონტრაბანდული საქონელი შემოდიოდა, რადგან, პეისონელის სიტყვით, აქ „არ არსებობდა ზღვით შემოტანისა და გატანის ბაჟი".[235] ამიტომაც, ბათუმის მეშვეობით, „გურია, სამეგრელო და აფხაზეთი თითქმის დაუბრკოლებლად ღებულობდნენ ინგლისური ფაბრიკების ნაწარმს, რომელთა დამზადება შეფარდებული იყო ადგილობრივ მცხოვრებთა გემოვნებასა და ჩვეულებებთან".[236] უცხოურ საქონელთან კონკურენციაში კი რუსული ნაწარმი მარცხდებოდა, რაც დასავლეთ საქართველოში ცარიზმის გაბატონებას საფრთხეს უქმნიდა. ცხადია, მთავრობამ ამას სერიოზული ყურადღება მიაქცია და აქ თავისი გაბატონების უზრუნველსაყოფად შეიმუშავა საგანგებო ღონისძიება, კერძოდ, ბათუმის ნავსადგურის როლისა და მნიშვნელობის შემცირება-განეიტრალების მიზნით, ერთადერთ რუსულ ნავსადგურს ამიერკავკასიაში — რედუტ-კალეს 1821 წლის 8 ოქტომბერს შეღავათიანი საბაჟო ტარიფი დაუწესა, თუმცა ამან ვერ გამოიღო სასურველი შედეგი და 10 წლის შემდეგ იგი გააუქმეს.

ბათუმის ნავსადგურის გასანეიტრალებელი ღონისძიებანი თავად ცარიზმს არ აკმაყოფილებდა. ამიტომ იგი ენერგიულად ეძებდა სხვა სასურველ გზასაც. სწორედ ამის შედეგი იყო საქართველო-ამიერკავკასიის კოლონიური ხელისუფლების ის პროექტი, რომელიც ალ. გრიბოედოვმა და დიმ. ზავილეისკიმ 1828 წ. სექტემბერში შეიმუშავეს. დოკუმენტი მოითხოვდა ამიერკავკასიაში სავაჭრო კომპანიის დაფუძნე-

[232] იქვე, ტ. 7, გვ. 758.
[233] იქვე, ტ. 10, გვ. 756.
[234] Акты, т. 7, с. 575.
[235] ს.კაკაბაძე. საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში. - ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. I, ქუთ., 1940, გვ. 120-121.
[236] გ.იაშვილი, აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათ., 1949, გვ. 46.

ბას. პროექტის ავტორები დეტალურად აღწერდნენ მის მომავალ საქმიანობას და იმ სარგებლობას, რაც მას რუსეთისათვის უნდა მოეტანა. კერძოდ, ისინი ითხოვდნენ „შავ ზღვაზე სასაწყობო ადგილის“ შეძენას. ამ მხრივ ყურადღებას ამახვილებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ბათუმის ნავსადგურზე და სურვილს გამოთქვამდნენ: „თუ ის აუცილებლად შემოვა ჩვენი (რუსეთის - ავტ.) ახალი საზღვრების ფარგლებში, ამ შემთხვევაში კომპანიისათვის, თავისი მდებარეობით, იქნება უაღრესად სასარგებლო ადგილი“. საკითხის დადებითად მოგვარების პირობებში კი კომპანია კისრულობდა ბათუმამდე „მოხერხებული კომერციული გზის გაყვანას და ყოველივეს მოწყობას, რაც საჭიროა საწყობებისა და ფაქტორიებისათვის“.[237]

რა თქმა უნდა, რუსეთს ბათუმი უპირველესად მაინც სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით აინტერესებდა. საქმე ისაა, რომ ბათუმი აკონტროლებდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს გზებს (ბათუმი – ახალციხე; ბათუმი – ყარსი – ერევანი; ბათუმი – თბილისი; ბათუმი ართვინისა და არტაანის მდიდარ რაიონებსაც უკავშირდებოდა). თუ მას დაეუფლებოდა, მაშინ რუსეთი ოსმალთა თითქმის ყველა სამიმოსვლო გზის ფაქტობრივი გამგებელი იქნებოდა და მცირე ახიაშიც დაუბრკოლებლად შეიჭრებოდა. ამასთან, ბათუმის მეშვეობით რუსეთი საბოლოოდ გადაჭრიდა სამხრეთ-დასავლეთ საზღვრების უშიშროებას, რადგან „ადვილად აღკვეთდა ოსმალთა მოქმედებას გურიაზე და მის მეზობელ სამეგრელოსა და იმერეთზე, აგრეთვე, გაელენას აფხაზეთზე.“[238] ამას გარდა, ბათუმის დაკარგვით ოსმალეთი დათმობდა უკანასკნელ ბაზას შავ ზღვაზე და ის საბოლოოდ გადაიქცეოდა „რუსეთის ზღვად“. ამიტომ რუსეთი დაბეჯითებით ცდილობდა ბათუმის დაუფლებას.

ბრძოლა ბათუმისათვის. XIX ს. დამდეგიდან ბათუმის დასაუფლებლად რუსეთს უაღრესად ხელსაყრელი პირობები შეექმნა. აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებით მან არა მარტო მოხერხებული პლაცდარმი გაიჩინა ამიერკავკასიაში, არამედ უსრუნველყო ქართველი ხალხის მხარდაჭერაც ბათუმისათვის ბრძოლაში. ამ ფაქტორს რუსეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ქართველებმა არაერთხელ სცადეს ოსმალთა მფლობელობისაგან ბათუმის დახსნა, მაგრამ უშედეგოდ და ამ დიდი ამოცანის გადაჭრა, სავსებით სწორად, რუსეთს დაუკავშირეს. მართალია, ცარიზმს კავკასიაში საკუთარი დამპყრობლური ინტერესები ამოძრავებდა, მაგრამ ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოკავშირის შეძენის მიზნით, იგი მტრის კლანჭებისაგან ქართული ტერიტორიების გამოხსნის ლოზუნგითაც გამოდიოდა. ეს კი ქართველი პროგრესისტების სანუკვარი ოცნება იყო. ამიტომაც ქართველი ხალხი, თუ ერთი მხრით, XIX საუკუნეში თავდაუზოგავად ებრძოდა რუსული ხელისუფლების სიმახინჯეებს, მეორე მხრით, ამავე ხელისუფლების მხარდამხარ ენერგიულად იბრძოდა საკუთარი ისტორიული მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის. სწორედ ამან გაუადვილა რუსეთს ბათუმის დაუფლება.

ბათუმის შემოერთების აუცილებლობა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში პრაქტიკულად დაისვა 1804 წელს,[239] მაგრამ 1806-1812, 1828-1829 და 1853-1856 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომებმა მას ამ მხრივ სასურველი შედეგები ვერ მოუტანა. ამის მიუხედავად, აშკარა წარმატება იყო 1858 წ. ბათუმში რუსეთის ზღვაოსნობის და ვაჭრობის საზოგადოების საagენტოს გახსნა. მან მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა ნავსადგურის ტვირთბრუნვა, რამაც უკვე 1858 წ. 1 მილიონ რუბლს გადააჭარბა. ამ

[237] რუსი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, წ. I, თბ., 1949, გვ. 71-72.
[238] Акты, т. 10, с. 763.
[239] Акты, т. 4, с. 471, 476.

წელს შემოიტანეს 598 382 რუბლის საქონელი (მანუფაქტურა, ბამბა, შაქარი, ზეთი, ფურცლოვანი რკინა და სხვ.), ხოლო გაიტანეს 85 379 რუბლისა (აბრეშუმის პარკი, ცვილი, ტყავი და ა.შ.). ამავე დროს აქ შემოვიდა თურქთა 109 გემი, რომელმაც მოიტანა ან წაიღო 545 000 რუბლის საქონელი. მომდევნო ხანაში მიმოსვლა და ტვირთბრუნვა კიდევ უფრო გაიზარდა. 1867-1878 წლებში აქ აღირიცხა რუსეთის სანაოსნო საზოგადოების 182 გემი.[240] ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დაიწყო ბათუმის სამეურნეო ცხოვრების აღმავლობა. თვით ოფიციალურ პირთა აღიარებით, ბათუმის ნავსადგური უკვე თანდათან ხდებოდა „რუსული ნავსადგური“, რომელიც უმოკლეს ხანში „მიიზიდავდა კავკასიის ტრანზიტს“. ამიტომ კიდევ ამბობდნენ: „ის, რაც არ მოხერხდა იარაღით, უნდა მოგვარდეს ფულით, ვაჭრობით“. რუსეთის ტრაპიზონელი კონსული მაშინინი თავის მთავრობას ურჩევდა „გაცვლის ან შესყიდვის საშუალებით უსათუოდ შეეძინათ ბათუმის ნავსადგური, რადგან ეს ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა სავაჭრო და წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით“.[241]

და მაინც, რუსეთის სამხრეთი საზღვრის უშიშროების უზრუნველყოფისა და რუსული კაპიტალის შეუზღუდავი ბატონობის ინტერესები ცარიზმისაგან გადაუდებელ ამოცანად სახავდა ბათუმის დაუფლებას. საამისოდ კი მას XIX ს. შუა წლებიდან უაღრესად ხელსაყრელი დრო დაუდგა, რაც 30-იანი წლებიდან აჭარაში გატარებული რეფორმების (თანზიმათი) შედეგი იყო. რუსეთის აქტიური გამოსვლა საქართველო-ამიერკავკასიაში აიძულებდა ოსმალეთს ინტენსიურად განეხორციელებინა ჩრდილოაღმოსავლეთ პროვინციებში ქართველობის (ქართული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის) უკანასკნელი ნაშთების ამოძირკვა და ოსმალობის (ოსმალური სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის) საბოლოო დამკვიდრება, რასაც უნდა დაეჩქარებინა ამ კუთხის სრული გათურქება. ამან აამხედრა მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა. უკმაყოფილო იყო გაბატონებული წოდება, რადგან რეფორმის შედეგად დაკარგა ძველი პრივილეგიები და მიწები. დამძიმდა მწარმოებელი კლასის მდგომარეობაც. მართალია, გლეხობას მიწა არ ჰქონდა, მაგრამ ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში ფულადი გადასახადის შემოღებამ გამანადგურებლად იმოქმედა მასზე. ასე რომ, აჭარის მოსახლეობა რეფორმით უკმაყოფილო დარჩა. ამის დასტური იყო 40-70-იანი წლების მღელვარებები, რომელმაც თანზიმათის გაუქმების ლოზუნგით ერი და ბერი ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გააერთიანა.[242]

რუსეთმა მაშინვე ისარგებლა ხელსაყრელი პირობებით, აჭარაში თავისი ემისრები გამოგზავნა და შეჰპირდა: გაბატონებულ წოდებას - ძველ უფლებებში აღდგენას, ფულს, „ჩინ-ტემლაკებს“, საერთოდ სამსახურის დაფასებას, ხოლო გლეხობას - გადასახადებისაგან განთავისუფლებას, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის მოწესრიგებას და სხვ. ამან მოსახლეობის გარკვეული მხარდაჭერა გამოიწვია და რუსეთს გაუადვილა ბათუმისათვის ბრძოლა. საბოლოოდ კი მცირე აზიასა და ბალკანეთის ფრონტებზე რუსთა წარმატებანი იმდენად მნიშვნელოვანი დარჩა, რომ ოსმალებმა ზავი ითხოვეს. 1878 წ. 19 თებერვლის სან-სტეფანოს ხელშეკრულებით რუსეთი მიიღებდა დიდძალ კონტრიბუციას ფულად ან არტაანს, ბაიაზეთს, ბათუმს, ყარსს და სხვ. იმპერატორმა ალექსანდრე II კი ბრძანა: „მხოლოდ ბათუმი და ყარსი ღირს იმად, რომ რუსეთმა მათთვის გასწიროს რამდენიმე მი-

[240] იქვე, ტ. 12, გვ. 574.
[241] იქვე, გვ. 575.
[242] ა.ბ.სურგულაძე, განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში. ბათუმი, 1978.

ლიონი".[243] ასეც მოხდა, მაგრამ რუსეთის წარმატებით დაშინებულმა ინგლისმა, ომის მუქარით, მოითხოვა ზაეის პირობების გადასინჯვა. ცარიზმმა დათმო. ბერლინის კონგრესსე (1878 წ. 13 ივნისი - 13 ივლისი) მან უარიც კი თქვა ბალკანეთში - მაკედონიაზე, მცირე აზიაში - ბაიაზეთზე, მაგრამ მოპოვებული ტერიტორიების დიდი ნაწილი მაინც შეინარჩუნა. ხელმოწერილი ტრაქტატის VIII პუნქტით ბათუმი რუსეთს პორტო-ფრანკოს, ანუ თავისუფალი ქალაქ-ნავსადგურის სტატუსით გადაეცა.

პორტო-ფრანკოს რეჟიმის არსი. პორტო-ფრანკო იტალიური სიტყვაა და ეწოდება იმ ზღვისპირა ნავსადგურს, რომელიც სარგებლობს საზღვარგარეთული და ადგილობრივი საქონლის თავისუფლად, უბაჟოდ მიღება-გატანის უფლებით. ამასთან, ეს უფლება ვრცელდება ნავსადგურის მხოლოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ე.წ. პორტო-ფრანკოს კვარტალზე, რომელიც ქალაქის სხვა ნაწილისაგან საბაჟო საზღვრითაა იზოლირებული. სწორედ ამ კვარტალში არსებულ საწყობებში ხდება ტვირთის მიღება, დახარისხება, შეფუთვა და გაგზავნა დანიშნულების პუნქტში, ან იქ, სადაც მათი რეალიზაციის უფრო სარფიანი პირობებია.

პირველი პორტო-ფრანკო შეიქმნა იტალიის ქალაქ ლივორნოში 1547 წელს. ამის წყალობით იგი მოკლე დროში გახდა აღმოსაველეთთან ეაჭრობის უმნიშვნელოვანესი სასაწყობო ცენტრი. შემდეგ პორტო-ფრანკო დაარსდა გენუაში (1595 წ.), ვენეციაში (1661 წ.), ალტონეში (1664 წ.), მარსელში (1669 წ.), გიბრალტარში (1706 წ.), ჰამბურგში (1727 წ.), ბრემენში (1824 წ.), ლიუბეკში (1833 წ.) და ა.შ.

რუსეთში პორტო-ფრანკოს რეჟიმი პირველად გამოცხადდა ოდესაში 1817 წელს (ამოქმედდა ორი წლის შემდეგ). მას უნდა უმადლოდეს ქალაქი თავის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის რეპუტაციას (გააუქმეს 1859 წლის 19 აპრილს, რადგან ფართო მასშტაბის კონტრაბანდამ დაამუხრუჭა სამხრეთ რუსეთის (უკრაინის) ეკონომიკური განვითარება). 1862 წელს პორტო-ფრანკო გახდა ვლადივოსტოკი, თუმცა, ნაწილობრივ, რადგან სპირტი, ღვინო და თამბაქო იქ ბაჟით იყო დაბეგრილი. ასე რომ, ბათუმი მაშინდელი რუსეთის იმპერიის მესამე ქალაქი იყო, რომელშიც აღნიშნული რეჟიმი გამოცხადდა.

მაინც რაა პორტო-ფრანკოს რეჟიმის არსი? არსებობის 450-წლიანმა პრაქტიკამ უცილობლად დაადასტურა ის ჭეშმარიტება, რომ პორტო-ფრანკო თავის სავაჭრო-სასაწყობო ცენტრს აყენებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში და აჩქარებს საქონლის მოზიდვას მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან. ეს კი იწვევს ადგილზე კაპიტალის უსწრაფეს დაგროვებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდა-განვითარებას, ქალაქისა თუ მისი რეგიონის განაშენიანება-კეთილმოწყობას, განსაკუთრებით თავისუფალი მუშახელის დასაქმებას წარმოებასა თუ მშენებლობაში. ამის მიუხედავად, დროთა განმავლობაში, ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის პორტო-ფრანკო შეიძლება გახდეს შემზღუდაეიც და უსარგებლოც. საქმე ისაა, რომ ქალაქის ერთი ნაწილის პრივილეგირებული მდგომარეობა გარკვეულად აბრკოლებს სხვა ნაწილის ეკონომიკურ განვითარებას; ამასთან, პორტო-ფრანკოს ტერიტორიის მოსახლეობა განიცდის რიგ შეზღუდვა-უხერხულობებს საბაჟო კონტროლისას, რადგან კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით დათვალიერება-შემოწმებას ექვემდებარება როგორც საზღვარგარეთული, ასევე სამამულო (ადგილობრივი) წარმოების ყველანაირი საქონელი. ეს კი მაქსიმალურად ზრდის საბაჟო ზედამხედველობის პერსონალს, რასაც, თავის მხრივ, თან სდევს ათასგვარი წვრილმანი სიმახინჯენი (უხეშო-

[243] Потто В., Утверждение русского владычества на Кавказе, т. 4, ч. 2, Тиф., 1908, с. 445.

ბა, ძალადობა, გამოძალვა, მექრთამეობა და ა.შ.).

აღნიშნული ნაკლის მიუხედავად, პორტო-ფრანკოს რეჟიმი სასარგებლოა უპირატესად იმ ქვეყნებში, რომელთა მეურნეობა ან მოშლილია, ან განვითარების დაბალ დონეზეა. მათთვის იგი იქნება ერთადერთი საშუალება საერთაშორისო საეჭრო ურთიერთობების ახალი არტერიების შექმნისა და ეკონომიკური აღორძინებისათვის, განსაკუთრებით — გარდამავალ პერიოდში. მართლაც, მსოფლიოში არსებული 700 თავისუფალი ეკონომიკური ზონიდან 500-ზე მეტი აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის სუსტად განვითარებულ ქვეყნებშია.

პორტო-ფრანკო მოქმედებაში. ბერლინის კონგრესის დადგენილებით, ბათუმი რუსეთს უნდა გადასცემოდა 1878 წ. 25 აგვისტოს. მართლაც, რუსთა არმია გენერალ სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით დანიშნულ დღეს შემოვიდა ბათუმში და მიღებაგაცილების ცერემონიალზე, აზიზიეს (დღეს ზვიად გამსახურდიას) მოედანზე, დეკორაციებ ფაშასაგან ქალაქის გასაღები ჩაიბარა, დაიწყო ოსმალთა ჯარის და სამოქალაქო ადმინისტრაციის (აგრეთვე ქონების) ევაკუაცია, რამაც ორ კვირას, თითქმის შუა სექტემბრამდე გასტანა. პარალელურად მიმდინარეობდა შემოერთებული მხარის ახალი მმართველობითი ორგანოების ფორმირებაც. ყოველ შემთხვევაში, იმავე წლის ოქტომბრისათვის ძირითადად დასრულდა ქალაქის ახალი სტატუსის შემუშავება. ბათუმი ხდებოდა საეჭრო-სასაწყობო ცენტრი, სადაც ევროპული საქონლით ვაჭრობა მხოლოდ პორტო-ფრანკოს ზონაში შეიძლებოდა. ამის შესაბამისად ქალაქს დაუწესდა ოთხი საბაჟო კარი: ოზურგეთის (ქობულეთ-გურიისაკენ), კახაბრის (ქედა-ხულოსაკენ), ჭოროხის (ბორჩხა-ართვინისაკენ) და „ჭოროხის ბოლოსი" (გონია-სარფის გზით - ტრაპიზონისაკენ). ამ კარებში გატანილ ნებისმიერ საქონელზე მეპატრონეს უნდა გადაეხადა ბაჟი დაწესებული ნიხრით. 20 ოქტომბერს სპეციალურმა კომისიამ (პორტო-ფრანკოს დეპარტამენტის დირექტორი, სატრანზიტო-საბაჟოს გამგე და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი) საბოლოოდ დაადგინა ახალი რეჟიმის ზონის საზღვრები და ტერიტორია. იგი იწყებოდა მდ.სარი-სუდან (დღევანდელი ბარცხანისწყალი) და მთავრდებოდა მდ. ანგისასთან (თუმცა, ზოგ დოკუმენტში მდ. მეჯინისწყალია მითითებული). ზონა მოიცავდა 2 ათას დესეტინა ფართობს.

უნდა ითქვას, პორტო-ფრანკოს რეჟიმს ბათუმში თავიდანვე შეექმნა დიდი სირთულეები. საქმე ისაა, რომ მახლობელ აღმოსავლეთში ექსპანსიური გეგმების განხორციელებაში ინგლისი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბათუმს. ამიტომ, XIX ს. მეორე ნახევარში, განსაკუთრებით 70-იან წლებში, იგი ამ პუნქტის გამო მკვეთრად დაუპირისპირდა რუსეთს. თვით ბერლინის კონგრესის მომზადებისა და მუშაობის პერიოდშიც ინგლისის დიპლომატია საკმაოდ ორჭოფულად (ორპირულადაც) მოქმედებდა. ჯერ ეთანხმებოდა რუსეთს ბათუმის დაუფლების საკითხში, შემდეგ ითხოვდა მის დატოვებას თურქეთისათვის, რომ მას აქ თავისუფლად ემოქმედა, ბოლოს კი კონგრესზე ამ ქალაქის პორტო-ფრანკოდ გამოცხადება დაჟინებით მოითხოვა და გაიტანა კიდეც. საკითხის ასეთი გადაწყვეტა პასუხობდა მის საეჭრო-ეკონომიკურ (და პოლიტიკურ) ინტერესებს და მნიშვნელოვნად ზღუდავდა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ აქტიურობას მახლობელ აღმოსავლეთში. ინგლისის წარმატება მით უფრო იყო შესამჩნევი, რომ რუსეთს, ტრაქტატის მიხედვით, აეკრძალა ბათუმში საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობა. შემდეგ კი, თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურის რეჟიმის დაწესებისთანავე, შეეცადა აქ მიწების დაპატრონებას. ეს ტენდენცია იმდენად ძლიერი იყო, რომ ოფიციალური პრესა მთავრობისაგან სპეციალური ამკრძა-

ლაეი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვდა.[244]

შემოერთებისთანავე ბათუმს მასობრივად მოაწყდა ხალხი იმპერიის ყველა კუთხიდან. ამის გამო სერგეი მესხი წერდა: „დიდძალი ხალხი ჩამოვიდა აქ... სულ ეაჭრები არიან. ყველა აქ მოელის გაკეთებას. დარბიან, დაცმაცურობენ, პეეირიან, ჩურჩულებენ, დილიდან-საღამომდინ აქა-იქ დაძვრებიან, სამაღაზიო, სასტუმრო, სადუქნო სახლებს ქირაობენ, ადგილებს ყიდულობენ, „საქმეს" ეძებენ".[245]

ერთბაშად ამდენი ხალხის მოზღვავებამ არნახულად გააძვირა ცხოვრება. სერგეი მესხი სწორად აღნიშნავდა: „ეერ წარმოიდგენთ, როგორ მუდამ დღე საშინლად იწვეს აქ ყველაფრის ფასი. მე მარწმუნეს, რომ ის მაღაზია, რომელიც რუსეთის შემოსელამდინ წელიწადში 500 ყურუშათ იყო გაქირაეებული, ახლა 500 მანეთად გაქირავდაო (ერთი მანეთი 40 ყურუშამდინ არის), ადგილს, რომელიც ადრე 600-700 ყურუშად ისყიდებოდა, ახლა 800-1000 მანეთად იტაცებენ. თითქმის ამნაირად გაძვირდა ყველაფერი".[246]

ამ გარემოებამ ბევრი სიმახინჯე წარმოშეა. სერგეი მესხის სიტყვითაც, „მიწების გაყიდეის დროს დიდი უკანონობა და უწესრიგობა ხდებოდა... ქალაქ ბათომში ერთსა და იმაეე მამულს, ადგილს, ან სახლს, ორს სხეადასხვა პირსე პყიდიან ხოლმე, ზოგმა სხვისი კუთვნილი უძრაეი მამულებიც გაპყიდა".[247]

რა თქმა უნდა, ახალი ხელისუფლება ცდილობდა პროცესის მოწესრიგებას. 3 სექტემბერს ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც სანამ „მთავრობა ნამდვილად არ გაიგებს, თუ ვის, რა საზღერებში ეკუთვნის უძრაეი ქონება, მანამ ყოველი ყიდვა-გაყიდვა უძრაეი ქონებისა უკანონოდ ჩაითვლებაო". საქმეს ეერც ამ ბრძანებამ უშველა - უკანონობა კელავ გრძელდებოდა.

პორტო-ფრანკო ბათუმში ოფიციალურად გაიხსნა 1878 წლის 29 ოქტომბერს. მოგვეიანო ცნობით, მის ადმინისტრაციას შეადგენდნენ: სასაწყობო საბაჟოს მმართველი დიმ. ბიკოვი, წევრები — ივანე ერისთავი და პეტრე ლობრი, ხაზინადარი ივანე ეფრემოვი, მდივანი ლეონარდ ჩაეესკი, მდივნის თანაშემწეები — პროკოფი ჩიპუროვი და ივანე ჟუკაეევი; თარჯიმნები — ევროპული ენების (ეაკანტური), ადგილობრივისა (რუსული) - ნიკოლოზ დომინო; ბუღალტერი კონსტ. ნადიკტა-რეზუნოვი; საწყობების ზედამხედველი (ეაკანტური), მისი თანაშემწეები — იაკობ იანოვსკი (უფროსი) და ალექსანდრე დუბროვსკი (უმცროსი); გემების ზედამხედველი (ეაკანტური), უფროსი თანაშემწეები - ყარამან მგელაძე და პეტრე ღლონტი, უმცროსი - ალექსანდრე ბორისოვი, ლეონტი გრიგოლია და ვასილ ბელიკი; კარანტინის უფროსი - დ. ცურინოვი, საკარანტინო პორტისა - პეტრე ფოცხეერაშვილი.

ბათუმის პორტო-ფრანკოს საქმიანობაზე 1878 წ. ნოემბერ-დეკემბერში (გემების შემოსელა, გასელა, ტვირთბრუნვა) ცნობები არა გეაქეს. მომდევნო სამ წელიწადში კი

---

244 ვ.სიჭინავა, პორტო-ფრანკოს როლი რუსეთ-საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. - ჟურნ. „მაცნე" (ისტორიის სერია), №3, 1976.

245 ს.მესხი, თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1964, გვ. 36.

სხვათა შორის, ბათუმი უცხოელ ვაჭარ-მრეწველთა ყურადღების ცენტრშიც მოექცა. მოკლე ხანში აქ დამკვიდრდნენ მანთაშევის, როტშილდის, ნობელის და სხვა მსხვილი თუ წვრილი ფინანსური მაგნატების სახლები. უცხოელთა საქმიანობის გაშლამ მოითხოვა შესაბამისი საკონსულოების შექმნა. ქალაქში ზედიზედ გაიხსნა საზღვარგარეთის 15-მდე ქვეყნის საკონსულო, რომლებიც იცავდნენ თავიანთი მოქალაქეების სამეწარმეო ინტერესებს (იხ. მ. სიორიძე, ბათუმის სბაეო, ბათ., 2003, გვ. 112-117).

246 ს.მესხი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 37.

247 იქვე, გვ. 48.

ბათუმში შემოვიდა გემი:[248]

ქვეყნები	1879 წ.	1880 წ.	1881 წ.
რუსეთი	369	632	579
ავსტრია	33	53	52
საფრანგეთი	19	24	25
ოსმალეთი	27	9	12
ინგლისი	18	7	7
სულ	466	725	675

საფრანგეთის თბილისელი კონსულის 1882 წ. 15 აგვისტოს მოხსენებითი ბარათით, ბათუმში სულ შემოვიდა და შემოიტანა (ტონობით):

წლები	გემი	ტვირთი
1879	466	256 896
1880	725	376 800
1881	675	362 420
სულ	1866	996 116

ამავე კონსულის ცნობით, 1882 წ. ბათუმიდან უცხოეთში გაიტანეს 6 535 000 ფრანკის საქონელი, ხოლო შემოიტანეს 1 114 500 ფრანკისა, უპირატესად მანუფაქტურა, რკინა და რკინის ნაწარმი, შაქარი, მანქანები, ავეჯი, აგური, კონსერვები და ა.შ.

1884 წ. ბათუმში შემოვიდა და შემოიტანა (ტონობით):

ქვეყნები	გემი	ტვირთი
საფრანგეთი	74	92571
ავსტრია-უნგრეთი	145	60371
ინგლისი	87	42991
საბერძნეთი	75	14931
გერმანია	24	10974
ოსმალეთი	193	7347
იტალია	22	6040
სულ	780	270105

ამ გემებს უკან გაბრუნებისას ბათუმიდან წაუღიათ მატყლი, დაუმუშავებელი ბამბა, აბრეშუმის პარკი, ხე-ტყე, ტყავი, ბეწვეული, ხალიჩები, მარგანეცი. ბათუმში საფრანგეთის ვიცე-კონსულის ცნობით, 1887 წ. აქედან მხოლოდ საფრანგეთში გაიტანეს: 20 468 988 კგ სიმინდი, 10 159 800 კგ ხორბალი, 3 960 512 კგ მარგანეცი, 324 282 კგ მატყლი, 20 000 080 კგ ქერი, 731 226 კგ. ბზის კუნძი, 197 257 კგ.

[248] აქ და ქვემოთ სტატისტიკური ციფრები აღებულია შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარის“ ნომრებიდან. იხ. აგრეთვე, ილ.ტაბაღუა, საქართველოში საფრანგეთის კონსულების მოღვაწეობის ისტორიიდან (1821-1921 წწ). - „მაცნე“ (ისტორიის სერია), №3, 1986.

აბრეშუმის პარკი, 117 598 ლიტრი ღვინო და სხვ. საფრანგეთიდან კი შემოიტანეს: ბიმენტალი - 1 129 620 კგ, გვარჯილა 293 609 კგ, ფიჭვის წებო 197 718 კგ, ბიტუმი და ასფალტი - 61 309 კგ, დამარილებული თევზი 24 362 კგ და ა.შ. მომდევნო პერიოდში ნავსადგურის ტვირთბრუნვის ოპერაციები კიდევ უფრო გაიზარდა ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის ექსპლოატაციის შედეგად.

ტვირთბრუნვის ასეთი ზრდა ნავსადგურის მოხერხებულობით, მისი კეთილ-მოწყობით და უშიშროებით აიხსნებოდა. ფირმა-კომპანიები ამჯობინებდნენ, ევროპი-დან შემოტანილი საქონლის უმთავრესი ნაწილი მაინც, ბათუმში დაეცალათ და თითქმის ცარიელი წასულიყვნენ ფოთისაკენ, იქედან მარგანეცისა და ხე-ტყის წაღების მიზნით. ამასთან, 900-იანი წლებიდან ამ პროდუქციის გატანაში ფოთს ბათუმიც შეეცილა, რის გამოც პირველის ხვედრითი წილი ექსპორტში კიდევ უფრო შემცირდა.

სხვათა შორის, ოფიციალური სტატისტიკური სამსახური ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვას, ზრდის მიუხედავად, მაინც არასაკმარისად მიიჩნევდა. მიმომხილველი თვლიდა, რომ 1879 და 1880 წლების საეაჭრო მიმოქცევა არ იყო მნიშვნელოვანი, ხოლო 1881 წლისა იყო „ძალზე სუსტი". ამიტომ, მისი სიტყვით, პორტო-ფრანკოს მანკიერება აშკარა გახდაო. იგი მეტად უსარგებლო აღმოჩნდა თბილისელი ნეგოციანტებისათვის, რომელთაც ადრე „პირდაპირი ურთიერთობა" ჰქონდათ ევროპის საეაჭრო ცენტრებთან (მარსელი, პარიზი, ლონდონი და სხვ.). თავის სკეპტიკურ შეხედულებას ამ სიტყვების ავტორი იმით ასაბუთებდა, რომ ბათუმში შემოვიდა ფოთში შესული (4 527 147 რუბლის) საქონლის 4,5%.

რა თქმა უნდა, ამ ერთი ციფრით მსჯელობა პორტო-ფრანკოს ეე-კარგზე გაუმართლებელია. ოფიციალური მიმომხილველი არც 1879-1880 წლების ტვირთბ-რუნვის შეფასებაშია სწორი. საქმე ისაა, რომ თავად ასახელებდა ორ ფაქტორს, რომელიც, მისივე მართებული შენიშვნით, ანეიტრალებდა ნავსადგურის აქტიურობას: ჯერ ერთი, ოსმალეთთან საზღვრების დაუდგენლობა და მისი დაუცველობა, რაც ხელსაყრელ პირობას ჰქმნიდა კონტრაბანდისათვის; და მეორეც, 1879 წლის მოუსაე-ლიანობა და რეგიონის ეკონომიკური ცხოვრების საერთო დაბალ დონე. მართლაც, მუჰაჯირობის პროცესმა შეზღუდა მიწათმოქმედება. საეარგულების დიდი ნაწილი დაუმუშავებელი დარჩა და შემცირდა მოსაელიანობა. გაღარიბებული მოსახლეობა იძულებული გახდა საკვებისათვის უფრო ეზრუნა, ვიდრე უცხოური საქონელი შეეძინა. აქ ასევე გასათვალისწინებელია საკომუნიკაციო საშუალებების (გზები) მოუწესრიგებლობა და მუჰაჯირად მიმავალი აღელვებული მოსახლეობის გამო რეგიონში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობაც.

ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა მნიშვნელოვნად გაზარდა ბაქოს ნავთობის ექსპორტმა. 1881 წელს აქედან გაიტანეს 926 405 ფუთი ნავთობ-პროდუქტი, 1882 წ. კი - 985 130 ფუთი. ეს პროცესი თვალსაჩინო გახდა 1883 წ. მაისიდან, როდესაც დაიწყო მიმოსვლა ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის ხაზზე და ფოთი-თბილისის მაგისტრალის მეშვეობით ბათუმიც უშუალოდ დაუკავშირდა ბაქოს. ამიერიდან იგი ბაქოს ნავთობის ექსპორტის ძირითად ცენტრად გადაიქცა. პორტო-ფრანკოს პერიოდში სულ გაიტანეს (ნავთი, საცხები ზეთი და სხვა ნავთობპროდუქტი): 1883 წ. 3 348 900 ფუთი, 1884 წ. - 6 200 800, 1885 წ. - 10 408 900, 1886 წ. კი - 14 397 100 ფუთი.[249]

ცხადია, ნავსადგურში შემოსული გემების მომსახურება, საწყობების დაქი-

[249] ვ.სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958, გვ. 135-136.

რაევება, ტრანზიტით საქონლის გატანა და თან ტრანსპორტირებისას მისი დაცვა გარკვეულ თანხებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ აქედან საკმაოდ სოლიდური შემოსავალიც შემოდიოდა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია – ნავმისადგომების (საერთოდ ნავსადგურის) მშენებლობა-კეთილმოწყობა (80-იანი წლების დამდეგი) ადმინისტრაციამ (უფროსი კონტრადმირალი გრევე) საკუთარი სახსრებით შეძლო.

შემოერთებისთანავე ბათუმში ინტენსიური მშენებლობა გაჩაღდა. 1884 წ. აიგო 305 საცხოვრებელი სახლი. გაიხსნა 4 თამბაქოს ფაბრიკა, 8 სასტუმრო, 4 საკონდიტრი, 27 თორნე, 21 სასადილო, 49 საბაყლო, 15 საგალანტერიო და 12 ტანსაცმელ-ფეხსაცმლის მაღაზია; 1883 წ. ამუშავდა ნავთობის ჭურჭლის დამამზადებელი ბუნგესა და პალაშკოვსკის (მოგვიანებით როტშილდის) ქარხანა, 1885 წ. - სიდერიდისისა და რიხნერის საწარმო. დაიწყო ქალაქის ჭაობების ინტენსიური დაშრობა, რკინიგზის მშენებლობა, კეთილმოაწყეეს ქუჩები და ა.შ.

ქალაქის გარეგან იერსახეში მომხდარი ეს ცვლილებები კარგად შეამჩნია სერგეი მესხმა. 1878 წ. იგი წერდა: „ბათომი წმინდა აღმოსავლური ქალაქია. ბაზარი, ქუჩების სიბინძურე, შენობების არქიტექტურა, ხალხის ცხოვრება - ყველაფერი აზიას, აღმოსავლეთს მოგაგონებთ. მხოლოდ რამდენიმე სახლია აქ (ქვიტკირისა - ავტ.), რომლებსაც ცოტა რამ აცხია ევროპისა".[250] ორი წლის შემდეგ ს. მესხი აღნიშნავდა: „დღეს მესამედ ვიყავი ბათომში. პირველი ჩემი შთაბეჭდილება იყო, რომ ის „გავსილა", „გაზრდილა". მართლაც, გარეგანის შეხედულებით დიდი განსხვავებაა მაშინდელს და ახლანდელს ბათომს შუა. სად ახლანდელი ორ-სამ და ოთხ-ეტაჟიანი უზარმაზარი ქვიტკირის სახლები და სასტუმროები და სად მაშინდელი მინგრეულ-მონგრეული ხის ქოხები და უწმინდური ყავა-ხანები, სად ახლანდელი ნამდვილი ევროპული მდიდარი მაღაზიები, რომლებშიც, მგონი, ჩიტის რძესაც კი იშოვის კაცი და სად მაშინდელი დუქნები, რომლებშიც მუხლმოკეცილი ბათუმელი ყიდულობდა ორიოდ თოფ ტრაპიზონის ჩითეულობას. ქუჩები ახლაც, მართალია, სანატრელს მდგომარეობაში არ არის, მაგრამ აქა-იქ ღამით ფარნები მაინც ანთია. საცა არ გახედავთ, ყველგან ახალი შენობები გაუშენებიათ ან აშენებენ. მთელი ახალი უბნები გაკეთებულან. ქალაქის ბაღს ჰმართავენ, ქალაქი „გაპლანულია" (ე.ი.დაგეგმილია - ავტ.), ტბებს აშრობენ, წყალი გამოჰყავთ, ნავსადგურის გაფართოებას აპირებენ, რკინიგზა გაჰყავთ და სხვ."[251]

და მაინც, პორტო-ფრანკოს პერიოდში ნავსადგურის შესაძლებლობანი ბოლომდე არ იყო გამოყენებული. ეს გამოწვეული იყო კონტრაბანდით, რითაც განსაკუთრებით ინგლისი იყო დაინტერესებული. გაზ. „მოსკოვსკიე ვედომოსტი" წერდა: „ბათუმი, როგორც ნავსადგური, ასრულებს საწყობის როლს რუსეთისა და საზღვარგარეთული საქონლისათვის. როგორც ერთი, ისე მეორე, შეიძლება ადვილად აირიოს ერთიმეორეში... და გასაღდეს ერთიმეორის მაგივრად. ასე რომ, საზღვარგარეთული ქსოვილები, შაქარი და სხვა საქონელი შეიძლება შემოიჭრას ჩვენს საზღვრებში რუსული პროდუქტების უფლებით". ეს გაფრთხილება უსაფუძვლო არ იყო. მაგალითად, 1883 წ. ბათუმმა გაყიდა 600 ათასი ფუთი „ქართული" ხილი. სინამდვილეში კი ქართული შირმით აქ შემოზიდეს ოსმალური, რომელიც შემდეგ გაიყიდა რუსული მარკით გადახდის ბაჟის გარეშე.

ცხადია, რუსეთს ნაკლებად აშინებდა ოსმალური ნაწარმის კონკურენცია. მას უფრო აფიქრებდა იაფი, ევროპული საქონელი, რომელიც დაუბრკოლებლად იპყრობდა

250 ს.მესხი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 38.
251 იქვე, გვ. 390-391.

ბათუმის ბაზარს და ადვილად ერეკელდებოდა ქვეყანაში. ამიტომ მოძალებულ კონტრაბანდას ხელისუფლებამ გარესამყაროსაგან პორტო-ფრანკოს სრული იზოლირება დაუპირისპირა და საბაჟო-კარანტინების მეშვეობით უმკაცრესი პოლიციური რეჟიმი დააწესა.

ხელოვნური ბარიერების შემოღებამ, თავის მხრივ, წარმოშვა ათასგვარი სიმახინჯენი. საქმე ისაა, რომ უკიდურესად გართულდა სოფლის სავაჭრო ურთიერთობა ბათუმთან, რომელიც იყო რეგიონის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი – მოსახლეობა აქ არა მარტო ყიდდა თავის ნაწარმს, არამედ იძენდა ფართო მოხმარების პროდუქციასაც. განსაკუთრებით აუტანელი გახდა ე.წ. „კარანტინები" (კარანტინები), სადაც ხდებოდა ნაყიდი და პორტო-ფრანკოს ზონის გარეთ გასატანი ნებისმიერი საქონლის დათვალიერება-შემოწმება. კონტრაბანდის მიკვლევის შემთხვევაში, იგი მაშინვე ჩამოერთმეოდა მეპატრონეს, რომელიც ამავე დროს დიდ ჯარიმასაც იხდიდა. ამ მხრივ 1883 წ. 13 ნოემბერს კურიოზულ ფაქტს აღწერდა გაზ. „დროება". აი ისიც: „ყურადღების ღირსია შემდეგი ამბავი, რომელიც ამას წინათ მოხდა: ერთი აჭარელი კაცი მოდიოდა ცხენით ბათომიდან სახლში. კახაბრის ტამოუნის პოსტზე სალდათებმა უპოვეს ამ კაცს უნაგირის ქვეშ სამი უბრალო ხელსახოცი. დაიჭირეს და წარადგინეს, საცა ჯერ არს, როგორც კონტრაბანდის მიმქონი. ტამოუნის კანონებით მეკონტრაბანდეს უნდა გადახდეს ხუთჯერ მეტი იმ ფასისა, რაც დაჭერილი საქონელი ღირს, საქონელიც უნდა გაიყიდოს. უბედური აჭარელი ამას არ დააჯერეს და ცხენიც გაუყიდეს. კანონით ყველაფერი გადახდა მეკონტრაბანდეს და ცხენი რაღა შუაში იყო: ნუთუ ესეც კონტრაბანდად იცნეს?"[252]

ან კიდევ: კონტრადმირალი გრეეე 1880 წ. საფხულში ხელისუფლებას მოახსენებდა: „გადასახლებაში (ე.ი. მუჰაჯირად - ავტ.) მიმავალნი პირადად დავკითხე, თუ რა არის ამის მთავარი მიზეზი. უმრავლესობამ თითქმის სიტყვა-სიტყვით მიპასუხა: როდესაც ქალაქი სულთანს ეკუთვნოდა, ჩვენ სოფლიდან მივდიოდით იქ და ვყიდდით კვერცხს, რძეს, ყველს, თაფლს და ყველაფერს, რაც კი გაგვაჩნდა, ხოლო ვყიდულობდით ქალაქში, რაც გვჭირდებოდა და ვბრუნდებოდით სახლში. არავინ ჩვენ არ გვეხებოდა, მაგრამ ახლა ყველას ისე გვეხრეკენ, როგორც ქურდებს და, რაც ყველაზე უფრო შეურაცხმყოფელია, ამოწმებენ ჩვენს ქალებს. ყველაფერი ეს იმდენად აუტანელია, რომ ჩვენ უნდა გავეცალოთ აქაურობასო".[253]

ამასვე ადასტურებს დ. კლდიაშვილიც, რომელიც კარგად იცნობდა აქ შექმნილ სიტუაციას. იგი წერდა: „პორტო-ფრანკობის დროს ქალაქის გარშემო სადარაჯოები იყო; ყოველი გამველელ-გამომველელი იხრიკებოდა; გატანილ ნავაჭრზე, რაც უნდა მცირე ყოფილიყო, ბაჟი უნდა გადაეხადა; აქ, რასაკვირველია, დარაჯებისაგან ათასი თვითნებობა და შევიწროება ხდებოდა; ერთი სიტყვით, სოფლელები, რომელნიც ქალაქს ვერ რჩებოდნენ, ძლიერ გაჭირვებულნი იყვნენ. ამგვარიევ გაჭირვებაში იყვნენ მოსულები" და შემდეგ: „რაკი ბათუმი პორტო-ფრანკო იყო, ყოველი მგზავრის ბარგი ბათუმიდან გამგზავრების დროს უნდა დაეხრიკათ საბაჟოში და ხელმეორედ ფოთში მისვლისას. ეს იმისათვის, რომ კონტრაბანდით არ გამოეტანათ რამე ბათუმიდან. ბევრ არასასიამოვნო შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ბევრი სასაცილო ამბავიც მომხდარა. ნამეტურ ქალები აწარმოებდნენ კონტრაბანდისტობას; ბევრს იჭერდნენ, მაგრამ ბევრს ისე გაჰქონდა კონტრაბანდა, რომ საოცარი იყო მათი ამბავი".[254]

---

[252] გაზ. „დროება", №245, 1883.
[253] ვ.სიჭინავა, დასახ. ნაშრ., გვ. 100-101.
[254] დ.კლდიაშვილი. ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1984, გვ. 19.

ასეთ ვითარებაში გაუარესდა ადგილობრივი, განსაკუთრებით – სოფლის მოსახლეობის მდგომარეობა. იგი ისედაც უნდობლად იყო განწყობილი რუსული ხელისუფლებისადმი. ახლა კი ხელოვნური დაბრკოლებების შექმნამ გააღრმავა დაპირისპირებულობა და ხელი შეუწყო მის გასახლებას (მუჰაჯირობას) ოსმალეთში.

საბოლოოდ მთავრობაც დარწმუნდა, რომ პორტო-ფრანკო მის ინტერესებს ნაკლებად შეესაბამებოდა. მას აწუხებდა არა მუჰაჯირობა (გამოთავისუფლებელ ადგილებზე შეიძლებოდა ეროგული კოლონისტების დასახლება და ასახლებდა კიდეც), არამედ ის, რომ ვერ იყენებდა ბათუმს, როგორც სამხედრო ბაზას. ნიშანდობლივია, რომ რუსეთს აუკრძალეს აქ სიმაგრეების მშენებლობაც. და რადგანაც იგი ვერ ურიგდებოდა საქართველო-ამიერკავკასიაში ინგლისელთა (საერთოდ, ევროპელთა) ეკონომიკურ მეტოქეობას, ისარგებლა საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნით და მეთოდურად შეუდგა თავისუფალი ქალაქ-ნავსადგურის სტატუსის შეზღუდვას. საამისო ნაბიჯი ფინანსთა სამინისტრომ გადადგა უკვე 1883 წ., როდესაც აკრძალა სპარსეთში გასაგზავნი საქონლის უბაჟოდ შემოტანა ბათუმში. დავით ღამბაშიძის სწორი შენიშვნით, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მართლაც, მომდევნო წლებში კიდევ უფრო შეზღუდეს „ბათუმის ნავსადგურის თავისუფლება... და ბევრ საქონელზე ბაჟი დააწესეს“.[255] ამან კი გამოიწვია დიდი აურზაური სავაჭრო წრეებში (ისინი იძულებულნი გახდნენ სატრანზიტო გზად ამიერიდან ტრაპიზონი შეერჩიათ), მაგრამ რაიმე პოლიტიკური გართულება მას არ მოჰყოლია. ასეთ ვითარებაში რუსეთის ხელისუფლებამ 1886 წ. 27 ივნისს უმტკივნეულოდ გააუქმა ბათუმის პორტო-ფრანკო.

ქართული საზოგადოებრივი აზრი. ბათუმის პორტო-ფრანკოს ავ-კარგს აქტიურად გამოეხმაურა XIX ს. 70-80-იანი წლების ქართულ-რუსული პრესა. წერილების ავტორები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და სხვ., რომლებიც მაშინ ფაქტობრივად განსაზღვრავდნენ ქართული საზოგადოებრივი აზრის მიმართულებას. აღვნიშნავთ, რომ ისინი ძირითადად უარყოფითად აფასებდნენ ბათუმის პორტო-ფრანკოს. ცხადია, არა იმიტომ, რომ საერთოდ არ მოსწონდათ. ისინი აკრიტიკებდნენ მხოლოდ მისი მოწყობის ორგანიზაციულ პრინციპს და მისგან გამომდინარე ნეგატიურ მოვლენებს, მრავალრიცხოვან მოხელეთა უკეთურობას და ბიუროკრატიზმს. ასე რომ, მათი კრიტიკა, შეიძლება ითქვას, თვით რეჟიმის გაკეთილშობილება-გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად, მაგრამ როცა დაინახეს მთავრობის ღონისძიებათა არაეფექტურობა (მანკიერებაც კი!), მაშინვე მოითხოვეს პორტო-ფრანკოს გაუქმება.[256]

პორტო-ფრანკოს შეფასებისას, ქართული საზოგადოებრივი აზრი განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას საქართველოს კოლონიურ მდგომარეობაზე და მიიჩნევდა, რომ ამის გამო იგი ვერ მოიტანდა სარგებელს. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ილიას, როდესაც პორტო-ფრანკოს გაუქმებასთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენ რომ *ჩვენის საკუთარი ქვეყნის ინტერესებით* შევხედოთ ამ გაუქმების საქმეს, შეგვიძლია ესთქვათ, რომ არც პორტო-ფრანკოს ყოფნას მოჰქონდა ჩვენთვის სარგებელი და არც მისი არ ყოფნა ზარალს მოგვიტანს“.[257]

---

255 გაზ. „სამშობლო“, №35, 1915.
256 ვრცლად იხ.; ალ.სურგულაძე, მ.სიორიძე. პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996, გვ. 36-41.
257 ილ.ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 296 (ხაზგასმა ჩვენია - ავტ).



ქ. ბათუმის გეგმა და პორტო-ფრანკოს საზღვრები, 1878 წ.



ქ. ბათუმის გეგმა, 1903 წ.



ბათუმის პორტის პროექტი (ავტორი ა. გრევე), 1882 წ.



ბათუმის ნავსადგურის მშენებლობის პროექტი, 1885 წ.

ბათუმის ქალაქის გამგეობის თავლსაჩინო მოღვაწეები

ლუკა ასათიანი

გრიგოლ ვოლსკი

ივანე ანდრონიკაშვილი

ივანე მესხი



ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის შენობა



ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის მოსამსახურეები (1902-1910 წწ.)

ბათუმის წმ. ნიკოლოზის მართლმადიდებლური ეკლესია (აიგო 1865 წ.)

ბათუმის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია უკან მიშენებული სამრეკლოთი (მდებარეობდა აზიზიეს მოედანზე), XIX ს. 80-იანი წლები

ალექსანდრე ნეველის მართლმადიდებლური სამხედრო ტაძარი (ე.წ. „სობორო"). საძირკველი ჩაეყარა 1888 წ. იმპერატორ ალექსანდრე III-ის ბათუმში სტუმრობის დროს. მდებარეობდა დღევანდელი სასტუმრო „ინტურისტ-პალასის" ადგილას.



ბათუმის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია (მდებარეობდა ახლანდელი ზურაბ გორგილაძისა და მელიქიშვილის ქუჩების კვეთაში). საძირკველი ჩაეყარა 1895 წელს. დაანგრიეს საბჭოთა ხელისუფლების დროს – 1930 წ.

ბათუმის კათოლიკური ეკლესია (აიგო 1902 წ.)

ბათუმი. აზიზიეს მეჩეთი (აიგო 1868 წ.)



ბათუმი. მუფთიე ჯამე
(აიგო 1873 წ., მდებარეობდა ჯორჯიაშვილის ქუჩის დასაწყისში)



ბათუმის სინაგოგა (1904 წ.)

სომხური გრიგორიანული
ეკლესია (აიგო 1890 წ.)

ბათუმი. ვაჟთა გიმნაზიის შენობა (დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი)

მარიას (ახლანდელი მემედ აბაშიძის) გამზირი, 1908 წ.

დონდუკოვ-კორსაკოვის (ახლანდელი კონსტანტინე გამსახურდიას) ქუჩა ბათუმში, 1900 წ.



ბათუმის სანიაღვრე არხის გეგმა, 1900 წ.

ჟილინის (იგივე ჟილინსკის) არხის გაწმენდა

ვ. ჟილინსკი



ბათუმი. სასტუმროები „ბელვიუ“ და „ორიენტალი“ (ახლანდელი გოგებაშვილის ქუჩა)



ბათუმი. „სასტუმრო საფრანგეთი“, მიხეილის (ახლანდელი ზ. გამსახურდიას) ქუჩა



ბათუმის ნავსადგური



ნავსადგურის შუქურა



ბათუმი, ბურუნ-თაბიეს სიმაგრე და იქ განლაგებული საარტილერიო ბატარეა, 1888 წ.



ბათუმის ბულვარი



ალექსანდრეს (დღეს 6 მაისის) ბაღი. საფუძველი ჩაეყარა 1888 წ.



ბათუმი. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა მარინეს გამზირზე



ბათუმი. თურქული ბაზრის სავაჭრო რიგები



ბაზრის ქუჩის საერთო ხედი. XIX ს. II ნახევარი



მდ. ჭოროხი ქ. ართვინის მისადგომთან

ქ. ართვინის ერთ-ერთი კუთხე



ართვინის მეჩეთი



ართვინი. ხიდი მდ. ჭოროხზე

არტანუჯი. ქალაქის ხელი ბაზრის მოედნიდან

დილიჟანი სოფ. ქვემომარადიდში

მდინარე ჭოროხი

ნავების მისადგომი მდ. ჭოროხზე

ჭოროხული ნავი

ქალაქ ყარსის და მისი ციხესიმაგრის საერთო ხედი

არტაანის ციხესიმაგრე და ბაზრის მოედანი



ბათუმის ერთ-ერთი ქუჩა XIX ს. დამლევს

რკინიგზის გვირაბი ჩაქვთან მშენებლობის პროცესში

რკინიგზის დაგება შავ ზღვასთან



ჩაქვის რკინიგზის სადგური



ბათუმის რკინიგზის სადგურის გახსნა



ბათუმის რკინიგზის სადგური



რკინიგზის სადგურის წინა ქუჩა, 1915 წ.
(დღევანდელი ვაჟა-ფშაველას ქუჩა)

თავი VI

სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა

§1. მუშათა კლასის ჩამოყალიბება და სოციალური მოძრაობის დასაწყისი

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის საქმიანი წრეები დაეინებით მოითხოვდნენ საქართველოსა და კავკასიის სრული ეკონომიკური ათვისების დაჩქარებას. ისინი მიუთითებდნენ, რომ ძალით შეიძლებოდა ნებისმიერი ქვეყნის დაპყრობა, მაგრამ მისი შენარჩუნება და ასიმილაცია უნდა მომხდარიყო მეტროპოლიასთან სრული ეკონომიკური შეკავშირებით.[1] ასეთი იყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება, რომლის ორბიტაში 1878 წლიდან ბათუმის ოლქიც მოექცა. ის სწრაფად დაადგა სამრეწველო განვითარების გზას. ბათუმში გახსნილმა ფაბრიკა-ქარხნებმა მოიზიდა დიდი რაოდენობით მუშახელი, რომელთა რიცხვი 1898 წ. 4 ათასამდე აღწევდა.[2]

XX საუკუნის დამდეგს მსხვილ კაპიტალისტებს შორის კონკურენციამ ბათუმშიც მწვავე ხასიათი მიიღო. წერილი საწარმოები საბოლოოდ განადგურდა. მოწინავე ტექნიკით აღჭურვილმა კაპიტალისტურმა წარმოებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ნავთობის საექსპორტო ტარის წარმოების და ექსპორტის უდიდესი ნაწილი მსხვილი მონოპოლიების ხელში გადავიდა.

1904 წ. ბათუმის მხოლოდ 4 საწარმოში 4031 მუშა იყო დასაქმებული.[3] მსხვილი ფაბრიკა-ქარხნებისა და მათი მუშების რიცხვის მიხედვით ბათუმის ოლქი უსწრებდა ამიერკავკასიაში ტერიტორიითა და მოსახლეობით მასზე მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებს და ჩამორჩებოდა მხოლოდ ბაქოსა და თბილისის გუბერნიებს,[4] თუმცა წლის განმავლობაში ერთ სულ მოსახლეზე დამზადებული სამრეწველო ნაწარმის ღირებულებით აღემატებოდა თბილისის გუბერნიასაც (ბათუმის ოლქი - 13 რუბლი, თბილისის გუბერნია - 8,1 რუბლი). ასეთივე მდგომარეობა იყო მოსახლეობის საერთო მასაში დაქირავებული მუშახელის რაოდენობითაც.[5]

საქართველოში კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების პროცესი ხასიათდებოდა გარკვეული თავისებურებით (ადგილობრივი კაპიტალის საგრძნობი ნაკლებობა, უცხო ქვეყნების კაპიტალის მნიშვნელოვანი როლი, მჭიდრო კავშირი რუსე-

---

[1] გრ.მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917 წწ., თბ., 1974, გვ. 450.

[2] Газ. «Искра», №16, 1902.

[3] გრ.მარგიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 216.

[4] სცსსა, ფ. 275, ან. 1, ს. 287.

[5] Варзар В.Е. Очерки основ промышленной статистики, ч. II, М.- Л. 1925.

თის კაპიტალისტურ ეკონომიკასთან, ბატონყმობის გადმონაშთების სიჯარბე და სხვ).[6]

მიუხედავად იმისა, რომ XIX ს. ბოლო მეოთხედში რუსეთის მრეწველობა რამდენადმე აღმავალი ხაზით ვითარდებოდა, როგორც ტექნიკური აღჭურვილობით, ისე მუშათა რაოდენობითა და შრომის კულტურით, იგი მაინც ჩამორჩებოდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ეს კი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობასთან ერთად მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესზე და მის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც ახდენდა გავლენას.[7] ამის თაობაზე გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე" შენიშნავდა: შრომა საქართველოში „ჩაყენებულია უარეს პირობებში, ვიდრე ევროპაში არა მხოლოდ ფაბრიკებსა და ქარხნებში, არამედ სხვა დაწესებულებებში, რომლებიც თითქოს უფრო კეთილმოწყობილად უნდა გამოიყურებოდნენ".[8]

საგლეხო რეფორმამ რუსეთში დააჩქარა კაპიტალიზმის განვითარება. საქართველოში კი გლეხთა განთავისუფლებას თან დაჰყვა ყველა ის შეზ-ღუდულობა, რაც XIX ს. 60-იანი წლების რეფორმას ახასიათებდა. გარდა ამისა, მას დაერთო მრავალი ახალი ნაკლიც. რუსეთში გლეხი გაათავისუფლეს რა პირადი დამოკიდებულებისაგან, მთავრობამ მას შეასყიდვინა მემამულეთა მიწების ნაწილიც. საქართველოში კი ასე არ მოხდა. ბატონყმობის გაუქმებით გლეხობის დიდი მასა მაინც უმიწაწყლოდ დარჩა.[9] მათი უმეტესობა საარსებო სახსრის საშოვნელად ქალაქისაკენ დაიძრა, რამაც ხელი შეუწყო აქ შრომის ბაზრის უსრუნველყოფას იაფი მუშახელით. ამიტომაც რეფორ-ციამდელ პერიოდში კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში სწრაფი ტემპით მიიწევდა წინ, თუმცა საგრძნობლად ჩამორჩებოდა რუსეთის იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებს.

ცნობილია, რომ ბათუმი და მისი ოლქი რუსეთს შეუერთდა კაპიტალისტურ ურთიერთობათა აქტიური განვითარების პერიოდში. ამის გამო იგი სწრაფი ტემპით დაწინაურდა და მალე ამიერკავკასიის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ცენტრად იქცა. აქ XIX ს. ბოლო ოცწლეულსა და XX ს. დასაწყისში დასავლეთიდან შემოაქვთ წარ-მოების კულტურის შედარებით მაღალი ტექნოლოგიები.[10] ამასთან, თავისი არაკონკუ-რენტუნარიანობის კომპენსაციას ადგილობრივი მრეწველები ცდილობდნენ სამამულო მრეწველობისადმი მთავრობის პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებით, მაგრამ უშედეგოდ.[11] ამასთან, როგორც ჩანს, მრეწველებში ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული შინაგანი ბრძოლა მრეწველურ და ვაჭრულ (მეშჩანურ) მენტალიტეტს შორის. მრეწ-ველები არ ცდილობდნენ მუშებისათვის მინიმალური საყოფაცხოვრებო და შრომის პირობების შექმნას. მათ უმთავრეს საშრუნავს შეადგენდა რაც შეიძლება მეტი მოგე-ბის მიღება, ეს იყო კაპიტალიზმის განვითარების ე.წ. „ველური ხანა", რომლისთვისაც დამახასიათებელია მწარმოებელი მასის ხელაღებით ძარცვა. მეწარმეები უგულებელ-ყოფდნენ მუშათა სოციალურ პირობებს და მუშათა მოძრაობას პასუხობდნენ რეპრე-სიებით.

ბათუმის ოლქის სამრეწველო მუშათა შვესების ძირითად წყაროს უმთავრესად რკინიგზის ახლომდებარე სოფლები შეადგენდა. თავისუფალი მუშახელის მნიშვნელო-ვან ბაზარს ქმნიდნენ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა რეგიონიდან (აზერბაიჯანიდან,

---

6 ნ.ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1864-1920 წწ.)თბ., 1958, გვ. 115.
7 ა.ვაშაკიძე, მუშათა მოძრაობა საქართველოში I მსოფლიო ომის წლებში (1914-1917). თბ., 1969, გვ. 15.
8 Газ. «Новое обозрение», №3551, 1894 г.
9 ამხფ. 2, ს. 2586, გვ. 2-7.
10 Сегаль М., Жилища рабочих в г. Батуме и меры к их оздоровлению, 1903 г., Кут., с. 21-25.
11 აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. 43, ფურც. 13-15.

სომხეთიდან), აგრეთვე, ირანიდან, ოსმალეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მუშებიც. სამრეწველო საქმიანობაში ჩაბმული იყო მაღალკვალიფიციური ე.წ. „გამოწერილი მუშახელიც" (საფრანგეთიდან, ინგლისიდან, იტალიიდან, ბელგიიდან და ავსტრია-უნგრეთიდან), რომელიც ძირითადად დასაქმებული იყო უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილ საწარმოებში, ხოლო ირანიდან და ოსმალეთიდან მოსულნი - მეტწილად სამთო წარმოების „შავი" მუშები ხდებოდნენ.

ქართველებთან ერთად აქ მუშაობდნენ თურქები, სომხები, რუსები, სპარსელები, ბერძნები და სხვ. მიახლოებითი გაანგარიშებით 900-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მუშათა საერთო მასაში ქართველები 55-56% შეადგენდნენ. ქ. ბათუმის მხოლოდ 5 საწარმოს მაგალითზე იგი 45%-მდე აღწევდა (სომხები - 37,8%, თურქები - 4,9%, ბერძნები - 2,5%, რუსები - 4,7% და სხვები - 3,2%).[12] ბათუმის ოლქის მუშათა შორის ბევრი იყო XIX ს. 90-იან წლებში ჰამიდიელების[13] მიერ მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის დროს ოსმალეთიდან ლტოლვილი სომხები და ბერძნები. მუშათა კლასი შეესებას ღებულობდა აგრეთვე გაკოტრებულ წვრილ მესაკუთრეთაგან (წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და სხვ.).[14] მუშათა რიგებში, თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით, მაგრამ მაინც ჩანან აზნაურთა წრიდან გამოსულებიც.[15] მუშათა შორის საგრძნობი იყო ბავშვების, მოზარდების და ქალების ხვედრითი წილიც.

ბათუმის ოლქის მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერკავკასიის რკინიგზის მიმდებარე სოფლების მცხოვრებლები იყვნენ, რომლებიც გაფიცვების დროს სახლში ბრუნდებოდნენ და სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ. ამის გამო მეწარმეები დაინტერესებულნი იყვნენ სამუშაოზე აეყვანათ „არა ადგილობრივი, არამედ რუსეთიდან, აგრეთვე მუსლიმანური ქვეყნებიდან მოსული მუშახელი".[16]

ბათუმის ოლქის მუშათა სოციალური მდგომარეობა თითქმის ისეთივეა, როგორც მთლიანად რუსეთის იმპერიაში. ამ რეგიონის მუშების ნაწილს წარმოადგენდნენ ოსმალეთიდან ლტოლვილი სომხები და ბერძნები, რომლებიც ცხოვრების სახსარს ბათუმის ოლქის ფაბრიკა-ქარხნებში პოულობდნენ.

ამ პერიოდის ბათუმის ოლქის მუშათა კლასის შემადგენლობაში გამოყოფენ სამ ჯგუფს: - 1. მუდმივ მუშებს, 2. მუშებს, რომლებიც მუშაობდნენ ქალაქად, მაგრამ კაეშირს ინარჩუნებდნენ სოფელთან და 3. სეზონურ და დღიურ მუშებს, რომლებიც დროებით სამუშაოდ ჩამოდიოდნენ ქალაქად, ხოლო ძირითად საქმიანობად კელავ სოფლის მეურნეობას თელიდნენ.[17] ჩანს ეროვნების მიხედვით მუშათა დაჯგუფებაც.[18]

სამივე ჯგუფი კარგად თავსდება ჩვენთვის ცნობილ მუშათა სოციალურ საზღვრებში, მაგრამ იყო აგრეთვე ე.წ. „მუშათა არისტოკრატიაც", რომლისთვისაც დამახასიათებელია წვრილმესაკუთრული, მეშჩანური ფსიქოლოგია. იგი არ არის

12 გრ.მარგიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 488-489.

13 ჰამიდელთა რაზმები ოსმალეთის სულთანს აბდულ ჰამიდის სპეციალურად დაარქვა ქურთების შეიარაღებულ ნაწილებს, რომელიც მისივე ბრძანებით შეიქმნა 1891 წ.

14 ამის შესახებ გაზეთი „კვალი" აღნიშნავდა: „დღეევანდელ მუშა ხალხს რომ თვალყური ადევნოს კაცმა, ხშირად დაინახავს ქარხნის კარებზე ისეთ მუშებსაც, რომელნიც ყოფილან მედუქნენი, მოიჯარადენი და წვრილი მწარმოებლები, რომლებიც გაკოტრებულან მსხვილი ვაჭრების და მწარმოებლების მეოხებით, რადგან ვერ გაუძლიათ იმათი კონკურენციისა და მეტოქეობისათვის" (გაზ. „კვალი", №17, 1899, გვ. 114).

15 სკასა, ფ. 275, ან. 1, ს. 105.

16 Фабрично-заводский быт рабочих Юго-Западной России, СПб., 1887, с. 5.

17 ა.ბ.სურგულაძე, ბათუმის ნავსადგურის მუშათა რევოლუციამდელი ყოფის საკითხისათვის. - ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, 2, თბ., 1962, გვ. 95-96; ბ.ცქვიტარია, აჭარის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. I, (1890-1914 წწ.), ბათ., 1959, გვ. 24-25.

18 ა.ბ.სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 95-96.

წარმოების საშუალებების მფლობელი, მაგრამ შესაძლებლობა აქვს იყიდოს თანამოძმეების სამუშაო ძალა და ექსპლუატაცია გაუწიოს მას.

ბათუმის ოლქის მუშათა სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში თავისი წელილი შეიტანეს რუსეთისა და უკრაინის ცენტრალური რაიონებიდან ჩამოსულმა გაღატაკებულმა ელემენტებმა. მათი მოზღვავება განსაკუთრებით იგრძნობოდა მოუსაელიანობის წლებში. ბათუმის ოლქში რუსების დასახლების ძირითადი მიზეზი, თავდაპირველად, იყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, ხოლო შემდეგ - აქ მრეწველობის განვითარება და რუსეთის მთელ რიგ რაიონებში გავრცელებული სტიქიური უბედურებანი, მოუსაელიანობა და შიმშილი. XX ს. დასაწყისისათვის კვალიფიციური რუსი მუშების ხვედრითი წილი ბათუმის ოლქის მუშათა საერთო მასაში შეადგენდა 4,7%-ს.[19]

მუშათა კლასის სოციალურ დიფერენციაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მათი ასაკი და სქესი, აგრეთვე ისიც, თუ რომელ გუბერნიაში, ოლქსა და მაზრაში მუშაობდნენ, ან მრეწველობის რომელ დარგს ემსახურებოდნენ. განსხვავდებოდა ერთსა და იმავე საწარმო ჯგუფში დასაქმებული მუშების ხელფასებიც მათი სამუშაო ადგილისა და კვალიფიკაციის მიხედვით. მაგალითად, ლითონის დამმუშავებელ და მანქანა-დანადგარების საწარმოებში თბილისის გუბერნიაში მუშის წლიური ხელფასი საშუალოდ შეადგენდა 507 რუბლს, ხოლო ბათუმის ოლქში 341 რუბლს, რკინისა და ფოლადის საწარმოებში, შესაბამისად, 318 და 286 რუბლს, მანქანათმშენებელ საწარმოებში - 665 და 293 რუბ.[20] ჯ.ი. თბილისის გუბერნიაში ლითონის დამმუშავებელ მრეწველობაში მუშის საშუალო წლიური ხელფასი 166 რუბლით მეტია, ვიდრე ბათუმის ოლქში, რკინისა და ფოლადის საწარმოებში - 82 რუბლით, ხოლო მანქანათმშენებელ საწარმოებში - 372 რუბლით.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია მუშათა კვალიფიკაციის როლიც. თუ ქ. ბათუმში კასპია-შავი ზღვის ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის კომპანიის უფროსმა ზეინკალმა 1905 წ. ხელფასის სახით 1025 რუბლი მიიღო, მანთაშევის ნავთობმრეწველობისა და საეაჭრო საზოგადოების ზეინკლის თანაშემწეს 182 რუბლი გადაუხადეს. სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშების ანაზღაურებაში განსხვავება იყო ერთსა და იმავე საწარმოშიც. მაგალითად, იგივე მანთაშევის ქარხნის შავი მუშების ერთმა ნაწილმა ხელფასის სახით მიიღო 650 რუბლი, მეორემ - 496 რუბლი, მესამემ კი - 215 რუბლი.[21] ასე რომ, თუ ზემოთ აღნიშნულ კასპია-შავი ზღვის ნავთობმრეწველობის და ვაჭრობის საზოგადოების უფროს ზეინკალს მივიჩნევთ ე.წ. „მუშურ არისტოკრატიად“ და მანთაშევის ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოების ზეინკლის თანაშემწეს — ღატაკად, მაშინ ამ საწარმოთა დანარჩენი მუშები, მათი ხელფასების მიხედვით, ასე შეავსებენ საერთო სოციალურ სურათს: შეძლებული, საშუალო და ღარიბი.

ბათუმის ოლქის სამრეწველო საწარმოებში სხვადასხვაგვარი იყო ერთი და იმავე პროფესიის მუშათა საშუალო წლიური ანაზღაურებაც. თუ იმავე კასპია-შავი ზღვის საზოგადოების მუშების საშუალო წლიური ხელფასი დაახლოებით 382 რუბლს შეადგენდა, მანთაშევის საწარმოებში - 344, ხაჩატრიანცისაში კი - 390

[19] ი.ბორიკი, აჭარაში რუსების დასახლების ისტორიისათვის (1878-1980 წწ.). - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1988, გვ. 70-76.
[20] სცსსა, ფ. 275, ან. 1, ს. 216, ფურც. 13.
[21] იქვე, ს. 105, ფურც. 8, 10, 95.

რუბლს.

ხელფასის დიფერენციაციაში და მუშების ამა თუ იმ კატეგორიაზე მიკუთვნებისას მნიშვნელოვანი ჩანს პროფესიათა როლიც. მაგალითად: მრანდაეის საშუალო წლიური ხელფასი 741 რუბლს შეადგენდა, ხარატის - 461, მხერხავისა - 247, ზეინკლისა - 546, მტეირთავისა - 299, მზეთავისა - 312 რუბლს და ა.შ. შავი მუშა მანთაშევთან თუ 182 რუბლს ღებულობდა წლიური ხელფასის სახით, იგივე კატეგორიის მუშას სადაზღვევო საზოგადოება „როსია" წელიწადში 468 რუბლს უხდიდა[22] და სხვ.

ბათუმის ოლქის ეკონომიკური დაწინაურების მიუხედავად, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მძიმე იყო მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

1903 წ. 17 მაისის მონაცემებით, ბათუმის 13 საწარმოში, სადაც 3315 მუშა (მათგან 490 არასრულწლოვანი - 14,7%) იყო დასაქმებული,[23] სამუშაო დრო და ხელფასები შეადგენდა: თუნუქის ყუთების ქარხნებში 10 საათს (დილის 6 საათიდან - საღამოს 6 საათამდე, საუზმისათვის 0,5 საათისა და სადილზე ძ1,5 საათის შესვენებით). კვირა დღეებისა და დღესასწაულების წინ მუშაობა მთავრდებოდა 2 საათით ადრე და სამუშაო დღე შედგებოდა 8 საათისაგან. კასპია-შავი ზღვის საზოგადოების ბათუმის საწარმოებში 1902 წლის სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის მონაცემებით, თუნუქის განყოფილებაში თითოეული მუშა ყოველდღიურად ნარდად გამოიმუშავებდა 1 რუბ. და 68 კაპიკიდან — 2 რუბ. და 02 კაპიკამდე, სარჩილავ განყოფილებაში - 1 რუბ. და 41 კაპიკიდან - 1 რუბ. და 94 კაპიკამდე, ჩამოსასხმელ განყოფილებაში, ბიდონების გადატანისათვის — 1 რუბ. და 83 კაპ. და ა.შ. ყუთებისა და თუნუქის ბიდონების სხვა ქარხნებშიც ხელფასი თითქმის იგივეა.

ძმები ნობელების ჩამოსასხმელ სადგურებში მუშაობა მიმდინარეობდა დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე (ერთი შესვენებით 12-დან 14 საათამდე). ამასთან, მუშები ღებულობდნენ ზეგანაკვეთურ ანაზღაურებას ღამის საათებში და დღესასწაულების დროს მუშაობისათვის. აქ ცეცხლფარეშები მუშაობდნენ 3 ცვლად (ცვლაში 8 საათს), დარაჯები - ორ ცვლად (12 საათის განმავლობაში და თითოეული სარგებლობდა თვეში 4 თავისუფალი დღით). ხელფასი კი ასეთი იყო: შავი მუშა ღებულობდა 25 რუბლს თვეში, დარაჯი - 30, ცეცხლფარეში - 35 რუბ. ამის გარდა, ზეგანაკვეთურ შეკვეთებზე მუშა გამოიმუშავებდა 5-დან 7 რუბლამდე თვეში.[24]

სხვადასხვანაირი იყო სამუშაო დღის ხანგრძლივობა თამბაქოს ფაბრიკებში: ბინიატ-ოღლისთან - 10 საათი, ხოლო შალოვაკისთან - 11 საათი. მუშაობის სპეციფიკის გამო, ჩვეულებრივ, დღეში მუშაობდნენ 7 საათზე ნაკლებს. ამავე საწარმოებში ნარდად მომუშავენი თვეში ღებულობდნენ 25-30 რუბლს, მემუნდშტუკეები - 15, მეპაპიროსეები - 30, ქალები - 15-20, მცირეწლოვანები 10-12 რუბლს.

მექანიკურ ქარხნებში სამუშაო დღე შეადგენდა 10,5 საათს, ხოლო დღესასწაულებისა და კვირის წინა დღეებში - 8,5 საათს. მუშებს ეძლეოდათ ხელფასი 1,5-დან 2 რუბლამდე დღეში, ხოლო დამხმარე მუშებს 1-1,1 რუბლამდე. ანალოგიურია სამუშაო დღის ხანგრძლივობა ჩილინგარიანების ტყავის ქარხანაში, ხოლო მშრალი საღებავების ქარხნებში მუშაობა ორ ცვლად იყო. დღის ცვლა მუშაობდა 10,5 საათს,

[22] იქვე. ფურც. 1-130.
[23] აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 39, ფურც. 4.
[24] იქვე. ფურც. 4-7.

ღამის - 10 საათს; საშუალო თვიური ხელფასი 22 რუბლს შეადგენდა.[25] ირკვევა, რომ 1903 წ. ბათუმის ზოგიერთ საწარმოში სამუშაო საათები 10-დან 8 და 6 საათამდეც კი შემცირდა.[26]

ბათუმის ოლქის მუშათა ხელფასის ნაწილი მეპატრონეებს მიჰქონდათ ჯარიმების სახით. 1902 წლამდე აქ არ არსებობდა საფაბრიკო-საქარხნო კანონმდებლობა, რის გამოც ხშირი იყო მუშათა უკანონო დაჯარიმება.[27] შესრულებული სამუშაოს ერთი ნაწილის ღირებულებას მეპატრონეც ითვისებდა, ამის შესახებ გაზეთ „ისკრას“ კორესპონდენტიც შენიშნავდა: „ახლა ჩვენ მხოლოდ პურისა და წყლის ფულს ვიღებთ, რომ რამენაირად შიმშილით არ მოვკვდეთ, რომ შეგვეძლოს სიმდიდრე შევქმნათ არა ჩვენთვის, არამედ სხვებისათვის... ჩვენი ცხოვრება მოკლებულია ყოველიფერ სიხარულს, იგი გადაქცეულია გზად სამარისაკენ“.[28]

XIX ს. 90-იანი წლებიდან ბათუმს გაღატაკებული გლეხობა მოაწყდა, რამაც შექმნა მუშახელის სიჭარბე. უმუშევრებსა და მცირეხელფასიან მუშებს შორის კონკურენციამ გააუარესა უკანასკნელთა მდგომარეობა. გაზეთ „კვალის“ სიტყვით, „უცქერის მექარხნე ამდენი სხვადასხვა ტომის ღარიბ-ღატაკ ხალხს და, რასაკვირველია, იაფადაც ქირაობს, და რატომ არ უნდა იქირაოს, როცა მუშები ეხვეწებიან: ოღონდ დამიქირავე და რაც გინდა ის მომეციო, მუშები თვითონ ეცილებიან ერთმანეთს და ამის გამო მათი მდგომარეობა მიწასთან გასწორდა“.[29]

სამუშაო ძალის ფასი რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებთან შედარებით საქართველოში დაბალი იყო, რასაც მთავრობის მოხელეებიც აღნიშნავდნენ.[30] ამასთან, ადგილობრივი მუშის შრომის ანაზღაურებაც უფრო დაბალი იყო, ვიდრე ჩამოსული რუსისა.[31] თუ გავითვალისწინებთ, რომ XX ს. დასაწყისში ფასები შემცირდა: გირვანქა პურზე 1889 წ. 5 კაპიკიდან - 3,7 კაპიკამდე, საქონლის ხორცზე 18,5-დან - 17 კაპიკამდე, ღორისაზე - 10,2-დან - 9 კაპიკამდე, ცხვრის ხორცზე 10,5-დან - 9,7 კაპიკამდე და ა.შ.,[32] თითქოს მუშის მდგომარეობა არცთუ ცუდად გამოიყურება, თუმცა, ამ პერიოდში თითქმის 2-ჯერ გაძვირდა შეშა, 1,4-ჯერ ტანსაცმელი, 2-ჯერ ფეხსაცმელი[33] და ა.შ.

ბათუმის ოლქის საწარმოებში საგრძნობი იყო მუშათა სიკედილიანობისა და დასახიჩრების შემთხვევები. მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა მექანიზაციის დანერგვის შემდეგ, რადგან მუშათა ტექნიკური კვალიფიკაციის დონე დაბალი იყო.

1904 წლამდე ბათუმის ოლქში არ მოქმედებდა ტექნიკური უსაფრთხოების კანონი და დაზარალებული იძულებული იყო მიემართა სასამართლოსათვის. მდგომარეობა არსებითად არც 1904 წლის შემდეგ შეცვლილა, როცა ძალაში შევიდა 1903 წ. ივნისის კანონი საწარმოებში დასახიჩრებული მუშებისა და მათი ოჯახებისათვის დახმარების შესახებ. ახალი კანონი უფრო ამძიმებდა მუშის მდგომარეობას იმით, რომ დაზარალებულს ან მის კმაყოფაზე მყოფთ აძლევდა ხელფასის მხოლოდ ორ

---

[25] იქვე.
[26] იქვე, ს. 193, ფურც. 1.
[27] მხოლოდ როტშილდის ქარხანაში მუშებმა 1890-1902 წ. ჯარიმების სახით დაკარგეს 600 ათასი რუბლი.
[28] Газ. «Искра», №16, 1902.
[29] გაზ. „კვალი“, №17, 1899.
[30] Церцвадзе М., Революционное движение в Грузии в 1914-1917 гг., М., 1957, с. 20.
[31] ა.ვაშიკიძე, მუშათა მოძრაობა საქართველოში პირველი მსოფლიო ომის წლებში (1914-1917 წწ.), თბ., 1969, გვ. 15.
[32] აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. 571.
[33] იქვე.

მესამედს, მაშინ, როცა ადრინდელი წესით დაშავებული მუშა სასამართლო საქმეს თუ მოიგებდა, მეწარმეს მისთვის უნდა ეძლია სრული ხელფასი.

ქარხნებში მუშაობა მიმდინარეობდა მეტად მავნე პირობებში, რაც მრავალ დაავადებას იწვევდა. ამიტომ ბათუმის თვითმმართველობამ მოითხოვა ნებართვა, რომ ბაკიდან შემოსული თანხის ნაწილი საავადმყოფოს საჭიროებისათვის გაეხარჯათ. მთავრობამ უარით უპასუხა, „ავადმყოფებს დააკისრეთ გადასახადი და ხარჯი მით დაფარეთო“.[34] ავადმყოფი იხდიდა დღეში 60 კაპ., ერთი საშტატო საწოლის შენახვა კი ქალაქს დღეში 1 რუბლი და 56 კაპ. უჯდებოდა. ბათუმის მუდმივ მცხოვრებლებს უნდა გადაეხადათ 75 კაპ., ხოლო იმ პირთათვის, რომელთა მკურნალობის საფასურს იხდიდნენ სხვადასხვა საკაჭრო, სამრეწველო, რკინიგზის თუ სანაოსნო უწყებები, დადგენილი იყო 1,5 რუბლი გადასახადი.[35]

მძიმე იყო მუშათა უფლებრივი მდგომარეობაც. ქარხნის ადმინისტრაციის წარმომადგენლები მუშებს უხეშად ექცეოდნენ, ამცირებდნენ, სცემდნენ, ხოლო თუ ხმას ამოიღებდნენ, ქუჩაში აგდებდნენ.[36]

ქარხნებში გამეფებული უმსგავსობანი არაერთხელ იყო პრესის მსჯელობის საგანი. გაზ. „კვალი“ წერდა: „ბათუმის ქარხნებში ლანძღვა-გინება და მათრახით ზურგზე ბოლის აყენება იშვიათი არ არის... აქ ერთი პრიკაზჩიკი თარეშობს, აუღია ხელში კეტი და ისე დღე არ გავა, რომ ერთი-ორი მუშა ცემით არ გამოაგდოს სამუშაოდან“.[37]

გარდა ამისა, მუშებს არ ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება და ხანგრძლივი ბრძოლა მოუწიათ მის მოსაპოვებლად.

მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა საფაბრიკო-საქარხნო ინსპექციისათვის ბათუმის ოლქის დაქვემდებარების შემდეგ. ინსპექციის ჩინოვნიკური აპარატის უპირველეს მოვალეობას ხელისუფლების ინტერესების დაცვა წარმოადგენდა.[38] აქედან გამომდინარე, ეს უწყება მიზნად არ ისახავდა წარმოების არსებულ სისტემაში ცვლილებების შეტანას მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად. პირიქით, მისი ამოცანა იყო სახელმწიფოს ორგანიზებული დაცვა, მუშათა გამოსელებისა და მღელვარებების შინაგანი სტრუქტურის შესწავლა და მისი მშვიდობიანი გზით მოგვარება. ამ ინსტიტუტის გაჩენა დროის მოთხოვნით იყო ნაკარნახევი. იგი წარმოადგენდა ხელისუფლების „გონიერ იარაღს“ მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში დეზორგანიზაციის შეტანის მიზნით. მიუხედავად ამისა, საფაბრიკო-საქარხნო ინსპექციის კონტროლმა მაინც მოახდინა დადებითი ზეგავლენა საწარმოებში არსებულ თვითნებობასა და განუკითხაობაზე. მაგალითად, 1890 წლიდან 1902 წლამდე მარტო როტშილდის ქარხანაში მუშათა ჯარიმების საერთო თანხამ დაახლოებით 600 ათასი რუბლი შეადგინა.[39] 1912 წ. კი ბათუმის ოლქის იმ სამრეწველო საწარმოებში, რომლებიც საფაბრიკო-საქარხნო ინსპექციას ექვემდებარებოდა, მთლიანმა საჯარიმო თანხამ 153 რუბლს ძლივს მიაღწია.[40]

ბათუმელი მუშის საშუალო ხელფასი იმ 4 საწარმოში, რომლებშიც ჯარიმები

---

[34] გაზ. „კვალი“, №18, 1902.
[35] სცსსა, ფ. 13, ან. 2, ს. 56, ფურც. 5-9.
[36] ბ.ცქვიტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 46.
[37] გაზ. „კვალი“, №37, 1898.
[38] აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 9, ფურც. 6-8, 14-15.
[39] ამხუ., 2, ს. 7, ფურც. 7.
[40] სცსსა, ფ. 275, ან. 1, ს. 216, ფურც. 3.

აღინიშნა, შეადგენდა 259 რუბლს, თითოეულ მუშაზე, ჯარიმის სახით მოდიოდა დაახლ. 7,5 კაპ. იგივე მაჩვენებელი ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში შესაბამისად 7,1 და 1,3 კაპიკია.[41] მაშასადამე, როგორც თითოეულ დარღვევაზე, ისე თითოეულ მუშაზე ჯარიმის რაოდენობით ბათუმის ოლქი უსწრებდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს, მაგრამ მუშის წლიურ ხელფასთან შედარებით (259 რუბ.) გაღებული თანხა (7,5 კაპ.) ძალზე უმნიშვნელო იყო და შეადგენდა საშუალო წლიური ხელფასის მხოლოდ 0,0002%. ასე რომ, 1912 წ., 1902 წ. შედარებით, როცა ბათუმის ოლქში ინსპექციის ზედამხედველობა ახალი დაწესებული იყო, მუშათა დაჯარიმების მოწესრიგებაში პროგრესი მნიშვნელოვანია. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება სამუშაოზე დასახიჩრებულთა საქმის გამოძიებისა და ზარალის კომპენსაციის შემთხვევაშიც.[42]

ამის მიუხედავად, XIX ს. ბოლო ოცწლეულსა და XX ს. დასაწყისში ბათუმის ოლქის მუშათა მდგომარეობა საკმაოდ მძიმედ გამოიყურებოდა. თითქმის მთლიანად უგულებელყოფილი იყო ჯანმრთელობის დაცვის[43] და ბინით უზრუნველყოფის[44] უფლებები. მუშები ცხოვრობდნენ პატარ-პატარა, ჭუჭყიან, ბნელ და ნახევრად ნესტიან მიწურებსა და ქოხმახებში. განსაკუთრებით მძიმე და აუტანელი იყო საბინაო პირობები მრავალსულიანი ოჯახებისათვის. უცოლშვილო და მარტოხელა მუშები უმთავრესად საერთო ბარაკებში ცხოერობდნენ. გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი" წერდა: „მუშათა ბინები დაყოფილია გალიებივით პატარა ოთახებად, იატაკი უმეტეს შემთხვევაში პირდაპირ მიწაზეა დაგებული... ასეთ ნაგებობას ადამიანი საცხოვრებელს ამსგავსებს და გარეგნულად განასხვავებს თაღლისაგან. ამ საცოდავ ქოხებში თავშეფარებულია ათასობით მუშა ხალხი, ცოლიანი და უცოლო.. ასეთი ბინები გამანადგურებლად მოქმედებს მის მობინადრეებზე". მუშების დიდ ნაწილს ბინა სულ არ გააჩნდა და ღამეს სამიკიტნოში და ღია ცის ქვეშ ათევდა. „რაც შეეხება მტვირთავ მუშებს და მეფორნეებს, ისინი უმეტესად თავლებში ათენებენ ცხენებთან ერთად".[45] ექიმი მ. სეგალი აღნიშნავდა: „მუშათა უბანში ჩემს მიერ დათვალიერებული 146 სახლიდან, როგორც ოთახების, ისე აივნების იატაკი დამპალი და ჩამტვრეული აღმოჩნდა, ლპობისა და რღვევის ასეთივე დამანგრეველი კვალი ემჩნეოდა კედლებს და ჭერსაც. ზოგჯერ გვხვდებოდა სადგომები ოღრო-ჩოღრო იატაკებით. ხშირად იატაკი 1/4 არშინით დაბალია, ვიდრე ეზოს დონე, რაც ქმნის ბინებში წვიმის წყლის ჩადენის შესაძლებლობას. ჩვეულებრივად ოთახს დატანებული აქვს თითო, მუდამ გაქონილი ჭუჭყიანი ფანჯარა. გამომტვრეული მინა შენაცვლებულია ფიცრით, მუყაოთი, თუნუქით ან ძონძებისაგან გაკეთებული ჩვრით. ასეთია ხის სადგომები, მაგრამ არც აგურისა და ბეტონის სახლებია უკეთეს მდგომარეობაში... აი, ამგვარი შენობებით, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ქოხმახებითაა მოფენილი უმთავრესად საქარხნო მრეწველობის ცენტრები, სახელდობრ... „ხოლოდნაია სლობოდა", „გოროდოკი" და „ბარცხანა".[46] სხვათა შორის, აქ არ იყო ღვარსაშვები და ვიწრო ქუჩებში წუმპე იდგა, რაც ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საშიშროებას ქმნიდა.

1909 წ. 17 მაისს დამტკიცდა კანონი, რომელიც მეპატრონეებს ავალებდა

[41] იქვე, ფურც. 4.
[42] იქვე, ფურც. 3.
[43] გაზ. „ძვალი", №18, 1902.
[44] Газ. «Черноморский вестник», №120-121, 1902.
[45] იქვე.
[46] Сегаль М., Жилища рабочих в г. Батуме и меры к их оздоровлению, Кут., 1903, с. 12-17.

მუშებისათვის შეექმნათ ჯანმრთელობისა და პირადი პიგიენის დაცვის პირობები.[47] მაგრამ არსებული საწარმოო ბაზისა და წარმოების კულტურის ვითარებაში მისი ცხოვრებაში გატარება შეუძლებელი იყო.

მუშათა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობებთან შესაბამისობაში იყო მათი სულიერი განვითარების შესაძლებლობანი. ეხებოდა რა მუშათა განათლებისა და კულტურის საკითხებს, გაზეთი „ცნობის ფურცელი" წერდა: „მუშა ხალხის მეტი წილი გახლავთ ქართველობა, რომლებიც, სამწუხაროდ, სრულიად მოკლებული არიან ყოველგვარ გონებრივ და სნეობრივ ეარჯიშობას და ასე წარმოიდგინეთ, კვირა-უქმე დღეებში წირვა-ლოცვის მოსმენასაც კი... მუშები ახლო-მახლო სამიკიტნოებში ატარებენ მთელ დღეს და „ძმა-ბიჭებთან ქეიფში... მათი ორი გროშიც კი მიკიტნის დახლში რჩება".[48] მუშათა უმრავლესობა თავს იყრიდა ლუდხანებში.[49] ბათუმის მხოლოდ მეორე საპოლიციო უბანში აღრიცხული იყო 6 ასეთი ლუდხანა. გარყვნილება, ლოთობა და სკანდალი ჩვეულებრივი მოვლენა იყო.[50]

XIX-XX სს. მიჯნაზე საქართველოს მუშათა კლასისა და მრეწველობის ისტორიაზე გამოცემულ ნაშრომებში ხშირად მაღალი შეფასება ეძლევა ბათუმის ოლქში მუშათა რევოლუციურ მოძრაობას. არადა, მასალების ანალიზით ეს საკითხები სხვანაირად წარმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ XX ს. დასაწყისში ბათუმის ოლქის მუშათა რევოლუციური მოძრაობა საკმაო გაქანებით ხასიათდებოდა, ზოგიერთ შემთხვევაში, მისი „კლასობრივი შეგნებულობა" ძლიერ რყევებს განიცდიდა და არ სცილდებოდა პირადი ინტერესების ფარგლებს.[51] ადგილი ჰქონდა მუშების მიერვე უფრო გაჭირვებულთა და დროებით უმუშევართა ექსპლუატაციას,[52] აგრეთვე, ეროვნებათშორისი ურთიერთობის უკიდურეს დაძაბვას, რაც ზოგჯერ შეტაკებებით და მსხვერპლითაც დამთავრებულა.[53] მუშათა შორის ხშირი იყო მკვლელობები ანგარიშსწორების მიზნით, პირად და სარწმუნოებრივ,[54] აგრეთვე, პარტიული შეხედულებების შეუწყნარებლობის ნიადაგზე.[55] რევოლუციურ ღონისძიებებში უმრავლესობა მონაწილეობდა ტერორისა და მუქარის შიშით,[56] ფართო გასაჟალი ჰქონდა ინდივიდუალურ და კოლექტიურ ტერორს.[57] მძიმე მდგომარეობას თან ერთვოდა ცარიზმის კოლონიური ჩაგვრაც, რაც მუშებს არსებული რეჟიმისა და მეწარმეთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის განაწყობდა.

XIX ს. 80-იან წლებიდან მუშები არაერთხელ გაიფიცნენ, მაგრამ ეს გამოსვლები მარცხით მთავრდებოდა, რაც აქ მუშათა ორგანიზაციის არარსებობის შედეგი იყო. მუშათა პირველი გაფიცვა ბათუმში 1882 წ. მოეწყო. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას და გაიმარჯვეს.[58] 1889 წ. შრომის მძიმე პირობების წინააღმდეგ გამოვიდნენ

---

[47] სცსსა, ფ. 275, ან. 1, ს. 385, ფურც. 5-6.
[48] გაზ. „ცნობის ფურცელი", №563, 1898.
[49] აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 134, ფურც. 60.
[50] იქვე, ფურც. 68.
[51] იქვე, ს. 342, ფურც. 10-11; იქვე. ფ. 4, ს. 62, ფურც. 34-35.
[52] ან.სურგულაძე, ბათუმის ნავსადგურის მუშათა რევოლუციამდელი ყოფის საკითხისათვის. - ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, II, 1962.
[53] აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 275, ფურც. 1, 15-16.
[54] იქვე, ს. 265, ფურც. 7.
[55] იქვე, ს. 106, ფურც. 66.
[56] ამხე. 2, ს. 8, ფურც. 7; იქვე. ს. 7, ფურც. 5.
[57] იქვე, ს. 7, ფურც. 46-66; ს. 1, ფურც. 6-8; ს. 2, ფურც. 5; ს. 258, ფურც. 1-10.
[58] ფ.მახარაძე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, თბ., 1932, გვ. 49.

ბათუმის სხვადასხვა საწარმოს მუშები.[59] 1890 წ. აგვისტოში დიდი გაფიცვა მოეწყო როტშილდის ქარხანაში, რომელშიც 700-მდე კაცი მონაწილეობდა. ამავე ქარხანაში გაიფიცნენ 1891, 1892 და 1893 წლებშიც. თუ 1891 წ. გაფიცვის საბაბი იყო ჯარიმები, 1892-1893 წწ. გაფიცვები გამოიწვია ხელფასების დაკლებამ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1893 წ. აპრილის გაფიცვა, რომელსაც საგაფიცვო კომიტეტი ხელმძღვანელობდა და ორგანიზებულობით გამოირჩეოდა. პოლიციის დახმარებით ეს გაფიცვა ჩააქრეს, მოწინავე მუშები კი დააპატიმრეს, თუმცა შემდეგ იძულებული გახდნენ გაეთავისუფლებინათ ისინი.[60] გამოსვლები იყო მომდევნო წლებშიც, თუმცა, მუშათა მძიმე მდგომარეობაში მათ არსებითი ცვლილება არ შეუტანიათ.

ისე როგორც სხვა მსხვილ სამრეწველო ქალაქებში, ბათუმშიც, XIX ს 90-იანი წლების დამდეგს იქმნება მუშათა პირველი წრეები, რომელთაც უმთავრესად საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდათ. 1893 წელს ასეთი წრე ბათუმში პირველად ჩამოაყალიბა ეგნატე ნინოშვილმა. მასში გაერთიანებული იყვნენ მოწინავე მუშები და ინტელიგენციის წარმომადგენლები. მოგვიანებით ეს წრე დაუკავშირდა ბათუმელ სოციალ-დემოკრატებს,[61] რომლებიც მუშათა შორის საგანმანათლებლო მუშაობას საკეირაო სკოლების მეშვეობით ეწეოდნენ. ამ სკოლების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე, ი. რამიშვილი, ფ. მახარაძე და სხვ., რომლებიც თავიანთი პოლიტიკური შეხედულებებით დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.[62] სკოლებში ისინი საუბრობდნენ ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე, რითაც გარკვეული როლი შეასრულეს მუშათა გათვითცნობიერებაში.[63]

1895 წ. დამლევს ქართველმა და რუსმა მარქსისტებმა (კ. ჩხეიძე, გრ. სოღორაშვილი, გ. ფრანჩესკი, ი. ლუზინი და სხვ.) ბათუმში შექმნეს პირველი მარქსისტული წრე. იგი მიზნად ისახავდა „მუშათა მოძრაობის გაღვივებას მიმდინარე პერიოდში და მეფის რეჟიმის დამხობას მომავალში“. მათ ქართულად თარგმნეს კ. მარქსის და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ (პირველი თავი სრულად, დანარჩენებიდან კი ნაწყვეტები), რომელიც ჰექტოგრაფზე დაბეჭდეს და გააერცელეს მუშათა შორის. მათვე გაამრავლეს მარქსის ფოტოსურათი. ბათუმში მოაწყვეს პირველი მაისობა (1897 წ.), გასწიეს საკმაოდ დიდი მუშაობა მარქსიზმის პროპაგანდისათვის. 1898 წ. უანდარმერიამ აღმოაჩინა ეს წრე და მისი წევრები დააპატიმრა.[64]

1900 წ. ივნისიდან ბათუმში მოღვაწეობდა ალექსანდრე წულუკიძე (1876-1905 წწ). იგი, როგორც ცნობილია, იყო „მესამე დასის“ ე.წ. „რევოლუციური ფრთის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი და ორგანიზაციის დავალებით ჩამოვიდა ბათუმში, სადაც ასრულებდა „მოსამზადებელ სამუშაოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსებისათვის“.[65] ამ მიზნით კითხულობდა ლექციებს ბარცხანის საკეირაო სკოლაში, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა პოლიტიკური გათვითცნობიერებისათვის. სხვათა შორის, აქ უნდა იყოს წაკითხული მისი ლექციების ის ციკლი, რომელიც დღეს ცნობილია სახელწოდებით „რსდმპ ბათუმის კომიტეტის ფურ-

---

59 ო.გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1910 წლებში, ნაკვ. I, ქუთ., 1996, გვ. 23.
60 ბ.ცქვიტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 51-53.
61 იქვე. გვ. 53-54.
62 ვ.ბურული, მ.ვაჩნაძე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის საკითხები (1892-1921), თბ., 1998, გვ. 11-13.
63 ო.გოგოლიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 24-25.
64 აბ.სურგულაძე, პირველი მარქსისტული წრე ბათუმში (1895-1889), ბათ., 1972.
65 საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 8, ს. 36, ფურც. 2.

ცლები".[66] იგი ცალკე პროკლამაციებად დაიბეჭდა 1902 წ. და შემდეგ ბროშურად აკინძეს. ალ. წულუკიძემ, ფ. მახარაძესთან ერთად, 1901 წ. მარტში დაარსა სამკითხველო-ბიბლიოთეკა ნურიეში (ახლანდელი მოსწავლეთა პარკის მიდამოებში), რომელიც „მუდამ სავსე იყო მკითხველი ხალხით".[67]

ალ. წულუკიძე მონაწილეობდა საზოგადოება „ცოდნის" საქმიანობაშიც, კერძოდ, „საგამომცემლო საკითხების გარკვევაში". სწორედ მისი რჩევით „ცოდნამ" გამოსცა ე. ნინოშვილის მოთხრობა „ქრისტინე", რუბაკინის „ბუნების საოცარი მოვლენები" (მთარგმნელი სევ. ჯუღელი), ა. ბიკოვის „ამბები ინგლისის ისტორიიდან" (მთარგმნელი კარლო ჩხეიძე), რომელიც 1902 წ. დაბეჭდა „კილაძისა და ამჰ." სტამბამ.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად, ალ. წულუკიძე იღწოდა ბათუმელ მუშათა ორგანიზაციული შეკავშირებისათვის. საკვირაო სკოლის მოწინავე და სანდო მსმენელების მეშვეობით იგი დაუკავშირდა როტშილდის, მანთაშევისა და სიდერიდისის საწარმოების მუშებს და შეუდგა წრეების შექმნას. 1901 წ. ზაფხულისათვის ქალაქში მუშათა რამდენიმე წრე მოქმედებდა. არსებითად ეს იყო მარქსიზმის პროპაგანდიდან მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლის დასაწყისი, რითაც ბათუმის პროლეტარული მოძრაობა განეითარების მაღალ საფეხურზე ადიოდა.

წრეების შექმნა იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბათუმის ორგანიზაციის გაფორმებისაკენ, მაგრამ დამაგვირგვინებელი აქტი ვერ განხორციელდა ალ. წულუკიძის მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო (მეუღლის ავადმყოფობა, ორი შვილის გარდაცვალება). ამან უარყოფითად იმოქმედა ალ. წულუკიძის სულიერ მდგომარეობაზე, იგი ლოგინად ჩავარდა და რამდენიმე ხნით ჩამოშორდა პრაქტიკულ რევოლუციურ საქმიანობას.[68]

ასეთ ვითარებაში რსდმპ თბილისის კომიტეტმა ბათუმში გამოგზავნა გიორგი ჩხეიძე. მას, დროებით მაინც, უნდა შეეცვალა ალ. წულუკიძე, მაგრამ საქმეს თავი ვერ მოაბა და მალე უკანვე გაბრუნდა. მაშინ, ნოემბრის დამლევს აქ ჩამოვიდა იოსებ ჯუღაშვილი, რომელმაც გამოიყენა ალ. წულუკიძის მუშაობის შედეგები და მოკლე დროში ჩამოაყალიბა მუშათა 11-მდე წრე. მათი წარმომადგენლების არალეგალურ შეკრებაზე, 1901 წ. 31 დეკემბერს, შექმნა რსდმპ ბათუმის ორგანიზაცია. მის საქმიანობაში აღსანიშნავია: არალეგალური სტამბის მოწყობა (1902 წ. იანვარი), გაფიცვები მანთაშევისა და როტშილდის ქარხნებში, 1902 წ. 9 მარტის დიდი დემონსტრაცია, რომელიც პოლიციამ და ჯარმა დაარბია (დაიღუპა 15 დემონსტრანტი, 50-მდე კი დაიჭრა). განსაკუთრებით აღსანიშნავია 9 მარტის მსხვერპლთა წლისთავისადმი 1903 წ. მიძღვნილი მრავალათასიანი მანიფესტაცია ლოზუნგებით: „ქირს თეითმპყრობელობა!", „გაუმარჯოს რესპუბლიკას!" და სხვ., რამაც მიიპყრო რუსეთის საზოგადოებრიობის ყურადღება. დ. კლდიაშვილის ცნობით, მაშინ „ლევ ტოლსტოიმ ამის გასაცნობად ტფილისიდან დაიბარა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე მიშო ყიფიანი, რომელმაც კარგა ხანი დაჰყო ტოლსტოისთან იასნაია-პოლიანაში". კიდევ მეტი, ბათუმიდან პეტერბურგში ჩასულ ლ. ანდრონიკაშვილს, რომელიც მონაწილეობდა 1902 წ. დემონსტრაციის გამო დაპატიმრებული მუშების სასამართლო პროცესში, დედაქალაქის საზოგადოებრიობამ სთხოვა მოხსენების წაკითხვა ბათუმისა და

[66] ალ.წულუკიძე, თხზულებანი, თბ., 1967, გვ. 406, შენიშვნა.
[67] დ.კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1984,გვ. 109.
[68] ა.ბ.სურგულაძე, ალექსანდრე წულუკიძე ბათუმში, ბათ., 1974, გვ. 38-39.

გურიის ამბებზე. მართლაც, ლ. ანდრონიკაშვილმა ეს „მოხსენება წაიკითხა მოწინავე ჟურნალისტების, ლიტერატორებისა და პოლიტიკური მოღვაწეების წინაშე. კრება იყო საიდუმლო, ბასეინის ქუჩაზედ, ჟურნალ „პრავოს“ რედაქტორის პოლინოვის ბინაზედ... სამი დიდი ოთახი საესე იყო ხალხით“.[69]

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორისადმი 1904 წლის 17 სექტემბერს წარდგენილ მოხსენებით ბარათში ამავე ოლქის უფროსმა საფაბრიკო ინსპექტორმა ერცლად მიმოიხილა ბათუმის საწარმოებში 1903 წ. საგაფიცვო მოძრაობის მდგომარეობა და აღნიშნა ამ წლის მეორე ნახევარში ორგანიზებული გაფიცვების წარუმატებლობა. უკანასკნელ გაფიცვას პასეკის ქარხანაში, - ნათქვამია შემდეგ დოკუმენტში, - ადმინისტრაციამ უპასუხა ყველა მუშის დათხოვნით და მათ მაგიერ მუშათა მთლიანი შემადგენლობა გამოიწვია ბაქოდან, სევასტოპოლიდან და ოდესიდან. მაშინ დათხოვნილებმა მიმართეს საწარმოს მეპატრონეზე ზემოქმედების ახალ ხერხს. 2 ივნისს ხაჩატრიანცის ქარხანაში გაიფიცა 4 მუშა, შეწყდა სათუნუქე განყოფილების მუშაობა. სხვა მუშებით მათი შეცვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. საფაბრიკო ინსპექტორმა, კანონის ძალით, გაფიცულები აიძულა ემუშავათ 2 კვირა და ამის შემდეგ ყველა დაითხოვა. მუშები დარწმუნდნენ, რომ ხერხმა არ გაჭრა და შუამდგომლობა სთხოვეს საფაბრიკო ინსპექტორს. ამის შემდეგ აღსდგა ნორმალური მუშაობა ქარხანაში.

ივნისის ბოლოს „კასპია-შავი ზღვის ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოების“ ქარხანაში, გაურკვეველი მიზეზების გამო, ტექნიკური წუნი მომრავლდა, რაც ცუდი დარჩილვისა და დაზგაში თუნუქის არასწორი მიწოდების შედეგი იყო. ადმინისტრაციის წარდგინებით გადაწყდა მუშებისათვის გადაეხადათ 2 კვირის ხელფასი და დაეთხოვათ. ამ გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ ტექნიკური წუნი შეწყდა. აგვისტოში დიდი რაოდენობის წუნი აღმოჩნდა მანთაშვილის ორივე ქარხანაში, ამასთან, 19 აგვისტოს მედროგეებმა მოითხოვეს ანაზღაურების გადიდება 30-დან 40-კაპიკამდე. ქარხნის მეპატრონეებმა ამაზე უარი თქვეს. მაშინ მედროგეებმა შეწყვიტეს ნავსადგურში ტვირთის გადატანა. მათიე გავლენით ნავსადგურში ყუთების გადატანაზე უარი თქვეს სხვა საწარმოთა მეფორნეებმაც. ამის საპასუხოდ ადმინისტრაციამ 24 აგვისტოს გამოაცხადა, რომ 2 კვირის შემდეგ ქარხანას დახურავდა და მუშებს ანგარიშს გაუსწორებდა.

ბინიატ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკაში კი ბოიკოტის მუქარით მუშებმა წამოაყენეს მთელი რიგი მოთხოვნები. ამასთან, გაავრცელეს რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტის მიმართვა, რომელიც მუშებს მოუწოდებდა, არ ეყიდათ ამ ფაბრიკის ნაწარმი.

ამავე დოკუმენტის მიხედვით, ბათუმის ოლქის მუშათა ძირითადი მოთხოვნები 1903 წ. იყო: 1. გაფიცვების გამო დათხოვნილი მუშების დაბრუნება, 2. მუშის დღიური ხელფასის გაზრდა 20 კაპიკით; 3. ხელფასის ნახევრის გაცემის დაწესება არა მარტო უბედური შემთხვევების, არამედ ავადმყოფობის დროსაც. 4. თუ მუშა სამუშაოზე მოულოდნელად ავად გახდებოდა, უნდა ანაზღაურებოდა მთელი დღის ნიხრით. 5. მუშების თანხმობის გარეშე არავინ მიიღონ და გაათავისუფლონ. 6. ქარხანა ვალდებულია მუშებს აუნაზღაუროს კვირაში ექვსი დღე, მიუხედავად იმისა, იქნებოდა

[69] დ.ცლდიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 120-121.

თუ არა შინაგანაწესით ამ კვირაში დასვენება სადღესასწაულო დღეების გამო.[70]

ერთ დოკუმენტში, რომელიც ეხება ბათუმის ოლქის მუშათა მოძრაობის შედეგებს XX ს. დამდეგს, ნათქვამია: 1902 წლიდან მუშები მიისწრაფვიან მიაღწიონ სამ მიზანს: ხელფასის მომატებას, სამუშაო დღის შემცირებას და მუშათა რიცხვის გაზრდას. 1902 წლიდან 1905 წლამდე მათ მიაღწიეს ხელფასის მომატებას 20-დან 30 პროცენტამდე. ზოგიერთ ქარხანაში სამუშაო საათები შემცირდა 10-დან 8 და 6 საათამდე, მუშათა რაოდენობა კი გაიზარდა თითქმის 100%. შემდეგ დოკუმენტში მითითებულია, რომ ეს არანორმალური მდგომარეობა იყო შედეგი მუშათა განუწყვეტელი გაფიცვებისა, რაც ძალიან დიდი ხანგრძლივობითა და შეუპოვრობით ხასიათდებოდა. ყოველივე ამის შემდეგ ბათუმში წარმოება იმდენად წაგებიანი გახდა, რომ თითქმის ყველა ქარხანა იძულებული შეიქნა შეწყვიტა საქმიანობა. ამის შედეგად დაითხოვეს 4718 მუშა, რითაც გაჩნდა პროლეტარიატის მღელვარე მასა, რომელიც გაერთიანებულია საერთო ეკონომიკური ინტერესებით და კარგადაა ორგანიზებული.

განიხილავს რა მუშების გაფიცვებითა და გამოსვლებით, აგრეთვე, სხვადასხვა ბანდიტური ჯგუფების საქმიანობით ბათუმში შექმნილ მძიმე ვითარებას, დოკუმენტის ავტორი როტმისტრი როჟანოვი აკვეთებს დასკვნას, რომ თუ მათ არ მოეაშორებთ ქალაქს, ლაპარაკიც არ შეიძლება მუშათა შორის სიმშვიდესა და ბათუმის კეთილდღეობაზე.[71]

ამასვე ადასტურებდა კაპიტანი ჩიქოვანიც 1904 წლის 25 ოქტომბრის მოხსენებით ბარათში ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორისადმი. იგი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ ზოგიერთი პირი ნამდვილად მთავარი დამნაშავეა იმ უმსგავსოებათა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა ორგანიზებაში, რაც მეფობს ბათუმის ქარხნებში. ისინი არიან იმ დავალებათა მხურვალე შემსრულებლები, რომელთა ავტორებია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტის ჯერ კიდევ დაუპატიმრებელი წევრები ნოე რამიშვილი და ბუდუ მდივანი. მათი გასახლება ბათუმიდან, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, მოიტანს სიმშვიდეს და დაამყარებს მუშებს შორის წესრიგსო. როტმისტრ როჟანოვის მოწოდებულ სიას კაპიტანი ჩიქოვანი თავის მხრივ უმატებს ოსმან ლომინაძეს და მემედ მეველად-ოღლის, რომლებსაც თვლის გამოუსწორებელ მავნე ელემენტებად და ბარცხანის მკვიდრთა (რსდმპ ბათუმის კომიტეტი - აეტ-) ყველა შესაძლო დანაშაულებრივ წამოწყებათა აქტიურ მონაწილეებად.[72]

1903 წ. მეორე ნახევრიდან ბათუმში კიდევ უფრო გაძლიერდა სოციალ-დემოკრატების მენშევიკური ფრთის გაელენა. ასევე იყო 1904 წელსაც. პოპულარობით სარგებლობდნენ ისიდორე რამიშვილი და კარლო ჩხეიძე, რომლებმაც გასაქანი არ მისცეს ი. ჯუღაშვილს და აიძულეს ბათუმს გასცლოდა. ასე რომ, რსდმპ ბათუმის კომიტეტი ძირითადად მენშევიკებისაგან შედგებოდა.[73]

---

[70] აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 106, ფურც. 14-16.
[71] აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 193, ფურც. 1-3.
[72] იქვე. ს. 106, ფურც. 56-57.
[73] ო.გოგოლიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 47, 55.

§2. პოლიტიკური ორგანიზაციების წარმოშობა და საქმიანობა

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა მრავალი პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა. მათგან ყველაზე ანგარიშგასაწევ ძალად იქცა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ეს იყო ერთი იმ სოციალისტურ პარტიათაგანი, რომლებიც XIX ს. უკანასკნელ მეოთხედში წარმოიშვნენ ევროპის ქვეყნებში, შედიოდნენ II ინტერნაციონალის შემადგენლობაში და დადებით როლს ასრულებდნენ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეების გავრცელებასა და დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნაში.

XX ს. დამდეგს ბათუმშიც შეიქმნა პირობები სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნისათვის. დოკუმენტური ცნობით, 1901 წლის დამდეგს „ერთმა სოციალ-დემოკრატმა პროპაგანდისტმა გამოიყენა თბილისიდან ჩამოსული მუშები და დაარსა წრე, რომელიც მუშებში სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელების ფერმენტი გახდა; წრეს მოჰყვა სხვა მრავალი“.[74]

ეს პროპაგანდისტი იყო ალ. წულუკიძე.[75] მას მხარში ედგა გაზ. „ისკრის“ წარმომადგენელი (აგენტი), მუშა-რევოლუციონერი ა. შაპალოვი, რომელმაც 1902 წლის 1 თებერვალს გაზ. „ისკრაში“ გამოქვეყნებულ წერილში „ბათუმი. მუშათა მდგომარეობა ამიერკავკასიაში (მუშის წერილი)“ ფართოდ განიხილა ბათუმელი მუშების სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.

სოციალ-დემოკრატიული წრეები დაარსდა ბათუმის სამრეწველო საწარმოებში - როტშილდისა და მანთაშევის ქარხნებში, რომელთა მუშახელი „თითქმის მხოლოდ ქართველობა... სოფლებიდან აყრილი და ბათუმს შემოხიზნული“ მუშები იყვნენ და ცხოვრობდნენ „თვით ბათუმში, ბევრი ე.წ. გოროდოკში, უმეტესობა როტშილდის ქარხნის გადაღმა - ბარცხანაში“. ამ და ბათუმის სხვა საწარმოებში „მუშებმა ნელ-ნელა ერთგვარი ორგანიზაციის შემოღება იწყეს. ხელმძღვანელები ამისათვის ბათუმში ბლომად მოიპოვებოდნენ - მესამე დასელები... ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, საშა წულუკიძე; ხშირად მოდიოდა ნოე ჟორდანია, რამდენჯერმე იყო ფილიპე მახარაძე“.[76]

მუშათა პირველ წრეებში მეცადინეობა უმთავრესად კეირაობით ტარდებოდა. წრის წევრები, ისევე, როგორც საგანმანათლებლო საკეირაო სკოლის მსმენელები, ეცნობოდნენ პოლიტიკურ, მხატვრულ და საბუნებისმეტყველო ლიტერატურას, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს, ხელს უწყობდნენ სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას. კ. მარქსისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სხვა სწავლულთა შეხედულებების პროპაგანდაში კ. ჩხეიძესა და ი. რამიშვილთან ერთად მონაწილეობდნენ „მესამე დასელი“ გიორგი სოღორაშვილი და ბუკინისტი სპირიდონ ჭელიძე. ბათუმის ოლქის მმართველი თხოვდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მიეღო მკაცრი ზომები ასეთი პირების დაკავებისა და საპატიმროში ჩასასმელად.[77]

ბათუმის ზოგიერთ სოციალ-დემოკრატიულ წრესა და საკვირაო სკოლას მჭიდრო კავშირი ჰქონდა თბილისისა და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქების სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, მაგრამ ეროვნულ საკითხში რუს მოღვაწეთა

---

[74] Второй съезд РСДРП. Протоколы, с. 682.
[75] ა.ბ.სურგულაძე. ალექსანდრე წულუკიძე ბათუმში.
[76] ამხუ, ს. 33, გვ. 10.
[77] ნ.ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 33.

უმრაველესობის, მათ შორის ი. ლუსინისა და გ. ფრანჩესკის ცალმხრივმა, არსებითად ნიჰილისტურმა პოზიციამ გარკვეული გავლენა მოახდინა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრეების წევრთა შეხედულებაზე. ამას ოლქის მოსახლეობის ეროვნული სიჭრელეც აძლიერებდა. თბილისში მიხა დარჩიაშვილის ბინაზე გამართულ საგანგებო თათბირზე, რომელსაც ადგილობრივ და ქუთაისელ სოციალ-დემოკრატებთან ერთად, აგრეთვე, ესწრებოდნენ კ. ჩხეიძე, ბ. მელია და ი. ლუზინი, „დიდი შეხეთქება გაიმართა ნაციონალური საკითხის გამო... სოციალისტის საქმეა სოციალური საკითხი და არა ნაციონალური. ამ აზრს იცავდა ბათუმელი და ყველა რუს ლუზინის მეთაურობით“.[78]

ბათუმისა და მისი ოლქის მოსახლეობის პოლიტიკური დონის ამაღლებაში გარკვეული როლი პრესამაც შეასრულა. აჭარაში ათას ცალამდე ვრცელდებოდა გაზეთი „ივერია“, სოფლის მოსახლეობასაც საშუალება ჰქონდა გაცნობოდა გაზეთების — „ცვალის“, „სოფლის ცხოვრებისა“ და ჟურნ. „მოგზაურის“ საყურადღებო წერილებს, განსაკუთრებით, ილ. ჭავჭავაძისა და ნ. ჟორდანიას ცხარე კამათის დროს გამოქვეყნებულ მასალებს.

სოციალ-დემოკრატების გაზეთი „ზარია“ ფართოდ აშუქებდა მუშათა ცხოვრებისეულ მომენტებს, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი „გოლოს ბატუმ“ სისტემატურად ამხელდა თვითმპყრობელობის ეროვნული პოლიტიკის სიმახინჯეებს, „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ის ფურცლებზე გამოქვეყნებულ იმ წერილებს, სადაც ბათუმის ოლქის არარუსი მოსახლეობა მტრული და აბუჩად ამგდები პოზიციებიდან იყო დახასიათებული.

900-იანი წლების დამდეგს ქართული პრესისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი მეტად თვალსაჩინო გახდა მშრომელთა სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის მოწესრიგებაში. მოსახლეობას დაკარგული ჰქონდა ხელისუფლების დახმარების იმედი. ამას ნათლად მოწმობს როტშილდის, მანთაშევისა და სიდერიდისის ქარხნებიდან მუშების მიერ ქალაქის პოლიციაში გაგზავნილი წერილები.[79]

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო: „მთავრობა აშკარად ვერ ხელმძღვანელობდა ხალხს, მაგრამ ეროვნული საკითხის უკუგდებას, უარყოფას მთავრობისაგან ნება ერთვოდა და არ იკრძალებოდა. ეს იმიტომ, რომ აქ მძლავრობდა გამარუსებელი პოლიტიკა“.[80]

XIX-XX სს მიჯნაზე ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებში დასაქმებული იყო ადგილობრივი და ჩამოსული მუშების დიდი რაოდენობა. ამიტომ აქ ერთიანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსებას და მის წარმატებით საქმიანობას მნიშვნელობა ჰქონდა აჭარასა და მთელ დასავლეთ საქართველოში რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის. ამიტომ, 1901 წ. ნოემბერში, რსდმპ თბილისის კომიტეტმა ბათუმში გამოგზავნა იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი (სტალინი). ის დაუკავშირდა აქაურ მოწინავე მუშებს და ბათუმის ქარხნებში დაიწყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსება[81].

ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის, განსაკუთრებით — ი. ჯუღაშვილის საქმიანობას დაუპირისპირდნენ კ. ჩხეიძე, ი. რამიშვილი და აქ მოქმედი „მესამე დასის“

[78] ნ.ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 33.
[79] ამხდ. 2, ს. 258, ფურც. 15, 25, 85.
[80] დ.კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, გვ. 74.
[81] სცსსა, ფ. 157, ან.1, ს. 432, ფურც. 6-7.

სხვა წარმომადგენლები. კ. ჩხეიძე და გ. სოღორაშვილი პირადად შეხვდნენ ი. ჯუღაშვილს, შეეცადნენ დაერწმუნებინათ, რომ იგი ვერ შეძლებდა ბათუმის „ბნელი“ მუშებისაგან არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნას და მოთხოვეს დაეტოვებინა ოლქის ტერიტორია. ი.ჯუღაშვილმა მოთხოვნა არ მიიღო და მათ შორის დაუნდობელი დაპირისპირება გაგრძელდა. „მესამე დასელებმა“ სპეციალურად ორგანიზებულ მუშათა კრებებზე ი. ჯუღაშვილი და მისი თანამოაზრენი პროვოკატორებად მონათლეს, რადგან ამ უკანასკნელთა წინადადებას □ რეგულარული ჯარის წინააღმდეგ უიარაღო მუშების ბრძოლას - მხოლოდ აუნაზღაურებელი მსხვერპლი მოჰყვებოდა. მუშათა ერთმა ნაწილმა გაიზიარა „მესამე დასელთა“ შეხედულებანი, რასაც ხელი შეუწყო კ. ჩხეიძისა და ის. რამიშვილის საკმაოდ მაღალმა აეტორიტეტმა.

სოციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდის შედეგად, ბათუმის ფარგლებს გარეთ - „სოუქ-სუს“ სასაფლაოზე მუშათა შეკრებას 300-მდე, ხოლო „ჭაობში“ - 200-მდე კაცი ესწრებოდა. მუშებში საქმიანობის მთავარი ამოცანები იყო: დაქსაქსული პროპაგანდისტული წრეების ერთიან საქალაქო ორგანიზაციად გაერთიანება, მუშებისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება, სოციალ-დემოკრატიულ წრეებში მარქსისტული იდეების პროპაგანდიდან ფართო პოლიტიკურ აგიატაციაზე გადასვლა.

რევოლუციურ საქმიანობაში ბათუმის მუშათა ჩაბმას და ორგანიზაციულ გაერთიანებას, სხვა მრავალ დაბრკოლებასთან ერთად, ხელს უშლიდა ეროენული სიჭრელე. აქ მუშაობდნენ ქართველები, სომხები, ბერძნები, თურქები და სხვა ეროვნების მუშები. ბათუმის 5 მნიშვნელოვანი საწარმოდან ქართველი მუშები უმრავლესობას შეადგენდა მხოლოდ ორ საწარმოში - როტშილდისა (76%) და მანთაშევის №2 ქარხნებში (57%), სამ დანარჩენში კი - სომეხი მუშები სჭარბობდნენ (ხაჩატრიანცისაში — 86%, მანთაშევის №1 - 65% და სიდერიდისის ქარხნებში - 34%). სხვა ეროვნების მუშათა რაოდენობა უმნიშვნელო იყო. მხოლოდ სიდერიდისის საწარმოში აღწევდა 55% თურქი და ბერძენი მუშების რიცხოვნობა.[82]

მუშების ურთიერთდაახლოებისათვის კარგად იქნა გამოყენებული სომეხი უთვისტომო მუშის დასაფლავება 1901 წლის დეკემბერში. „ეს ძალიან კარგი საბაბია, - ურჩია ი. ჯუღაშვილმა სოციალ-დემოკრატიული წრის წევრებს, - ჩვენ ვიკისროთ მისი დასაფლავება და დემონსტრაციად ვაქციოთ იგი. ეს იქნება თქვენი და სომეხი მუშების დაძმობილება“.[83]

მართლაც, სომეხი მუშის დაკრძალვის ხარჯები სოციალ-დემოკრატიული წრის წევრებმა გაიღეს. გადაწყდა, მიცვალებული თავის სამშობლოში - გოგჩაში გაესვენებინათ. სამგლოვიარო პროცესია მუშათა სოლიდარობის დიდ დემონსტრაციად გადაიქცა, მასში სხვადასხვა ეროვნების 1000-მდე კაცი მონაწილეობდა. მიცვალებული მუშათა დელეგაციის თანხლებით სპეციალური ეაგონით წაასვენეს სამშობლოში. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად განამტკიცა ქართველი და სომეხი მუშების მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება.

ბათუმის კომიტეტი თავდაპირველად აერთიანებდა სამ მუშასა და სამ ინტელიგენტს, რომელთაც ი. ჯუღაშვილი ხელმძღვანელობდა. კომიტეტის ინტელიგენტი წევრები ადგენდნენ პროკლამაციებს, ფურცლებსა და წრეების სამუშაო გეგმებს. კომიტეტს ექვემდებარებოდა მოწინავე მუშებისაგან შემდგარი 43 სოციალ-დემოკრატიული

[82] Чахвашвили Н. Рабочее движения в Грузии. 1870-1904, Тб., 1958, с. 49.
[83] ამხუ, ფ. 2, ს. 3, ფურც. 1-2.

წრე, რომელთა მუშაობას კომიტეტის მიერ რეკომენდებული 11 კეალიფიციური პროპაგანდისტი წარმართავდა. ბათუმის კომიტეტი სააგიტაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობას გურიისა და ზემო აჭარის სოფლებშიც ეწეოდა, აერცელებდა პროკლამაციებსა და სხვა არალეგალურ ლიტერატურას. გურიაში სოციალ-დემოკრატიული წრეების შექმნასა და განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულეს ბათუმელმა სოციალ-დემოკრატებმა და მოწინავე მუშებმა, რომელთა უმრავლესობა გურიისაეე რაიონებიდან ბათუმში სამუშაოდ იყო ჩამოსული.

რსდმპ ბათუმის კომიტეტმა განამტკიცა კავშირი თბილისთან, საიდანაც რეგულარულად ღებულობდა არალეგალურ ლიტერატურას. საჭირო გახდა საკუთარი სტამბის მოწყობა. სტამბის ნაწილები როტშილდის ქარხანაში დაამზადეს (ზეინკალმა კოტე კალანტაროვმა, მჭედლებმა დაეით და სპირიდონ ლომთათიძეებმა) და გადაზიდეს მათე რუსიძის სახლში (შაფათავას ქ. №31), სადაც ცხოვრობდნენ ი. ჯუღაშვილი და მანთაშვილის ქარხნის მუშები ძმები ილარიონ და დარისპან დარახველიძეები. იქვე კოტე კალანტაროვმა ააწყო კომიტეტის ეს პირველი მარტივი სტამბა, თუმცა იგი ვერ აკმაყოფილებდა რევოლუციურ-პროპაგანდისტული მუშაობის გაზრდილ მოთხოვნებს. ამიტომ, კომიტეტის თხოვნით, კამომ (ს. ტერ-პეტროსიანი) შეიძინა სტამბის გაუმჯობესებული ნაწილები და მალე მისი საქმიანობაც საგრძნობლად გაფართოვდა. 1903 წ. მარტამდე ამ სტამბაში დაიბეჭდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის მიერ შედგენილი 21 ფურცელი. მარტიდან ფურცლები და სხვა რევოლუციური ლიტერატურა რსდმპ ბათუმის კომიტეტის სახელით გამოდიოდა.

1903 წ. მეორე ნახევარში თბილისიდან ბათუმში კელავ ჩამოჰქონდათ და აქედან დასავლეთ საქართველოს რაიონების მოსახლეობაში ავრცელებდნენ პროკლამაციებსა და სხვა არალეგალურ ლიტერატურას. ‘ხოგჯერ პოლიცია ახერხებდა რევოლუციონერთა ამ ღონისძიების ჩაშლას. 1903 წ. სექტემბრის დამდეგს პოლიციამ დააპატიმრა თბილისიდან ჩამოსული მუშები — გ. თელია, ვ. თიბილაშვილი და ნ. ჩხაიძე, რომლებსაც ჩამოართვეს სტამბის ნაწილები, პროკლამაციები და სხვა რევოლუციური ლიტერატურა. 27 ნოემბერს ბათუმის რკინიგზის სადგურში დაპატიმრებული კამოს ჩემოდანში აღმოჩნდა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე გამოცემული გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლის“ 1903 წ. 15 ნოემბრის 1000-ზე მეტი ეგზემპლარი.[84]

კონსპირაციის მიზნით არალეგალური სტამბა მონაცვლეობით ბათუმის სხვადასხვა ადგილას იყო განთავსებული. ბოლო ორი წელი სტამბა ნაყოფიერად მუშაობდა ბათუმის მახლობლად სოფ. მამუდიეში (ფერია) დასახლებული აფხაზი გლეხის ხაშიმ სმირბას სახლში. იქ დაბეჭდილი პროკლამაციები და ფურცლები დილით თვითონ ხაშიმს კალათში ან გოდორში ხილის ქვეშ ჩალაგებული საიდუმლოდ მიჰქონდა ხან პორფილე ლომჯარიას, ხან მისი ძმის — სილიბისტრო ლომჯარიას სახლში, საიდანაც ერცელდებოდა როგორც ბათუმის მუშებში, ისე დასავლეთ საქართველოს (გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს) გლეხობაში.[85]

1904 წ. მარტი-აპრილის მიჯნაზე სტამბის კვალს მიაგნეს. აღმოაჩინეს პროკლამაციები და სხვა პროპაგანდისტული ლიტერატურა, რის გამოც პასუხისგებაში მისცეს

[84] ფ.ლომაშვილი, ზ.გეგეშიძე, მარქსიზმ-ლენინიზმის გავრცელება საქართველოში (1892-1904), თბ., 1986, გვ. 426.

[85] ხემდი სმირბა. კონსპირაციის დიდი ოსტატი. - ჟურნ. „პროლეტარული რევოლუცია“, №1, თბ., 1939, გვ. 163.

სტამბის საქმიანობის ხელშემწყობი 16 პირი, მათ შორის 4 ქალი.[86] ამის მიუხედავად, სტამბის ხელში ჩაგდება ვერ შეძლეს, რადგან ხაშიმ სმირბამ მოახერხა მისი გადამალვა.[87]

არალეგალური სტამბის ადგილსამყოფელის მიგნებისა და დაბეჭდილი პროკლამაციებისა და ფურცლების კონფისკაციის გამო აღფრთოვანებულმა პოლიციის მესვეურებმა ბათუმის სამხედრო გუბერნატორს ნაჩქარევად აცნობეს: „აღმოვაჩინეთ და ხელთ ვიგდეთ არალეგალური სტამბა, რომელიც ქ. ბათუმში დიდხანს ბეჭდავდა არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართულ ბოროტებით აღსავსე პროკლამაციებს“.[88]

ბათუმის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი პროკლამაციები და გაზ. „ისკრის“ მასალა ფართოდ ერცელდებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში. გაზეთ „ისკრას“ მუშათა შორის ავტორიტეტი ჰქონდა და იდეურ-ორგანიზაციულ ხელმძღვანელად იყო მიჩნეული. გაზ. „ისკრა“-ში ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ გამოქვეყნდა 80-ზე მეტი სტატია, კორესპოდენცია და წერილი, სადაც გადმოცემული იყო ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საყურადღებო ფაქტები და მოვლენები.

XX ს. დამდეგს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა გაზეთების „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლის“ გარშემო შემოკრებილი ჯგუფი (ა. ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი, ს. ფირცხალავა, გ. და ა. დეკანოზიშვილები და სხვ.), აირჩიეს ხელმძღვანელი კომიტეტი და დაიწყეს მუშაობა პარტიის შესაქმნელად. ამ გზაზე საეტაპო მნიშვნელობის ღონისძიება იყო პარიზში გაზ. „საქართველოს“ გამოცემა. მის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში მომავალი სოციალისტ-ფედერალისტები კონსტიტუციური პარლამენტარიზმის პირობებში მხარს უჭერდნენ საქართველოს ავტონომიის იდეას და ცდილობდნენ ეროვნულ-პოლიტიკური ძალების ორგანიზებულად წარმართვას.

ფედერალიზმი ფრანგული სიტყვაა და ქართულად „კავშირს“ ნიშნავს. შინაარსობრივად მასში იგულისხმება სახელმწიფო მოწყობის ფედერალური სისტემა, რომლის მიზანია ფედერაციის პრინციპების საფუძველზე აგებული სახელმწიფო წყობილების ან ორგანიზაციული სტრუქტურის დამყარება. ქართველი ფედერალისტები მოითხოვდნენ ძველი რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის გარდაქმნას ფედერალიზმის პრინციპებზე.

XX საუკუნის დამდეგს ეროვნულ-რადიკალური და ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმდინარეობების გაერთიანებით ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომლის მთავარი და აღიარებული ლიდერის — არჩილ ჯორჯაძის მრავალრიცხოვან წერილებში განხილულია ქართველი ინტელიგენციის ძველი და ახალი თაობის წარმომადგენელთა ეროვნულ-დემოკრატიული შეხედულებანი და ჩამოყალიბებულია ე.წ. „საერთო ნიადაგის“ ეროვნული თეორია, რომელიც მნიშვნელოვანი წვლილი იყო ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში.[89]

---

[86] აცსა, ფ. 1, ს. 67, ფურც. 118-119.

[87] ირ.მალაზონია, ბათუმის სტამბების ისტორიიდან. - აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, VI, ბათ., 1963, გვ. 44.

[88] ამხვ. ფ. 5, ს. 59.

[89] დ.შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ნაკვეთი I, ფედერალისტები, თბ., 1993, გვ. 54-68.

„საერთო ნიადაგის“ თეორიის შემოქმედი ა. ჯორჯაძე დამოუკიდებელი ეროვნული პარტიის შექმნის ინიციატორიც გახდა. პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებადამკვიდრებისათვის საჭირო იყო ქართული თავისუფალი ბეჭდვითი ორგანოს დაარსება. ამ მიზნით იგი გ. დეკანოზიშვილსა და მუშა-ასოთამწყობ მიხ. კიკნაძესთან ერთად პარიზში ჩავიდა და სათანადო მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ 1903 წლის 1 მაისს გამოსცა ახალი ეროვნულ-რევოლუციური გაზეთი „საქართველო“.

გაზ. „საქართველო“ შეეცადა დაესაბუთებინა ეროვნულ-პოლიტიკური პარტიის პლატფორმის დამახასიათებელი ნიშნები და ძირითადი მიმართულებანი, მიანიშნა „ეროვნული ვინაობის“ აღდგენისათვის ბრძოლის კონკრეტული გზები; ევროპის დემოკრატიული საზოგადოების წინაშე პირველმა დააყენა ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების საკითხი, რომელსაც თანაგრძნობით გამოეხმაურნენ იქაური პრესის მუშაკები, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები.[90]

1904 წლის 1 აპრილს ჟენევაში გაიხსნა საზღვარგარეთ მომუშავე ქართველი რევოლუციონერებისა და ეროვნული ფრაქციების წარმომადგენელთა პირველი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ავტონომისტები - შემდეგში სოციალ-ფედერალისტები, ქართველი ანარქისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები. კონფერენციის ძირითადი დოკუმენტის („ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენციის“) მიხედვით, მისი 21-ვე მონაწილე მხოლოდ ფსევდონიმებით იყო მოხსენიებული. მათ შორის „დევიანი“ იყო ნოე ჟორდანია, „საბუელი“ - ა. ჯორჯაძე, „მანაველი“ - ვარლამ ჩერქეზიშვილი, „ევრმიცანიძე“ - ბათუმელი მოღვაწე ალექსანდრე გაბუნია.[91]

ჟენევის კონფერენციამ საჭიროდ არ ჩათვალა პოლიტიკური პარტიების მიმართ თავისი შეხედულებების კონკრეტულად ჩამოყალიბება. გამონაკლისი იყო რსდმპ-თან დამოკიდებულება, რომელიც ცალკე საკითხად განიხილეს. სოციალისტ-ფედერალისტებს იმთავითვე დაუპირისპირდა სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელსაც მიუღებლად მიაჩნდა სოციალისტ-ფედერალისტების მიერ შემოთავაზებული „საერთო ნიადაგის“ ეროვნული თეორია. სოციალ-დემოკრატიისა და მარქსიზმის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ ე. ჩერქეზიშვილი, მ. წერეთელი და ბათუმელი ანარქისტი ალ. გაბუნია (ევრმიცანიძე).

კონფერენციის რეზოლუციის მიხედვით ხალხებისა და ერების განვითარება მიემართებოდა არა ცენტრალიზაციისაკენ, რისთვისაც სოციალ-დემოკრატები იბრძოდნენ, არამედ ფედერალიზმისაკენ, რასაც მხარს უჭერდნენ მომავალი სოციალისტ-ფედერალისტების ეროვნული პარტიის წარმომადგენლები.[92] ნ. ჟორდანიამ და სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხვა ოთხმა წარმომადგენელმა კონფერენცია მეორე დღესვე დატოვეს, მეთვალყურეობა კი მხოლოდ ერთ ქართველ ავტონომისტს დააკისრეს.

ჟენევის ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა, რომელიც ეროვნული ავტონომიის დროშის ქვეშ გააერთიანებდა სხვადასხვა რევოლუციურ და ეროვნულ მიმდინარეობას, მოახდენდა ეროვნული ძალების პოლიტიკურ კონსოლიდაციას.

---

[90] გაზ. „საქართველო“, 15 ივნისი, 1903.
[91] დ.შველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 127.
[92] დ.შველიძე. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია (1903-1917 წწ.). სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1977, გვ. 46.

ჟენევის კონფერენციის შედეგი იყო „საქართველოელების“ — ანარქისტების, ესერებისა და ლიბერალური მიმართულების ეროვნულ-დემოკრატების გაერთიანება, რის შედეგად შეიქმნა არაპროლეტარული ეროვნულ-რევოლუციური და ქართულ-ლიბერალური მიმდინარეობების ბლოკი - სოციალისტ-ფედერალისტთა პოლიტიკური პარტია.

ჟენევის კონფერენციის აქტიური მონაწილე იყო ბათუმელი დელეგატი ალ. გაბუნია, რომელმაც 1904 წლის დამდეგს ბათუმში შექმნა მომავალი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბიურო. ორგანიზაციასთან ახლო კავშირი ჰქონდა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს მემედ აბაშიძეს. მოგვიანებით იგი იგონებდა: „სოც.-ფედერალისტების პარტიის პროგრამიდან გულწრფელად მიზიდავდა ბრჭყვიალა იდეა ფედერაციისა ხალხთა ურთიერთთანასწორობის ნიადაგზე, იდეურადაც ამ პარტიას დავუახლოვდი. 1906 წლამდე ამ პარტიის ერთ აქტიურ წევრთაგანად ვითვლებოდი“.[93] სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ დააარსა გაზეთი „ბოლოს ბატუმა“, რომლის წყალობით ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა ქართული ეროვნული იდეების პროპაგანდა ბათუმის ოლქში.

ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები ჟენევის კონფერენციის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის პოლიტიკურ და ოპოზიციურ პარტიათა პარიზის კონფერენციის მუშაობაში, რომლის მიზანი იყო თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიათა კონსოლიდაცია და ერთობლივი გამოსვლების გეგმების შემუშაება. ბათუმელმა სოციალისტ-ფედერალისტებმა პარიზის კონფერენციაზე „ქართველის“ ფსევდონიმით გაგზავნეს გ. დეკანოზიშვილი, ხოლო „კოლხის“ ფსევდონიმით - ალ. გაბუნია. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ კონფერენციის უმთავრესი საკითხების განხილვაში.[94]

ბათუმელი სოციალისტ-ფედერალისტებისათვის მნიშვნელოვანი იყო მონაწილეობა პარიზის კონფერენციაში, სადაც რეალურად დაუკავშირდნენ რუსეთის რევოლუციური და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს და გახდნენ რეალური პოლიტიკური ძალა, რომელსაც დაეკისრა საკუთარი წელილი შეეტანა მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჟენევისა და პარიზის კონფერენციების დოკუმენტები ფართოდ განიხილეს საქართველოს, მათ შორის — ბათუმის ფედერალისტთა ორგანიზაციის წარმომადგენელთა საერთო კრებებზე და მიღებული გადაწყვეტილებებით პარტიულ ორგანიზაციას დაარქვეს „საქართველოს სოციალლისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია“, რაც ქმნიდა ამ პარტიაში სხვა ეროენების წარმომადგენელთა გაერთიანების ფართო შესაძლებლობას.[95]

ჟენევისა და პარიზის კონფერენციათა გადაწყვეტილების შესაბამისად, გააქტიურდა სოციალისტ-ფედერალისტთა ბათუმის ორგანიზაციის საქმიანობა. ბათუმის სათათბიროში, გიმნაზიასა და ქალაქის ზოგიერთ საწარმოში მოქმედი სოციალისტ-ფედერალისტთა ჯგუფები ეკამათებოდნენ სოციალ-დემოკრატებს და სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, რომელთა საქმიანობაში პრიორიტეტული იყო პირადული ინტერესები, სათანადოდ არ იყო შეფასებული ეროვნული საკითხის პირველ რიგში გადაწყვეტის აუცილებლობა; ფედერალისტთა პარტიის ზოგიერთმა ბათუმელმა წევრმა, მაგალითად, ძმებმა ქიქავებმა, პარიზში შეისწავლეს ასაფეთქებელ

[93] მ. აბაშიძე, თხზულებანი, თბ., 1998, გვ. 371.
[94] Журн. «История СССР», №4, 1982, с. 56, 61.
[95] დ.შველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 47, 54-58.

ნიეთიერებათა დამზადება-გამოყენება და ბათუმში მოაწყვეს რამდენიმე თავდასხმა კოლონიური ხელისუფლების წარმომადგენლებზე.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ძირითად ბირთვს ბათუმის ოლქშიც უმთავრესად მაჰმადიანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი - ინტელიგენცია შეადგენდა. საზოგადოების ეს ნაწილი, - აცნობებდა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი პოლიციის დეპარტამენტს, - „მუსლიმანები, რომლებიც ცხოერობენ როგორც ქალაქ ბათუმში, ასევე ზემო და ქვემო აჭარაში, და რომლის სათავეში მემედ და ზია აბაშიძეები დგანან, იმყოფებიან მჭიდრო კავშირში ქართულ ფედერალისტურ პარტიასთან, მიჰყვებიან ამ პარტიის მიზნებს და მოქმედებენ პარტიის პროგრამის მიხედვით."[96]

სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტური ორგანიზაციების გარდა, ბათუმის ოლქში მოქმედებდა სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების), ებრაელთა „ბუნდისა" და სომხური დროშაკისტების პარტიული ორგანიზაციები, აგრეთვე, „ხალხის კავშირის", „მიწათმოქმედთა კავშირისა" და „ქალაქების კავშირის" წარმომადგენლობები.[97]

900-იანი წლების დამდეგს სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაცია საქართველოში დამოუკიდებელი პარტიის სახით არ არსებობდა. ბათუმში იგი ადგილობრივ ჯგუფად სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირში მოქმედებდა, ხოლო იდეოლოგიური მუშაობის თვალსაზრისით 1901-1902 წლების მიჯნაზე რუსეთში შექმნილი სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების) პარტიის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. ამ პროგრამის პროექტი ქუთაისის სოციალისტ-რევოლუციონერთა ჯგუფმა გამოაქვეყნა, მხარი დაუჭირა დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას და ავტონომიური მმართველობის დამკვიდრებას, „რაც შეიძლება ფართო ფედერაციულ დამოკიდებულებას სხვადასხვა ეროენებას შორის".

ბათუმში მომუშავე ესერთა წარმომადგენლებიც იზიარებდნენ პარტიის ძირითად მოთხოვნებს და მიაჩნდათ, რომ „მხოლოდ ამ პროგრამის განხორციელება მისცემს განუწყვეტელი, თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარების საშუალებას კაცობრიობის ყველა მატერიალურ და სულიერ ძალებს, მხოლოდ... მას მივყავართ ხალხთა შორის ერთმანეთში ბრძოლის ყველა... ფორმათა გაუქმებისაკენ, თავისუფლებისაკენ... თანასწორობისა და ძმობისაკენ ყველასი, განურჩევლად სქესისა, ტომისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა".[98]

ბათუმის სოციალისტ-რევოლუციონერთა ჯგუფის, ისევე როგორც თბილისელ ესერთა ჯგუფის, მოქმედება უმრავლეს შემთხვევაში დაკავშირებული იყო რუსეთიდან ამავე პარტიის ხელმძღვანელების ჩამოსვლასა და მათ საქმიანობასთან. ოლქში გაერცელდა ესერთა პარტიის თბილისის ჯგუფის რამდენიმე პროკლამაცია, რომელშიც გადმოცემული იყო კავკასიის მთავარმართებელ გოლიცინზე თავდასხმისა და რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პლეევეს მკვლელობის ფაქტები; პოპულარული გახდა აგრეთვე ბროშურა, რომელიც მოუწოდებდა „მამაცურად და ვაჟკაცურად ებრძოლონ რუსეთის თვითმპყრობელობას. გამარჯვება საეჭვო იქნება, თუ მშრომელმა

[96] აცსა, ფ. 1, ს. 223, ფურც. 14.
[97] ო.გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1910 წლებში. ნაკვეთი I, ქუთ., 1996, გვ. 41-45.
[98] „პლატფორმათა სრული კრებული რუსეთის ყველა პოლიტიკური პარტიებისა", გვ. 27-28 (გამოცემის წელი და ადგილი არ არის აღნიშნული).

გლეხობამ არ გაგამაგრათ... ქალაქის მუშებს და სოფლის გლეხკაცობას ერთი და იგივე ინტერესები აქვს, მუშებიც და გლეხებიც თავისი ნამუშევრით ცხოვრობენ.[99]

ასე რომ, სოციალისტ-რევოლუციონერთა ბათუმის ჯგუფის მიერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საყურადღებო მოთხოვნისადმი მხარდაჭერამ, თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო პროკლამაციებისა და რევოლუციური ლიტერატურის გავრცელებამ, სააგიტაციო-მასობრივი მოძრაობის გაფართოებამ ხელი შეუწყო ბათუმისა და მახლობელი სოფლების მოსახლეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებას, მუშათა საგაფიცვო მოძრაობის გაფართოებას.

ბათუმის ოლქში საქმიანობდა „დროშაკისტების" სომხური ნაციონალისტური ორგანიზაცია. მისი წევრები ძირითადად შემოკრებილი იყვნენ თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილების, ნაწილობრივ კი - მაკედონელის სახელობის ბანკის გარშემო და შესაძლო დახმარებასაც უწევდნენ ოსმალეთიდან ჩამოსულ სომხებს დაბინავებასა და სამუშაოზე მოწყობაში, იარაღის შეძენასა და ფოთის თუ ბათუმის ნავსადგურებიდან ყარსში, არტაანსა და სხვა ადგილებში ტრანსპორტირებაში.[100]

„დროშაკისტებს" მჭიდრო კავშირი ჰქონდათ თბილისელ სომეხ ფაბრიკანტებთან, განსაკუთრებით მეთამბაქოე საქმოსნებთან, რომლებიც, თავის მხრივ, ცდილობდნენ შეეფერხებინათ კონკურენტი, „სამართლიან კომერსანტად" ცნობილი ბათუმელი ბინიატ-ოღლის თამბაქოს საწარმოების მუშაობა. ამასთან, ოსმალეთიდან, ამერიკიდან და სხვა ქვეყნებიდან ლტოლვილი სომხები ცდილობდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიაში დასახლებას. მათ, როგორც ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი ვარაუდობდა, ჰქონდათ „სრულიად განსაკუთრებული მიზანი" - რუსეთის დახმარებით დიდი სომხეთის შექმნა.

უცხოეთის სახელმწიფოებში მოქმედი სომეხთა პოლიტიკური პარტიები თუ ორგანიზაციები ხელს უწყობდნენ შავიზღვისპირეთში სომეხთა მეტი რაოდენობით შემოსვლა-დასახლებას. ამას იმდენად ფართო ხასიათი ჰქონდა, რომ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი მოითხოვდა „გადამჭრელ ზომებს, რათა არ შემოეშვათ... როგორც სომხები, ასევე ანატოლიელი ბერძნები. რაც შეეხება სომხებს, რომლებსაც თურქეთის ხელისუფლებამ უარი უთხრა უკან დაბრუნებაზე", საჭიროა მათი რუსეთის შიდა გუბერნიებში განსახლება.[101]

ბათუმის ოლქში მოქმედებდა, აგრეთვე, პარტია „დაშნაკცუთიუნი", ორგანიზაცია „გნჩაკი" და ებრაელ მუშათა საყოველთაო სოციალ-დემოკრატიული კავშირი „ბუნდი". „დაშნაკცუთიუნის" პარტია სოციალ-დემოკრატიული მიმართულებისა იყო და ძირითადად სომეხი მუშების ინტერესებს გამოხატავდა. ეს პარტია თბილისში 1890 წელს შეიქმნა და მის პირველსავე ყრილობაზე შემუშავდა პარტიის პროგრამა, წესდება და უმთავრესი ტაქტიკური მიმართულებანი: პოლიტიკური მოღვაწეობის გაფართოება, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის დახმარებით სომხეთის განთავისუფლება და ოსმალეთის ფარგლებში ავტონომიური სახელმწიფოს შექმნა.[102]

ხშირი იყო დაპირისპირება „დაშნაკცუთიუნებსა" და „გნჩაკელებს" - ცარიზმის დასაყრდენი ანტიქართული მიმართულების ინტელიგენტებსა და მუშებს შორის. იყო

---

[99] „როგორ უნდა ვიმოქმედოთ", ტფ., 1904, გვ. 2.
[100] ამხფ. 4, ს. 10, ფურც. 17-18.
[101] იქვე, ს. 276, ფურც. 45.
[102] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, გვ. 418-419.

ისეთი შემთხვევა, როცა სომეხმა მუშამ „გრჩაკის“ ორგანიზაცია დატოვა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შეეიდა, მაგრამ იგი ამისათვის სიცოცხლეს გამოასალმეს. სომეხთა ერთი ნაწილის შესახებ კავკასიის მთავარმართებლობას ბათუმიდან აცნობებდნენ: „სომხებმა ძალიან მაღლა აწიეს თავი... ისინი ყოველნაირად ცდილობენ თანამოძმეების დახმარებას თურქეთში და ყოველთვის დაკავებული არიან იარაღის ტრანსპორტირებით სომხეთის ცენტრებში: ერევანში, ალექსანდროპოლში და სხვაგან. როგორც ჩანს, აყალიბებენ შეიარაღებულ ფორმირებებს და თურქეთში აგზავნიან“.[103]

ბათუმის ოლქის სომხობა განსაკუთრებით აქტიურობდა ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობაში და რუს კოლეგებთან ერთად წარმოადგენდა ცარიზმის დასაყრდენ ძალას. ისინი ცდილობდნენ ქალაქის თვითმმართველობის სათავეში თავიანთი წარმომადგენლის გაყვანას და გაიძახოდნენ: „ბათუმში ქალაქისთავი ან სომეხი, ან ქართველი უნდა იქნეს; მაგრამ ქართველებს ამისათვის კაცი არ მოეძებნებათ და... არც უნარი გაქვთ საამისო; ამიტომ ჩვენ, სომხებს, გერჩება სათავეში ჩადგომა“.[104]

ასეთი შეურაცხმყოფელი განცხადების გაკეთებასა და ნაციონალისტური პოზიციების გაძლიერებას ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, ბათუმის ოლქის მრეწველობაში დასაქმებულ და, მეორე მხრივ, ქალაქის თვითმმართველობის სათათბიროში მოკალათებულ სომეხთა სიმრავლე. XX ს. დამდეგს ამ ხელმძღვანელ ორგანოში სომხებს ქართველების შემდეგ მეორე ადგილი ეკავათ. ასეთი თანაფარდობა საბჭოს შექმნიდანვე არსებობდა. ჯერ კიდევ 1888 წ. ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის საბჭოში არჩეული იყო 11 ქართველი, 10 სომეხი, 15 რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი.[105]

1902 წ. მარტში ბათუმის ოლქის ართვინის ოკრუგში სომხურ და მაჰმადიან მოსახლეობას შორის მოხდა შეტაკება. ამის მიზეზი, როგორც ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ატყობინებდნენ, იყო ზოგიერთი ინციდენტი ვაჭრობის სფეროში, მაგრამ იგი მალე ჩაცხრა. „დაშნაკცუთიუნმა“ გააერცელა ინფორმაცია თანამემამულეების შევიწროების შესახებ და მოუწოდა ყველა ართვინელ სომეხს მტკიცედ დაეცვა საერთო ინტერესები, კიდევ უფრო მეტად შემჭიდროვებულიყვნენ საკუთარი ორგანიზაციის გარშემო.

ურთიერთდამოკიდებულება მოსაწესრიგებელი იყო, აგრეთვე, ართვინის ორ საზოგადოებრივ ორგანიზაციას - სომხებისა და მაჰმადიანების ეროვნულ საბჭოებს შორის. ორივე საბჭო მოსახლეობის მხარდაჭერით სარგებლობდა, მაგრამ აგრესიულობით მაინც სომხური საბჭო გამოირჩეოდა, რომელიც ხშირად პროვოკაციებსაც არ ერიდებოდა. არ იყო გამორიცხული, რომ „დაძაბულობა მოსახლეობასაც“ გადასდებოდა, რასაც შეეძლო გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყოლოდა.[106]

ართვინში ამ ორგანიზაციებს შორის დამოკიდებულება არც მომდევნო წლებში გაუმჯობესებულა, თუმცა, სომხური ეროვნული გაერთიანება საკმაოდ ძლიერად გამოიყურებოდა. ამის თაობაზე 1903 წ. ივნისში, ართვინის პოლიციის უფროსი ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს აცნობებდა: „ართვინში მოქმედებს სომხური ეროვნული ორგანიზაცია. მისი ცენტრი ქალაქ ბათუმშია. ორგანიზაციის წევრები

[103] ამხფ. 2, ს. 258, ფურც. 7.
[104] დ.კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, გვ. 55.
[105] ხ.ახვლედიანი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1978, გვ. 207.
[106] აცსა, ფ. 1, ს.ს. 143, 149.

ავრცელებენ პროკლამაციებს სომხურ მოსახლეობაში. ისინი „კარგად არიან შეიარაღებულნი. ხშირად ტარდება მათი შეკრებები, სადაც გაისმის მოწოდება სომხური მოძრაობის ერთიანობის შესახებ“.[107]

ებრაელ მუშათა საყოველთაო სოციალ-დემოკრატიული კავშირი „ბუნდი“ ავტონომიური ორგანიზაციის უფლებით მიიღო რსდმპ I ყრილობამ და მიანიჭა დამოუკიდებლობა იმ საკითხებში, რაც ებრაელი პროლეტარების მდგომარეობას შეეხებოდა. „ბუნდელები“ ძირითადად ბათუმის სამრეწველო საწარმოთა მუშებში საქმიანობდნენ. თავიანთი პროპაგანდით ისინი ხელს ვერ უწყობდნენ ქართველი და რუსი ხალხის დაახლოება-დამეგობრებას, ცდილობდნენ რუსულ საზოგადოებაში გაეძლიერებინათ ებრაელთა სიყვარული, იმყოფებოდნენ ცარიზმის შოვინისტურ წრეებთან ალიანსში, მხარს უჭერდნენ ეკონომისტებისა და სოციალ-დემოკრატი მენშევიკების წარმომადგენელთა შეხედულებებს, ცდილობდნენ ჩამოეგდოთ შუღლი მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის.

1904 წ. ბოლოსა და 1905 წ. დამდეგს დაიხურა ბათუმის სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა და 5 ათასზე მეტი მუშა უმუშევარი დარჩა. მათი დიდი ნაწილი დაბრუნდა დასავლეთ საქართველოს რაიონებში, თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში. ამით გაუარესდა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, გართულდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, დაცარიელდა სავაჭრო ქსელი, შემცირდა სამგზავრო-სატვირთო საზღვაო რეისები. ნავთობი საზღვარგარეთ გაჰქონდათ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და ისიც უცხოური გემების საშუალებით, ქალაქში მომრავლდა ქურდობის, მკვლელობისა და ბანდიტიზმის შემთხვევები.

რსდმპ ბათუმის კომიტეტი ადრინდელი შემართებით ვეღარ ხელმძღვანელობდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მოძრაობას. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ კავკასიის მთავარმართებლისადმი გაგზავნილი შეტყობინება, რომელშიც კომიტეტის საქმიანობა მოჭარბებული სიძულვილითაა დახასიათებული, თუმცა, ზოგიერთი ფაქტი, ნაწილობრივ მაინც, შეესაბამება სინამდვილეს: „რსდმპ ბათუმის კომიტეტის აგიტაციის შედეგად მკვლელობებმა, ქურდობამ და ბანდიტიზმმა მიიღო სახიფათო ხასიათი. მათი უმრავლესობა დაუსჯელია... ამ დანაშაულებრივი კომიტეტის წევრები თავადაც აქტიურად მონაწილეობენ მკვლელობაში, ქურდობაში, დაშინებაში, რბევაში“.[108]

ასეთ მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში სოციალ-დემოკრატი ახალგაზრდობის საქმიანობასა და მისწრაფებას — იარაღით დაემხოთ არსებული რეჟიმი, — არ ეთანხმებოდა მოსახლეობის უფროსი თაობის გარკვეული ნაწილი. მას ეს მიზანი მიაჩნდა ახალგაზრდა თაობის თავაშვებულობად და განუკითხაობად, რის გამოც მათ შორის სულ უფრო ძლიერდებოდა უკმაყოფილება. ამის თაობაზე იმავე დოკუმენტში ნათქვამია: „ბათუმისა და კინტრიშის საპოლიციო უბნების მოსახლეობაში მოხდა განხეთქილება ძველ და ახალ თაობას შორის... მოსახლეობის დიდი ნაწილი დაშინებულია ყოველდღიური ტერორით, მკვლელობით, ქურდობით და მზად არის ამოუდგეს მთავრობას გეერდში ასეთი კომიტეტების დამღუპველი საქმიანობის ასალაგმავად“.[109]

---

[107] იქვე, ს. 210.
[108] ამხუ. 2, ს. 261, ფურც. 13.
[109] იქვე. ფურც. 15-16.

ბათუმის ოლქში მოქმედებდა. აგრეთვე, რამდენიმე წერილი ორგანიზაცია და საზოგადოება, მათ შორის „მიწათმოქმედთა კავშირისა“ და „მოქალაქეთა კავშირის“ ორგანიზაციები, თუმცა, მათ საზოგადოებაში არ ჰქონდათ რამდენადმე მნიშვნელოვანი გავლენა.

§3. მუშათა და გლეხთა მოძრაობა 1900-1904 წლებში

ბათუმის მუშების პირველი სერიოზული შეტაკება ადმინისტრაციასთან მოხდა როტშილდის ქარხანაში 1902 წლის დამდეგს. ქარხანაში ხანძარი გაჩნდა, ადმინისტრაციამ მუშებს ხანძრის ჩაქრობისათვის შეპირებული დამატებითი ანაზღაურება არ გადაუხადა. მოტყუებულმა მუშებმა მიმართეს რსდმპ ბათუმის კომიტეტს, რომლის რჩევით ისინი შემოერტყნენ ქარხნის მთავარ კანტორას და მოითხოვეს შრომის ანაზღაურება. ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მუშები და გაეცა 3500 რუბლი.[110]

რსდმპ ბათუმის კომიტეტმა გამოიყენა გამარჯვების ეს ფაქტი და აქტიური აგიტაცია გააჩაღა ქალაქის ზოგიერთ სხვა საწარმოში (მაგ. მანთაშევის ქარხანაში), სადაც მუშათა მდგომარეობა უფრო მძიმე იყო.

1902 წლის იანვრის დამდეგს ქარხნის დირექტორმა ტერ-აკოფოვმა არ აღადგინა უმიზეზოდ დათხოვნილი მუშები. მაშინ ქარხნის მუშებმა პროტესტის ნიშნად 31 იანვარს საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. ადმინისტრაციამ მიმართა პოლიციას, რომლის განკარგულებით დააპატიმრეს 112 მუშა. ბათუმის გარნიზონის უფროსმა პოლიციას ერთი ბატალიონიც მიაშველა, მაგრამ გაფიცულნი ამან ვერ შეაშინა. პირიქით, მათ ადმინისტრაციას წაუყენეს ახალი მოთხოვნები: დაპატიმრებულთა გათავისუფლება, რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღება, ზრდილობიანი მოპყრობა, ხელფასის 10% მომატება, ჯარიმების ფულის მუშებისათვის დაბრუნება, დირექტორის სამუშაოდან დათხოვნა.[111]

საყოველთაო გაფიცვა გაგრძელდა, ქარხანა უმოქმედოდ იდგა, მეპატრონეს ზარალი მოსდიოდა. ბოლოს თვით მანთაშევმა პოლიციის წინაშე იშუამდგომლა დაპატიმრებულთა გათავისუფლებისათვის და მუშებს პირობა მისცა, რომ დააკმაყოფილებდა მათ სხვა მოთხოვნებსაც. მართლაც, დაპატიმრებულნი გაათავისუფლეს, მუშებს აუნაზღაურეს გაფიცვის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების ხელფასი, საპატიმროდან განთავისუფლებულებსაც მიეცათ 30-30 რუბლი.[112]

ამრიგად, მანთაშევის ქარხნის მუშათა ეს გაფიცვაც, რომელიც 18 დღე გაგრძელდა, გამარჯვებით დამთავრდა. ამით საგრძნობლად ამაღლდა რსდმპ ბათუმის კომიტეტის აუტორიტეტი.

1902 წლის 26 თებერვალს, ნავთობზე მოთხოვნის შემცირების მომიზეზებით, როტშილდის ქარხნის ადმინისტრაციამ დაითხოვა 389 მუშა. შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი, რომელსაც ი. სტალინი მეთაურობდა. 27 თებერვალს „ქარხანაში არც ერთი

[110] ამხგ. 2, ს. 21, ფურც. 12.
[111] იქვე. ფ. 5, ს. 95, ფურც. 14-17.
[112] Газ. «Искра», №20, 1 мая 1902 г.

მუშა არ დარჩენილა... იქ ქვეითი ჯარის ნაწილები ჩააყენეს და ქარხანას ის იცავდა".[113] ადმინისტრაციამ პოლიციას მიმართა. ბათუმში ჩამოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალი სმაგინი. 2 მარტს რსდმპ ბათუმის კომიტეტმა როტშილდის მოწინავე მუშებისაგან შეადგინა დელეგაცია გუბერნატორთან შესახვედრად, მაგრამ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

მანთაშევისა და როტშილდის ქარხნების ამბებმა ბიძგი მისცეს მუშათა მოძრაობის აღმავლობას ქალაქის სხვა საწარმოებშიც. 5 მარტს გაიფიცნენ სიდერიდისის ქარხნის მუშები და საფაბრიკო ინსპექტორს წარუდგინეს მოთხოვნები 120 მუშის ხელმოწერით. დადებითი პასუხის ნაცვლად 7 მარტს დააპატიმრეს 40 მუშა. იმავე დღეს გაფიცვას შეუერთდნენ ხაჩატრიანცის ქარხნის მუშებიც. 8 მარტს გაიმართა გაფიცულთა მასობრივი მანიფესტაცია. დღის 1 საათზე 800-მდე დემონსტრანტი შეიკრიბა პოლიციის სამმართველოსთან და მოითხოვა დაპატიმრებულთა გათავისუფლება. პოლიციელებმა ვერ გაფანტეს დემონსტრანტები. მაშინ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მითითებით „ადმინისტრაციამ მიმართა ეშმაკობას: დაპატიმრებულნი გაათავისუფლეს და სთხოვეს დაბრუნებულიყვნენ სახლში... დემონსტრანტებს უცდიდა სალდათების ორი ასეული, რომლებიც თავს დაესხნენ მათ და ისინი შერეკეს ყაზარმაში".[114] ამ ხერხით 300-ზე მეტი დემონსტრანტი დააპატიმრეს და ადრე დატუსაღებულ მუშებთან ერთად მოათავსეს ე.წ. „საეტაპო ყაზარმაში".[115]

დემონსტრანტების დაპატიმრებამ აღაშფოთა მუშები. 8 მარტს ღამით ბათუმის კომიტეტმა ქალაქის ფაბრიკა-ქარხნების სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა შეკრებაზე შეიმუშავა პოლიტიკური დემონსტრაციის ჩატარების პროგრამა, რომელიც მეორე დღესვე განხორციელდა. მასში მონაწილეობდა მანთაშევის, როტშილდის, ნობელის, სიდერიდისის, ხაჩატრიანცის, პასეკის, კაპლანის, ბინიატოღლის, ჩილინგარიანისა და სხვა საწარმოთა 6000-მდე მუშა. დემონსტრანტები დილის 9 საათზე გაემართნენ საეტაპო ყაზარმებისაკენ. როტშილდის ქარხნის მუშებმა თეოფილე გოგიბერიძემ და მიხეილ ხირიმიანცმა, დემონსტრანტთა სახელით, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწეს პოლკოვნიკ დრიაგინს მოსთხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება. დრიაგინმა უარი განაცხადა და დემონსტრაციას დაშლისაკენ მოუწოდა. მუშები არ დაემორჩილნენ. სპეციალურად მოწვეული მსროლელი ბატალიონის ჯარისკაცები დემონსტრანტებს დაერივნენ და კონდახებით ცემაც დაუწყეს. მუშები ხელდახელ შეებნენ ჯარისკაცებს, რომლებმაც უიარაღო დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს. მოკლეს 15, დაიჭრა 54 მუშა.[116] დემონსტრაციის ხუთასამდე მონაწილე დააპატიმრეს, 21 მუშა პასუხისგებაში მისცეს.

დაღუპული მუშები დაკრძალეს 12 მარტს. პროცესიას მიაცილებდა ხუთი ათასამდე კაცი. გავრცელდა პროკლამაცია, რომელიც მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით: „დიდება თქვენ, სიმართლისათვის დაღუპულნო... თქვენს აჩრდილებს, რომლებიც გამუდმებით თავს დაგეტრიალებენ და ჩაგვჩურჩულებენ, სისხლი აიღეთო!"[117] სიტუაციის

[113] ამხ, ფ. 5, ს. 84, ფურც. 8.
[114] Газ. «Искра», №20, 1 мая 1902 г.
[115] ამხ, ფ. 5, ს. 95, ფურც. 1-2.
[116] Газ. «Искра», №20, 1 мая 1902 г., Газ. «Заря», №3, 30 мая 1902 г. იხ. აგრეთვე ქუთაისის ეანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს ბათუმის საოლქო განყოფილების უფროსის თანაშემწის როტმისტრ ჯაყელის 1905 წლის 16 ოქტომბრის მოხსენება („ბათუმის დემონსტრაცია 1902 წელს", თბ., 1939, გვ. 177-179).
[117] საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 8, ან. 4, ს. 479, ფურც. 1.

განტვირთვის მიზნით ხელისუფლებამ პასუხისგებაში მიცემული ყველა მუშა გაათავისუფლა.

1902 წ. 9 და 12 მარტის ამბების შემდეგ საგაფიცვო მოძრაობამ ბათუმში შედარებით მასობრივი ხასიათი მიიღო. გახშირდა გამოსვლები ხელისუფლებისა და ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთა წინააღმდეგ. ერთი წლის მანძილზე აქ 30-მდე გაფიცვა მოეწყო.

ბათუმის ამბებმა ქვეყანაში მძლაერი გამოძახილი გამოიწვია და პოლიტიკური მნიშვნელობა მოიპოვა, რაც ხაზგასმით აღნიშნა რსდმპ III ყრილობამ. გაზ. „ისკრა" წერდა: „მუშათა მოძრაობის არც ერთ ძველ ცენტრში, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ბრძოლაში, პეტროგრადში, მოსკოვში, კიევში, ხარკოვში, ოდესაში - 1902-1903 წწ. მთელ სააგიტაციო პერიოდში არ მოხერხდა მოგვეწყო თუნდაც რამდენადმე მნიშვნელოვანი დემონსტრაცია... ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ბათუმის კომიტეტი. სწორედ ამიტომ პატარა ბათუმს უფლება აქვს მიულოცოს თავის თავს მიმდინარე წლის 9 მარტის დემონსტრაცია."[118]

რევოლუციური მუშაობის შემდგომი გაშლის მიზნით რსდმპ ბათუმის კომიტეტმა მარტის მეორე ნახევარში მოიწვია სოფლებიდან (გასახლებიდან) დაბრუნებული მუშების არალეგალური შეკრება, მისცა მათ კონკრეტული დავალებები და გაატანა არალეგალური ლიტერატურა დასავლეთ საქართველოს გლეხობაში გასავრცელებლად. ფოთის ნავსადგურის მუშებს ბათუმის ამბები გააცნო და 9 მარტის დემონსტრაციასთან დაკავშირებით დაბეჭდილი პროკლამაციები დაურიგა ბათუმის კომიტეტის წარმომადგენელმა იელიანე შაფათავამ, ჭიათურაში კი - როტშილდის ქარხნის მუშამ მირიან ხომერიკმა.

ბათუმის მუშათა მოძრაობის ასეთმა აღმავლობამ დააშინა ადგილობრივი ხელისუფლება, თუმცა პოლიციისა და ჟანდარმერიის დახმარებით მან შეძლო აღმოეჩინა და 1902 წლის 5 აპრილს დაეპატიმრებინა მუშათა ხელმძღვანელები და მოძრაობის აქტიური მონაწილენი - ბათუმის კომიტეტის წევრები, მათ შორის სოსო ჯუღაშვილი (სტალინი).

ი. სტალინის დაპატიმრების შემდეგ ბათუმში 1902 წ. მაისში სამუშაოდ ჩამოვიდნენ გიორგი ელისაბედაშვილი და დავით ღამბაშიძე. გააძლიერეს მუშაობა კარლო ჩხეიძემ და ისიდორე რამიშვილმა. მათ დასახმარებლად თბილისიდან ჩამოვიდა „მოხევის" ფსევდონიმით ცნობილი სოციალ-დემოკრატი დავით ხართიშვილი. მალე დ. ღამბაშიძე დააპატიმრეს და იგი შეცვალა მიხეილ დავითაშვილმა, რომელიც გ. ელისაბედაშვილთან ერთად ხელმძღვანელობდა რსდმპ ბათუმის კომიტეტის მუშაობას.[119] აქაური პროლეტარიატი თავისი პოლიტიკური შეგნებულობითა და დარაზმულობით ერთ-ერთი მოწინავე იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

1902 წ. 22 ივნისს მუშათა გამარჯვებით დამთავრდა როტშილდის ქარხანაში სამთვიანი გაფიცვა: მათ გაუზარდეს ხელფასი, ნახევარი საათით შეუმცირეს სამუშაო დღე, კვირას და უქმე დღეების წინ შემოიღეს 8-საათიანი, ხოლო ბავშვებისათვის — 5-საათიანი სამუშაო დღე, ხელფასსე აიკრძალა ყოველგვარი გამოქვითვა. სოფლებში გასახლებული 500-მდე მუშა ქარხნის დირექტორმა უკანვე გამოიძახა და აღადგინა სამუშაოზე. ამასთან, თითოეულ მათგანს ნაცდურისათვის გასამრჯელოდ მიეცა 40-50 რუბლი.

---

[118] Газ. «Искра», №43, 1 июля 1903 г.
[119] ამხე. 5, ს. 53.

„აი ასეთი გამარჯვებით გათავდა ჩვენი ხანგრძლივი გაფიცვა... - ნათქვამია ბათუმის სოციალ-დემოკრატთა ხელმოწერით 29 ივნისს შედგენილ პროკლამაციაში „ამხანაგებო-მუშებო!" - ყველა ამბებმა... აშკარად დაგვანახა, რომ ჩვენი ძალა ჩვენს კავშირშია და მხოლოდ ჩვენს ერთობას შეუძლია დაგლიჯოს ის ჯაჭვები, რომლითაც შებოჭილი ვართ დღევანდელი წყობილებისაგან".[120] როტშილდის ქარხნის მუშათა წარმატებამ აამაღლა მუშების საბრძოლო განწყობილება.

საგაფიცვო მოძრაობის აღმავლობით დაშინებულმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ დახმარებისათვის მიმართა ცენტრალურ მთავრობას. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით 1902 წ. 22 ივნისიდან ბათუმში შემოიღეს დაცვის წესები: გაიზარდა ჟანდარმებისა და პოლიციელთა რიცხვი, აიკრძალა ხალხთა თავმოყრა ქუჩებში, მოედნებზე, სადგურსა და საზოგადოებრივ ადგილებში, აგრეთვე იარაღის ტარება, თუ ვინმე რომელიმე ამ მოთხოვნას დაარღვევედა, 500 რუბლით ჯარიმდებოდა, ან მიესჯებოდა 3 თვით პატიმრობა.[121]

რეპრესიების მიუხედავად, ბათუმში საგაფიცვო მოძრაობა არ შეწყვეტილა. მუშები თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ კარგად ორგანიზებული გაფიცვებით შეიძლებოდა შრომითი პირობების ერთგვარი გაუმჯობესება.

1902 წ. ოქტომბერში კვლავ გაიფიცნენ როტშილდის ქარხანაში. მუშებმა მოითხოვეს დაებრუნებინათ წინა წლებში ჯარიმებისა და დაქვითვების სახით უკანონოდ მითვისებული თანხა, რომელიც ნახევარ მილიონ რუბლს აღემატებოდა. ქარხნის დირექტორი შეპირდა მუშებს, რომ ამის შესახებ აცნობებდა ფირმის მთავარ კანტორას პარიზში და მისი მითითებით იმოქმედებდა. მუშებმა პასუხის მიღებამდე განაახლეს მუშაობა.

28 ოქტომბერს როტშილდის ქარხნის დირექტორმა მუშებს გამოუცხადა, რომ მთავარმა კანტორამ უარი თქვა ფულის გაცემაზე. ამას 29 ოქტომბრიდან მუშათა გაფიცვა მოჰყვა. კავკასიის მთავარმართებლის მითითებით, ბათუმში ჩამოსული ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი და სხვა ოფიციალური პირები 31 ოქტომბერს დაესწრნენ ქარხნის მუშათა კრებას. მთავარი საფაბრიკო ინსპექტორის აზრით, გაფიცვა უკანონო იყო, რადგან 1902 წ. ივნისამდე მოქმედებდა ჯარიმებისა და გამოქვითვის სისტემა. ქარხნის დირექტორი სამხედრო გუბერნატორის თანდასწრებით კრების მონაწილეებს შეჰპირდა, მუშაობის განახლებისა და კეთილსინდისიერი შრომის ვითარებაში მთავარი კანტორის წინაშე 1903 წ. იანვარში აღძრავდა შუამდგომლობას მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მუშებმა მიიღეს დირექტორის თხოვნა-წინადადება და განაახლეს მუშაობა.[122] მაგრამ ადმინისტრაციამ დაპირება ვერ შეასრულა და 9 დეკემბერს ამ საწარმოში ახალი გაფიცვა დაიწყო, რომელიც თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. მთავარმართებლის მითითებით, 13 დეკემბერს ბათუმში კვლავ ჩამოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, რომელიც მეორე დღესვე შეხვდა ქარხნის მუშებს და დაემუქრა: ვინც არ განაახლებდა შრომით საქმიანობას, მას სამუდამოდ აეკრძალებოდა მუშაობა. საბოლოოდ, როტშილდის ქარხნის ადმინისტრაციამ თითქმის ყველა მუშა დაითხოვა და საწარმოს დასაცავად მოიწვია ჯარის ნაწილები.

---

120 „ბათუმის დემონსტრაცია 1902 წელს", გვ. 32.
121 ამხ, ფ. 2, ს. 15.
122 იქვე, ფ. 2, ს. 18, ფურც. 2.

როტშილდის მუშათა გაფიცვას მოჰყვა გამოხმაურება როგორც საქართველოს სხვადასხვა რაიონში, ისე ცენტრალურ რუსეთშიც. გაზეთი „ისკრა“ წერდა: „1902 წლის 9 დეკემბრიდან... გაიფიცა 1500 მუშა როტშილდის საწარმოებში... მოითხოვენ ყველა საჯარიმო ფულის დაბრუნებას და საჩუქრებს... ერთი თვის ხელფასის რაოდენობით... ჯარიმების ფული დაახლოებით 600 ათასი რუბლი დაგროვდა. 21-ში ყველა მუშა დაითხოვეს. კანტორაში ჯარისკაცები მორიგეობენ“.[123]

როტშილდის ქარხნის ყველა დაკეთა ხაჩატრიანცის ქარხანას გადაეცა, მაგრამ 12 ნოემბერს მუშები იქაც გაიფიცნენ. მათ მხარი დაუჭირეს სიდერიდისის, მანთაშეევის, ნობელისა და სხვა საწარმოთა მუშებმაც. სიდერიდისის ქარხანაში მოითხოვეს ზედმეტ საათებში ადრე შესრულებული სამუშაოსა და დაქვითვების ანაზღაურება. ადმინისტრაციისა და მთავარი საფაბრიკო ინსპექტორის დაპირებამ მუშები ვერ დააკმაყოფილა. მაშინ ადმინისტრაციამ განიზრახა საწარმოს შრომითი კოლექტივი ახალი მუშებით შეეცვალა, რაც ვერ განახორციელა თვით მუშების წინააღმდეგობის გამო.

როტშილდის ქარხნის ადმინისტრაცია შეეცადა რომელიმე მოწინავე მუშის დასაჩუქრება-მოსყიდვას. ამ მიზნით გავლენიან მუშა ნ. სანაძეს დიდძალ საჩუქარს შეჰპირდა, თუ იგი დაეხმარებოდა გაფიცვის შეწყვეტასა და მუშაობის განახლებაში, მაგრამ ამან ხელმძღვანელობას შედეგი ვერ მოუტანა. 16 ნოემბერს პოლიციის თანხლებით ქარხანაში მივიდა პოლკ. მ. დრიაგინი და მუშებს მოსთხოვა გაფიცვის შეწყვეტა. შეხვედრის ბოლო ეტაპზე მუშების მხოლოდ მცირე ნაწილი (31 კაცი) მტკიცედ მოითხოვდა წაყენებული პირობების შესრულებას. საფაბრიკო ინსპექტორმა მუშათა ეს ჯგუფი გაფიცვის ორგანიზატორებად ჩათვალა და მათი დაპატიმრება მოითხოვა.[124]

მთავრობამ ბათუმის ოლქის სამოქალაქო ადმინისტრაციის დასახმარებლად ერთი ქვეითი ბატალიონი გამოგზავნა, ხოლო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით, 21 დეკემბერს სამუშაოდან დაითხოვეს და ბათუმიდან გაასახლეს 1500-ზე მეტი მუშა. მეფის ხელისუფლება ამაოდ ცდილობდა ულუმპაპუროდ დარჩენილ მუშათა საბრძოლო განწყობილება შიმშილით გაეტეხა. გაფიცულ მუშებს ეხმარებოდა ბათუმის კომიტეტის „ბრძოლის სალარო“.[125]

მუშების ერთსულოვნების გამო ხელმძღვანელობამ ვერ გაბედა ყირიმიდან ან ნოვოროსიისკიდან ჩამოსულ უმუშევართა სამუშაოზე აყვანა და იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო - 1903 წ. 13 იანვარს სამუშაოზე აღადგინეს ყველა დათხოვნილი.

ბათუმელი სოციალ-დემოკრატების გამარჯვება იყო ისიც, რომ მუშათა მოთხოვნით როტშილდის ქარხანაში შესვლა ყველასათვის თავისუფალი გახდა. ამით სარგებლობდნენ „გარეშე პირები“ და მუშებს შორის თავისუფლად აერცელებდნენ პროკლამაციებსა თუ აკრძალულ ლიტერატურას. მაშასადამე, XX ს. დამდეგს ეს ქარხანა რევოლუციური იდეების პროპაგანდის კერა გახდა.

ორგანიზებულად წარიმართა ბინიატ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა გამოსვლაც. ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნებს აქ პოლიტიკურიც დაემატა. ქუთაისის გუბერნიის მთავარი საფაბრიკო ინსპექტორის თხოვნა-დაპირების მიუხედავად, მეთამბაქოეთა გაფიცვა მაინც გაგრძელდა. ამიტომ 28 იანვარს დააპატიმრეს 7

[123] Газ. «Искра», №33, 1 февраля 1903 г.
[124] აცსა, ფ. 1, ს. 9, ფურც. 15.
[125] სცსსა, ფ. 5, ს. 6, ფურც. 237.

აქტიური მუშა, მაგრამ უშედეგოდ. ფაბრიკის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მუშათა მოთხოვნები.[126]

1903 წ. 7-8 მარტს მიმდინარეობდა 1902 წ. 9 მარტის დემონსტრაციის მონაწილე 21 მუშის გასამართლება. 9 მარტს სრულდებოდა, აგრეთვე, 1902 წლის მარტის სისხლიანი ტრაგედიის წლისთავი. რსდმპ ბათუმის კომიტეტმა ქალაქის მუშებს მოუწოდა: „ჩვენ არ უნდა დავიიწყოთ ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა წმინდა სახელები. ჩვენს გულში გავათბოთ მათი ცივი სამარეები, ამხანაგების გაცივებული სხეულები... 9 მარტი... ეკუთვნის ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგებს! დღეანდელ დღეს ჩვენ... კიდევ უფრო მეტი გაცხოველებით განვიხილავთ, თუ როგორ უნდა ვიძიოთ შური... ჩვენი ამხანაგების სისხლისათვის!“[127]

ქუთაისის საოლქო სასამართლომ, რომელიც დაინტერესებული იყო დაპატიმრებული მუშების მკაცრად დასჯით, მოწმეებად მიიწვია გუბერნატორის, ჟანდარმთა სამმართველოს უფროსისა და ბათუმის პოლიცმაისტერის მოადგილეები, ქალაქის უბნების ბოქაულები, სხვა ოფიციალური პირები. ამის მიუხედავად, პეტერბურგიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური ადვოკატების დაცვის წყალობით, სასამართლომ 21 ბრალდებულიდან 19 გაამართლა, ორს კი შეუფარდა მხოლოდ რამდენიმე თვის პატიმრობა.[128]

1903 წ. 9 მარტს ბათუმის მუშების ერთმა ჯგუფმა ადვოკატებს დიდი მადლობა გადაუხადა, ხოლო 3000-იანმა დემონსტრაციამ ისინი რკინიგზის სადგურიდან წითელი დროშებით, რევოლუციური სიმღერებით და დიდი ოვაციებით გააცილა.

1903 წ. აპრილში მუშათა ორგანიზებული გაფიცვები მოეწყო როტშილდის, სიდერიდისის, ხაჩატრიანცის, ნობელის, მანთაშევისა და სხვა ქარხანაში. ხელმძღვანელები იძულებულნი გახდნენ მუშებისათვის სრულად აენაზღაურებინათ გაფიცვის დღეების ხელფასი. მწვავე იყო ნავსადგურის მტვირთავებისა და ხაჩატრიანცის ქარხნის მუშათა გაფიცვები. 21 აპრილს საღამოს 5 საათზე ნავსადგურის 300-მდე მუშა მივიდა ჟანდარმთა საოლქო სამმართველოში და მოითხოვა ხელფასის გადიდება, მაგრამ მათ კაზაკები დაერივნენ, აქტიური მუშებიც დააპატიმრეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხაჩატრიანცის ქარხანა დაიხურა.[129]

1903 წლის იელისში მოკლეს ბათუმის კომიტეტის წევრი სილ. ლომჯარია. მის დაკრძალვაში, რომელიც დემონსტრაციად გადაიქცა, მონაწილეობდა 3000 კაცი. დემონსტრანტებმა „მარსელიოზას“ სიმღერით ჩაიარეს ქალაქის ქუჩები.[130]

1903 წ. იელისში მოეწყო ბათუმის მუშათა საყოველთაო გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობდნენ ხელოსნები, რკინიგზის მეისრეები, მეეტლეები, ნოქრები, მემანქანეთა თანაშემწეები და სხვ. ფაქტობრივად ბაქოს საყოველთაო გაფიცვის გამოძახილი და მხარდაჭერა იყო გაფიცვა, რომელიც 16 იელისს დაიწყო. უკვე მეორე დღეს 6 ათასამდე გაფიცულის მონაწილეობით გაიმართა მიტინგები, სადაც ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე წარმოთქვეს პოლიტიკური სიტყვები. რკინიგზის სადგურის უფროსის თანაშემწემ და დეპოს უფროსმა გამოიყვანეს ორთქლმავალი, დეპოსა და ზოგიერთი სხვა ობიექტის დასაცავად გაიგზავნა ჯარისკაცები. დაიკეტა ქალაქის

126 ამხ, ფ. 2, ს. 22.
127 იქვე, ფ. 4, ს. 1.
128 „ბათუმის დემონსტრაცია 1902 წელს“, გვ. 232-233.
129 საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 31, ს. 36, ფურც. 102-111.
130 Газ. «Искра», №45, 1 августа 1903 г.

ყველა მაღალია და დუქანი. გაფიცვამ მიიღო საყოველთაო, მასობრივი და პოლიტიკური ხასიათი.

ბათუმის იელისის ამბებმა შეაშფოთა კავკასიის მთავარმართებელიც. მან წინადადება მისცა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს – ყველა ზომა ეხმარა ქალაქში „წესრიგის დასამყარებლად", თუ საჭირო იქნებოდა იარაღის გამოყენებითაც. მანვე ბათუმის გარნიზონის კომენდანტს დაავალა სამხედრო ნაწილებით დახმარებოდა ადგილობრივ ხელისუფლებას საგაფიცვო მოძრაობის ჩახშობაში.

ბათუმის კომიტეტმა დაბეჭდა და გააავრცელა მუშებისადმი საბრძოლო მოწოდება, რომელშიც ნათქვამია: „ნეენც შევუერთდეთ ბაქოელ და თბილისელ ამხანაგებს, ნეენც ძმურად ნაეჭიდოთ ხელი ერთმანეთს და საერთო ძალებით... შევარყიოთ რუსეთის მეფის ტახტი... ფიცი დადეთ, ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებო, მტვირთავებო, სტამბის მუშებო... ნოქრებო; დაე, შეწყდეს ყოველგვარი წარმოება... ბურჟუაზიის სიცოცხლე".[131]

18 ივლისს, დღის 2 საათზე, 2000-მდე გაფიცული მუშა შეიკრიბა ელექტროსადგურის მახლობლად და გამართა მიტინგი. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს (1903 წ. ბათუმის ოლქი ადმინისტრაციულად ქუთაისის გუბერნიას გამოეყო, სამხედრო გუბერნატორი გახდა მ. დრიაგინი) გაფრთხილებული პყავდა ქალაქის ხელისუფლება – არ დაეშვა მუშათა მიტინგები და დემონსტრაციები, ხოლო საჭირო შემთხვევაში გამოეყენებინა კაზაკების, პოლიციელებისა და ცხენოსან ჩაფართა რაზმები. უიარაღო მუშებს ცეცხლი გაუხსნეს. დაიღუპნენ ფირცხალაიშვილი, გორდელაძე და სხვ.

20 ივლისს, საღამოს, რსდმპ ბათუმის კომიტეტმა მუშათა ოთხდღიანი საყოველთაო-პოლიტიკური გაფიცვა დამთავრებულად ჩათვალა და ზოგიერთ საწარმოში მუშაობაც განახლდა, თუმცა, ამას მ. დრიაგინი მხოლოდ დროებით მოელენად მიიჩნევდა და კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიას აცნობებდა: „მუშების მხრივ ყოველდღე მოველი ახალ აფეთქებას, რადგან მღელვარების მიზეზები კელავ მოუწესრიგებელია, ხოლო მუშათა აგიტატორები კიდევ არ არიან გამომეღავნებული".[132]

რსდმპ ბათუმის კომიტეტი შეეცადა ჩაეშალა ქალაქის რეაქციული წრეების განსრახვა აზიზიეს მოედანზე იაპონიასთან ომის მხარდასაჭერად მოეწყოთ „პატრიოტული მანიფესტაცია". 2 თებერვალს, დილით, 500-მდე მუშამ გაფანტა ე.წ. „პატრიოტული მანიფესტაცია" და წითელი დროშებით შემოიარა ქალაქის მთავარი ქუჩები, გააერცელა რევოლუციური პროკლამაციები. მუშებს მიჰქონდათ პლაკატები წარწერით: „ძირს მეფის თვითმპყრობელობა!", „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!".[133]

ამ საპროტესტო დემონსტრაციამ გააააქტიურა რევოლუციური ძალები. 4 თებერვალს გაიფიცნენ მანთაშევის პირველი ქარხნის მუშები, 12 თებერვალს - როტშილდის ქარხნისა. 9 მარტის ბათუმის ცნობილი დემონსტრაციის ორი წლის თავზე გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო.[134]

1904 წლის მარტის მეორე ნახევარსა და აპრილში ბათუმის მოწინავე მუშების დაპატიმრების გამო დროებით შენელდა საგაფიცვო ბრძოლა. „მაისის დღესასწაულის

131 „რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903-1905 წწ.)", თბ., 1955, გვ. 48.
132 სცსსა, ფ. 39, ს. 575, ფურც. 74-75.
133 იქვე, ფ. 23, ს. 37, ფურც. 2-6.
134 იქვე, ფ. 39, ს. 662, ფურც. 5.

წინ, — აღნიშნავდა მ. ცხაკაია რსდმპ III ყრილობაზე. — ბათუმის მთელ რაიონში... იყო აგიტაცია არა მარტო ქალაქში, არამედ სოფლადაც... შეიარაღებული იყო თითქმის ყველა, მაგრამ გვეშინოდა ტყუილუბრალოდ დარბევისა".[135]

1904 წ. მაისის მეორე ნახევრიდან მუშათა მოძრაობამ უფრო ორგანიზებული, შემტევი ხასიათი მიიღო. გაიფიცნენ ნავსადგურის მტვირთავები, კაპლანის მექანიკური ქარხნის, როტშილდის, მანთაშევის და ზოგიერთ სხვა საწარმოთა მუშები. ასეთ ვითარებაში სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას რსდმპ ბათუმის კომიტეტის წევრებთან ერთად ეწეოდნენ პროფესიონალი რევოლუციონერები: გ. სტურუა, ე. ტარატუტა, გ. ღლონტი, კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელები - გ. ფედოროვი, კ. ავალიანი და სხვ. მათი დახმარებით ჯარისკაცთა შორისაც წარმატებით ტარდებოდა პოლიტიკური შინაარსის სააგიტაციო საუბრები, ერცელდებოდა პროკლამაციები. ჯარისკაცები ინტერესით ეცნობოდნენ რსდმპ თბილისის კომიტეტის პროკლამაციას - „ძმებო ჯარისკაცებო!", იწონებდნენ, აგრეთვე, ბათუმის კომიტეტთან მოქმედი სამხედრო ორგანიზაციის მიერ გამოცემული გაზეთის „დრუგ სოლდატას" წერილებს.

1904 წ. მეორე ნახევრის ამიერკავკასიის რევოლუციურ გამოსვლებში თვალსაჩინო ადგილი უკავია ბაქოს მუშათა დეკემბრის საყოველთაო გაფიცვას, რომელიც 18 დღეს გაგრძელდა და ნავთობმრეწველთა და გაფიცულ მუშებს შორის კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებით დამთავრდა.

ბაქოს მუშათა გაფიცვას მაშინვე გამოეხმაურა ბათუმის პროლეტარიატი. შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი, ჩატარდა მუშათა კრებები (ბარცხანაში, გოროდოკში, ფერიასა და სხვ.). 20 დეკემბერს, დილის 10 საათზე, მოეწყო ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების, ნავსადგურისა და დეპოს მუშების დემონსტრაცია, რომელშიც 4000-მდე კაცი მონაწილეობდა. დემონსტრანტებმა აღმართეს წითელი დროშები და მიმოაბნიეს რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე დაბეჭდილი პროკლამაციები. დემონსტრანტებმა საბრძოლო ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა!", „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!" — გაიარეს ქალაქის მთავარ ქუჩებში.[136]

21 დეკემბერს ბათუმში კელავ გაიმართა პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელიც მიეძღვნა ცნობილი რევოლუციონერის დესპინე შაფათავას დაკრძალვას. მისი ცხედარი სასაფლაოზე ქალებმა მიასვენეს. იქვე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, წარმოთქვეს მგზნებარე სიტყვები. პოლიციელები შეეცადნენ გაეფანტათ მიტინგის მონაწილენი, მაგრამ ამაოდ.

რსდმპ ბათუმის კომიტეტის ყურადღების ცენტრში იყო პოლიტიკური მუშაობა სოფლადაც. ამ მიზნით კომიტეტის წევრებმა და 1902 წ. 9 მარტის დემონსტრაციის გამო სოფლებში გასახლებულმა მუშებმა გააჩაღეს აქტიური საქმიანობა მუშათა და გლეხთა შორის საბრძოლო კავშირის დასამყარებლად და განსამტკიცებლად.

აჭარის ბარის სოფლებში (ქობულეთი, ციხისძირი, ბობოყვათი და სხვ.) ეწყობოდა მშრომელი გლეხობის არალეგალური კრებები, სადაც განიხილავდნენ ცხოვრებისეულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს. გლეხთა რევოლუციური წრეების ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ ი.სტალინი და კომიტეტის სხვა წევრები. 1902 წ. მარტის პირველ ნახევარში გლეხთა წრე შეიქმნა ქობულეთში, რომელშიც ადგილობრივი გლეხების გარდა რამდენიმე მუშაც გაერთიანდა. წრის

[135] Журн. «Пролетарская революция», №4, 1924, с. 60.
[136] სცსსა, ფ. 157, ს. 49, ფურც. 455-456.

ხელმძღვანელად აირჩიეს ვლადიმერ კალანდარიშვილი, კომიტეტის წარმომადგენლად - იასონ ხუხუნაიშვილი. წრის მუშაობაში მონაწილეობდნენ იუსუფ გოგიტიძე, რევაზ თხილაიშვილი, მამუდ მუაეანაძე და სხვ.

1902 წ. 22 მარტს ქობულეთის მახლობლად ჩატარდა მუშათა და გლეხთა არალეგალური კრება, რომელსაც რკინიგზელ მუშებთან ერთად ესწრებოდნენ ხუცუბნის, ბობოყეათის, ლეღვასა და სხვა სოფლის გლეხები, მათ შორის ქალი ესმა ასამბაძე. კრებაზე ჩამოყალიბდა წრე, რომელსაც მეთაურობდა ბობოყეათელი სულეიმან მანელიშვილი.

ქვემო აჭარაში გლეხთა მოძრაობის გაძლიერებასა და სოციალ-დემოკრატიული წრეების შექმნაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ მურად ვარშანიძე, თეოფილე ერქომაიშვილი, მემედ დიასამიძე, ლუკა ანდღულაძე, სერდალ დიასამიძე, ლევარსი მენაბდე, კონსტანტინე მკურნალი, ფერშალი გიორგი სალუქვაძე და სხვ. ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობდა ზვარეს, ზენდიდის, მერისის და ქედის სხვა სოფლების გლეხების შეკრებას, რომელიც გაიმართა სერდალ დიასამიძის ბინაში. ჩამოყალიბდა გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელი ცენტრი. მისი შექმნა ცნობილი გახდა ხელისუფლებისათვის და გ. სალუქვაძე ქედიდან გაიწვიეს. ხელმძღვანელი ცენტრისა და გლეხთა სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობას თავეაცობდა ქედის საპოლიციო უბნის კანცელარიის მწერალი ლევარსი მენაბდე.[137]

1902-1904 წლებში სოციალ-დემოკრატიული წრეები ჩამოყალიბდა ხუცუბანში, ბობოყეათში, კახაბერში, ქობულეთში, ჩაქვში, ქედაში, ქაქუთში. მათ საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ: ჩაქვში - ოსმან თაქარიანოღლი, კახაბერში – დურსუნ ყარაჯიშვილი და სალიხ ჯიჯაეაძე, მახუნცეთში - სულეიმან დიასამიძე, ხუცუბანში - ისმაილ დავითაძე, გვარაში - ოსმან ესელიძე.

რსდმპ ბათუმის კომიტეტმა ქვემო აჭარაში გლეხთა სოციალ-დემოკრატიულ წრეებსა და ხელმძღვანელ ცენტრებთან კავშირის გასაფართოებლად მიავლინა 1902 წ. 9 მარტის დემონსტრაციის აქტიური მონაწილე მურად ვარშანიძე, რომლის საქმიანობის შედეგად პარტიულ ხელმძღვანელობასთან კონტაქტები უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა.

მუშაობა წარმოებდა, აგრეთვე, მაღალმთიანი სოფლების გლეხობაში. აქ საქმიანობდნენ შ. ბოლქვაძე, დ. გოგიტიძე, გ. სალუქვაძე და სხვ. შაიაღა ბოლქვაძეს რევოლუციური ფურცლები და პროკლამაციები გადაჰქონდა ახალციხესა და ზემო აჭარის სოფლებში. ბახველი გიორგი სალუქვაძე 1903-1904 წლებში იყო ღორჯომის ხეობის გლეხთა ერთ-ერთი წინამძღოლი. 1903 წ. შემოდგომასა და 1904 წ. გაზაფხულზე მან იქ გააერცელა პროკლამაციები და ფურცლები, მოაწყო გლეხთა საიდუმლო კრებები, ჩაატარა საუბრები და გლეხობას აქეზებდა არსებული წყობილების წინააღმდეგ.[138]

რუსეთის პირველი რევოლუციის წინ ბათუმის კომიტეტის საქმიანობა უფრო გაფართოდა. 1904 წელს მას უკვე ჰქონდა ორი ბიბლიოთეკა, საბრძოლო საქმისათვის მხარდამჭერი ერთი სალარო და ორი სტამბა, სადაც რევოლუციური ფურცლები ოთხ ენაზე (ქართულ, რუსულ, სომხურ, თათრულ) იბეჭდებოდა და სოფლებში ერცელდებოდა.

---

[137] ამხ. ფ. 5, ს. 51, ფურც. 5.
[138] იქვე, ს. 49, ფურც. 5-6.

რევოლუციური იდეების პროპაგანდა საკმაოდ ძლიერი იყო ჩაქვის საუფლისწულო მამულსა და სოფელ სალიბაურის კ. პოპოვის მეურნეობაში. 1904 წ. დეკემბერში საუფლისწულო მამულის მმართველი თავის პატაკში შეშფოთებული აღნიშნავდა ბათუმის ოლქში, განსაკუთრებით კი ჩაქვში, მუშების სისტემატურ მღელვარებას. შეიარაღებული ქართველები მამულის მუშათა შორის ავრცელებდნენ პროკლამაციებს, მაგრამ ჟანდარმერიამ „დამნაშავის“ აღმოჩენა ვერ შეძლო. პროკლამაციები და ფურცლები მამულის ტერიტორიაზე, მართლაც, ხშირად ერცელდებოდა, რაც ხელს უწყობდა გაფიცვებისა (ფართო ხასიათი ჰქონდა მამულის 150 მუშის ერთსულოვან გაფიცვას 1904 წ. ნოემბერში) და სხვა რევოლუციური აქტების განხორციელებას. საუფლისწულო მამულის ადმინისტრაცია ხელისუფალთაგან დაბეჯითებით მოითხოვდა რევოლუციონერთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების გატარებას, ჩაქვში სტრაჟნიკების ჩაყვანას.[139]

1904 წლის ზაფხულში რსდმპ ბათუმის კომიტეტი ხელმძღვანელობდა სოფ. სალიბაურის კ. პოპოვის მეურნეობის მუშათა ერთთვიან გაფიცვას. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას. კ. პოპოვმა გაფიცულთა ერთი ნაწილი დაითხოვა და მათ ადგილას ახალი მუშები მოიწვია. გაფიცულთა ერთსულოვნების გამო მუშათა შენაცელებამ არ გაამართლა და მეურნეობის ხელმძღვანელი იძულებული გახდა გაფიცულთა მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა.[140]

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინა ხანებში შეიქმნა მუშათა და გლეხთა რამდენიმე მებრძოლი რაზმი. პირველი ასეთი რაზმი ჯერ კიდევ 1902 წ. ჩამოყალიბდა ქობულეთში და მასში განსაკუთრებულ ტანსაცმელში - წითელ ჟილეტსა და ჩაქურაში — გამოწყობილი 75 კაცი ერთიანდებოდა. 1903 წ. ამ რაზმმა განაიარაღა სტრაჟნიკები და ოთხი მოაგარაკე გენერალი, რომელთაც ჩამოართვეს 100-მდე ბერდენკა და რევოლვერი. რაზმელებმა მოკლეს ჯაშუშობაში შემჩნეული ჩაქვის რკინიგზის უფროსი, მწვანე კონცხზე კი მძიმედ დაჭრეს გენერალ-ლეიტენანტი თავადი ბარიატინსკი. 1904 წ. კინტრიშის უბანში ჩამოყალიბდა 30-კაციანი წითელი რაზმი, რომელსაც როტშილდის ქარხნის მუშა, ქობულეთელი მემედ გოგიბერიძე ხელმძღვანელობდა.[141]

ყოველივე ეს ნათლად მოწმობდა იმას, რომ ბათუმის ოლქის გლეხობა მუშებთან კავშირში სულ უფრო აქტიურად გამოდიოდა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, იბრძოდა მიწისა და თავისუფლებისათვის, რითაც განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია არაერთი საყურადღებო ფურცლით გაამდიდრა.

---

139 იქვე, ფურც. 34-37.

140 ო.თურმანიძე, აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (1878-1920 წწ.), გვ. 123.

141 ო.თურმანიძე, გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, გვ. 64-69.

§4. ბათუმის ოლქი 1905-1907 წლების რევოლუციაში

900-იანი წლების დამდეგიდან რუსეთი სახალხო რევოლუციის ზღურბლთან იდგა. ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა რუსეთ-იაპონიის ომმა, რომელმაც გამოამჟღავნა რუსეთის სამხედრო მოუმზადებლობა. მისი შეიარაღებული ძალები მარცხს განიცდიდნენ საზღვაო და სახმელეთო ბრძოლებში. ომში წარუმატებლობამ აღაშფოთა საზოგადოება. გააქტიურდნენ ცარიზმის მოწინააღმდეგე ძალებიც. 1905 წ. 9 იანვარს პეტერბურგში მღვდელ გაპონის მეთაურობით მოეწყო მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელიც მთავრობამ დახვრიტა. ეს დღე რუსეთის ისტორიაში „სისხლიანი კვირის“ სახელით შევიდა. 9 იანვარი რევოლუციის დასაწყისი გახდა. ამ ფაქტს უმალვე გამოეხმაურნენ საქართველოში, მათ შორის ბათუმის ოლქშიც. 1905 წ. იანვარში გაიფიცნენ როტშილდის, მანთაშევისა და სიდერიდისის ქარხნის მუშები. ისინი ითხოვდნენ ხელფასის მომატებას. გაიფიცნენ ნავსადგურის მტვირთაველებიც. მიზეზი აქაც იყო ხელფასის მომატება და სხვაობა მათ ჯამაგირში დარსა და ავდარში მუშაობის დროს. მაგალითად, კარგ ამინდში მუშაობისას ისინი მოითხოვდნენ ერთ რუბლსა და 50 კაპ., ხოლო ავდარში - ერთ რუბლსა და 60 კაპ. მუშებმა წამოაყენეს პოლიტიკური მოთხოვნებიც: „ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“ და სხვ.

ამ გაფიცვების შედეგად 1904 წ. დასასრულსა და 1905 წ. დასაწყისში ფაბრიკების დიდი ნაწილი დაიხურა. უმუშევრად დარჩენილები დაუბრუნდნენ სოფლებს. 1905 წ. პირველ ნახევარში რეგიონში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ცხოვრება პარალიზებული აღმოჩნდა. ქალაქში ჩაკვდა ვაჭრობა, დაცარიელდა ნავსადგური და მაღაზიები, ნავთობი იგზავნებოდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უცხოეთის გემებით, შეწყდა სამგზავრო რეისები, მოიშალა რკინიგზის მუშაობა.[142] ქურდობამ და ბანდიტიზმმა თითქმის ყოველდღიური ხასიათი მიიღო. რევოლუციას მიტმასნილები ეწეოდნენ ფულის გამოძალვას, მკვლელობებს. ტერორმა ისეთი სახე მიიღო, რომ პოლიცია და ქალაქის ადმინისტრაცია უძლური აღმოჩნდა. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი 1905 წ. იანვარში კავკასიის მეფისნაცვალს აცნობებდა: „რსდმპ ბათუმის კომიტეტის აგიტაციის შედეგად მკვლელობებმა, ქურდობამ და ბანდიტიზმმა მიიღო სახიფათო ხასიათი. დამნაშავეთა უმრავლესობა დაუსჯელია. აქვე მინდა გაცნობოთ..., რომ ამ დანაშაულებრივი კომიტეტის წევრები თვითონაც აქტიურად მონაწილეობდნენ მსგავს დანაშაულობებში“.[143] ასეთი მდგომარეობა იყო ოლქში და საერთოდ ქვეყანაში. ნოე ჟორდანია იგონებდა: „ისე ვარდებოდა ბომბები თბილისის სხვადასხვა კუთხეში, რომ გეგონებოდათ მტრის შედლეღია. ამან გამოიღო მოსალოდნელი ნაყოფი. მთელი აპარატი მოეშალა მთავრობას, შიში და ძრწოლა გამეფდა „ოხრანკაში“, ყველა მათგანი მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდა— ერთი სიტყვით, ქუჩის პატრონი გახდა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი“.[144]

ასეთმა მოქმედებამ უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობის ნაწილში, მათ გული გაუტყდათ მთავრობის უმოქმედობის გამო. უფროს თაობას არ მოსწონდა ახალგაზრდობის თავაშვებულობა, ტერორი, განუკითხაობა. ამიტომაც იგი მზად იყო

[142] სცსსა, ფ. 11, ან. 1, ს. 65, ფურც. 110.
[143] ამხუ. 2, ს. 261, ფურც. 13.
[144] ნ.ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 50.

მთავრობას დახმარებოდა წესრიგის დამყარებაში.[145]. როგორც ჩანს, მოსახლეობა არცთუ ისე კმაყოფილებით უყურებდა რსდმპ ტაქტიკას, ტერორის და მკელელობების გზით დაემხოთ არსებული წესწყობილება. განსაკუთრებით აღშფოთებას გამოთქვამდა ამ მხრივ ქობულეთისა და ჩაქვის მოსახლეობა, რადგან აქ ძალიან გახშირდა ძალადობა: „ტერორსა და ძარცვა-გლეჯას აქ გადგმული აქეს ფესვები“[146] - ნათქვამია პოლიციის შეტყობინებაში.

იმ დროისათვის შექმნილი ე.წ. „წითელი რაზმელები“ ანგარიშს უსწორებდნენ ყველას, განურჩევლად პარტიული კუთვნილებისა. ასეთი „რაზმები“ ბათუმის ოლქშიც მოქმედებდა და აფრთხობდა მოსახლეობას: „წითელი რაზმელები“, რომელთა უმრავლესობა იყო შეიარაღებული მუშები და გლეხები, დადიოდნენ სოფლიდან სოფელში, ყველგან თესდნენ შიშსა და პანიკას, ანადგურებდნენ, წვავდნენ და ძარცვავდნენ მთავრობის დაწესებულებებს, ართმევდნენ იარაღს და წართმევისას ფიზიკურად შეურაცხყოფდნენ როგორც პოლიციელებს, ასევე სამხედროებსაც“.[147] ხელისუფლება უძლური იყო საწინააღმდეგო ღონისძიება გაეტარებინა: „ბათუმის პოლიცია საშინელ პანიკაშია და არავითარ ზომებს არ ღებულობს არც დანაშაულობების აღსაკვეთად და მით უმეტეს, დამნაშავეთა დასაჭერად და დასასჯელად“.[148] - ასე ახასიათებს ბათუმის პოლიციის საქმიანობას კავკასიის მეფისნაცვლის მიერ აქ გამოგზავნილი ჩინოვნიკი, ეინმე გერასიმოვი.

ქაოსი და ანარქია გრძელდებოდა მთელი წლის განმავლობაში. აღშფოთებული ქალაქისთავი ივანე ანდრონიკაშვილი იძულებული გახდა განეცხადებინა: „ძარცვამ და ქურდობამ, რომელმაც ბათუმში მიიღო ყოველდღიური ხასიათი, მკვეთრად შეამცირა სამგზავრო მიმოსვლა“.[149] ამან ქალაქის ბიუჯეტზე უარყოფითი გავლენა იქონია. თითქმის მთლიანად ჩაკედა საქალაქო ცხოვრება. თავს ესხმოდნენ ბანკებს და ძარცვავდნენ მათ. 1905 წ. თებერვალ-მარტში ამან ისეთი ხასიათი მიიღო, რომ სპეციალური კანონიც კი გამოიცა მის აღსაკვეთად. „ძარცვა-გლეჯამ ბათუმში მიიღო ძალიან სახიფათო ხასიათი“,[150] - ნათქვამია ჟანდარმთა სამმართველოს მოხსენებით ბარათში. სამხედრო გუბერნატორმა დაავალა პოლიციის სამმართველოს, რომ „დაეცვათ ბანკები და ყველა სახის საკრედიტო დაწესებულებები თავდასხმებისაგან, ამ დაწესებულებათა თანამშრომლები კი მათი (იგულისხმება რსდმპ ბათუმის კომიტეტის წევრები და ე.წ. „წითელი რაზმელები“ - ო. გ.) ძალმომრეობისა და ძარცვა-გლეჯისაგან“.[151]

გარდა ბანკებისა, თავდასხმები ხდებოდა ნავსადგურში ჩამომდგარ გემებზე, რკინიგზაზე. სამხედრო გუბერნატორმა სპეციალური ბრძანებით მოითხოვა უმკაცრესი კონტროლის დაწესება: „რკინიგზებს მკაცრად უნდა აკონტროლებდეს პოლიცია ჯარის ნაწილებთან ერთად. უნდა იქნეს უკუგდებული ბანდიტთა ყველა განაზრახი“.[152]

იარაღის გატაცების მიზნით გახშირდა თავდასხმები პოლიციაზე, ჯარის ნაწილებზე, ცალკეულ პირებზე. ხშირად ასეთი თავდასხმები სიკვდილითაც მთავრ-

145 აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 300, ფურც. 20.
146 სცსსა, ფ. 83, ან. 1, ს. 4, ფურც. 33-34.
147 იქვე, ფ. 13, ან. 1, ს. 9, ფურც. 14-15.
148 იქვე, ფ. 83, ან. 1, ს. 44, ფურც. 19.
149 ამსდ. 4, ს. 303, ფურც. 23.
150 იქვე, ფურც. 35.
151 იქვე, ფურც. 34.
152 იქვე, ფურც. 35.

დებოდა. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში ეკითხულობთ: „ბათუმელი მუშები თავიანთი კომიტეტების ზეგავლენითა და წაქეზებით გადავიდნენ ძალმომრეობაზე და სისხლისღვრაზე“.[153]

თებერვალში ბათუმში შემოიყვანეს კაზაკთა პოლკი. ძალადობამ ძალადობა წარმოშვა. ენით აუწერელია ის აღვირახსნილობა, სადიზმი და ცინიზმი მოსახლეობის მიმართ, რასაც კაზაკები ჩადიოდნენ. ჩვეულებრივი მოვლენა გახდა მკვლელობა, ცემა-ტყეპა, უმისეზოდ ჩხრეკა და ჩხრეკის დროს აბუჩად აგდება. მოსახლეობა ისე დაშინდა, რომ არათუ დანახვა, კაზაკების სახელის ხსენებაც შიშის ზარს სცემდა. პოლიტიკური პარტიები და მეფის ჩინოვნიკები ერთნაირად აღშფოთებული წერდნენ: „ქუჩებში, ეზოებში, ოთახებში მიმდინარეობს ჩხრეკა, რომლის დროსაც კაზაკები შეურაცხყოფას აყენებენ, ძარცვავენ და კიდეკაც კლავენ ხალხს“.[154] კაზაკებს სისასტიკეში არც პოლიცია ჩამოუვარდებოდა. არ ასხვაებდნენ დამნაშავესა და უდანაშაულოს. ამტვრევდნენ დუქნებს, ილეშებოდნენ და შემდეგ დაერეოდნენ ქუჩებში გამვლელთ.[155] გაზეთი „სხივი“ აღნიშნავდა: „ქალაქი ბათუმი ხელში ჩაუვარდა კაზაკებს კომენდანტის მეთაურობით და მოქალაქეებზე გაბატონებულია. ისინი უშვებენ და ასრულებენ კანონებს თავიანთი ქეიფისა და ჯიბისამებრ, განაგებენ მცხოვრებთა სვეებედს. რატომ ასე დაეჯაბნათ ბათუმი? ცხადია, რომ იქ მუშა ხალხი ცოტაა, მუშები კარგა ხანია სოფლად არის გაფანტული და აი კაზაკებმაც აიშვეს“.[156] იგივე გაზეთი 1905 წ. აგვისტოში აღნიშნავდა: „ბათუმი გადაიქცა საბარბაზნე ხორცად— არსად საქართველოში არ იყო ისეთი თავაშვებულება სალდათებისა და კაზაკებისა, როგორც ბათუმში“. ქალაქში სიარულიც კი სახიფათო იყო. ამას ემატებოდა ოფიცრების ანტიქართული მოქმედებები. ისინი აქეზებდნენ კაზაკებს, მათთან ერთად მონაწილეობდნენ ძარცვა-გლეჯაში და არყით გალეშილები უბედურებას ჩადიოდნენ“.[157] გაზეთი „სხივი“ აგრძელებს ამავე თემაზე საუბარს ოქტომბერსა და ნოემბერში. აქაც იგივე სურათები: „მიდიხარ ბათუმის ქუჩებში და აქეთ-იქით იყურები, რომელიმე კუთხიდან მთვრალმა კაზაკმა ხიშტზე არ აგაგოს— მთავრობამ კაზაკები წააქეზა, ქართველები რუსების წინააღმდეგ ომობენო, საჭიროა შური იძიოთო— მცხოვრებნი მეტად დამფრთხალნი არიან“.[158] კაზაკობა გახდა აუტანელი ქალაქისათვის. მათი მოქმედება არავითარ კონტროლს არ ექვემდებარებოდა. იმ დროს გამომაკალი ვერც ერთი გაზეთი თუ ჟურნალი გვერდს ვერ უელიდა იმ საშინელი ამბების ირგვლივ საუბარს, რასაც კაზაკები და ჯარის ნაწილები ჩადიოდნენ ბათუმსა და მის შემოგარენში. ამ საშინელების თვითმხილველი დავით კლდიაშვილი თავის მემუარებში გადმოგვცემს, რომ „კაზაკებს დაუჭრიათ ხალხი და მიუყრ-მოუყრიათ“[159].

მასობრივი ხასიათი მიიღო ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეთა გამოსვლებმა. მათ უკმაყოფილება გამოთქვეს რუსული შოვინისტური სასწავლო სისტემის გამო. მოსწავლეები გამოდიოდნენ ქუჩაში, ფიზიკურად უსწორდებოდნენ საძულველ პედაგოგებს, ხვევდნენ მეფის პორტრეტებს, მღეროდნენ სიმღერებს თავისუფლებაზე.

153 სცსსა, ფ. 83, ან. 1, ს. 242, ფურც. 34; აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 223, ფურც. 12.
154 ამხუ. 4, ს. 30, ფურც. 48.
155 საქართველოს ს.ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ს. 450, ფურც. 66-67.
156 გაზ. „სხივი“, 1905, მარტი.
157 გაზ. „სხივი“, 1905, აგვისტო.
158 გაზ. „სხივი“, 1905, ოქტომბერი.
159 დ.კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, გვ. 152.

„ჩვენ არ შეგვიძლია განვაგრძოთ სწავლა, ვიდრე ახლანდელი წეს-წყობილება არ შეიცვლებაო“,[160] - ამბობდნენ ისინი. კაზაკებმა აქაც „იეაკკაცეს“, „მიცვიეიდნენ გიმნაზიას და 9 თებერვალს დაარბიეს მოსწავლეთა მიტინგი. სცემეს მოსწავლეებს. ერთ-ერთი მათგანი, გვარად თავაძე დაიჭირეს და იმდენი ურტყეს, სანამ ამ უკანასკნელმა გონება არ დაკარგა. მეორეს, გიორგაძეს, თავი კედელზე ახეთქებინეს“.[161] ასეთი მოქმედებით აღშფოთებულმა მოსწავლეთა მშობლებმა მოაწყვეს კრება, სადაც უკმაყოფილება გამოთქვეს როგორც კაზაკების, ასევე პედაგოგების ანტიქართული მოქმედების გამო. მდგომარეობა დაიძაბა თებერვლის შუა რიცხვებში. დირექციამ დააყენა საკითხი გიმნაზიის დახურვის შესახებ, მაგრამ უარი უთხრეს. გარდა ვაუთა გიმნაზიისა, „ბათუმის ქალთა გიმნაზიაშიც ატყდა ერთი ამბავი. მოსწავლე ქალიშვილები დაიყენენ ჯგუფებად. მოითხოვეს ერთ-ერთი მასწავლებელი ქალის გაძევება. მოთხოვნები წარუდგინეს გიმნაზიის გამგე ქალს. მოსწავლეებს მხარი მისცა იმ ხანებში ოდესიდან ჩამოსულმა სოსიკო მდივანმა და გიმნაზიის რეჟიმი ძირფესვიანად შეაცვლევინეს შეშინებულ ქალს“.[162]

გაფიცვები გრძელდებოდა მარტშიაც. განსაკუთრებით აქტიურობდნენ როტშილდისა და მანთაშევის ქარხნის მუშები. მასობრივი ხასიათი მიიღო მუქარით აღსავსე წერილებმა. მათ უგზავნიდნენ ყველას, დაწყებული მუშიდან, დამთავრებული უმაღლესი ჩინის მოხელემდე. ზოგი, ასეთი მუქარით შეშინებული, იოლად ეგებოდა ანკესზე და ასრულებდა იმას, რასაც მისგან ითხოვდნენ. კერძოდ, მიჰქონდა ფული, ტოვებდა ქალაქს და სამუშაოს და ა.შ. წერილებს უგზავნიდნენ იმ მუშებსაც, რომლებმაც გაბედეს და დაიწყეს მუშაობა გაფიცვის პერიოდში.[163] ასეთ წერილებს თხზაედნენ როგორც ცალკეული პირები, ასევე რსდმპ ბათუმის კომიტეტის წევრებიც.[164] მხოლოდ 1905 წ. თებერვალ-აპრილში კომიტეტის წევრებმა სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნეს 30 ასეთი წერილი.[165] ადრესატების უმრავლესობა ფინანსისტები, ეაჭრები, შეძლებული მუშები და ქალაქის თვითმმართველობის წევრები იყვნენ. მუქარის წერილები გაეგზავნათ ქალაქისთაე ივანე ანდრონიკაშვილს და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორსაც.

არც მუშათა შორის იყო ერთიანობა. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული შეხედულება, ყველანი ერთნაირად იყვნენ განწყობილიო, არ დასტურდება. ბევრ მუშას არ მოსწონდა ის, რაც ირგვლივ ხდებოდა და სამუშაოს დაწყებას მოითხოვდა, მაგრამ მათ ემუქრებოდნენ კომიტეტის სახელით, გამომუშავებულ ფულს ართმევდნენ და რიცხავდნენ კომიტეტის ანგარიშზე, ან სულაც ისაკუთრებდნენ: „მუშები არ არიან ერთნაირად განწყობილნი. ძალიან ბევრი მუშა მოდის სამუშაოს დაწყების სურვილით, მაგრამ მუშაობა არ შეუძლიათ. არაფრით არ არიან დაზღვეულნი, რომ არ იქნებიან ნაცემნი. ბევრი ჩივის იმის გამო, რომ ხელფასს მიღებისთანავე ართმევენ და რიცხავენ ე.წ. „კომიტეტების ანგარიშზე“,[166] - ამბობდნენ როგორც როტშილდის, ასევე სიდერიდისისა და მანთაშევის ქარხნების დირექტორები.

---

160 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, №2762.
161 აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 143, ფურც. 126.
162 იქვე. ფურც. 149.
163 სცსსა, ფ. 13, ან. 1, ს. 515, ფურც. 71-72.
164 იქვე. ს. 516, ფურ. 60.
165 იქვე. ფურც. 64.
166 ამხუ. 4, ს. 31, ფურც. 69. როტშილდის ქარხნის მუშა ლ.ქათამაძე იგონებდა, რომ ბევრი არ თანაუგრძნობდა გაფიცულებს და არ მონაწილეობდა კომიტეტის მუშაობაში.

ქალაქში ძალიან შეიზღუდა პოლიციის მოქმედება, ხოლო ბარცხანასა და გოროდოკში, სადაც უპირატესად მუშები ცხოვრობდნენ, პოლიციელები მისელასაც ეერ ბედავდნენ. მთელი ძალაუფლება იქ „ბარცხანის გუბერნატორის" ხელში იყო. მთავრობა გამწარებით დაეძებდა მას, მაგრამ ამაოდ. ვერავინ გაიგო ვინ იყო ეს ახალი გუბერნატორი. ყველა მისი ბრძანების აღმასრულებელი, მისი სიტყვის მორჩილი გახდა: „ბარცხანის გუბერნატორი" ნამდვილად უსინარი დიქტატორი იყო და ეს დიქტატორობა მას შერჩა კარგა ხანს - იმ დრომდე, სანამ რეაქციამ არ გაიმარჯვა".[167] ეს გუბერნატორი კი იყო რსდმპ ბათუმის კომიტეტი.

მუშაობა გააააქტიურა ახლად ჩამოყალიბებულმა (1904 წ.) სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიამ. იგი გაზ. „გოლოს ბატუმას" მეშვეობით აკრიტიკებდა იმათ, ვინც პირად ინტერესებს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებდა და უფრთხოდა ეროვნული საკითხის წინა პლანზე წამოწევას; ებრძოდა პოლიტიკანებს, რომლებიც ასე მომრავლდნენ ბოლო 3 წლის განმავლობაში; აამკარავებდა ოფიცრებისა და ჯარისკაცების გახრწნილებას და ზნედაცემულობას. გაზეთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პ. საბაშვილი ამბობდა: „გაზეთში მე დავბეჭდე ჯარისკაც კირილოვის მიერ მოწოდებული ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ სისტემატურად იპარავდნენ ჯარისკაცები ცხენების თივას და ყიდდნენ მოსახლეობაში... ასეე იარაღსაც".[168]

სოციალისტ-ფედერალისტებმა თავიანთი ჯგუფები შექმნეს გიმნაზიაში, ქალაქის სათათბიროსა და ზოგიერთ ქარხანაში. აქ მათ დაუპირისპირდნენ სოციალ-დემოკრატები და გააჩაღეს კამპანია ფედერალისტებისა და სხვა პარტიების წინააღმდეგ, რადგან თვლიდნენ, რომ მათ ეროვნული საკითხის დაყენებით მუშათა კლასის ინტერესებს უღალატეს.

ფედერალისტები აქტიურად ჩაებნენ რევოლუციაში. ისინი უცხოეთში სწავლობდნენ ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებას, ჩამოდიოდნენ საქართველოში ტერორისტული აქტების განსახორციელებლად. მაგალითად, ძმები ქიქაეები, რომლებიც ეკუთვნოდნენ ფედერალისტთა პარტიას, ყუმბარების დამზადების ოსტატები იყვნენ. მათი მონაწილეობით ბათუმში არაერთხელ განხორციელდა თაედასხმები ხელისუფლებაზე. პოლიციამ მიაგნო მათ კეალს და დააპატიმრა.[169] მოსახლეობაში სოციალისტ-ფედერალისტების გავლენაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ერთ-ერთი ფედერალისტის (გ. სიხარულიძე) წერილი, რომელიც ბელგიაში პალიკო ყიფიანის სახელზეა გაგზავნილი: „მხოლოდ შეგატყობინებ საქართველოს და ჩვენი პარტიის მოქმედებას, - წერდა გ. სიხარულიძე, - ხალხი ყველგან მზად არის იარაღს მოკიდოს ხელი საბრძოლველად... ჩვენმა პარტიამ ძალა მოიკიდა... გლეხებში და ამაზე სოციალ-დემოკრატებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოგვიცხადეს. ქობულეთი, აჭარა ჩვენს ხელთ არის, ქუთაისში ძლიერნი ვართ. ჩვენს პარტიას ყველგან შეიარაღებული ხალხი ჰყავს ცოტა თუ ბევრი".[170]

ბათუმის ოლქში სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ბირთვს შეადგენდა ინტელიგენცია და ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით. ცარიზმის მოხელეები მათ უწოდებდნენ „ახალგაზრდა

---

167 დ.კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, გვ. 131.
168 გაზ. „ბათუმის ხმა", 1905, ნოემბერი.
169 სცსსა, ფ. 83, ან. 1, ს. 210, ფურც. 25.
170 დ.შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ნაკვეთი I, ფედერალისტები, თბ., 1993, გვ. 294.

ოსმალებს".[171]

იანვარ-თებერვლის დღეებში მუშებისაგან შეიქმნა პირველი მებრძოლი რაზმები. თითოეულ ასეთ რაზმში 15-20 კაცი შედიოდა და ინტენსიურად მიმდინარეობდა მათი შეიარაღება. მებრძოლი რაზმები ერთდროულად მოქმედებდნენ ქალაქის სხვადასხვა უბანში. მათ შიშის ზარი დასცეს პოლიციას.[172] ოლქის სამხედრო გუბერნატორის შეტყობინებით, ბათუმელი პოლიციელები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე უარს ამბობდნენ.[173] ეს რაზმები ახდენდნენ ექსპროპრიაციებს, ფიზიკურად უსწორდებოდნენ მოღალატეებს და არც ყაჩაღობაზე ამბობდნენ უარს.[174]

რევოლუციური ძალების გათიშვისა და ჩახშობის მიზნით, მსარდი რევოლუციური აღმავლობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდის ვითარებაში, ცარიზმმა კვლავ მიმართა „გათიშე და იბატონეს" ნაცად პოლიტიკას. 1905 წ. თებერვლის პირველ რიცხვებში მეფის აგენტებმა ბაქოში პროვოკაციულად გამოიწვიეს სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა. ცარიზმმა გადაწყვიტა მსგავსი სისხლიანი ტრაგედია განეხორციელებინა ბათუმის ოლქშიც და ამ საქმეში ქართველი მაჰმადიანები ჩაება. შედგა საინიციატიო ჯგუფი. პროვოკატორებმა ერთ ღამეს ბათუმში ჩამოიარეს ის სახლები, სადაც სომხები ცხოვრობდნენ და წითელი საღებაეებით აღნიშნეს. დანიშნულ დროს ბოროტგანმზრახველები უნდა შესეოდნენ ამ სახლებს და სომხები ამოეწყვიტათ. შაერაზმელთა ანკესზე რამდენიმე გულუბრყვილო ადამიანი წამოეგო. მოსალოდნელი იყო, რომ ამ საქმეში ქართეელი მაჰმადიანები ჩაერეოდნენ.[175] ეს ამბავი მემედ აბაშიძემ დაუყონებლივ აცნობა რსდმპ ბათუმის კომიტეტს, მოწინავე ქართველ ინტელიგენციას. გაიმართა სხდომები, დაირაზმა ქალაქის საზოგადოება, ჩამოყალიბდა მეთვალყურეთა კომისია, რომელსაც მემედ აბაშიძე ხელმძღვანელობდა. სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად 18 თებერვალს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა მიტინგი.

ამის შემდეგ ცარიზმის აგენტებმა იწყეს სხვადასხვა ეროვნების პირთა მკვლელობა, რათა კვლავ გამოეწვიათ ეროვნული შუღლი და დაპირისპირება. ბათუმში მოკლეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი შენგელია. მისი მკვლელობა სომხებს დააბრალეს. ამის შესახებ მემედ აბაშიძე იგონებდა: „ჩვენ მოგვიწია დიდი შრომის გაწევა, რათა თავიდან აგვეცილებინა ქართველ-სომეხთა ურთიერთხოცვა. ასეთი შემთხვევები ბევრი იყო".[176]

შემდეგ პოლიციამ სცადა მოეწყო ქართველ მაჰმადიანთა და სომეხთა შეტაკება. ამ მიზნით 200 რუბლი შეაძლიეს ერთ ახალგაზრდა კაცს თოფან-ბეგ შერვაშიძისა და სხვა გავლენიანი მაჰმადიანი ქართველების მოსაკლავად, მაგრამ ეს დროზე შეიტყო თ. შერვაშიძემ და პოლიციის ოინებიც ჩაიშალა.[177]

მაშინ შეეცადნენ თვით მემედ აბაშიძე მოეშორებინათ თავიდან. შაერაზმელებმა კარგად იცოდნენ, რომ „მემედ აჭარაში პატივისცემით სარგებლობდა".[178] მათ ესმოდათ, რომ აჭარლები, თუ საჭირო შეიქმნებოდა, მის ინტერესებს დაიცავდნენ და

---

171 აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 223, ფურც. 14.
172 ქართული ისტორიოგრაფია, თბ., 1968, გვ. 304.
173 „1905 წლის რევოლუციის გამოძახილი აჭარაში" (კრებული), ბათ., 1958, გვ. 56.
174 სცსსა, ფ. 83, ან. 1, ს. 212, ფურც. 43.
175 ს.გერსამია, მემედ აბაშიძე, ბათ., 1960, გვ. 30.
176 თ.კომახიძე, მემედ აბაშიძე, ბათ., 1993, გვ. 17.
177 აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 145, ფურც. 116.
178 ხ.ახვლედიანი, 1905-1907 წლების რევოლუციის გამოძახილი აჭარაში, ბათ., 1987, გვ. 60.

საქმესაც სწორედ აქედან მოუარეს. დაიქირავეს ეიღაც თავზეხელაღებული და მ. აბაშიძის მოკვლა დაავალეს. როცა ის ბულვარში სეირნობდა, მკვლელი მიიჭრა და დანით რამდენიმე ადგილას დაჭრა. მემედ აბაშიძე არ დაიბნა, ძალღონე მოკრიბა, ბოროტგანმზრახველი შეიპყრო და პოლიციას გადასცა. თავად კი საავადმყოფოში მოათავსეს.

პროვოკატორებმა მოინდომეს ამ მომენტით ესარგებლათ. ხმებმა ხალხზე იმოქმედა და ბევრი კიდეც შეუდგა შურისძიებისათვის მზადებას. ეს ამბავი მემედ აბაშიძეს აცნობეს საავადმყოფოში. მან მაშინვე მოიხმო თავისიანები და დაავალა სასწრაფო ზომები მიეღოთ, რათა ხალხი პროვოკაციულ ხმებს არ აჰყოლოდა და სისხლისღვრა არ მომხდარიყო.[179]

გამოსვლები ძლიერი იყო 1905 წ. გაზაფხულსა და ზაფხულში. თითქმის ყოველკვირეული მოვლენა გახდა გაფიცვები, დემონსტრაციები, გამწვავდა მდგომარეობა ნავსადგურში. რუსეთისა და უცხოეთის ქვეყნების სურსათითა და სხვა საქონლით დატვირთული გემები, რამდენიმე დღის შემდეგ, დაუცველნი ისევ უკან ბრუნდებოდნენ. ქალაქს შიმშილი დაემუქრა. აპრილში, განსაკუთრებით კი მაისში, სურსათის საწყობებში ფქვილის ძალიან მცირე მარაგი დარჩა. ნავსადგურის მუშების გაფიცვას კი დასასრული არ უჩანდა. ამის მიუხედავად, „რუსეთის ეაჭრობის და ნაოსნობის საზოგადოება“ მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილებას არ აპირებდა. ამან შეაშფოთა ქალაქის მმართველობა. ქალაქისთავმა ი. ანდრონიკაშვილმა მოლაპარაკება დაიწყო საზოგადოების დირექტორთან ოდესაში, საიდანაც პასუხად მიიღო - ნავსადგური გაათავისუფლეთ გაფიცულებისაგან და მუშებს აქედან გამოვგზავნითო.[180] მაშინ ი. ანდრონიკაშვილმა დიდ მთავარს ალექსანდრე მიხეილის-ძეს მიმართა, რომელიც თავმჯდომარეობდა „ეაჭრობის და ნაოსნობის საზოგადოებას“. მდგომარეობის შემდგომი გართულების შიშით, აღნიშნული საზოგადოება დათანხმდა ნაწილობრივ შეესრულებინა მოთხოვნები. ბათუმში შექმნილი მდგომარეობის შესახებ გაზეთი „ივერია“ წერდა: „საოცარ სურათს წარმოადგენს ახლად მოსული გემის, გინდა ვაგონის წინ თავმოყრილი ხალხი. სხვადასხვა სჯულისა და გვარის მუშა. არის ყვირილი, ლანძღვა, გინება, მუქარა. ყველა თავგანწირული იბრძვის იგდოს ხელთ სამუშაო „მარკა“... იგდებს თუ არა რომელიმე მუშა „მარკას“ ხელში, ის მაშინვე წყნარდება და არხეინად კიდებს ხელს სამუშაოს. დანარჩენი კი თავბედის წყეველით აქეთ-იქით იფანტება და შორიდან ემუქრება „მარკების“ დამრიგებელს. ეს მუქარა ხშირად სისრულეში მოყავთ - კვირა ისე არ გაივლის, რომ ვინმე არ გახდეს მსხვერპლი ამ მუქარისა“.[181]

1905 წ. გაზაფხულზე, განსაკუთრებით ზაფხულში, გახშირდა დისკუსიები პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით. ყველა ავტორი, ვინც კი შეეხო იმ დროისათვის გამართულ პოლიტიკურ დისპუტებს, აკეთებს თითქმის ერთმანეთთან შეთანხმებულ დასკვნას: „გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა. მენშევიკები და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები სასტიკად გამათრახდნენო“.[182] საარქივო მასალებიდან კი ირკვევა, რომ თითქმის ყველა კამათში, რომელიც მიეძღვნა პოლიტიკურ ცხოვრებას,

---

179 ს.გერსამია, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

180 ჯ.ჩხეიძე, ბათუმი (ისტორიული ნარკვევი), ბათ., 1959, გვ. 64.

181 გაზ. „ივერია“, 1905, № 100.

182 ბ.ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. 1 (1890-1914 წწ.), გვ. 196-197 და სხვ.

ხალხი მხარს უჭერდა მენშევიკების წინადადებებს და ითვალისწინებდა ყველა იმ შენიშვნას, რომელსაც, აგრეთვე, სხვა პარტიების წარმომადგენლებიც აყენებდნენ. მაგ., 1905 წლის 8 მაისს, სოფელ ურეხში, ჩვეულებრივ კვირა დღეს, ხალხის საკრებულო ადგილას შედგა ბათუმის მუშათა მიტინგი, სადაც 2000-მდე მუშამ მოიყარა თავი. მიტინგზე მენშევიკებმა ბოლშევიკებს თავს მოახვიეს პარტიული დისკუსია. ბოლშევიკებმა წამოაყენეს გაფიცვების გაგრძელების მოთხოვნა, მაგრამ მენშევიკებთან ვერ მიაღწიეს შეთანხმებას. ხალხი მხარს უჭერდა უმცირესობის მოთხოვნებს.[183] ანალოგიური კრება შედგა მაისის ბოლო რიცხვებში, რომელიც მიეძღვნა ოლქში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას. კრებამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მენშევიკების — კ. ჩხეიძისა და ხ. ლოლუას მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს.[184] 1905 წ. ივნისის პირველ ნახევარში ბათუმის გარეუბან „ჭაობში", მუშა ტ. ბერიძის ბინაში გაიმართა კრება, რომელსაც რსდმპ ბათუმის კომიტეტის ორიეე ფრთის წარმომადგენელი ესწრებოდა. აქ იყო, აგრეთვე, ესერთა პარტიიდან ვინმე ა. კალაძე. ასევე ფედერალისტების წარმომადგენლები ე. ქუთათელაძე და ს. მოდებაძე. კრება მიეძღვნა გაფიცვების მოწყობას, დამოკიდებულებას მთავრობასა და არმიასთან. მენშევიკები მოითხოვდნენ უფრო ფრთხილ მოქმედებას, რადგან უიარაღო მუშები ვერას გახდებოდნენ კბილებამდე შეიარაღებულ ჯარისკაცებთან და კაზაკებთან. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ფედერალისტმა ე. ქუთათელაძემ. ბოლშევიკებმა ეს წინადადება არ მიიღეს. ისინი წინააღმდეგობის გაწევას ანიჭებდნენ უპირატესობას. კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი პირველ წინადადებას".[185]

ასევე გაზვიადებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში საუბარი რსდმპ ბათუმის კომიტეტის მიერ არმიაში გაწეული მუშაობის შესახებ. თითქოს ისე ძლიერი იყო მათი იდეურ-პროპაგანდისტული საქმიანობა, რომ ჯარისკაცები და კაზაკებიც კი არსებული წყობილების წინააღმდეგ გაფიცულთა მხარდამხარ იბრძოდნენ. საარქივო წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ ჯარისკაცები ბოლომდე მთავრობის მხარეზე იდგნენ. დავით კლდიაშვილი, რომელიც იმ დროს ბათუმში მსახურობდა და რომლის თვალწინ ჩაიარა ქალაქის ურთულესმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცხოვრებამ, ამბობდა: „ბათუმში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ლაპარაკი ისმოდა საერთო გამოსვლის საჭიროებაზე. გატაცებულნი ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი მომზადებულია, რომ ჯარი გამოსულთა მხარეზე გადმოვაო, როგორც კი აჯანყება დაიწყებაო. ეს პირდაპირ თავის მოტყუება იყო. ყაზარმებში არავითარი სისტემატური მუშაობა არ ყოფილა. იყო მხოლოდ მათი თანამგრძნობი ჯგუფები, მაგრამ ერთსულოვნება არ იყო. რუს ჯარისკაცებს აგონებდნენ, რომ რუსეთის დამხობა სწადიათო, ამისათვის მეცადინეობენ ყველა არარუსები და კავშირდებიანო! ასეთ აგიტაციას დიდი დაჯერება ჰქონდა. რუს და არარუს ჯარისკაცებს შორის ძლიერი განხეთქილება სუფევდა, გადამტერებულებივით იყვნენ".[186] ან კიდევ, ჯართან რა მუშაობაზე შეიძლებოდა საუბარი, როდესაც შოვინიზმით მოწამლული ჯარისკაცები არაევის ინდობდნენ: „ჯარისკაცებმა გაიგონეს, რომ ადგილობრივნი (ტუსემცები) რუსეთის სამტროდ გამოდიან, გამოეფინენ ქუჩებ'ში და დაერივნენ გამოსულებს, შეიქმნა სასტიკი შეჯახება. ჯარისკა-

[183] ამხუ. 4, ს. 302, ფურც. 812.
[184] იქვე. ფურც. 89.
[185] იქვე. ფ. 4, ს. 40, ფურც. 44.
[186] დ.კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, გვ. 151.

ცებისაგან არაფის დაზოგვა აღარ ჰქონდა... ოცდაათამდის იყო მკვდარი".[187] ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს ატყობინებდა: „სამხედროები არათუ არ გადავიდნენ მათ მხარეზე, როგორც გაფიცულები - მოელოდნენ, არამედ მათ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს".[188] ბათუმის ციხის კომენდანტი იტყობინებდა: „ყველაფერმა, რაც ამ ბოლო დროს (საუბარია 1905 წლის ოქტომბერზე - ო.გ.) ხდებოდა ქალაქში, ჯარისკაცები ძალიან გააბოროტა. მათი საბრძოლო მზადყოფნა საუცხოოა. ოფიცრები ძლივს აკავებდნენ მათ ტუზემცების მიმართ მიბჯრითი სროლისაგან".[189] მსგავსი მაგალითები ბევრი იყო.

6 აგვისტოს იმპერატორმა გამოსცა მანიფესტი წარმომადგენლობითი დაწესებულების შემოღების შესახებ. 29 აგვისტოს ამ საკითხის გარკვევასთან და ასევე ერობის შემოღებასთან დაკავშირებით, ბათუმის თვითმმართველობის შენობაში, უნებართვოდ, ფანჯრებიდან შეეიდა რამდენიმე ასეული კაცი. გუბერნატორის განკარგულებით კრებაზე გამოცხადდა პოლიციმაისტერის თანაშემწე შვიდი პოლიციელის თანხლებით და ბრძანა კრების დაშლა. კრება გარეკეს, ბევრი დააპატიმრეს.[190] ამ კრების შესახებ როტმისტრი სტანი პოლიციის სამმართველოს უფროსს ატყობინებდა: „ეოლსკიმ ხალხი შეუშვა საქალაქო თვითმმართველობის შენობაში... უეჭველია, ეს პიროვნება თანაუგრძნობს ნაციონალისტებს".[191] 30 აგვისტოს ქობულეთში გაიმართა მიტინგი, სადაც განიხილავდნენ ერობის შემოღების საკითხს. გუბერნატორის განკარგულებით შეკრებილთ არ მისცეს თავისუფლად მსჯელობის საშუალება.[192]

ძლიერი დაძაბულობა იყო ოქტომბერში. ის ცნობილია შეიარაღებული გაფიცვის სახელწოდებით. კარგად ორგანიზებულმა გაფიცვამ თავსარი დასცა პოლიციას. გაფიცულებმა აყარეს რკინიგზის ლიანდაგი. შეწყდა მატარებლების მოძრაობა ნატანებსა და სუფსას შორის. რსდმპ ბათუმის კომიტეტმა სპეციალური პროკლამაციით მოსახლეობას მოუწოდა გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.[193] 7 ოქტომბერს გაფიცვა გამოაცხადეს გიმნაზიელებმა, რომლებმაც გაფიცვაში ჩააბეს ქალაქის ყველა სკოლა.[194]

პოლიტიკური მოთხოვნებით გამოვიდნენ ფაბრიკა-ქარხნების მუშები. მომიტინგეები თავს ესხმოდნენ ჩინოვნიკებს, უსწორდებოდნენ მეეზოვე აგენტებს. საინტერესოა ეს ე.წ. „მეეზოვეთა ინსტიტუტი". ასეთ მუშებს ყურადღებით ეკიდებოდნენ ხელისუფლების, განსაკუთრებით ოხრანკისა და რეეოლუციური კომიტეტების წარმომადგენლები. მეეზოვეების ინფორმაციებს ეყრდნობოდნენ როგორც რეეოლუციონერები, ასევე ოხრანკის წარმომადგენლებიც. მეეზოვეები უთვალთვალებდნენ საეჭვო პირებს, მისდევდნენ ფეხდაფეხ, ადგენდნენ მათ მისამართებს და ა.შ. იყო შემთხვევა, როდესაც ჟანდარმერია თავის კაცს (მეეზოვეს) შეაგზავნიდა კომიტეტში ან მუშათა წრეში და ღებულობდა ინფორმაციას, ან, პირიქით, რეეოლუციური კომიტეტები მეეზოვეების საშუალებით იგებდა საჭირო ამბებს ჟანდარმერიიდან ან სხვა დაწესებულებებიდან. მაგ., 1905 წ. ოქტომბერში სასიკვდილოდ დაჭრეს მეეზოვე აბდულ ლომანოღლი,

---

[187] იქვე, გვ. 153-154.
[188] სცსსა, ფ. 83, ან. 1, ს. 80, ფურც. 36.
[189] იქვე, ფურც. 35.
[190] იქვე, ს. 76, ფურც. 103.
[191] იქვე, ფურც. 36.
[192] იქვე, ფურც. 37.
[193] იქვე, ფ. 13, ან. 28, ს. 9, ფურც. 40.
[194] 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1956, გვ. 361.

რომელიც „უანდარმერიის“ შესახებ ცნობებს აწვდიდა ადგილობრივ კომიტეტს“.[195]

17 ოქტომბერს იმპერატორმა გამოსცა „მანიფესტი“, რომელიც ხალხს ჰპირდებოდა თავისუფლებასა და კონსტიტუციურ უფლებებს. ხელისუფლების ამ ნაბიჯს რიგი პარტიები კმაყოფილებით შეხვდა და მიიჩნია იმ დიდი საქმის დაგვირგვინებად, რომლის განხორციელებისათვის იბრძოდნენ 1904-1905 წლებში. პარტიებისა და ორგანიზაციების ნაწილი „მანიფესტში“ ხედავდა ცარიზმის დროებით უკანდახევას. ამის შესაბამისად, საზოგადოებაც „მანიფესტის“ მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად გაიყო.

17 ოქტომბრის „მანიფესტის“ შემდეგ დროებით მინელდა დემონსტრაციები. მაშინ ადმინისტრაცია შეეცადა რეეოლუციური მოძრაობისაგან ჩამოეშორებინა არაქართველი მოსახლეობა, განსაკუთრებით სომხები და რუსები. მან მოახერხა სომხების დიდი ნაწილის გადაბირება და გაფიცულებისათვის დაპირისპირება. პარტია „დაშნაკცუთიუნი“ 1905 წ. ოქტომბერში მოწოდებებით მიმართავდა ოლქის სომეხ მოსახლეობას, არ წამოგებოდა ქართველი ნაციონალისტების ანკესზე, მხარი არ დაეჭირათ მათთვის და ეთანამშრომლათ მთავრობასთან, რომელიც კეთილგანწყობილია ყველა სომეხისადმი, ეხმარება მათ საკუთარი ამოცანების გადაწყვეტაში. ამავე დოკუმენტით სომხებს მოუწოდებდნენ არ მიეღოთ მონაწილეობა გაფიცვებში, რადგან ფაბრიკა-ქარხნებში სომხებს უკეთ უხდიან, ეიდრე სხვებს: „სომხებო, არ მიიღოთ არავითარი მონაწილეობა არც გაფიცვებში და არც სხვა ღონისძიებებში, რომლებსაც ნაციონალისტები (იგულისხმება ქართველები - ო.გ.) ატარებენ. ეს არ შედის ჩვენს ინტერესებში“[196] - ვკითხულობთ ერთ-ერთ დოკუმენტში. მსგავსი პროკლამაცია ბათუმში ოქტომბერ-ნოემბერში 26-ჯერ[197] გამოიცა. ამან გარკვეულწილად იმოქმედა სომეხი მოსახლეობის დიდ ნაწილზე.

გააქტიურდა ბათუმში მოქმედი რუსული ნაციონალისტური ორგანიზაციებიც. მათ აფინანსებდა მთავრობა და ამარაგებდა იარაღით. ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა შავრაზმელი შმაკინი, რომელიც ყოველი არარუსისადმი ზიზღით გამოირჩეოდა.[198] ორგანიზაციების წევრები ხოცავდნენ პოლიციელებს, სამხედროებს და შემდეგ ქართველებს აბრალებდნენ. ასე იყო 28 ოქტომბერს, როცა შმაკინმა კაზაკი მოკლა, ხოლო ის, რაც ამის შემდეგ კაზაკებმა გააკეთეს, ენით აუწერელია. ისინი მოედვნენ მთელ ქალაქს, ესროლეს მშვიდობიან მოსახლეობას, მრავალი დახოცეს. თითქმის ყველა ქუჩაზე, ბუჩქებთან გვამი ეგდო. ეს არნახული ბარბაროსული აქცია კაზაკებმა ჩაიდინეს მოსახლეობის დაშინების მიზნით. რუსულმა შავრაზმულმა ორგანიზაციამ ხმები გაავრცელა, რომ ქართველებმა მოკლეს კაზაკები და ამიტომ სამაგიერო გადაუხადესო.[199] ამ აქციის წინააღმდეგ ფედერალისტებმა გაავრცელეს პროკლამაცია, რომელშიც ამხილეს და დაგმეს მთავრობის მოქმედება.[200]

28 ოქტომბრის სისხლიანმა დღემ აღაშფოთა მთელი ქალაქი. ი. ანდრონიკაშვილმა, დ. ჟურულმა და სხვებმა პროტესტი გაუგზავნეს ბათუმის ოლქის სამხედრო

---

195 აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 300, ფურც. 120.
196 ამხდ. 4, ს. 30, ფურც. 175.
197 სცსსა, ფ. 83, ან. 1, ს. 219, ფურც. 52.
198 იქვე, ს. 76, ფურც. 10.
199 აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 105, ფურც. 86.
200 ამხდ. 4, ს. 30, ფურც. 98.

გუბერნატორს და მოსთხოვეს დამნაშაეეთა სასტიკი დასჯა.[201]

აღშფოთებულმა მოსახლეობამ მოთხოეა ი. ანდრონიკაშვილს ეშუამდგომლა გუბერნატორთან კაზაკების ქალაქიდან გაყეანის თაობაზე. ქალაქისთავმა, თავის მხრივ, ყველაფერი იღონა, რომ ეს მოთხოვნა შეესრულებინა. კაზაკების მაგივრად ჯარის ნაწილები უნდა შემოსულიყო, რომელიც ყაზარმულ მდგომარეობაში იქნებოდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, კაზაკების ქალაქიდან გაყვანა არ მოხერხდა.

ძალიან დაიძაბა სიტუაცია ნოემბერში, როცა გაძლიერდა იარაღის შემოტანა. მას უმთავრესად საზღვარგარეთ იძენდნენ. საამისო ფულს ხშირად შოულობდნენ მუშებისაგან შემდგარი მებრძოლი რაზმები. მაგალითად, 31 ოქტომბერს მუშათა შეიარაღებული რაზმი თავს დაესხა სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის განყოფილებას ბათუმში და გაიტაცა 8500 რუბლი. ეს თანხა გადაეცა რსდმპ ბათუმის კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციას.[202] 6 ნოემბერს თორმეტი შეიარაღებული მუშა ქობულეთის მახლობლად თავს დაესხა სატვირთო მატარებელს და დიდძალი იარაღი გაიტაცა. ნოე ჟორდანია იგონებდა: „რომელიმე მეთაური ან ჯგუფი თუ ფულს იშოვიდა სადმე, ის აგროვებდა თავის ირგვლივ მუშებს და ლიდერობდა“.[203]

1905 წ. ნოემბრის დამლევს გემმა „სირიუსმა“ საქართველოში დიდძალი იარაღი ჩამოიტანა, რომლის ნაწილი წაიღეს მუშებმა, ნაწილი კი პოლიციას ჩაუვარდა ხელთ, დიდი რაოდენობით იარაღი და ვაზნა დააკავეს ბათუმის საბაჟოსეც.

თავდასხმები ხდებოდა, აგრეთვე, უცხოეთის საკონსულოებზე. 1905 წ. 11 ნოემბერს დააკავეს ავსტრია-უნგრეთის საკონსულოს წარმომადგენლები და მათ გამოსასყიდად მოითხოვეს 600 რუბლი.[204] ასევე გამოსასყიდი მოთხოვეს ამერიკის კონსულს ბათუმში ჰეინგარტნერს, მისი სამსახურის წარმომადგენლის გამოხსნისათვის.[205] ამგვარად, მებრძოლმა რაზმებმა ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი. ამის გამო რსდმპ ბათუმის კომიტეტმა გადაწყვიტა შეიარაღებული გამოსვლების დაწყება. ეს მზადება, რასაკვირველია, ხელისუფლებას არ გამოპარვია. იგი შეეცადა დაესწრო და პროვოკაციულად გამოეწვია მოსახლეობა, რაც კიდეეაც მოახერხა. ადგილობრივმა პოლიციამ თავისი აგენტების საშუალებით ბათუმის ქუჩებში ორი კაზაკი განაიარაღა. ეს კაზაკების თავაშეებული მოქმედების საბაბი გახდა. 28 ნოემბერს მათ ქალაქის ქუჩებში სროლა ატეხეს. მოკლეს 7, დაჭრეს 4 მოქალაქე. ამან მოსახლეობის აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია.[206] იმაეე დღეს, საღამოს გაიმართა მიტინგი. აქ იყო ბათუმში მოქმედი ყველა პარტიის წარმომადგენელი. მიტინგის მონაწილეთა მეტი ნაწილი გამოსვლას მოითხოვდა,[207] მაგრამ კ. ჩხეიძე და ფედერალისტების ერთი ნაწილი ამის წინააღმდეგი წავიდა.[208]

29 ნოემბერს, მთელი დღის განმავლობაში, მიმდინარეობდა შეტაკებები, ერთი მხრივ, მებრძოლ რაზმებსა და კაზაკებს, მეორე მხრივ, პოლიციელებსა და მუშებს

---

201 ო. გოგოლიშვილი, სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა გურიასა და ბათუმის ოლქში 1905-1907 წლების რევოლუციის დროს, ბათ., 2003, გვ. 106.
202 სცსსა, ფ. 83, ან. 1, ს. 250, ფურც. 26.
203 ნ.ჟორდანია, „ჩემი წარსული“, გვ. 55.
204 სცსსა, ფ. 13, ან. 28, ს. 46, ფურც. 149.
205 იქვე. ფურც. 9.
206 ი.ხუციშვილი, 1905 წლის მიწურულის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, თბ., 1972, გვ. 225.
207 სცსსა, ფ. 13, ან. 28, ს. 25, ფურც. 20.
208 იქვე. ფურც. 30.

შორის. გაზეთ „ივერიის“ ცნობით, იმ ღამეს ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 10 მოკლული და ორი დაჭრილი.[209]

30 ნოემბერს ქუჩები ბარიკადებით დაიფარა. შეიარაღებული რაზმების ერთი ნაწილი სახურავებიდან ესროდა ჯარს. სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაცია მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მეფის ადგილობრივ მოხელეებს თავზარი დასცა იმ გარემოებამაც, რომ საბარიკადო ბრძოლებში მონაწილეობისათვის დაიძრა გურიის გლეხობა. ბათუმში საალყო წესები გამოცხადდა. მთავრობამ ოლქში შემოიყვანა მაშველი რაზმი 400 კაზაკის შემადგენლობით, აგრეთვე, არტილერია, რომლის ზალპებით დაანგრიეს ბარიკადები. ძალები უთანასწორო იყო, ხოლო მსხვერპლი დიდი. მაშინ მიიღეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება - შეეწყვიტათ ბრძოლა, რადგან ქალაქს განადგურება ემუქრებოდა და მსხვერპლიც აურაცხელი იქნებოდა. მხოლოდ ერთ ქუჩაზე შეტაკებისას მოკლეს და დაჭრეს 50 კაცი.[210]

30 ნოემბრის საბარიკადო ბრძოლა ბათუმის ოლქში 1905-1907 წლების რევოლუციის უმაღლესი საფეხური იყო.

აჯანყების დამარცხების შემდეგ, საქართველოს არც ერთ ქალაქში რეაქცია ისე არ გათავხედებულა, როგორც ბათუმში. მაშინ, როცა მთელ საქართველოში რევოლუცია ბობოქრობდა, კაზაკთა ჯარებს კვლავ ბათუმის ოლქში აგზავნიდნენ.[211]

ბათუმის ოლქის მშრომელების დასაცავად ერთსულოვნად გამოვიდნენ საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები და ეროვნული მოღვაწეები. 1 დეკემბერს მათ კავკასიის მეფისნაცვალს მოსთხოვეს შეეჩერებინა კაზაკების გაგზავნა ბათუმში.[212] ყვირილას სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დადგენილებაში ეწერა: „მოვითხოვთ კაზაკების დაუყონებლივ გაყვანას ქუთაისის გუბერნიიდან და ბათუმის ოლქიდან. ბათუმის ციხე-სიმაგრის კომენდანტისა და გუბერნატორ ფონ-პარკაუს გაძევებას“.[213]

რეაქცია შეტევაზე გადავიდა. 19 დეკემბერს გამოქვეყნდა სამხედრო გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება (№130), რომლითაც ბათუმის ოლქში საგანგებო მდგომარეობა შემოიღეს.[214]

1906-1907 წლებში ბათუმის ოლქში რეაქცია მძვინვარებდა. ბათუმის ციხეში, რომელიც მხოლოდ 80 კაცს იტევდა, 1907 წ. ნოემბერში 292 პატიმარი იყო. 1906 წ. ბოლოს ოლქში დაპატიმრებებმა და კავკასიიდან გადასახლებამ ფართო ხასიათი მიიღო. 1906-1907 წლებში ამ რეგიონიდან 800-ზე მეტი კაცი გაასახლეს.[215] დაიხურა გაზეთები, აიკრძალა მიტინგები და დემონსტრაციები, დევნა განიცადა ეროვნულმა იდეებმა, ყოველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ანტიიმპერიულ ქმედებად აღიქმებოდა და მას სასტიკად უსწორდებოდნენ.

მთელი საქართველო შეაძრწუნა ილია ჭავჭავაძის მუხანათურმა მკელელობამ. საერთო ეროვნულ გლოვას, მემედ აბაშიძემ ბათუმიდან შეუერთა თავისი ხმა, ქართველ მაჰმადიანთა სახელით გაგზავნილი სამძიმრის დეპეშით.

---

209 გაზ. „ივერია“, 1905, 5 დეკემბერი.
210 იქვე.
211 სცსსა, ფ. 13, ან. 28, ს. 91, ფურც. 7-8.
212 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, №2963.
213 იქვე.
214 აცსა, ფ. 1, ს. 207, ფურც. 10.
215 იქვე, ს. 339, ფურც. 64.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ რეაქცია კიდევ უფრო გაძლიერდა. ბათუმის ოლქში მოქმედი პარტიები იატაკქვეშეთში გადავიდნენ, თუმცა მაინც აგრძელებდნენ საქმიანობას. 1907 წ. 24 ოქტომბერს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამ გადაწყვიტა მოეწყო ბათუმის ციხიდან პატიმრების გაქცევა. მათ მხარი დაუჭირეს ესერებმაც. საპყრობილეს თანამშრომელთა მოსასყიდად შეგროვდა 1500 რუბლი, შეადგინეს გეგმა. მაგრამ სამზადისი გასცეს და სამხედრო გუბერნატორმა მიიღო გადამჭრელი ზომები მის აღსაკვეთად. დაიწყო გადაბრალებები: ფედერალისტების პარტიამ განაცხადა, რომ ეს დალატი ჩაიდინეს სოციალ-დემოკრატებმა, თავის მხრივ, სოციალ-დემოკრატებმაც გააერცელეს პროკლამაციები: „ნაციონალისტური პარტიები აკეთებენ მტრის საქმეს. ვნებენ რევოლუციას, ცდილობენ სისხლისღვრის პროვოცირებას“[216] და ა.შ.

ბათუმის ოლქში რეაქციის ბატონობის შესახებ 1907 წ. გაზეთი „ისარი“ წერდა: „1906 წ. დაწყებულმა რეაქციამ, სისასტიკემ დააფრთხო განახლებისათვის საბრძოლველად დარაზმული ქართველი ერი... უკვე 1907 წ. ხალხის ხმა აღარ ისმის, ის თითქოს სულერთიან აიკრიფა ცხოვრების მეჯლისიდან... ავაზაკობა, ძარცვა-გლეჯა 1907 წელს დღითიდღე იზრდება და უფრო თამამად შლის ფრთებს... ასეთი მდგომარეობაა ჩვენს განაპირა მხარეებში და განსაკუთრებით აჭარაში, რომელსაც ცარიზმი ექაჩება სიბნელისაკენ, ჩამორჩენისაკენ“.[217]

ამრიგად, 1905-1907 წლების რევოლუცია იყო ბრძოლა განახლებისათვის, უკეთესი მომავლისათვის. იმპერიის მასშტაბით დაწყებულ მოძრაობას მძლავრი გამოხმაურება მოჰყვა ბათუმის ოლქშიც. ამ დროს თამამად გაისმა მოწოდება ეროვნული თვითმყოფადობისაკენ, რაც უდავოდ დიდი მონაპოვარი იყო კოლონიური ბატონობის უღელქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის.

§5. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება 1908-1914 წლებში

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როგორც აღინიშნა, ბათუმის ოლქშიც დაიწყო რეაქცია, გახშირდა დაპატიმრებები და გადასახლებები. 1908-1909 წლებში ოლქიდან 800-ზე მეტი კაცი გაასახლეს.[218] რევოლუციური და დემოკრატიული ორგანიზაციების განადგურების მიზნით, მეფისნაცვლის ბრძანებით, ბათუმსა და მის შემოგარენში საალყო წესები გაგრძელდა 1909 წ. მაისამდე, ხოლო ოლქის დანარჩენ რაიონებში შემოიღეს გაძლიერებული დაცვა.

დაეცა მრეწველობის დონე. მუშების დიდი ნაწილი იძულებული გახდა სოფლებში დაბრუნებულიყო, ან სხვა ქალაქში ეძია სამუშაო. 1909 წ. აპრილში ოლქის სამხედრო გუბერნატორიც ადასტურებდა: „ოლქში არ შეიმჩნევა არაკანონიერი რევოლუციური პროპაგანდა. რევოლუციური მოძრაობის მინელება გამოიწვია იმანაც, რომ გაძლიერდა ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი. ერთი-მეორის მიყოლებით დაიხურა

[216] ამხე. 4, ს. 30, ფურც. 111.
[217] გაზ. „ისარი“, 1907, აპრილი.
[218] აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 339, ფურც. 64.

ქარხნები. მუშების დიდი ნაწილი უმუშევარია და იძულებულია დაბრუნდეს თავიანთ სოფლებში, ან სამუშაოს საძებრად წავიდეს სხვაგან. იმ მცირე საწარმოებში, რომლებიც ჯერ კიდევ ფუნქციონირებენ, მუშები უფრთხილდებიან თავიანთ ადგილებს და ხშირად მტრულადაც კი ეკიდებიან სოციალისტების პროპაგანდას".[219]

ბათუმის ოლქში მოქმედი პოლიტიკური პარტიები იატაკქვეშეთში გადავიდნენ, მაგრამ საქმიანობას მაინც აგრძელებდნენ. ამჯერად აქტიურობდა მხოლოდ ორი პარტია: სოციალისტ-დემოკრატები და ფედერალისტები. მათ შორის კვლავ გრძელდებოდა დაპირისპირება. უთანხმოება გაძლიერდა 1908 წ. ოქტომბრიდან, როცა ბათუმის ციხიდან პატიმრების გაპარვის გეგმის ჩაშლის გამო, დაიწყო ურთიერთგადაბრალებები[220] და დისკუსიები. 1909 წ. ასეთი დისკუსია მათ შორის 5-ჯერ გაიმართა.[221]

ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შესახებ აცნობებდა: „ბათუმში არსებობს სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების პარტიები. მათი საქმიანობა ძირითადად უცხოეთიდან არალეგალური ლიტერატურის ჩამოტანასა და გავრცელებაში მდგომარეობს... ხშირია მათ შორის დაპირისპირება. მოსახლეობა სიმპათიით უფრო სოციალ-დემოკრატების მიმართ არის განწყობილი".[222]

1910 წ. 20 ივნისს კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე გაგზავნილ ცნობაში აღნიშნულია სოციალისტების ტერორისტული აქტების შესახებ, კერძოდ, ტერაქტების შედეგად დაიღუპა ერთი პოლიციელი და რამდენიმემ სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. ივნისის დასაწყისში ორჯერ გაძარცვეს მატარებელი. პოლიცმეისტერი ვარაუდობდა, რომ მძარცველები იყვნენ ბათუმელი „ანარქისტ-სოციალისტები", რომლებმაც, მისი სიტყვით, „არა ერთი ასეთი აქტი ჩაიდინეს".[223] მიუხედავად ოფიციალური ხელისუფლების მცდელობისა, უარყოფითად დაახასიათოს ამ პარტიის საქმიანობა და დაებრალოს სხვადასხვა დანაშაული, პარტიის ავტორიტეტი ხალხში შესამჩნევად იზრდებოდა. 1910 წ. 14 სექტემბერს ბათუმის სამხედრო გუბერნატორისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში ნათქვამია: „სოციალ-დემოკრატების პარტია ყველაზე უფრო პოპულარულია ხალხში. ამ პარტიას მრავალი მიმდევარი ჰყავს. ამ მხრივ სოციალ-დემოკრატები ბევრად უსწრებენ ბათუმის ოლქში მოქმედ სხვა პოლიტიკურ პარტიებს... ისინი ხშირად იკრიბებიან და მართავენ საიდუმლო კრებებს, სადაც მსჯელობენ პოლიტიკურ საკითხებზე. მათი წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ქუთაისში გამართულ საოლქო კონფერენციაში. იქ სიტყვითაც კი გამოვიდნენ. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის. ამ პარტიის აქტიური პროპაგანდის შედეგად მიმდინარე წელს (1910 წ.) მოეწყო რამდენიმე გაფიცვა".[224] სოციალ-დემოკრატების გავლენა დღითი დღე იზრდებოდა იმპერიის მასშტაბითაც და ანგარიშგასაწევი ძალა ხდებოდა: „სოციალ-დემოკრატებმა მოახდინეს თავისი საქმიანობის ლეგალიზაცია და საქართველოს ყველაზე გავლენიან,

219 ამხგ. 4, ს. 500, ფურც. 60.
220 იქვე, ს. 303, ფურც. 111.
221 აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 400, ფურც. 15.
222 სცსსა, ფ. 13, ან. 1, ს. 198, ფურც. 81.
223 იქვე, ფ. 83, ან. 1, ს. 315, ფურც. 29-30.
224 აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 510, ფურც. 24.

პარლამენტური ტიპის დემოკრატიულ პარტიად იქცნენ".[225]

1911 წლიდან შეიმჩნეოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურება. 5 თებერვალს გაიფიცნენ პორტის მუშები. გაფიცვას სერიოზული გართულებები არ შეუქმნია, რადგან მუშათა მოთხოვნები ნაწილობრივ დააკმაყოფილეს.[226] 1911-1912 წწ. მუშათა 6 გაფიცვა მოეწყო.

ბათუმის ოლქში მოქმედი პოლიტიკური პარტიები უპირისპირდებოდნენ ცარიზმის ღონისძიებებს. ისინი წინ აღუდგნენ რომანოვების დინასტიის გამეფებიდან 300 წლისთაავის ზეიმით ჩატარების მცდელობას. მათ გააერცელეს პროკლამაციები და მოსახლეობას მოუწოდებდნენ არ დაეშვათ იუბილის მოწყობა, ხოლო თუ ხელისუფლება თავისას მაინც არ დაიშლიდა, მაშინ გაემართათ საწინააღმდეგო მიტინგები და დემონსტრაციები. 1913 წ. 24 იანვარს პოლიციის ცენტრალურმა დეპარტამენტმა აცნობა ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობას, რომ იუბილესთან დაკავშირებით გავრცელდა ბროშურა („ჩვენი ქვეყნის სირცხვილი"), რომელიც შეიცავდა რომანოვების სამეფო დინასტიის კრიტიკულ შეფასებას. მოსალოდნელია, რომ რევოლუციური ორგანიზაციები მოაწყობენ ქუჩურ დემონსტრაციებს და მსვლელობებსო.[227] მაშინ ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობამ სპეციალური ბრძანებით გააფრთხილა მოსახლეობა, რომ ძირშივე აღკვეთდა ყოველგვარ არეულობას. 21 თებერვალს, რომანოვების დინასტიის 300 წლისთავის იუბილის აღნიშვნის დღეს, უნდა დაეკეტათ ყველა ფაბრიკა-ქარხანა, სასაუზმე და დუქანი.[228] როგორც პოლიციის მორიგი შეტყობინებიდან გახდა ცნობილი, არეულობებს ადგილი არ ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით ქალაქის რამდენიმე ადგილას მიტინგის ჩატარების მცდელობას, რომლებიც ძალის გამოყენებით იქნა აღკვეთილი.[229]

გამოცოცხლდა ბათუმის ოლქის პრესა. გაზეთებში იბეჭდებოდა მთავრობის მამხილებელი სტატიები. ხელისუფლება დევნიდა გაზეთებს, აწყობდა ჩხრეკებს რედაქციებში, აპატიმრებდა რედაქტორებს და აძევებდა ოლქის საზღვრებიდან. ხურავდა მათთვის არასასურველ გამოცემებს. პოლიტიკური პარტიები ცდილობდნენ გამოეყენებინათ პრესის ფურცლები ტრიბუნად მთავრობის საქმიანობის გამოსაშკარავებლად. ერთ-ერთი ასეთი გამოცემა იყო „ბათუმის გაზეთი", რომელსაც ხელმძღვანელობდა სპირიდონ ჭელიძე. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა პოლიტიკურ პარტიებთან. ამ გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა მთავრობის მამხილებელი სტატიები. 1912 წ. მაისში გამოქვეყნებულ წერილში საუბარი იყო ბათუმის ციხეში არსებულ აუტანელ პირობებსა და იმ მეთოდებზე, რომელსაც იყენებდა გამოძიება პატიმრების დაკითხვის დროს. სტატიის გამო ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობამ მოსთხოვა პოლიციას გაზეთის რედაქციის გაჩხრეკა და ავტორის ვინაობის დადგენა. ჩხრეკისას რედაქტორის მაგიდაზე რამდენიმე ანტისახელმწიფოებრივი მიმართულების სტატია და ბროშურა აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით პატაკში აღნიშნულია: „ბათუმის გაზეთის" რედაქტორი ჭელიძე პოლიტიკურად არასაიმედოა. ანტისახელმწიფოებრივი მიმართულების სტატიების უმრავლესობა მისი დაწერილია, აქვს ახლო ურთიერთობა ბათუმში მოქმედ პარტიებთან, რედაქციაში ხშირად იკრიბებიან ამ პარტიების წარმომადგენლები

[225] საქართველოს ისტორია, თბ., 1996, გვ. 262.
[226] სცსსა, ფ. 83, ან. 1, ს. 402, ფურც. 37.
[227] აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 618, ფურც. 5.
[228] იქვე, ფურც. 52.
[229] იქვე, ფურც. 74.

და მართავენ ანტისახელმწიფოებრივ კრებებს, გაზეთი გადაქცეულია ბანდიტური ორგანიზაციების ბუდედ და მისი შემდგომი საქმიანობის გაგრძელება მიზანშეუწონელია, რედაქტორი კი უნდა გასახლდეს ოლქის საზღვრებიდან".[230] მართლაც, სპ. ჭელიძე დააპატიმრეს. სოციალ-დემოკრატებმა პროტესტის წერილი გაუგზავნეს ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობას, სადაც ამტკიცებდნენ, რომ ჭელიძის დაპატიმრება შეთითხნილი საქმე იყო. უფრო მკაცრნი იყვნენ სოციალისტ-ფედერალისტები. მათი შეფასებით, გაზეთი იმიტომ არ ეხატებოდა მთავრობას გულზე, რომ ის ეროვნულ პოზიციაზე იდგა. ხალხში ეროვნულ თვითშეგნებას აღვივებდა, ამათრახებდა ცარიზმის შოვინისტურ პოლიტიკას.[231] ამიტომ მოითხოვდნენ რედაქტორის განთავისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოსვლებით იმუქრებოდნენ. ხელისუფლება იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა რედაქტორი, თუმცა მას მუშაობა აუკრძალეს და 1914 წლამდე გაზეთის გამოცემაც შეაჩერეს.

1913 წ. ბათუმის ოლქში გაძლიერდა პოლიტიკური დაძაბულობა, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა მოახლოებულ ომს. ყველა მიმოწერა (ბათუმიდან თბილისში და პირიქით) შეეხებოდა ოსმალეთთან ურთიერთობას და ოსმალო ემისრების გააქტიურებული საქმიანობის დაუყოვნებლივ აღკვეთას.

ცარიზმმა დღის წესრიგში დააყენა მაჰმადიანი მოსახლეობის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის საკითხი. ხელისუფლების შეფასებით: „აჭარლები ფიზიკურად უკეთესად არიან განვითარებულნი, ვიდრე კავკასიის სხვა მხარის მცხოვრებლები".[232] მართლაც, მალე შეიქმნა ე.წ. „ბათუმის ტუზემცთა მსროლელი ბატალიონი".[233] მთავრობა აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა მასში მოსახლეობის მიზიდვის მიზნით. დურსუნ ბასილაძე, რომელიც აღნიშნული ბატალიონის წევრი იყო, აღნიშნავდა: „ჩვენთან ამოვიდნენ მთავრობის კაცები და გამოაცხადეს, ახალგაზრდები უნდა შეეკრიბოთ ჯარში წასაყვანადო. შედგა კრება. სიტყვით გამოვიდა ხოჯა ისკენდერ ეფენდი ციკაძე. მან თქვა: „ჩვენ რომ ჩაგეწერონ „სტრელკოვი ბატალიონში", ცოდვა არ იქნება. მართალია, ჩვენთვის შაპკის დახურვა ცოდვა არის, მაგრამ გვაძლევენ სიტყვას, რომ ჩვენიანი ყაბალახებით და ბუხრის ქუდებით ვიქნებით ჯარში. ჩვენ დღემდე სალდათში არ გავყავდით, მაგრამ ახლა ჩვენი დიდი სახელმწიფო ითხოვს დახმარებას და საჭიროა წავიდეთ ჯარში. ეს ცოდვა არ იქნება. ჩვენ დაგლოცავთ და დალოცვილები წახვალთო".[234]

ადგილობრივი მოსახლეობის ჯარში გაწვევასთან ერთად მთავრობას სურდა გაეადვილებინა აქ სასურველი, დასაყრდენი ხალხის ჩასახლება. სწორედ ამაზე ამახვილებდა ყურადღებას ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე 1912 წ. დეკემბერში გაგზავნილ წერილში: „ჩვენს მიერ დაწყებული ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა, თავადაპირველად ჩვენთვის სასურველი შედეგებით მიმდინარეობდა, მაგრამ ამ ბოლო დროს ადგილი აქვს ურჩობის და მიმალვის შემთხვევებს. ჩვენ მიერ მოსყიდული ხოჯების თუ გავლენიანი პირების პროპაგანდის მიუხედავად, ბევრი

[230] ო. გოგოლაშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათ., 2005, გვ. 50.
[231] იქვე, გვ. 50.
[232] ამსდ. 4, ს. 46, ფურც. 31.
[233] სცსსა, ფ. 83, ან. 1, ს. 602, ფურც. 44.
[234] მოგონება ჩაწერილია 1941 წ. ინახება აჭარის მუზეუმის ხელნაწ. ფონდში, №248.

ახალგაზრდა უარს ამბობს ჯარში წასვლაზე და ტყეებში იმალება. როგორც ჩანს, ადგილი აქვს საწინააღმდეგო პროპაგანდასაც, რომელსაც, ჩვენი მონაცემებით, ეწევიან ოსმალო ემისრები და მათი დამქაშები. ჩვენ ყველა ღონეს ეხმარობთ, რათა აღვეკვეთოთ მსგავსი შემთხვევები, გამოვააშკარაოთ დამნაშავეები და დავსაჯოთ—" შემდეგ გუბერნატორი განაგრძობდა: „სახელმწიფოს ინტერესებისათვის განსაკუთრებით სასურველია ბათუმის ოლქის მაჰმადიანი მოსახლეობის ოლქიდან წასვლა. ამ ადგილების მდიდარი ბუნებრივი კლიმატური პირობები იძლევა იმის საშუალებას, რომ აქ ჩამოსახლდეს რუსი მოსახლეობა და გაძლიერდეს რუსული კულტურა და ეს უნდა მოხდეს სწორედ სამხედრო რეფორმის გატარებით".[235] მიუხედავად ამისა, ცარიზმმა სამხედრო რეფორმა აქ ბოლომდე ვერ განახორციელა.

ხელისუფლება შეშფოთებული იყო ე.წ. „ახალგაზრდა ოსმალების" გააქტიურებით. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი 1913 წ. 30 ოქტომბერს აფრთხილებდა ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობას: წინ აღვუდგეთ ე.წ. „ახალგაზრდა ოსმალების" მომხრეთა შემოსვლას ოლქის საზღვრებში... ყოველნაირად უნდა შევეშალოთ ხელი, რათა მათ არ იქადაგონ რუსეთის ქეიშეირდომ მაჰმადიან მოსახლეობაში ე.წ. პანისლამისტური იდეა".[236] ოლქის ხელმძღვანელობამ 2 ნოემბრის საიდუმლო ბრძანებით პოლიციას დაავალა: ემისრებზე განსაკუთრებული თვალთვალი; ყურადღება პანისლამისტური იდეების გავრცელებაზე და კონტროლი ბათუმში ოსმალეთის საკონსულოს ყველა თანამშრომელზე, აგრეთვე ხოჯებზე, რომლებმაც განათლება უცხოეთის სასულიერო ცენტრებში მიიღეს.[237] პოლიციამ გააძლიერა კონტროლი საზღვარზე, დაიწყო ოლქში შემოსული ყველა უცხოელის პასპორტის შემოწმება. სასაზღვრო და საპასპორტო რეჟიმის გამკაცრების მიუხედავად, ვერ აღკვეთეს უცხოელი ემისრების შემოსვლა-საქმიანობა. შეშფოთებული სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს სწერდა: „მიუხედავად ჩვენი მხრიდან მკაცრი ღონისძიებებისა, გრძელდება ემისრების საქმიანობა. როგორც ჩანს, ჩვენი ძალებით ვერ შევძლებთ მათი მოქმედების ალაგმვას. საჭიროა დახმარება თქვენი მხრიდან. საქმეს ისიც ართულებს, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი მათდამი ლოიალობით გამოირჩევა და ისინიც თავშესაფარს ხშირად მათთან პოულობენ".[238] ამის მიუხედავად, ემისრების აგიტაციას ბათუმის ოლქში მაინც არ ჰქონდა დიდი გავლენა. ერთ-ერთი ემისრის თქმით: აქაური „მოსახლეობა არ შეიძლება იყოს დასაყრდენი. არა მგონია, მათ ჩვენს სასარგებლოდ იარაღს მოჰკიდონ ხელი".[239] ასეთ ვითარებაში ოსმალეთმა გააააქტიურა ორგანიზაცია „ერთიანობა და პროგრესის" საქმიანობა. მისი ხელშეწყობით შეიქმნა „სრულიად რუსეთის მუსლიმანთა კავშირი", თუმცა, ბათუმის ოლქში მათ მაინც ვერ შექმნეს მისი ფილიალი.[240]

ბათუმის ოლქში სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდნენ არა მარტო ოსმალეთის, არამედ ევროპის სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურებიც. როგორც რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1913 წ. 14 აგვისტოს წერილიდან ჩანს, „ბოლო დროს მომრავლდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების მხრივ რუსეთის იმპერიაში აგენტების

235 იქვე, ფ. 4, საქ. 46, ფურც. 31.
236 აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 474, ფურც. 1-2.
237 იქვე, ს. 461, ფურც. 12-14.
238 სცსსა, ფ. 445, ან. 1, ს. 224, ფურც. 90.
239 აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 476, ფურც. 31.
240 იქვე, ს. 498, ფურც. 64.

დიდი რაოდენობით შემოგზავნა. ისინი ცდილობენ შეაღწიონ მნიშვნელოვან ობიექტებზე და აწარმოონ ფოტოგადაღებები... კავკასიას ამ შემთხვევაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან იქ სამხედრო თვალსაზრისით განსაკუთრებული ობიექტებია განლაგებული. ეს მხარე იმყოფება გერმანიის ერთ-ერთი მოკავშირის, ოსმალეთის მეზობლად. აქედან გამომდინარე, ამ რეგიონით დაინტერესება დიდია... გთხოვთ, შეიმუშავოთ საწინააღმდეგო ღონისძიებები ამ მიმართულებით".[241] თავის მხრივ, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიიდან ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს აცნობეს: „თქვენს ოლქში არის ისეთი ობიექტები, რომლებსაც უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ფოტოგადაღებების მსურველი ბევრი იქნება. თქვენთვის ცნობილია, რომ ასეთ ობიექტებს მიეკუთვნება მიხაილოვსკის (ოგივე მიხეილის) ციხე-სიმაგრე და სამხედრო ბაზები, რომელთა გადაღებები კატეგორიულად აკრძალულია, რადგან ეს მასალები გამოიყენება ჩვენს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის... თვალყური ადევნეთ ყველა უცხოელს, გააფართოეთ აგენტურის ქსელი, მასში ჩართეთ რაც შეიძლება მეტი ხალხი".[242] ფოტოგადაღებების შემთხვევები ბათუმის ოლქში მხოლოდ 1913 წ. ზაფხულისა და, განსაკუთრებით, შემოდგომის პერიოდში 20-ჯერ დაფიქსირდა.[243] პოლიციის მონაცემებით, ასეთ ფოტოგადაღებებს აწარმოებდნენ როგორც ოსმალო, ისე გერმანელი და ავსტრიელი აგენტები. ამ მხრივ, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, საინტერესოა ავსტრიელი აგენტების სადაზვერვო საქმიანობა: ოლქის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი გახდა, რომ ავსტრიამ რუსეთის იმპერიაში შექმნა დიდი აგენტურული ქსელი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მათი საკონსულო კიევში.[244] ბათუმში ავსტრიელ აგენტებს კი მეთაურობდა ვინმე მაშეკი. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ ოსმალო ემისრები, რომლებიც აქ ფართო ინსტრუქტაჟს ღებულობდნენ. ბათუმში რუსული ჯარის გარნიზონში 1913 წ. 7-12 აგვისტოს მძიმე ტექნიკა შემოზიდეს. ეს გამეღვაენდა და ოსმალეთის მხარეს ხელში ჩაუვარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტის ფოტოსურათი, რომლებიც სწორედ ავსტრიელმა აგენტებმა მოიპოვეს.[245] 1913 წ. 17 სექტემბერს ბათუმში ჩამოვიდა ავსტრიის მოქალაქე, ვინმე რიჰარდ ზეელერი. მასზე, როგორც უცხოელზე, მეთვალყურეობა დააწესეს. გამოირკვა, რომ ის, მაშეკი და კიდევ რამდენიმე აგენტი აწარმოებდნენ მიხაილოვსკის ციხე-სიმაგრის ფოტოგადაღებებს. ციხესიმაგრის კომენდანტს ისინი გადაღების მომენტში შეუპყრია.[246] საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ აგენტები გეგმავდნენ მიხეილის ციხე-სიმაგრის აფეთქებას და სხვა ტერორისტული აქტების განხორციელებას.[247]

1914 წ. 4 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა 12-კაციანი ჯგუფი გამოგზავნა ბათუმის ოლქში პოლიტიკური სიტუაციის შესასწავლად. 2 თვის მანძილზე მათ შეაგროვეს საჭირო ცნობები და იმავე წლის 22 მაისს მეფისნაცვალს წარუდგინეს ერცელი მოხსენებითი ბარათი. ირკვევა, ბათუმში ჟანდარმერიას იმდენი აგენტი ჰყოლია, რამდენიც საკმარისი იყო რამდენიმე ქალაქისათვის. „ეს გამოწვეული იყო

[241] სცსსა, ფ. 84, ან. 1, ს. 158, ფურც. 39.
[242] აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 441, ფურც. 10.
[243] იქვე, ს. 441, ფურც. 15.
[244] იქვე, ს. 441, ფურც. 4-5.
[245] იქვე, ფურც. 26-28.
[246] იქვე, ფურც. 35.
[247] იქვე, ფურც. 44.

ოსმალების ძირგამომთხრელი საქმიანობით... თითქმის ყველა უცხოელი, რომელიც კი ბათუმში ჩამოდის, დიდხანს არ ჩერდება, ადგილობრივ ვითარებას ეცნობა და მიდის... ოსმალეთი, ეყრდნობა რა დასავლეთის ქვეყნებს, ცდილობს მეტი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ მოსახლეობაზე და მიიმხროს იგი".

„მოხსენებაში" საუბარია, აგრეთვე, ბათუმის ოლქში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებსა და მათ ორიენტაციაზე: „აქტიურობს ქართველთა ნაციონალისტური პარტია „ფედერალისტებისა". ისინი მოითხოვენ ქართველთა ავტონომიას. პარტია ცდილობს მხარდაჭერა პოვოს დასავლეთის ქვეყნებში. დაფიქსირებულია რამდენიმე ფაქტი, როდესაც გერმანელი ემისრები ბათუმში შეხვდნენ „ფედერალისტების" წარმომადგენლებს. ოსმალებისათვის კი ეს პარტია მიუღებელი იყო და არც უცდიათ მათთან რაიმე კავშირის დამყარება. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებს, თუმცა მათი გავლენა მოსახლეობაში ძლიერი იყო, მაინც ოსმალო ემისრები ყოველთვის ცდილობდნენ გვერდის აევლას მათი აშკარა პროტესული ორიენტაციის გამო. სომხური ნაციონალისტური პოლიტიკური ორგანიზაციები კი ყოველთვის წინააღმდეგი იქნებიან კავკასიაში ოსმალური პოლიტიკისა".[248]

აქვე გამოთქმულია შეშფოთება „საიდუმლო დოკუმენტების" გადინების გამო, რომლებიც ხშირად მტერს უვარდება ხელთ. კომისიის აზრით, ოლქის კანცელარიებში მოკალათებულია უცხო სახელმწიფოების აგენტები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გამოაშკარავდნენ და დაისაჯონ. წინააღმდეგ შემთხვევაში სიტუაცია უმართავი გახდებაო.[249] მეფისნაცვალმა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მოსწერა: „თქვენდამი რწმუნებული ოლქის სახელისუფალო ორგანოებში მუშაობენ არასაიმედო პირები, რომლებიც ასრულებენ უცხო სახელმწიფოთა აგენტურულ დაკვეთებს. ეს გამოიხატება იმაში, რომ ზოგჯერ უაღრესად დიდი მნიშვნელობის სახელმწიფო დოკუმენტების შინაარსი ცნობილი ხდება მტრებისათვის... დაუყოვნებლივ აღკვეთეთ მსგავსი საქმიანობა, კონკრეტულად, შემოწმდეს ოლქის ორგანოებში მომუშავე თითოეული პიროვნება, სამსახურში მიიღეთ ისეთი ხალხი, რომლებიც პოლიტიკურად საიმედოა".[250]

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა სასწრაფოდ მოიწვია თათბირი და მოითხოვა ჯაშუშების გამოაშკარავება-დასჯა. 1914 წლის 27 ივნისს ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწემ ბათუმის ოლქში პოდპოლკოვნიკმა გავრილოვმა, რომელიც სწავლობდა მდგომარეობას ართვინში, ბათუმის სამხედრო გუბერნატორს აცნობა: „ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ართვინის ოკრუგი მთლიანად უყურადღებოდ არის მიტოვებული. ოკრუგის ხელმძღვანელი, ბატონი ლავროვი, მართალია, ინტელიგენტი, განათლებული კაცია, მაგრამ გაანია ბევრი ნაკლი. მაგალითად, ამ ოთხი წლის წინათ, ართვინში შეიკრიბა 1866 რუბლი, რათა გაერემონტებინათ იქაური რუსული რეალური სასწავლებელი. ეს თანხა ლავროვმა ბანკს არ ჩააბარა და დღესაც გაუგებარია, სად გაქრა ეს ფული. ამან ლავროვს მოსახლეობაში სახელი სავსებით გაუფუჭა. ამასთან, ბატონი ლავროვი უნებისყოფოცაა და ამის გამო იგი იოლად მოექცა ართვინის კანცელარიის მდივნის სულეიმან ტაბახიძის გავლენის ქვეშ. ეს კაცი ნამდვილი ოსმალოა, რომელიც განიცდის თავისი

[248] აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 450, ფურც. 15.
[249] სცსსა, ფ. 11, ან. 1, ს. 65, ფურც. 18.
[250] იქვე. ფ. 13, ან. 1, ს. 257, ფურც. 66.

მამის, მუხამედის ძლიერ გაელენას. მუხამედი კი აშკარად ოსმალეთის სასარგებლოდ მუშაობს. ასევე, ართვინის პოლიციას ხელმძღვანელობს კასუმ-ბეი. მან ვერ შეძლო გამოეაშკარავებინა ვერც ერთი ოსმალო თუ სხვა აგენტი, რომლებიც აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გეხვდება. მაგ., თითქმის 6 თვეა ართვინის მოსახლეობაში რუსეთის საწინააღმდეგო აგიტაციას ატარებდა ორი ჯაშუში. პოლიცმეისტერმა კი ვითომც ვერაფერი შეამჩნია. ჯაშუშების დაკავება მოხერხდა მხოლოდ ართვინის მიხაილოვსკის ბატალიონის უფროსის როსტორგაევის ძალისხმევით. ამჟამად, დაკავებულები ბათუმის ციხეში იმყოფებიან... გამომდინარე ზემოთქმულიდან, გასაგებია, თუ რატომ აქტიურობენ ოსმალო ემისრები ართვინში".[251] ამ ცნობით აღშფოთებული სამხედრო გუბერნატორი მაშინვე აპატიმრებს კანცელარიის მდივან სულეიმან ტაბახიძეს და სასტიკად ტუქსავს ოკრუგის უფროსს ლავროვს. ამასთან, თხოვს ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს, გამოიძიონ პოლიციის უფროსის კასუმ-ბეის პოლიტიკური საიმედოობა.[252]

1914 წ. ზაფხულში გახშირდა პროვოკაციები ოსმალეთის მხრიდან, ადგილი ჰქონდა საზღვრის დარღვევის მრავალ შემთხვევას. მათი აღკვეთის მიზნით ოლქის გუბერნატორმა 1914 წ. 20 ივნისს მოიწვია სხდომა, რომელზეც გადაწყდა, ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეედგინათ ე.წ. „მფრინავი რაზმები", რომლებიც არმიასთან ერთად დაიცავდნენ როგორც საზღვარს, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებს. ამ საქმეზე პასუხისმგებლობა დაეკალა გუბერნატორის თანაშემწეს როტმისტრ ლაჩინოვს. ლაჩინოვმა შექმნა რამდენიმე ე.წ. „მფრინავი რაზმი". 1914 წ. 12 ივლისს ის აცნობებდა სამხედრო გუბერნატორს: „ჩვენ შეეძელით ოსმალეთის საზღვართან მდებარე სოფლების მოსახლეობისაგან ჩამოგვეყა-ლიბებინა „მფრინავი რაზმები", მათ აღკვეთეს საზღვრის დარღვევის რამდენიმე ფაქტი... კარგი იქნება, თუ ასეთი რაზმები ჩამოყალიბდება კინტრიშის საპოლიციო უბანში... ეს რაზმები ჩვენთან ერთად დაიცავენ რკინიგზას და სხვა ობიექტებს... ასეთი მფრინავი რაზმების მომარაგება იარაღითა და ტყვიებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი ჩვენს საწყობებში არსებული მარაგიდან".[253]

მიუხედავად ამისა, 1914 წ. ზაფხულში გახშირდა დივერსიული აქტები. ოსმალეთის სარდლობა ასეთი დივერსიების მოსაწყობად აგზავნიდა სამხედრო პირებსაც. ისინი თავს დეზერტირებად ასაღებდნენ და რუსეთს სთხოვდნენ თავშესაფარს. ასეთი „დეზერტირები" ბათუმის ოლქში მომრავლდა 1913 წ. ბოლოსა და, განსაკუთრებით, 1914 წ. აგვისტო-სექტემბერში.[254] ისინი დადიოდნენ ოლქის სოფლებში და რუსეთის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ,[255] მოსახლეობაში ავრცელებდნენ პროკლამაციებს. ერთი ასეთი პროკლამაცია აღმოჩნდა ს. ალმეში (დღეს ეაშლოევანი, ხულოს რ-ნი). მასში ნათქვამი იყო: „უკვე დროა გაირკვეს სიმართლე, აღდგეს კანონიერება, ადგილობრივი მოსახლეობა დადგეს ოსმალეთის მხარეზე მომავალ წმინდა ომში გიაურების წინააღმდეგ". პროკლამაცია მთავრდებოდა მოწოდებით, „თუ იქნება ერთიანობა, ჩვენ გავიმარჯვებთ".[256] 24 ივლისს ჟანდარმერიამ დააკავა

[251] აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 709, ფურც. 20.
[252] იქვე, ფურც. 26.
[253] იქვე, ს. 664, ფურც. 48.
[254] იქვე, ს. 677, ფურც. 4.
[255] იქვე, ფურც. 17.
[256] იქვე, ფურც. 32.

ოსმალეთის ქვეშევრდომი, ვინმე მუსტაფა-ოღლი, რომელსაც აღმოაჩნდა პროკლამაციები მოსახლეობაში გასავრცელებლად.[257] 1914 წ. 2 აგვისტოს ბათუმის ვაგზლის ტერიტორიაზე განხორციელებული აფეთქების შედეგად დაიჭრა რამდენიმე პოლიციელი და ჩაიმსხვრა შენობის მინები. პოლიციამ ამის გამო დააკავა ოსმალეთის ქვეშევრდომები ახმედ სულეიმან-ოღლი და ხაფეზ აბდი-ოღლი. ასევე, იმავე წლის 18 აგვისტოს ბათუმში რეკოლეერის რამდენიმე გასროლით მოკლეს პოლიციელი ზანანიანი და დაჭრეს პოლიციელი ეგოროვი. ეჭვობდა, რომ ამის ჩამდენი ოსმალო დივერსანტები იყვნენ.[258] ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა ჯერ კიდევ 1914 წ. 12 აგვისტოს ბრძანებით მოუწოდა მოსახლეობას დახმარებოდნენ დივერსანტების წინააღმდეგ ბრძოლაში.[259] ამ ბრძანებას პრაქტიკული შედეგიც მოჰყვა: 24 აგვისტოს მოსახლეობამ დააკავა ვინმე კუკულ ტურან-ოღლი (პროკლამაციას აკრავდა ბათუმის ერთ-ერთ სახლზე) და გადასცა პოლიციას.[260]

გუბერნატორის 1914 წ. 12 აგვისტოს ბრძანებას მოჰყვა მისივე 29 აგვისტოს ბრძანება, რომლითაც კატეგორიულად აიკრძალა უცხოელების მიერ ამა თუ იმ ობიექტის ფოტოგრაფირება, პირველი მოთხოვნილების საქონელზე თვითნებურად ფასების დაწესება, სახელმწიფო ქონების დაზიანება ან ხელყოფა, სპირტიანი სასმელების მიღება, ეაჭრობა ქუჩაში, მოედნებზე და საზოგადოებრივი შეკრების ადგილებზე, ხმების წინასწარგანსრახული გავრცელება მოსახლეობის დეზინფორმაციის მიზნით და სხვ.[261] ბრძანებების ასეთი სიხშირე, როგორც ჩანს, განპირობებული იყო უკვე დაწყებული მსოფლიო ომით (1914 წ. 1 აგვისტო) და ოსმალეთის საზღვართან შექმნილი დაძაბული ვითარებით.

აღსანიშნავია, რომ ოფიციალურ მასალაში ბევრი ბრალდებაა ადგილობრივ მოსახლეობასა და ბეგებზე, თითქოს ისინი ანტირუსულად იყვნენ განწყობილნი და ომის შემთხვევაში მოწინააღმდეგეს მიემხრობოდნენ.[262] 1914 წ. 5 აგვისტოს გუბერნატორს შეატყობინეს, რომ მოსახლეობის ერთ ნაწილში, ოსმალო ემისრების მიერ გაწეული აგიტაციის შედეგად, შეიმჩნეოდა ოსმალეთისადმი ლოიალური დამოკიდებულება და ანტირუსული განწყობილება, რაც ომში მოწინააღმდეგის წარმატების პირობებში, მის მხარეზე გადასვლის შესაძლებლობას ქმნიდა;[263] 13 აგვისტოს მასვე აცნობეს, რომ ზოგი ადგილობრივი ბეგი საიდუმლო კავშირშია ოსმალო ემისრებთან და ისინიც მათთან პოულობენ თავშესაფარს;[264] 1914 წ. 19 აგვისტოს კი იგი გააფრთხილეს, რომ ომის დაწყების შემთხვევაში, ბეგებმა თავიანთი საქმიანობით, შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მოგვაყენონო.[265] სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ სამხედრო გუბერნატორმა 1914 წლის აგვისტოში სპეციალურად შემოიარა ოლქის სოფლები, იწვევდა კრებებს და ხვდებოდა ხალხს. ერთ ასეთ კრებაზე სოფელ გონიოში მან სიტყვით მიმართა მოსახლეობას და ისაუბრა ამ უბნის მნიშვნელობაზე. გუბერნატორმა აღნიშნა საზღვრის დაცვის გაძლიერების აუცილებლობა და

[257] იქვე, ს. 678, ფურც. 11.
[258] იქვე, ს. 680, ფურც. 34.
[259] იქვე, ს. 682, ფურც. 3.
[260] იქვე, ფურც. 17.
[261] სცსსა, ფ. 83, ან. 1, ს. 174, ფურც. 29.
[262] აცსა, ფ. 1, აღ. 1, ს. 702, ფურც. 3.
[263] იქვე, ს. 708, ფურც. 2.
[264] იქვე, ს. 709, ფურც. 19.
[265] იქვე, ს. 712, ფურც. 21.

ადგილობრივ მოსახლეობას მოსთხოვა არ მიეცა მოწინააღმდეგის ემისრებისათვის თავისუფლად პარპაშისა და ძირგამომთხრელი საქმიანობის საშუალება. კრებაზე მოსახლეობის სახელით გამოვიდა ა. ჯაფარიძე, ხასან ბერიძე და სხვ. მათ აღუთქვეს გუბერნატორს, რომ გონიოს უბნის მოსახლეობა ხელისუფლებას ამოუდგება მხარში, იარაღით დაიცავს ქვეყანას და მტერს არ მისცემს საშუალებას მიიტაცოს თუნდაც ერთი გოჯი მიწა. კრებაზე გამოითქვა კრიტიკული შენიშვნებიც, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი უნდობლად უყურებს მათ, ბრალს სდებს მტერთან კავშირში და ა.შ. საბოლოოდ კრების მონაწილეებმა ხელისუფლებას ერთგულება აღუთქვეს და სამხედრო გუბერნატორიც კმაყოფილი დარჩა შეხვედრით.[266]

გუბერნატორი ასევე იმყოფებოდა ართვინსა და ზემო აჭარაში, სადაც მოსახლეობამ ერთგულება გამოუცხადა ხელისუფლებას და აღუთქვა ყოველნაირი დახმარება. ამის საფუძველზე მან 1914 წ. 12 სექტემბერს აცნობა კავკასიის მეფისნაცვალს: „საჭიროდ მიმაჩნია ცნობა იმის თაობაზე, რომ მოსახლეობა ომის შემთხვევაში მტრის მხარეზე აღმოჩნდება... ჩემმა მოგზაურობამ ამაში დამარწმუნა“.[267]

[266] იქვე, ს. 714, ფურც. 20.
[267] იქვე, ს. 715, ფურც. 44.

მუშათა ერთ-ერთი უბანი ბათუმში.

მუშათა საცხოვრებელი უბანი. ბათუმი, 1905 წ.

მუშა მტკირთავი

სასმელი წყლის გამყიდველები. ბათუმი, 1900 წ.

გლეხის საცხოვრებელი სახლი და ბეღელი

ბათუმი. დღიურად მომუშავეები

ჩაის მკრეფავი ბერძენი ქალები.
ბათუმის შემოგარენი, 1909-1914 წწ.



ბათუმის საკაჭრო ნავსადგურის ერთ-ერთი კუთხე

გემმისადგომთან, 1907 წ.



დატვირთვა-გადმოტვირთვის მომლოდინე გემები

იალქნიანი ნავი ნაპირთან,
ამინდის მოლოდინში



ლაზი მილიციელები,
1900-იანი წლები

ბათუმი, ბაზარი

ყავახანა ბაზარში

სოციალ-დემოკრატები ბათუმში

ლადო კეცხოველი

ალექსანდრე წულუკიძე

მიხა ცხაკაია

იოსებ სტალინი

გიორგი ფრანჩესკი

ნიკოლოზ ლუზინი

გრიგოლ სოღორაშვილი

მიხაკო გაბუნია

სერგო ქავთარაძე

პოლიტპატიმრები ბათუმის ციხეში, 1902 წ.

1902 წ. 9 მარტის პოლიტიკურ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის
გასამართლებული როტშილდის ქარხნის მუშები

რევოლუციონერთა ერთი ჯგუფი, რომელიც ბათუმის ციხეში იჯდა
1905 წ. აჯანყებისათვის

კაზაკები ქუჩაში ჩხრეკენ მოქალაქეს.
ბათუმი, 1906 წ.



რსდმპ ბათუმის ორგანიზაციის ერთი ჯგუფი, 1905 წ.

სახალხო მღელვარება ბათუმში, 1905 წ.

თავი VII

ბათუმის ოლქი პირველი მსოფლიო ომის დროს (1914-1918 წწ.)

§1. ბათუმის ოლქი ოსმალეთისა და მისი მოკავშირეების გეგმებში. ბრძოლა ბათუმისათვის 1914-1915 წწ.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბდა სახელმწიფოთა ორი მტრული კოალიცია - „სამთა კავშირი“ და „სამთა შეთანხმება“ (ანუ ანტანტა). ამ უკანასკნელის ბირთვს შეადგენდნენ იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე დიდი კოლონიური იმპერიები: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი.

„სამთა კავშირში“ თავდაპირველად შედიოდნენ: გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ კოალიციას გამოეთიშა იტალია, მაგრამ შეუერთდნენ ოსმალეთი და ბულგარეთი. ასე ჩამოყალიბდა „ოთხთა შეთანხმება“. მასში შემავალმა სახელმწიფოებმა მოითხოვეს „ადგილი მზის ქვეშ“ და ვარაუდობდნენ ომის გზით წაერთმიათ კოლონიები ანტანტის ქვეყნებისათვის.

სწორედ ამ ორ იმპერიალისტურ დაჯგუფებას შორის გაჩაღდა პირველი მსოფლიო ომი (1914-1918 წწ.), რომელშიც სხვადასხვა კონტინენტის 38 სახელმწიფო მონაწილეობდა.

მეომარი სახელმწიფოების მიზნებმა განსაზღვრა ომის ხასიათიც: ის ორივე მხრივ იყო იმპერიალისტური, უსამართლო და დაპყრობითი. მას შედეგად მოჰყვა მილიონობით ადამიანის დაღუპვა და დასახიჩრება, გრანდიოზული მასშტაბების ნგრევა და გაჩანაგება.

გერმანიის და მისი მოკავშირეების გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ამიერკავკასიას და აქედან რუსეთის განდევნას. ინტერესთა ამ ერთიანობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა მათთან ოსმალეთის დაახლოება, რასაც საფუძველი ჩაეყარა „ახალგაზრდა თურქთა“ 1908 წ. რევოლუციის შემდეგ. მათი პარტიის („ერთიანობა და პროგრესი“) ლიდერები - ენვერ ფაშა (სამხედრო მინისტრი და ოსმალეთის ფაქტობრივი დიქტატორი), თალაათ-ფაშა (შინაგან საქმეთა მინისტრი, 1916 წ. დიდი ვეზირი) და აჰმედ ჯემალ-ფაშა (სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრი) - აშკარა გერმანოფილობით გამოირჩეოდნენ.

გერმანიასთან დაახლოების შემდგომი მძლავრი სტიმული იყო ოსმალეთის დამარცხება ბალკანეთის ომებში (1912-1913 წწ.). ოსმალეთში პოზიციების შემდგომი განმტკიცებისა და მისი არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით გერმანიის გენერალურმა შტაბმა გადაწყვიტა იქ გენერალ ლიმან ფონ სანდერსის მეთაურობით ახალი სამხედრო მისიის გაგზავნა. ამ გეგმით აღფრთოვანებული გერმანიის კონსტანტინოპოლელი ელჩი ბარონი ვანგენჰაიმი 1913 წ. 26 აპრილს კანცლერ ბეტმან-ჰოლვეგს სწერდა: „სახელმწიფო, რომელიც კონტროლს უწევს არმიას, თურქეთში ყოველთვის იქნება ყველაზე ძლიერი. თუ ჩვენ კონტროლს გავუწევთ მის არმიას, მაშინ იქ ძალაუფლების შენარჩუნებას ვერ შეძლებს გერმანიისადმი მტრულად განწყო-

ბილი ევრაზიათარი მთავრობა".[1]

„ახალგაზრდა თურქებიც" ფიქრობდნენ ბალკანეთის ომებში დამარცხებული თავიანთი არმიის რეორგანიზაციას და შეიარაღების მოდერნიზაციას. ამიტომ ისინი სიხარულით შეხვდნენ გერმანიის წინადადებას და აღნიშნული მისია ოსმალეთში მიიწვიეს. 1913 წ. ოქტომბერში გერმანიასა და ოსმალეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც სანდერსის სამხედრო მისიას ფართო უფლებებს აძლევდა.[2]

გერმანიის სამხედრო მისიამ ომის წინ ოსმალეთში ჩაატარა დიდი სამუშაო. მისიის წევრებმა საპასუხისმგებლო თანამდებობები დაიკავეს გენშტაბში, სასაზღვრო კორპუსებსა და სიმაგრეებში.

1914 წ. 1 აგვისტოს ევროპაში გაჩაღდა პირველი მსოფლიო ომი. მეორე დღესვე ოსმალეთმა გერმანიასთან ხელი მოაწერა საიდუმლო სამხედრო-სამოკავშირეო ხელშეკრულებას. პარალელურად, 3 აგვისტოს, ოსმალეთის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია ნეიტრალიტეტის შესახებ. ეს იყო დიპლომატიური დემარში, რომლის მიზანს შეადგენდა ანტანტის სახელმწიფოების სიფხიზლის მოდუნება. ამის შესახებ ჯემალ-ფაშა თავის მემუარებში წერდა: „ჩვენ ნეიტრალიტეტი გამოვაცხადეთ მხოლოდ იმიტომ, რომ დრო მოგვეგო. ველოდით მომენტს, როდესაც მობილიზაცია დამთავრდებოდა და შეეძლებდით ომში ჩაბმას".[3]

პეტერბურგში არ სჯეროდათ ოსმალეთის ნეიტრალიტეტის. მით უმეტეს, რომ აგვისტოს დასაწყისში გერმანელებმა შავ ზღვაში შემოიყვანეს და ოსმალებს გადასცეს ჯავშნოსანი დრედნოუტი „გებენი" და კრეისერი „ბრესლაუ" ადმირალ სუშონის მეთაურობით (იგი მალე გამოცხადდა ოსმალეთის საზღვაო ძალების მთავარსარდლად).

აღსანიშნაია, რომ რუსეთს არც აწყობდა ოსმალეთის ნეიტრალიტეტი, რადგან გეგმავდა მასთან წარმატებული ომით გადაეწყვიტა მახლობელ და შუა აღმოსავლეთში გაბატონების ორსაუკუნოვანი პოლიტიკური ამოცანა.[4]

12 აგვისტოს კავკასიაში გამოცხადდა სამხედრო წესები. რუსეთის მთავრობამ ოსმალეთს წაუყენა ულტიმატუმი და მოსთხოვა დემობილიზაცია, მაგრამ ამაოდ. ოსმალეთი განაგრძობდა ომისათვის გაძლიერებულ მზადებას. მას უკვე ჰყავდა 400 ათასი ჯარისკაცი და 24 ათასი ოფიცერი, რაც შეადგენდა 38 დივიზიას.[5] რუსეთის კონსტანტინოპოლელი ელჩი გირსი იუწყებოდა: „მთელი თურქეთი გადაქცეულია სამხედრო ბანაკად და განწყობილებაც მეომრულია".[6]

გერმანია-ოსმალეთის სარდლობამ კავკასიის ფრონტზე ერზერუმთან თავი მოუყარა ჯარების დიდ რაოდენობას. აქვე გადაისროლეს თვითმფრინავები, რომლებსაც გერმანელი პილოტები მართავდნენ.[7] ძალების კონცენტრაცია ხდებოდა ტრაპიზონშიც. „ერთიანობის და პროგრესის პარტიის" ტრაპიზონის კომიტეტი შეუდგა მაჰმადიანთაგან არალეგალური „ჩეთეს"[8] რაზმების („ჰამიდიელთა") ფორმირებას, მათ ორგანიზებაში მონაწილეობდნენ გერმანელი ოფიცრებიც. რუსეთის საზღვრისპირა

---

[1] Die Grosse Politik der Europäschen Kabinette 1871-1914. Bd., 38, Berlin, 1926, s. 200.

[2] M.Larcher, La guerre Turque dans la guerre mondiale, Paris, 1926, pp. 609-610.

[3] Джемал-паша. Записки, 1913-1919 гг., Тиф., 1923, сс. 101-102.

[4] Корсун Н.Г. Первая мировая война на Кавказском фронте (оперативно-стратегический очерк), М., 1946, с. 3.

[5] ოგიგანეიშვილი, თურქეთი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963, გვ. 100-101.

[6] АВПР. Ф. «Канцелярия», оп. 470, д. 109, т. 1, Л. 22-23, 66.

[7] სცსსა, ფ. 13, აწ. 27, ს. 3361, ფურც. 5, 13.

[8] „ჩეთე" - პარტიზანული რაზმი, აჯანყებულთა მომცრო რაზმი (Турецко-русский словарь (сост. Д.А.Магазаник), М., 1945, с. 116.

პორტებში (ხოფაში, ათინასა და ვიწეში) შეიტანეს სამხედრო აღჭურვილობა.[9] მძიმე მდგომარეობა იყო არმიის სურსათით მომარაგების მხრივ, რადგან ოსმალეთის ხელისუფლებას არ გააჩნდა სტრატეგიული მარაგი. ამიტომ გაიცა უმაღლესი ბრძანება სურსათ-სანოვაგისა და საჭაპანო ტრანსპორტის რეკვიზიციის შესახებ.[10]

ოსმალეთის გეგმებში ბათუმი განიხილებოდა ამიერკავკასიაში შემდგომი შეტევის ერთ-ერთ პლაცდარმად. ამიტომაც, სარდლობამ ამიერკავკასიის საზღვარზე განლაგებულ ჯარებს ამოცანად დაუსახა ბათუმის დაკავება. 1914 წ. სექტემბრის დასაწყისში ენვერ-ფაშამ მე-3 არმიას მისცა შემდეგი დირექტივა: „არმია კონცენტრირებული უნდა იქნეს ერზერუმის რაიონში იმ ანგარიშით, რომ მან შეძლოს რუსეთის არმიის შემოტევის შემთხვევაში თვითონვე შეუტიოს თავისი ჭარბი ძალებით მის ცალკეულ კოლონებს... ასეთ შეტევას, ჩვენი აზრით, აქვს წარმატების შესაძლებლობა, თუ მას მიმართულება ექნება ბათუმისა და არტაანისაკენ. ეს მოგვიტანს ბატონობას შავ ზღვაზე, რაც ჩვენთვის აუცილებელია რუსების მიერ ყარსის ძლიერი გამაგრების გამო".[11]

დაიგეგმა ბათუმის მახლობლად დიდი საზღვაო დესანტის გადმოსხმაც, რისთვისაც ოსმალეთში მობილიზაციის გამოცხადებისთანავე ზღვისპირეთის მცხოვრებთ ჩამოართვეს ფელუკები. დაიწყეს კიდეც სადესანტო ნაწილების მომზადება, მაგრამ ბათუმის კარგად გამაგრებული სანაპირო ზოლის და გერმანია-თურქეთის ფლოტის მოუმზადებლობის გამო, ამ გეგმის განხორციელება სახიფათოდ ჩათვალეს. გადაწყდა, ძირითადი აქცენტი კავკასიაში სახმელეთო ბრძოლებზე გადაეტანათ.

1914 წ. სექტემბრის დასაწყისში ქ. ხოფაში სტამბოლიდან მიიღეს ბრძანება - მზად ჰყოლოდათ „ჩეთეს" რაზმები. ტრაპიზონიდან ბათუმის ოლქის საზღვრებისაკენ წინსვლა იწყეს რეგულარულმა ნაწილებმაც. ბერლინიდან კონსტანტინოპოლში მიიღეს მითითება, რომ „დაეჩქარებინათ იმ ღონისძიებების განხორციელება, რომლებსაც შეეძლებოდა გამოეწვია მღელვარებები და სხვა უწესრიგობანი კავკასიის მაჰმადიანურ მოსახლეობაში".

მობილიზაციის დაწყების შემდეგ ოსმალეთის მთავრობამ იზრუნა რუსეთში მცხოვრები თავისი მოქალაქეების უკან დაბრუნებაზე. ბათუმელმა კონსულმაც აქ მყოფ ყველა თანამემამულეს ამცნო ქვეყნის ომისათვის მზადება და უბრძანა — სამშობლოში წასვლა.[12]

კავკასიის ფრონტის გახსნას მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა ავსტრია-უნგრეთის სამეფო კარიც. ავსტრიის კონსტანტინოპოლელი ელჩი მარკგრაფი პალავიჩინი ოსმალეთის მთავრობას ჯერ კიდევ 1914 წ. აგვისტოს დასაწყისში მიუთითებდა ამიერკავკასიაში, კერძოდ, ბათუმის მიმართულებით აქტიური მოქმედებისაკენ. ამით შემსუბუქდებოდა ავსტრიის სამხედრო მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპის ასპარეზზე. ოსმალეთის ფრონტზე რუსეთის ძალების მოზიდვისათვის ევნელი პოლიტიკოსები გეგმავდნენ აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანთა აჯანყების ორგანიზებას 1914 წ. ნოემბრისათვის. ამავე მიზნით ავსტრიის ტრაპიზონელმა კონსულმა კვიატკოვსკიმ კონტაქტები დაამყარა ამიერკავკასიის ნაციონალისტურ ჯგუფებთან.

კავკასიის ასპარეზზე ოსმალთა გამოსვლის წახალისების მიზნით ევნელი პოლიტიკოსები არ ერიდებოდნენ მათთვის გარანტიების მიცემასაც. ავსტრიის საგარეო

---

[9] АВРП, Ф. «Политархив», оп. 482, д. 1433, Л. 276, 287.
[10] იქვე. ფურც. 283.
[11] Мюльман К. Германо-турецкий военный союз в мировой войне. Перевод с немецкого (машинописное издание), с. 29.
[12] სცსსა, ფ. 157, ან. 1, ს. 320, ფურც. 84.

საქმეთა მინისტრის დაჟალებით დიდ ვეზირს აცნობეს, რომ ომში გამარჯვების შემდეგ ოსმალეთი შეძლებდა საზღვრების რეგულირებას კავკასიაში.[13]

ოსმალეთის წინაშე დაისახა საომარი მოქმედების სამი ძირითადი მიმართულება: ეგვიპტე, ბალკანეთი და კავკასია, რომელთა შორის გერმანია ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად თვლიდა სუეცის არხიდან და ეგვიპტიდან ინგლისელების განდევნას[14] და ამისკენ დაუინებით მოუწოდებდა თავის მოკავშირეს. დიდი თურქული სახელმწიფოს („თურანი") შექმნის გეგმით შეპყრობილ ენვერ-ფაშას უპირველეს ამოცანად მიაჩნდა კავკასიის დაპყრობა, აქედან შუა აზიასა და ვოლგისპირეთში გაჭრა და მაჰმადიანებით დასახლებული ამ რეგიონების შეერთება. ამიტომაც, გერმანელი მოკავშირეების სურვილისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ, მთელი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში კავკასიის საკითხი ოსმალეთის მმართველი წრეებისათვის წარმოადგენდა საგარეო ექსპანსიონისტური პოლიტიკის ძირითად პრობლემას.

1914 წ. ოქტომბრის შუა რიცხვებში ოსმალებმა ამიერკავკასიის საზღვრებზე თავი მოუყარეს მე-3 არმიის ძირითად ძალებს. ამას ემატებოდა ქურთთა 4 საკავალერიო დივიზია. ოსმალთა ძალების საერთო რაოდენობამ ამ რეგიონში 190 ათასამდე კაცი შეადგინა. მე-3 არმიის შემადგენლობაში მრავლად იყვნენ გერმანელი ოფიცრები, რომლებსაც საკომანდო პოსტები ეკავათ.

გერმანიამ და ავსტრიამ ომის პირველივე თვეებში სერიოზული დამარცხებები იწვნიეს ევროპის ფრონტებზე. შექმნილ ვითარებაში მათ დაჟინებით მოითხოვეს ომში ოსმალეთის დაუყოვნებლივ ჩაბმა და მეორე ფრონტის გახსნა, რათა ეიძულებინათ მოწინააღმდეგეები თავიანთი ჯარები ევროპიდან აზიაში გადაესროლათ.

ენვერ-ფაშა და მისი თანამოაზრეები მზად იყვნენ ჩაბმულიყვნენ ომში, მაგრამ სულთანმა ანგარიში გაუწია მინისტრთა კაბინეტში ომის მოწინააღმდეგე უმრავლესობას და მანიფესტს ომის გამოცხადების შესახებ იმჯერად ხელი არ მოაწერა.[15]

შექმნილ ვითარებაში ენვერ-ფაშამ და სანდერსმა გადაწყვიტეს გერმანია-ოსმალეთის ფლოტით მოულოდნელად დაებომბათ რუსეთის შავიზღვისპირა ქალაქები და ამით სულთნის მთავრობა დაეყენებინათ „მომხდარი ფაქტის" წინაშე. 27 ოქტომბერს, სამხედრო წვრთნის მომიზეზებით, ფლოტი ზღვაში გავიდა. 29-30 ოქტომბერს მან დაბომბა სევასტოპოლი, ოდესა, ფეოდოსია და ნოვოროსიისკი, ჩაძირა რუსეთის რამდენიმე გემი და ერთი ფრანგული სავაჭრო ხომალდი. ამავე დროს ოსმალეთის ჯარებმა კავკასიაშიც დაიწყეს სამხედრო მოქმედება. 2 ნოემბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. 12 ნოემბერს კი სულთანმა გამოაცხადა „საღვთო ომი" ანტანტის წინააღმდეგ.

* * *

გერმანია-ოსმალეთის სარდლობამ იზრუნა ბათუმზე შეტევის გეგმის შენიღბვისათვის. მათ რუსეთის კონტრდაზვერვას შეაპარეს დეზინფორმაცია, რომლის მიხედვით ბათუმის მიმართულებით არ იყო განზრახული დიდი მასშტაბის სამხედრო ოპერაციები, რომ აქ შემოიფარგლებოდნენ ძირითადად „ჩეთეს" რაზმების მოქმედებით.[16]

რუსეთის სარდლობამ ირწმუნა ამ ცნობის ჭეშმარიტება და სერიოზული ყურად-

---

[13] გ.ანჯაპარიძე, ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ პირველი მსოფლიო ომის წლებში. - საქართველო და ევროპის ქვეყნები, IV, თბ., 1989, გვ. 44-53; W.Bihl, Die Kaukasus Politik der Mittelmächte, Teil I (1914-1917), Wien-Köln-Graz, 1975, s. 127-129.

[14] Фалькенгайн Э., Верховное командование 1914-1916 гг в его важнейших решениях, М., 1923, сс. 54-55.

[15] სცსსა, ფ. 13, ან. 22, ს. 476, ფურც. L

[16] იქვე. ფ. 157, ან. 1, ს. 320, ფ. 107.

ღება არ მიაქცია საზღვრების დაცვის გაძლიერებას. პირიქით, აქედან დასავლეთის ფრონტ'ზე გადაიყვანა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა. დატოვეს მხოლოდ 6 ბატალიონი, 1 მესანგრეთა ასეული და 8 ქვემეხი. აღსანიშნაეია ისიც, რომ 1910 წლიდან მოყოლებული, პირველ მსოფლიო ომამდე, ბათუმის მიხეილის სიმაგრის სანაპირო ფრონტებ'ზე მოხსნეს ძველი სისტემის ქვემეხები, მაგრამ დაგეგმილი შეცვლა ახალი სისტემის შორსმსროლელი ქვემეხებით ვერ მოახერხეს. ამის გამო, ომის საწყის ეტაპზე, ბათუმის გამაგრებული რაიონის[17] სანაპირო არტილერია თავისი წინანდელი შემადგენლობის ნახევარსღა მოითვლიდა.[18]

რუსეთის კავკასიის ფრონტის სარდლობა მთავარ მიმართულებად თვლიდა ერზერუმს, სადაც თავმოყრილი იყო ოსმალეთის მე-3 არმიის ძირითადი ძალები და სარდლობა.

გერმანია-ოსმალეთის სარდლობამ ბათუმის მიმართულებით თავი მოუყარა დიდ ძალებს - ფეხოსანთა 14 ბატალიონს (რუსეთის 6 ბატალიონის წინააღმდეგ), ხოფაში კი ზღვით საგანგებოდ გადაიყვანეს კონსტანტინოპოლის I კორპუსის ორი ოსმალური პოლკი გერმანელი პოდპოლკოვნიკის – შტანკეს მეთაურობით. ეს დაჯგუფება გააძლიერეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიერ შექმნილი „ქართული ლეგიონით“, აგრეთვე, ოსმალეთში სხვადასხვა დროს გადახვეწილი ქართველი მაჰმადიანებით. შტანკეს რაზმთან ერთად ბათუმის მიმართულებით უნდა ემოქმედა 6 ათასამდე ჩეთნიკს. საომარი მოქმედების დაწყების წინ ოსმალებმა ამიერკავკასიაში შემოაგზავნეს სადიეერსიო ჯგუფები, რომლებსაც მწყობრიდან უნდა გამოეყვანათ რკინიგზის და ტელეგრაფის ხაზები.[19]

ოსმალებმა ბათუმის ოლქს შემოუტიეს ორი ძირითადი მიმართულებით: ზღვის სანაპიროს გასწვრივ (ლიმანი, მაკრიალი, გონიო, ბათუმი) და ართვინის ოკრუგში - მურღულისა და ჩხალის ხეობებით. წარმატების შემთხვევა'ში, ოსმალეთის სარდლობა ვარაუდობდა რამდენიმე ამოცანის გადაწყვეტას: ა) გავმაგრებინა ფრონტის მარცხენა ფლანგი, რათა აქედან აღეკვეთა რუსების კონტრშეტევა ერზერუმზე (მე-3 არმიის ძირითად ბაზაზე); ბ) მჭიდროდ ჩაეკეტა სასაზღვრო ზოლი რუსეთთან, რაც მას საშუალებას მისცემდა რუსეთისაგან ფარულად გადაეყვანა ჯარები ტრაპიზონიდან ოლთისისა და არტაანის მიმართულებით შეტევის წამოსაწყებად (ეს მათ გააკეთეს კიდეც); გ) დაუფლებოდნენ ართვინის ოკრუგის უმდიდრეს სპილენძის საბადოებს; დ) ბათუმის დაკავების შემთხვევაში მათ გზა ეხსნებოდათ დასავლეთ საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიის შიდა რაიონებისაკენ; ე) აღეკვეთათ ბათუმის ნავსადგურით რუსეთის ევროპული ნაწილის მომარაგება ბაქოს საწვავით.

1914 წ. 30 ოქტომბერს მოწინააღმდეგე, ძირითადად, „ჩეთეს“ ნაწილები, არხაევს

---

[17] ბათუმის გამაგრებული რაიონი, იგივე წმ. მიხეილის ციხე-სიმაგრე, მოიცავდა ქ.ბათუმს (საფორტიფიკაციო სიმაგრეებით) და მის მიმდებარე შემდეგ ტერიტორიებს: ჩრდილოეთით საზღვარი გადიოდა მდ.ჩაქვისწყალზე, აღმოსავლეთით - სოფლების დიდიჯამეს (თანამედროვე ჩაქვის ჩაისუბანი), ყოროლისთავის, ჯოჯოს, სიმონეთის და მირვეთის ხაზზე, სამხრეთით მდ. ჭოროხზე და დასავლეთით - შავ ზღვაზე (ასცა, ფ. 1, ან. 1, ს. 688, ფურც. 1). 1914 წ. 13 ივლისიდან გამაგრებული რაიონის ტერიტორიაზე გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა. მიხეილის სიმაგრის კომენდანტი გენერალ-მაიორი ელმანი დანიშნა ქ.ბათუმის და გამაგრებული რაიონის დროებით გენერალ-გუბერნატორად და ბათუმის ოლქში დისლოცირებული ჯარების სარდლად.

თვით ქ.ბათუმსა და ოლქში უმაღლეს ადმინისტრაციულ ხელისუფლებას ახორციელებდა გუბერნატორი. 1914 წ. 19 ივლისიდან მისი კომპეტენციიდან დროებით გამოვიდა მიხეილის გამაგრებული რაიონის ტერიტორია, ხოლო მას ეწოდა ბათუმის ოლქის დროებითი გენერალ-გუბერნატორი. ამ თანამდებობაზე მუშაობდა გენერალ-მაიორი ბ.რომანოვსკი-რომანკო (სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3422, ფურც. 4-34). 16 ოქტომბერს ბათუმში გამოცხადდა საალყო წესები.

[18] Масловский Е.В., Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 гг (стратегический очерк), Париж, 1933, сс. 66-67.

[19] Корсун Н.Г., დასახ. ნაშრ., გვ. 30-33.

და ხოფას მხრიდან ჩხალისა და მურღულის ხეობებით შემოიჭრა ართვინის ოკრუგში. რუსეთის სასაზღვრო დაცვამ ისინი ვერ შეაჩერა და უკან დაიხია. უკვე 1 ნოემბერს 500-მდე ოსმალო ჩეთნიკი გამოჩნდა ჭინკათხევ-ძანსულის სპილენძსადნობი კომპლექსის მიდამოებში. მესაზღვრეთა ნაწილები არ იყო საკმარისი. ამიტომაც ართვინის ოკრუგის უფროსის, პოლკოვნიკ ლავროვის ინიციატივით, ქარხნისა და მაღაროების მუშა-მოსამსახურეთაგან სასწრაფოდ შედგა მოხალისეთა რაზმი, რომელიც ქარხნის მისადგომებს იცავდა 3 ნოემბრამდე, ბათუმიდან დამხმარე ჯარის მოსვლამდე.[20] ამავე დროს ოსმალთა ათასკაციანმა რაზმმა შეტევა განავითარა ბორჩხასკენ, მაგრამ უკუაგდეს.

ართვინის ოკრუგში შეტევის პარალელურად ოსმალების ფეხოსანთა რაზმებმა და „ჩეთემ" ზღვის სანაპირო ზოლითაც შემოუტიეს. 1 ნოემბერს მათ აღყა შემოარტყეს ლიმანის სასაზღვრო საგუშაგოს. მესაზღვრეები ერთი დღე-ღამის განმავლობაში იცავდნენ თავს. 2 ნოემბერს ბათუმიდან მათ დამხმარე ძალა და არტილერია მიუვიდა. ოსმალებმა მასირებულ კონტრიერიშს ვეღარ გაუძლეს და დიდი დანაკარგით უკუიქცნენ ლიმანიდან.[21]

ართვინის ოკრუგში კი რუსეთის ჯარები კვლავ უკან იხევდნენ. ოსმალები ცდილობდნენ რაც შეიძლება სწრაფად დაუფლებოდნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სოფ. ბორჩხას, საიდანაც იხსნებოდა გზა მდ. ჭოროხის გასწვრივ როგორც ბათუმისაკენ, ისე ჩრდილო-აღმოსავლეთით ართვინ-არტაანისა და ყარსისკენ. ამიტომ ბათუმიდან ბორჩხაში გაიგზავნა დამხმარე ძალა. 3 ნოემბერს იქ შტაბითურთ ჩავიდა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი და მიხეილის გამაგრებული რაიონის კომენდანტი გენერალ-მაიორი ელშინი. ადგილზე ვითარების გაცნობის შემდეგ, მან, მეორე დღისათვის დაგეგმა კონტრშეტევა. იგი უნდა განეხორციელებიათ ალექსანდროეს კის სპილენძსადნობი ქარხნებიდან და საგუშაგო „კურა"-დან. ქარხნიდან შემტევი რაზმის უფროსობა დაევალა გენ. ელშინის თანაშემწეს როტმისტრ ლაჩინოვს, მაგრამ მას ოსმალებმა დაასწრეს, დაიკავეს საწარმოს ირგვლივ სიმაღლეები და თვითონ გადმოვიდნენ შეტევაზე. ბრძოლა გაჩაღდა ქარხნის ტერიტორიაზე. ელშინმა ვერ გამოიჩინა გამჭრიახობა, დაიბნა და მხოლოდ პასიური თავდაცვით შემოიფარგლა[22] (ასე გრძელდებოდა მისი სარდლად ყოფნის მთელ პერიოდში). რუსეთის ჯარებმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს და 4 ნოემბერს საღამოს ქარხნის ტერიტორია დატოვეს.

წარუმატებლად დამთავრდა მეორე კონტრშემტევი რაზმის მოქმედებაც. იგი შედგებოდა შერეული სახეობის 8 ასეულისაგან. გენ. ელშინმა რაზმის უფროსად დანიშნა ართვინის ოკრუგის უფროსი პოლკოვნიკი ლავროვი. ცუდი ხელმძღვანელობის გამო მისი რაზმი ბრძოლაში დამარცხდა, დაკარგა ორი ქვეშეხი და ტყეეთა სახით რამდენიმე ათეული მებრძოლი.[23]

4-5 ნოემბერს, ღამით, რუსეთის სარდლობამ მიიღო ცნობა, რომ მოწინააღმდეგემ მნიშვნელოვანი შეესება მიიღო შეტევის გასაგრძელებლად. გენ. ელშინი შეშინდა, ბრძოლას თავი აარიდა, ართვინსა და არტანუჯში გამაგრებულ ჯარებს უბრძანა დაეხიათ სოფ. ბორჩხასაკენ და აეფეთქებინათ ქ. ართვინთან მდ. ჭოროხზე მდებარე ხიდი. რუსეთის ჯარების მოულოდნელმა უკანდახევამ გამოიწვია ამ მხარის მოსახლეობის, განსაკუთრებით კი სომხების პანიკა და აყრა-გამოქცევა ბათუმისაკენ. ევაკუაციისათ-

[20] Газ. «Закавказская речь», 1914 г., №272.
[21] სცსსა, ფ. 157, აღ. 1, ს. 320, ფურც. 370.
[22] აცსა, ფ. 67, აღ. 1, ს. 13, ფურც. 17.
[23] Масловский Е.В. დასახ. ნაშრ., გვ. 67.

ვის მზადება დაიწყო ბათუმის მოსახლეობამაც.[24]

წარუმატებლად დამთავრდა რუსეთის ზღვისპირეთის რაზმის თავდაცვითი ბრძოლებიც. ბათუმის მიმართულებით (ლიმანთან) პირველი მარცხის შემდეგ, ოსმალებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს აქ დისლოცირებული ძალები, რის შემდეგაც შეძლეს ლიმანის დაკავება და გონიოსაკენ გაჭრა.

გენ. ელშინმა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სოფ. ბორჩხას გამაგრებაც ვერ შესძლო და უკან დაიხია. აქ ოსმალთა ჯარი ორად გაიყო. ერთი ნაწილი გენერალ ხუსეინ ავნი-ფაშას (წარმოშობით ქობულეთელი) მეთაურობით დაედევნა უკანდახეულ ელშინს. შტანკეს შენაერთი კი ჭოროხს აღმა აუყვა, დაიკავა ართვინი და არტანუჯი. აქედან გზა იხსნებოდა არტაანისა და ახალქალაქისკენ.

ბათუმისკენ უკანდახეული რუსეთის სამხედრო ნაწილები გადავიდნენ მდ. აჭარისწყალზე და ქალაქის მისადგომებთან გამაგრდნენ, ამავე დროს (27 ნოემბერს) გერმანელმა კრეისერმა „გებენმა“, ორი სამხედრო გემის თანხლებით, ყუმბარები დაუშინა ბათუმსა და მის სიმაგრეებს. სანაპირო არტილერიის ძლიერი საპასუხო ცეცხლის გამო, მოწინააღმდეგის გემებმა მხოლოდ 15 ჭურვის გასროლა მოასწრეს და მიიმალნენ. ჭურვების უმრავლესობა ჭაობში ჩაცვივდა. დაბომბვის შედეგად ქალაქში დაინგრა ორიოდე შენობა, დაიჭრა ხუთი და გარდაიცვალა ერთი მოქალაქე. ბათუმის ოლქის ჟანდარმერიის უფროსის ცნობით: „დაბომბვა 15-20 წუთს გრძელდებოდა, მაგრამ მოსახლეობაზე მოახდინა დამთრგუნველი შთაბეჭდილება“.[25] გერმანია-ოსმალეთის ფლოტმა შემდგომშიც სცადა ბათუმზე თავდასხმა: 1914 წ. 11 დეკემბერს ღამით ქალაქს მოადგა კრეისერი „ჰამიდიე“.[26] მაგრამ სანაპირო დაცვის სიმარჯვის გამო მან მხოლოდ რამდენიმე გასროლა მოასწრო.

ჭოროხის ხეობით მდ. აჭარისწყლის შესართავთან გაჭრილმა ოსმალებმა მოქმედება განაგრძეს ორი მიმართულებით – ბათუმისა და ზემო აჭარისაკენ. ამ უკანასკნელზე შემტევი რაზმი, რომელსაც გერმანელი ოფიცერი მეთაურობდა, ნოემბრის დამლევს ქედაში შევიდა.[27] დეკემბრის დასაწყისში მოწინააღმდეგის 1000-კაციანი რაზმი თითქმის უბრძოლველად შევიდა ხულოში. ზემო აჭარის უბნის ადმინისტრაციამ „ჩეთეს“ შესელამდე რამდენიმე დღით ადრე დატოვა ხულო და ახალციხეში გადავიდა.[28] ზემო აჭარაში ფეხის შემოდგმისთანავე ოსმალებმა პროპაგანდისტები დაგზავნეს სოფლებში, მოსახლეობას მოუწოდეს ჩაწერილიყვნენ „ჩეთეში“ და ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ თუმცა ამას მნიშვნელოვანი წარმატება არ ჰქონდა.[29]

წარუმატებლად დამთავრდა რუსეთის ზღვისპირეთის რაზმის თავდაცვითი ბრძოლებიც. მოწინააღმდეგემ აიღო გონიო და ზღვასთან მდ. ჭოროხის შესართავს მიადგა. ამის შემდეგ ოსმალთა სარდლობამ სცადა მიხეილის სიმაგრის გვერდის აელით შეეტია გურიისა და ქუთაისის მიმართულებით. „ჩეთეს“ მოზრდილმა რაზმმა მთის ბილიკებით გააღწია კიდეც დაბა ჩაქვში და შეეცადა მოსახლეობის ამბოხებას და ბათუმ-ნატანების რკინიგზის აფეთქებას.[30] ოსმალთა აგენტები ვარაუდობდნენ მოეწამლათ ბათუმის სასმელი წყლის სათავეც, მაგრამ ხელისუფლებამ დროზე მიიღო ზომები. გააძლიერა წყალსადენისა და რკინიგზის დაცვა, რითაც აღკვეთა მტრის

[24] მ. სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათ., 2002, გვ. 73-74.
[25] სცსსა, ფ. 157, ან. 1, ს. 320, ფურც. 505.
[26] იქვე, ფ. 13, ან. 27, ს. 3550, ფურც. 4.
[27] იქვე, ფ. 157, ან. 1, ს. 320, ფურც. 487.
[28] იქვე, ფ. 114, ან. 1, ს. 2354, ფურც. 1,2.
[29] აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 708, ფურც. 43.
[30] იქვე, ფურც. 23.

ჩანაფიქრის განხორციელების შესაძლებლობა.[31]

გერმანია-ოსმალეთის უმაღლესმა სარდლობამ სცადა ფრონტზე მიღწეული პირველი წარმატებების გამოყენება ამიერკავკასიის სიღრმეში შეტევისათვის, მაგრამ მე-3 არმიის სარდალი ხასან იზეთ-ფაშა და ზოგიერთი კორპუსის მეთაური ამას პესიმისტურად შეხვდა. ისინი მოითხოვდნენ არმიის დასვენებას და შევსებას. დასავლეთის ფრონტზე წარუმატებლობით შეშფოთებული გერმანიის გენშტაბი კი მოითხოვდა დაუყოვნებლივ შეტევას. ამიტომაც გენერალ ლიმან ფონ სანდერსის რჩევით, ხასან იზეთ-ფაშა გადააყენეს და მე-3 არმიის სარდლობა თავის თაეზე აიღო სამხედრო მინისტრმა ენვერ-ფაშამ. არმიის შტაბის უფროსად დაინიშნა გერმანელი გენერალი ბრონსარტ ფონ შელენდორფი, მის თანაშემწედ კი მაიორი ფელდმანი.[32] გარდა ამისა, შტაბის მთავარ განყოფილებებს სათავეში ჩაუყენეს გერმანელი ოფიცრები. გერმანელებით დაკომპლექტდა საარტილერიო ბატარეებიც.[33] ახლა ოსმალეთის მე-3 არმიის უახლოეს ამოცანად დაისახა სარიყამიშის რაიონში განლაგებული რუსეთის ჯარების განადგურება, ხოლო შემდეგ ბათუმის და ყარსის აღება. მე-3 არმიის მარცხენა ფლანგის უშიშროების უზრუნველსაყოფად შტანკეს რაზმს დაეკისრა არტაანის დაკავება.

სარიყამიშის ოპერაცია დაიწყო 1914 წ. 22 დეკემბერს. ოსმალეთის არმია შეტევაზე გადმოვიდა მთელ ფრონტზე. 25 დეკემბერს მან დაიკავა გამაგრებული პუნქტები სარიყამიშის მარჯვენა ფლანგზე. იმავე დღეს შტანკეს რაზმმა აიღო არტაანი. აქ მას ებრძოდა არტაანის რაზმი გენერალ გენიკის მეთაურობით. არტაანის დატოვების შემდეგ იგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან რიცხობრივად ჭარბი შტანკეს რაზმი წინ მოიწევდა ახალციხისაკენ. გენიკის რაზმის დასახმარებლად გაიგზავნა გენერლების გაბაშვილისა და ისტომინის მსროლელთა ბრიგადები, აგრეთვე, ციმბირელ კაზაკთა ბრიგადა გენერალ კალიტინის მეთაურობით. ამ რაზმებმა ჯერ შეაჩერეს, შემდეგ კი გაანადგურეს შტანკეს რაზმი. დაატყვევეს 1000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. 3 იანვარს რუსთა ჯარმა ბრძოლით დაიბრუნა ქ. არტაანი, შემდეგ ოლთისი. შტანკემ ართვინისკენ დაიხია.[34]

რუსეთის ჯარებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ფრონტის სხვა უბნებზეც. ასე რომ, სარიყამიშის ოპერაცია ოსმალთა სრული განადგურებით დამთავრდა. მათ ამ ბრძოლაში 90 ათასი ჯარისკაციდან დაკარგეს 70 ათასი, აქედან 30 ათასი მოყინულთა სახით. რუსთა დანაკარგი შედარებით უმნიშვნელო იყო - 20 ათასი კაცი.

პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე რუსეთის გამარჯვებების ღირსეული თანამონაწილეები იყვნენ ქართველებიც. 2,3 მილიონი მოსახლეობის საქართველოდან ომში 300 ათასზე მეტი კაცი იქნა მობილიზებული. პატრიოტული აღტყინება განსაკუთრებით საგრძნობი იყო კავკასიის ფრონტის გახსნის შემდეგ, რაც მადლიერებით შეაფასა ხელმწიფე-იმპერატორმაც. საქართველომ მსოფლიო ომში გაგზავნა ბრწყინვალე ოფიცრობა და გენერალიტეტი, საარაკო გმირობისა და შეუპოვრობის მაგალითები უჩვენა არაერთმა მებრძოლმა.[35] მათგან გამორჩეულია ტარასი ეაშაკიძე („შაითან კაპიტანი"), რომელმაც ერთი ასეულით სარიყამიშთან უმსხვერპლოდ დაატყვევა 2 ათასი ასკერი, ასზე მეტი ოფიცერი და მე-9 კორპუსის სარდლობა ისხან-ფაშას მე-

31 სცსსა. ფ. 13, ან. 27, ს. 3193, ფურც. 33.

32 Корсун Н.Г. დასახ. ნაშრ., გვ. 32.

33 Пипия Г.В. Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг., М., 1978, с. 55.

34 Корсун Н.Г. დასახ. ნაშრ., გვ. 33-37.

35 ბ. სიორიძე, პირველ მსოფლიო ომში ქართველთა მონაწილეობის საკითხისათვის-კრებ. „საისტორიო მაცნე", XII, ბათ., 2003, გვ. 32-39.

თაურობით.[36]

სარიყამიშთან გამარჯვების შემდეგ რუსეთის ჯარებმა საომარი მოქმედება ოსმალეთის ტერიტორიაზე გადაიტანეს. ოსმალთა მიერ ოკუპირებული რჩებოდა მხოლოდ ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი - ართვინის მხარე. იგი მთაგორიანია და ძნელად გასავლელი. ამის გამო შეძლეს ოსმალებმა იქ გამაგრება. 1914 წ. დეკემბრის დამლეეს ოსმალებს ამ რეგიონში 15 ათასამდე მებრძოლი ჰყავდათ.[37]

ბათუმის ოლქის დროებით ოკუპირებულ ნაწილში ოსმალებმა მკაცრი რეჟიმი დაამყარეს: ადგილობრივ მოსახლეობას იყენებდნენ სხვადასხვა სამუშაოზე, აიძულებდნენ მიუვალ მთებში ზურგით გადაეტანათ სურსათი და იარაღი.[38] „ნეთე" ძარცვავდა და აწიოკებდა მცხოვრებთ, განსაკუთრებით კი სომხებს.[39]

ოსმალებმა ართვინის ოკრუგის უფროსად დასვეს პოლკოვნიკი მუსტაფა ანჩელ-ოღლი. დანიშნეს შავშეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელიც.[40] მაგრამ მათი აქ ბატონობა ხანმოკლე გამოდგა. სარიყამიშთან გამარჯვების შემდეგ რუსეთის სარდლობამ ფრონტი გააძლიერა ახალი შენაერთებით. სანაპირო დაცვის გასაძლიერებლად კრონშტადტიდან ბათუმში გადმოიტანეს ორი 10-დუიმიანი („შორსმსროლელი") ქვემეხი.[41] ცვლილებები მოხდა ჯარების ხელმძღვანელობაშიც. გენ. ელ"შინი გადააყენეს და ბათუმის სამხედრო გუბერნატორად და ოლქის ჯარების სარდლად დაინიშნა გენერალი ელ. ლიახოვი. მან 1915 წ. იანვარში დაიწყო კონტრშეტევა.

ბათუმიდან ოსმალებს უტევდა ორი რაზმი. ერთი მდ. ჭოროხის გასწვრივ, მეორე კი ზღვის სანაპიროზე. ამ უკანასკნელს ეხმარებოდა შავი ზღვის ფლოტიც. 15 თებერვალს ზღვისპირეთის რაზმმა დაიკავა მნიშვნელოვანი პუნქტი ხოფა, საიდანაც თურქები უკავშირდებოდნენ ჭოროხის ხეობაში მოქმედ თავიანთ რაზმებს. 16 თებერვალს ოსმალებმა წამოიწყეს კონტრშეტევა, მაგრამ უშედეგოდ. 2 მარტს ზღვისპირეთის რაზმმა ბრძოლით დაიკავა პორტი არხაბე. ოსმალებმა კონტრშეტეეით სცადეს მისი უკან დაბრუნება, მაგრამ დამარცხდნენ და დიდი ზარალით უკუიქცნენ.[42] ხოფას და არხაბეს დაკავებით მჭიდროდ ჩაიკეტა ზღვისპირეთიდან ართვინისაკენ ჩხალისა და მურღულის ხეობებით შემავალი გზები.

წარმატებით განაეითარა შეტევა ჭოროხის რაზმმაც (სარდალი გენერალ-მაიორი მილერი). თებერვლის შუა რიცხვებში მან აიღო ბორჩხა, ხოლო მარტის დამდეგს დაიკავა ძანსულის სპილენძის მაღაროები და ქარხნები, რითაც სრულებით განდევნა ოსმალები მურღულის ხეობიდან. ამის შემდეგ ჭოროხის რაზმი ართვინისაკენ გაემართა, რომელიც ოსმალებს კარგად ჰქონდათ გამაგრებული.

წარმატებით მიმდინარეობდა არტაანის რაზმის შეტევითი ოპერაციებიც. შტანკევს უკუგდების შემდეგ მან მნიშვნელოვნად წაიწია წინ და თებერვალში გაათავისუფლა არტანუჯი. ამის შემდეგ ეს რაზმიც ართვინისკენ გაემართა. 16 მარტს ჭოროხის და არტაანის რაზმებმა გაათავისუფლეს ქ. ართვინი. იმავე თვის ბოლოს მათ მოწინააღმდეგე უკუაგდეს ოლთისსა და არტანუჯს შორის მდებარე გამაგრებული მთაგორიანი ადგილებიდან, რითაც დაამთავრეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მტრისაგან გაწმენდა.

---

[36] დ.დათუაშვილი, სარიყამიშის გმირი ტარასი დავითის ძე ვაშაკიძე. - საისტორიო მოამბე. №29-30, თბ., 1974, გვ. 515-545, დოკ. №№1-16.
[37] სცსსა, ფ. 157, ან. 1, ს. 320, ფურც. 607.
[38] იქვე, ფ. 114, ან. 1, ს. 2284, ფურც. 2.
[39] იქვე, ან. 3, ს. 3, ფურც. 8-12.
[40] აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 708, ფურც. 17, 21.
[41] Масловский Е.В. დასახ. ნაშრ., გვ. 68.
[42] სცსსა, ფ. 1438, ან. 1, ს. 239, ფურც. 4.

უკანდახევის დროს ოსმალებმა თან გაიყოლეს ადგილობრივი მოსახლეობა. იმდროინდელი ქართული პრესა იუწყებოდა: „--ყველაზე მეტად განადგურებულია გონიის „უჩასტკა“. შავი ზღვისპირათ მცხოვრებნი და მდ. ჭოროხის პირათ მდებარე სოფლები აჭარის წყლიდან ართვინამდი. აქ მცხოვრებნი თითქმის აღარ არიან - ვინც არ მოკლეს, ოსმალებმა ტყვედ წაასხეს“.[43]

განთავისუფლების შემდეგაც ბათუმის ოლქის ტყეებში დაძრწოდნენ „ჩეთეს“ ცალკეული ბანდები, რომლებმაც ვერ მოასწრეს ოსმალეთის ჯარს გაჰყოლოდნენ და ომით ისედაც გავერანებული ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-რბევით ირჩენდნენ თავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ჩეთნიკების“ ნაწილი აქ ოსმალთა მითითებითაც დარჩა. მათ ევალებოდათ თავიანთი რაზმების შევსება ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე და აქ სააჯანყებო საქმიანობის გააქტიურება. მოწინააღმდეგის ეს გეგმები უშედეგოდ დასრულდა. 1916 წ. ზაფხულისათვის ხელისუფლებამ შეძლო შავშეთში შემორჩენილი „ჩეთნიკების“ საქმიანობის სრული აღკვეთა.

დამარცხების მიუხედავად, მოწინააღმდეგის სარდლობა იმედოვნებდა, რომ შეძლებდა კვლავ შემოჭრას და ბათუმის დაკავებას. საამისოდ 1915 წ. აპრილში ლაზისტანში ისევ შეერიბეს მნიშვნელოვანი ძალები და კონტრშეტევაც წამოიწყეს. ბათუმის ოლქის მოსახლეობაში კვლავ შემოგზავნეს ემისრები, ფული და საბრძოლო იარაღი. რუსეთის სარდლობამ საპირისპირო ზომები მიიღო: ზღვითა და ხმელეთით მასირებული დარტყმებით არათუ შეაჩერა ოსმალთა შემოტევა, არამედ გაარღვია მათი თავდაცვა და დაიკავა მნიშვნელოვანი პუნქტები: ვიწე, ათინა, სიურმენე, რიზე და ოფი. აღნიშნული სანაპირო ზოლი მთა-გორიანია, ამიტომაც ამ პუნქტების დაუფლება უმთავრესად საზღვაო დესანტით ხდებოდა. ოპერაციებს ახორციელებდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ბათუმის ესკადრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პირველი რანგის კაპიტანი რიმსკი-კორსაკოვი.

რუსეთის ჯარებმა ასევე წარმატებით განავითარეს შეტევა კავკასიის ფრონტის სხვა უბნებზეც. 1916 წ. თებერვალში მათ ბრძოლით დაიკავეს მე-3 არმიის სარდლობის შტაბის ციტადელი — ქალაქი ერზერუმი. ამან ძლიერ შეაშფოთა გერმანიისა და მისი მოკავშირეების მმართველი წრეები. ბერლინიდან სტამბოლში სასწრაფოდ მიავლინეს ფელდმარშალი მაკენზენი. გაიმართა სამხედრო საბჭოს თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: მაკენზენი, სანდერსი, ავსტრიელი გენერალი პომიანკოვსკი, ენვერ-ფაშა, ოსმალეთის მთავარსარდლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, გერმანიისა და ავსტრიის სამხედრო მისიების წევრები.[44] ფელდმარშალი მაკენზენი დაინიშნა კაკასიის ასპარეზზე მოქმედი ჯარების მთავარსარდლად. გადაწყდა აქეთ გადმოესროლათ ახალი ნაწილები, რომ შეექმნათ რიცხობრივი უპირატესობა, შეენერებინათ რუსთა ჯარები და შემდეგ კონტრშეტევით დაებრუნებინათ ერზერუმი. ამ მიზნით ოსმალეთის სხვა ფრონტებზე, კერძოდ, პალესტინაში მოხსნეს მნიშვნელოვანი ძალები, რამაც გააუმჯობესა იქ ინგლისელების მდგომარეობა.

რუსეთის სარდლობისათვის ცნობილი გახდა აღნიშნული თათბირისა და მზადების შესახებ. გადაწყდა დაესწროთ მოწინააღმდეგისათვის და არ მიეცათ ძალების თავმოყრის საშუალება. ამიტომ საჭიროდ ჩათვალეს უმოკლეს დროში აეღოთ ქ. ტრაპიზონი, რომელიც წარმოადგენდა სტამბოლთან მე-3 არმიის დაკავშირების და მომარაგების ძირითად საზღვაო პუნქტს.

ტრაპიზონზე შეტევისათვის მზადების პერიოდში რუსეთის სარდლობამ თავი

[43] „თანამედროვე აზრი“, №32, 1915.
[44] „თანამედროვე აზრი“, №№62, 71, 1916.

მოუყარა მნიშვნელოვან ძალებს: 5-7 აპრილს ნოვოროსიისკიდან აქ ზღვით გადმოიყვანა პლასტუნთა ორი ბრიგადა, სამთო-საარტილერიო დივიზიონი და სხვა ნაწილები, სულ 18 ათასზე მეტი კაცი. ოპერაციის დაწყების წინ ზღვისპირეთის რაზმის პირადი შემადგენლობა 32.500 მებრძოლს მოითვლიდა.[45]

ტრაპიზონზე შეტევა დაიწყო 1 (14) აპრილს. რუსეთის სახმელეთო და საზღვაო ძალების ერთობლივი მოქმედებით უკვე 5 (18) აპრილს ტრაპიზონი დაეცა. ოსმალებმა დაკარგეს მნიშვნელოვანი ნავსადგური; ახლა რუსეთის სარდლობას საშუალება მიეცა ტრაპიზონით მოემარაგებინა არა მარტო ზღვისპირეთში მოქმედი ჯარები, არამედ ერზერუმის რაიონში დისლოცირებული სამხედრო ნაწილებიც.

მალე რუსები შეუდგნენ ტრაპიზონში სამხედრო პორტის მოწყობას, სააეტომობილო გზის გაყვანას, 1916 წ. ივლისიდან კი ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობასაც.[46]

რუსეთის ჯარების მიერ ერზერუმისა და ტრაპიზონის დაუფლებით ფრონტის ხაზი ბათუმიდან შორს, სამხრეთ-დასავლეთით გადაიწია. ამიერიდან ოსმალეთის არმიას ძალა აღარ შესწევდა შეტევითი ოპერაციებისათვის. ოსმალეთის გენშტაბის უფროსი გენერალი ფონ ბრონსარტი 1917 წ. 2 ივნისს ლუდენდორფისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში წერდა, რომ იმ 3 მილიონი მებრძოლიდან, რომელიც ოსმალეთს ომის დასაწყისში ჰყავდა, 1917 წ. 1 მარტისათვის მწყობრში იყო მხოლოდ 1.200.000 კაცი.[47]

ამრიგად, ომის პერიოდში ბათუმის ოლქი მოწინააღმდეგე მხარეებისათვის იყო ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულება. რუსეთის მრავალეროვნულმა არმიამ, რომლის თვალსაჩინო ნაწილს ქართველები შეადგენდნენ, შეძლო არა მარტო ამ რეგიონის შენარჩუნება, არამედ ისტორიული ჭანეთის (ლაზეთის) და სხვა ქართულ ტერიტორიების გათავისუფლება.

2. ომის სიძნელეები და სამეურნეო ნგრევა

პირველმა მსოფლიო ომმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლესთან ერთად შთანთქა უზარმაზარი მატერიალური რესურსები. რუსეთის სუსტად განვითარებულმა მეურნეობამ და უუნარო სახელმწიფო აპარატმა ვერ უზრუნველყო ომის საჭიროებანი. ქვეყანაში დაიწყო სწრაფი სამეურნეო ნგრევა. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა განაპირა რაიონებში, მათ შორის ბათუმის ოლქშიც, რომელიც საომარი მოქმედების ასპარეზად იქცა.

ომი მძიმე ტვირთად დააწვა ბათუმის და საერთოდ, ოლქის სამრეწველო-ეკონომიკურ ცხოვრებას. დაიხურა ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოების უმრავლესობა.[48] სერიოზულად დაზიანდა ტექნიკის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებუ-

[45] История Первой мировой войны, т. 2, М., 1975, с. 224, 270, 272.

[46] Сиоридзе М. М. Батум-Трапезундская военная железная дорога. –Проблемы историографии всеобшей истории. Белгород, 2000, с.с. 29-34.

[47] Мюльман К. Указ. соч., с. 252.

[48] ბათუმიდან ზღვით ნავთობის გატანა განახლდა 1917 წლის დასაწყისში და ისიც მხოლოდ რუსეთში, რამაც 555 ათასამდე ფუთი შეადგინა.

ლი სპილენძის მრეწველობა (ართვინის ოკრუგი), შეწყდა მდ. ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებში მიმდინარე საძიებო-გეოლოგიური სამუშაოები, დაუსაქმებელი და ცხოვრების სახსარმოკლებული დარჩა ათასობით ადამიანი.

კიდევ უფრო მძიმე იყო მდგომარეობა სოფლად. გადაიწვა და განადგურდა ათასობით ჰექტარი საეარგული, ხეხილისა და მარცვლეულის (სიმინდი, ქერი, ხორბალი) ფართობები. იგივე ბედი ეწია მეთამბაქოეობას და მეფუტკრეობას. საგრძნობლად დაზარალდა სოფლის მეურნეობის წამყვანი და ტრადიციული დარგი □ მეცხოველეობა.[49]

ომმა მოშალა რუსეთთან სატრანსპორტო ურთიერთობები. მეტად სახიფათო გახდა საზღვაო მიმოსვლა, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტი, ფაქტობრივად, დაექვემდებარა სამხედრო უწყებას. ამიტომ გაძნელდა არმიისა და მოსახლეობის საჭიროებათა ერთდროულად დაკმაყოფილება.

მოიშალა ადრე კარგად ორგანიზებული საშინაო ვაჭრობაც, დაეცა ფულის კურსი და ფასებმა პირველი მოთხოვნილების საგნებზე ომამდელ დონეს, საშუალოდ, 300%-ით გადააჭარბა.

მზარდი სიძვირისა და მისგან გამომდინარე მოსალოდნელი სოციალური გართულებების თავიდან ასაცილებლად კავკასიის ხელისუფლება მთელი 1915 წ. განმავლობაში, ამიერკავკასიის ქალაქისთავებისა და საზოგადო მოღვაწეების მონაწილეობით, თათბირებს თათბირებზე იწვევდა. მიიღეს რიგი გადაწყვეტილებები სიძვირისა და სპეკულაციის წინააღმდეგ, დაწესდა ნორმირებული ფასები პირველადი მოთხოვნილების საგნებზე, მაგრამ ვაჭრებმა ბოიკოტს მიმართეს და ხელოვნურად შეაჩერეს რუსეთში შესყიდული სურსათ-სანოვაგის შემოტანა. მართალია, პოლიციამ გამოაელინა სპეკულაციაში ჩაბმული კერძო პირები და ბანკებიც,[50] მაგრამ მათგან ბევრს ჰყავდა საიმედო მფარველები და ამდენად, ხელოვნური სიძვირის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ეფექტური შედეგები არ ჰქონია.

მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა 1916 წლიდან. ბათუმში შემოტანილი სურსათის ისედაც მწირი რაოდენობიდან უნდა მოემარაგებინათ, აგრეთვე, ტრაპიზონის ფრონტი და ამ მიმართულებით საავტომობილო გზებსა და რკინიგზის მშენებლობაზე დასაქმებული ათასობით მუშახელი. საყოველთაო სიძვირის პირობებში კი ხელფასები უმნიშვნელოდ გაიზარდა. მოსახლეობის მხრივ უკმაყოფილების გამოვლენის ცალკეული ფაქტები უკვე სახეზე იყო.

აქვე შევნიშნავთ, რომ მტკიცება პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ბათუმში და, საერთოდ, კავკასიაში რევოლუციური გამოსვლების და მათში ბოლშევიკთა ხელმძღვანელი როლის შესახებ, როგორც ამის დადასტურებას ცდილობდა საბჭოური ისტორიოგრაფია, გადაჭარბებულია და დოკუმენტურად არ დასტურდება. საარქივო საბუთები ხაზგასმით მიუთითებენ მუშათა და მოსახლეობის სხვა ფენების უკმაყოფილების შესახებ მხოლოდ ეკონომიკურ ნიადაგზე.

ამგვარი ხასიათის ყველაზე მრავალრიცხოვან და თან სტიქიურ გამოსვლას ბათუმში ადგილი ჰქონდა 1916 წლის 7 აგვისტოს. მასში უმთავრესად მონაწილეობდნენ ქალები, რომელთაც დაარბიეს ნურიის ბაზარი, სარძევე დუქნები და ზოგიერთი მაღაზია. წესრიგის აღსადგენად გამოყვანილ პოლიციელებს დაუშინეს

[49] 1913 წელთან შედარებით 1916 წელს ბათუმის ოლქის სოფლის მეურნეობაში შემცირდა: ნათესი ფართობები 39%-ით, მსხვილფეხა საქონელი - 59%-ით, ცხენები - 72% -ით და ცხვრები - 73,4%—ით. თამბაქოს ბლანტაციებს 1914 წ. ეკავა 1014 დესეტინა ფართობი და მოსავალმა შეადგინა 68 ათასი ფუთი, 1916 წლისათვის კი იგი შემცირდა 247 დესეტინამდე, მოსავალიც, შესაბამისად - 11 ათას ფუთამდე.
[50] სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 2898, 2899.

ქვები და დააზიანეს რამდენიმე მათგანი. მართალია, საქმე იარაღის გამოყენებამდე არ მისულა, მაგრამ მხოლოდ დღის ბოლოს გახდა შესაძლებელი გამოსვლის აღკვეთა. დააპატიმრეს 24 ქალი და 7 მამაკაცი, მაგრამ ისინი პასუხისგებაშიც არ მიუციათ: ბათუმის ოლქის გუნერალ-გუბერნატორმა, ქალაქში „ახალი უწესრიგობების" თავიდან აცილების მიზნით, ამაზე თვითონ იშუამდგომლა მეფისნაცვალთან.[51]

მსგავსმა სტიქიურმა „ბუნტებმა" ომის დროს მთელ რუსეთს გადაუარა და ისინი არ წარმოადგენდა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ რაიმე ენერგიულ რევოლუციურ ღონისძიებას. პირიქით, ასეთი არეულობის დროს ნადგურდებოდა ისედაც მცირე მარაგი თუ მატერიალური ფასეულობანი, ფეხს იკიდებდა მასობრივი უკმაყოფილება, რაც შემდგომში კარგად გამოიყენეს პოლიტიკურმა პარტიებმა. ამასთან, ეს „სასურსათო ბუნტები" იყო ობიექტური შედეგი იმ მზარდი სიძნელეებისა, რომლებიც მეურნეობის სხვადასხვა დარგის ნგრევამ წარმოშვა და მოწმობდა იმპერიული ხელისუფლების კრიზისს, მის უუნარობას მდგომარეობიდან რეალური გამოსავლის ძიებაში.[52]

* * *

კავკასიის ფრონტის გახსნის შემდეგ ბათუმი გადაიქცა მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო ბაზად. აქ დაფუძნდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ესკადრა. ბათუმი იყო კავკასიის ფრონტის ტრანზიტის მიმართულების მასაზრდოებელი კვანძი, სადაც განთავსდა დიდი სამხედრო საწყობები და ჰოსპიტლები.

მსოფლიო ომში მოუმზადებლად ჩაბმული რუსეთის სამხედრო მრეწველობა ვერ აკმაყოფილებდა არმიის მოთხოვნილებებს იარაღსა და საჭურველზე. ამიტომ მეფის მთავრობამ გადაწყვიტა სამხედრო დაკვეთები მიეცა კერძო მეწარმეებისათვისაც. შექმნილ ვითარებაში ფრონტისპირა ბათუმი, თავისი ტექნიკურად შედარებით კარგად აღჭურვილი ფაბრიკა-ქარხნებით, გახდა სამხედრო წარმოების ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ბაზა, სადაც სამხედრო დაკვეთების ღირებულებამ 1916 წ. ზაფხულისათვის გადააჭარბა 6,9 მლნ რუბლს, რაც მთელ ამიერკავკასიაში ყველა სამხედრო დაკვეთის 29,6%-ს შეადგენდა.[53]

ბათუმში ყველაზე მსხვილი სამხედრო საწარმო გახსნა პეტროგრადელმა საქმოსანმა გ. პიტოევმა. მან იმპერიის ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტისაგან მიიღო ხელყუმბარების დიდი პარტიის (3 მლნ ერთეული) დამზადების დაკვეთა. 1915 წ. დამლევს მან იჯარით აიღო ბნიტოს (ყოფ. როტშილდის), არეანიტიდისა და ხაჩატრიანცის ქარხნები, აღჭურვა ხელყუმბარების დამზადებისათვის საჭირო ტექნიკით და 1916 წ. 1 თებერვალს აამუშავა კიდეც. წლის ბოლოსათვის ქარხანაში დამზადდა 1 მლნ ცალი ხელყუმბარა. მათ შორის საკმაოდ იყო წუნდებული ნაწარმიც. ამასობაში შიდა რუსეთშიც ამუშავდა ხელყუმბარების ბევრად უფრო სრულყოფილი ქარხანა. ამიტომ 1917 წლისათვის პიტოევს შეუკვეთეს ნაღმის სატყორცნი დანადგარების დამზადება. მეწარმე შეუდგა მათ გამოშვებასაც, მაგრამ ნედლეულით მომარაგებაში არსებული სირთულეების გამო ახალი სახეობის სამხედრო საჭურველი ვერ აითვისეს და 1917 წ. გაზაფხულზე საწარმო დაიხურა.

ომის დროს ბათუმში მოქმედებდა და სამხედრო უწყების დაკვეთებს ასრულებდა აგრეთვე: „შელენგოესკისა და კომპანიის" საქციო საზოგადოების მოსათუთიებელი

[51] იქვე, ან. 31, ს. 1053, ფურც. 1-12.
[52] აკ.სურგულაძე, პირველი იმპერიალისტური ომი და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში. - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 380.
[53] Церцвадзе И.В. Революционное движение в Грузии в 1914-1917 годах, ч. I, Тб., 1957, с. 144.

ქარხანა, ვ. კაპლანის მექანიკური ქარხანა, რომელმაც 1916 წ. შემოდგომამდე 2 ათასი ცალი ნაღმი დაამზადა; ბათუმის სახარატო სასწავლებელი, სადაც 2700-მდე ნაღმი დამზადდა.[54] ბათუმში მუშაობდა ფანერის ფაბრიკაც, სადაც მზადდებოდა ყუთები ადგილობრივ ქარხნებში გამოშვებული საჭურველისა და სამხედრო დანიშნულების სხვა ტვირთის შესაფუთავად.

ამრიგად, ომის შედეგად წარმოქმნილი სამეურნეო ნგრევის მიუხედავად, ბათუმის მრეწველობა არ ჩამკვდარა. მან პროფილი შეიცვალა და სამხედრო წარმოების გზას დაადგა. ამასთან, ომისდროინდელი ბაუმი განაგრძობდა ბურჟუაზიული ქალაქისათვის დამახასიათებელ ცხოვრებას, ოღონდ შეზღუდული რიტმით. 1916 წ. აქ მოქმედებდა 22 სასტუმრო, 29 რესტორანი და სასადილო, 86 პურ-ფუნთუშეულის საცხობი, 4 ძეხვეულის საამქრო, თამბაქოს ორი ფაბრიკა და რამდენიმე კარგად გამართული ტიპოგრაფიული საწარმო, ერთი კინფეტის ფაბრიკა; აგრეთვე, 99 დუქანი, რომელთაგან თერთმეტს ჰქონდა ღამის გასათევიც. ქალაქში კვლავ მუშაობდა ორი ბაზარი (ნურიის და თურქული).[55]

ომებს თან სდევს მკვიდრი საცხოვრისიდან ადამიანთა იძულებითი აყრა და მასობრივი გადასახლება. მსგავს მოვლენებს ომის დროს ბათუმის ოლქშიც რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი და ამან მნიშვნელოვნად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა რეგიონის ცხოვრებაზე.

ლტოლვილთა პირველი ტალღა ბათუმს მოაწყდა კავკასიის ფრონტზე საომარ მოქმედებათა გაჩაღებისთანავე. ოსმალეთიდან გამოქცეულ სომეხ და ბერძენ ხიზანთა მრავალათასიანი მასა მძიმე ტვირთად დააწვა ისედაც რთულ სოციალურ პირობებში ჩავარდნილ ქალაქს. თავის მხრივ, ბათუმი და მისი ოლქი სანახევროდ დაიცალა ადგილობრივ მკვიდრთაგან. ოსმალთა დროებითი წარმატებით შეშინებულმა მოსახლეობის ერთმა ნაწილმა საქართველოს სხვადასხვა რაიონს შეაფარა თავი, ხოლო მეორე, მკვიდრი ნაწილი კი მოწინააღმდეგემ, 1915 წ. თებერვალ-მარტში უკანდახევის დროს, იძულებით წაიყვანა ოსმალეთში. განსაკუთრებით დაზარალდნენ ფრონტისპირა რაიონები: გონიოს უბანი, ლაზეთი, ართვინ-არტანუჯის მხარე, მაჭახლის ხეობა და მდ. აჭარისწყლის ქვემო წელის სოფლები. ამის თვითმხილველი მწერალი დავით კლდიაშვილი წერდა: „საოცარ სანახაობას წარმოადგენდა ეს მხარე აჭარისწყლიდან დაწყებული. უკან დახევაზე ოსმალებს თან გაერეკათ მცხოვრებნი და სრულიად დაეცალათ აქაური სოფლები, შემდეგ აქ გადაიარა რუსის ჯარმა - ყაზახ-პლასტუნებმა, განთქმულმა თავისი მხეცობით, შეუბრალებლობით და მძარცველობით. ამათ სულ ერთიანად მოფშვნეს ღვთის ანაბრად მიტოვებული სოფლები... არავითარი ჭაჭანება ადამიანისა, ეგერ აგერ ისმოდა მხოლოდ ძაღლის ყმუილი, საზარელი, გულისმომკვლელი“.[56]

მოსახლეობის ნაწილი თვითონ გაერიდა საომარი მოქმედების ასპარეზს და რუსეთის ჯარისაგან მოსალოდნელი რეპრესიების თავიდან ასაცილებლად მიატოვა სახლ-კარი. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე იყო მდგომარეობა მაჭახლის ხეობაში (ხერთვისის სასოფლო თემი), საიდანაც 7 ათასამდე სული გადაიხვეწა. მათი სახლ-კარი განადგურდა ჯერ საომარი მოქმედების შედეგად, ხოლო შემდეგ რუსთა ჯარე-

---

[54] გ.მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი (1864-1917 წწ.), თბ., 1976, გვ. 187-188.

[55] ა.გაშაკიძე, მუშათა კლასი საქართველოში (ბათუმის ოლქი) პირველი იმპერიალისტური ომის წლებში. - „საისტორიო მოამბე“, №37-38, თბ., 1978, გვ. 245-247.

[56] დ.კლდიაშვილი, მემუარები, თხზ. ტ. 2, თბ., 1981, გვ. 311-312. ბათუმის ოლქის ეპანდარმერიის უფროსის აღიარებით „აჭაკთა მხეცობამ რუსეთისათვის „არასასურველი ზეგავლენა იქონია გურიისა და საერთოდ ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის განწყობილებაზე“-ც (აცსა, ან. 1, ს. 708, ფურც. 47).

ბისაგან. უკანასკნელებმა სოფ. აჭარისაღმართში 41 კომლიდან გადაწვეს ყველა, სოფ. ქედქედში – 20 კომლიდან 2, სოფ. მაღლაკონში – 10-დან 8, სოფ. უჩხითში – 50-დან 9, სოფ. კირნათში – 47-დან 7 და ა.შ. სულ ხერთვისის თემში ომამდე ითელებოდა 786 კომლი. მათგან გადაწვეს 196, გადაიკარგა 295 ოჯახი და 50 ცალკე პირი.[57]

ბათუმის ოლქიდან გადახვეწილ თუ ოლქში შემოხიზნულ ლტოლვილთა მასა იმდენად დიდი იყო, რომ 1915 წ. 22 ოქტომბერს ბათუმში სპეციალურად ჩამოვიდნენ ქალაქების კავშირის კაეკასიის კომიტეტის რწმუნებული ა. ხატისოვი და თბილისის ქალაქის გამგეობის წევრი გ. ჟურული. პირველი თათბირი მოეწყო გენერალ-გუბერნატორ ლიახოვთან, რომელსაც ესწრებოდნენ ბათუმის ქალაქისთავი ივ. ანდრონიკაშვილი, იმპერიის სანიტარული და საევაკუაციო ნაწილის უმაღლესი მმართველობის წარმომადგენელი გენერალი ბერნოვი, რუსეთის წითელი ჯვრის მთავარი წარმომადგენელი კაეკასიის არმიასთან კამერგერი გოლუბევი. თათბირზე განიხილეს ლტოლვილთა მდგომარეობა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საკითხები.

ამის შემდეგ ბათუმის სათათბიროს შენობაში გაიმართა „სრულიად რუსეთის ქალაქების კავშირის“ ბათუმის კომიტეტისა და ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილების ერთობლივი თათბირი. გაირკვა, რომ ომამდე ბათუმის ოლქის 180 ათასი მცხოვრებისაგან, სამხედრო მოქმედების შედეგად, განითესა 50 ათასამდე კაცი და ოლქში დარჩენილი 130 ათასი სულიდან ბათუმში ცხოვრობდა 35 ათასი. ოლქის დანარჩენი მკვიდრი მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში იყო. თათბირის დასასრულს ა. ხატისოვმა ივ. ანდრონიკაშვილს გადასცა 10 ათასი რუბლი ლტოლვილთათვის და განაცხადა, რომ ბათუმის ანგარიშზე ქალაქთა კავშირის კაეკასიის კომიტეტის ბანკში გახსნილი იყო 50 ათასი რუბლის კრედიტი.[58] უნდა აღინიშნოს, რომ გამოყოფილი თანხა ძირითადად მოხმარდა სომეხ და ბერძენ ლტოლვილებს.

1915 წ. 1 ნოემბრიდან ბათუმში მუშაობას შეუდგა, აგრეთვე, მთავრობის მიერ შექმნილი ომისაგან დაზარალებულთა დახმარების ბათუმის საოლქო კომიტეტი, რომლის განკარგულებაში იყო ამ მიზნისათვის უმნიშვნელო თანხა - 68,5 ათასი რუბლი, მაგრამ არსებობის 15 თვის მანძილზე მას შესამჩნევი არაფერი გაუკეთებია. ომით დაზარალებულთა და ლტოლვილთა აღრიცხვა დამთავრდა 1916 წ. მარტში. დახმარების სიაში თავდაპირველად შეეიდა 27 ათასამდე კაცი, მაგრამ პოლიტიკური მოტივით („სახელმწიფო ღალატში“ ბრალდება) მასში მხოლოდ 6 ათასი კაცი დატოვეს.[59]

ბათუმის ოლქის სოფლები მოხუცების, ბავშვებისა და ქალების ამარა იყო დარჩენილი. ამას ემატებოდა საომარი მოქმედებებით გლეხური მეურნეობებისათვის მიყენებული ზარალი, სახლ-კარისა და სურსათის გადაწვა-განადგურება, აგრეთვე, გადარჩენილი სურსათ-სანოვაგისა და გამწვევი პირუტყვის რეკვიზიცია. ახალ სამეურნეო წელს ამას დაერთო მოუსავლიანობაც. მართალია, 1916 წ. დასაწყისიდან ოსმალეთიდან დაბრუნდა ლტოლვილი მამრობითი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, შეუდგა კიდეც გაპარტახებული მეურნეობის აღდგენას, მაგრამ გარედან დახმარების გარეშე ცხოვრების ხელახლა მოწყობა რთული იყო. „საშიში სურათია, - წერდა კორესპონდენტი აჭარიდან, - გამხდრები, თმა-წვერ მოშვებულები, ტიტელები. მათი

[57] ანგარიში ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებისა 1915 წ., თბ., 1916, გვ. 8.
[58] Газ. «Закавказская Речь», №228, 1915 г.
[59] ბ.ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. II (1914-1921 წწ.), ბათ., 1962, გვ. 12-13.

ნახვა უფრო გულშემსარავია, ვიდრე მკვდრებით მოფენილი ბრძოლის ველისა...".[60]

ასეთი განსაცდელის ჟამს ქართველ მაჰმადიანებს უშურველი დახმარება შეეძლოთ მიეღოთ მხოლოდ თანამოძმეთაგან. განგაშის ზარი პირველად ჩამოჰკრა უხუცესმა მამულიშვილმა გულო კაიკაციშვილმა თბილისში აკაკი წერეთლის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში.[61] 1915 წ. 10 მარტს გაზეთ „სამშობლოში" გამოქვეყნდა ჰაიდარ აბაშიძის წერილი „კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური", რომელმაც, შეიძლება ითქვას, გამოაფხიზლა მთელი საქართველო. ამის დასტურია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული საპასუხო თანაგრძნობის წერილები.[62] განსაკუთრებით მგრძნობიარე აღმოჩნდა პოეტი მანდილოსნის დომინიკა ერისთავის (განდეგილი) მიმართეა ქართველი ქალებისადმი: „ხმა მივცეთ გულდაკოდილ თანამოძმეებს, - წერდა პოეტი, - ვაცნოთ, რომ ქართველ ქალთა ნაზი გრძნობა არ გამქრალა. იგი ერთგვარის სიყვარულით ექცევა როგორც ქრისტიან, ისე მუსლიმან ქართველს; ვაუწყოთ, რომ ჩვენ ერთის დედ-მამის შვილები ვართ, ერთი ცის ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი, რომ არ არის ორი საქართველო, იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მისი შვილების უბედურება გულს გვიკლავს, რა სარწმუნოებისაც უნდა იყვეს იგი. ქართველო ქალებო! დაევხმაროთ ჩვენს მოძმეებს, გავიღოთ ჩვენი წელილი, ვის რამდენიც შეგვიძლია და სიკვდილს და გასაჭირს გადავარჩინოთ ჩვენი ძმები და შვილები!".

მთელს საქართველოში დიდი სიდუხჭირის მიუხედავად, ქართველობამ გულთან მიიტანა მოძმეთა გასაჭირი და შესაძლო დახმარება გაუწია სამაჰმადიანო საქართველოს მოსახლეობას. ჟურნალ-გაზეთების რედაქციების მისამართით ფინანსური შემოწირულობანი იგზავნებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ფრონტიდან და პოლიტიკურ პატიმართა გადასახლების ადგილებიდანაც კი. გროვდებოდა სურსათი და ტანსაცმელი.[63] ამის შესახებ მ. აბაშიძე მოგვიანებით წერდა: „საქართველოში მოუსაელიანობის გამო მაშინ შიმშილობა იყო, მაგრამ საქართველომ თვით მიიკლო ლუკმა და ჩვენ მოგვაწვდინა სურსათ-სანოვაგე, ფეხსაცმელ-ტანსაცმელი. ყოველი ქართველი დიდი ხალისით მზად იყო დაგეხმარებოდა, რითაც კი შეეძლო. ყველა ამბობდა: ქართველ მუსლიმან ძმებს უჭირთ, არაფერი დაეიშუროთ მათთვისო და მართლაც რომ არაფერს იშურებდნენ. დიდი, პატარა, ქალი, კაცი - ყველა მზად იყო დახმარების ხელი გამოეწოდათ ჩვენთვის. ქალიშვილები, სხვა რომ არა გააჩნდათ რა, ნაწნავებს იკრეჭდნენ და ყიდდნენ ჩვენდა დასახმარებლად".[64]

აჭარისა და ლაზეთისათვის დახმარების ორგანიზებას სათავეში ჩაუდგა ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება (თავმჯდომარე მიხ. მაჩაბელი). 1916 წ. მოსახლეობას დაურიგდა 15 ათასი ფუთი სიმინდი და 7 ათას რუბლამდე ფულად. ლაზეთში მარტო ჰაიდარ აბაშიძემ უხელმძღვანელა 700 ფუთი სიმინდის ჩატანას და განაწილებას. მართალია, ეს დახმარება არ იყო საკმარისი,[65] მას უფრო მორალური და

---

[60] გაზ. „თანამედროვე აზრი", №195, 1915, წ.

[61] „აჭარა გაოხრებულია, - უთქვამს გ.კაიკაციშვილს, - აჭარა უყურადღებოდაა მიტოვებული... მოგვეშველეთ. ჩვენც თქვენი ძმები ვართ. მართალია, საუკუნეთა ქარტეხილმა ერთმანეთს დაგვაშორა, მართალია რჯულით სხვადასხვაობა ჩამოვარდა ჩვენს შორის, მაგრამ გულით ერთნი ვართ. ერთურთისაგან განუყოფელი, როგორც მარჯვენა და მარცხენა ხელი" (ჟურნ.„ალდგ", №8, 1915; იხ. აგრეთვე, აბ.სურგულაძე. გულო კაიკაციშვილი, თბ., 1972).

[62] აბ.სურგულაძე. ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა, ბათ., 1994.

[63] ალ.წულაძე, ძმური სიტყვა, ბათ., 1991, გვ. 58-73.

[64] გაზ. „სამუსლიმანო საქართველო", №364, 1920.

[65] ბრესის ცნობით: ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების ანგარიშის თანახმად, სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის გამოსაკვებად 1915-1916 წლების ზამთარში, ახალ მოსავლამდე, საჭირო იყო არა ნაკლები 180 ათასი რუბლისა. საქველმოქმედო საზოგადოებამ კი 1915 წ. ივნისამდე შეძლო მხოლოდ 11 ათასი

ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ამის შესახებ ქართული პრესის ძველი კორესპონდენტი სოფ. ქედიდან აბდულ მიქელაძე გაზ. „თანამედროვე აზრს“ წერდა: ვიცით, რომ ამ შემწეობით ჩვენი დახოცილი მკვდრები არ გაცოცხლდებიან, გადამწვარი სახლ-კარი არ აშენდება, ნალიები სიმინდით არ აივსება, მაგრამ თანამოძმეთა მიერ გაღებული თითოეული კაპიკი ჩვენთვის მილიონია, თანაგრძნობის სიტყვა კი მალამოა,“[66] ამასთან, ეს დახმარება „არსებითად იყო დიდი სახალხო მოძრაობა, რომელმაც მაშინ სული მოათქმევინა ხალხს“.[67]

§3. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება

მსოფლიო ომისა და ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულება. მსოფლიო ომის დაწყებას გარკვეული იმედით შეხვდნენ იმპერიების მიერ დაპყრობილი ქვეყნები, მათ შორის საქართველოც. ისინი სწორედ ამ ომით ეარაუდობდნენ მსოფლიო პოლიტიკური რუკის შეცვლას და დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ქართული საზოგადოებრივი აზრიც მკვეთრად გამოვიდა ავტონომიის მოთხოვნით. 1914 წლის 9 ნოემბერს ჟურნ. „კლდე“ თავის მოწინავეში მიუთითებდა: „რუსეთის მხედრობის უმაღლესი მთავარსარდალი ავტონომიას ანიჭებს პოლონეთს და ავსტრიის იმპერიაში მოსახლე ერებს ჰპირდება თავისუფლებას მძიმე უღლისაგან. თვით გერმანია და ოსმალეთიც კი ხმამაღლა ჰყვირიან - ჩვენ განმათავისუფლებელი მისიითა ეართ აღჭურვილიო... და ამ დროს სატახტო ქალაქების პრესა ქართველებისათვის გულის მოსაფხანად ბეჭდავს კარგ ამბებს, რომ კავკასიელთა გულად რაზმებში საუცხოოდ იბრძვიან ქართველებიო, რომ სიმღერით ხვდებიან მტერს და მის ტყვეებსო და საქართველოც ლამაზი ქვეყანა არისო... ერთი სიტყვით, იდილიურად აქეთ წარმოდგენილი ჩვენი თავგანწირვა... ჩვენ გვიკვირს, რომ პროგრესული, ლიბერალური პრესაც იწონებს მხოლოდ ჩვენი იარაღის ჩხრიალსა, რომელსაც თან აუარებელი სისხლი სდის, რასაც ყოველდღიური სიები გვიმტკიცებენ დაჭრილთა და მოკლულთა“, ხოლო ჩვენთვის ავტონომიის მონიჭებაზე კრინტსაც არ ძრავენო.[68]

ნოემბერშივე აკაკი წერეთელი წერდა: „ორასი ათასი მეომარი გამოიყვანა, ჯერჯერობით, ამ პატარა საქართველომ და იძულებით არა ყოფილა რა. ყველა თავისი სურვილ-ნებითა და სიხარულით მიისწრაფოდა რუსის ჯარებთან ერთად თავდასადებად შორეულ ქვეყნებში“. ამ თავდადების საფუძვლად აკაკის მიაჩნდა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების განცხადება, რომელშიც ის ჩაგრული ერების მოსარჩლედ და თანასწორობის, ძმობის, ერთობის და სიყვარულის მომხრედ გამოვიდა. დასასრულს აკაკი იმედს გამოთქვამდა, რომ საქართველოც მიიღებდა ნანატრ ავტონომიას.[69]

რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, მათი დამოკიდებულება ომისა და ეროვ-

---

რუბლის გამოყოფა. ამ თანხით საზოგადოების ბათუმის განყოფილებამ ორგანიზება გაუკეთა ადგილებზე მოსახლეობის რაციონალურ დახმარებას: მათთვის შეისყიდეს სიმინდი, საპონი, ნავთი, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მოეწყო სამედიცინო და სანიტარული დახმარება, კვების პუნქტები და სხვ. (იხ. «Закавказская Речь», №114, 1915 г.).

[66] აბ.წულაძე, ძმური სიტყვა, გვ. 110.

[67] აბ.სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

[68] ჟურნ. „კლდე“, №33, 1914 წ.

[69] ჟურნ. „განთიადი“, №9, 1914 წ.

ნული საკითხისადმი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ქართველი ბოლშევიკები, მთლიანად იზიარებდნენ რა საერთოპარტიულ ლენინურ ხაზს, დაწყებულ ომს აფასებდნენ, როგორც იმპერიალისტურს და უსამართლოს. ამიტომ პროლეტარიატის ამოცანად სახავდნენ გადაექციათ იგი სამოქალაქო ომად, დაემხოთ საკუთარი მთავრობები და მოეხდინათ პროლეტარული რევოლუცია, რომელიც ზავისა და სხვა საჭირბოროტო საკითხებს სამართლიანად გადაჭრიდა. ყოველივე ამისათვის კი აუცილებლად მიაჩნდათ პროლეტარიატის ინტერნაციონალური ერთიანობის განმტკიცება. სწორედ აქედან გამომდინარეობდა მათი ნიჰილისტური დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი, რომელიც თავიდანვე განსაზღვრეს ლოზუნგით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!".

მსოფლიო ომის გაჩაღების შემდეგ ბოლშევიკები ისევ გამოვიდნენ „ერთა თვითგამორკვევის" ლოზუნგით. ეს მათ დასჭირდათ იმისათვის, რომ არ დაეკარგათ გავლენა იმპერიის განაპირა რაიონებში, სადაც ომის დროს საზოგადოების წინაშე აქტიურად დაისვა ეროვნული საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ერთა თვითგამორკვევის" ბოლშევიკური ლოზუნგი არ სცილდებოდა ფართო საოლქო ავტონომიის პრინციპს. ე.ი. ბოლშევიკებს მიზანშეწონილად მიაჩნდათ არა რუსეთის იმპერიის დაშლა, არამედ მისი გარდაქმნა მუშურ-გლეხურ ფედერაციულ სახელმწიფოდ.

საქართველოში ამ დროს ყველაზე გავლენიანი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიკებისა). ისინიც მარქსისტები იყვნენ და ლოზუნგი — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" — მათთვისაც ძვირფასი იყო. მაგრამ ომის დაწყების შემდეგ ქართველ სოციალ-დემოკრატებშიც იმატა ეროვნულმა თვითშეგნებამ. გარკვეული ნაწილი ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას მიემხრო. მათი აზრით, რუსეთის იმპერია უნდა გარდაექმნათ დემოკრატიულ ქვეყნად, რომელშიც ყველა ერს მიეცემოდა ფართო შინაური თვითმმართველობა. პარტიის ლიდერის — ნოე ჟორდანიას შეხედულებით, ასეთ შემთხვევაში რუსეთის იმპერიაში შემავალი ერები შეძლებდნენ თავიანთი კულტურულ-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას. უფრო მეტიც, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთი ნაწილი ასეთ დასკვნამდეც კი მივიდა: „ერთი ერი - ერთი სახელმწიფო".[70]

ამის მისაღწევად ქართველ საზოგადოებას არ ჰქონდა ერთიანი გეზი და მიმართულება. ნ. ჟორდანიას აზრით, საქართველოში არ იყო ჩამოყალიბებული ეროვნული პროლეტარიატი და მსხვილი ბურჟუაზია. „ჩვენი სოციალური სტრუქტურა აგებულია წვრილ მესაკუთრეობაზე, - წერდა იგი, - წვრილი ბურჟუაზია და გლეხობა, გაღარიბებული თავადაზნაურობა და ინტელიგენცია - აი, ერის დიდი უმრავლესობა. ე.ი. ჩვენი საზოგადოება უკალაპოტოა და ცარიელ სივრცეში წაღმა-უკუღმა, უგზო-უკელოდ მოსიარულეა (ეს კი საუკეთესო ნიადაგია ყოველგვარი ავანტურიზმისა). ამიტომაც ჩვენ არ გვაქვს აღებული (განსაზღვრული) მტკიცე კურსი და პოლიტიკურ ორიენტაციაში „ეშინჯოთ" და „ეგება უკეთესი დარჩეს" გზას ეადგაეართ".[71]

მსოფლიო ომისადმი დამოკიდებულების საკითხში სოციალ-დემოკრატებმა გამოაცხადეს „აქტიური ნეიტრალიტეტი". ისინიც აღიარებდნენ ომის იმპერიალისტურ ხასიათს და სამართლიანი ზავის დადებასაც მოითხოვდნენ, მაგრამ მიაჩნდათ, ყველა ქვეყნის პროლეტარიატს უნდა დაეცვა სამშობლო. აქედან გამომდინარე, ქართველ ხალხსაც მოუწოდებდნენ სამშობლოს დაცვისაკენ. ამასთან, აცხადებდნენ, რომ ოსმალეთის ჯარების ამიერკავკასიაში შემოსვლის შემთხვევაში არ გამოვიდოდნენ

[70] გაზ. „ახალი კვალი", №4, 1915 წ.
[71] იგივე, №5, 1915 წ.

მათ წინააღმდეგ, თუკი ეს უკანასკნელნი არ დაარბევდნენ საქართველოს.

ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტია ომამდეც რუსეთის ფარგლებში საქართველოს ავტონომიური მმართველობის მიღებას მოითხოვდა. ეს საკითხი ეარლამ გელოვანმა სახელმწიფო სათათბიროშიც დააყენა 1912 წელს, მაგრამ უშედეგოდ. ომის დაწყების შემდეგაც სოციალისტ-ფედერალისტები ძველ მოთხოვნას აყენებენენ და ამის მიღწევას რუსეთის მთავრობაზე დაწოლით ეარაუდობდნენ. პრესის აზრით, შეუძლებელი იყო რუსეთის მთავრობას არ დაეფასებინა მსოფლიო ომში ქართველების თავდადებული ბრძოლა და არ მიეცა მისთვის ავტონომიური მმართველობა.[72]

აღსანიშნავია, რომ სოციალისტ-ფედერალისტების პარტია საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკური ძალა იყო იმდროინდელ საქართველოში. მას ანგარიშგასაწევი ჯგუფი ჰყავდა ბათუმშიც.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ფუჭ ოცნებად მიაჩნდა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებისაგან ფართო ავტონომიის მიღება. პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის — გერონტი ქიქოძის აზრით: „ჩაგრული ერი პატივაყრილი და იარაღაყრილია. ამ ქვეყანაზე კი პატივის დაბრუნება, უწინარეს ყოველისა, საჭურველით შეიძლება. გაბატონებული ერი იჭვიანი და შეიარაღებულია. ძალთა შეფარდება უთანასწოროა და დაჩაგრულნი ყოველთვის მარცხდებიან, თუ პირდაპირ და უმეკავშიროდ შეებრძოლნენ მჩაგვრელთ. ამიტომ არის, რომ დიდი სახელმწიფოების შეტაკება ყველთვის ხელსაყრელია პატარა ერებისათვის და ეს უკანასკნელნი ადვილად ისარგებლებენ ომის ნაყოფით, როცა საღ და შორსმჭვრეტელურ პოლიტიკას ადგანან“.[73]

ეროვნულ-დემოკრატებმა და სოციალისტ-ფედერალისტების ერთმა ნაწილმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იმედები დაუკავშირეს მსოფლიო ომში გერმანიის და ოსმალეთის გამარჯვებას. ეროვნული პოლიტიკური პარტიების ამ მიმართებით გააქტიურებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო ემიგრაციაში მყოფი გიორგი მაჩაბლის საიდუმლო გამოჩენამ საქართველოში 1914 წ. ნოემბერში. „მისი ჩამოსვლის მიზანი, - ნათქვამია ჟანდარმერიის აგენტურულ ცნობაში, - იყო ეროვნული კომიტეტის ორგანიზება ქართველთა აჯანყებისათვის“. გ. მაჩაბელმა აცნობა ქართველ პოლიტიკოსებს, რომ გერმანიაში შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელსაც ჰყავს თავისი სამხედრო ნაწილი — ე.წ. „ქართული ლეგიონი“.[74] მათი მიზანია რუსეთისაგან საქართველოს განთავისუფლება გერმანიისა და ოსმალეთის ჯარების დახმარებით, რის შემდეგაც აღდგება ქვეყნის დამოუკიდებლობაო.

ასეთი იყო საქართველოს პოლიტიკურ ძალთა დამოკიდებულება პირველი მსოფლიო ომისადმი.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და „ქართული ლეგიონი“. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა და მისი ლეგიონის შექმნას წინ უძღოდა საკმაოდ ხანგრძლივი და დრამატიზმით აღსავსე მოვლენები.

1908 წ. თბილისური გაზეთის „ერი“ (რედაქტორი პეტრე სურგულაძე) რედაქციის გარშემო ჩამოყალიბდა პატრიოტ-მამულიშვილთა ფარული ჯგუფი (იაკობ გოგებაშვილი, გიორგი გვაზავა, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, ვალერიან

[72] გაზ. „ახალი ევერია“, №11, 1914.
[73] გაზ. „სახალხო ფურცელი“, №91, 1914.
[74] დაწვრილებით იხ. კ.სალია, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს. - „ბედი ქართლისა“, №39-40, პარიზი, 1962; ალ.სურგულაძე, კ.სურგულაძე, ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათ., 1994; რ.გრძელიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918), თბ., 1995; მ.სიორიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), ბათ., 1998.

გუნია, მიხეილ ჯაეანიშვილი და სხვ.), რომელსაც აღარ აკმაყოფილებდა საქართველოს ავტონომია და ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობას ითხოვდა. მთავრობამ იგი დაარბია, ბევრი დააპატიმრა, ნაწილი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. ამ უკანასკნელთა შორის იყო პეტრე სურგულაძეც. შვეიცარიაში ის დაუკავშირდა ჟენეველ ქართველებს, კერძოდ, 1906 წ. დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციის გამო საქართველოდან ემიგრირებულ ძმებს — ლეო და გიორგი კერესელიძეებს, აგრეთვე, მათ ნათესავს ნესტორ მაღალაშვილს და 1910 წ. განაახლა „დამოუკიდებლობის ჯგუფის“ საქმიანობა. იგი საკუთარი გაზეთის - „თავისუფალი საქართველოს“ ფურცლებზე პროპაგანდას უწევდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ევროპის სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად მის ცნობას. მოგვიანებით ამ ჯგუფს შეუერთდნენ ეასილ ციცქიშვილი, მიხეილ იშხნელი, აგრეთვე, გერმანიაბელგიაში დამოუკიდებლად მოღვაწე მიხეილ წერეთელი და გერმანიის უმაღლეს წრეებთან დაახლოებული გიორგი მაჩაბელი.

ამასობაში დაიწყო პირველი მსოფლიო ომიც. ჯგუფის წევრები იმედოვნებდნენ, რომ გერმანია და მისი მოკავშირეები დაამარცხებდნენ რუსეთს და შეეცადნენ ესარგებლაო ხელსაყრელი სიტუაციით, რომ ცარიზმის კატასტროფის ფონზე მოეგვარებინათ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმე. ამიტომ „დამოუკიდებლობის ჯგუფი“ გარდაქმნეს კომიტეტად, რომელმაც ორიენტაცია გერმანიაზე აიღო და მას თანამშრომლობა შესთავაზა. მ. წერეთელმა და გ. მაჩაბელმა შეადგინეს და 1914 წ. 24 სექტემბერს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინეს გეგმა: „რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოცილებისა და მისი შემდგომი პოლიტიკური მოწყობის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა შეიარაღებული აჯანყების განხორციელებას საქართველოში, აქ რუსთა სამობილიზაციო გეგმების ჩაშლას და ამით კავკასიის არმიის დემორალიზებას. გეგმის ავტორთა აზრით, ამას მოჰყვებოდა რუსეთის დასუსტება, რაც აიძულებდა მას წასულიყო ხავზე გერმანიის ბლოკის სახელმწიფოებთან, დაბოლოს, ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობაც.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაინტერესდა „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წინადადებით და გააფორმა კიდეც მასთან შესაბამისი შეთანხმება, იგი, ურთიერთანამშრომლობის პირობების გარდა, შეიცავდა გერმანიის მხრივ ვალდებულებას ომში გამარჯვების შემდეგ ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს იყო მნიშვნელოვანი დაპირება, რაც ნიშნავდა საქართველოს ოფიციალურად აღიარებას საერთაშორისო ასპარეზზე.

„დამოუკიდებლობის კომიტეტის“ უპირველეს ამოცანად დაისახა ქართული ლეგიონის შექმნა ოსმალეთში და რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობა. კავკასიაში გამოჩენის შემდეგ ლეგიონი უნდა გამხდარიყო ანტირუსული აჯანყების ბირთვი. ის უნდა დაეკომპლექტებინათ გერმანიაში, ავსტრიასა და ოსმალეთში მყოფი სამხედრო ტყვეებით, ქართველი ემიგრანტებით, მოხალისე სამხედრო და სამოქალაქო პირებით.

„ქართული საქმის“ ხელმძღვანელობა დაეკისრათ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველს რუდოლფ ნადოლნის და გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის უფროსს, „უაღრესად განათლებულ ახალგაზრდა დიპლომატს“ — ოტო ფონ ვეზენდონკს. შესაბამის უწყებებს დაეევალა აჯანყების საქმისათვის სასწრაფოდ გამოეყოთ 200 ათასი გერმანული მარკა, საჭირო რაოდენობის იარაღი, რუსეთის ტყვეჯარისკაცთა შორის გამოევლინათ ქართველი მოხალისეები და დაეწყოთ მათი იდეოლოგიური გადამზადება.

გერმანიასთან შეთანხმების შემდეგ კომიტეტის წევრები — ლეო კერესელიძე,

პეტრე სურგულაძე, ნესტორ მაღალაშვილი (მურად ბეი), გიორგი კერესელიძე და სხვები, ბერლინიდან სტამბოლში გადავიდნენ. მალე მათ შეუერთდნენ მელიტონ ქარცივაძე (ოსმან-ბეი), ზია აბაშიძე, გიორგი მაჩაბელი, შალვა ვარდიძე და სხვ., სულ 30-მდე კაცი,[75] რომლებმაც გერმანიის ელჩის – პანს ვანგენჰაიმისა და გაელენიანი სტამბოლელი მაჰმადიანი ქართველების მეშვეობით კავშირი გააბეს ოსმალეთის მთავრობასთან.

დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკება. იგი დაძაბულად მიმდინარეობდა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ მომზადდა ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც ოსმალეთმა ივალდებულა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა „1914 წლის საზღვრებში" (ეს ქართველთა დიდი მიღწევა იყო) და დახმარება მის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონის შექმნაში. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ოსმალეთი უნდობლად შეხვდა მის ტერიტორიაზე გერმანიის ეგიდით და მხარდაჭერით ქართული საჰხედრო შენაერთის შექმნას. სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი. ამიერკავკასია მას ტრადიციულად თავისი ინტერესების სფეროდ მიაჩნდა და ვერ ურიგდებოდა აქ სხვის, თუნდაც მოკავშირის, აქტიურობას. ამიტომ გერმანულმა მხარემ, მისი დაშოშმინების მიზნით, განაცხადა: ქართველები „გერმანელებს დაეერდნობიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმოქმედებენ თურქებთან ერთად".[76] ამის გამო უკანასკნელნი დათანხმდნენ სამხედრო სფეროში თანამშრომლობაზე, მაგრამ უარყოფითი და ეჭვიანი დამოკიდებულება ლეგიონისადმი მაინც საგრძნობი იყო მათ ტერიტორიაზე ყოფნის მთელ პერიოდში.

ლეგიონის ფორმირება მიანდეს ლეო კერესელიძეს. თავის მხრივ გერმანელებმა მას მიაშველეს ოფიცრები კიშკე და ლოის მოზელი, რომლებიც შესაბამისად დაინიშნენ კომიტეტთან სამხედრო და პოლიტიკურ ატაშეებად. ზია აბაშიძის და სხვა ქართველების თანხლებით, ისინი 1914 წ. სექტემბერში ჩავიდნენ ვიწეში და შეუდგნენ მოხალისეების შეკრებას.

ამ ქალაქის შერჩევა ლეგიონის ფორმირების ცენტრად არ იყო შემთხვევითი. ჯერ ერთი, იგი ფრონტთან ახლოს იყო და, მეორეც, ვიწესა და მის შემოგარენში მრავლად ცხოვრობდნენ ქართველები, მათ შორის მუჰაჯირები, რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებული სამშობლოს მომავლით.

მუშაობა დაიწყეს გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ტყვეთა ბანაკების ქართველთა შორისაც, მაგრამ მათი რაოდენობა მცირე იყო. ამ ქვეყნების 19 ბანაკში იმ დროს სულ აღირიცხა 881 ქართველი,[77] რომელთაგან შეკრიბეს 200-მდე მოხალისე და გადაიყვანეს ვიწეში.

1914 წ. დამლევისათვის, თუმცა ნაჩქარევად, მაგრამ ძირითადად მაინც დასრულდა ლეგიონის ფორმირება. იგი ამ დროს 600 კაცს მოითვლიდა. ლეგიონის მეთაურად დაინიშნა ლეო კერესელიძე, შტაბის უფროსად - მისიეე ნათესავი ნესტორ მაღალაშვილი, ასეულის მეთაურებად - ძმები ვანო და სერგო ლაბაძეები, მეტყვეიამფრქვეველთა ასეულის მეთაურად - ვანო წერეთელი, საინტენდანტო ნაწილის უფროსად - მელიტონ ქარცივაძე და სხვ. ლეგიონმა გერმანელ პოდპოლკოვნიკ შტანკეს რაზმთან ერთად გაარღვია რუსთა თავდაცვა და 12 დეკემბერს აიღო არტაანი. სწორედ აქ მოხდა ქართული ლეგიონის პირველი საბრძოლო ნათლობა. ლ. მოზელის სიტყვით, მან დიდი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს.[78]

---

[75] Пипия Г.В. Германский империализм в Закавказье в 1910-1914 гг. М., 1980, с. 17.
[76] Bihl W., Die Kaukasus Politik der Mittelmächte, t. I. Wien-Köln-Gras, 1975, s. 128.
[77] Пипия Г.В., დასახ. ნაშრ., გვ. 65.
[78] W.Bihl, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

აჯარისკენ საბრძოლო მოქმედების გაჩაღებისთანავე, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მოწოდებით, ლეგიონში ჩაეწერა ამ კუთხის, აგრეთვე, ლაზეთის ათობით პატრიოტი. მათგან დღეს მხოლოდ რამდენიმეს ვინაობაა ცნობილი: ზია აბაშიძე, მემედ, ოსმან და ყადირ თავდგირიძეები, სულეიმან ირემაძე, ფეიზულ სურმანიძე, შუქრი ხალვაში, ოსმან გვარიშვილი და სხვ.[79]

ბათუმ-ახალციხის მიმართულებით ოსმალთა წარმატება ხანმოკლე გამოდგა. რუსეთის ჯარებმა 21-25 დეკემბრის ბრძოლებში სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე. შტანკემ და მისმა შეთხელებულმა ნაწილებმა დატოვეს არტაანი. ლეგიონერებმა, ჩანს, ამ მძიმე ბრძოლებშიც ისახელეს თავი. საგარეო უწყებისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში ფონ ვანგენჰაიმი აღნიშნავდა მათ მამაცობაზე.[80]

ამ გარემოებამ გერმანელებს კიდევ უფრო განუმტკიცა რწმენა ლეგიონის სარგებლიანობაში. მართალია, არტაანთან საერთო წარუმატებლობისა და უკანდახევის პირობებში ქართველ მაჰმადიანთაგან ბევრი მოხალისე ჩამოშორდა ნაწილს, მაგრამ ამან მაინც ვერ შეაცვლევინა მათ შეხედულება ლეგიონზე. ამიტომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კომიტეტთან პოლიტიკურ კომისრად დანიშნა გრაფი შულენბურგი.[81] მას დაევალა: „მომზადება და განხორციელება აქციებისა, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ანტირუსული განწყობილებების გაღვივება და აჯანყების ორგანიზება“ საქართველოსა და კავკასიაში.[82] მასვე უნდა გაეძლიერებინა კომიტეტსა და ოსმალეთის სამხედრო ხელისუფლებას შორის თანამშრომლობა ლეგიონის პირადი შემადგენლობის გაზრდისა და საბრძოლველად მომზადებისათვის.

შულენბურგი ენერგიულად შეუდგა დავალების შესრულებას. 1915 წ. სექტემბერში მან ლეგიონი ტრაპიზონში გადაიყვანა და იწყო ახალი ძალებით მისი შევსება. შტანეე დაპირებას იძლეოდა, რომ თუ 3 ათას კაცს შეკრებდნენ, შეძლებდა შტეკვაზე გადასვლას, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოში აჯანყების დასაჩქარებლად. გერმანული მხარის გააქტიურებამ ფრთები შეასხა კომიტეტის წევრებს, რომლებიც ახლა მეტ ოპტიმიზმს ამჟღავნებდნენ. გ. მაჩაბელი ეარაუდობდა, რომ მოახერხებდნენ აჯარიდან ოსმალეთში ლტოლვილთაგან და ლაზეთის მკვიდრთაგან 3-3,5 ათასი მოხალისის, ხოლო ტყვეებიდან 4 ათასი კაცის მიზიდვას. 7-8 ათასი ლეგიონერი კი, მისი აზრით, საკმარისი იქნებოდა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ამხედრებისათვის.[83]

გატარებულ ერთობლივ ღონისძიებათა შედეგად, ლეგიონის პირადი შემადგენლობა დღითიდღე იზრდებოდა. მასში ერთიანდებოდა: 1915 წ. 2 ნოემბერს - 450 მებრძოლი, ნოემბრის დამლევს - 600, დეკემბრის ბოლოს - 800, 1916 წ. იანვარში - 835, შუა თებერვალში - 1000, მარტში კი - 1200. ამავე წლის აგვისტოში 360 ლეგიონერი იდგა გირესუნში, ხოლო 200-კაციანი რაზმი – ტირებოლუში. გირესუნში განთავსებული იყო ლაზარეთი, აქვე იყო ლეგიონერთა საწყობიც. ამ დროისათვის შენაერთს თითქოს 234-კაციანი დამხმარე პერსონალი ემსახურებოდა.[84]

---

[79] მ.სიორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 70-71; ს.ტაბაღუა, ტაბუდადებული დოკუმენტებიდან, გაზ. „აჭარა“, №32, 1993.

[80] W.Bihl, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

[81] შემდეგში გერმანიის ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მოგვიანებით კი - საბჭოთა კავშირში.

[82] Пипия Г.В., დასახ. ნაშრ., გვ. 66-67.

[83] W.Bihl, დასახ. ნაშრ., გვ. 75-76.

[84] ინგლისელი ისტორიკოსის დევიდ ლენგის სიტყვით, ლეგიონი დაკომპლექტდა „დაახლოებით შვიდი ათასი ძლიერი მამაკაცისაგან“, რაც ჩვენი აზრით, გადაჭარბებულია. მისივე ცნობით, იგი დისლოცირებული იყო ტირებოლუს მთიანეთის აღმოსავლეთით, მდინარე პარშატის სანაპიროზე, შავი ზღვის ახლოს. კომიტეტის შტაბი კი განლაგებული იყო ჯერ სამსუნში, მოგვიანებით - გირესუნში (D.Lang, A modern histori of Georgia,

ლეგიონერთა რიცხობრივმა ზრდამ ახალი საზრუნავი გაუჩინა მის ხელმძღვანელობას. ახალწვეულთა შორის ბევრი იყო სამოქალაქო პირი. საჭირო იყო მათი სწრაფად გაწრთვნა. ამისათვის შულენბურგმა ლეგიონში ინსტრუქტორ-სპეციალისტად მიიწვია ლეიტენანტი ჰორსტ გუსტავ შლიფხაკი. ახალშექმნილი კავალერისტთა რაზმისათვის შეიძინეს ცხენები და საჭირო აღკაზმულობა. ამან გაზარდა ხარჯებიც, მაგრამ შულენბურგმა იშუამდგომლა და შენაერთს 3 ათასი კაცისათვის საჭირო დამატებითი თანხა გამოუყეს.[85]

მოხალისეთა მიზიდვის პარალელურად, გაძლიერდა მუშაობა ტყვეთა შორისაც. ამჯერად მას ხელმძღვანელობდნენ მიხ. წერეთელი და გ. მაჩაბელი, რომლებსაც ეხმარებოდნენ გერმანიის აღმოსავლეთის საქმეთა საინფორმაციო ბიუროს თანამშრომელი ჰ. კოზაკი და სხვ. მათ ბანაკებში გაავრცელეს მოწოდებები: „ხალხი ელოდება ხელსაყრელ მომენტს, რომ იარაღით ხელში ეკეთოს მტრის (რუსების - ავტ.) რაზმებს, - ნათქვამია ერთ მოწოდებაში, - ქართველებო, ისარგებლეთ შემთხვევით და ჩაეწერეთ ქართულ რაზმებში“.[86] აღნიშნულ მოწოდებებში „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ გადაჭარბებულად აფასებდა ქართველი ერის და მისი პოლიტიკური პარტიების მზადყოფნას და სოლიდარობას ანტირუსული აჯანყებისათვის.

საერთოდ, მოწოდებებში ხაზგასმული იყო ქართველების აჯანყების სამართლიანობა: „ქართველებო, შესაძლებელია გაწუხებთ ფიცი, რომელიც რუსეთის იმპერატორს მიეცით, მაგრამ თვით რუსი იმპერატორები არიან ფიცის გამტეხნი, 1783 წ. ტრაქტატის დამრღვევნი და საქართველოს პოლიტიკური სახელმწიფოს წამშლელნი... ამდენად, საჭიროა არა მისი დაცვა, არამედ უშუალოდ სამშობლოს ერთგული სამსახური... დაე, თითოეული ქართველი იქცეს გმირად ამ ბრძოლაში“.[87]

აღსანიშნავია, რომ „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ამგვარ პროპაგანდას ქართველ სამხედრო ტყვეთა შორის მოსალოდნელი გამოხმაურება არ მოჰყოლია. საზოგადოდ, ტყვეები კარგად აცნობიერებდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დიდ მნიშვნელობას, მაგრამ აეჭვებდათ ომში გერმანიის გამარჯვებისა და მისი მეშვეობით საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობა, აგრეთვე, სამშობლოს თავისუფლებისათვის ოსმალთა მხარდამხარ ბრძოლის პერსპექტივაც. ამის მიუხედავად, ემიგრანტები და ტყვეთა ნაწილი ხალისით ეწერებოდნენ ლეგიონში.

პროპაგანდის ეფექტურობისთვის გადაწყდა გაზეთის გამოცემაც. ადრე ბანაკებში ერცელდებოდა ერთნაირი შინაარსის ხელნაწერი გაზეთები ყველა იმ ენაზე, რომლებზეც ტყვეები ლაპარაკობდნენ. გაზეთის ქართულ ვარიანტს ერქვა „კავკასია“, მაგრამ იგი არაპოპულარული იყო ქართველ ტყვეებში. ამიტომ ჟენევაში არსებული ქართული სტამბა ბერლინში გადაიტანეს და 1916 წ. 28 მარტიდან იწყეს ნაბეჭდი „ქართული გაზეთის“ გამოცემა (რედაქტორი გიორგი კერესელიძე), იგი თვეში 2-ჯერ გამოდიოდა 8 გვერდის მოცულობით. გაზეთმა ტყვეებში მალე მოიპოვა პოპულარობა, რის გამოც უკვე ნოემბრიდან მისი მოცულობა 12 გვერდამდე გაზარდეს. ამავე სტამბაში ბეჭდავდნენ პატარა ქართულ წიგნებსაც. ამ პუბლიკაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველ ტყვეთა ეროვნულ გათვითცნობიერებაში. ამაზე მეტყველებს მათი 1200-ზე მეტი ბარათი გაზეთის რედაქციისადმი.[88]

ლეგიონერთა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა

London, 1962, s. 183).

[85] W.Bihl, დასახ. ნაშრ., გვ. 76-77.

[86] სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 4342, ფურც. 3.

[87] მ.სვანიძე, ქართული ლეგიონი თურქეთში, გაზ., „ხიდი“ №5, 1992.

[88] იხ. სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 5414-5422.

ჰქონდა 1915 წ. თამარ მეფის ორდენის („სამახსოვრო ნიშნის") დაწესებას. მისი შემოღების, აღწერილობისა და დაჯილდოების განაწესში[89] აღნიშნულია, რომ ის ეძლეოდა „იმ პირთ, რომლებმაც რაიმე თვალსაჩინო სამსახური გაუწიეს ქართულ საქმეს და იმ საპატიო პირთ, რომელთა გაელენასაც შეუძლია სამსახური გაუწიოს ამავე საქმეს". ამ პრინციპიდან გამომდინარე, თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვდნენ გერმანიის მაღალჩინოსნები: უკანასკნელი იმპერატორის ვილჰელმ II-ის ძე ეოლდემარ ჰოჰენცოლერნი, გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი პაულ ჰინდენბურგი, გენერლები ლუდენდორფი, ფონ ლოსოვი, კაპიტანი შულენბურგი, ლეიტენანტები გალენი და შედე, დოქტორი ფიშკე და რამდენიმე ავსტრიელი მოქალაქე. გენერალ გ. მდივნის 1918 წ. 13 დეკემბრის ბრძანებულებით, „ყველა გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი, რომლებიც 1918 წ. 4 ნოემბრიდან იმყოფებოდნენ საქართველოში, ღებულობდნენ წმინდა თამარის ორდენის ტარების უფლებას".[90]

სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ზუსტი ცნობები იმ თანამემამულეებზე, ვისაც ეს ჯილდო ხედა წილად. ცნობილია, რომ ლეგიონის არსებობის მანძილზე იგი გადაეცა 6 ქართველ მებრძოლს. ამ ორდენით იყვნენ დაჯილდოებულნი: დავით ვაჩნაძე, ლეო კერესელიძე, შალვა ქარუმიძე, გიორგი მაღალაშვილი და მიხეილ წერეთელი, აგრეთვე, სამეგრელოს მთავრის ყოფილი მოურავი მოხუცი ნიკო ხორავა.[91] უკანასკნელ ხანს გაირკვა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულმა კომიტეტმა ამავე ორდენით დააჯილდოვა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული მთლიანობისათვის თავდადებული მებრძოლები მემედ აბაშიძე და ყადირ შერვაშიძე.[92]

ჩამოყალიბების პროცესში ლეგიონის ცალკეული ნაწილები მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციებში. ე. ბილის ცნობით, 1916 წ. დეკემბრისათვის ფრონტის წინა ხაზზე იმყოფებოდა 500 ლეგიონერი. მათგან 25-კაციანი ჯგუფი 6 ნოემბერს თავს დაესხა რუსთა პოზიციებს, გაანადგურა 40-მდე ჯარისკაცი და ორი ტყვიამფრქეევი. უნარიანი და გაბედული მოქმედებისათვის ამ ოპერაციის რამდენიმე მონაწილე ოსმალეთის სარდლობამ „რკინის ნახევარმთვარის" მედლით დააჯილდოვა. ამაზე ადრე (იმავე წლის აპრილში), 120-150 ლეგიონერი, ოსმალთა მხარდამხარ მონაწილეობდა ყაჩაღთა ბანდების განადგურებაში. შულენბურგი აღნიშნავდა, რომ ბრძოლაში ქართველები უკეთ მოქმედებდნენ, ვიდრე თავად თურქი ჯარისკაცები.[93]

ლეგიონის ფორმირებისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებასთან ერთად, მიმდინარეობდა გერმანიის წყალქვეშა ნაეებით კომიტეტის წევრთა, აგრეთვე, იარაღისა და ფულის შემოგზავნა საქართველოში აჯანყების დასაჩქარებლად. თან ადგენდნენ ლეგიონის გადმოსხმის შესაფერის ადგილსაც (ასეთად შემდეგ ქობულეთ-გრიგოლეთის სანაპირო ზოლი მიიჩნიეს).

უნდა ითქვას, კომიტეტთან დაახლოებული გავლენიანი ევროპელები არ თანაუგრძნობდნენ რუსეთის წინააღმდეგ ქართველთა აჯანყების იდეას. მათი აზრით, ეს იქნებოდა სახიფათო ავანტიურა, რომელიც კითხვის ქვეშ დააყენებდა თვით ერის არსებობასაც კი. ქართველთა გულშემატკივარი, ომის დროს „დაპყრობილი ბელგიის გუბერნატორი" ფელდმარშალი ფონ დერ ჰოლცი გულწრფელად ურჩევდა მიხ.

---

[89] იქვე, ს. 5430, ფურც. 49-50.

[90] თვითმხილველი ჟურნალისტის ივ.ჯავახიშვილის სიტყვით, 1918 წელს საქართველოში ნამყოფი გერმანელი სამხედროები ამ ორდენს მეორე მსოფლიო ომის დროსაც სიამაყით ატარებდნენ (ესენი, გერმანელები თამარის ორდენს ატარებდნენ. გაზ. „ქართველი ერი", №15, 1993).

[91] ნ.ჯავახიშვილი, ქართული ფალერისტიკა, თბ., 1995, გვ. 32.

[92] გ.შარაძე, მეშედ აბაშიძე ბათ., 1995; ან.სურგულაძე, ყადირ შერვაშიძე თამარის ორდენის რაინდი, ქუთ., 1998; ნ.ჯავახიშვილი, თამარ მეფის ორდენი, თბ., 1998.

[93] W.Bihl, დასახ. ნაშრ., გვ. 76-78.

წერეთელს: „არამც და არამც არ გასწიოთ საქართველოში პროპაგანდა ქართველი ერის ასაჯანყებლად. არ დაგავიწყდეთ, რა ბედი ეწია სომხეთს, ოსმალეთის ტერიტორიაზე რუსეთის შესვლის დროს, აჯანყების გამო. თქვენი პრობლემა არის წმინდა პოლიტიკური. არაეითარი მნიშვნელობა არ შეუძლია ჰქონდეს ამ უსარმაზარ კონფლიქტში თქვენს სამხედრო ძალას".[94]

ცხადია, რჩევა სამართლიანი იყო, მაგრამ პატრიოტები მომავალს მაინც იმედიანად შესცქეროდნენ. მათ ოპტიმიზმს ასულდგმულებდა იმის რწმენა, რომ რუსეთი ომში უეჭველად დამარცხდებოდა. სწორედ ამ სულისკვეთებით ჩამოვიდა ოდესაში გიორგი მაჩაბელი. ჟანდარმერიის ცნობით, მისი მისანი იყო „საუნივერსიტეტო ქალაქებში სამ-სამი კაცის შემადგენლობით კომიტეტების შექმნა, რომლებიც ქართველ სტუდენტებს მოამზადებდნენ— ეროვნული კომიტეტის აჯანყებაში მონაწილეობისათვის".[95]

შემდეგ გიორგი მაჩაბელმა არალეგალურად იმოგზაურა საქართველოშიც. ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ რევაზ გაბაშვილმა ქუთაისში იგი შეახვედრა ქართველ პოლიტიკოსებს: ეროვნულ-დემოკრატიული (შალვა ამირეჯიბი), სოციალ-დემოკრატიული (ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი) და ფედერალისტების (სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ რცხილაძე) პარტიების წარმომადგენლებს. შეხვედრაზე მოხსენებით გამოვიდა გ. მაჩაბელი. მან ილაპარაკა გერმანია-თურქეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, აგრეთვე საქართველოში ჩამოსვლის მიზეზებზე. რ. გაბაშვილი და შ. ამირეჯიბი, თაეიანთი პარტიის სახელით, მაშინვე დათანხმდნენ დახმარებაზე. ანალოგიური აზრი გამოთქვა ევ. გეგეჭკორმაც, მაგრამ ნ. ჟორდანიამ შეაჩერა: „ჩვენი პარტია (სოციალ-დემოკრატიული - ავტ.) მუშაობს რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ანტანტის მხარეზე. დარწმუნებული ვართ, გაიმარჯვებს ინგლისის მეთაურობით და მაშინ აიძულებს თავის მოკავშირე რუსეთს, უფრო დემოკრატიული რეჟიმი დაამყაროს. ამით ჩვენც გადმოგეიარდება რაიმე ლუკმა გამარჯვებულთა სუფრიდან". შემდეგ მან გ. მაჩაბელს „დამოუკიდებლობის კომიტეტის" წევრებთან დაბარა: „თქვენ იმუშავეთ მაგ გზით, ჩვენ ხელს არ შეგიშლით, პირიქით, იქნება ზოგ რამეში ხელიც შეგიწყოთ".[96]

1916 წ. ზაფხულში საქართველოში ჩამოვიდა ლ. კერესელიძე. თანმხლებ პირებთან ერთად იგი აქ წლის ბოლომდე დარჩა, მაგრამ აჯანყების საქმეს მაინც ვერ მოება თავი. 1917 წ. დამდეგს ამ მიზნით ჩამოვიდა, აგრეთვე, მიხეილ წერეთელი, შემდეგ პეტრე სურგულაძეც, მაგრამ აჯანყების ორგანიზება არ მოხერხდა.

ამასობაში დრო გადიოდა. გერმანია და მისი მოკავშირეები ფრონტის ყველა უბანზე მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. ომის შედეგები ახლა ბევრს აღარ აეჭვებდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ინტერესი ქართული ლეგიონისადმი შესამჩნევად განელდა. უკვე 1916 წ. ნოემბერსა და დეკემბერში გენ. ლოსოევმა და ოსმალეთის მე-3 არმიის სარდალმა ვეჰიბ-ფაშამ ოფიციალურად თხოვეს ბერლინს ქართული ლეგიონის დაშლა. გენ. ლოსოევი ამას ასაბუთებდა შექმნილი მძიმე ეკონომიკური პრობლემებით და თურქებთან ლეგიონერების უთანხმოებით. იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ თურქეთის მხრიდან საქართველოში შეჭრა გამოირიცხა და ლეგიონის შენარჩუნებას აზრი არა აქვსო. ვეჰიბ-ფაშა კი იმიზეზებდა ქართველ ჯარისკაცთა დეზერტირობას და უდის-

[94] კ.სალია, დასახ. ნაშრ., გვ. 19.
[95] სცსსა, ფ. 157, ან. 1, ს. 320, ფურც. 398, იხ. აგრეთვე, ე.ახობაძე, ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900-1917 წწ.), თბ., 1965, გვ. 344.
[96] რ.გაბაშვილი, რაც მახსოვს. იხ. ემიგრანტული ლიტერატურა („დაბრუნება"), ტ. 3, თბ., 1992, გვ. 149-150; ნ.ჟორდანია, ჩემი წარსული (მოგონებანი), ბარიზი, 1953, გვ. 101-103.

ციპლინობას.[97]

სხვათა შორის, ვეჰიბ-ფაშას საყვედურს გარკვეული საფუძველიც ჰქონდა. ოსმალეთის მხარეს სულ უფრო აღიზიანებდა მის ტერიტორიაზე ქართველთა ყოფნა და აქტიურობა. საქმე ისაა, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და ქართველი პოლიტიკოსები პრეტენზიას აცხადებდნენ ლაზეთზე. ამასთან, იგი იმასაც ვერ იტანდა, რომ კომიტეტიც და ლეგიონიც სამშობლოს აღორძინებისათვის იბრძოდნენ. ამის გამო ერზერუმის ვალიმ კომიტეტის ერთ-ერთ წევრს პირდაპირ განუცხადა: „ჩვენ იმიტომ კი არ დავამარცხეთ სომხები და მათი ავტონომიის ოცნებები, რომ ნება დაგრთოთ ახალი ქრისტიანული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზეო“.[98]

ოსმალები ლეგიონს მიიჩნევდნენ გერმანიის დასაყრდენ ძალად საქართველო-ამიერკავკასიაში. ამიტომ მას დაბრკოლებებს უქმნიდნენ (თვითნებურად ახდენდნენ მისთვის განკუთვნილი იარაღის კონფისკაციას, აფერხებდნენ ლტოლვილი ქართველი მაჰმადიანების ლეგიონში ჩაწერას, ცდილობდნენ მის დაქსაქსვას და სხვადასხვა ქალაქში დისლოცირებას და ა.შ.), თანაც ესწრაფოდნენ მასზე კონტროლის დაწესებას (სურდათ ლეგიონში თურქული ენის შემოღება, თავისი წესებისა და კანონების დამკვიდრება, თურქი ინსპექტორების შეყვანა და სხვ.). ამასთან, ოსმალთა სარდლობა გეგმავდა ლეგიონის გამოყენებას საკუთარი სურვილისამებრ, კერძოდ, ერზინჯანის ფრონტზე, ანდა ზურგში პატრულირებისათვის. ლეგიონერები კი ამის წინააღმდეგნი იყვნენ და თანხმობას აცხადებდნენ მხოლოდ მშობლიური მხარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაზე. ყოველივე ამის გამო ოსმალეთის მე-3 არმიისა და ლეგიონის ხელმძღვანელებს შორის დიდი უთანხმოება იყო. სწორედ ამას მოჰყვა ამ ქვეყნის ოფიციალურ პირთა საყვედურები, რომ ქართველი „ოფიცრები და ჯარისკაცები იქცევიან თავაშვებულად“.[99]

მოკავშირეთა ასეთი პოზიციით შეშფოთებულმა კომიტეტმა 1916 წ. 12 დეკემბერს გერმანიის გენშტაბს და მისი პოლიტიკური სექციის უფროსს ო. ვეზენდონკს გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც აღნიშნული იყო ლეგიონის შენარჩუნების პოლიტიკური მნიშვნელობა. ამ შენაერთით, - ნათქვამია შემდეგ მემორანდუმში, - ქართველ ხალხს საშუალება აქვს გაიგოს, რომ გერმანია ეხმარება ბრძოლაში რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ მისი დაშლა ქართველებს მოუსპობს ამ იმედსო და ითხოვდნენ ლეგიონის გადაყვანას გერმანია-რუსეთის ფრონტზე.[100]

15 დეკემბერს გერმანიის გენშტაბმა ოპერატიულად განიხილა მემორანდუმი და ძირითადად მოიწონა რუსეთის ფრონტზე ლეგიონის გადაყვანის იდეა, რაც განხორციელდა კიდეც 1917 წ. მაისში. ლეგიონი რუმინეთში ჩაიყვანეს. აქ ისინი ემზადებოდნენ ფრონტზე გამგზავრებისათვის, მაგრამ 1917 წ. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალებისა და ომიდან საბჭოთა რუსეთის გამოსელის გამო საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა აღარ მიუღიათ. რუმინეთში ლეგიონერები დარჩნენ 1918 წ. ივლისამდე, შემდეგ დაბრუნდნენ სამშობლოში - უკვე თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში და ეროვნული არმიის შემადგენლობაში ცალკე შენაერთის სახით ლეო კერესელიძის მეთაურობით გმირულად იბრძოდნენ ახალციხის ფრონტზე ე.წ. „ყარსის მთავრობის“ ჯარების წინააღმდეგ.[101]

---

[97] W.Bihl. დასახ. ნაშრ., გვ. 79.
[98] იქვე, გვ. 82.
[99] იქვე, გვ. 77.
[100] იქვე, გვ. 79-80.
[101] გაზ. „ერთობა“, №30, 1919.

* * *

სახელმწიფო ღალატის ბრალდება. ომისათვის თანამდევ უკუღმართობებთან ერთად, სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობა რუსეთის ხელისუფლების მიერ უსამართლოდ იქნა აწიოკებული „საერთო სახელმწიფო ღალატში" ბრალდებით. ამის საფუძველს ხელისუფლება იმაში ხედავდა, რომ ომის წინა პერიოდში ოსმალეთისა და გერმანიის სპეცსამსახურებმა ამ რეგიონში ჩაატარეს ფართო ანტირუსული საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. მის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის მომზადება რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისათვის, რაც კავკასიის ფრონტის გახსნისთანავე უნდა გაჩაღებულიყო.[102] ამ ცდებს მცირე შედეგი ჰქონდა.

მართალია, ცალკეული პირები, როგორც ეს საერთოდ ხდება ომის დროს, სხვადასხვა მოტივით გადავიდნენ მოწინააღმდეგის მხარეს, მაგრამ მოსახლეობის ორგანიზებულ გამოსვლას რუსეთის ადმინისტრაციის ან ჯარების წინააღმდეგ აქ ადგილი არ ჰქონია. პირიქით, საომარი მოქმედების მსელელობის მთელ პერიოდში ქართველი მაჰმადიანები ეხმარებოდნენ რუსეთის არმიას. ოფიციალურ პირთა მოწმობით, ისინი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ხელისუფლებას აწვდიდნენ სამხედრო ხასიათის ცნობებს, ხოლო კავკასიის ფრონტის გახსნისა და „არტანუჯიდან ევაკუაციის შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობის მხრივ არ ყოფილა არავითარი ექსცესები, რის გამოც ევაკუაცია შეუფერხებლად ჩატარდა".[103]

ოსმალთა მიერ ბათუმის ოლქის ნაწილის დაკავების შემდეგაც მოსახლეობა, შეძლებისდაგვარად, ეხმარებოდა რუსეთის ხელისუფლებას. მაგალითად, მათ ოსმალთა ტყვეობისაგან გაანთავისუფლეს ვინმე სტრაენიკი კასიანოვი და სამშვიდობოს გამოიყვანეს. შეიფარეს და გადამალეს არაერთი სომეხი და ბერძენი, რითაც საკუთარი თავი ჩაიგდეს საფრთხეში. საბრძოლო მოქმედების მთელ პერიოდში აქტიურად მონაწილეობდნენ თოვლისაგან უღელტეხილებისა და გზების გაწმენდაში, სამხედრო ნაწილების სურსათით და ტყვია-წამლით მომარაგებაში.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ხელისუფლების წარმომადგენლებმა აჭარა და მთელი სამაჰმადიანო საქართველო მოღალატედ შერაცხეს. ამის ერთ-ერთ დამამტკიცებლად მიიჩნიეს ადგილობრივი მოსახლეობის სიმპათიები და ლტოლვა ქართული ლეგიონისადმი.

მოღალატეობის ერთ-ერთ „მამხილებელ საბუთად" გამოიყენეს აჭარის მოხალისეთა ქვეითი ბატალიონის შედგენის საქმის ჩაშლა. გერმანიასთან ომის დაწყების შემდეგ მსგავსი ნახევრად გასამხედროებული ნაწილები მთელ კავკასიაში იქმნებოდა. ამავე მიზნით 1914 წ. აგვისტოში ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორმა ბ. რომანოვსკიმაც მოიარა აჭარა. თავდაპირველად ამ მოწოდებას მოსახლეობის ახალგაზრდული ნაწილი გამოეხმაურა. მალე ბატალიონში ჩაეწერა ორასამდე მოხალისე კინტრიშის უბნიდან. ისინი თბილისში წაიყვანეს გასაწვრთნელად.

ბატალიონი გამიზნული იყო დასავლეთის ფრონტზე გასაგზავნად. ომში ოსმალეთის ჩაბმის შემდეგ მოსახლეობაში ჩაკვდა ბატალიონში გაერთიანების სურვილი, რადგან მათთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ უნდა ებრძოლათ მშობლიური ადგილებიდან შორს და ისიც ოსმალთაგან კარსმომდგარი საფრთხის ვითარებაში. ამიტომ გახშირდა ბატალიონიდან დეზერტირობა. ბათუმის ოლქის ხელისუფლებამ კი აჭარული ბატალიონის ფორმირების ჩაშლა დააბრალა ადგილობრივ გავლენიან პირებს და ათამდე კაცი ქობულეთიდან და ქედიდან პასუხისგებაშიც მისცა. ამით

---

102 მ.სიორიძე, გერმანია-თურქეთის სადაზვერვო-ძირგამომთხრელი საქმიანობა ბათუმის ოლქში პირველი მსოფლიო ომის წინ. - „მაცნე" (ისტორიის სერია), №4, 1985, გვ. 70-81.
103 სცსსა, ფ. 1831, ან. I, ს. 1, ფურც. 5.

კიდევ უფრო გაამწვავეს ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ბათუმის ოლქში იყო რეალური შესაძლებლობა მთავრობის ინიციატივით ჩამოყალიბებულიყო რამდენიმე ათასი კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული სახალხო ლაშქარი (მილიცია), რომელიც ყველაზე ეფექტურად გაამგრებდა რუსების მიერ დაუცველად დატოვებულ მთაგორიან მასივებს. ამით შესაძლებელი იქნებოდა ოსმალთა მიერ ამ მხარის ოკუპაციის თავიდან აცილება,[104] მაგრამ მეფის მოხელეები მაჰმადიანების უნდობლობით ეკიდებოდნენ.

მაჰმადიან ქართველთა „სახელმწიფო ღალატში" ბრალდების ინიციატორები იყვნენ კავკასიის სამხედრო და, ნაწილობრივ, საერო ხელისუფალნი. ისინი, ჩანს, ამით ფიქრობდნენ უმაღლესი მთავრობის წინაშე გაემართლებინათ ფრონტზე თავდაპირველი წარუმატებლობა (შეიძლებოდა მასთან კოლონიური გეგმების დაკავშირებაც). ამტომ, უკვე 1914 წ. დამლევს სპეცსამსახურებს მიეცათ განკარგულება შეეკრიბათ მასალები „მოღალატე" მაჰმადიანებზე და პეტროგრადშიც გაიგზავნა დაუსაბუთებელ ვარაუდებზე აგებული შეტყობინებები. 1915 წ. 12 იანვარს კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე პეტერსონი შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობებდა: „მართალია, ჯერ ზუსტად გამორკვეული არაა მოღალატეთა რაოდენობა ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან, მაგრამ მათი რიცხვი 5 ათასზე ნაკლები არ არისო".[105]

ბათუმის გამაგრებული რაიონის გენერალ-გუბერნატორი, რეგიონში დისლოცირებული რუსეთის ჯარების მთავარსარდალი გენერალ-მაიორი ლიახოვი კი მეფისნაცვლის კანცელარიას „მოღალატეების" შესახებ ახალი ცნობებით ამარაგებდა. მის 1915 წ. 16 იანვრის ტელეგრამაში ნათქვამია: „ჯერჯერობით მხოლოდ ქვემო აჭარის უბანში საქმე აღძრულია ათასზე მეტ მოღალატეზე. ზემო აჭარისა და გონიოს უბნების შესახებ კი ცნობები იკრიბება".[106]

„სახელმწიფო ღალატის" ინსპირირებულ საქმეს აჭარის ოსმალთაგან გაწმენდისთანავე შეეწირა სამი ქართველი,[107] რომლებსაც დაბრალდათ „ჩეთნიკებში" გარევა. ისინი სათანადო გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე სოფ. ხიჭაურში ჩამოახრჩო კაზაკ-პლასტუნთა მეთაურმა გენერალმა გუბსკიმ. გუბერნატორ ლიახოვის ბრძანებით 1915 წლის იანვარში სოფ. ჩანჩხალოში გაიგზავნა პლასტუნთა ეგზეკუცია, რომელმაც იავარჰყო იქაურობა.[108] ასევე გაავერანეს ზოგიერთი სხვა სოფელიც. ხულოს სკოლის მასწავლებელი რაფიელ აცანელი (ჩხაიძე) შენიშნავდა: კახაბრიდან - ქედამდე სოფლებში მამალიც აღარ ჰყივის. სოფლები გადამწვარია და გაევერანებული, შენობები გაძარცვული.[109]

გენერალი ლიახოვი მზად იყო სისხლით მოერწყო „მოღალატე" აჭარის სხვა სოფლებიც, მაგრამ, როგორც თავად შენიშნავდა გენერალ მოკულსკისადმი 1915 წლის 11 იანვრის ტელეგრამაში, - ვიდრე ართვინის მხარე ოსმალებს ეპყრათ, საჭირო იყო რეპრესიებისაგან თავის შეკავება, რათა თავიდან აეცილებინათ ქართველ მაჰმადიანთა აჯანყება.[110]

რუსეთის სარდლობის არასამართლებრივი ქმედებანი აღიკვეთა, როგორც კი 1915 წ. იანვარში აქ ჩამოვიდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი აკაკი ჩხენკელი.

---

104 სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3388, ფურც. 1-21; აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 708, ფურც. 11-12.
105 სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3966, ფურც. 7.
106 იქვე, ფურც. 4.
107 მათგან ცნობილია თუფან თავდგირიძე (ბარათაულიდან) და შახველედ დიასამიძე (ჩანჩხალოდან) - იხ. ა.ბ.სურგულაძე, კ.სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 36.
108 აცსა, ფ. 3, ან. 1, ს. 16, ფურც. 5.
109 გაზ. „თანამედროვე აზრი", №36-39, 1915.
110 სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3966, ფურც. 13.

ის სასწრაფოდ გაბრუნდა პეტროგრადში. შეხვდა მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს ა. გორემიკინს და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან. ოფიციალური პრესის ცნობით: „გორემიკინი თანაგრძნობით მოეკიდა ჩხენკელის განცხადებას და შესთავაზა მას შესაბამისი მოხსენების წარდგენა უმაღლესი სამხედრო ხელისუფლებისათვის".[111]

ხალხის გადარჩენის საქმეში ასევე დიდი წვლილი მიუძღვის გენერალ ბესარიონ ჩიქოვანს, რომელიც მეთაურობდა აჭარაში დისლოცირებულ ერთ-ერთ შენაერთს. შემდეგ საქმეში ჩაერთო მთელი ქართველი საზოგადოებრიობა და პრესა. მისი გაელენით რუსულენოვან დემოკრატიულ პრესაშიც გაჩნდა წერილები, რომლებიც ამხელდა „სახელმწიფო ღალატის" შესახებ შეთითხნილი ბრალდების არაობიექტურობას და მიუთითებდა მათ ავტორთა ნამდვილ მიზნებზე. გაზეთმა „ზაკავკაზსკაია რეჩ" 1915 წ. 28 თებერვალს მურღულის ხეობის (ართვინის ოკრუგი) მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაციის მაგალითზე ამცნო საზოგადოებას „სახელმწიფო ღალატთან" დაკავშირებით წამოწყებული კამპანიის სიყალბე. გაზეთის ცნობით, რომელიც ეყრდნობოდა თვითმხილველის ინფორმაციას, მურღულის ხეობის დაკავებისთანავე ოკუპანტებმა მოითხოვეს - მამაკაცები „'ესულიყენენ ოსმალოს ჯარში. მოსახლეობიდან არჩეულმა წარმომადგენლებმა ხალხის სახელით უარი განაცხადეს ამაზე, რისთვისაც ისინი დააპატიმრეს... 1915 წ. თებერვალში უკანდახევისას ოსმალებმა უბრძანეს მურღულის ხეობის მცხოვრებთ დაეყოლებლივ დეტოვებინათ ხეობა და გადასახლებულიყვნენ თურქეთში. ადგილობრივ მცხოვრებთ ეს არ სურდათ, მაგრამ ოსმალო ჩაფრებმა აიძულეს ისინი მიეტოვებინათ სახლ-კარი. მოლებიც ქადაგებდნენ, ვინც დარჩებოდა, ყველას გაწყვეტდნენ კაზაკები, როგორც მათ ეს გააკეთეს აჭარაში. გაწმინდეს რა ყველა სოფელი მცხოვრებთაგან, რომლებიც ქვითინითა და კრულვით ეთხოვებოდნენ თავიანთ სამშობლოს, მურღულიდან უკანასკნელი ოსმალური რაზმები წავიდნენ ღამით".[112] გადარჩნენ ისინი, ვინც ისარგებლა არეულობით და ტყეს შეაფარა თავი, - დასძენდა გაზეთი.

ქართული პრესა კი შენიშნავდა: ბათუმის ოლქში უკანდახევის დროს რუსებს ზურგიდან რამდენჯერმე მართლაც დაუშინეს ტყვია, მაგრამ ისინი მთავრობის მიერ ძებნილი ავაზაკები იყვნენ. ამის მიუხედავად, რუსეთის მხედრობამ ეს ხელზე დაიხვია და იმ მოტივით, რომ ქართველი მაჰმადიანები მათ ღალატობდნენ, გადაწვა და გააპარტახა სოფლები.[113]

ბათუმის ოლქის მოსახლეობის ღალატში ბრალდებისათვის მეფის მოხელეებმა გამოიყენეს 1915 წ. 4 მარტის ე.წ. „საიდუმლო დეპეშა", რომელიც რუსეთის კონტრდაზვერვის ინფორმაციით, თითქოსდა, გერმანიის ელჩისარმა ქ. ვიწედან გაგზავნა კონსტანტინოპოლის საელჩოში. მასში ნათქვამია: „სამაჰმადიანო საქართველოს ორგანიზაცია კარგადაა მოწყობილი. იარაღი დანაწილებულია, მაჰმადიანები მთებში წავიდნენ. უკან დაიწიეს რუსეთის ჯარებმა და სასაზღვრო კორდონმა, რომელთაც დაიხიეს საზღვრიდან მდ. ჩორუქისაკენ (ჭოროხისაკენ - აეტ.) და იქ გამაგრდნენ... საქრისტიანო საქართველოც მომზადებულია ჩვენი პროკლამაციების შემწეობით..." მაგრამ ის ყოყმანობს და საკმარისია რამდენიმე ასეული გერმანელი მეზღვაურის დესანტად გადასხმა, რომ ისიც უთუოდ ფეხზე დადგება და რუსეთის მტრებს მიეკედლებაო.

ეჭვგარეშეა, ზემოაღნიშნული დეზინფორმაცია, რომელიც 3-4 თვის წინათ უნდა ყოფილიყო შედგენილი, გერმანიის დაზვერვამ შეგნებულად გახადა ხელმისაწვდომი რუსეთის კონტრდაზვერვისათვის, რადგან ჩაეშალათ რა სამაჰმადიანო საქართველოში

[111] Газ. «Русское Слово», №32, 1915 г.
[112] Газ. «Закавказская Речь», №48, 1915 г.
[113] გაზ. „თანამედროვე აზრი", №№36-39, 1915 წ.

ანტირუსული აჯანყების მოწყობის თავდაპირველი გეგმა, გერმანია-ოსმალეთის სარდლობამ გადაწყვიტა ხელოვნურად გამოეწვია მეფის მთავრობის რეპრესიები ამ რეგიონის მოსახლეობისადმი და ამით ხელახლა შეექმნათ საააჯანყებო განწყობილება.[114]

ტელეგრამის სრული ტექსტი ყოველგვარი კომენტარის გარეშე გამოაქვეყნა პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ, რის შემდეგ იგი გადაბეჭდეს როგორც რუსეთის, ასევე უცხოეთის გაზეთებმა.

ამ ცილისწამებლური დოკუმენტის გამოქვეყნებამ ქართველი ხალხის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. 6 მარტს თბილისში შეიკრიბა თავადაზნაურობის დეპუტატთა, ქართულ კულტურულ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელთა საგანგებო თათბირი. აქ ერთხმად მიიღეს საპროტესტო რეზოლუცია, რომელიც თათბირზე არსებულმა დეპუტაციამ (მ. სუმბათაშვილი, გ. ყაზბეგი, ნ. ჩხეიძე, გ. ჟურული, მ. მაჩაბელი, დ. ჯორჯაძე, გ.დიასამიძე და ი.ცინცაძე) წარუდგინა მეფისნაცვალს.[115]

ზემოაღნიშნული სიყალბის წინააღმდეგ გაილაშქრეს, აგრეთვე, ქართულმა პრესამ და დემოკრატიული მიმართულების რუსულმა გაზეთებმაც. „საერთო სახელმწიფო ღალატში“ მაჰმადიან თანამოძმეთა დადანაშაულება აღქმული იქნა, როგორც „ეროვნული შეურაცხყოფა და უდანაშაულოდ დასჯა მთელი ქართველი ერისა“.[116] ამასთან, პრესის კომენტარით: „მართალია, თითო-ოროლა აჯარელი ოსმალებმა აიყოლიეს, მაგრამ ეს მოხდა ძალდატანებით. მერე რა გასაკვირველია, რომ მთელ მხარეში რამოდენიმე მოღალატე აღმოჩნდეს? აკი ამას წინეთ პეტროგრადშიც დაატუსაღეს რამოდენიმე ყოფილი ჟანდარმი, რომელთაც ჯაშუშობა ბრალდებათ. ნუთუ ამის გამო მთელი რუსეთის ერის ერთგულებაში უნდა დაეეჭვდეთ?... ქართველი დემოკრატია დაუყონებლივ მოითხოვს ამ ყალბი დეპეშის გაბათილებას.“[117]

პროტესტების ტალღა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ 10 მარტს პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ გააკეთა ბოდიშის შემცველი ოფიციალური განცხადება. იგი აღიარებდა, რომ 4 მარტის დეპეშის აეტორთა მიზანი იყო უნდობლობის და უთანხმოების ატმოსფეროს შექმნა, რომ მიმდინარე ომში ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მხურვალე პატრიოტიზმი და ერთგულება. ამიტომაც თავის დროზე „პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ აღარ ჩათვალა საჭიროდ ამ ტელეგრამის გამოქვეყნებისას რაიმე კომენტარის გაკეთება“.[118]

მიუხედავად ამისა, 4 მარტის დეპეშა ცარიზმის შოვინისტი მოხელეებისათვის გახდა დამატებითი „სამხილი“, რომ აეგორებინათ საქმე „აჯარლების ღალატის“ შესახებ და მოეწყოთ სასამართლო პროცესები. მოღალატეთა ახალ-ახალი სახელების „გამოელენაში“ წამყვანი როლი შეასრულეს ართვინელი და არტანუჯელი სომხების წერილობითმა დასმენებმა ამა თუ იმ კონკრეტულ პირსა თუ ჯგუფებზე. ეჭვგარეშეა, ეს ყალბისმქნელი ინფორმატორები ოსმალთა ჯავრის ამოყრას მუსლიმან ქართველებზე ფიქრობდნენ და სასამართლო პროცესებზეც ცრუ მოწმეებად გამოდიოდნენ. ბათუმის ოლქის ჟანდარმერიის უფროსის, პოდპოლკოვნიკ გავრილოვის აღიარებით: „უსამართლობა იქნებოდა იმის არაღნიშვნაც, რომ სომხების მოქმედებაც, თავის მხრივ, გამომწვეევია, უმთავრესად მათი სამღვდელოებისა, რომლის გავლენაც

---

[114] სხვათა შორის, „სამთა კავშირის“ სახელმწიფოები ჯერ კიდევ ომში ოსმალეთის ჩაბმამდე ავრცელებდნენ მსგავს ყალბ ხმებს. მაგალითად, 1914 წ. აგვისტოს დამლევს ავსტრიის გაზეთები წერდნენ, რომ ქართველი მაჰმადიანები აჯანყდნენ, „მოკლეს სამი რუსი ოფიცერი და 80 ჯარისკაცი“ (იხ. გაზ. „ახალი ივერია“, №27, 1914).

[115] გაზ. „თანამედროვე აზრი“, №8, 1915 წ; გაზ. „სახალხო ფურცელი“, №229, 1915 წ.

[116] გაზ. „საქართველო“, №103, 1915 წ.

[117] გაზ. „თანამედროვე აზრი“, №7, 1915 წ.

[118] ჟურნ. „კლდე“, №10, 1915 წ. გვ. 10.

მრეველში ბატონობს".[119]

უფრო მეტიც, მოღალატედ შერაცხული ქართველი მაჰმადიანების დარბევა ცალკეული სამხედრო მოსამსახურეებისა და ოლქში მოსახლე სომხების მხრივ იმდენად გახშირდა, რომ კავკასიის არმიის მთავარმა შტაბმა ამის შესახებ 1915 წ. 9 მარტს ოფიციალურად გააფრთხილა გენერალი ლიახოვი, რათა აღეკვეთა „სომეხთა ბრბოებისაგან მ'მეიდობიანი მაჰმადიანური მოსახლეობის ძარცვა და ძალადობა".[120]

რუსეთის ხელისუფლების ხელშეწყობით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჩამოსახლებული და დამკვიდრებული მეზობელი უცხოტომელების ზემოაღნიშნულ უმსგავსოებებს ჰქონდა მტაცებლური ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძველი. კერძოდ, მათ შეექმნათ ფართო პერსპექტივები, რომ ხელში ჩაეგდოთ ღალატისათვის რეპრესირებულ და მოქალაქეობაჩამორთმეულ ადგილობრივ მკვიდრთა სახლ-კარი და მიწები. ამითვე ისინი შეძლებდნენ სომხეთიდან მესხეთ-ჯავახეთსა და აჭარა-ართვინზე გაელით შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას და სანაპიროს ხელში ჩაგდებას, რაზედაც უკვე XIX საუკუნის შუახანებიდან ოცნებობდა სომხური ბურჟუაზია. ეს პროცესი დაიწყო კიდევ: ართვინელი და არტანუჯელი სომხების მიერ „უპატრონოდ" დარჩენილი მიწების მიტაცებამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ ზოგიერთი სომხური გაზეთიც კი იძულებული გახდა თანამემამულეთა საქციელი საჯაროდ გაეკიცხა.[121]

ბათუმის ოლქის ისეთ მხარეებში, სადაც უცხოტომელები კომპაქტურად არ ცხოვრობდნენ და მხოლოდ აღებ-მიცემობის სადავეები ეკავათ ხელთ, იყო ცდები, რომ ოსმალთა „ჩეთეს" მიერ მათთვის მიყენებული მატერიალური ზარალი ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე ამოეღოთ. უმაღლესი მთავარსარდლობისაგან „აჭარლების საქმის" გამოსაძიებლად მოვლენილ გენერალ ნიროდს, 1915 წ. 17 დეკემბერს, დაბა ხულოში ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა დაკითხვის დროს განუცხადეს: ოსმალთა განდევნისა და რუსეთის ხელისუფლების დაბრუნების შემდეგ „ჩვენ მტრად გაგვიჩნდნენ აქაური ბერძენი და სომეხი ვაჭრები. იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომლებიც მათ „ჩეთნიკებმა" მიაყენეს, ამათ ჩვენგან მოინდომეს აღება, რისთვისაც დაგვიწყეს მუქარა, თუ არ გადაგვიხდით ჩვენს ზარალს, იმ შემთხვევაში მთავრობასთან დაგაბეზღებთ და თქვენს თავს დავაჭერინებთო. ასეთმა მუქარამ ბევრი ჩვენთაგანი შეაშინა და ვისაც ცოტა შეძლება ჰქონდა, თავი იხსნეს განსაცდელიდან და ვინც კი ღარიბი იყო, ისინი შეიქმნენ მსხვერპლი ვაჭრების დაბეზღებისა".[122]

ხელისუფლების მიერ შეთითხნილი ბრალდებისაგან მოძმეთა დასაცავად ამჯერადაც ხმა აღიმაღლა ქართველმა საზოგადოებამ. ამ საქმეში განუზომელია რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის აკაკი ჩხენკელის ღვაწლი. მან შეიტყო თუ არა თავის ამომრჩეველთა[123] უბედურება, მაშინვე აქეთკენ მოაშურა. პირადად რამ-

[119] აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 764, ფურც. 7.

[120] სცსსა, ფ. 157, ან. 1, ს. 345, ფურც. 10.

ივივე მდგომარეობა იყო მესხეთშიც. ახალციხის მაზრის უფროსის 1915 წლის 12 თებერვლის ცნობით - მაზრაში მცხოვრები სომხების ბროვოკაციული დასმენის გამო, თითქოს აქაური მაჰმადიანები ინახავდნენ იარაღს, რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილები აწიოკებდნენ მოსახლეობას. შემდეგ აღწერილია, პალესტინთა მე-15 ბატალიონმა, 1915 წ. 12 იანვარს, მსგავსი დასმენის საფუძველზე, თუ როგორ გაჩხრაკა, დაარბია და გაძარცვა მაზრის სოფლები — ასპინძა, ოთა და მინაძე. „ჩხრეკის შედეგად იარაღი არავისთან არ აღმოჩენილაო" - დასძენს მაზრის უფროსი. დასასრულს ის სთხოვდა თბილისის გუბერნატორს მიეღო ზომები, რომ სამხედრო ნაწილებისათვის აეკრძალათ მსგავსი საქმიანობა, რათა „ლოიალურად განწყობილი მუსლიმანები არ გაეხადათ მტრებად" (სცსსა, ფ. 17, ან. 1, ს. 9529, ფურც. 1-2).

[121] გაზ. „სახალხო ფურცელი", №505, 1916.

[122] გაზ. „საქართველო", №179, 1915 წ.

[123] აკ.ჩხენკელი IV სახელმწიფო სათათბიროში არჩეული იყო ყარსის და ბათუმის ოლქების, აგრეთვე, სოხუმის ოკრუგის მოსახლეობის მიერ.

დენჯერმე შემოიარა ბათუმი, ქედა, ხულო, მურღული, ართვინი, არტანუჯი, შავშეთი, იმერხეეი, არტაანი და ყარსი. 1916 წ. 11 თებერვალს სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქვა შთამბეჭდაეი სიტყვა აჭარის დაცვის საკითხზე. მისი განცხადებით, ოსმალეთში გადახვეწილთა გარდა, ადგილზე დარჩენილი მოსახლეობაც ლტოლვილების მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან სარდლობამ აუკრძალა მათ რუსის ჯარის ზურგში დარჩენა და დახვრეტის მუქარით გარეკა ზემო აჭარისაკენ. „1915 წლის 9 იანვარს რუსმა მხედართმთავარმა პირადად მითხრა, - თქვა დეპუტატმა, - რომ მას მეფისნაცვალ ეორონცოვ-დაშკოვისაგან ნაბრძანები ჰქონდა დაკავებული ადგილების გაწმენდა არა მარტო თურქებისაგან, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობისგანაც... შედეგად კი ათეულობით და ასეულობით სოფელი გაუკაცრიელდა". აქვე ა. ჩხენკელმა გაიხსენა ანალოგიური ეთნიკური წმენდის მაგალითები მესხეთ-ჯავახეთში და იქ სომეხთა ჩამოსახლება. დასასრულს მან უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას და მოითხოვა მისი გადადგომა, „რომ ხალხმა თვითონვე აიღოს ხელში ქვეყნის მართვა და თავად გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი".[124]

სომეხთა მფარველი ეორონცოვ-დაშკოვის პოლიტიკა, რომელიც კავკასიის ხალხებს შორის შუღლსა და მტრობას თესავდა, სათათბიროს სხდომაზე დაგმო დეპუტატმა კარლო ჩხეიძემაც.

ქართველ მაჰმადიანთა დაცვა-გადარჩენის საქმეში წვლილი მიუძღვის, აგრეთვე, თავად არჩილ აბაშიძეს,[125] რომელმაც თავისი მამხილებელი წერილებით ხელისუფლებისა და სამხედრო უწყების სხვადასხვა ინსტანციაში ბევრ შეთითხნილ ბრალდებას მოჰფინა ნათელი. იგივე ითქმის ზემო აჭარის სოფ. ფურტიოს კანცელარიის მწერალ სტეფანე ქემხაძეზე, რომლის გაბედულებამ ბევრი განწირული იხსნა სასჯელისაგან.[126]

ქართველი საზოგადოებრიობისა და IV სახელმწიფო სათათბიროს ქართველ დეპუტატთა პროტესტი იმდენად ძლიერი იყო, რომ უმაღლესმა ხელისუფლებამ დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად 1915 წლის დასაწყისში პეტროგრადიდან გამოგზავნა გენერალ-ლეიტენანტი პოროშინი, იმავე წლის დეკემბერში – გენერალი ნიროდი, ხოლო შემდეგ – სენატორი გოლიცინი. მათი დასკვნები ერთსახოვანი იყო, რომ „ოლქის მუსლიმანური მოსახლეობის საერთო ღალატს ადგილი არ ჰქონია. იყო მხოლოდ ცალკეულ დამნაშავე პირთა ღალატი".[127]

ბათუმის ოლქის გუბერნატორ ბ. რომანოვსკის შეფასებითაც კი მოსახლეობა არასდროს არ ავლენდა ორგულობას მეფის ხელისუფლების მიმართ და ყოველთვის ასრულებდა მის მოთხოვნებს. „მოსახლეობა სრულებით არ თანაუგრძნობდა ოსმალთა შემოჭრას, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარებმა და ადმინისტრაციამ ეს მხარე მიატოვა, ხალხს არ ჰქონდა არავითარი საშუალება წინ აღდგომოდა მტერს, ხოლო ოსმალთა შემოჭრის შემდეგ მათი მომარაგება და მეგზურობა იყო იძულებითი"[128] - დაასკვნის გუბერნატორი.

თვით იმპერატორმა ნიკოლოზ II თაეის 1915 წ. 2 მარტის ტელეგრამაში მეფისნაცვალ ეორონცოვ-დაშკოვისადმი ბათუმის და ყარსის ოლქების მოსახლეობისათვის თავსდატეხილი განსაცდელი შეაფასა არა „ღალატად", არამედ „უბედუ-

[124] გაზ. „სახალხო გაზეთი", №65, 1996 წ., გ.საითიძის ბუნლიკაცია.
[125] არჩილ გრიგოლის ძე აბაშიძე 1878-1891 წლებში მსახურობდა ბათუმის გუბერნატორის კანცელარიაში და კარგად იცნობდა ქართველ მუსლიმანებს, რომლებიც, მისი შეფასებით, „მამაცი და ამაყი ხალხია". სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3388, ფურც. 1-2.
[126] სტ.ქემხაძე, მოგონებები, ბათ., 1958.
[127] სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3193.
[128] იქვე. ს. 3561, ფურც. 12-13.

რებად".[129]

უზენაესი მთავრობის ასეთი პოზიციის შემდეგ ბათუმისა და ყარსის ოლქებში შეწყდა სამხედრო ეგზეკუციები და მასობრივი სადამსჯელო ოპერაციები. სამაგიეროდ, მთელი შესაძლებლობებით ამოქმედდა რუსეთის საიმპერიო თემიდის შოვინისტური მანქანა. კავკასიის არმიის შტაბის სამხედრო-სასამართლო ნაწილის უფროსის მიერ 1916 წ. 10 ივლისს აკაკი ჩხენკელისათვის გადაცემული ოფიციალური ცნობით, ბრალდებულთა სიაში შეტანილი 3 ათასამდე კაციდან „სახელმწიფო ღალატისათვის" პასუხისგებაში მისცეს 388 კაცი. მათგან 217 გაამართლეს (ქართული საზოგადოების ჩარევით), სასჯელი დაედო 171 კაცს. აქედან, სამუდამო კატორღა მიესაჯა – 8 კაცს, 20 წლით - 9-ს, სხვადასხვა ვადით კატორღა – 103-ს, ციხეში ჩასვეს 22 და საცხოვრებელი ადგილებიდან გაასახლეს 28 კაცი. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად სიკვდილი მისჯილი პქონდა 60 ბრალდებულს, მაგრამ შემდგომ მათ სასჯელის უმაღლესი ზომა შეუცვალეს ციხით ან გადასახლებით.[130]

1915-1916 წლებში ქართველი მაჰმადიანების წინააღმდეგ სულ მოეწყო 27 სასამართლო პროცესი.[131] მათგან მნიშვნელოვანი იყო „49 არტანუჯელისა" და „9 აჭარელის" პროცესები, რომლებიც ჩატარდა ბათუმში, 1915 წ. სექტემბერში. განსასჯელებს ბრალად ედებოდათ ოსმალეთისადმი მიმხრობა და რუსთა ჯარის წინააღმდეგ იარაღით მოქმედება. „მოწმეები - თითქმის ყველა სომხებია" - შენიშნავდა გაზეთი.[132] ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ინიციატივით, ბრალდებულთ იცავდნენ ცნობილი იურისტები: მ. ფაღავა, ი. მაჭავარიანი, ა. საყვარელიძე, ა. მუატი, გ. ანჯაფარიძე და გ. სახნოსკი; ნაფიცი ეექსპერტები თბილისიდან: ს. მესხიშვილი, ო. ბარათაშვილი, პ. გედევანიშვილი, ნ. ქარცივაძე, გ. ანდრეევი. ქართული პრესა სისტემატურად აშუქებდა სასამართლო სხდომებს. თანამოძმეთა დასაცავად ფეხზე დადგა ქართველი ხალხი.

უნდა შევნიშნოთ, სასამართლოს მიერ სიკვდილმისჯილები გადაურჩნენ სასჯელს, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიის ახალმა მეფისნაცვალმა, ხელმწიფე-იმპერატორის ბიძამ – ნიკოლოზ რომანოვმა, რომელიც მისი წინამორბედისაგან განსხვავებით, ქართველი ხალხისადმი კეთილგანწყობით გამოირჩეოდა.

1915 წ. 4 ოქტომბერს ახალ მეფისნაცვალს წარუდგნენ ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ სიტყვიერ მოხსენებაში[133] ფაქტებით იყო დასაბუთებული ქართველ მაჰმადიანთა „სახელმწიფო ღალატში" ბრალდების უსაფუძვლობა და მათი რუსეთის ხელისუფლებისადმი ლოიალობა. ამიტომ „აუცილებელია ბრალდების საკითხის უმოკლეს დროში გარკვევა და მთელი ხალხის უბრალოებაში დარწმუნების შემდეგ, სახელმწიფოებრივი აქტის საჯაროდ გამოქვეყნებით აჭარის მოსახლეობას უნდა მოეხსნას ეს მძიმე ბრალდება... ამასთან, უდანაშაულო მშვიდობიან მცხოვრებთ, რომლებიც ‘შიშის გამო გადაიხვეწნენ, ან იძულებით გაიყოლიეს თურქებმა, უნდა მიეცეთ თავიანთ გაეერანებულ კარმიდამოში დაბრუნების უფლება". და თუ იყო მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლის ცალკეული ფაქტები, ეს თვით მთავრობის პოლიტიკის შედეგია, რადგან რუსეთის მთავრობა აჭარლებს თურქებად თვლიდა და ქართულ ენაზე სკოლებს არ უხსნიდა. ამ მხრივ, მეტ ყურადღებას უთმობდნენ თურქულ და რუსულ ენაზე სწავლებას. ეს კი

---

129 იქვე, ს. 3193, ფურც. 224; იქვე, ფ. 1831, ან. 1, ს. 1, ფურც. 9.
130 იქვე, ფურც. 7-8.
131 დ.გურეშიძე, ქველმოქმედება საქართველოში, ქუთაისი, 1993, გვ. 157.
132 გაზ. „საქართველო", №102, 1915 წ.
133 იხ. სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3193, ფურც. 215-219.

საფუძველს უმაგრებდა ოსმალეთიდან ჩამოსულ სასულიერო პირებს ექადაგათ პანისლამიზმი და გაეღვივებინათ რელიგიური ფანატიზმიო.

საჭიროდ ჩაითვალა აგრეთვე მაჰმადიან ქართველთა წარმომადგენლების შეხვედრა კავკასიის მეფისნაცვალთან, ამიტომ 1916 წ. 2 მარტს ბათუმიდან მატარებლით თბილისში ჩავიდა 20 კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია შემდეგი შემადგენლობით: ქობულეთიდან - ღრმად განათლებული სასულიერო პირი ისკენდერ ციკაძე, რეჯებ ნიჟარაძე (ბეგი, სოფ. ალამბრიდან), ყემბერ ხარაზი (მემამულე, სოფ. კომაროესკიდან), რეჯებ შაშიკ-ოღლი (შაშიკაშვილი, მილიციის ოფიცერი, სოფ. ორთაბათუმიდან); მარადიდიდან - ისაკ ხალვაში (აზნაური, სოფ. მარადიდიდან), ჰაიდარ ბიბინ-ზადე (ბიბინეიშვილი, ბეგი, სოფ. ერგედან); ზემო აჭარიდან - თემურ ხიმშიაშვილი (ბეგი, სამხედრო მოსამსახურე, სოფ. სხალთიდან), ხასან ირემაძე (დელეგაციის უხუცესი წევრი, 85 წლის, სოფ. ღორჯომიდან), ჯაფარ მიქელაძე (გლეხი, სოფ. ნენიიდან); ქვემო აჭარიდან - ხუსეინ ბეჟანიძე (ბეგი, სოფ. ზენდიდიდან, იმუამად სოფ. ცხმორისის მამასახლისი), ზეკერია შერვაშიძე (ბეგი, სოფ. ქედიდან), შუქრი თურმანიძე; შავშეთ-იმერხევიდან - ოსმან კურდიკიძე (ალბათ ქურციკიძე), თორუნ ფანჯიძე, ჰემზი ყუმაძე, შეფქეთ გოგორაძე, ასლან ჯიჯარაძე, ჰაჯი შაქრი ჩხეიძე, მოლა მამედ დოლიძე და არტანუჯიდან - შერიფ გეგელიძე.[134] დეპუტაციას თბილისში შეხვედა მემედ აბაშიძე, რომელიც ხელისუფლების მიერ ამ დროს ბათუმის ოლქიდან ადმინისტრაციული წესით იყო გასახლებული.

3 მარტს დეპუტაცია წარუდგა მეფისნაცვალ ნ. რომანოვს, მადლობა მოახსენა ყურადღებისათვის და სთხოვა უკან დაბრუნების ნება მიეცა საომარი მოქმედებების დროს ოსმალეთში გადახვეწილი მაჰმადიანი ქართველებისათვის, სამშობლოში დაებრუნებინათ მთავრობის მიერ გადასახლებულნი, მათ ადგილსამყოფელში არ ჩაესახლებინათ ჩამოსული პირები და შეღავათი მიეცათ მსჯავრდებულთათვის. „მეფისნაცვალმა დეპუტატებს დიდის ყურადღებით მოუსმინა და შემწეობა აღუთქვა“.

დეპუტაცია შემდეგ ესტუმრა თავადაზნაურთა საკრებულოს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას (თავმჯდომარე გიორგი ყაზბეგი), ქართული გაზეთების რედაქციებს „და ყველას მადლობა გამოუცხადა დახმარებისათვის იმ განსაცდელის ჟამს, რომელიც აჭარას დაატყდათ თავს“.

მაჰმადიან თანამოძმეთა თბილისში ყოფნა დაემთხვა ქართული პოლიტიკური პრესის არსებობის 50 წლის იუბილეს. ამის აღსანიშნავად და ძვირფასი სტუმრების პატივსაცემად 4 მარტს გაიმართა დიდი ნადიმი, რომელსაც „დაესწრნენ ქართული ჟურნალ-გაზეთების და ქართველთა თითქმის ყველა წოდების და ხელობის 200-მდე წარმომადგენელი. ნადიმს თამადობდა დამსახურებული მოღვაწე, გენერალი გ.ყაზბეგი, რომელმაც (XIX ს. - აეტ.) 70-იან წლებში თითქმის პირველმა გასდო ხიდი სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს შორის. ქართველ მაჰმადიანთა მხრივ ნადიმზე გულში ჩამწედომი სიტყვები წარმოთქვეს ხოჯა ისკენდერ ეფენდი ციკაძემ, რეჯებ-ბეგ ნიჟარაძემ და მემედ-ბეგ აბაშიძემ“. 5 მარტს ქართველ მაჰმადიანთა დეპუტაცია ბათუმს გამოემგზავრა.

ქართველ მაჰმადიანთა დეპუტაციის მეფისნაცვალთან შეხვედრის შემდეგ კამპანია „მოღალატეთა“ შესახებ, მართალია, შესუსტდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. გაზ. „პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ (№81, 1916 წ.) ცნობით: „19 აპრილს აჭარელთა საქმე ხელახლა გაირჩევა ბათუმში“. ქართული პრესა გულისწყრომით გამოეხმაურა ამ ინფორმაციას და იმედი გამოთქვა, რომ „ამით გათავდებოდა უდანაშაულო აჭარელთა

[134] ი.არომაშიელი, ჩატეხილ ხიდზე. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №11, 1916 წ., გვ. 3-5.

საქმეების გარჩევა." [135]

უსამართლოდ დასჯილ თანამემამულეთა დახსნას ცდილობდა ქართველი სამღვდელოებაც. მისი ინიციატივით არა მარტო შემოწირულობათა შეგროვება მიმდინარეობდა, არამედ 1915 წ. თებერვალში მოხერხდა საქართველოს რუსი ეგზარხოსის პიტირიმის ბათუმში ჩამოყვანა და მასთან აჭარელთა დეპუტაციის შეხვედრა. ამან გარკვეული როლი შეასრულა „სახელმწიფო ღალატის" ბრალდების განეიტრალებაში.[136]

რუსეთის სამხედრო უწყების საგამომძიებლო მანქანა „მოღალატეთა" შესახებ ახალი საქმეების აღძვრას განაგრძობდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგაც. მაგალითად, ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის 9 მარტის ოფიციალური შეტყობინებით, მან განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელ უსტინოვს მისცა განკარგულება დაეწყო წინასწარი ძიება ალეთინის ოკრუგში მცხოვრებ 4 მაჰმადიანზე, რომლებსაც ბრალდებოდათ 1914 წ. ნოემბერში მოწინააღმდეგის მხარეს გადასვლა და „ჩეთე'ში" გაერთიანება.[137] კიდევ მეტი, აღნიშნულ საქმეთა გამოძიებას ზედამხედველობდა პეტროგრადში მმართველ სენატთან შექმნილი საგანგებო საგამოძიებო კომისია.[138]

„მოღალატე" მაჰმადიანთა შესახებ კამპანია ოფიციალურად შეწყდა მხოლოდ ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წ. 26 იანვრის სპეციალური დადგენილებით. ეს ინიციატივა ეკუთვნოდა ამავე მთავრობის შინაგან საქმეთა კომისარს აკაკი ჩხენკელს.[139] ამ დადგენილების საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დააბრუნეს „სახელმწიფო ღალატის" ბრალდებით 1915-1916 წლებში მსჯავრდებული 120-მდე კაცი ყარსისა და ბათუმის ოლქებიდან.[140]

კოლონიზაციის დასრულების ცდები. ქართველ მაჰმადიანთა ღალატში ბრალდების და რუსული რეპრესიებით შეშინებული მოსახლეობის ოსმალეთში გახიზვნის შედეგად დაცარიელდა ვრცელი ტერიტორიები. ამით ცარიზმს მიეცა ხელსაყრელი შემთხვევა სისრულეში მოეყვანა ოსმალეთთან მოსაზღვრე ყარსისა და ბათუმის ოლქების ერთგული ელემენტებით დასახლების ძველი გეგმა.

ჯერ კიდევ 1914 წ. 15 დეკემბერს გენერალ-გუბერნატორი ლიახოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწეს პეტერსონს სთხოვდა ნებართვას ოსმალთა უკანდახევის შემდეგ, ქვემო აჭარის მცხოვრებლების მიერ მიტოვებულ სოფლებში ჩაესახლებინათ ომის დასაწყისში ბათუმში თავშეფარებული რუსული მოსახლეობა. ამასთან, იძლეოდა წინადადებას რუსეთის ჯარების მიერ მომავალში განთავისუფლებულ რაიონებშიც ჩაესახლებინათ რუსები, სომხები და ბერძნები,[141] ხოლო 29 დეკემბერს უკვე ითხოვდა 200-300 რუსულ კომლს ჭოროხის დელტაში დასასახლებლად.[142]

1915 წ. 10 იანვარს მეფისნაცვლის ხელისუფლებამ გამოსცა განკარგულება სამხედრო მოქმედების ადგილებში მცხოვრები მოღალატე პირების ქონების ჩამორთმევისა და ხაზინისათვის გადაცემის შესახებ.[143]

1915 წლის 28 აპრილს რუსეთის მინისტრთა კაბინეტმაც სპეციალურად განი-

---

135 გაზ. „საქართველო", № 89, 1916.
136 ალ.წულაძე, ძმური სიტყვა, გვ. 46; გაზ. „სახალხო ფურცელი", №207, 1915.
137 სცსსა, ფ. 114, ან. 3, ს. 3, ფურც. 2.
138 იქვე, ფურც. 7.
139 იქვე, ფურც. 23.
140 იქვე, ს. 5, ფურც. 1-188.
141 სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3193, ფურც. 72.
142 იქვე, ს. 3963, ფურც. 1.
143 აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 725, ფურც. 1.

ხილა ეს საკითხი და დაადგინა ოსმალეთში გახიზნულთა და ღალატში დამნაშავედ ცნობილ პირთათვის რუსეთის იმპერიის მოქალაქეობის ჩამორთმეება და მათ სარგებლობაში მყოფ მიწებზე რუსი სამხედროების დასახლება.[144]

ბათუმის და ყარსის ოლქების კოლონიზაციის ცარიზმისეული გეგმების თავის სასარგებლოდ გამოყენების პერსპექტივა შეექმნა აქაურ სომხობასაც. ამიტომაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მათ გააძლიერეს ცილისმწამებლური დასმენები და ძალადობა მესობელ მაჰმადიანურ მოსახლეობაზე.

ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები 1915 წ. 4 ოქტომბერს კავკასიის მეფისნაცვალ ნ. რომანოვისადმი წარდგენილ მოხსენებაში შენიშნავდნენ: „როგორც კი დაიწყო თურქეთთან ომი, ოლქში მოსულმა მოვაჭრე მოსახლეობამ, რომლებსაც ადგილობრივი მკვიდრნი ეკონომიკურად დამონებული ჰყავთ და ცდილობენ მათ გაძევებას მამა-პაპისეული მიწა-წყლიდან, დაიწყეს მუსლიმანების დასმენა. მართალია, არც ერთი მათგანი არ დადასტურდა, მაგრამ მათ მაინც შეძლეს გამოეწვიათ სამხედრო უფროსობის უნდობლობა მაჰმადიანებისადმი. შედეგად ბათუმის გამაგრებული რაიონის ყველა სოფლიდან ომის დასაწყისშივე გაასახლეს მაჰმადიანური მოსახლეობა, მათი მეზობელი სომხები და ბერძნები კი დატოვეს.

...ახლა კი ხელისუფლების დაუდეერობითა და ბოროტგანმზრახველი პირებისა და ჯგუფების მოქმედებით, რომლებსაც სურთ თავიდან მოიშორონ აჭარლები, რათა დაეუფლონ მათ მიწებს, შექმნეს სურათი, თითქოსდა, საერთო ღალატის შესახებ".[145]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კოლონიზაციის რუსული გეგმის ერთ-ერთი ვარიანტი ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-გადასახლების მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას ქრისტიანი ქართველების ხელით. ამიტომ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში ჩამოყალიბებულ ქართველ მოხალისეთა ათასეულებს[146] კავკასიის მთავარსარდლობამ მისცა შესაბამისი განკარგულებაც: „ამ დრუჟინებმა, კაზაკებთან ერთად, უნდა აჭაროთ მთელი აჭარის მოსახლეობა და გადარეკოთ ოსმალეთში, და, როცა გათავდება ომი, განთავისუფლებული ადგილები მიეკუთვნება იმერეთის მცირემიწიან მოსახლეობას დასასახლებლად".[147]

ამ უმაგალითოდ ვერაგული და პროვოკაციული პოლიტიკის გამო ქართველმა საზოგადოებამ ისეთი ცეცხლი დაანთო, რომ ცარიზმი იძულებული გახდა საერთოდ უარი ეთქვა თავის ბოროტ განზრახვაზე. ქართველ მოხალისეთა ათასეულებმაც ღირსეულად შეასრულეს საზოგადოების დავალება და რუს კაზაკთა დარბევა-აწიოკებისაგან დაიცვეს ქართველი მუსლიმანები და მათი სოფლები.[148]

მაჰმადიან თანამოძმეთა ხსნა სრულიად ქართველთა დიდი გამარჯვება იყო. „არ არის აჭარაში არც ერთი კუთხე, არც ერთი კუნჭული, რომ ლოცვა-კურთხევით არ იხსენიებდნენ ქართველებს მათი მზრუნველობისათვის. ამ დიდმა ჭირმა აგვეიხილა თვალი და დაგვიმტკიცა, რომ ქართველები ნამდვილი ჩვენი ძმები ყოფილან, უბედურებაში მოგვხედეს და დაგვიფარეს".[149] მემედ აბაშიძე მადლიერებით წერდა: როცა მოღალატის სახელი გვიწოდეს და სახრჩობელაზე გვეზავნიდნენ, როცა ჩვენი

---

144 სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3193, ფურც. 212-213.
145 იქვე, ფურც. 215-217.
146 რ.გაბაშვილი, მოგონებები. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება", წ. III, თბ., 1992, გვ. 153-155; აგრეთვე ლ.სანიკიძე, შესაძე დასის საქართველო, თბ., 1989, გვ. 250-252.
147 რ.გაბაშვილი, მოგონებები... გვ. 154.
148 დ. ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი), ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ეურნ. „ივერია", თბ., - ბარიზი, 1992, №1, გვ. 126.
149 ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა 1915 წელს, თბ., 1916, გვ. 12.

სახლ-კარი გადაწვეს და გადასახლება მოგვინდომეს, რათა იქ უცხოელები დაესახლებინათ, „მთელი ქართველი ერი აღსდგა და დაემუქრა თვითმპყრობელობას“ - თუ ეს გაგიბედნიათ, ჩვენ აივჯანყდებით და შესაფერ პასუხს გაგცემთო.[150]

სამუსლიმანო საქართველოში ჯერ თურქთა ხანგრძლივმა ბატონობამ, ხოლო შემდეგ ცარიზმის რუსიფიკატორულმა და ანტიქართულმა პოლიტიკამ განსაზღვრა ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული ჩამორჩენილობა. ამ ნიადაგზე გაჩნდა ერთიანი ქართული სხეულისაგან განსხვავება-განცალკევებულობის ილუზია. საჭირო იყო გაუცხოების ამ ბურუსის გაფანტვა და მაჰმადიანი ქართველის ცნობიერების ისევ ქართულ სამყაროში დაბრუნება.

ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა „ქართველთა ეროვნული გამოფხიზლების მოციქულის“ ჰ. აბაშიძის მიერ ჯერ კიდევ 1914 წ. 6 ივნისს „ბათუმის გასეთში“ გამოქვეყნებული წერილი „საგულისხმო პროტესტი“, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ გვაერთებს საერთო ეროვნება, ენა, ლიტერატურა და ეროვნული ინტერესები, რომელთა მიფუნენება და დაივიწყება იქნებოდა ჩვენი კულტურულად დაბეჩავების, გადაგვარებისა და მოსპობის მომასწავებელი“.[151]

§4. ბათუმის ოლქი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ

სამხარეო მმართველობის ორგანიზაცია ორხელისუფლებიანობა. 1917 წ. იანვარ-თებერვალში პეტროგრადში განვითარებულმა მძლავრმა სახალხო მოძრაობამ რომანოვები აიძულა უარი ეთქვათ საიმპერატორო ტახტზე. 2 მარტს ჩამოყალიბდა რუსეთის ახალი ხელისუფლება - დროებითი კოალიციური მთავრობა (თავმჯდომარე გ. ლვოვი, შემდეგ ა. კერენსკი), მაგრამ მისი საქმიანობა შეზღუდული იყო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს (თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე) კონტროლით. ასე დამყარდა ერთმანეთში გადახლართული ორხელისუფლებიანობა. მსგავსი ვითარება შეიქმნა საქართველოშიც.

დროებითმა მთავრობამ გააუქმა კავკასიის მეფისნაცვლის ინსტიტუტი, შეამცირა ამ ერცელი საგამგეო ერთეულის საზღვრები და ის მხოლოდ ამიერკავკასიით შემოფარგლა.[152] მისი მართვა-გამგეობისათვის 9 მარტს შექმნა კოლეგიური მმართველობის ორგანო - ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (რუსული შემოკლ. „ოზაკომი“)[153] და შესაბამისი რწმუნებით თბილისში გამოაგზავნა.

თებერვლის რევოლუციის დღეებში დაიწყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნა ამიერკავკასიის ქალაქებში, მათ შორის ბათუმშიც. ყველაზე

---

150 გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, №295, 1920.

151 ჰ.აბაშიძე, წერილები, თბ., 1963, გვ. 80.

152 კავკასიის სამეფისნაცვლოში გარდა ამიერკავკასიის გუბერნიების (ბაქოს, ელისავეტოპოლის, ერევნის, თბილისის და ქუთაისის), ოლქებისა (ბათუმისა და ყარსის) და ოკრუგებისა (ზაქათალის და სოხუმის), აგრეთვე, შედიოდა მთელი ჩრდილოეთ კავკასიაც. კერძოდ, შავი ზღვის გუბერნია (ცენტრით ნოვოროსიისკში), დაღესტნის, თერგის და ყუბანის ოლქები. კავკასიის სამეფისნაცვლოში, რომლის საერთო ფართობი შეადგენდა 386 ათასამდე კმ², 1916 წ. ცხოვრობდა 12, 3 მილიონამდე სული, ხოლო „ოზაკომის“ გამგებლობაში დატოვებული ამიერკავკასიის ფართობი იყო 195 ათასამდე კმ², მოსახლეობა კი 7 მილიონამდე, მათგან 900 ათასამდე დროებით მცხოვრებთა კატეგორიას ეკუთვნოდა.

153 „ოზაკომის“ შემადგენლობაში შეეყიდნენ IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები: კადეტები - ვ.ხარლამოვი (თავმჯდომარე) და შ.ბაბაჯანოვი, მუსავატი - მ.ჯაფაროვი, ბ.ბერეჟერეზეევი, სოციალისტ-ფედერალისტი - კ.აბაშიძე, რომელიც ავადმყოფობის გამო შეცვალა სოციალ-დემოკრატმა ა.ჩხენკელმა.

ავტორიტეტული იყო თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო. სწორედ ეს ორგანო მართავდა ამიერკავკასიის „ოზაკომის“ თბილისში ჩამოსვლამდე (18 მარტი).

თბილისის დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელობაში მყოფმა თვალსაჩინო ქართველმა პოლიტიკოსებმა დაიწყეს ამ მხარეში ხელისუფლების რეორგანიზაცია. მათ სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების ყველაზე უფრო მისაღებ ორგანოდ მიიჩნიეს „აღმასრულებელი კომიტეტი“, რომელიც უნდა შემდგარიყო პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან კოალიციურ პრინციპზე. 15-კაციანი ასეთი წარმომადგენლობითი ორგანო თბილისში აირჩიეს 6 მარტს. შემდეგ აღმასკომები შეიქმნა სხვა ქალაქებში, მაზრებსა და სასოფლო თემებში. ბათუმის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარედ 1917 წ. 28 მარტს აირჩიეს ეგეგენი კრინიკი. ბათუმის აღმასკომის ბეჭდვითი ორგანო იყო გაზ. „დენ სვობოდი“, რომელიც 1917 წ. 15 აპრილიდან იმავე წლის ნოემბრამდე გამოიცემოდა ყოველდღიურად. გაზეთს რედაქტორობდა სოციალ-დემოკრატი გრ. სოღორაშვილი.

18 მარტს თბილისში შეიკრიბა ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტების I ყრილობა, რომელმაც „ოზაკომის“ ნების წინააღმდეგ მაინც აირჩია „სამხარეო აღმასრულებელი კომიტეტი“. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოები ამიერკავკასიაში არ მიისწრაფოდნენ ძალაუფლების დაპყრობისაკენ – ისინი თავიანთი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად თვლიდნენ თებერვლის რევოლუციის მონაპოვართა დაცვას. ამიტომ მათ ნდობა გამოუცხადეს დროებითი მთავრობის მიერ გამოგზავნილ სამხარეო ხელისუფლებას. თუმცა სოციალ-დემოკრატიულ პრესაში არაერთხელ დაიბეჭდა „ოზაკომის“ კრიტიკა, რადგან მისი შემადგენლობა და პრაქტიკული საქმიანობა მთლიანად ვერ გამოხატავდა დემოკრატიის ინტერესებს.[154]

ძალაუფლების აღებისთანავე „ოზაკომმა“ ამიერკავკასიის მოსახლეობას მიმართა მოწოდებით – შეენარჩუნებინათ სიმშვიდე და დალოდებოდნენ დამფუძნებელ კრებას, რომელიც დემოკრატიულ საფუძველზე გადაწყვეტდა ცხოვრებაში დაგროვილ მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს. მანამ კი თავად „ოზაკომი“ კისრულობდა „მოეწყო ახალი წესრიგი ადგილობრივი პირობების და საჭიროებების შესატყვისად“.

დაპირების მიუხედავად, „ოზაკომმა“ თითქმის ხელუხლებლად შეინარჩუნა ძველი მმართველობის ბიუროკრატიული აპარატი. დამატებით ჩამოაყალიბა ახალი ორგანოებიც სხვადასხვა კომისიის სახით, რომლებიც მხოლოდ პროექტების განხილვას გადაყვნენ და მდგომარეობის შესაცველელად ღირებული პრაქტიკული ღონისძიებები არც გაუტარებიათ.

„ოზაკომის“ უშუალო ხელქვეითი პირები იყვნენ გუბერნიის, ოლქის და მაზრის კომისრები. თავდაპირველად მათთან თანამშრომლობდნენ საბჭოების ინიციატივით შექმნილი ადგილობრივი „აღმასრულებელი კომიტეტებიც“, მაგრამ არადემოკრატიულ (დანიშვნად) საფუძველზე მოწყობილი კომისრების ხელისუფლება მალე წინააღმდეგობაში მოექცა აღმასკომებთან. მით უმეტეს, რომ კომისრის თანამდებობაზე ბევრგან მოხვდნენ ძველი ჩინოვნიკები.

1917 წ. სექტემბერსა და ოქტომბერში თბილისში გამართულ ამიერკავკასიის საგუბერნიო კომისრების და გუბერნიის რწმუნებულთა ყრილობებზე კომისრები ჩიოდნენ კონფლიქტებზე აღმასრულებელ კომიტეტებთან და გუბერნიებში გამეფებული ანარქიის აღსაკვეთად მოითხოვეს ერთპიროვნული ხელისუფლების დამყარება.[155]

---

154 ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია, თბ., 1999, გვ. 283-284.

155 აკ.სურგულაძე, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები მასების სათავეში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 466-468.

„ოზაკომიც“ ესწრაფვოდა ერთპიროვნულ ხელისუფლებას, მით უმეტეს, რომ ასეთი პოლიტიკური აქტი პეტროგრადში უკვე განხორციელდა 1917 წ. 4 ივლისის დემონსტრაციის გარეკვის შემდეგ, მაგრამ ამიერკავკასიაში დემოკრატიული ძალების დიდი გაელვნის გამო, მთავრობამ დეპუტატების საბჭოების და აღმასკომების განდევნა ვერ გაბედა. იგი იმით დაკმაყოფილდა, რომ მითითება მისცა თავის რწმუნებულებს გუბერნიებსა და მაზრებში არ გაეწიათ ანგარიში ადგილობრივი საბჭოებისა და აღმასკომებისათვის და შეესრულებინათ მხოლოდ დროებითი მთავრობის განკარგულებები.

რუსეთის დროებით მთავრობას მძიმე მემკვიდრეობა ერგო წილად: გახრწნილი სამოხელეო აპარატი, რთული ფინანსური მდგომარეობა და საგარეო ვალები, თითქმის განადგურებული მეურნეობა, რევოლუციით და ორხელისუფლებიანობით წარმოქმნილი ანარქია და უწესრიგობა.

რუსეთის დაცარიელებული ხაზინა უკვე უშუალოდ ფრონტის საჭიროებებსაც ვერარ აკმაყოფილებდა. მდგომარეობის გამოსწორება მთავრობამ სცადა „თავისუფლების სესხის“ გამოშვებით, მაგრამ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ მოქალაქეებს სახელმწიფოსათვის დახმარების გაწევა ნაკლებად შეეძლოთ. გადაწყდა არაპირდაპირი სამხედრო დანიშნულების ხარჯების შემცირება. იგი შეეხო ბათუმ-ტრაპიზონის მშენებარე რკინიგზასაც.

1917 წ. 1 აპრილს თბილისში ე. ხარლამოვის ინიციატივით მოწვეულ სამხედრო და სამრეწველო წრეების წარმომადგენელთა თათბირზე იმსჯელეს ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობის შემდგომი გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხზე. თათბირზე ითქვა, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო მეტად ფერხდებოდა ობიექტის მომარაგება სამშენებლო მასალებით. ამასთან, ლაზეთის სანაპირო ზოლის რთული რელიეფის გამო რკინიგზის გაყვანა ძალზე ძვირი იყო. აქედან გამომდინარე, თათბირმა დაადგინა „მშენებლობის დაუყოვნებლივ შეჩერება“. სანაცვლოდ, არმიის მომარაგებისათვის, საჭიროდ ჩაითვალა ბათუმ-ტრაპიზონს შორის საზღვაო-საკაბოტაჟო მიმოსვლის გაძლიერება. ამიტომ, გადაწყდა ტრაპიზონში პორტის მშენებლობის დაჩქარება. დაადგინეს ამავე მიმართულებით საავტომობილო გზის მოწყობაც.[156]

თებერვლის რევოლუციამ ხალხს ვერ მოუტანა დაპირებული ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. წარმოების საშუალებები კვლავ ძველ მფლობელებს დარჩათ. ომით გამოწვეული სამეურნეო ნგრევა 1917 წ. კიდევ უფრო გაღრმავდა. დაიხურა ბევრი ფაბრიკა-ქარხანა, უმუშევართა რიგებს შეემატა ათასობით მუშა-მოსამსახურე.

არანაკლებ მძიმე მდგომარეობა იყო სოფლად. მართალია, „ოზაკომმა“ გააუქმა დროებითვალდებულ გლეხთა გამოსასყიდი გადასახადი და შეამცირა ნატურალური იჯარა მიწათსარგებლობისათვის, მაგრამ ამას მდგომარეობა არ განუმუხტავს. გლეხობა სულ უფრო ენერგიულად მოითხოვდა მიწების საკუთრებაში გადაცემას. მთავრობა და საბჭოები მათ განუმარტავდნენ, რომ მიწის საკითხს გადაწყვეტდა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომლის არჩევნებიც შემოდგომაზე უნდა შემდგარიყო. ცხადია, საერთო ანარქიის პირობებში გლეხების შეჩერება შეუძლებელი გახდა და „მიწების დატაცებამ მიიღო მასობრივი ხასიათი“. თავდაპირველად გლეხობამ სახაზინო მიწებს შეეხებდა (ასე იყო, მაგალითად, ჩაქვის ყოფილ საუფლისწულო მამულში), შემდეგ დაიწყო კერძო მფლობელობაში არსებული მიწების დატაცება. ამან კიდევ უფრო დაძაბა ქვეყნის შიგნით ისედაც მძიმე სოციალური მდგომარეობა.

---

156 მ. სიორიძე, რკინიგზის მშენებლობა ლაზეთში 1916-1917 წლებში - ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სამეცნ.-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, IV, ბათ., 2005, გვ. 77-84.

დროებით მთავრობას არაფერი გაუკეთებია ეროვნული საკითხის გადაჭრისათვისაც. ამიტომ ეროვნული მოძრაობა განაპირა მხარეებში კიდევ უფრო გააქტიურდა. საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა ამ საკითხზეც წარმოადგინეს საკუთარი პროგრამები და შეუდგნენ მის პრაქტიკულად განხორციელებას.[157]

საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და ფედერალისტებმა მოქმედების ერთიანი პროგრამის შესამუშავებლად 1917 წ. აგვისტოში შექმნეს „ინტერპარტიული საბჭო". მან ერთიანი დელეგაცია გაგზავნა პეტროგრადში დემოკრატიულ თათბირზე. ქართველი ხალხის მოთხოვნებით გამოსელა დაევალა სოციალ-დემოკრატ აკაკი ჩხენკელს. თათბირის ტრიბუნიდან მან განაცხადა, რომ ქართველ ხალხს, მის პოლიტიკურ პარტიებს ეროვნულ საკითხში უკვე აქვთ საერთო აზრი და მოითხოვეს საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის აღდგენა 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე.

* * *

ორხელისუფლებიანობამ ყველა პოლიტიკურ ძალას შეუქმნა პერსპექტივა გარდამავალი პერიოდი გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. ამ მხრივ ნიშანდობლივია სოციალისტური პარტიების საქმიანობა. მათი მიზანი იყო მუშათა და გლეხთა მასებში ერთპიროვნული გავლენის მოპოვება და სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში გასელა.

საქართველო ძირითადად გლეხური და წვრილბურჟუაზიული ქვეყანა იყო. მოსახლეობის პროლეტარული ნაწილისაგან განსხვავებით, რომელიც „რევოლუციაში არაფერს კარგავდა გარდა საკუთარი ბორკილებისა" (კ.მარქსი), გლეხობა, თავისი ბუნებით და ცხოვრების წესით, მესაკუთრული ფსიქოლოგიისაა. ამდენად, მას აფრთხობდა დამკვიდრებული სტრუქტურის რევოლუციურად შეცვლისა და მასში მონაწილეობის პერსპექტივა. ეს იყო ერთი მთავარი ფაქტორი, რომ ბოლშევიზმმა საქართველოში, ქვეყნის იძულებით გასაბჭოებამდე, ფეხი მყარად ვერ მოიკიდა. სამაგიეროდ, განმტკიცდა სოციალ-დემოკრატების გავლენა, რომლებიც არ იზიარებდნენ მემარცხენე რადიკალიზმს და რეფორმისტული გზით ფიქრობდნენ სოციალიზმის განხორციელებას. შემდგომში, მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა ამ მიმართულების სისწორე და პრაქტიკულობა.

სოციალ-დემოკრატებს და ესერებს მსხვილი ორგანიზაციები ჰქონდათ ბათუმშიც. 1917 წ. 4 ივლისს პეტროგრადში დემონსტრაციის დარბევისა და დროებითი მთავრობის ერთხელისუფლებიანობის დამყარების საპროტესტოდ და თებერვლის „რევოლუციის მონაპოვრების" დასაცავად, ორივე პარტიამ 13 ივლისს ბათუმში, აზიზიეს მოედნაზე, მოაწყო გრანდიოზული გაერთიანებული მიტინგი. სიტყვებით გამოვიდნენ: სოციალ-დემოკრატი - დ. მგელაძე, ესერი ლევინი, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოდან ლეგენსკი, მუშათა დეპუტატების საბჭოდან - გ. ანჯაფარიძე.[158]

გარდა ამისა, დემოკრატიულმა ძალებმა, ჩანს, ჩათვალეს, რომ შეიქმნა სამხედროების ხელში ძალაუფლების გადასვლის საშიშროება. ამიტომ ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გადაწყვიტა თავისი წარმომადგენლები წარეგზავნა ბათუმის გამაგრებული რაიონის კომენდანტის თანაშემწეებად. შეირჩა კანდიდატურებიც: მატროსთაგან - პერეშეევაილო და ჯარისკაცთაგან - ჯიბლაძე.

---

[157] უ.სიდამონიძე. საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბ., 1970, გვ. 186-211; ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ., თბ., 1980, გვ. 205-209.

[158] газ. «День свободы», №85, 1917 г.

საბჭომ ამის თაობაზე 18 იელისს ოფიციალურად მიმართა მიხეილის სიმაგრის კომენდანტს. ეს უკანასკნელიც იძულებული გახდა ორივე პირი სათანადო ბრძანებით დაეინიშნა თავის თანაშემწეებად.[159]

ბათუმში მოქმედი პოლიტიკური ძალებისაგან პარტიული რიგების შეესების თვალსაზრისით ყველაზე ნაყოფიერი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია. 1917 წ. მარტში მას აქ უკვე 1200-მდე წევრი ჰყავდა. ამიტომ დაისვა ცალკე ბათუმის კომიტეტის დაფუძნების საკითხი. მარტის შუა რიცხვებში შეიქმნა საორგანიზაციო ბიურო გრიგოლ სოღორაშვილის თავმჯდომარეობით. დამფუძნებელი კრება შედგა 3 აპრილს. მას ესწრებოდა 400-მდე წევრი. კრების პრეზიდიუმში აირჩიეს ალ. შატილოვი (თავმჯდომარე), გრ. სოღორაშვილი და გ. ანჯაფარიძე (მოადგილეები), ა. გოგოლაძე და ო. რამიშვილი (მდივნები).

ორგანიზაციულ საკითხებზე მოხსენებით გამოვიდა გრ. სოღორაშვილი, რის შემდეგაც კრებამ აირჩია რსდმპ ბათუმის გაერთიანებული კომიტეტი. აპრილის შუა რიცხვებში ამ კომიტეტთან შეიქმნა პროპაგანდისტთა კოლეგია, რომელსაც ჰყავდა თავისი ხელმძღვანელი ბიურო.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ისე სწრაფად გაიზარდა, რომ საჭირო გახდა ქალაქ ბათუმში ხუთი რაიონული ორგანიზაციის დაარსება, საპოლიციო უბნების მიხედვით. გარდა ქალაქისა, ოლქში არსებობდა კიდევ ოთხი რაიონული ორგანიზაცია - ქობულეთში, ჩაქვში, კვარცხანასა და ძანსულში. 1917 წ. სექტემბრისათვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა რიცხვი მთელს ბათუმის ოლქში 8 ათასამდე აღწევდა.[160]

1917 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში რსდმპ ბათუმის კომიტეტთან შეიქმნა, აგრეთვე, ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატთა ერთიანი ორგანიზაცია, რომელშიც წამყვანი ადგილი ეკავათ ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეებს.[161] მათი მეთაურობით 6-7 ოქტომბერს მოხდა გიმნაზიელთა გაფიცვა, რომელმაც მოითხოვა ძველი რეჟიმის მასწავლებლების გიმნაზიიდან დათხოვნა და პედაგოგიურ საბჭოზე მოსწავლეთა წარმომადგენლების დასწრება. გაფიცულებმა მიზანს მიაღწიეს.[162]

ასევე მრავალრიცხოვანი იყო ესერების ადგილობრივი ორგანიზაცია. თებერვლის რევოლუციის დღეებში იგი 70-მდე წევრს აერთიანებდა, ხოლო იმავე წლის მაისისათვის 1500-მდე გაიზარდა. ორგანიზაციის ასეთი ზრდა ძირითადად, ჯარისკაცების გაწვევრიანებით მოხდა. ესერების ბათუმის კომიტეტის თავმჯდომარე 1917 წ. მაისამდე იყო პიტოევის ქარხნის მთავარი ინჟინერი ა. ბულგაკოვი, შემდეგ — ა. ლევინი.[163]

თებერვლის რევოლუციით მიღებული თავისუფალი პოლიტიკური მოღვაწეობის უფლება კარგად გამოიყენეს ბოლშევიკებმაც. თავდაპირველად ისინი მთელს ამიერკავკასიაში იმდენად სუსტნი იყვნენ, რომ იძულებულნი გახდნენ 1906 წლიდან - 1917 წ. შუახანებამდე მენშევიკებთან ერთად გაერთიანებულიყვნენ სოციალ-დემოკრატიულ

159 Борьба за победу Советской власти в Аджарии, Документы и материалы (1917-1921 гг.), док. №23, с. 59.

160 ბ.ცქვიტარია, აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიიდან, (1917-1922), ბათ., 1973, გვ. 13-15.

161 Газ. «День свободы», №155, 1917. ბათუმელი გიმნაზიელების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია იმდენად ძლიერი იყო, რომ ყოველკვირეულად უშვებდა ფურნალს „ზა სვობოდუ" (Газ. «День свободы», №28, 1917). ამასთან, 1917 წ. ზაფხულში, ბათუმის აღმასკომის თხოვნით, კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებს გუგზავნა დროებითი მთავრობისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოცემული 4600 ცალამდე გაზეთი და 1000 ცალზე მეტი ბროშურა (Газ. «День свободы», №120, 1917).

162 გაზ. „ერთობა", №171, 1917.

163 Газ. «День свободы», №28, 1917.

ორგანიზაციებში.[164]

ბათუმელი ბოლშევიკები მენშევიკებს გამოეყენენ 1917 წ. იანისში, გაფორმდნენ დამოუკიდებელ ორგანიზაციად და აირჩიეს საორგანიზაციო ბიურო ს. განშინის თავმჯდომარეობით. მცირერიცხოვნების მიუხედავად, ბათუმის ბოლშევიკური ჯგუფი, ორგანიზაციულად, საკმაოდ მობილურ ძალას წარმოადგენდა. პროპაგანდის ეფექტურობისათვის დაგეგმეს საჯარო ლექციები მიმდინარე საკითხებზე, პეტროგრადიდან გამოიწერეს ბოლშევიკების ცენტრალური გაზეთი „პრავდა“ და შექმნეს საგამომცემლო სექცია.[165] ამასთან, აქცენტი გადაიტანეს სამხედროებზე, რომელთა რაოდენობა ბათუმში ყოველდღიურად მატულობდა ტრაპიზონის ფრონტის დაშლის კვალობაზე.

ბათუმელი ბოლშევიკები ცდილობდნენ ახალგაზრდობის მიზიდვასაც. ამ მიზნით გამოყენეს „საინიციატიო ჯგუფიც“ (კ. ბერძენიშვილი, მ. ანასტასიადი, ლ. ჩანტლაძე), მაგრამ ახალგაზრდობაში სოციალ-დემოკრატების გავლენის გამო ეს ამოცანა კარგა ხანს ვერ განხორციელდა. მხოლოდ 1917 წ. ოქტომბერში მოხერხდა მცირერიცხოვანი ორგანიზაცია „სპარტაკის“ ჩამოყალიბება და ისიც „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციიდან გადმობირებულთა ხარჯზე.[166]

1917 წ. ზაფხულში ბოლშევიკური ორგანიზაცია შეიქმნა ქ. ართვინშიც. მისი ორგანიზატორები იყვნენ ჰ. დანელიანი, გ. გურჯიანი და გ. კაზანჯიანი. მათი აგიტაციით ორგანიზაციაში შეეიდა ართვინის სკოლის რამდენიმე უფროსკლასელიც (გრ. ზაქარიანი, გ. აზნაურიანი, ს. პუჩინიანი და სხვ.).[167]

ქართველ სოციალ-დემოკრატებს, ბათუმის ოლქში დიდი გავლენის მიუხედავად, ქ. ართვინში ორგანიზაცია არ ჰქონდათ. ეს, პირველ ყოვლისა, გამოწვეული იყო იმ დროისათვის ამ ქალაქში ქართული მოსახლეობის სიმცირით.[168] აქ კომპაქტურად მცხოვრებ სომეხთა უმეტესობა კი იმყოფებოდა ნაციონალისტური სომხური პარტიის - „დაშნაკცუტიუნის“ - გავლენის ქვეშ.

კავკასიელი ბოლშევიკების გააქტიურების შემდეგი ეტაპი იყო პარტიის VI ყრილობა, მის მიერ დაგეგმილი ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალება და ლენინის მეთაურობით რუსეთის საბჭოთა მთავრობის შექმნა. მაგრამ მათ პროპაგანდას მოსახლეობაში მოსალოდნელი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სხვა ცენტრებისაგან განსხვავებით, ბათუმსა და ფრონტისპირა ტრაპიზონში საგრძნობი იყო ბოლშევიკების მზარდი გავლენა. ეს უმთავრესად განაპირობა ჯარისკაცთა უარყოფითმა დამოკიდებულებამ გაჭიანურებული ომისადმი, აგრეთვე, თვით ბათუმში რუსი ეროვნების ლუმპენპროლეტარული მასების სიჭარბემ, რომლებშიც, მათიეე მენტალობიდან გამომდინარე, ყველაზე მეტი გასაჟალი ჰქონდა მემარცხენე, ძალისმიერ და ექსტრემისტულ იდეოლოგიას. იგივე ითქმის სომხურ დიასპორაზეც, რომელიც უცხო ტერიტორიაზე დამკვიდრებას და „სასიცოცხლო სივრცის“ უზრუნველყოფას ტრადიციულად გეგმავდა ძლიერი რუსეთის (განურჩევლად - მონარქისტულის თუ ბოლშევიკურის) ხელშეწყობით.

პოლიტიკურ სარბიელზე პირველობისათვის ბრძოლის პროცესში ყურადღებას

---

164 ბ.ცქვიტარიას ცნობით, - 1917 წ. მარტის დამდეგს ბათუმში მხოლოდ „ხუთამდე ბოლშევიკი იყო სახეზე“ ხოლო ივნისისათვის „40-50 კაცს არ აღემატებოდა“ (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 12-14).

165 Борьба за победу Советской власти в Аджарии..., сс. 54-55.

166 ბ.ცქვიტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 17-19.

167 იქვე, გვ. 16-17.

168 1916 წ. 1 იანვრისათვის ქ.ართვინში სულ 6997 სული ცხოვრობდა; მათგან 4996 - მუდმივი და 2001 - დროებითი. ამ უკანასკნელთა შორის ქართველი იყო მხოლოდ 882, სომეხი - 4860 («Кавказский календарь на 1917 г.», (отд. статист.), Тифл., 1916, сс. 182-185).

იქცევს, აგრეთვე, ბათუმის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა ძველი პროფკავშირების აღდგენისა და მათში გავლენის მოპოვებისათვის, რადგან პროფკავშირები, როგორც ყველაზე მასობრივი ორგანიზაცია, წარმოადგენდა ეფექტურ საშუალებას ხალხის არაპოლიტიზებულ ნაწილზე ზეგავლენისათვის.

1917 წ. პირველ ნახევარში პროფკავშირები ჩამოყალიბდა ქ. ბათუმისა და ოლქის ყველა იმ საწარმოსა და დაწესებულებასთან, სადაც მუშათა და მოსამსახურეთა კონტინგენტი ამის საშუალებას იძლეოდა. იელისის დასაწყისისათვის მარტო ბათუმში 14 პროფესიული კავშირი მუშაობდა (სტამბების და საამქინაო სახელოსნოების, ხუროების და დურგლების, სასტუმრო-რესტორნების და საზეკების ობიექტების, სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა, მოწყალების დების და სხვ.). ისინი ცდილობდნენ ყოფითი საკითხების (ნორმირებული სამუშაო დღე, მზარდი სიძვირის შესატყვისი ხელფასები, შვებულებები და ა.შ.) მოწესრიგებას.

ბათუმში დარგობრივი პროფკავშირების ჩამოყალიბების შემდეგ დაისვა მათი ცენტრალური ბიუროს შექმნის საკითხიც. ამ მიზნით დამფუძნებელი კრება შედგა 1917 წ. 4 იელისს. მას ესწრებოდა თოთხმეტიეე კავშირის წარმომადგენელი. კრებამ აირჩია ცენტრალური ბიურო და ბიუროს სამდენი 9 კაცის შემადგენლობით. თავმჯდომარედ აირჩიეს ბათუმის ესერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი რ. კრასეეიჩი, მდივნად — ვ. კრემი, ხაზინადრად - მ. თუმანოვი (ერთადერთი ბოლშევიკი). ცენტრბიუროს შემადგენლობაში შეეიდნენ აგრეთვე: ი. ღლონტი, მ. კოხაკი, ვ. იაშეილი, ჰ. ნიკოლაეეი, ექიმი გუროეიჩი და ვ. ფელდშტეინი.[169]

პროფმოძრაობა გაიშალა ბათუმის ოლქშიც. სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირები შეიქმნა ჩაქვში, მწვანე კონცხზე, ციხისძირსა და მახინჯაურში, ხოლო კვარცხანაში, ძანსულსა და მურღულში ჩამოყალიბდა სამთამადნო მუშათა პროფკავშირები.

პროფკავშირების ხელმძღვანელობა, ძირითადად, სოციალ-დემოკრატების და ესერების ხელში მოექცა. თუმცა, ორიოდე მათგანში გარკვეული გავლენა ჰქონდათ ბოლშევიკებსაც, კერძოდ, ივ. პეეცოეს - სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პროფკომიტეტში, ხოლო მ. კახიანს - სასტუმრო-რესტორნებისა და საზეკების დაწესებულებათა პროფკავშირში.

ხელისუფლების ორგანიზაცია ბათუმის ოლქში. „ოზაკომის“ მიერ 1917 წ. 27 აპრილს მიღებული საარჩევნო დებულების საფუძველზე, მაისიდან ბათუმის ოლქშიც დაიწყო ახალი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების -კომისარიატების ჩამოყალიბება. ეს პროცესი ძველისა და ახლის ჭიდილში, აგრეთვე, ეროვნული და კონფესიური სიჭრელით გამორჩეულ ბათუმის ოლქში გარკვეულ სირთულეებს წააწყდა.

ტერიტორიულად ერცელი ბათუმის ოლქი (6.500 კვ.კმ). 1903 წ. ადმინისტრაციული მოწყობით იყოფოდა ორ ოკრუგად: საკუთრივ ბათუმისა და ართვინის, რომლებიც თავის მხრით იყოფოდნენ უბნებად (რაიონებად). ესენია: კინტრიშის (ცენტრით ქობულეთი), გონიოს (ს. ზემო მარადიდი), ქეემო აჭარის (ს. ქედა), ზემო აჭარის (ს. ხულო), ართვინის (ქ. ართვინი), არტანუჯის (ქ. არტანუჯი) და შავშეთ-იმერხევის (ს. სათლელ-რაბათი).

ბათუმის დემოკრატიულმა საზოგადოებამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ოფიციალური ხელისუფლებისაგან დანიშნული კომისარიატების გვერდით, ოლქის ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში, აღმასრულებელი კომიტეტის სახით, შეექმნათ არჩეეთი ორგანოც. ამ მიზნით 1917 წ. 14 მაისს ბათუმში, საოლქო აღმასკომის

[169] Газ. «День свободы», №77, 1917.

თავმჯდომარის — ე. კრინიკის ინიციატივით, გაიმართა ოლქის მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა სხვადასხვა ეროვნებისა და პოლიტიკური მრწამსის 55 დელეგატი. ყრილობის პრეზიდიუმში მაჰმადიან ქართველთაგან აირჩიეს მემედ აბაშიძე. ყრილობამ შეიმუშავა საარჩევნო კამპანიის გეგმა და შესაბამისი დებულება.[170]

„ოზაკომი" იძულებული გახდა ანგარიში გაეწია დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ამიტომ დათანხმდა ადგილებზე კოალიციური აღმასკომების არჩევნებს. ამასთან, გადაწყვიტა თვითონვე ემართა ეს პროცესი, რისთვისაც ოლქებსა და მაზრებში დანიშნა თავისი წარმომადგენლები. ბათუმის ოლქში „ოზაკომის" რწმუნებულებად დანიშნა რეჯებ ნიჟარაძე და კაპიტონ გოგოლაძე, მათ თანაშემწეებად — ხასან ლორთქიფანიძე და ელასა მგელაძე.

საარჩევნო კამპანია სოციალურად და პოლიტიკურად მძაფრ ვითარებაში ჩატარდა, უსაშველოდ გაჭიანურდა და ოქტომბრამდე გაგრძელდა, ხოლო შავშეთ-იმერხევში ვერც შედგა. კინტრიშისა და გონიოს უბნებში, სადაც რუს კოლონისტთა დასახლებები („სმეკალოვკა", „ალექსეევკა", „რომანოვკა", „უსპენსკი" და სხვ.) იყო, განსაკუთრებით აქტიურობდნენ რუსი შავრაზმელები მეფის ყოფილი მოხელის კორიბუტ-დაშკევიჩის მეთაურობით. მათი მიზეზით ჩაქვში, მწვანე კონცხზე, მახინჯაურსა და სხვა სოფლებში არჩევნები რამდენჯერმე ჩაიშალა.[171]

ვითარება დაიძაბა ზემო აჭარაშიც. აქ ხელისუფლებამ კომისრად დანიშნა პოლიციის ყოფილი ოფიცერი თემურ ხიმშიაშვილი, მაგრამ 11 სოფლის ახალთაობა მის წინააღმდეგ წავიდა და საკუთარი კანდიდატი წამოაყენა. კონფლიქტის აღსაკვეთად და ხელახალი არჩევნების ჩასატარებლად ხულოში მიაელინეს ხ. ლორთქიფანიძე. მან თ. ხიმშიაშვილი დაითანხმა გადადგომაზე, მაგრამ ივნისის დამდეგს ბეგის მომხრეებმა მოახერხეს ზემო აჭარის კომისრად თ. ხიმშიაშვილის ეაჟის შეექეთის არჩევა. ხულოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ჯეფერ ხიმშიაშვილი გავიდა, ქვემო აჭარაში - დაუთ დიასამიძე, კინტრიშის უბანში — არსენ წითლიძე. საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ე. კრინიკი მთავრობამ დანიშნა ოლქის კომისრადაც.[172]

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბათუმის ოლქში ადგილობრივი ადმინისტრაციული ხელისუფლება შემდეგი სახით წარმოგვიდგება: კინტრიშის უბნის კომისრად, თავდაპირველად, დაინიშნა ივ. ევსეიჩიკი, რომელიც თავისი საქმიანობით არაპოპულარული იყო. ამიტომ ის მალე გადააყენეს და 1917 წ. 2 სექტემბერს ეს თანამდებობა დაიკავა ჰაიდარ აბაშიძემ; არტანუჯის უბანში თავდაპირველად სამი კომისარი დაინიშნა: კაპიტანჯიანი, მასწავლებელი ლოგუა და მაზმანიანი. 1917 წლის 1 სექტემბრიდან კი ეს თანამდებობა დაიკავა პოლიციის პრაპორშჩიკმა ჰაიდარ ბიბინ-ზადემ (ბიბინეიშვილმა). გონიოს უბნის კომისარი იყო სილოვან გაბელაშვილი; ქვემო აჭარის უბნისა - გიორგი ჭელიძე; ართვინის უბნისა - მასწავლებელი ბართლომე მეგრელიძე.[173]

1917 წლის 14-20 მაისს ბათუმში ჩატარდა ოლქის აღმასრულებელი კომიტეტების

---

170 ხ.ახვლედიანი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში (1917-1921 წწ.), ბათ., 1971, გვ. 15; საარჩევნო დებულების განხილვისას კამათი გამოწვევია მხოლოდ ერთ მუხლს - არჩევნებში ქალთა მონაწილეობას. მაჰმადიანი სასულიერო პირები მოითხოვდნენ ამ მუხლის ამოღებას. ყრილობის დელეგატებმაც ანგარიში გაუწიეს რეალური მდგომარეობას და საარჩევნო დებულებაში შეიტანეს შესწორება - არჩევნებში ქალების მონაწილეობა მხოლოდ ქ.ბათუმით შემოიფარგლა.

171 ვ. სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, გვ. 158.

172 ე.კრინიკი ბათუმის ოლქის კომისრად მუშაობდა 1918 წლის 11 მარტამდე, ვიდრე ის თავის ბინასთან არ მოკლეს ტერორისტებმა (სცსსა, ფ. 1818, ან. 1, ს. 37, ფურც. 19,30).

173 შდრ., სცსსა, ფ. 1818, ან. 1, ს. 28, ფურც. 10; ფ. 2080, ან. 1, ს. 513, ფურც. 20-21; ბართლომე მეგრელიძე იყო ცნობილი ქართველი მეცნიერების იოსებ და შამშე მეგრელიძეების მამა.

თავმჯდომარეთა ყრილობა, რომელმაც ცელილებები შეიტანა ადმინისტრაციულ სტრუქტურაში. გააუქმა ბათუმის და ართვინის ოკრუგების მმართველობა, როგორც ზედმეტი რგოლი და შეინარჩუნა მხოლოდ ზემოაღნიშნული შვიდი უბნის მმართველობა. ამასთან, დაადგინა ართვინსა და არტანუჯში საქალაქო თვითმმართველობის შემოღება. ამავე ყრილობაზე გადაწყდა ბათუმის ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის დაკომპლექტება შემდეგი არჩევითი წარმომადგენლობით - ორ-ორი კაცი ყოველი უბნიდან, ორ-ორი - ქ. ართვინიდან და არტანუჯიდან და ექვს-ექვსი წარმომადგენელი ქ. ბათუმის აღმასკომიდან, ბათუმის მუშათა დეპუტატების საბჭოსა და ბათუმის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსაგან.[174] შემდეგ მათ დაემატა წარმომადგენლები ბათუმის საქალაქო სათათბიროდან, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. 1917 წ. იელისში ბათუმის საოლქო აღმასკომი 52 წევრისაგან შედგებოდა.[175]

1917 წ. 1 ივნისს ბათუმის ოლქის აღმასკომმა „ოსაკომის" წინაშე რეკომენდაცია გაუწია ორი ახალი, ცალკე კომისარიატის დამტკიცებას მუშათა დიდ დაბებში — ძანსულსა და კვარცხანაში.

ამ დროს ბათუმში მიმდინარეობდა საქალაქო თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანია. თებერვლის რევოლუციის გამარჯვების მომენტისათვის ქალაქის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა 1915 წ. 21 ივნისს არჩეული სათათბირო. ამიტომ, ახალი დროის კვალობაზე, პოლიტიკურმა ძალებმა საჭიროდ ჩათვალეს მისი გადახალისება.

არჩევნებში საკუთარი პლატფორმითა და საარჩევნო სიით გამოვიდა 10 ორგანიზაცია. წამყვან როლს ასრულებდნენ სოციალ-დემოკრატები და ესერები (ბოლშევიკებმა სწორად შეაფასეს თავიანთი ძალების სისუსტე და მონაწილეობა არ მიიღეს). არჩევნები ჩატარდა 1917 წ. 9 ივლისს. სოციალ-დემოკრატების სიამ (№1) მიიღო 9577 ხმა (მათგან 5828 ხმა - მოქალაქეთაგან და 3749 - სამხედრო პირთაგან), სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერები) სიამ - 10627 ხმა (მოქალაქეთა - 2050 და სამხედრო პირთა - 8577). სხვა პოლიტიკურ ძალებს ხმა მისცა ამომრჩეველთა უმნიშვნელო რაოდენობამ. ადგილებიც სათათბიროში შესაბამისად განაწილდა: ესერი - 26, სოციალ-დემოკრატი - 24, დაშნაკი - 4, კადეტი - 2 და სოციალისტ-ფედერალისტი - 1. ქალაქისთავად აირჩიეს სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე საბახტარიშვილი.[176]

ამრიგად, თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბათუმის ოლქში, გარდა მთავრობის მიერ დანიშნული კომისრებისა, მრავალგვარი ძველი და ახალშექმნილი ორგანო თუ პოლიტიკური ძალა ცდილობდა ხელისუფლებაში წილის დადებას. ამას ემატებოდა ის სპეციფიკური ვითარება, რომ აქ კომპაქტურად მცხოვრები არაქართველები და სხვა გარეშე ძალები ფიქრობდნენ ესარგებლათ რევოლუციის შემდგომი არასტაბილურობით და მოსალოდნელი ანარქიის პირობებში მზად ყოფილიყვნენ რეგიონზე თავისი პრეტენზიების განხორციელებისათვის.

ამავე მიზნით ბათუმში შეიქმნა სხვადასხვა მოდგმის ხალხთა „ნაციონალური კომიტეტები". მათი აგენტების და ერთმანეთზე წაკიდებული პოლიტიკოსების პროპაგანდას და საქმიანობას ოლქის მკვიდრ მოსახლეობაში მხოლოდ არეე-დარეეა შემოჰქონდა და კიდეე უფრო აღრმავებდა დაბნეულობას. ამით სარგებლობდნენ პროვოკატორები. 4 მაისს გაზ. „საქართველო" აღნიშნავდა: „აჭარიდან ცუდი ამბები მოდის... სოფლებში დაძრწიან ვიღაც შეიარაღებული უცნობები, ხანდახან სამხედრო ფორმაში

---

174 სცსსა, ფ. 1818, ან. 1, ს. 271, ფურც. 1.
175 სცსსა, ფ. 2080, ან. 1, ს. 487, ფურც. 12.
176 ბ-ქვიტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 25-26.

გამოწყობილნიც; ისინი თურმე ვიღაცას და რაღაცას ზვერავენ. ეს მზვერავები ისეთ ადგილებშიაც ჩნდებიან, სადაც საალყო წესის დროსაც კი არავის უნახავს უცხოელი. რასაკვირველია, არაერთხელ აწიოკებულ სოფლელთ ეს ძალზედ აფრთხობს. ამას გარდა თვით ქ. ბათუმში დაუწყია თარეში ბნელ ძალებს და აჭარელთა წინააღმდეგ პროვოკაციას ეწევიან; ხმებს ავრცელებენ, ვითომც მაჰმადიანები იარაღს ისხამენ და რუსის ჯარს ემუქრებიანო".[177]

შექმნილ ვითარებაში აუცილებელი გახდა სამუსლიმანო საქართველოში ეროვნული თვითშეგნების, ამ კუთხის ისტორიული წარსულისა და ქვეყნის ერთიანობა-მთლიანობის იდეის პროპაგანდის გაძლიერება, რათა მოსახლეობა მზად ყოფილიყო ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად. ამ მიზნით მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა: სულეიმან დიასამიძემ, ჰაიდარ აბაშიძემ, ზექერია შერვაშიძემ, ხასან ვარშანიძემ, ჯემალ ქიქაეამ და სხვ. მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით დააარსეს „ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი", რომელიც 1917 წ. ზაფხულის დამლევს დაამტკიცა მაჰმადიან ქართველთა წარმომადგენლების კრებამ.[178]

დაახლოებით ამავე პერიოდში მ. აბაშიძის ინიციატიით ბათუმში აგრეთვე ჩამოყალიბდა „ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოება", რომელიც ზემოაღნიშნულ კომიტეტთან კავშირში მუშაობდა (შემდეგ ეს ორი ორგანიზაცია გაერთიანდა) და იდეურად ებრძოდა თურქოფილებს, კერძოდ კი, ბათუმში არსებულ ბაქოს მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებას.

სხვათა შორის, აღნიშნული განყოფილება ბათუმში დაარსდა ჯერ კიდევ 1916 წ. გაზაფხულზე, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მიერ აჭარის სოფლებში ქართული სკოლების გახსნამ. ბაქოელ პანისლამისტებს უკვე აღარ აეჭვებდათ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხება. ამიტომ თელიდნენ, რომ მათ უნდა ეკისრათ კავკასიის მაჰმადიანური მოსახლეობის გამაერთიანებლისა და წინამძღოლის ფუნქცია. მშობლიურ ენაზე სწავლება მათ ხელიდან გამოაცლიდა ქართველ მაჰმადიანებს და ბზარს გაუჩენდა თეოკრატიულ-ისლამისტური კავკასიის შექმნის იდეას. ამიტომ ქართული სკოლების საწინააღმდეგო პროპაგანდასთან ერთად, აჭარაში შეუდგენენ თურქულენოვანი აზერბაიჯანული სკოლების გახსნას და იქ მაჰმადიანი ბავშვების მიზიდვას. მათ იმასაც მიაღწიეს, რომ რამდენიმე ოჯახს ქალიშვილები გააგზავნინეს ბაქოს სასწავლებელში, რომ პედაგოგები მოემზადებინათ თურქულენოვანი სკოლებისათვის. მსგავსი მდგომარეობა იყო სამცხე-ჯავახეთშიც.

მოწინავე ქართველებმა მაშინვე გაილაშქრეს პანთურქისტების საქმიანობის წინააღმდეგ. ამ მხრივ აღსანიშნავია პრესაში გამოქვეყნებული ჰაიდარ აბაშიძის საპროტესტო წერილები,[179] რასაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა და ბაქოელთა მთავარი პროპაგანდისტი და რეზიდენტი რიზა-ბეგი იძულებული გახდა აჭარას გასცლოდა.

ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ერთობას ხელს უშლიდა ეროვნულ საკითხზე მარქსისტების კოსმოპოლიტური შეხედულებებიც. მათი აზრით, მოქალაქეს თავად უნდა გადაეწყვეტა, თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნოდა. ასეთივე პოზიცია ეკავა ქართველი სოციალ-დემოკრატების გაზეთს „თანამედროვე აზრი", რის წინააღმდეგაც

---

177 გაზ. „საქართველო", №95, 1917.

178 მ.აბაშიძე, რჩეული ნაწერები, ბათ., 1973, გვ. 60-61.

179 იხ. მისი „მაჰმადიან ქართველებში", „ღია წერილი ჩვენს ერთმორწმუნე კავკასიელ თურქებს" და სხვ. (ჰ.აბაშიძე, წერილები, თბ., 1963, გვ. 93-101) „ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები არავის მივცემთ ნებას, რომ ჩვენ საყვარელ დედა ენაზე ეერიში მიიტანოსო", - წერდა ჰ.აბაშიძე.

გაილაშქრა მემედ აბაშიძემ.[180]

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ეროვნული განვითარებისათვის ბრძოლის გაძლიერების შემდგომი ეტაპი იყო საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა (1917 წ. ნოემბერი), ეროვნული საბჭოს არჩევა და მასთან სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა სექციის შექმნა.[181] მასში თანამშრომლობდნენ მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, რეჯებ ნიჟარაძე, ჯემალ ხიმშიაშვილი, ივანე გომართელი, გრიგოლ ვეშაპელი, პართენ გოთუა და სხვ.

სექციაში განიხილავდნენ ბათუმის ოლქის, სამცხე-ჯავახეთის, ლაზეთის და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობის მდგომარეობას, ოსმალური გავლენისაგან მათი გათავისუფლების ღონისძიებებს, მსჯელობდნენ სკოლებში დედაენაზე სწავლების საკითხზე. ამის მიუხედავად, ქართველ მაჰმადიანთა სექციის საქმიანობას მისი თანამედროვე მოღვაწეები მაინც არადამაკმაყოფილებლად აფასებდნენ, რადგან მუშაობა მიდიოდა ზანტად და არაინტენსიურად.[182]

* * *

1917 წ. 25 ოქტომბერს პეტროგრადში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად რუსეთში ხელისუფლების სათავეში მოექცნენ ბოლშევიკები. შექმნილი სახელისუფლებო კრიზისის ვითარებაში განაპირა რაიონებში გაჩნდა უწესრიგობების წარმოქმნის საფრთხე. ამიტომ ბათუმში მოქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა 2 ნოემბერს შექმნეს კოალიციური „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი“ და გამოაცხადეს რუსეთში დაწყებულ სამოქალაქო ომში ჩაურევლობა.[183]

დროებითი მთავრობის დამხობას მოჰყვა „ოზაკომის“ დათხოვნაც. მის ნაცვლად, პოლიტიკური პარტიების და სარდლობის ურთიერთშეთანხმებით, 15 ნოემ-ბერს ჩამოყალიბდა ახალი კოალიციური მთავრობა „ამიერკავკასიის კომისარიატი“. მის თავმჯდომარედ დაინიშნა სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი. წევრებად — ა. ჩხენკელი (სოციალ-დემოკრატი), დ. დონსკოი (ესერი), შ. ალექსი-მესხიშვილი (ფედერალისტი), ხ. ყარჩიკიანი (დაშნაკი), ხას-მამედოვი (მუსავატელი) და სხვ.

კავკასიელი პოლიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ბოლშევიკების ყოფნა ხელისუფლებაში იყო შემთხვევითი და დროებითი მოვლენა, რასაც აღკვეთდა ახლად არჩეული რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო - დამფუძნებელი კრება. ამიტომაც ამიერკავკასიის კომისარიატი გამოცხადდა, როგორც დროებითი მთავრობა.

ხალხშიც ასევე საგრძნობი იყო რწმენა დამფუძნებელი კრებისადმი. ამიტომ ბოლშევიკებმა ხელი არ შეუშალეს მის მოწვევას. უფრო მეტიც, დაესწრნენ კიდეც პირველ სხდომას (1918 წ. 5 იანვარი), მაგრამ დამფუძნებელმა კრებამ არ სცნო საბჭოთა მთავრობა და ამ უკანასკნელმაც იგი გარეკა. საპასუხოდ, თბილისში, პოლიტიკურმა პარტიებმა გადაწყვიტეს დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დეპუტატებისგან ჩამოეყალიბებინათ ადგილობრივი პარლამენტი, რომელსაც „სეიმი“ უწოდეს. მის თავმჯდომარედ აირჩიეს კარლო ჩხეიძე.

---

180 ვ.აბაშიძე. „თანამედროვე აზრი და სამაჰმადიანო საქართველო“, იხ. მისი, რჩეული ნაწერები, ბათ., 1973, გვ. 15-17.

181 იხ. შ. ვადაჭკორია, პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917), თბ., 1998.

182 დ. ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918-1921 წწ. და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999, გვ. 18-20; ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბ., 1999, გვ. 255-300; ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918), თბ., 2000.

183 Борьба за победу Сов.власти в Аджарии... док. №40, с. 79-80;

მმართველობაში დამკვიდრებული ქაოსი ვერ აღმოიფხვრა ამიერკავკასიის კომისარიატის და სეიმის მმართველობის პერიოდშიც. არც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურაში მომხდარა არსებითი ცვლილება. ბათუმში უსენაეს ხელისუფლად კვლავ ოლქის კომისარი რჩებოდა. ის ნიშნავდა უბნების კომისრებს, რომელთა შემადგენლობა 1918 წ. 5 მარტისათვის ასე გამოიყურებოდა: ართვინის უბნის კომისრად კვლავ ბართლომე მეგრელიძე იყო, ზემო აჭარისა – კვლავ შეექეთ ხიმშიაშვილი, შავშეთ-იმერხევისა - თემურ ხიმშიაშვილი (1917 წ. 29 დეკემბრიდან), გონიოს უბნისა - დურსუნ ქიქავა (1918 წ. 7 თებერვლიდან), კინტრიშის უბნისა - მემედ გოგიბერიძე (1918 წ. 15 თებერვლიდან), ქვემო აჭარისა - თემურ შერვაშიძე (1918 წ. 1 მარტიდან).[184]

1917 წ. შემოდგომიდან მწვავე პრობლემად იქცა სურსათით მომარაგება. მასზე ფასები მნიშვნელოვნად აიწია. სავაჭროებში დარჩენილი მარაგის გაყიდვა ხელისუფლების მიერ დაწესებული ნიხრით წაგებიანი გახდა. ამიტომ ვაჭრებმა საქონელი გადამალეს. დაიწყო სპეკულაცია.

ოქტომბრისათვის ბათუმში პურის ფქვილის მხოლოდ ორი თვის მარაგი იყო. ბათუმის საქალაქო სათათბირომ დაადგინა პურის ნორმირებული გაცემა 1 სულზე - 0,5 ფუნტის (200გრ.) ოდენობით დღეში.[185] ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ რუსეთი ქაოსმა მოიცვა, შეწყდა სატრანსპორტო მიმოსვლა და იქიდან პროდუქტების მიღების ყოველგვარი იმედი გადაიწურა. ამიტომ, ბათუმის სათათბიროს 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დადგინდა პურის ფქვილის მცირე მარაგში სიმინდის ფქვილის გარევა და მხოლოდ ამგვარად დღიური მინიმალური ულუფის (200 გრ. სულზე) მოსახლეობისათვის მიწოდება.[186]

შექმნილ ვითარებაში ხალხიც ინდიფერენტული გახდა საზოგადო საქმის მიმართ. 1917 წ. ნოემბრის დასაწყისში აჭარის ტყეებში, „ღორჯომიდან დაწყებული ჩაქვამდე", გაჩნდა ძლიერი ხანძარი, რომლის ჩასაქრობად ხალხი არ გამოვიდა, რადგან მთავრობამ არ მისცა მიწა და ტყეო, - შენიშნავდა კორესპონდენტი.[187]

საზოგადოების მოწინავე ნაწილში დამკვიდრდა აზრი, რომ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანისათვის აუცილებელი იყო საფუძვლიანი ეკონომიკური ღონისძიებების გატარება. ამავე მიზნით კვლავ წამოიჭრა ამიერკავკასიის შავიზღვისპირეთში თავისუფალი ნავსადგურის დაფუძნების საკითხი.[188] საზოგადოების ერთი ნაწილი თვლიდა, რომ პრიორიტეტი ამჯერად ფოთის ნავსადგურს უნდა მინიჭებოდა, ხოლო მეორენი ბათუმის ნავსადგურის უპირატესობას ასაბუთებდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ბათუმის გამგეობის წევრის – ივ. მესხის წერილები „ბათუმის თავისუფალი ნავსადგურის საკითხისათვის", რომელიც 1918 წ. იანვარში გამოქვეყნდა გაზეთში „იუნანია რეჩ". ამ საკითხზე იმსჯელეს ქალაქის სათათბიროშიც.[189]

სამწუხაროდ, 1918 წ. გაზაფხულზე ამიერკავკასიაში ოსმალეთის ექსპანსიამ ჩაშალა ამ პროექტის პრაქტიკულად განხორციელება.

ხელისუფლებაში შექმნილ ანარქიულ მდგომარეობას და ცხოვრების პირობების მკვეთრად გაუარესებას, განსაკუთრებით 1917 წ. მეორე ნახევარში, მოჰყვა კრიმინოგენური ვითარების გამწვავება. მდგომარეობას ამძიმებდა კავკასიის ფრონტიდან

---

184 სცსსა, ფ. 1818, ან. 1, ს. 28, ფურც. 23.
185 აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. 684, ფურც. 6; ს. 894, ფურც. 1-3.
186 იქვე, ფ. 7, ს. 673, ფურც. 6-7.
187 გაზ. „ერთობა", №193, 1917.
188 Сиоридзе М., О попытках устройства вольной гавани в Батуми в 1917-1918 годах, журн. „Вопросы Истории", 2001, №1, с. 174-175.
189 ი.მესხის წერილები. იხ. აცსა, 16, ან. 1, ს. 133 ფურც. 7-11.

თვითნებურად დაძრული და რუსეთისკენ მიმავალი, დემორალიზებული და მარადიორად ქცეული ჯარისკაცობა. მათი მოზღვავების გამო ბათუმში შესამჩნევი გახდა ბოლშევიკების გაელენის ზრდა. ნახევრად მშიერ ჯარისკაცებს შეეძლოთ მასობრივი უწესრიგობების გამოწვევა. ამიტომ ქალაქის ხელისუფლება მათ აბინავებდა, შეძლებისდაგვარად ამარაგებდა სურსათით და ცდილობდა აქედან მალე გაემგზავრებინა ს�eით თუ სხვა ტრანსპორტით. გარდა ამისა, ბათუმში მოიყარა თავი თბილისიდან და ქუთაისიდან დევნილმა სისხლის სამართლის დამნაშავეთა დიდმა ნაწილმაც.

ყოველივე ამან იმდენად გაამწვავა კრიმინოგენური ვითარება, რომ 1917 წ. 5 დეკემბერს სპეციალურად შეიკრიბა ბათუმის ქალაქის სათათბირო.[190] სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ „უკანასკნელ დროს ბათუმში დაიწყო დღემდე არნახული და არგაგონილი ძარცვები, მკვლელობები, წესრიგის ყოველგვარი დარღვევა და ხულიგნობა". დამნაშავეები, უმეტესად, გამოწყობილი იყვნენ ჯარისკაცის ფორმაში, რაც მათ საშუალებას აძლევდა დღისით თავისუფლად ქმოძრაეათ ქალაქში, ხოლო ღამით იწვევდა მათი თარეში. „ამ დამნაშავე ელემენტებთან ბრძოლა გართულებულია იმით, - ითქვა თათბირზე, - რომ დაკავებისას ისინი დასახმარებლად მოუწოდებენ ჯარისკაცებს და ყვირიან, რომ სამოქალაქოები ურტყამენ, რომ ქართველებს უნდათ რუსების ამოწყვეტა და ა.შ. ეს პროვოკაცია ხშირად აღწევს თავის მიზანს: ჭურდს ათავისუფლებენ, ხოლო მის დამკავებელს სასტიკად სცემენ და ემუქრებიან თვითგასამართლებით". ასეთ ვითარებაში კი ქალაქის მილიცია უუნაროა მისი მცირერიცხოვნების გამოო.

მდგომარეობის გამოსწორებისათვის მიზანშეწონილად მიიჩნიეს: ქალაქის ქუჩების განათება, მოქალაქეთაგან წესრიგის დამცველი რაზმების შედგენა და ღამით ქუჩებში მორიგეობა, მილიციისა და მისი სადაზვერვო სამსახურის რიცხობრივი გაზრდა (რისთვისაც მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს მიმართეს ფულადი დახმარებისათვის), ქალაქში მყოფი ქართული ბატალიონის ჯარისკაცთა პატრულირება მთელი ღამით, გაურკვეველი საქმიანობის პირთა ქალაქიდან გასახლება, აგრეთვე, სისხლის სამართლის დამნაშავეთა ხელშემწყობების დაპატიმრება; ქალაქში მომსველელ-გამსველელებზე მკაცრი კონტროლის დაწესება.

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, 1918 წ. დასაწყისში ვითარება არ შეცვლილა. 3 თებერვალს ბათუმის ოლქის კომისარი თბილისში ხელმძღვანელობას მოახსენებდა: „ძარცვა და ყაჩაღობა უსაზღვროდ გაიზარდა. მასთან საბრძოლველად იქმნება საოლქო მილიციის რეზერვი 150 კაცის შემადგენლობით".[191]

ქ. ბათუმსა და მის ოლქში შექმნილი ვითარება ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ყოველგვარი უწესრიგობისა და ავანტიურიზმისათვის, რისი ტონის მიმცემნიც 1917 წ. ოქტომბრის შემდეგ უპირატესად იყვნენ ბოლშევიკები. მათივე პარტიული პრესის მოწმობით: უკვე ნოემბრის დასაწყისში ბათუმში გამართულა ბოლშევიკთა და მათ თანამგრძნობთა 1500-კაციანი კრება, რომელიც მიესალმა „რუსეთის დიდ რევოლუციას და მის შემოქმედს - პეტროგრადის პროლეტარიატს"; 3 დეკემბერს მათივე თაოსნობით ჩატარებულმა სახალხო კრებამ „ჭეშმარიტ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებად" სცნო რუსეთის სახალხო კომისართა საბჭო და სრული ნდობა გამოუცხადა მას.[192]

ბოლშევიკების გამოღვიძება-გააქტიურებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმანაც, რომ ბათუმის ოლქის რუსულ მოსახლეობაში და ტრაპიზონის ფრონტიდან დაძრულ ჯარისკაცებში აშკარად შეიმჩნეოდა ველიკოდერჟავული სულისკვეთება,

---

190 იხ. Борьба за Советской власти в Аджарии..., док. №52, сс. 96-98.
191 სცსსა, ფ. 2081, აღ. 1, ს. 32, ფურც. 1.
192 Газ. «Кавказский рабочий», №№194, 223, 1917.

ანტიპათია რუსეთისაგან გამოცალკეევებული ამიერკავკასიისადმი და სიმპათიები რუსულ-ბოლშევიკური ხელისუფლებისადმი. ბოლშევიკები სწორედ ამ ძალებზე დაყრდნობით გეგმავდნენ საბჭოთა ხელისუფლების გავრცელებას ბათუმის ოლქზეც. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა 1918 წ. იანვრიდან, მას შემდეგ, რაც ლენინის მიერ საგანგებო კომისრად დანიშნული სტ. შაუმიანი თბილისში ჩამოვიდა ამიერკავკასიის გასაბჭოებისათვის გამოყოფილი 0,5 მილიონი ოქროს რუბლით. მარტის დასაწყისში ბოლშევიკებმა ამ მიმართებით პრაქტიკული ნაბიჯები ბათუმშიც გადადგეს, მაგრამ უშედეგოდ.

§5. კავკასიის ფრონტის მოშლა და სამხედრო მოქმედების განახლება

სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსული საბჭოთა მთავრობა არ სცნეს რუსეთის მოკავშირე ანტანტის სახელმწიფოებმა. ასევე არ მიიღეს მისი 1917 წ. 8 ნოემბრის[193] დეკრეტი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის შესახებ. ახალი ხელისუფლება არ აღიარა აგრეთვე რუსეთის გენერალიტეტმა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების უმრავლესობამ, მათ შორის ამიერკავკასიამაც.

იზოლაციაში მოქცეულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ ძირითად ამოცანად დაისახა მსოფლიო ომიდან სასწრაფოდ გამოსვლა და მთელი ძალების მობილიზაცია ქვეყნის შიგნით ძალაუფლების შენარჩუნება-განმტკიცებისათვის.

ომის დასკვნით ეტაპზე რუსეთთან ზავი აწყობდათ ორ ფრონტზე მებრძოლ გერმანიას და მის მოკავშირეებს. 15 დეკემბერს მათ შორის ბრესტ-ლიტოვსკში გაფორმდა კიდეც დროებითი დაზავების ხელშეკრულება, რითაც შეწყდა სამხედრო მოქმედება რუსეთის დასავლეთ ფრონტზე. 22 დეკემბერს იქვე დაიწყო მოლაპარაკება საბოლოო ზავის პირობების შესამუშავებლად, რაც დაძაბულად მიმდინარეობდა 1918 წ. 3 მარტამდე.

მეორე ფრონტის ლიკვიდაციას ესწრაფოდა დაუძლურებული ოსმალეთიც. ამიტომ 30 ნოემბერს მანვე შესთავაზა ამიერკავკასიის კომისარიატს დროებითი დაზავება.

მოლაპარაკება შედგა რკინიგზის სადგურ ერზინჯანში, რომელიც იმჟამად ეკავა რუსეთის ჯარს. ამიერკავკასიის დელეგაციას მეთაურობდა გენერალი ვიშინსკი. დელეგაციაში შედიოდა დეპუტატების სამხარეო საბჭოს სამი წარმომადგენელი (დაშნაკი - ჯამალიანი, სოციალ-დემოკრატები სმირნოვი და ე. თევზაია). ოსმალეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ფერიკ-ვეხიბ-მაჰმუდ-ფაშა. ერზინჯანის ხელშეკრულება[194] (შეიცავდა 14 პუნქტს) გაფორმდა 1917 წლის 18 დეკემბერს. კავკასიის ფრონტზე შეწყდა საომარი მოქმედება და დაწესდა სადემარკაციო ხაზი.

ერზინჯანის შემდეგ ოსმალეთი ჩქარობდა ამიერკავკასიასთან საბოლოო ზავის გაფორმებასაც, რათა აქ გამოთავისუფლებული ჯარები ინგლისის წინააღმდეგ გადაეყვანა სირიასა და მესოპოტამიაში. ამასვე მოითხოვდა მისი მოკავშირე გერმანიაც.

---

[193] ყველა თარიღი მოყვანილია ახალი სტილით - ავტ.

[194] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифл., 1919, с. 18-23.

ამიტომ, 1918 წლის 14 იანვარს ოსმალებმა ამიერკავკასიის მთავრობას ოფიციალურად შესთავაზეს სეპარატული მოლაპარაკების დაწყება, 16 იანვარს კი - ბრესტში მიმდინარე საზაკო კონფერენციაზე დელეგაციის გაგზავნა.[195]

ამიერკავკასიელმა პოლიტიკოსებმა ეს წინადადებები უპასუხოდ დატოვეს, რადგან მიაჩნდათ, რომ ბოლშევიკების ხელისუფლებაში ყოფნა და მათ მიერ დადებული ზავიც კი იყო დროებითი.

სამწუხაროდ, ქართველი სოციალისტები ასევე არ გამოეხმაურნენ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" მიერ 1917 წ. დეკემბერში ბერლინიდან გამოგზავნილ შეტყობინებას, რომ გერმანიის მთავრობა მზად იყო ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა 1914 წ. ომამდელ საზღვრებში და დაეცვა მისი ინტერესები სახაზაო კონგრესზე. „დამკომი" მოითხოვდა არ დაეყოვნებინათ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ბერლინში ოფიციალური დელეგაციის გაგზავნა, ან ასეთი რწმენებით თვით „დამკომი" აღეჭურვათ. იმავდროულად, გიორგი მაჩაბელი ბერლინიდან გადავიდა ბრესტში და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მოლოდინში, 1918 წ. შუა თებერვალამდე, როგორც „უმანდატო", უშუალოდ აკონტროლებდა მოლაპარაკების მსვლელობას, რომ იქ არ დაეშვა საქართველოსათვის რაიმე ტერიტორიული დანაკარგი.[196]

საქართველოს დამოუკიდებლობა შედიოდა გერმანიის ინტერესებშიც, რადგან ის გეგმავდა რუსეთის იმპერიის დასუსტება-დანაწევრებას მისგან განაპირა ეროვნული ტერიტორიების ჩამოცილების გზით. ქართველმა პოლიტიკოსებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს ეს ხელსაყრელი შემთხვევა და ლოდინის პოლიტიკა აირჩიეს. ამით სერიოზულად დაზარალდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. 1918 წ. 3 მარტს ხელმოწერილი ბრესტის საზაკო ხელშეკრულების მე-4 მუხლით, ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქების თვითგამორკვევის საფუძველზე ამიერკავკასიაში უნდა აღდგენილიყო რუსეთ-ოსმალეთის 1877 წ. საზღვარი.[197]

* * *

დროებითი დაზავების შემდეგ გაძლიერდა რუსთა ჯარების მიერ ფრონტის თვითნებურად მიტოვება. თუმცა, თანამედროვე სამხედრო პირთა ცნობით, „დეზერტირობამ შეზღუდული ფორმით თავი იჩინა უკვე თებერვლის რევოლუციის მომდევნო თვეებში".[198] ფრონტის რღვევის საწყისი მიზეზი იყო დისციპლინის მოშლა არმიაში და მისი პოლიტიზება, რასაც სათავე დაუდო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს №1 ბრძანებამ, რომლითაც ჯარისკაცებს მიეცათ ჩვეულებრივი მოქალაქის ყველა უფლება. ამიერიდან სამხედრო ნაწილებში ირჩევდნენ ჯარისკაცთა საბჭოებს, კომიტეტებს, აწყობდნენ მიტინგებს და ა.შ. ჯარი თანდათან გამოეიდა მეთაურთა მორჩილებიდან.

არმიაში გაელენის მოპოვებას ცდილობდა ყველა პოლიტიკური ძალა. ამ მხრივ

---

[195] იქვე, გვ. 24-25, 52.

[196] მ. სიორიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, ბათ., 1998, გვ. 100-104.

[197] ბრესტის საზაკო ხელშეკრულების ტექსტი იხ. Международные отношения и внешняя политика СССР (Сб. документов) 1871-1957 гг., М., 1957, с. 55-56,

[198] ვ. თევზაძე, ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, თბ., 1990, გვ. 11.

ფრონტიდან გამობარვის გარდა ჯარში ფესი მოიკიდა დეზერტირობის სხვა, უფრო შენიღბულმა ფორმამაც. კერძოდ, შვებულებით მიდიოდნენ სახლში და უკან აღარ ბრუნდებოდნენ. ეს გაადვილდა 1917 წ. ზაფხულიდან, როცა დროებითი მთავრობის კანონით შვებულება ეძლეოდა ჯარისკაცს, თუკი გარდაეცვლებოდა მამა, ან ძმები უნდა გაყრილიყვნენ და მიეღოთ თავიანთი წილი მემკვიდრეობა. „ასეთი შვებულების მისაღებად საკმარისი იყო სასოფლო თემის კომისრის მიერ ბეჭდით დამოწმებული ცნობის გაგზავნა სამხედრო-ნაწილში". ასეთი ბეჭდიანი ცნობის შოვნა კი ძნელი არ იყო, — შენიშნავს მემუარისტი (სჯმხგ, ს. 4641, ფურც. 53).

აღსანიშნავია ბოლშევიკური პარტია, რომელმაც სათანადოდ შეაფასა გაჭიანურებული ომისადმი ხალხის მსარდი უკმაყოფილება და გააჩაღა ანტისაომარი პროპაგანდა. ბოლშევიკების გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა რუსეთში ხელისუფლების სათავეში მათი მოსვლის, აგრეთვე, „ზავის“ და „მიწის“ შესახებ დეკრეტების გამოქვეყნების შემდეგ. ამანვე გააძლიერა ფრონტის რღვევაც. ჯარისკაცთა მასა, რომელიც ძირითადად გლეხებისაგან შედგებოდა, შინისაკენ ისწრაფოდა, რათა მემამულეთა და სამონასტრო მიწების დანაწილებისას არ დაეკარგათ თავიანთი წილი.

ეითარება დაიძაბა კავკასიის ფრონტ'ზეც. ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოვიდა მეთაურთა მორჩილებიდან. ისინი მოითხოვდნენ ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და ზავის დადებას. ამის წინააღმდეგ წავიდა ტრაპიზონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ესერული ხელმძღვანელობა. მაშინ მე-8 არმიის ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ მთავრობის უარის შემთხვევაში, თვითონ დადებდნენ ზავს.[199] 39-ე დივიზიის ჯარისკაცებმა კი ფრონტი მიატოვეს და რუსეთისაკენ გაუდგნენ გზას.[200]

ასეთ ხელსაყრელ პირობებში ტრაპიზონელი ბოლშევიკებიც გამოეყენნენ ერთიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და 1917 წ. დეკემბრის დამლევს ტრაპიზონის დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელობაშიც მოიპოვეს უმრავლესობა. მის თავმჯდომარედ გავიდა ბოლშევიკი ბესარიონ კვირკველია, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ კი - დათიკო ნასარიძე.[201]

ფრონტის მოშლა ბოლშევიკებმა დაიწყეს ჯერ კიდევ დროებითი მთავრობის პერიოდში, როდესაც გადაწყვიტეს შეიარაღებული აჯანყებით მისი დამხობა და ძალაუფლების ხელში აღება. ასეთი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობით მათ, ფაქტობრივად, მეხუთე კოლონის როლი შეასრულეს რუსეთთან მებრძოლი გერმანიისა და მისი მოკავშირეებისათვის.

უკანასკნელ პერიოდში არაერთი დოკუმენტი გამოქვეყნდა გერმანიის ბლოკის სახელმწიფოების სპეცსამსახურებთან ბოლშევიკთა ზოგიერთი ლიდერის პირდაპირი თუ არაპირდაპირი თანამშრომლობის შესახებ. ამ მხრივ გამონაკლისს არც ტრაპიზონელი ბოლშევიკები წარმოადგენდნენ. უცხოეთის სპეცსამსახურებთან დაკავშირებული პირის აღიარებით, გერმანიის დაზვერვის ემისარმა ფონ-კუნმა „მოახერხა ტრაპიზონის აღმასკომის და რევკომის თავმჯდომარეთა მოსყიდვა. მათ უნდა მიეღოთ ზომები, რომ ჯარისკაცები თვითნებურად წასულიყვნენ ტრაპიზონიდან სამშობლოში - რუსეთში. [202]

ჯარისკაცებში გავლენის მოპოვებას ცდილობდნენ ბათუმელი ბოლშევიკებიც. ისინი 1917 წ. ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ შესამჩნევად მოღონიერდნენ,[203] მაგრამ ბათუმის დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელობაში უპირატესობა კვლავ ესერებს და მენშევიკებს ეპყრათ. ამიტომ ბოლშევიკებში წარმოიშვა საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული აჯანყების გზით დამყარების აზრი. მით უმეტეს, რომ მათ ბათუმში უკვე ჰყავდათ 150-კაციანი მებრძოლი გვარდია, ხოლო ნავსადგურში იდგა რუსეთის სამხედრო ფლოტის ესკადრა. რაზმი შეიქმნა 1917 წ. დეკემბერში

---

199 ბ.ცქვიტარია, აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიიდან (1917-1922 წწ.), ბათ., 1973, გვ. 51.

200 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 71.

201 ბ.ცქვიტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 52-55.

202 იხ. სცსსა, ფ. 1854, ან. 1, ს. 725, ფურც. 1-24.

203 1917 წ. შემოდგომისათვის ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია აერთიანებდა 100-მდე წევრს, ხოლო 1918 წ. დასაწყისში 700-ს (Чулок И.С. Очерки истории Батумской коммунистической организации (1890-1921 гг.), Бат., 1970, с. 242.

ბოლშევიკური პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის დადგენილებით[204] დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან მობილიზებულთაგან ოფიციალურად მას დაერქვა „ცენტროფლოტის დამცავი რაზმი", რადგან ის განთავსდა ბათუმის პორტის ტერიტორიაზე და ფორმალურად ექვემდებარებოდა სამხედრო-საზღვაო კომიტეტს. ამის გამო მას „საზღვაო ასეულსაც" უწოდებდნენ.[205] პარტიული ხაზით რაზმი ემორჩილებოდა ბოლშევიკების ბათუმის კომიტეტს, სამხედრო თვალსაზრისით კი — ხელმძღვანელ შტაბს.[206]

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვაო ასეული ბოლშევიკებმა შექმნეს სოციალ-დემოკრატი მენშევიკების წაბაძვით, რომლებმაც 1917 წ. შემოდგომაზე ბათუმელი მუშებისაგან ჩამოაყალიბეს დისციპლინებული და კარგად შეიარაღებული გვარდია. ლიდერობისათვის მებრძოლმა ბოლშევიკებმაც გადაწყვიტეს არ ჩამორჩენოდნენ მოვლენებს და ბათუმის მოსახლეობაში თავიანთი ძალმოსილების დემონსტრირებისათვის შექმნეს საკუთარი გვარდია.

1918 წ. თებერვლიდან, ამიერკავკასიის გასაბჭოებისათვის აქტიურად მზადების ვითარებაში, სამხარეო კომიტეტმა საზღვაო ასეულს დააკისრა იარაღის შოვნა და გადაგზავნა დასავლეთ საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებში წითელგვარდიელთა რაზმების შესაქმნელად; ფრონტიდან დემობილიზებულ ჯარისკაცთა შორის საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლო აგიტაცია და მათი ზღვით ორგანიზებულად გადაყვანა ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთის ცენტრალურ ნაწილში თეთრგვარდიელების წინააღმდეგ საბრძოლველად; ფრონტიდან მოსული გემების გაჩხრეკა და ანტიბოლშევიკურად განწყობილ სამხედროთა განიარაღება; ტრაპიზონელ თანამოაზრეებთან მჭიდრო კავშირის დამყარება, საბჭოთა ფრონტზე იარაღის და სურსათის გადასროლის მიზნით.[207]

კავკასიის არმიის დაშლა განსაკუთრებით გაძლიერდა ერზინჯანის დროებითი დაზავების შემდეგ. ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად ტოვებდნენ ფრონტს. ისინი უარს ამბობდნენ იარაღის ჩაბარებაზე, რაც ქმნიდა მასობრივ უწესრიგობათა დიდ საშიშროებას.

ფრონტის რღვევამ იმდენად სტიქიური ხასიათი მიიღო, რომ კავკასიის არმიის II ყრილობის მიერ არჩეულმა ბოლშევიკური ორიენტაციის სამხარეო საბჭომაც კი, 1918 წ. 11 იანვარს, ჯარისკაცებს მიმართა მოწოდებით: „არ დატოვოთ პოზიციები თვითნებურად, სახკომსაბჭოს და არმიის სამხარეო ცენტრის გადაწყვეტილების გარეშე. ფრონტიდან გამოუტანელი დარჩება სურსათის და იარაღის მარაგი, ასეულობით მილიონი რუბლის სხვა ქონება. თქვენ არ უნდა გააშიშვლოთ ფრონტი და არ მიატოვოთ მოსახლეობა... მძარცველი ბანდების ამარა. დროებითი ზავი დადებულია, საბოლოო ზავიც ახლოსაა. კავკასიის არმიის ახალი სამხარეო საბჭო დაუყოვნებლივ შეუდგება არმიის გეგმაზომიერ დემობილიზაციას".[208]

ფრონტის რღვევასთან დაკავშირებით ბოლშევიკების მიერ ტაქტიკის შეცვლა საგარეო საფრთხეზე უფრო იმით იყო ნაკარნახევი, რომ პეტროგრადსა და მოსკოვში ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ, პირველ თვეებში, საბჭოთა ხელისუფლება ინერციის ძალით დამყარდა რუსეთის შიგა გუბერნიებში და აქტიურად მოიწევდა

204 ამხგ., ფ. 11, ს. 5, ფურც. 3.
205 ასეულის მებრძოლთა უმრავლესობა გურიის სოფლებიდან იყო. ამიტომაც მას „გურიის ასეულსაც" ეძახდნენ (Чулок И.С., დასახ. ნაშრ., გვ. 255).
206 ამხგ., ფ. 11, ს. 5, ფურც. 3-6.
207 იქვე, ფურც. 7.
208 ის. Борьба за победу Советской власти в Аджарии. Сб. документов. 1917-1921 гг., Бат., 1961, с. 102-103.

სამხრეთისაკენ. შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიელი ბოლშევიკების წინაშე დაისახა ორი პარალელური ამოცანა: უზრუნველეყოთ მათ გავლენაში მყოფი ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაყვანა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად; ხოლო მეორე მხრივ, მათზე დაყრდნობით მოეხდინათ ამიერკავკასიის გასაბჭოებაც.

უკვე 1918 წ. დასაწყისისათვის ნოვოროსიისკსა და ტუაფსეში „მოგროვდა 40 ათასამდე ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცი კავკასიის ფრონტიდან",[209] რომლებმაც მალე შეუტიეს ეკატერინოდარს. თებერვალში დაიკავეს როსტოვისა და ნოვოროსიისკის მხარე. მარტის დამდეგს კი საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს ჩრდილოეთ თერგზე. გაჩნდა ამიერკავკასიის გასაბჭოების საფრთხეც. მით უმეტეს, რომ ამ მიზნით უკვე 1918 წ. იანვარში მოსკოვიდან თბილისში გამოგზავნეს საგანგებო საქმეთა კომისარი სტ. შაუმიანი, აქ შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად.[210]

ბოლშევიკთა მხარდამჭერები მომრავლდნენ საქართველოს სოფლებშიც. ისინი, ძირითადად, იყვნენ რუსეთის დასავლეთის ფრონტიდან დემობილიზებული ჯარისკაცები, რომლებიც უამბობდნენ თანასოფლელებს, თუ როგორ უსასყიდლოდ დაურიგდა მიწები გლეხობას ლენინის დეკრეტის საფუძველზე.

აგრარული მოძრაობის გააქტიურებამ აიძულა ამიერკავკასიის კომისარიატი, უკვე 1917 წლის დეკემბრის დამლევს, გამოეცა დეკრეტი მიწის შესახებ. 1918 წლის მარტში სეიმმაც მიიღო შესაბამისი კანონი, რომლითაც გამოცხადდა მთელი მიწების ნაციონალიზაცია. მაგრამ, როგორც გაზ. „ერთობა" შენიშნავდა: „გადაუჭრელი რჩებოდა, თუ ვის, რა პირობებში უნდა გადასცემოდა ჩამორთმეული მიწა".[211]

ბოლშევიკურ-აგრარული სტიქია ძლიერი იყო სამეგრელოს რაიონებში. აქ შექმნილ გლეხთა რაზმებზე დაყრდნობით ბოლშევიკებმა 1918 წ. მარტში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს ჯერ მარტვილის რაიონში, ხოლო შემდეგ ზუგდიდის მაზრაშიც. აპრილის დამდეგს ბოლშევიკებმა აჯანყება დაიწყეს აფხაზეთში და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც 42 დღე იარსება. ამავე პერიოდში რუსმა და ქართველმა ლენინელებმა აჯანყების ცეცხლი დაანთეს შიდა ქართლში კომპაქტურად მცხოვრებ ოსებშიც. არაქართველებით დასახლებულ რაიონებში ბოლშევიკური პროპაგანდა მიმდინარეობდა ანტიქართული განწყობილების გაღვივების სულისკვეთებით და ეს მაშინ, როდესაც ამიერკავკასიას ემუქრებოდა ოსმალთა შემოსევის საფრთხე.

ზემოაღნიშნული „საბჭოთა აჯანყებების" იარაღით მომარაგება ბათუმელმა და ტრაპიზონელმა ბოლშევიკებმა უსრუნველყვეს, ხოლო ტრაპიზონიდან საბრძოლო იარაღის პრაქტიკულად გამოტანა და მისი დანიშნულებისამებრ გადაგზავნა „საზღვაო ასეულის" რაზმელებმა განახორციელეს.[212] ამგვარი საქმიანობით მათ მეხუთე კოლონის როლი შეასრულეს ფრონტზე ოსმალთა შემოტევის ვითარებაში.

ამიერკავკასიის კომისარიატმაც სცადა ფორმირების პროცესში მყოფი თავისი არმიის ტრაპიზონის მარაგიდან შეიარაღება. ამ მიზნით იქ გაიგზავნა მენშევიკური გვარდიის 150-კაციანი რაზმი ს. დადიანის ხელმძღვანელობით, მაგრამ ეს საქმე ჩაშალა ტრაპიზონის რევკომის თავმჯდომარემ დ. ნასარიძემ.[213]

---

209 Чавлеишвили М.И., Октябрская революция и борьба за установление Советской власти в Аджарии (1917-1921 гг), Бат., 1987, с.37

210 Борьба за победу Советской власти в Аджарии, - Сб., документов, с. 107-109.

211 მ.ჯიჯეიშვილი, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში (1917-1921 წწ.), ბათ., 1957, გვ. 42-43.

212 ამხვ. ფ. 11, ს. 5, ფურც. 26-28.

213 ბ.ცქვიტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

სამხედრო მოძმედების განახლება ფრონტზე. ფრონტის აქტიური რღვევის პირობებში ამიერკავკასიის ხელისუფლების ინიციატივით დაიწყო დამოუკიდებელი არმიის ფორმირება ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ეროვნული კორპუსების მიხედვით. ამის პარალელურად, სარდლობამ შეიმუშავა კავკასიის ფრონტზე მყოფი ჯარის ნაწილების ევაკუაციის გრაფიკი და მარშრუტი. მაგრამ ჯარისკაცები დემობილიზაციის გეგმას არად აგდებდნენ და იარაღასხმულები ფეხით მოეშურებოდნენ ფრონტიდან. 1918 წ. იანვარში ბათუმის ციხე-სიმაგრის კომენდანტი კავკასიის ფრონტის სარდალს ატყობინებდა, რომ „ბათუმში საერთოდ არაა თავისუფალი შენობები. სურსათი დალეული პირსია... ჯარების გეგმაზომიერ ევაკუაციაში უკვე ქაოსია."[214]

ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარების გამწვავების გამო, მალე ამიერკავკასიის რკინიგზასაც შეწყდა მოძრაობა და ბაქოს გაელით ჯარების ევაკუაცია შეუძლებელი გახდა. 25 იანვარს კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი სევასტოპოლის, ნოვოროსიისკისა და ბათუმის საზღვაო კომიტეტებს ატყობინებდა — ამ საშინელ ყინვაში გზასე მყოფ ჯარებში მოსალოდნელია ბუნტი. ამიტომ აუცილებელია მათი ევაკუაცია მოხდეს ზღვით, ბათუმის პორტიდანო.[215]

ამიერკავკასიის მთავრობამ ფრონტის დაცარიელებული უბნების შევსება დაიწყო შედარებით მცირერიცხოვანი ქართული და სომხური ნაწილებით, მაგრამ ამ უკანასკნელში დისციპლინა აშკარად მოისუსტებდა. ერსინჯანში, ოლთისში და ზოგ სხვა პუნქტში ადგილი ჰქონდა სომეხი რაზმელების მიერ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის დარბევის ფაქტებსაც. ეს კარგად გამოიყენა ოსმალეთის მხარემ და ამიერკავკასიის მთავრობასთან ინივლა. 1918 წ. იანვარ-თებერვლის ნოტებში[216] ფაქტები გაზვიადებულად იყო წარმოჩენილი და, ჩანს, მიზნად ისახავდა ნიადაგის მომზადებას ოსმალეთის არმიის წინ წამოსაწევად.

12 თებერვალს კავკასიის არმიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ილია ოდიშელიძემ ვეხიბ-ფაშასაგან მიიღო უფრო პრეტენზიული ტელეგრამა, რომელშიც მუქ ფერებში იყო დახატული მუსლიმან მოსახლეობაზე სომეხთა ძალადობა. ამიტომაც „მე ველარ შევძლებ ჩემი ჯარების შეჩერებას მდუმარე მოწმეების როლშიო, - იტყობინებოდა ოსმალთა მთავარსარდალი, - მათი სიცოცხლის და ქონების დაცვის მოვალეობა მაიძულებს დავიკავო ის ადგილები, რომლებიც დატოვეს რუსეთის ჯარებმა". ამასთან, ვეხიბი ირწმუნებოდა, რომ დროებითი ზავი ძალაში რჩება, გარდა სადემარკაციო ხაზის განმსაზღვრავი პარაგრაფისა, რომელმაც რუსის ჯარის წასვლის შემდეგ თავისთავად დაკარგა მნიშვნელობაო.[217]

ხაზგასასმელია, რომ დროებითი ზავი ოსმალებმა სათანადოდ გამოიყენეს. განადგურების პირას მისული მე-2 და მე-3 არმიები სხვა ფრონტებიდან გადმოსროლილი ჯარებით შეავსეს და შექმნეს 5 ახალი დივიზია. გარდა ამისა, კავკასიის ასპარეზზე გადმოიყვანეს ქურთების და „ჩეთეს" რამდენიმე საკავალერიო რაზმი, რითაც კავკასიის ფრონტზე დამატებით თავი მოუყარეს 25 ათასამდე მებრძოლს.[218]

კავკასიის ფრონტის სარდალმა გენერალმა ლებედინსკიმ, ძალების მცირერიცხოვნების გამო, თავი აარიდა შეტაკებას, უბრძანა ჯარებს დაეტოვებინათ სადემარკაციო ხაზი და დაეხიათ ახალ თავდაცვით მიჯნაზე (ჩარბორ-ახტალა-ვანის ხაზზე).[219]

---

[214] სცსსა, ფ. 1818, ან. 2, ს. 34, ფურც. 82, 94; იქვე, ფ. 1968, ან. 1, ს. 22, ფურც. 60.
[215] იქვე, ფ. 1818, ან. 2, ს. 34, ფურც. 39.
[216] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, сс. 41-46.
[217] იქვე, გვ. 49-50.
[218] Пипия Г.В. Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг., М, 1978, გვ. 97.
[219] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 49-50.

ამასთან, მან ოსმალთა შემოტევის შეწერება მოლაპარაკებითაც სცადა. 14 თებერვლის დეპეშაში ვეხიბ-ფაშასადმი გენ. ლებედინსკი პირობას აძლევდა, რომ ყველა ღონისძიებას გაატარებდა მაჰმადიანური მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად. ამასთან, შეახსენებდა, რომ ოსმალეთის ჯარების შემდგომ წინსვლას შეეძლო დაერღვია დროებითი დაზავება და შეეფერხებინა საბოლოო ზავის დადებაც.[220] ამის მიუხედავად, მოწინააღმდეგე მთელ ფრონტზე განაგრძობდა წინსვლას.

ამიერკავკასიის ჯარების ზურგში ამოქმედდნენ ქურთების და „ჩეთეს“ რაზმები. ისინი წვავდნენ ხიდებს, აზიანებდნენ გზებს, რითაც აფერხებდნენ ორგანიზებულ უკანდახევას. ვერ მოხერხდა არტილერიისა და მოძრავი ტრანსპორტის დიდი ნაწილის ევაკუაცია. ძლიერი სიცივეების გამო უკანდახეულმა მეომრებმა და ლტოლვილებმა ასეულობით კაცი დაკარგეს მოყინულთა სახითაც. ამას დაერთო ამიერკავკასიის დამცველთა ძლიერი სულიერი დეპრესია. ერზინჯანის რაზმის უფროსის — პოლკოვნიკ მორელის ცნობით: „სამხედროთა და მოხალისეთა შორის შეიმჩნევა ძლიერი სწრაფვა ზურგში წასასვლელად. ასევე დაქვეითებულია მებრძოლი სული ოფიცერთა დიდ ნაწილშიც“.[221]

შექმნილ ვითარებაში ოსმალთა ჯარებმა უკვე 13 თებერვალს დაიკავეს ქ. ერზინჯანი, შემდეგ - გიუმუშხანე, ბაიბურთი და ტრაპიზონი, 12 მარტს დაეცა ერზერუმი, ხოლო 19 მარტს - არტაანი. ამით მათ გადმოლახეს რუსეთ-თურქეთის 1914 წლის საზღვრები.

უკანდახეულ ჯარს წინ უძღოდა ლტოლვილთა დიდი მასა, რომლის მნიშვნელოვანმა ნაწილმა თავი მოიყარა ბათუმში. ამის შესახებ კორესპონდენტი იუწყებოდა: „ოსმალეთის ფრონტის დაცარიელებამ (უმთავრესად ტრაპიზონის ფრონტის დაცლამ) ბათუმი ჭრელი ხალხით აავსო. ვინ გინდა, რომ დღეს ბათუმში არ იყოს: ეპოლეტახდილი გენერალ-აფიცრები, ჯარისკაცები, მატროსები, ბედის მაძებარი სპეკულანტი მოიჯარადენი, ინჟინრები, უსახლკარო ბერძნები, სომხები და სხვები. ქალაქი სავსეა ლტოლვილებით...“[222]

ბათუმში თავშეფარებულ ლტოლვილთა შორის უმრავლესობას შეადგენდნენ დემობილიზებული ჯარისკაცები. ისინი ტრაპიზონიდან ზღვით მიემგზავრებოდნენ ნოვოროსიისკსა და ტუაფსეში, მაგრამ, გემების უკმარისობის გამო, მნიშვნელოვანი ნაწილი სახმელეთო გზით მოემართებოდა ბათუმისაკენ, აქედან რუსეთში გასამგზავრებლად. რადგან სარკინიგზო მიმოსვლა მოშლილი იყო, ჯარისკაცთა მასა ახალ, დიდ პრობლემებს უქმნიდა ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ბათუმს. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო დემორალიზებულ ჯარისკაცებს ქალაქში მაროდიორობა დაეწყოთ და არეულობა გამოეწვიათ. ამიტომ ბათუმის საქალაქო ხელისუფლება და საზოგადოებრიობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ჯარისკაცები მინიმალურად მაინც უზრუნველეყოთ დროებითი დამისსათვით, სურსათ-სანოვაგით და რაც შეიძლება მალე გაესტუმრებინათ სამშობლოში.[223]

1918 წლის მარტის მოვლენები ბათუმში. ქვეყნისათვის ასეთ მძიმე მდგომარეობაში, მარტის დამდეგს, ბოლშევიკებმა ბათუმშიც დაგეგმეს ძალაუფლების ხელში აღება, მაგრამ მხოლოდ „საზღვაო ასეულზე“ დაყრდნობით, ისიც გასამხედროებულ ქალაქში, ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდებოდა. ამიტომ რსდმპ (ბ) ბათუმის კომიტეტი დაუკავშირდა შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებს, რომლებიც ბოლშევი-

220 იქვე. გვ. 50-51.
221 იქვე. გვ. 57-60.
222 გაზ. „ერთობა“, №42, 1918 წ.
223 აცსა, ფ. 67, ან. I, ს. 13, ფურც. 83-85.

კობაზე დებდნენ თავს, თუმცა, მათში ანარქიზმი უფრო ჭარბობდა.

სამხედრო-საზღვაო ფლოტში ყველაზე მწვავედ ინინა თავი დისციპლინის მოშლამ. როგორც გაზ. „კავკაზსკოე სლოვო“ შენიშნავდა, გალოთებული და გახულიგნებული მატროსები თავს ყველაფრის უფლებას აძლევდნენ: ისინი არავითარ ვალდებულებას არ ცნობდნენ და ოფიცრები ისე დააშინეს, რომ გემები საკუთარი ნება-სურვილით მიმოჰყავდათ. მათ ხელში მოხვდა ტრაპიზონის სამხედრო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლითაც ისინი ეჯრობდნენ კერძო პირებზე და თურქებთანაც კი. მაშინ, როდესაც ბათუმის მოსახლეობა თითქმის ბსით იკვებებოდა, მისთვის განკუთვნილი 32 ათასი ფუთი პური ფქვილი დაისაკუთრეს „ტრანსპორტ 84“-ის მატროსებმა და გასაყიდად ტრაპიზონსა და კერასუნტში გაიტანეს. ასევე არ აღწევდა დანიშნულების ადგილს ბათუმიდან სევასტოპოლში, „ცენტროფლოტისათვის“ გაგზავნილი ბენზინის, მაზუთის და ნავთის მნიშვნელოვანი ნაწილი - მათ მატროსები გზადაგზა ჰყიდდნენ და შემოსავალს იჯიბავდნენ. ამგვარი საქმიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა კრეისერ „კაროლ კარლის“ და ნაღმოსან „სარატოვის“ ეკიპაჟები.[224]

მატროსებმა დაიწყეს მეკობრეობაც. ისინი ძარცვავდნენ ზღვის სანაპირო პუნქტებს. განსაკუთრებით ტერორიზებული ჰყავდათ საბაზო ნავსადგურ ბათუმის მოსახლეობა. მათი ძალადობა ყოველგვარ ზღვარს გასცდა ბრესტის ზავის გაფორმების შემდეგ. ქალაქის ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად დაეხეტებოდნენ შეზარხოშებული მატროსები და უშვერი სიტყვებით იგინებოდნენ - „დამოუკიდებლობა გინდათ და არ ცნობთ ბრესტის ზავსო“.

„გაბოლშეეიკებული“ მატროსები არ ცნობდნენ ამიერკავკასიის ხელისუფლებასაც. ტრაპიზონის კონფერენციაზე სამთავრობო საზავო დელეგაციის ბათუმიდან მგზავრობისათვის კრეისერ „კაროლ კარლის“ ეკიპაჟმა მოითხოვა დიდი თანხა, 16 მარტს კი დელეგაცია თვითნებურად მიატოვა და დაბრუნდა ბათუმში.

ბრესტის ზავმა აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა ბოლშეეიკებში. მათი ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ ბათუმის დათმობა გამორიცხავდა იქ ძალაუფლების ხელში აღებას. მეორე ჯგუფი კი აყენებდა საპირისპირო წინადადებას. სამხედრო საზღვაო ფლოტის მეზღვაურებშიც გაძლიერდა სევასტოპოლში წასვლის განწყობილება.[225]

სამხედრო-საზღვაო ფლოტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმის გამაგრების სისტემაში. ამიტომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ნავსადგურში დარჩენილ სამხედრო გემების წარმომადგენლებს შესთავაზა შესაბამისი ანაზღაურების ფასად მონაწილეობის მიღება ოსმალებისაგან ქალაქის დაცვაში.[226] მათი პასუხი ჯერ მიკიბულ-მოკიბული იყო. ისინი გასამრჯელოსათვის მზად იყვნენ გემებზე გადაეტანათ და „გადაერჩინათ“ ქონება, თუ ოსმალები შეეცდებოდნენ ბათუმის დაუფლებას. შემდეგ კი განაცხადეს, რომ ფლოტი საერთოდ დატოვებდა ბათუმის ნაემისადგომს.

16 მარტს ჩატარდა სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა ყრილობა, რომელმაც მხარი დაუჭირა ბათუმის დაცვის აუცილებლობას, მოითხოვა სამხედრო ფლოტის გაძლიერება და ქალაქის დაცვის საკითხზე „ცენტროფლოტის“ პოზიციის გაცნობა.[227]

---

[224] Борьба за победу Советской власти в Аджарии. Документы и материалы, с.с. 113-116; რ.გაბაშვილი, რაც მახსოვს, იხ. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება“, ტ. 3, თბ., 1992, გვ. 194-196.

[225] მ. სიორიძე, კიდევ ერთხელ 1918 წლის 5(18) მარტის მოვლენების შესახებ ბათუმში. - ბათუმის სახ. უნ-ტი შრომები, III, 1999, გვ. 172.

[226] გაზ. „ერთობა“, №53, 1918.

[227] მ.ჯიჯეიშვილი, საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოს მშრომელთა ბრძოლის ისტორიიდან (1918 წ. 5(18) მარტის ამბები ბათუმში). - ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III, თბ., 1958, გვ. 127-128.

17 მარტს, ბათუმის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, ნ. ჟორდანიას ინიციატივით მოიწვიეს პოლიტიკური პარტიების და დეპუტატების საბჭოს გაერთიანებული სხდომა. დაარსდა ერთიანი რევკომი, რომელშიც შევიდა ბოლშევიკების წარმომადგენელიც. ფორმალურად ეს ნიშნავდა ბათუმის თავდაცვის ერთიანი ფრონტის შექმნას.[228] ამავე პერიოდში ქალაქში გავრცელდა არცთუ უსაფუძვლო ხმები მოწინააღმდეგის მიერ მეზღვაურების მოსყიდვის შესახებ. ბოლშევიკების წინააღმდეგობისა და ნ. ჟორდანიას შემრიგებლობის გამო, აღნიშნულ სხდომაზე არ მოხერხდა დადგენილების გამოტანა სამხედრო ფლოტის განიარაღების თაობაზე.

ასეთ ვითარებაში, 17 მარტს, საღამოს, ბათუმში ჩამოვიდა ამიერკავკასიის ეროვნებათშორისი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ნოე რამიშვილი, რომელიც სოციალ-დემოკრატ ლიდერთა შორის ყოველთვის გამოირჩეოდა ენერგიული მოქმედებით. რ. გაბაშვილის გადმოცემით, ნ. რამიშვილი, „როგორც კი გაიგო საქმის მდგომარეობა, ცეცხლივით დატრიალდა, შეაგროვა გვარდიელები და განთიადისას, შორიდან ვუყურებდით, ქართველებმა როგორ თოფის გაუსროლელად ჩაიგდეს ხელში ჯავშნიანი გემი, გამოიყვანეს თვალ-მოუფშენტელი, პირდაუბანელი 250 მატროსი და ბათომის ციხეში უკრეს თავი“.[229] იმავდროულად დააპატიმრეს ნაღმოსან „სარატოვის“ და სხვა მომცრო სამხედრო გემების ეკიპაჟები. სულ ხელთ იგდეს 10 გემი და 300-ზე მეტი მატროსი.

18 მარტს, დილით, სამთავრობო ჯარმა დაიკავა ბათუმის რადიოსადგური. „საზღვაო ასეულის“ ნეიტრალიზაციის მიზნით, მას ალყა შემოარტყა მენშევიკური გვარდიის რაზმმა. ბოლშევიკურ ასეულს მიეცა წინადადება დაეყარათ იარაღი. ამ უკანასკნელმა, დროის გაყვანის მიზნით, დაიწყო მოლაპარაკება. იგი დღის ბოლომდე გაგრძელდა. საღამოს კი ბოლშევიკმა რაზმელებმა ისარგებლეს სიბნელით და მცირე ჯგუფებად გაიპარნენ ქალაქიდან.[230] ასე დასრულდა ბოლშევიკების „საზღვაო ასეულის“ არსებობა.

ფლოტის ხელში ჩაგდების შემდეგ დადასტურდა მატროსთა მარადიორობის ფაქტები. გაზ. „კავკასსკოე სლოვოს“ თანახმად: „კარლ კარლის“ ეკიპაჟის დაპატიმრებისას იქ აღმოჩნდა ტყვავის, საკვები პროდუქტების და სხვ. საქონლის მნიშვნელოვანი მარაგი, აგრეთვე 5 ათასი შაშხანა. არანაკლები მარაგი იყო „სარატოვზეც“. ხრეკისას მატროსებს უპოვეს სულ 800 ათასი რუბლი, საშუალოდ ყოველ დაპატიმრებულზე მოდიოდა 2 ათასი რუბლი ჯიბის ფული“.[231] იგივე გაზეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამიერკავკასიის მთავრობის მიერ ფლოტის ხელში ჩაგდებას. „ამით ჩვენ გაბატონებულ მდგომარეობას ვიძენთ ზღვაზე. ასევე დაზღვეული ვართ თურქეთის სადესანტო ოპერაციებისაგან და, საერთოდ, ფლოტის დაუფლებით თავდაცვის საკითხი სანახევროდ გადაწყვეტილიაო“, - შენიშნავდა კორესპონდენტი.

იმავე დღეს დაიწყო ზრუნვა ფლოტის რეორგანიზაციისა და ქალაქის თავდაცვის განმტკიცებისათვის. ნ. რამიშვილმა დეპეშით შეატყობინა თბილისს 18 მარტს ბათუმში მომხდარი ამბები და მოითხოვა „მატროსების გამოგზავნა“. ამასთან, ითვალისწინებდა რა იმასაც, რომ ბათუმის ციხე-სიმაგრის ბატარეებზე არტილერისტებად იყვნენ ახალწვეულნი, ითხოვდა პროფესიონალ არტილერისტ ოფიცრებს „არანაკლებ 30 კაცისა“. ნ. რამიშვილი შემდეგ დასძენდა: „ძალები ბათუმში თავს იყრიანო“.[232] ახლად

[228] მ.ჯიჯეიშვილი, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში, გვ. 49-50.
[229] რ.გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 196.
[230] ამბე., ფ. 11, ს. 5, ფურც. 10.
[231] Борьба за победу Советской власти в Аджарии. Документы и материалы, с. 116.
[232] იქვე. გვ. 112-113.

შეძენილი ფლოტის სარდლად დაინიშნა სამხედრო-საზღვაო ოფიცერი ჭაეჭავაძე.

აღსანიშნავია, რომ უკრაინელმა და რუმინელმა[233] საზღვაო ოფიცრებმა, რომლებიც გახარებულნი იყვნენ მეამბოხე მატროსთა ტყვეობიდან განთავისუფლებით, თანხმობა განაცხადეს დარჩენილიყვნენ და ემსახურათ ამერიკაელებისაკენ ფლოტში.

სამწუხაროდ, სოციალ-დემოკრატი მმართველები იწყებდნენ კარგად და ამთავრებდნენ ცუდად, რაც იყო მათი მოღვაწეობის თანმდევი ერთ-ერთი ნაკლი. 19 მარტს გამართულ თათბირზე ფლოტის ახალმა სარდალმა დააყენა გემების ძველი ეკიპაჟების კრიმინალური ნაწილის სამხედრო ტრიბუნალში მიცემის და მათი ახალი შემადგენლობით შეცელის საკითხი. „პროლეტარული სოლიდარობის" ინტერესებიდან გამომდინარე, ეს მოთხოვნა არ გაისიარეს სოციალ-დემოკრატმა მენშევიკებმა.[234]

იმავე 19 მარტს, ბოლშევიკების ინიციატივით მოიწვიეს „მუშათა კონფერენცია" წინა დღის ამბების გამოსარკვევად. შეკრებილ მუშათა წინადადებით ორივე სხდომა გაერთიანდა. კითხვაზე, თავდასხმა ფლოტზე სანქცირებული იყო თუ არა ბათუმის დეპუტატების საბჭოს მიერ - ნ. რამიშვილმა განაცხადა, რომ ეს განხორციელდა ამერიკაელების მთავრობის მიერ და წარმოადგენდა აუცილებელს ქვეყნის თავდაცვისათვის. მანვე გაიმეორა ფლოტის ეკიპაჟისადმი წაყენებული ბრალდებები და დასძინა, ამერიკაელებისაკენ ხელისუფლებას არც შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო, განსაკუთრებით „კაროლ კარლის" მიმართ, რომელმაც თვითნებურად მიატოვა ტრაპიზონში საზავო დელეგაცია და ამ მიზეზით იგი დარჩა თბილისთან რადიოკავშირის გარეშე. ამასთან, მატროსები ცდილობდნენ მოწინააღმდეგისათვის მიეყიდათ იარაღი და სურსათი. ბოლშევიკებმა კატეგორიულად მოითხოვეს დაპატიმრებული მეზღვაურების განთავისუფლება, გემზე გაშვება და ჩამორთმეული „პირადი ქონების" დაბრუნება. მათ მხარი დაუჭირეს სოციალ-დემოკრატმა მენშევიკებმაც. თანაპარტიელთა მხრივ ასეთმა წინააღმდეგობამ თვით უდრეკი ნ. რამიშვილიც გასტეხა. ენდვნენ მატროსთა სიტყვიერ დაპირებას, რომ ნებაყოფლობით დაქირაველებულის პრინციპით იმსახურებდნენ ამერიკაელებისაკენ ფლოტში. ისინი პატიმრობიდან გაათავისუფლეს და გემებზე გაამწესეს.

ახლად შეძენილი ფლოტი რამდენიმე დღის მანძილზე სათანადოდ უზრუნველყოფდა ბათუმის თავდაცვას, მაგრამ მალე საფლაგმანო კრეისერ „კაროლ კარლის" ეკიპაჟმა ისარგებლა ხელისუფლების მხრივ სიფხიზლის მოდუნებით და ბათუმიდან გაიპარა. ამასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა არაობიექტური შეხედულება, რომლის მიხედვითაც ფლოტი გაიტაცეს მასზე მყოფმა ბოლშევიკმა მატროსებმა და სევასტოპოლს მიაშურეს. თანამედროვის ცნობით, „კაროლ კარლი" გაიტაცა მისმა რუმინულმა ეკიპაჟმა და სამშობლოში დაბრუნდა.[235]

საფლაგმანო კრეისერის დაკარგვამ საგრძნობლად დასცა ბათუმის დამცველთა საბრძოლო სულისკვეთება, რამაც იმ დროს შექმნილ სხვა საგარეო და საშინაო პოლიტიკურ გარემოებებთან ერთად მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბათუმის თითქმის უბრძოლველად დათმობა მოწინააღმდეგისათვის.

ამრიგად, ფრონტის მოშლა და განადგურების პირას მყოფი ოსმალეთის სამხედრო წარმატება ამერიკაელებისაკენ განაპირობა: 1917 წ. რევოლუციებმა და სახელმწიფო გადატრიალებების შედეგად წარმოქმნილმა საერთო ანარქიამ და ქაოსმა, არმიის პოლიტიზებამ და ამ საფუძველზე მხედრული დისციპლინის მოშლამ, ბოლშე-

---

233 კრეისერი „კაროლ კარლი" რუსეთმა ომის პერიოდში შეიძინა რუმინეთისაგან. ამიტომაც ოფიცერთა ნაწილი ამ ქვეყნის წარმომადგენელი იყო.

234 რ.გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 198.

235 მ.სიორიძე, საქმრეთ-დასავლეთი საქართველო 1914-1918 წლებში, გვ. 198-199.

ვიკების ვიწრო პარტიულმა ინტერესებმა, რაც ნაკარნახევი იყო არმიაზე დაყრდნობით ცენტრში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და განაპირა რეგიონებში მისი გავრცელების მისწრაფებით; ამას ემატებოდა ამიერკავკასიის მთავრობის ძალაუფლების შეზღუდულობა და უუნარობა — ერთიან სახელმწიფოებრივ საწყისებზე მოეწყო ქვეყნის თავდაცვა; აშკარად იგრძნობოდა ის წინააღმდეგობანიც, რაც არსებობდა ამ მხარეში ფეხმოკიდებულ სოციალისტურ პარტიებს, აგრეთვე, ამიერკავკასიის სხვადასხვა მენტალიტეტის, რელიგიური აღმსარებლობისა და პოლიტიკური ორიენტაციის ხალხებს შორის, რასაც კიდევ უფრო აღვივებდა მოწინააღმდეგის მიერ კარგად მომზადებული სადაზვერვო და პროპაგანდისტული აპარატის ძირგამომთხრელი საქმიანობა.

§6. ტრაპიზონის საზავო კონფერენცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1918 წლის 12 თებერვალს ოსმალეთმა დაარღვია დროებითი ზავი და განაახლა სამხედრო მოქმედება. 14 თებერვალს ამიერკავკასიის სეიმმა გადაწყვიტა ოსმალეთთან დამოუკიდებელი საზავო მოლაპარაკების დაწყება და აცნობა მას ამის შესახებ.[236]

23 თებერვალს ოსმალეთის მხარემ აცნობა თბილისს, რომ თანახმა იყო მოლაპარაკება შემდგარიყო თბილისში, ბათუმში ან ნებისმიერ სხვა პუნქტში. იმავე დღეს ამიერკავკასიის სეიმისა და მთავრობის გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა, მოლაპარაკება გამართულიყო ქ. ტრაპიზონში, როგორც ნეიტრალურ პუნქტში, რაზეც დათანხმდა ოსმალეთის მთავრობაც.

1 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა ტრაპიზონის საზავო კონფერენციისათვის აირჩია დელეგაცია: ა. ჩხენკელი (თავმჯდომარე), ჰ. აბაშიძე, მ. გაჯინსკი, ი. გაიდაროვი, გ. გვაზავა, რ. კაჩაზნუნი, გ. ლასხიშვილი, დ. ღამბაშიძე, მ. მეხტიევი, ჰ. ხასმამედოვი, ა. ხატისოვი და ა.შეიხ-ულ-ისლამოვი.

იმავე სხდომაზე სეიმმა დაამტკიცა „ძირითადი დებულებები", რომლითაც ზავზე მოლაპარაკების საფუძვლად დაადგინა რუსეთ-ოსმალეთის 1914 წლის (ომამდელი) საზღვარი. გარდა ამისა, ამიერკავკასიის საზავო დელეგაციას უნდა მიეღწია აღმოსავლეთ ანატოლიის ხალხთა თვითგამორკვევისათვის, კერძოდ, „თურქეთის სომხეთის ავტონომიისათვის თურქული ხელისუფლების ჩარჩოებში".[237]

8 მარტს, საღამოს, ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია კრეისერ „კაროლ კარლით" ბათუმიდან ტრაპიზონში ჩავიდა. ოსმალეთის დელეგაცია კი იგვიანებდა. ამ დროს ტრაპიზონი, ფაქტობრივად, ოსმალთა ხელთ გადავიდა უბრძოლველად, იქაური

---

236 აღსანიშნავია, რომ სეიმის ამავე სხდომაზე ბორჩიეს ზავის ბირობების შემმუშავებელი კომისია ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით. მან მოითხოვა მოლაპარაკება არა მარტო ოსმალეთთან, „არამედ ცენტრალური სახელმწიფოების ბლოკთან". ეს წინადადება არ აისახა სეიმის დადგენილებაში, გადაწყდა დიალოგი მხოლოდ ოსმალეთთან (იხ. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 56).

237 იქვე, გვ. 83-84.

საყურადღებოა, რომ ნ.რამიშვილის კომისიის პროექტში აღმოსავლეთ ანატოლიის ხალხთა თვითგამორკვევის შესახებ, გარდა ოსმალეთის სომხეთისა, ფიგურირებდა აგრეთვე ასირიელების და ლაზების ავტონომიის საკითხი (იქვე, გვ. 57), რაც, სამწუხაროდ, არ აისახა სეიმის დადგენილებაში.

დეპუტატების საბჭოს ბოლშევიკური აღმასკომის ხელშეწყობით. ტრაპიზონის დაცვის სურვილი არ გამოუმჟღავნებია იქ მყოფ რუსეთის ჯარსაც.[238]

ტრაპიზონში ოსმალთა შესვლის მიუხედავად, იქ ფორმალურად ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა „ტრაპიზონის გამაგრებული რაიონის („უკრეპრაიონის") კომენდატურა" (უფროსი გენერალი კოლოსკოვსკი). იგი 8 მარტს ტრაპიზონში ჩასულ ამიერკავკასიის საზაფო დელეგაციას კრეისერის ტრაპთან შეხვდა საპატიო ყარაულით. თაეის მხრივ, 11 მარტს ამიერკავკასიის დელეგაცია ეწვია „უკრეპრაიონს", სადაც ა. ჩხენკელმა სამხედრო აღლუმიც კი მიიღო, მაგრამ მდგომარეობას ეს ვერ ცვლიდა. ქალაქს, ფაქტობრივად, ოსმალები პატრონობდნენ და ისინი საზაფო მოლაპარაკების დაწყებამდე შეეცადნენ თაეისი უპირატესობა ეჩვენებინათ.

ახალდანიშნულმა ტრაპიზონის ვალიმ (გუბერნატორმა) მეჰმედ ალი ედინმა ამიერკავკასიის დელეგაციას არ მისცა უფლება კრეისერიდან ქალაქში გადაეყვანა 50-კაციანი შეიარაღებული დაცვა. ოსმალებმა აგრძნობინეს ა. ჩხენკელს, რომ მათ სტუმრებად თვლიდნენ და დაცვასაც თვითონ კისრულობდნენ.

ნაჩქარეი ევაკუაციის დროს ტრაპიზონში დარჩა იარაღისა და სურსათის მარაგი. ორივე მხარის სარდლობის შეთანხმებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა უზრუნველეყო მისი ეტაპობრივი გამოტანა. საწყობების დაცვა ოსმალებმა ივალდებულეს, თუმცა შემდეგ ისინი რუსთა ჯარის ინტენდანტებს[239] საცავებთან ახლოსაც არ უშვებდნენ. ამის გამო სამხედრო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილზე დარჩა.

ტრაპიზონში მოლაპარაკებისათვის მზადების პარალელურად, 1918 წლის 10 მარტს, ოსმალეთის მთავარსარდლობამ ოფიციალურად მიმართა ამიერკავკასიის მხარეს და მოსთხოვა ბრესტის ხელშეკრულების თანახმად მისთვის დათმობილი „ბათუმის, ყარსის და არტაანის სანჯაყების უმოკლეს დროში ევაკუაცია" და ჯარების 1877 წ. საზღვრებში გაყვანა.

ოსმალთა ზემოაღნიშნული დეპეშა და მათი ჯარების მიერ ტრაპიზონის დაკავება მოასწავებდა, რომ ამიერკავკასიისათვის მისაღებ ზაეზე ლაპარაკი ფუჭი ოცნება იქნებოდა. ამიტომ სეიმის წინაშე დადგა კითხვა - ომი თუ ზაეი? მის გადასაწყვეტად 11 მარტს თბილისში ჩატარდა სეიმის საგანგებო სხდომა.[240] ნ. ჟორდანიამ წარმოთქვა შთამბეჭდავი სიტყვა, რომელშიც ამიერკავკასიისათვის ბათუმის და ყარსის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია მოუწოდებდა მათი დაცვისაკენ. დაშნაკების პარტიამაც გამოთქვა მზადყოფნა ომის გაგრძელებისათვის, თუკი ტრაპიზონში საზაეო მოლაპარაკება ჩაიშლებოდა. მუსავატელებმა არ გაიზიარეს ომისათვის მზადების პოზიცია, ეიდრე არ გაირკვეოდა ტრაპიზონში მოლაპარაკების შედეგი.

ასეთ ვითარებაში, 1918 წ. 12 მარტს ტრაპიზონში ჩავიდა ოსმალეთის დელეგაცია. მას თავმჯდომარეობდა საზღვაო დეპარტამენტის უფროსი, I რანგის კაპიტანი ჰუსეინ რაუფ-ბეი,[241] წევრები იყვნენ: საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული განყოფი-

---

238 გერმანული წყაროების მოწმობით, ამ დროს ქ.ტრაპიზონში იყო რუსეთის 8 ათასი ჯარისკაცი (იხ. Лорей Г. Операции германо-турецких морских сил в 1914-1918 гг., М., 1934, с. 295); უკანასკნელი რუსი ჯარისკაცები კი ტრაპიზონიდან საზღვაო ტრანსპორტით გაიყვანეს 1918 წ. 28 მარტს (სცსსა, ფ. 1796, ან. I, ს. 86, ფურც. 3).

239 ინტენდანტი- ოფიცერი, რომელსაც აკისრია ჯარის ნაწილებისა და სამხედრო დაწესებულებათა მომარაგება სურსათით, ფურაჟით, ტანისამოსით და სხვ.

240 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, сс. 89-106.

241 ზ.ავალიშვილის ცნობით: „რაუფ-ბეი იყო ტომით აფხაზი, სოხუმის ოლქიდან" (იხ. ზ.ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 116). ამასვე ადასტურებს რ.გაბაშვილიც და თან დასძენს: „ამბობენ, რაუფ-ბეი აკაკი ჩხენკელის

ლების გამგე მეჰმედ-ნუსრედ-ბეი; კავკასიის ფრონტის მთავარი ექიმი, პოლკოვნიკი თევფიკ სალიმ-ბეი; კავკასიის არმიის ოპერატიული განყოფილების უფროსი, მაიორი იუსუფ რიზა-ბეი, სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორი ისმაილ ჰამი-ბეი (დელეგაციის პირველი მდივანი); ფლოტის I რანგის კაპიტანი ჰამიდ-ბეი და დელეგაციის თავმჯდომარის ადიუტანტი და მდივანი, ლეიტენანტი აბდურახმანი.[242]

იმავე დღეს შედგა დელეგაციების მეთაურთა შეხვედრა, 13 მარტს კი დელეგაციის წევრთა ურთიერთგაცნობა.

ტრაპიზონის საზაეო კონფერენცია ოფიციალურად მიმდინარეობდა 1918 წლის 14 მარტიდან - 5 აპრილამდე. შედგა კონფერენციის ექვსი პლენარული სხდომა, ორი თათბირი და მრავალი კერძო ხასიათის შეხვედრა-საუბარი.

14 მარტს, დღის 3 საათზე, გაიმართა კონფერენციის პირველი სხდომა, მაგრამ საკითხები არ განუხილავთ, დელეგაციის მეთაურთა მისასალმებელი სიტყვების შემდეგ, ორივე მხარემ წარმოადგინა დელეგატების სია, აირჩიეს სამანდატო კომისია, რომელმაც განიხილა დელეგატთა უფლებამოსილება და დასამტკიცებლად წარუდგინა კონფერენციას.

კონფერენციის მეორე სხდომა (15 მარტი) დაიწყო იმის გარკვევით, თუ ვინ უნდა ყოფილიყო სხდომების თავმჯდომარე. საერთაშორისო სამართლით, ნეიტრალურ პუნქტში სამშვიდობო კონფერენციის თავმჯდომარეობა მორიგეობით ეკუთვნოდა ორივე დელეგაციის ხელმძღვანელს, მაგრამ რადგან ოსმალეთის მხარე ტრაპიზონს განიხილავდა თავის კუთვნილებად, ამიერკავკასიის დელეგაცია მოერიდა კონფლიქტს და დათანხმდა რაუფ-ბეის ერთპიროვნულ თავმჯდომარეობას.

კონფერენციის მესამე სხდომაზე, 16 მარტს, ოსმალეთის დელეგაციამ წარმოადგინა ბრესტ-ლიტოვსკის საზაეო ხელშეკრულება და მოითხოვა მისი აღიარება ამიერკავკასიის მიერ. ა. ჩხენკელმა უპასუხა, რომ მისი მთავრობა სხვა ქვეყნების ხელისუფალთა მიერ დადებულ ხელშეკრულებას არ სცნობდა სავალდებულოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკისათვის.

რაუფ-ბეიმ განმარტა, რომ საერთაშორისო სამართლით ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება, მართალია, არ იყო სავალდებულო მესამე სახელმწიფოსათვის, მაგრამ ამიერკავკასიას დღემდე არ გამოუცხადებია დამოუკიდებლობა, რის გამოც ის ცალკე სახელმწიფოდ ვერ ჩაითვლებოდა. თუ ამიერკავკასიას სურს გახდეს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტი, მაშინ მისმა მთავრობამ ეს სათანადო აქტით უნდა გამოაცხადოს და ის ცნონ სხვა სახელმწიფოებმაც. ამასთან, რაუფ-ბეიმ შენიშნა, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აწინდელ აღიარებას ვერ ექნებოდა უკუქმედების ძალა, რადგან ბრესტის ხელშეკრულების დადების მომენტში ის რუსეთის ნაწილად ითვლებოდა.[243]

ოსმალეთის დელეგაციამ მოითხოვა ოფიციალურად განესაზღვრათ ამიერკავკასიის მმართველობის ფორმა, სახელმწიფოს საზღვრები, სახელმწიფო ენა და რელიგია. აგრეთვე, გადმოეცათ ამიერკავკასიის მთავრობის საზაეო დებულება და პოზიცია ოსმალეთის იმპერიასთან დამოკიდებულების საკითხში.

იმავე 16 მარტს კრეისერ „ქაროლ კარლის" გაბოლშევიკებულმა მატროსებმა ხომალდი თვითნებურად გაიყვანეს ტრაპიზონიდან და ბათუმში დაბრუნდნენ. ამან ამიერკავკასიის დელეგაცია მორალურად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ოსმალები

მეზობელი სოფლიდან იყოო" (რ.გაბაშვილი, რაც მახსოვს, იხ. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება", ტ. 3, გვ. 190).

[242] სცსსა, ფ. 1819, აღ. 1, ს. 17, ფურც. 13.

[243] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 110, 118-119.

კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო და ორგანიზაციულ სისუსტეში.[244]

17 და 19 მარტის კერძო შეხვედრები, აგრეთვე, კონფერენციის მეოთხე სხდომა (20 მარტი) მიეძღვნა ბრესტის ზავის ცნობა-არცნობის საკითხზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტების განხილვას.[245]

კონფერენციის მეხუთე სხდომაზე (21 მარტი) რაუფ-ბეიმ კელაე დაეინებით მოითხოვა ბრესტის ზავის პირობების მიღება და ბათუმ-ყარს-არტაანის სანჯაყების გადაცემა ოსმალეთისათვის.

პასუხად ა. ჩხენკელმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის დელეგაცია კელაე არ ცნობს ბრესტის ხელშეკრულებას. შემდეგ მან წარმოადგინა სეიმის მიერ 1 მარტს შემუშავებული პირობები და განაცხადა: „საზაკო ხელშეკრულებას საფუძვლად უნდა დაედოს რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფოებრივი საზღვრების აღდგენა 1914 წ. ფარგლებში", თურქეთის სომხეთისათვის ავტონომიის მინიჭება და ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება.

ამ მოთხოვნებმა ოსმალთა დელეგაციის მწვავე რეაქცია გამოიწვია. ოსმალეთის ფარგლებში სომეხთა ავტონომიის საკითხის სამშვიდობო კონფერენციაზე განხილვას ისინი თვლიდნენ ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევად. რაც შეეხებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობას და მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას, ამის შესახებ ლაპარაკი შეიძლება დაიწყოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამიერკავკასია უარს იტყვის თავის პრეტენზიებზე ბათუმის, არტაანის და ყარსის სანჯაყების მიმართო.[246]

ამიერკავკასიის დელეგაციის მოთხოვნით, საკუთარ მთავრობასთან საკითხის შესათანხმებლად, გადაწყდა კონფერენცია შეწყვეტათ გარკვეული ხნით. 22 მარტს დელეგაციის რამდენიმე წევრი (რ. კაჩაზნუნი, ი. გაიდაროვი და გ. ლასხიშვილი) თბილისში გამოემგზავრა სეიმისათვის მოხსენების გასაკეთებლად. დელეგაციის ძირითადი ნაწილი ა. ჩხენკელის მეთაურობით ტრაპიზონში დარჩა და მუშაობას განაგრძობდა.

ტრაპიზონის კონფერენცია საომარი მოქმედების პირობებში მიმდინარეობდა. ოსმალეთის სარდლობამ და იდეოლოგიურმა აპარატმა ყველა შესაძლებლობა გამოიყენეს ამიერკავკასიის ჯარების ზურგში პარტიზანული მოძრაობის გასაძლიერებლად, მასში ქურთების მოთარეშე რაზმებისა და ადგილობრივი მაჰმადიანური მოსახლეობის ჩასაბმელად, მათთან სომხების დასაპირისპირებლად.

შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიის სეიმი და მთავრობა ვერ ახერხებდა თავდაცვის ორგანიზებას და საერთო-სახელმწიფოებრივ საწყისებზე ქვეყნის წინამძღოლობას. ამიერკავკასია ფაქტობრივად იმართებოდა ეროვნული ნიშნით: აზერბაიჯანს - მუსავატელების პარტია განაგებდა, სომხეთს - დაშნაკები, საქართველოს – ძირითადად სოციალ-დემოკრატები. მათსაევ განკარგულებაში იყო ფორმალურად ერთიანი ამიერკავკასიის არმიაში შემავალი ეროვნული სამხედრო ნაწილები. ამას ემატებოდა დაპირისპირება დაშნაკებსა და მუსავატელებს შორის. მან თავი იჩინა ამიერკავკასიის სეიმშიც, სადაც ორივე პარტია ურთიერთბრალდებების კორიანტელს აყენებდა. დაშ-

[244] აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ 18 მარტს ბათუმში განხორციელებული სამხედრო-პოლიტიკური აქტის შემდეგ, ამიერკავკასიის ხელისუფლებამ შეძლო ფლოტზე კონტროლის დაწესება. 22 მარტიდან სამხედრო გემი „ვეჩე" ტრაპიზონის ნავსადგურში დადგა რეიდზე. ის აღჭურვილი იყო რადიოსადგურით, რამაც დელეგაციას საშუალება მისცა აღედგინა კავშირი თბილისთან (სცსსა, ფ. 1796, ან. 1, ს. 86, ფურც. 3).

[245] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 132-134.

[246] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 137-139. იხ. აგრეთვე, გაზ. „ერთობა", №61, 1918.

ნაკები მუსავატელებს ადანაშაულებდნენ პროოსმალურ განწყობილებაში და არცთუ უსაფუძვლოდ. ეს უკანასკნელნი კი დაშნაკებს ბრალს სდებდნენ პრობოლშევიკურ ტენდენციებსა და საქმიანობაში.[247] ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო აღრმავებდა ერთაშორის დაპირისპირებას. სომეხ-თათართა კონფლიქტებმა მოიცვა თითქმის ყველა ის რეგიონი, სადაც ისინი კომპაქტურად ცხოვრობდნენ.

მდგომარეობა გართულდა ფრონტზეც. მარტის შუა რიცხვებში მოწინააღმდეგემ ალყაში მოაქცია არტაანი და სხვა პუნქტები, დაიწყო მზადება ყარსსა და ბათუმზე შემოტევისათვის, გაძლიერდა სომხებით და ბერძნებით დასახლებული სოფლების ძარცვა და აწიოკება. ძლიეს მოხერხდა ქრისტიანი მოსახლეობის ევაკუაცია. საგრძნობლად დაიძაბა ვითარება ახალციხის მხარესა და ბათუმის ოლქში. გადაიკეტა გზები და გაროულდა მოძრაობა. ამის გამო ფერხდებოდა ეშელონების ფრონტისკენ გადაადგილება.[248]

ამიერკავკასიის სეიმი ხშირად მართავდა სხდომებს. ცალკეულად განიხილავდა ფრონტის და ზურგის მწვავე პრობლემებს. იქმნებოდა მათი შემსწავლელი კომისიები. მაგრამ სეიმის ტრაფარეტული და ზოგადი ხასიათის დადგენილებები ნაკლებად ასახავდა რეალობას.

ასეთივე იყო სეიმის 25 მარტის სხდომა,[249] რომელმაც მოისმინა ამიერკავკასიის დელეგაციის მოხსენება ტრაპიზონში მიმდინარე მოლაპარაკების შესახებ. საზაეო დელეგაციის სახელით გ. ლასხიშვილმა მოითხოვა ახალი დირექტივები მოლაპარაკების გაგრძელებისათვის. ამის საპასუხოდ სეიმმა ამჯერადაც მიიღო ზოგადი სახის დადგენილება, რომ ის უარყოფდა ბრესტის ხელშეკრულებას და თავისი საზაეო დელეგაციის მეთაურს აძლევდა ამ მიმართულებით დამოუკიდებლად მოქმედების საგანგებო ფართო უფლებამოსილებას.

სეიმში წარგზავნილი დელეგატები 29 მარტს ტრაპიზონში ფაქტობრივად ხელცარიელი დაბრუნდნენ. ა. ჩხენკელისათვის მარტო დეკლარაციული „ფართო უფლებამოსილების“ მინიჭება ვითარებას ვერ აუმჯობესებდა, რადგან ბრესტის ზავისადმი სეიმის დამოკიდებულებაში ცვლილებები არ იყო და არც დათმობის მაქსიმუმი იყო განსაზღვრული. ეს კი საზაეო დელეგაციას არ აძლევდა მანევრირების საშუალებას, რის აუცილებლობაც მკვეთრად გამოჩნდა იმავე 29 და 30 მარტს, როცა დელეგაციათა მეთაურების შეხვედრების დროს რაუფ-ბეიმ კატეგორიულად მოითხოვა ბრესტის ზავის ცნობა.

ტრაპიზონში მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლებოდა ამიერკავკასიისათვის საზიანოდ. 2 აპრილს იქ ჩავიდა კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი ვეხიბ-ფაშა შტაბითურთ. მისი ბრძანებით, 4 აპრილს, ასკერებმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გადმოლახეს ბათუმის ოლქის საზღვრები და მალე ქ. ბათუმს 10 კილომეტრზე მოუახლოვდნენ.

5 აპრილს შედგა ტრაპიზონის კონფერენციის მეექვსე, უკანასკნელი სხდომა. ამიერკავკასიის დელეგაციამ, განაცხადა, რომ თანახმა იყო ემსჯელა ოლთისის, არტაანის და ყარსის გარკვეული ტერიტორიების დატოვებაზე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ბათუმის დათმობაზე.[250]

---

[247] იხ. Стенографический отчет 16-го заседания (первой сесии) Закавказского сейма, Тифл., 1918, с. 14. საკურადღებოა, რომ ამ ბრალდებისაგან თავის დასაცავად დაშნაკებს ხმაც არ ამოუღიათ.

[248] იქვე, გვ. 26.

[249] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 139-146.

[250] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 152-154.

ოსმალეთის დელეგაციამ მოითხოვა გამოეცხადებინათ შესვენება, რათა თავისი მთავრობისაგან მიეღო ინსტრუქციები. მეორე დღეს, 6 აპრილს, ა. ჩხენკელს გადასცეს წერილობითი ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვდა ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქებს. ამიერკავკასიის დელეგაციას პასუხისათვის მისცეს 48 საათი.

8 აპრილს ა. ჩხენკელმა, თავის მთავრობასთან შეთანხმებით, ოსმალეთის დელეგაციას ბათუმის ოლქში შესთავაზა მთელი ართვინის ოკრუგის დათმობა, მაგრამ თურქები ბრესტის ზავის უპირობოდ მიღებას მოითხოვდნენ.

ამის შემდეგ ა. ჩხენკელმა მთავრობას უდეპეშა, რომ აუცილებელი იყო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება და ბრესტის ხელშეკრულების ცნობა, რადგან მხოლოდ ამ საფუძველზე იქნებოდა შესაძლებელი სასავო კონფერენციის გაგრძელება და ბათუმ-ყარსის ოლქებში საზღვრების გასწორების საკითხის დასმა.[251]

ა. ჩხენკელის წინადადებაზე თბილისიდან პასუხი იგვიანებდა. ამიტომ, ამიერკავკასიის დელეგაციამ თავის კერძო სხდომაზე ერთხმად დაადგინა და წერილობით აცნობა ოსმალთა მხარეს, რომ სცნობს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების იმ მუხლებს, რომლებიც ამიერკავკასიას შეეხება და მზად არის განაგრძოს მოლაპარაკება ამ საფუძველზე ოთხთა კავშირის სახელმწიფოებთან.[252]

აღსანიშნავია, რომ თბილისიდან პასუხი მოვიდა დაგვიანებით, 10 აპრილს ღამით, თუმცა მთავრობა ბრესტის ზავის მთლიანად ცნობას შეუძლებლად თვლიდა.

ამის შემდეგ გენერალმა ვეხიბ-ფაშამ შეაჩერა სამხედრო მოქმედება და 11 აპრილს, თავისი მეკავშირე ოფიცრის ხელით, ბათუმის გამაგრებული რაიონის კომენდანტს, გენერალ გიორგი მდივანს გაუგზავნა ულტიმატუმი, რომლითაც მოსთხოვა 13 აპრილის შუადღემდე დაეცალა ქალაქი და ჯარები გაეყვანა 1877 წლის საზღვრებში. ულტიმატუმზე პასუხისათვის გენერალ მდივანს მიეცა 12 საათი.[253] ამ უკანასკნელმა მოითხოვა ულტიმატუმის ვადის გაგრძელება კიდევ 24 საათით, რომ შეჰკითხოდა თბილისს და მიეღო ამ საკითხზე სეიმის გადაწყვეტილება.[254] ვეხიბმა ამაზე უარი განაცხადა და 13 აპრილს განაახლა ბათუმზე შეტევა.

იმავე 13 აპრილს ა. ჩხენკელმა ორჯერ უდეპეშა ბათუმის გამაგრებული რაიონის კომენდანტს და იქ მყოფ შინაგან საქმეთა მინისტრს ნ.რამიშვილს, რომ კონფერენციის გაგრძელებისათვის აუცილებელი იყო ბათუმის ნებაყოფლობით დაცლა. ნ. რამიშვილი კი ძველებურად მოითხოვდა ბათუმის შენარჩუნებას. მხოლოდ თურქების მიერ ბათუმზე პრეტენზიის უარყოფა, - სწერდა იგი ა. ჩხენკელს, - მიგვიყვანდა ხელშეკრულების დადებამდე და კავკასიის რესპუბლიკის შექმნამდე. ასეთი შესწორებით შესაძლებელია ბრესტის ხელშეკრულების მიღებაო.[255]

ა. ჩხენკელმა დიპლომატიური გზით სცადა ოსმალთა მიერ განახლებული შეტევის შეჩერება, მაგრამ უშედეგოდ. იმავე 13 აპრილს რაუფ-ბეიმ მას უპასუხა, რომ ოსმალეთის მთავრობამ სიამოვნებით მიიღო შეტყობინება ამიერკავკასიის დელეგაციის მიერ ბრესტის ზავის ცნობის თაობაზე და მზად არის განაგრძოს მოლაპარაკება ამიერკავკასიასთან „მეგობრობის ხელშეკრულების“ დასადებად. ამასთან, ამ მოლაპარაკებაში ოსმალეთის მოკავშირე სახელმწიფოების „შესაძლო ჩართვისათვის“, უწი-

[251] იქვე, გვ. 159-160.
[252] იქვე, გვ. 160.
[253] იქვე, გვ. 161-162.
[254] სცსსა, ფ. 1818, ან. 1, ს. 179, ფურც. 284.
[255] მ.ჯიჯეიშვილი, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში, გვ. 66.

ნარესად აუცილებელი იყო ამიერკავკასიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება.[256] ა. ჩხენკელმა ეს პირობაც იმავე დღეს აცნობა თბილისს.

ასეთ ვითარებაში, 13 აპრილს, თბილისში შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი.[257] მთავრობის თავმჯდომარემ — ე. გეგეჭკორმა შეკრებილთ გააცნო ტრაპიზონის კონფერენციის უკანასკნელი მოვლენები და აღნიშნა, რომ იქ ბრესტის ზავის ცნობა მოხდა ამიერკავკასიის დელეგაციის პირადი ინიციატივით, სეიმისა და მთავრობისგან სათანადო უფლებამოსილების გარეშე. ამის მიუხედავად, ოსმალებმა ბათუმზე შემოტევა განაახლესო. მისივე განცხადებით, - „ყველაფერი გაკეთდა, რათა საქმე არ მისულიყო საზავო მოლაპარაკების ჩაშლამდე. ამიტომ მოლაპარაკების მსვლელობაში თურქების მიერ ერზინჯანის ზავის დარღვევის არაერთ ფაქტს ჩვენ არ ვუპასუხეთ სამხედრო მოქმედებით. ახლა კი სხვა გზა არ არის, გარდა ომისა“, ოღონდ მთავრობა ითხოვს პარტიების შეკავშირებასო.

იქვე ე. გეგეჭკორმა ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები ფრონტზე მდგომარეობის შესახებ. მისი განცხადებით, ტექნიკური თვალსაზრისით ბათუმის დაცვა იდგა სათანადო სიმაღლე'ზე; მიღებული იყო ზომები მისი გაძლიერებისათვის და სამხედრო შემადგენლობის შესაესებად; საქართველოს მოსახლეობის პატრიოტული განწყობილება - დაეცვათ ბათუმი, დღითი დღე მაღლდებოდა.

კამათში გამოსულმა სეიმის წევრებმა, ორატორული თვალსაზრისით, ამჯერადაც დიდებული სიტყვები წარმოთქვეს - შეეკავშირდებით და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავთ დემოკრატიასო. თვით მაჰმადიანურმა ფრაქციებმაც კი ხმა მისცეს ომის სასარგებლოდ. თუმცა, აქვე გამოიკვეთა ის რეალური მდგომარეობაც, რომ აზერბაიჯანი, ძირითადად სარწმუნოებრივი პრინციპიდან გამომდინარე, უშუალოდ ვერ ჩაებმებოდა ომში და მხოლოდ ზურგის სამსახურის უზრუნველყოფის პირობას იძლეოდა.

ბოლოს, სეიმმა ნ. ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული ფორმულირების საფუძველზე ერთხმად დაადგინა: 1. ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის გამოწვევა ტრაპიზონიდან, 2. ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება, 3. ომის ხელმძღვანელობისათვის საგანგებო კოლეგიის შექმნა სამხედრო, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრების შემადგენლობით, 4. სათანადო მანიფესტით ამიერკავკასიის მოსახლეობისათვის მიმართვა.

14 აპრილს ამიერკავკასიის საზავო დელეგაციამ ტრაპიზონი დატოვა და თბილისში გამოემგზავრა. გამომშვიდობებისას ორივე დელეგაციის მეთაურები „დიპლომატიურ ენაზე“ შეთანხმდნენ, რომ შექმნილი მდგომარეობა ჩაეთვალათ არა განხეთქილებად, არამედ კონფერენციის მუშაობაში შესვენებად.[258] იმავე 14 აპრილს ოსმალები დაეუფლნენ ბათუმს და განაგრძეს შეტევა ოზურგეთისა და ყარსისაკენ.

ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის თბილისში წამოსვლის შემდეგ ტრაპიზონში დარჩნენ დაღესტან-ჩეჩნეთის წარმომადგენლები — ტ. ჩერმოევი და ჰ. ბამატი, აგრეთვე, ამიერკავკასიის საზავო დელეგაციიდან - მაჰმადიანთა კომიტეტის წარმომადგენლები მ. გაჯინსკი და ა. პეპინოვი, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი გრ.ვეშაპელი. დელეგატები ელოდნენ ტრაპიზონში ენვერ-ფაშას ჩასვლას და ვარაუდობდნენ მასთან შეხვედრით მიეღწიათ ოსმალთა შეტევის შეჩერებისა და სამშვიდობო მოლაპარაკების განახლებისათვის.

---

[256] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 162.
[257] იხ. Стенографический отчёт Закавказского сейма 31-го марта (13 апреля).
[258] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 184.

მართლაც, 16 აპრილს ტრაპიზონში ჩავიდა ენვერ-ფაშა. მას თან ახლდნენ სულთნის ბიძაშვილი, პრინცი ომარ ფარუქი და გერმანელი სამხედრო პირები.[259] ტრაპიზონიდან ენვერი მიეშურებოდა ახალდაკავებულ ბათუმში. მან დელეგატებს შესთავაზა იქამდე გემით ერთად მგზავრობა და გზაში მოლაპარაკება.

ენვერ-ფაშასთან მოლაპარაკებას არ მოჰყოლია ფრონტზე სამხედრო მოქმედების შეწყვეტა. ენვერს განუცხადებია, რომ ამისათვის აუცილებელი იყო ამიერკავკასიის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის პირობების შესრულება. იქვე დაურთავს, რომ თვითონ და საერთოდ ოსმალეთის უმაღლესი ხელისუფლება იყვნენ „მომხრე საქართველოს სახელმწიფოს და მთავრობის აღდგენისა“.

ამრიგად, ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენცია, მხარეთა ინტერესების მკვეთრად განსხვავებულობის გამო, უშედეგოდ დამთავრდა. ამიერკავკასიელი პოლიტიკოსების აზრით, მას უნდა მოეტანა საბოლოო ზავი ოსმალეთთან ომამდელ სა'ზღვრებში. ამ მოტივით ისინი ბოლო მომენტამდე ერიდებოდნენ კონფერენციის ჩაშლას და უმოქმედობას იჩენდნენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. დაგვიანდა ომის გამოცხადებაც, შეიქმნა გაურკვეველი სიტუაცია და იძალა დაბნეულობამ, რაც გახდა მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს და თვით ბათუმის დაკარგვის ძირითადი მიზეზი. ოსმალეთი კი ამ მოლაპარაკებას მიიჩნევდა ტრამპლინად, რომლითაც ამიერკავკასიის მიერ ბრესტის ზავის პირობების ცნობისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ამ ქვეყანასთან უნდა მიეღწია მისთვის ხელსაყრელი ახალი ზავისათვის. მისწრაფებათა ამ სხვადასხვაობისა და ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკური სისუსტის ვითარებაში, ოსმალეთი ბათუმ-ყარს-არტაანს დაეუფლა ძალმომრეობით, რითაც უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები და თვით ბრესტის საზავო ხელშეკრულება.

§7. ბათუმის საზავო კონფერენცია და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

კონფერენციის წინ. ამიერკავკასიაში ოსმალთა შემოტევის ვითარებაში სეიმმა ყველა შესაძლო ძალას მოუწოდა დახმარებისაკენ. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა და ესერებმა მიმართეს „რუსეთის დემოკრატიას“,[260] მაგრამ უშედეგოდ. აქ მყოფი რუსი ოფიცრების უმრავლესობამაც კი უარი თქვა ამიერკავკასიის დაცვაზე და მოითხოვა რუსეთში დაბრუნება.[261]

თანადგომის თხოვნა გაეგზავნა „ცენტროფლოტს“ სევასტოპოლში, რომელიც საწვავის ნაკლებობას განიცდიდა და ამ მხრივ ბათუმზე იყო დამოკიდებული. 10 აპრილს მან ბათუმში სამხედრო ძალის გამოგზავნაც დაადგინა,[262] მაგრამ მის რეალიზაციამდე ქალაქს ოსმალები დაეუფლნენ.

ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციამ დახმარების სათხოვნელად მესოპოტამიაშიც კი გააღწია, ოსმალებთან მებრძოლი ინგლისის სარდლობასთან, მაგრამ ეს უკა-

[259] გაზ. „საქართველო“, №84, 1918. ამავე გაზეთის მოწმობით ომარ-ფარუქის დედა იყო ქობულეთელი.
[260] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 187.
[261] იქვე. გვ. 191.
[262] იქვე. გვ. 188-189.

ნასკნელი მხოლოდ თანაგრძნობის გამოხატვით დაკმაყოფილდა.[263]

ამიერკავკასიის მთავრობამ მიმართა რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატსაც, რომ ზეგავლენა მოეხდინა თურქეთზე და შეეჩერებინა იგი. მოსკოვიდან მოვიდა ა. იოფეს პასუხი, რომ ამიერკავკასიის მთავრობა ვალდებულია ცნოს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები, თუ ოსმალები ამის შემდეგაც არ შეწყვეტდნენ წინსვლას და გადალახავდნენ ამ ხელშეკრულებით დაწესებულ ახალ საზღვრებს, მაშინ „რსფსრ მთავრობა არ დააყოვნებდა და ოსმალეთს წაუყენებდა შესაბამის საპროტესტო ნოტას“.[264]

სხვათა შორის, მსგავსი პირობა წამოაყენეს გერმანელებმა, რომლებსაც ქართველმა პოლიტიკოსებმა მიმართეს და სთხოვეს ოსმალთა აგრესიის შეჩერება. მათი პასუხიც ადასტურებდა, რომ გერმანია აქტიურად ვერ ჩაერეოდა კონფლიქტში, რადგან ამიერკავკასია იურიდიულად ჯერ კიდევ წარმოადგენდა შემადგენელ ნაწილს რუსეთისას, რომელთანაც ოსმალეთს ძველი მტრობა ჰქონდა სწორედ ამ რეგიონის გამო.[265]

ამრიგად, ამიერკავკასია იზოლაციაში რჩებოდა. ოსმალები კი ნელა, მაგრამ მტკიცედ მოიწევდნენ წინ. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიელი პოლიტიკოსებიც დარწმუნდნენ, რომ „სამხედრო გზით“ ვერაფერს მიაღწევდნენ. ამიტომ, 22 აპრილს სეიმმა გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამასთან, დიპლომატიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, გადააყენა „ოსმალებთან ომის მომხრე“ ე. გეგეჭკორის მთავრობა და შექმნა ახალი კაბინეტი ა. ჩხენკელის თავმჯდომარეობით, იგი რჩებოდა საგარეო საქმეთა მინისტრადაც.

მეორე დღესვე ა. ჩხენკელმა აცნობა ოსმალეთს, რომ გამოცხადებულია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და მისი მთავრობა მზადაა განაახლოს ტრაპიზონში შეწყვეტილი სამშვიდობო მოლაპარაკება. ამას მოჰყვა დაზავებაც, მაგრამ ოსმალებს საომარი მოქმედება არ შეუჩერებიათ და 25 აპრილს ყარსიც დაიკავეს. ამით მათ, ფაქტობრივად, იარაღის ძალით დაასრულეს ბრესტის ხელშეკრულებით განსაზღვრული ტერიტორიების დაპყრობა. ამ ზავით გაუთვალისწინებელი ოზურგეთის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებიდან ოსმალთა საოკუპაციო ჯარების გაყვანის მოთხოვნაზე კი ა. ჩხენკელს უპასუხეს, რომ საკითხს გადაწყვეტდა მომავალი საზავო კონფერენცია.[266] მოლაპარაკების ადგილად შეირჩა ქ. ბათუმი.

ბათუმის საზავო კონფერენცია. ბათუმის კონფერენციაზე (1918 წ. 11-26 მაისი, 31 მაისი-4 ივნისი) გასაგზავნ დელეგაციაში შევიდა 45 კაცი. მათგან დელეგატი იყო ექვსი: ა. ჩხენკელი (თავმჯდომარე) და ნ. ნიკოლაძე - ქართველოაგან, რ. კაჩაზნუნი და ა. ხატისიანი - სომეხთაგან, მ. გაჯინსკი და რასულ-ზადე - აზერბაიჯანელთაგან. მათ ახლდათ მრჩეველები, ეროვნული საბჭოების მდივნები, სამხედრო მისია, პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები და ა.შ. სწორედ ამ უკანასკნელთა ურთიერთუნდობლობამ განსაზღვრა საზაეო დელეგაციის ასეთი ხალხმრავლობა.[267] 6 მაისს დელეგაცია

---

[263] აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 13, ფურც. 110.

[264] სცსსა, ფ. 1818, ან. 1, ს. 179, ფურც. 185. საბჭოთა მთავრობას ხელიდან არ გაუშვია ბროტესტის გამოცხადების ხელსაყრელი შესაძლებლობა და 12 აპრილს ნოტით მიმართა გერმანიას, რომ ოსმალეთის მთავრობამ, თვითგამორკვევის რეფერენდუმის გვერდის ავლით, იარაღით დაიპყრო ბათუმის, არტაანის და ყარსის ოლქები (Документы внешней политики СССР, т. I, М., 1957, с. 240-241). 13 აპრილს კი მოსკოვმა ნოტა გაუგზავნა ოსმალეთსაც, თუმცა, მასში ბროტესტი იმის თაობაზეა გამოთქმული, რომ ოსმალთა წინსვლის შედეგად ნადგურდებოდა არტაანის და ყარსის ოლქების სომხური მოსახლეობა (Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 192).

[265] Пипия Г.В. Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг., с. 100.

[266] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 251-252.

[267] ზ.ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

ბათუმში ჩამოვიდა და დაბინავდა სასტუმრო „ორიენტალში“ (დღეს გოგებაშვილის ქ. №10).

ბათუმში გასაგზავნ დელეგაციაში ოფიციალურად აღარ ჩაურთავთ ჰაიდარ აბაშიძე. ჩანს, საქართველოს ეროვნული საბჭო მოერიდა ოსმალთა მიერ ოკუპირებულ ბათუმში მის გამოჩენას. ამის მიუხედავად, ჰაიდარი საკუთარი რისკით ჩამოსულა მშობლიურ ქალაქში, სადაც მისი ბინა იქცა დელეგაციის ქართველი წევრების ყოველდღიური თავშეყრისა და ბჭობის ადგილად. ამიტომაც ისინი, პროფ. სარგის კაკაბაძის გადმოცემით, ჰ. აბაშიძეს, ხუმრობით, დელეგაციის თავს უწოდებდნენ.[268]

ოსმალეთის დელეგაციაში შედიოდნენ: იუსტიციის მინისტრი ჰალილ-ბეი (თავმჯდომარე), გენერალი ვეხიბ-ფაშა, ორხან-ბეი (დელეგაციის პირველი მდივანი), სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მუხთარ-ბეი, სახელმწიფო მრჩეველთა იურიდიული ბიუროს დირექტორი ნუსრეთ-ბეი, ნიზამედინ-ბეი (დელეგაციის მდივანი), კავკასიის ფრონტის სანიტარული სამსახურის უფროსი თევფიკ სალიმ-ბეი, გენშტაბის ოფიცრები იუსუფ-ბეი და სადივ-ბეი.[269]

ოსმალეთის დელეგაციას ჩამოჰყვნენ და კონფერენციას ესწრებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენელი ჰ. ბამატი და მთაელობის თავმჯდომარე ა. ჩერმოევი.

ბათუმში ოსმალეთის საზაო დელეგაციას შეხვდა მემედ აბაშიძე. მიესალმა, როგორც სტუმრებს და ბათუმის ოლქის მცხოვრებთა სახელით მოითხოვა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების შეწყვეტა.[270]

გერმანიის სრულუფლებიან წარმომადგენლად ბათუმის კონფერენციაზე დაინიშნა გენერალი ფონ ლოსოი (გერმანიის სამხედრო წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში). მას თან ახლდნენ ომამდე გერმანიის გენერალური კონსული თბილისში გრაფი შულენბურგი და აღმოსავლეთის საქმეთა სპეციალისტი ო. ვეზენდონკი.[271] გერმანიის დელეგაცია ცდილობდა მიეღწია კონფერენციის სწრაფად დამთავრებისათვის, რომ თურქეთს კავკასიის ფრონტიდან ჯარები ინგლისის წინააღმდეგ გადაესროლა.

კონფერენციის პირველ სხდომაზევე (11 მაისი) გამოვლინდა უთანხმოებანი როგორც ამიერკავკასიისა და ოსმალეთის, ასევე ამ უკანასკნელისა და გერმანიის დელეგაციებს შორის. ამიერკავკასიის დელეგაციამ მოითხოვა, რომ მოლაპარაკება წარემართათ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე. ამაევ აზრის იყო გერმანიის მხარეც, მაგრამ ჰალილ-ბეიმ განაცხადა, რომ ამიერკავკასიის მთაერობამ ჩაშალა ტრაპიზონის კონფერენცია, რის გამოც საქმე ხელახალ სამხედრო შეტაკებამდე მივიდა, დაიღვარა სისხლი, ამიტომ „შემდგომი მოლაპარაკება ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მოთხოვნებს ვერ დაეფუძნებაო“. სანაცვლოდ მან ა. ჩხენკელს შესთავაზა საზავო ხელშეკრულების ახალი პროექტი, რომლითაც ოსმალეთის ხელში დამატებით უნდა გადასულიყო ახალქალაქის, ახალციხის, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის რაიონები. ამით აღდგებოდა 1828 წლის საზღვარი.

ამით აღშფოთებული გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ლუდენდორფი 1918 წ. 15 მაისს ოსმალეთის გენშტაბის უფროსის მოადგილეს გენერალ ფონ სექტს სწერდა: „კიდეე ერთხელ გთხოვთ ენვერ-ფაშას ტერიტორიული

268 აბ.სურგულაძე. ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა, გვ. 50-52.
269 სცსსა, ფ. 1796, ან. 1, ს. 86, ფურც. 5.
270 ა.ბილაგაძე, ვ.გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ. I, მემედ-ბეგ აბაშიძე, დოკუმენტები და მასალები (1917-1923), თბ., 1996, გვ. 54.
271 ზ.ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

მოთხოვნები მოაქციოთ ბრესტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში... (ვინაიდან) საქართველოში თურქეთის შეჭრა გამოიწვევს გართულებებს ამ უკანასკნელსა და გერმანიას შორის".[272] ბათუმის კონფერენციაზე კი ოსმალეთის დელეგაციას პროტესტით მიმართა ფონ ლოსოვმა, რის შესახებაც აცნობა დანარჩენ მოკავშირეებსაც.[273]

ოსმალები კვლავ მოქმედებდნენ დიპლომატიური ნორმების უგულებელყოფით. იმავე 15 მაისს მათ დაიკავეს ალექსანდროპოლი და დაეუფლნენ რკინიგზას. ემზადებოდნენ ერევნის და თბილისის მიმართულებით შეტევისათვის.

ფონ ლოსოვმა, იყო რა დაინტერესებული ბათუმის კონფერენციის სწრაფად და თანაც გერმანიისათვის სასურველად დამთავრებით, 19 მაისს საკუთარი შუამდგომლობა შესთავაზა მოპირდაპირე მხარეებს ბრესტის სასაკო ხელშეკრულების საფუძველზე. ამიერკავკასიის დელეგაციამ იგი იმავე დღეს მიიღო, აზერბაიჯანელი დელეგატების ჭირვეულობის მიუხედავად. ცხადია, შუამდგომლობის ასეთი პროექტი ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის გეგმებს, რომელიც ბაქოსკენ მიისწრაფოდა, ამიტომ მათ უარი განაცხადეს ფონ ლოსოვის წინადადებაზე.[274]

ამჯერად, გერმანიის სამხედრო წრეებიც დარწმუნდნენ, რომ „ენვერი და თურქეთის მთავრობა კავკასიაში პანისლამისტურ მიზნებზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე ინგლისთან ომზე".[275]

1918 წ. 22 მაისს კავკასიის საკითხი სპეციალურად განიხილეს გერმანიის საგარეო საქმეთა უწყების სხდომაზე. საგარეო საქმეთა მინისტრმა რიჰარდ ფონ კიულმანმა, როდესაც შეეხო ოსმალთა პრეტენზიებს კავკასიაში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ბათუმის დაკავების შემდეგ პორტა ოცნებობს შექმნას კავკასიურ-თურქული სახელმწიფო", ჩვენ ეცდილობთ გაელენა მოვახდინოთ მასზე, მაგრამ უშედეგოდ.[276] 25 მაისს ლუდენდორფი კატეგორიულად მოითხოვს ფონ სექტისაგან გამოიყენოს თავისი გაელენა, რათა შეაჩეროს ოსმალთა შემდგომი წინსელა კავკასიის წინააღმდეგ და აიძულოს ის „თავისი მოქმედების ცენტრი გადაიტანოს მესოპოტამიასა და სპარსეთში", ინგლისის ჯარების წინააღმდეგ.[277]

„თურანის" შექმნის იდეით შეპყრობილი ოსმალეთის მმართველი წრეები მოკავშირე გერმანიის პროტესტებს ყურადღებას არ აქცევდა. 20 მაისს ენვერ-ფაშა ბერლინის წინაშე თავს იმართლებდა: კავკასიაში არის ბოლშევიზმის გავრცელების საშიშროება, ამიტომაც ოსმალეთს არ შეუძლია „დარჩეს პასიურ მეთვალყურედ". ამავე მიზეზით მათი დელეგაცია ბათუმის კონფერენციაზე აყენებდა დიდ ტერიტორიულ და პოლიტიკურ მოთხოვნებს. უკვე 25 მაისს ფონ ლოსოვი თავის მთავრობას ბათუმიდან ატყობინებდა: „ამჟამად თურქეთის ყურადღება მიმართულია ბაქოს, ვლადიკავკაზის და მთელი კავკასიის დაპყრობისაკენ". ამავე მიზნით ოსმალებმა კავკასიის მაჰმადიანურ მოსახლეობაში გააძლიერეს მუშაობა აჯანყებისათვის. გეგმავდნენ, აგრეთვე, ერთი დივიზია თბილისის გაელით გაეგზავნათ ვლადიკავკაზში „დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, ჩრდილოეთ კავკასიელი მაჰმადიანების დასახმარებლად".[278]

---

272 Мюльман К. Германо-Турецкий военный союз в мировой войне (машинописное издание), с. 270.
273 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 278.
274 იქვე, გვ. 293-302; 306.
275 Людендорф Э., დასახ. ნაშრ., გვ. 187.
276 Пипия Г.В., Политика Германии в Закавказье в 1918 году (сборник документов), Тб., 1971, с. 29-30.
277 Мюльман К., დასახ. ნაშრ., გვ. 271.
278 იქვე, გვ. 272.

ბათუმის კონფერენციის პერიოდში, სამხედრო ღონისძიებებთან ერთად, ოსმალეთი ცდილობდა მიეღწია ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკური რეორგანიზაციისათვის, მისი კავკასიის ერთიან სახელმწიფოდ გარდაქმნით. ამ გეგმით ჩრდილოკავკასიელი მუსლიმანები აზერბაიჯანელებს შეუერთდებოდნენ, რის შემდეგაც ისინი უმრავლესობაში აღმოჩნდნენ და კავკასიის სახელმწიფოც, მათი აზრით, ოსმალურ ორიენტაციას დაადგებოდა. ამ მიზნით ოსმალებმა ბათუმის კონფერენციის მსვლელობის დროს საიდუმლო მოლაპარაკება გააჩაღეს აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლებთან.

პროოსმალური კავკასიის სახელმწიფოს შექმნა სამომავლოდ საშიშროებას უქმნიდა ამ რეგიონში გერმანიის ინტერესებს, ხოლო ქართველი და სომეხი ხალხისათვის ასეთ სახელმწიფოში გაერთიანება დამღუპველი იქნებოდა. ამიტომაც გერმანელებმა ოსმალურ ვარიანტს დაუპირისპირეს კავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის და ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად დაყოფის გეგმა. ამ შემთხვევაში გერმანელები ეყრდნობოდნენ ქართულ ეროვნულ ძალებს, რომლებთანაც ფარულად შეუდგნენ მოლაპარაკებას.[279]

შექმნილ ვითარებაში ქართველმა დელეგატებმაც მართებულად ჩათვალეს გამოეყენებინათ მოკავშირეებს შორის არსებული უთანხმოება და გერმანიის დახმარებით აელაგმათ ოსმალეთის ექსპანსიური მისწრაფებები და გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ საკითხს ეხებოდა ა. ჩხენკელის მიერ ბათუმიდან სოციალ-დემოკრატი ლიდერებისადმი გაგზავნილი წერილი.[280] 1918 წ. 12-16 მაისს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით, საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადების საკითხი დაისვა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის სხდომებზეც.[281] თუმცა სოციალ-დემოკრატიულმა უმრავლესობამ ამისგან თავი შეიკავა.

მდგომარეობის ადგილზე გასარკვევად 17 მაისს ბათუმში ჩამოვიდა საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. აქ მას დახვედრია „შემაძრწუნებელი სურათი". კერძოდ, ოსმალთა არაკომპრომისული და შემტევი განწყობილება, მეორე მხრივ კი – ამიერკავკასიის დელეგაციის ერთიანობის არამყარობა, რაც მისი აზერბაიჯანელი წევრების პროოსმალური მისწრაფებებით იყო გამოწვეული. ბათუმში გამოჩნდნენ აგრეთვე სამცხე-ჯავახეთის და სხვა რეგიონების პროოსმალურად განწყობილი მუსლიმანების კერძო დელეგაციები. შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავლად ქართულ დელეგაციას მიუჩნეია სეიმის დაშლა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და გერმანიის მფარველობაში შესვლა.[282] ნ. ჟორდანიასთვის იგივე ურჩეია გენერალ ფონ ლოსოვსაც კონფიდენციალური შეხვედრის დროს. მერეყობის შემდეგ ნ. ჟორდანიაც დარწმუნდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობაში. სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში და შეუდგა ამისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას, ხოლო ბათუმში დარჩენილი გერმანელი და ქართველი დელეგატები ინტენსიურად შეუდგნენ ამ ორი ქვეყნის მომავალი ხელშეკრულების ტექსტების მომზადებას. მთელი ეს საქმიანობა მიმდინარეობდა კონსპირაციულად.

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის

---

279 ო.გიგინეიშვილი, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, გვ. 148-150.
280 შ. ჯადაჯორია, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიიდან, 1917-1918. გვ. 62-64; ალ. ბედიანაშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ. გვ. 214-216.
281 ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, გვ. 39-42.
282 ნ.ჟორდანია, ჩემი წარსული (მოგონებანი), ბარიზი, 1953, გვ. 128-129.

აზრი, საბოლოოდ, ბათუმში გამოიძერწა და აქ შემუშავებული გეგმით 26 მაისს თბილისში განხორციელდა.

24 მაისს შეიდგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის საგანგებო სხდომა, რომელმაც მოისმინა ნ. ჟორდანიას ინფორმაცია ბათუმში საზაეო მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ და დაადგინა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

26 მაისს, ყოფილ მეფისნაცვლის სასახლეში, შეიკრიბა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის სეიმის საგანგებო (და თანაც უკანასკნელი) სხდომა, სეიმის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დააყენა საკითხი ფედერაციის დაშლისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ. მცირე კამათის შემდეგ სეიმმა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (წინააღმდეგ - ორისა) დაადგინა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა.

26 მაისს, ნაშუადღევს, იმავე შენობაში შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ, აგრეთვე, გრაფი შულენბურგი გერმანელი ოფიცრების თანხლებით, სამღვდელოება და ქართველი ოფიცრობა. ნ. ჟორდანიამ ეს მოვლენა შეაფასა „ტრაგიკულ, მაგრამ ქართველი ხალხისათვის ისტორიულ აქტად", როცა „მოკვდა ერთი სახელმწიფო და იმავე დარბაზში საფუძველი ეყრება მეორე სახელმწიფოს".

ეროვნულმა საბჭომ ერთსულოვნად მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც, სხვებთან ერთად, ხელი მოაწერეს ჰაიდარ აბაშიძემ და ყადირ შერვაშიძემ. „ეს იყო არა მარტო მათი ეროვნულ-პატრიოტული საქმიანობის აღიარება-დაფასება, არამედ სამუსლიმანო საქართველოს ერცელი რეგიონის მრავალრიცხოვანი მოსახლეობისადმი ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი ყურადღების გამოხატულებაც. ამით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, ქრისტიან ქართველებთან ერთად, ცნობდა მაჰმადიანი ქართველების თანაბარ უფლებებს ახალი სახელმწიფოს მშენებლობაში".[283]

დამოუკიდებლობის აქტით ქვეყნის პოლიტიკური წყობილების ფორმად აღიარებული იქნა დემოკრატიული რესპუბლიკა; გამოცხადდა საქართველოს მუდმივი ნეიტრალიტეტი; რესპუბლიკის ყველა მოქალაქის თანასწორობა, განურჩეველად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა; საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხისათვის განვითარების ფართო ასპარეზის უზრუნველყოფა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) უფლებამოსილება, დამფუძნებელი კრების არჩევამდე (1919 წ. მარტი), მიენიჭა ეროვნულ საბჭოს. 26 მაისის სხდომაზვე დამტკიცდა საქართველოს მთავრობის შემადგენლობაც: თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი - ნოე რამიშვილი;[284] მასვე დაევალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზაეო დელეგაციის ხელმძღვანელობა ბათუმის კონფერენციაზე, საგარეო საქმეთა მინისტრი - აკაკი ჩხენკელი (ის ამ დროს კვლავ ბათუმში იმყოფებოდა საზაეო კონფერენციაზე), სამხედრო მინისტრი - გრიგოლ გიორგაძე, ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი - გიორგი ჟურული, სახალხო განათლების მინისტრი - გიორგი ლასხიშვილი, მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი - ნოე ხომერიკი, იუსტიციის მინისტრი - შალვა მესხიშვილი და გზათა მინისტრი - ივანე ლორთქიფანიძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა იმავე დღეს დეპეშით

[283] ა.ბ.სურგულაძე, ყადირ შერვაშიძე - თამარის ორდენის რაინდი, ქუთ., 1998, გვ. 31.

[284] 1918 წლის 24 ივნისიდან მთავრობის თავმჯდომარე გახდა ნ.ჟორდანია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელს მანძილზე უცვლელად ხელმძღვანელობდა მას.

ეცნობა უცხოეთის სახელმწიფოებს.

დამოუკიდებლობის გამოცხადებას აღფრთოვანებით შეეგება საქართველოს საზოგადოებრიობა. ერი დალოცა და დამოძღვრა კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ: „დამოუკიდებლობა გვაკისრებს დიდ ზრუნვას და დიდ მოქალაქეობრივ სიბრძნე-სიფხიზლეს თხოულობს ჩვენგან. ერთობაში არის ძალაო, ამბობენ, და თუ ესეა, ეხლანდელი მომენტი მითუმეტეს მოითხოვს ყველასაგან ძმურ შეერთებას".

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმაც დადებითად შეაფასა დამოუკიდებლობის აქტი და 29 მაისს მიიღო რეზოლუცია: „ყოველგვარი მხარდაჭერა გაეწიოს საქართველოს რესპუბლიკის ახალ მთავრობას საგარეო მტრის მოგერიებასა და რევოლუციური მონაპოვრების დაცვაში".[285]

იმავე 26 მაისის საღამოს, ოსმალებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ ცოტა რამ იცოდნენ თბილისში განხორციელებული ზემოაღნიშნული პოლიტიკური აქტების შესახებ, ამიერკავკასიის დელეგაციას წაუყენეს ახალი ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვდა ოსმალთა მიერ 11 მაისს წამოყენებული საზავო ხელშეკრულების პროექტის უცვლელად მიღებას, ზემოაღნიშნული ტერიტორიების დათმობას და ამიერკავკასიის ფარგლებში ჯარების თავისუფალი გადაადგილების უფლებას. ულტიმატუმზე დართული იყო ახალციხისა და ახალქალაქის მუსლიმანი მოსახლეობის ე. წ. „დელეგატთა კრების" დადგენილება (ხელს აწერდა 40 პირი), რომელიც მოითხოვდა „დედაოსმალეთთან" შეერთებას. ულტიმატუმი პასუხისათვის ვადას 72 საათით განსაზღვრავდა და მათი მიუღებლობის შემთხვევაში სამხედრო მოქმედების განახლებით იმუქრებოდა.

პასუხად ა. ჩხენკელმა განუცხადა ჰალილ-ბეის, რომ სეიმის გადაწყვეტილებით, ამიერკავკასიის ფედერაცია უკვე დაიშალა და საკითხი მანამ ვერ გადაწყდებოდა, ვიდრე ბათუმში არ ჩავიდოდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების საზავო დელეგაციები. ოსმალები იძულებული გახდნენ კონფერენციის გაგრძელებას დალოდებოდნენ.

უფრო ადრე, გერმანიის დელეგაციამ, იმაში დარწმუნებულმა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლას წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა, 25 მაისს დატოვა კონფერენცია და სავაჭრო გემ „მინა-ჰორნით" ბათუმიდან გაეიდა. კონფერენციის დატოვების საბაბად ფონ ლოსოვმა გამოიყენა ოსმალთა 26 მაისის ულტიმატუმი, რომლის შემუშავების შესახებაც ის ჰალილ-ბეიმ წინასწარ გააფრთხილა. ულტიმატუმი ბევრად მეტს მოითხოვდა, ვიდრე ბრესტის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ეს კი ხელყოფდა გერმანიის ინტერესებს ამიერკავკასიაში.

ბათუმიდან გასვლის წინ ფონ ლოსოვმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მიემგზავრება თავის მთავრობასთან კონსულტაციისათვის, მაგრამ „მინა-ჰორნი" კონსტანცის (რუმინეთი) ნაცვლად 26 მაისს დილით ფოთში შევიდა. აქ, წინასწარი შეთანხმების თანახმად, ფონ ლოსოვი დაელოდა საქართველოს წარმომადგენლებს, რომლებიც ფედერაციის დაშლის შემდეგ ოფიციალურად ბათუმიდან თბილისში გაემგზავრნენ. სინამდვილეში კი სადგურ სამტრედიიდან ფოთში ჩავიდნენ. სამტრედიაში ქართულ დელეგაციას თბილისიდან შეუერთდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. რამიშვილი. 28 მაისს „მინა-ჰორნზე" სამსაათიანი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ხელი მოაწერეს ჯერ კიდევ ბათუმში შეთანხმებული ხელშეკრულების ტექსტებს.

[285] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 338.

ფოთში სულ გაფორმდა 4 ხელშეკრულება.[286] მათ შორის ძირითადი იყო შეთანხმება „საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგების შესახებ“ ორი დამატებით. ის ორ ქვეყანას შორის დამოკიდებულების განმსაზღვრელად აღიარებდა ბრესტის ხელშეკრულებას და ორივე სახელმწიფოს დედაქალაქში აწესებდა დიპლომატიურ წარმომადგენლობებს. ამით გერმანიამ ფაქტობრივად (დე ფაქტოდ) ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ცალკე დროებითი შეთანხმებები დაიდო ორივე მხარის ტყვეთა გაცვლის დასაჩქარებლად, საეალუტო ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგებისა და საქართველოს განკარგულებაში მყოფი გემების ომის დამთავრებამდე გერმანიის სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

მართალია, აღნიშნული ხელშეკრულებებით გერმანიის იმპერია პრივილეგიურ მდგომარეობას იღებდა საქართველოს რკინიგზების, ნავსადგურების, სამთამადნო წიაღისეულისა და სამხედრო ეკონომიკისათვის საჭირო სხვა დარგების ექსპლოატაციის საქმეში, მაგრამ მათში გათვალისწინებული იყო საქართველოს ინტერესებიც. კერძოდ, სამთამადნო წიაღისეულის დამუშავებისას აქციები თანაბრად ნაწილდებოდა, გერმანია ვალდებულებას იღებდა, „რაც შეიძლება ჩქარა დაეწესებინა“ ეკონომიკურად ურთიერთხელსაყრელი საზღვაო მიმოსვლა საქართველოსთან; ფოთშიეე დადგინდა, რომ საქართველოს მთავრობას 28 წლის ვადით მიეცემოდა 6 პროცენტიანი სესხი - 54 მლნ რუბლის ოდენობით.

საქართველოს მთავრობისადმი ფოთიდან გამოგზავნილი წერილით გენერალი ფონ ლოსოეი კისრულობდა პასუხისმგებლობას, რომ გერმანიის მთავრობა დაეხმარებოდა საქართველოს „რუსეთის მთავრობასთან რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან გამოსელის გამო მოლაპარაკებაში და გამოყოფის შემდეგ თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებაში“. გერმანიის რწმუნებული კისრულობდა, აგრეთვე, მიეღო ზომები, რათა „გერმანიის სახელმწიფოს დახმარება გაეწია საქართველოსათვის საზღვრების დაცვაში და მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის ნორმალიზებაში“.

ამავე წერილში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს საზღვრები მოიცავენ ყოფილ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებს და სოხუმის ოკრუგს. ამ განმარტებით სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიები გამორიცხული იყო საქართველოს საზღვრებიდან, მაგრამ ოსმალთა მიერ ბათუმის კონფერენციაზე წამოყენებულ პრეტენზიებს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებთან დაკავშირებით გერმანიის წარმომადგენელი მხედველობაში არ იღებდა. წერილი მთავრდებოდა ცნობით, რომ ფოთში ჩამოდიოდა გერმანიის ჯარის ნაწილები. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს აღარ ექნებოდა ოსმალეთის შემოსევის საშიშროება.[287]

იმავე 28 მაისს „მინა-ჰორნი“ ზღვაში გავიდა და ამჯერად მართლაც აიღო კურსი ქ. კონსტანცისაკენ. გემს თან გაჰყვა საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური მისია: აკაკი ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე და ზურაბ ავალიშვილი. ისინი მიემგზავრებოდნენ ბერლინში „გერმანიასთან ურთიერთობის საბოლოოდ მოსაგვარებლად“ და ქვეყნის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის.

კონფერენციის მეორე ეტაპზე (31 მაისი-4 ივნისი), ოსმალეთთან მოლაპარაკება ბათუმში განაგრძეს ამიერკავკასიის უკვე დამოუკიდებელმა რესპუბლიკებმა. საქართველოს დელეგაციას, რომელიც ბათუმში ფოთიდან ჩამოვიდა, ხელმძღვანელობდა

[286] იხ. სცსსა, ფ. 1796, ან. 1, ს. 85, ფურც. 1-9.
[287] ზ.აგალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 88-89.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. რამიშვილი. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: გენერალი ი. ოდიშელიძე, გ. გვაზავა და გრ. რცხილაძე, მდივნები ე. დამბაშიძე (პირველი მდივანი და თარჯიმანი), ს. ახვლედიანი და ი. გოგოლაშვილი.[288]

ბათუმში ჩამოვიდა სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციაც (ალ. ხატისიანი, რ. კაჩაზნუნი და მ. პაპაჯანოვი), აგრეთვე, მუსავატელთა ზოგიერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი (სულთანოვი, უსუბეკოვი და სხვ.) ოსმალებთან კონფიდენციალური საუბრისათვის. ოსმალთა დელეგაცია ადრინდელი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი.

31 მაისს, მოლაპარაკების განახლებისთანავე, ჰალილ-ბეიმ განაცხადა, რომ ოსმალეთის დელეგაციის 26 მაისის ულტიმატუმი ძალაში იყო ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების მიმართაც.[289]

საქართველოს დელეგაციამ მოითხოვა საზღვრების საკითხის განხილვა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის საფუძველზე. გერმანიის თანადგომით დაიმედებული ქართველი დიპლომატები ამ შემთხვევაში ვარაუდობდნენ წინა პლანზე წამოწიოთ ბათუმ-ყარს-არტაანის მოსახლეობის თვითგამორკვევის საკითხი, მაგრამ ოსმალეთმა ომის განახლების მუქარით აიძულა საქართველო მიეღო ულტიმატუმი.

4 ივნისს, ერთი მხრივ, ოსმალეთს და, მეორე მხრივ, ამიერკავკასიის ცალკეულ რესპუბლიკებს შორის გაფორმდა საზავო ხელშეკრულებები.

საქართველოსთვის თავსმოხვეული „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულებით“[290] (13 მუხლი) ოსმალეთის ხელში, გარდა ბათუმ-ყარს-არტაანის ოლქებისა, დამატებით გადადიოდა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები (აბასთუმანის და აწყურის გამოკლებით) (მუხლი 2). ამით ეროვნულ სხეულს წყდებოდა მთელი სამხრეთ-მადიანო საქართველო, მტკვრის ზემოწელისა და ჭოროხის აუზის ყველა ისტრიული ტერიტორია.

იმავე დღეს გაფორმდა ზემოაღნიშნული ძირითადი ხელშეკრულების სამი დანართი (დამატება). პირველი, რომელიც 9 მუხლისაგან შედგებოდა, ეხებოდა ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის და ნაოგაციის საკითხებს.[291] მეორე დამატება (მუხლი 3) აწესებდა განსაკუთრებულ სამიმოსელო შეღავათებს სასზღვრისპირა 10-კილომეტრიან ზოლში ორივე მხარის მცხოვრებთათვის. მესამე დამატება (მუხლი 7) ეხებოდა საქართველოში მაჰმადიანი სასულიერო პირების უფლებამოსილების გაზრდას.[292]

4 ივნისს ბათუმში გაფორმდა, აგრეთვე, დამატებითი ხელშეკრულება,[293] რომლითაც საქართველომ ივალდებულა დაეთმო რკინიგზები ოსმალეთისათვის ჯარების გადასაყვანად და საჭურველის გადასასიდად, უსრუნველყოფ სარკინიგზო შემადგენლობების შეუფერხებელი მუშაობა, მთავარ სარკინიგზო სადგურებში მოეწყობოდა ოსმალეთის სამხედრო წარმომადგენლობები, რომლებიც ადგილზე შეიძენდნენ სურსათს ჯარების მომარაგებისათვის.

დამატებით ხელშეკრულებას ჰქონდა განსაკუთრებული დანართი (მუხლი 14), რომელიც აწესრიგებდა საქართველოს და ოსმალეთს შორის ტყეთა გაცვლას. საამისო პუნქტად მონიშნული იყო ბათუმი, სადაც უნდა შეექმნათ შერეული კომისია. ტყეთა გაცვლა, ძირითადად, უნდა დაემთავრებინათ ერთი თვის ეადაში.

---

288 სცსსა, ფ. 1796, ან. 1, ს. 86, ფურც. 5.
289 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 340.
290 იხ. Документы и материалы...с. 343-349.
291 იხ. Документы и материалы...с. 349-351.
292 იქვე. გვ. 351-357.
293 იქვე. გვ. 357-360.

4 ივნისს ბათუმში ოსმალეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ცალკე კონვენციას „ბაქო-ბათუმის ნავთსადენის შესახებ". საქართველოსა და აზერბაიჯანის მხარეები, შესაბამისი საზღაურის ფასად, იღებდნენ ეალდებულებას თავიანთ ტერიტორიებზე „უზრუნველეყოთ ნავთსადენის მუდმივი მოქმედება".

ოსმალეთ-საქართველოს 4 ივნისის ზავით, ხელშეკრულებების რატიფიკაცია უნდა მოეხდინათ ერთი თვის ვადაში. ეს არ განხორციელდა, რადგან საქართველომ მაშინვე მიიღო ზომები ამ მიმე პირობების შეცვლისათვის. 6 ივნისს ქართულმა დიპლომატიურმა მისიამ ბერლინში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ნოტა, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ „ბათუმის ზავზე ხელმოწერა მოხდა ოსმალური ხიშტების ძალდატანებით" და მოითხოვა მისი გადასინჯვა ოთხთა კავშირის და ამიერკავკასიის სახელმწიფოების საგანგებო საზაეო კონფერენციაზე.

ახალი საზაეო კონფერენციის მოწვევის შესახებ ქართველთა მოთხოვნა გაიზიარა გერმანიის მთავრობამ და დაითანხმა ოსმალეთიც.[294] ამის მიუხედავად, ოსმალეთმა მაინც სცადა ამ კონფერენციისათვის, რომელიც სტამბოლში უნდა გამართულიყო, მიეცა თავისთვის სასურველი ელფერი. ამ მიზნით იქ მიიწვია არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთისა და შუა აზიის მაჰმადიანი ხალხების წარმომადგენლებიც.[295] საბოლოოდ, კონფერენციის ჩატარება აღარ მოხერხდა, პირველ მსოფლიო ომში გერმანიის ბლოკის სახელმწიფოების დამარცხების გამო.

ამრიგად, კავკასიის ფრონტის მოშლის შემდეგ, ამ რეგიონში პირველობისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გერმანია და მისი მოკავშირე ოსმალეთი. მათმა მეტოქეობამ და ამ საფუძველზე ოსმალეთის მცდელობამ — რაც შეიძლება სწრაფად დაეპყრო ამიერკავკასია — დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და გერმანიასთან მისი დაახლოება. შექმნილ სიტუაციაში ეს იყო ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა.

§8. ბათუმის ოლქის ოკუპაცია ოსმალთა მიერ (1918 წ.)

1877-1878 წლების ომის შედეგად დედასამშობლოსთან დაბრუნებული ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქების ისევ დაპყრობას ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. ამის რეალური შესაძლებლობა მას მიეცა 1917 წ. რევოლუციებისა და კავკასიის ფრონტის რღვევის შედეგად.

ტრაპიზონის კონფერენციის მსვლელობისას ოსმალეთი აქტიურად ემზადებოდა ამ მიმართულებით შემოტევისათვის. ასეთ პირობებში საჭირო გახდა ოლქის მოსახლეობის ინფორმირება, მისი პოზიციის გარკვევა, ამიტომაც სოფლებში იმართებოდა კრებები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს, ამიერკავკასიის მთავრობისა და ქართული საზოგადოების წარმომადგენლები. ერთი

[294] ვ. სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 1914-1918 წლებში, გვ. 270-274.

[295] ზ.ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 162, მისივე ცნობით: „გერმანია აპირებდა თურქეთისაგან დაკინებით მოეთხოვა ბათუმის გადაცემა თავისუფალ ნავსადგურად და საქართველოსთან მისი კავშირის გაადვილება" (იქვე, გვ. 139).

ასეთი კრება გაიმართა ქობულეთშიც. სიტყვით გამოსულმა გულო კაიკაციშვილმა გამოხატა შეკრებილთა სურვილი – იბრძოლონ ძმებთან ერთად.[296] შეაფასა რა აჭარა-გურიის ტრადიციული ნათესაური კავშირები, გურიის წარმომადგენელმა იულონ რამიშვილმა კრებაზე გამოსვლისას ითხოვა, თუ იარაღით არ მოგვეხმარებით, ნურც ოსმალთა მხარეს დადგებითო. ამის პასუხად სულეიმან ჭყონიამ განაცხადა: გურულებს ამ საკითხზე ლაპარაკი არ სჭირდებათ, ჩვენ ისედაც არ ვუღალატებთ მათ! აღნიშნა რა კმაყოფილება ქობულეთის კრების პოზიციის გამო, რაფიელ ჩიხლაძემ თქვა, საქართველო მტკიცედ დარწმუნებულია თავისი აჭარელი ძმების მამულიშვილურ გრძნობებშიო.[297]

მსგავსი კრებები გაიმართა სხვა სოფლებშიც. შემდეგ დელეგაცია ხულოსაც ესტუმრა. მის შემადგენლობაში იყვნენ საოლქო კომისარი ეეგენი კრინიკი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე გიზო ანჯაფარიძე, მემედ აბაშიძე და სხვ. ხულოში მაშინ მძლავრობდნენ „სედაი მილეთელები". როდესაც ი. რამიშვილმა გამოსვლა დაამთავრა მოწოდებით - გაუმარჯოს ჩვენს ერთობასო, ერთ-ერთმა სედაი მილეთელმა თავისი თურქოფილური პოზიცია მთავრობისადმი გულისწყრომით გამოხატა.[298] აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: დელეგაციის ზოგიერთი წევრი ჯეროვნად ვერ ითვალისწინებდა ოლქის თავისებურებებს. კ. მაჭავარიანი იხსენებს ხულოში შეხვედრის იმ მომენტს, როცა ერთ-ერთმა სტუმარმა შეკრებილ ხალხს მოურიდებლად განუცხადა: აჭარაში აღარ არიან ბეგები და, ამიტომაც, ჯემალ ხიმშიაშვილს, უბრალოდ, ჯემალი დაუძახეთო; ხალხმა, ცხადია, ვერ გაუგო მას, ჯემალ-ბეგი კი ძალიან განაწყენდა.[299]

1918 წ. დასაწყისში ბათუმის ოლქში მომრავალდნენ თურქოფილები, რომლებიც დიდ მუშაობას ეწეოდნენ სოფლად და ხალხს მოუწოდებდნენ ოსმალეთის მხარეზე გადასვლას. ისინი ყოველთვის როდი აღწევდნენ მიზანს, მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც იწვევდნენ მოსახლეობის დეზორიენტაციას.

1918 წ. მარტში ოსმალთა ძალებმა ტრაპიზონში მოიყარეს თავი, სადაც ჩაეიდნენ მაღალი ჩინის ოფიცრები. უკვე გასაგები იყო, რომ ეს ქალაქი ბათუმის მიმართულებით საომარი მოქმედების ბაზად გადაიქცეოდა. იქვე განლაგდა ოსმალეთის მეოთხე საეტაპო ხაზის მთავარი სამმართველო. პორტში თავი მოუყარეს დიდი რაოდენობის გემებს. ოსმალეთის დაზვერვა ინტენსიურად ამუშავდა ბათუმის გარშემო დანაღმული ზონის გამოსავლენად.[300] 7 აპრილს, ოსმალთა შემოტევის წინ, დაუდგენელმა პირებმა მწვანე კონცხის მიდამოებში აჰყარეს რკინიგზა,[301] რამაც დიდი პანიკა გამოიწვია.

22 მარტს ოსმალეთის სამხედრო ძალები, ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, შეტევაზე გადმოვიდნენ. რუსეთის ჯარებში გავრცელებული სტიქიური დემობილიზაცია სამხედრო ნაწილების დესტაბილიზაციას იწვევდა. მართალია, საქართველოს ეროვნული საბჭო დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნული საჯარისო ნაწილებით ტრაპიზონის მიმართულებით ფრონტის შევსებას, მაგრამ ქართული ჯარი ამ დროს ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა და მისი ნაწილები მიმოფანტული იყო სხვადასხვა ადგილას. ქუთაისში იდგა პირველი

296 გაზ. „ერთობა", №58, 1918.
297 გაზ. „საქართველო", №59, 1918.
298 გაზ. „ერთობა", №64, 1918.
299 ს.ახვლედიანი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში, 1917-1921 წწ., ბათ. 1971, გვ.32.
300 სცსსა, ფ. 1818, ან. 2, ს. 179, ფურც. 83.
301 გაზ. „ერთობა", №71, 1918.

ქართული მსროლელი პოლკის[302] სამი ბატალიონი. იმ დღეებში შეიქმნა მეხუთე ქართული მსროლელი პოლკი 4000 კაცის რაოდენობით. გორში წვრთნას გადიოდა მეოთხე მსროლელი პოლკის 400 მებრძოლი. დაახლოებით ამდენივე კაცს მოითვლიდა ავჭალაში მდგომი მე'შვიდე პოლკიც. თბილისში იდგა და ივსებოდა პირველი ცხენოსანი პოლკი, რომელიც, ძირითადად, დაკომპლექტდა ირანიდან დაბრუნებული ქართველი კავალერისტებით. ცხადია, ოსმალებთან მოსალოდნელი კონფლიქტი დღის წესრიგში აყენებდა საჯარისო ნაწილების რაოდენობის სასწრაფო გაზრდას და ერთი მიმართულებით დისლოცირებას. ეს კი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ფრონტზე მყოფ ქართველ ჯარისკაცებს სამშობლოში დააბრუნებდნენ. სწორედ ამის გათვალისწინებით დაიგზავნა დეპეშები, მაგრამ მთავარი შტაბის ხელმძღვანელობა ქართველებს მათ უმალავდა.[303] საქართველოსათვის ამ მძიმე სიტუაციაში მხოლოდ უკრაინის რადამ გამოთქვა მზადყოფნა დასახმარებლად. უკრაინაში საქართველოს სამხედრო საქმეთა რწმუნებულის — ვაჩეიშვილის თაოსნობით ოდესის ოლქში აღირიცხა ქართველი ჯარისკაცები, რომლებმაც მოკლე დროში ჩამოაყალიბეს ორი პოლკი. სამშობლოში მათი დაბრუნება თავად უკრაინის ცენტრალური რადის გენერალური სამდივნოს წარმომადგენელმა შულგინმა ითავა.[304]

შექმნილ კრიტიკულ სიტუაციასთან დაკავშირებით „ქართველ მაჰმადიანთა კომიტეტმაც“ გადაწყვიტა ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეექმნა შეიარაღებული რაზმი, რომელიც წელილს შეიტანდა ოლქის დაცვაში. ამ მიზნით კომიტეტმა სთხოვა საქართველოს ეროვნულ საბჭოს გამოეყო იარაღის გარკვეული რაოდენობა. სამხედრო სექციამ განიხილა ეს საკითხი და დაადგინა: „პირველ რიგში დაკმაყოფილდეს ქართველ მაჰმადიანთა კომიტეტის თხოვნა“.[305]

ამავე საკითხს მიეძღვნა ქუთაისის გარნიზონის ქართველ ოფიცერთა კრება. კომისარმა, ამიერკავკასიაში არსებული მდგომარეობის მიმოხილვის შემდეგ, მოუწოდა ოფიცრებს, რეგულარული არმიის შექმნამდე ეხელმძღვანელათ ბათუმის დამცველი გვარდიის ნაწილებისათვის. ქალაქის უშიშროების უსრუნველსაყოფად შემუშავდა ოპერატიული გეგმა, რომლის მიხედვით უნდა შეექმნათ ორი რაზმი. ერთი დაკომპლექტდებოდა უშუალოდ ოფიცრებისაგან და დაიცავდა ბათუმის ციხესიმაგრეს, მეორე კი - ოფიცერთა და გვარდიელთა შემადგენლობით, შერეული სახით — გაიგზავნებოდა ციხესიმაგრის კომენდანტის განკარგულებაში.[306]

1918 წ. მარტის დამლეგისათვის ბათუმი სამარ ყაიდაზე ცხოვრობდა, გამოცხადდა 60 წლამდე ასაკის მამაკაცთა მობილიზაცია, თვითმმართველობამ გამოსცა ბრძანება ხანშიშესული მამაკაცების საპატრულო-საპოლიციო სამსახურში გაწვევის შესახებ, გამოთავისუფლებული წესრიგის დამცველთა რაზმი კი ფრონტზე გაიგზავნა.[307] ბათუმში თავი მოიყარა მნიშვნელოვანმა სამხედრო ძალამ: ვაჟთა გიმნაზიაში განლაგდა გენერალ ართმელაძის პირველი ქართული პოლკი (450 ჯარისკაცი), აქვე განთავსდა ოფიცერთა განსაკუთრებული ბატალიონი კაპიტან ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. მეორე ქართული პოლკი (1050 ჯარისკაცი) იდგა ბათუმის ე.წ. „არდაგანის ყაზარმებში“. აქვე იმყოფებოდა ქართული სამთო-საცხენოსნო ბატარეა. ლიმან-მაკრიალზე პოზიცია ეჭირა აფხაზავას რაზმს და მესამე ცხენოსანთა პოლკის პირველ ასეულს. აჭარისწყლის სტრატეგიული ხაზიდან ქალაქს იცავდა პოდპოლ-

[302] ზოგიერთ წყაროში პოლკები მოიხსენიება ლეგიონებად.
[303] სცსსა, ფ. 1836, ან. 1, ს. 32, ფურც. 21.
[304] იქვე. ფურც. 64-65.
[305] იქვე. ფურც. 145.
[306] იქვე. ფურც. 170.
[307] აცსა, ფ. 67, ს. 14, ფურც. 126.

კოვნიკ დეკანიძის 230-კაციანი ოფიცერთა რაზმი და ბათუმის ქართული პოლკის ორი არასრული ასეული (80 ჯარისკაცი). სოფელ გონიოში იმყოფებოდა მეხუთე ქართული პოლკის ორი არასრული ასეული თავისი ოთხი ტყვიამფრქეევით. მას პოდპოლკოვნიკი შერვაშიძე ხელმძღვანელობდა.[308] საზღვაო ფლოტის შორსმსროლელი ქვემეხები ოსმალთა შესაძლებელი თავდასხმის მიმართულებით მიატრიალეს. ციხე-სიმაგრის კომენდანტად დაინიშნა გენერალი მდივანი, ქალაქის მისადგომების გამაგრებული პუნქტების საერთო ხელმძღვანელად კი - გენერალი ოდიშელიძე.

ოსმალთა არმიაც არ იყო მრავალრიცხოვანი. მიუხედავად ამისა, 1918 წ. 9-10 აპრილს, ხანმოკლე ბრძოლების შემდეგ, ოსმალები მიუახლოვდნენ ბათუმს. გააფთრებული ბრძოლა გაიმართა თავდაცვის მეორე ხაზზე. მაგრამ ფორტების არტილერიის ნაკლებად ინტენსიური ცეცხლი მოწინააღმდეგეს დიდ დაბრკოლებას ვერ უქმნიდა.

8 აპრილს ოსმალთა აგენტურამ სოფელ ყოროლისთავში მოშალა ქალაქის სასმელი წყლის სათაე ნაგებობა და ქალაქი წყლის გარეშე დარჩა. არ მუშაობდა ელექტროსადგური, რის გამოც შეფერხდა პურის ცხობა. ქალაქის თვითმმართველობასთან ჩამოყალიბდა თავდაცვის კომიტეტი, რომლის განკარგულებაშიც ყველა სრულწლოვან მამაკაცს უნდა მოეყარა თავი, მაგრამ სამწუხაროდ, ვერც ეს ღონისძიება განხორციელდა.[309]

ბათუმის დაცვა ორი სტრატეგიული მიმართულებით დაიგეგმა: ერთი, ზღვის სანაპიროს გასწვრივ, სარფი-გონიოს ხაზით, მეორე - ჭოროხის ხეობით, ერგესკენ. ორივე ხაზი ერთიანდებოდა ქალაქის მისადგომებთან, კახაბერ-ადლიას შორის და ჰქმნიდა მესამე სტრატეგიულ ხაზს. 9 აპრილს ოსმალებმა ბრძოლით დაიკავეს სოფელ ერგეს მეტად ხელსაყრელი პოზიციები. ამით მათ შესაძლებლობა მიეცათ მაღლობების გადმოვლით შეეტიათ სამების ფორტისათვის, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა (თავს დაჰყურებდა ბარცხანა-გოროდოკს და ქალაქის სხვა გამაგრებულ ადგილებს). სამების დაკავებით ოსმალებმა ზურგიდან მოუარეს ქალაქს და ცეცხლი გაუხსნეს დაბლობში არსებულ საარტილერიო წერტილებს. ბათუმის ბედი ფაქტობრივად გადაწყვიტა „ანარიის“ ფორტის დაკარგვამ, რის შემდეგაც ქალაქის დაცვა შეუძლებელი გახდა.

11-12 აპრილს ბათუმი პანიკამ მოიცვა, ქალაქში გაჩნდა ხანძარი, დაიწყო მოსახლეობის მასობრივი ევაკუაცია.[310] იგი გვიან ღამემდე გრძელდებოდა. სამხედროებს ძირითადად მიჰქონდათ სურსათი, რის გამოც დიდძალი საომარი ტექნიკა ოსმალებს დარჩათ.

1918 წ. 14 აპრილს ბათუმის თვითმმართველობის შენობასთან შეიკრიბა ხმოსანთა და ქალაქის ინტელიგენციის ერთი ნაწილი. გადაწყდა ოსმალებთან გაეგზავნათ დელეგაცია. პარლამენტარები ლორთქიფანიძე, თავბერიძე და დიმიტრიადი ავტომობილზე აღმართული თეთრი დროშით გაემართნენ მოწინააღმდეგის პოზიციებისაკენ. ოსმალთა არმიის პოლკოვნიკმა შეკრებილთ უთხრა: „არმიის მეთაურის, ვეხიბ-ფაშას ბრძანებით გიცხადებთ მადლობას პარლამენტარების გამოგზავნისთვის და პოლიციისათვის, რომელიც წესრიგს იცავს ქალაქში; ჩვენ ვთხოვთ პოლიციას დარჩეს თავის ადგილზე, ხოლო საღამოთი დაიშალონ სახლებში, რათა არ მოხდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევა. ჩვენი ჯარები შემოელენ ქალაქში და მოსახლეობის მხრივ თუ იქნება ლოიალური დამოკიდებულება, მაშინ მცხოვრებთ არავითარი საშიშროება არ

[308] სცსსა, ამფ, ს. 28 (ფურცლები დაუნომრავია).
[309] გაზ. „სახალხო საქმე“, №210, 1918.
[310] სცსსა, ფ. 1818, ან. 2, ს. 205, ფურც. 13.

ემუქრებათ".[311]

ამის შემდეგ დაიწყო ქალაქში ოსმალთა ჯარის ნაწილების შემოსვლა. 14 აპრილს საოკუპაციო ჯარების სარდლობამ თურქულ, ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა ბრძანება, რომელიც სამი პუნქტისაგან შედგებოდა. ახალი ხელმძღვანელობა მოსახლეობას მოუწოდებდა სიმშვიდის დაცვისაკენ, ურჩებს ემუქრებოდა სამხედრო-საველე სასამართლოთი, მოითხოვდა ყველა სახის ცეცხლსასროლი იარაღის ჩაბარებას.[312] პირველი ღონისძიება, რითაც ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო ოლქის მართვა, იყო სახელმწიფო ქონების აღწერა. კონფისკაცია უყვეს საექსპორტო ნავთობს, აიკრძალა ნავთობპროდუქტების უნებართვოდ გატანა. ოსმალები არ მალავდნენ, რომ აკლდათ საწვავი და ამდენად, ბათუმის მარაგი მათთვის ძვირფას შენაძენს წარმოადგენდა.[313]

პოლიტიკურ სფეროში განხორციელებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ოლქის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობის შემოღება. პირველი გუბერნატორი, რომელიც სამი კვირის განმავლობაში მართავდა აჭარას, იყო ჰამიდ-ბეი. მან შექმნა დროებითი სამხედრო-პოლიციური სამმართველო, დაიწყო ძველი მმართველობითი აპარატის თანდათანობით გაუქმება და მის ნაცვლად ოსმალეთში არსებული სახელმწიფო აპარატის მოდელის დამკვიდრება. შემორჩენილ ძველ ორგანოებს კი არავითარ ანგარიშს აღარ უწევდნენ. მნიშვნელოვნად შეიზღუდა ქალაქის თვითმმართველობა: მას ჩამოართვეს სურსათის მთელი მარაგი და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის უფლება, დაწესდა კომენდანტის საათი. დადგენილი წესების დარღვევისათვის ხორციელდებოდა მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებები. გამონაკლისი გაერცელდა მხოლოდ რუსი მოსახლეობის მიმართ. ჰ. მასლოვის ირგვლივ დაირაზმა რუსი და სხვა ეროვნების მცხოვრებთა დიდი ჯგუფი, რომელიც გამოირჩეოდა მკვეთრი ანტიქართული განწყობილებით. ჰ. მასლოვმა მაღალი ჩინის ოსმალო ოფიცრებთან საუბრისას დაადასტურა, რომ რუსები ლოიალურად არიან განწყობილი ახალი ხელისუფლების მიმართ. მან ოსმალთა ხელში ბათუმის გადასვლა კანონზომიერ მოვლენად ჩათვალა და აღნიშნა, რომ მართალია ქალაქის დამცველთა შორის იყვნენ რუსები, მაგრამ ეს მოხდა არა მათი ინიციატივით, არამედ ქართველთა ზეგავლენით, „ჩვენ მოგეცით ბათუმი ბრესტის ხელშეკრულებით და იმ დღიდან ვართ თქვენი გულითადი მოკავშირეები და მეგობრები"[314] - ამით დაასრულა საუბარი ჰ. მასლოვმა.

ოკუპაციის გამო ბათუმი დაცარიელდა. ძველი მმართველობის აპარატის დიდი ნაწილი გაიხიზნა ქალაქიდან. ბათუმი დატოვა თვითმმართველობის ხმოსანთა დიდმა ნაწილმაც. საჭირო გახდა სათათბიროს შევსება ახალი დეპუტატებით. ქალაქისთავ კ. საბახტარაშვილის წინადადებით, მმართველობა შეივსო ეროვნული საბჭოების წარმომადგენლებით. რუსული ეროვნული საბჭოდან სათათბიროში შევიდნენ პირველადნილი შავრაზმელები: ანისიმოვი, პარაიკოშიცი, სერებრიანიკოვი, ბუნაკოვი და სხვ.[315]

1918 წ. 16 აპრილს ბათუმს ესტუმრა ოტომანთა იმპერიის სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა. ქალაქის თვითმმართველობის სახელით მას მიესალმა ბინიათ-ოღლი. საპასუხო გამოსვლაში ენვერ-ფაშამ აღნიშნა, ოსმალები აქ მოვიდნენ არა როგორც დამპყრობლები, არამედ თავიანთი ძველი და განუყოფელი კუთხის დამბრუნებელნი.[316] „ბათუმი და ბათუმის ოლქი უბრუნდება დედასამშობლოს", - დაასრულა თავისი

[311] აცსა, ფ. 67, ს. 14, ფურც. 132.
[312] იქვე, ფურც. 134.
[313] იქვე, ფურც. 137.
[314] სცსსა, ფ. 1864, ან. 1, ს. 9, ფურც. 51.
[315] აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. 692, ფურც. 1.
[316] იქვე, ფურც. 4.

სიტყვა მინისტრმა. ეს იყო დამპყრობთა პირველი პოლიტიკური განცხადება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოკუპაციის გამო.

პარალელურად გრძელდებოდა ახალი ტერიტორიების ანექსია. ოსმალებს უკვე აღარ აკმაყოფილებდათ ბრესტის ზავი. 17 აპრილს ბრძოლები გაიმართა მდინარე ჩოლოქთან ნატანების მიმართულებით. მტერმა დიდი ზარალით დაიხია უკან. სამაგიეროდ, ოზურგეთის მიმართულებით, რომელსაც იცავდა მეოთხე ქართული ლეგიონი, მებრძოლებმა თითქმის უბრძოლველად დათმეს პოზიციები და უკუიქცნენ. ოსმალთა დაწოლის შედეგად ქართულმა ჯარმა დატოვა ოზურგეთიც და გადაინაცვლა ჩოხატაურში. აცნობა რა მომხდარი ფაქტის შესახებ, ლეგიონის უფროსმა, პოლკოვნიკმა წერეთელმა გენერალ გ. მაზნიაშვილს მისწერა: „მტერთან ახლოს ვარ“ და „გთხოვთ მომცეთ უფლება მოლაპარაკება გავმართო“.[317] 17-18 აპრილის ბრძოლები თავისი ხასიათით საოცრად წააგავდა 10-13 აპრილის ბრძოლას ბათუმის მისადგომებთან. აქაც თავი იჩინა შეუთანხმებლობამ და არაერთსულოვნებამ. ასე რომ, თუ ჩოლოქ-ნატანებთან ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ, სამაგიეროდ, ოზურგეთთან იოლი გამარჯვება მოიპოვეს. ამის გამო ჩოლოქის პოზიციების გამაგრებას აზრი დაეკარგა.

23 აპრილს დაიწყო ქართველთა კონტრშეტევა ოზურგეთის გამოსახსნელად. შეიქმნა მტრის განდევნის შესაძლებლობა, მაგრამ გიორგი მაზნიაშვილს თბილისიდან მოულოდნელად სომარი მოქმედების შეჩერების ბრძანება მოუვიდა (ოსმალეთისა და ამიერკავკასიის მთავრობას შორის დაიდო დროებითი ზავი). ამასთან დაკავშირებით გენ. გ. მაზნიაშვილი იგონებდა: „ჩხენკელის ბრძანებას რამდენიმე საათით რომ დაეგვიანა, ოსმალეთის ჯარები ქალაქის დაცლას აპირებდნენ, ხოლო სამნეო დაწესებულებანი თავისი ბარგი-ბარხანით 11 საათზე უკვე გასული იყვნენ ოზურგეთიდან და ლიხაურს გაცილებულნი“.[318]

ბათუმის ზავით სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ოსმალეთს დარჩა, მაგრამ ერს ასულდგმულებდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მაღალი იდეალები. ოლქის მოსახლეობის სულიერი თანადგომა და მზადყოფნა ერთიანი მომავლისათვის ფართოდ აისახა ამ კუთხის შვილთა მგზნებარე გამოსვლებში. „ჩემი გული ნაღველით იესება, როდესაც ვიგონებ, რომ სამაჰმადიანო საქართველო დღეს ჩვენთან არ არის, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ დღეს თუ არა ხვალ, ჭირშიც და ლხინშიც თქვენთან იქნება“, - აღნიშნა ჰაიდარ აბაშიძემ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოსვლისას.[319]

ოლქის მოსახლეობის ბრძოლა განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს იძენდა. ეს ტენდენცია მკვეთრი გახდა 1918 წ. 14 ივლისიდან, როდესაც ოსმალთა ხელისუფლებამ აჭარაში ჩაატარა რეფერენდუმი მოსახლეობის ორიენტაციის საკითხის გასარკვევად. რეფერენდუმი ოდნავადაც არ გამოხატავდა მკვიდრთა ნება-სურვილს. საალყო წესები, ქალაქში შესვლაზე მკაცრი მეთვალყურეობა, მოსახლეობის გახიზნვა და სხვ. გამორიცხავდა მის ობიექტურად ჩატარებას. ამასთან, გუბერნატორმა რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება დართო ისეთ პირებს, რომლებიც აქ დროებით ცხოვრობდნენ (სპარსელები) და ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული აჭარის ბედით.

ოსმალეთის მთავრობა რეფერენდუმით ცდილობდა დაპყრობილ ოლქებზე თავისი უფლებების დაკანონებას, მაგრამ ეს არ აწყობდა არა მარტო ყოველმხრივ დაზარალებულ საქართველოს, არამედ გერმანიასაც. ამ უკანასკნელმა ოფიციალურადაც

[317] გ.მაზნიაშვილი, მოგონებანი, ბათ., 1990, გვ. 42.
[318] იქვე. გვ. 50.
[319] გაზ. „საქართველო“, №102, 1918.

გამოთქვა პროტესტი ოსმალთა მხრივ ბრესტის ზავის მეოთხე მუხლით გათვალისწინებული რეფერენდუმის უხეშად დარღვევის გამო.[320]

ასეთ ვითარებაში გააქტიურდნენ პროგრესული ძალები და ორგანიზაციები. ისინი ირაზმებოდნენ მემედ აბაშიძის, რეჯებ ნიუარაძის, ქემალ ნოღაიდელის, უსუფ ქათამაძის, სულეიმან ნიუარაძის, ჰაიდარ აბაშიძის, ჯემალ ქიქავას და სხვა პატრიოტების გარშემო. მაშინ ხელისუფლებამ გაამკაცრა ადმინისტრაციული ზომები და შეიპყრო მემედ აბაშიძე, ჯემალ ქიქავა, ხოჯა დაუდ სირბილაძე, სულეიმან ბეყანიძე და ხასან ლორთქიფანიძე. ისინი ტრაპიზონის ციხეში გააგზავნეს. სიკვდილი მიუსაჯეს მემედ აბაშიძეს, მაგრამ იქაური ქართველების ხელშეწყობით იგი ტრაპიზონის ციხიდან გამოიპარა და თხუთმეტი დღის შემდეგ, ზღვით, ფარულად ჩამოაღწია ფოთში.[321] ამ დროისათვის კი ზია აბაშიძეს, სულეიმან დიასამიძეს, ჰაიდარ აბაშიძეს, ყადირ შერვაშიძეს და სხვებს თბილისში დაარსებული ჰქონდათ „სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი", რომლის თავმჯდომარედაც დაუსწრებლად აირჩიეს მემედ აბაშიძე. ორგანიზაცია აერთიანებდა პატრიოტებს ართვინიდან, იმერხევიდან, მურღულიდან, ბორჩხადან, აგრეთვე, არტანუჯის, შავშეთ-სათლეელის, ხულოს, ქედის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონებიდან.[322] მისი შექმნა იყო დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, რადგან მან ხელში აიღო მშობლიურ კერაზე დაბრუნებისათვის ბრძოლის სადავეები.

აჭარაში ოსმალეთის უანდარმერიის გააქტიურება პატრიოტულ ძალებს ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობებს უზღუდავდა. ამიტომ მათ ყურადღება გადაიტანეს მოსახლეობაში ახსნა-განმარტებით მუშაობაზე. ამ მხრივ დიდ როლს ასრულებდა ქართული პრესაც. მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების, რეჯებ ნიუარაძისა და სხვათა სტატიებში ფართოდ აისახა აჭარის ყოფითი ხასიათის საკითხები. ისინი მოსახლეობას განუმარტავდნენ არსებული მძიმე მდგომარეობის ნამდვილ მიზეზებს და მოუწოდებდნენ დაუმორჩილებლობისკენ. ოსმალური საოკუპაციო ხელისუფლების ნამდვილი იერსახის წარმოჩენისა და პატრიოტული ძალების შეკავშირების მიზნით, „განმათავისუფლებელი კომიტეტის" ფილიალები ჩამოყალიბდა ახალციხესა და ოზურგეთში. რაც დრო გადიოდა, კომიტეტის საქმიანობა უფრო მიზანსწრაფულ და მასობრივ ხასიათს ღებულობდა. იგი მთელი სიცხადით ამხელდა საოკუპაციო რეჟიმის სიმკაცრეს და აუტანლობას.

ოსმალებმა ბათუმში არ შემოუშვეს ქართველი ელჩი, რომლის წარმომადგენლობა, მარინეს ქუჩაზე, საბაშვილის სახლში იყო მოთავსებული. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ასკერთა მაროდიორობა, მკვიდრთა ადათ-წესების შეურაცხყოფა. თავმოყვარე კაცი, ვერ ითმენდა რა ასეთ უხეშობას, მომხდურს ტყვიით უმასპინძლდებოდა. ასკერთა მკვლელობისათვის კი ოსმალური სასამართლო სიკვდილით სჯიდა.[323] დამცირება-შევიწროებისაგან მოსახლეობის არც ერთი ფენა არ იყო დაცული, გარდა რუსებისა. ისინი, განსაკუთრებით ოფიცრები, ქუჩაში დასეირნობდნენ მეფისდროინდელი სამხრეებით და ეწეოდნენ ქართველთა პროეოცირებას. რუსი მოხელეები თავისუფლად ჩადიოდნენ თბილისში, სადაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ რუსულ ეროენულ საბჭოსთან. იქიდან დაბრუნებულები კი მიმართავდნენ სხვადასხვაგვარ ანტიქართულ პროვოკაციას, რასაც ოსმალთა საამებლად აკეთებდნენ. როდესაც გენერალი ლიახოვი ყირიმიდან მეუღლესთან ერთად ბათუმში ჩამოვიდა,

---

320 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 378.
321 მ.აბაშიძე, რჩეული ნაწერები, ათ., 1973, გვ. 58-62.
322 თ.კომახიძე, ისინი შვენოდნენ ქალაქს, ბათ., 1994, გვ. 23.
323 აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 15, ფურც. 194.

ვეხიბ-ფაშამ აუდიენციის დროს „საპატიო სტუმარს“ ძვირფასი თასი უძღვნა.[324]

ოსმალეთის ექსპანსიონისტურ სრახვებში ყოველთვის ენაცვლებოდა ერთმანეთს მუქარისა და დაყვავების პოლიტიკა. ადგილობრივი მოსახლეობის გულის მოსაგებად სულთანმა აჯარაში დიდძალი თანხა გამოგზავნა.[325] 1918 წ. 20 იელისს კი ბათუმის სათათბირომ 6 დელეგატი წარგზავნა სტამბოლში. მათ ოლქის მოსახლეობის სახელით სულთან მუჰამედისათვის ტახტზე ასვლა უნდა მიელოცათ. სულთანმა ისინი უხვად დაასაჩუქრა, დაუნიშნა პენსიები, ზოგიერთს კი ბეგის ტიტულიც უბოძა.[326] ამის საზღაურად მათ ხალხში გააერცელეს ცნობა, თითქოს, რეგიონს ოსმალეთი ფართო ავტონომიას ანიჭებდა.

შემოსელისთანავე ოსმალები შეეცადნენ ბათუმის იერსახის შეცვლას. გუბერნატორის ბრძანებით, 1918 წ. 22 აგვისტოდან მარინეს პროსპექტს დაერქვა სულთან სელიმის სახელი, პეტროგრადისას - კონსტანტინოპოლის, გრიბოედოვის ქუჩას - ართვინის, პუშკინისას - არდაჰანის, ტურგენევისას - ჰა'სი მუხტარ ჰაჯის, შერემეტიევისას - დერვიშ ფაშას, ქუთაისისას - აზიზიეს და ა.შ. აბრების მხოლოდ თურქულ ენაზე უკეთებდნენ წარწერას. გამალებით მიმდინარეობდა ძველი მმართველობითი აპარატის დაშლა და ახალი ოსმალური სტრუქტურების შექმნა. ოლქის გუბერნატორი ადგილზე დარჩენილ ქრისტიან ქართველებს აციწროებდა, მისი ემისრები მაჰმადიანებს მათ წინააღმდეგ აქეზებდნენ, სავაჭრო დაწესებულებები არ ღებულობდნენ ქართულ ფულს, სამაგიეროდ, უცხოურ ვალუტასთან ერთად მიმოქცევაში გაუშვეს ნიკოლოზის თუმნიანები.

ქართველთა ადგილობრივი ეროვნული საბჭოს ძალისხმევამ მოსახლეობის ინტერესების დასაცავად შედეგი ვერ გამოიღო. წარუმატებელი აღმოჩნდა ქალაქის თვითმმართველობის პროტესტიც. ოსმალებმა მთლიანად გაძარცვეს სასკოლო დაწესებულებები, მათი შენობები კი ყაზარმებად აქციეს. ოლქში ჭარბად გაიხსნა მედრესეები, სადაც ბავშვებს გაუგებარ არაბულ ენაზე ისლამის დოგმებს ასწავლიდნენ.

ოკუპაციამ შეაფერხა კულტურული ცხოვრებაც. 1918 წ. აგვისტოში ოსმალო გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც ქ. ბათუმის ქართველ, რუს, ბერძენ, ებრაელ მოსახლეობასა და ქართველ მუსლიმანებს მხოლოდ თითო დაწყებითი სასწავლებლის გახსნას ჰპირდებოდა, სადაც თურქული ენის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა.[327] მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა პრესაც. დაიხურა ყველა ადგილობრივი გამოცემა. ჟურნალ-გაზეთები აღარც თბილისიდან შემოდიოდა. თუ ვინმე გაზეთის გამოცემას დაიწყებდა, იგი მხოლოდ რამდენიმე კვირის მანძილზე თუ გამოდიოდა და ისიც მკაცრი ცენზურით. მასში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ეროვნულ თემაზე რაიმე მასალის გამოქვეყნება. ქალაქის ადრინდელი თვითმმართველობა იმდენად დაკნინდა და შეიზღუდა, რომ სრულიად უმნიშვნელო ორგანიზაცია გახდა. მიუხედავად ამისა, ქართველი პატრიოტები მაინც ცდილობდნენ მის გამოყენებას მოსახლეობის ინტერესების დასაცავად.

26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით საქართველო, მიუხედავად რთული მდგომარეობისა, დემოკრატიული მშენებლობის გზას დაადგა. ხალხის სრული მხარდაჭერა არჩეული მთავრობისადმი და, ამასთან, უკვე დაწყებული მნიშვნელოვანი რეფორმები, ქვეყნის ნათელი მომავლის იმედებს ბადებდა. ყოველივე ამის ფონზე კოლონიურ უღელქვეშ მოქცეული ბათუმის ოლქის პერსპექტივა უიმედოდ გამოიყურებოდა. ხსნა

[324] აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 14, ფურც. 173.
[325] იქვე, ფ. 7, ან. 1, ს. 698, ფურც. 29.
[326] გაზ. „ერთობა“, №238, 1818.
[327] სცსსა, ფ. 1864, ან. 1, ს. 24, ფურც. 44.

მხოლოდ აქტიურ ეროვნულ მოძრაობაში ჩანდა, რომელსაც საქართველოსთან ამ კუთხის დაბრუნებას უნდა მოჰყოლოდა.

1918 წ. შემოდგომაზე, ანტანტის ქვეყნების გამარჯვებამ, წერტილი დაუსვა ოსმალეთის ბატონობას ბათუმის ოლქში. მან უსიტყვოდ მიიღო გამარჯვებული სახელმწიფოების ყველა ულტიმატუმი, მათ შორის ომის დროს დაკავებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანის შესახებ. ამრიგად, მოკლე დროში შეიქმნა პერსპექტივები დედასამშობლოსთან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისევ დასაბრუნებლად.

1918 წ. ნოემბრის დამლევს ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმმა არსებობა შეწყვიტა, მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა; იმ დროს ბათუმი გადაიქცა ამიერკავკასიაში გაბნეული ასკერებისა და ოსმალო მოხელეების თავშესაფარ ადგილად. ამან განაპირობა შემდგომ, ინგლისის ოკუპაციის პერიოდში, ოსმალთა მრავალრიცხოვანი აგენტებისა და ჯაშუშების საქმიანობის აქტიურობა ოლქში. 1919-1920 წლებში ისინი ქმნიდნენ პროოსმალურ ორგანიზაციებს და ხელს უწყობდნენ მათ ფუნქციონირებას.



საბრძოლო ოპერაციები კავკასიის ფრონტის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთზე. 1914-1916 წწ.

ქართველი გენერლები პირველ მსოფლიო ომში

გენერალ-მაიორი
გივი ამილახვარი

გენერალ-მაიორი
პავლე ავალიშვილი

გენერალ-მაიორი
გიორგი ანდღულაძე

გენერალ-მაიორი
გიორგი არჯევანიძე

კავალერიის გენერალი
ნიკოლოზ ბარათაშვილი

გენერალ-ლეიტენანტი
ანდრია ბენაშვილი

გენერალ-მაიორი
ილია მაყაშვილი

ინფანტერიის გენერალი
ილია ოდიშელიძე

გენერალ-მაიორი
ალექსანდრე ჭავჭავაძე

გენერალ-მაიორი
ალექსანდრე ერისთავი

ოფიცერთა ერთი ჯგუფი პოლკოვნიკ ნათიშვილთან. 1914-1915 წწ.



კავკასიის ფრონტი. ერთ-ერთი სამხედრო ნაწილი

ჯარის გადაადგილება ფრონტისკენ

ბრძოლის შემდეგ მე-15 მსროლელი პოლკის დათვალიერება
გენერალ-ლეიტენანტ ბარათაშვილის მიერ. ოლთისი, 1915 წ.

სანგრების მშენებლობა სარიყამიშთან

ომის შედეგად დანგრეული სახლები

ომით აოხრებული აჭარიდან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებათა მიერ თბილისში ქართულ გიმნაზიაში სასწავლებლად წაყვანილი ბავშვები:
1. სკენდერ მოწყობილი; 2. ჯემალ ნოღაიდელი; 3. ელიას ქათამაძე; 4. ნური ლორთქიფანიძე; 5. ხუსეინ ბეჟანიძე; 6. იუსუფ ქათამაძე, მასწავლებელ მარიამ კალანდაძესთან ერთად

სიმაგრეების აგება სარიყამიშთან.
1915 წ. დასაწყისში



კაპიტან ტარასი ვაშაკიძის („შაითან კაპიტნის") ასეული, რომელმაც
სარიყამიშთან ტყვედ ჩაიგდო თურქული კორპუსი მისი შტაბითურთ

თურქი სამხედრო ტყვეები

სარიყამიში. სარდლობის მიერ მებრძოლების დაჯილდოვება, 1915 წ.

კავკასიის ფრონტი. არტილერია წინა ხაზზე, 1915-1916 წწ.

სამხედროები ფრონტზე დაღუპულ თანამებრძოლთა საძმო საფლავთან

გზა ფრონტისკენ თოვლსა და ყინვაში

თეთრეულის შეგროვება ჯარისკაცებისათვის. ცენტრში – ბათუმის ქალაქისთავის მეუღლე ლიდა ანდრონიკაშვილი. 1915 წ.



მებრძოლებს აცნობენ დროებითი მთავრობის ბრძანებას ჯარისკაცთა უფლებების შესახებ. 1917 წ. მარტი

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები, რომლებმაც პირველი მსოფლიო ომის დროს რუს მოხელეთა უსამართლო ბრალდებებისა და რეპრესიებისაგან დაიცვეს ქართველი მაჰმადიანები

აკაკი ჩხენკელი

ირაკლი წერეთელი

ვარლამ გელოვანი

კარლო ჩხეიძე



ადვოკატები, რომლებიც ქართველ მაჰმადიანებს იცავდნენ
რუსეთის მთავრობის მიერ მოწყობილ სასამართლო პროცესებზე 1915-1916 წწ.

აპოლონ წულაძე

სამსონ ფირცხალავა

ვალერიან გუნია

სვიმონ მდივანი

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის (1914-1918 წწ.) წევრები უცხოეთში

მიხაკო წერეთელი

გიორგი მაჩაბელი

ლეო კერესელიძე

ზია აბაშიძე

პატრი შალვა ვარდიძე

მიხეილ იმხნელი

საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები 1900-იან წლებში. დგანან (მარცხნიდან): სანდრო გაბუნია, კომანდო გეგელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი; სხედან: არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი, შუაში ზის გიორგი დეკანოზიშვილი

ქართული ლეგიონის მეთაურები: სერგო ლაბაძე, ალ. სურგულაძე,
ოსმან ბეგ აზაბ აღა ზადე, ლეო კერესელიძე, ქავჟარაძე, ნესტორ კერესელიძე და სხვები

ქართული ლეგიონის წევრები ოსმალეთში
(შუაში ლეო კერესელიძე)

ყადირ შერვაშიძისა და მემედ აბაშიძისათვის თამარ მეფის სამახსოვრო
ნიშნის (ორდენის) ბოძების დიპლომები, ბერლინი, 1918 წ.



ქართველთა კათოლიკური მონასტერი კონსტანტინოპოლში (სტამბულში),
სადაც იკრიბებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები,
იბეჭდებოდა წიგნები და პროკლამაციები



1917 წ. თებერვლის რევოლუციისადმი მიძღვნილი მიტინგი ბათუმში



დემონსტრაცია ბათუმში, 1917 წ.



ევაკუაცია კავკასიის ფრონტიდან. 1917 წ.

კრეისერი „კაროლ კარლი", რომლითაც ამიერკავკასიის დელეგაცია გაემგზავრა ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე. 1918 წ. მარტი

გერმანიის ჯარების საქართველოდან გასვლა, 1919 წ. იანვარი.
გამომშვიდობება ქ. ქუთაისში, ჟურნალ-გაზეთის კანტორა „იმერეთში".
მარცხნიდან: კ. დათუშიძე, ქუთაისის ქალაქისთავი დ. კალანდარიშვილი, გენერალი დ. არმელაძე, გენერალი ფონ-კრესი, გენერალი ტ. ვაშაკიძე, ფონ-კრესის ადიუტანტი ბარონი გამმი და მწერალი დ. კლდიაშვილი

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, 1917 წ. 23 მარტი. ეპისკოპოს კირიონ II არჩევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. თბილისი, სიონის ტაძრის ეზო. 1917 წ. სექტემბერი

პეტრე მელიქიშვილი
(თსუ პირველი რექტორი)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილი

თსუ პროფესორები
(მარცხნიდან) დგანან: გიორგი ახვლედიანი, არჩილ ჩიქობავა; სხედან: ვარლამ თოფურია, აკაკი შანიძე, ალფონ ფოფხიშვილი

თბილისი. კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი რეზიდენცია, სადაც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წ. 26 მაისს გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კოალიციური მთავრობა



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობა (1918 წ.)



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

ნოე რამიშვილი

აკაკი ჩხენკელი

გრიგოლ გიორგაძე

გიორგი ჟურული

გიორგი ლასხიშვილი

ნოე ხომერიკი

შალვა მესხიშვილი

ივანე ლორთქიფანიძე

თავი VIII
ბათუმის ოლქი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1920 წწ.)

§1. ბათუმის ოლქი დიდი ბრიტანეთის ოკუპაციის პერიოდში

პირველი მსოფლიო ომი 1918 წ. შემოდგომამდე დასრულდა გერმანიის ბლოკის სახელმწიფოების დამარცხებით. პირველად ომს გამოეთიშა ოსმალეთი. დიდ ბრიტანეთთან 30 ოქტომბერს ხელმოწერილი მუდროსის დროებითი ზავით, მას ჯარები უნდა გაეყვანა ბათუმიდან და ამიერკავკასიაში ოკუპირებული სხვა ტერიტორიებიდან. ამ პუნქტებს დაიკავებდნენ ანტანტის ძალები.

უკვე 17 ნოემბერს სპარსეთიდან კასპიის ზღვით გადმომსხდარმა ბრიტანულმა საექსპედიციო რაზმმა გენერალ ტომსონის მეთაურობით დაიკავა ბაქო. მალე ტომსონის მისია თბილისშიც ჩამოვიდა.

იმავე 1918 წ. დეკემბრის დასაწყისში ბრიტანეთის ფლოტი გამოჩნდა საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაშიც (ქ. ფოთსა და სოხუმთან). 3 დეკემბერს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა ინგლისური კრეისერი „ლიეერპული" ორი ნაღმოსნის თანხლებით. 6 დეკემბერს თბილისიდან აქ ჩამოვიდა გენერალ ტომსონის რწმუნებული, სახმელეთო ძალების კაპიტანი ჰენრი უებსტერი ადგილობრივი ვითარების შესწავლისა და მოკავშირეთა ჯარებისათვის დახვედრის ორგანიზაციის მიზნით.[1]

14 დეკემბერს ბათუმს ეწვია, აგრეთვე, აშშ სამეაციანი მისია ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის ჯედსონის ხელმძღვანელობით. მალე ამიერკავკასიას მოაშურა საფრანგეთის მისიამაც პოლკოვნიკ შარდინის მეთაურობით.

ანტანტის წამყვანი ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური მისიების ცალ-ცალკე ჩამოსვლა გამოხატავდა იმ აშკარა ურთიერთუნდობლობას და აღმოსავლეთში გავლენის სფეროების განაწილების საკითხში წარმოქმნილ წინააღმდეგობებს, რამაც მოკავშირეებს შორის აშკარად ინინა თავი მსოფლიო ომში გამარჯვებისთანავე.

თავის მხრივ, ინგლისი ცდილობდა ამ რეგიონში არ შემოეშვა ანტანტის სხვა ქვეყნის შეიარაღებული ძალები. ჯერ კიდევ 1918 წ. 7 დეკემბერს ჰ. უებსტერი ბათუმში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთან დიმიტრე თოფურიძესთან საუბარში აღნიშნავდა, რომ ინგლისის, საფრანგეთის და აშშ მოკავშირეობა-მეგობრობის მიუხედავად, თითოეულ მათგანს ჰქონდა საკუთარი მისწრაფებანი. მაგრამ, ვინაიდან „ინგლისს სამხრეთ აზიაში აქვს დიდი ინტერესები, იგი არ დაუშვებს, რომ კავკასიაში სხვა რომელიმე სახელმწიფოს ჰქონდეს გავლენა".[2]

---

[1] აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 15, ფურც. 220; უფრო დაწვრილებით იხ. რ.ცუხიშვილი, ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ., თბ., 1995, გვ. 21-24.

[2] ს.მაღლაკელიძე, ინგლის-ამერიკელი ინტერვენტები საქართველოში (დოკუმენტები). - „საისტორიო მოამბე", №7, თბ., 1953, გვ. 24.

დენიკინის თბილისელი ემისარი იტკინი 1918 წ. 30 დეკემბერს სარდლობას მოახსენებდა: „ბრიტანეთის გავლენის სფეროში მოკავშირეთა საქმიანობის ყოველგვარ გამოვლინებას ბრიტანეთის სარდლობა ეკიდება

აშშ-სა და საფრანგეთზე. პირველ ყოვლისა, გამამღიზიანებლად იმოქმედა მუდროსის ზავმა, რომელიც ინგლისმა მოკავშირეების ჩაურეველად გააფორმა და ფართო უფლებები მიიღო ოსმალეთსა და მახლობელ აღმოსაელეთში. პარიზში ეს ზავი შეფასდა, როგორც „პირველი დარტყმა საფრანგეთის გავლენისათვის თურქეთში".[3] ხოლო თბილისში საფრანგეთის მისიის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა შარდინიმ დაუფარავად განაცხადა, რომ ინგლისი გეგმავს თავისთვის „შექმნას ახალი ეგვიპტე-ბათუმი, ამიერკავკასია, ტაშკენტი, ირანი". ამიტომ, აუცილებელია ამიერკავკასია დაიკავოს საერთაშორისო არმიამ – ურთიერთკონტროლისა და რუსეთისათვის ამ ქვეყნების შენარჩუნების მიზნით".[4] ინგლისელთა ერთპიროვნული გავლენის აღმოფხვრას ითვალისწინებდა ამიერკავკასიის ადმინისტრაციული მოწყობის შარდინისეული გეგმაც, რომლის მიხედვით ამ მხარეს დაჰყოფდნენ შტატებად და მანდატებს თანასწორად გაინაწილებდნენ მოკავშირეები.[5]

ამიერკავკასიისკენ ინგლისის ერთპიროვნული სწრაფვა ასევე მტკივნეულად აღიქვეს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.[6]

მოკავშირეთა უკმაყოფილების მიუხედავად, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მტკიცედ გადაწყვიტა ამიერკავკასიის ერთპიროვნულად ოკუპაცია. ხელისუფლებას აქეთკენ მოუწოდებდა ქვეყნის სამრეწველო და ფინანსური წრეებიც. ნავთობის მსხვილი კომპანიის თავმჯდომარემ ჰერბერტ ალენმა 1918 წ. დეკემბერში ლონდონში საჯაროდ განაცხადა: „ბრიტანეთის კუნძულების ისტორიას ჩვენთვის არასოდეს არ მოუცია ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა ბრიტანეთის სამფლობელოებისა და ბრიტანეთის ვაჭრობის მშვიდობიანი გაფართოებისათვის, მეორე ინდოეთის ან მეორე ეგვიპტის შექმნისათვის. ბრიტანულ საწყისებზე ფართოდ დაფინანსებული და კარგად ორგანიზებული რუსეთის ნავთობის მრეწველობა იმპერიის უძვირფასესი შენაძენი იქნებოდა".[7] ბაქოს ნავთობის სასღვარგარეთ გატანის ერთადერთი ხელსაყრელი პუნქტი კი ბათუმი იყო. ამდენად, ინგლისის სავაჭრო-სამრეწველო ინტერესებიც მოითხოვდა მის უსწრაფესად ოკუპაციას, რაც განხორციელდა კიდეც 1918 წ. 22 დეკემბერს. ინგლისელ ჯარისკაცთა ნაწილი ბათუმში დაბანაკდა, ხოლო დანარჩენებმა დაიკავეს ფოთის და სოხუმის პორტები, აგრეთვე, მნიშვნელოვანი პუნქტები ბაქო-ბათუმის რკინიგზის და ნავთსადენის მაგისტრალზე.

უნდა შევნიშნოთ, რომ ბათუმის ოლქის ოკუპაციის პერიოდში (1918 წ. დეკემბერი - 1920 წ. ივლისი) დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ორ ძირითად ეტაპად შეიძლება დაიყოს: 1. 1918 წ. დეკემბრიდან - 1920 წ. იანვრამდე და 2. 1920 წ. იანვრიდან - ივლისამდე.

პირველ ეტაპზე ანტანტის ქვეყნები ცდილობდნენ ძველი რუსეთის აღდგენას და საქართველოსაც მის შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ. ამიტომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უპირატესი გასაქანი მისცეს რუსულ იმპერიულ ძალებს. 1919 წ. დამლევიდან კი, სამოქალაქო ომში ბოლშევიკების მიერ მოპოვებული სერიოზული წარმატებების შემდეგ, ანტანტის პოლიტიკოსები დარწმუნდნენ ძველი რუსეთის აღდგენის შეუძლებლობაში. ამიტომ 1920 წ. იანვარში მათ „დე-ფაქტოდ" სცნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, თუმცა, არ აღიარეს მისი კანონიერი

ძლიერ ნერვიულად" (ГАРФ, ф. 446, оп. 2, д. 35, л. 132).

[3] M. B-G. Gaulis, La Question turque, Paris 1931, p. 5.

[4] აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 15, ფურც. 262.

[5] Чохели А.И. Политика Франции в отношении Грузии, 1917-1921, Тб., 1980, сс.121-122.

[6] Архив полковника Хауза, т. IV, М., 1944, с. 152.

[7] Енукидзе Д., Крах империалистической интервенции в Закавказье, Тб., 1954, сс. 138-139.

უფლებები ბათუმის ოლქზე და ამ მხარის შენარჩუნება გაინიხრახეს ბათუმის კელაე პორტო-ფრანკოდ გამოცხადებით. ამ კურსს ადგნენ ისინი აქედან ჯარების ევაკუაციამდე.

* * *

ბრძოლა სამოქალაქო ხელისუფლებისათვის. „ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო“. მსოფლიო ომში ანტანტის გამარჯვების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ვარაუდობდა, რომ დაიბრუნებდა ოსმალეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს. ამიტომ ინგლისელებს საქართველოში დახვდნენ ჩვეული გულითადობით და თანამშრომლობა შესთავაზეს. საქართველოს პარლამენტის წევრი და მთავრობის რწმუნებული ბათუმის ოლქში დიომიდე თოფურიძე უკვე 1918 წ. 4 დეკემბერს ურჩევდა თბილისს, რომ გენერალ ტომსონისათვის „ძალიან ფრთხილი ფორმით შეეთავაზებინათ საქართველოს ჯარების გამოყენება ბათუმის დასაკავებლად“ და ექსცესების გარეშე აქედან ოსმალთა გასელის უზრუნველყოფად.[8]

თავიდან კაპიტანი უებსტერიც არ გამორიცხავდა ადმინისტრაციულად საქართველოსთვის ბათუმის ოლქის გადაცემის შესაძლებლობას, მაგრამ ცარიზმთან სამოკავშირეო ვალდებულებებიდან გამომდინარე, ის და ბრიტანული ფლოტის უფროსი ანგარიშს უფრო უწევდნენ ამ რეგიონზე რუსეთის პრეტენზიებს. ამიტომ დ. თოფურიძემ და საქართველოს სამხედრო წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა ნიკოლოზ გედევანიშვილმა ოფიციალური მემორანდუმით მიმართეს კაპიტან უებსტერს, რომელშიც იყო დასაბუთებული თხოვნა – ეცნოთ საქართველო ნეიტრალურ სახელმწიფოდ, ხოლო ბათუმის ოლქი მის ისტორიულ შემადგენელ ნაწილად.[9] ინგლისის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად ბათუმში ჩამოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორიც.[10] თუმცა, ეს და ამ მიმართებით სხვა ცდებიც უშედეგო დარჩა.

ბათუმის ოლქის „რუსული ნაციონალური საბჭოს“[11] თავმჯდომარის, კადეტ ა. ნ. მასლოვის ცნობით, ინგლისელების წინაშე ისახებოდა ბათუმის ოლქის სამოქალაქო ადმინისტრაციის მოწყობის რამდენიმე ვარიანტი: 1. ოსმალური ხელისუფლების დატოვება ამ ქვეყანასთან საბოლოო ზავის გაფორმებამდე; 2. ძალაუფლების გადაცემა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისათვის; 3. წმინდა ინგლისური ხელისუფლების შექმნა; 4. მისი დატოვება დენიკინის „მოხალისეთა არმიისათვის“, 5. ბათუმის საქართველოსათვის დაბრუნება და 6. „რუსული ნაციონალური საბჭოსათვის“ მისი ჩაბარება. ამათგან, უებსტერის აზრით, ყველაზე რეალური იყო ბოლო ორი ვარიანტი.

საოკუპაციო ხელისუფლებამ საკითხი, ბოლოს, მაინც „რუსული ნაციონალური საბჭოს“ სასარგებლოდ გადაწყვიტა.[12] სამოქალაქო ხელისუფლება ჩააბარეს ა. მასლოვის თავმჯდომარეობით შექმნილ ბუტაფორიულ ორგანოს, რომელსაც „ბათუმის

---

[8] Сборник документов: Борьба за победу Советской власти в Аджарии (1917-1921 гг.), Бат., 1961, с. 130.
[9] სცსსა, ფ. 1864, ან. 1, ს. 6, ფურც. 8.
[10] Борьба за победу Советской власти в Аджарии... с. 140.
[11] მსგავსი საბჭოები 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნა ამერკაკასიაში მცხოვრებმა ყველა ერმა. ბათუმის „რუსთა ეროვნული საბჭო“ იყო ფილიალი ამერკაკასიის „რუსთა ეროვნული საბჭოსი“, რომელიც 1917-1921 წლებში მოქმედებდა თბილისში და დიდი შემართებით იბრძოდა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ (იხ. ჯ.ბუბულია, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა (1917-1921), თბ., 1998).
[12] აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 15, ფურც. 221-224.

ოლქის მმართველი საბჭო" უწოდეს.[13] ამასთან, ინგლისელმა გუბერნატორმა ჰ. მასლოვს დაავალა „საბჭოს" დაკომპლექტებისას გაეთვალისწინებინა ოლქის მოსახლეობის ეთნიკური და კონფესიური მრავალგვარობა.[14]

ოლქის მმართველი საბჭო 9 წევრით დაკომპლექტდა და მოქმედებდა 1918 წ. 27 დეკემბრიდან 1919 წ. 15 აპრილამდე. მისი უცვლელი თავმჯდომარე იყო ჰ. მასლოვი. საბჭოს ბათუმში თავისი გაზეთიც ჰქონდა, რომელსაც რუსებმა სიმბოლურად „ნაშ კრაი" უწოდეს.

საბჭოში ადგილები ასე განაწილდა: ჰ. მასლოვი - თავმჯდომარე (ითავსებდა საგარეო უწყებას და პოლიციას), ს. ანისიმოვი — მოადგილე (ხელმძღვანელობდა სურსათით მომარაგებას და ფინანსებს), ზ.ხითაროვ-ბესტავაშვილი - მიწათმოქმედებას, ბ. მგალობლიშვილი - განათლებას, ჰ. სიმეონიდი - სასამართლოს, ომერ-აღა მემედ აღა-ზადე - კულტურას, ი. გენდლერი - ფოსტა-ტელეგრაფს, პოლონელი ინჟინერი კ. კორიბუტ-დაშკევიჩი - ტექნიკურ ნაწილს, ი. პილოიანი - საზღვაო პორტსა და საბაჟოს.[15] იმავე 27 დეკემბერს, მმართველი საბჭოს მეორე სხდომაზე, დაამტკიცეს საბჭოს კანცელარიაც, მეფისდროინდელი გუბერნატორის საშტატო განაწესის მიხედვით.[16] საქმეთა მმართველად დაინიშნა ძველი ჩინოვნიკი ს. გინკული. ეროვნული წარმომადგენლობის მიხედვით, „ცხრათა საბჭოში" შევიდა: ორი რუსი, ორი ქართველი ქრისტიანი და თითო - ქართველი მაჰმადიანი, ბერძენი, პოლონელი, ებრაელი და სომეხი. ამის მიუხედავად, საბჭოს შემადგენლობა იყო აშკარად რუსოფილური. „შევცდი მხოლოდ ერთში - მგალობლიშვილშიო" - ნანობდა შემდეგ მასლოვი.[17]

„მთავრობის" შექმნის მიუხედავად, ოლქის ფაქტობრივი გამგებელი იყო ინგლისელი სამხედრო გუბერნატორი, ბრიგადის გენერალი კუკ-კოლისი. ამის გამო „მმართველი საბჭოს" უფლება-მოვალეობანი განისაზღვრებოდა ამ უკანასკნელის განკარგულებათა შესრულებით. ეს გარემოება კარგად შენიშნა დენიკინელმა გენერალმა ერდელიმ. 1919 წ. 9 იანვარს ბათუმიდან გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ის აღნიშნავდა, რომ ინგლისელებმა „მმართველი საბჭო" იმ სახით შექმნეს, როგორც ეს „მათ კოლონიებშია მიღებული, ე.ი. ირჩევა უფრო მისაღები პიროვნება, რომელსაც ევალება მხარის სამართავად ამოირჩიოს თანაშემწეები სხვადასხვა ერების წარმომადგენელთაგან".[18]

1918 წ. 30 დეკემბერს საოკუპაციო ხელისუფლებამ ოფიციალურად გადასცა ძალაუფლება „მმართველ საბჭოს". საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დაევალა 500-კაციან რუსულ მილიციას" (მათგან 150 რაზმელი ბათუმში იდგა, 350 კი ოლქის სხვადასხვა უბანში). იგივე ფუნქციას ითავისებდა ინგლისის სამხედრო პოლიციაც.

ინგლისელმა გუბერნატორმა მასლოვს დაავალა ოლქის ადმინისტრაციულ ერთეულებში (უბნებში) ხელისუფლების ორგანიზებაც. უბნების უფროსებად საბჭომ შეარჩია ძველი მონარქისტი ოფიცრები, რომლებიც ინგლისელ ჯარისკაცთა თანხლებით ჩავიდნენ დანიშნულების ადგილებზე. მალე სადგურ ნატანებთან დაწესდა საზღვარი. იქ აღმართეს რუსეთის დროშა და დააყენეს შეიარაღებული დაცვა. გარ-

---

[13] იხ. შ. სიორიძე, ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო (1918-1919)-„საისტორიო მაცნე", №5, ბათ., 1996, გვ. 35-41.

[14] აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 15, ფურც. 225-230. მასლოვისავე ცნობით, ზემოაღნიშნული შეზღუდვის მიუხედავად, რუსულმა ელემენტმა ბათუმის ოლქში თავის მიზანს ძაინც მიაღწია. 1919 წ. დასაწყისში ჩამოყალიბებულ მმართველობის ორგანოებში ადმინისტრაციულ თანამდებობებზე 80-85% რუსი იყო (იქვე, ფურც. 238).

[15] აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 15, ფურც. 234.

[16] იქვე, ს. 1, ფურც. 2.

[17] იქვე, ს. 15, ფურც. 236.

[18] ГАРФ, ф. 446, оп. 2, д. 40, л. 14.

თულდა სხვა რეგიონებთან მიმოსელა, რადგან ამისთვის სპეციალური საშვი გახდა საჭირო.

გატარებულ ღონისძიებათა შესახებ მასლოვმა 1919 წ. 2 თებერვალს წერილობით მოახსენა პირადად გენერალ დენიკინს, რომელმაც აღტაცება ვერ დამალა და მოხსენებით ბარათს მიაწერა: „შესანიშნავია“.[19] თუმცა, დენიკინელთა აღფრთოვანება მალე გაქრა. ისინი დარწმუნდნენ, რომ ინგლისელები კავკასიაშიც და ბათუმშიც საკუთარი ინტერესებისათვის მოქმედებდნენ და არა „ერთიანი რუსეთის აღდგენისათვის“. ამის შესახებ ბათუმის რუსული ეროვნული საბჭოს 1919 წ. 28 მარტის სხდომის დადგენილებაში (მისი ასლი დენიკინის შტაბშიც გაიგზავნა) ნათქვამია: „სამწუხაროდ, ბათუმში რუსთა მოლოდინი და იმედები, დაკავშირებული ინგლისელების მოსვლასთან, არ გამართლდა; ისინი, როგორც ჩანს, აქ მოვიდნენ არა გაწამებული რუსეთის დასახმარებლად, არამედ საკუთარი ანგარებითი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებისათვის“.[20]

ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული უბნების მმართველებად თეთრგვარდიელი ოფიცრების დანიშვნამ ააღელვა მოსახლეობა, რომელმაც მოითხოვა მათი და ინგლისური რაზმების უკან გაწვევა. უბნის უფროსების მდგომარეობის განსამტკიცებლად მასლოვმა გუბერნატორს სთხოვა დამატებითი რაზმები.[21]

ხალხმა პროტესტით მიმართა საოკუპაციო ხელისუფლებას. 3 იანვარს ბათუმში შეიკრიბნენ „სამაჰმადიანო საქართველოს სხვადასხვა კუთხის (შავშეთ-იმერხეეი, არტანუჯი, ართვინი, ზემო აჭარა) წარმომადგენლები და კუკ-კოლისს წარუდგინეს ერთობლივი საპროტესტო მემორანდუმი“.[22] 4 იანვარს აქ ხალხმრავალი მიტინგიც შედგა, გაზეთი „ერთობა“ იუწყებოდა: „გუბერნატორთან არსებულ საბჭოსე უკმაყოფილება თანდათან იზრდება, მისგან დანიშნული კაცებით ოლქში აჭარლები დიდათ უკმაყოფილონი არიან და მოითხოვენ თავიანთი კაცების დანიშვნას“.[23]

მასლოვის მმართველობის პერიოდში ბათუმის ოლქში შეიქმნა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. სურსათსა და პირველადი მოთხოვნილების სხვა საგნებზე ფასები ყოველდღიურად იზრდებოდა. ქალაქის თვითმმართველობა და სასურსათო უწყება ცდილობდნენ ეს პრობლემა გადაეწყვეტათ ბათუმის რეზერვუარებში დარჩენილი ნავთობპროდუქტების უკრაინაში გატანით. მაგრამ „მმართველი საბჭო“ თვითონ დაეპატრონა ნავთობის მთელ მარაგს. ბათუმის საქალაქო სათათბიროს ხმოსნის ხასან ლორთქიფანიძის სიტყვით, ამ გზით მათ ერთ თვეში ჩაიჯიბეს 5-6 მილიონი რუბლი.[24]

მასლოვის საბჭოს მმართველობით წარმოქმნილმა რთულმა ვითარებამ სტიმული მისცა განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებას, რაც საქართველოს რესპუბლიკასთან ბათუმის ოლქის გაერთიანების ლოზუნგით წარიმართა.

მასლოვმა და მისმა თანამზრახველებმა მდგომარეობიდან გამოსავალად მიიჩნიეს ბათუმის ოლქზე დენიკინის სამხედრო ძალაუფლების გაერცელება. ამგვარი წინადადებით დენიკინთან ეკატერინოდარში ჩავიდა თვითონ ჰმასლოვიც, მაგრამ ინგლისელების მიერ ოკუპირებულ ქალაქში მოხალისეთა ჯარის გადმოსროლას დენიკინი არახელსაყრელად მიიჩნევდა სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით.

---

[19] იქვე. ფურც. 28-40.
[20] იქვე. ფურც. 53-55.
[21] აცსა, ფ. 61, ან. 1, ს. 1, ფურც. 34.
[22] გაზ. „ერთობა“, №12, 1919.
[23] გაზ. „ერთობა“, №5, 1919.
[24] Борьба за победу Советской власти в Аджарии, с. 189-190.

ამასთან, ეს გაამწვავებდა საქართველოს მთავრობასთან მის ისედაც დაძაბულ ურთიერთობას.[25]

მასლოვის და მის თანამზრახველთა ასეთი საქმიანობა სცილდებოდა მათი უფლებამოსილების ფარგლებს, რაც არ შედიოდა ინგლისის ინტერესებში. 1919 წ. 15 აპრილს კუკ-კოლისის ბრძანებით „მმართველი საბჭო" დაითხოვეს.[26] ამის ოფიციალური საფუძველი გახდა „საბჭოს" 9 აპრილის დადგენილება, რომელიც გმობდა წინადღით ბათუმის მუშათა გაფიცვის დარბევას ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების მიერ.

გაფიცვის საბაბი იყო ინგლისელი გუბერნატორის მიერ პროფკავშირების ბათუმის საბჭოს ყოველდღიური გას. „ბატუმსკიე ვესტი"-ს დახურვა. ამის გამო ბათუმის პროფსაბჭომ 7 აპრილს მოუწოდა ქალაქის მშრომელ მოსახლეობას ერთდღიანი გაფიცვისაკენ.

კუკ-კოლისმა გაფიცვა ბრძანებით აკრძალა, მაგრამ 8 აპრილს ის მაინც ჩატარდა. მაშინ გაფიცვის ხელმძღვანელები დააპატიმრეს. ამან გამოიწვია ბათუმის საქალაქო სათათბიროს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მოქალაქეთა უკმაყოფილება. ეს ფაქტი შეაფასეს თავისუფალი პრესის აკრძალვად და ამაში ბრალს დებდნენ მმართველ საბჭოსაც.[27]

მასლოვის საბჭოც იძულებული გახდა ანგარიში გაეწია საზოგადოებრივი აზრისათვის და 9 აპრილს მოკრძალებული საყვედური გამოუცხადა საოკუპაციო ხელისუფლებას მიტინგის დარბევისა და ხელმძღვანელთა დაპატიმრების გამო.

ამას მოჰყვა საოკუპაციო ხელისუფლების საპასუხო რეაქცია. კუკ-კოლისის 15 აპრილის ბრძანებაში ხაზგასმული იყო, რომ „სამხედრო გუბერნატორს არ მიაჩნდა აუცილებლად მმართველი საბჭოსათვის განსახილველად წარედგინა რაიმე სახის ბრძანება", იგი „თვითონ წყვეტს ამა თუ იმ გაზეთის გახსნა-დახურვის საკითხს" და დამოუკიდებლად ატარებს წესრიგის აღდგენის ღონისძიებებს ქალაქსა და ოლქში. შემდეგ მითითებული იყო, რომ „მმართველი საბჭოს" და ინგლისელი გუბერნატორის განსხვავებული შეხედულებები ჰქმნიდნენ სიმშვიდის აღდგენის ხელშემშლელ პირობებს. მომავალში მსგავსი სიტუაციის თავიდან ასაცილებლად ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო დათხოვნილად გამოცხადდა.

ამავე ბრძანებულებით მმართველი საბჭოს ფუნქციები 16 აპრილიდან გადაეცა ინგლისელ ოფიცერთა ჯგუფს მაიორ ჰარისის მეთაურობით. გზების, ტყისა და მიწათმოქმედების მეურეობა ჩაბარდა მაიორ ბენბო როუს, მაიორი კოპლეი ზედამხედველობდა საბაჟოს და პორტს, კაპიტანი კუმინსკი - საპატიმროებს და ქალაქის პოლიციას, პოლკოვნიკი პრიკეტი - ფოსტა-ტელეგრაფს, კაპიტანი რობერტსონი - სასამართლო უწყებას, კაპიტანი მათიუზი - საოლქო პოლიციას და სასაზღვრო დაცვას, კაპიტანი გრუდჯონსი - საქალაქო მეურნეობას და ლტოლვილებს, კაპიტანი კრეინსი - ჩაქვის საუფლისწულო მამულს და ბოტანიკურ ბაღს.[28]

ჰ. მასლოვის „მმართველი საბჭოს" გაუქმება, ზემოაღნიშნულის გარდა, განაპირობა შემდეგმა: ჯერ ერთი, ამ დროისათვის ინგლისელებმა ბათუმში და საერთოდ ამიერკავკასიაში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. ამდენად, მმართველობის ამ, თუნდაც მარიონეტული, ორგანოს შენარჩუნებამ აზრი დაკარგა; მეორე, თავისი არსებობის სამთვენახევრის მანძილზე რეაქციულმა საბჭომ ოლქის და ქალაქის მოსახლეობის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. მათი დატოვება ხელისუფლებაში გააძ-

[25] აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 15, ფურც. 258.
[26] იქვე, ს. 3, ფურც. 46.
[27] Борьба за победу Советской власти в Аджарии... с. 199-203; აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. 732, ფურც. 4.
[28] აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. 732, ს. 5, ფურც. 57; იქვე, ფ. 16, ან. 1, ს. 138, ფურც. 31, 34.

ლიერებდა ანტიინგლისურ განწყობილებას, მითუმეტეს, რომ თვით მასლოვი არაპოპულარული იყო თავისი პროფესიონალური არაკეთილსინდისიერების გამოც. ბათუმში ადვოკატობის პერიოდში, კლიენტების მოტყუების წყალობით, მან გვარიანად მოითბო ხელი. ამის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ქუთაისის საოლქო სასამართლომ იგი დამნაშავედაც კი სცნო და 1914 წ. 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით ერთი წლით აუკრძალა საადვოკატო პრაქტიკა.[29]

აღსანიშნავია, რომ დათხოვნის მიუხედავად, ბათუმის „რუსული ნაციონალური საბჭო" არ ტოვებდა ასპარეზს. კუკ-კოლისისადმი 1919 წ. 26 მაისის „უქვეშევრდომილეს მიმართვაში" იგი გამოთქვამდა რწმენას, რომ ინგლისის სარდლობის კონტროლქვეშ, ადგილობრივი რუსი მოღვაწეებისაგან შეიქმნებოდა ახალი ცენტრალური სამოქალაქო ხელისუფლება.[30] მართალია, ინგლისელებს ბათუმის ოლქში რუსული მმართველობა ოფიციალურად აღარ აღუდგენიათ, მაგრამ ყველა ძველი მოხელე, ოკუპაციის დასრულებამდე, თავის ადგილზე დარჩა. ინგლისელებმა მხოლოდ მსხვილი უწყებების სათაეში ჩააყენეს თავიანთი ოფიცრები, მაგრამ ისიც, როგორც მეთვალყურე კომისრები. ამის თაობაზე გაზეთი „ერთობა" შენიშნავდა: „თუმცა ცნობილი მასლოვის მთავრობა დაეცა და უზენაესი ძალაუფლება ინგლისელების ხელშია, მაგრამ მასლოვის აპარატი თავის ადგილზეა. მოხელეები, მოსამსახურეები და ადმინისტრაცია თითქმის ყველა დაწესებულებაში, ქალაქში და ოლქში, დენიკინელებისგან შედგება".[31] მათი აქ პარპაში გაგრძელდა 1920 წ. ივლისამდე, ვიდრე ბათუმი და მისი ოლქი არ დაუბრუნდა საქართველოს.

* * *

დიდი ბრიტანეთის ოკუპაციის საწყის პერიოდთან დაკავშირებულია აგრეთვე ორი მეტად უარყოფითი მოვლენა, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოს სახელმწიფოებრივი აღიარების და მასთან სამხრეთ-დასავლეთ ქართული პროვინციების გამთლიანების პროცესი. კერძოდ, პირველია სომხეთ-საქართველოს ომი და მეორე, ყარსში, ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობის" შექმნა.

მუდროსის დროებითი ზავით ოსმალებმა იველდებულეს ამიერკავკასიაში ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება. საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით კი მას ჯარები უნდა გაეყვანა ოკუპირებული ახალციხე-ახალქალაქის რაიონებიდან, რომლებიც კვლავ საქართველოს უბრუნდებოდა.

სომხეთის მმართველმა წრეებმაც განიზრახეს ხელის მოთბობა და მათი ყოვლად უსაფუძვლო ტერიტორიული ამბიციების სისრულეში მოყვანა. კერძოდ, სურდათ ისტორიული სამცხე-საათაბაგოს დაუფლება ბათუმ-აჯარითურთ და ზღვაზე გასასვლელის მოპოვება; გეგმავდნენ თბილისის დაკავებასაც. ამიტომაც მათ უგულებელყვეს საქართველოს მთავრობის წინადადებები სადავო სასაზღვრო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შესახებ და 1918 წ. 9 დეკემბერს წამოიწყეს სამარცხვინო ომი საქართველოსთან. თან იმედოვნებდნენ, რომ „კავკასიაში მომავალი ინგლისი მათ

---

[29] სცსსა, ფ. 113, ან. 1, ს. 4900, ფურც. 1-30.

ბათუმში დენიკინის წარმომადგენელ გენერალ ერდელის შეფასებითაც: „მასლოვი და სომეხ წეკრები იყვნენ ბნელი წარსულის ხალხი და კარგი რეპუტაციით არ სარგებლობდნენ. ვინც უკეთესები იყვნენ, გაიქცნენ". ამიტომ, ინგლისელები ძალაუნებურად დაეყრდნენ მათ, ვინც აქ დარჩა. მისავე სიტყვით, „მასლოვი იყო ჭკვიანი გაიძვერა". ასევე უარყოფითად აფასებდა გენ.ერდელი ბათუმის რუსული ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარე ტერმენსაც (ГАРФ, ф. 446, оп. 2, д. 40, л. 13).

[30] Борьба за победу Советской власти в Аджарии... с. 209-211.

[31] გაზ. „ერთობა", №135, 1919.

მხარს დაუჭერდა და შერჩებოდათ ყველა დაკავებული ტერიტორია".[32] მოლოდინი არ გაუმართლდათ - ორიოდე კვირის შემდეგ სომხები ომში დამარცხდნენ. მეუბლის ამ აეანტიურამ საფუძველი მისცა დიდი ბრიტანეთის სამხედრო წრეებს, არ შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ ბათუმ-ბაქოს მაგისტრალით და წესრიგის დაცვის საბაბით, დაეკავებინათ აგრეთვე ბათუმის, არტაანის და ყარსის ოლქები, რითაც შეფერხდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

1919 წ. იანვარში ისტორიულ სამხრეთ საქართველოში შეიქმნა და სამ თვეს არსებობდა ე.წ. „სახელმწიფო", რომელსაც ოფიციალურად ეწოდებოდა „სამხრეთ-დასავლეთი კავკასია". მისი ცენტრი იყო ქ. ყარსი. ამიტომაც მას „ყარსის რესპუბლიკის" სახელითაც მოიხსენიებენ.[33]

ამ ახალი „სახელმწიფოს" შემადგენლობაში უნდა გაეერთიანებინათ ბათუმის, არტაანის და ყარსის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, აგრეთვე, სურმალოს, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი. „ყარსის რესპუბლიკის" გამოცხადება იმთავითვე უკანონო აქტი იყო; ის იქმნებოდა საქართველოს და ნაწილობრივ სომხეთის იმ ისტორიულ ტერიტორიებზე, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დასასრულს მიიტაცა ოსმალეთმა, ხოლო ომის შემდეგ გამოცხადდა ინგლისის „მფარველობის" სფეროდ.

ზემოაღნიშნულ სეპარატისტულ იდეას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1917 წ. აპრილში, როდესაც ბაქოს საქველმოქმედო-რელიგიური საზოგადოების ინიციატივით ყარსში ჩამოყალიბდა „საიდუმლო ისლამური კომიტეტი". მალე აბასთუმანშიც ჩატარდა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მაჰმადიანთა ყრილობა, რომლის რეზოლუციაში ხაზგასმულ იქნა ამ რეგიონში ცალკე სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა.[34] ეს გეგმა მაშინ არ განხორციელდა, რადგანაც აღნიშნული ტერიტორია 1918 წ. ოსმალეთმა მიიტაცა.

მას შემდეგ, რაც მუდროსის ზავით გადაწყდა, რომ ოსმალები დატოვებდნენ ამიერკავკასიას, კვლავ აღორძინდა სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის ცალკე სახელმწიფოდ გამოცხადების იდეა. ამ მიზნით, 1918 წ. ნოემბერ-დეკემბერში ყარსსა და არტაანში ჩატარდა სამხრეთ კავკასიელი სეპარატისტების ოთხი წარმომადგენლობითი თავყრილობა, რომლებზეც პრაქტიკულად შემზადდა აღნიშნული არასამართლებრივი პოლიტიკური აქტი.

1919 წ. 17-18 იანვარს შედგა ყარსის III კონგრესი, რომელსაც ესწრებოდა 131 დელეგატი. კონგრესის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის" დროებითი ეროვნული მთავრობა ჯიჰანგიროღლუ იბრაიმ ბეის მეთაურობით. მის რეზიდენციად გამოცხადდა ქალაქი ყარსი. „სახელმწიფოს" ჰყავდა მეჯლისი (პარლამენტი) 70 წევრისაგან - დოქტორ ესად ბეის თავმჯდომარეობით, ჰქონდა სამფეროვანი (ალუბლისფერი, თეთრი და მუქი მწვანე) დროშა, სახელმწიფო ენა - თურქული. „მთავრობის" ოფიციალურ ორგანოდ გამიზნული იყო გაზ. „სედაი მილეთი".

ახლად შექმნილი „ყარსის მთავრობა" ცდილობდა მონაწილეობა მიეღო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში, რომელიც იმავე 1919 წ. იანვარში გაიხსნა. ამ მიზნით

---

[32] ვ.ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 42-47.

[33] მ.სიორიძე. „ყარსის რესპუბლიკა". - „საისტორიო მაცნე", №1, ბათ., 1995, გვ. 24-28.

[34] S. Esin (Derinsu, Dayi, Elviye-i selâse (Kars, Ardahan ve Batum)' de millî teşkilâtlanma, Doktora tezi, Erzurum, 1991, s. 32. ვ.ნოზაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 48.

სტამბოლში გაიგზავნა დელეგაცია ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან კონტაქტების დასამყარებლად.[35] ცდა უშედეგო გამოდგა.

„ყარსის რესპუბლიკის" შექმნას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ოსმალეთის სარდლობამ. იგი ოკუპირებული ტერიტორიებიდან უკანდახევის დროს ადგილობრივ ისლამურ საბჭოებს უტოვებდა იარაღსა და სურსათ-სანოვაგეს, ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. ამგვარი დახმარებით შეიქმნა 8-ათასკაციანი შეიარაღებული ფორმირება, რომელსაც მდ. არაქსის აუზში უნდა ებრძოლა სომხების, ხოლო მდ. მტკვრის აუზში - ქართველების წინააღმდეგ.

აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ თურქულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულება, თითქოს „ყარსის რესპუბლიკის" ორგანიზატორთა საბოლოო მიზანი იყო შეერთებოდნენ ერთმორწმუნე ოსმალეთს, არ ასახავს რეალობას. სინამდვილეში ეს იყო „სამუსლიმანო საქართველოს" სეპარატულად განწყობილი ზედაფენების ცდა, შეექმნათ სახელმწიფო, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა როგორც საქართველოსგან, ისე ოსმალეთისგანაც.

„ყარსის სახელმწიფოს" „მშენებლობა" პრაქტიკულად დაიწყო ახალციხეში. მუდროსის ზავის შემდგომ საქართველოსა და ოსმალეთის მთავრობები შეთანხმდნენ, რომ ერთი თვის განმავლობაში - 1918 წ. 4 ნოემბრიდან - 4 დეკემბრამდე ოსმალეთი დაცლიდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს და იქ აღდგებოდა საქართველოს იურისდიქცია. მესხმა ბეგებმა, რომლებიც შეშფოთებულნი იყვნენ საქართველოს მთავრობის აგრარული რეფორმით და საერთოდ სოციალისტური ქადაგებაღონისძიებებით, მეორე დღესვე ჩამოაყალიბეს „ახალციხის დროებითი მთავრობა" - ომარ ფაიქის (ყიფიანის) თავმჯდომარეობით. მინისტრთა პორტფელები შემდეგნაირად განაწილდა: სამხედრო - სერვერ-ბეგ ათაბეგი (ჯაყელი), მიწათმოქმედებისა - რიზაბეგ აგალოვი, შინაგან საქმეთა და ფინანსთა - მურსალ მუსაკიევი. შემოიღეს გენერალ-გუბერნატორის სამხედრო თანამდებობა, რომელზედაც დაინიშნა ბახში ბეგ მაჩაბელი.[36]

ახალციხის ე.წ. „მთავრობამ" გამოაცხადა ჯარში გაწვევა, მაგრამ თანამედროვეთა მოწმობით, ადგილობრივი მაჰმადიანი გლეხობა „ბეგების არმიაში" წასვლის სურვილს არ ამჟღავნებდა. ამიტომ დაიწყეს მათი იძულებითი მობილიზება და შეიარაღება.[37] ბეგებმა საკმაო ძალების თავმოყრა ვერ მოასწრეს და 4 დეკემბერს ქართული ჯარი ახალციხეში უომრად შევიდა. სერვერ-ბეგმა ცეცხლს მისცა საწყობები და „მთავრობის" ზოგ სხვა წევრთან ერთად დატოვა ახალციხე.

ამის შემდეგ სერვერ-ბეგი აქტიურად მონაწილეობდა „ყარსის" მთავრობისა და „სახელმწიფოს" ორგანიზებაში. პარალელურად, მან მესხეთ-ჯავახეთში გააჩაღა საქმიანობა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამავე მიზნით, ახალციხიდან გაქცეული სეპარატისტებისაგან ბათუმში შეიქმნა ე.წ. „ახალციხის კომიტეტი", რომელმაც კავშირი დაამყარა თაეის თანამზრახველებთან. 1919 წ. 21 იანვარს „ახალციხის კომიტეტი" ომარ ფაიქს თბილისში ატყობინებდა, „რომ ყარსში შეიქმნა სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის მთავრობა, რომელიც შეუდგა საქმეს. ეროვნული საბჭოს დეპუტატები არტაანიდან, ერევნიდან, ბათუმიდან და ყველა სხვა კუთხიდან ყარსში წავიდნენ. მთავრობის ხელში საკმაო სამხედრო ძალაა. ყოველივე შინაური საქმეები

[35] იქვე, გვ. 118.
[36] სამცხე-ჯავახეთის (ახალციხე) ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (შემდეგში იხ. სჯმხფ), ს. 1136, ფურც. 60-67.
[37] იქვე, ფურც. 68-70.

ამ მთავრობის ხელშია.. ინგლისელები ყარსის მუსლიმანთა მთავრობას ხელს უწყობენ და მასთან კარგ განწყობილებაში არიან".[38]

„ყარსის მთავრობისადმი" ინგლისელთა მხარდაჭერა სხვა დოკუმენტებითაც დასტურდება. ჯერ კიდევ ყარსის III კონგრესის დაწყებამდე ორი დღით ადრე, 15 იანვარს, სერვერ-ბეგ ჯაყელი ბათუმში შეხვედა ინგლისელ გუბერნატორს და გააცნო სეპარატისტული რესპუბლიკის შექმნის გეგმა. კონგრესის შემდეგ, 20 იანვარს, კვლავ შედგა შეხვედრა ინგლისელ სამხედრო პირებთან. ბეგებმა „მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი თავიანთი მიზნების შესახებ".[39]

1919 წ. იანვრის დამლეგს სერვერ-ბეგმა ახალციხის მხარეში წამოიწყო აჯანყება საქართველოს რესპუბლიკასთან შეერთების წინააღმდეგ. მის ლაშქარში იყვნენ ოსმალო ოფიცრები და ასკერები, ბათუმიდან ჩასული რუსი თეთრგვარდიელები, მათ შორის ორი ინგლისელი ოფიცერიც. სერვერმა სულ 12 ათასამდე კაცი გამოიყვანა.[40] მან ამ ძალებით 11 თებერვალს ახალციხე აიღო და სამი კვირით ხელისუფლებაც აღიდგინა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ახალციხის ავანტიურასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა აზერბაიჯანის ბათუმის საკონსულოს, კერძოდ, კონსულ მახმუდ-ბეგ ეფენდიევს, აგრეთვე, ზოგიერთ ადგილობრივ გავლენიან პირს. 1920 წ. 25 მარტს გაზეთმა „სამუსლიმანო საქართველომ" გამოაქვეყნა სერვერ-ბეგის საიდუმლო ბარათი, რომელშიც ეკითხულობთ: „ამოირჩიეთ დელეგატები, რომლებიც უნდა გაეგზავნოთ სტამბოლში. დელეგატებმა აუცილებლად ბათუმში უნდა ინახულონ მახმუდ-ბეგი. თითო დელეგატისათვის აზერბაიჯანის მთავრობის მიერ გადადებულია სამასი ათასი რუბლიო".

სერვერ-ბეგის შეიარაღებული ავანტიურის გამო საქართველოსა და სომხეთის მთავრობებმა პროტესტიო მიმართეს კავკასიაში ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებას. 1919 წ. 15 თებერვალს ნ. ჟორდანიამ გენერალ უოკერს მოურიდებლად განუცხადა - სერვერ-ბეგის ავანტიურა „მოფიქრებული იყო ბათუმში და იქიდან გაიცემოდა ყველა განკარგულება".[41] სამწუხაროდ, ინგლისელები ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ ამგვარ პროტესტებს.

გადაწყდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღედგინათ საკუთარი ძალებით. ამ მიზნით გენერალ გ. კვინიტაძის მეთაურობით გამოიყო 20-ათასკაციანი ქართული ჯარი, რომელმაც 7 მარტს გაათავისუფლა ახალციხე და განავითარა შეტევა მხარის სიღრმეში. ახალციხეში ინგლისელი ოფიცრის თანხლებით გამოცხადდა „ყარსის მთავრობის" წარმომადგენელი და გენერალ კვინიტაძეს სამშვიდობო მოლაპარაკება შესთავაზა. პასუხად გენერალმა მოითხოვა არტაანის დაცლა, სერვერ-ბეგისა და აჯანყების სხვა მოთაყვეების ჩაბარება 48 საათის განმავლობაში. ამით გაღიზიანებულმა ინგლისელმა ოფიცერმა გ.კვინიტაძეს დაუფარავად უთხრა: „გესმით თუ არა თქვენ, რომ ხელის აღმართვა „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ტერიტორიების სახელმწიფოზე" ამავე დროს ნიშნავს ხელის აღმართვას ინგლისზე".[42] მუქარის მიუხედავად, ქართველმა სარდალმა განაგრძო შეტევა და აპრილის პირველ ნახევარში გაათავისუფლა სეპარატისტი ბეგების საბუდარი - ფოცხოვი; ქართული ჯარი შევიდა არტაანშიც. ამრიგად, სერვერ-ბეგის ავანტიურა მარცხით დამთავრდა.

---

[38] გაზ. „ერთობა" №32, 1919 წ.
[39] Esin Dayi S., დასახ. ნაშრ., გვ. 98, 101.
[40] გაზ. „ერთობა", №70, 1920.
[41] «Демократическое правительство» Грузии и Английское командирование, Тб., 1928, с. 28.
[42] Esin Dayi S., დასახ. ნაშრ., გვ. 142.

ქართული ჯარის წარმატებამ ინგლისელებს დაანახა მარიონეტულ „ყარსის რესპუბლიკაზე“ გათვლილი პოლიტიკის უპერსპექტიეობა. ისინი დარწმუნდნენ, რომ ხელოვნურად შექმნილი ეს „სახელმწიფო“ კავკასიაში უფრო თურქეთის პოზიციებს განამტკიცებდა, ვიდრე ინგლისისას. ამიტომ აღარ დააყოვნეს მისი ლიკვიდაცია. 1919 წ. 13 აპრილს დაითხოვეს ყარსის „პარლამენტი“, ხოლო 12-კაციანი „მთავრობა“ დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს.

* * *

მასლოვის „მთავრობის“ გადაყენებისა და სამოქალაქო მმართველობის საკუთარ ხელში აღების შემდეგ ინგლისელებმა სცადეს სასოგადოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღება. ბათუმში მრავალად შემოვიდნენ სავაჭრო და სამრეწველო ფირმები. მათ აინტერესებდათ ამიერკავკასიის ეკონომიკის ყველა დარგი, განსაკუთრებით — ბაქოს ნავთობი, ჭიათურის მარგანეცი, ბამბა და მატყლი. ქალაქში უხვად გამოჩნდა ევროპული ნაწარმი. საქართველოს რესპუბლიკის მთავარი საბაჟოს ცნობით, 1919 წ. ბათუმში შემოიტანეს 395 მილიონი ბონის მანეთის (რუსული ჩერნოვეცის კურსით = დაახლ. 350 ათასი რუბლს) სხვადასხვა დასახელების საქონელი,[43] თუმცა, მასობრივი უმუშევრობის პირობებში მოსახლეობის სყიდვითუნარიანობა დაბალი იყო. უქმად იდგა საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი. არასრული დატვირთვით მუშაობდა ნავსადგური და ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული ობიექტები.

1919 წ. მარტში შეაკეთეს ბაქო-ბათუმის ნავთსადენი და „შაკი ოქრო“ ისევ წამოვიდა ბათუმისაკენ, თუმცა, ომისშემდგომი ეკონომიკური კრიზისით მოცულ მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნილება შედარებით დაბალი იყო.[44]

ეკონომიკური ცხოვრების დამძიმებამ გააუარესა კრიმინალური ვითარებაც. ოლქი, ფაქტობრივად, ვერ იმართებოდა. გახშირდა ძარცვა-რბევის შემთხვევები. ამით კარგად ისარგებლეს ბოლშევიკებმა და თავიც წამოჰყვეს. კუკ-კოლისის ბრძანებულებით 1919 წ. 5 სექტემბრიდან ბათუმში გამოცხადდა საალყო მდგომარეობა, აიკრძალა იარაღის ტარება, 6 კაცზე მეტის შეკრება, გარდა ეკლესიისა და ქალაქის სათათბიროსა; „აღმგზნები სიტყვების წარმოთქმა“; გართულდა ბათუმში მოქალაქეთა თავისუფალი შემოსვლა და გასვლა.[45]

1919 წ. 20 ნოემბერს გამოქვეყნდა კუკ-კოლისის ბრძანებულება ბათუმის საქალაქო სათათბიროს და გამგეობის დათხოვნის შესახებ. ახალი არჩევნები დაიგეგმა 1920 წ. თებერვლისათვის. მანამ კი, ამავე ბრძანებულებით, გამოცხადდა „განსაკუთრებული სათათბიროს“ შექმნა, რომელიც უნდა შემდგარიყო „ზოგიერთი ინგლისელი ოფიცრისა და ბათუმის ცნობილი მოქალაქეებისაგან“. მათ დაევალათ ქალაქის ახალი სათათბიროს არჩევნების მომზადება. აგრეთვე, მუშაობა ქალაქის მართვა-გამგებლობის გაუმჯობესების, ქ.ბათუმისა და ოლქის სამოქალაქო მმართველობებს შორის ფუნქციების სათანადოდ გამიჯვნისათვის.

კუკ-კოლისის ამავე ბრძანებულებით „ქ. ბათუმის საქმეთა წაძღოლისათვის“ დაინიშნა დროებითი გამგეობა ინგლისელი ოფიცრის ხელმძღვანელობით და ჯაჟიშვილის, ლორთქიფანიძის და ტოროსოვის შემადგენლობით. ქალაქის დროებითი

---

[43] სცსსა, ფ. 1891, ან. 1, ს. 95, ფურც. 5-6.

[44] საგაზეთო ქრონიკის ცნობით: „ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭოსთან არსებული ბიუროს მონაცემებით, 1918 წ. 10 დეკემბრიდან 1919 წ. 1 მაისამდე ბაქოდან ბათუმში გამოუტანიათ 5,6 მილიონი ფუთი ნავთი. მათგან 3,2 მლნ. ფუთი ნავთი წაუღია ინგლისის სარდლობას, 672 ათასი ფუთი - საქართველოს მთავრობას და 1,7 მლნ. ფუთი - სხვადასხვა პირთ“ (იხ.გაზ. „ერთობა“, №147, 1919).

[45] აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 5, ფურც. 142, 249.

გამგეობის დასახმარებლად ინგლისელი ოფიცრების მეთაურობით იქმნებოდა საფინანსო, სამედიცინო-სანიტარული, განათლების, იურიდიული, ტექნიკური, სიძვირესა და სპეკულაციასთან მებრძოლი და ა.შ. კომისიები.[46]

აღსანიშნავია, რომ სამსახურში მიღებისას ინგლისური სამოქალაქო ადმინისტრაციაც, მასლოვის ყოფილი „მთავრობის" მსგავსად, უნდობლობას უცხადებდა ადგილობრივ მოსახლეობას. აზერბაიჯანის ბათუმელი კონსული 1919 წ. ნოემბერში თავის მთავრობას მოახსენებდა: „ქალაქის მილიცია ძირითადად დაკომპლექტებულია ლტოლვილებით (რუსებით და სომხებით). ჩამოსულთა სამსახურში მიღების გამო შეიმჩნევა ჩუმი დრტვინვა როგორც ოლქის სოფლის მოსახლეობაში, ისე ბათუმის მცხოვრებლებში".[47]

ხელისუფლება ზრუნავდა ხაზინის შევსებაზეც. კუკ-კოლისის 1919 წ. 28 მაისის ბრძანება ავალდებულებდა ბათუმისა და ოლქის მოსახლეობას ორი კვირის ვადაში შეეტანათ გადასახადები. დაგვიანებით გადამხდელთათვის დაწესდა ჯარიმები.[48] ნოემბრის დამლევიდან გაორმაგდა გადასახადები ნავთობპროდუქტებით ვაჭრობაზე.[49]

საოკუპაციო ხელისუფლება ცდილობდა დამქირავებლებსა და მუშებს შორის დაპირისპირების აღმოფხვრას. ამ მიზნით დააწესა მინიმალური ხელფასის ნორმა, ხოლო 1919 წ. მაის-ივნისიდან აღადგინა ე.წ. „მომრიგებელი კამერები". უმაღლეს ინსტანციად გამოცხადდა საოლქო მომრიგებელი კამერა, რომლის გადაწყვეტილება საბოლოო იყო მეწარმეებსა და მუშებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების განხილვისას.[50]

უმუშევართა აღრიცხვისა და დასაქმების ორგანიზაციის მიზნით ინგლისელებმა ნოემბერში ჩამოაყალიბეს „შრომის საქმეთა კომიტეტიც".[51] თუმცა, ზემოაღნიშნულ ზედაპირულ ღონისძიებებს, როგორც მოსალოდნელი იყო, არ შეეძლო რადიკალურად შეეცვალა შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება.

ბათუმში მიმოქცევაში დაშვებული „დონის მთავრობის" ფულის კურსის სწრაფად დაცემის გამო, საოკუპაციო ხელისუფლების მიერ განსაზღვრული მინიმალური ხელფასი მხოლოდ პურის შესაძენადაც აღარ კმარობდა.[52] 1920 წ. 12 იანვარს დილით ქალაქში დაიწყო საეაჭროების და ბაზრის დარბევა. ხალხის ერთი ნაწილი შეიჭრა „სასურსათო კომიტეტის" შენობაში, დაარბია კომიტეტის თავმჯდომარის, ინგლისელი მაიორის ნორმანის კაბინეტი და სხვა ოთახები. უწესრიგობის აღსაკვეთად საჭირო გახდა ინდუსთა ინგლისური ბატალიონის გამოყვანა.[53]

მსგავსი სასურსათო ბუნტების მოსალოდნელობა კელავ არსებობდა. სასურსათო კრიზისის აღმოფხვრისა და ქალაქის ხაზინის შევსების მიზნით, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მოადგილის, პოლკოვნიკ ჰარისის 1920 წ. 30 იანვრის ბრძანებულებით გადასახადები რამდენჯერმე გაიზარდა, კერძოდ, მიწაზე 50-ჯერ, ქალაქში უძრავ ქონებაზე - 15-ჯერ, ხოლო რეწვასა და წარმოებაზე - 30-ჯერ.[54]

---

[46] იქვე. ფურც. 229.
[47] Борьба за победу Советской власти в Аджарии... с. 254-255.
[48] აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 3, ფურც. 79, 167.
[49] იქვე. ფ. 6, ს. 472, ფურც. 45.
[50] Борьба за победу Советской власти в Аджарии... с. 262-263.
[51] იქვე. გვ. 267.
[52] 1920 წ. დასაწყისისათვის ქართული ბონების მსყიდველობითი უნარიანობა 4-5-ჯერ მაღალი იყო, ვიდრე „დონის მთავრობის" ფული. გაზეთის ცნობით: „ბათუმში სიძვირემ მიაღწია ზღაბრულ ზღვარს... იმის გამო, რომ არავის უნდა საქონლის გაყიდვა დონის ფულზე, მაღაზიათა უმრავლესობა დაკეტილია, მოსამსახურეებს კი ხელფასს უხდიან დონის ფულითო" (Газ. «Борьба», №19, 1920).
[53] Газ. «Борьба», №10, 1920.
[54] Борьба за победу Советской власти в Аджарии... с. 270.

საოკუპაციო ხელისუფლება ეეღარ აკონტროლებდა ბათუმის ოლქს. პრესის სიტყვითაც, ინგლისელების იურისდიქცია ფაქტობრივად ქალაქს არ სცილდებოდა, ხოლო „ოლქი შეიქმნა ახლად დაძმობილებული ენვერ-ფაშას აგენტების და ბოლშევიკების სათარეშო ასპარეზად".[55]

მოხალისეთა არმიის წარმომადგენელი გენერალი რომანოვსკიც მიუთითებდა ბათუმის ოლქში ოსმალთა აგენტების გაძლიერებულ საქმიანობაზე. ამასთან, წერდა, რომ „ინგლისელების ყურისწაგდებით ფეხს იკიდებს ბოლშევიზმი. ბათუმის რუსულ მოსახლეობაში ეს იწვევს განგაშს და ზრდის აქედან გაქცევის განწყობილებას, ხოლო ეკონომიკურად ნაკლებად უსრუნველყოფილი ნაწილი იხრება ბოლშევიზმისაკენ, როგორც არსებული მდგომარეობიდან გამოსავალისაკენ".[56]

ინგლისის ოკუპაციის პერიოდში ბათუმელმა ბოლშევიკებმა ლეგალური საქმიანობა გაშალეს პროფკავშირებში. მუშათა ურთიერთდამხმარე სალაროსა და ერთიანი საგაფიცვო ფონდის შექმნით, ფასების ზრდის პირობებში ხელფასების მომატებისათვის ბრძოლისა და სხვა ეკონომიკური მოტივებით, ისინი ზოგჯერ ახერხებდნენ მუშათა გამოსვლების ორგანიზებას საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ.

ბოლშევიკები ბათუმში გააქტიურდნენ 1919 წ. საფხულიდან, როდესაც დენიკინი ფართო ფრონტით უტევდა საბჭოთა ხელისუფლებას რუსეთში. ბოლშევიკები აფერხებდნენ სამხედრო ტვირთის ბათუმიდან გაგზავნას მოხალისეთა არმიისათვის. 1919 წ. სექტემბრის დასაწყისში გენერალი რომანოვსკი დენიკინის შტაბს ბათუმიდან ატყობინებდა, რომ ინგლისელებისაგან მიიღო 15 ათას ტონამდე სამხედრო ტვირთი. მის გასატანად აუცილებელია გამოგზავნოთ გემები და 100 მტვირთავი, „რადგან ადგილობრივი პროფკავშირები აქაურ მუშებს არ მისცემენ დატვირთვის ნებასო".[57]

პროფკავშირებში მოკალათებული ბოლშევიკების ინიციატივით, 1919-1920 წლებში ბათუმში ფართოდ აღინიშნა პირველმაისობებიც. მათგან გამოკვეთილად ბოლშევიკური მიმართულებისა იყო 1920 წ. საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელიც დაემთხვა აზერბაიჯანის იძულებით გასაბჭოებას და ჩატარდა ბათუმსა და დანარჩენ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ლოზუნგით.[58]

ბაკოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დააშინა ბათუმში მოქმედი საქმიანი ადამიანები, აგრეთვე, ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება, რომელმაც იჩქარა აქ თავმოყრილი სხვადასხვა საქონლის გაზიდვა. ამის საპასუხოდ 4 მაისს რუსეთის სავაჭრო ფლოტის წარმომადგენელთა და ქ. ბათუმის პროფკავშირების პრეზიდიუმის წევრთა საერთო კრებამ სოლიდარობა გამოუცხადა საბჭოთა რუსეთს, ამასთან, თითქოსდა „საქონელგაცვლის მიზნით", ხელისუფლებისგან მოითხოვა შავი ზღვის საბჭოთა პორტებისკენ გემების თავისუფალი გასვლის უფლება. ამავე კრების დადგენილებით, აიკრძალა ბათუმიდან რაიმე ტვირთის გატანა კონსტანტინოპოლისა და ყირიმის მიმართულებით.[59]

ბოლშევიკებმა მიმართეს სხვა აქციებსაც. კერძოდ, 1920 წ. 22-23 აპრილს ღამით ააფეთქეს სარკინიგზო ხიდი მდ. კინტრიშზე და მის პარალელურად გამავალი ნავთსადენი.[60] 30 აპრილს, დღისით, ბათუმის ქუჩაში სასიკვდილოდ დაჭრეს ცნობილი

[55] გაზ. „ერთობა", №26, 1920.
[56] Борьба за победу Советской власти в Аджарии... с. 243-244.
[57] იქვე. გვ. 243.
[58] Газ. «Голос труда», №105, 1920.
[59] Газ. «Голос труда», №109, 1920.
[60] აცსა, ფ. 71, აღ. 1, ს. 2, ფურც. 1-63.

გენერალი ელ. ლიახოვი,[61] მოგვიანებით, 17 ივნისს, გამთენიისას, ააფეთქეს ბათუმის ნავსადგურში რეიდზე მდგომი ტანკერი „სვეტ“-ი, რომელიც იტვირთებოდა ყირიმში ერანგელისათვის გასაგზავნი ნავთობპროდუქტებით და საბრძოლო საჭურველით.[62]

ბოლშევიკების ლეგალურ-პროფკავშირული და არალეგალურ-ტერორისტული საქმიანობა მოსახლეობაში იწვევდა შიშს და კრძალვით განაწყობდა მას ამიერკავკასიაში უკვე ფეხმოკიდებული საბჭოთა პოლიტიკური სისტემისადმი. ეს მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნიდა, აგრეთვე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და მასთან ბათუმის ოლქის კვლავ გაერთიანებას.

ბოლშევიკების ზემოაღნიშნული აქციები სერიოზული დაბრკოლება იყო დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ხელისუფლებისათვის, არყევდა მის პრესტიჟს. ამიტომაც, 8 მაისს, ინგლისელებმა დააპატიმრეს ბათუმის პროფსაბჭოს ხელმძღვანელები და სხვა აქტივისტები (სულ 21 პიროვნება). დალუქეს პროფსაბჭოს შენობა და ტიპოგრაფია, სადაც იბეჭდებოდა ბოლშევიკური გაზეთი „გოლოს ტრუდა“. პრესის ცნობით - „ინგლისელები დასაჭერად დაეძებდნენ სედაი მილეთის პარტიის წევრებსაც“.[63]

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და ბაქოს ნავთობსარეწების დაკარგვის შემდეგ, ანტანტის უმაღლესმა საბჭომ აზრდაკარგულად ჩათვალა ბათუმის ოკუპაციის გაგრძელება და იგი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დაუბრუნა.

ევაკუაციის წინ ინგლისელებმა ყირიმში გაგზავნეს უკანასკნელი სამხედრო ტვირთი, დემონტაჟი გაუკეთეს ბათუმის სიმაგრეების შორსმსროლელ ქვემეხებსაც. აქ შემოტანილი მოწყობილობები გაზიდეს ინგლისურმა ფირმებმა. ბათუმი დატოვა და დაგროვილი ქონება გაიტანა რუს კოლონისტთა შეძლებულმა ნაწილმაც.

ამრიგად, 18-თვიანი ოკუპაციის პერიოდში ინგლისელები ცდილობდნენ ბათუმის ოლქი ექციათ არა მარტო სამხრეთ რუსეთის ანტისაბჭოთა მოძრაობის დასაყრდენად, არამედ ამიერკავკასიაში თავიანთი განუყოფელი გაელენის შენარჩუნების პლაცდარმადაც. ამიტომ ოკუპაციის საწყის პერიოდში მაინც, ისინი აქ მოქმედებდნენ გათიშე და იბატონეს პრინციპით. ამით დიდი ენება მიადგა საბჭოთა რუსეთის აგრესიის წინაშე მდგომი ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი განმტკიცების საქმეს. ეს იყო ანტანტის ქვეყნების, პირველ ყოვლისა კი – ინგლისის სამხედრო-საგარეო პოლიტიკური კურსის დიდი შეცდომა, რასაც სამომავლოდ მოჰყვა მძიმე შედეგები როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე მთელი კავკასიისათვისაც.

§2. ბათუმი და რუსეთის სამოქალაქო ომი

დიდი ბრიტანეთის ჯარების მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციის შემდეგ, ამ რეგიონს გარკვეული როლი დაეკისრა სამხრეთ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი გენერლების, ჯერ ა. დენიკინის, ხოლო შემდეგ პ. ვრანგელის არმიების სამხედრო საჭურველით და თხევადი საწვავით მომარაგებასა და ცოცხალი

[61] გაზ. „ერთობა“, №100, 1920.
[62] გაზ. „ერთობა“, №136, 1920; Газ. «Наш край», №131, 1920.
[63] გაზ. „ერთობა“, №104, 1920.

ძალით შევსების საქმეში.

თავის მხრივ გენერალი დენიკინიც, მიზნად ისახავდა რა რუსეთის იმპერიის ძველ საზღვრებში აღდგენას, ბათუმს და მთელ საქართველოს მიიჩნევდა „ერთიანი რუსეთის“ კუთვნილ ნაწილად. ამიტომ ბათუმი დენიკინელების ყურადღების ორბიტაში მოექცა ინგლისელების აქ მოსვლისთანავე. მით უმეტეს, რომ დენიკინის მძლავრობის პერიოდში ინგლისელებიც ანგარიშს უწევდნენ დენიკინის ტერიტორიულ ამბიციებს და აცხადებდნენ, რომ მათი კავკასიაში მისვლის მიზანი, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, იყო „ამ მხარის რუსეთისათვის შენარჩუნება“.[64] მართლაც, ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების, მის მიერ შექმნილი მარიონეტული „ბათუმის ოლქის მმართველი საბჭოს“ და სხვა ანტიქართული ძალების ხელშეწყობით, ეს რეგიონი დენიკინელთა მოქმედების ფართო ასპარეზად იქცა.

ინგლისის ჯარების მიერ ბათუმის ოკუპაციის შემდეგ აქ მოაელინეს დენიკინის ე.წ. „მოხალისეთა არმიის“ სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები, რათა სამხრეთ რუსეთში გაეტანათ სხვადასხვა სახის სამხედრო აღჭურვილობა და თხევადი საწვავი.[65]

1919 წ. 5 იანვარს ბათუმში ჩამოვიდა დენიკინის რწმუნებული გენერალი ერდელი, რათა უსრუნველეყო ბათუმის სამხედრო საწყობებიდან საარტილერიო საჭურველით მოხალისეთა არმიის მომარაგება. ამ მიზნით ერდელი შეხვდა ინგლისის ჯარების მთავარსარდალს აღმოსავლეთში გენერალ მილნს, რომლისგანაც მიიღო შესაბამისი თანხმობა.[66]

ინგლისელებმა გენ. ერდელს შესთავაზეს, რომ დენიკინს ბათუმში დაენიშნა მუდმივი წარმომადგენელი, რომელიც მოახდენდა არმიის მომარაგების ცენტრალიზაციას და, საერთოდ, წარმართავდა დენიკინსა და ბათუმში ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებას შორის ურთიერთობას.[67] ეს პასუხობდა დენიკინის ინტერესებსაც. ამიტომ, მის მტაბში ინგლისელების აღნიშნული წინადადება სიხარულით მიიღეს. 1919 წ. თებერვლის დამლეეს ბათუმში ჩამოვიდა მოხალისეთა არმიის ოფიციალური წარმომადგენელი – გენერალი ნ. პოროხონსკი, რომელმაც საკუთარ ხელში აიღო ნოვოროსიისკში სამხედრო ქონების გაგზავნის ორგანიზაცია, თეთრგვარდიელ ოფიცერთა რეგისტრაცია[68] და მოხალისეთა არმიასთან დაკავშირებულ ყოველგვარ საქმეზე ინგლისელებთან ურთიერთობის წარმართვა.[69] გატარებულ ღონისძიებათა შედეგად დიდძალი სამხედრო დანიშნულების ტვირთის გარდა, 1919 წ. მარტ-აპრილში ბათუმში შეიკრიბა და დენიკინის განკარგულებაში გაიგზავნა 600-კაციანი კაზაკთა რაზმი,

---

[64] ზემოაღნიშნული დაპირების მიუხედავად, დენიკინისათვის ცნობილი იყო, რომ ბათუმი და საერთოდ ამიერკავკასია ინგლისელებს მხოლოდ თავისთვის უნდოდათ და მასზე სხვის უფლებებს არ აღიარებდნენ. ამ მხრივ საყურადღებოა გენ.დენიკინის შტაბიდან ამიერკავკასიაში მოვლინებული წარმომადგენლების მოხსენებითი ბარათები და შეტყობინებები. დენიკინის ემისარი თავადი გოლიცინი 1919 წ. 12 იანვარს ბათუმიდან გაგზავნილ მოხსენებაში შენიშნავდა, რომ ინგლისი ბოლშევიზმთან ბრძოლის მომიზეზებით ახდენს მთელი ამიერკავკასიის ოკუპაციას (ГАРФ, ф. 446, оп. 1, д. 11, л. 3). გენერალი ერდელი კი ამავე სარდალს ატყობინებდა - ინგლისელები ამიერკავკასიას საკუთრივ იჩემებენ და „არავითარ ანგარიშს არ გვიწევენ არც ჩვენ და არც რუსეთის უფლებებს ამ მხარეზე“ (ГАРФ, ф. 446, оп. 2, д. 40. л. 11).

[65] ГАРФ, ф. 446, оп. 2, д. 40. л. 13.

[66] там-же, 11.

[67] там-же, 13.

[68] პოროხონსკის ბათუმში ჩამოსვლამდე თეთრგვარდიელთა რეგისტრაციას ახდენდა ბათუმის ოლქის რუსული ნაციონალური საბჭოს სამხედრო სექცია. მისი დაკვალებით ბათუმის გამაგრებული რაიონის არტილერიის უფროსის ყოფილმა მოადგილემ ბოლკ. ვორონცოვმა 1919 წ. იანვრის დასაწყისში ამ მიზნით დააარსა საეტაპო პუნქტი. აქეე, მოხალისეთა არმიაში გამწესებულ ოფიცრებს პირდებოდნენ, რომ მზრუნველობას არ მოაკლებდნენ ბათუმში საცხოვრებლად დარჩენილ მათი ოჯახის წევრებს (ГАРФ, ф. 446, оп. 2, д. 40, л. 11).

[69] აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 15, ფურც. 259.

ბიჩერახოეის მეთაურობით.[70]

ბათუმიდან გამგზავრებამდე კაზაკებმა მათთვის დამახასიათებელი უმსგავსო საქციელით გაითქვეს სახელი. ისინი დღისით-მზისით შეურაცხყოფდნენ და ძარცვავდნენ ხალხს ბაზარსა თუ ქუჩებში. პოლიცია კი უმოქმედობას იჩენდა, რადგან ნაბრძანები ჰქონდა - ხელი არ ეხლოთ კაზაკებისათვის.

მასლოვის მფარველობით გათავხედებული ბიჩერახოეის რაზმელები ამ მხარის ცნობილ პირებსაც არ ინდობდნენ. 28 მარტს სამმა კაზაკმა ფიზიკურად შეურაცხყო ბათუმის სათათბიროს დეპუტატი ხ. ლორთქიფანიძე, ხოლო შემდეგ იარაღით გამოუდგნენ და ცეცხლი დაუშინეს მის სახლს.[71]

გარდა ბათუმისა, დენიკინს სარეგისტრაციო პუნქტი ჰქონდა თბილისშიც, რომელიც არალეგალურად არსებობდა ინგლისის სარდლობის შტაბთან. მას ხელმძღვანელობდა გენერალი შატილოვი. ის ახდენდა თბილისში მყოფი თეთრგვარდიელი ოფიცრების რეგისტრაციას და ბათუმის გაელით დენიკინთან გაგზავნას. 1919 წ. ივნისამდე მან რეგისტრაციაში გაატარა ათასამდე კაცი.[72]

1919 წ. დამდეგს თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში წითელმა არმიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. აპრილში დაიკავა ოდესა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სხვა ქალაქები. ინგლისელებმა ფართოდ გაუღეს ბათუმის კარები რუსეთიდან დევნილ თეთრგვარდიელებს. ქალაქი რუსი სამხედროებით გაივსო. ამის თაობაზე 1919 წ. 26 მაისს დენიკინს ატყობინებდნენ: „უკანასკნელ დროს ბათუმში თავი მოიყარა უამრავმა ოფიცერმა, რომლებიც ჩამოვიდნენ ოდესიდან და ყირიმიდან. მათი უმრავლესობა არ იმყოფება სამხედრო სამსახურში, ეწევა სპეკულაციას, ლოთობს და თამაშობს ბანქოს".[73]

გადაწყდა აღნიშნული სამხედრო ძალის ხელახალი მობილიზაცია და მათი მოხალისეთა არმიაში გაგზავნა. ამ მიზნით ბათუმის ოლქის ინგლისელმა გუბერნატორმა კუკ-კოლისმა 1919 წ. 12 ივლისს სპეციალური ბრძანებაც კი გამოსცა.[74]

დენიკინის შტაბში გადაწყდა, რომ მოხალისეთა არმიაში მიეზიდათ კავკასიელებიც. ამ მიზნით 1919 წ. მაისში ბათუმში მიაელინეს წარმოშობით ქართველი გენერალი ნათიევი (ნათიშვილი). მან აქ გახსნა სპეციალური ბიურო, რომელიც აწარმოებდა მოხალისეთა არმიაში ამიერკავკასიელთა ჩაწერას. ამის თაობაზე გაზ. „ერთობა" წერდა: „ამ ბოლო დროს დენიკინელები მთლად გათავხედდნენ - ჩოლოქზე ააფრიალეს „ნიკოლოზის" სამფეროვანი დროშა და დენიკინის წარმოგზავნილმა გენერალმა ნათიევმა გამოაცხადა, რომ ის ადგენს ამიერკავკასიის ე.წ. „ტუსემნი კორპუსს". მოუწოდებს მცხოვრებლებს, რომ ჩაეწერონ. ნათიშვილის მოწოდება მთლად უშედეგო არ რჩება. მის კორპუსში ეწერებიან უმთავრესად სომხობა, არიან თითო-ოროლა ქართველებიც, რომლებიც ვერ შეგუებიან ჩვენს ყოფილებას. ჯერ-ჯერობით ჩაწერილია 300-მდე კაცი, აქედან უმრავლესობა სომხები, შემდეგ რუსები და ბოლოს (ოციოდე) ქართველი".[75]

---

[70] ა.ლეკვა. საქართველოს მენშევიკური მთავრობა და დენიკინელები, - „მაცნე" (ისტორიის სერია), №5, 1969, გვ. 26.

[71] აცსა, ფ. 7, აწ. 1, ს. 752, ფურც. 6.

[72] ГАРФ, ф. 446, оп. 2, д. 35, л. 76 * ф. 440, оп. 1, д. 17, л. 25.

[73] იქვე, ф. 446, оп. 2, д. 34, л. 5.

[74] აცსა, ფ. 67, აწ. 1. ს. 5, ფურც. 115.

[75] „ერთობა", 21 ივნისი, 1919, №135.

ქართული ბრესის მიხედვით, ნათიევის კორპუსში ჩაეწერნენ: ბოლკოვნიკი ძმები ერისთავები (იმერეთიდან), ოფიცრები: დადიანი, ახვლედიანი და „გურიაში კარგად ცნობილი ბორუჩიკი დიმიტრი მგელაძე" (უ.ოქროპირიძე, დენიკინი და აჭარის გარშემო შექმნილი პრობლემები (წერილი ბირველი). - „ეროსი", №2, 1996, გვ. 161).

ამიერკავკასიის „ტუსუმენი კორპუსის“ შექმნის წინადადება მოხალისეთა არმიის შტაბში, ჯერ კიდევ აპრილში, დააყენა თვითონ გენერალმა ნათიევმა. ამ დროისათვის თეთრგვარდიელებმა ბოლშევიკებისაგან გაწმინდეს ირდილოეთ კავკასია და იქაურ ხალხებში დაიწყეს „ტუსუმენი“ სამხედრო ნაწილების ფორმირება. ნათიევის აზრით, დენიკინის დროშის ქვეშ გასაერთიანებლად, აგრეთვე, მზად იყვნენ საქართველოს ოფიცრობა და სხვა ამიერკავკასიელები. ამიტომ აუცილებელი იყო მათგანაც შექმნათ „ტუსუმენი“ კორპუსი. მის ჩამოსაყალიბებლად, გადაჯიშებული გენერლის აზრით, ყველაზე სასურველი პირობები იმ დროისათვის იყო აჭარაში, ლაზისტანსა და აფხაზეთში, სადაც აშკარად განაცხადეს, რომ ისინი არ არიან თანახმა საქართველოს მთავრობის მიმართულებისა“.[76]

სხვათა შორის, დენიკინელები ნათიევის „კორპუსით“ აპირებდნენ თბილისში შეჭრას და მთავრობის დამხობას. დენიკინელთა ბათუმური გაზეთი „ნაშ კრაი“ ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც ეს „კორპუსი“ „ერთი დღის მარშით ესტუმრებოდა თბილისს, ერევნის მოედანზე დადგამდა გილიოტინას და საქართველოს მთავრობის წევრების თავებს, ხიშტზე აგებულს, დენიკინს მიართმევდა“.[77]

აღნიშნული აქციის განხორციელებას დენიკინელები მხოლოდ ინგლისელების თანხმობისა და ხელშეწყობის შემთხვევაში შეძლებდნენ. 1919 წ. ზაფხულის დამდეგს ინგლისელებს განზრახული ჰქონდათ დენიკინის ძალებით დაემხოთ საქართველოს მთავრობა და შეექმნათ უფრო მორჩილი და მარიონეტული „ქალაქ თბილისის განსაკუთრებული მმართველობა“, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა ინგლისელი სამხედრო პირი ან ინგლისის აგენტი. აღნიშნული ჩანაფიქრის განხორციელებისათვის საჭირო იყო საბაბი. ამ მიზნით ინგლისელები თბილისში ეეგმავდნენ თეთრგვარდიელებისა და სხვა ანტიქართული ელემენტების გამოსელების მოწყობას, რაც გახდებოდა საბაბი იმისათვის, რომ „წესრიგის დამყარების“ მომიზეზებით „ინგლისელები ჩაერევიან ამ საქმეში და შექმნიან თბილისის საგანგებო მმართველობას“.[78] ამ მიზნით „თბილისში ყოველდღე ჩამოდიან ინგლისურ ფორმაში გადაცმული კაზაკები“.[79] - ნათქვამი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის წარდგენილ დოკუმენტში.

გენერალ ნათიევის საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1919 წ. 28 ივნისს, საღამოს, ბათუმის ბულვარში მოსეირნე ნათიევი და მისი ადიუტანტი ფილიპოვი სიცოცხლეს გამოასალმეს.[80] ამის შემდეგ ბათუმელი შავარაზმელები უფრო გააქტიურდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა გაზეთი „ნაშ კრაი“, რომელიც არწმუნებდა საოკუპაციო ხელისუფლებას, რომ ნათიევის მკვლელობა და თანაც ინგლისისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, ინგლისის აეტორიტეტის შელახვა იყო და დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა.

ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება იძულებული გახდა საქართველოს მთავრობის დამხობის გეგმაზე ამჯერად ხელი აეღო. მით უმეტეს, რომ ამ შეთქმულების მზადების შესახებ უკვე ცნობილი გახდა როგორც მთავრობისათვის, ისე ხალხისათვისაც. ამას მოჰყვა საქართველოს მთავრობის მძაფრი პროტესტები აღნიშნულ საკითხზე. ინგლისელებს კარგად ესმოდათ, რომ საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობის გამწვავება შეარყევდა ამიერკავკასიაში მათ პოზიციებს, რისთვი-

[76] ამხდ., 4, ს. 47.
[77] „ერთობა“, 5 ივლისი, 1919 წ., №147.
[78] სცსსა, ფ. 2344, ან. 1, ს. 184, ფურც. 97.
[79] იქვე, ფურც. 98.
[80] „ერთობა“, 3 ივლისი, 1919 წ. №145.

საც უკვე თავგამოდებით სრუნავედნენ მოკავშირე აშშ, საფრანგეთი და იტალია. ამიტომაც შექმნილ ვითარებაში ინგლისელებმა უკან დახევა ამჯობინეს და, ქართული საზოგადოებრიები აზრის შეცდომაში შესაყვანად, ბათუმში დენიკინელთა პრივილეგიები ფორმალურად შესღუდეს. „ქობულეთში მოხსნეს მოხალისეთა ჯარის დროშა და აღმართეს ინგლისური, - ატყობინებდნენ გაზ. „ერთობას“ ბათუმიდან, - 6 ივლისს ნოვოროსიაში გაიგზავნა გენ. ნათიევის მიერ შედგენილი 250-კაციანი რაზმი. ნათიევის შტაბის წინ გამოკრულია ცნობა, რომ რაზმში ჩაწერა შეჩერებულია. ამ შტაბის უფროსი დიბენკო ეკატერინოდარში გაემგზავრა“.[81] მიუხედავად ამისა, დენიკინელთა პარპაში ბათუმის ოლქში, ფაქტობრივად, არ შეწყვეტილა, მაგრამ ამაზე ინგლისელები თვალს ხუჭავენო - ბათუმიდან იტყობინებოდა ჰაიდარ აბაშიძე.[82]

ბათუმის ოლქში დენიკინის გაელენის განმტკიცებისათვის მასლოვის ე.წ. „მთავრობამაც“ ბევრი გააკეთა.[83] მასლოვთან თავს იყრიდნენ მონარქისტი ოფიცრები და მსჯელობდნენ ამ რეგიონის დენიკინისათვის გადაცემაზე. ამ წინადადებით მოხალისეთა არმიის შტაბში არაერთხელ გაიგზავნა წარმომადგენელი, ჩავიდა თვით მასლოვეიც, მაგრამ სამხედრო და პოლიტიკური მოსაზრებების გამო, დენიკინი ხელსაყრელად არ მიიჩნევდა ბათუმში მოხალისეთა ჯარის გადმოსროლას.[84]

მასლოვის „მთავრობა“ სრუნავდა სამხედრო საჭურვლით და ცოცხალი ძალით „მოხალისეთა არმიის“ მომარაგებისათვის. თვით მასლოვის ცნობით, „საბჭომ“ ბათუმის ოლქში შეკრიბა და ნოვოროსიისკში გაგზავნა 2 ათასამდე საველე ტელეფონი, რამდენიმე ათასი შაშხანა, 600 ათასამდე ვაზნა, უნაგირები, სამხედრო ფორმები და სხვა ქონება. რეგულარულად აწედიდნენ ნავთს, ბენზინს, მანქანის ზეთს, ჩაის და სხვ. „ინგლისელები, - იგონებს მასლოვი, - საქმიან დახმარებას გვიწევდნენ სამხედრო საქონლის მოძიებასა და მოხალისეთა არმიისათვის მიწოდებაში. გვეხმარებოდნენ, აგრეთვე, იქ ოფიცრების გაგზავნის საქმეშიც“.[85]

მასლოვის „მთავრობის“ დათხოვნის შემდეგაც, დენიკინელთა გავლენა ბათუმის ოლქში შენარჩუნებული იქნა ინგლისის ოკუპაციის მთელ პერიოდში.

დენიკინის წარმომადგენლები და აგენტები ყურადღებით სწავლობდნენ ბათუმის ოლქში მიმდინარე ყველა მოვლენას და მთავარსარდლის შტაბს დაწვრილებით ინფორმაციას აწედიდნენ. ამასთან, ისინი გეგმავდნენ ღონისძიებებს, რასაც უნდა განემტკიცებინა დენიკინის პოზიციები ოლქში. ამ მხრივ აღსანიშნაეია დენიკინის ახალი ოფიციალური წარმომადგენლის — გენერალ ბ. რომანოვსკი-რომანკოს[86] მიერ 1919 წ. 31 მაისს წამოყენებული წინადადებები. გენერლის აზრით, ბათუმში დენიკინის გაელენის განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო: „1. მოხალისეთა არმიის ბათუმთან საქონელბრუნვის ორგანიზება; 2. გემით მიმოსვლის, საფოსტო და სატელეგრაფო კავშირის მოგვარება... 4. ჩრდილოეთ კავკასიასა და ბათუმს შორის საბანკო ოპერაციების დამყარება; 5. ერთიანი ვალუტის შემოღება, რაც უეჭველად ჩაკლავს ქართულ ბონებს; 6. ყოველმხრივ დავუჭიროთ მხარი აქ რუსულ გაზეთ „ნაშ კრაის“, არ დავიშუროთ ფული; მივცეთ მას შესაძლებლობა გამოვიდეს ორ, სამ ენაზეც კი - რუსულად, თურქულად და ქართულად; მინიმუმამდე გავაიაფოთ მისი გაყიდვა და მივცეთ სახსრები ილუსტრირებული დამატების გამოცემისათვის, თუნდაც კეირაში

---

81 „ერთობა“, 11 ივლისი, 1919 წ., №152.
82 „ერთობა“, 12 ოქტომბერი, 1919 წ., №232.
83 მ.სხირტლაძე, ბათუმი და სამხრეთ რუსეთის კონტრრევოლუცია (დენიკინი, ვრანგელი). - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები“, I, თბ., 1988, გვ. 57-61.
84 აცსა, ფ. 67, აღ. 1, ს. 15, ფურც. 258.
85 იქვე, ფურც. 248.
86 ბ.რომანოვსკი-რომანკო 1917 წ. თებერვლის რევოლუციამდე იყო ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი.

ერთხელ“.

შემდეგ აღნიშნულია, რომ აუცილებელი იყო „ენერგიული ბრძოლა ქართულ პროპაგანდასთან, რომელიც ბათუმის ოლქში რუსული საქმისათვის ბევრად უფრო საშიში იყო, ვიდრე თურქული გავლენა“. ამისათვის გენ. რომანოვსკის აუცილებლად მიაჩნდა რუსეთის უძლეველობის რწმენის აღდგენა ქართველ მუსლიმანებში. ამ მიზნით კი საჭიროდ თვლიდა „ძლიერ მხარდაჭერას ადგილობრივ მოსახლეობაში გავლენიანი პირებისათვის“, მათ მიღებას მოხალისეთა არმიაში, „აგრეთვე მატერიალურ მხარდაჭერას გავლენიანი მაჰმადიანი სასულიერო პირებისადმი“.

ბათუმის ოლქში რუსეთის გავლენის გარანტად გენერალი რომანოვსკი დენიკინს თავაზობდა „აქ კარგად შეიარაღებული და მომარაგებული 3-4 ბატალიონის განლაგებას“, დათხოვნილი მმართველი საბჭოს (პმასლოვი) სანაცვლოდ, მმართველობაში ისევ რუსული ელემენტის დაშვებას. ამასთან, იმ თანამდებობის ინგლისელთა კაკასიიდან გაწვევას, „რომლებიც არ შეესაბამებიან რუსეთის ინტერესებს...“ ბოლო, მე-14 მუხლში კი გენ. რომანოვსკი წერდა: „აუცილებელია ნემს განკარგულებაში გამოჰყოთ ფულადი სახსრები არანაკლებ 100-150 ათასი რუბლისა, აქ პოლიტიკური მუშაობის წარმატებით გაშლისათვის“.[87]

აღნიშნულ მოხსენებით ბარათსე გაკეთებული მინაწერიდან ჩანს, რომ დენიკინი მოწონებით შეხვედრია ამ წინადადებებს.

გენ. რომანოვსკი-რომანკოს მოსაზრებების გარკვეული ნაწილი განხორციელდა. მოხალისეთა არმიასა და ამიერკავკასიას შორის საქონელბრუნვის მოწესრიგებისათვის დენიკინის განკარგულებით ბათუმში დაარსდა „შემსყიდველი ბიურო.“[88] მისი წარმომადგენლები ხშირად ჩანდნენ თბილისში, ერევანსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში. მნიშვნელოვანი სახსრები გამოეყო გაზეთ „ნაშ კრაის“ რედაქციას.[89] საოკუპაციო ხელისუფლების 1919 წ. 24 სექტემბრის დადგენილებით, ბათუმის ოლქში მიმოქცევაში შემოიტანეს დენიკინის მთავრობის ფული.[90]

ოლქის მოსახლეობა გულისწყრომით ხვდებოდა ამგვარ პროეოკაციებს. მაგალითად, 1919 წ. 11 ივლისს ქობულეთში გაიმართა ქართველ მაჰმადიანთა ყრილობა, რომელსაც აკდრის მიუხედავად ბევრი ხალხი დასწრებია. ყრილობა გახსნა რეჯებ ნიუარაძემ და აღნიშნა „...დენიკინის შავი ძალები ქ. ბათუმსა და ქობულეთის რაიონში არიან მოკალათებულნი. ეს რეაქციონერები ამბობენ, ჩვენ იმიტომ ვართ აქ მოსული, რომ ბოლშევიკებს შევებრძოლოთ და ანარქია ჩავაქროთო, მაგრამ ნამდვილად კი ჩვენი დაპყრობა, განადგურება სურთ... ჩვენი ძმური ხელი უნდა გავუწოდოთ ქართველ ერს და საერთო ძალით შევებრძოლოთ საერთო მტერს...“.[91]

შექმნილი ვითარებით შეშფოთებულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა ამიერკავკასიაში დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს ო. უორდროპს 1919 წ. 8 ოქტომბერს გადასცა საპროტესტო ნოტა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ქ. ბათუმი და ბათუმის ოლქი უკანასკნელ ხანს გადაიქცა მოხალისეთა ჯარის აგენტების ფართე ასპარეზად, რომლებიც ბათუმის ოლქის ინგლისელთა ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა სახელით სარგებლობენ, დაუსჯელად აკეთებენ თავის საქმეს და ეწევიან გაძლიერებულ პროპაგანდას თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად...“[92]

---

[87] ГАРФ, ф. 446, წტ. 2, ბ. 40, 46-47.
[88] სცსსა, ფ. 1864, ან. 1, ს. 57, ფურც. 7.
[89] „ერთობა“, 16 ივლისი, 1919 წ., №156.
[90] აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 5, ფურც. 157.
[91] ამსფ. ფ. 4, ს. 87, ფურც. 66-69.
[92] „ერთობა“, 10 ოქტომბერი, 1919 წ., №230.

1920 წ. აპრილის დასაწყისში ა.დენიკინი, რომელმაც ვერ გაამართლა ანტანტის იმედები, გენერალ პ. ვრანგელით შეცვალეს. მან მობილიზაცია უყო განადგუ-რების პირას მისულ დენიკინის ჯარის ნარჩენებს და განაახლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა.

ინგლისელები ვრანგელსაც ისევე ეხმარებოდნენ, როგორც მის წინამორბედს. ამაში კვლავ მნიშვნელოვანი იყო ბათუმის როლი. დენიკინის არმიის დამარცხების შემდეგ ამიერკავკასიას, განსაკუთრებით, ბათუმს, თავი შემოაფარა განადგურებას გადარჩენილმა ასობით თეთრგვარდიელმა. ამიტომ ვრანგელმა ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებასთან ბათუმში დანიშნა თავისი მუდმივი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი გენერალი დრაცენკო.[93] ასეთივე წარმომადგენელი მას ჰყავდა თბილისშიც. ისინი შეუდგნენ აქ მყოფი თეთრგვარდიელების თავმოყრასა და ვრანგელის არმიაში გაგზავნას. საქართველოში რსფსრ სამხედრო ატაშეს 1920 წ. 28 მაისის ცნობით, „...უკანასკნელი 3 კვირის განმავლობაში ყირიმში, ოთხი გემით გაიგზავნა 10 ათასზე მეტი ყოფილი მოხალისეთა არმიის ოფიცერი".[94]

ბათუმიდან ერანგელის არმიის ცოცხალი ძალით შეესება ინტენსიური იყო ივნისის თვეშიც. მოხალისეები ყირიმში გადაჰყავედათ როგორც ანტანტის ქვეყნების ხომალდებით, ისე რუსეთის გემების: „ეოზროჟდენიე", „დონეცი", „კიევი", „მარგარიტა", „უარკი" და სხვათა მეშვეობით.

1920 წ. ივნისის დამლევს დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გადაწყვიტა ბათუმიდან ჯარების ევაკუაცია და მისი საქართველოსთვის დაბრუნება. ევაკუაციის წინა დღეებში ინგლისელებმა ვრანგელს გადასცეს ბათუმის საწყობებში არსებული სამხედრო საჭურველის დიდი ნაწილი და ავტომანქანები. „ევაკუაციის წინ ინგლი-სელებმა ბათუმის ფორტებში ააფეთქეს ყველა ქვემეხი... სამხედრო საჭურველი საწყობებიდან მთლიანად გაიტანეს ყირიმში, ამუნიციის უკანასკნელი ნარჩენები იქ გაგზავნეს 6 და 7 იელისს" - იუწყებოდა ბათუმიდან გამოგზავნილი ერთი დოკუმენტი. ყირიმში გაამგზავრეს 2 ათასზე მეტი თეთრგვარდიელი ოფიცერი და კაზაკი, რომლებიც მანამ ინგლისელთა დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ და სასაზღვრო სამ-სახურს ეწეოდნენ.[95] ბათუმი დატოვა და ყირიმს მიაშურა ვრანგელის წარმო-მადგენლობამ და 1500-მდე რუსმა ლტოლვილმაც. აღსანიშნავია, რომ ვრანგელის არმიის რიგების შესავსებად ანტანტის სახელმწიფოებმა გამოაცხადეს კონსტანტინო-პოლში თავშეფარებული თეთრგვარდიელი ოფიცრების მობილიზაციაც.[96]

ბათუმი იყო, აგრეთვე, ვრანგელის არმიის სამხედრო დანიშნულების მასალებით მომარაგების ერთ-ერთი პუნქტი. ამ საქმის უკეთ ორგანიზებისათვის, ამიერკავკა-სიასთან და აღმოსავლეთის ქვეყნებთან მოწესრიგებული საეჭრო ურთიერთობის დამყარებისათვის, 1920 წლის მაისში ვრანგელის არმიის წარმომადგენელთან დაი-ნიშნა სპეციალური მოხელე, რომელიც იწოდებოდა „ბათუმში მთავარსარდლის წარ-მომადგენლის თანაშემწედ საეჭრო-სამრეწველო და ფინანსურ საკითხებში". მას ჰქონდა თავისი კანცელარია, რომელიც 19 კაცისაგან შედგებოდა. „მთავარსარდლის წარმომადგენლის თანაშემწეს" გადაეცა ბათუმში დენიკინის ყოფილი დაწესებულებე-

[93] სცსსა, ფ. 1874, ან. 1, ს. 2, ფურც. 23.
[94] იქვე, ს. 1, ფურც. 11. იგივე ბირის მიერ შედგენილი სხვა ცნობით, 1920 წ. 1 მაისიდან - 7 ივლისამდე, ე.ი. ანტანტის ჯარების ევაკუაციამდე, ბათუმიდან ყირიმში სულ გაიგზავნა 30 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი (იქვე, ფურც. 86). საქართველოში შემოხიზნული დენიკინის არმიის ნარჩენები ყირიმში გადაიყვანეს ფოთიდანაც, სადაც საქართველოს სამხედრო სამინისტროს მათთვის მოწყობილი ჰქონდათ სპეციალური ბანაკი (სცსსა, ფ. 2037, ან. 1, ს. 68, ფურც. 2).
[95] სცსსა, ფ. 1874, ან.1, ს. 2, ფურც. 49.
[96] იქვე.

ბის განკარგულებაში არსებული. ფულადი სახსრები და სხვა მატერიალური ფასეულობანი.[97]

ვრანგელის არმიისათვის ბათუმიდან გასატანი ერთ-ერთი უმთავრესი პროდუქტი იყო ნავთობი. ამის თაობაზე ი. სტალინი 1920 წ. 25 ივნისს ვ. ლენინს სწერდა: „სათბობს (თხევადს) ვრანგელი იღებს ბათუმიდან (მაშასადამე, ბაქო სათბობს არ უნდა აძლევდეს თბილისს, რომელსაც შეუძლია იგი ბათუმს მიჰყიდოს)".[98] აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბათუმის ნავთობპროდუქტებით მომარაგება მართლაც შეწყდა, რის გამოც მისმა ფასებმა ბათუმის ბაზარზე მნიშვნელოვნად აიწია.[99] ამის მიუხედავად, გამოსავალი მაინც მოინახა: ინგლისელებმა ვრანგელის მომარაგება ბათუმის ნავთობის რეზერვუარებში არსებული მარაგიდან დაიწყეს. იელისის პირველ რიცხვებში, მარტო ერთ დღეს, ბათუმიდან სევასტოპოლში გაგზავნეს 500 ფუთი ბენზინი, 500 ფუთი მანქანის ზეთი, 3.200 ფუთზე მეტი ნავთი და მაზუთი.[100]

ცალკე უნდა გამოიყოს ვრანგელის ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან.

ცნობილია, რომ რუსეთის იმპერიის აღდგენისათვის მებრძოლ დენიკინთან საქართველოს მთავრობა მწვავე კონფლიქტურ დამოკიდებულებაში იყო და პერიოდულად ებრძოდა კიდეც მას. ვრანგელმა გაითვალისწინა თავისი წინამორბედის შეცდომები, აგრეთვე ისიც, რომ მისი არმია სიძლიერით და რიცხობრივად მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დენიკინის შეიარაღებულ ძალებს. ამიტომ მან დღის წესრიგიდან მოხსნა ლოზუნგი: „ბრძოლა ერთიანი და განუყოფელი რუსეთისათვის". ამასთან, ვრანგელი ესწრაფვოდა ურთიერთობის ნორმალიზებას ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ, უკვე დამოუკიდებლობააღდგენილ სახელმწიფოებთან, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკასთანაც.

შესაბამისად, შეიცვალა საქართველოს დამოკიდებულებაც სამხრეთ რუსეთის მთავრობისადმი. ეს საგრძნობი გახდა მას შემდეგ, რაც 1920 წ. აპრილ-მაისში აზერბაიჯანში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და მე-11 წითელმა არმიამ საქართველოს საზღვრებთანაც მოსინჯა საკუთარი ძალა, თუმცა იმჯერად უშედეგოდ. საქართველოს მთავრობამ აშკარად იგრძნო მოახლოებული საფრთხე.

მართალია, 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულებით რუსეთის საბჭოთა მთავრობამ „დე იურედ" ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ეჭვს არ იწვევდა, რომ იგი ვერ იქნებოდა ხელშეუხებლობის მტკიცე გარანტი. საბჭოთა საარქიო მასალები ცალმხრივად და გაზვიადებულად წარმოგვიდგენენ საქართველოს რესპუბლიკის ე.წ. „ანტისაბჭოთა ბლოკს" ვრანგელთან. ეს მისახვედრიცაა, რადგან კრემლში სჭირდებოდათ „სისტემატიურად შეკრება" იმ ფაქტებისა, რომლებიც საქართველოს დაადანაშაულებდა „1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევაში". აღნიშნული დოკუმენტები შეადგინეს თბილისსა და ბათუმში რსფსრ დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა. მათში ხაზგასმულია, რომ საქართველოსთან დაბრუნების შემდეგაც ბათუმი კვლავ იყო ვრანგელის არმიის ნავთობპროდუქტებით მომარაგებისა და ცოცხალი

[97] ГАРФ, ф. 356, оп. 1, д. 44, л. 30-31.
[98] ი.სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 365.
[99] ГАРФ, ф. 356, оп. 1, д. 55, л. 1.
[100] იქვე, д. 70, л. 31.

ძალით შევსების პუნქტი და ა.შ.[101] ეს ფაქტები მომავალში უნდა გამხდარიყო (და გახდა კიდეც) ერთ-ეროი მთავარი მოტივი საბჭოთა რუსეთის საქართველოში შემოჭრისა და მისი ოკუპაციისათვის.

საბჭოთა რუსეთის მესვეურებს აღელვებდათ ის გარემოებაც, რომ საქართველოს ხელისუფლება ბათუმის ოლქის დაბრუნებისთანავე შეუდგა აქ თავშეფარებული, მისთვის არასასურველი ელემენტების გასახლებას.[102] გარდა ამისა, ბათუმს საკუთარი ნებით ტოვებდნენ ის პირები, ვისაც ეს რეგიონი მიაჩნდა რუსეთის კუთვნილებად და ამდენად, ვერ ეგუებოდა მასსე საქართველოს იურისდიქციის გაერცელებას. ბოლშევიკები კი ცდილობდნენ ლტოლვილთა შეჩერებას, რათა ბათუმში და, საერთოდ, საქართველოში არ დაესუსტებინათ ერთიანი რუსეთის (ამჯერად საბჭოთა ფორმით) აღდგენისათვის მხარდამჭერი ძალა.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივი იყო, რომ საქართველოს მთავრობა გარკვეული თანაგრძნობით ეკიდებოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ ერანგელს.

§3. „ბათუმის საკითხის" ინტერნაციონალიზაცია 1919-1920 წწ.

1917 წ. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ანტანტის ხელმძღვანელობის წინაშე დაისვა ამოცანა, დაემხოთ ბოლშევიზმი, რუსეთში აღედგინათ ბურჟუაზიული რესპუბლიკა და უზრუნველეყოთ მისი კვლავ მსოფლიო ომში მონაწილეობა. ამიტომაც, 1917 წ. 23 დეკემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუსეთში გავლენის სფეროების განაწილების შესახებ. კავკასია ინგლისის გავლენის სფეროში მოექცა.

ამ შეთანხმების განხორციელება ინგლისელებმა შეძლეს 1918 წ. დეკემბრის დამლევს, მას შემდეგ, რაც მსოფლიო ომში დამარცხებული ოსმალეთი მუდროსის ზავით (30.X.1918 წ.) აიძულეს ჯარები გაეყვანა ბათუმიდან და ამიერკავკასიის სხვა ოკუპირებული რაიონებიდან.

ინგლისელთა თავდაპირველი განცხადებით, კავკასიაში მოსელის მიზანი იყო ძველი რუსეთის აღდგენისათვის ხელის შეწყობა და მისთვის ამ მხარის შენარჩუნება. მას შემდეგ, რაც ბოლშევიზმმა წარმატებები მოიპოვა რუსეთის თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ანტანტის პოლიტიკოსებმა გეზი შეცვალეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების დამოუკიდებლობის ცნობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი შემობრუნება მოკავშირეებს შორის დაიწყო პარიზის საზავო კონფერენციის[103] დასკვნით ეტაპზე. 1920 წლის 10 იანვარს გადაწყდა „დე ფაქტოდ" ეცნოთ ამიერკავკასიის რესპუბლიკები და მათი მთავრობები.

---

[101] იხ. სცსსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 12, ფურც. 3; ს. 15, ფურც. 21; ფ. 1874, ან. 1, ს. 1, ფურც. 4, 67, 158, 168; ფ. 2030, ან. 1, ს. 2, ფურც. 37, იხ. ავრეთვე, Борьба за победу Советской власти в Аджарии. Документы и материалы (1917-1921 гг.), Бат., 1961, док. 206, 210, 215, 219, сс. 304, 312-313, 316-317, 321 და სხვ.

[102] Борьба за победу Советской власти в Аджарии... док. 206, 210, сс. 304-305, 312-313.

[103] ბარიზის საზავო კონფერენცია მოიწვიეს I მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის ბლოკის სახელმწიფოებთან საზავო ხელშეკრულებების შესამუშავებლად. მის მუშაობაში მონაწილეობდა 32 ქვეყანა. კონფერენციის მოწვევის ინიციატორები იყვნენ ომში გამარჯვებული ანტანტის მთავარი სახელმწიფოები (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და იაპონია). კონფერენცია მიმდინარეობდა შესვენებებით, 1919 წ. 18 იანვრიდან - 1920 წ. 21 იანვრამდე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „დე ფაქტოდ“ ცნობას, როგორც წესი, უნდა მოჰყოლოდა ანტანტის ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესება. მოხდა პირიქით — იგი დაიმაბა და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ბათუმის საკითხის მოუგვარებლობა.

საქართველოს მთავრობამ იმთავითვე მოსთხოვა ინგლისელებს ბათუმის ოლქის დაბრუნება. ეს საკითხი პარიზის კონფერენციაზეც დასვა, მაგრამ 1919 წელს მოკავშირეები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ აღდგენას უჭერდნენ მხარს და საქართველოს კანონიერი უფლებები ანგარიშში არ მიიღეს. პირიქით, ამ რეგიონში ანტიქართული ძალების (დენიკინელების, სედაიმილეთელების და სხვ.) საქმიანობაც კი წაახალისეს.

ასეთ ვითარებაში მეზობელი სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკებმაც „იჩქარეს“ არ დაეკარგათ „თავიანთი წილი“ ბათუმში და ანტანტის წინაშე დააყენეს ყოველად უსაფუძვლო ტერიტორიული მოთხოვნები.

ამას დაემატა „ბათუმის საკითხში“ თვით ანტანტის მთავარ სახელმწიფოებს შორის არსებული დაპირისპირებანი, რაც უპირველესად მიმართული იყო აქ ინგლისელების ერთპიროვნული გავლენის შესაღუდვისა და თავიანთი უფლებების გაფართოებისაკენ.

ანტანტის ქვეყნები, საკუთარი პოზიციების გარკვევასთან ერთად, ცდილობდნენ ანგარიში გაეწიათ ინტერესთა ასეთი დაპირისპირებისათვის. ამან განაპირობა 1919-1920 წლებში ევროპის დიპლომატიის სცენაზე ბათუმის პრობლემის გაჭიანურებული განხილვა[104] და ბოლოს მისი კვლავ თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად (იგივე პორტო-ფრანკოდ) გამოცხადება.

ეს აზრი მოკავშირეებს შორის პირველად დაისვა იტალიის სამთავრობო წრეებში. 1919 წ. 14 სექტემბერს იტალიის უმაღლესი კომისარი კონსტანტინოპოლში კარლო სფორცა რომს ატყობინებდა: „თუ პარიზის საზაკო კონფერენცია გადაწყვეტს, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს გადაეცეს, სასურველი იქნება ბათუმის ნავსადგურზე, საბაკოსა და რკინიგზაზე დარჩეს მოკავშირეების კონტროლი... აგრეთვე სასურველია შეიქმნას ბათუმის ოლქის სამხედრო მთავრობა ჯარის სათანადო ნაწილებით (სამი ბატალიონი, რამდენიმე ბატარეა და ზურგის შესაბამისი უზრუნველყოფა რადიო-ტელეგრაფის სრული მომსახურებით). პარიზის საზაკო კონფერენციაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებთან წინასწარი შეთანხმებით, ეს მისია ერთა ლიგას უნდა დაეკისროს“.[105]

ბათუმში პორტო-ფრანკოს შემოღების იდეა მომწიფდა დიდი ბრიტანეთის მთავრობაშიც. საქმე ისაა, რომ მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ ანტანტის სახელმწიფოებს შორის გაჩნდა დაპირისპირება გავლენის სფეროების საკითხში. ამ წინააღმდეგობათა გამოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი იყო ამიერკავკასია საერთოდ და, კერძოდ, ბათუმი. ამერიკელი გენერლის ჯორჯ მოსლის აზრით: „ბათუმი უნდა

პარიზის კონფერენციას მოპყვა ხელშეკრულებების გაფორმება: გერმანიასთან (ვერსალის საზაკო ხელშეკრულება, 1919 წ. 28 ივნისს), ავსტრიასთან (სენ-ჟერმენის, 1919 წ. 10 სექტემბერს), ბულგარეთთან (ნეის, 1919 წ. 27 ნოემბერს), უნგრეთთან (ტრიანონის, 1920 წ. 4 ივნისს) და ოსმალეთთან (სევრის, 1920 წ. 10 აგვისტოს). პარიზის კონფერენციაზე 1919 წ. შეიქმნა, აგრეთვე, სახელმწიფოთა ბოლოტიკური თანამშრომლობის პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია - „ერთა ლიგა“ (არსებობდა 1946 წლამდე). მისი წესდების ძირითადი პრინციპები ასახა ყველა ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში.

[104] იხ. აბ. სურგულაძე, მ. სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996.

[105] ი.ტაბაღუა, ბათუმის საკითხი სან-რემოს კონფერენციაზე (1920 წ.). - „მაცნე“ (ისტორიის სერია), №3, 1982, გვ. 89.

გამხდარიყო ამიერკავკასიაში აშშ-ს ბაზა".[106] საფრანგეთის პრემიერმა კლემანსომ კი საჯაროდ განაცხადა უკმაყოფილება იმის გამო, „რომ ბრიტანელები იყენენ ბათუმსა და ბაქოში და ფაქტობრივად მართავდნენ ქვეყანას".[107]

პარიზის კონფერენციის ბოლო სხდომებზე დიდი ბრიტანეთის დელეგაციას ახალ-ახალი ცნობები მოჰქონდა დენიკინის დამარცხებისა და კავკასიისკენ ბოლშევიკების წინსვლის შესახებ. ასეთ ვითარებაში ბათუმის საკითხმა დროებით უკანა პლანზეც გადაიწია. მოკავშირეები უკვე მსჯელობდნენ კავკასიაში დამატებითი ჯარების შემოყვანის აუცილებლობასა და ადგილობრივი სამხედრო ძალების მობილიზაციის შესაძლებლობაზე.[108] შექმნილ სიტუაციაში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯორჯ კერზონმა შესძლო ფრანგი კოლეგების წინააღმდეგობის დაძლევა და კონფერენციას მიაღებინა გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების „დე ფაქტოდ" ცნობის შესახებ.

პარიზის კონფერენციის დამთავრების შემდეგ ბათუმის საკითხი მწვავედ დაისვა დიდი ბრიტანეთის მთავრობაშიც,[109] სადაც ბათუმიდან ჯარების გაყვანა-არგაყვანის საკითხზე ასრთა მნიშვნელოვან სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი და იგი განიხილებოდა „რუსეთის საკითხთან" კონტექსტში.

მთავრობის წევრთა ერთი ნაწილი, პრემიერ-მინისტრ ლოიდ ჯორჯის მეთაურობით, ჯერ კიდევ 1919 წ. ბოლოს დარწმუნდა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის სირთულეში. ამიტომაც, ითვალისწინებდა რა მოსალოდნელ ომისშემდგომ ეკონომიკურ სიძნელეებს, მოითხოვდა ბოლშევიკურ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას და ბლოკადაზე უარის თქმას.[110] ლოიდ ჯორჯის გეგმა ითვალისწინებდა ბათუმიდან ჯარის ევაკუაციასაც, რის შესახებაც მან ჯერ კიდევ 1919 წ. 18 დეკემბერს განაცხადა თემთა პალატაში.[111]

მთავრობის წევრთა მეორე ჯგუფი, ჯ. კერზონისა და უ. ჩერჩილის მეთაურობით, საბჭოთა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებისა და დაკავებული ტერიტორიებიდან ჯარების ევაკუაციის წინააღმდეგი იყო. „კერზონი, - წერს ლოიდ ჯორჯი, - განსაკუთრებით იყო შეპყრობილი საზრუნავით, რომ დაეცვა საქართველო ბოლშევიზმისაგან... და ბოლომდე იბრძოდა, რომ ინგლისის ჯარები დარჩენილიყვნენ საქართველოში".[112]

ასეთ ვითარებაში, 1920 წ. თებერვლის დასაწყისში (მაშინ კერზონი ლონდონში არ იმყოფებოდა), დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა ბათუმიდან ჯარების ევაკუაციის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში ეს მოხდა „წმინდა სამხედრო მიზნით". კერძოდ, ფრანგმა გენერალმა ფრანშე დ'ესპერემ[113] კონსტანტინოპოლიდან გაიყვანა საფრანგეთის სამხედრო ნაწილი, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა ამ რაიონში მოკავშირეთა ძალები. ამიტომაც გენერალმა ჯორჯ მილნმა,[114] რომელიც

---

106 Кунина А.Е., Провал американских планов завоевания мирового господства, М., 1954, с. 111-112.

107 Documents on British foreign policy 1919-1939, ser. I (itvltu itvjrkt,bs DBFP), v. II, London., 1948, p. 35.

108 მ. სიორიძე. ბათუმი ანტანტის სახელმწიფოების გეგმებში ბარიზის საზავო კონფერენციის პერიოდში - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, II, ბათ., 2007, გვ. 120-122.

109 იხ. Сиоридзе М. Батумский вопрос в английском кабинете в феврале 1920 года. – საქ. მეცნ. აკად. „მოამბე", №2, 1988, გვ. 441-444.

110 Ллойд Джордж, Правда о мирных договорах, т. I, М., 1957, с. 284-286.

111 ზ.ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებები, თბ., 1929, გვ. 198.

112 Ллойд Джордж, დასახ. ნაშრ., გვ. 282.

113 ფრანშე დ'ესპერე - ფრანგი გენერალი, აღმოსავლეთში მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი.

114 ჯ.მილნი - ინგლისელი გენერალი, შავი ზღვის აუზში და საერთოდ აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდალი.

შეაშფოთა ქემალისტური არმიის მოსალოდნელმა შეტევამ, მოითხოვა ბათუმიდან ინგლისური გარნიზონის კონსტანტინოპოლში გადაყვანა.[115]

ბათუმიდან ჯარების ევაკუაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ კერზონი და მისი მომხრეები. 1920 წ. 9 თებერვალს მან მთავრობაში განსახილველად შეიტანა მემორანდუმი, რომელშიც დაასკვნიდა, რომ ევაკუაციის „პოლიტიკური შედეგები იქნებოდა კატასტროფული“. რადგანაც დეფაქტოდ ცნობილი ამერიკა,კავკასიის რესპუბლიკების მიერ იგი აღიქმებოდა, როგორც „ღალატის აქტი და დაანგრევდა იმ შენობას, რომლის აგებას ჩვენ და ისინი ასეთი დიდი ძალისხმევით ეცდილობდით“. კერზონი თვლიდა, რომ მისი წინადადება ბათუმიდან ჯარების ევაკუაციის შეწყვეტის შესახებ ბრიტანეთის მთავრობის კაბინეტში დიდ წინააღმდეგობას წააწყდებოდა (იგი ითვალისწინებდა ბათუმსე მოკავშირეთა პრეტენზიებსაც). ამიტომ კაბინეტის წევრებს შესთავაზა „ბათუმის საკითხის“ გადაწყვეტის განსხვავებული გეგმა: „ჩვენ, - წერდა კერზონი, - გვინდა მოახლოებულ სამშვიდობო კონფერენციაზე[116] წამოვაყენოთ ბათუმის თავისუფალ ნავსადგურად გადაქცევის წინადადება. მის გარშემო მდებარე ზონაზე კი ერთა ლიგის მანდატი გავავრცელოთ. ასეთი გადაწყვეტილება არის იმის ერთადერთი გარანტი, რომ ბათუმი არ გადაიქცევა ბრძოლის არენად არა მარტო კავკასიის სახელმწიფოებს შორის, არამედ უფრო დიდი და უფრო საშიში სახელმწიფოების: - თურქეთის, გერმანიისა და რუსეთის ქიშპობის ობიექტად.“[117] დასასრულ, კერზონი სთხოვდა მთავრობას, რომ გადაესინჯათ ადრინდელი გადაწყვეტილება და თავი შეეკავებინათ ბათუმიდან ჯარების ევაკუაციისაგან.

ევაკუაციის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს ალმოსავლეთში ინგლისის სამხედრო და პოლიტიკურმა წარმომადგენლებმაც, აგრეთვე, ინგლისის პრესამ. მრავალდღიანი დებატების შედეგად კერზონმა და მისმა მომხრეებმა თავისი გაიტანეს. 20 თებერვალს დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება — ბათუმიდან ჯარების ევაკუაცია შეეჩერებინა მანამ, ვიდრე მის ბედს არ გადაწყვეტდა მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს ლონდონის კონფერენცია, რომელიც უკვე მუშაობდა.

კერზონის აპარატი გულდასმით შეუდგა ბათუმში პორტო-ფრანკოს სტატუსის დაწესების საკითხის შესწავლას. თბილისში ინგლისის უმაღლესი კომისრის — ოლიეერ უორდროპისადმი 14 თებერვალს გამოგზავნილ დეპეშაში კერზონი წერდა: „გთხოვთ დაუყონებლივ მომაწოდოთ თქვენი აზრი იმის შესახებ, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ ბათუმისა და მისი პროვინციის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო გარემოებების გამო ევაკუაცია გარდაუვალი იქნება— გაქვთ თუ არა რაიმე საწინააღმდეგო იმისა, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს გადაეცეს, იმის გათვალისწინებით, რომ მისი ტერიტორიის გაზრდა მიიღება მხედველობაში საზღვრების საბოლოოდ დადგენის დროს“.

პასუხად 16 თებერვალს უორდროპი მინისტრს აცნობებდა: „მე ვემხრობი იმ აზრს, რომ ბრიტანეთმა შეინარჩუნოს ტერიტორია (ბათუმი და მისი შემოგარენი - ავტ.), მაგრამ თუ არ შეგვიძლია, ქალაქი და პროვინცია ისეთნაირად გვქონდეს და ვმართოთ, რომ ჩვენი პრესტიჟი არ დაეცეს, მაშინ სჯობს მოვახდინოთ ევაკუაცია. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, პროვინცია საქართველოს უნდა მიეკუთვნოს და მისი საზღვრების საბოლოოდ დადგენის დროს, ჩემი აზრით, ის განაცხადებს პრეტენზიას

[115] DBFP, v, XII, 1962, p. 559.
[116] იგულისხმება მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს ლონდონის I კონფერენცია (1920 წ. 12 თებერვალი - 10 აპრილი). ამაზე იხ. მ. სიორიძე, ბათუმის საკითხი ლონდონის კონფერენციაზე (1920წ.)-ნაკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, V, ბათ. 2007, გვ. 127-131.
[117] DBFP, v, XII, p. 560.

ლაზისტანის ნაწილზეც რიზეს დასაელეთით... ნავსადგური უნდა გახდეს თავისუფალი მთელს ამიერკავკასიასთან ეაჯრობისათვის. მე ეამჯობინებდი, — განაგრძობდა უორდროპი, — რომ დიდ ბრიტანეთს ის შეენარჩუნებინა, როგორც საზღვაო ბაზა. თუ ეს არ მოხერხდება, ბათუმის ნავსადგური უნდა იქნეს ინტერნაციონალიზებული და მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავონ, თუმცა ეშიშობ, რომ ეს შეიძლება გახდეს მათ (მოკავშირეებს) შორის უთანხმოების მიზეზი. ქალაქს უნდა განაგებდეს რაც შეიძლება თავისუფალი ადმინისტრაცია, რომელსაც აირჩევს ადგილობრივი მოსახლეობა და ის უნდა გათავისუფლდეს არასასურველი უცხო ელემენტებისაგან". ქალაქის გარდა, ბათუმის ოლქის დანარჩენი ნაწილი, ო. უორდროპის აზრით, საქართველოს იურისდიქციაში უნდა შესულიყო.[118]

ლონდონის კონფერენციის დღის წესრიგში დადგა ოსმალეთთან ზავისა და ახლო აღმოსავლეთის მოწყობის პრობლემაც. ამიტომ წინა პლანზე წამოიწია ოსმალეთის მოსაზღვრე ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრების გამიჯვნის საკითხიც. ამ მიზნით კონფერენციაზე შექმნეს სპეციალური კომისია - ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის წარმომადგენლობით. მის თავმჯდომარედ დაინიშნა ფრანგი დიპლომატი კამერერი.

ხაზგასასმელია, რომ კომისიაში საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლებს მიზანშეუწონლად მიაჩნდათ ბათუმის საქართველოს რესპუბლიკის იურიდიქციაში გადასვლა. მათი აზრით, არც ერთი ახალი სახელმწიფო არ უნდა ყოფილიყო მოკლებული ზღვაზე გასასვლელს. ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, იგულისხმებოდა სომხეთის პრეტენზიები ლაზეთზე და მომავალ სარკინიგზო დერეფანზე ყარსი-ართვინი-ბათუმის მიმართულებით.[119] უფრო მეტიც, „დიდი სომხეთის" აღდგენის ამბიციით შეპყრობილი სომხეთის რესპუბლიკის საზავო დელეგაცია მოითხოვდა ისტორიული სამხრეთ საქართველოს მათთვის გადაცემას მდ. ჭოროხის სანაპიროს გასწვრივ - ზღვასთან შესართავამდე.[120]

სომხეთის წაბაძვით, ბათუმის ნავსადგურში გარკვეული ტერიტორიის საკუთრებაში გადაცემას მოითხოვდა აზერბაიჯანის დელეგაციაც. კიდევ მეტი, აზერბაიჯანი თავს თელიდა მსოფლიო ომში დამარცხებული ოსმალეთის მემკვიდრედ და წამოაყენა მოთხოვნა მისთვის გადაეცათ ამიერკავკასიის ყველა მუსლიმანური რეგიონი, მათ შორის ბათუმის ოლქიც.[121]

საზღვრების დამდგენი კომისია ითვალისწინებდა, აგრეთვე, ბათუმისადმი ანტანტის სახელმწიფოების ინტერესებსაც, კერძოდ, მის წამყვან როლს აღმოსავლეთთან სატრანზიტო ვაჭრობაში. ამიტომ 25 თებერვალს კომისიის სხდომაზე მიწვეულ საქართველოს დელეგაციას განუცხადეს, რომ „ბათუმის საკითხი უნდა გადაწყდეს ყველა ჩამოთვლილ მრავალფერ ინტერესთა შესაბამისადო".[122]

---

118 იქვე, გვ. 564-565.

119 ზ.ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 199-202.

120 სომხეთის დელეგაციის ტერიტორიულ ამბიციებს ძალას მატებდა აშშ პრეზიდენტის ვილსონის ცნობილი დოკუმენტი „14 პუნქტი", რომლის მიხედვითაც ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა გასასვლელი ზღვაზე. მით უმეტეს, რომ იმ დროს აშშ ემზადებოდა აეღო მანდატი სომხეთზე. ამიტომ ლონდონის | კონფერენციაზე განიხილავდნენ ლაზეთის, ყარსისა და არტაანის ოლქების, აგრეთვე, ართვინის ოკრუგის სომხეთისათვის მიკუთვნების საკითხს. მოგვიანებით, როცა აშშ-მა უარი თქვა სომხეთზე, მის ამბიციებს ასულდგმულებდა საფრანგეთი, რომელიც თავად ფიქრობდა აეღო მანდატი ამ ქვეყანაზე.

121 უნდა შევნიშნოთ, რომ მოგვიანებით აზერბაიჯანის დელეგაციამ, სომხებისაგან განსხვავებით, მოხსნა თავისი უსაუფლო მოთხოვნა ბათუმის ოლქთან დაკავშირებით და საქართველოს დელეგაციასთან თანამშრომლობის გზას დაადგა.

122 ზ.ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 206.

საქართველოს დელეგაციამ (კ. ჩხეიძე, ზ. ავალიშვილი, შ. ლამბაშიძე) კომისიას განუმარტა ბათუმზე საქართველოს ისტორიული უფლება. აღნიშნა, რომ მისი მთაერობა მოწოდებულია სავსებით უზრუნველყოს აქ მეზობელი რესპუბლიკების და საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობის ინტერესების დაცვა. კომისია მაინც თავის პირვანდელ აზრზე დარჩა.

სასღვერების დამდგენი კომისიის მიერ პრობლემის შესწავლის პარალელურად, ბათუმის საკითხი დაისვა ლონდონის კონფერენციის 24-25 თებერვლის სხდომებზე.[123] „ბერლინის ხელშეკრულების თანახმად, - განაცხადა კერზონმა, - ბათუმი გამოცხადდა თავისუფალ ნავსადგურად, მაგრამ წინააღმდეგ შეთანხმებისა, მიიტაცა რუსეთმა. როგორც შავ ზღვაზე კავკასიის რკინიგზისა და ნავთსადენის პუნქტი, ძლიერ სასურველია ეს ნავსადგური იყოს საიმედო ხელში". შემდეგ კერზონმა აღნიშნა, რომ „ბათუმიდან ბრიტანული ჯარის გამოყვანა დროებით შეჩერებულია და იქ ჯერ კიდევ იმყოფება ორი ბატალიონი". მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ბათუმიდან ჯარების საერთოდ გამოყვანა ნიშნავდა მის დაკარგვას. ამასთან, „ის იქცეოდა განხეთქილებისა და უწესრიგობის წყაროდ, რადგან დენიკინი ესწრაფვის ნავსადგურზე კონტროლის დამყარებას; ქართველებიც ასევე მიისწრაფვიან დაეუფლონ მას, ხოლო მცირე აზიიდან ბათუმს ხარბი მზერა მიაპყრეს თურქებმა". ამიტომ კერზონმა საკითხი შემდეგნაირად დააყენა: „თუ საბჭო თანახმა იქნება, რომ ბათუმი გამოცხადდეს თავისუფალ ნავსადგურად ერთა ლიგის მანდატით", მაშინ ნავსადგურის და მის მიმდებარე რაიონების უსაფრთხოების გარანტად ყოველმა მოკავშირემ უნდა გამოყოს ჯარების კონტინგენტი. მარტო დიდი ბრიტანეთი ასეთ პასუხისმგებლობას თავის თავზე ვერ აიღებდა.

პრობლემის ამგვარად შემობრუნება მოკავშირეებმა კმაყოფილებით მიიღეს. ფრანგმა გენერალმა ბერტელომ განაცხადა: „ბათუმის თავისუფალი ნავსადგური იყო ყველა მოკავშირის მთავარი საზრუნავი და ეს რომ განხორციელდეს, იგი უნდა დაიცვას ერთა ლიგამ". ბერტელომ დაუმატა, რომ ბათუმის უშიშროებისათვის საჭირო სამხედრო ძალის რაოდენობის შესახებ უკვე ეთათბირა კომპეტენტურ სამხედრო ექსპერტებს. მათი აზრით, ამისათვის საკმარისი იყო 3 ბატალიონი. გენერალმა დაადასტურა საფრანგეთის მზადყოფნა, გამოეგზავნა აქ ერთი ბატალიონი.

უაღრესად საინტერესოა იტალიის მთავრობის პოზიცია. ცნობილია, რომ ხელისუფლების სათავეში ფრანჩესკო ნიტის მოსვლის (1919 წ.) შემდეგ, იტალიის მთაერობამ საერთოდ უარი განაცხადა რუსეთის საკითხში აქტიურ ჩარევაზე. ეს გამოწვეული იყო მისი სამხედრო-ეკონომიკური სისუსტით და იტალიელ ხალხში ანტისაომარი განწყობილების ზრდით,[124] მაგრამ ნიტის დამოკიდებულება ბათუმის საკითხისადმი სრულიად საპირისპირო აღმოჩნდა. მან გადაწყვიტა არ დაეკარგა აქ თავისი წილი და ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იტალიის ომისშემდგომ ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწვებოდა დიდი რაოდენობით შეიარაღებული ძალების შენახვა, რაც გამოწვეული იყო იუგოსლავიელების მხრივ მოსალოდნელი თავდასხმის საშიშროებით. „ამიტომ მას არ სურდა აეღო დამატებითი სამხედრო პასუხისმგებლობა", თუმცა „მხედველობაში იღებს რა ბათუმის ნავსადგურის უდიდეს მნიშვნელობას, მზადაა გაიღოს მსხვერპლი და უზრუნველყოს ერთი ბატალიონი, როგორც იტალიის წვლილი გაერთიანებული გარნიზონის შექმნაში".

---

[123] DBFP, v. VII, L, 1958, pp. 253-255.

[124] Штейн Б., «Русский вопрос» в 1920-1921 гг., М., 1958, с. 233-234;

25 თებერვალს მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ მიიღო წინასწარი გადაწყვეტილება: ა) ერთა ლიგის მანდატით ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების და ბ) ბათუმში ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის გაერთიანებული გარნიზონის ჩაყენების თაობაზე.

27 თებერვალს ლონდონში უკვე მსჯელობდნენ არა მარტო პორტო-ფრანკოს შესახებ, არამედ ბათუმისა და მის ირგვლივ ტერიტორიებისაგან „პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოს" შექმნაზეც. მისი ტერიტორიული მოცულობის თვალსაზრისით წარმოდგენილი იყო ორი ვარიანტი. საბჭომ უპირატესობა მიანიჭა პატარა ზონას, როგორც საკითხის განხილვის საფუძველს.[125] აქეე გადაწყდა, რომ თავისუფალი ქალაქ-სახელმწიფოს საზღვრები ადგილზე დაედგინა მოკავშირეთა სპეციალურ კომისიას.

28 თებერვლიდან მოკავშირეები განიხილავდნენ აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის ძალების მთავარსარდლის, გენერალ ჯორჯ მილნის პროექტს ბათუმის ქალაქ-სახელმწიფოს საზღვრების შესახებ. ავტორის აზრით, მას უნდა მოეცვა 16 მილის რადიუსის ტერიტორია და საზღვრები გაიელიდა: სამხრეთით - მდ. ჭოროხზე, ჩრდილოეთით - სოფ. ბობოყვათზე, ხოლო აღმოსავლეთით - მდ. აჭარისწყლის ჭოროხთან შესართავიდან „უფრო მაღლა, სადაც არის გზების გასაყარი ხერთვისის ზეგანზე". მილნის დასკვნით, ეს იყო „საუკეთესო შემოგარენი ეკონომიკური და სამხედრო-თავდაცვითი მიზნებისათვის".[126] ამავე პროექტით ბათუმის ოლქის დიდი ნაწილი, კერძოდ, ართვინის ოკრუგი სომხეთს უნდა გადასცემოდა.

16 მარტს მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ მილნის პროექტი მიეღოთ, როგორც ბათუმის ქალაქ-სახელმწიფოს საკითხის განხილვის საფუძველი,[127] მაგრამ იგი არ გაიზიარა საზღვრების დამდგენმა კომისიამ. მან 24 მარტს ანტანტის უმაღლეს საბჭოს წარუდგინა ახალი რეკომენდაციები, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „შეცვლილი სიტუაციის გამო" მოკავშირეებს უარი უნდა ეთქვათ ბათუმის ქალაქ-სახელმწიფოს შექმნაზე, აგრეთვე, მთელი ართვინის ოკრუგის სომხეთისათვის გადაცემაზე.

კომისიის წინადადებით, სომხეთს უნდა მიკუთვნებოდა „მხოლოდ ჭოროხისა და იმერხეკის ველი ზღვისკენ გასასვლელი დერეფნის სახით. ამასთან, დაწესებულიყო ბათუმის არა დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ თავისუფალი ნავსადგური. ქალაქი და მთლიანად პროვინცია (ოლქი - ავტ.), ჭოროხის ველის გარდა, საქართველოს შემადგენლობაში უნდა შევიდეს იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ სომხეთს და აზერბაიჯანს მიეცეს ბათუმზე თავისუფალი ტრანზიტის უფლება... საკითხის ასეთი გადაწყვეტა საქართველოსა და სომხეთს შორის წარმოშობს მეგობრულ ურთიერთობას და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის პირობებსაც".[128]

საზღვრების დამდგენ კომისიაში აზრთა ცვლილება, ზემოაღნიშნულ არგუმენტებთან ერთად, განაპირობა ბოლშევიკური რუსეთისა და მუსტაფა ქემალის წარმატებებმა კავკასიის მიმართულებით, საქართველოში განვითარებულმა მძლავრმა საპროტესტო მოძრაობამ, აგრეთვე, ინგლისელებთან შეუთანხმებლად ქართული

---

125 DBFP, v. VII, p. 281.

126 იქვე, გვ. 521.

127 იქვე, გვ. 515.

1920 წ. 18 მარტს ლონდონში მიიღეს კონსტანტინოპოლში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის ადმირალ დე რობეკის შემდეგი შეტყობინება: „უახლოეს მომავალში ჩვენ დავდგებით ბაქოსა და ბათუმში ბოლშევიკებისა და თურქი ნაციონალისტების შეერთების პრობლემის წინაშე. საკითხი ძალიან სერიოზულია. ჩვენ უნდა დავიკავოთ სათანადო პოზიცია და შევიმუშაოთ პოლიტიკა".

128 DBFP, v. VII, p. 643.

სამთავრობო ჯარის შესვლამ ბათუმის ოლქში და ზოგი მნიშვნელოვანი პუნქტის (ართვინი, არტანუჯი, ხულო) დაკავებამ. მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დელეგაციის არგუმენტირებული ახსნა-განმარტებები უმაღლეს საბჭოსა და კომისიასთან.[129] აი, სწორედ ეს იყო ის „შეცვლილი სიტუაცია", რომელთა გამო ბათუმის საკითხზე კომისიამ ახალი რეკომენდაციები წამოაყენა. უმაღლესმა საბჭომ ისინი 25 მარტს განიხილა, მაგრამ არ გაიზიარა.

იმავე დღეს იმსჯელეს ოსმალეთთან მომავალი საზავო ხელშეკრულების პროექტზე და მას დაურთეს არასრული დოკუმენტის პროექტი სათაურით „ბათუმი". მასში აღნიშნული იყო შემდეგი: „1. ბათუმი ჩამოყალიბდება, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთა ლიგის მფარველობით"; 2. ბათუმის საზღვრებს ადგილზე დაადგენს კომისია, რომელსაც შეადგენენ მთავარი მოკავშირეები; 3. „ბათუმის უმაღლეს კომისარს ერთა ლიგის საბჭო დანიშნავს". მისი რეზიდენციაა ქ. ბათუმი. „კომისარს უპირველეს ყოველისა ევალება იმ უთანხმოებათა მოგვარება, რომლებიც წარმოიშობა ბათუმსა და მეზობელ სახელმწიფოებს შორის". უმაღლეს კომისარს ექნება, აგრეთვე, ადმინისტრაციული ფუნქციები; 4. ბათუმის მოქალაქეობა მიენიჭება ამ სახელმწიფოს ყველა მცხოვრებს, უმაღლესი კომისრის მიერ დამტკიცებული მოქალაქეობის კანონის შესაბამისად; 5. ბათუმის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა საზღვარგარეთ და ამ სახელმწიფოს უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობა მიენდობა თვით ამ ქვეყნის ან ერთა ლიგის საბჭოს წარმომადგენლებს (კონსულებს - ავტ.).[130]

იმავე 25 მარტს საქართველოს დელეგაციამ ლონდონში კელავ მიმართა ნოტით მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს. მასში აღნიშნულია, რომ 29 თებერვალს ბათუმში ჩატარებული ადგილობრივი მუნიციპალიტეტის არჩევნებში პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე ქართველებმა მიიღეს ხმების უმრავლესობა (36-დან 20 ადგილი). ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ მხარეში საქართველოს გაელენას და მოსახლეობის ლტოლვას მასთან გაერთიანებისაკენ. ამასთან, ბათუმს ემუქრება თურქ-ნაციონალისტთა თავდასხმა და ოკუპაცია, რითაც „არა მარტო ბათუმის მომავალი დგება ეჭვის ქვეშ, არამედ მთელი საქართველოსიც". შემდეგ ნოტაში ნათქვამია, რომ თურქებთან საერთო ენა გამონახეს თეთრგვარდიელებმა და ბოლშევიკებმა. ამიტომ, მათი გაერთიანების საშიშროების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს მთავრობას აუცილებლად მიაჩნია ბათუმის ოლქის თავისი ჯარებით დაკავება. ამავე მიზნით, საქართველოს გენშტაბის აზრით, საჭირო იყო არტაანსა და ოლთისში შესვლაც.[131]

აღნიშნული ნოტა მოკავშირეებმა ცნობად მიიღეს 7 აპრილის სხდომაზე, მაგრამ ბათუმის საკითხზე აღარ უმსჯელიათ. მისი განხილვა გადაიდო ანტანტის უმაღლესი

---

[129] ამ მხრივ აღსანიშნავია 28 თებერვლისა და 16 მარტის საპროტესტო ნოტები. მათში დასაბუთებულია, რომ ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს ისტორიული კუთვნილებაა. ამ გაერთიანებას მხარს უჭერენ როგორც ქრისტიანი, ისე მაჰმადიანი ქართველები. ამ ტერიტორიის რაიმე ნაწილის ავტონომიურად გამოცალკევება, ან სხვისთვის გადაცემა გაამწვავებდა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა შორის ისედაც რთულ ურთიერთობას. ბათუმის დაბრუნების შემდეგ საქართველოს მთავრობა მტკიცე გარანტიებით უზრუნველყოფდა ამ ნავსადგურით როგორც მეზობელი აზერბაიჯანის და სომხეთის ვაჭრობას, ასევე თავისუფალ საერთაშორისო ტრანზიტსაც ევროპის ქვეყნებისათვის. საქართველოს დელეგაცია ითვალისწინებდა, მოკავშირეთა სტრატეგიულ ინტერესებსაც და 16 მარტის ნოტაში პირდაპირ სთავაზობდა მათ „ბათუმის ნავსადგურში სამხედრო და საზღვაო ბაზის მოწყობის" შესაძლებლობას სათანადო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე (იხ. DBFP, v.VII, p. 522, 649-650; ზ.ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 201, 203, 204).

[130] DBFR, v. VII, p. 643-649.

[131] იქვე, გვ. 728-729.

საბჭოს მომდევნო (სან-რემოს) კონფერენციაზე.[132] საქართველოს დელეგაციას კი აცნობეს, რომ „მათი მოთხოვნები ჯერ კიდევ განიხილება უმაღლეს საბჭოში“.

ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკების წარმატებებმა სერიოზულად დააფიქრა მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო. იქმნებოდა ამიერკავკასიის იძულებითი გასაბჭოების რეალური საფრთხე, რის შემდეგაც დამესობლებული ბოლშევიკები და თურქი ნაციონალისტები ერთიანი ფრონტით გამოვიდოდნენ ანტანტის ქვეყნების წინააღმდეგ.

შექმნილ ვითარებაში, მოკავშირეთა თვალში, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიერ ერთიანი ტაქტიკის შემუშავებას, მათ კეთილ-მეზობლურ და შეთანხმებულ მოქმედებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნებოდა აზრი მათ შეიარაღებას და სტრატეგიულად ვრცელ ამ რეგიონში ანტიბოლშევიკური ბარიერის შექმნას. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს კი ერთმანეთთან უთანხმოების სერიოზული არგუმენტები გააჩნდათ. მათ შორის მოკავშირეებს ყველაზე მწვავედ ესახებოდათ ბათუმის საკითხი, რომლის ხელიდან გაშვება თავადაც არ სურდათ. ამიტომ ბათუმთან დაკავშირებული მრავალგვარი ინტერესის შეთანხმების მინიმალურ პირობად მოკავშირეებმა მიიჩნიეს პორტო-ფრანკოს სტატუსის დაწესება. ამის გამო გეორგ'ზე გადადეს ბათუმის ქალაქ-სახელმწიფოდ გამოცხადების წინასწარი გადაწყვეტილება და ამიერკავკასიის რესპუბლიკებზე ზეგავლენის გასაძლიერებლად პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს. ყველაზე მეტი აქტიურობა ამჯერადაც ინგლისელებმა გამოიჩინეს და ამიერკავკასიის დელეგაციებთან მოლაპარაკება დაავალეს მათსავე წარმომადგენელს საზღვრების დამდგენ კომისიაში, გამოცდილ დიპლომატს რობერტ ვანსიტარტს.

12 აპრილს ვანსიტარტი სპეციალურად ჩავიდა პარიზში, შეხვდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების დელეგაციებს და განუცხადა, რომ „ამიერკავკასიის რესპუბლიკებს არ ჰქონდათ მომავალი, თუ ვერ შეთანხმდებოდნენ“. აქვე ვანსიტარტს შეუნიშნავს, რომ „ბათუმზე საქართველოს სუვერენიტეტის ცნობას ძლიერ ცოტა შანსი ჰქონდა“, რადგან გადაწყვეტილი იყო მისი პორტო-ფრანკოდ გამოცხადება.[133]

ბოლოს მან მოუწოდა დელეგაციებს, დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ ბათუმთან, აგრეთვე, ურთიერთშორის სხვა სადავო ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხები და ხელმოწერილი შეთანხმების ტექსტი გადაეცათ დიდი ბრიტანეთისათვის, რომელიც მომავალ სან-რემოს კონფერენციაზე იზრუნებდა ამიერკავკასიის პრობლემების გადასაჭრელად. სამწუხაროდ, დელეგაციებს შორის შეთანხმება პარიზში არ მოხერხდა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზავო დელეგაციების შეხვედრა-კონსულტაციები 20 აპრილიდან განახლდა სან-რემოში, სადაც მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო უკვე განიხილავდა ბათუმის საკითხს. ინგლისელები ჩქარობდნენ მიეღოთ საზღვრების გამიჯვნის შესახებ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ხელმოწერილი საბოლოო შეთანხმების ტექსტი. ამიტომ დელეგაციების თათბირებს ხშირად ესწრებოდა თვით ვანსიტარტიც.

ამასობაში დიდი ბრიტანეთის მთავრობაში მომწიფდა აზრი, რომ ქალაქი ბათუმი საქართველოსათვის დაებრუნებინათ, ოღონდ პორტო-ფრანკოს პირობით. ვანსიტარტის დასკვნით, ასეთიეე იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების დელეგაციების შეთანხმების წინასწარი მონახაზიც. ამიტომ კერზონმა კონფერენციის პირველსავე სხდომაზე (18 აპრილი) ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია და განაცხადა: „მომავალში ბათუმი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად უნდა იქნეს აღიარებული“,

---

[132] კონფერენცია მიმდინარეობდა 1920 წლის 18-26 აპრილს იტალიის საკურორტო ქალაქ სან-რემოში.
[133] ზ.ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 208-211.

მაგრამ „ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილების თანახმად ის უნდა შეეინარჩუნოთ, როგორც პორტო-ფრანკო“.

საფრანგეთის წარმომადგენელი გენერალი ბერტელო დაინტერესდა საკითხით - იყო თუ არა „საქართველო მზად მიეცა სრული გარანტია, რომ ნავსადგური თავისუფლად იქნებოდა გამოყენებული“, აგრეთვე, ივალდებულებდა თუ არა ნავთსადენის უსაფრთხოებას. ვანსიტარტმა უპასუხა, რომ აქვს ამის მიღწევის იმედი. ამის შემდეგ საფრანგეთის დელეგაციამ გაიზიარა საქართველოსათვის ბათუმის პორტო-ფრანკოს სტატუსით გადაცემის მიზანშეწონილობა, რითაც, მათი ვარაუდით, „საქართველოს მთავრობის პოზიციაც შეიცვლებოდა მოკავშირეთა სასარგებლოდ“.

22 აპრილის სხდომაზე კერზონმა დააყენა წინადადება ბათუმის საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე და საქართველოს გამგებლობაში მის გადაცემამდე, გარდამავალ პერიოდში, მოკავშირეთა დამატებითი ძალებით ქალაქის გამაგრების შესახებ. ამ წინადადებას ფ.ნიტიმ დუმილით აუარა გვერდი, ხოლო საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალ. მილიერანმა განაცხადა: „მე ვთხოვ სამხედრო მინისტრს დაუყოვნებლივ გაგზავნოს ბათუმში საფრანგეთის ერთი ბატალიონი“. პრეზიდენტის ნათქვამს გენერალმა ბერტელომ დაუმატა: „ბრიტანელთა დასახმარებლად საფრანგეთის და იტალიის ბატალიონების გაგზავნას ექნებოდა დიდი მორალური ეფექტი. ეს წაახალისებდა ქართველებს, რომელთა მთავრობა არა ბოლშევიკურია, არამედ მენშევიკური. ამასთან, მოკავშირეთა ჯარების ბათუმში ყოფნით გაწონასწორდებოდა აზერბაიჯანის ინტრიგები ბოლშევიკებთან და მუსტაფა ქემალთან. ქალაქს სურს, რომ ის დაიცვან ბოლშევიკებისაგან და მზად არის დახმარება გაუწიოს მოკავშირეთა ჯარებს. კავკასიელები ყოველთვის იცავდნენ თავს და მოკავშირეთა ჯარების გაგზავნა მათ ამ მხრივ წაახალისებდა. მეორე მხრივ, სამი სახელმწიფოს წასვლა ბათუმიდან მისი (ბერტელოს - ავტ.) აზრით, დიდი შეცდომა იქნებოდა. დაიკარგებოდა კავკასიასა და სპარსეთთან ვაჭრობა და ზიანი მიადგებოდა ნავთსადენს“. ბოლოს ბერტელომ განაცხადა, რომ ბათუმიდან ჯარების გამოყვანა და იქ გავლენის დაკარგვა „შეიძლება დაეუშვათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ალტერნატივა არ იქნება“.[134]

აღსანიშნავია, რომ სან-რემოში მოკავშირეები ბათუმის პრობლემაზე მსჯელობდნენ რუსეთის ბოლშევიკური ჯარების შემოტევის კონტექსტში. პანიკურ ფონს ქმნიდნენ იტალიის წარმომადგენლები. ნიტის მიაჩნდა, რომ ბათუმის დასაცავად საჭირო იყო არა 3-4 ბატალიონი, არამედ ამდენივე დივიზია მაინც.

ამაზე კერზონმა შენიშნა, რომ კონფერენცია ზედმეტად არის დაშინებული საბჭოთა ჯარების მიერ, რომ ექსპერტთა დასკვნით, ბათუმს სამხედრო თვალსაზრისით საფრთხე ჯერ არ ემუქრებოდა. პოლიტიკური ასპექტით კი, - თვლიდა კერზონი, - სასურველი იყო ბათუმის მანამ შენარჩუნება, სანამ მოკავშირეები (ამიერკავკასიის რესპუბლიკების შეთანხმების შემდეგ) საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. შემდეგ კერზონმა მოკავშირეთა ყურადღება მაინც გაამახვილა ზოგადად ბოლშევიზმის საშიშროებაზე, რადგან მისი „დამყარება ბაქოსა და ბათუმში იქნება საფრთხე სპარსეთისათვის და ყველა მეზობელი სახელმწიფოსათვის“.[135] ამიტომ, მისი დასკვნით, ბათუმის და საერთოდ ამიერკავკასიის შენარჩუნების პოლიტიკური მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ ამისათვის გამართლებული ჩანდა გარკვეული სამხედრო რისკის გაწევა.

---

[134] DBFP, v. VIII, L, 1958, p. 52.
[135] ი.ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 93-94.

აპრილის დამლევს ლონდონში ბათუმიდან მიიღეს ადმირალ დე რობეკის მოხსენებითი ბარათი კავკასიაში მდგომარეობის შესახებ.[136] მასში აღნიშნული იყო, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკებს ჰყავდათ 50 ათასი ჯარისკაცი, რომელთა შენერება შეიძლებოდა ქართველებთან თანამშრომლობით. ამასთან, აუცილებელი იყო ბათუმის გარნიზონის მნიშვნელოვნად გაძლიერება, რათა „წინ აღდგომოდნენ წითლებისა და, შესაძლებელია, თურქების შემოტევას".

5 მაისს დიდი ბრიტანეთის მთავრობის კაბინეტმა გადაწყვიტა „გარნიზონი ბათუმიდან გაეყვანა უკიდურეს შემთხვევაში".[137] ამასთან მოუწოდა მოკავშირეებს, შეთანხმებისამებრ, ბათუმში გაეგზავნათ თითო ბატალიონი, რაზეც იტალიის მთავრობამ უარი განაცხადა. ალჟირელებისაგან შემდგარი ფრანგული ბატალიონი კი 23 მაისს ბათუმში ჩამოვიდა.[138] მაგრამ ამ უმნიშვნელო ძალას ვითარების შეცვლა არ შეეძლო.

1920 წ. აპრილის დამლევს „საბჭოთა რუსეთმა ისარგებლა ანტანტის დიდი სახელმწიფოების ზოზინით, სამი რესპუბლიკის შინაგანი უთანხმოებით და ძლიერი დარტყმით დაიკავა აზერბაიჯანი" (ს.ავალიშვილი). ამ სტრატეგიული პლაცდარმით გაძლიერებულმა ბოლშევიკებმა, თუმცა უშედეგოდ, მაგრამ მაშინვე შემოუტიეს საქართველოს. ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო მოსკოვის მთავრობასთან ურთიერთობის გარკვევა და შეთანხმების მიღწევა.[139]

რსფსრ და საქართველოს შორის 1920 წ. 7 მაისს ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულება ბათუმს და მის ოლქს საქართველოს ნაწილად სცნობდა. ამასთან, საქართველოს მთავრობას თავისი ქვეყნიდან უნდა განედევნა უცხო სახელმწიფოების ყოველგვარი სამხედრო ფორმირება, მათში ადრე ნამსახურევ ცალკეულ პირებს ეკრძალებოდათ საქართველოს ჯარში შესვლა, მოხალისედაც კი.

ამიერკავკასიაში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის მოვალეობის შემსრულებლის, საზღვაო კაპიტან ლუკის დასკვნით, 7 მაისის ხელშეკრულება შეიცავდა „ორაზროვან პუნქტებს, რომლებიც უნდა იკითხებოდეს ისე, თითქოსდა საქართველო იძულებულია გაყაროს მოკავშირეები".[140] ქართველი დიპლომატის, ს. ავალიშვილის შეფასებით კი „ეს იყო აშკარა ცნობა მოსკოვის მთავრობის პოლიტიკური გაელენისა" და უარი ევროპის ორიენტაციაზე.[141]

ამრიგად, ლონდონსა და სან-რემოში ამიერკავკასიის რესპუბლიკების ბლოკის შექმნის იდეის ჩაშლის, აზერბაიჯანის გასაბჭოებისა და საქართველოსთან ბოლშევიკებისათვის სასარგებლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ბათუმში მოკავშირეთა სამხედრო ძალის შემდგომი ყოფნა ვითარებას ვერ შეცვლიდა. ამიტომ, 1920 წ. 11 ივნისს, დიდი ბრიტანეთის მთავრობის კაბინეტმა მიიღო ჯარების ევაკუაციისა და საქართველოსათვის ბათუმის გადაცემის გადაწყვეტილება. 28 ივნისს საქართველოს მთავრობასთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებაც, ხოლო 7

---

136 DBFP, v. XII, p. 597-599.

137 იქვე, გვ. 603.

138 იქვე, გაზ. „დროება", №115, 1920.

139 აღსანიშნავია, რომ ბოლშევიკურ რუსეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებას თავდაპირველად თვით ანტანტის სახელმწიფოს მესვეურებიც არ ეწინააღმდეგებოდნენ (DBFP, v. VIII, p. 574). აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ, როცა ბოლშევიკები და მუსტაფა ქემალის მთავრობა ერთმანეთს ტერიტორიულადაც მჭიდროდ დაუკავშირდნენ, სიტუაცია შეიცვალა. ამიერიდან ამიერკავკასია ვეღარ შეასრულებდა ბუნებრივი ბარიერის როლს რუსეთსა და თურქეთს შორის. ეს მით უფრო აშკარა გახდა 7 მაისის ხელშეკრულებით, რომელიც გამორჩეულად სასარგებლო იყო ბოლშევიკებისათვის.

140 DBFP, v. XII, p. 615.

141 ს.ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 224-225.

ივლისს პრაქტიკულად განხორციელდა რესპუბლიკისათვის ბათუმის ჩაბარება. 9 ივლისს კი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო ძალებმა დატოვეს ბათუმი.

ანტანტის ჯარების ბათუმიდან ევაკუაცია დააჩქარა ომისშემდგომმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმაც. მის გაწონასწორებას ევროპელები ვარაუდობდნენ საბჭოთა რუსეთისაგან იაფი შუა აზიური და კავკასიური ნედლეულის მიღებით. თავის მხრივ ბოლშევიკური მთავრობაც ესწრაფვოდა კაპიტალისტურ ევროპასთან ვაჭრობას, რომ დაეძლია ხალხის დამშვევით შექმნილი „კატასტროფის მუქარა". ინტერესთა ამ თანხვედრის გამო ანტანტის ქვეყნებმა აცნობეს ლენინის მთავრობას, რომ უარს ამბობდნენ ამიერკავკასიაში თავიანთ პოლიტიკურ ინტერესებზე. ბოლშევიკებმაც არ დააყოვნეს და 1921 წელს თებერვალ-მარტში საქართველოს ვერაგული ანექსიით დაასრულეს ამიერკავკასიის გასაბჭოება. ბათუმიდან ახალი, ბოლშევიკური ენთუზიაზმით დაიწყო „საბჭოთა" ნავთობის, მარგანეცისა და სხვა ნედლეულის ევროპაში გაგზავნა.

§4. სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი

1918-1921 წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებობდა მრავალი პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა. მათგან ზოგი სამშობლოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, ზოგი კი ქვეყნის დაშლა-დანაწილების აე საქმეს ემსახურებოდა.

იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებმაც ღირსეულად იღვაწეს სამშობლოსათვის, გამორჩეულია „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი". მასში შედიოდნენ მემედ, ჰაიდარ და ზია აბაშიძეები, ხასან თხილაიშვილი, ყადირ შერვაშიძე, სულეიმან დიასამიძე, იუნუს წულუკიძე, ქემალ ნოღაიდელი და სხვ.

კომიტეტის შექმნა განაპირობა საქართველოს სამხრეთში დატრიალებულმა ანტიქართულმა მოვლენებმა. საბჭოთა რუსეთმა, 1918 წ. 3 მარტს, ბრესტ-ლიტოესკის შეთანხმების საფუძველზე, სცნო ოსმალეთის „უფლებები" არტაანის, ყარსის და ბათუმის ოლქებზე. იმავე წლის 14 აპრილს ოსმალო ინტერვენტებმა დაიკავეს ბათუმი. ქალაქში საალყო წესები გამოცხადდა. საოკუპაციო ხელისუფლებამ დევნა და ტერორი გამოუცხადა პატრიოტებს. მემედ აბაშიძე, ჯემალ ქიქავა, დაუდ სირბილაძე, სულეიმან ბეჟანიძე, ხასან ლორთქიფანიძე ანტიოსმალური გამოსვლებისათვის დაა-პატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს. ვინც შეპყრობას გადაურჩა, გაიხიზნა თბილისს, სადაც 1918 წ. 15 მაისს დააარსეს აღნიშნული კომიტეტი. მის თავმჯდომარედ დაუსწრებლად აირჩიეს მ.აბაშიძე, მოადგილედ ჰ. აბაშიძე, კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დროებით დაეკისრა ზ. აბაშიძეს.[142]

კომიტეტის მიზანი და პოლიტიკური მიმართულება ასახული იყო დოკუმენტში „პროგრამა და ინსტრუქცია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა", რომელიც შედგებოდა 3 თავისა და 79 მუხლისაგან (პროგრამა - 36 მუხლი, ინსტრუქცია - 43 მუხლი).

---

[142] ი. სიხარულიძე, მემედ აბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი მომენტები. წიგნში: მემედ აბაშიძე, რჩეული ნაწერები, ბათ., 1973, გვ. 124. ქართველი პატრიოტების დახმარებით მ. აბაშიძე ტრაპიზონის ციხიდან გაიპარა (1918 წ. ივლისი), ჩავიდა თბილისში და სათავეში ჩაუდგა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს".

პროგრამაში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული კომიტეტის სამოქმედო მიზანი: „...სამუსლიმანო საქართველო შეუერთდეს დედასაქართველოს ფართო ავტონომიურ ნიადაგზე და მით საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა განმტკიცებულ იქნეს."[143]

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა" მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არალეგალური მუშაობის ორგანიზებულად და ოპერატიულად წარმართვის მიზნით ოზურგეთსა და ახალციხეში გახსნა თავისი განყოფილებები, რომლებსაც კომიტეტის წევრები ზია აბაშიძე და ყადირ შერვაშიძე მეთაურობდნენ.

ოზურგეთის განყოფილების შტაბი იმყოფებოდა ოზურგეთში (მ. აბაშიძის ქ. №19-ში მდებარე კ. მამულაიშვილის ბინაში). გარდა კომიტეტის წევრებისა, აქ იკრიბებოდნენ, აგრეთვე, საოკუპაციო ხელისუფლებისაგან დევნილი მამულიშვილები: ხასან თხილაიშვილი, ოსმან მოწყობილი, იუსუფ მახარაძე, მემედ გოგიბერიძე, რეჯებ ნიჟარაძე, გულო კაიკაციშვილი და სხვ.

ოზურგეთის განყოფილება მოქმედებდა 1918 წლის მაის-დეკემბერში. მისი გადაწყვეტილებით, ბათუმის ოლქში საგანგებო დავალების შესრულება დაევალათ კომიტეტის წევრებს: ქემალ ნოღაიდელსა და ხასან თხილაიშვილს. ეს უკანასკნელი ამავე დროს მეკავშირის როლსაც ასრულებდა. ამიტომ მას ხშირად უხდებოდა ქობულეთიდან ოზურგეთში გადასვლა, საიდანაც დიდი რისკის ფასად გადმოჰქონდა კომიტეტის მიერ შედგენილი მოწოდებები და თანამებრძოლებთან (ისმაილ, მურად და ანიზ კაიკაციშვილები, რიზა ბეჟანიძე და სხვ.)[144] ერთად ავრცელებდა მოსახლეობაში.

ხ. თხილაიშვილის უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ე.წ. „მფრინავი რაზმი", რომელიც აერთიანებდა 75 მებრძოლს. მუშაობის ოპერატიულობისა და კონსპირაციის მიზნით, რაზმი დაყოფილი იყო მცირე ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში შედიოდა 4-5 კაცი. ე.ი. სულ 15-მდე ჯგუფი იყო შექმნილი.[145] რაზმი თანამემამულეებს იცავდა პროვოკატორების, მტრის მიერ მოსყიდული შეიარაღებული ბანდების, თურქოფილებისა და დენიკინელებისაგან.

განმათავისუფლებელმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია ოსმალეთის საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ბათუმის ოლქში დანიშნული რეფერენდუმის ჩასაშლელად. მართალია, მთელს რეგიონში ეს შეუძლებელი გახდა, მაგრამ ქობულეთში კომიტეტის წევრებმა მიზანს მიაღწიეს, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის ხ. თხილაიშვილს. იგი არ შეუშინდა ასკერებს, თანამემამულეებს მოუწოდა არ მიეცათ ხმა ოსმალეთისთვის და პირველმა მისცა ხმა საქართველოს სასარგებლოდ.[146]

ჩატარებულმა „რეფერენდუმმა" ერთხელ კიდევ გამოამეღავნა ძალადობისა და უხეშობის ფაქტები. მიუხედავად ამისა, სულთნის მთავრობამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებში პლებისციტი მოვახდინეთ და მოსახლეობამ ჩვენთან შეერთების სურვილი გამოთქვაო.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის 1 აგვისტოს პროტესტი განაცხადა რეფერენდუმის ჩატარების წესების უგულებელყოფისა და ფეხქვეშ გათელვის გამო.[147] ასეთივე იყო გერმანიის წარმომადგენლის – გენერალ ფონ კრესის

---

143 უ. ოქროპირიძე, აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან, ბათ., 2001, გვ. 124.

144 ამხუ, ფ. 5, ს. 242, ფურც. 4; გაზ. "სახალხო საქმე", 1918, №333; ე. მესხია, „განმათავისუფლებელი კომიტეტის ერთი უცნობი მოქმედების გარშემო", ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 2002, № 9, გვ. 54-57.

145 ამხუ, ს. 1061, ფურც. 11.

146 სცსსა, ფ. 1864, ან. 1, ს. 5, ფურც. 13; გაზ. „ერთობა", 1918, №161..

147 ზ.ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990, გვ. 140.

პოზიციაც. მან საქმის ეითარება ბერლინს აცნობა.[148] სულთნისადმი წარდგენილ აჭარის მოსახლეობის პროტესტს ხელს აწერდა 4 ათასი კაცი.[149] კომიტეტმა 1918 წ აგვისტოში თავისი წარმომადგენლები – ზია აბაშიძე და ყადირ შერვაშიძე მიაელინა ბერლინში. მათ თან ჩაიტანეს საჩივარი ბათუმში ჩატარებული უკანონო რეფერენდუმის გამო.

ოსმალების მიერ ბათუმის ოლქიდან ჯარების გაყვანის შემდეგ განმათავისუფლებელი კომიტეტი 1919 წ. იანვრიდან გადმოვიდა ბათუმში. ამიერიდან შეიცვალა კომიტეტის მუშაობის პირობები და მეთოდები. მას სამოქმედოდ უფრო ფართო ასპარეზი გადაეშალა და მუშაობაც ორგანიზებულად წარიმართა. კომიტეტის წევრები იკრიბებოდნენ ბაღის (ამჟამად დ. კლდიაშვილის) ქუჩის №10 სახლის ორსართულიან შენობაში.[150]

მოღვაწეობის მცირე დროის მიუხედავად, კომიტეტმა რთულ პირობებში შეძლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზებულად წარმართვა და რეგიონის მოსახლეობაში განამტკიცა საქართველოს ერთიანობის იდეა.

1918 წ. ბოლოსათვის შეიქმნა კომიტეტის ახალციხის განყოფილებაც, რომლის ძირითადი მიზანი იყო ამ ძირძველი კუთხის მოსახლეობასთან მუშაობა და ბრძოლა ოსმალოფილთა წინააღმდეგ. განყოფილების ხელმძღვანელობა დაეკალა ყადირ შერვაშიძეს. მასვე, როგორც საქართველოს მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულს ახალციხის მაზრაში, ევალებოდა კავშირის დამყარება ზემო აჭარისა და ფოცხოვის მხარეებთან, რადგან აქ ყველაზე მეტად იგრძნობოდა ოსმალოფილთა გაელენა.

მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩასატარებლად ყ. შერვაშიძემ რამდენჯერმე იმოგზაურა ზემო აჭარის სოფლებში. მის ყოველ გამოჩენას ოსმალოფილები დიდი წინააღმდეგობით ხვდებოდნენ, იყო თავდასხმის მცდელობაც.[151]

მუდროსის ზავით (1918 წ. 30 ოქტომბერი) ოსმალეთმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გაიყვანა თავისი სამხედრო ნაწილები, მაგრამ აქ დატოვა ძლიერი აგენტურა. მათი მხილების მიზნით, ყ. შერვაშიძემ შეადგინა კომიტეტის მიმართვა, რომელიც ცალკე ფურცლებად დაიბეჭდა და გავრცელდა მოსახლეობაში.[152]

ახალციხის განყოფილების მუშაობა კიდევ უფრო გააქტიურდა იქ ჰ. აბაშიძის ჩასვლის შემდეგ. იგი, როგორც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და მთავრობის რწმუნებული, პატრიოტებთან ერთად (ყ. შერვაშიძე, ლ. რუხაძე და სხვ.), უკომპრომისო ბრძოლას ეწეოდა ოსმალოფილების წინააღმდეგ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1919 წ. 1 იანვარს მოიწვიეს მაზრის გლეხთა ყრილობა. ერცელი სიტყვით გამოვიდა ჰ. აბაშიძე, რომელსაც, როგორც იმდროინდელი პრესა იუწყებოდა, ყრილობის დელეგატები ოვაციით შეხვდნენ.[153] ჰ. აბაშიძემ თავის გამოსვლაში დაასაბუთა საქართველოს შემადგენლობაში სამუსლიმანო საქართველოს გაერთიანების აუცილებლობა. საბოლოოდ, ყრილობამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება და მისალმება გაუგზავნა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას.[154]

ოსმალოფილთა მხილებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაზეთ „განახლებული მესხეთის“ გამოშვებას. იგი დაარსდა ჰაიდარ აბაშიძის უშუალო თანადგომით. პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წლის 1 თებერვალს. მასში დაიბეჭდა ჰ.

[148] გაზ. „ერთობა“, №168, 1918
[149] ჟურნ. „პირველი ნაბიჯი“, №16, 1918 წ.
[150] გაზ. „აჭარა“, 7, დეკემბერი, 1991.
[151] ამსვე, ს. 462, ფურც. 2; აბ.სურგულაძე, ყადირ შერვაშიძე, ბათ., 1998.
[152] იქვე, ფურც. 3.
[153] გაზ. „ერთობა“, №5, 1919.
[154] ვ.ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 51.

აბაშიძის საყურადღებო წერილი „სამუსლიმანო საქართველოს მშრომელი ხალხის მიმართ“, რომელშიც ჩამოაყალიბა გაზეთის მიზანდასახულობა. გაზეთი მოწოდებული იყო დაეცვა „ახალციხის მაზრის მშრომელი ხალხის ინტერესები“.[155]

ახალციხის განყოფილების მუშაობის გააქტიურებამ აღაშფოთა ოსმალოფილები. ისინი ტერორით, ცილისწამებით და მუქარით ცდილობდნენ ქართველი პატრიოტების სიმტკიცის გატეხვას. „განსაკუთრებული მონდომებით“ დასაჭერად „უმთავრესად დაეძებდნენ სამ პირს: ჰაიდარ აბაშიძეს, ლეო რუხაძეს და ყადირ შერვაშიძეს“.[156] მიუხედავად მტრის დევნა-მუქარისა, ახალციხის განყოფილება ჯ.შერვაშიძის მეთაურობით სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში პროპაგანდას უწევდა დედასამშობლოსთან სამუსლიმანო საქართველოს გაერთიანების იდეას.

აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად ჯ. შერვაშიძე არ ივიწყებდა პროფესიულ მოვალეობასაც, — როგორც ექიმი, იგი ახალციხეში ხელმძღვანელობდა ტიფის ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს. სამწუხაროდ, თავადაც დაავადდა და 1919 წ. 8 მაისს, 32 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჯ.შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდნენ ოსმალოფილები. ჰ. აბაშიძე იძულებული გახდა დროებით თბილისს დაბრუნებულიყო. სწორედ იმ ხანებში მიმდინარეობდა მუშაობა ბათუმის ოლქის მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის მოსაწვევად და მისი დიდი გამოცდილება აუცილებელი იყო ამ მეტად მნიშვნელოვანი ფორუმის მოსამზადებლად. ასეთ ვითარებაში 1919 წ. მაისიდან ახალციხის განყოფილებამ, ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა. ხანმოკლე დროის მიუხედავად, მან დიდი როლი შეასრულა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეროვნულ და პოლიტიკურ გათვითცნობიერებაში. ანტიქართულ ძალებთან ბრძოლაში მტკიცედ და შეურყეველად იცავდა საქართველოს ერთიანობის იდეას.

1918 წ. შემოდგომაზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შეიცვალა პოლიტიკური ვითარება. მუდროსის ზავით ოსმალებმა აქედან კი გაიყვანეს თავიანთი ჯარები, მაგრამ 1918 წ. 22 დეკემბერს მათ შეენაცვლნენ ინგლისელები. განმათავისუფლებელი კომიტეტი ამას მოწონებით შეხვდა და მოუწოდა თანამემამულეებს სიმშვიდის და წესრიგის შენარჩუნებისაკენ,[157] მაგრამ როცა ნათელი გახდა ინგლისელ ხელისუფალთა ანტიქართული პოლიტიკა, მას აქტიური ბოიკოტი გამოუცხადა. 1919 წ. 8 იანვარს შედგა ოლქის სხვადასხვა უბნის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც დაგმო ინგლისელთა კოლონიური რეჟიმი.[158] მღელვარებამ ისეთი ფართო და შეუპოვარი ხასიათი მიიღო, რომ ინგლისელი გუბერნატორის მიერ ადმინისტრატორებად დანიშნულები ადგილებზე წასვლას ვერ ბედავდნენ. მოსახლეობა მათ ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდა.

ბათუმში გადმოსელის შემდეგ კომიტეტმა მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გახსნა პირველადი უჯრედები და ორგანიზაციები: ქობულეთში, გონიოში, ქედაში, ჭვანაში, დიდაჭარაში, ხულოში, მურღულში, არტანუჯში, შავშეთ-იმერხევში, ართვინში, მარადიდში. სულ ბათუმის ოლქში გაიხსნა 11 განყოფილება (პირველადი ორგანიზაცია).[159]

საოკუპაციო ხელისუფლება წინააღმდეგობას უწევდა განმათავისუფლებელ კომიტეტს სოფლებში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებაში. 3 თებერ-

[155] გაზ. „განახლებული მესხეთი“, №1, 1919.
[156] გაზ. „ერთობა“, №63, 1919.
[157] გაზ. „საქართველო“, №236, 1918.
[158] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №6, 1919.
[159] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №35, 1919; „ერთობა“, №29, 136, 1919; №263, 1920.

ვალს (1919 წ.) ქედაში არ შედგა მიტინგი, რადგან ინგლისელმა ოფიცერმა გზიდან დააბრუნა მიტინგის ჩასატარებლად გაგზავნილი კომიტეტის წევრები.[160] მიუხედავად ამისა, 5 თებერვალს ქობულეთში მოიწვიეს დიდი კრება, სადაც შეკრების მონაწილეებმა ერთხმად გამოთქვეს დედასამშობლოსთან სამუსლიმანო საქართველოს დაბრუნების სურვილი.[161] საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებით აიკრძალა კრებები და მიტინგები, მაგრამ პატრიოტულად განწყობილმა ძალებმა 9 თებერვალს მაინც გამართეს კრება. მონაწილენი ოვაციით შეხვდნენ დარბაზში განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრების გამოჩენას.[162]

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი" დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ერთიანობის იდეის დაცვას. ამხელდა პროვოკატორებსა და გამცემლებს, რომლებიც ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფასაც არ ერიდებოდნენ ორი მეზობელი კუთხის, გურიისა და აჭარის მოსახლეობის დასაპირისპირებლად. 1919 წლის მაისში ქობულეთში პროვოკაციულად მოკლეს ანანიძე და ნიჟარაძე. საოკუპაციო ხელისუფლებამ „დააპატიმრა" მკელელობაში „ეჭვმიტანილი" რამდენიმე მოქალაქე გურიის რეგიონიდან და შეეცადა ადგილობრივი მოსახლეობის ამხედრებას. მაშინ კომიტეტმა 18 მაისს ჩოლოქთან მოიწვია ყრილობა,[163] რომელსაც ესწრებოდნენ ოზურგეთის სამაზრო ერობის წარმომადგენლებიც. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ კომიტეტის წევრები: ხ. თხილაიშვილი, ზ. აბაშიძე, აგრეთვე. ყრილობის მონაწილეები: რ. ნიჟარაძე, მ. გოგიბერიძე, რ. კონტრიძე, ა. ჯაფარიძე და სხვ., რომლებმაც შეკრებილთ მოუწოდეს სიმშვიდისა და ერთიანობისკენ. ყრილობამ აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა საქმის შესწავლა და მოსახლეობაში სათანადო განმარტებითი მუშაობა.

კომიტეტის თაოსნობით, ბათუმის საზოგადოებრიობამ 1919 წ. 26 მაისს პირველად აღნიშნა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე. ცირკის შენობაში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც გახსნა მ. აბაშიძემ. მან ისაუბრა მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა ძმობაზე და მოუწოდა მათ ერთიანობისაკენ. კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ გრ. ელიავა, კ. გოგოლაძე, აკ. ფაღავა და სხვ.[164] შემდეგ გაიმართა დიდი სახალხო მსვლელობა. ზეიმში მონაწილეობდა ქართველობა განურჩევლად სარწმუნოებისა. პრესა საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „ყველგან საუცხოო წესრიგი სუფევდა, ყველას შეეგნო ამ დღის დიადი მნიშვნელობა, ყველა ერთი გრძნობით იყო გამსჭვალული, ყველას ერთი მიზანი აღაფრთოვანებდა - საქართველოს დამოუკიდებლობა".[165]

ბათუმის ოლქში პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღებისა და საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ბათუმში ახალი ბეჭდვითი ორგანოს დაარსებას, რომელიც საქართველოს ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის ინტერესებს დაიცავდა. მართალია, ბათუმის ოლქის ქართველი პატრიოტები აქამდეც აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვით ორგანოებთან, აქვეყნებდნენ მოწოდებებსა და წერილებს, მაგრამ რესპუბლიკური პრესა ყველასათვის არ იყო ხელმისაწვდომი და სრულადაც ვერ ასახავდა ბათუმის ოლქში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას. მეორეც, განმათავისუფლებელი კომიტეტის მუშაობის გამოცდილებამ დღის წესრიგში დააყენა ისეთი

160 გაზ. „ერთობა", №29, 261, 263, 1919.
161 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №35, 1919.
162 გაზ. „ერთობა", №36, 1919.
163 გაზ. „ერთობა", №124, 1919.
164 გაზ. „ერთობა", №120, 1919.
165 იქვე.

გაზეთის გამოცემის აუცილებლობა, რომელიც ოლქის მოსახლეობის ყველა ფენისათვის იქნებოდა მისაწედომი. ამასთანავე, არსებული ვითარება ითხოვდა, გაზეთის ერთი გვერდი თურქულ ენაზე დაბეჭდილიყო იმავე შინაარსით, რომ ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებელი ზოგიერთი ქართველი მუსლიმანის სულს ფაქიზად შეხებოდა და მასში ქართული ეროვნული ცნობიერება გაეღვიძებინა.

საქართველოს მთავრობამ უსრუნველყო გაზეთის გამოცემისათვის საჭირო ფინანსური და ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტა.

გადაწყდა, გაზეთი გამოსულიყო „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ სახელით, როგორც კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო. ეს იყო აღიარება საზოგადოებაში განმათავისუფლებელი კომიტეტის მ'სარდი ავტორიტეტისა. ამ „საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო“ გაზეთის სახელად თავდაპირველად „აჭარა“ ყოფილა შერჩეული, მაგრამ შემდეგ „სამუსლიმანო საქართველოთი“ შეუცვლიათ.

გაზეთის გამოსელას დიდი ინტერესიო ელოდა ქართველი მკითხველი.[166] პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წლის 11 იანვარს. მომდეენო ნომერი აღარ გამოსულა, რადგან ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ „დროებით შეაჩერა“.[167] მხოლოდ კომიტეტის მტკიცე და პრინციპულმა პოზიციამ აიძულა ხელისუფლება დაეთმო.

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ გამოდიოდა ბათუმში 1919-1921 წლებში. სულ გამოვიდა ხუთასი ნომერი (1919 წ. №1-262, 1920 წ. №263-493, 1921 წ. №494-500). მის გამოცემას აფინანსებდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო. სტ. ქემხაძის მოგონებით, რედაქცია იმყოფებოდა განმათავისუფლებელი კომიტეტის შენობაში (ბაღის ქ. №10, ამჟამად დ.კლდიაშვილისა). გაზეთი იბეჭდებოდა საკმაოდ მოზრდილი ფორმატის ქაღალდის ოთხ (იშვიათად ორ) გვერდზე. ორი გვერდი ქართულენოვანი იყო, ორიც - თურქული.[168]

გაზეთის რედაქტორად კომიტეტმა დაამტკიცა თახსიმ ხიმშიაშვილი, რომელიც შემდეგ შეცვალა მემედ აბაშიძემ.[169] გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა მწერალი დავით კასრაძე.

პირველი ნომრის სარედაქციო წერილში – „ჩვენი მიმართულების განმარტება“ – განხილულია გაზეთის გამოცემის მიზანდასახულობა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანები. გაზეთს, როგორც სარედაქციო წერილიდან ჩანს, მიზნად არ დაუსახავს მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა, თუმცა ეს მთავარი და წამყვანი თემა იყო. სხვანაირად იგი ვერ გახდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაკოორდინირებელი ცენტრის ორგანო. ამავე დროს იგი „ილაპარაკებს შემეცნებაზე, სწავლა-განათლებაზე, ლიტერატურაზე, მეტყველებაზე, ისტორიაზე და სხვ.“,[170] ე.ი. გაზეთი მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურის დონის ამაღლების მიზნით ფართო საგანმანათლებლო ფუნქციასაც კისრულობდა და აშუქებდა ყველა იმ საჭირბოროტო საკითხს, ასე რომ აღელვებდა

---

166 გაზ. „საქართველოს რესპბლიკა“, №7, 1919.
167 გაზ. „ერთობა“, №22, 1919.
168 თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კატალოგში აღნუსხული 30 ნომრიდან შემორჩენილია 6. ერთი ნომერი ინახება ი. გრიშაშვილის მუზეუმ-ბიბლიოთეკაში. 38 ნომერს ბროშ. შ. ფუტკარაძემ მიაკვლია სტამბოლის ერთ-ერთ წიგნსაცავში. 1920 წ. თებერვალ-ივნისის პერიოდის 36 ნომერი ნ. აბაშიძემ და თ. კოშახიძემ გამოსცეს ცალკე კრებულად (იხ. „გაზეთი სამუსლიმანო საქართველო“, ბათ., 2008). მკვლევარ ზ. შაშიკაძის ცნობით, დღეისათვის სულ ხელმისაწვდომია ამ გაზეთის დაახლოებით 60 ნომერი (იხ. მისი, გაზეთ „სედაი მილეთის“ და „სამუსლიმანო საქართველოს“ უცნობი ნომრების შესახებ, - „საისტორიო მაცნე“, XV, ბათ., 2005, გვ. 117).
169 გ.ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947, გვ. 60.
170 გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, №1, 1919.

ბათუმის ოლქის მოსახლეობას.

რედაქციას რთულ პირობებში უხდებოდა გაზეთის გამოშვება, ძნელი გასაკვლევი იყო გზა, „მაგრამ სიძნელეს გზისას გაგვიადვილებს ის იმედი, რომ ყველა ქართველი, განურჩევლად სარწმუნოებისა, ჩვენთანაა“,[171] - ნათქვამია ერთ-ერთ წერილში.

გაზეთი მწვავედ ამათრახებდა იმათ, ვინც „სედაი მილეთის“ და დენიკინელთა აგიტაციის გავლენით უპირისპირდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამხელდა და ბრალს სდებდა ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებას ბათუმში მოკალათებული ანტიქართული ძალების მხარდაჭერაში.

განმათავისუფლებელი კომიტეტი მტკიცედ იცავდა კავკასიის ერთა სოლიდარობის იდეას, რასაც კარგად გამოხატავდა „სამუსლიმანო საქართველოში“ ამ საკითხისადმი მიძღვნილი წერილების პათოსი. გაზეთი ურჩევდა „კავკასიის ყველა ერს შეთანხმებას და საერთო გზით სვლას“, რომ „კავკასიის ერთა სოლიდარული კავშირი“ წინ აღდგომოდა „რუსულ აგრესიულ ბოლშევიზმს“ და „შეენახა ეროვნული დამოუკიდებლობა“.[172]

„სამუსლიმანო საქართველო“ მიესალმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებას. წერილში „ზაეი რუსეთთან“[173] გამოთქმული იყო იმედი, რომ დედასამშობლოსთან ბათუმის ოლქის დაბრუნება დიდხანს არ გაჭიანურდებოდა. მართლაც, რამდენიმე თვეში აღსდგა ისტორიული სამართლიანობა და იგი საქართველოს დაუბრუნდა. ამიტომაც გაზეთი 7 ივლისს, ბათუმში ქართული ჯარის შემოსვლას, „დაუვიწყარ ისტორიულ დღეს“ უწოდებს, რადგან „სამფეროვანი ქართული დროშის, ქართველი ერის სუვერენობის და ძლიერების სიმბოლოს აფრიალება წარუშლელი დარჩება ჩვენი ხალხის მეხსიერებაშიო“.[174]

„ქართული ეროვნული სხეულის გამთლიანებით“ აღტაცებულ გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ ღრმად სწამდა, რომ „დღეის შემდეგ იწმინდება ჩვენი მხარე შაეპირებისაგან“ და „შორს არ არის ის დრო, როცა ტაო-კლარჯეთის მზიური ქვეყანა აღორძინებული და აყვავებული მოველინება კაცობრიობას“.[175]

გაზეთი არ შემოსაზღვრულა მხოლოდ პოლიტიკური საკითხებით. იგი თაეის ფურცლებზე ფართო ადგილს უთმობდა უცხოელთა ბატონობისაგან დაბეჩავებული მშრომელი მოსახლეობის სოციალური პრობლემების გაშუქებას (№№280, 297, 356, 390, 427...), მათში კულტურისა და განათლების შეტანას. პერიოდულად აქვეყნებდა წერილებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, ბეჭდავდა სხვადასხვა ჟანრის (ლექსი, მოთხრობა, ფელეტონი) ნაწარმოებებს (№№5, 372, 375...).

„სამუსლიმანო საქართველო“ ერცელდებოდა არა მხოლოდ ბათუმის ოლქში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამას მოწმობს თუნდაც ის გამოხმაურებები, რომელიც სისტემატურად იბეჭდებოდა მაშინდელ გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“, „ერთობა“, „განახლებული მესხეთი“ და სხვ.

გაზეთმა „სამუსლიმანო საქართველომ“ მოღვაწეობის მოკლე პერიოდში დიდი როლი შეასრულა ეროვნული ინტერესების დაცვაში, პატრიოტული წერილებით, მტკიცე და პრინციპული პოზიციით ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით განვითარებას. იგი იყო მაშინდელი სამხრეთ-დასავლეთ

[171] იქვე, №5, 1919.
[172] იქვე, №432, 1920.
[173] იქვე, №359, 1920.
[174] იქვე, №427, 1920.
[175] იქვე, №429.

საქართველოს საზოგადოების პროგრესული აზრის გამომხატველი. ამიტომაც მის ფურცლებზე მრავალი საინტერესო ინფორმაციაა დაბეჭდილი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან.

ოლქში ანტიქართული ძალების გაძლიერება საფრთხეს უქმნიდა სამუს-ლიმანო საქართველოს დედასამშობლოსთან დაბრუნების მხარდამჭერთა უშიშროებას. ამიტომ კომიტეტმა ჩამოაყალიბა ქართველთა ბატალიონი, რომელიც თავდაპირველად 500-მდე კაცს აერთიანებდა.[176] ბატალიონის მეთაური იყო მემედ აბაშიძის უმცროსი ძმა და ერთგული თანამებრძოლი ასლან აბაშიძე.[177] იგი თავისი ბატალიონით იქ იდგა, სადაც სამშობლოს უჭირდა. ამ დამსახურებისათვის საქართველოს მთავრობამ მას გენერლის სამხედრო წოდება მიანიჭა. ბატალიონმა თავის დროზე დიდი როლი შეასრულა ბათუმის ოლქის მოსახლეობის ინტერესების დაცვაში.

განმათავისუფლებელი კომიტეტი შეუპოვრად იბრძოდა ოსმალური ორიენტაციის პარტიის „სედაი მილეთის“ წინააღმდეგ. იდეური ბრძოლის ამსახველი მასალები სისტემატურად შუქდებოდა გაზეთებში – „სამუსლიმანო საქართველო“, „ერთობა“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველო“ და სხვ. „სედაი მილეთს“ ჰქონდა თავისი რაიონული ორგანიზაციები.[178] ისინი პროგრესულ მოღვაწეთა წინააღმდეგ ტერორსაც მიმართავდნენ.[179] სედაიმილეთელები მჭიდრო კავშირში იყვნენ მუსაევატელებთან, რადგან აზერბაიჯანელი ნაციონალისტები, რელიგიის ერთიანობის ლოზუნგით, პრეტენზიას აცხადებდნენ ბათუმის ოლქზე და სურდათ შავ ზღვაზე გასასვლელი.[180] „სედაი მილეთის“ პარტია სომეხ დაშნაკებსაც ჰპირდებოდა ჭოროხის მარცხენა ნაწილს, შავი ზღვისკენ რკინიგზის გასაყვანად.[181]

სედაიმილეთელთა გაელენა უფრო იგრძნობოდა მთის სოფლებში, სადაც ილაშქრებდნენ განმათავისუფლებელი კომიტეტის აქტივისტთა წინააღმდეგ და მოითხოვდნენ კომიტეტის აკრძალვას.[182] მ. აბაშიძემ ხულოსა და მარადიდში ჩატარებული ასეთი კრებების შესახებ პროტესტით მიმართა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორს, რასაც, როგორც ყოველთვის, ამ უკანასკნელმა დუმილით უპასუხა. ინგლისელთა მხარდაჭერით, სედაიმილეთელებმა 1919 წლის 26 თებერვალს განცხადება შეიტანეს ბათუმის ოლქის მმართველ საბჭოში და მეორე დღესვე დააფუძნეს კიდევ ერთი საზოგადოება, „ბათუმის ოლქის მუსლიმანთა საბჭო“.[183]

გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“ აფრთხილებდა თანამოძმეებს: „აწ მაინც ვიცნოთ მტერ-მოყვარენი, აწ მაინც აგვეხილოს თვალები, აწ მაინც ნუთუ ვევლარ უნდა მივხედეთ, თუ ვინ არიან... სედაი მილეთლები“,[184] რომლებიც, „ქართველ მაჰმადიანებს მოუწოდებენ ბათუმის ოლქი გაეწმინდათ ქრისტიანი ქართველებისაგან“.[185]

განმათავისუფლებელი კომიტეტის ხელმძღვანელობით 1919 წლის 1 ივლისს ბათუმში და 18 ივლისს ქობულეთში გაიმართა მასობრივი მიტინგები, სადაც მიიღეს რეზოლუციები ანტიქართული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.[186] „ქობულეთის, ბათუმის, აჭარისწყლის, ქედის და სხვა ადგილებში მიტინგებმა,

---

176 სცსსა, ფ. 446, აღწ. 2, ს. 49, ფურც. 5-11.
177 ი.სიხარულიძე. გენერალი ასლან აბაშიძე, თბ., 1994, გვ. 10-12.
178 გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, №356, 1920.
179 გაზ. „ერთობა“, №266, 1920.
180 ვ.ნოზაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 13.
181 გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, №362, 1920.
182 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №47, 1919.
183 იქვე, №51, 1919.
184 გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, №320, 1920.
185 გაზ. „ერთობა“, №166, 1919.
186 გაზ. „ბრძოლა“, 1919, №163, გაზ. „ერთობა“, №152, 1919.

რომლებსაც ესწრებოდა ადგილობრივ მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა, - ნათქვამია გაზ. „განახლებული მესხეთის“ მოწინავეში, - ერთხმად აღიარეს შეუერთდეს დედა-საქართველოს და ამით დაასრულოს ის წამება, რომელსაც განიცდის ყველასაგან მივიწყებული კუთხე. მოახლოებულია უამი საქართველოს გაერთიანებისა. ამიერიდან პასიური მუსლიმანი ქართველობა იწყებს აქტიურ ბრძოლას“.[187]

1919 წ. შუახანებისათვის გართულდა მდგომარეობა ბათუმის ოლქში. განმათავისუფლებელი კომიტეტის გააქტიურებას დენიკინელებმა, ინგლისელი გუბერნატორის მხარდაჭერით, დაუპირისპირეს მისი წევრების დევნა. გუბერნატორისადმი წარდგენილ მემორანდუმ-პროტესტს კი შესამჩნევი შედეგი არ მოჰყოლია.

ეროვნული მოძრაობის გასაძლიერებლად განმათავისუფლებელი კომიტეტი წავიდა „სედაი მილეთთან“ შეთანხმებაზეც. ამ მიზნით 1919 წ. თებერვალში მოეწყო გაერთიანებული სხდომა. მიიღეს დადგენილება მოქმედების კოორდინაციისათვის შეექმნათ კომისია 6-6 წევრის შემადგენლობით.[188] მართალია, მისი მუშაობის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცით, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მოვლენათა შემდგომ მსვლელობას, გასაგები გახდება, რომ ამ შეხვედრას, ფაქტობრივად, სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

„სედაი მილეთის“ პარტიას ამავე სახელწოდების თავისი ბეჭდვითი ორგანოც გააჩნდა, რომელიც თურქულ ენაზე გამოდიოდა.[189] იგი იბეჭდებოდა შმაევსკის სტამბაში. გამოდიოდა 1919 წ. მარტიდან 1920 წ. ზაფხულამდე, კვირაში სამჯერ. დედა-სამშობლოსთან ბათუმის ოლქის დაბრუნებისთანავე, ეს გაზეთი საქართველოს ხელისუფლებამ დახურა. საქართველოში გაზეთის არც ერთი ნომერი არ მოიპოვება. ცნობილია თურქეთის რესპუბლიკაში 9 ნომრის არსებობა. ვიცით ისიც, რომ 1919 წლის 31 დეკემბრისათვის გაზეთის 87 ნომერი ყოფილა გამოსული.[190]

ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებისაგან ყრილობის მოწვევის ნებართვის მიღებისთანავე განმათავისუფლებელმა კომიტეტმა ოლქში დაიწყო წარმომადგენელთა არჩევნები, რომელსაც თავად კომიტეტის წევრები ესწრებოდნენ. გაზეთი „ბრძოლა“ იუწყებოდა: „ბათუმის ოლქის ყველა კუთხეში ჩატარდა სახალხო კრებები, რომლებზეც მოსახლეობა ირჩევდა თავის წარმომადგენლებს“.[191]

დელეგატთა შემადგენლობა არ იყო ერთგვაროვანი. გარდა კომიტეტის მომხრეებისა (ისინი კი უმრავლესობას შეადგენდნენ), მას ესწრებოდნენ ოსმალოფილები და სხვ.[192]

1919 წლის 30 აგვისტო ისტორიულ დღედ იქცა საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პატრიოტული ძალებისათვის. „ამ დღეს შეიკრიბნენ ბათუმის ოლქის ღირსეული შვილები, რომელთაც უნდა მიეღოთ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები ბათუმის ოლქის მომავალ ბედთან დაკავშირებით“.[193]

ყრილობა გაიხსნა ბათუმის სათათბიროს სხდომათა დარბაზში. შეიკრიბა 96 დელეგატი ოლქის თითქმის ყველა კუთხიდან.[194] ესწრებოდნენ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები (ა. სურგულაძე, ა. საყვარელიძე, ს. ფირცხალავა), საქართველოს რესპუბლიკის კონსული ბათუმში რ. აღნიაშვილი, ბათუმის ქართველთა ეროვნუ-

---

187 გაზ. „განახლებული მესხეთი“, №1, 1919.
188 გაზ. „ბრძოლა“, №28, 1919.
189 ე.მესხია, „სედაი მილეთი“. - კრებ. „საისტორიო მაცნე“, №4, 1996, გვ. 29.
190 ზ. შაშიკაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 115-116.
191 ე.მესხია, ისტორიული ყრილობა, ჟურნ. „საისტორიო მაცნე“, №1, 1995, გვ. 29
192 ს.გერსამია, შემედ აბაშიძე, ბათ. 1960, გვ. 74.
193 მ.აბაშიძე, რჩეული ნაწერები, ბათ., 1973, გვ. 125.
194 საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, ან. 1, ს. 854, ფურც. 27.

ლი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ჯაყელი, აგრეთვე, აზერბაიჯანის, სპარსეთისა და სომხეთის კონსულები და სხვ.[195] ყრილობის თავმჯდომარე იყო მემედ აბაშიძე. პრეზიდიუმში აირჩიეს 9 კაცი. ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს" პირველმა რედაქტორმა თაჰსინ ხიმშიაშვილმა. ყრილობას მიესალმნენ აზერბაიჯანისა და სპარსეთის კონსულები.[196]

სამწუხაროდ, არსებული მასალების მიხედვით, სხვა გამომსვლელთა ვინაობა უცნობია, გამორიცხული არ არის, თუნდაც დელეგატთა არაერთგვაროვნობის გამო, საწინააღმდეგო აზრის არსებობაც. რადგან მოწინააღმდეგენი დელეგატთა უმცირესობას წარმოადგენდნენ, ფორუმის შედეგებზე ისინი რაიმე გავლენას ვერ მოახდენდნენ (ეს დაადასტურა ყრილობის დოკუმენტებმაც). შესაძლოა, ამის გამო არ აისახა მათი გამოსვლები მაშინდელი პრესის ფურცლებზე.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებასა და მთავრობას.

ყრილობამ მიიღო ისტორიული მნიშვნელობის რეზოლუცია - ბათუმის ოლქის დედასამშობლოსთან დაბრუნების შესახებ.[197] იმავე წლის 5 სექტემბერს, ოცი კაცისაგან შემდგარმა დელეგაციამ მ. აბაშიძის მეთაურობით აღნიშნული დოკუმენტი საქართველოს დამფუძნებელ კრებას წარუდგინა. რეზოლუცია მაშინდელ ვითარებაში მეტად გაბედული და პროგრესული აქტი იყო.

ყრილობამ აირჩია მეჯლისი, რომლის მოვალეობას შეადგენდა ბრძოლა მიღებული დადგენილების განხორციელებისათვის. ამრიგად, 1919 წლის 31 აგვისტოდან განმათავისუფლებელმა კომიტეტმა გზა დაულოცა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისს, რომელსაც გადასცა თავისი უფლებები და ამით კომიტეტმა დაასრულა მოღვაწეობა. მართალია, მეჯლისი სტრუქტურულად განსხვავდებოდა განმათავისუფლებელი კომიტეტისაგან, მაგრამ პრაქტიკულად მისი ხაზის გამტარებელი იყო. პირველივე სხდომაზე მემედ აბაშიძე აირჩიეს სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარედ.

ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ერთიანობის დაცვისათვის. ამიტომაც წერილში „31 აგვისტო" მ. აბაშიძემ იგი შეაფასა ისტორიულად არა მარტო ბათუმის ოლქის, არამედ სრულიად საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ყრილობის დადგენილებას ბათუმისა და ბათუმის ოლქის საქართველოსთან დაბრუნების შესახებ „იმითაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ როდესაც ეს დადგენილება მიიღეს, ბათუმსა და მის ოლქში ფორმალურად არსებობდა ინგლისის ოკუპაცია, ხოლო ფაქტობრივად ხელისუფლება დენიკინელების ხელში იყო, ქართველები კი დევნილები იყვნენ".[198] ამიტომაც, გრ. ურატაძის სიტყვით, ყრილობის დადგენილებას ფართო გამოხმაურება მოჰყვა ბათუმში და მის ფარგლებს გარეთ.

1920 წ. 7 იელისს ინგლისის ჯარმა დატოვა ბათუმის ოლქი. მასზე აღსდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქცია. განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი" ედგა სათავეში, წარმატებით დასრულდა - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილი დედასამშობლოს დაუბრუნდა.

---

195 გაზ. „ერთობა", №199, 1919.
196 იხ. გაზ. „ერთობა", №208, 1919.
197 სცსსა, ფ. 1861, აღ. 2, ს. 42, ფურც. 1-3.
198 გრ. ურატაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა და კონსოლიდაცია, გაზ. „ვესტნიკ გრუზიი", №34, 1991.

§5. ბათუმის ოლქის დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში

1920 წ. თებერვლის დასაწყისში ბათუმიდან დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ძალების გაყვანამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელში ჩაგდების მოსურნე ანტიქართული ელემენტები გააქტიურა. საქართველოს მთავრობამაც, წესრიგისა და სტაბილურობის აღსადგენად, გადაწყვიტა ამ მხარეში თავისი ჯარების შემოყვანა.

საქართველოს ჯარი ორი მიმართულებით მოიწევდა ბათუმისაკენ - ნატანებისა და ახალციხის მხრიდან. ნატანებთან იგი შეაჩერეს ინგლისელმა სამხედროებმა. სამაგიეროდ, ახალციხიდან წარმატებით მოიწევდნენ ეროვნული არმიის ნაწილები, რომლებმაც დაიკავეს არტანუჯი და არტაანის ნაწილი. მიუხედავად კუკ-კოლისის პრინციპული მოთხოვნისა, საქართველოს ხელისუფლებამ ამ ტერიტორიებიდან არ გამოიყვანა სამხედრო ძალა. პირიქით, მალე ქართული ჯარის მცირე ნაწილი შეეიდა და განლაგდა დაბა ხულოშიც. ამით დასრულდა ეროვნული სამხედრო შენაერთების სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში გადაჯგუფების პირველი ეტაპი.

მოსახლეობამ რეალურად აღიქვა ერის გამთლიანებისათვის გადადგმული ნაბიჯი და ქართულ ჯარს თანაგრძნობით შეხვდა. ამან დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ ძალებზეც. ეროვნულ პოზიციაზე გადმოსული ე.წ. „გაერთიანებულ მუსლიმანთა საბჭო“ ოლივერ უორდროპისადმი გაგზავნილ ნოტაში აღნიშნავდა: „სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ აზერბაიჯანის აგენტები აშკარად აძლევენ ყაჩაღებს ფულს, რათა თავდასხმა მოაწყონ ქართველ ჯარზე. ჩვენი ხალხი საქართველოს ჯარს ელის აღფრთოვანებით და სიყვარულით, რათა დაიცვან ძველი საქართველო“.[199]

კუკ-კოლისის ხელისუფლებისა და მის გარშემო შემოკრებილ აგენტთა დაჟინებული მცდელობის მიუხედავად (მათ ხულოს მისადგომებთან სანგრებიც გათხარეს ქართული ჯარის შესაჩერებლად), აჭარის მოსახლეობა სიხარულით დახვდა მას და ხულოში შესვლა ზეიმად აქცია.

ამ მნიშვნელოვან წარმატებას თან ახლდა ზოგიერთი შეფერხებაც. თავდაცვის სახელმწიფო აპარატში მაშინ არსებულმა ნაკლოვანებებმა და სამხედრო ნაწილების სწრაფი მობილიზაციის შეუძლებლობამ განაპირობა საჯარისო შენაერთების შემოსვლის გაჭიანურება აჭარაში. ეს პროცესი ჩოლოქის მიმართულებით კი საერთოდ შეყოვნდა. ამას დაერთო ის გარემოებაც, რომ კუკ-კოლისის ხელისუფლება რეალურად ფლობდა სიტუაციას ბათუმისა და ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიებზე. ამან ინგლისელებს შესაძლებლობა მისცა გადაესროლათ ჩოლოქთან თავიანთი ძალები და შეეზღუდათ ქართული ჯარის წინსვლა ბათუმის მიმართულებით. სხვა მდგომარეობა იყო მთიან აჭარასა და ართვინის რაიონში, სადაც საოკუპაციო ხელისუფლება, პოლიტიკურად და სამხედრო ძალით, შედარებით სუსტად გამოიყურებოდა. ამიტომაც იქ ქართული ჯარი იოლად შევიდა.

მთავრობის ღონისძიებები მოიწონა საქართველოს პარლამენტმაც და დაადგინა: „1. მიენდოს მთავრობას მტკიცე ნაბიჯი გადადგას მოკავშირეთა მიმართ, რათა ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს დაუბრუნდეს. 2. დაეალოს პრეზიდიუმს მიმართოს მოკავშირეთა პარლამენტებს, რათა მათ მხარი დაუჭირონ ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებას ბათუმის ოლქის საქართველოსათვის

[199] გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, №321, 1920.

დაბრუნების საკითხში".[200]

საქართველოს ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ერთსულოვანმა მხარდაჭერამ აიძულა მოწინააღმდეგე ძალები შეკავშირებულიყვნენ და ჩაეშალათ აჭარაში საქართველოს საჯარისო შენაერთების შესვლა, მოეხდინათ მოსახლეობის პროვოცირება და გამოეწვიათ კონფლიქტი ქართულ ჯართან. ამის უშუალო ორგანიზატორი კუკ-კოლისი იყო. მისი ხელმძღვანელობით სოფლებში გაშალეს პროპაგანდა ქართული ჯარის აჭარაში ყოფნის წინააღმდეგ. კუკ-კოლისმა საქართველოს მთავრობასაც მიმართა ოლქის საზღვრებიდან ჯარების გაყვანის მოთხოვნით. „თუ... ამგვარი ბრძანება არ იქნება გაცემული, მე ვეტო

ტერესება ჰქონდა. ამასთან, ორივე სახელმწიფოს შორის მაშინ არსებობდა პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი და ტერიტორიულ-რეგიონალური სადავო საკითხები. ანტანტის წამყვანმა სახელმწიფოებმა ალღო ვერ აუღეს ოსმალეთის გარშემო შექმნილ პრობლემებს, სრულად ვერ შეაფასეს ქემალ ათათურქის მიერ დაწყებული ეროვნული მოძრაობის მნიშვნელობა, რითაც კარგად ისარგებლა რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ.

ბათუმის ოლქში ქართული ჯარის შემოსვლის შემდეგ, მტრული ძალები აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ. მათი უშუალო ხელმძღვანელობით ქობულეთის რაიონში ცდუნებას აყოლილი სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იარაღით დადგა მდ. ჩოლოქთან. ქესკინ-ზადეს ტიპის სედაიმილეთელები ფინანსურად და მორალურად ცდილობდნენ ხალხზე ზეგავლენის გაძლიერებას. არ ერიდებოდნენ შანტაჟსაც. მაგალითად, ქობულეთელ იუსუფ ქათამაძეს 1920 წლის მარტში გარდაეცვალა შვილი. სედაიმილეთელებმა მგლოვიარე ოჯახს ერთი კვირის განმავლობაში არ მისცეს დასაფლავების უფლება. შეწუხებული გლეხი იძულებული გახდა, შეპირებოდა ავანტიურისტებს, რომ იარაღით დადგებოდა მათ მხარეზე, მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო ჭირისუფალმა მიცვალებულის დაკრძალვა.[205]

საოკუპაციო ხელისუფლებისა და ანტიქართული ძალების ზრახვები საბოლოოდ ჩაშალა. მათ ვერ შეძლეს ქობულეთში ინციდენტის გაღრმავება. ოსმალეთ-აზერბაიჯანისა და ბოლშევიკების მისწრაფების მიუხედავად, რომლებიც თანხებს არ იშურებდნენ ქართული ჯარის საწინააღმდეგო გამოსვლების ორგანიზაციისათვის, ხალხი მათ მაინც განუდგა.

ქართული ჯარის ნაწილები ნატანებიდან დაიძრა ქობულეთისაკენ. ინგლისის წარმომადგენლობასთან შეთანხმების შემდეგ, საქართველოს მთავრობის ბრძანებით, ისინი შეჩერდნენ მდინარე ჩოლოქთან. ასეთი პასიურობით ისარგებლეს იქ ჩასაფრებულმა ავანტიურისტებმა და ატეხეს სროლა. ჩოლოქის ოპერაციის ორგანიზატორი იყო კუკ-კოლისი. მას მხარს უბამდნენ აზერბაიჯანის საკონსულოს და რუსთა ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელობა, „სედაი მილეთის“ უკიდურესი მემარცხენე ფრთა ქესკინ-ზადეს ხელმძღვანელობით, აგრეთვე, ყოფილი დენიკინელები.[206] ამ პროვოკაციის ორგანიზატორები იყვნენ ოსმალეთიდან გადმოსული შეიარაღებული პირებიც. ბოლშევიკი ჟურნალისტის მ. რუმანოვის კორესპონდენციის მიხედვით, გადმოისროლეს რა „დამოუკიდებელი აჭარისტანის“ ლოზუნგი, ინგლისელები ცდილობდნენ არ გაეწყვიტათ „მეგობრული ურთიერთობები საქართველოსთან“. ამიტომ, „მისი ბათუმისაკენ მოძრაობა შეაჩერეს აჯანყებულთა მიერ ქობულეთის ფრონტის შექმნით, რაც დაუყოვნებლივ გამოიყენეს თურქმა ნაციონალისტებმა და აჯანყებულთა რიგები შეივსო ბევრი თურქი ოფიცრითო“.[207]

თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში ფალსიფიცირებულია ქობულეთ-ჩოლოქის ინციდენტი. კერძოდ, თვლიან, რომ 1920 წელს ბათუმში დისლოცირებული იყო ოსმალეთის სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი რაოდენობა. თითქოს 30 აპრილს ბათუმის მხრიდან ჩოლოქთან იბრძოდა ოსმალეთის 10-ათასკაციანი შენაერთი.[208] მართალია, ამ პერიოდში აჭარაში რიცხობრივად გაიზარდა პროთურქული დაჯგუფებები, მაგრამ რეგულარული სამხედრო ნაწილები, ცხადია, ოსმალებს აქ არ ჰყავდათ და ამას არც ინგლისელები დაუშვებდნენ.

---

[205] ამხუ., ს. 247.
[206] სცსსა, ამფ, ს. 416.
[207] Борьба за победу Советской власти в Аджарии, с. 327.
[208] Artvin ve çevresi, 1828-1921 savaşlari. Hazirlayan M. Adil Özder Ankara, 1971. s. 197.

ანგორის ანკარის მთავრობას კარგად ესმოდა შექმნილი ვითარების სიმწვავე, დაინტერესებულ მხარეთა პოზიციები და შესაძლებლობები. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა მე-15 კორპუსის სარდლის ქიაზიმ ყარაბექირის ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა ინგლისელთა მიერ ბათუმის ოლქიდან ჯარების ევაკუაციას. იგი შესაძლებლად მიიჩნეოდა ამ რეგიონში თურქეთის სამხედრო ნაწილების შეყვანას.[209] აღნიშნულ ინფორმაციაზე დართული თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეზოლუციით ჩანს, რომ ვითარების სათანადოდ გარკვევამდე ანგორის მთავრობა ცდილობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ფრთხილად ემოქმედა.[210] ამგვარი პოზიცია იმაზეც მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ სუსტ თურქეთს არ შეეძლო აჭარაში მსხვილი სამხედრო შენაერთების გადმოსროლა. სამაგიეროდ, გახშირდა წერილი ბანდებისა და სამხედრო კონსულტანტების შემოგზავნა, რომლებიც მონაწილეობდნენ ქობულეთისა და ხულოს ინციდენტებში.

საქართველოს სამხედრო ნაწილებისა და სარდლობის გონივრული მოქმედების წყალობით, მოწინააღმდეგეებმა ვერ შეძლეს ქობულეთის პროვოკაციის ესკალაცია. სამაგიეროდ, გათამამებული ბანდები იქიდან დაიძრნენ ზემო აჭარისაკენ, ხულოში დისლოცირებული ქართული რაზმის განსაიარაღებლად. დაიწყეს, აგრეთვე, სატრანსპორტო საშუალებებით საბრძოლო იარაღის და საჭურველის იქ გადაზიდვა. ეროვნული ძალების მოთხოვნის მიუხედავად, ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებას არაფერი მოუმოქმედებია ამ წინასწარ დაგეგმილი სისხლიანი აქციის აღსაკვეთად.

ხულოზე შეტევის გეგმა შემუშავდა ქობულეთის ავანტიურის მოთავეების - ქესკინ-ზადესა და ბიბინ-ზადეს ხელმძღვანელობით. მასში კონსტრუქციული ცვლილებები შეიტანეს ოსმალეთიდან გადმოსულმა ემისრებმა.[211] მოსახლეობის გადაბირებისათვის ჩატარებული ღონისძიება უშედეგო გამოდგა. არავის გამოუთქვამს სამარცხვინო აქციაში მონაწილეობის სურვილი.[212] ზემო აჭარის მცხოვრებლები ატყობინებდნენ საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებულს ბათუმში — მ. ხოჭოლავას სოფელ ჭვანაში მტრების მიერ დაწყებულ სამზადისსე და თხოვდნენ გაეძლიერებინა ხულოსა და არტანუჯ-ართვინის რაზმები.[213] დიდთოვლობამ გოდერძის უღელტეხილზე ხელი შეუშალა ახალციხიდან დამატებითი რაზმების შემოყვანას. ამან გაუადვილა მოწინააღმდეგეს საომარი ოპერაციის დაწყება. სოფელ დანისპარაულთან და გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში გაჩაღებულ ბრძოლებში სამთავრობო ჯარის ნაწილთან ერთად მამაცურად იბრძოდა აჭარელთა 100-კაციანი რაზმი.[214] სამწუხაროდ, კლიმატური პირობებისა და უგზოობის გამო წინსელა შეუძლებელი გახდა. საბოლოოდ, მცირე რაზმის წინააღმდეგობამ აზრი დაკარგა. იგი განაიარაღეს. ეს შეტაკება თავისი ხელწერით ქობულეთის ოპერაციის ანალოგიური იყო. ორივე ერთი ძალის მიერ, ერთნაირი გეგმით იყო მომზადებული. როგორც ქობულეთში, ისევე აქაც, ძირითად საომარ ძალას წარმოადგენდნენ ყაჩაღური ბანდები და ოსმალეთიდან გადმოსული შეიარაღებულ „ჩეთეს“ რაზმები.

ამ გამოსვლებისადმი ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება გამოიკვეთა ხულოსა და ჭვანაში ჩატარებულ კრებებზე. ქესკინ-ზადემ განაცხადა, რომ ინგლისელებთან შეთანხმებით მათ მომხრეებს ეკალებოდათ გოდერძის უღელტეხილის

[209] Arşiv basbakanlik Türkiye Çumhuriyeti,, BEO 346468, s. 16.
[210] იქვე. გვ. 18.
[211] გაზ. „საქართველო“, №66, 1920.
[212] გაზ. „სახალხო საქმე“, №836, 1920.
[213] სცსსა, ᲐᲛᲐ, ს. 416.
[214] გაზ. „სახალხო საქმე“, №843, 1920.

გადაკეტვა და აჭარის გაწმენდა ქართული ჯარისაგან. ამის შემდეგ უნდა გამოეცხადებინათ აჭარის დამოუკიდებლობა ინგლისის პროტექტორატის ქვეშ.[215]

საქართველოს წარმომადგენლობისადმი გაგზავნილ წერილებში ქობულეთისა და ზემო აჭარის მოსახლეობა მოითხოვდა პროვოკატორების დასჯას. ამას მოჰყვა განხეთქილება „სედაი მილეთის" ორგანიზაციაში. მემედ ჭყონიას ხელმძღვანელობით, ყოფილი სედაიმილეთელებისაგან ჩამოყალიბდა 100-კაციანი შეიარაღებული რაზმი, რომელიც შეუდგა აჭარაში გაბნეული ყაჩაღური ბანდების ლიკვიდაციას.[216]

ასეთ ვითარებაში გაცხადდა ანტანტის უმაღლესი საბჭოს წინასწარი გადაწყვეტილება ერთა ლიგის მანდატით ბათუმისაგან თავისუფალი ქალაქ-სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ამან გამოიწვია ქართული საზოგადოებრიობის მძაფრი პროტესტი. სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისმა, მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით, 23 აპრილის დაგმო ეს ფაქტი და ხაზგასმით განაცხადა, "ბათომის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ხოლო ისტორიით, სისხლითა და ხორცით, ენით ქართველები, ვუცხადებთ ყველას, რომ არავის მივცემთ უცხოს ნებას ჩაერიოს ჩვენს საქმეებში და დაეპატრონონ ჩვენი ქვეყნის გამგებლობას", რომ „მეჯლისი შეუწყნარებლად თელის ბათუმის საკითხის საერთაშორისო საკითხად გადაქცევას". საჭიროა მოკავშირეებმა ბათუმ-აჭარის ბედი გადაწყვიტონ მის მკვიდრ მცხოვრებთა სურვილის საფუძველზე და ეს რეგიონი საქართველოს დაუბრუნონ.[217]

ასეთ პირობებში გააქტიურდა რესპუბლიკის მთავრობაც. მან დამატებითი ძალები შემოიყვანა ბათუმის ოლქში. ამან დაძაბა ურთიერთობა დიდი ბრიტანეთის სარდლობასთან.[218] ქართველებმა მოკავშირეებს შესთავაზეს პრობლემის გადაწყვეტის კომპრომისული ვარიანტი - ბათუმის ოლქში შესული ჯარები დაქვემდებარებოდნენ ინგლისის სარდლობას. უმაღლესმა კომისარმა ოლივერ უორდროპმაც მოუწოდა თავის მთავრობას ბათუმის ოლქში ქართველებთან სამხედრო თანამშრომლობისკენ. ეს პოზიცია, გარკვეულად, გაიზიარეს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროშიც, მაგრამ აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის ჯარების სარდლობა და ბათუმის ოლქის საოკუპაციო ხელისუფლება კვლავ ძველ პოზიციებზე რჩებოდნენ და კატეგორიულად მოითხოვდნენ საქართველოს ჯარის უკან გაყვანას, თუნდაც ძალით.[219]

1920 წ. 7 მაისს გაფორმდა და გამოქვეყნდა რსფსრ-საქართველოს ხელშეკრულება, რომელიც აღიარებდა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს ბათუმის ოლქზე და სცნობდა მის შემადგენლობაში. სანაცვლოდ საქართველოდან უნდა განედევნათ უცხო სახელმწიფოების (ანტანტის) ჯარები. რესპუბლიკის მთავრობამაც მკვეთრად ანტიინგლისური პოზიცია დაიკავა. ამიტომ ლონდონში მიზანშეწონილად ჩათვალეს ბათუმის დატოვება და მისი საქართველოსთვის ჩაბარება. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო საფრანგეთის მთავრობამაც.

ქართული ჯარის წინსვლა ბათუმისკენ დაიწყო 1920 წ. 1 ივლისიდან. იმავე დღეს ქობულეთში გაიმართა მიტინგი, რომელიც დასრულდა სამხედრო ნაწილების პარადით. 4 ივლისს ბათუმის გარეუბანში, ბარცხანის დასახლებაში, ეროვნულ არმიას შეხვდნენ დამფუძნებელი კრებისა და მეჯლისის წევრები, ქალაქის ინტელიგენცია.

განმათავისუფლებელი ბრძოლის ორწლიანი პერიოდი დამთავრდა 7 ივლისს ბათუმში ქართული ჯარის საზეიმო აღლუმით, რომლის ავანგარდში იდგა აჭარის

215 სცსსა, ჰმფ, ს. 416.
216 იქვე.
217 იხ. მ.აბაშიძე, თხზულებანი, გამოსცა გურამ შარაძემ, თბ.6 1998, გვ. 221-223.
218 რ.ცუხიშვილი, ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში (1918-1921), თბ., 1996, გვ. 42-50.
219 ა.ბ.სურგულაძე, მ.სიორიძე, ბორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996, გვ. 77-80.

მეჯლისი მემედ აბაშიძის მეთაურობით. მასთან ერთად იყენენ დამფუძნებელი კრების წევრები: პ. საყვარელიძე, გრ. ვეშაპელი, ს. ფირცხალავა, ი. გობეჩია. ჯარებს წინ მიუძღოდა მთავარსარდალი გენ. გ. კეინიტაძე. იმავე დროს ჯარის ერთი ნაწილი შეეიდა ბორჩხაშიც. ამით დასრულდა საოკუპაციო ხელისუფლების მმართველობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

მშობლიურ კერაზე ბათუმის მშვიდობიანად დაბრუნება ზეიმით აღინიშნა. გაზეთები აღტაცებით იუწყებოდნენ ამ სასიხარულო ამბავს. პრესაში დაიბეჭდა მისასალმებელი წერილები, პატრიოტული ლექსები. ვასილ რუხაძე, გიორგი ქუჩიშვილი და მხატვრული სიტყვის სხვა ოსტატები აღფრთოვანებას გამოხატავდნენ ბათუმის დაბრუნების გამო და იმედოვნებდნენ, რომ ამიერიდან მაინც „საქართველოს მიწა-წყალს ვეღარავინ გადმოსთელავდა“.[220]

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედა-სამშობლოსთან დაბრუნებისათვის ბრძოლა წარმატებით დასრულდა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ბათუმიდან ანტანტის ჯარების გაყვანის შემდეგ საქართველო მარტოდმარტო დარჩა მოახლოებული თურქული და ბოლშევიკური საფრთხის წინაშე.

§6. სოციალურ-პოლიტიკური ვითარება 1920 წლის მეორე ნახევარში

ბათუმის ოლქის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების შემდეგ პირველი რიგის ამოცანა იყო მისი ადმინისტრაციული მოწყობა, რისთვისაც უკვე ივნისის დამლევს ბათუმში ჩამოვიდა დამფუძნებელი კრების საგანგებო კომისია ჰაიდარ აბაშიძის, პაველ საყვარელიძის, დათა ვაჩნაძის, ივანე გობეჩიას, სამსონ ფირცხალავას და გრიგოლ ვეშაპელის შემადგენლობით. ადგილობრივ პოლიტიკოსებთან თათბირის შემდეგ მიზანშეწონილად ჩათვალეს აქაური პირობების შესატყვისი ავტონომიური სახელისუფლებო სტრუქტურების შექმნა. ავტონომიური საკანონმდებლო ხელისუფლების ასეთ ორგანოდ მემედ აბაშიძის დასი განიხილავდა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისს, რომელსაც, მათივე აზრით, დამფუძნებელი კრებისაგან უნდა მიეღო შესაბამისი ლეგიტიმაცია. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ რეგიონის მართვა-გამგებლობის ფორმის თაობაზე განსხვავებული აზრი იყო თვით „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტში“. მისი ერთი ნაწილი, და მათ შორის ჰაიდარ აბაშიძე, იყო დედასამშობლოსთან ავტონომიის გარეშე შეერთების მომხრე. მაგრამ, ჰ. აბაშიძისვე ცნობით, საქართველოს მთავრობის „პასუხისმგებელმა წევრებმა“, მათ შორის ნოე რამიშვილმა, არ გაიზიარეს პირდაპირი შეერთების მომხრეთა პოზიცია და „კატეგორიულად ურჩიეს“ მათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ინტერესებიდან გამომდინარე, მიეღოთ ავტონომიის იდეა.[221]

ამგვარი წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, შეცვლილი ვითარების გამო, ბათუმის ოლქი გამოცხადდა საგენერალ-გუბერნატოროდ და დროებით დაწესდა საგანგებო მმართველობა. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უკვე 3 ივლისს საჯაროდ განმარტა, რომ „ეს გადაწყვეტილება გამოიწვია საშიშროებამ, რასაც

[220] გაზ. „აჭარა“, №121, 1994 (რამაზ სურმანიძის პუბლიკაცია).

[221] ა. სურგულაძე. ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა. გვ. 63; აგრეთვე, ჰ.აბაშიძის მოგონება. იხ. ნ.ჯაფარიძის პუბლიკაციაში, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №142, 1990.

ქვეყნის ერთიანობას უქმნიდნენ ბათუმსა და მის ოლქში მოკალათებული სხვადასხვა მიმართულების ანტისახელმწიფოებრივი დაჯგუფებები. ისინი 1920 წ. მაისში მდ. ჩოლოქთან შეიარაღებული წინააღმდეგობის პროვოცირების შემდეგაც ცდილობდნენ ჩამოეგლეჯათ ეს კუთხე საქართველოს სხეულიდან".[222] ამის თავიდან აცილება კი არსებულ პირობებში შესაძლებელი იყო მხოლოდ საგანგებო, სამხედრო მდგომარეობასთან შეფარდებული მმართველობით. ამასთან, მიუთითებდნენ, რომ ეს იყო დროებითი მოვლენა და წარმოადგენდა გარდამავალ ეტაპს ავტონომიური მმართველობის გზაზე.

მთავრობის განმარტების მიუხედავად, ჰ. აბაშიძის ცნობით, ამ ამბავმა „ბათუმში დიდი მითქმა-მოთქმა და ბევრი გულისწყრომაც გამოიწვია... და გასაქანი მიეცა ყოველგვარ არასასურველ შესაძლებლობას".[223]

ბათუმისა და მისი ოლქის საგანგებო კომისრად დაინიშნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ავტორიტეტული წარმომადგენელი ბენია ჩხიკვიშვილი. ის იმავდროულად რჩებოდა ქ. თბილისის მოურავად და რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრად, რაც, მისი ორგანიზატორული თვისებების მიუხედავად, ართულებდა სპეციფიკური რეგიონის მართვას. ამავე თვალსაზრისით, ზოგიერთი მისი თანამედროვე წრეგადასულად მიიჩნევდა საგანგებო კომისრის მკაცრ მომთხოვნელობას, რის გამოც მის პოლიტიკას მალე ბევრი უკმაყოფილო გამოუჩნდა ქალაქსა და ოლქში.

7 ივლისს საგანგებო კომისართან ერთად ბათუმს ჩამოვიდნენ ცენტრალური უწყებების წარმომადგენლები და დაიწყეს ადგილობრივი დაწესებულებების გადაბარება. შედეგები შეჯამდა აგვისტოს შუა რიცხვებში ბ. ჩხიკვიშვილის ხელმძღვანელობით მოწვეულ საგანგებო თათბირზე.[224]

ირკვევა, რომ იუსტიციის სამინისტროს რწმუნებულებმა გადაიბარეს ქალაქის და ოლქის სასამართლო დაწესებულებები, აგრეთვე, ბათუმის საპყრობილე. დაადგინეს ბათუმის და ოლქის დაყოფა საგამომძიებლო და სამოსამართლო უბნებად. ბ.ჩხიკვიშვილის წინადადებით გადაწყდა შარიათის კანონმდებლობის აღდგენა ოლქის მკვიდრი მოსახლეობისათვის სამოქალაქო სამართლის საქმეთა განსახილველად. ხელშეუხებელი რჩებოდა მიწაზე საკუთრება და მოხმარება. აღსანიშნავია, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი ღონისძიებები მოსახლეობის სოციალური ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჩაიბარა ხაზინა, საბაჟო, სააქციზო სამმართველო და სახელმწიფო ბანკი. საგანგებო კომისრის დადგენილება ავალდებულებდა სახელმწიფო და კერძო საკრედიტო საზოგადოებებს აღებ-მიცემობა და ანგარიშსწორება ეწარმოებინათ საქართველოს რესპუბლიკის კანონებით.

გზათა სამინისტროს რწმუნებულებმა გადაიბარეს ბათუმის ე.წ. „არდაგანის გარაჟი" - სახელოსნოებით, ტრანსპორტი, ელექტროსადგური და საწყობი ბურუნთაბიეში, აგრეთვე, ბათუმის სახღვაო პორტის სამმართველო.

რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაეიდა სატყეო და საადგილმამულო განყოფილება, ჩაქვის მამული და ბოტანიკური ბაღი, ოლქის ყველა საცდელი სასოფლო-სამეურნეო დაწესებულება, ართვინის ზეთისხი-

---

222 გაზ. „ერთობა", №148, 1920.

223 ჰ. აბაშიძე, მოგონება, გაზ. „საბჭოთა აჭარა", №142, 1990.

საქართველოს მთავრობის რწმუნებული ბათუმის ოლქში მუხრან ხოჭოლავაც მიუთითებდა, რომ ბათუმის ოლქში გენერალ-გუბერნატორის დანიშვნით სარგებლობდნენ ბოროტგანმზრახველები, თესავდნენ ხალხში შუღლს და ავრცელებდნენ ხმებს, რომ საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობდა ავტონომიის მინიჭებაზე და მმართველობაში ადგილობრივ ძალთა ჩაბმაზე (გაზ.„ერთობა", №171, 1920).

224 იხ. სცსსა, ფ. 1861, ან. 2, ს. 127, ფურც. 16-32.

ლის და ხეხილის სანერგე, სააგარაკო და სხვა სახელმწიფო ნაკვეთების გამგებლობა.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს ჩაბარდა ინგლისელი გუბერნატორის სამოქალაქო სამმართველო, საოლქო და ქალაქის მილიციის სამმართველოები. ქალაქი ბათუმი დაიყო 5 სამილიციო უბნად, რომელთაც სათავეში ედგა მილიციის კომისარი. ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველო დაკომპლექტდა 330 მილიციელით. დაახლოებით ასეთივე შტატი ჰქონდა საოლქო მილიციას.

გადაიბარეს, აგრეთვე, საგანმანათლებლო, სამედიცინო და საეუტერინარო დაწესებულებები.

მთავარი და სერიოზული წინააღმდეგობა, რაც ახალ ხელისუფლებას უნდა დაეძლია, იყო ბათუმსა და ოლქში გაფანტული საქართველოს ერთიანობის მტრების და ბანდიტური ელემენტების გამოელენა და ალაგმვა. საგანგებო კომისარიც ენერგიულად მოეკიდა საქმეს. კანონგარეშედ გამოცხადდნენ და ჩამოერთვათ უძრავ-მოძრავი ქონება გენერალ ტერმენს და პოლკოვნიკ იონინს, რომლებიც სეპარატისტ ქესკინ-ზადესთან ერთად ხოფაში გაიქცნენ და იქ განაგრძობდნენ რაზმების ორგანიზებას ბათუმზე თავდასხმისათვის.[225] ასეთივე ზომები გატარდა ცნობილი რუსი „ველიკოდერჟავნიკების“ — პ. მასლოვის, ს. გინკულის, ს. კობიევის და ნ. მალინოვსკის მიმართაც, რომლებმაც ბათუმის ოლქის საქართველოს იურისდიქციაში გადასვლის წინ ყირიმში - ვრანგელთან შეაფარეს თავი.[226] მათთან ერთად გაიქცნენ მდიდარი მიწათმფლობელები და ვაჭარ-სპეკულანტები. ისინი ბათუმ-ქობულეთის სანაპირო სუბტროპიკულ ზოლში ფლობდნენ საუკეთესო მიწებს და ძვირადღირებულ აგარაკებს. მთელი ეს ქონება გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროს და ჩაირიცხა სახელმწიფო ფონდში.

რეპრესიული ზომები გატარდა ქ. ბათუმში, დაბა მახინჯაურში, ციხისძირსა და ქობულეთში ჩაბუდებული იმ ძველი ჩინოვნიკებისა და ოფიცრების მიმართაც, რომლებიც დიდი ბრიტანეთის ოკუპაციის პერიოდში საქართველოს წინააღმდეგ მტრულ აგიტაციას ეწეოდნენ, აგრეთვე, იმათ მიმართაც, ვინც 1920 წ. მაისში მონაწილეობდა ჩოლოქის პროვოკაციაში.[227] მათთან ერთად დააპატიმრეს და საქართველოდან გაასახლეს თეთრგვარდიელ შოვინისტთა ტრუბადური გაზეთ „ნაშ კრაის“ რედაქციაც.

რესპუბლიკის უშიშროებასა და ერთიანობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ ბოლშევიკებიც. რსფსრ-საქართველოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულებით კომუნისტურ პარტიას საქართველოში მიეცა ლეგალური მუშაობის საშუალება. საბჭოთა რუსეთმაც ისარგებლა ამით და ს. კიროვის მეთაურობით თბილისში გამოგზავნა მრავალრიცხოვანი დიპლომატიური მისია სათანადო დაფინანსებით. მან გააჩაღა აშკარა ანტისამთავრობო აგიტაცია და მოქმედებდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სასარგებლოდ.

ბ. ჩხიკვიშვილმა გაითვალისწინა შექმნილი ვითარება და თავიდანვე შეზღუდა ასეთი რუსი „დიპლომატების“ საქმიანობა. ბათუმელ კომუნისტთა წარმომადგენლებს მან დაუფარავად განუცხადა, რომ არ დაუშვებდა პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოს რესპუბლიკის მოწინააღმდეგე უცხო ძალების მონაწილეობას.[228] დააპატიმრეს ბოლშევიკებს მიტმასნილი ვ. ბელოვი და ი. კაზაკოვი, რომლებიც კინტრიშის ხიდის აფეთქებაში მონაწილეობდნენ და ჩოლოქთან ქესკინ-ზადეს ბანდებს იარაღს

[225] სცსსა, ფ. 1861, ან. 2, ს. 167, ფურც. 11; გაზ. „ერთობა“, №168, 1920.
[226] სცსსა, ფ. 1861, ან. 2, ს. 167, ფურც. 36.
[227] იქვე, ფურც. 35; იქვე, ან. 1, ს. 441, ფურც. 4, 21-23, 25-26.
[228] გაზ. „საქართველოს კომუნისტი“, №23, 1920.

აწოდებდნენ.[229] გამოცხადდა ბოლშევიკთა ლიდერის ივ. პეტროვის ძებნაც.[230]

ბათუმის ოლქში სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა სიძვირე, რაც გამოიწვია სპეკულანტთა მიერ ფასების ხელოვნურად აწევამ. ხელისუფლებამ მათ ასალაგმავად გაატარა სათანადო ღონისძიებები.[231]

სასწრაფო და გადაუდებელი ამოცანა იყო ოლქის სოფლებში ადმინისტრაციის მოწყობა, პირველ ყოვლისა კი — მილიციის უბნების შექმნა, რადგან ჩაქვისწყლის ხეობასა და ბათუმის მახლობელ სოფლებში ანტისახელმწიფოებრივ ძალებს არაერთი საიმედო თავშესაფარი გააჩნდათ. თურქეთთან საზღვარიც სუსტად იყო დაცული, რაც უკონტროლო მიმოსვლის შესაძლებლობას ქმნიდა. ამიტომ, უკვე 13 ივლისს, საგანგებო კომისარმა ცენტრიდან მოითხოვა დამატებითი სამხედრო ძალა ბანდიტიზმის აღსაკვეთად და თურქეთთან საზღვრის ჩასაკეტად.

ივლისის შუა რიცხვებში საგანგებო კომისარმა დაიწყო „სამუშაო მოგზაურობა" ბათუმის ოლქში. იგი მასობრივ თავყრილობებზე ხედებოდა ადგილობრივ მოსახლეობას. მთავრობისადმი მოხსენებაში ბ. ჩხიკვიშვილი შენიშნავდა, რომ ბათუმის ოლქში სიმშვიდისა და ახალი ადმინისტრაციის მოწყობის საქმეში ბევრად უკეთესი მდგომარეობა იყო ზემო აჭარაში, რასაც მნიშვნელოვანწილად ჯემალ ხიმშიაშვილის დამსახურებად თვლიდა. სწორედ მისი გაელენით, ხალხმა არ მიიღო სამთავრობო ჯარის შემოსვლის შემდეგ ქობულეთიდან ლტოლვილი ორასამდე შეიარაღებული პირი, რომლებიც აქედან ხოფაში გადაიდნენ.[232] თუმცა, შენიშნავდა საგანგებო კომისარი, „ენებათაღელვა მთლიანად არ არის დამცხრალი. პროვოკატორები ისევ დადიან ხალხში და აპირებენ მათ გადაბირებასო".[233]

მემედ აბაშიძის აზრით, უკმაყოფილების საფუძველს, ძირითადად, ქმნიდა ავტონომიის საკითხის მოუგვარებლობა. ამიტომ მისი მეთაურობით, უკვე 26 ივლისს, თბილისში ჩავიდა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის დელეგაცია (ხალილ სურმანიძე, სულეიმან ბეჟანიძე, მუსტაფ ჩიმურიძე და ჯემალ ქიქავა). გაზ. „ერთობის" ცნობით, მათ თან ჩაიტანეს მეჯლისის დადგენილება „რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებასთან შეთანხმებით აჭარის ავტონომიის გამოცხადების შესახებ".[234]

გაზეთისათვის მიცემულ განმარტებაში მ. აბაშიძე მიუთითებდა, რომ აჭარაში მოქმედებდა რამდენიმე ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფი: "ახალგაზრდა თურქების" კომიტეტი, აზრეაიჯანის აგენტები, ბოლშევიკები, რუსი მოხალისეები (თეთრგვარდიელები), ძველი ადმინისტრაცია და სხვა მოსული ელემენტები. მეჯლისის დელეგაციის განმარტებით, მთავრობის მიერ ავტონომიის გამოცხადების გადავადება ბათუმის ოლქში აღიქმებოდა მასზე უარის თქმად, რაც ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა ოსმალური, რუსული თუ აზერბაიჯანული ავტონომიის ლოზუნგებით აქ მოქმედ ანტიქართულ ძალებს. ამიტომ მ. აბაშიძეს მიზანშეწონილად მიაჩნდა სამუსლიმანო საქართველოში ძალაუფლების გადაცემა მეჯლისისათვის. მით უმეტეს, რომ „მცხოვრებნი მეჯლისს თანაგრძნობით უყურებდნენ და მისი მეშვეობით საქართველოსთან დაკავშირებულად გრძნობდნენ თავს".[235]

ბ. ჩხიკვიშვილი კი იმავე 26 ივლისს ნ. ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილში[236]

---

229 სცსსა, ფ. 1861, ან. 1, ს. 441, ფურც. 27-28.
230 ამავე, ფ. 2, ს. 242, ფურც. 137.
231 სცსსა, ფ. 1861, ან. 2, ს. 167, ფურც. 63.
232 იქვე. ფურც. 23-25.
233 იქვე. ფურც. 25.
234 გაზ. „ერთობა", №175, 1920.
235 იქვე.
236 სცსსა, ფ. 1861, ან. 2, ს. 127, ფურც. 1-9.

ამტკიცებდა, რომ მის ხელთ არსებული დოკუმენტებით, მეჯლისში იყვნენ ანტი-ქართული ორიენტაციის წევრებიც. ამდენად, ის ვერ ჩაითვლებოდა მთლად საიმედო დასაყრდენ სახელმწიფოებრივ სტრუქტურად. მისივე აზრით, გარეგნული იყო ბათუმის ოლქში არსებული სიმშვიდეც, რადგან საქართველოს ერთიანობის მტრები ხელსაყრელ დროს ელოდნენ, რათა გაეღვივებინათ სარწმუნოებრივი ფანატიზმი და აემხედრებინათ მოსახლეობა. ამდენად, ბ. ჩხიკვიშვილის შეფასებით, გარდამავალ პერიოდში სამუსლიმანო საქართველოს მმართველობისათვის მთავრობის მიერ არჩეული გზა იყო „ერთადერთი და სწორი". განსაკუთრებული პირობების მოხსნის შემდეგ კი „ავტონომიის საწინააღმდეგო პრინციპულად არაფერი მაქვსო", - დასძენდა საგანგებო კომისარი. ისე კი მას, როგორც თავგამოდებულ სოციალ-დემოკრატს, წარმოუდგენლად მიაჩნდა ძალაუფლების გადაცემა ძველი, ბეგური შემადგენლობის მეჯლისისათვის. ამასთან, საესებით სამართლიანად, ბ. ჩხიკვიშვილს მეჯლისი ესახებოდა არა საკანონმდებლო, არამედ ადგილობრივი მმართველობის ორგანოდ, რომელიც ხელახლა უნდა აერჩიათ დემოკრატიულ საფუძველზე, რესპუბლიკის საერთო კანონების შესაბამისად,[237] რომ მიეღო ლეგიტიმური რეგიონული საკანონმდებლო ხელისუფლების სტატუსი.

ბ. ჩხიკვიშვილის მოსაზრებებს იზიარებდნენ ბათუმში მოღვაწე სხვა პოლიტიკოსებიც. თვით მეჯლისში გამოიკვეთა საქართველოსთან ავტონომიის გარეშე შეერთების ჯგუფი. მათგან ბ. ჩხიკვიშვილმა შექმნა 15-კაციანი კომისია ბათუმის ოლქის მართვა-გამგეობის კომპეტენციის და ფარგლების საბოლოოდ შესამუშავებლად და საქართველოს დამფუძნებელ კრებაში შესაბამისი დოკუმენტის წარსადგენად.[238]

სამუსლიმანო საქართველოს ახალგაზრდებშიც გამოჩნდნენ სოციალ-დემოკრატიული იდეების მიმდევრები (რიზალ გოგიტიძე, ხასან თხილაიშვილი და სხვ.). ბ. ჩხიკვიშვილის ცნობით, ისინი კონსერვატორების საპირისპიროდ ხელისუფლებასთან ერთად „აწარმოებდნენ საერთო-სახელმწიფოებრივ მუშაობას".[239]

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" ვეტერანი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ხ. თხილაიშვილი პრესაშიც გამოვიდა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მოწყობის საკითხზე. ავტონომია მას მიაჩნდა ფართო ადგილობრივ არჩევით თვითმმართველობად. ამასთან, ის ერობის მომხრე იყო და მოითხოვდა აჭარის სოფლებში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას.[240]

ზემოაღნიშნული იდეა მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციებიდან განაცხადა თაჰსინ ხიმშიაშვილმა. მის მიერ 1920 წ. ნოემბერ-დეკემბერში გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებულ წერილებში: „ქართველი მუსლიმანები და მისი დემოკრატია", „მეჯლისი და ავტონომია" და სხვ.[241] ხაზგასმული იყო, რომ არსებულ პირობებში „ავტონომიის შემოღება ძალაუფლებას ისევ ზემოთა წრეებს დაუტოვებდა, ხოლო დემოკრატია კელავ დამონებული და დაბეჩავებული დარჩებოდა".

იგივე მოსაზრებით თ. ხიმშიაშვილი სუბიექტურად აფასებდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს" და მას თავისი სოციალური ბუნებით აიგივებდა „სედაი მილეთთან". მისივე განმარტებით, ორივე ეს ორგანიზაცია

---

237 გაზ. „ერთობა", №235, 1920; გაზ. „ბათომის ფურცელი", №29, 1920.
238 გაზ. „ერთობა", №235, 1920.
239 იქვე.
240 გაზ. „ბათომის ფურცელი", №29 და №31, 1920.
241 გაზ. „ერთობა", №№252, 256, 263, 273, 1920.

გამოდიოდა სარწმუნოებრივი დროშით და ავტონომიის მოთხოვნით. ამით კი ისინი ხალხში აღვივებდნენ ფანატიზმს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველი დგას ეროვნულ ნიადაგზე და მოითხოვს ავტონომიას საქართველოს ფარგლებში, ხოლო მეორე - ამას მოელის გარეშე იმპერიალისტური ძალებისაგან. ამასთან, თ. ხიმშიაშვილის მტკიცებით, პოლიტიკური ავტონომია იყო ერთპიროვნული ლიდერობის მოსურნე მეჯლისის ხელმძღვანელთა ინიციატივა, ხოლო ხალხი მასში გულისხმობდა მხოლოდ სკოლის და რელიგიური საქმეების თვითგანკარგვას და არა პოლიტიკურ მმართველობას.

აღნიშნული საჯარო გამოსვლები და სამუსლიმანო საქართველოს პრობლემების სოციალისტურ პრიზმაში განხილვა თახსინ ხიმშიაშვილს მმართველი პარტიის ნდობას უხეჯდა. ჩანს, ამავე მიზნით, მის თანამოაზრეებს უცდიათ „სახალხო პარტიის" დაარსებაც, რეგიონის ყველა დემოკრატიული ელემენტის გასაერთიანებლად, თუმცა, უშედეგოდ.[242]

მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამაც აჩვენა აღნიშნული პრობლემისადმი თ. ხიმშიაშვილის მიდგომის ნაკლები გულწრფელობა და დაადასტურა, რომ მას ძირითადად ამოძრავებდა სამუსლიმანო საქართველოში პოლიტიკური სადაეეების ხელში აღების ინტერესები, რაც მკვეთრად არასასურველი ფორმით წარმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში.

ბათუმის ოლქის საგანგებო კომისრის პოლიტიკური კურსის მხარდამჭერად გამოვიდნენ, აგრეთვე, გაზეთები – „ბათომის ფურცელი" და „ეხო ბატუმა". მათი შეფასებით, საქართველოს საგარეო ვითარების სტაბილიზაციამდე სახიფათო იყო ამ მხარეში რაიმე პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა და ავტონომიის შემოღება.[243]

და ბოლოს, მძიმე საშინაო და საგარეო ვითარების პირობებში, სამუსლიმანო საქართველოსთვის (ასევე საინგილოსა და აფხაზეთისათვის) ავტონომიური მმართველობის ნაჩქარევად და მოუმზადებლად მინიჭებისაგან თავს იკავებდა საქართველოს მთავრობაც. მ. აბაშიძე და მეჯლისის ხელმძღვანელობა კი დაჟინებით მოითხოვდა ავტონომიის დაუყოვნებლივ შემოღებას. ამ საფუძველზე თავი იჩინა დაპირისპირებამ მეჯლისსა და მთავრობის მიერ დანიშნულ საგანგებო კომისარს შორის.

შექმნილ ვითარებაში გასარკვევად ხელისუფლებამ 21 სექტემბერს ბათუმში მოაწვინა დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატი პეტრე გელეიშვილი. მან 12 დღის მანძილზე იმოგზაურა ოლქში, შეხვდა სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის და სასულიერო წოდების ადგილობრივ პირებს. 8 ოქტომბერს მან მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგინა დაწერილებითი ანგარიში,[244] რომელიც შეიცავს მრავალ საყურადღებო ფაქტს და არგუმენტს. პ. გელეიშვილის შეფასებით,[245] მთავრობას ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ აქ „სრულიად არაფერი გაუკეთებია... არც ერთი ახალი მომხრე და მოყვარე ჩვენი ქვეყნისა არ შეგვიძენია და რაც გვყავდა სულ-ერთიანად მოგვიმდურებია... სრულიად საკმარისია რაიმე უსიამოვნება მოგვიხდეს მეზობელ სახელმწიფოსთან, რომ ქართველი მაჰმადიანები გაყვნენ პირველი ავანტიურისტის რჩევას და გამოვიდნენ ჩვენს საწინააღმდეგოდო".

---

[242] გაზ. „ერთობა", №256, 1920.

[243] გაზ. „ბათომის ფურცელი", №30, 1920.

[244] ა.სილაგაძე, ჯ.გურული, პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წ.). ბ.გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. თბ., 1998, გვ. 11-34.

[245] ბ. გელეიშვილი იყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა პირველი თაობის წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს და დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) წევრი. ის გამოირჩეოდა ჯიუტი ხასიათით და რადიკალურობით. მას სერიოზული უთანხმოება აქონდა ნოე ჟორდანიასთან და მისი მთავრობის წევრებთან. (იხ. იქვე, გვ. 8-9). ეს თვისება აშკარად იგრძნობა მის მიერ წარდგენილ მოხსენებით ბარათშიც.

ამგვარი საგანგაშო დასკვნის საფუძველად ჰ. გელეიშვილი, რიგ სხვა არგუმენტებთან ერთად, თვლიდა ავტონომიის საკითხის მოუგვარებლობას, რაც, მისივე სიტყვით, აქ ყველას აღელვებდა, „დიდს და პატარას, ბეგს, გლეხს თუ სასულიერო პირს, ნასწავლს თუ უსწავლელს“[246].

ჰ. გელეიშვილის აზრით, დაძაბულობის განსამუხტავად აუცილებელი იყო მთავრობის პოლიტიკის ძირფესვიანად შეცვლა. კერძოდ, ეროვნულ-კულტურული მუშაობის ფართოდ გაშლა: „უვარგისი ჩინოვნიკების“ აქედან გაწვევა; სამსახურში ადგილობრივი ინტელიგენციის ჩაბმა და მათზე დაყრდნობა“.[247]

ბათუმის ოლქში მთავრობის ადმინისტრაციულ პოლიტიკას დაუპირისპირდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავის გაზეთ „საქართველოთი“, სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი „სახალხო საქმე“ და თვით მმართველი პარტიიდან გამოყოფილ „დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატთა“ გაზეთი „ახალი სხივი“.[248] ოპოზიციური პრესა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მ. აბაშიძის და მის თანამოაზრეთა მოღვაწეობას და აკრიტიკებდა ბ. ჩხიკვიშვილის მმართველობის ხაზს და მთავრობის საკადრო პოლიტიკას. ასევე მიუთითებდნენ მთავრობის „სოციალისტური ექსპერიმენტების“ უარყოფით როლზე ამ ახალშემოერთებულ რეგიონში.

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველოც“ დაუფარავად ამხელდა ზემოაღნიშნულ შეცდომებს, მაგრამ, ამასთან, სათანადო წინდახედულებასაც იჩენდა და ქართველ მაჰმადიანებს მოუწოდებდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ერთგულებისაკენ. აფრთხილებდა თანამემამულეებს – არ წამოგებოდნენ მტრის პროვოკაციულ ქადაგებებს, ერთმანეთისაგან გაემიჯნათ მთავრობის პოზიცია და ბ. ჩხიკვიშვილის და მისი მოხელეების მოქმედებანი.

ასეთი პოლიტიკური ვნებათაღელვის ვითარებაში, 1920 წ. 5 ნოემბერს, დამფუძნებელმა კრებამ კვლავ განიხილა სამუსლიმანო საქართველოს, აფხაზეთისა და საინგილოს ავტონომიის საკითხი. გადაწყდა საგარეო საფრთხის შენელებამდე სამივე რეგიონში დაეტოვებინათ საგანგებო მმართველობა. ამასთან, აღინიშნა, რომ ავტონომიური მმართველობის საკითხი იყო გათვალისწინებული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტში.[249]

საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა, რომ ბ. ჩხიკვიშვილის პოლიტიკას ბათუმსა და ოლქში ბევრი უკმაყოფილო ჰყავდა. ამიტომ, ნოემბრის შუა რიცხვებში ის თბილისში გაიწვია და აქ გრიგოლ გიორგაძე დანიშნა. ამასთან, შეზღუდა საგანგებო კომისრის სტატუსი და გარდაქმნა მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულად ბათუმის ოლქში.[250]

ოპოზიციური პრესა კმაყოფილებით შეხვდა ამ ფაქტს. გრ. გიორგაძემ გაითვალისწინა წინამორბედის შეცდომები და ადგილობრივი ძალები მიიწვია ადმინისტრაციულ აპარატში, რითაც გარკვეულად ჩაანცრო ვნებათაღელვა. მანვე შექმნა სათათბირო, რომელშიც შეეიდნენ მეჯლისის სამი, ქალაქის ორი და რაიონების თითო წარმომადგენელი.

---

246 ჰ. გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი... გვ. 22-23.
247 იქვე, გვ. 33.
248 გაზ. „ერთობა“, №235, 1920.
249 გაზ. „ერთობა“, №273, 1920.
მართლაც, 1921 წ. 21 თებერვალს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში (მუხლი 107) ჩაწერილია: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს - აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი) ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“.
250 გაზ. „ერთობა“, №262, 1920.

* * *

1920 წ. მეორე ნახევარში საგრძნობლად გაუარესდა ბათუმის ოლქის ეკონომიკური მდგომარეობა. აზერბაიჯანის გასაბჭოებამ და ნავთობის მოწოდების შეწყვეტამ ჩაკლა ბათუმის მრეწველობა. დაიხურა ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოები, რის შედეგადაც უმუშევართა რიცხვმა შემოდგომისათვის 5.500 კაცს მიაღწია.[251]

არც მომუშავენი იყვნენ უკეთეს პირობებში. საბჭოთა რუსეთის მიერ იზოლაციაში მოქცეულ საქართველოში მალე საგრძნობი გახდა ფულის კურსის დაცემა. პროდუქტებსა და პირველადი მოხმარების საქონელზე ფასების ზრდის გამო მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი ვეღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნილების მინიმუმსაც კი. ამიტომ ოლქის ხელმძღვანელობამ მთავრობის წინაშე დააყენა ხელფასების გაზრდის საკითხი,[252] მაგრამ ფულის ინფლაციის გამო მთავრობამ ამისგან თავი შეიკავა. სამაგიეროდ, ბათუმის ქალაქის მმართველობას მისცა კახეთიდან სიმინდის შეუზღუდავად შემოტანის უფლება.[253]

ხელისუფლებამ სცადა, აგრეთვე, ქალაქის მოსახლეობის სასურსათო გაჭირვების ნაწილობრივ შემსუბუქება ე.წ. „მუშათა მაგიდების" და იაფი სასადილოების შემოღებით, მაგრამ ეს ვერ ხსნიდა პრობლემას. ბათუმში მრავალად იყვნენ საშოვარზე ჩამოსულები და სეზონურად მომუშავენი. ამიტომ დაიწყო მათი ქალაქიდან ადმინისტრაციული წესით გასახლება.[254]

მძიმე მდგომარეობა იყო სოფლადაც, რის მოწმეც 1920 წ. სექტემბერში გახდა თვით აკ. ჩხენკელი. გაზეთის ცნობით: ბათუმის და არტაანის მხარეთა სოფლებში, რომელთა „მცხოვრებლებმა დიდი გაჭირვება, დარბევა, გაძარცვა-აწიოკება და ულტა განიცადეს ამ ექვსი წლის განმავლობაში... განსაკუთრებით აღსანიშნავია ქერიოობლების სიმრავლე ყოველი ფეხის ნაბიჯზე. დეპუტატმა დაათვალიერა... ღარიბთა ქოხები და ერთი პეშვი ფქვილიც ვერ ნახა. მდგომარეობა აუწერელია. ქალი და ბავშვი ბევრ ალაგს უკვე სხვის მომკილ ყანებში აგროვებს თითო-ოროლა ქერის თავთავს".[255]

მძიმე სასურსათო მდგომარეობა შეიქმნა აქ დისლოცირებულ სამხედრო ნაწილებშიც, რის შესახებაც 1920 წ. ოქტომბერ-ნოემბერში არაერთხელ აცნობებს მომარაგების ცენტრალურ უწყებას თბილისში.[256] უფრო ადრე ჰ. გულეიშვილიც მიუთითებდა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებზე და სურსათის ნაკლებობაზე, რაც ჯარისკაცებს უბიძგებდა წერილმანი ქურდობისა და იარაღით ვაჭრობისკენ.[257]

მძიმე მდგომარეობით სარგებლობდნენ მტრები, პირველ ყოვლისა — ბოლშევიკები, რომლებიც ბათუმში კვლავ გამოჩნდნენ, როგორც კი მხარე დედა-სამშობლოს დაუბრუნდა. თუმცა, ბ. ჩხიკვიშვილის საგანგებო კომისრად მუშაობის პერიოდში მათი საქმიანობა აქ შეზღუდული იყო.

საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია აცხადებდა, თითქოს 1920 წ. მეორე ნახევარში ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ მოიცვა ბათუმის ოლქის სოფლებიც, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. ბოლშევიკები ძირითადად ქ. ბათუმში საქმია-

---

251 ბ.ცქვიტარია. აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. 2, ბათ., 1962, გვ. 167.
252 სცსსა, ფ. 1861, აწ. 2, ს. 142, ფურც. 3, 7-8.
253 იქვე.
254 Чавлеишвили М.И., Октябрьская революция и борьба за установление Советской власти в Аджарии (1917-1921 гг.), Батуми, 1987, с. 154-158.
255 გაზ. „ერთობა", 1920, №215.
256 სცსსა, ფ. 1861, აწ. 2, ს. 142, ფურც. 2, 23.
257 ა.სილაგაძე, ვ.გურული, პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წ.), გვ. 25-26.

ნობდნენ. ამასთან, მათი რიცხვიც უმნიშვნელო იყო.[258] პატრიარქალურ სოფლებში კი ბოლშევიკური იდეოლოგიის წარმატებისათვის საფუძვლები არ არსებობდა. ამიტომაც იყო, რომ სომხეთის გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა აქცენტი გადაიტანეს ბათუმიდან მოშორებულ ართვინის მხარეზე, სადაც სომეხი ეროვნების მოსახლეობაში შექმნეს თავიანთი ორგანიზაცია. ამავე დროს, ართვინის მხარის ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში გამოჩნდნენ ემისრები საბჭოთა აზერბაიჯანიდან, რომლებიც თავიანთ აგიტაციაში ცდილობდნენ კომუნისტური იდეები მიესადაგებინათ ყურანის დოგმებთან.[259]

ბუნებრივია, ხელისუფლება ცდილობდა ამ „მეხუთე კოლონის" გაუნეტელყოფას, რაც იმდროინდელ ბოლშევიკურ პრესაში თუ რსფსრ მთავრობის ოფიციალურ ნოტაში აისახებოდა, როგორც საქართველოს მთავრობის მხრივ 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევა.

მუშა-მოსამსახურეებზე ეფექტური ზემოქმედებისათვის ბოლშევიკები ცდილობდნენ აღედგინათ თავიანთი გაელენა ბათუმის პროფკავშირებში. მათ ეს შესძლეს მეზღვაურთა პროფკავშირში, რომლის უმრავლესობა არაქართველი იყო. იგივე ტენდენცია შეიმჩნეოდა მენავთობეთა და მელითონეთა კავშირებშიც. ამან სერიოზულად ჩააფიქრა რესპუბლიკის მთავრობა. მისი მითითებით, 1920 წ. აგვისტოში ბათუმში ჩამოვიდა პროფკავშირების დელეგაცია საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის ხელაძის მეთაურობით. მას რამდენიმე შეხვედრა ჰქონდა დარგობრივი პროფკავშირების წარმომადგენლებთან მიმდინარე მომენტისა და ბოლშევიკების ზრახვების გარკვევა-შეფასების მიზნით.[260]

ბათუმელმა ბოლშევიკებმა სცადეს სტვენითა და პროვოკაციული ლოზუნგებით არევ-დარევა შეეტანათ საზეიმო შეხვედრაში, რომელიც ქალაქის საზოგადოებრიობამ 14 სექტემბერს მოუწყო ნავსადგურში ევროპიდან გემით ჩამოსულ II ინტერნაციონალის ბელადებს: კამილ ჰიუსმანს, ემილ ვანდერველდეს, თომას შოუს, რამზაი მაკდონალდს, ქალბატონ სნოუდენს და სხვ.[261] მათ გაავრცელეს პროკლამაცია, რომელიც მოუწოდებდა მუშებს ზურგი ექციათ „სოციალიზმის მოღალატე ყვითელი (II) ინტერნაციონალისათვის" და დარაზმულიყვნენ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის მებრძოლი წითელი (III) ინტერნაცი-ონალის გარშემო".[262] რომელიც 1919 წ. შექმნეს ბოლშევიკებმა ქ. მოსკოვში.

ბოლშევიკების მიერ მოწყობილი ობსტრუქციის მიუხედავად, ნავსადგურში დაწყებული ზეიმი გაგრძელდა ქალაქის სათათბიროს შენობაში, სადაც სტუმრებს მიესალმა მხცოვანი სოციალ-დემოკრატი ისიდორე რამიშვილი. ბათუმის ქალაქის სათათბიროს გადაწყვეტილებით, დელეგაციის პატივსაცემად ქალაქის მთავარ ქუჩას - მარინეს გამზირს ეწოდა ინტერნაციონალის გამზირი; დელეგაციის წევრები აირჩიეს ბათუმის საპატიო მოქალაქეებად; ქალაქის ორ გიმნაზიაში დაწესდა სპეციალური სტიპენდია და სხვ.

ასევე საზეიმო ვითარებაში ჩაიარა II ინტერნაციონალის ბელადების ორკვირიანმა სტუმრობამ მთელს საქართველოში. ამაღელვებელი იყო მათი ბათუმიდან

---

258 თვალსაჩინო ბოლშევიკური მოღვაწის მ.ორახელაშვილის ცნობით: 1920 წ. 15 ოქტომბრისათვის საქართველოს კომპარტიაში სულ 1.800 წევრი იყო. მათგან ბათუმის ორგანიზაცია მხოლოდ 150 კაცს მოითვლიდა (Борьба за победу Советской власти в Аджарии, с. 335).

259 ბ.ცქვიტარია, აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიიდან (1917-1922), გვ. 105-106.

260 იქვე, გვ. 107.

261 ავადმყოფობის გამო ორი კვირის დაგვიანებით, 29 სექტემბერს, ბათუმში ჩამოვიდა კარლ კაუცკიც მეუღლიანურთ.

262 იხ. გაზ. „ერთობა", №225, 1920.

ევროპაში გაცილებაც. ბრძოლის სასახლეში შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ე. ვანდერ-ველდი. მან საქართველო შეაფასა „მზიური სოციალისტური წყობილების სამშობ-ლოდ“ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ II ინტერნაციონალი აქტიურად იღვაწებდა საქ-ართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობისათვის. მართლაც, მათ ევ-როპაში აქტიურად გააჩაღეს საამისო კამპანია.[263]

ყირიმისა და სომხეთის გასაბჭოების პარალელურად, რუსეთის მთავრობა ემზადებოდა საქართველოს ოკუპაციისთვისაც. სათანადო იდეოლოგიური საფუძ-ველების შესამზადებლად მოსკოვის პრესასა და რადიოში გახშირდა საპროტესტო ნოტები და გამოსვლები დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს მისამარ-თით. აერცელებდნენ ცრუ ხმებს, თითქოს მზადდებოდა ანტანტის ჯარების მიერ ბათუმის ხელახალი ოკუპაცია, ან საქართველოს მთავრობისაგან მისი იჯარით გადაცემა, რაც იქნებოდა რუსეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ ახალი ინტერვენციის დასაწყისი და ა.შ.

საქართველოს მთავრობამ 1920 წ. 4 ნოემბერს გააკეთა კატეგორიული განცხა-დება და უარყო ინგლისის, ან სხვა ძალების მიერ ბათუმის მოსალოდნელი დაკავების საფრთხე.[264] დიდი ბრიტანეთის მთავრობის საპასუხო განცხადებაში კი ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ემუქრებოდა არა ანტანტა, არამედ თვით საბჭოთა რუსეთი.[265]

ამ პერიოდში ბოლშევიკთა გააქტიურება საგრძნობი გახდა ბათუმშიც. ცენტრმა აქ მოაელინა გამოცდილი პარტიული მუშაკები, მათ შორის იყო ბ. ძნელაძე, რომელიც ახალგაზრდობის მიმხრობის მიზნით შეუდგა კომკავშირის შექმნას.[266]

ყირიმის გასაბჭოებასთან დაკავშირებით ბათუმის მეზღვაურთა პროფკავშირმა გამოჰკიდა წითელი დროშები. იგიეე მოთხოვეს ყირიმიდან ლტოლვილ და ბათუმში თავშეფარებულ კერძო გემებსაც. ბოლშევიკებმა ბათუმში აშკარად გააჩაღეს ანტისამ-თავრობო პროპაგანდა. მათ საქმიანობას თბილისიდან დაუფარავად ხელმძღვანელობ-და საბჭოთა რუსეთის საელჩო, ხოლო ბათუმში - ამავე ქვეყნის საკონსულო. ხელი-სუფლებაც აღმეეთი ღონისძიებებით პასუხობდა უცხო ძალების პროვოკაციულ საქმიანობას.[267]

ამ დროისათვის თურქეთში საგრძნობლად გაძლიერდა ქემალისტური მოძრაობა, რომელიც გამოვიდა ძველი ოსმალეთის საზღვრების აღდგენის ლოზუნგით. მათ თვალი დაადგეს სამუსლიმანო საქართველოსაც. 1920 წ. ოქტომბერში სედაიმილეთე-ლებმა აქ გააერცელეს პროკლამაცია, თითქოს საფრთხე ექმნებოდა მუსლიმანურ სარწმუნოებას, დაიხურა სკოლები და ა.შ. ასახელებდნენ სხვა შემაეიწროებელ ფაქტებსაც და მოსახლეობას მოუწოდებდნენ მომზადებულიყვნენ საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლეელად.[268] სხვა პროკლამაციაში კი ეწერა: „სულ ახლო ხანში ჩვენ ომს გამოვუცხადებთ ჩვენი სარწმუნოების და ხალხის უფლებათა მტრებს! ჩვენი ჯარები გიახლოვდებიან თქვენ“.[269]

---

263 მ.ჯიჯეიშვილი, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში (1917-1921 წწ.), გვ. 148-150; Чавлеишвили М.И., დასახ. ნაშრ., გვ. 142-144.

264 «РСФСР и Грузинская демократическая республика», М., 1922, с. 52-53.

265 «Борьба за победу Советской власти в Аджарии», с. 346-347.

266 ბ.ცქვიტარია, აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიიდან (1917-1922), გვ. 107-108.

267 მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციისათვის 18 ნოემბერს ბათუმში დააპატიმრეს მეზღვაურთა კავშირის ხელმძღვანელობა, ხოლო 1921 წ. 20 იანვარს ამგვარივე საქმიანობისათვის დაკავეს და ქვეყნიდან გაძევეს რუსეთის 49 მეზღვაური (Борьба за победу Советской власти в Аджарии (1917-1921), сс. 346, 348-350).

268 ხ.ახვლედიანი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში (1917-1921), ბათ., 1971, გვ. 119.

269 გაზ. „საქართველო“, №136, 1920.

ზოგ შემთხვევაში პროპაგანდას ცელიდა ძალის დემონსტრირება. საზღვრისპირა ართვინის მხარეში გადმოდიოდნენ „ჩეთნიკები", რომლებიც ძალადობით და ყაჩაღობით ცდილობდნენ შიში ჩაენერგათ მოსახლეობაში.[270]

საქართველოში რსფსრ სამხედრო ატაშე 5 ნოემბერს მოსკოეს აცნობებდა: „აჭარის ყველა მსხვილ ცენტრში ხდება კონსპირაციული შეხვედრები. მიდის იარაღის და ვაზნების შესყიდვა. 20 ოქტომბერს ხალხმრავალი კრება შედგა პლატფორმა „თამარის" ერთ-ერთ აგარაკზე. კრებაზე გამოვიდა რიზელი თურქი, ყველა მონაცემებით ოფიცერი, რომელმაც გააკეთა მოხსენება მუსტაფა ქემალის ამოცანებზე. მომხსენებელმა ურჩია დამსწრეთ, რომ დროზე ადრე არ დაეწყოთ რაიმე სეპარატული ღონისძიებები და დაეცადათ დირექტივებისათვის თურქეთიდან".[271]

ზემოთ აღინიშნა, რომ აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ისლამისტური და ბოლშევიკური პროპაგანდა შეზავებული სახით მიმდინარეობდა. თუმცა, ბაქოს პანისლამისტურ ცენტრთან დაკავშირებული ემისრები აგიტაციას უფრო თურქეთის სასარგებლოდ წარმართავდნენ. ჰ. გელეიშვილის ცნობით, ქობულეთელი სედაიმილეთელების მიერ ბაქოს ყრილობაზე წარგზავნილმა დელეგატებმა „იქ განაცხადეს: თუ ქემალ-ფაშა წინ წამოვა, ჩვენ ბათუმის ოლქში 15 ათასი კაცი გვყავს მზად, რომ შევუერთდეთო... ეს სედაიმილეთელები ღამ-ღამობით სოფლებში აწყობენ კრებებს, უხსნიან ბაქოს ყრილობაზე შემუშავებული მოქმედების პროგრამას და ხალხს ამზადებენ ასაჯანყებლადო".[272]

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს კონტრდაზვერვამ ბათუმის ოლქში თურქეთიდან ოფიცერთა, ინსტრუქტორთა და პროპაგანდისტთა სხვადასხვა ფორმით შემოგზავნის არაერთი ფაქტი გამოაელინა. დეკემბერში ბათუმში გამოჩნდნენ რიზედან და ტრაპიზონიდან შემოგზავნილი ცალკეული ჯგუფები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ჩამოვიდნენ სამუშაოდ საყაენეებში, მეთევზეებად და სხვ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის საგანგებო რაზმის უფროსის – ჯანელიძის დასკვნით, მუშების და სხვა სახით გადაცმული აგენტების შემოგზავნას ანგორის მთავრობა ახდენდა „იმ მოსაზრებით, რომ ბათომზედ და მის ოლქზედ გამოლაშქრების დროს ყველაფრით ხელი შეუწყოს მის შემოტევას".[273] ბათუმის საგანგებო რაზმის ოპერატიულმა მუშაკებმა ოლქის ადმინისტრაციაშიც გამოავლინეს ქემალისტების რამდენიმე მომხრე და აგენტი.[274]

საგარეო საფრთხის ზრდის პირობებში, 8 ნოემბერს გამოცხადდა ბათუმის გვარდიის მობილიზაცია.[275] რამდენიმე დღეში დაიწყეს 1890-1893 წლებში დაბადებულ მამაკაცთა საყოველთაო მობილიზაციაც.[276]

შექმნილ ეითარებაში გაიზარდა საზღვარგარეთ გახიზვნის მსურველთა რიცხვი. ბათუმში რსფსრ კონსულის 26 დეკემბრის ცნობით: „ბურჟუაზიის გაქცევამ საქართველოდან საზღვარგარეთ მიიღო ფართო ხასიათი. ბილეთებს პირდაპირ იტაცებენ..."[277]

იმავე წლის დეკემბერში ბათუმის ნავსადგურში რეიდზე დადგნენ საფრანგეთის სამხედრო გემები, რომლებითაც კრიტიკულ დროს აქედან უნდა გაეყვანათ უცხოელი დიპლომატები და მოქალაქეები. საფრანგეთის მთავრობამ თბილისში თავისი სამხედ-

270 სცსსა, ფ. 1861, ან. 2, ს. 142, ფურც. 21.
271 იქვე, ფ. 1874, ან. 1, ს. 2, ფურც. 175.
272 ა.სილაგაძე, ჟ.გურული, ბოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წელი), გვ. 16.
273 სცსსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 10, ფურც. 6.
274 იქვე, ფ. 1874, ან. 1, ს. 3, ფურც. 151.
275 იქვე, ს. 2, ფურც. 216.
276 Газ. «Эхо Батума», №108, 1920.
277 სცსსა, ფ. 1874, ან. 1, ს. 3, ფურც. 182.

რო მისიის მეთაურს მისცა ინსტრუქცია, რომ საჭიროების შემთხვევაში უზრუნველეყო საქართველოს მთავრობის წყვრების ევაკუაციაც.[278]

შექმნილ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ოლქის მკვიდრი მოსახლეობა. ამიტომ, ნოემბერ-დეკემბერში იგი შემოიარეს საქართველოს მთავრობის და ადგილობრივი ინტელიგენციის ავტორიტეტულმა წარმომადგენლებმა: ისიდორე რამიშვილმა, ჰაიდარ აბაშიძემ, პლატონ მიქაბერიძემ და სხვ. 17 ნოემბერს ქობულეთში შედგა „თემთა საზოგადო ყრილობა", რომელმაც „საყოველთაოდ განაცხადა, რომ როგორც დღეს შექმნილ რთულ პირობებში, აგრეთვე, სამუდამოდ იგი არის და იქნება ავტონომიურად საქართველოს დემოკრატიასთან ერთად, სამშობლოს ასაყვავებლად და მისი ძლიერების განსამტკიცებლად".[279]

29 დეკემბერს ქედაში შეკრებილმა სოფლების წარმომადგენლებმაც დაადასტურეს თავიანთი ერთგულება მთავრობისადმი და გამოხატეს მზადყოფნა დაეცვათ რესპუბლიკა ყოველგვარი თავდასხმისგან.[280] მსგავსი სულისკვეთებით ჩაიარა 16 დეკემბერს ხულოში შაია ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შეკრებილმა ზემო აჭარის სოფლების წარმომადგენელთა ხალხმრავალმა მიტინგმაც.[281]

გარდა სამაზრო ცენტრებისა, მოსახლეობასთან შეხვედრები შედგა, აგრეთვე, მსხვილ სასოფლო თემებში. 17 დეკემბერს სოფ.ფურტიოში გაიმართა სხალთის საზოგადოების სოფლების მრავალრიცხოვანი კრება ემინ ქარციკაძის მეთაურობით. 18 დეკემბერს კი ხიჭაურში, მემედ ბერიძის თაოსნობით, შეიკრიბნენ ჭვანის საზოგადოების მცხოვრებნი. 19 დეკემბერს დანდალოელებთან გაიმართა შეხვედრა იბრაიმ დიასამიძის ინიციატიეით, 20 დეკემბერს კი სოფ. მერისში მოიწვიეს დიდი სახალხო ყრილობა საქირ-ბეგ შერვაშიძის მეთაურობით. შეკრებილებმა მოითხოვეს სკოლების და მაღაზიების გახსნა, გზების და წყალსადენების გამართვა, აგრეთვე, თურქეთთან საზღვრების გამაგრება. ამ მიზნით მთავრობას აღუთქვამდნენ თანადგომას და სათანადო დახმარებას გამწეეი ძალით, ურმებით და ა.შ. ისინი გამოთქვამდნენ მზადყოფნას, რომ თავიანთ ტერიტორიაზე არ მისცემდნენ ასპარეზს საქართველოს ერთიანობის მტრებს.[282]

ასეთ ეითარებაში დასრულდა და 1921 წ. 5 იანვარს პრესაშიც გამოქვეყნდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა" და საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ძირითადი მუხლები ბათუმისა და მისი ოლქის ავტონომიის ფორმის შესახებ.[283] ამ დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ „სამუსლიმანო საქართველო შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს ფართო ავტონომიური მართვა-გამგებლობით". შემდეგ მუხლებში განსაზღვრული იყო მისი საშინაო მმართველობის

---

[278] იქვე, ფურც. 183.
აღსანიშნავია, რომ საქართველოზე საბქოთა რუსეთის თავდასხმის შემდეგ, საფრანგეთის სამხედრო ესკადრამ უზრუნველყო საქართველოს სანაპირო ზოლის დაცვა. ამის გამო ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს თავისი საზღვაო ფლოტის გამოყენება და იძულებული გახდნენ მხოლოდ სახმელეთო ბრძოლით შემოფარგლულიყვნენ. ასე გადაურჩა ზღვისპირა ქალაქები და მისი მოსახლეობა რუსული ქვემეხებით ნგრევას და განადგურებას. ფრანგული ხომალდების მეშვეობით მოხდა აგრეთვე, 1921 წ. 17 მარტს, საქართველოს მთავრობის, სამხედრო პირების, მშვიდობიანი მოქალაქეების და ეროვნული საგანძურის ბათუმიდან ევაკუაცია (იხ. თ. ჩაჩანიძე, ფრანგული ესკადრის ოპერაციები საქართველოს სანაპიროსთან. სამხედრო-პოლიტიკური ჟურნ. „არსენალი", №6, ივნისი 2006, გვ. 40-44.).
[279] იქვე, ფ. 1861, ან. 2, ს. 193, ფურც. 46.
[280] იქვე, ფ. 1874, ან. 1, ს. 3, ფურც. 150.
[281] იქვე, ფ. 1861, ან. 2, ს. 193, ფურც. 58-60.
[282] იქვე, ფურც. 61-62; 73-74.
[283] გაზ. „სამუსლიმანო საქართველო", №496, 1921.

და კომპეტენციის ფარგლები. მე-5 მუხლით ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოდ ცხადდებოდა მეჯლისი, რომელიც, მსგავსად საქართველოს დამფუძნებელი კრებისა, უნდა არჩეულიყო „საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის თანახმად". 21-ე მუხლით სამუსლიმანო საქართველოს სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული ენა. მე-16 მუხლი კი „სამშობლოს ინტერესების დასაცავად გარეშე თუ შინაური მტრისაგან" აცხადებდა „სამუსლიმანო საქართველოს მუდმივი სახალხო ლეგიონის" შექმნას ნებაყოფლობით საწყისებზე, რომელიც „საომარ ვითარებაში ექვემდებარებოდა საქართველოს ცენტრალურ მთავრობას"[284] და ა.შ.

ამ მომენტისათვის აღნიშნული დოკუმენტის საერთო-ქართული ხასიათი და სამშობლო-ქვეყნის განუყოფლობისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება იმდენად აშკარა იყო, რომ მის წინააღმდეგ ტრაპიზონში სასწრაფოდ დაიბეჭდა ავტონომისტ - სედაიმილეთელების ბროშურა მყვირალა სათაურით „გასაყიდი ხალხი". მასში ამ დოკუმენტის ყველა მუხლი შეფასებული იყო, როგორც მუსლიმანთა სოლიდარობის საწინააღმდეგო დებულება და ქართულ-ქრისტიანულ სამყაროსთან ქართველ მაჰმადიანთა თანდათანობითი შერწყმის ღონისძიება.[285]

ამრიგად, ქართველ მამულიშვილთა მრავალწლიან ბრძოლასა და ღვაწლს ერის ერთიანობა-მთლიანობის აღდგენა-შენაჩრუნებისათვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. 1920 წ. მეორე ნახევარში ბათუმის ოლქში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური სირთულეების მიუხედავად, ჯანსაღმა ეროვნულმა ძალებმა სწორად განსაზღვრეს არსებული რეალობა და შეძლეს საერთო-ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების შესატყვისი გადაწყვეტილებების მიღება. ამით წარმატებით დაგვირგვინდა სახელმწიფოებრიობააღდგენილ საქართველოსთან მისი სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიების პოლიტიკურად გაერთიანების უმნიშვნელო-ვანესი ამოცანა, რაც ეროვნული კონსოლიდაციის უცილობელ პირობას ქმნიდა.

---

[284] საქართველოზე საბჭოთა რუსეთის თავდასხმისთანავე დაიწყო ამ ლეგიონის ფორმირება. მის მეთაურად დაინიშნა გენერალი ასლან აბაშიძე. 16 თებერვალს საქართველოს გენშტაბში შესული ცნობით: „აჭარლები ითხოვენ ფრონტზე გაგზავნას და მემედ-ბეგ აბაშიძეს უკვე პყავს 300 კაცი" (სცსსა, ფ. 1872, ან. 1, ს. 22, ფურც. 3,23).

[285] იხ. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", №№58, 60, 62, 1920.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა და გერბი



საქართველოს

კონსტიტუცია

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

ბათუმი

სტამბა ნ. ი. სალინგიანი

1921 წლის მარტში ბათუმში გამოცემული
დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუცია

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა
(დამტკიცებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წ. 21 მარტს)

ნოე ჟორდანია

ნოე რამიშვილი

ევგენი გეგეჭკორი

კონსტანტინე კანდელაკი

ნოე ხომერიკი



საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომა.
მარჯვნივ ლოჟაში სხედან საქართველოს მთავრობის წევრები. თბილისი, 1919 წ.



1919 წელი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის
ერთი წლისთავის ზეიმი თბილისში. ტრიბუნაზე: ნ. ჟორდანია, მთავრობის სხვა წევრები
და უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები



1918 წ. დეკემბერი. დიდი ბრიტანეთის ჯარების შემოსვლა ბათუმში



ინდუსთა ბატალიონი



ინგლისელი (შოტლანდიელი) ჯარისკაცები ბათუმში



Proclamation of the Military Governor of the

Province and town of Batoum.

In order that everybody should have the same time and to economise in fuel I order:

At 12 midnight (Christmas-Eve) January the 21 1919 to put the watches forward 50 minutes and to use henceforth the time used by the British Military Authorities.

A gunn is fired daily at 12 midday and this time must henceforth be used by all government offices.

Disobedience of this order will be punished by the Administration.

21 Jan. 1919
Batoum.

Military Governor
of Batoum province
COOKE COLLIS

ПРИКАЗЪ

Военнаго Губернатора Батумской Области.

Въ видахъ однообразія въ исчисленіи времени и экономіи въ топливѣ, приказываю:

Въ полночь сего мѣстнаго времени съ 21 на 22 января (ст. ст.) переставить часы на 50 минутъ впередъ и исчислять отнынѣ, впредь до особаго распоряженія, часы по времени, принятому въ англійскомъ флотѣ.

Ежедневно будетъ производиться выстрѣлъ изъ пушки въ 12 ч. дня по новому исчисленію времени, какое отнынѣ принято во всѣхъ правительственныхъ учрежденіяхъ.

Виновные въ неисполненіи этого приказа будутъ подвергнуты законной отвѣтственности.

21 января 1919 г.
г. Батумъ.

Военный Губернатор
Батумской Области
КУКЪ-КОЛЛИСЪ

(1)

(2)

(3)

ბათუმის ოლქის ბრიტანული საოკუპაციო ხელისუფლების მიერ გამოცემული ბრძანება (1). საფოსტო მარკები (2) და 1919 წ. აღგილობრივ მიმოქცევაში გაშვებული ე.წ. „ბათუმის ხაზინის ფულადი ნიშნები“ – ჩეკები (3)

დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი, საქართველოს მეგობარი ოლივერ უორდროპი,



KINGDOM OF GEORGIA

NOTES OF TRAVEL IN A LAND OF WOMEN WINE, AND SONG

TO WHICH ARE APPENDED HISTORICAL, LITERARY, AND POLITICAL SKETCHES, SPECIMENS OF THE NATIONAL MUSIC, AND A COMPENDIOUS BIBLIOGRAPHY

By OLIVER WARDROP

WITH ILLUSTRATIONS AND MAPS

LONDON

SAMPSON LOW, MARSTON, SEARLE, & RIVINGTON

ST. DUNSTAN'S HOUSE, FETTER LANE, FLEET STREET, E.C.

1888

[All rights reserved]

ო. უორდროპის წიგნი „საქართველოს სამეფო“. გამოიცა ლონდონში, 1888 წ.



ოლივერ უორდროპი და ცნობილი მეწარმე, მეცენატი დავით სარაჯიშვილი

სამუსლიმანო საქართველოს
განმათავისუფლებელი კომიტეტი

მემედ აბაშიძე

ჰაიდარ აბაშიძე

ზია აბაშიძე

სულეიმან დიასამიძე

სულეიმან ბეჟანიძე

ხასან თხილაიშვილი

ყადირ შერვაშიძე

იუნუს წულუკიძე

იუსუფ ქათამაძე

ქემალ ნოღაიდელი

[illegible] [illegible] [illegible] [illegible]

შაბათი 3 აპრილი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

საერთაშორისო საქართველო

[illegible]

[illegible]
3 [illegible] ..... 300 [illegible]
2 [illegible] ..... 200 [illegible]
1 [illegible] ..... 100 [illegible]

№231 ყოველდღიური საერთაშორისო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №231

რუსეთის იმპერიალისტები.

ლენინი იბრძოდა „დიდი, მოლიანი, განუყოფელ რუსეთის“ აღსადგენად. ის ჯერ ღაბმობდა რუსეთის ხალხის დაპყრობის და შემდეგ თავის მთრობების მობრუნების ამირებდა განთავისუფლებულ ერთა წინააღმდეგ. მთელი რუსეთი ტკბილ სანდერეში, — ეი მისი დევიზი. ეა ეპოლეთ ლენინი ისტერიზდა რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებულ ერებს და იმუქრებოდა, რომ ძალეს გაანთავდა და მთ თავისუფლებას. მარა ამ ჯერ შეასრულა მისი მტაცებლური მიზანი. ის უკვე თავის რევოლიონურ ლაშქრით ისტორიის არენაში გადაეშვა.

ლენინიც არსებითად ამავე მიზანს ეძახურება, ის, როგორც დენიკინი, არ ცნობს ერთი თვითგამორკვევის უფლებას. ისიც, როგორც მეკის ბენერელები. ებლოთა ღრეჩეთ ისესენიებს ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ რესპუბლიკებს და ცალკეთა და მთელი ეროერება მათ რუსეთზე მიწებებას. განსხვავება მხოლოდ ისაშია, რომ დენიკინი „მატეჩეა როსსიის“ სახელით ეერთიანებდა რუსეთს, ლენინი კი ამასვე ლამობს „სოციალიზმის“ სახელით. მარა ეისთვის არაა განსაკენი, რომ სოციალიზმი აქ მხოლოთ შორსაა, ნამდვილათ კი ეს არის მხოლოდ და მხოლოდ იმპერიალიზმი, რომელიც არაფრით არ განსხვავდება კაპიტალისტურ იმპერიალისტების მტაცებლურ პოლიტიკისაგან.

მთელი საუკუნეების განმავლობაში გმირავდენ სხვა და სხვა ერები თვითმპყრობელობის კალაფებში. მთელი საუკუნეების განმავლობაში ეს ერები ენეოდენ უსამორო ბრძოლას რუსეთის ბატონობისაგან თავის დასახსნელათ. დიდმა რევოლიუციამ ამ ერებს საშუალება მისცა აეტანენ მოობის უღლისაგან თავის დაღწევისა. მათ შეეძლეს თავის რესპუბლიკები, მოაწყეს თავის საუფლები ისე, როგორც ამას უკარნახებდათ თავის ქეყნის საარსებო ინტერესები. ერთი ერი — ერთი სახელმწიფო, აღიარეს მათ და ეს არის სწორედ განხორციელება არა მხოლოდ საამრთლიანობისა, არამედ ხალხთა შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარებისა. ეს არის ეზა ხალხთა წინ შავლელობის განმტკიცებისა.

და ყველა ის, ვინც ამ ეზას წინ ეღობება, ვინც არ ცნობს ერთი თვითგამორკვევის უფლებას, ის ამით ემსახურება არა მხოლოდ უსამართლობას, არამედ უადგილო რეაქციონურ საქმეს.

და ასეთი რეაქციონურ საქმეს ემსახურება რუსეთის ახალი თვითმპყრობელი ლენინი, რომელიც განთავისუფლებულ ერების დაპყრობას ლამობს.

და ამ უადგილად რეაქციონურ საქმეში მის ყოველთვის ეყოლება დამბმარეთ ის რუსები, რომლებიც დენიკინის მეთაურობით მთლიან რუსეთის აღდგენას ლამობენ. ლენინის ფელიციანდების და დენიკინელების ხოთ ერთი მიზანი აქვთ: ეს არის დიდი რუსეთის აღდგენა ყველი სახლეურებში. და რაკი ეს ჯერ განახორციელებს შეეძლა ლენინის შაგი ფროშის ქვეშ, დიდი ხალისით შეეერთდებიან ლენინი. ნოთელ ფროშეს, რომელიც განთავისუფლებულ ერთა მტერია.

ახლო მომავალი დაგვანახვებს, რომ დენიკინელები და ბალშევიკები ხელიხელ ჩაკიდებული აღმართავენ საერთო მთვლის „ინტერეტციებს“ წინააღმდეგ. ბაგრატიონები წინეთაც ეარშიყებოდენ დენიკინს. ვინაიდან ეს დენიკინი მათ „ინტერეტციებს“ უპყრობდა. დენიკინის გზაზეში უკვე ეარშიყებიან ლენინს. ვინაიდან ეს ლენინიც მათ „ინტერეტციებს“ უპყრობს. აქაური ფრანსენკენები ჯერ ვერ ბედავენ აშკარათ ბალშევიკებისადმი მიმართობას, რადგან ჯერ ვერ ბედავენ ეს ეაკატორები ინგლისელების განაწყენებას. მარა უკვე არის უტყუარი ნიშნები ისისა, რომ ფრანსენკენები მალე ჩადგებიან კომუნისტების წყებაში.

და ვინაიდან ჩვენი ქალაქი დენიკინელეთა ხელშია, ამ გარემოებას უნდა ეაეგნოთ სათანადო ანგარიში. მთელი მოლოკა და სანაპირო რაზმები დენიკინელებისაგან შესდგება. ეს შეარაღებული ხალხი ნურავის გაუკვირდება თუ ერთ მშვენიერ დღეს. მთლიან რუსეთის“ აღმდგენელ ბალშევიკებს მიეხმაროს.

ასეთია რუსების იმპერიალისტები. წითელია ის თუ შავი, ორივე ერთი მაგითაა შეპყრობილი. ეს ძალაა — თავისუფალ ერთა დაპყრობა, რუსეთის გაერთიანება.

მარა სწორედ ამ მაეას გადაეკეტებიან რუსეთის იმპერიალისტები ამ დროიდი ისინი საშოკალაქო ომს ანარქიზეტებენ ანი კი მათ ეეშალ საქმე განთავისუფლებულ ერთა ძალებთან. და ეს ერები მათ

ბენია ჩხიკვიშვილი – ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარი (1920 წ.)

გრიგოლ ლორთქიფანიძე

თემურ ხიმშიაშვილი

სილიბისტრო ჯიბლაძე

ისიდორე რამიშვილი

ვალოდია გოგუაძე

ჯემალ ქიქავა

მემედ გოგიბერიძე

ყემბერ ხაბაზი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერლები

ასლან აბაშიძე – დამოუკიდებელი საქართველოს პირველი გენერალი აჭარიდან

კონსტანტინე აფხაზი

სტეფანე ახმეტელაშვილი

ზაქარია ბაქრაძე

ტარასი ვაშაკიძე

ალექსანდრე ზაქარიაძე

გიორგი კვინიტაძე

გიორგი მაზნიაშვილი

გიორგი (გიგუშა) ერისთავი

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი
(შუაში ზის ნოე ჟორდანია, მისგან მარჯვნივ ვალიკო ჯუღელი)



დასავლეთ ევროპის სოციალისტური ინტერნაციონალის (II) დელეგაცია საქართველოში.
მიტინგი თბილისში. 1920 წ. სექტემბერი



სოციალისტური ინტერნაციონალის (II) დელეგაციის წევრები



ბათუმის საერთო ხედი

თავი IX

განათლება, კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა

§1. განათლება

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო შუა საუკუნეებში დაწინაურებული კულტურული მხარე იყო. აქაურ ეკლესიებსა და სამონასტრო ცენტრებში აქტიური საგანმანათლებლო ცხოვრება დუღდა. ეს მრავალგზის აღუნიშნავთ ქართველ მოღვაწეებს. 1879 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა: „... ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს".[1]

იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა: „შუა საუკუნეებში, როდესაც საქართველოს სამეფო ჰყვაოდა, მესხეთი (სადაც შედიოდა აჭარაც - აეტ.) ძლიერ დაწინაურებული ნაწილი იყო ჩვენის ქვეყნისა. განათლებით, მოქალაქეობით, სხვადასხვა ხელოვნების ცოდნით მესხნი ბევრად სჯობდნენ სხვა ქართველებსა".[2] დიდი პედაგოგი ამას იმითაც ხსნიდა, რომ სამხრეთი საქართველო უშუალოდ ესაზღვრებოდა ბიზანტიას.

ანალოგიურია თეოდო სახოკიას აზრიც: „აჭარა, - ამბობდა იგი, - ზემო ქართლის ანუ სამცხე-საათაბაგოს ნაწილს შეადგენდა. ჩვენს ისტორიაში ეს მხარე ცნობილია ჩვენს საუკეთესო მწიგნობართა აკეანად და სამშობლოდ".[3]

ოსმალთა მიერ დაპყრობის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ნადგურდებოდა ქართული კულტურისა და განათლების ცენტრები, იდევნებოდა ქართული ენა. „განათლების სისტემა" მედრესეთი ამოიწურებოდა, სადაც მოზარდებს მათთვის გაუგებარ არაბულ ენაზე რელიგიურ დოგმებს ასწავლიდნენ. მოსახლეობა ფიზიკური განადგურებისა და სულიერი დეგრადირების ზღვრამდე აღმოჩნდა.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალური და სულიერი მდგომარეობის შესასწავლად, სხვა მიზნებთან ერთად, ამ მხარეში იმოგზაურეს დ. ბაქრაძემ, ი. კერესელიძემ, გ. ყაზბეგმა, ს. მესხმა, თ. სახოკიამ, ზ. ჭიჭინაძემ, ი. მეუნარგიამ და სხვ. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ აჭარაში წმინდად იყო შემონახული ქართული ენა, ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი. დიმ. ბაქრაძე წერდა: „აჭარაში ქართული ენა თითქმის დღემდე შეუბღალავად შემორჩათ".[4] ზ. ჭიჭინაძე ახლოს გაეცნო ხალხის ცხოვრებას, მოგზაურობისას ქართულ წიგნებს არიგებდა, სალოცავად მეჩეთშიც შედიოდა, რამაც მას მოსახლეობის ნდობა და სიყვარული მოუპოვა. თავის ერთ-ერთ ნაშრომში ზ. ჭიჭინაძეს მოუყვანს ქვემო აჭარის მუფთის ხასან ეერძაძის სიტყვები: „ბატონო, ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, ჩვენი ქვეყანაც საქართველოა, ჩვენი ენა და ქვეყანაც ქართულია... ჩვენს სახლში ჩვენი ქალ-

[1] ი.ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, თბ., 1955, გვ. 11-12.
[2] ი.გოგებაშვილი, საგანძური, თბ., 1982, გვ. 280.
[3] თ.სახოკია, მოგზაურობანი, ბათ., 1985, გვ. 232.
[4] დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987, გვ. 40.

ბაღანა სულ ქართულ წიგნებს კითხულობენ".[5] საინტერესოა, რომ ამ სიტყვების ავტორი მუსლიმანური რელიგიის მადალჩინოსანი მსახურია და ეს ერთეული შემთხვევა როდი იყო.

აჭარა, მთლიანად სამხრეთი საქართველო, იყო ილიას, აკაკის, გრ. ორბელიანის, დ. ყიფიანის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ვაჟა-ფშაველას, კ. მამაცაშვილის, ს. მესხის, ზ. ჭიჭინაძის, გ. წერეთლის, თ. სახოკიას, გ. ყაზბეგის, ი. კერესელიძის, დ. კლდიაშვილის, ჰ.უმიკაშვილის და სხვა ერისკაცების მთავარი საზრუნავი. მათ ძალისხმევას ადგილზეც ნოყიერი ნიადაგი დახვდა. ამ მხრივ ნაყოფიერად მოვაწეობდნენ შერიფ და ნური ხიმშიაშვილები, იბრაიმ და მემედ აბაშიძეები, ლომანეფენდი ქარცივაძე, გულო კაიკაციშვილი, აბდულ მიქელაძე, ჰაიდარ აბაშიძე, დედე ნიჟარაძე და სხვ. ისინი დაუღალავად საქმიანობდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნული თვითშეგნების აღორძინების, ქართული სკოლებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნისათვის, სიბნელიდან ხალხის გამოყვანისათვის.

შერიფ ხიმშიაშვილი 1879 წ. გაზეთ „დროებაში" დაბეჭდილ „გულწრფელ აღსარებაში" მადლიერებას გამოხატავდა ქართული საზოგადოებისადმი და წინასწარმეტყველებდა, რომ საერთო ძალისხმევით სამუსლიმანო საქართველოში მალე წინ წავიდოდა „ქვეყნის მაშენებლობა, განახლდებოდა ციხე-ტაძარნი, სამოქალაქო ვაჭრობა, ხელოსნობა, სწავლა-მეცნიერება ზნე-კეთილობით".[6] მოგვიანებით მემედ აბაშიძე წერდა: „მიუხედავად სარწმუნოებრივი განსხვავებულობისა, საერთო უბედურების დროს, თავის დედა-ქვეყნის შვილებს, მაჰმადიან ძმებს დიდიან პატარამდე ქრისტიანმა ქართველობამ ძმური ნუგეშის ხელი გაუწოდა და შეძლებისდაგვარად შესაფერისი დახმარება აღმოუჩინა... ჩვენდამი მათი ამაგი და მზრუნველობა ვერ დაიფასების..."[7]

განთავისუფლების შემდეგ აჭარას ყოველ სფეროში სჭირდებოდა დახმარება, მაგრამ მთავარი მაინც იყო სკოლების გახსნა, წიგნების გავრცელება. სწავლა-განათლება ილია ჭავჭავაძეს ადამიანის არსებობის პირობად მიაჩნდა. 1881 წელს იგი წერდა: „...სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე, საზოგადოდ, ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულის-ყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა-გონება მართლმსჯელობასა და თვითმსჯელობასა... *სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი* იმოდენად, რომ იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუჭირვებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღვწის და მოქმედებს". ერის მოძღვარი შემდეგ მიუთითებდა: „ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელი კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც... ცხოვრების მოედნიდან ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრასედ...".[8]

დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ბათუმის ოლქში სკოლების გახსნა პრაქტიკული მუშაობის საგანი გახდა. ამასთან დაკავშირებით „შინაურ მიმოხილვაში" 1879 წ. ილია წერდა: „თუ ჩვენი სიხარული აჭარა-ქობულეთის შემოერთებაზედ პირმოთნეობა არ იყო, თუ ჩვენგან წარმოთქმულ მხურვალე სიტყვებს მკვიდრი

[5] ზ.ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, ტფ., 1916, გვ. 43.
[6] თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 201.
[7] გ. შარაძე, მემედ აბაშიძე, თხზულებანი, თბ., 1998, გვ. 72.
[8] ი.ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, გვ. 275, 358-359.

საფუძველი ჰქონდათ, ეხლა უნდა გაეუმართოთ ხელი ამ ახლადდაბადებულს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ვალად დაესდოთ, რომ აჭარასა და ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული შკოლები დამართოს. ეს შკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ... და ისევ ძმურს სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდნის დრომდე ყოფილა".[9] ერის გამთლიანების, გაჭირვებიდან ხალხის გამოყვანის უპირველეს საშუალებად ი. ჭავჭავაძე განათლებას მიიჩნევდა. იგი წერდა: „ეხლა ჩვენ ერთი დიდი და უდიდესი მოვალეობა გვაწევს: ძმებს ძმურად უნდა დავხვდეთ... უნდა იმათთვისაც ვიზრუნოთ... თუ ჭირში ვუძმეთ, ჭირში მივეშველენით - ჩვენი ერთმანეთის დაურღეველის კავშირის გაბმაც უეჭველია. ეს ისმინეთ და გაიგეთ, ქართველობავ! რა გაგვიხსნის გზას მაგ კავშირის გაბმისათვის? აკაკი წერეთელმა ჰსთქვა და ჩვენც ვიტყვით, რომ *ამისათვის ერთი უებარი სახსარია: სწავლა, ცოდნა და მეცნიერება* (ხაზგასმა ჩვენია - ავტ.). სწავლა, ცოდნა და მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი ვერ უდგება... ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის."[10]

XIX ს. 70-80-იანი წლების მიჯნაზე ქართული სახალხო სკოლების გახსნისათვის ნაყოფიერი ნიადაგი შეიქმნა: ასპარეზზე აქტიურობდა თერგდალეულთა თაობა: გამოსცეს ი. გოგებაშვილის უკვდავი „ბუნების კარი" (1868 წ.) და „დედაენა" (1876 წ.); 1879 წელს ჩამოყალიბდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომელიც აარსებდა სკოლებს, ბიბლიოთეკებს, ხელმძღვანელობდა წიგნების გამოცემას და ა.შ. ხალხი ამ საზოგადოებას საკუთარი კანონზომიერად უწოდებდა სახალხო განათლების სამინისტროს. საზოგადოების დიდ ავტორიტეტზე ისიც მეტყველებდა, რომ მის თავმჯდომარეებად იყვნენ ერის დიდი მოამაგენი — დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, გ. ყაზბეგი. ამ საზოგადოების აჭარის განყოფილების პირველი თავმჯდომარე 80-იან წლებში იყო პოეტი გრიგოლ ეოლსკი (უმწიფარიძე). XX საუკუნის 10-იანი წლებიდან კი მას ხელმძღვანელობდნენ ჯერ გ. ჟურული და შემდეგ გ. ელიავა. განყოფილებას ჰყავდა 160-მდე წევრი. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, - წერდა ი. გოგებაშვილი, - რაწამ დაარსდა, მაშინვე ჯეროვანი ყურადღება მიაქცია განათლების ამგვარ სამწუხარო მდგომარეობას საქართველოში".[11] მისი სიტყვით კი მდგომარეობა მართლაც საკვალალო იყო; 1879 წ. 912962 ქართველზე მოდიოდა 167 სასწავლებელი, ანუ ერთი სასწავლო დაწესებულება 5460 სულზე, მაშინ როცა 706886 სომეხს ჰქონდა 256, ანუ ერთი სასწავლებელი 2760 კაცზე.[12] 1880-1885 წლებისათვის საქართველოში ყველა ტიპის 230 სკოლა მოქმედებდა. რაც შეეხება აჭარას, 70-იანი წლებისათვის ბათუმში, დიმ. ბაქრაძის ცნობით, იყო დაბალი ტიპის ორი სკოლა - ბერძნული და თურქული. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ქედაში 1770 წლიდან არსებობდა მუფთის სკოლა, რომელიც ხოჯებს და მოლებს ამზადებდა. სულ ბათუმის ოლქში მოქმედებდა 207 მედრესე. ამიტომაც „ძველი საქართველოს არემარეში სწავლა-განათლების მხრივ არც ერთი კუთხე არ არის ისე ჩამორჩენილი, როგორც აჭარა"[13], - დაასკვნიდა ჟურნალი „განათლება".

ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებამ იმთავითვე სწორი კურსი აიღო. მან ქართველი ერის ბურჯად გამოაცხადა მშობლიური ენა და ილაშქრებდა რა რუსიფიკატორული

---

[9] იქვე, თხზ., ტ. V, თბ., 1955, გვ. 46
[10] იქვე, გვ. 19-20.
[11] ი.გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბ., 1940, გვ. 97.
[12] იქვე, გვ. 92-93.
[13] ჟურნ. „განათლება", №3, 1991, გვ. 2.

პოლიტიკის წინააღმდეგ, მოითხოვდა სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღებას. ერისკაცებს მიაჩნდათ, რომ ეს დაწესებულებები იმ შემთხვევაში უშველიდნენ საქართველოს, თუ ხალხის და სკოლის ენა ერთი იქნებოდა. „ყველა სკოლა, განსაკუთრებით სახალხო, დედა-ენაზედ უნდა იყოს დაფუძნებული; დედა-ენით უნდა საზრდოობდეს, მით უნდა ვითარდებოდეს, მით უნდა ხარობდეს, დედა-ენა სულია სკოლისა".[14] ი. გოგებაშვილ, ამასთანავე, ხაზს უსვამდა ქართული ენის ღირსებებს - ბრუნვის სიმარტივეს, გრამატიკული სქესების არარსებობას, თანდებულთა სიტყვის ბოლოში მოქცევას, ზმნის მრავალფეროვნებას და მოქნილობას, სინონიმებისა და ლექსიკის სიმდიდრეს. ქართული ენა ისე ღრმაა, რომ ვერ ამოსწურავს ასი შექსპირიო, ამბობდა იაკობი და იმოწმებდა რუსი პედაგოგის ე. უშინსკის სიტყვებს: „ვიდრე ენა ცოცხალია და ხალხი იმაზედ ლაპარაკობს, - ხალხიც ცოცხალია".[15] შემთხვევითი არც ის არის, რომ დასავლეთის გამოჩენილი პედაგოგები პირველ-დაწყებით სკოლას მშობლიური ენის სკოლას უწოდებდნენ. ცნობილ პედაგოგს — ლუარსაბ ბოცვაძეს მიაჩნდა, რომ თუ „დედა-ენა რიგიანად არ ესმის ბავშვს, ისე სხვა საგნების სწავლება არასოდეს ნაყოფიერი არ იქნება".[16]

მშობლიურ ენაზე სწავლების ი. გოგებაშვილისეული მეთოდოლოგია მთლიანად გაიზიარა მემედ აბაშიძემ,[17] რომელიც 1900-იანი წლებიდან აქტიურად გამოვიდა ასპარეზზე. იგი ამ საკითხს უკავშირებს ეროვნული ერთიანობის სახელმწიფოებრივ პრინციპებს და აცხადებს: „ხალხი, რომელიც დაკარგავს მშობლიურ ენას, დაკარგავს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სახესაც". ამიტომ წერილში — „ქართული ენის გაწმენდისათვის" იგი ქართულ ენას ეროვნული სიმტკიცის საძირკვლად მიიჩნევს და მას „ჩვენი ერის მთლიანობის გამომხატველ ენას" უწოდებს.[18]

მ. აბაშიძე აღფრთოვანებით მიესალმებოდა ყოველ ძალისხმევას, რომელიც ქართული ენის პოზიციების განმტკიცებას უწყობდა ხელს. იგი ყურადღების გარეშე არ ტოვებდა არც ერთ ფაქტს, რომელიც ქართულ ენაზე მეტყველებას მატებდა ძალასა და ღონეს. ამის საუკეთესო ნიმუშია მისი გამოხმაურება გაზეთ „დროების" 50 წლისთავის გამო. ქართული გაზეთის მთავარ მონაპოვრად მან მიიჩნია სწორედ ხალხის ეროვნული და ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობა. მ. აბაშიძე „დროების" დიდ დამსახურებად იმასაც მიიჩნევს, რომ ქართული ენის შემწეობით „აამეტყველა თავისი ქვეყნის ის კუთხეც კი, რომელიც დროთა გარემოებისა გამო დიდხანს იყო მოწყვეტილი სამშობლოს დანარჩენ ნაწილებს".[19]

ქართული ენის მნიშვნელობაზე მ. აბაშიძე ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე თავის ცნობილ წერილში „მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების სულიერი ერთობა". იგი აღფრთოვანებით წერს იმის შესახებ, რომ სოფ.ქაქუთიდან ჩამოსულმა დეპუტაციამ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მღვდელი ს.შავიშვილი და მოლა ა. ეარშანიძე, დასვა ქართული სკოლის შენობის გაფართოებისა და ქართულ ენაზე სწავლების საკითხი. ქართული ენის პოზიციების გაძლიერებას კი, როგორც აღნიშნული წერილის სათაურიდანაც ჩანს, მ. აბაშიძე მიიჩნევდა სხვადასხვა რელიგიის ქართველთა სულიერი ერთობის საფუძვლად და წყაროდ.[20] ამ შეხედულებას ავითარებს ის სტატიაში „სარწმუნოება და ეროვნება", რომელშიც პრინციპულად მოით-

[14] ი.გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, გვ. 70.
[15] იქვე. გვ. 150.
[16] ლ.ბოცვაძე, პედაგოგიური თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1982, გვ. 51.
[17] იხ. ნ. გუგუნავა, მემედ აბაშიძე-განმანათლებელი, ბათ., 1998.
[18] მ.აბაშიძე, რჩეული ნაწერები, 1973, გვ. 48, 51-52.
[19] იქვე. გვ. 13.
[20] იქვე. გვ. 23-24.

ხოედა ეროვნების დაყენებას სარწმუნოებაზე მაღლა: „ეროვნულ საკითხებს სარწმუნოებრივი საკითხები უნდა ჩამოვაშოროთო“ - წერდა მ. აბაშიძე. ამიტომაც ეროვნების განსაზღვრის მთავარ კრიტერიუმად მშობლიურ ენას აღიარებდა.

ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებამ 1880-იანი წლების დასაწყისში მიზნად დაისახა სწორედ მშობლიურ ენაზე გაეხსნა სკოლები ბათუმში, ქობულეთსა და შავშეთში. უსახსროობისა და სხვა დაბრკოლებათა გამო ქობულეთსა და შავშეთში ეს შეუძლებელი გახდა. ბათუმში სკოლის გახსნას და ორგანიზაციული და ფინანსური საკითხების მოგვარებას კი უშუალოდ ილია ხელმძღვანელობდა. იგი აქ სამჯერ ჩამოვიდა. მისი ძალისხმევით 1881 წლის 23 მარტს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. მას დაესწრო ილია და სიტყვაც წარმოთქვა. საზოგადოებამ სკოლისათვის 240 მანეთად დაიქირავა 3-ოთახიანი შენობა. პირველ წელს სკოლაში იყო 28 მოწაფე, მათ შორის 11 მაჰმადიანი ქართველი, რომელთაგან ერთი იყო გოგონა - ულეიე აბაშიძე. ადგილობრივ მკვიდრთაგან მაშინ სკოლაში სწავლობდნენ მ. აბაშიძე, ს. დიასამიძე, ხ. ჩალაძე, დ. ქიქავა, ს. ჭიჭინაძე, ხ. დიასამიძე, ხ. მიქელაძე, ჯ. ჭყონია, ი. ეფენდოღლი, მ. გეარელოღლი, ხ. თაედგირიძე, ე. მიქელაძე, ე. თაედგირიძე, თ. შირნანოღლი, შ. ზადეოღლი და სხვ. ეს იყო ერთკლასიანი სახალხო სკოლა სწავლების ორწლიანი კურსით. ისწავლებოდა საღვთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, თვალსაჩინოება, სუფთა წერა, გალობა და გიმნასტიკა. პირველ მასწავლებლად დაინიშნა ალექსანდრე ნანეიშვილი.

სკოლის მთავარი ამოცანა ქართველ მაჰმადიანთა შვილების მოზიდვა იყო. ამ პრობლემის გადაჭრა სიძნელეთა დაძლევის გარეშე როდი მიმდინარეობდა. რელიგიის ზოგიერთი მსახური და მათ ფეხისხმასაყოლილნი ხალხს მოუწოდებდნენ, შვილები სკოლაში არ გაეშვათ, გაგვიგიაურებენო. როგორც ცნობილია, დედასამშობლოსთან აჭარის დაბრუნებისთანავე დაიწყო მუჰაჯირობა - მშობლიური ადგილებიდან მოსახლეობის აყრა-გადასახლება. ამ პროცესს წინ აღუდგნენ ქართველი ინტელიგენცია და ადგილობრივი მოწინავე ადამიანები. შერიფ ხიმშიაშვილი თანამოძმეთ მიმართავდა: „ნუ ღუპავთ თავს, ნუ ღუპავთ ცოლ-შვილს, თორემ ბოლოს ინანებთ. რუსებს თქვენს გარდა სხვანიც ჰყავთ მუსლიმანები ყმად, მაგრამ მათ არავინ აქრისტიანებს. ამიტომ გთხოვთ აქ დარჩენას“.[21]

მუჰაჯირობის პროცესში მაჰმადიან ქართველთა შვილების რაოდენობა სკოლაში მინიმუმამდე შემცირდა. ასეთ ვითარებაში ადგილობრივ მკვიდრთა მოზიდვით თავი ისახელა მოსე ნათაძემ, რომელიც პირველი სკოლის მასწავლებლად მუშაობდა 1882-1891 წლებში. ს. მესხი ასე აფასებდა მის საქმიანობას: „ათი დღის განმავლობაში თითქმის მუდამდღე დავიარებოდი ნათაძის გაკვეთილებზე და საზოგადოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებები გამოვიტანე. ბატონ ნათაძის ხელში ჩვენი ბათუმის სკოლა საიმედო და სასურველ ნიადაგზე იქნება დამდგარი... ერთი საკეთილო თვისებაც შევნიშნე ბ-ნ ნათაძეს: იმას კეთილი განწყობილება გაუმართავს, შეუთვისებია და დაახლოებია ადგილობრივ მაჰმადიან ქართველებს და ეს დიდ დამსახურებად ჩაითვლება“.[22] ასევე დიდ შეფასებას აძლევდა მას თ.სახოკია: „მეისტორიემ არ უნდა დაივიწყოს ის უანგარო ღვაწლი და ამაგი, რა ღვაწლი და ამაგი დაგვდო მაშინ პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებელმა მოსე ნათაძემ. პირველადვე წინდახედული, საქმის მოყვარული, შეგნებული კაცი რომ არ ჩადგომოდა სათავეში ამ დიდსა და წმინდა საქმეს, ვინ იცის, როგორ დაგვეფრთხო მაჰმადიანი ქართველები“.[23]

---

[21] ზ.ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 187.
[22] გაზ. „დროება“, №270, 1882.
[23] თ.სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 238.

1891 წ. იჭავჭავაძის რეკომენდაციით პირველი სკოლის გამგე-მასწავლებლად დაინიშნა მიხაკო შარაშიძე, რომელიც აქ 1897 წლამდე მუშაობდა. იგი ილიამ ასე დამოძღვრა: "დიდი სიფრთხილით და მოხერხებით არის საჭირო მუსლიმანებს შორის მუშაობა. გახსოვდეთ, რომ ქართველი მუსლიმანები, ჩვენი ძმები, მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკეირვებული და ზრდილობიანი ხალხია. იხმარე ყოველი ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო... დიდი მიღწევა იქნება ჩვენის მხრივ წერა-კითხვასთან ერთად თუ შეაგნებინებთ, რომ ისინი ქართველები არიან, რომლებიც ჩვენგან განირჩევიან მხოლოდ სარწმუნოებით".[24] ასეთ შეფასებაში ნათლად ჩანს, თუ როგორ უნდა ემუშავათ მაჰმადიან ქართველთა შორის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება-აღორძინებისთვის.

პირველ სკოლას განსაკუთრებულ მეურვეობას უწევდნენ იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე. ისინი სისტემატურად ჩამოდიოდნენ ბათუმში, რათა დახმარებოდნენ მასწავლებლებს. სკოლის დაარსების 10 წლისთავზე ი. გოგებაშვილი წერდა: „ერთი უპირველესი საქმე, რომელსაც „წერა-კითხვის საზოგადოება" შეუდგა ამ ათი წლის წინათ, იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათუმში. განზრახეა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმაში, რომ ახლად შემოერთებულ მაჰმადიან ქართველთა შვილები მოეზიდნა, პირველდაწყებითი განათლება მიეცა მათთვის, გაემართნა ქართულს წერა-კითხვაში, მათის შუამავლობით შემდეგში გაევრცელებინა აჭარა-ქობულეთში ქართული წიგნის ცოდნა".[25]

ბათუმის პირველი სკოლისათვის დიდად ზრუნავდნენ ადგილობრივი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები: ექვთიმე ბერძენიშვილი, იბრაიმ აბაშიძე, ხუსეინ აბაშიძე, ქალაქისთავი ლუკა ასათიანი, პოეტი გრიგოლ ეოლსკი, გრიგოლ ელიავა, პლატონ გიგინეიშვილი, ილია ფერაძე, ილია მელია, ქეთევან ჟურული, ნიკო საბაშვილი და სხვ. ლ. ასათიანის, ი. აბაშიძის და ე. ბერძენიშვილის თაოსნობით და ქველმოქმედთა ფულადი დახმარებით 1895 წ. აშენდა ერთსართულიანი სასკოლო შენობა. 1883 წლიდან ამ სკოლის მზრუნველად გვევლინება იბრაიმ აბაშიძე. იგი ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებას წერდა: „...რომ ჩვენი ძმური კავშირი სასურველად გაძლიერდეს, აქ თქვენც და ჩვენც მიგვაჩნია, ერთი აუცილებელი ღონისძიება, - ეს გახლავთ სკოლა... ყველას უნდა მიიყვანოს იქ შვილი, მაგრამ სად გინდათ, რომ დაატიოთ... ჩვენ გვქონდა საკუთარი მექთები... ეს სკოლა რუსებმა ჯერ ყაზარმათ გადააქციეს, მერე პოლიციამ მთლად დაშალა... დღეს ეს საკუთარი ადგილიც მთავრობამ წაიღო... გთხოეთ ამ საქმეს თქვენვე უპატრონოთ, რომ მალე მოგვცეს ის ადგილი".[26] მართლაც, მიწის ნაკვეთი, რომელიც ადრე აბაშიძეებს ეკუთვნოდათ, დაუბრუნდათ ქველმოქმედთ და სკოლაც მასზე ააშენეს.

90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბათუმის სკოლაში მასწავლებლად მუშაობდნენ ი. გოგოლაშვილი, ს. ბერიკაშვილი, ბ. მარგველაშვილი, მ. ლომთათიძე, პ. წულუკიძე, ხოლო 1903 წლიდან ალ. მგელაძე, რომელიც ხულოს სკოლიდან გადმოიყვანეს. აღსანიშნავია, რომ შემდგომში ბათუმის პირველ ქართულ სკოლას მგელაძის სკოლას ეძახდნენ.

1881 წ. ბათუმში გაიხსნა სამკლასიანი სასწავლებელი (რუსულ ენაზე სწავლებით), რომელიც 1886 წ. ექვსკლასიანად გადაკეთდა. 1886 წ. დაარსდა ბათუმის ქალთა დაბალი ტიპის რუსული სასწავლებელი - შემდგომში მარიამის ქალთა სასწავლებელი. ამავე წლებში გაიხსნა ბერძნული და სომხური სკოლები. 90-იანი წლებიდან

[24] აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. 7, ბათ., 1972, გვ. 30.
[25] ი.გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, გვ. 267.
[26] გ.შარაძე, ილია ჭავჭავაძე და იბრაჰიმ აბაშიძე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", №31, 1997.

ცალკეულ პირთა ინიციატივით ბათუმში იხსნება კერძო სკოლები, მათ შორის პალიევას (1888 წ.), ლებედევას (1893 წ.), ჟელტუხინას და ბერაიას (1902 წ.), მეფისოვას (1903 წ.). ასეთ კერძო ტიპის სკოლებს განათლების მდგომარეობაზე, მათი შეზღუდულობის გამო, სერიოზული გავლენა არ ჰქონდათ.

1886 წ. ქუთაისის გუბერნიის სკოლების განყოფილებამ გონიოს უბნის სოფ. მარადიდში დააარსა სკოლა, მაგრამ იგი დღემოკლე აღმოჩნდა. იმავე წელს მთავრობის მოხელის, ალ. ბერიძის ინიციატივით, სკოლა გაიხსნა ხულოში, რომლის შენობის გასამართავად მოსახლეობამ გაიღო ხარჯები. მასწავლებლად დაინიშნა სპარსი, რომელმაც ქართული ენა ცუდად იცოდა, ამის გამო მოსწავლეთა რაოდენობა 30-დან 10-მდე შემცირდა. ამ მიზეზით მასწავლებელი გაათავისუფლეს.

1908 წ. ხულოს ორკლასიან სასწავლებელში მასწავლებლად გაიგზავნა ცნობილი პედაგოგი ბართლომე მეგრელიძე. მისი მეუღლე ქალებს ჭრა-კერვასთან ერთად წერა-კითხვასაც ასწავლიდა.

მოწინავე ინტელიგენციის თაოსნობით და ხალხის მოთხოვნით სკოლები გაიხსნა: 1885 წ. - სოფ. ახალშენში, 1886 წ. - აჭყეაში,[27] 1890 წ. - დაგეაში, 1892 წ. - ხულოში, 1900-1905 წლებში - ორთაბათუმში, აჭში, ქედასა და კეირიკეში, 1908 წ. — ყოროლისთავსა და ბარცხანაში, 1910 წ. - ჩაქეში, 1913 წ. - მახუნცეთში, 1914 წ. - ქაქუთსა და ალამბარში, 1916 წ. - ბობოყეკასა და ანგისაში, 1920 წ. - აჭარისწყალსა და ერგეში. საქმე შეფერხდა I მსოფლიო ომის გამო. ზოგიერთი სკოლა მაშინ კიდეც დაიხურა.

ბათუმის საზოგადოება, პირველ რიგში, ქალაქისთავი ლუკა ასათიანი, ქ.შ.კ.ბ. საზოგადოების ბათუმის განყოფილების თავმჯდომარე გრიგოლ ვოლსკი, თვითმმართველობის მდივანი ივანე მესხი XIX საუკუნის დასასრულს იღვწოდნენ ბათუმში ეაჟთა და ქალთა გიმნაზიების გახსნისათვის. ეს კი დიდ სირთულეს უკავშირდებოდა: საჭირო იყო ცენტრალური ხელისუფლების ნებართვა, შენობები, მასწავლებელთა კადრები და ა.შ. ლ. ასათიანი სპეციალურად გაემგზავრა პეტერბურგს ნებართვის მისაღებად. მისივე ზრუნვით მოკლე დროში აიგო ორსართულიანი შენობაც, რომელშიც 1897 წ. 14 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა ეაჟთა გიმნაზია (დღეს მასში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტია). ამავე დროს გრძელდებოდა მუშაობა ქალთა გიმნაზიის დასაარსებლადაც. მისი წინააღმდეგი იყო განათლების საქმეთა მაშინდელი მზრუნველი, მაგრამ ბათუმის თვითმმართველობამ ეს დაბრკოლებაც გადალახა, გამონახა თანხები, ააგო შენობა და 1900 წელს ქალთა გიმნაზიაც გაიხსნა (დღეს მასში დავით აღმაშენებლის სახელობის №2 საშუალო სკოლაა).

გიმნაზიების პირველ და მოსამზადებელ კლასებში იღებდნენ 8 წლის ასაკის ბავშვებს. მათ ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, რუსულ გრამატიკას, რიტორიკას, პოეტიკას, მათემატიკას, გეოგრაფიას, ისტორიას, ფიზიკას, კანონმდებლობის ისტორიას, სოფლის მეურნეობას და სამოქალაქო არქიტექტურას, უცხო და ლათინურ ენებს, სუფთა წერას, ხატვა-ხაზვას, ფაკულტატური წესით ზოგიერთ სხვა საგანსაც. გიმნაზიებში სწავლების ენა რუსული იყო. მშობლიური ქართული ენა ისწავლებოდა, როგორც ერთ-ერთი საგანი.

---

[27] 1887 წ. იყო სკოლის გახსნის ცდა ქობულეთში. იანვარში აქ შედგა საზოგადოების საერთო კრება, რომელმაც აირჩია სკოლის დაარსების მზრუნველი კომიტეტი; კინტრიშის უბნის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე არობელიძე, დედე ნიკორაძე და გულო კაკაცაშვილი. ამ უკანასკნელმა მაშინ უსასყიდლოდ გამოსყო მიწის მოზრდილი ნაკვეთიც (ა.ბურგულაძე, გულო კაკაცაშვილი, გვ. 20).

1915 წ. ქ.შ.კ.გ. საზოგადოების პარალელურად, გიორგი ყაზბეგის თაოსნობით, დაარსდა ქართველთა შორის კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების კავშირი, რომელიც მხარში ამოუდგა „წერა-კითხვის“ საზოგადოებას.

სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ლ. ბოცვაძე, ზ. ჭიჭინაძე, გრ. ნათაძე, გრ. ყიფშიძე, ალ. მიქაბერიძე და ჰ. გოთუა, განიხილეს აჭარაში სკოლების გახსნის საკითხი. ამ მიზნით საზოგადოებამ გამოჰყო 16 ათასი რუბლი, ხოლო ყოველთვიური ხარჯებისათვის - 8 ათასი რუბლი. საერთო ხელმძღვანელობა დაევალა ცნობილ პედაგოგს იერემია გულისაშვილს, რომლის ინიციატივით 1916 წ. 2 იანვარს ბათუმში მოიწვიეს საზოგადოების აჭარის განყოფილების გამგეობის სხდომა. თავმჯდომარეობდა ცნობილი მოღვაწე რეჯებ ნიჟარაძე, მუშაობაში მონაწილეობდნენ გრ. ელიავა, კ. გოგოლაძე, ი. ლორთქიფანიძე, ალ მგელაძე, ირ. ღლონტი, ა. წითლიძე, ბათუმის ქალაქისთავი ი. ანდრონიკაშვილი. სხდომის გადაწყვეტილებით და ადგილებზე პატრიოტ მამულიშვილთა დახმარებით, მარტო 1916 წ. გაიხსნა 6 დაწყებითი ქართულ სკოლა: ყოროლისთავში (ორკომპლექტიანი), ხუცუბანში (სამკომპლექტიანი), ალამბარში (ორკომპლექტიანი) ჩხუტუნეთში (ერთკომპლექტიანი) ქედის აგარაში (ერთკომპლექტიანი) და ხულოს აგარაში (ერთკომპლექტიანი).[28] იმავე წელს გაიხსნა დაწყებითი სკოლები შაეშეთის სოფელ წყალსიმერში, ზემო აჭარის სოფლებში – თხილვანასა და ოლადაურში.

ხუცუბანში სამკომპლექტიანი დაწყებითი სკოლის „ორგანიზაცია დაევალა არსენ წითლიძეს, რეჯებ ნიჟარაძის თანხლებით მან მოიარა ხუცუბანი, შეხედა ისმაილ კაიკაციშვილს, სოფლის სხვა თავკაცებს და გააცნო სკოლის გახსნის გადაწყვეტილება. ამ წინადადებას ხუცუბნელები დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ და სასკოლო ნაკვეთის გამოძებნის ინიციატივა იკისრეს... სკოლას მაღალ გორაკზე დაეთმო შესანიშნავი ნაკვეთი.“[29] 1916 წ. 23 მარტს ხუცუბნის სკოლა შეუდგა მუშაობას. სამივე კომპლექტში მიიღეს 127 მოსწავლე, მათ შორის 45 გოგონა, რაც იმ დროისათვის დიდი მოვლენა იყო. სკოლის გამგედ დაინიშნა შესანიშნავი მოღვაწე და პედაგოგი არსენ წითლიძე, მასწავლებლებად - თამარ დარეჯანაშვილი და ბაბო ბრეგვაძე, საღამოს საათებში სკოლაში უფროსი ასაკის მოქალაქეებიც დადიოდნენ და წერა-კითხვას სწავლობდნენ. მოსწავლეები მართავდნენ კონცერტებს, დგამდნენ სპექტაკლებს, ატარებდნენ სხვა კულტურულ ღონისძიებებს, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლე გოგონებიც. ასე რომ, სკოლა სოფლის კულტურულ ცენტრად იქცა. 1916 წ. მიწურულს იგი გადაკეთდა სამეურნეო სკოლად, რომელიც მოსწავლეებს სუბტროპიკული კულტურების განხრით აგრონომიულ განათლებას აძლევდა. სკოლასთან დაარსდა 20-საწოლიანი პანსიონი, სადაც სხვა სოფლებიდან და მაზრებიდან მოსული მოსწავლეები ცხოვრობდნენ. 1918 წ. ოსმალთა მიერ აჭარის ოკუპაციისას სკოლა დაიხურა, თუმცა, მათი განდევნის შემდეგ ისევ განაახლა მუშაობა.

განათლების სისტემაში სათანადო ადგილი ეკავა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს. ბათუმს ამ მხრივ კარგი ტრადიცია აქვს. 1889 წლის ოქტომბერში აქ გაიხსნა პირველი პროფესიული, ე.წ. სახელოსნო სასწავლებელი,[30] რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა სამრეწველო საწარმოებისათვის კვალიფიციური მუშახელის მომზადებაში.

---

[28] ე.ცივაძე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ასს რესპუბლიკაში, ბათ., 1970, გვ. 20.
[29] ალ.სურგულაძე. პირველი სკოლა ხუცუბანში. - ჟურნ. „ჭოროხი“, №4, 1987.
[30] შ.თოდაძე, ბათუმის ქალაქის №1 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი, ბათ., 1975.

90-იან წლებში ბათუმში გაიხსნა მუშათა საკვირაო სკოლებიც, სადაც წარმოებაში დასაქმებული ახალგაზრდები სწავლობდნენ.

საერთოდ, მაშინდელ სკოლებში სწავლების შინაარსი არ შეესაბამებოდა ხალხის ინტერესებს. სასწავლო გეგმებში მცირე იყო საათები ქართულ ენასა და ბუნებათმცოდნეობის საგნებში. ერთკლასიან (სამგანყოფილებიან) სკოლებში რუსულ ენას ეთმობოდა 30 საათი, არითმეტიკას 15, ქართულ ენას მხოლოდ 9 საათი. მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების თითქმის უგულებელყოფის გამო არ ხერხდებოდა სწავლებისა და აღზრდის პროცესის ერთიანობის დაცვა. კიდევ მეტი, რუსიფიკატორულ პრინციპებზე აგებული სასწავლო გეგმები და პროგრამები აფერხებდნენ პატრიოტი, დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლის ფორმირებას.

1918-1921 წლებში დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ გარკვეული ღონისძიებანი განახორციელა განათლების დარგის გაეროვნულობა-განვითარებისათვის. 1918 წ. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი. შეიქმნა სწავლების დემოკრატიზაციის წინა პირობები, ყურადღება მიექცა ღარიბთა შვილების სწავლებას და მთის რაიონებში სკოლების გახსნას. 1920 წ. 8-15 იანვარს ჩატარდა საქართველოს მასწავლებელთა ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სასკოლო რეფორმის შესახებ. ამ დოკუმენტს მუშაობდნენ ივ. ჯავახიშვილი, დ. უსნაძე, ლ. ბოცვაძე, გ. ახელედიანი, ს. ხუნდაძე, ი. ფერაძე და სხვ. სამწუხაროდ, იგი ვერ განხორციელდა საბჭოთა რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს ოკუპაციის გამო.

სკოლების ქსელის განვითარებას თან უნდა ახლდეს პედაგოგიური კადრების მომზადება, რადგან სკოლის წარმატება, უპირველესად, კარგ მასწავლებელზეა დამოკიდებული. 1912 წ. დაისვა საკითხი ბათუმში სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნის შესახებ, მაგრამ იგი ვერ განხორციელდა. ამის მიუხედავად, აჭარა არ განიცდიდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან მოდიოდნენ მასწავლებლები, რომელთაც განათლების ჩირაღდანი შეჰქონდათ ხალხში. ამასთან, პედაგოგთა მრავალი წერილი შედიოდა ხელისუფლების ორგანოებსა და წ.კ.გ. საზოგადოებაში თხოვნით, რათა სამუშაოდ გამოეგზავნათ აჭარაში. ეს დიდი პატრიოტული მოძრაობა იყო ნიმუში იმისა, თუ როგორ ზრუნავდა მთელი საქართველო ახლად შემოერთებული ძმების მომავალზე, კულტურისა და განათლების აღორძინებაზე. მათ ამაგს არასოდეს დაიეიწყებს მადლიერი შთამომავლობა. იმხანად აჭარის სკოლებში წარმატებით მოღვაწეობდნენ ალ. ნანეიშვილი, მ. ნათაძე, მ. შარაშიძე, ი. გოგოლიშვილი, ს. ბერიკაშვილი, ბ. მარგველაშვილი, მ. ლომინაძე, ბ. მეგრელიძე, ჰ. წულუკიძე, ალ. მგელაძე, ბ. დოლიძე, ვ. ძიძიგური, ა. წითლიძე, ი. გულისაშვილი, ი. ფერაძე, თ. ჯაყელი, დ. ქინქლაძე, ნ. გეგელია, ლ. ჩიმაკაძე და სხვ., რომლებმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდეს აჭარაში განათლების საქმეს. ამავე პერიოდში სწავლა-აღზრდის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე თავიანთი პედაგოგიური შეხედულებანი ჰქონდათ გამოქვეყნებული მ. აბაშიძეს, გ. კაიკაციშვილს, ჰ. აბაშიძეს და სხვ.

ამრიგად, 1878-1921 წლებში მოწინავე ქართველი ინტელიგენციისა და ადგილზე მამულიშვილთა თავდადებით განათლების დარგში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი.

§2. კულტურული და საქველმოქმედო საქმიანობა

სკოლასთან ერთად აჭარის მოსახლეობის ეროვნულ გათვითცნობიერებაში დიდი როლი შეასრულა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა. ამ მხრივ უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების ბათუმის განყოფილება. მისი ერთ-ერთი უპირველესი საზრუნაი იყო მაჰმადიანი ქართველების წარგზავნა საქართველოს სასწავლებლებში.[31] ამ მიზნით 1914 წლის 1 სექტემბერს თბილისის ქართულ გიმნაზიაში დააწესა ცნობილი მეცენატი ძმების ზუბალაშვილების ორი სტიპენდია.[32] ეს პატიები წილად ხვდათ მურად გუნთაიშვილსა და სულეიმან კაიკაციშვილს.[33]

გარდა თბილისისა, სასწავლებლად აგზავნიდნენ რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებშიც. მოსკოვის უნივერსიტეტში 1907 წ. ჩამოყალიბდა აჭარელ სტუდენტთა სათვისტომო,[34] რომლის მიზანი იყო მატერიალური მხარდაჭერა ხელმოკლე სტუდენტებისათვის. იგი აგრეთვე თვალს ადევნებდა როგორ ასრულებდა ჩამოსული სტუდენტი მოვალეობას, როგორ სწავლობდა და ეუფლებოდა მეცნიერებას. შემდეგში მისმა საქმიანობამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაერთო.[35]

1884 წ. ბათუმის მოწინავე ინტელიგენციის თაოსნობით საქმიანობას შეუდგა „ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოება“,[36] რომლის გამგეობაში შედიოდნენ: კ. სევერინა (თავმჯდომარე), ა. ტიაპოჩკინა (თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე)), რ. კუსიატინა, ი. პარონბეკოვი (ხაზინადარი), ე. ტურკინი (მდივანი), გ. ელიავა, ი. მურომოვი, ა. ორლოვსკი, ა. სლავოჩინსკი, ი. ხუდადოვი და სხვ. საზოგადოების მიზანი იყო გაჭირვებულ, უმწეო და უპოვართა მდგომარეობის შემსუბუქება, ობოლთა აღზრდა, უბედური შემთხვევის (ავადმყოფობა, დამწვრობა და სხვ.) გამო დაზარალებულთათვის უპროცენტო სესხის მიცემა, დახმარება სამუშაოს მოპოვებაში და სხვ. საზოგადოებასთან არსებობდა ღამის თავშესაფარი და სამკურნალო, რომლითაც სარგებლობდნენ როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები, ასევე სხვა ქალაქებიდან ჩამოსულნი. თავშესაფარში მისულთ ექიმები უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ.

საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა ტანსაცმლით დაეხმარა 27 ღარიბს, სწავლის ფული გადაუხადა 4 მოსწავლეს, გასცა 2716 უფასო სადილი. 1900 წ. სამკურნალოთი ისარგებლა 3464 ავადმყოფმა.[37] საზოგადოება დაეხმარა არა მარტო ქართველებს, არამედ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს.

ქართველი ხალხის კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“, რომელიც დაარსდა 1907 წ. გამოჩენილი მოღვაწის, მამულიშვილისა და მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით.[38] 1908 წლიდან ბათუმში აღნიშნული საზოგადოების წარმომადგენელი იყო ილია ფერაძე, რომელიც შემდეგ შეცვალა ტროფიმე ინასარიძემ, ართვინში კი ამ მოვალეობას ასრულებდა ნიკოლოზ ერისთავი-შარვაშიძე. საზოგა-

[31] გაზ. „იმერეთი“, №79, 1914.
[32] სცსსა, ფ. 481, ან. 1, ს. 1467, ფურც. 1-2.
[33] იქვე. ფურც. 3.
[34] ЦГИА С.-Пб., ф. 418, оп. 498, д. 10, л. I.
[35] დ.გურეშიძე, რასაცა გასცემ... ჟურნ. „ცისკარი“, №7, 1987, გვ. 141.
[36] გაზ. „კვალი“, 1902, №34, გვ. 549.
[37] Отчет Батумского Благотворительного общества за 1899 г., Бат., 1900, с. 1, 15; იხ. აგრეთვე. Батум и его окрестности, с. 15.
[38] რ.მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982, გვ. 96.

დოების ადგილობრივი განყოფილებები აგროვებდნენ ხელნაწერებს, ძველ წიგნებს, ნუმიზმატიკურ მასალებს, აწყობდნენ ექსპედიციებს მხარის შესწავლის მიზნით, გამოფენებს და სხვ.

მიუხედავად ცარიზმის მცდელობისა – გზა დაეხშო ცოდნის გავრცელებისათვის, ხალხი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა დაწაფებოდა განათლებას. ამ მხრივ საყურადღებოა ბათუმის ინტელიგენციის ინიციატივით და საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელთა მონდომებით, 1896 წელს ბათუმში გახსნილი ე.წ. საკვირაო სკოლა. მასში გაერთიანებული იყო 212 მსმენელი. 1901 წ. საკვირაო სკოლა დაარსდა ბარცხანაშიც. გაზეთი „კვალი“ წერდა: „ბარცხანაში საკვირაო სკოლის გახსნა სწორედ რომ ავადმყოფის დაიარავებული ალაგის მიგნებაა და ეს ავადმყოფი ალაგი არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი ჩვენს მცირერიცხოვან და საზოგადო საქმე'სე გულშემატკივარ მუშაკთ“.[39] სკოლის კონტინგენტი შეადგენდა 130-135 მსმენელს, მეცადინეობა ტარდებოდა კვირაში ოთხჯერ საღამოს რვის ნახევრიდან ათის ნახევრამდე.[40] მათში ძირითადად გაერთიანებული იყო ქალაქის მშრომელი მოსახლეობა.

კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ეჭირა ბიბლიოთეკას. პირველი ბიბლიოთეკა ბათუმში 1896 წელს საქალაქო სასწავლებელთან გაიხსნა. ბიბლიოთეკისათვის წიგნები შეუწირავს ლევ ტოლსტოის.

1900 წელს ალ. წულუკიძისა და ფ. მახარაძის ინიციატივით ბათუმში დაფუძნდა სახალხო ბიბლიოთეკა, რომელიც შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკად გადაკეთდა. იგი ნ. გოგოლის სახელს ატარებდა. 1904 წ. ბიბლიოთეკა ღებულობდა 15 დასახელების გაზეთს და 21 ჟურნალს მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. 1910 წ. ბიბლიოთეკას ჰყავდა 3374 მუდმივი მკითხველი.[41] ბიბლიოთეკის თანამშრომელთა თაოსნობით პერიოდულად გამოდიოდა კატალოგი.

1913 წ. ბათუმის მეორე საპოლიციო უბანში (მუშათა უბანი) ქალაქის თვითმმართველობის ხარჯით გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო.[42]

ცნობილმა მესტამბემ ბართლომე კილაძემ მრავალი წიგნი შესწირა ბათუმის და ქობულეთის ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს.

ბათუმის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს – დ. კლდიაშვილს, გრ. ვოლსკის, ი. მესხს, გ. ელიავას, ი. ღლონტს, ნ. გომანს და სხვებს დაებადათ ბათუმში ე.წ. საბავშვო მუზეუმის შექმნის იდეა. საქმის მოგვარება დააკისრეს ი. ღლონტს, ი. ლაზარიდის და ნ. გომანს. მათ, თავის მხრივ, მოლაპარაკება გამართეს ქალაქისთავ ი. ანდრონიკაშვილთან და ხმოსან გ. ჟურულთან. 1908 წ. 19 მარტს ქალაქის თვითმმართველობამ თავის სხდომაზე დააკმაყოფილა ბათუმელი ინტელიგენციის თხოვნა და საქალაქო სასწავლებელთან გახსნა ე.წ. საბავშვო მუზეუმი, რომელიც 1912 წ. 15 ოქტომბერს გადაკეთდა საქალაქო მუზეუმად. მის დირექტორად დაინიშნა ნ. გომანი. მუზეუმის მოსაყოფად ქალაქის თვითმმართველობამ გაიღო: 1908 წ. – 200 რუბლი, 1911 წ. – 300, ხოლო 1914 წ. – კვლავ 200 რუბლი.[43]

1913 წ. მუზეუმში დაცული იყო 536 ექსპონატი, 1915 წ. – 872 ერთეულამდე.[44] მუზეუმს კერძო პირებმა მრავალი საყურადღებო ექსპონატი შეწირეს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხარის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარების შესასწავლად.

---

[39] გაზ. „კვალი“, №12, 1901, გვ. 189.
[40] გაზ. „კვალი“, №21, 1901, გვ. 204.
[41] გრ.ბაბილოძე, სახალხო განათლება აჭარის ასსრ-ში (1921-1957), ბათ., 1958, გვ. 63.
[42] ჟურნ. „განათლება“ №10, 1913, გვ. 792; „ბათუმის გაზეთი“, №94, 1913.
[43] ხ.ახვლედიანი, აჭარის სახელმწიფო მუზეუმი, ბათ., 1958, გვ. 10.
[44] იქვე, გვ. 19.

XX ს 10-იან წლებში საქართველოში პოპულარობით სარგებლობდა სახალხო უნივერსიტეტები. 1909 წ. მათ რიცხეს შეემატა „სახალხო უნივერსიტეტების ბათუმის საზოგადოება“, რომელიც 199 წევრს აერთიანებდა, ხოლო 1910 წ. — 242 აჭარბებდა. ლექციების წასაკითხად გამგეობა იწვევდა სპეციალისტებს იმ დარგებიდან, რომლებიც უნივერსიტეტში ისწავლებოდა. ლექციების კითხვას თან ახლდა ლიტერატურულ-მუსიკალური ღონისძიებები, რაც მსმენელთა დიდ დაინტერესებას იწვევდა და ხელს უწყობდა სახალხო უნივერსიტეტის პოპულარიზაციას საზოგადოების ფართო მასებში.

ბათუმის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა დაბეჯითებით ეძებდა მუშაობის ახალ ფორმებს და მეთოდებს, რადგან ღრმად სწამდათ: „სახალხო უნივერსიტეტი უნდა იყოს ცოცხალი დაწესებულება, ცხოვრების მოთხოვნილებით გამოწვეული“.[45] გამგეობას გულწრფელად სურდა ხელი შეეწყო მსმენელთა გონებრივი და ინტელექტუალური ჰორიზონტის გაფართოებისათვის. ამ მიზნით გადაწყდა უნივერსიტეტთან გახსნილიყო საღამოს კურსები, რომლის მიზანი იქნებოდა ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის დაწყებითი განათლების საფუძვლების მიცემა. მართლაც, მალე ჩამოყალიბდა ასეთი კურსები ქართული, რუსული და სომხური ჯგუფებით. ლექტორ-მასწავლებლებად შეირჩა 40 კაცი. საღამოს კურსების თემატიკა მიუსადაგეს მსმენელთა გონებრივ დონეს. ასწავლიდნენ წერა-კითხვასა და ანგარიშს.[46]

სახალხო უნივერსიტეტმა და საღამოს კურსებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოსახლეობის დაბალი ფენების გათვითცნობიერებასა და განათლებაში.

პირველი მსოფლიო ომის დროს ბათუმის ოლქი საომარი ოპერაციების ასპარეზად გადაიქცა. ოსმალეთის სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშა დარწმუნებული იყო, რომ მისი გამოჩენა კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ აამხედრებდა მაჰმადიანურ მოსახლეობას. ამ მიზნით მან თავისი აგენტები შემოგზავნა აჭარაში, მაგრამ უშედეგოდ. ამის მიუხედავად, ცარიზმი მაინც უნდობლად ეკიდებოდა ადგილობრივ მოსახლეობას. ბოლოს იგი დალატშიც დაადანაშაულა. ამ კრიტიკულ მომენტში მაჰმადიანი მოძმეების დასაცავად ერთსულოვნად აღსდგა სრულიად საქართველო.

ამ მხრივ დიდი მუშაობა გასწია „ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ (თავმჯდომარე მიხეილ მაჩაბელი), რომელიც, თუმცა, 1906 წ.[47] დაარსდა, მაგრამ აქტიური საქმიანობა დაიწყო მოგვიანებით, 1914 წლიდან.

მსოფლიო ომის დაწყებისთანავე საქველმოქმედო საზოგადოებამ და მისმა სარაიონო განყოფილებებმა დაადგინეს, მატერიალური და მორალური დახმარება აღმოეჩინათ ომში გაწვეულთა, დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომართა ოჯახებისათვის. ამ მიზნის განხორციელებაში მთავარ გამგეობას გეერდში ამოუდგა ბათუმის ადგილობრივი განყოფილებაც, რომელმაც მოღვაწეობა დაიწყო 1915 წ. აპრილიდან ე. კრინიცკის ხელმძღვანელობით (წევრები: რ. ნიჟარაძე, გ. ელიავა, ს. მდივანი, ი. მელია, ი. ლორთქიფანიძე, გ. ანჯაფარიძე, კ. გოგოლაძე).[48] სულ მალე იგი გახდა ის ცენტრი, რომელიც ნივთიერ, საქმიო, იურიდიულ და მორალურ დახმარებას უწევდა ქართველ მაჰმადიანებს. 1916 წ. ასეთივე განყოფილება შეიქმნა არტაანში (თავმჯდომარე ტ. კესელი, შემდეგ გ. სალარიძე).[49]

ომმა უბედურება დაატეხა თავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მოსახლეო-

[45] გაზ. „ცნობის ფურცელი“, №159, 1901.
[46] გრ.ბაბალოძე. დასახ. ნაშრ., გვ. 63.
[47] სცსსა, ფ. 517, ან. 1, ს. 139, ფურც. 1.
[48] ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა 1915 წელს, თბ., 1916, გვ. 32.
[49] სცსსა, ფ. 517, ან. 1, ს. 63, ფურც. 2.

ბის სახლ-კარი და სარჩო-საბადებელი ცეცხლმა შთანთქა. შეძრწუნებული ხალხი აქეთ-იქით იფანტებოდა, მრავალი დაიხოცა.

ასეთ ვითარებაში თანამოძმეთა გადასარჩენად ქართველ ხალხს თავი უნდა გამოედო. მართალია, ცარიზმმა მაამადიან ქართველებს მოღალატის იარლიყი მიაკერა და მათ დასაცავად ხმის ამოღება აკრძალა, რითაც მოინდომა ხალხის გათიშვა-დაპირისპირებაც, მაგრამ ამის მიუხედავად მოწინავე ქართველი საზოგადოება და ქართული პრესა მაინც ერთსულოვნად აღსდგა მოძმეთა დაცვა-დახმარებისათვის.

საზოგადოებამ და, განსაკუთრებით, მისმა განყოფილებებმა ქუთაისსა და ბათუმში, დიდი მუშაობა ჩაატარეს შეწირულებათა (საკვები, ტანსაცმელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, სათესლე მარცვლეული და სხვ.) შესაგროვებლად და მოკლე ხანში ომით დაზარალებული რაიონების მოსახლეობას გამოუგზავნეს 11 ვაგონი სიმინდი. ყურადღება მიექცა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასაც. დაარსდა სპეციალური სამედიცინო კომისია (თავმჯდომარე ა. ელიავშვილი), რომლის წევრები მოსახლეობას უფასოდ მკურნალობდნენ, ავადმყოფებს აძლევდნენ წამლებსა და სხვა სამედიცინო მედიკამენტებს. პირველ სექტემბრამდე გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გაეწია 870 ავადმყოფს.[50]

საქველმოქმედო საზოგადოებამ და მისმა განყოფილებებმა შექმნეს სპეციალური სარეგისტრაციო პუნქტები და ლტოლვილთა თავშესაფრები,[51] რომლებიც აგროვებდნენ ზუსტ ცნობებს მათი რაოდენობისა და მდგომარეობის შესახებ. აღირიცხა 25000-ზე მეტი ლტოლვილი, რომელთა ძირითადმა ნაწილმა თავი მოიყარა ქუთაისის გუბერნიასა და სოხუმის ოლქში. ამის გამო მათზე ზრუნვის სიმძიმე საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას დაეკისრა.

მთავარმა გამგეობამ იზრუნა ლტოლვილთა მამულების შენარჩუნებისთვისაც, როდესაც ადგილებზე დაიწყეს მათი გაცემა-გაყიდვა. 1916 წლის თებერვალში ბათუმს ჩამოვიდა ქუთაისის განყოფილების რწმუნებული, რომელმაც საქველმოქმედო საზოგადოების სახელზე იჯარით აიღო 12 სოფელი. ეს სოფლები გადახვეწილთა დაბრუნებამდე იჯარით მიეცათ ადგილზე დარჩენილ აჭარლებს. პირობა ასეთი იყო: მიწა დაუყონებლივ გადაეცემოდა მესაკუთრეს, როგორც კი მშობლიურ კერას დაუბრუნდებოდა.[52]

დარბეულ, დამშეულ ხალხს მრავალგვარი დახმარება სჭირდებოდა, რომ „მამა-პაპათა სისხლით მორწყულ ადგილ-მამულიდან არ გადახვეწილიყო". ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" წერდა: „საჭიროა მთელმა ქართველმა ხალხმა, მოწინავე საზოგადოებამ, საფინანსო, საქველმოქმედო, წოდებრივმა და სხვა დაწესებულებებმა თვალსაჩინო თანხა გადასდონ დაზარალებულ აჭარელთა სასარგებლოდ. თბილისი-ქუთაისს და საქართველოს სხვა დაბა-ქალაქ-სოფლებშიაც გაიმართოს დილა-საღამოები ამავე მიზნით, აჭარაში გაიგზავნოს შესაფერი კაცები... დახმარების აღმოსაჩენად".[53]

ცნობილი ქართველი მწერალი დომინიკა ერისთავი (განდეგილი) წერდა: „ქართველო ქალებო! დავეხმაროთ ჩვენს მოძმეებს, გავიღოთ ჩვენი წელილი ვის რამდენიც შეგვიძლია და სიკვდილს და გასაჭირს გადავარჩინოთ ჩვენი ძმები და შვილები. მე თამამად მოგმართავთ თქვენ, რადგან ვიცი, თქვენ უფრო მგრძნობიარე ხართ და უფრო

[50] ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა 1915 წელს, გვ. 6.
[51] ბავშვთა თავშესაფრები გაიხსნა ბათუმში, არტაანში, ლაზისტანის სოფ. აბუისლანში და სხვ.
[52] ცცსსა, ფ. 517, ან. 1, ს. 6, ფურც. 52.
[53] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", №24, 1915, გვ. 2.

მხნედ შეუდგებით ამ წმინდა მოვალეობის ასრულებას".[54]

საქველმოქმედო საზოგადოების და მისი განყოფილებების ინიციატივით, საქართველოში გაჩაღდა შემოწირულობათა შეგროვება. ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა კორპორაციამ აჭარლების სასარგებლოდ გაიღო 192 რუბლი და 24 კაპ. დაბა ლაილაშში, ადგილობრივი ინტელიგენციის თაოსნობით, აჭარელთა სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენა-საღამოზე შემოსული 100 რუბლზე მეტი გამოუგზავნეს ქართველ მაპმადიანებს.[55] 1915 წ. 5 მარტს ქუთაისში ჩატარდა საქველმოქმედო საღამო ჰაიდარ აბაშიძის მონაწილეობით. საღამოს მთელი შემოსავალი გამიზნული იყო დაზარალებულთა დასახმარებლად.[56] 1915 წ. 23 მაისს ვაჟა-ფშაველამ გაზ. „სახალხო ფურცლის" რედაქციის მეშვეობით გამოგზავნა „ერთ ქართულ ოჯახში" შეკრებილი შეიდი რუბლი და ხუთი შაური.[57]

ქართველ დაჭრილ ჯარისკაცთა წერილში ნათქვამი იყო: „ჩვენ, დაჭრილი დაავათმყოფებული ჯარისკაცების ერთი ნაწილი, რომელნიც თფილისში ვიმყოფებით ლაზარეთში, ვსწირავთ უკანასკნელ კაპეიკს, რათა ამით მაინც შევუმსუბუქოთ გაჭირვება დაზარალებულთ".[58]

ლტოლვილთა დასახმარებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა საქველმოქმედო საზოგადოების სოხუმის განყოფილებამ. მან შექმნა შრომის ბიურო, რომელმაც სხვადასხვა სამუშაოზე დაასაქმა ასამდე აჭარელი და ლაზი, ასზე მეტ ოჯახს დაეხმარა ტყვედ წაყვანილთა მოძებნასა და სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფაში.[59] ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის დავალებით ჰაიდარ აბაშიძემ 1916 წ. ორჯერ იმოგზაურა ლაზეთში და დამშეულ მოსახლეობას სიმინდი ჩაუტანა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში პეტერბურგში ჩამოყალიბდა საქველმოქმედო, ე.წ. „ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტი", რომელიც ეხმარებოდა ომში გაწეულთა ოჯახებს და ლტოლვილებს, აარსებდა ბავშვთა თავშესაფრებს, სკოლებს, ბეჭდავდა ჟურნალს, რომელიც სხვადასხვა საკითხებთან ერთად აქვეყნებდა ლტოლვილ ბავშვთა ფოტოსურათებს და მათ ადგილსამყოფელს თავშესაფრებში.[60] „ტატიანას კომიტეტი" არაერთხელ დაეხმარა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებასაც. 1916 წ. მან 6000 რუბლი გამოუყო მთაეარ გამგეობას ხულოში ამბულატორიის გასახსნელად და ბავშვთა თავშესაფრის მოსაწყობად,[61] მალე მანვე 40000 რუბლი გამოგზავნა აჭარაში ოთხი სკოლის გასახსნელად.[62]

საქველმოქმედო საზოგადოების თაოსნობით, 1915 წ. გამოიცა გაზეთი-ალმანახი „ძმური სიტყვა" (ქართულ და რუსულ ენებზე), რომლის უმთავრესი მიზანი იყო ნივთიერი და მორალური დახმარება აჭარლებისათვის. გამგეობა დაეხმარა აპოლონ წულაძეს ნაშრომის „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს" გამოცემაში. ტირაჟის დიდი ნაწილი უფასოდ გაერცელდა.

ეპისკოპოსმა ლეონიდემ მოითხოვა: „მთელ ქართველობიდან შეეჯგუფდეთ ხუთასი კაცი, შევიტანოთ ყოველწლივ ოცი რუბლი" და ეს „თანხა მოხმარდეს ქართველ

---

54 აბ.წულაძე, ძმური სიტყვა, ბათ., 1991, გვ. 57.
55 გაზ. „საშშობლო", №163, 1915.
56 აბ.სურგულაძე, ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა, გვ. 30.
57 გაზ. „სახალხო ფურცელი", №288, 1915.
58 გაზ. „თანამედროვე აზრი", №20, 1915.
59 დ.გურეშაძე, ქველმოქმედება საქართველოში (ისტორიული ნარკვევი), ქუთ., 1993, გვ. 151.
60 სცსსა, ფ. 517, ან. 1, ს. 32, ფურც. 37.
61 იქვე, ს. 68, ფურც. 15.
62 იქვე, ს. 36, ფურც. 4.

მაჰმადიანთა შვილების საშუალო სასწავლებელში აღზრდას".[63] მართლაც, მალე საზოგადოებამ ბათუმის ოლქში გახსნა 6 ქართული სკოლა, რომლებშიც არაერთი თაობა აღიზარდა.

§3. მ ნ ე რ ლ ო ბ ა

1877-1878 წლების ომის შედეგად დედასაქართველოსთან დაბრუნებულ აჭარაში ისევ იწყება მწერლობის აღორძინება. მტერმა აქ ვერ ჩაალა ქართული სიტყვა. ამიტომ მშობლიური კულტურის სიერცეში დაბრუნებულ აჭარაში მოღვაწე თვითნასწავლი პოეტები ბუჰანა ბაირახტარ-შავიშვილი (1814-1880), ხუსეინ ხაბაზი (ქამჯარაძე - 1818-1893), ხუსეინ ბეჟანიძე (1823-1883), მემედ ჭყონია (1860-1940), ხუსეინ ბაჯელიძე (1866-1943), რეჯებ მუაანაძე (1873-1929) და სხვები მტკიცედ დადგნენ სულიერი ერთობის პოზიციებზე. ქართული პოეტური სიტყვის სილამაზისა და პატრიოტული გრძნობების სადად გამოხატვის საინტერესო ნიმუშია სწორედ ხუსეინ ბეჟანიძის „თამარ დედოფლის ლექსი".

„ათასი კაბა ყმა მყავდა,
ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,
ეასმევდი ბროლის ჭიქითა.
ვინც რომ შემება, შევები
ალალითა და ჯიქითა,
აწი თქვენ იცით, მეფენო,
ვინც დარჩით ამას იქითა".

რეჯებ მუაანაძე აღტაცებით შეხვდა ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლებას, მაგრამ ვერ შეურიგდა მეფის რუსეთის ანტიხალხურ პოლიტიკას. მან ეროვნულ უბედურებად ჩათვალა მუჰაჯირად წასვლა და ყველაფერს აკეთებდა მისი შეჩერებისათვის. ბოლოს იმდენად დაიძაბა ურთიერთობა რეჯებ მუაანაძესა და ხელისუფლებას შორის, რომ ყოფილი ხოჯა ყაჩაღის ცხოვრებას ეზიარა და შიშის ზარს სცემდა მეფის რუსეთის სატრაპებს. რეჯები ყაჩაღობაშიც თხზავდა ლექსებს და ავრცელებდა ხალხში. როცა სამშობლოში ცხოვრება შეუძლებელი გახდა, რეჯებიც გადაიხვეწა ოსმალეთში. ლექსი, რომელითაც ის საყვარელ სამშობლოს გამოეთხოვა, სავსეა ქართული სულითა და სიყვარულით:

„ახლა თქვენ გემშვიდობებით,
დედავ, მამავ და დიებო,
მშვიდობით, ჩემო მამულო,
ქვებო, მიწავ და ხიებო,
გომარდულ, ბარათაულო,
სალაეთებო, ტყიებო".

ერთ ლექსში, მოგვიანებით, სამშობლოდან გადახვეწის გამო, რეჯები იტყვის: საქართველოდან „მე სიკვდილს გამოვექეცი და არა სამშობლოსო".

[63] გაზ. „საქართველო", 1915, №155.

ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული შემოქმედების განვითარებას ხელს უწყობდა გაბატონებულ ქართველ მწერალთა და ხელოვნების მოღვაწეთა ხშირი ურთიერთობები აჭარის ახალი თაობის ინტელიგენციასთან. XIX ს. ბოლოსა და XX ს. 20-იან წლებამდე ძირითადად ბათუმში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსი დავით კლდიაშვილი (1862-1933) და ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ვოლსკი (1859-1907 წწ.).

დავით კლდიაშვილი გრიგოლ ვოლსკის შესახებ წიგნში „ჩემი ცხოვრების გზაზე" აღნიშნავდა: „ყმაწვილობიდან წერდა ქართულად ლექსებს უმწიფარიძის ფსევდონიმით. ლექსებმა ყურადღება მიიქციეს და უმწიფარიძე საყვარელ პოეტად იყო ცნობილი. ამასთანავე, მან მშვენივრად იცოდა ქართული და რუსული და ითელებოდა საუკეთესო მთარგმნელად რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად".[64]

გრ. ვოლსკის ლიტერატურული მემკვიდრეობა წარმოდგენილია საყურადღებო კრიტიკული წერილებითაც. მართალია, ეს მასალა უხვი არ არის, მაგრამ შინაარსით მდიდარი და საყურადღებოა. მან ილიას სიცოცხლეშივე თარგმნა „ეკაცია-ადამიანი?", შიო არაგვისპირელის „ესაა ჩვენი ცხოვრება?", ეკატერინე გაბაშვილის „სახრჩობელასთან".

დავით კლდიაშვილი, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბათუმში ცხოვრების პერიოდში (1882-1908 წწ.) ჩამოყალიბდა. აქ ის ჩამოვიდა, როგორც მეფის არმიის ოფიცერი, მაგრამ „თავის სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტს, პროგრესული იდეალებით გატაცებულ ახალგაზრდას არაფერი ჰქონდა საერთო თვითმპყრობელურ სამხედრო არისტოკრატიასთან - არმიაში სამსახურის მთელ მანძილზე დავითს განუწყვეტელი ბრძოლა უხდებოდა თავის შაერაზმელ უფროსებთან თუ თანამოსამსახურე ოფიცრებთან, რომელთა უმრავლესობაც დიდმპყრობელური სულით იყო გამსჭვალული. მათ, ახლისადმი უნდობლობისა და ზიზღის სულისკვეთებით აღზრდილთ, თავიანთ პირდაპირ მოწოდებად მიაჩნდათ ჯარისკაცის დამონება, მისი პიროვნების ფეხქვეშ გათელვა, რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა ნაძალადევი გადაგვარება".[65]

დ.კლდიაშვილი, როგორც სამხედრო მოხელე, ამ ფონზე სრულიად განსხვავებული სულისკვეთებით მოღვაწეობდა. ის იყო დემოკრატი და ჰუმანისტი, ჯარისკაცებთან დამოკიდებულებაში ხელმძღვანელობდა პრინციპით: „ჯარისკაცი ყაზარმულ ცხოვრებას ცოტაოდნად მაინც დაშორებულიყო". ამიტომ „სწავლა, წერთნა ჯარისკაცების - განსაკუთრებით ახლად მიღებული ჯარისკაცებისა, - იგონებს დავითი, - ისე გვქონდა მოწყობილი, რომ სულ მოკლე დროში უკვე შეთვისებული ჰქონდათ საჭირო ცოდნა და ეს ისეთი გზით, როს სრულიად არ ღალავდა მას და არ ბეზრდებოდა... ჩვენი გუნდის ჯარისკაცი ადვილად გამოირჩეოდა; ოფიცრებთანაც უფრო თამამი მოლაპარაკე, უფრო ხალისიანი და მხიარული". „დასჯა მოესპეთ, - განაგრძობს დავითი, - უბრალო შენიშვნა საკმარისი იყო მიგვეცა, რომ შეცდომა არ გამეორებულიყო".

ბათუმში დ. კლდიაშვილი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. მისი პრინციპი იყო: „მე ჯერ მოქალაქე ვარ და მერე სამხედრო პირი... რაც დღეს ჩვენს ცხოვრებაში ხდება, თვალს ვადევნებ, ვაძლევ ანგარიშს და ემსჯელობ გულახდილად, დაუმალავად".

დ. კლდიაშვილმა ბათუმში დაიწყო სამწერლო-შემოქმედებითი საქმიანობა. აქ დაიწერა მისი საუკეთესო ნაწარმოებები – „შერისხვა" (1894 წ.), „მსხვერპლი" (1894

[64] დავით კლდიაშვილი, თხზ., სრული კრებული ორ ტომად. ტ.II, თბ., 1952, გვ. 178.
[65] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. V, თბ., 1982, გვ. 91.

წ.), „სოლომან მორბელაძე“ (1894 წ.), „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1891 წ.), „ქამუშაძის გაჭირვება“ (1900 წ.), პიესები – „ირინეს ბედნიერება“ (1897 წ.), „დარისპანის გასაჭირი“ (1903 წ.) და სხვ.

ლიტერატურის ისტორიაში დ.კლდიაშვილის ბათუმში მოღვაწეობა შეფასებულია, როგორც დიდი მამულიშვილის ბრძოლა საქართველოს სიკეთისათვის. ამის შესახებ სრულყოფილ წარმოდგენას გვაძლევს მისივე წიგნი-მოგონება „ჩემი ცხოვრების გ'ასე“. ნაწარმოები იწყება XIX ს. 80-იანი წლების ბათუმის აღწერით. იგი, როგორც ქალაქი, იმ წლებში ყალიბდებოდა. ამის გამო მას მოაწყდა უამრავი ბედისმაძიებელი და, როგორც მოსალოდნელი იყო, ავანტიურისტები უფრო აქტიურობდნენ, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა. საჭირო იყო აქაურ ქართულ მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, განსაკუთრებით სულიერი კულტურის აღორძინება. ილიამ ეროვნული სკოლის გახსნით დაიწყო ეს ისტორიული მოძრაობა. იგი ემყარებოდა აჭარის პროგრესული საზოგადოების მხარდაჭერასა და თანადგომას. დ. კლდიაშვილი აქტიურად ჩაება ამ დიდ საქმეში, დაუახლოვდა ადგილობრივი მოსახლეობის ფართო წრეებს, მოწინავე ინტელიგენციას: გრიგოლ ეოლსკის, გიორგი ზდანევიჩს, ლუკა ასათიანს, დურმიშხან და ქეთევან ჟურულებს, ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწეს მელიტონ ლორთქიფანიძეს, მემედ აბაშიძეს, ჰუსეინ ქათამაძეს, ფერათ და სულეიმან ბეჟანიძეებს და სხვ.

ბათუმში მოღვაწეობისას დ. კლდიაშვილი მოსარჩლედ და მშველელად ჰყავდა ადგილობრივ მოსახლეობას. ხელისუფლებასთან დაპირისპირების პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განათლებულ კაცს, რომელიც გონიერ შუამდგომლობას გაუწევდა დაბეჩავებულ ხალხს. ეს განსაკუთრებით აუცილებელი იყო სასამართლოში, სადაც დავით კლდიაშვილს საგანგებოდ ირჩევდნენ თარჯიმნად.

დ. კლდიაშვილი თავის მოგონებაში ფართო ადგილს უთმობს ბათუმის სანჯაყბეგ აბაშიძეების ცხოვრებისა და საზოგადო მოღვაწეობის აღწერას. იგი დიდ პატივს მიაგებს ასლან აბაშიძეს, რომელმაც თანაუგრძნო ოდესაში რეაქციული ძალების მსხვერპლს, ტრაგიკულად დაღუპულ პერსპექტიულ მეცნიერს – საბა კლდიაშვილს. ასლან აბაშიძემ უმეთაურა ცხენოსანთა ამალას და წინ გაუძღვა სამგლოვიარო პროცესიას, რომელიც მიაცილებდა საბა კლდიაშვილის ნეშტს ბათუმის რკინიგზის სადგურისაკენ. „ზღვა ხალხი მიჰყვებოდა კუბოს გასაცარი წესრიგით. პროცესიას წინ მიუძღოდნენ ცხენოსნები ასლან-ბეგ აბაშიძის მეთაურობით“ - წერს დავით კლდიაშვილი.

დ. კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზასე“ მხატვრულ ღირებულებასთან ერთად ბათუმის ისტორიისათვის დიდმნიშვნელოვან პირველწყაროს წარმოადგენს.

აჭარის მკვიდრთა შორის პირველი ლიტერატორი, ვინც XX ს. დასაწყისიდან თანმიმდევრული ხასიათი მიანიჭა სამწერლო საქმიანობას აჭარაში, იყო ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე და სულიერი მემკვიდრე მემედ აბაშიძე. მისი, „როგორც ლიტერატორის, უმთავრესი და ისტორიულად უმნიშვნელოვანესი დამსახურება ისაა, რომ სამსაუკუნოვანი დესპოტური მპყრობელობისა და უცხო ენის ბატონობის შემდეგ, მან, პირველმა ამ მხარეში, მივიწყებული, დამცირებული და დაჩაგრული მშობლიური ქართული სიტყვა კელავ გამოაღვიძა, გაამხნევა, აამუშავა და მხატვრული აზროვნების სამსახურში ჩააყენა“.[66]

მ. აბაშიძის შემოქმედება ძირითადად წარმოდგენილია მხატვრულ-თარგმანებით, ერთი ორიგინალური მოთხრობით - „სულა მაღლაძე“ და რამდენიმე კრიტიკული ნაშ-

[66] ფრ.ხალვაში, სიტყვა და საქმე, ბათ., 1985, გვ. 74.

რომით. მის კალამს ეკუთვნის ლექსიც სათაურით „ბათუმი“. მისი ერთი ტაეპი ქართლოს კასრაძისაგან ჩაიწერა და გამოაქვეყნა პროფ. გ.შარაძემ:

„მზე გადიხარ! ბათუმის ცაზე
ეარსკვლავებმა თავის ქება იწყეს ციმციმით,
როს კვლავ იმხარა
- ვერ შეეედრებითო, -
ვარსკვლავები ჩაქრნენ სირცხვილით“.[67]

1905 წელს თურქი მწერლის – ნამიკ ქემალის გარდაცვალების გამო მემედ აბაშიძემ დაბეჭდა ნეკროლოგი „ქემალ-ბეგი“, რომლითაც იწყება მისი, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსის, მოღვაწეობა. „ქემალ-ბეგი“ ყურადღებას იქცევს იმით, რომ მასში ცხადად არის მინიშნებული კრიტიკოსის პოზიცია მწერლისადმი დამოკიდებულებაში. მხედველობაში გვაქვს ხუთი მთავარი ღირსება, რომელსაც განსაკუთრებით აფასებს მემედ აბაშიძე მწერლის პიროვნებასა და მოღვაწეობაში, კერძოდ: 1. მწერალი კარგად უნდა ფლობდეს მშობლიურ და უცხოურ ენებს; 2. უნდა იყოს ჰუმანური; 3. უნდა გამოირჩეოდეს ფართო განათლებით; 4. აუცილებლად უნდა იყოს თავისი ქვეყნის პატრიოტი; 5. უნდა იდგეს ხალხის ინტერესების სადარაჯოზე, ხოლო ეს მისი სახალხო პოზიცია თუ ხელისუფლებასთან ოპოზიციაში დააყენებს, მწერალი მზად უნდა იყოს ბრძოლისათვის. მემედ აბაშიძეს ნამიკ ქემალი ასეთ თავდადებულ მოღვაწედ ჰყავს წარმოდგენილი.

მემედ აბაშიძე პირველი ქართველი მწერალია, ვინც XX ს. დამდეგს დაიწყო თურქული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმნა ქართულ ენაზე. მან თარგმნა დრამატურგ ნამიკ ქემალის პიესები „სილისტრია“, „სამშობლო“, „ზეკალი ჩოჯუკი“, „გულნიჰალი“, სეფეთ-ნეპიზის პიესა „შეკითხვა და განმარტება“, ჯელილ მემედ-ყული ზადეს პიესა „მიცვალებულნი“, პროზაიკოს გუზიდე საბრის მოთხრობა „მუნეევერი“, აბდულლაჰ ზუდის მოთხრობა „დაი“, ომარ ხაიამის რუბაიები. მანვე თურქულ ენაზე დაიწყო შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა, მაგრამ აღარ დასცალდა.

მ. აბაშიძე, როგორც მთარგმნელი, ეროვნული მოღვაწეა. ის თარგმნის არა საერთოდ, არამედ ქართველი მკითხველისათვის. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ნამიკ ქემალის დრამატული ნაწარმოების „სამშობლოს“ („სილისტრია“) თარგმანი, რომელიც 1904 წ. დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბის“ №4, 6, 7, 11 ნომრებში.[68] 1917 წ. მ. აბაშიძემ თარგმნა და გამოაქვეყნა ნამიკ ქემალის პიესა „გულნიჰალი“. იგი გამსჭვალულია იდეით იმის შესახებ, რომ მზის ქვეშ არაფერი არ შეიძლება იყოს დაფარული. პიესა ამხელს ტირანიის საშინელებას, მაგრამ ტირანიაზე უფრო ძლიერია სიყვარული, სიყვარული ამარცხებს ტირანიას.

დედასაქართველოსთან აჭარის სულიერი ერთობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის მემედ აბაშიძის, ჰაიდარ აბაშიძისა და მათი თანამოაზრე მოღვაწეების ბრძოლას რეაქციულმა ძალებმა დაუპირისპირეს პანისლამისტური მოძრაობა. იგი მიზნად ისახავდა საქართველოსაგან სამხრეთი რაიონების ჩამოშორებას. ეს იყო „სედაი მილეთის“ („ხალხის ხმა“) ორგანიზაცია. სედაიმილეთელებმა ბათუმში დააარსეს სამუსლიმანო კომიტეტი და მტრული პოზიცია დაიკავეს ჭეშმარიტად ეროვნული ორგანიზაციის, მემედ აბაშიძის თაოსნობით ჩამოყალიბებული „სამუსლიმანო საქართ-

[67] გ.შარაძე. მემედ აბაშიძე, ბათ., 1995, გვ. 55.

[68] ბოტ-აკადემიკოს ოსეს გრიშაშვილს, ჩანს, ძალიან მოსწონებია იგი, როგორც ლიტერატურული ფაქტი, ამოუჭრია ჟურნალიდან, აუკინძავს, გაუკეთებია წარწერა სრულად „მოამბე“ და დაუცავს თავის ბიბლიოთეკაში, სადაც დღემდე ინახება. მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანა დოც. ერ.მესხიამ.

ველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მიმართ. აჭარის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი არ იზიარებდა „სედაი მილეთის“ პოზიციას. ამიტომ მის გამოსელას „კომიტეტის წინააღმდეგ პროგრესულმა ეროვნულმა ძალებმა მამხილებელი სიტყვა შეაგებეს. ამ მხრივ საინტერესოა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ 1920 წლის №372-ში დაბეჭდილი ლექსი „ხმა ქობულეთიდან“ (ლექსი „სედაი მილეთლებზე“).

სედაიმილეთელების ბნელ საქმიანობას ამხელს თვითნასწავლი პოეტი, განმათავისუფლებელი კომიტეტის ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე ხასან თხილაიშვილი (1891-1942 წწ.). 1918 წელს, როცა ოსმალებმა სცადეს რეფერენდუმის ჩატარება, ხასან თხილაიშვილმა დიდი გაბედულება გამოიჩინა და თვით ვალის (გუბერნატორის) თანდასწრებით განაცხადა, რომ ხმას აძლევს დედასამშობლოსთან აჭარის შეერთებას. ამის გამო მოკლა დაუპირეს, მაგრამ თანამოაზრეებმა გადაარჩინეს. ლექსში „მესხეთს“ მხილებულია სწორედ „სედაი მილეთის“ ანტიქართული ხასიათი.

ხასან თხილაიშვილი მიუთითებს იმ ძირითად ძალაზე, რასაც უნდა ვეყრდნობოდეთ ყოველგვარი ჯურის მტრისა და ორგულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს არის ჩვენი ეროვნული ისტორიული ცხოვრება, გმირული და სახელოვანი წარსული. ეს იდეა ასეა ხორცშესხმული ამ სტრიქონებში:

„განა არ გვეყო ცრემლები,
განა არ კმარა გოდება?
რომ დღესაც არ გვასვენებენ,
ავსული აღარ გვშორდება?
ისტორიულად ნაქებო,
მესხეთო, ტურფა მხარეო,
შოთა რუსთველის მშობელო,
გამოიღვიძეო მალეო“.[69]

საქართველოსთან აჭარის სულიერი ერთობისა და ეროვნული მთლიანობის განმტკიცების გულმართალი მომღერალი იყო თვითნასწავლი პოეტი მემედ ჭყონია (1860-1940 წწ.). ის დაიბადა სოფ. ქობულეთში, აქტიურად მონაწილეობდა აჭარიდან ოსმალთა განდევნაში 1877-1878 წლების ომის დროს.

მემედ ჭყონია იყო ეროვნულ-პატრიოტური მოძრაობის მონაწილე, შეუპოვრად ებრძოდა ყველას, ვინც ცდილობდა საქართველოსგან აჭარის მოწყვეტას. მის ლექსში „სამშობლოს სიყვარული“, რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისას“ მსგავსად, გამოხატულია უსაზღვრო ერთგულება დედასამშობლო საქართველოსადმი.

„სამშობლო მიწის ნამცეცი
ყოველ სხვა განძზე ძვირია,
მას მკერდით დავეფარები,
თუნდ ვიქნე განაგმირია.
მისთვის მშობილვარ, გაეზრდილვარ,
სიცოცხლე მისთვის მჭირია:
მისთვის ლხინად მიჩნს ყოველი
ტანჯვა და გასაჭირია“.[70]

პუბლიცისტიკა აჭარაში ეროვნული მთლიანობის დიდ სამსახურში იდგა. დედასაქართველოსთან სულიერი კავშირის განმტკიცებას შეალიეს თაეიანთი შეგნე-

[69] გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, №375, 1920.
[70] იყო და მარად იქნება, შემდგენელი მაშია ჯარშანიძე, ბათ., 1978, გვ. 30.

ბული სიცოცხლე ცნობილმა პუბლიცისტებმა გულო კაიკაციშვილმა (1841-1923 წწ.), დედე ნიჟარაძემ, აბდულ მიქელაძემ (1853-1919 წწ.) და სხვ.

დედე ნიჟარაძემ და გულო კაიკაციშვილმა, აჭარიდან პირველებმა, დედასაქართველოსთან სულიერი კავშირების განმტკიცების მიზნით, თავიანთი შვილები თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში მიაბარეს და ცდილობდნენ ახლო ურთიერთობის დამყარებას მოწინავე საზოგადოებასთან. გულო კაიკაციშვილმა ხარჯები გაიღო ქობულეთში პირველი ქართული სკოლისა და პირველი ბიბლიოთეკის დაარსებისათვის.[71]

წერილში „აჭარა", რომელიც 1915 წელს გაზეთ „თანამედროვე აზრის" ფურცლებზე გამოქვეყნდა, აბდულ მიქელაძემ ყურადღება გაამახვილა რელიგიურ სხვადასხვაობასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე. აეტორის აზრით, ერთ ხალხში რელიგიურ საფუძველზე წარმოქმნილი გაუცხოების სინდრომი ადვილად დაიძლევა ერთმანეთის მიმართ გამოვლენილი ზრუნვითა და დახმარებით. 1915 წ., როგორც ცნობილია, რუსეთის სამთავრობო წრეებმა აჭარას დასწამეს ღალატი. ამ ცილისწამებას წინ აღუდგა პროგრესული საზოგადოება. აბდულ მიქელაძემ სწორი შეფასება მისცა ქართველობის ეროვნულ პოზიციას: „გაზეთში ეკითხულობთ, თუ რა თანაგრძნობით შეხვდნენ ქრისტიანი ქართველები ჩვენს უბედურებას, ეგებულობთ, რომ ყველა კუთხეში მყოფი ჩვენი ძმები შემოწირულობას აგროვებენ. შეძლებისდაგვარად გვეწვეიან თვით დამშეული სოფლები, გვეწვევიან ველზე მყოფი ჯარიკაცები, გვეწვევა დიდი და პატარა. ეიცით, რომ ამ შემწეობით ჩვენი დახოცილი მკვდრები არ გაცოცხლდებიან, ჩვენი ნამუსის შემბღალაეი არ დაისჯება, დამწვარ-გაპარტახებული სახლ-კარეზო-მიდამო არ აშენდება, ნალიები სიმინდით არ გაივსება, მაგრამ თითოეული კაპეიკი, ქრისტიანი ქართველის მიერ ჩვენთვის გადადებული, მილიონია, თითოეული თანაგრძნობის სიტყვა ჩვენი მალამოა. გეწამს, რომ ეს თანაგრძნობა უფრო იმატებს, მეტათ შეგეკავშირებს და ყველას, ვისაც ამდენ ხანს არ სწამდა, რომ ჩვენ, რაკი სხვადასხვა რჯული გვაქვს, ამიტომ არ შეგეიძლია ძმები და მეგობრები ვიყოთ, ეს ურწმუნონიც დარწმუნდებიან, რომ ჩვენ ერთნი ვართ. დღეს ჩვენებური კაცისა და ქალის თვალები თქვენსკენ იცქირება, თქვენი მლოცველია და თქვენგან მოელის ხსნას".[72]

XX ს. დასაწყისში პუბლიცისტიკა ახალ საფეხურზე აიყვანეს მემედ და ჰაიდარ აბაშიძეებმა. ქართული მწერლობის წიაღში აღზრდილი მოაზროვნეები, მოვლენებს ეროვნული პოზიციებიდან ხედავდნენ და მკითხველში ქართულ სულს ზრდიდნენ.

პუბლიცისტურ წერილებში მემედ აბაშიძე ხშირად მიმართავს მსჯელობის დიალოგურ ფორმას, რადგან ამ დროს მაქსიმალურად ვლინდება პოლემიკის შინაარსის სიმდიდრე. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, იგი გამორჩეული ოსტატია ქართულ პუბლიცისტიკაში. მისი წერილი — „ქართველი მაჰმადიანების გამოხმაურება" ამის დადასტურებაა.

კიდევ ერთი განსაკუთრებული ღირსება მოეთხოვება პუბლიცისტის თხზულებას — ეს არის სიმართლის, თუნდაც მწარე და მტკივნეული იყოს იგი, დაუფარავად და გაბედულად თქმა ხალხისათვის. 1916 წელს მწვავე კამათი მიმდინარეობდა პრესაში ეროვნულ საკითხებზე. სოციალ-დემოკრატების გაზეთმა „თანამედროვე აზრი", თავისი პოზიცია გამოხატა, რომელიც გარეგნულად დემოკრატიულ ელფერს ატარებს, ფაქტობრივად კი მოწყვეტილი იყო რეალურ სინამდვილეს. მ. აბაშიძემ გაზეთ „სახალ-

[71] თ.კომახიძე. აჭარის მოამაგენი, თბ., 1995, გვ. 26.
[72] იყო და მარად იქნება, გვ. 160.

ხო ფურცელში“ გამოაქვეყნა პოლემიკური წერილი დიალოგის ფორმით და დეტალურად ცხადყო სოციალ-დემოკრატების კონცეფციის უსუსურობა. ის წერდა: „გაზეთი „თანამედროვე აზრი“ გვეუბნება: დემოკრატია მომხრეა ერთა თვითგამორკვევისაო და ისტორიულ-ტერიტორიულისა და სარწმუნოებრივი პრინციპის ნაცვლად პერსონალურს იცავს: ყოველმა მოქალაქემ თვითონვე უნდა გადაწყვიტოს, რომელ ეროვნებას ეკუთვნის. მოქალაქის განცხადება - აი მართლმსაჯული ეროვნული ვინაობის გამორკვევისაო და სხვა“. მ. აბაშიძე უარყოფს საკითხის ასე დაყენებას დედასამშობლოსთან ახალდაბრუნებულ სამუსლიმანო საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი ცხადად გამოკვეთილი, განსაკუთრებით ეროვნული ცნობიერების სფეროში.

ქართველ პუბლიცისტთა შორის მ. აბაშიძე იყო ერთი იმათგანი, ვისთვისაც მშობლიური ენა უზენაესის ხარისხშია წარმოდგენილი. ის შემოქმედებითად ავითარებს ენისადმი იმ დამოკიდებულებას და პასუხისმგებლობას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ჩვენში. გიორგი მერჩულეს ცნობილი სიტყვების პერიფრაზირებად ჟღერს 1919 წ. მ. აბაშიძის წერილში „ჩვენი მიმართულების განმარტება“ ჩამოყალიბებული მოსაზრება ქართული ენის ეროვნული, ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ. „საქართველოს“ განმარტება არ ესაჭიროება, - წერს მ. აბაშიძე, - როცა „საქართველო“ ითქმის, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, თვალწინ წარმოგვიდგება ამ სახელწოდების ენით მეტყველი ერის მიწა-წყალი, სამშობლო“. ამ კონცეფციითაა დაწერილი წერილები: „დედა ენა“, „სამაჰმადიანო საქართველო“, „ქართული ენის სიწმინდისათვის“. მათში ავტორი ქართულ ენას „ჩვენი ერის მთლიანობის გამომხატველს უწოდებს და ასაბუთებს იმ აზრს, რომ „ჩვენი მშობლიური ენის სიმდიდრე და განვითარება ისევ სიტყვიერების სიღრმეში დამალული ძალების კვლევა-ძიებასა და მათ განვითარებაზეა დამოკიდებული“.

მ. აბაშიძემ მრავალი პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა ქრისტიან და მუსლიმან ქართველთა სულიერი ერთობის აღდგენასა და განმტკიცებას. მათგან მეცნიერულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას დღესაც ინარჩუნებს „სიტყვა ქართველთა და აზერბაიჯანელთა კრებაზე 1905 წლის 10 მაისს“, „მაჰმადიანთა და ქრისტიანი ქართველების სულიერი ერთობა“ (1916 წ.) გაზეთი „თანამედროვე აზრი“ და „სამაჰმადიანო საქართველო“ (1916 წ.), „ძმებო, მუსლიმანო ქართველებო!“ (1918 წ.), „სიტყვა მუსლიმან ქართველთა პირველ ყრილობაზე“ (1919 წ.), „სიფრთხილე, სიფრთხილე“ (1920 წ.) და სხვ. მათში ავტორი ერთიან, ძლიერ და დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებობდა და ესწრაფოდა იმ წინააღმდეგობათა დაძლევას, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის ერთიანობას. ის წერდა: „ჩვენი მიზანია სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის უზრუნველყოფა“. ამ მიზნის მიღწევისათვის, მ. აბაშიძის აზრით, საყრდენ პრინციპებს შეადგენდა: 1. ენის ერთიანობა; 2. განსხვავება ეროვნებასა და სარწმუნოებას შორის ეროვნების უპირატესობით; 3. პატივისცემა განსხვავებული რელიგიისადმი; 4. განათლება; 5. ავტონომიური მართვა-გამგებლობა სამუსლიმანო საქართველოსათვის.

ჰაიდარ აბაშიძეც მტკიცედ დგას ეროვნებასა და სარწმუნოებას შორის განსხვავებაზე და აცხადებს, რომ „სარწმუნოებას არ შეუძლია ეროვნების გამოცვლა“.[73] მისი წარმოდგენით, „არ არის მიღებული, რომ როდესაც ეროვნებაზე გვეკითხებიან, სჯულიც დაუსახელოთ“. აქედან გამომდინარე, ჰ. აბაშიძეს ლოგიკურად მიჰყავს მკითხველი იმის შეგნებამდე, რომ ეროვნება უფრო მაღალი ღირებულებაა,

[73] ჰაიდარ აბაშიძე, წერილები, თბ., 1963, გვ. 57.

ვიდრე სარწმუნოება. მას შემოაქვს პუბლიცისტიკაში ბრწყინვალე თეზისი ეროვნების ღვთაებასთან გათანასწორების შესახებ. მისი სიტყვებია: „ეროვნება მეორე ღმერთია“.[74]

ჰ. აბაშიძის, როგორც პუბლიცისტის, დამსახურებაა ხალხის ეროვნულ გათვითცნობიერებაში ხელოვნებისა და ლიტერატურის როლის წინა პლანზე წამოწევა და დაფასება. ის სამართლიანად თვლის, რომ მწერლობის განვითარება ხელს შეუწყობს ერის საერთო განვითარებას. „ყოველ ერს, როგორი ლიტერატურაც არ უნდა ჰქონდეს, თავისი უნდა ერჩიოს სხვისას, ვინაიდან თავისი ლიტერატურის საშუალებით ვითარდება და წინ მიდის კულტურულად ესა თუ ის ხალხი“.[75]

ასევე მნიშვნელოვანია ჰ. აბაშიძის მსჯელობა ეროვნული კულტურისა და ეროვნული ენის ურთიერთობის შესახებ. მისი აზრით, შეიძლება ერთ ერში რამდენიმე რელიგია იყოს, თუ ერის ნაწილები, რომლებსაც სხვადასხვა რელიგიური რწმენა აქვთ, ერთ ენაზე მეტყველებენ, ისინი მაინც ერთ ხალხს წარმოადგენს და ამ ენაზე შექმნილი ლიტერატურაც მათი საერთო კუთვნილებაა. ის წერს: „როგორც ბევრი ერების ნაწილები, ზოგი მაჰმადიანია და ზოგი ქრისტიანი, და ენა და ლიტერატურა ამა თუ იმ ერის წარმომადგენელთ, ქრისტიანებსაც და მაჰმადიანებსაც, საერთო აქვთ, ისე ჩვენც, მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს, საერთო გვაქვს ჩვენი მშობლიური დედაენა და ლიტერატურა. ეს ისე ნათელი და ცხადია, რომ ამის მტკიცება აღარ უნდა იყოს საჭირო“.[76]

ჰ. აბაშიძე ხშირად ამახვილებს ყურადღებას ენისა და მწერლობის, როგორც ერის სულიერი ერთობის, საფუძვლის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ყველა მაჰმადიანურ ქვეყანაში ეროვნება იცავს თავის ენას და მხოლოდ ქართველ მაჰმადიანებს უბნეენ გზა-კვალს, როცა სარწმუნოებით მაჰმადიანს, მაგრამ ეროვნებით ქართველს, შთააგონებენ მშობლიური ენის სიძულვილს. ასეთ პროპაგანდას ჰ. აბაშიძე თვლის ჩვენი ხალხის ეროვნული ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულ საქმედ. „ჩვენ და ჩვენი თანამოძმე შეგნებული ქრისტიანი ქართველები, - წერს ჰ. აბაშიძე, - მიეისწრაფვით კულტურული ერთობისაკენ, გვაერთიანებს საერთო ეროვნება, ენა, ლიტერატურა და ეროვნული ინტერესები, რომლების მიფუჩეჩება და დავიწყება იქნებოდა ჩვენი კულტურულად დაბეჩავების და მოსპობის მომასწავებელი“.[77]

ჰ. აბაშიძე ასევე დიდ ეროვნულ მისიას აკისრებდა ქართულ თეატრს. მისი ცნობილი წერილის („როდის გავიგე მე, რომ ქართველი ვარ“) მიხედვით, სწორედ თეატრის წყალობით გაეცა პასუხი სათაურში დასმულ კითხვას და სრულიად ახალი მიმართულება მიეცა ავტორის ეროვნულ ცნობიერებას. თეატრის ეროვნული მისიის პრობლემას ჰ. აბაშიძე საგანგებოდ შეეხო 1914 წელს მსახიობ კოტე ყიფიანის საიუბილეო საღამოზე წარმოთქმულ სიტყვაშიც და აღნიშნა: „მრავალწამებული საქართველო თუ წელში გაიმართა, შავ ბედისწერას არ დაემონა, და ვერ წარიტაცა შავმა ყორანმა ვით უმწეო მსხვერპლი, ეს უმთავრესად იმის გამოც მოხდა, რომ სასცენო მოღვაწეობა კარგა ხანია მის ცის ქვეშ ძლიერ კულტურულ ძალად ცნობილ იქმნა... და მან, ამ ძალამ, ხელი შეუწყო ქართველი ერის არა თუ მხოლოდ ზნეობრივ წვრთნას, არამედ მის ნამდვილ ეროვნულ გათვითცნობიერებას. ჭეშმარიტად, ჩვენისთანა ბედში მყოფისათვის თეატრი ეროვნული სიცოცხლის დედა-ძარღვია... ქართული

[74] იქვე, გვ. 98.
[75] იქვე, გვ. 77.
[76] იქვე, გვ. 78.
[77] იქვე, გვ. 80.

თეატრი შეიქმნა სკოლად, ის ზრდის ჩვენი ერის ფართო მასას, აძლიერებს მის გულში არა თუ მხოლოდ ეროვნულ, არამედ ადამიანურ შეგნებასაც".[78]

ჰ. აბაშიძე საგულისხმო შეხედულებებს ავითარებს ხალხის ეროვნული ცნობიერების კონსერვატული, კარგი გაგებით, ბუნების შესახებ. ეს შეხედულება მას კონცეფციის სახით აქვს ჩამოყალიბებული და ხშირად იყენებს თავის წერილებში. ავტორს აჭარის მეეიდრთა ცნობიერებაში კანონზომიერ მოვლენად ესახება ქართული სულის გადარჩენა. წერილში „მაჰმადიან ქართველთა ფანატიკოსობა და ეროვნული გრძნობა" იგი წერს: „სამასმა წელმა... ვერ ამოაგდო... გულიდან... გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, როგორც ამას მოელოდა ოსმალეთი".[79] ეს იდეა ჰ. აბაშიძეს სხვა წერილში („ამასაც მტკიცება უნდა?") ასე აქვს განვითარებული: „მართალია, თურქთა ბატონობამ და ისლამმა თავისი ბეჭედი დაასვა მას, მაგრამ ეროვნული თვითარსება და ერი ვერ აღმოფხვრა მასში. ამას უტყუარად ამტკიცებს ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ მაჰმადიანობასა თუ თურქთა გაელენას ჩვენზე 300-400 წლის ისტორია აქვს, ჩვენ მაინც ეროვნულად ქართველებად დავრჩით, არ გადაეგვარდით".[80]

ჰაიდარ აბაშიძე, როგორც ეს მებრძოლ პუბლიცისტსა და მამულიშვილს მოეთხოვება, სწორედ ასეთი პრინციპულობით ებრძოდა ყოველგვარ ჩამორჩენილობას, შეზღუდულობას, ფანატიზმს და გულგრილობას ეროვნულ საკითხებში.

მჭევრმეტყველების საუკეთესო ტრადიციების აღორძინება აჭარაში დაკავშირებულია გულო კაიკაციშვილისა და მემედ აბაშიძის სახელებთან.

სამგლოვიარო სიტყვა, რომელიც გულო კაიკაციშვილმა წარმოთქვა 1915 წ. აკაკის დაკრძალვაზე, ქართული სადარბაზო მჭევრმეტყველების ნიმუშია. ორატორი მადლობას უხდის აკაკის თაობას დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნების საქმის დაგვირგვინებისათვის". „წარსულ რუს-ოსმალეთის ომის დროს მოხდა განგება და კვლავ შემოგიერთდით ჩვენს უფროს მოძმე ქართველებს და ესუნთქავთ ქართველ ერთან ერთად. და ამ დროს, სამასი წლის შემდეგ, სადაც შევინახეთ ქართული დედაენა, ჩვენც ვეღირსეთ დაგვენახა, დიდებულო აკაკი, სინათლე, რომელიც, ვითარცა უკვდავი, შენ აღუნთე ქართველ ერს".

სამადლობელ სიტყვასთან ერთად, ორატორი პრაქტიკულ საბრძოლო ამოცანასაც უსახავდა საზოგადოებას. მან ოსტატურად დაუკავშირა ეს ამოცანა დიდი აკაკის ავტორიტეტს და განაცხადა: „ჩვენი მხარე მეტად დაბნელებული იყო და ერთი საათით ვერ მოეფინება ყველგან სინათლე და საჭიროა, რომ აქეთ უფრო მრავალი სანთელით შემოვიდნენ და გეეედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალი და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გეინათონ და გეიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედა ენა, გეიხსნან იმ გაჭირვებისაგან, რომელშიდაც ნამეტარ ახლა ვიმყოფებით".[81]

სადარბაზო მჭევრმეტყველების ასევე საუკეთესო ნიმუშია მემედ აბაშიძის სიტყვა, რომლითაც მან მიმართა 1918 წ. ხალილ ბეის ხელმძღვანელობით ბათუმში ჩამოსულ ოსმალეთის საზავო დელეგაციას. მ. აბაშიძემ სიტყვა ააგო ყველა ხალხისათვის ნაცნობი სტუმარ-მასპინძლის ტრადიციულ ურთიერთობაზე და იგი დამუხტა პოლიტიკური შინაარსით. არსი ამ სიტყვისა ისაა, რომ ოსმალთა ხელისუფ-ლება უცხოა აჭარისათვის. თავისი სათქმელი მემედმა ასე ჩამოაყალიბა: „კეთილი იყოს თქვენი ჩვენთან სტუმრად ჩამობრძანება. ჩვენ, ქართველები, სტუმართმოყვარენი ვართ, ვიცით სტუმრის მიღება და პატივისცემა. მაგრამ მინდა ისიც იცოდეთ, რომ სტუმარს

[78] იქვე, გვ. 65-66.
[79] იქვე, გვ. 61.
[80] იქვე, გვ. 75.
[81] იყო და მარად იქნება, გვ. 180.

უფლებას არ მიეცემთ ჩვენ შინაურ საქმეებში ჩაერიოს... თქვენ ბატონ-პატრონად ნუ იგულებთ თავს ჩვენს მიწა-წყალზე“.

ამ სიტყვამ დელეგაცია დიდად გაანაწყენა. ამის გამო მემედ აბაშიძე, ჯემალ ქიქაია, დაუთ სირბილაძე და ხასან ლორთქიფანიძე დააპატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს.

დედასაქართველოსთან ერთიანობის შესახებ ყოველთვის შთამაგონებლად ლაპარაკობდა მ. აბაშიძე. მისი საყოველთაოდ ცნობილი სიტყვაა: „ეროი ეინმე მამულიშვილი თუ იამაყებს თავისი ქართველობით, დამერწმუნეთ, მეც ვიამაყებ ჩემის ქართველობით“. 1916 წ. თბილისში ნადიმზე წარმოთქმულ სიტყვაში მან დახატა დედასამშობლოსთან დაბრუნებული აჭარის პოეტური სახე. ორატორი მხატვრულად აზროვნებს და ძლიერ ემოციურ ზეგავლენას ახდენს მსმენელზე, აი ეს სიტყვა: „ყვავილი რომ მოსწყდება ღეროს, დაჭკნება, გაყვითლდება... როდესაც ყვავილი მოწყდება, მიიკარით იგი გულ'ზე, დაიჭით ხელში, ეალერსეთ და იქნება იგივე ყვავილი, რომელი რომ იყო... აჭარა მოსწყვიტა ბედმა საუკუნოებით სამშობლოს გულს და ნუ გიკვირთ, თუ ეუცნაურებით, თუ დღეს საკმაოდ ვერ უცვნიხართ, - მოჰკიდეთ ხელი და ისევ თქვენთან იქნება...“.

ორიგინალურად არის გადაწყვეტილი ცნობილი სადღეგრძელო, რომლითაც მ.აბაშიძემ ნადიმზე მიმართა მისთვის სათაყვანებელ ილია ჭავჭავაძეს: „მე ამ დიდბუნოვანი ადამიანის, ჩვენი ერის მოძღვრის სადღეგრძელო ბუნების წყლით მსურს დაელიო, რადგან ეს უფრო შეესაბამება მის უანგარო და ფაქიზ ბუნებას. არაბთა ბრძნული თქმისა არ იყოს, „წყლით სულდგმულობს დედამიწაზე ყოველი“. ჩვენ ყველას განგვიცდია წყურვილის ძალა. რამდენჯერ თავდავიწყებით დავწაფებივართ მას და ბუნების ამ მაცოცხლებელი წყლით დაგვინამავს ჯერ მხურვალებისაგან შემშრალი ბაგენი, ხოლო შემდეგ რა აუწერელი სიამით გეიგრძნია მისი სისველე შინაგან.

აღმოსაელეთის გამოჩენილი მგოსნების პოეზიაში წყალს საპატიო ადგილი ეთმობოდა, ისინი თაეიანთი საყვარელი ადამიანების სისპეტაკეს წყლის სიწმინდეს ადარებენ და წყლის დინების საამო ხმას აიგივებენ მიჯნურთა ბუტბუტთან და მეც, როგორც თქვენს თანამესუფრეს, სრული შეგნებით მსურს წყლით შევსვა ჩვენი ერის სასიქადულო შვილის, ჩვენი ილიას, სადღეგრძელო, როგორც უსაყვარლესი და უსპეტაკესი ადამიანისა“.

ასე დაამთავრა მ. აბაშიძემ ილიას სადღეგრძელო და შესვა აზარფეშაში ჩასხმული წყალი. „ჩვენ, - იგონებს გ. ქიქოძე, - მემედის მჭევრმეტყველებით აღფრთოვანებულნი, ახლა თამამად შევეკქეროდით ილიას, რომელსაც სახე გადაღრუბლოდა. იგი კმაყოფილებით წამოდგა და შუბლზე ეამბორა მემედ-ბეგს“.

ეს სიტყვა, როგორც ორატორული ხელოვნების ნიმუში, რომელმაც თვით ილიას მოწონება დაიმსახურა, პირველ რიგში, გამოირჩევა სიდარბაისლით. ორატორი დამსახურების აღნიშვნით უდასტურებს ადრესატს გულითად პატივისცემას. მას არ სჭირდება სურვილების კორინტელი, რაც არასდროს არ იყო მთავარი ქართული სუფრისათვის და, მეტადრე, ღვაწლმოსილი ადამიანებისადმი პატივისცემის გამოხატვისას. ამიტომ იყო ეს სიტყვა მართალი და, მაშასადამე, ძლიერი.

სადარბაზო მჭევრმეტყველების საინტერესო ნიმუში შექმნა მ. აბაშიძემ ილიას დაღუპვის გამო გამოწვეული საყოველთაო მწუხარების გამოსახატავადაც. მან ასე მიმართა მსმენელს: „სამ'შობლოს ძმანო და დანო! 9 ამ თვეს უღმრთოდ და ვერაგულად სამ'შობლოსათვის წამებული დიდი ილია მშობელმა მისმა, როგორც ჭეშმარიტი ღვიძლი შვილი, ჩაიკრა სამარადისოდ თავის მშობლიურ გულმკერდში... და გულამოსკვნილი ცხარის ცრემლებითა და ნაღველიანისა ხმით მიმართა თავის სანუ-

გეშო და საიმედო 'მეილის - ილიას მეველელებს, ბოროტ ავაზაკებს: „აწ თქვენთვის არამი იყოს ჩემი ამაგი, თქვენდამი ჩემი ზრუნვა, შრომა და ღვაწლი, ჩემი მშობლიური ტკბილი ძუძუ, რითაც გაიკვებენით! შიშველები შეგმოსეთ, ობლები დაგავაჟკაცეთ, ცოტად თუ ბევრად ცხოვრების საასპარეზო მოედანზე გამოგიყვანეთ, იქნებ მომშველებოდით და ჩემს ძველ წყლულებს მალამოს დამიდებდით და მით ტანჯვა-მწუხარებას შემიმცირებდით და დამაიმედებდით-მეთქი, მაგრამ ამაოდ!... თქვენის-თანების შობასა, ქვა რომ ეშობა, იქნებ სამშობლოს სახეიროდ სადგომებზე ანუ გზატკეცილებზე მაინც მოხმარდებოდა, ხოლო ამგვარი შემარცხვენნი, საზარელი და თავ'სარდამცემი შემაძრწუნებელი საქციელი არ მომხდარიყო.

თქვენ მოკალით საუნჯე ჩემი ცხოვრებისა! თქვენ დამიბნელეთ სინათლე ჩემი არემარისა!... თქვენ დაჭგმეთ თქვენი ვინაობა, თქვენ უარჰყავით ჩემი წარსული, რომელიც იწყება შორეული ისტორიის საზღვარს იქითა!... თქვენ დამასახიჩრეთ! თქვენ დამამახინჯეთ!... ამომთხარეთ შანთებით ორივე თვალები! ამომგლეჯეთ ენა, გულ-ღვიძლი ისე, როგორც ულმობელმა ჯალათმა.

აწ ძალ აღარ მიძს! დატკბით ჩემი სისხლითა, გაიხარეთ სამშობლოს მტრებო!"

ამ სიტყვის უმთავრესი თემა ილიას დამსახურების აღიარებაა. აქედან მომდი-ნარეობს ილიას სიკვდილით საქართველოსათვის თავდატეხილი უდიდესი ტრაგედია.

ამრიგად, დედასაქართველოსთან დაბრუნებულ აჭარაში ისევ აღორძინდა შემოქ-მედებითი ცხოვრება. მწერლობა, პუბლიცისტიკა, ორატორული ხელოვნება ხალხის ეროვნული, პატრიოტული და ესთეტიკური აღსრდის მძლავრ ძალად იქცა. იგი მი'ხან-დასახულად ემსახურებოდა მთავარს - საქართველოს სულიერი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-განმტკიცებას.

§4. საისტორიო ზეპირსიტყვიერება

აჭარის საისტორიო ზეპირსიტყვიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია რუსეთ-ოსმალეთის ომებისა და მუჰაჯირობის ამსახველ ნიმუშებს, რომლებიც იქმნებოდა როგორც უშუალოდ მოვლენების კვალდაკვალ, ისე მომდევნო ხანაში. ამ ლექსებში შეინიშნება სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივებიც.

რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877-78 წწ.) დროს აჭარის მოსახლეობა და აქაური მესვეურები ცალსახად გამოხატავდნენ დედასაქართველოსთან დაბრუნების სურვილს. ამან დიდად შეუწყო ხელი ოსმალებზე რუსეთის არმიის გამარჯვებას. ომის ამსახველ ზოგიერთ ხალხურ ლექს-სიმღერაში ორივე მხარე მიჩნეულია თანაბარი ძალის (ეშის) მქონედ. ამის ნიმუშია ფართოდ გავრცელებული ლექსი „ალი-ფაშამ გვიღა-ლატა", რომელიც ჰ. უმიკაშვილმა ჩაიწერა 1890 წელს. მასში ნათქვამია: „ხვანთქარი და რუსი ჩხუბობს, იგი არის ეორეე ეში".[82]

აღნიშნული ომის ამსახველი საინტერესო ფოლკორული მასალა ჩაუწერია „დროების" თანამშრომელ იასონ ნათაძეს, რომელიც 80-იან წლებში ართვინში მსახურობდა და მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა იქაურ ქართველობასთან. მას უნდა ეკუთვნოდეს გაზ. „დროებაში" (1882, №70) „გარდახვეწილის" ფსევდონიმით დაბეჭ-დილი სტატია „ხმა მაჰმადიან საქართველოდამ", რომელშიც აჭარელთა ყოფა-

[82] ჰ.უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება ოთხ ტომად. ტ. I. თბ., 1964, გვ. 141.

ცხოვრება და სულიერი კულტურაა გაშუქებული.[83] რედაქტორისადმი წერილში ი. ნათაძე აღნიშნავს, რომ კრებს აქაურ ზეპირსიტყვიერებას, განზრახული აქვს მათი გამოცემა და ნაწილს უგზავნის კიდეც. აქვე ავტორი მადლიერებით იხსენიებს მთქმელსაც - ოსმან წულუკიძეს.

ოსმან წულუკიძის რეპერტუარშია რუსეთ-ოსმალეთის ომის ციკლის ლექსები: „გაგზავნეს საჩხუბარათა ურუმელში სამი ფაშა“, „მიგვიყვანეს, გადაგვწერეს, დაგვიყენეს მინბაშები“, „ხონთქარი და რუსი ჩხუბობს“ და „წინ მოდიან კახელები“. ერთ-ერთი ლექსის („ხონთქარი და რუსი ჩხუბობს“) გამომთქმელი ყოფილა დედე-აღა უზბაში. ეს იგივე დედე-აღა ნიჟარაძეა.[84] ომის დროს იგი სხვებთან ერთად მიემხრო რუსის ჯარს, რის გამოც ლექსებში არაერთგზის გაიჟღერა, „ბეგიებმა გვიღალატესო“.

ჰ. უმიკაშვილის არქივში დაცულია გულო კაიკაციშვილის ეაჟის — ასლანის ქობულეთური ჩანაწერები, რომელთა უმეტესობა 1891 წლით არის დათარიღებული. აქ ყურადღებას იპყრობს რუსეთ-ოსმალეთის ომის ამსახველი ლექსთა ვარიანტები „ალი-ფაშას ღალატობა“, „ხაჯი ოღლის რომ უქია“ და ფირალის ეპოსის ნიმუშები: „ალიაღა სუბაშოღლი,“ „ახმედ ხარაზის ლექსი“ და „ახალგაზრდა ყმაწვილების ევაკაცობაზე.“[85]

ომის ბოლო ეტაპიდან, როცა აშკარა გახდა აჭარის ბედი, იწყება მუჰაჯირობა, რაც სათანადოდ აისახა ზეპირსიტყვიერებაშიც. მუჰაჯირობის პრობლემა საერთოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი, გარკვეულია მისი სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზეზები. ხალხურმა სიტყვიერებამ კი მისთვის დამახასიათებელი უშუალობით შემოგვინახა მოსახლეობის ეს ტრაგიკული მოვლენა, როცა ამ კუთხეში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი დამპყრობლის ინტერესები. ხალხი კარგად ხედავდა, რომ „ვერას გახდებოდა“ მათ ორთაბრძოლაში. „წამქეზებლები კრიტიკულ მომენტში განზე რჩებოდნენ და ყველაფერი ხალხს ატყდებოდა თავზე“.[86]

ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა სახელები ხალხის მოღალატე დიდგვაროვნებისა, ოსმალო მოხელეებისა თუ მათი აგენტებისა (ხოჯა ალი-ეფენდი, ხასან აღა და სხვ.), რომელთა დევიზიც იყო: „მე ნიშანი დაეიკიდე, რაღათ მინდა მეზობლები“.[87] საკუთარი პრივილეგიების შენარჩუნების მიზნით, მათ მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანეს, რუსთა წინააღმდეგ აამხედრეს, შემდეგ კი დააშინეს და უცხოეთის გზას გაუყენეს.

მოღალატე „ბეგიები (ფაშიები)“ შემდგომი დროის ფოლკლორულ წყაროებში ერთ პიროვნებაში (ალი-ფაშა თავდგირიძე) დაკონკრეტდა, ყველა ცოდვა მას მიეწერა და რუსეთ-ოსმალეთის ომის ამსახველი ზოგადი ლექსი „ხონთქარი და რუსი ჩხუბობს“ უკვე „ალი ფაშას ლექსად“ გაფორმდა. ამ ციკლის ფოლკლორში ალი ფაშა წარმოდგენილია როგორც გამყიდველი, ბოროტი და ეგოისტი. „ალი ფაშა ეომა რუსებს და ბოლოს ფული აიღო მათგან, ხალხი კი დატია მოტყვილებული“.[88] ამიტომაც განაწამები ხალხის განაჩენი უმკაცრესია:

„ღმერთო, ფაშა ისე მორთე, არ გააწევდეს ზამთარი,
მისიანის ნახვას ჩივოდეს, საშიშრათ იყოს გამხდარი“.[89]

ერთ-ერთ ქობულეთურ ვარიანტში აშკარად გამოსჭვივის ხალხის უკიდურესი ზიზღი მოღალატის მიმართ და მისი დასჯაც სამართლიანობად არის მიჩნეული:

---

83 გ.მაკაბერიძე, აჭარის ზეპირსიტყვიერების მასალები ჰ.უმიკაშვილის არქივში. - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, III, თბ., 1977, გვ.50.
84 იქვე, გვ. 51.
85 იქვე, გვ. 58.
86 ა.ახვლედიანი, აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათ., 1970, გვ. 114.
87 აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ., 1968, გვ. 62.
88 ამხე, ს. 250, ფურც. 41.
89 აჭარის ხალხური პოეზია, I, გვ. 64.

„მასაც კაი არ დამართია, ბაწრით ჩაათრიეს გემში.
ფაშას უყვარს ოქროს ფული, დაადნეს და ჩაასხეს პირში,
მისი ყვირილი ისმოდა სუფსის გაღმა ბაილეთში“.[90]

სხვა ვარიანტით კი:

„სტამბოლში რომ ჩაიყვანეს, ჯაჭვი მოკიდეს კისერში,
საგიჟეში წაიყვანეს, აღარ მოსწრია ბარათი,
წარმატებებს მოელოდა, ის ღორიეთ ააჭყვირეს“.[91]

1878 წლის იანვარ-იელისის გაურკვეველი ვითარება საბედისწერო აღმოჩნდა აჭარის მოსახლეობისათვის. ამ დროიდან იწყება მათი აყრა მშობლიური მიწა-წყლიდან. ამ მოვლენას ეხმიანება ლექსი „რუსის ზაკონი“, რომლის მიხედვითაც რუსის ჯარის ბათუმში შემოსვლა უბედურებად აღიქმება („ძველებურად არ გეგონოს, რუსი მოვიდა ბათუმში“). ახალმა დამპყრობელმა თავისი კანონები შემოიტანა, „ნაკაზანია და კატორღა“ დაუწესა ხალხს, ხოლო ადგილობრივმა აღებმა, ჩინ-მედლების საფასურად, ყურები დაიხშეს, თვალები დაიბრმავეს და თანამოძმეთა ინტერესები არაფრად ჩათვალეს. ამ მდგომარეობას, ბუნებრივია, მოჰყვა ხალხის სურვილი – გაქცეოდა მიუღებელ ვითარებას. ამგვარ პროტესტს თან ერთვოდა აღა-ბეგებისა თუ მოხელეების აგიტაციაც. ამიტომაც დაბრუნული მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ოსმალეთისაკენ აიღო გეზი.

მუჰაჯირობის ამსახველი ლექსების უმთავრესი თემაა უსაშველო სევდა-წუხილი, რაც მშობლიური ადგილების მიტოვებით და ახლობლებთან განშორებით იყო გამოწვეული. სოფ.ხინოში (ქობულეთის რაიონი) ჩაწერილი ერთი სატრფიალო ლექსის მიხედვით ქალიშვილი ასე ეთხოვება მუჰაჯირად მიმავალ სატრფოს:

„მე, შენი მგონი, რასა ვიქ, რასო,
ჩემი კურცხალი მიერთვის ზღვასო.
არ მიღალატო, ჩემო ძვირფასო!...“

გულამოსკვნილი ვაჟი პასუხობს:

„მივდივარ ჰამა, არ ვჯერვარ ამას,
დასტურ იქნება, გულს დავკრავ ყამას,
არ მსურს სიცოცხლე, დევფიცავ მამას!“[92]

ოსმალეთში გადახვეწილები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მთავრობამ დანაპირები არ შეასრულა. ამიტომაც ბევრი უკანვე გამობრუნდა. იმედგაცრუება ასახულია ხალხურ ლექსში „დაგველების მუჰაჯირად წასვლა“:

„თურქეთში რუმ ჩევიდენ, აღარ ხონდენ აფერი.
ერთმანეთსა ხკითხავდენ: სადაა ჩენი ადგილი?
დამირჩენ უკაცრავადა, აღარ იყო ადვილი“.[93]

მუჰაჯირობის ციკლის ზეპირსიტყვიერება მარტოოდენ სამშობლოში დარჩენილთა რეპერტუარით როდია წარმოდგენილი; თურქეთის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველ ლტოლვილთა ფოლკლორული შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი თემაა მამულის მიტოვებით გამოწვეული წუხილი, მარადიულ ტკივილად რომ შემორჩენიათ ჩვენებურებს. აკი ამიტომაც მუჰაჯირთა შთამომაველებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს სევდით აღსავსე ე.წ. „მემლექეთური ლექსი“:

---

[90] ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი (შემდეგში იხ. ბსკიფა), ს. 191, გვ. 59.
[91] აჭარის ხალხური პოეზია, I, გვ. 64.
[92] ბსკიფა, ს. 67, გვ. 142-143.
[93] აჭარის ხალხური პოეზია, I, გვ. 65.

„აჭარას ვემშვიდობებით, რა ლამაზი დარიაო.
ჩვენ რო გემში ჩავედებით, ჩუენი გული კდარიაო“.[94]

ქართველ მუჰაჯირებს საკუთარი თავისთვის „შეფრენილი ფუტკრები“ უწოდებიათ. ამ ეპითეტით სრულად არის დახასიათებული მათი ტკივილიანი ბედისწერა. ეს მწარე რეალობა უდევს საფუძვლად სევდიან სიმღერას „შეფრენილო ფუტკარო“, რომელშიც შერწყმულია ტრადიციული ქართული ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი სიმბოლიკა თუ მხატვრული სახეები, ზნეობრივ-მორალური კოდექსის შემცველი მოტივები, ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრთაგან ნასესხები სალექსო სტრიქონები, მუჰაჯირთა სულიერ ქურაში რომ გამოწრთობილა დედასამშობლოს საგალობლად:

„შეფრენილო ფუტკარო, წადი, მავანს უთხარო:
- შენ ქართველი შვილი ხარ, შვილო, მოდი ჩემთანა.
- ვოსა, ვორერა, ვოსა, შვილო, მოდი ჩემთანა...
შავი ზღვის პირზე თოვლი მოსულა,
შენი ფუტკარი სხვასთან წასულა,
შავი ზღვის პირზე ვარსკვლავი ბრწყინავს,
შენი ფუტკარი დღეს სხვაგან ფრინავს,
ბახმაროს მთებზე დაუთოვლია,
შენი ფუტკარი სხვას უპოვნია...“[95]

მუჰაჯირთა რეპერტუარს ამშვენებს სიმღერა „თეთრი მამალი“, რომელიც ალეგორიული ხასიათისაა. „თეთრი მამალი“ სამშობლოზე ფიქრისა და ოცნების სიმბოლური გამოხატულებაა, „ლამაზი ქალი“ კი - მუჰაჯირთა შთამომაელებისა. დრო-ჟამის გასვლის შემდეგ მუჰაჯირებიც თანდათან ეგუებიან ახალ სამკვიდროს, აღარ ყივის მათი დამცხრალი სული - „თეთრი მამალი“, აღარც თანამედროვე გურჯი ქალები იცრემლებიან; ახალ კერაზე მათ საკუთარი საზრუნავი გასჩენიათ, თუმცა, დროდადრო წამოაგონდებათ, რომ ღელეს გადაღმა მათი ნაფუძარი დარჩენილა, სადაც ახალი ბინადარნი სახლობენ.

ა. უმიკაშვილის არქივში დაცულია საისტორიო ზეპირსიტყვიერების საინტერესო ნიმუში „ბათომის ლექსი“, რომელიც ეკუთვნის ცნობილ სახალხო მთქმელს ბუჰანა შავიშვილს. იგი ჩაწერილია 1879 წლის 28 აგვისტოს, ბათუმში რუსეთის არმიის შემოსვლიდან ერთი წლის შემდეგ. ლექსი გამოძახილია „პორტო-ფრანკოს“ უმძიმესი ეკონომიკური პოლიტიკისა. ხალხი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ახალმა ვითარებამ მათი მდგომარეობა კიდევ უფრო უიმედო გახადა; გაღატაკებულ ხალხს ხელი არაფერზე მიუწვდებოდა დიდი საბაჟო გადასახადის გამო:

„ამ დამპალი ფრენგის ჩითით დუქნის პირი ავსილია,
თვალდამდგარებს ვერ შუუტყვიან, ფუხარა რომ დავსილია“.[96]

აჭარის მკვიდრთა სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი ვერც ოსმალთა ბატონობის მძიმე ხანამ დათრგუნა და ვერც რუსულმა მმართველობამ გააფერმკრთალა. ბრძოლებმა მომხვდურებთან თუ შინაგანმა სოციალურმა წინააღმდეგობებმა საუკუნეთა მანძილზე ზეპირსიტყვიერება გაამდიდრა გმირობისა და მამაცობის, მაღალზნეობრივი მოქალაქეობის, ქვეყნისა და ხალხის სამსახურში თავდადების სულისკვეთებით გამსჭვალული საგმირო ლექს-სიმღერებით, რომლებმაც ისტორიას შემოუნახა მრავალი სახალხო გმირის სახე.

---

[94] შ.ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათ., 1993, გვ. 98.
[95] იქვე, გვ. 54.
[96] ა.ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

ოსმალური მარწუხებისაგან თავადაღწეულ აჭარას დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ თავს დაატყდა რუსული მმართველობის სიმძიმე. ახალი მთავრობა რეპრესიებით პასუხობდა თავისუფლებისადმი სწრაფვას, უხეშად ერეოდა საუკუნეობრივი ტრადიციებით განმტკიცებულ ადათობრივ ნორმებში, რაც, ბუნებრივია, აძლიერებდა უკმაყოფილებას. რუსული მმართველობის სისასტიკის მსხვერპლნი გახდნენ ფოლკლორში კარგად ცნობილი სახალხო გმირები: შირინ ვოდელიოღლი (შარაშიძე), მეველუდ დიასამიძე, ილიას ხილაძე, ყირიმლიოღლი (მემედ დიასამიძე) და სხვ.

ვოდელიოღლი ფირალის ეპოსის ერთ-ერთი გამორჩეული პერსონაჟია. მასზე ლექს-სიმღერები გავრცელებული იყო როგორც აჭარაში, ისე იმერხეეში. ვოდელიოღლის ლექსის ადრეული ვარიანტები ჩაიწერა ნ. მარმა სწორედ იმერხეეში და დაურთო საინტერესო შენიშვნები ლექსის ადრესატის ვინაობასა და წარმომავლობაზე.[97]

შირინ შარაშიძე ფირალად გავიდა XIX-XX სს მიჯნაზე და ლექსიც იმავე დროსაა შეთხზული. ავტორადაც თვით ვოდელიოღლი ჩანს. ამის თაობაზე ჯერ კიდევ ნ. მარმა მიუთითა. ამავე აზრისაა ფოლკლორული ტრადიციაც. მთქმელები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „ჭვანელი ყაჩაღი შირინა ვოდელიოღლი მის ქალს უთქვამდა ლექსებს... დიდი ლამაზი კაცი იყო. მაგას ყავდა შეყვარებული ქალი. ლექსით შაააყვარა თავი“.[98]

შირინ შარაშიძე პოპულარულ მელექსედ წარმოგვიდგება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ვოდელიოღლის ლექსის“ ზოგიერთ ვარიანტში უძველესი სამონადირო ბალადის - „ავთანდილ გადინადირას“ - კონტამინირებაც თავდაპირველად სწორედ მისი ნახელავია, რადგანაც მოტივთა თანხვდენილობას აქვს ადგილი.[99] ორივე გმირს სახლში ცოლი (შეყვარებული) დარჩა. სიკვდილის წინ შირინი იბარებს:

„ერთ გოგოზე აბი დამრჩა...
მე რომ მოვკვდე, სხვას მიეცით, მე კი მჯობდეს თვალტანათა,
ჩემი ყამა და ქვმერი თან გაატანეთ მზითვათა“.[100]

ასეთივე მაღალზნეობრიობით გამოირჩევა შირინის შორეული წინაპრის - ავთანდილის ანდერძიც ბალადაში „ავთანდილ გადინადირა“.[101]

შირინ შარაშიძეზე შექმნილი ხალხური ლექსის ვარიანტებიდან თუ გადმოცემებიდან იგი სამართლიან შურისმაძიებლად, ადგილობრივი თვითმმართველობისა და რუსის ჯარისადმი შეურიგებელ ეაჟკაცად წარმოჩინდება. ფირალად გავარდნის შემდეგ მას კიდევ უფრო დაუმძიმებია დანაშაული, მოუკლავს „ზაფთიებაში“ (პოლიციის უფროსი) და, ბუნებრივია, მშობლიურ კუთხეში აღარ დაედგომებოდა: „ღალატიდან მეშინია, უნდა წევდე მე ოსმალში“.[102]

სახალხო გმირთა პლეადას ამშვენებს მეველუდ დიასამიძე, რომელიც თავისუფლებისათვის მებრძოლი გლეხის სიმბოლური სახეა. დ. კლდიაშვილი იგონებს: „მეველუდა იყო აჭარელი ყაჩაღი, რომლის ბრბოს დიდ გასაჭირში ყავდა ჩაყენებული მთელი ადგილობრივი ადმინისტრაცია. მეველუდა, სიცოცხლით სავსე ბიჭი, ერთ დროს მსახურობდა მილიციონერად და დიდ პატივისცემაში იყო. ტყუილად თუ სამართლიანად, ერთ დღეს მას დაბრალდა ვიღაც მოგზაურის გაძარცვაში მონაწილეობის

[97] Марр Н.Я., Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, кн.,VII,С - Пб., 1911, с. 47-53.
[98] ა.ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 187, 190.
[99] იქვე, გვ. 192.
[100] აჭარის ხალხური პოეზია, გვ. 66.
[101] იქვე, გვ. 58.
[102] ბსკოუა, ს. 29, გვ. 133.

მიღება და დაჭერილ იქნა. მეელუდა გამოძიების დროს გაიქცა, გადავარდა და წავიდა ყაჩაღად. მალე ამხანაგებიც იშოვა, შეადგინა ბრბო და მოსვენებას არ აძლევდა ადმინისტრაციას თავის თამამი, გაბედული თარეშით".[103]

მთავარმართებელი გოლიცინი, თურმე, იმუქრებოდა: „მომეცით მეელუდა, მომეცით, თორემ მთელ მხარეს ავიკლებო". მოსყიდულმა მსტოვრებმა, მართლაც, დააჭერინეს მეელუდ დიასამიძე და ის სიკვდილით დასაჯეს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აჭარის სპირსიტყვიერებაში მასზე ხალხური ლექსი არ შექმნილა, თუმცა, ზოგიერთი გადმოცემით, ასეთი ნაწარმოები თურქულ ენაზე არსებობს.

მეელუდ დიასამიძის რაზმელის, ცნობილი ფირალის ილიასა ხილაძის სახელი აისახა აჭარის საგმირო-საისტორიო ლექსებშიც. იგი ფურტიოელი ყოფილა, რაზედაც ლექსის ზოგიერთი ვარიანტის დასათაურებაც („ფურტიოელი ილიასას ლექსი") მიგვანიშნებს. ლექსის ავტორად კი მიჩნეულია ცნობილი სახალხო მთქმელი რეჯებ მუავანაძე.[104]

ილიასას ძმის სისხლი აუღია და ტყეში გავარდნილა. ბოლოს მთავრობას შეუპყრია, სამხედრო-საველე სასამართლოს გაუსამართლებია და საჯაროდ ჩამოუხრჩეიათ. „გოლიცინის ბრძანებით... ქედაში შეჰყარეს მრავალად ქალი, კაცი, ბავშვებიც და ილიასა საჯაროდ ჩამოახრჩვეს", - გვაუწყებს დ. კლდიაშვილი.[105] ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 1898 წ. 28 დეკემბერს, რაზედაც „ილიასას ლექსის" ვარიანტები მიუთითებს.[106]

„ფურტიოელი ილიასას ლექსში" გულისტკივილია გამოთქმული იმის გამო, რომ „კაცის დარჩობის კანონი გამოვიდა მთავრობაში" და რომ მოსახლეობა აიძულეს, ეყურებინა ილიასას ჩამოხრჩობისათვის. ხალხის თავშეყრის მიზანი იყო მათი დაშინება-დამორჩილება. „ეითომ ხალხმა შეშინდესო და ილიასა იმიტომ დაარჩვეს ქედაში, მარა მაგით არაეინ არ შეშინებულა. ყაჩაღობა ნიკოლას დროს კიდევ იყო".[107]

ლექსში ერთგვარ ჰიპერბოლასთან გვაქვს საქმე, რადგანაც მთქმელი ილიასას დასჯის დასტურს ევროპიდან მიღებულად წარმოაჩენს:

„თუ ავროფა არ უბრძანებს ხელმწიფესა და ყირალსა,
ისე კაცსა ვინ დაარჩობს, იმ საკატორღე ფირალსა".[108]

მეფის რუსეთის მმართველობის სუსხიან ექოდ შემორჩა აჭარის საგმირო-საისტორიო ზეპირსიტყვიერებას „ყირიმლიოღლის ლექსი", რომლის ავტორიც რეჯებ მუავანაძეა.[109]

ყირიმლიოღლი, ანუ იგივე მემედ დიასამიძე, სოფელი გლეხი ყოფილა, XIX ს. დამლევს ჩამოსულა ბათუმში და ქარხანაში დაუწყია მუშაობა. ამ ხანებში ფულს დახარბებულ წონიარისელ მეზერჯოღლის მთავრობასთან დაუბეზღებია მასთან თავშეფარებული ყაჩაღები: მეელუდ დიასამიძე, ახმედ ყირიმლიოღლი (მემედის ძმა) და წაბლანელი ხუსია. გამთენიისას 300-კაციანი რაზმი დასხმია თავს მეზერჯოღლის სახლს, ხუსია და ახმედი მძინარენი ამოუხოცავთ, მეელუდი კი დაჭრილი შეუპყრიათ. „აი შუუტყეია ახმედ ყირიმლიოღლის ძმას მემედას... და ამოვიდა ქედას... მივდა, დახედა კტარ ძმას... შუუქცია მის სოფელში და წევდა".[110] ამ ამბის შემდეგ მემედი

103 დ.კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1984, გვ. 31.
104 ა.ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 198.
105 დ.კლდიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 32-34.
106 ჯ.ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წ. III, ბათ., 1977, გვ. 99; აჭარის ხალხური პოეზია, I, გვ. 69.
107 ა.ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 201.
108 აჭარის ხალხური პოეზია, I, გვ. 69.
109 იქვე. გვ. 75; ა.ახვლედიანი, ე.დავითაძე, „ჩამოთქვი, ჩემო ჩონგურო", ბათ., 1979, გვ. 54.
110 ა.ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 206-207.

ფირალად გაეარდნილა, მოუკლავს სამი მესერჯოღლი და ბოლომდე შეურიგებელი დარჩენილა მთავრობის მიმართ.

ამ მკვლელობის გამო მემედ დიასამიძეს ჩამოხრჩობა ელოდა. ეს თვითონაც კარგად იცოდა, მაგრამ თავისი კუთხის მაღალზნეობრივ ტრადიციებზე აღზრდილი ვაჟკაცისათვის მიუღებელი იყო რუსის კანონების მარწუხები და მათგან თავგზააბნეულ თანამოძმეთა საქციელიც. სახალხო გმირის პირით ლექსში გამოთქმულია უდიდესი სინანული იმის გამო, რომ ხალხში დასმენამ და ღალატმა იჩინა თავი. ლექსში ხაზგასმულია ყირიმლიოღლის ზნეობრიობა, მისი საქციელის სამართლიანობა. მემედი უმტკიცებს „ოქროკას“, რომ მისი შურისძიება სამართლიანია.

„ყირიმლიოღლის ლექსში“ დაგმობილია ბათუმის ოლქის პოლიციის მაშინდელი უფროსი სუმბათოვი, რომლის დროსაც აღიმართა აჭარაში პირველი სახრჩობელა:

„...ოქროკაი, თუ მიხთება, ამ საქმიებით გეილანძღა,
კაცის დარჩობის კანონი მის გაწერაზე გამოვდა.“

ყველაზე დიდი საშინელება კი, რაც ამას მოჰყვა, ის იყო, რომ მთავრობამ აჭარის სოფლებში ეგზეკუცია ჩააყენა („რუსი სოფელში შამოვდა“) და მეზობლებს შორის შიში და უნდობლობა დათესა. ლექსის სვედიანი ეპილოგი მთქმელის გულწრფელი აღსარებაა იმის გამო, რომ „მეფის ხელში დარჩენილი თავს ვერ იხსნის ხელიდანა“, რომ რუსმა „დუნია ღალატობით ეიღო“ და ხალხს საფიქრალი და სადარდებელი გაუჩინა.

ხალხური გადმოცემით, რეჯებ მჟავანაძეს ხელისუფლებისაგან დევნა განუცდია, რაკი ფირალისათვის ლექსი მიუძღვნია და შიგ ხალხის გულისტკივილიც ჩაუქსოვია. ეს ბუნებრივიც იყო, რეჯებ მჟავანაძე თავისი კუთხის ღირსეული შვილია და ვერ ურიგდებოდა ვერც მომხვდურთა უღელს და ვერც თანამოძმეთა უზნეობას. ილიასა ხილაძის ჩამოხრჩობა მას საკუთარი თვალით უნახავს და, 25-30 წლის ვაჟკაცს, შეძრულს ხელისუფლების დაუნდობლობით, თავის ლექსებში დამპყრობლისადმი ზიზღი და თავისუფლებისადმი სწრაფვა ჩაუქსოვია. ამის გამო დევნა დაუწყეს და ისიც თავისი ლექსების გმირების გზას დაადგა. შუახევის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ გომარდულში 1873 წელს დაბადებულმა სახალხო მელექსემ 1929 წელს თურქეთში, ქალაქ უდრემითის იენიჯეს რაიონში ჰპოვა სამუდამო სავანე.

ეროვნული თემატიკის გარდა, რ. მჟავანაძის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალურ პრობლემებსაც.[111]

ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა ხსოვნა ქობულეთელ ფირალ შამილიოღლის შესახებ. დიდი პოპულარობით სარგებლობს „შამილიოღლის ლექსი“. ირკვევა, რომ იგი შეყვარებულის ძმას, ურიადნიკ მუხამედს სასიკვდილოდ გაუმეტებია. შამილიოღლის ტყვია აუცდენია და მოუკლავს ურიადნიკი. ამის შემდეგ გზა უკვე ტყისაკენ მიდიოდა. ფირალი გაუცია ვიღაც ქედელს, რომელსაც იგი ოჯახში მიუწვევია. ლექსი გვაუწყებს, რომ შამილიოღლის ღირსეულად დაუცავს თავი და მოღალატე მასპინძელიც სიცოცხლისათვის გამოუსალმებია.

მმართველობის სუსხიანი რეჟიმისადმი აჭარის მოსახლეობის შეურიგებლობა კარგად არის გადმოცემული ჭვანის ხეობაში შეთხზულ ლექსში „ლექსი ჭვანის აჯანყებაზე“. მასში დაგმობილია დამსჯელი ჯარის აღვირახსნილობა.

აჭარის პოეტურმა ფოლკლორმა მისთვის დამახასიათებელი უშუალობითა და მიუკერძოებლობით ასახა „სედაი მილეთის“ („ხალხის ხმა“) მოღვაწეობაც. ეს ორგანიზაცია შეიქმნა ბათუმის ოლქში არსებული ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოების

[111] ა.ახვლედიანი, ე.დავითაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

განყოფილების ბაზაზე. მას იდეურ-პოლიტიკურად ხელმძღვანელობდნენ ოსმალეთის აგენტები. „სედაი მილეთის“ ანტიქართულ პოლიტიკას იმთავითვე დაუპირისპირდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“.[112]

მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილის დამოკიდებულების გამომხატველია იუმორისტული „ლექსი სედაი მილეთის ხელმძღვანელობაზე“,[113] რომელშიც დაგმობილია ამ ორგანიზაციის პროოსმალური მოღვაწეობა. მასში აუგად მოიხსენიება ვინმე ბიბინოღლი, რომელიც თვალსაჩინო გვარის წარმომადგენელი ყოფილა, მაგრამ მცდარ გზაზე დამდგარა. ბიბინოღლი თანაუგრძნობდა ბორჩხელ ბერხან-ოღლის, რომელიც ოსმალთა აგენტი ყოფილა. მთქმელი კიცხავს ზაბით ბეგს, ხინოელ ხასან ეფენდის და სხვებს, რომლებიც „თურქთა დამქაშებად“ არიან შერაცხულები. ეს ლექსი არის სამშობლოს ერთიანობის მოწინააღმდეგეთა მიმართ პროტესტის ნიმუში და რეალურად გამოხატავს XX ს. 10-20-იანი წლების ვითარებას აჭარაში.

§5. საგამომცემლო საქმე

ოსმალთა მმართველობის პერიოდში ბათუმის ოლქი მოკლებული იყო პრესას და წიგნის ბეჭდვის სიკეთეს. მხოლოდ მშობლიურ კერაზე დაბრუნების შემდეგ გახდა შესაძლებელი აქ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემის და, საერთოდ, საგამომცემლო საქმის ორგანიზება.

პირველი სტამბა ბათუმში ამუშავდა 1879 წ.[114] და იარსება 1921 წლამდე. მისი ორგანიზატორი იყო ცნობილი პოლიგრაფისტი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მახარაძე,[115] რომელიც თბილისიდან ჩამოვიდა. უკვე მომდევნო წლიდან, გვიანდელი გამოცემების მიხედვით, იგი „ტიპო-ლითოგრაფიის ფირმად“ გადაკეთდა.

ალ. მახარაძის სტამბა ბეჭდავდა განცხადებებს და ბლანკებს, ამზადებდა კონვერტებს, ღია ბარათებს, ასრულებდა სხვა ინდივიდუალურ დაკვეთებს. 1882 წლის 1 ივნისიდან დაიწყო რუსულ ენაზე ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთის „ბატუმსკი ლისტოკ“-ის გამოცემაც.[116] „ჩვენი გაზეთის პროგრამა, - აღნიშნავდა ალ. მახარაძე სარედაქციო განცხადებაში, - ძალიან ნათელია და მოკლე: მოვემსახურებით ადგილობრივ საჭიროებებს, ინტერესებს და სურვილებს“.[117]

1889 წ. ალ. მახარაძის სტამბაში დაიბეჭდა აჭარაში პირველი ქართული წიგნი. ეს იყო მღვდლის შვილის გერასიმე თევზაძის მიერ შედგენილი „ახალი სახალხო ლექსები სვდლოზედ, სალდათობაზედ და ჯიბის ფულზედ“.[118] გაზ. „კვალი“ წერდა:

---

[112] ე.ბესსია, სედაი მილეთი. - საისტორიო მაცნე, №4, 1996, გვ. 24-34.

[113] აჭარის ხალხური პოეზია, I, გვ. 75-76.

[114] ამსდ, ფ. 5, ან. 1, ს. 173, ფურც. 1; იქვე, ს. 148, ფურც. 7; გაზ. „წითელი მბეჭდავი“ (აჭარის პოლიგრაფთა ერთდღიანი საიუბილეო გაზეთი ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე), ბათ, 1923.

[115] ალ.მახარაძე 1866 წლიდან (13 წლის ასაკში) ეუფლებოდა ტიპოგრაფიულ საქმეს. 1879 წლის დამდეგს საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში და იმავე წელს აქ მოაწყო კერძო სტამბა. მისი ავადმყოფობის (1895 წ.) და გარდაცვალების (1899 წ.) გამო სტამბას უძღვებოდნენ ჯერ მეუღლე ეფემია, შემდეგ კი შვილი ალექსანდრე მახარაძე.

[116] გაზეთის ბრველი 20 ნომერი დაცულია რუსეთის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (სანკტ-პეტერბურგი).

[117] Газ. «Батумский листок», 1.06. 1882.

[118] ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი ინახება სანკტ-პეტერბურგში სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ეროვნულ ბიბლიოთეკაში (საინვენტარო №6645).

„სმენა რომ იყოს, მაშინ განვლილ დროთა ჩვენთა მამა-პაპათა ძველნი სამარეშიაც კი უნდა შეიძრნენ სიხარულით, რომ დღეს მათ ნატვრას - ქართულ სიტყვიერებას - კვალათ მიეცა აღორძინება; ვიტყვით, რომ ძველათ, ოსმალთაგან უწყალოთ დახოცილთ და წამებულთ ქართველთა მამათა ნატვრა აღსრულდა, მათი ცრემლი და სისხლი უბრალოთ არ დაინთხა, მათი ტანჯვა და წამება დროთა და ჟამთა ვითარებამ შეიწყნარა და სადაც გუშინწინ ქართველთა ხსენება და ენა ფერფლათ ქცევას და პირქვე დამარხვას ეძლეოდა, დღეს იქ ჟამთა ვითარების მეოხებით, ქართული სტამბის ჩარხი ტრიალებს და ქართული წიგნები იბეჭდება“.[119]

ცნობილია ამ სტამბიდან გამოსული 26 დასახელების წიგნი - ქართულ (12) და რუსულ (14) ენებზე.

ალ. მახარაძის სტამბაში დროდადრო იბეჭდებოდა არალეგალური ლიტერატურა - რევოლუციური პროკლამაციები, ფურცლები და მოწოდებები. ამის გამო იგი ხშირად გაუჩხრიკავს ჟანდარმერიას, მაგრამ, როგორც თავად სტამბის მეპატრონე იგონებდა, „სიფრთხილისა და მოხერხებულობის გამო არასოდეს არ ჩავარდნილვართო“.[120]

მოგვიანებით ამავე სტამბაში ქართულ და რუსულ ენებზე იბეჭდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების გაზეთები: „ბათუმის გაზეთი“ (1911 წ. 15 ივლისი),[121] რამდენიმე ნომერი „ბატუმსკი დენ“ (1916 წ.), „ტალღა“ (1917 წ.), „მუშის სიმართლე“ (1918 წ.).

1886 წ. ბათუმში გაიხსნა მეორე სტამბა, რომლის მეპატრონე იყო პ. ა. ლობკო. სტამბა ღებულობდა ყოველგვარ დაკვეთას, კერძოდ, ბეჭდავდა აფიშებს, პრეისკურანტებს, ბლანკებს და ა.შ., აგრეთვე, რუსულ ენაზე გაზეთ „ბატუმ“-ს (1886 წ. 5 ივლისი). სტამბამ 1886 წ. აგვისტოში დაბეჭდა, აგრეთვე, ა. ს. კრასოვსკის წიგნი „ზღვაზე ბანაობა ბათუმში“,[122] რომელიც აჭარაში იყო რუსულ ენაზე პირველი ნაბეჭდი წიგნი.[123]

1887-1888 წლების მიჯნაზე პ. ა. ლობკოს სტამბა გადაეიდა ფ. ფ. კრიშტოფოვიჩის საკუთრებაში. ახალმა მეპატრონემ გამოცვალა ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ, შეიძინა „ამერიკული კონსტრუქციის დიდი“ სწრაფმბეჭდავი მანქანა“ თავისი „ახალი შრიფტით, მორთულობით და საჩამომსხმელოთი“ და 1888 წ. 17 მარტს განაახლა მუშაობა.[124] იგი ბეჭდავდა კატალოგებს, ბლანკებს, აფიშებს, ღვინის, თამბაქოს ეტიკეტებს და ა.შ. აგრეთვე, განაგრძობდა გაზეთ „ბატუმის“ გამოცემას.

1893 წ. იანვრის შუა რიცხვებში ფ. კრიშტოფოვიჩის სტამბა შეიძინა ნ. პ. გურსკაიამ. იგი 1888 წლიდან მუშაობდა გაზ. „ბატუმ“-ის რედაქციაში, როგორც ჩრდილოეთის სატელეფონო სააგენტოს კანტორის აგენტი, ხოლო 1893 წ. დამდეგს სტამბის სრულუფლებიანი მესაკუთრე გახდა.

ნ. პ. გურსკაიას სტამბამ მნიშვნელოვნად გააფართოვა საქმიანობა. ჩვეულებრივი ყოველდღიური საყოფაცხოვრებო შეკვეთების (კონვერტები, საქორწინო ბარათები, აფიშები, ბლანკები და ა.შ.) შესრულების გარდა, ბეჭდავდა სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურას. ცნობილია ამ სტამბის გამოცემული 30 დასახელების წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე. აგრეთვე განაგრძობდა გაზეთ „ბატუმ“-ის გამოცემას (1895 წ. 30

---

119 გაზ. „ძვალი“, №31, 1896, გვ. 559.
120 ამხუ, ფ. 5, ან. 1, ს. 173, ფურც. 1-6.
121 აქ და ქვემოთ მითითებულია გაზეთების მხოლოდ პირველი ნომრების გამოსვლის თარიღები.
122 ერთი ეგზემპლარი დაცულია აჭარის ა.რ. სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკაში, ორი კი რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში (მოსკოვი).
123 ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ცნობით, პირველი წიგნი აქ დაბეჭდა 1889 წელს (იხ. „საქართველოს სსრ“, გვ. 332), რაც არ დასტურდება.
124 Газ. «Батум», 26. 02. 1889.

იელისიდან ეწოდებოდა „ბატუმ“- განცხადებათა ფურცელი). 1895 წლიდან აქვე იბეჭდება ახალი გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკ“, რომლის პირველი ნომერი 1 იელისს გამოვიდა. მოგვიანებით ამავე სტამბაში რუსულ ენაზე იბეჭდებოდა ახალი გაზეთები: „ბატუმ“ (1905 წ. 1 ოქტომბერი), „ზარია“ (1906 წ. 27 მაისი), „სტრელა“ (1906 წ. 16 ივნისი) და „ბატუმსკი რაბოჩი“-ს რამდენიმე ნომერი, აგრეთვე, „ქ. ბათუმის ექიმთა საზოგადოების ოქმები და შრომები“.

1908 წ. ნ. ჯ. გურსკაიას სტამბა შეისყიდეს ნ. ი. ხვინგიამ (იგი აქ მუშაობდა 1900 წლიდან) და მისმა მეგობარმა ვ. ი. ჩანტლაძემ.[125] 1912 წელს ეს უკანასკნელი მოკლეს და სტამბის ერთპიროვნული მფლობელი გახდა ნ. ხვინგია, თუმცა, მომდევნო წელს ამ სტამბაში გამოშვებულ წიგნებზე მითითებულია „ნ. ი. ხვინგია და კომპანია“. ამ შემთხვევაში სტამბის მესაკუთრეს ვიღაც უნდა ჰყავდეს შეამხანაგებული. ყოველ შემთხვევაში, მომდევნო წლების გამოცემებზე, ნ. ი. ხვინგიასთან ერთად, სხვა კომპანიონი არ ჩანს.

ახალმა მეპატრონემ გარდაქმნა სტამბის ტექნიკური აღჭურვილობა, შეცვალა მოძველებული შრიფტი, საბეჭდი მოწყობილობა და 1910 წლიდან დაიწყო ინტენსიური საქმიანობა. ძირითადად აქ იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ ენებზე გამომავალი გაზეთები: „ბათუმის მოამბე“ (1911 წ. 7 მარტი), „ბატუმსკი დენ“ (1913 წ. 23 ივნისი), „ხმა“ (1914 წ. 11 თებერვალი), აგრეთვე „ბათუმის გაზეთი“ (1911-1914 წწ.), „ბატუმსკიე ვესტი“ (1911-1912 წწ.), „იზვესტია“, (1917 წ.), „სვობოდნაია ჟიზნ“ (1917-1918 წწ.), „ბურევესტნიკ“ (1917-1918 წწ.), „ბატუმსკაია ჟიზნ“ (1920-1921 წწ.), „სამუსლიმანო საქართველო“ (1919-1921 წწ.),[126] „მუშათა პრესის დღე“ (1917 წ.) რამდენიმე ნომერი.

ნ. ხვინგიას სტამბა, რომელმაც იარსება 1921 წლამდე, ბეჭდავდა, აგრეთვე, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და მხატვრულ ლიტერატურას. 1921 წლის მარტის დასაწყისში აქ დაიბეჭდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი – 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. ცნობილია, აგრეთვე, ამ სტამბიდან გამოსული 16 დასახელების წიგნი ქართულ (მათ შორის ერთი თარგმნილია ფრანგულიდან, ერთიც ჩინურიდან) და 12 სახელწოდების წიგნი რუსულ ენებზე. აგრეთვე, ბეჭდავდა განცხადებებს, ანგარიშებს, აფიშებს და ამზადებდა საქორწინო მოსაწვევებს, სავიზიტო ბარათებს და სხვ.

1895-1900 წლებში ბათუმში აქტიურ საგამომცემლო საქმიანობას შეუდგა კ. თავართქილაძისა და ა. მიქელაიშვილის სტამბა. მასთან არსებობდა წიგნის მაღაზიაც.[127] ცნობილია ამ სტამბის მიერ გამოცემული 33 დასახელების წიგნი ქართულ (29) და რუსულ (4) ენებზე.

1900 წ. ბათუმში ამოქმედდა „ძმები თავართქილაძეების“ სტამბა, რომელიც 1904 წლამდე ბეჭდავდა წიგნებს, ჰქონდა წიგნის მაღაზიაც. ცნობილია ამ სტამბის მიერ გამოცემული 12 დასახელების წიგნი ქართულ ენაზე.

1900 წ. ბათუმში სტამბა გახსნეს გიორგი თავართქილაძემ, ბართლომე კილაძემ[128] და მაქსიმე წულაძემ (ეს უკანასკნელი ექვსი თვის შემდეგ ჩამოშორდა საქმეს).[129] ისინი 1909 წლამდე ერთობლივად ბეჭდავდნენ წიგნებს. ამ ხნის განმავლობაში

125 ამხე, ფ. 5, ან. 1, ს. 173, ფურც. 1.

126 იყო „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ორგანო. რედაქცია (და სტამბა) ბოლოს მდებარეობდა მარიას გამზირზე.

127 სტამბაც და წიგნის მაღაზიაც გახსნილი იყო მარინეს (დღეს მ. აბაშიძის) გამზირზე.

128 ბართლომე კილაძე ამხანაგობასთან ერთად ბათუმში წიგნის ცნობილი გამომცემელი იყო. დასაწყისში სტამბა ჰქონდათ დონდუკოვ-კორსაკოვის (დღეს გამსახურდიას) ქუჩაზე, 1905 წ. გადაიტანეს მარინეს გამზირზე კომერციული ბანკის შენობაში.

129 ამხე, ფ. 5, ან. 1, ს. 143/162, ფურც. 2; ს. 173, ფურც. 1.

მათ ბევრი კარგი ნაშრომი გამოსცეს. შეგეიძლია დავასახელოთ თუნდაც ოსმალთა ბატონობისაგან ბათუმის განთავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული «Батумъ и его окрестности», რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება.

1905 წ. 6 მარტს ამხანაგობა პრესაში გამოვიდა განცხადებით: „მრავალი წლის გამოცდილებამ, ტიპოგრაფიის ხელოვნებაში სპეციალურმა ცოდნამ და საქმისადმი ჩვენმა ენერგიულმა დამოკიდებულებამ შესაძლებლობა მოგვცა თანდათანობით გავაფართოვოთ ჩვენს მიერ 1900 წ. დაარსებული სტამბა იმდენად, რომ დღეისათვის შეგეიძლია შევთავაზოთ ჩვენს პატივცემულ კლიენტებს ყოველივე ის, რასაც ჰქვია საბოლოო სიტყვა ბეჭდვითი საქმის ხელოვნებაში. ძალებისა და საშუალებების დაუზოგავად, რომ ღირსეულად გვეპასუხა ჩვენი კლიენტების სურვილებზე, აგრეთვე, საქმის მოხერხებულობისათვის. ჩვენ ამა წლის 1 იანვრიდან სტამბასთან გავხსენით წიგნის, საწერი ქაღალდის, საკანცელარიო ნივთების მაღაზია. სტამბა უშვებს წიგნებს, ანგარიშებს, ცირკულიარებს, წერილების ბლანკებს, საეიზიტო და მისალოც ბარათებს, აგრეთვე, ასრულებს ყოველნაირ ტიპოგრაფიულ სამუშაოს რუსულ, ქართულ, სომხურ და ევროპულ ენებზე".[130]

1907 წ. აპრილში გ. თავართქილაძე და ბ. კილაძე დააპატიმრეს, როგორც „აკრძალული ლიტერატურის გამოცემაში ეჭვმიტანილნი", გაასამართლეს, მაგრამ ბრალდება არ დაუმტკიცდათ და მალე გაანთავისუფლეს. ეანდარმერიის მხრივ თვალთვალის მიუხედავად, ისინი მაინც ბეჭდავდნენ არალეგალურ გამოცემებს. 1909 წ. ბ. კილაძე გადადის თბილისში, ხოლო გ. თავართქილაძე მარტო საქმიანობდა ბათუმში 1921 წლამდე. მოგვიანებით გ. თავართქილაძე იგონებდა: „მართალია, მე ვიყავი კერძო სტამბის პატრონი, მაგრამ ამ კულტურული საწარმოთი და დაუღალავი შრომით ვაკეთებდი რევოლუციისათვის საჭირო საქმეს... იმის გამო, რომ მქონდა საკუთარი სტამბა და როგორც ოსტატს მიმყავდა საქმე, ვეხმარებოდი რევოლუციას".[131]

ცნობილია ამ სტამბის გამოცემული 24 დასახელების წიგნი ქართულ და 55 დასახელებისა რუსულ ენებზე. ამის გარდა, სტამბაში სხვადასხვა დროს რუსულ ენაზე იბეჭდებოდა გაზეთები – „ბატუმსკი ლისტოკ" (1906 წ.), „ბატუმსკიე იზვესტია" (1909-1910 წწ.) და სხვ.

1899-1902 წლებში ბათუმში მოქმედებდა ვერეიჩეესა და კამენმახერის სტამბა.[132] აქვე არსებობდა სამხაზველო და საამკინძაო. გამოვლენილია ამ სტამბაში დაბეჭდილი 4 დასახელების წიგნი რუსულ ენაზე.

1902 წლის შუა რიცხვებში აღნიშნული სტამბა შეისყიდა ა. ვ. კულჩიცკიმ. იგი მას ფლობდა 1903 წ. დამლეევამდე. დადგენილია მხოლოდ 2 წიგნის გამოცემა რუსულ ენაზე. შემდეგ იგი ხ. მ. შმაევსკიმ დაისაკუთრა. მის ხელში სტამბა მოქმედებდა 1921 წლამდე. ამ სტამბაში იბეჭდებოდა ლეგალური და არალეგალური გაზეთები ქართულ და რუსულ ენებზე: „ბატუმსკი ლისტოკ" (1905 წ. 29 აპრილი), „ბატუმ" (1912 წ. 1 სექტემბერი), „ბატუმსკაია გაზეტა-კოპეიკა" (1913 წ. 1 სექტემბერი), „ბატუმ" (1918 წ. 27 აპრილი), „ბატუმსკი დენ" (1915 წ.), „ბატუმსკიე ვესტი" (1913-1916 წწ.), „ბურეევესტნიკ" (1917-1918 წწ.), „დენ სვობოდი" (1917 წ.), „გოლოს ტრუდა" (1919-1920 წწ.), „ეხო ბატუმა" (1920 წ.), „ბათუმის ფურცელი" (1920 წ.), „ბათუმის ცხოვრება" (1920-1921 წწ.).

130 Газ. «Черноморский вестник», 06.03. 1905.
131 ამხე, ფ. 5, ან. 1, ს. 164, ფურც. 15-16.
132 მდებარეობდა სასტუმრო „ფრანცეის" პირდაპირ, ბაბურიშვილის სახლში.

ცნობილია ხ. შმაევსკის სტამბის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული 41 დასახელების წიგნი. აგრეთვე, იბეჭდებოდა აფიშები, ბლანკები და მზადდებოდა საქორწინო მოსაწვევები, საეიზიტო ბარათები და სხვ.

900-იანი წლების დამდეგიდან მოქმედებდა ი. ბ. მინკინის სტამბა. იგი ბათუმში იყო პირველი, რომელიც ორთქლზე მუშაობდა. მას ჰქონდა უახლესი კონსტრუქციის 4 სწრაფმბეჭდავი მანქანა, საკუთარი საამკინძაო, საგრავიორო, შტამპებისა და ბეჭდების, აგრეთვე, ქაღალდების, კონვერტების, მოსაწვევი და საეიზიტო ბარათების დასამზადებელი საამქრო საწყობითურთ. აქ ღებულობდნენ დაკვეთებს წიგნებზეც. დღეისათვის ცნობილია ა. მინკინის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები: 1904 წ. 9 დასახელებისა - ქართულ ენაზე (მათ შორის ილიას და ირ.ევდოშვილის ნაწარმოებები) და 1905 წ. 2 დასახელების ქართულ და რუსულ ენებზე. აგრეთვე 1905 წ. 1 იანვრიდან იბეჭდებოდა გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკ"-ის რამდენიმე ნომერი გადიდებული ფორმატით. სტამბა, როგორც ჩანს, 1905 წლის შემოდგომამდე მოქმედებდა, რადგან სექტემბრის შემდეგ გაზეთებში მასზე ეეღარაფერს ეხედებთ.

ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწის 1905 წ. 29 იანვრის პატაკიდან ჩანს, რომ 25 იანვარს ი. ბ. მინკინის სტამბის მუშებს გაფიცვა მოუწყვიათ.[133]

არსებობს მწირი ცნობები ბათუმში არსებული სხვა სტამბების შესახებაც. გ. პუტკინის სტამბა-ლითოგრაფია, სადაც სრულდებოდა სხვადასხვა ქრომო-ლითოგრაფიული და საგრავიურო სამუშაოები. აქ დაიბეჭდა გაზეთ „ბურევესტნიკ"-ის რამდენიმე ნომერი, ცნობილია, აგრეთვე, 2 დასახელების წიგნი რუსულ ენაზე.

1918 წ. გ. პუტკინის სტამბის მფლობელი გახდა ნ. კარნაუხოვი და იგი ამუშავა 1921 წლამდე. ამ სტამბაში იბეჭდებოდა გაზეთები: „ბურევესტნიკ" (1919-1920 წწ.), „გოლოს ტრუდა" (1919-1920 წწ.) „ბატუმსკიე ვესტი"-ის (1919-1920 წწ.) რამდენიმე ნომერი.

1905-1921 წლებში ბათუმში მუშაობდა დ. კაპელის სტამბა,[134] რომელშიც 1909-1917 წლებში იბეჭდებოდა ჟურნალი „ბატუმსკი სელსკი ხოზიაინ" (1912 წლიდან „რუსკიე სუბტროპიკი") და ჟურნალი „ბატუმეც", რომლის პირველი ნომერი 1910 წლის 23 აგვისტოს გამოვიდა, აგრეთვე, გაზეთ „ბატუმსკაია ჟიზნ"-ის (1921 წ.) რამდენიმე ნომერი. ამ სტამბიდან გამოვიდა 27 დასახელების წიგნი რუსულ ენაზე. აქ იბეჭდებოდა ბლანკები, პრეისკურანტები, ანგარიშები, მზადდებოდა საქორწინო და საეიზიტო ბარათები, კონვერტები და სხვ.

1908 წლიდან ბათუმში რეგისტრირებულია ა.შარიპოვის სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა გაზეთები: „ბატუმსკიე ნოვოსტი" (1909 წლის 11 თებერვალი) და „ბატუმსკი გოლოს" (1908 წ.), აგრეთვე, ჟურნალ „ბატუმსკი სელსკი ხოზიაინ"-ის რამდენიმე ნომერი.

გვაქვს ცნობები ბათუმში მოქმედი ბერძნული სტამბების შესახებაც. აქ მუშაობდა ა. დიმიტრიადის „ბერძნული ტიპოგრაფია", რომლიდანაც ცნობილია 1911 წელს რუსულ ენაზე დაბეჭდილი მხოლოდ ერთი წიგნი. სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ნ. გალინოსის სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა ბერძნულ ენაზე გაზეთი „ხავარგი". ეს სტამბა მუშაობდა 1921 წლის შემდეგაც. ბოლშევიკები ამ სტამბით ინტენსიურად სარგებლობდნენ ინგლისელთა ოკუპაციის წლებშიც. ინგლისელები დარწმუნებული იყვნენ, რომ „სტამბას არ ჰქონდა რუსული შრიფტი" და ამიტომ სერიოზულად არც

133 ამხუ., ფ. 89, ან. 3, ს. 28ª, ფურც. 55.
134 1905 წლიდან მდებარეობდა მიხაილოვის ქუჩაზე, სასტუმრო „ფრანციის" პირდაპირ. მისამართი უცვლელი იყო შემდგომ წლებშიც.

გაუჩხრეკიათ. ამის გამო ბოლშევიკები რუსულ ენაზე აქ შეუფერხებლად ბეჭდავდნენ თავიანთ პროკლამაციებს.[135]

აღნიშნულის გარდა, ბათუმში არსებობდა სხვა სტამბებიც, რომლებიც ეკუთვნოდა ცალკეულ პირებს თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. 1904-1920 წლებში გამოცემული წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით დასტურდება მ. ნ. სუკოიანის, კ. გ. პაპამოსკიჩის, „განათლების", კ. ნ. ნიკიტინის, „ბათუმის საურთიერთო საზოგადოების ბანკის", „პორუჩიკ მიხაილოვის" სტამბები. ცნობილია ამ სტამბების გამოცემული 20 დასახელების წიგნი - ქართულ (14) და რუსულ (6) ენებზე. აქ იბეჭდებოდა გაზეთებიც.

ცხადია, გაოცებას იწვევს პატარა ქალაქ ბათუმში ამდენი სტამბის არსებობა, მით უმეტეს, რომ ბევრი ერთდროულად და ერთმანეთის გვერდით მოქმედებდა. სინამდვილეში გასაოცარი აქ არაფერია, თუ გავეცნობით ამ „საწარმოების" ტექნიკურ აღჭურვილობას ან შესაძლებლობას. ამ მხრივ კი ისინი დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მეტწილად ეს იყო პრიმიტიული, არსებითად ერთი ან სამი საბეჭდი მანქანით აღჭურვილი სტამბა, რომელსაც ემსახურებოდა ორიდან (უმეტეს შემთხვევაში ერთი თავად მეპატრონე) ექვს მუშამდე. ამასთან, აქ დასახელებული სტამბებიდან ზოგი სრულიადაც არ იყო დასაქმებული წიგნების ან ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვით. მათი დიდი ნაწილი უპირატესად საამკინძაო საქმით, აფიშების, მოსაწვევი ბარათების ბეჭდვით, აგრეთვე, შტამპების, ბეჭდების, კარის გრავირებული დაფების თუ ემალირებული აბრების დამზადებით იყო დაკავებული. და მაინც, XX საუკუნის პირველ ოცეულში ბათუმში იყო რამდენიმე დიდი სტამბა, რომლებიც გამოირჩეოდა ტექნიკური აღჭურვილობით, გამოშვებული პროდუქციის სიჭარბით, დასაქმებულ მუშათა რაოდენობით, წარმოების კულტურით.

ყველა ამ სტამბამ დიდი კვალი დააჩნია ბათუმის კულტურულ ცხოვრებას. ისინი ბეჭდავდნენ და აერცელებდნენ იმ წიგნებსა და გაზეთებს, რომლებშიც თანამშრომლობდნენ ამ რეგიონის მკვიდრნიც და მშობლიური წერა-კითხვის სურნელი, სიტყვა და მადლი შეჰქონდათ უცხოელთა ხანგრძლივი ბატონობითა და ძალად თავსმოხვეული უცხო რელიგიით დაბეჩავებულ ხალხში. გამოვლენილია ბათუმის სტამბებში ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდილი 316 დასახელების წიგნი, მათგან 116 ქართულ ენაზე. ბევრი ამ წიგნთაგან, განსაკუთრებით ეროვნულ-პატრიოტული შინაარსისა, საგანმანათლებლო მისიით მოვლენილმა პედაგოგებმა თუ მოგზაურებმა გააერცელეს ბათუმის ოლქის სოფლებში, რითაც დიდი როლი შეასრულეს მოსახლეობის ეროვნულ გათვითცნობიერებასა და ქართველი ხალხის ერთიანობის განმტკიცებაში.

ბათუმში წიგნებს გამოსცემდნენ ცალკეული ენთუზიასტებიც. ამ მხრივ აქტიურობდა 1911 წ. „ბათუმის გაზეთის" რედაქტორი, ცნობილი გამომცემელი სპირიდონ ჭელიძე. იგი ბეჭდავდა და საზოგადოებას აწვდიდა არა მარტო საკუთარი შემოქმედების ნიმუშებს (კრებულები „სატირული ლექსები", „სასიყვარულო ლექსები"), არამედ ქართველი (იროდიონ ევდოშვილი, ვარლამ რუხაძე) და უცხოელი მწერლების ნაწარმოებებსაც (კრებული „ქნარი"). მანვე გამოსცა ნიკ. ბარათაშვილის ლექსების კრებული, აგრეთვე, პოლიტიკური და მეცნიერული ხასიათის ლიტერატურა, მათ შორის კ. მარქსის „საქირაო შრომა და კაპიტალი", ვ. ლიბკნეხტის „რა უნდათ სოციალ-დემოკრატებს", მ. კოვალევსკის „ოჯახისა და საკუთრების წარმოშობა-განვითარება", ანონიმი ავტორის მიერ თარგმნილი „პოლიტიკური ეკონომიის ანბანი (მრეწველობის

[135] ბ.ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. 2, ბათ., 1962, გვ. 121-122.

განვითარება)“ და სხვ. ყველა ეს წიგნი დაიბეჭდა 1904-1911 წლებში ბ. კილაძის და გ. თავართქილაძის, ი. მინკინისა და სხვა სტამბებში.

ქართული წიგნების გამომცემელნი კარგად აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, თუ რა ხასიათის ლიტერატურის გამოცემა იქნებოდა სასარგებლო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მათ „რეპერტუარში“ ჭარბად იყო წარმოდგენილი პატრიოტული შინაარსის წიგნები, მათ შორის: შოთა რუსთაველის პოემა, ილიას და აკაკის ლექსები, ნიკოლოზ ბარათაშვილის, მამია გურიელის, დავით კლდიაშვილის, ეგნატე ნინოშვილის, სიმონ გუგუნავას, შალვა დადიანისა და სხვ. ნაწარმოებები, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვ. ნაშრომები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბათუმელ მესტამბე-გამომცემელთ უაღრესად გამახვილებული ჰქონდათ პოლიტიკური გრძნობა, ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ დროის მსელელობას და ოპერატიულად მიეწოდებინათ საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტები. შეგვიძლია დავასახელოთ ნ. ხვინგიას სტამბის გამოცემები: „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის პროგრამა და ინსტრუქცია“ (1919 წ.), საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წ. 21 თებერვალს მიღებული დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921 წ.) და ა.შ.

ბათუმში დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ წიგნით ვაჭრობასაც. კერძო სტამბების ქართველი მფლობელნი, რომლებიც ბეჭდავდნენ გაზეთებს, განსაკუთრებით წიგნებს და მათი გავრცელებით იყვნენ დაინტერესებულნი, ცდილობდნენ საკუთარი მაღაზიების მოწყობასაც. ამ მხრივ გამოირჩეოდა ნიკო ნიკოლაძის ძმის — მიხეილ ნიკოლაძის მაღაზია,[136] რომელიც წიგნებით ვაჭრობასთან ერთად ეწეოდა წიგნის პროპაგანდასაც. აქ ხშირად იკრიბებოდნენ საბაასოდ არა მარტო ბათუმის ინტელიგენციის წარმომადგენლები, არამედ თბილისიდან ჩამოსული ქართული კულტურის ამაგდარნი. ბევრმა ბაუმელმა სწორედ ამ მაღაზიაში გაიცნო ქართული მწერლობის კლასიკოსები, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები.

ლიტერატორი ლევ მაირანოვსკი იგონებდა: „1909 წ.... ერთ დღეს, როცა ამხანაგებთან სამეცადინოდ მივდიოდი, ილლისის პაპანაქება სიცხეში, ყოფილ მარინეს პროსპექტზე მდებარე ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში, თვალი მოეკარი აკაკი წერეთლის ნაცნობ სახეს. მაშინ არ ვიცოდი, რომ მგოსანი ბათუმში ელოდებოდა იტალიის გემის მოსვლას საფრანგეთში გასამგზავრებლად. მწერალთან ერთად იდგნენ ნიკო ნიკოლაძის ძმა, ქალაქის გამგეობის წევრი ვოლსკი, მწერალი დავით კლდიაშვილი და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ექიმები ელიავა და მხეიძე. წიგნის მაღაზიაში შესული მოქალაქეები მოწიწებით ესალმებოდნენ აკაკი წერეთელს და მის თანმხლებთ“.[137]

ბუკინისტური მაღაზია („მეგობარი“) ჰქონდა, აგრეთვე, სპირიდონ ჭელიძეს, ბაზრის (დღეს ზ. გორგილაძის) ქუჩაზე, ზედ ბაზართან (ახლა ხელოვნების მუზეუმის ტერიტორიაზე). მან იგი 1897 წ. გახსნა. დავით კლდიაშვილის სიტყვით: „ჰქონდა მაღაზია ავსილი ძველი და ახალი წიგნებით, წიგნაკებით, ფურცლებით, გაზეთებით... დაჰქონდა სოფლებში, ხან ჰყიდდა, ხან ისე ავრცელებდა-არიგებდა... საკმაოდ ენამეტყველი - იგი საოცარი ენერგიის პატრონი იყო, ამასთან, გულკეთილი და მოსიყვარულე ადამიანი. თავისი ტაბილი სიტყვით და მოქცევით ხიბლავდა ახალგაზრდობას, რომელიც მოდიოდა მის მაღაზიაში და ხშირად მართავდა საუბარს ამა თუ იმ საგანზე“.[138]

---

136 მდებარეობდა მარიას გამზირზე თავადის ქალის გურიელის სახლში. აქ დღესაც წიგნის მაღაზიაა.
137 იხ. გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 27.11.1960.
138 დ.კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1984, გვ. 72.

სპ. ჭელიძის მაღაზიის ხშირი კლიენტები იყვნენ დავით კლდიაშვილი, გრიგოლ ვოლსკი, კარლო ჩხეიძე, ალექსანდრე წულუკიძე და სხვ., აგრეთვე, საკვირაო სკოლის მსმენელი მოწინავე მუშები, ე.წ. ახალი თაობის ახალგაზრდები და ცხარედაც კამათობდნენ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე. ამის შესახებ თვით დ. კლდიაშვილი აღნიშნავდა: „მე ძლიერ მიყვარდა ამ მაღაზიაში სიარული - მიყვარდა მისი პატრონი და მიყვარდა მოსმენა იმ გაცხარებული დაობისა, რომელიც იქ იმართებოდა ყმაწვილებს შორის“.[139]

ბათუმში ცნობილი იყო აგრეთვე წიგნებისა და საწერი ქაღალდის სხვა მაღაზიებიც. „უნიონი“,[140] „განთიადი“[141] და სხვ., რომლებიც ეკუთვნოდა ქართული წიგნის გამავრცელებელთა ამხანაგობებსა და საგამომცემლო საზოგადოებებს: „გლეხი“, „მუშა“, „ცოდნა“, „მეგობრობა“ და ა.შ.

* * *

ხელისუფლების მიერ ნებადართული და რეგისტრირებული ლეგალური სტამბების გარდა, არსებობდა არალეგალური სტამბებიც. ასეთი სტამბის შექმნისა და არალეგალური ლიტერატურის გამოცემა-გავრცელების პირველი ცდა ეკუთვნის ბათუმის პირველ მარქსისტულ წრეს, რომელიც 1895 წ. დამლეგს შექმნეს აქ მოქმედმა ქართველმა და რუსმა რევოლუციონერებმა.[142] ქართველ მუშებში მარქსიზმის პროპაგანდის გაადვილების მიზნით, წრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ თარგმნა, რაც გრ. სოღორაშვილმა შეასრულა. წრეს საკუთარი სტამბა არ ჰქონდა, მაგრამ გ. ფრანჩესკიმ და მუშა ბეგლარ მელიამ „ბევრი ცდის შემდეგ“ დაამზადეს „კარგი ჰექტოგრაფი“, რომელზეც 1897 წ. დაბეჭდეს 100 ცალამდე „მანიფესტის“ პირველი თავი და ნაწყვეტები სხვა თავებიდან.[143] აქვე, ჰექტოგრაფზე დაუბეჭდავთ, აგრეთვე, გრ. სოღორაშვილის თარგმნილი „ერთი საუცხოო წიგნაკი“ და „რამდენიმე პროკლამაცია“.[144]

უნდა ითქვას, რომ კ. მარქსის ნაშრომები ბათუმში მოგვიანებითაც გამოსცეს. 1905 წ. ბ. კილაძისა და გ. თავართქილაძის სტამბაში ინიციალებით (კ.მ.) დაბეჭდეს „ეაჭრობის თავისუფლება“, 1906 წელს „ჩერნომორსკის ვესტნიკის“ სტამბამ გამოაქვეყნა რ. რაჟდენიძის მიერ თარგმნილი „საქირაო შრომა და კაპიტალი“ და ა.შ.

ბათუმელ მესტამბეთა შორის ბ. კილაძე და გ. თავართქილაძე ყოველთვის გამოირჩეოდნენ მარქსისტულ-რევოლუციური ლიტერატურის გამოცემით. სწორედ მათთან დაიბეჭდა 1906 წ. კარლ კაუცკის რეფერატი კარლ მარქსზე (თარგმანი გიზო ანჯაფარიძისა, გამოცემა დავით შავიშვილისა), 1907 წ. სტ. დერეენსკის „რა აზრის არიან მიწის შესახებ სოც. - რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები?“ (თარგმანი მიხაკო ჯიბლაძისა), 1908 წ. ნ. როზანოვის „შრომის განმათავისუფლებელი ჯგუფი“ პლეხანოვის, ზასულიჩის, აქსელროდის და დეიჩის ბიოგრაფიებით (თარგმანი ილია ბახტაძისა) და სხვ.

რსდმპ ბათუმის კომიტეტი ყოველთვის ცდილობდა საკუთარი არალეგალური სტამბის მოწყობას და აკრძალული ლიტერატურის, პროკლამაციებისა და მოწოდებების ადგილზე ბეჭდვის ორგანიზებას. ამ საქმეს საფუძველი ჩაუყარა იოსებ ჯუღაშვილმა, რომელმაც ქალაქის რევოლუციური ორგანიზაციის ჩამოყალიბებისთანავე,

139 იქვე.
140 1904 წ. იყო მიხაილოვის ქუჩის დასაწყისში, სასტუმრო „ფრანციის“ შენობაში.
141 1914 წ. მდებარეობდა მარინეს გამზირზე.
142 ალ. სურგულაძე, ბირველი მარქსისტული წრე ბათუმში, თბ., 1972.
143 ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, №2, 1925, გვ. 87.
144 ამხვ, ფ. 5, ს. 43, ფურც. 6-8.

1902 წლის დამდეგს, მოაწყო საიდუმლო სტამბაც.[145] ამ სტამბაში ძირითადად იბეჭდებოდა პროკლამაციები და მოწოდებები. აქვე დასტამბეს ალექსანდრე წულუკიძის ე.წ. „რსდმპ ბათუმის კომიტეტის ფურცლები". ისინი თავდაპირველად დაბეჭდეს პროკლამაციებად, ხოლო შემდეგ ბროშურად აკინძეს. [146]

აღნიშნულმა სტამბამ, რომელიც კონსპირაციის მიზნით ხშირად იცვლიდა მისამართს, დროგამოშვებით, წარმატებით იმუშავა ორ წელზე მეტ ხანს – 1904 წ. აპრილამდე.

ნაკარდნის მიუხედავად, რსდმპ ბათუმის ორგანიზაციამ მალე კელავ მოაწყო ახალი არალეგალური სტამბა, რომელიც ინტენსიურად ბეჭდავდა პროკლამაციებს 1905-1907 წლების რევოლუციის დროს.[147]

არალეგალური სტამბის საქმიანობა ბათუმში მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა ბოლშევიკურმა პარტიამ მიიღო ლეგალური საქმიანობის უფლება. მასში იბეჭდებოდა ბოლშევიკური გაზეთები ქართულ („მუშის სიმართლე"), რუსულ („ბურეევესტნიკ") და სომხურ („მუშა და ჯარისკაცი") ენებზე. ბათუმის ოკუპაციისას, 1918 წლის აპრილში, ეს სტამბა ხელთ იგდეს ოსმალებმა.

1919 წლის მაისში რსდმპ ბათუმის კომიტეტმა, ორგანიზაციის წევრი ასოთამწყობი მუშების დახმარებით, არალეგალურად მოაწყო „კარგად გამართული" სტამბა, რომელიც მოქმედებდა 1920 წლის 10 მაისამდე. მასში პროკლამაციებთან ერთად რუსულ ენაზე იბეჭდებოდა ბათუმის პროფსაბჭოს ბოლშევიკური მიმართულების გაზეთი „გოლოს ტრუდა".[148]

ამრიგად, XIX ს. დამლეესა და XX ს. პირველ ოცწლეულში ბათუმში მოქმედმა პოლიგრაფიულმა საწარმოებმა, მათ მიერ გამოცემულმა სხვადასხვა სახის წიგნებმა და ჟურნალ-გაზეთებმა დადებითი როლი შეასრულეს ბათუმის ოლქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და კულტურულ განვითარებაში.

§6. თეატრალური წარმოდგენები

მშობლიურ კერაზე დაბრუნებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ გამოფხიზლება-გათვითცნობიერებაში დიდი როლი შეასრულა ქართულმა თეატრმა. მართალია, მისი მოღვაწეობა ძირითადად ბათუმით შემოიფარგლებოდა და ქართული სიტყვით მადლი ვერ მოჰფინა ვრცელი რეგიონის ყველა კუთხეს, განსაკუთრებით სამხრეთის რაიონებს, მაგრამ რაც გააკეთა, მაინც მნიშვნელოვანი წვლილი იყო ეროვნული ცნობიერებისა თუ სულისკვეთების აღორძინებაში. ამ მხრივ დამახასიათებელია ჰაიდარ აბაშიძის ცნობილი აღსარება, რომელიც გადმოცემულია 1915 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში „როდის გავიგე მე, რომ ქართველი ვარ".[149]

145 ბ.ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. I, ბათ., 1959, გვ. 76.
146 ა.ბ.სურგულაძე, ალექსანდრე წულუკიძე ბათუმში, ბათ., 1974, გვ. 33; აგრეთვე, ალ.წულუკიძე, თხზულებანი, თბ., 1967, გვ. 406.
147 კრებ. აჭარის ისტორიულ-რევოლუციური ადგილები, გვ. 47.
148 სტამბა ამუშავდა 1919 წ. 1 მაისს. 17 მაისს დაიბეჭდა აღნიშნული გაზეთის პირველი ნომერიც (კრებ. აჭარის ისტორიულ-რევოლუციური ადგილები, გვ. 50).
149 იხ. ჰ. აბაშიძე. წერილები, ბათ., 1960, გვ. 48-50.

ჰაიდარ აბაშიძის ამ წერილიდან ნათლად ჩანს თეატრისა და კარგად შერჩეული რეპერტუარის დიდი მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდაში.[150] ამას კიდეც ითვალისწინებდნენ ბათუმში საგასტროლოდ მომავალი ჩვენი თეატრალები, რომლებიც პატრიოტული პიესებით ცდილობდნენ ქართველ მაჰმადიანებში მინავლული ეროვნული ცეცხლის გაღვივებას. ამიტომაც აქ სისტემატურად დგამდნენ ქართველი და უცხოელი ავტორების ისტორიულ-ჰეროიკული ხასიათის ისეთ პიესებს, როგორიც იყო დავ. ერისთავის „სამშობლო“, ვას. სუმბათაშვილის „ღალატი“, კოტე მესხის „ბაგრატ IV“, ალ. ყაზბეგის „კონსტანტინე ბატონიშვილი“, ავქ. ცაგარელის „ქართველის დედა“ და სხვ. ჰაიდარ აბაშიძის აღნიშნული წერილი კიდევ ერთი მეტყველი დადასტურებაა, რომ ყოველ ასეთ დადგმას ყოველთვის ახლდა უაღრესად ეფექტური შედეგი.

ამიტომაც ქართველი საზოგადოება ფხიზლად ადევნებდა თვალს ბათუმის სათეატრო ცხოვრებას, კერძოდ, აქ დადგმული პიესების შინაარსს. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ მძაფრად აკრიტიკებდა ეინმე ა. მამულოვის (20-იანი წლებიდან ის ჰოლივუდშიც მოღვაწეობდა) სცენისმოყვარეთა დასს სწორედ რეპერტუარის გამო. „ბათუმი, რომელიც უნდა შეიქმნეს მთელი ქართველი მუსულმანების კულტურული აღორძინების ხელმძღვანელი, - წერდა ჟურნალი, - ვაჭარმა და სპეკულანტმა თავის სამოქმედო ბაზად გაიხადა. მთელი თვეების განმავლობაში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული ქართველობა, ვიღაც მამულოვმა „ძველი სცენისმოყვარის“ იარლიყით მართა წარმოდგენები. ვერც ერთზე... ვერ მიიღებდი იოტის ოდენა კმაყოფილებას“.[151]

პროფესიულ თეატრალურ ცხოვრებას აჭარაში საფუძველი ჩაეყარა მშობლიურ კერაზე ამ მხარის დაბრუნებისთანავე. ბათუმის პოლიცმაისტერის დურმიშხან ჟურულის ოჯახში, სადაც იკრიბებოდა „ქართველი საზოგადოება“, შესანიშნავი დიასახლისის – ქეთევანის ინიციატივით შეიქმნა სცენისმოყვარეთა წრე.[152] რამდენადაც მაშინ ქალაქში „არაფერი გასართობი არ იყო“, წრემ დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მისია იკისრა და 1879 წ. 8 (20) ივლისს[153] პირველ წარმოდგენად დადგა ზ. ანტონოვის „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“ გაზ. „დროების“ ცნობით, მას „ესწრებოდნენ ბათუმის წარჩინებული პირნი. ერთხმად ისმოდა დიდი მადლობა და თანაგრძნობა... ახალ ქვეყანაში, ახალ ქართველებთან. პირველ ქართულ წარმოდგენას სკოლის გახსნის მიზნით საკმარისი შთაბეჭდილება მოუხდენია“. ამის გამო „ბევრისგან ისმოდა თხოვნა, რომ... ხშირად იყოს წარმოდგენაო“.[154]

ბათუმს მაშინ რამდენადმე ვარგისი სათეატრო დარბაზი არ ჰქონდა. ამიტომ დასმა წარმოდგენა გამართა „სამოქალაქო სასწაულებლის ეზოში მდგარ ერთ შენობაში“, რომელშიც „ასიოდე მაყურებელი თუ დაეტეოდა“.[155]

ამ ფაქტს დაემთხვა იმხანად, 1879 წ. ივლისში, ახლად აღდგენილი ქართული თეატრის გასტროლები ბათუმში. ქეთევან ჟურულის სცენისმოყვარეთა დასს უკვე იმდენად გაეღვივებინა ინტერესი თეატრალური სანახაობებისადმი, რომ ადგილობრივი საზოგადოება აღტაცებით შეხვდა ქართულ თეატრს. იგი მაშინ დასაველეთ

---

150 ქართველმა ლიტერატურისმცოდნეებმა აღნიშნული სტატია თავისი მნიშვნელობით შეადარეს იაკობ გოგებაშვილის უკვდავ ქმნილებას „იავნანამ რა ჰქმნა“ (პროფ. გ.ზამბახიძე). სხვათა შორის, მას შესანიშნავი ლექსი უძღვნა ფრ.სალვაშმა (ქართული შეგნების მთესველი. ჟურნ. „საქართველოს ქალი“, №8, 1978).

151 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №4, 1920.

152 დ.კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1984, გვ. 22.

153 გ.ბუხნიკაშვილი, ბათუმის თეატრი, თბ., 1979, გვ. 6.

154 გაზ. „დროება“, №144, 1879.

155 დ.კლდიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

საქართველოში მართავდა წარმოდგენებს და ფოთიდან გემით (რკინიგზა ჯერ კიდევ არ იყო) ჩამოვიდა ბათუმში. ეს პირველი სტუმრობა მოგეიანებით ვრცლად აღწერა აექსენტი ცაგარელმა.[156]

ეს აღწერა მრავალმხრივ საინტერესოა. ცნობილია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთებისთანავე, ქართველმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით შეიმუშავა რეგიონის აღორძინების ვრცელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელებაშიც ახლად შექმნილ სათეატრო დასს საპატიო ადგილს აკისრებდა. 1879 წ. ზაფხულში მისი ჩამოსვლაც ამის დადასტურება იყო. ბათუმის ქართველ საზოგადოებას ღირსეულად შეუფასებია ეს ფაქტი. ამითაც უნდა აიხსნას არა მარტო „აუარებელი ხალხის“ დახვედრა ნავსადგურში, შემდეგ „სამსახურის მოხელეთა და ქართველი აფიცრობის“ დიდი ყურადღება და გულისხმიერება (ყველა სპექტაკლზე „ბილეთების დატაცება“, ბანკეტები და სხვ.),[157] არამედ, რაც მთავარია, „მეტადრე ქართველი მაჰმადიანების“ დიდი ინტერესი. აექ. ცაგარელიც წერს, წარმოდგენებზე მათგან „ბევრი დადიოდა“ და „ძალიან მოვსწონდითო“. აშკარაა, უცხოელთა ხანგრძლივი ბატონობის მიუხედავად, მკვიდრმა მოსახლეობამ არათუ დაივიწყა თავისი წარსული“, არამედ მას „სიამაყით მოუთხრობდა“. კიდევ მეტი, ქართველი მაჰმადიანები (ხიმშიაშვილი, თავდგირიძე თუ აბაშიძე) ქართული თეატრის მსახიობებს, აღმოსავლური ჩვეულებრისამებრ, „ხშირად იწვევდნენ“ თავისთან ყავაზე, „მიუსხდებოდნენ გვერდით“ და ესაუბრებოდნენ „ქვეყნის ბედ-იღბალზედ“. ყველაფერი აინტერესებდათ: საქართველოს „ცხოვრების აე-კარგი“, „სწავლა-მეცნიერების გაერცელება“, „ეკონომიკური მდგომარეობა“ და „პოლიტიკური განწყობა“ (ეს ნათელი დადასტურება იყო 1877 წ. გამოქვეყნებულ ილიასეულ სტატიაში „ოსმალოს საქართველო“ გაცხადებული დიდი ეროვნული ოპტიმიზმისა). ცხადია, ამიტომაც აექ. ცაგარელი აღფრთოვანებით წერდა: ბათუმში გვქონდა „ყველგან გულითადი დახვედრა, ყველგან გულწრფელი სიმპატიაბ თეატრი მუდამ საესე და აღტაცებული სიამოვნება საზოგადოებისა.[158]

თეატრის ეს პირველი სტუმრობა ბათუმში იყო უდავოდ ღირსშესანიშნავი, რადგან საფუძველი დაუდო თეატრალურ ცხოვრებას, აგრეთვე, პროფესიული დასების გასტროლებს. თითქმის ყოველ წელს ბათუმში ჩამოდიოდა ქუთაისის დრამატული დასი ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით. მის რეპერტუარში უცვლელად იყო და მაყურებელს არაერთხელ უჩვენა დავით ერისთავის „სამშობლო“, ალ. ყაზბეგის „კონსტანტინე ბატონიშვილი“, შექსპირის „ოტელო“, მონტის „გაიუს გრახკუსი“, გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ და სხვ. როლებს ასრულებდნენ სცენის სახელოვანი ოსტატები: ლადო მესხიშვილი, ნინო ჩხეიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ტასო აბაშიძე და სხვ.

ხშირი სტუმარი იყო თბილისის დრამატული თეატრიც, რომელსაც ყოველთვის ჩამოჰქონდა პიესები ისტორიულ თემებზე. 1904 წლის იანვრის გასტროლებისას მან წარმოადგინა ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, რომელიც მოიწონა მაყურებელმა. გაზეთიც მაღალ შეფასებას აძლევდა მსახიობთა ოსტატობას, რამდენადაც „მწყობრად ჩაატარეს მთელი პიესა“ და „საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა“. როლები მაღალი ოსტატობით შეასრულეს ეფემია მესხმა (ზეინაბი), ვალერიან გუნიამ (ოთარ-ბეგი),

156 იხ. აექ.ცაგარელი, კომედიები, ი.გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბ., 1936, გვ. 389-392.
157 აექ.ცაგარელიც ადასტურებს: „ბათუმში სამი წარმოდგენა გავმართეთ: სამიგეჯერ თეატრი სამსე იყო ხალხით. სარეკლამო ბევრი მოსდიოდათ ჩვენს არტისტ ქალებს“ (იქვე, გვ. 387).
158 იქვე, გვ. 391.

კოტე ყიფიანმა (ანანია) და სხვ., ხოლო „მესხიშვილი ნამდვილი სოლეიმან-ხანი იყო, დინჯი და აუჩქარებელი, ეჭვიანი, გონიერი, გულქვა, ძლევამოსილი და მტარვალი“.[159]

ქართული თეატრის პირველი სტუმრობა ბათუმში იმითაც აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, რომ დაჩქარა ქეთევან ჟურულის სცენისმოყვარეთა წრის მუდმივმოქმედ დასად გარდაქმნა. მისი წევრები იყვნენ ლევან მჭედლიშვილი (მამა ვახტანგ მჭედლიშვილისა, შემდეგომში მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორისა), კ. ბეთანელი, ი. კანდელაკი და სხვ. 1882 წლიდან ამ დასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა დავით კლდიაშვილსაც, რომელიც ზოგჯერ სცენაზეც გამოდიოდა. თავადაც იგონებდა, რომ ერთხელ გიორგი ერისთავის „გაყრაში“ „ჩემი ჩიქორთული ქართულით“ გაბრიელის როლი შეასრულეო.[160]

უნდა ითქვას, რომ სცენის მტვრით „მოწამლულმა“ დ. კლდიაშვილმა შემდგომ დიდი ამაგი დასდო ბათუმის თეატრალურ ცხოვრებას. იგი 90-იან წლებში სტეფანე ხარაზიშვილთან ერთად იყო სცენისმოყვარეთა მუდმივი დასის ორგანიზატორი.[161] მას თავის რეპერტუარში ჰქონდა ალ. ყაზბეგის, ზურაბ ანტონოვის, აგრეთვე, რუსი ავტორების პიესები. დასის აქტიური წევრები იყვნენ სტ. ხარაზიშვილის და-ძმები, ნიკოლაძე, ანჯაფარიძე, ღვამიჩავა, სოღორაშვილი და სხვ.

ტრადიციულად იმართებოდა საღამოები თუ თეატრალური წარმოდგენები საქველმოქმედო მიზნით. შემოსული თანხით ეხმარებოდნენ ბათუმის ქართულ სკოლას, ნიჭიერ ღარიბ სტუდენტებს. დ. კლდიაშვილი იგონებს ერთ ასეთ საღამოს, რომლის მთელი შემოსავალი (სამი ათას რუბლზე მეტი) ქართულ სკოლას გადაეცა. ეს საღამო 1894 წ. ნინოობას გაიმართა გრიგოლ ვოლსკის და ივანე მესხის ინიციატივით და „არაჩვეულებრივი რამ იყო ბათუმისათვის. თითქმის სამი თვე დასჭირდა მის მოწყობას, მაგრამ შრომას ტყუილა არ ჩაუვლია და საღამომ დიდებულად ჩაიარა. ვეებერთელა საზოგადო საკრებულოს დარბაზი ზღაპრულად იყო მორთული; ელექტრონი, რაც იმ დროში იშვიათი იყო, - უხვად ანათებდა მთელ საკრებულოს. საკონცერტო განყოფილება, რომელიც წინ უძღოდა საღამოს, შესამჩნევად იყო შემდგარი თბილისიდან მოწვეული ძალებით; ცალკე იყო მოწყობილი აზიური დარბაზი, სადაც უკრავდა თარს განთქმული მეთარე აბდულ-ბალი თავისი ამხანაგებით. საღამოზე მოწვეული იყო საყვარელი მგოსანი აკაკი წერეთელი, რომელსაც სადგურსე დაუხვდა მთლად ქართველობა და რომელსაც, გამოჩნდა თუ არა ვაგონის კარებში, აუარებელმა ხალხმა აღტაცებით შესძახა მქუხარე ვაშა და დიდის ამბით მიაცილა ეტლამდის. აკაკიმ საღამოზე წაიკითხა თავისი ლექსები და, რაღა თქმა უნდა, დიდად აღაფრთოვანა ხალხით გაჭედილი დარბაზი. ლამაზი, შნოიანი, წარმოსადეგი პოეტი, თავისი ტკბილი ხმით, მომღიმარი სახით, მომხიბლავი შეხედულებით მართლაცდა საყვარელი იყო და ყველას თავი მოგვაწონა მისით იმ უცხოელებთან, რომლებიც მრავლად დაესწრნენ საღამოს“.[162]

ნინოობის დღესასწაულის დ. კლდიაშვილისეულ აღწერილობას გარკვეულად ავსებს გაზ. „ივერიის“ კორესპონდენტი, რომელიც პირადად ესწრებოდა საღამოს. გაზეთში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში იგი წერდა: „არტისტულმა საღამომ არტისტულად ჩაიარა... ძალიან ასიამოვნა საზოგადოება მ. ძნელაძისამ პატარა, მაგრამ ხელოვნურად შემუშავებული ხმით და ლადო მესხიშვილმა და კოტე მესხმა თავიანთი

[159] გაზ. „ცნობის ფურცელი“, №2389, 1904.
[160] დ.კლდიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 22.
[161] იქვე. გვ. 23-24.
[162] იქვე. გვ. 54.

სცენებით... ცეკვის დროს გურულ მემუსიკეთა სიმღერამ და ფერხულმა დიდი ქება გამოიწვია საზოგადოებაში, მეტადრე უცხოელებში".[163]

სხვათა შორის, კორესპონდენტი იმედს გამოთქვამდა, ამიერიდან ნინოობა ყოველ წელს აღინიშნებაო. მართლაც, 14 იანვრის დღესასწაული ბათუმში შემდეგაც არაერთხელ იზეიმეს. მასში, სხვადასხვა დროს, მონაწილეობდნენ ქართული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი: ლადო მესხიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, გ. არადელი-იშხნელი, ფილიმონ ქორიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, კოტე მესხი, ვასო აბაშიძე, ზ. გომელაური, ნ. გოძიაშვილი, ა. ჯაყელი, მიხ. კავსაძე და მისი გუნდი, ნატო გაბუნია-ცაგარელი, ა.წ.წ.ნანავა, ვალ.გ.ნია და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ასეთივე საღამოები არაერთხელ გაიმართა ქობულეთის სკოლის სასარგებლოდაც. 1890 წ. 26 იანვარს წარმოადგინეს ზ. ანტონოვის კომედია „მე მინდა კნეინა გავხდე" და ალ. ყაზბეგის გადმოკეთებული ვოდევილი „დილა ქორწილის შემდეგ". ამ სკოლის დასახმარებლად წარმოდგენები დადგეს აგრეთვე 1892 წ. 1 თებერვალს (ნ. კულიკოვის ვოდევილი „ალიაქოთი კეთილ ოჯახში") და იმავე წლის 10 თებერვალს (კ. მესხის დრამა „თამარ ბატონიშვილი").

ასევე, საქველმოქმედო მიზნით, ოღონდ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ, 1899 წ. მაყურებელს უჩვენეს სპექტაკლი (ავქ. ცაგარელის ისტორიული დრამა „ქართველი დედა"). იმავე წლის 20 ივნისს სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს, ამჯერად — მუშათა საკვირაო სკოლის სასარგებლოდ, ალ. ყაზბეგის დრამა „არსენა", რომელსაც გაზ. „კვალის" კორესპონდენტმა მაღალი შეფასება მისცა. იგი წერდა, რომ „20 ივნისი ღირშესანიშნავი დღეა ბათუმის მუშათა ცხოვრებაში... ბათუმში გაიღვიძა საზოგადო აზრმა, საზოგადო საქმემ".[164]

XIX საუკუნის 90-იან წლებში ბათუმში სცადეს პროფესიული თეატრის დაარსებაც. საქმის მოსაგვარებლად თბილისიდან ჩამოვიდნენ ახალგაზრდა თეატრალები (დ. რჩეულიშვილი, ი. მჭედლიშვილი, შ. საფაროვი და სხვ.). მათ შეადგინეს რეპერტუარი, რომელშიც დასადგმელად შეარჩიეს ა.ჭ. წერეთლის („კინტო"), ავქ. ცაგარელის („ოინბაზი"), დავ. ერისთავის („სამშობლო") პიესები. 1891 წ. 27 ოქტომბერს მათ, ადგილობრივ სცენისმოყვარეთა მონაწილეობით, კიდეც გამართეს პრემიერა (წარმოადგინეს ა.ჭ. წერეთლის „კინტო"), ნოემბერში და 26-29 დეკემბერს რამდენჯერმე წარმოადგინეს სპექტაკლები, მაგრამ მომდევნო წლიდან დასს აღარ განუახლებია დადგმები და საქმეც ამით დამთავრდა. პროფესიული თეატრის არსებობისათვის, როგორც ჩანს, იმხანად ნიადაგი ჯერ კიდევ არ არსებობდა.[165]

პროფესიული დასის შექმნის ცდა განმეორდა 1902 წელსაც. ამჯერად ინიციატივა იკისრეს ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა. 5 მაისს მათ კრებაც მოიწვიეს. გაზ. „კვალის" ცნობით, შეკრებილებმა საქმისადმი გულგრილობა გამოავლინეს და ცალკეულ ენთუზიასტთა (ნესტორ კალანდარიშვილი) აქტიურობის მიუხედავად (კომიტეტი კი აირჩიეს), საბოლოოდ მაინც უშედეგოდ დაშალნენ.[166]

სხვადასხვა წლებში იყო რუსული თეატრის შექმნის ცდებიც. 1904 წელს ვინმე ტიურკინმა მოაწყო სახალხო თეატრი (დღევანდელი ლერმონტოვისა და ზ. გორგილაძის ქუჩების გადაკვეთაზე), რომელიც წარმოდგენებს მართავდა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. იგი დროგამოშვებით მოქმედებდა 1915 წლამდე.

---

[163] გაზ. „ივერია", №18, 1894.
[164] გაზ. „კვალი", №26, 1899.
[165] გ.ბუხნიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 22.
[166] გაზ. „კვალი", №20, 1902.

ანალოგიური იყო ე.წ. „კამერული საკრებულოს“ ქართულ-რუსული თეატრალური წრე გ. შილოვის ხელმძღვანელობით, რომელიც წარმოდგენებს მართავდა 1914-20 წლებში (დღეანდელ ნ. ბარათაშვილის ქუჩასე. ე. წ. სპეციპოლიკნიკის ადგილას). 1917 წ. ივლისიდან მოქმედებდა ლანსკის თეატრი „პელ-მელი“ (დღეანდელ კ. გამსახურდიასა და ს. ახმეტელის ქუჩების კუთხეში).

1912 წ. ბათუმში ქართული თეატრის ჩამოყალიბებას სათავეში ჩაუდგა შალვა დადიანი. 28 აგვისტოს გაიმართა სცენისმოყვარეთა კრება. შეიქმნა ამხანაგობა (ანტონ კორიშელი, ელო ანდრონიკაშვილი, სტეფანე ხარაზიშვილი, სანდრო ყალაბეგიშვილი, სანდრო ხურციძე და სხვ.). რეჟისორად და ამხანაგობის საქმეთა გამგებლად აირჩიეს შალვა დადიანი. ახალდაფუძნებულ თეატრს ეწოდა „მოგზაური დასი“, რომელმაც იმავე წლის 15 სექტემბერს ლ.ანდრეევის პიესით „გაუდეამუს“ შმაევსკის თეატრში გახსნა თავისი პირველი სეზონი. ასე ჩაეყარა საფუძველი მესამე (თბილისის და ქუთაისის შემდეგ) პროფესიულ თეატრს ბათუმში.[167]

1913 წ. მაისში დაარსდა ბათუმის დრამატული საზოგადოება. მის თაემჯდომარედ აირჩიეს ივანე მესხი. ამან კიდევ უფრო განამტკიცა თეატრის პოზიციები. ამის შედეგი იყო მისი პირველი გასელა ქუთაისში. ბათუმელებმა ამ დროს ქუთათურებს უჩვენეს ნინო ნაკაშიძის იმხანად პოპულარული „ვინ არის დამნაშავე?“

1915 წლიდან ბათუმის თეატრმა განაახლა წარმოდგენები და ცვალებადი წარმატებით მოქმედებდა 1918 წლამდე. უცხოელთა ოკუპაციისთანავე შეწყდა თეატრალური დადგმები, თუმცა, მცირე ხნით. 1920 წლის ივლისში ქალაქი საბოლოოდ შემოვიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქციაში და „სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრემ“ ეასო ურუშაძის ხელმძღვანელობით ააღორძინა თეატრალური ცხოვრებაც. უკვე 25 ივლისს მან რამდენადმე ნაჩქარევად გამართა პირველი სპექტაკლი - წარმოადგინეს ია ეკალაძის „ნომერი ოცდაერთი ჯვრით“, მაგრამ მან მაყურებელზე მაინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. „ის ერთსულოვნება და საქმისადმი სიყვარული, რაც ამ წრემ ამ საღამოს გამოიჩინა, იშვიათია. ყველა გატაცებით და დაკვირვებით ასრულებდა ნაკისრ მოვალეობას,[168] - წერდა წარმოდგენის დამსწრე თბილისელი კორესპოდენტი.

საერთოდ, ქართული თეატრები, და კერძოდ, ბათუმის თეატრი, წარმოუდგენლად რთულ პირობებში მუშაობდა. მას არ ჰქონდა თავისი მუდმივი ფულადი ფონდი. ამიტომ მსახიობებს არ ეძლეოდათ ხელფასი. ასე რომ თეატრის არსებობა მთლიანად დამოკიდებული იყო წარმოდგენების დადგმით მიღებულ შემოსავალზე. ეს კი იმდენად მიზერული იყო, რომ თეატრი ყოველ სეზონს დიდი ზარალით ამთავრებდა. ამ დანაკლისის შეესებას ცდილობდნენ საქველმოქმედო საღამოების გამართვით, მაგრამ მსახიობებს მაინც გაჭირვებით გაჰქონდათ თავი და ფანატიკური სიყვარულის გამო ვერ ელეოდნენ თავიანთ პროფესიას.

ბათუმელი მაყურებელიც ასეთივე ერთგულებით და თავდადებით პასუხობდა თავის თეატრს. ამ მხრივ დამახასიათებელია 1912 წ. 26 დეკემბრის ეპიზოდი. მაშინ თეატრმა დადგა რევოლუციური შინაარსის გამო აკრძალული პიესა „როს ნადიმობდნენ“. შ. დადიანმა ის გააპარა სხვა სათაურით („ცხოვრების მეჯლისი“), თანაც სპექტაკლის შემდეგ მსახიობებმა და მაყურებლებმა იმღერეს „მარსელიოზა“. ამბავი გახმაურდა. გაზ. „სახალხო გაზეთში“ (1913 წლის 4 იანვარი) დაბეჭდილი რეცენზიით ცენზორიც მიხვდა, რომ მოატყუეს. აღიძრა საქმე. მართალია, რეცენზენტმა გაზეთის

[167] გ.ბუხნიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.
[168] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №28, 1920.

რედაქციას კი გაუგზავნა „მობოდიშების“ ბარათი გამოსაქვეყნებლად, რომ „ცხოვრების მეჯლისის“ ნაცვლად რეცენზიაში შეცდომით ჩასწერა „როს ნადიმობდნენ“, მაგრამ გეიანღა იყო. საქმეში პეტერბურგიც ჩაერია. დაიწყეს ძიება. დაპკითხეს სპექტაკლში დაკავებული მსახიობები, შემდეგ მაყურებელთა დიდი ნაწილიც. საქმემ სერიოზული სახე მიიღო. შალვა დადიანის სიტყვითაც, აღნიშნული ფაქტი ვინმეს რომ დაედასტურებინა, წარმოდგენასთან დაკავშირებულ ბევრ პიროვნებას პატიმრობა არ აცდებოდა. საბედნიეროდ დაკითხულებმა - მსახიობებმაც და მაყურებლებმაც - საოცარი ერთსულოვნება გამოამჟღავნეს და არ დაადასტურეს აკრძალული პიესის დადგმის ფაქტი. ამასობაში გამოქვეყნდა ამნისტია რომანოვების დინასტიის მეფობის 300 წლისთავთან დაკავშირებით. ნაცნობების წყალობით საქმეს შეუფარდეს მისი რომელიღაც მუხლი და შემდგომი ძიებაც შეწყდა.

900-იან წლებში ბათუმში არსებობდა მუშათა თეატრიც. ამის საჭიროება კი დიდი ხანია იგრძნობოდა. ქალაქში თავმოყრილი იყო მუშათა დიდი მასა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. ცხადია, მათი ხელმძღვანელები ზრუნავდნენ მუშათა კულტურულ-პოლიტიკური გათვითცნობიერებისათვის. ამ მიზნით გახსნეს საკვირაო სკოლები, მოაწყვეს ბიბლიოთეკები, ხოლო 1901 წელს დაარსეს სცენისმოყვარეთა დრამატული წრეც. მასში გაერთიანდნენ მუშები და მათი ოჯახის წევრები: მოსე წეროძე, ნატალია კირთაძე, ევგენია სოღორაშვილი, ილარიონ დარახველიძე, ირინე ქორიძე, სურგულაძე და სხვ.[169] სცენისმოყვარეთა წრის საქმიანობას (მსახიობთა შერჩევას, რეპერტუარს და ა.შ.) ხელმძღვანელობდნენ ჯერ ნესტორ კალანდარიშვილი (მოგეიანებით ცნობილი „ციმბირელი პაპა“), შემდეგ დ. კლდიაშვილი, ხოლო წარმართავდა მუშათა წარმომადგენლებისაგან შემდგარი საგანგებო კომისია. რეპერტუარის შედგენისას იგი უპირატესობას აძლევდა ძირითადად სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველ პიესებს (აქ. ცაგარელის „რაც გინახავს, ეველარ ნახავ“ და „ციმბირელი“, ალ. ყაზბეგის „არსენა“, ივ. გომართელის „ქოხში“, გ. სუნდუკიანცის „პეპო“ და ა.შ.). მუშათა თეატრი არსებობდა 1912 წლამდე, ვიდრე ბათუმში შეიქმნებოდა პროფესიული დასი.

* * *

ბათუმის თეატრალურ ცხოვრებას მრავალფეროვნებას და სილამაზეს მატებდა მუსიკალური კოლექტივების, საოპერო დასებისა თუ ცალკეულ მომღერალთა გასტროლები. მას დასაბამი მისცა მელიტონ ბალანჩივაძემ, რომელიც 1889 წელს ჩამოვიდა ბათუმში და ორი კონცერტი გამართა: ერთი ფილიმონ ქორიძის და მ. ძნელაძის შესრულებით, მეორე კი ადგილობრივ მომღერალთა ძალებით. პირველი კონცერტი მსმენელებს არ მოეწონათ, რადგან „რეპერტუარში სულ ევროპული ხმები იყო“, სამაგიეროდ მეორემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. 14 ქართველმა ყმაწვილმა, „ერთი კვირის განმავლობაში მ. ბალანჩივაძის ლოტბარობით შეისწავლა ნოტებზე გადაღებული ქართული ხმები. მით უფრო საყურადღებო არიან ეს ყმაწვილები, რომ პირველი ნაბიჯი გადადგეს წინ, არ დაერიდნენ თავის მოუცლელობას და სცენაზე გამოვიდნენ, გატაცებულნი მუსიკისა და ქართული ხმის სიყვარულით“.[170]

1890 წ. ბათუმში ჩამოვიდა კლოდიუსის დასი, რომელმაც აქაურ მაყურებელს პირველად შესთავაზა საოპერო სპექტაკლი. მომდევნო წლებში ბათუმის სცენაზე იმღერეს რუსმა, იტალიელმა, ფრანგმა და სხვა ქვეყნის საოპერო სცენის ოსტატებმა

[169] ს.გერსამია, ბათუმის თეატრი 70 წლის მანძილზე, ბათ., 1949.
[170] გაზ. „ოვერია“, №136, 1889.

(მათ შორის თევდორე შალიაპინმა). 1906 წ. ბათუმში საცხოვრებლად ჩამოვიდა მუსიკისმცოდნე მარია სეიშჩევსკაია, რომელმაც ჩამოაყალიბა „სამსახიობო წრე". 1907 წ. 10 თებერვალს მან წარმოადგინა ოპერა „აიდას" პირველი აქტი, ხოლო იმავე წლის 25 აპრილს - „მძინარე მზეთუნახაი".

ასე გააქტიურებული თეატრალური ცხოვრების მიუხედავად, ბათუმში კარგა ხანს არ იყო თეატრისათვის რამდენადმე გამოსადეგი შენობა. თავდაპირველად წარმოდგენები იმართებოდა სამოქალაქო სასწავლებლის ეზოში მდგარ პატარა შენობაში, რომელიც, როგორც აღინიშნა, მხოლოდ 100 მაყურებელს იტევდა. 1881 წელს ააგეს 400-ადგილიანი შენობა დონდუკოვ-კორსაკოვის (დღეს გამსახურდიას) ქუჩაზე. მალე იგი გადაიტანეს ანანიევის მამულში (დღეს ვაჟა-ფშაველას და მემედ აბაშიძის ქუჩების კუთხე). ამიტომ მას, ზოგჯერ, ანანიევის თეატრსაც ეძახდნენ (დაანგრიეს 1890 წელს). 1889 წელს ააგეს ქალაქის საზოგადო საკრებულოს შენობა (ყოფილი ოფიცერთა სახლი). იგი კი დაიწვა 1900 წელს, მაგრამ ორი წლის შემდეგ ისევ აღადგინეს. შენობა უდავოდ იყო ძველი ბათუმის ერთ-ერთი დიდი ნაგებობა. მას ჰქონდა ერცელი საცეკვაო დარბაზი, თუმცა სცენა იყო შესამჩნევად მცირე. ამის მიუხედავად, იგი დიდხანს ასრულებდა დრამატული თუ საოპერო თეატრის მოვალეობას. აქ დაიდგა არაერთი სპექტაკლი, საგასტროლოდ ჩამოსულ მრავალ მომღერალს შეუსრულებია რომანსები თუ საოპერო არიები (ეს შენობა ტერიტორიის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით 1997 წელს დაანგრიეს).

XIX საუკუნის 90-იან წლებში ბათუმში თავისი დასით ჩამოვიდა ანტრეპრენიორი ტომსკი. წარმოდგენებისათვის მან დაიქირავა ახლანდელი ცირკის ადგილზე არსებული ბელგიელი კომერსანტის მ. მარშოს რკინის ნაკეთობათა დიდი საწყობი. ტომსკიმ აქ მოაწყო საკმაოდ ერცელი კლუბი 900 ადგილით. მოგვიანებით ეს შენობა იჯარით აიღო ადეოკატმა იურკევიჩმა, რომელმაც მცირე რემონტისა და შიგა სივრცის შეფიცვრის შემდეგ გახსნა თეატრი (ე.წ. „რკინის თეატრი"). ეს ნაგებობა 1924 წლის დიდთოვლობისას ჩაინგრა.

1916 წ. სტამბის მფლობელმა და წიგნების ცნობილმა გამომცემელმა შმაევსკიმ თეატრისათვის ააგო სპეციალური დიდი შენობა (ყოფილი ხალხური შემოქმედების საოლქო სახლი), რომელიც დიდხანს ღირსეულად ასრულებდა თავის ფუნქციას (დაანგრიეს 1989 წ.).

* * *

ქართველი საზოგადოება თეატრალურ წარმოდგენებს რომ ეფექტურად იყენებდა პატრიოტული იდეების პროპაგანდისათვის, ამის თვალსაჩინო ნიმუშია პირველი სპექტაკლი ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. იგი ადგილობრივი სცენისმოყვარეების მეშვეობით განახორციელა ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ არსენ წითლიძემ.

ა. წითლიძე 1916 წ. დამდეგიდან დაუკავშირდა ხუცუბანს, როდესაც „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებამ" აქ გახსნა სკოლა და იგი მის გამგედ დანიშნა.[171] აღნიშნული სკოლა მალე გადაიქცა სოფლად ახალი ცხოვრების ჭეშმარიტ შუქურად, რადგან ახალგაზრდები (და უფროსი თაობის ადამიანებიც) აქ მარტო მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას კი არ სწავლობდნენ, არამედ ჭრა-კერვას, ხელსაქმეს და მეურნეობის საფუძვლებსაც ეუფლებოდნენ. სკოლის პედაგოგიურმა პერსონალმა (გამგე ა.წითლიძე, მასწავლებლები თამარ დარეჯანაშვილი, ბაბო ბრეგაძე) უანგარო სამ-

[171] ალ.სურგულაძე, პირველი სკოლა ხუცუბანში. ჟურნ. „ჟოროხი", №4, 1987.

სახურით ღრმა კვალი დაამჩნია ხუცუბნელთა სულიერ ცხოერებას. ყველა, ვინც პირადად იცნობდა ა.წითლიძეს, იგონებს, რომ არა თუ ნაცნობები ან მოწაფეები, არამედ შემდეგ დაბადებულებიც კი, დიდი სიყვარულით მოიხსენიებდნენ პირველი გამგის პიროვნებას, ამაგსა და დამსახურებას.

ხუცუბანში ა. წითლიძის ხელმძღვანელობით ორგანიზებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობიდან უდავოდ აღსანიშნავია პირველი თეატრალური წარმოდგენის გამართვა. ამ მიზნით მან 1920 წ. ზაფხულში ხუცუბანში მიიწვია ცნობილი პროფესიონალი მსახიობი ალიოშა (ანდრო) ჯაყელი, რომელმაც მასწავლებელ ქიშვარდ მეგრელიძესთან ერთად შეარჩია ადგილობრივი სცენისმოყვარენი და დაიწყო სპექტაკლის რეპეტიციები.[172] ასეთი რამ მანამდე უცნობი იყო არა მარტო ხუცუბნისათვის, არამედ აჭარის სოფლებისთვისაც საერთოდ. ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობა მას დიდი ინტერესით შეხვდა.

მოგონებაში „45 წელი სასოფლო სცენაზე" ა. ჯაყელი აღნიშნავს თავისი მუშაობის შესახებ „ბათუმში და მის რაიონებში", „წარმოდგენებში აჭარელი ახალგაზრდების მონაწილეობაზე", მაგრამ გაკვრით და ძალზე ზოგადად. სხვათა შორის, იგი არ მოიხსენიებს არც ხუცუბნელთა სპექტაკლს, რაც ცხადია, ართულებს იმ პირველი დადგმის სრული ისტორიის აღდგენას. ამ ხარვეზს მნიშვნელოვნად ავსებს აწგარდაცვლილი სულეიმან კაიკაციშვილის მოგონებები. ს. კაიკაციშვილი ჯერ კიდევ რევოლუციამდე სწავლობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში, ბინად კი ცხოვრობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის დაეთ კარიჭაშვილის ოჯახში, სადაც სისტემატურად ხვდებოდა ქართველი ინტელიგენციის შესანიშნავ წარმომადგენლებს.

ს. კაიკაციშვილი იგონებს: არსენ წითლიძეს თურმე დასადგმელად შეურჩევია აკაკი წერეთლის ისტორიული დრამა „პატარა კახი". მართალია, მონაწილე ძალებისათვის იგი მეტად რთული იყო, მაგრამ სკოლის ხელმძღვანელი საესებით სამართლიანად ფიქრობდა, რომ ისტორიული ნაწარმოებით მოსახლეობას დაანახებდა ქართველი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას, მის გმირულ წარსულს და მით კიდევ უფრო გაუძლიერებდა პატრიოტულ გრძნობებს. პატარა კახს თვით ა. ჯაყელი ანსახიერებდა, ხოლო სხვა როლებს ასრულებდნენ სოფლის ე.წ. „გამოსული ახალგაზრდები": ოსმან მოწყობილი, ოსმან და ხასან მეავანაძეები, ხუსეინ და შუქრი კაიკაციშვილები, იუსუფ მახარაძე, მურად წერეთელი, არიფ პაპუნაიშვილი, ხასან ყულეჯიშვილი, მუჰამედ ხარაზი, ხუსეინ შაქირიშვილი, ხუსეინ ნაკაიძე, აგრეთვე, მოწვეულნი: ამალია სიმონიძე, გაიოზ წულაძე, კოტე ერქომაიშვილი, რკინიგზელი გვალია, ქობულეთის სადგურის მოლარე ელენე (პირველის სახელი და მეორის გვარი უცნობია) და სხვ. მასობრივი სცენებისათვის დამდგმელმა ნადურის საუკეთესო მომღერალ-შემსრულებლები შეარჩია.

რეპეტიციები ერთ თვეს მიმდინარეობდა. პიესა „გააზრებულად დამუშავდა". განსაკუთრებით „საამო იყო მასობრივი სცენა, სადაც ნადი ყანას ამუშავებდა და სიმღერას დასძახოდა". ბოლოს დაინიშნა სპექტაკლის წარმოდგენის დღეც.

წარმოდგენისათვის რამდენადმე ვარგისი შენობა ხუცუბანს არ გააჩნდა. ამიტომ სკოლის შენობაზე შეაჩერეს არჩევანი. სხვათა შორის, სკოლას არ ჰქონდა დარბაზი, მაგრამ სცენისმოყვარე ენთუზიასტებმა გამოიღეს სკოლის ერთი შიგა კედელი და ასე სახელდახელოდ მოწყობილ დარბაზში გამართეს სცენა. სცენის მოსაწყობად საჭირო ფიცრები და „დეკორაციები" (ფარდაგები, ჭურჭელი, სკამები) მოსახლეობიდან მოიტა-

[172] ა. ჯაყელი, 45 წელი სასოფლო სცენაზე, თბ., 1952, გვ. 60.

ნეს. ყველაზე ბოლოს განათების საკითხიც მოუგვარებიათ. ხუცუბანსა და სამებაში ძლიეს შეუგროვებიათ 7 ცალი დასაკიდი ნავთის ლამფა.

წარმოდგენის დღე - 19 აგვისტო - ხუცუბნელთათვის ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. 12 საათზე სკოლის ეზოში დაიგუგუნა სასულე ორკესტრმა. მალე ხალხიც შეიკრიბა. წარმოდგენას ბათუმიდან ესწრებოდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" პასუხისმგებელი მუშაკი ისმაილ თეეზაძე, რომელსაც სასულე ორკესტრთან ერთად თან ამოეყვანა ფოტოგრაფიც.[173] გართობა-მხიარულების შემდეგ (ეზოში ბუფეტიც იყო გამართული და სასადილო მაგიდებიც გაშლილი). დაირეკა ზარი და შეკრებილი ხალხიც დაიძრა შენობისკენ. დაიწყო სპექტაკლი. წარმოდგენა „ისეთი სილამაზითა და ხალისით მიდიოდა, რომ მაყურებლები დიდ კმაყოფილებას გრძნობდნენ... როცა მასობრივ სცენაში ხალხმა თავისივე ნათესავ-მეზობლები დაინახა".

წარმოდგენის შემდეგ ა. წითლიძეს დიდი ვახშამი გაუმართავს ჩამოსული სტუმრების, სოფლის პატივსაცემი ადამიანებისა და სცენისმოყვარეებისათვის. ხუცუბანში პირველი სპექტაკლის გამო შეკრებილთ მიესალმნენ ა. წითლიძე, ი. თეეზაძე, ა. ჯაყელი. საპასუხო სიტყვები წარმოთქვეს ოსმან მოწყობილმა და იუსუფ მახარაძემ. ი. თეეზაძის წინადადებით, ვახშამზე ლექსები წაუკითხავთ სულეიმან კაიკაციშვილსა და „განსაკუთრებით მგრძნობიარედ" ხუსეინ ნაკაიძეს. ბოლოს შეკრებილებმა და სპექტაკლის მონაწილეებმა გადაიღეს ერთობლივი სურათი და უადრესად კმაყოფილები გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

ხუცუბანში გამართული ეს პირველი სპექტაკლი საინტერესოა, აგრეთვე, ეროვნული თეატრის ისტორიის თვალსაზრისითაც. საქმე ისაა, რომ პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) გაჩაღების შემდეგ ბათუმში შეწყდა თეატრალური დადგმები. მართალია, 1916 წელს ა. ჯაყელმა შექმნა სცენისმოყვარეთა წრე და რამდენიმე წარმოდგენაც (ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", ა. წერეთლის „პატარა კახი", დ.ერისთავის „სამშობლო" და სხვ.) გამართა, მაგრამ ბათუმი და მთელი აჭარა 1918-1920 წლებში უცხოელთა ბატონობის ქვეშ მოექცა და თეატრალური ცხოვრება აქ ისევ ჩაკვდა.[174] მართალია, ერთხანს აქ სპექტაკლებს მართავდა მამულოვი, მაგრამ მისმა „ვერც ერთმა წარმოდგენამ" ხალხს „იოტისოდენა კმაყოფილება" ვერ მოუტანა.

ასეთ ვითარებაში ხუცუბანში განხორციელებულ წარმოდგენას მცირე, მაგრამ საპატიო წვლილი შეჰქონდა ეროვნული თეატრალური ტრადიციების აღდგენა-გააქტიურებაში. ამასთან ისტორიულ თემაზე პიესის დადგმით ხუცუბნელმა სცენისმოყვარეებმა, სავსებით სამართლიანად, ხაზი გაუსვეს ქართული თეატრის მნიშვნელობას უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებული მოსახლეობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებასა და კულტურულ აღორძინებაში.

ცნობილი არაა, რამდენჯერ წარმოადგინეს აღნიშნული სპექტაკლი ხუცუბანში, უჩვენეს თუ არა იგი მეზობელი სოფლების მცხოვრებთ, მაგრამ ფაქტია, სკოლის ხელმძღვანელობა თეატრალურ დადგმებს, როგორც მასების აღზრდის მძლავრ საშუალებას, მომდევნო ხანაშიც დიდი ყურადღებით ეკიდებოდა. ბათუმური გაზეთის „პროლეტარული ბრძოლის" უცნობი კორესპონდენტი, რომელმაც 1922 წლის 25 სექტემბერს ინახულა ხუცუბნის სკოლა, აღფრთოვანებული წერდა: „მოწაფეები

[173] აღნიშნული პატრიოტული ორგანიზაციის ინტერესი წარმოდგენისადმი არ იყო შემთხვევითი. მაშინ ქობულეთის მხარეში აქტიურობდნენ ბროთურქული „სედი მილეთის" მომხრეები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მშობლიურ კერაზე აჭარის დაბრუნებას. ამიტომ კომიტეტი თვლიდა, რომ ხუცუბნელთა სპექტაკლი, პოლიტიკური თვალსაზრისით, იქნებოდა ეროვნული ერთიანობის იდეის ქადაგების საუკეთესო საშუალება.

[174] გ.ბუხნიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 59-62.

წარმოდგენის გამართვას აპირებდნენ და რეპეტიციებს გადიოდნენ. ამ ზაფხულში ამ ახალგაზრდობამ ხუცუბანში და მის მახლობელ სოფლებში სამი სხვადასხვა წარმოდგენა გამართა. ასე წარმოიდგინეთ, ერთ სოფელში, გარდა კაცებისა, წარმოდგენას პირ-ჩადრიანი „ხანუმებიც“ დაესწრო“.[175] მართალია, ცნობა ძალზე მწირია - კორესპონდენტი არ უთითებს პიესების სახელწოდებებს, როლების შემსრულებლებს, არც იმ სოფლებს, სადაც „გასტროლებზე“ იყვნენ სკოლის სცენისმოყვარენი, მაგრამ „სამი სხვადასხვა წარმოდგენის გამართვა“ და მეოთხის რეპეტიციები, „საგასტროლო“ გასვლები მეზობელ სოფლებში, სპექტაკლებზე „პირ-ჩადრიანი ხანუმების“ დასწრებაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ თეატრი და თეატრალური წარმოდგენები მტკიცედ მკვიდრდებოდა აჭარის ყოფა-ცხოვრებაში.

§7. სამედიცინო სამსახური

პირველი სამედიცინო დაწესებულება ბათუმის ოლქში იყო სამხედრო ჰოსპიტალი, რომელიც რუსეთის ჯარის შემოსელისთანავე გაიხსნა ბათუმში. თავიდან იგი განლაგდა ზღვისპირას დროებით კარვებში, ერთი წლის შემდეგ კი აშენდა ბარაკები. ჰოსპიტლის პირველი მთავარი ექიმი იყო მედიცინის დოქტორი კაზიმირ ალექსანდრეს ძე სევერინი.

ოლქის სამხრეთ ნაწილში კავკასიის სამხედრო სამედიცინო სამმართველომ დანიშნა თავისი უფროსი ექიმები: არტაანში - მ. ა. დავიდოვი, ოლთისში - ი. ნ. ბულგაკოვი, ართვინში - ი. ი. პლიაპისი, რომლებიც ძირითადად ემსახურებოდნენ ოფიცრებს და მათი ოჯახის წევრებს, შეძლებისდაგვარად მეთვალყურეობდნენ ინფექციური დაავადებების თავიდან აცილებას.

1897 წ. ართვინში გამოჩნდა ქართველი ექიმიც - ლეონტი ლუარსაბის ძე გოცირიძე, ის უშურველად ემსახურებოდა მოსახლეობას და შედეგიც კარგი ჰქონდა.[176]

ბათუმის ჰოსპიტალი მხოლოდ სამხედროებს ემსახურებოდა. გამონაკლისი დაშვებული იყო მდიდარი ფაბრიკანტების ან მსხვილი ჩინოვნიკების მიმართ. ჰოსპიტლის პერსონალს ევალებოდა, აგრეთვე, ინფექციური და ენდემური დაავადებების წინააღმდეგ პროფილაქტიკური მუშაობა. ამ გზით ადმინისტრაცია ცდილობდა სამხედრო ნაწილებისათვის გადამდები დაავადებების და განსაკუთრებით საშიში ინფექციების აცილებას. ეს ობიექტურად ადგილობრივი მოსახლეობის დაცვაც იყო.

დასავლეთ საქართველოში მაშინ მძვინვარებდა ე.წ. „ჭაობის ცხელება“ (მალარია). 1883 წლიდან 1892 წლამდე, ე.ი. თითქმის ათი წლის განმავლობაში, ჰოსპიტალში იმკურნალა 5343 კაცმა, წლიურად საშუალოდ 530 ავადმყოფმა. მათგან მესამედი, ე.ი. დაახლოებით 1800 ავად იყო მალარიით. აქედან ნათელია, მალარიის ფონზე როგორი დიდი იქნებოდა სხვა დაავადებების ხვედრითი წილი. მდგომარეობას უკიდურესად ართულებდა სათანადო სტაციონარული დაწესებულების უქონლობა. ფაქტობრივად, ბათუმში არც ერთი სამოქალაქო ექიმი არ მუშაობდა. 1878 წ. დაინიშნა ე.წ. ქალაქის ექიმი, რომელიც მხოლოდ სასამართლო - სამედიცინო ექსპერტის მოვალეობას ასრულებდა. მის ფუნქციებში არ შედიოდა ავადმყოფთა მკურნალობა. ამ

[175] გაზ. „ბროლეტარული ბრძოლა“, №471, 1922.
[176] Кавказский календарь, Тиф., 1897.

თანამდებობაზე პირველი დღიდანვე მუშაობდა ფეოდორ ალექსანდრეს ძე შეფერი.

ორი წლის შემდეგ სწორედ ფ. შეფერმა დააყენა მცირე სტაციონარით ქსენონის გახსნის საკითხიც. ასეთი დაწესებულება მართლაც გაიხსნა. დროებით ის კერძო ბინაში მოათავსეს. მხოლოდ 1887 წ. ფ. შეფერისავე ინიციატიეით ყოფილ ეოსნე-სენსკის (ახლა მელიქიშვილის) ქუჩაზე აშენდა 25-საწოლიანი, აჭარაში პირველი სახელმწიფო სამედიცინო სტაციონარული დაწესებულება, სადაც 1902 წლამდე მუშაობდნენ ფ. შეფერი (გარდაიცვალა 1892 წ. ქოლერის ეპიდემიის დროს), გრიგოლ ელიავა, ტიმოლეონ ტრიანტაფილიდესი, მისი მეუღლე ვალენტინა, კონდრატი მხეიძე და სხვ.

1890 წელს ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოებამ მარინეს (ახლა მემედ აბაშიძის) პროსპექტზე ღარიბებისათვის გახსნა უფასო ამბულატორია, რომელიც 12 წლის შემდეგ დაიხურა ფულადი სახსრების უქონლობის გამო. საყურადღებოა, რომ ამბულატორია წლიურად საშუალოდ 4000-მდე ავადმყოფს ღებულობდა.[177]

ბაქო-ბათუმის რკინიგზის გაყვანის შემდეგ დიდად იმატა რკინიგზელთა რიცხვმა. მათ არ გააჩნდათ საკუთარი სამედიცინო დაწესებულება: 1886 წლიდან ჰყავდათ ერთადერთი ექიმი, შემდგომში ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ვოლსკი. რკინიგზის უწყებამ ქობულეთში მხოლოდ 1902 წ. გახსნა 10 საწოლიანი ლაზარეთი ტუბერკულოზიანებისათვის. იგი დიდხანს იყო რკინიგზელთა ერთადერთი სამედიცინო დაწესებულება ბათუმის ოლქში.

სოფლის მოსახლეობა მოკლებული იყო სამედიცინო დახმარებას და მხოლოდ ხალხური მედიცინით სარგებლობდა. კავკასიაში, მართალია, 1884 წ. დაიწყო სოფლის სამედიცინო პუნქტების გახსნა, მაგრამ ბათუმის ოლქში მან 12 წლით დაიგვიანა. ქუთაისის გუბერნიის საექიმო უწყებამ მხოლოდ 1896 წ. გახსნა ხულოსა და ქედაში საექიმო პუნქტები, სადაც ფერშალი და ბებიაქალი მუშაობდნენ. ქედაში შტატით ექიმიც ირიცხებოდა, მაგრამ ის თვეში ერთხელ, ხელფასის აღებისას თუ მოინახულებდა პუნქტს.[178]

იმავე წელს ბათუმის ქსენონის შენობა გაანადგურა ხანძარმა, რის გამო მწვავედ დაისვა ახალი საავადმყოფოს მშენებლობის საკითხი. მისი ინიციატორი, ექიმებთან ერთად, იყო ქალაქისთავი ლუკა ასათიანი. გადაწყდა ბარაკული ტიპის 120-საწოლიანი საავადმყოფოს აშენება.

1901 წ. ბათუმში იფეთქა შავი ჭირის ეპიდემიამ, რის გამოც იძულებული გახდნენ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საავადმყოფოს ბარაკებში გაეხსნათ ეპიდემიური სტაციონარები. ეპიდემიის ჩაცხრობის შემდეგ, ბარაკები წესრიგში მოიყვანეს და 1902 წ. 3 ოქტომბერს გაიხსნა ქალაქის საავადმყოფო (ამჟამად რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო). მას ჰქონდა 6 ბარაკი: ადმინისტრაციული, თერაპიული, ფსიქიატრიული, ინფექციური, ქირურგიული და ვენეროლოგიური, აგრეთვე დამხმარე ნაგებობები: სამრეცხაო, ცეიხჰაუზი, პერსონალის საცხოვრებელი, სამზარეულო, საკუჭნაო, საცხედრე (მორგი) და ამბულატორია. ამბულატორიული ავადმყოფები იხდიდნენ 50 კაპიკიდან 5 რუბლამდე. სტაციონარული მკურნალობა დღიურად 75 კაპიკიდან - 3 რუბლამდე ღირდა.[179]

ასეთი სიძვირე გამოწვეული იყო იმით, რომ თუ რუსეთის იმპერიაში მოქმედი „სამკურნალო დაწესებულებათა წესდებით" ქალაქის ყველა მცხოვრებს ეალებოდა საავადმყოფოს სასარგებლოდ შეეტანა წელიწადში 1 რუბლი, ბათუმში ეს წესი

---

177 ა.პერტია, ნარკვევი აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის ისტორიიდან, ბათ., 1958, გვ.17, 18, 26.
178 იქვე. გვ. 27-28.
179 «Батум и его окрестности», Бат., 1906, с. 568-579.

რატომღაც შეცვალეს და წლიური შესატანის ნაცვლად გაზარდეს გადასახა-დი მკურნალობისათვის. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ ავადმყოფთა დიდი ნაწილი მამა-პაპურად, სახლში მკურნალობდა, ხოლო ნაწილი - საავადმყოფოდან ეწერებოდა განკურნებამდე.

საავადმყოფოს მთავარ ექიმს გუბერნატორი ნიშნავდა. პირველ მთავარ ექიმად პეტერბურგიდან მოიწვიეს ობუხოვის საავადმყოფოს ექიმი - ქირურგი, შემდგომში ბაქოს სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი ბორის ფინკელშტეინი. მასთან ერთად მუშაობდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები: კონდრატე მხეიძე, გრიგოლ ელიავა, ბორის ფროლოვი, ალექსანდრე შატილოვი (შემდგომში ცნობილი პროფესორი-ოკულისტი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე), ალექსანდრე თუმანიშვილი, პლატონ გიგინეიშვილი, სერგეი სოლოვკინი და სხვ.[180]

ამგვარად, ბათუმის საავადმყოფოში ახალი განყოფილებების გახსნამ და სპეციალისტების დანიშვნამ საფუძველი ჩაუყარა ავადმყოფთა დაყოფას დაავადების სახეების მიხედვით, რაც კვალიფიციური სამედიცინო დახმარების ჩანასახსაც წარმოადგენდა.

მრავალი სიძნელის მიუხედავად (ტექნიკური, ფინანსური, მატერიალური), ბათუმელი ექიმები საავადმყოფოს დაარსების პირველი დღიდანვე ცდილობდნენ გამოეყენებინათ XX საუკუნის დასაწყისის სამედიცინო მეცნიერების მიღწევები. ამიტომაც პირველი წლებიდანვე საავადმყოფო ერთ-ერთი მოწინავე სტაციონარულ დაწესებულებად გადაიქცა მთელს კავკასიაში. 1911-1913 წლებში საავადმყოფოში რეგისტრირებულ ავადმყოფთა 30-40 პროცენტი ბათუმში ჩამოსულები იყვნენ.

მკურნალობის მაღალი ფასების მიუხედავად, სახელმწიფო ვერ კისრულობდა საავადმყოფოს შეკეთებას, მოწყობილობით აღჭურვას და მის ტექნიკურ გამართვას; მას არ გააჩნდა თეთრეულის საშრობი, არადამაკმაყოფილებელი იყო განათება და წყალმომარაგება, სამედიცინო პერსონალის ნაწილი ცხოვრობდა ცეიხპაუზში, ნაწილი – ფსიქიატრიულ ბარაკში (რომელშიც ავადმყოფებს საერთოდ არ აწვენდნენ), ხოლო მზარეული თაეისი ორი თანაშემწით - სამზარეულოში.

გადატვირთული იყო ქირურგიული და ქალთა განყოფილებები, რის გამოც არ ჰქონდათ საშუალება ცალკე მოეთავსებინათ ახლად ნაოპერაციები ავადმყოფები. ცალკე არ იყო გამოყოფილი ოთახები ჩირქოვანი ავადმყოფების, მომაკვდავების, ტუბერკულიოზიანების, მორიგე პერსონალის, ექიმებისათვის და ა.შ.

1904 წლამდე საავადმყოფოს არ გააჩნდა კანალიზაცია და ელექტროგანათება, ეზოს გარშემო ეკეროდა ღრმა ჭაობი, რის გამოც კოღოები მოსვენებას არ აძლევდნენ ავადმყოფებს, ხშირ შემთხვევაში ისინი აქვე ავადდებოდნენ მალარიით.

ცხადია, ცუდი აღჭურვილობა, კლინიკურ-დიაგნოსტიკური მოწყობილობის უქონლობა, მედიკამენტების ნაკლებობა აძნელებდა დროულ დიაგნოსტიკას და მკურნალობას. მაღალი იყო სიკვდილიანობა (6,0-9,6%), განსაკუთრებით თერაპიულ და ინფექციურ განყოფილებებში.

1904 წ. საავადმყოფოში შეიქმნა საექიმო საბჭო, რომელიც ბეჭდავდა ანგარიშებს, ქალაქის თვითმმართველობას ყოველწლიურად უდგენდა ნაკლოვანებათა სიას და თხოულობდა მათ გამოსწორებას, მაგრამ ხშირად იგი დაუმაყოფილებელი რჩებოდა. საავადმყოფოს ერთგვარი მოწესრიგება მოხერხდა მხოლოდ 1911-1912 წლებში, ბინა გამოეყო მთავარ ექიმს, ფართობი მიეცა ლაბორატორიას, განცალკევდნენ თერაპიული განყოფილების ავადმყოფი მამაკაცები, რომელთაც სხვა დაავადებებ-

[180] ვ.კვაჭაძე, რ.სურმანიძე, ჯანმრთელობის სამჭედლო, ბათ., 1974, გვ. 10.

თან ერთდროულად ჰქონდათ ეენერიული სნეულებაც.

10 წლის მანძილზე საავადმყოფოს არ გააჩნდა რენტგენის აპარატი, რის გამოც ავადმყოფები თბილისში იგზავნებოდნენ. აპარატის შეძენა მოხერხდა მხოლოდ 1912 წ. ექიმ გ. ვ. სობოლევსკის ინიციატივით.

საავადმყოფო ემსახურებოდა არა მარტო ქ. ბათუმის, არამედ ოლქისა და ნაწილობრივ ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობასაც. მისი დაფინანსება ხდებოდა ქალაქის მოსახლეობის რიცხვის მიხედვით, ფაქტობრივად კი ხარჯავდა ორჯერ მეტს, რის გამოც შენობის შესაკეთებლად და ინვენტარ-მოწყობილობის შესაძენად ფული აღარ რჩებოდა.

1909 წ. უსახსრობის გამო საწოლი ადგილები შემცირდა 80-მდე, ხოლო პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას — 50-მდე. ამასთან, საავადმყოფო გადაიტანეს სკოლის შენობაში, ხოლო ბარაკებში სამხედრო ჰოსპიტალი გაიხსნა. ოსმალთა ოკუპაციის დროს ბათუმის საავადმყოფო ევაკუირებულ იქნა ფოთში. ოსმალებმა საავადმყოფოს შენობაში თავიანთი ჰოსპიტალი გახსნეს.

მძიმე მდგომარეობა იყო ოლქის სოფლებში, ქედის სამედიცინო პუნქტით სარგებლობდნენ მხოლოდ მაზრის ცენტრისა და ახლომდებარე სოფლების მცხოვრებლები. უგზოობა აძნელებდა მძიმე ავადმყოფების გადმოყვანას. კიდევ უფრო მძიმე იყო ვითარება ზემო აჭარაში. მაზრის ერთადერთ ფერშალს 50 კმ. რადიუსში უხდებოდა თითქმის 20 000 მცხოვრების მომსახურება. 1897 წ. ხულოს ფერშალს თავის აფთიაქში მხოლოდ ქინაქინა და საფაღარათო ზეთი აღმოაჩნდა.[181]

სოფლად მძვინვარებდა მალარია, ჩიყვი და მრავალი ინფექციური დაავადება. სიკვდილიანობა წლითიწლობით მატულობდა, ძირითადად ტუბერკულოზიანებში. მოსახლეობას ამ დაავადების იმდენად ეშინოდა, რომ ერთი ავადმყოფის გამოჩენაც საკმარისი იყო, რათა ეს ოჯახი სრული იზოლაციის მსხვერპლი გამხდარიყო არა მარტო უცხოთა, არამედ ახლო მეზობლებისა და ნათესავების მხრივ.

1903 წ. ართვინში, არტანუჯში, ხულოსა და ქობულეთში გახსნეს საექიმო პუნქტები - ქსენონები, რომლებიც შემდეგ 10-საწოლიან საავადმყოფოებად გადაკეთდა. ქედაში ექიმის შტატი გაუქმდა, ხოლო საფერშლო პუნქტი ხულოს საავადმყოფოს დაექვემდებარა. 1910 წლისათვის ხულოსა და ქედის ქსენონებს, ორივეს ერთად, 12 საწოლი ჰქონდათ. ერთი წლის განმავლობაში ისინი 13 ავადმყოფს მოემსახურნენ, ხოლო 1913 წ. - 34. ართვინსა და არტანუჯში ავადმყოფთა სიმცირის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ამ ქსენონებში ექიმები ფორმალურად ირიცხებოდნენ. გარდა ამისა, იქ სამუშაოდ მოდიოდნენ ძირითადად მამაკაცები, 1906 წ. ამ ქსენონებში სამუშაოდ ბებიაქალებიც გამოჩნდნენ.

მდგომარეობას ართულებდა მედიკამენტების სიმცირე. ხულოს ფერშალს ს. დემჩინსკაიას სამედიცინო კარადაში 1909 წ. მხოლოდ 7 დასახელების წამალი აღმოაჩნდა: საფაღარათო ზეთი, იოდი, მწვანე საპონი, ლიზოლი, ეილკინსონის მალამო, ქაფური და ვალერიანი.[182]

1913 წ. მონაცემებით, ბათუმის ოლქში სახელმწიფო სამსახურში მუშაობდა 15 ექიმი. მათგან მხოლოდ 8 ასრულებდა ექიმის პრაქტიკულ მოვალეობას, დანარჩენი კი ადმინისტრაციული საქმეებით იყო დაკავებული. ისინი ბათუმში ცხოვრობდნენ, სადაც ამ დროს კიდევ 18 კერძო ექიმი მოღვაწეობდა.

პირველმა მსოფლიო ომმა ბათუმის ოლქში, განსაკუთრებით ართვინის ოკრუგში,

---

181 თ.სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 193-194.
182 ა.ბერტია, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

მოშალა განვითარების გზასუ მყოფი სამოქალაქო სამედიცინო სამსახური. ართვინის და არტანუჯის ქსენონები გაუქმდა და იქ მომუშავე რამდენიმე ექიმი და ბებიაქალი დაიფანტნენ. ერთადერთი ფერშალი – სოფია დემჩინსკაია, რომელიც ხულოდან ართვინში გადაიყვანეს, ომის შემდეგ კვარცხანის სპილენძის საბადოების საფერშლო პუნქტში მუშაობდა.

1916 წ. იანვარში სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირმა ბათუმში, სასტუმრო „იმპერიალის" შენობაში, აგრეთვე ხულოში, გახსნა 50-საწოლიანი, ხოლო მარადიდსა და ქედაში – 25-საწოლიანი საავადმყოფოები. ქედაში საავადმყოფოს საკუთარი ორსართულიანი სახლი დაუთმო ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ, პროფესიით ექიმმა ყადირ შერვაშიძემ. თუმცა, წლის ბოლომდე სამივემ შეწყვიტა საქმიანობა. პირველი მსოფლიო ომისა და უცხოელ ოკუპანტთა მოსვლის შემდეგ ის პუნქტებიც გაუქმდა, ადრე რომ მოქმედებდა.[183]

1919 წ. მუშაობა განაახლა ექიმთა საზოგადოებამ, მისი მოთხოვნით, საავადმყოფოს გადასცეს გაძარცულ-გაპარტახებული შენობები, სადაც მოეწყო 60 საწოლი.[184]

აჭარა, უცხოელთა ბატონობის გამო, ორი წლის დაგვიანებით, 1920 წლის 7 ივლისს დაუბრუნდა დამოუკიდებელ საქართველოს. ამიტომ მთავრობამ აქ ვერ შეძლო იმ მცირედი რეფორმების გატარებაც, რომლებიც სხვაგან მეტ-ნაკლებად დაწყებული იყო. არსებული მცირე სამედიცინო ქსელი მას დახვდა სრულიად გაჩანაგებული და გაპარტახებული. ექიმთა ნახევარზე მეტი ქალაქიდან იყო გასული. აი ციფრობრივი მონაცემებიც.[185]

აჭარაში იყო:	1913 წ.	1920 წ.
საავადმყოფო	3	1
საწოლები	145	80
მათ შორის ქალაქში	120	80
სოფლად	25	-
ექიმთა რიცხვი სულ	39	19
მათ შორის სოფლად	3	-

უმწეოდ გამოიყურებოდა ისეთი დიდი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, როგორიც იყო რუსეთის ქალაქთა კავშირი. მატერიალურ ბაზას და ფინანსებს მოკლებულმა, უხელისუფლებობისა და ანარქიის ვითარებაში, მან ვერ შეძლო რაიმე ზომების გატარება, რათა ოდნავ მაინც გაეუმჯობესებინა სამედიცინო მომსახურება.

ამის მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ რამდენიმე თვეში მოაგვარა ზოგი აუცილებელი საქმე. ყურადღება გადაიტანეს წითელი ჯვრის საზოგადოებაზე, რომელმაც თავისი სამედიცინო ბრიგადები გაგზავნა ქედის, ხულოს და ქობულეთის სოფლებში. ბათუმში გაიხსნა წითელი ჯვრის საავადმყოფო და აფთიაქი, რომლებიც მსოფლიო ომში დაზარალებულ ხეიბრებს, ლტოლვილებს, ობლებსა და ქვრივებს ემსახურებოდა.

1880 წ. ბათუმის ოლქში გაიხსნა პირველი აფთიაქი. მაშინვე გაჩნდა სააფთიაქო მაღაზიებიც, რომელთა მფლობელები „შეთავსებით" ავადმყოფთა მკურნალობასაც

[183] იქვე, გვ. 34.
[184] ვ.კვაჭაძე, რ.სურმანიძე, დასახ. ნაშრ., გგ. 14-17.
[185] Сурманидзе Р.Д. Развитие советского здравоохранения в Аджарской АССР, Тб., 1982, с.4.

ეწეოდნენ.

ბათუმში ახალი საავადმყოფოს გახსნისთანავე საქმეს შეუდგა მისი აფთიაქიც, სადაც მუშაობდნენ ექიმი და ფერშალი. მზა პრეპარატებს ღებულობდნენ კავკასიის ამხანაგობის ადგილობრივი საწყობიდან, ხოლო ალკალოიდებს, ქლოროფორმსა და ზოგიერთ სხვა ნაერთებს საავადმყოფო იწერდა ჰამბურგიდან (გერმანია) მერკის, ბრანდტის და ტიმანის ფირმებიდან. სოფლად პირველი აფთიაქი ქობულეთში გაიხსნა.

* * *

ბათუმის ოლქის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საავალალო მდგომარეობა ძირითადად გამოწვეული იყო სანიტარული კულტურის დაბალი დონით, კომუნალური, კვების და პირადი ჰიგიენის ნორმების უხეში დარღვეევებით. როგორც ქალაქად, ისე სოფლად საშინელი ანტისანიტარია სუფევდა.

აუტანელ საცხოვრებელ პირობებზე თითქმის ყოველდღე იწერებოდა ადგილობრივ პრესაში. ეგნატე ნინოშვილი,[186] რომელიც ერთხანს მანთაშვილის ქარხანაში მუშად მუშაობდა, აღნიშნავდა: მუშათა საცხოვრებლები უფრო ჰგავდა ფაცხებს, ვიდრე ჩვეულებრივ სახლებს. ირგვლივ სიბინძურე და ჭაობია, ადამიანს გაელაც კი უჭირს. საცხოვრებელ ოთახებში დღისითაც კი ბნელა. მოგვიანებით ექიმებმა ალექსანდრე მაღალაშვილმა[187] და მიხეილ სეგალმა[188] მუშათა ყოფა-ცხოვრების საშინელ პირობებს სპეციალური ნაშრომები უძღვნეს.

გაუვალი ჭაობების გამო ბათუმი და მისი შემოგარენი ციების ბუდე იყო. ეს აწუხებდა ყველას. საზოგადოებრიობას ესმოდა, რომ თუ მოხერხდებოდა ჭაობის დაშრობა, ქალაქი მალე დაიჭერდა ღირსეულ ადგილს შავიზღვისპირეთის კურორტებს შორის. მეტიც, უცხოელები (მოგზაურები, მწერლები, ორიენტალისტები) მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ადარებდნენ ევროპის კურორტებს და ახალ ნიცას და რივიერას უწოდებდნენ.

ა. რემერტის, ე. ჟილინსკის, მ. ბეთანელის, ტ. ტრიანტაფილიდესის, ე. სკვორცოვის, ნ. საბაშვილის, გ. ვოლსკის და სხვათა მეცადინეობით მე-19 ს. 80-90-იან წლებიდან ბათუმში დაიწყო არხების გაყვანა, რამაც მალე გამოიღო შედეგი - ქალაქის ცენტრალური ნაწილი გათავისუფლდა ჭაობებისაგან. საყურადღებოა ისიც, რომ მრეწველებს, მეწარმეებს და დიდ მაგნატებს სამეურნეო და საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ფართობს გამოუყოფდნენ დაჭაობებულ ადგილას, რომ იგი დაეშროთ და კეთილმოეწყოთ. არხების გაყვანისათვის თანხები დააბანდეს პაველოვმა, ჟილინსკიმ, ივანოვმა და სხვებმა, რომელთა სახელს ეს არხები დღესაც ატარებს.

საერთოდ, ბათუმს რუსეთის იმპერიაში მალარიის პოლუსს უწოდებდნენ. ამიტომ არც იყო გასაკვირი, რომ პირველი სამალარიო სადგური აქ გაიხსნა 1913 წლის 12 მაისს.[189] მისი პირველი გამგე იყო სერგეი სოლოვეკინი.[190] სადგურმა გადამწყვეტი როლი შეასრულა საშიში ქრონიკული დაავადების დაძლევასა და სათანადო კადრების მომზადება-აღზრდაში. ბათუმში ჭაობების დაშრობამ დასაბამი მისცა ქალაქის საკურორტო მეურნეობის განვითარებას.

186 რ.სურმანიძე, დაუვიწყარი სახეები, ბათ., 1969, გვ. 44.

187 Протоколы и труды общества врачей в г.Батуме. Бат., 1908, с. 103-120.

188 Сегаль М.Л. Жилища рабочих в г.Батуме., Кут., 1903, с. 7-10.

189 Сурманидзе Р.Д. Общество врачей Аджарии и русско-грузинские медицинские связи, Бат., 1978, с. 23.

190 იქვე. გვ. 22-23.

* * *

1864 წ. გრიგოლ ორბელიანის ინიციატივით თბილისში დაარსდა კავკასიის სამედიცინო საზოგადოება. მისი დახმარებით და ბათუმელი ექიმების (გ. ელიავა, დ. კუზიატინი, კ. მხეიძე, ტ. ტრიანტაფილიდესი, გ. ვოლსკი, მ. ფენსტერი და სხვ.) ინიციატივით 1896 წ. 20 ნოემბერს (ძვ.სტ.) დაფუძნდა ბათუმის ექიმთა საზოგადოებაც, რომელიც ერთ-ერთი უძველესია ამიერკავკასიაში (ოცდამეხუთე იყო იმპერიაში და მესამე კავკასიაში - თბილისისა და ქუთაისის შემდეგ).[191] მისი შექმნის ნებართვას რომ იძლეოდა, ხელისუფლება მიზნად ისახავდა არმიაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას და დაავადებების შემცირებას. ამის გამო საზოგადოების წევრად უპირატესად რეკომენდაციას აძლევდნენ სამხედრო ექიმებს (ბათუმის ექიმთა საზოგადოების 37 დამფუძნებლიდან სამოქალაქო უწყებაში მხოლოდ 6 მუშაობდა). ამის მიუხედავად, ოლქის ექიმთა მოწინავე ნაწილი იმთავითვე ჩაება საშიში ეპიდემიების - მალარიის, ენდემიური ჩიყვის წინააღმდეგ, აგრეთვე, ზღვისპირა ზოლის გაჯანსაღებისა და მის საკურორტო ზონად გადაქცევისათვის ბრძოლაში.

ექიმთა საზოგადოება თავის ყოველთვიურ სხდომებზე ისმენდა მოხსენებებს ქალაქად და სოფლად სანიტარიულ-ჰიგიენური რეჟიმის დამყარების, ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე და სხვა სასიცოცხლო საკითხებზე, შეიმუშავებდა რეკომენდაციებს, რაც რეგულარულად წარედგინებოდა ადგილობრივ ხელისუფლებას. მართალია, მათი დიდი ნაწილი უყურადღებოდ რჩებოდა, მაგრამ ზოგიერთის რეალიზაციაც იმ დროისათვის დიდი პროგრესი იყო.

ბათუმელი ექიმები მონაწილეობდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამოსვლებსა და დემონსტრაციებში, რის გამოც ბევრმა განიცადა რეპრესიები (ა. შატილოვი, ა. მაღალაშვილი, ბ. ფინკელშტეინი, ჰ. გიგინეიშვილი, ყ. შერვაშიძე, გ. ეოლსკი და სხვ.).[192]

ექიმების – ტ. ტრიანტაფილიდესის, ა. თუმანიშვილის, მ. ფენსტერის, გ. ვოლსკის, ს. სოლოვკინის და სხვ. მეცადინეობით მოეწყო პირველი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და ბავშვთა ბანაკები მახინჯაურში, მწვანე კონცხსა და ქობულეთში.[193]

სხვადასხვა დროს ექიმთა საზოგადოებას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოჩენილ მეცნიერ-მედიკოსებთან, რაც დიდ როლს ასრულებდა მათ პროფესიულ დახელოვნებასა და უცხოეთის სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობის დამყარება-გაფართოებაში.[194]

პირველი მსოფლიო ომის დროს ბათუმის ექიმთა საზოგადოებამ შეწყვიტა მუშაობა. მისი აღდგენა მოხერხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, კერძოდ, 1919 წ. ამ დროს აქ მომუშავე მცირერიცხოვანი ექიმთა ჯგუფისათვის უპირველესი იყო ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ლტოლვილთა საბინაო და განსახლება-მოწყობის საკითხები, ბრძოლა ეპიდემიების, მალარიის, სიძეირისა და შიმშილის წინააღმდეგ.

* * *

აჭარის ზღვისპირეთის კურორტების შესახებ პირველ ცნობას ვხედებით ამ კუთხის გათავისუფლებიდან ერთი წლის შემდეგ. 1879 წ. კავკასიის ექიმთა საზოგა-

---

[191] იქვე, გვ. 8.
[192] იქვე, გვ. 68-81.
[193] იქვე, გვ. 26-30.
[194] იქვე, გვ. 81-90.

დოების სხდომაზე სამედიცინო ნაწილის ინსპექტორმა, დოქტორმა ა. რემერტმა ბათუმი შეაფასა, როგორც კლიმატური სადგური.[195]

იმავე წელს სამხედრო კორესპონდენტი ა. ფრენკელი წერდა: „ზოგიერთი არაჯანსაღი პირობების მიუხედავად, ბათუმის კლიმატი შეიძლება სასარგებლოდ მივიჩნიოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების კვალობაზე ბათუმს დიდი რაოდენობით მოაწყდება მოგზაურები და ავადმყოფები".[196]

ოდნავ მოგვიანებით, კავკასიის არქეოლოგთა ყრილობაზე ჩამოსულმა გერმანელმა მეცნიერმა რუდოლფ ვირხოვმა აღნიშნა, „ბათუმი და მისი შემოგარენი ხედგამოჭრილია კლიმატური სადგურისათვისო". 1884 წელს დოქტორი ე. ვილინსკი თავის ნაშრომში — „ბათუმის სამედიცინო-ტოპოგრაფიული ნარკვევი", ქალაქს ახასიათებს, როგორც უდიდესი საკურორტო მნიშვნელობის პუნქტს. მიუხედავად ზემოთქმულისა, ბათუმი საკურორტოდ დიდხანს არ გამოიყენებოდა, თუმცა ექიმები კელავ ასაბუთებდნენ მის დიდ საკურორტო მომავალს.

1898 წ. პეტერბურგში ბალნეოკლიმატურ ყრილობაზე მიაელინეს ბათუმელი ექიმი და ქალაქისთავის მოადგილე, ცნობილი ქართველი პოეტი გრ.ეოლსკი, რომელმაც წაიკითხა მისივე კოლეგის ტ. ტრიანტაფილიდესის მოხსენება „ბათუმის მოსაზღვრე მახინჯაური და მწვანე კონცხი". მომხსენებელი კატეგორიული ტონით იცავდა ბათუმელი ექიმების აზრს იმის შესახებ, რომ ამ ქალაქს აქვს მაღალი კლინიკური ღირსებები. ამასთან, ასახელებდა დაავადებებს, რომლებზეც ადგილობრიეი კლიმატი კეთილისმყოფლად მოქმედებდა.

ბათუმის გიმნაზიის პედაგოგი, შემდგომში ცნობილი მეცნიერი, აკად. ნ. ს. დერჟავინი 1902 წ. წერდა: „თუ ბათუმი თავისი არსებობის 25 წლისთავზე გაუეალი ტყეებისა და ჭაობების ნაცვლად მთელს ამიერკავკასიაში ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქად იქცა, არაფერი შეუშლის ხელს, რომ თავისი არსებობის 50 წლისთავზე იგი მართლაც ნიცად იქცეს, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით. ის მართლაც გახდება მსგავსი ქალაქი, რადგანაც ყველა მონაცემი აქვს ამისათვისაც და კულტურული დაწინაურებისათვისაც".[197]

ამ დროისათვის იმდენი მეცნიერულად დასაბუთებული მასალა დაგროვდა, რომ ბათუმის ექიმთა საზოგადოება წინადადებით შეეიდა ქალაქის თვითმმართველობაში, ქალაქგარეთ კლიმატური სადგურისათვის გამოეყოთ შესაფერისი მიწის ნაკეეთი. ქალაქისთავი ივანე ანდრონიკაშვილი შესაბამისი თხოვნით წარსდგა პეტერბურგში მიწათმოწყობის მინისტრთან, მაგრამ სახაზინო მიწის გამოყოფაზე მისგან უარი მიიღო.[198] მიუხედავად ამისა, ექიმთა შეუპოვრობამ და ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. 1904 წ. ქობულეთში რკინიგზის უწყების პერსონალისათვის გაიხსნა 25-საწოლიანი სანატორიუმი, ერთი წლის შემდეგ კი ასეთივე სადგური მოეწყო მწვანე კონცხზეც. აჭარის ტერიტორიაზე ეს იყო პირველი საკურორტო დაწესებულება, რამაც შემდგომში დასაბამი მისცა სააგარაკო საქმის განვითარებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ექიმთა შორისაც არ იყო ერთსულოვნება. ზოგი მათგანი (მ. ი. იერუსალიმსკი, ს. პ. ტროიცკი) სკეპტიკურად უყურებდა აჭარის სანაპიროზე საკურორტო მშენებლობას. ბათუმში განლაგებული ჯარის ნაწილების ჯანმრთელობის მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე ექიმი მ. იერუსალიმსკი მიუღებლად

[195] Протоколы и труды Об-ва врачей в г. Батуме (შემოკლ. ПТОВБ), 1913, გვ. 166.
[196] Френкель А. Очерки Чурук-су и Батума, Тиф., 1879, с. 107.
[197] Державин Н.С. Всеобщий адрес-ежегодник Батума, 1902, с. 51-52.
[198] ПТОВБ, 1905, с. 9.

თელიდა აქ არათუ კურორტის განვითარებას, არამედ ეს ქალაქი მას საცხოვრებლადაც უფარგისად მიაჩნდა ჭაობებისა და საშინელი მალარიის გამო. ამ აზრს დაუპირისპირდნენ ექიმები ვ. ნ. პრიანიშნიკოვი, ა. ნ. შატილოვი, ა. ა. თუმანიშვილი და სხვ., რომლებსაც მაგალითად მოჰყავდათ სოხუმი, გაგრა და სოჭი, სადაც მალარია და ჭაობები არანაკლები იყო, მაგრამ კურორტები იქ დღითი დღე ფართოვდებოდა. მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა და საკურორტო მშენებლობა ერთდროულად უნდა წარიმართოსო - სამართლიანად შენიშნავდნენ ისინი.[199]

1911 წ. ბათუმს ეწვია მოსკოვის ფიზიოთერაპიული საზოგადოების 43 წევრი, რომელსაც დიდი რუსი პედიატრი, პროფესორი ა. ა. კისელი ხელმძღვანელობდა. სტუმრებმა დაათვალიერეს ბათუმი და მისი ახლომახლო ადგილები, აღფრთოვანებულმა ა. კისელმა აღნიშნა: „ბათუმს, როგორც რუსულ რივიერას, უეჭველად ელოდება კლიმატური სადგურის დიდი მომავალი".[200]

სტუმრების რეკომენდაციითა და რჩევით, ბათუმელმა ექიმებმა იმავე წელს დააფუძნეს საკურორტო საზოგადოება. მან თავისთავზე აიღო ამ საქმის კოორდინაცია, მაგრამ მთავრობისაგან ეერავითარი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა, არ ჰქონდა საკუთარი სახსრები და მალე შეწყვიტა არსებობაც.

იმ დროისათვის აჭარის სანაპირო ზოლი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მოსკოვის ბავშვთა სიკვდილიანობასთან მებრძოლმა საზოგადოებამ ქობულეთში 15 ბავშვი გამოგზავნა დასასვენებლად. მათი სანატორიული მკურნალობის შედეგი შთამაგონებელი აღმოჩნდა, ამიტომ საზოგადოებამ გადაწყვიტა ქობულეთში საკუთრად ეყიდა შენობა, სადაც 1912 წელს 40-მა ბავშვმა ჩაიტარა მკურნალობა.

ბათუმის ექიმთა საზოგადოება დღენიადაგ შეახსენებდა ქალაქის თვითმმართველობას, რომ არ შეენელებინა კეთილმოწყობითი სამუშაოები. ამ მიზნით თვითმმართველობასთან შეიქმნა განსაკუთრებული საკურორტო კომისია, რომლის წევრებმა – ინჟინრებმა რაფალსკიმ და სვიშევსკიმ შეადგინეს ქალაქის კანალიზაციის დეტალური ხარჯთაღრიცხვა.[201]

1914 წ. პეტერბურგში, შავიზღვისპირეთის მოღვაწეთა ყრილობაზე, ექიმმა ს. სოლოვკინმა წაიკითხა მოხსენება „ბათუმი, როგორც თბილი კლიმატური სადგური", რომელმაც დამსწრეთა დიდი ინტერესი და გამოხმაურება ჰპოვა.

ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, ბუნებრივია, არ სიამოვნებდათ, როცა ქართულ ტერიტორიებს უწოდებდნენ „რუსულ რივიერას", „რუსეთის ნიცას" და სხვა მსგავს სახელებს. მაგ., ამის საპროტესტო გამოძახილი იყო გაზეთ „სახალხო ფურცელში" გამოქვეყნებული თეოდორე ღლონტის ვრცელი ნარკვევი „საქართველოს რივიერა (ბათუმის ოლქი)", რომელიც მხარის ისტორიულ-ეკონომიკურ და სტატისტიკურ მიმოხილვასთან ერთად, საკურორტო აღწერილობასაც შეიცავს.[202]

პირველმა მსოფლიო ომმა გაანელა ექიმთა და ინჟინერთა ენთუზიაზმი. ოქტომბრის გადატრიალებისა და სხვა მოვლენების გამო ერთხანს კურორტებისათვის არავის ეცალა. ამით ისარგებლეს კერძო პირებმა და ზღვის სანაპიროზე მრავალი აგარკი აიშენეს. სხვათა შორის, მეფის ხელისუფლება განსაკუთრებული დამსახურებისათვის საგარაკოდ მიწებს ურიგებდა თავის ჩინოვნიკებს, უპირატესად ყოფილ გენერლებს. ასეთი აგარაკების რიცხვი აჭარის ტერიტორიაზე ორასს აღწევდა. იმ დროისათვის საკურორტო საქმის განვითარება ამაზე შორს ვერ წაიდა.

---

199 ПТОВБ, 1908, с. 237-264.

200 ПТОВБ, 1913, с. 35.

201 Сурманидзе Р.Д., Общество... Бат., 1978, с. 29.

202 გაზ. „სახალხო ფურცელი", №285-287, 291; 20-27 მაისი, 1915.

რეგიონის მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის საქმეში დიდი როლი შეასრულა მოხალისე მოწყალების დებისა და სანიტრების რაზმებმა. ცნობილია, რომ აჭარა გამუდმებით საომარი მოქმედებების ასპარეზად იყო გადაქცეული, ამიტომ, ამ რაზმების დროებითი ლაზარეთები თითქმის უწყვეტლივ იყო განლაგებული მის ტერიტორიაზე. ლაზარეთებში მომუშავე ექიმები და მოწყალების დები, ძირითად საქმიანობასთან ერთად, შესაძლო სამედიცინო დახმარებას ადგილობრივ მოსახლეობასაც უწევდნენ.

ირკვევა, რომ საქართველოში მოხალისე მოწყალების დების, ანუ წითელი ჯვრის რაზმები ჩამოყალიბდა გაცილებით ადრე, ვიდრე დაარსდებოდა შვეიცარიის წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია (1863 წ.) და რუსეთის დაჭრილთა და ავადმყოფთა მზრუნველობის საზოგადოება (1867 წ.).

საქართველოში დაჭრილთა და ავადმყოფთა დახმარების ორგანიზებული რაზმი შეიქმნა 1828-29 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, ციხისძირის ტერიტორიაზე და მისი მეთაური იყო მარიამ ზაალის ასული ორბელიანიგურიელისა (1780-1841).[203] ამაზე მეტყველებს დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ მარიამ ორბელიანმა „ციხისძირის ომზედ თვით თავისის მილიციით იმსახურა ერთგულად, რომელმაც მრავალი აფიცარი და მდაბალი სალდათი გამოიყვანა ცეცხლიდამ დაჭრილნი; არა თუ მხოლოდ იზრუნა გამოყვანისათვის და გამოხსნისათვის მათისა, არამედ თვით თავისის ხელითა მსახურებდა აფიცართა და სალდათთა საზრდელის მიღებით და სამსახურითა. არა რასა დაუზოგავს გულის მოდგინება თვისა".[204]

ქართულმა წითელმა ჯვარმა თავი გამოიჩინა 1853-56 წწ. ყირიმის ომის დროსაც. ამ დროს ჩოლოქის მიდამოებში, სახალხო ლაშქრის ზრდის კვალობაზე, დასტაქრებისა და მოწყალების დების რიცხვმაც მოიმატა. სწორედ მათი დამსახურების შედეგად, მძიმე ჭრილობებს ცოცხლად გადაურჩნენ ასეულის მეთაური ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე (რომელის ერთხანს მკედარი ეგონათ), მისი თანაშემწე მიხეილ ბიძინას ძე ერისთავი, პოლკოვნიკი გიორგი იოსების ძე ჯანდიერი („დროშა-გიორგი"), კაპიტანი გიორგი ციციშვილი და სხვ. დასტაქართა რაზმებს მეთაურობდნენ გრიგოლ შაბურიშვილი და ბეჟან თურმანიძე.[205]

გამონაკლისი არც 1877-78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომია. ამ დროს სახალხო რაზმელთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა, მოიმატა მოწყალების დების რაოდენობამაც და არცაა გასაკვირი, რომ ზოგი მათგანი ჭოროხის ხეობაში თანამოძმეთა დახმარებისა და მშობლიური მიწა-წყლის დაცვის საქმეს შეეწირა. მათ შორის არიან ნინო დავითის ასული გურიელი (1857-1877) და სხვ. ამ ომში დაჭრილთა და ავადმყოფთა მეურნალობის საქმეს ხუცუბან-მუხაესტატეს მიდამოებში ხელმძღვანელობდა თავადი გიორგი დავითის ძე ამილახვარი (1857-1917). ქობულეთის რაზმებში აქტიურად მონაწილეობდნენ ელისაბედ ყაზბეგი (1844-1915), გ. ჯაყელი და სხვანი.

წითელი ჯვრის რაზმებმა თავი გამოიჩინეს ბათუმში 1905 წლის რევოლუციური მოვლენების დროს. მათ სათავეში ბათუმელი ექიმები ა. მაღალაშვილი, ბ. ფინკელშტეინი, კ. მხეიძე ჩაუდგნენ და დაჭრილთა დასახმარებლად ქუჩაში გამოვიდნენ. აქ თავი ისახელეს ქალაქისთავ ი. ანდრონიკაშვილის მეუღლემ ლიდა ანდრონიკაშვილმა (1861-1953), რომელმაც თავად შექმნა მოხალისე მოწყალების დების რაზმი, მოიმარაგა მედიკამენტები, შესახვევი მასალა და თეთრეული, დაჭრილებს კი საკუთარ სახლში უწევდა სამედიცინო დახმარებას. მან ეს საქმიანობა პირველი მსოფლიო ომის დრო-

[203] რ. სურმანიძე. მფარველი ანგელოზები. ბათ., 2005, გვ. 33-36.
[204] ქვ. ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985, გვ. 99-100.
[205] რ. სურმანიძე, მფარველი... გვ. 40-46.

საც განაგრძო. უფრო მეტიც, მასთან თბილისიდან ჩამოვიდა ნათესავი მოწყალების და ანეტა ანდრონიკაშვილი (1892-1916), რომელიც გემ-ჰოსპიტალ „პორტუგალს“ გაჰყვა; გემი ბათუმის მახლობლად ზღვაში ჩაძირეს და 113 მოწყალების დასთან და დაჭრილებთან ერთად ანეტაც დაიღუპა.

ქართულმა წითელმა ჯვარმა ბათუმში საკუთარი აფთიაქიც აა'შენა (1912წ.), ხოლო ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და ექიმმა ყადირ შერვაშიძემ ამ ორგანიზაციას ლაზარეთისათვის ქედაში საკუთარი ორსართულიანი სახლი დაუთმო. ამ შენობაში 1972 წლამდე რაიონული საავადმყოფო იყო განთავსებული.

მოწყალების დების მოხალისეთა რაზმებში ჭეშმარიტი გმირობა გამოიჩინა ბათუმელმა ელენე კონსტანტინეს ასულმა ხეჩინა'შვილმა (1890-1957), რომელიც მამაკაცურად გამოეწყო და პირველი მსოფლიო ომის წლებში დაჭრილთა და ავადმყოფთა გადასარჩენად, ექიმ ელადიმერ ცენტერსკის გამოგონილი სახელით იბრძოდა.[206]

წითელი ჯვრის ქართული ორგანიზაცია, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ბათუმის ოლქისა და აჭარის ტერიტორიაზეც ერთგულად ასრულებდა მედიცინის მუშაკთა თანაშემწის და სანდო დამხმარის როლს.

[206] რ. ხურმანიძე, მფარველი... გვ. 49-124.



პირველი ქართული სკოლა ბათუმში

ალექსანდრე ნანეიშვილი – ბათუმის პირველი ქართული სკოლის პირველი მასწავლებელი

ცნობილი ბათუმელი პედაგოგები:
მიხეილ შარაშიძე, ირაკლი ღლონტი, ალექსანდრე მგელაძე, ნიკო ჯაყელი

ბათუმის პირველი ქართული სკოლის მოსწავლეები



ორთაბათუმის სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, 1909 წ.

ბათუმის ვაჟთა გიმნაზია
(დღეს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ქალთა გიმნაზია (დღეს ქ. ბათუმის №2 სკოლა)

ბათუმის მარინეს სახელობის ქალთა უმაღლესი დაწყებითი სკოლის
მოსწავლეების 1917 წ. გამოშვება



ბათუმის საქალაქო (ექვსკლასიანი) სასწავლებელი

ნიკოლოზ გომანი. ბათუმის
მუზეუმის დამაარსებელი (1908 წ.)

მუზეუმის ბეჭედი

ბათუმი. „ხოლოდნაია სლობოდას“ (დღეს ბარცხანა-ბონის დასახლება)
ორკლასიანი ნორმალური სახელმწიფო სასწავლებელი – 1911 წ. გამოშვება

მურღულის (ართვინის ოკრუგი) სასწავლებლის წარმომადგენლები
და მოსწავლეები 1910 წ.



ქედის ორკლასიანი სასწავლებელი



ართვინის ნორმალური სასწავლებლის მუსიკოსები
მურღულის ხეობაში ექსკურსიის დროს. 1910 წ.



ქალაქ ართვინის საერთო ხედი. XX ს. 10-იანი წლები

აკაკი წერეთელი

ვაჟა-ფშაველა

იაკობ გოგებაშვილი

დავით კლდიაშვილი

სოფრომ მგალობლიშვილი

ალექსანდრე ყაზბეგი

ეგნატე ნინოშვილი

იოსებ იმედაშვილი

მამია გურიელი

ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)

ეკატერინე გაბაშვილი

იონა მეუნარგია

ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი)

ნიკო ცხვედაძე

ანტონ ფურცელაძე

ალექსანდრე ყიფშიძე

შიო არაგვისპირელი

მარი ბროსე

პლატონ იოსელიანი

მოსე ჯანაშვილი

დავით კასრაძე

ბათუმის სტამბებში დაბეჭდილი წიგნები, გაზეთი და აფიშა



სერგეი პუტკინის ტიპოგრაფიული საწარმო ბათუმში

ბათუმის დრამატული წრის წევრები

ქეთევან ჟურული

შალვა დადიანი

ხუცუბნის ქართული სკოლის დრამატული წრის წევრები,
რომლებმაც 1920 წ. 15 აგვისტოს დადგეს აკაკი წერეთლის „პატარა კახი“
(შუაში ზის მასწავლებელი არსენ წითლიძე)

აჭარაში მოღვაწე ექიმები

გრიგოლ ელიავა

ტიმოლეონ ტრიანტაფილიდესი

კონდრატი მხეიძე

სერგეი სოლოვკინი

ყადირ შერვაშიძე

პლატონ გიგინეიშვილი

მიხეილ ლოლუა



ОТЧЕТЪ
БАТУМСКОЙ ГОРОДСКОЙ
БОЛЬНИЦЫ

ქ. ბათუმის საავადმყოფოს ადმინისტრაციული კორპუსი, 1902 წ.

მიხეილის (დღეს – ზვიად გამსახურდიას) ქუჩა XX ს. დამდეგს



ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფი
(აგებულია XIX საუკუნის დამლეგს)

ძირითადი შემოკლებანი

ამხფ -	აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი
აცსა -	აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი
ბსკიფა -	ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი
დამკომი -	საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი
სდსკკ -	სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა (კრებული)
სკფფა -	საქართველოს კინო-ფოტო-ფონო არქივი
სპა -	საქართველოს პრეზიდენტის არქივი
სცსსა -	საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი
სცსსა ჰმფ -	საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ჰარვარდის მიკროფილების ფონდი
სჯმხფ -	სამცხე-ჯავახეთის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი
სანკტ-პეტერბურგის	
სცია -	სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (იგივე ЦГИА С-Пб.)
ქუთაისის ცსა-ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი	
ქ.შ.წ.-კ.გ.ს. -	ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება
„ოზაკომი“ -	ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (რუს. „Особый Закавказский Комитет) - რუსეთის დროებითი მთავრობის (1917 წ.) ამიერკავკასიის მმართველი ორგანო
DBFP –	Documents on British foreign policy 1919-1939
АИЭ АНР -	Институт Антропологии и Этнографии Акад. наук Российской Федерации
АВПР -	Архив внешней политики России (г. Москва)
АКТЫ -	Акты, собранные Кавказской Археографической комиссией
ИКОИРГО -	Известия Кавказского отдела Императорского Российского Географического Общества
ПТОВБ –	Протоколы и труды Общества врачей в г. Батум
К.К. –	Кавказский календарь (ყოველწლიური გამოცემა)
ГАРФ –	Государственный Архив Российской Федерации
ООППАДЗК -	Обзор отраслей промышленности, служащих предметом косвенного обложения Акцизного Дела Закавказского края

გამომცემლობის დირექტორი
ნანა ხახუტაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.05.2009
ქაღალდის ზომა 60X84 1/8
ფიზიკური თაბახი 37.6
ტირაჟი 1000

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35.